ანა ანტონოვსკაია

დიდი მოურავი

ანუ

წიგნი მეხუთე

ალ

თარგმანი
არისტო ჭუმბაძის

საბჭოთა მწერალთა გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1962

რედაქტორი დ. მჯედლიშვილი

ნაწილი მეოთხე

დასასრულის დასაწყისი

წითელ-ყვითლად აფერადებული ფოთლები არ იძვრიან მიძინებულ დედამიწაზე. ადრე შემოდგომაა. მეთოთხმეტე ქორონიკონის 313 წელია. გუმბათები თითქოს სქელ ლურჯ ნისლში გაქვავებულანო, ტაძრების გარშემო კარვებია, მათ კი თავს დაჰყურებენ ბუმბულა ღრუბლები. თვლემენ ხეხილით სავსე ველები. საქართველოს ბორცვები გაურუჯავს ცეცხლოვან დისკოს, მოქანცულან მდინარეები, გაყინულან ტბები. ვით განგმირულ დევგმირთა თვალები.

თვით დროც უძრავია, ვით ღრმა ნიშში მიგდებული მატიანის დამთავრებული ფურცლები. მაგრამ მაცდურია სიწყნარე: აგერ-აგერ ამოტყდება რაღაც, დაიქროლებს, წალეკავს! ფეხაკრეფით მოიპარება ქარტეხილი, იგი დაამსხვრევს წამოწვდილ კლდეებს.

ახლოვდება გრიგალი!

სადღაც წოწოლა მთის გადაღმა ქაფქაფებს შეგუბებული წყალი და ეძებს გასასვლელს. წუთიც და, ციცაბო კლდეზე გადმოეშვება იგი და ჩამოლიხავს კლდის ნამსხვრევებს, საუკუნოვან მუხებსა და ახალგაზრდა ფიჭვებს.

სტიქიონის ასალაგმავად ხომ არ მიჰქრის ეული მხედარი? ანაზდად გაქვავდა იგი ვიწრო ბილიკზე, რადგან იგრძნო უმაგალითო ჭექა-ქუხილის მოახლოება, სამეფოებსა და ხალხებს რომ შესძრავს! და ელვასავით განმსჭვალა მხედარი

ფიქრმა იმ გამოუსწორებელი ამბის გამო, სტიქიონმა რომ უკვე მოახდინა.

მწვერვალზე ასული ბილიკი უფსკრულის პირას წყდებოდა. და თითქოს ამ უფსკრულში სურდა მხედარს გადაეგდო უზომო სიმძიმე, მკერდს რომ აწვა, ნისლივით განეფანტა მძიმე ფიქრები, რადგან ცხოვრება არის ცხოვრება, და შებრალებას ნუ მოელის ის, ვინც თუნდ ერთი წამით შედგება: კვლავ და კვლავ მომქროლავნი არ დააყოვნებენ ჩამოაგდონ, გათელონ, გაუსწრონ! მხოლოდ მეხის გრიალივით გახმაურდებ: ხევში თავშეუკავებელი ხარხარი.

და განა ბედმა თავის მგრგვინავ ეტლში არ შეაბა ერთი თეთრი დღე და ერთი ბნელი ღამე? და განა უდიდესი წარმატება არ ელის მას, ვინც შეძლებს ლაგამში უტაცოს ხელი დღეს, ხოლო უსაზღვრო მწუხარება — იმას, ვისაც ღამე მოუსწრებს?

გიორგი სააკაძეზე უკეთ არავინ იცოდა, თუ რაოდენ მოულოდნელობას შეიცავს თავაწყვეტილი დღე და რაოდენ საშიშია ღამე, მარცხიანს რომ უთვალთვალებს. მაშ რატომ აძლევს ნებას იგი, ვისაც „დიდს“ უწოდებენ, ერთსა და იმავე განუხორციელებელ ფიქრს, სდიოს მას ცხოვრების ორწოხებში, არ მისცეს იმის საშუალება, რომ შეჩერდეს ღამით და არც იმის, რომ სდიოს თავაწყვეტილ დღეს? რატომ არ ეწინააღმდეგება იმას, რაც აბნელებს ჭეშმარიტების გზას? რატომ არ გადაუხვევს გათელილი გზიდან ახალ აღმართზე?

ჯარი! ჯარი! სად იშოვნოს ჯარი? განა არ უნდა ეძიოს ახალი გზები, რადგან ძველი გზები სასარგებლონი აღარ არიან?...

„ხოლო ახალი რა არის აწრიალებულ თავადთა შორის, რომლებიც ემსგავსებიან ტალღებს, ხან ნაპირზე რომ შემოსრიალდებიან, ხან კი უფსკრულშივე ინთქმებიან? და მაინც სხვა გამოსავალი არ არის, — ჯარი თავადებს ჰყავთ. მომიხდება ერთხელ კიდევ განვიმეორო ის, რაც არაერთგზის მიქნია: მუქარით ან ლიქნით გამოვტყუო თავადებს ჯარი.

მაგრამ რომელი სატანის დახმარებით შეიძლება დავარ-

წმუნო სამღვდელოება, რომ მხოლოდ ფარი და ხმალი გადაუღობავს გზას მტრებს?

და განა ეს პირველად თქმულა?"

მეტეხში უკვირდათ: საკაძე ქედს რატომ არ იხრისო? განა მეფე თავნებას შეურიგდება? სად იძენს ძალას მოურავი?

„სად? — ყველგან გრგვინავდა გიორგი საკაძის ხმა. — ხალხში! ხალხი უძლეველია! შეიძლება ძარცვო ძვირფასეულობა, გაჟლიტო ჯარი, ტყვეობაში გაირეკო მცხოვრებნი, შეიძლება დაანგრიო ქვეყანა, მაგრამ კერას ვერ ჩააქრობ. ეს ურყევია! რადგან ხალხის მისწრაფება სიცოცხლისადმი უმრეტია!"

უკვირდა ხოსრო მირზასაც: ზურაბი, რომელიც, როგორც თვითონ და ისა-ხანი, ხელ-ფეხშეკრული არ არის სულთანთან შაჰის დაზავებით, რატომ არ დაესხმის საკაძეს თავს ბენარში? ხედავს ჯოჯოხეთის მფლობელი, რომ თავადები ამაში დაეხმარებიან! ისა-ხანი სხვას ფიქრობდა. მისი აზრით, თავადები გზაჯვარედინზე დგანან და ხელებს აქნევენ, ვით ყანჩები — ფრთებს, ვერ გაიგებ—მიესალმებიან თუ იმუქრებიან.

ხოლო ეამმა კვლავ შეაფერხა სვლა და ხან იხდიდა ცისფერ სამოსელს, ცვალებად სხივებს რომ გაუმსჭვალავს, ხან იმოსავდა საწვიმარ ღრუბლებს, ხან თეთრ ფიფქს, ხან ვერცხლივით წკრიალებდა და ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდა. ოქროს ხარბი, ვით მეძავი ქალი, ელოდებოდა იგი, ვინ უფრო მეტს მომცემსო.

ზურაბს როდი უკვირდა, იგი მძვინვარებდა, რადგან რამდენიც არ მოუწოდა თავადებს, საკაძეს ვეომოთო, რამდენიც არ დაემუქრა, ისინი მაინც ვერ ბედავდნენ. ზურაბი მძვინვარებდა, მაგრამ საკაძე იცინოდა... მტაცებელმა, საბედნიეროდ, არ იცის: იმისათვის, რომ დაიმორჩილო თავადები, რომლებიც მასზე ნაკლებ ურჩნი როდი ჰრიან, საჭიროა განსაკუთრებული თამაში: უხვად უნდა დაუთმო წვრილმანებში, წააქეზო თავადური ქედმაღლობა, მხარი დაუჭირო აზრს, რომ ვითომდაც მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაკი იცი, რომ ეს მნიშვნელობა მოჩვენებითია, და განუხრელად იხრებოდე სამეფოს ინტერესებისაკენ...

ზურაბი იმუქრებოდა, თავადებს კი უკვირდათ, რატომ ჩვენ თვითონ უნდა შევუკეთოთ ცეცხლი ჩვენს ციხე-დარბაზებსო? რატომ ჩაიკეტნენ მეტეხში ხოსრო მირზა და ისახანი, რომელთაც აურაცხელი ჯარი ჰყავთ?

შაჰის სარდალთა სიზანტე ეპვს უნერგავდა თავადებს: მტკიცეა განა სვიმონის მეფობაო? შეშფოთება ეუფლებოდა ციხე-დარბაზების პატრონთ: რატომ ასე უდარდელად ვზივართ ტახტებზე და მშიერ მსახურებივით ველოდებით თორნეში შოთის გამოცხობას?

დრო კი კვლავ ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდა, ცბიერულად იღიმებოდა, ხან წვიმით იგრილებდა თავს, ხანაც სიცხით იდაგებოდა და ელოდა, ვინ უფრო მეტს მომცემსო...

თავადები სულ უფრო ემდუროდნენ ულმობელ ბედისწერას: ჩვენი სამფლობელოები გიორგი სააკაძის ხმლისათვის მისაწვდომია, განა დრო არ არის მისივე ფარით დავიცვათ თავი მისგანაო?

„დროა!"

და ციხე-დარბაზები ახმაურდნენ...

დიდი ხანია ელოდებოდა სააკაძე, სანამ დროს არ მობეზრდებოდა ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა, და თავადებიც აღშფოთდებოდნენ... იცოდა მან, სად იყო ზურაბ ერისთავის სამსჭვალი!

დიდი ხნის წინათ, ყველა დასაბამთა დასაბამის დროს, ჭაბუკი ზურაბ ერისთავით მოხიბლულმა, მან, სააკაძემ თავის მოწაფეს გაუზიარა მოძღვრება გამარჯვებისა, მან ასწავლა ზურაბს ბრძოლის, სტრატეგიის კანონები, გაუმჟღავნა ყველაფერი, ერთი რამის გარდა, რადგან არ დავიწყნია საადის სიბრძნე.

„ერთხელ, განთქმულ მხედართმთავარს შეუყვარდა ჭაბუკი, რომელსაც ასწავლა ბრძოლის სამას ორმოცდა ცხრამეტი ხერხი, მაგრამ უკანასკნელი ხერხი კი დაუმალა. მხედართმთავარი შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, რადგან მოწაფემ, როცა წამოიჩიტა, კვეხნა დაიწყო: ჩემს მასწავლებელს ყოველგვარ ბრძოლაში ვაჯობებო. გაუკვირდა მეფეს და ბრძანა, ასპარეზობა გამართეთო. მოწაფეს ის იყო უნდა გაემარჯვა, მაგრამ

მასწავლებელმა სამას მესამოცე ხერხი იხმარა და ძირს დასცა მოწაფე...“

განა ერთმა გაუფრთხილებელმა, ნამოწაფარისაგან რომ იწვნია, არა თქვა:

> დღეს ერთგულებას ერთგული თითქმის
> არავინ შერჩა ნასინდისარი!
> ტყორცნა ვასწავლე მეგობრებს მშვილდის,
> ბოლოს მე მომხვდა მათი ისარი....

და აი ახლა, როცა მტაცებლური განზრახვის გამარჯვებისათვის საჭირო იყო სახელმწიფოებრივი სიბრძნე, ზურაბს იგი არ აღმოაჩნდა, და...

მიწას დაენარცხა ძლეული! რადგან გიორგი სააკაძე ამბობდა: იმისათვის, რომ სახელმწიფო საქმეებზე გავლენა იქონიო, საჭიროა დროზე შენიშნო სასწორის ქანაობა და ის საწონი შედო, რომელიც შენს განზრახვას გადააწონინებს. სხვაგვარად სახელმწიფო მოღვაწე ყაფარ კიბეზე ვერ ავა.

ამრიგად, ზურაბის მუქარაზე — თავადების ციხე-დარბაზებს ყირამალა დავაყენებო — მფლობელებმა შადიმანს უპასუხეს: უმჯობესია რაზმელები გიორგი სააკაძეს მივცეთ, რადგან ამ შემთხვევაში, „ვეფხვი“ უყოყმანოდ დაიცავს ჩვენს სამფლობელოებს და ამასთან ზოგიერთ ხანს ხმლით უჩვენებს ისპაჰანის გზასო...

პოლიტიკური საქმეების ჩარხის ახალმა დატრიალებამ ეკლესიის მოწონება გამოიწვია: უფალო შეგვიწყალე, რა თქმა უნდა, არც ერთი თავადი, ეს, ღმერთო გეიშველე, „ტარიგი“, არავითარ შემთხვევაში ჯარს არ ჩააბარებს გიორგი სააკაძეს!

მაგრამ... არც ეკლესიამ, მოურავს რომ აყვედრიდა, დააყოვნა ამოფარებოდა სააკაძის სახელს. ეკლესია იმოწმებდა ზეგარდმო მინიჭებულ შესაძლებლობას ყოველ ჟამს მოეწვია სააკაძე დასახმარებლად და კათალიკოსმაც არ დააყოვნა გამიჯვნოდა როგორც შადიმანის, ისე ისა-ხანის სწრაფვას...

სანამ თავადები და სამღვდელოება საუკეთესო სვლას ეძებდნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად, აზნაურთა მცირე-

რიცხოვანი რაზმელები კვლავ მტკიცედ უმკლავდებოდნენ ათიათასობით ირანელს. რას უქადოდა ბედი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებს: დაშლას? დაღუპვას? გაურკვევლობას? თბილისს სპარსული საბურველი გადაეფარა. თელავი ისპაჰანურმა შუბებმა გადაღობეს. და იმ დაუცხრომელთა ფიქრი, ვისაც გული სამშობლოსათვის უცემდა, სულ უფრო ხშირად მიმართავდა ბენარს.

შეშფოთება! ყველგან შეშფოთება გამეფებულა! სახლებშიც, ბაღებშიც, ყანებშიც კი! ფრინველთა გუნდშიც!

ადრე, ადრე მიფრინავენ ფრინველები სამხრეთისაკენ. კივიან, ცოტა ხნის შესვენებას გვამცნობენ, დაფარფატებენ, აყურადებენ. ხან ფრთებს აატლაშუნებენ და უსაზღვრო სივრცეში აიჭრებიან, ხან უხმაუროდ დაეშვებიან ყველაზე მაღალ ტოტებზე და იცქირებიან ძირს.

შეშფოთება! დაძაბულად შესცქერიან ცას გლეხები.

თოხსდაყრდნობილი ეუბნება ერთი მეორეს: „დღეს მზე მეტად უხალისოდ ამოდის“, — მეორე კი შეშფოთებით მიუგებს: „მთვარე? შავ ღრუბელში რომ გახვეულა, რატომ იცქირება მზვერავივით დილამდე ყველა სარკმელში? რატომ არ უთმობს მზეს ღვთისაგან მისთვის განკუთვნილ დროს? რატომ ვერ ამჩნევს მოცახცახე განთიადს და ცაში აყუდებულა, როგორც აბეზარი ხანი?..“ მესამე კი შიშით მიმოიხედავს და ჩურჩულებს: „არა, ტყუილად როდი მიმალულან ხვრელებში მხეცები, დასარწყულებლადაც კი უფრო გვიან ჩამოდიან, ვიდრე ოდესმე. არა, წარმატება არ ექნებათ მონადირეებს, ვერ გამოიტყუებენ დამფრთხალ ნადირს! გალურსულან, ყურს უგდებენ ვიღაცის გაუბედავ ნაბიჯებს, აწუხებს ტყის ბინადართ ვიღაცის წყვეტილი სუნთქვა...“

დრო აღარ იცინოდა ცბიერულად, არც ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდა, რადგან იგრძნო, ვინ მისცემს უფრო მეტს. ოღონდ არ დაიგვიანოს! და შეუფერხებლად გაექანა წინ, გზაკვალის გაურჩევლად.

რაღაც შედრკა, შეირყა!

შეშფოთება! იგი ძლიერდება, ფართოვდება ხევებიდან მწვერვალებამდე!

აღარავის ახსოვს ის დრო, როცა მწვერვალებიდან ხევებამდე გაისმოდა ფრინველთა მხიარული ჭიკჭიკი, ხოლო უღრან ტყეებში — მხეცთა კმაყოფილი ღრენა და გარშემო კი ძღერდა ცხოვრებაში გამარჯვებული ადამიანის ხმა...

გადაწყდა! ერთ დღეს სააკაძემ თუშეთში გაგზავნა შიკრიკი, რათა გაეფრთხილებინა ანთა დევდრისი, რომ ახლოვდება ქართლიდან ისა-ხანისა და ხოსრო მირზას სპარსთა ჯარების წასვლის დრო. დაე ანთა დევდრისს ახსოვდეს მოურავთან შეთანხმება, იყოს ურყევი და არ დაჰყვეს არავითარ მოთხოვნას. კურთხეული ჟამი გარდუვალია, მაგრამ, სანამ ისა-ხანი და ხოსრო მირზა არ დატოვებენ კახეთს, თუშები ნუ ჩამოვლენ ბაუბან-ბილიკით და ნუ გაუმართავენ ბრძოლას ისმაილ-ხანს.

ზედ უფსკრულს აწყდებოდა მთის ბილიკი. სააკაძემ, თავისი უცვლელი უნდობლობის საწინააღმდეგოდ, გადაწყვიტა განემტკიცებინა შეთანხმება თავადებთან და სიამით დათანხმდა ყველასთან მოლაპარაკებას, ვინც ჯარის მიცემას დაპირდა.

ამრიგად, ყველაფერი ხელახლა დაიწყო, თუმცა მრავალგზის განვლილის განმეორება არცთუ ისე სასარგებლოა...

თავი პირველი

დიდხანს უცქერდა ხოლმე თავადი ღაზნელი ყომრალ ღრუბლებს, რომლებიც შავი ზღვისაკენ მიზოზინობდნენ. ისინი ავსებდნენ უზარმაზარ სივრცეებს, თვით იქცეოდნენ მობობოქრე ზღვად, მთებს რომ ნთქავდა, და მხოლოდ ცალკეული მწვერვალები მოჩანდნენ კუნძულებივით და ეწინააღმდეგებოდნენ მძვინვარე სტიქიოს. და აი უეცრად გაქრა ცა, გაისმა მიწისქვეშა გუგუნი, რომელიც ეს არის უნდა ამოინთხეს გავარვარებული სიღრმიდან და წალეკოს ბენარი. ჰაერისა და ცეცხლის ეს ბობოქრობა აძლიერებდა შეშფოთების გრძნობას, მოხუც თავადს რომ დაეუფლა, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ გათათრებულ მხარეში, სადაც თავშესაფარი ჰპოვა პატარა დათომ, ერთიანი კავშირით მოქმედებდნენ მთელი უწმინდური ძალები.

„რატომ აყოვნებენ? რატომ?“ — შეშფოთებული კითხვით ხვდებოდა ღაზნელი ყოველ დილას. ხომ გადაწყვეტილია აფხაზეთს წაიყვანონ მისი შვილიშვილი, ეს გვარეულობის იმედი? მაგრამ დილა ყრუ იყო, გულგრილად მიათრევდა ნისლის ნოტიო მოსასხამს და აფარებდა შეცივებულ მთებსა და დაღვრემილ ფერდობებს.

ღაზნელი ოფლიან შუბლზე მიიდებდა აბრეშუმის ხელსახოცს და შეშფოთებული ხურავდა ვიწრო სარკმელს, რომლის ჩუქურთმაზეც ნისლის ნაცრისფერი კულულები ეკიდა. ქვიტკირის ცარიელ დერეფნებში უსაქმოდ სიარულის დროს

თავადი მუდამ განცვიფრებული იყო: როგორ შეეძლო თვით მას ასე უდარდელად ყოფილიყო თბილისში, ურჩხულის აკ ხახაში?

დაშვებული ჭაღარა ულვაშების გრეხით ცდილობდა დაეცხრო კანკალი, და ხან ნერვულად იძრობდა, ხანაც იცვამდა თითებზე ავბედითად მოციალე ლალის ბეჭდებს, ხან მკაცრად შედგებოდა ხორეშანის წინ და ხმიანად განაგრძობდა თავის ფიქრებს:

— განა აქ, ქორის ფრთის ქვეშ, ვისაც საფარ-ფაშას ეძახიან, უფრო უშიშრობაა? თითოეული დღე საშიშია, ვით მაყალის გაღუებული ნაკვერჩხალი. სამყარო ინგრევა, ღმერთები უმწეონი არიან, სულელები კი — ნეტარნი, რადგან ვერაფერს ვერ ამჩნევენ!

— რა თქმა უნდა, იმ სამეფოში, სადაც მწვანე ეშმაკი მეფობს, სადაც ბობღნების ჰანგებში კუდიანებთან ხელგადახვეული როკავენ ვაცები, უფრო მხიარულებაა, — ოხრავდა ხორეშანი და მაინც ნაზად მოითხოვდა: — მოვიცადოთ, სანამ კონსტანტინოპოლიდან დათო დაბრუნდებოდეს, ჰაერი ესოდენ გაჟღენთილია შფოთით და, ვაგლახ, არავინ იცის კიდევ როდის მოახერხებს შვილის ნახვას. დაე დატკბეს ცქერით და დარწმუნდეს, რომ პატარა დათო ისეთივე უწესური იზრდება, როგორიც დიდი დათო გაიზარდა.

იქმუხნებოდა, ქშინავდა ღაზნელი, მაგრამ იძულებული იყო დამორჩილებოდა.

უეცრად, მებაღის გასაკვირვებლად, თავადმა დილის სეირნობა საჯინიბოს ეზოში გადაიტანა. კედლების გაყოლებით სეირნობისას ყურს უგდებდა ხოლმე ხმაურს, საჯინიბოდან რომ მოისმოდა: განა არ იცოდა, თუ რას იწვევს ცხენთა ყოფაქცევის ცვლილება! განა ულაყები თავიანთ პატრონებს არ გვანან? ჩვეულებრივ დროს ისინი მადიანად ახრამუნებენ ქერს, დაურვებისას ფრთქვენენ, სიამოვნებით ბანაობენ მდინარეში, ალმაცერად უცქერენ მოქიშპეებს და ამაყად სწევენ თავს ჭაკებთან შეხვედრისას. მაგრამ აი უფროსი მეჯინიბე მზრუნველობით ამოწმებს ნალებს. ქარიშხალმა დაქროლა. ცხენები უეცრად ყურებს დაცქვეტენ, ნესტოებს დაბერავენ

სუნთქვის დროს, მოუთმენლად იწყებენ ტორების ცემასა და ისე აჭიხვინდებიან, რომ მთები გაიხმიანებენ, ცხენები ფაფარს აიყრიან და საჯინიბოდან გავარდნას დააპირებენ, თითქოს აბეზარამ უკბინათო. მაშინ დაბეჯითებით შეიძლება განსაზღვრო: პატრონმა კედელზე ჩამოხსნა ფარი და ხმალს ირტყამს წელზე.

და განა თავადი მართალი არ იყო?

ჯერ მთლად შეშინებული მოიჭრა ვიღაც შიკრიკი, შემდეგ შეშფოთებულმა მოურავმა სადღაც გაგზავნა თავისი სწრაფლმსრბოლნი და დაიწყო!.. ფარებიც კი ჩამოიღეს კედლებიდან. მაგრამ განთიადისას ვით მთებიდან დაძრული ქარი მოვარდა ბეჟანი და მასთან მონასტრის ორი რაზმელი. მეჯინიბემ წარბი შეიკრა და ბუზღუნით იწყო გაქაფული ცხენების უნაგირების მოხდა: „რა ბედაურები არიან! მაგრამ ღვთისნიერმა კაცმა ასე ულმერთოდ არ უნდა აჭენოს. ეტყობა, დედის ალერსი მოსწყურდა, მახლობლების ნახვა მოენატრა... ე-ეჰ!..“

მაგრამ არა, დედის ალერსის გამო, მახლობლებთან შეხვედრის გამო როდი გამოუვლია ეს საშიში გზა მამაც ბერს ბეჟანს, გიორგი სააკაძის ვაჟს.

მისალმებანი ჯერ კიდევ არ დამცხრალიყვნენ, მეინახეთ ჯერ კიდევ არ დაეცალათ თასები, რომ ბეჟანმა მოუთმენლად სთხოვა მამას, ყურადღება მიბოძეო. თურმე ბაღში გასეირნება ხელს როდი უწყობს სერიოზულ საუბარს — ეკალი ხელის შემშლელია, აგრეთვე სანადირო დარბაზი — ფრინველთა ფიტულები უშლიან ხელს: ხმამაღლა გადაიხარხარა სააკაძემ და ქვის ‘კიბით გაემართა თავისი კოშკისაკენ. ბეჟანმა, შეეიდა თუ არა, საჩქაროდ გადარაზა კარი და ალელვებულმა იწყო ბოლთისცემა ნიშიდან ტახტამდე.

„სულ ჩემსავით“, — ღიმილით გაიფიქრა სააკაძემ და განზრახ არ არღვევდა სიჩუმეს.

— მამავ, — ვეღარ მოითმინა ბეჟანმა და დაიწყო, — ნუთუ ჩემი შეშფოთებით ვერ ხვდები, რაზე მინდა გელაპარაკო?

— დაიხსომე, ჩემო ბიჭო: კიდეეაც რომ ვიცოდე, მაინც არ

გავიღებდი ხმას. სპარსული სიბრძნე გვასწავლის: „ვინც პირველი დაიწყებს ლაპარაკს, მან უკვე წააგო“.

— მაგრამ, მამავ, განა ქართული სიბრძნე უფრო მაღალაზროვანი არ არის: „ნეტარ არს, ვინც წყურვილს მოუკლავს მოყვასს?“

— ქართული? არა, ეგ საერთო ეკლესიური „სიბრძნეა“, ხოლო შენ იცი, რომ ბილანობა ჩემთვის მუდამ უცხო იყო. მაგრამ თუ „მოყვასს“ — ბეჟანს — ქართული სიბრძნე სწყურია, შემიძლია მოვუკლა წყურვილი: „ნუ ენდობი ცხვრის ტყავს, იმ ტყავში ხშირად მგელია გახვეული“. თუმცა, ეს სიტყვიერი ფარიკაობა სჯობს უფრო დამშვიდებული დროისათვის გადავდოთ. მაშასადამე, ქვათახევი საფრთხეშია?

— მიმიხვდი, მამავ! ველოდები ისა-ხანის თავდასხმას, სატანის ცეცხლსაც დაუფერფლავს ურწმუნო! დახმარებისათვის მოვედი შენთან.

— დახმარებისათვის? განა ახლა მე ეკლესიაზე უფრო ძლიერი ვარ? რატომ კათალიკოსისაკენ არ მიაბრუნე ცხენი?

— დიდი მოურავი ახლა ყველაზე ძლიერია, მეტეხზეც კი, გაუმაძღარ ხანებზეც კი ძლიერია...

— წმიდა მამას შეუთანხმდით? ეკლესია არ უნდა ჩაერიოს?

— მიმიხვდი, მამავ! იქნებ ხანი საბაბს ეძებს, რომ თავს დაესხას მონასტრებს და გაძარცვოს ტაძრები. გამძვინვარებულ ისა-ხანს არ უნდა მივცეთ ძარცვის საბაბი.

— გამოდის, რომ გადაგიწყვეტიათ ისა-ხანის რისხვა ჩემზე გაანელოთ?

— ახლოსაც ვერ გაგვეკარება სატანა, როცა გაიგებს, რომ წმიდა სავანეს უძლეველის ხმალი იფარავს! — ბეჟანმა სწრაფად გააღო კარი, ხომ არავინ გვისმენსო, და სარკველი მიხურა. — უფალმა ღმერთმა გიბოძოს...

— მელაპარაკე, როგორც გიორგი სააკაძეს, — მკვახედ გაწყვეტინა მოურავმა.

— გაიხსენე, მამავ, შაჰ აბასი ხომ იმიტომ ამხედრდა იღუმენ ტრიფილიოსის წინააღმდეგ, რომ მან დახმარება გაგიწია მარტყოფის ბრძოლაში. ისა-ხანი ასრულებს მრისხანე

შაჰის ბრძანებას და ისწრაფვის, — ნუმც აღსრულებულა ბოროტმოქმედება! — მოკლას ქვათახევის წინამძღვარი და გაანადგუროს მონასტერი.

— ჩემს გამო კი არ დაზარალებულა წინამძღვარი, არამედ ეკლესიის დაცვის გამო. ეს სიმართლეა, და, მგონი, ეკლესია სიმართლის მომხრეა? — სააკაძემ თითი მაღლა ასწია. — ღმერთი დააფასებს ტრიფილიოსის საქმეებს! რას მიცქერი აგრე გაკვირვებით? განა შენ არ მარწმუნებდი ოდესღაც, ჯვარი მახვილზე ძლიერიაო? მერე ვინ გიშლით დაარჭოთ ჯვრები მონასტრის გალავანზე? ასეთი მრისხანე იარაღი უთუოდ შეაშინებს მტრებს.

— მეგონა... — ბეჟანმა ხელსახოცი დაჭმუჭნა და უბეში ჩაიდო, — მამავ, მე მეგონა, რომ შენთვის ძვირფასია ტრიფილიოსის სიცოცხლე...

— და არც შემცდარხარ. შენი სიცოცხლე არა ნაკლებ ძვირფასია. ამიტომ გადაეცი წინამძღვარს, რომ შენ და მას გთავაზობთ სტუმართმოყვარეობას. ვფიცავ, არ მოვაკლო ყურადღება და დავიცვა ჩემი ხმლით. უცნაურია, რატომ არ გაეხარდა ჩემს შვილს ბეჟანს?.. მე გეტყვი რატომ! ტრიფილიოსი არასოდეს არ შეელევა ძალაუფლებას, არასოდეს არ დატოვებს მონასტერს, რომელიც მდიდარია ჯოგით, ვენახებითა და ბაღებით, — რადგან მონასტერი იგივე თავადური სამფლობელოა, მხოლოდ შენიღბულია შავი ანაფორით. ხოლო ნიგვზის ზეთის სახდელზე, სადაც ოფლს ღვრიან მონასტრის გლეხები, სარგებლიანი ვარდის ნელსაცხებლის სამზადზე, ფრთაგაშლილი დურაჯის ნაცვლად, როგორც თავადთა სამფლობელოებში, ჯვარია მაგრად დასობილი. ახლა მიპასუხე, რატომ უნდა დაიცვას შავი თავადობა, რომელსაც ქვათახევის ღვთისმშობლის სავანე ეწოდება, გიორგი სააკაძემ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ებრძვის გაუმაძღარ თავადებს, ხალხს რომ აუტანელი შრომითა და გადასახადებით სტანჯავენ?

— მამავ... ახლა ვხედავ... — ბეჟანი სხარტად მიბრუნდა და ხმას დაუწია, — მართალი არიან ეკლესიის მწყემსნი, რო-

ცა ამბობენ: „გიორგი სააკაძეს საშიში ფიქრები აქვსო“. ნურავის ნუ გაუმხელ მათ.

— რა თქმა უნდა, საშიში! განა ამიტომ არ სთმობენ ქართლს ეკლესიის მწყემსნი „ურწმუნოთა“ საჯიჯგნელად?. თუ საჭიროდ მიიჩნიო, გადაეცი ტრიფილიოსს ჩემი მოწვევა.

— გადავცემ. მაგრამ მხოლოდ ამას. ამინ!

— ხომ ხედავ, ჩემო ბიჭო, მე დაგიმტკიცე სპარსული სიბრძნის უპირატესობა: არ უნდა დაგეწყო ჩემთან ლაპარაკი შეუძლებელზე. მაგრამ უნებურად მაინც გაგიწევთ სამსახურს. ხვალ შევუდგები საიდუმლო საქმეს, და თუ მომიხერხდა, — მე კი მგონია მომიხერხდება, — სპარსელები შორს იქნებიან გარეკილნი ქვათახევის მონასტრიდან.

ბეჟანი წამოხტა და მადლიერებით გადაეხვია მამას.

— ჩემო დიდო მამავ, როგორ შეგაქო ნდობის გამო? სამას სამოცდახუთმა წმიდა გიორგიმ მოგანიჭოს გამარჯვება!

— გენდე, რადგან შენმა განზრახვამ — დაგემალა საშიში საუბარი — ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ რა სამოსშიც უნდა გაეხვიო, მუდამ გიორგი სააკაძის ვაჟი იქნები.

ვერ გასჭრა ვერც რუსუდანის ხვეწნამ, ვერც ავთანდილის თხოვნამ — დიდი სიხარულით ატაცებული ბეჟანი ერთ ზედმეტ საათსაც არ დარჩენილა; მიჰქროდა უგზო-უკვლოდ. რას მიქვია სიფრთხილე! ტრიფილიოსი სამუდამოდ მიატოვებს რუსეთში გაქცევის ფიქრს. იგი, ბეჟანი, უამბობს, რა ამაყად იჯდა ახალგაზრდა ჯამბაზზე სწორუპოვარი მოურავი, ბენარიდან რომ გამოდიოდა, რათა სპარსელები შორს გაერეკა ქვათახევის მონასტრიდან. უამბობს, რა მხიარულად მისდევდნენ „ვეფხვები“, რა მაღლა ფრიალებდა დროშა, რომელზეც ვეფხვი აქნევდა შუბს. უამბობს... არა, მეტს არაფერს არ უამბობს.

ბენარის ტყეში ალაწუნდა ტოტები ლიშხნარში, ცხენთა ფეხქვეშ აჭყაპუნდა ნაკადულის წყალი, და სწრაფად მიიმალნენ მკაცრი მხედრები. ერთბაშად მისწყდა ნოსტური ბუკის შეშფოთებული ხმა.

და კვლავ შეუკრთა გული თავად ღაზნელს: „ო, დროებავ!“ დამწუხრებულმა ხორეშანისაკენ ისწრაფა:

— შენ მაინც მითხარ, კვლავ სად გასწია დაუცხრომელმა მოურავმა?

— სად? რომ გაუსწროს ქარიშხალსა და მეხთატეხას, გაუსწროს დროსა და ბედს. და ნუ ელიან შებრალებას გაუფრთხილებელნი, რომელთაც გაბედეს დაეჩრდილათ მისთვის ქართლის მზე.

— მაგრამ ვისთვის ომობს, ვისთვის? — უკვირდა ქართლის თავადობას. — ნუთუ მეფე თეიმურაზს შეუთანხმდა?

— რაღაც არ ეტყობა.

— იქნებ მეფისწულ ხოსროსათვის?

— არ ეტყობა.

ასე იცის ხოლმე პაპანება ზაფხულში: სადმე ცეცხლი მოეკიდება ბალახს, და გველივით წასრიალდებიან ცეცხლის ენები, ვერაგულად მოედებიან ბუჩქებს, შემდეგ — ტყეებს, ფრინველთა ბუდეებს, მხეცთა ბუნაგებს. და თუმცა ჯერ შორს არიან ეს შეუფერხებელი გველები და ცეცხლმფრქვევ ღრუბლებად არ გადაქცეულან, რომლებიც ფერფლად აქცევენ ბორცვზე ამოსულ თეთრადგაბადრულ ყვავილს და უზარმაზარ თელას, ხვიარა კრიკინა რომ შემოხვევია, მაგრამ მკაფიო ციალით, უსაზღვრო ცის სივრცეს რომ სერავს, კვამლის ოდნავი სუნით, ძლიერ ქარს რომ მოაქვს, უკვე აშკარად იგრძნობა საფრთხის მოახლოება.

და სწორედ ამის შეგრძნება მოედო თავადებს. უბედურების უხილავი ცეცხლი უშუალოდ მიუახლოვდა ციხე-დარბაზებს და ეს არის ნაცარ-ტუტად აქცევს საფუძველთა საფუძველსო. და ამ ცეცხლის შეტევით ირყეოდნენ ციხეთა სათოფურებიანი კედლები, ინგრეოდნენ ქალაქები, იღუპებოდა სამეფო.

„სად არის მესხეთი? სად არის გორი? სად არის ძლიერი ლორეს სამფლობელო!“ — გაიძახოდნენ ყოვლისშთამნთქმელი ალით დაბრმავებული მემამულენი.

თავადებს ყველგან ეჩვენებოდათ მტერი. ცოცხალ ძხეცებს აშინებდა მათი გამოსახულება გაშლილ დროშებზე. და კვლავ უკრავდა ბუკი. გამაყრუებლად ჭიხვინებდნენ ცხენები და მათი ნალით ნაკვესი ნაპერწკალი ცაში ვარსკვლავთა უკაშკაშესი იყო. მტვრის ბუღი იყო გამდგარი გზებსა და ბილიკებზე, ჭრაჭუნებდნენ ხიდები, ჩაბნელებულ ხევებში გუგუნებდნენ მთებიდან დაშვებული ზვავები.

შუბების ქეჩოს ისხამდნენ ხან ერთი, ხან მეორე ციხის გალავნები. იხდიდნენ ნაბდებს, შავ ტალღებად რომ ეოინებოდნენ ძირს. დარბაზებში კედლების გაყოლებით ამწკრივებდნენ საკარძლებს, რომელთა იისფერი მოასწავებდა იმედს, წითელი კი — ომს. და ზვავებივით ქუხდნენ სიტყვები, რომლებიც გამოხატავდნენ გულისწყრომას, უმწეობას, აღშფოთებას, ვერაგობას, სიძულვილს. არ იყო მხოლოდ სიყვარული.

მზის ეტლი მიგორავდა მთების გადაღმა, ამოდიოდა მთვარის ღიავერცხლისფერი ფარი, აი ისიც ქრებოდა განთიადის ვარდისფერ ლივლივში, და კვლავ რკალივით მოღუნულ გზაზე გამოდიოდა ეტლი, მიქროდა ციხე-დარბაზის თავზე, მის ბაღებსა და კოშკებს აფრქვევდა ცეცხლოვან ისრებს.

და კვლავ იკრიბებოდნენ თავადები, დავობდნენ იმაზე, თუ ვის მიმხრობოდნენ უფრო სარგებლიანად: სააკაძეს თუ სვიმონ მეორეს, არწმუნებდნენ ერთმანეთს და კვლავ იშლებოდნენ ისე, რომ არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ. იძულებული ტყვეობა საკუთარ ციხე-დარბაზში იწვევს არა მარტო მოწყენილობას, არამედ სასოწარკვეთილებასაც. მახვილი ზედმეტ ტვირთად იქცევა და მამაცი რაინდები ისე დაათრევენ მას, როგორც სახედრები ან აქლემები.

— სირცხვილია!

— ვერ მოვითმენთ!

— იარაღი ავისხათ!

მაგრამ... ვის დაუტყვევებია ისინი? მოურავს? მაშინ რატომ ჯარს არ ითხოვს „ვეფხვი“, როგორც შადიმანი?

შადიმანს? მერე „გველი“ რატომ ითხოვს ჯარს და თვითონ რატომ არ მიყავს?

იკმუხნება მოხუცი ლიპარიტი: „ვის მხარეზე უფრო სასარგებლოა ყოფნა?“

„დაე მეზობელმა დაიწყოს“, — ფიქრობს ზოგი.

„ოღონდ არ დავიგვიანო!“ — შიშობენ სხვები.

, გულგრილად ცვივა სილა ზემო სასილედან ქვემოში. დრო ულმობელია, და ყველას ეშინია ძირს არ აღმოჩნდეს.

პირველმა აფრინა შიკრიკი მოურავთან ქველი წერეთელმა. წერილში იფიცავდა, დიდი ხანია სამუდამოდ დავრწმუნდი: დიდი მოურავის მახვილზე უფრო ძლიერი იარაღი არ არსებობს! ოღონდ მოურავმა ინებოს და თავადთა ციხე-დარბაზები ისე გაიღებიან, როგორც ტაძრები ბრწყინვალე აღდგომის დღეს. და თუ მოურავი მოახერხებს თუნდაც ჯარით მდიდარი ორი თავადის მიმხრობას, მაშინ არა მარტო ის, წერეთელი, არამედ ბევრი თავადი არ დააყოვნებს დადგეს იმ „ვეფხვის“ დროშის ქვეშ, რომელიც შუბს იქნევსო.

შიკრიკი ბენარს აკვირდებოდა. გრაგნილი სააკაძის წინ იდო.

„მხდალი პეპლები“, — ფიქრობდა სააკაძე. მაგრამ ქართლისათვის იგი უარს ვერ იტყვის ჯარის შოვნის თვით უმნიშვნელო შესაძლებლობაზე. მაგრამ კვლავ რომ მოატყუონ... მერე რა, არაფერი არ შეიცვლება. საჭიროება მიკარნახებს; თვალებზე არ დავიფარო ვარდისფერი მარმაში.

და სააკაძემ ზიზღი მიჩქმალა და დაიწყო მოლაპარაკება თავადებთან. იგი ელოდებოდა, რომ ბევრ საგვარეულო დროშაზე ადრე გამოეხმაურებოდა თავადი ლიპარიტი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მოიკრა გავლენიანი თავადის ქაიხოსრო ბარათაშვილის, შადიმანის ნათესავის მოციქული. მისი ვრცელი მამული, რომელსაც რჩეული რაზმები იცავდნენ, ქსნის ერისთავის შურსაც კი იწვევდა. ბირთვისის ციხის მიუდგომლობას იყენებდა მარჯვე ბარათა და გულმოდგინედ აგროვებდა ქვეით და ცხენოსან ჯარს. რაკი დარწმუნდა, უვნებელი ვარო, თავადი უფრო ქედმაღალი და ამაყი გახდა, რითაც ყველაზე მზვაობარსა და ყოყლოჩინასაც აოცებდა. იგი მეტეხის იშვიათი სტუმარი იყო, ყურადღების ღირსად არ მიაჩნდა თავადთა საბჭო. დიდი მოურავის ძლიერების დროს

ბირთვისელი არ ცნობდა უძლეველის ძალაუფლებას, უფრო გვიან — მეფე თეიმურაზის, ხოლო უფრო ნაკლებ — მეფე სვიმონ მეორის ხელისუფლებას. და ანაზდად, „ყოვლად ძლიერმა ბარათამ“, როგორც თავადები ეძახდნენ, განაცხადა სურვილი: „ჩემს ცხენს მოურავის ცხენის გვერდით დავაყენებ და სპარსელებს მეორე მოსვლამდე ვდევნიო“.

ქაიხოსრო ბარათაშვილის მოქმედების ამბავი მოედო მთელ ქართლს, ციხე-დარბაზიდან ციხე-დარბაზამდე.

შეურვებულმა ლიპარიტმა არ დააყოვნა მიებაძა ბარათას მაგალითისათვის და პირადად ეწვია ბენარს. სავარძელში მოსვენებით მჯდომი ლიპარიტი მოურავს ურჩევდა მიემხრო ფალავანდიშვილი და ფირან ამილახვარი, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მეტეხში დაბრუნდა შადიმანიც და ანდუყაფარიც, მაჩვენით ჩაიკეტა თავის ციხე-დარბაზში და ყურსაც არ ათხოვებდა თავისი ძმის დაჟინებულ მიწვევას.

— ო-ო-ო! ლიპარიტი საიდუმლო მოლაპარაკებისათვის წაბრძანდა სააკაძესთან!

— დროა! დროა!

— ვისაც არა სურს ჟამთა ვითარების მტვრად იქცეს, მალე ამხედრდეს!

— მალე ბენარისაკენ!

— მალე!

შეშფოთებით გამსჭვალულნი, მოურავისაკენ გაემართნენ ქაჩიბაძე და კიდევ ზოგიერთი ნაკლებგავლენიანი თავადი, რომელთაც ცხენოსანი რაზმელები ჰყავდათ და საკვებიც ჰქონდათ.

სააკაძე სიხარულს არ მისცემია, მაგრამ მაინც იგრძნო სიმხნევე, წერილი მისწერა მირვან მუხრანბატონს, როსტომი და პანუში მოციქულებად გაუგზავნა ფირან ამილახვარს, დაუთბეგი და მათარსი — ფალავანდიშვილს, ხოლო თვითონ შეწუხებული, რომ დათო კიდევ არ დაბრუნებულიყო კონსტანტინოპოლიდან, ბარათასთან გაემგზავრა და თან წაიტანა ავთანდილი, დიმიტრი და ერასტი.

სააკაძე ჯერ უამალოდ წასვლას აპირებდა, მაგრამ არჩილ— თვალმარჯვე დაჟინებით ამბობდა: „მეგობრებთან როდი მივდივართო“ და სააკაძეს ბადრაგა აახლა.

დიდი პატივით მიიღო ბარათამ გიორგი სააკაძე თავის მთავარ ქალაქ ტბისში, სადაც მუდამ იმყოფებოდა. ორმოცმა მეისრემ გამართა მშვილდი და ისრებით განგმირა დოლბანდით დაგვირგვინებული ტიკი, სამოცდაათმა ცხენოსანმა ერთმანეთს ესროლა შუბი და ჰაერში დაიჭირა. ოცდაათმა მედოლემ ააგუგუნა დაფდაფი. ლამაზმანმა, მთრთოლვარემ და მოქნილმა, ფრთასავით აიქნია მანდილი და ჯამბაზის ფეხქვეშ დაფინა საფირონის ვარსკვლავების მსგავსი ყვავილები. და რაზმეულების უფროსებმა ერთხმად შესძახეს: ვაშა!

მფლობელმა მაღალფარდოვანი სიტყვებით გამოთქვა მწუხარება, რომ სასურველი სტუმარი მხოლოდ ერთი დღით მობრძანდა, მაგრამ დაუთმო მოურავის თხოვნას და ერთბაშად დაიწყო შემდგომი მოქმედების განხილვა.

ჩამოვარდა სიჩუმე. მსახურებმა ნაბდის ჩუსტები ჩაიცვეს.

ქვიტკირის დაბალ თაღებში საღამომდე გაისმოდა ორი ჩუმი ხმა. შემდეგ აწრიპინდნენ კალმები, და უკვე ბინდში მჭევრმეტყველურად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

გადაწყვიტეს — ამირეჯიბისა და ფალავანდიშვილის ხელსაყრელი პასუხის მიღების შემდეგ შეიყარნენ მუხრანში და განიხილონ ომის გეგმა, რათა დაუყოვნებლივ შეუტიონ ისახანსა და ხოსრო მირზას და გადამწყვეტი შეტაკებით ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლონ ქართლი სპარსთა ტყვეობისაგან.

—

ირმის ნახტომი გაწოლილიყო შავ ხავერდზე და იდუმალი მგზავრობისათვის გიწვევდა. საამო სუნი მოდიოდა ტყიდან. ჩამუქებული მთები მკაფიოდ ისახებოდნენ მოლურჯო ცაზე და სადღაც ქვევით უჩვეულოდ ჩქრიალებდა მდინარე. მოშორებით გააფთრებით ყეფდნენ სადარაჯო ძაღლები და ერთმანეთს გასძახოდნენ რაზმელები.

სააკაძემ ბრძანა, ცხენები შეკაზმეთო. ბარათა, რომელსაც თითებზე მრავალი ბეჭედი უციალებდა, და მისი მეუღლე, ალმასებს რომ აბრჭყვიალებდა მანიაკზე სამკეცად დადებულ

ნიკაპქვეშ, ტყუილად არწმუნებდნენ, განთიადამდე მოიცადეთო. არა, აზნაურთა ცხენებს შემთხვევისა არ ეშინიათ, მით უმეტეს უცნობი გზებისა, რადგან ქართლის ყველა გზას ერთი გზაჯვარედინისაკენ მივყავართ.

ეპვით გამსჭვალული არჩილი წინ მიაჭენებდა ხმალამოღებული; მას არ შორდებოდა ნოსტელი რაზმელი, რომელსაც ჩირაღდანი ეჭირა. ავთანდილმა და დიმიტრიმ თავიანთი ცხენები ჯამბაზს მიუახლოვეს. უკან მიჰყვებოდათ ერასტი და რგოლურ ჯავშანში ჩამჯდარი რაზმელები, შუბები რომ მოემართათ.

„რა უჩვეულო მგზავრობაა, — ფიქრობდა სააკაძე, — მაგრამ ესენი მართალი არიან: სიფრთხილე თავდაცვის ღირსეული იარაღია თადარიგიანი მეომრის კაპარჭში. უცნაურია, რა საჭიროა ყველაფერში ასეთი იდუმალება? დიახ, ღამე მუდამ ხელს უწყობს ბოროტმზრახველებს, ამიტომაც არ დავრჩი ღამის გასათევად წარჩინებულ ბარათასთან, შადიმანის მეგვარესთან. აი შადიმანთან უფრო დავრჩებოდი, ხოლო მეტი ხალისით გავითევდი ღამეს მოლაშქრესთან, რადგან ხალხი ქვლავ სცემს პატივს ძველ ჩვეულებას: „ოჯახის სტუმარი ხელშეუხებელია“. განა ყველა თავადს ახსოვს ეს?.. შადიმანი! დიახ, აშკარა მტერი ზოგჯერ არაგულწრფელ მეგობარზე უფრო სასურველია. ნუთუ შეიძლება მოხდეს სასწაული და თავადები თავიანთი სიტყვის ერთგული აღმოჩნდნენ? და თუ არა, მე წაგებული არ ვიქნები, რადგან ჩემს კაპარჭში კიდეკ არის შეტევის ერთი ნაცადი იარაღი, თავადებისადმი უნდობლობით რომ არის ალესილი! ვიმოქმედებ ისე, თითქოს ამ ქვეყნად ისინი არ არსებობდნენ. მაგრამ ჩემს განზრახვას არავის არ გავუმხელ, რადგან იმის გაგრილება, რაც საჭიროა გაცხელდეს, საქმის დაზიანებას ნიშნავს...“

„ვეფხვები“ თითქმის ერთსა და იმავე დროს შეიკრიბნენ ბენარში. ისინი არ ენდობოდნენ თავადთა ციხე-დარბაზებს და დღისით მგზავრობდნენ, რადგან ამჯობინებდნენ შფოთიანი დღეების მოულოდნელობას, ვიდრე მალულად მოთვალთვალე ღამის ხრიკებს. მათი მგზავრობა ამაო არ ყოფილა: თავადებმა ლიპარიტმა და ფირან ამილახვარმა დაიფიცეს, მუხრანში

გავჩნდებით, როგორც კი იქ ქაიხოსრო ბარათა და ქველი წერეთელი მოვლენო.

თითქოს, აი სადაცაა შავი ღრუბლები გაიფანტებიან და განთავისუფლებული ქართლი წყაროზე ჭრილობებს მოიბანს და გამარჯვებული გაეშურება მომავლისაკენო!.. თითქოს...

ყველაზე ძლიერ და დანარჩენებზე ადრე შეყოყმანდა ფირანი: „მშვიდად ვცხოვრობდი, და კვლავაც, თუ საჭირო იქნა, ჩემი ძმა ანდუყაფარი დამიცავს. შადიმანიც არ უნდა დავივიწყო — ის ხომ ჩემი ცოლიძმაა, ისიც დამიცავს... განა საშიში არ არის კვლავ ფეხქვეშ გავეგო სააკაძეს? მაგრამ თუ ისეთი თავადები, როგორიც არიან მუხრანბატონი, ქაიხოსრო ბარათა, ლიპარიტი, ქსნის ერისთავები... და ისეთი მშიშარა თავადი, როგორიც არის ქველი წერეთელი, მოურავისაკენ ისწრაფვის, მაშინ... ქველი! ქველი! საკვირველია, რატომ ქველმა გაიწია პირველმა აზნაურებისაკენ?“

ამ აზრმა ისე ააღელვა ფირანი, რომ განთიადს არ დაელოდა და მცველთა თანხლებით გაეშურა საციციანოში.

აღმოჩნდა, რომ არასოდეს და არსად ასე დროზე არ მისულა ფირანი. მას შემდეგ, რაც ქველი წერეთელი ზვარაკივით მიეხეტა სამსხვერპლო ცეცხლთან, მუდამ იტანჯებოდა: „ერთი მხრივ, გონივრულია ახლა მოურავისათვის სამსახურის გაწევა. მხოლოდ ბრმა ვერ ხედავს, რომ მეფე სვიმონი ლურსმანზე ზის. დიდხანს ასე ვერ იჯდება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გიორგი სააკაძემ მესხეთი დაიპყრო... ან ლორე სად არის? მართალია ისა-ხანმა უკან დაიბრუნა გორის ციხე, მაგრამ თბილისიდან სად გაბედავს წასვლას თუნდაც ყოვლისშემძლე შადიმანი? და მაინც უფრო გონივრული არ იქნება ცოტა კიდევ მომეცადა? ერთიც ვნახოთ, შაჰმა გამოგზავნა მაშველი ჯარი, ორმოცდაათი ათასამდე ახალი ავაზაკი? ასეთი რამ რომ მოხდეს, მადლიერი შაჰი მთავარი „ვეფხვის“ ყოველ ახალმოვლენილ მომხრეს შესჩრის ალმასს, — კიდევ კარგი, თუ მხოლოდ შუბლში“.

ფირანს ჯერ ფეხიც არ გადაედგა მრავალკოშკიანი ციხედარბაზის ზღურბლზე, რომ ქველი წერეთელმა დაუყოვნებლივ გაუზიარა თავისი ეჭვები. ჯერ განთიადსაც არ მოეღწია,

რომ ქველი წერეთელმა სტუმარი გააცილა და რაზმელთა ასეულის თანხლებით თბილისს მიაშურა.

აქ კი სრულიად მოულოდნელად ქაიხოსრო ბარათამ, რომელიც უკვე ემზადებოდა მუხრანბატონთან გასამგზავრებლად, შადიმანის მეგობრული რჩევა მიიღო: „სააკაძეს ნუ ენდობი", ხოსრო მირზას გამაფრთხილებელი წერილია: „ხმალი არ იშიშვლო სპარსთა ჯარების წინააღმდეგ".

რამდენიმე დღეს ზედიზედ მეტეხიდან ტბისს და ტბისიდან მეტეხს დაქროდნენ შიკრიკები, რომელთაც გრაგნილები დაჰქონდათ.

პაპუნას, რომელიც კვლავ სტუმრად იყო თავის ძმასთან, არჩილთან, სწორედ ახლა დასჩემდა უძილობა. თუმცა იგი არჩილ-თვალმარჯვეს პირით დაპირდა გიორგის, სულ ცოტა ერთ თვეს ვიავადმყოფებო, მაგრამ მაინც მოისურვა მაუდი ეყიდნა ახალი ჩოხისათვის. მართალია, მაიდანზე გასეირნების შემდეგ ისეთი სიცხე მისცა, რომ ანდუყაფარის შეშინებულმა ახალგაზრდა მეჯინიბემ, რომელიც ხშირად ნახულობდა მხიარულ ავადმყოფს, დაუყოვნებლივ მოიყვანა დალაქი. მართლაც, წურბელებმა უშველეს პაპუნას და ერთბაშად ჩაეძინა.

მხოლოდ აღელვებულ ვარდან ბრძენს არ მოუხუჭავს დილამდე თვალი. და აი, ის იყო ღამემ ცაში მოხსნა ვარსკვლავთა სადარაჯო, რომ საბიჯგზე დაყრდნობილი, წელში მოხრილი მწირი კოჭლობით მივიდა დიღმის კართან.

თავდაპირველად მარაბდელ ყარაულს გაგონებაც კი არ სურდა: საჭიროა კარების ზედამხედველ ონბაშს სთხოვო ნებართვაო.

მწირი ვითომ ატირდა: როდის იყო, რომ ქართველი ღვთისმლოცველი ასე დამცირებით სთხოვდა მაჰმადიანს, შიომღვიმის მონასტერში გამიშვიო? მოხუცმა ბერის დასაკერვლებული ანაფორა გაიხადა და დაუწყო ხვეწნა აზნაურს — გამჩხრიკე და, თუ გარდა ორი შაურისა, რაც

მლოცველებს ანჩისხატის ტაძარში გამოვთხოვე, „ფუნდაც ერთი კვნიწი მარილი მიპოვნო, აქვე ჩამომახრჩერ.

ასეთი ლიქნით მოსყიდულმა მარაბდელმა, რომელიც მსახური იყო და მყის აზნაური გახადეს, ალმაცერად ჩაათვალიერა მწირის დაფლეთილი პერანგი და შარვალი, ზრდილობისათვის შეიგინა, კარი გააღო და კოპლი ქალაქს გარეთ გააგდო.

ალბათ ტყის ჰაერი უწყობს ხელს დაავადებათა განკურნებას, რადგან მიბობღდა თუ არა ვითომ მწირი პირველ ხეებამდე, მყისვე ფეხი იცვალა — წელში გასწორდა, ვაჟკაცურად გადაიგრიხა ულვაშები და უფრო მოუჭირა ხელი საბიჯგს, რომელშიც შენახული ჰქონდა ვარდანის წერილი მოურავისადმი...

უკან დარჩა შუა და ზემო ქართლი. წინ იშლებოდა მესხეთი. მტკვრის ხეობა ვიწროვდებოდა, ორბები დასტრიალებდნენ თავს ნისლიან მწვერვალებს, და გზაში ისმოდა თურქული ენა.

ბენარის ციხე-დარბაზის კარს „ღვთისმლოცველი“ ფიცხ ცხენზე მჯდომი და თითქმის სადღესასწაულო ჩოხით გამოწყობილი მიადგა. ეტყობოდა, მაინც მოეხერხებინა და სოფელ ლიხში მოურავის მომხრეთაგან მიეღო ყველაფერი, რაც საჭიროა კარგი მოგზაურობისათვის.

დღეები ზოზინით გადიოდნენ. ცხენები ხელახლად დაჭედეს. მათ დილიდანვე ხან კაზმავდნენ, ხან უნაგირს ხდიდნენ. შუადღისას: თავადთა ყრილობის ამბავს ელოდნენ. მაგრამ მირვანის შიკრიკის ნაცვლად, შიკრიკი მოვიდა თბილისიდან.

სააკაძემ საბიჯგიდან ამოიღო ვარდანის წერილი და, წაიკითხა თუ არა, მაშინვე „ვეფხვები“ შეჰყარა... და აი, ნაცვლად იმისა, რომ სამუხრანოს გამგზავრებულიყვნენ, „ვეფხვები“ სხვადასხვა მხარეს გაეშურნენ.

მალე, ღაზნელის სამწუხაროდ, ყველა მამაკაცმა, ხუთი რაზმელის გარდა, ციხე-დარბაზი მიატოვა. იმის დათვლაც კი მობეზრდა, თუ რამდენჯერ შეცვალა გრილმა მთვარემ

მცხუნვარე მზე, მოურავი კი არც ფიქრობს გავარვარებულ გზებზე ჭენება გრილ ციხე-დარბაზში მოსვენებით შეცვალოს. დათოც არ იჩქარის კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებას. იქნებ ჰარამხანებს აამებს?..

ცანდზე დაკიდებული ქვაბი მოლურჯო კვამლში იყო გახვეული. სინათლე ძუნწად შემოდიოდა მიწურში. ცეცხლში ტკაცუნებდა ხმელი წალამი და ლაპარაკს ახშობდა. მაგრამ ფაციას არ გამოპარვია არც ერთი სიტყვა, რაც მოურავის მოულოდნელმა შიკრიკმა თქვა. ციცაბო მთას გადაღმა ჩაგორდა მზე, ღამის სიჩუმე ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილიყო, ყველა გრაკლელი, ვისაც ცხენი ჰყავდა, ფაციას გაჰყვა. ცხენოსანთა გზა გორის ციხისაკენ მიდიოდა.

არ დაგვიანებიათ არც ძეგველ, ნიაბელ, ახალუბნელ და წითელსაყდრელ მოლაშქრეებს. „ნიჩბისელთა" საერთო სახელით გაერთიანებულნი, ისინი დარაზმულად მოქმედებდნენ. და აზნაურებს თავიანთი ცხენების შეჩერებაც ვერ მოესწროთ დათქმულ ადგილას, რომ ნიჩბისელები და მათი ამორჩეული წინამძღოლები თითქოს მიწიდან ამოცვივდნენო.

ოდნავ უფრო გვიან მოვიდნენ ატენელი და ურბნელი მოლაშქრენი.

როგორც ტყის ყვავილები ნიაღვრის შემდეგ, ისე იშლებოდნენ კარვები. ისინი სულ უფრო მრავლდებოდნენ. გრგვინავდა ნოსტური ბუკი და მოლაშქრეთ იწვევდა დროშისაკენ, რომელზეც ვეფხვი შუბს აქნევდა.

ამასობაში აზნაურთა მოკლე თათბირზე სააკაძემ თქვა:

— გორის ციხე უნდა ავიღოთ! უნდა აღვადგინოთ აზნაურთა და მოლაშქრეთა სახელი! თავადებს შეეშინდათ სპარსთა გამარჯვებისა და მხდლურად მიიმალნენ თავიანთ სოროებში. ვაჩვენოთ, როგორ გვეზიზღებიან პატივმოყვარენი და, სხვების დასაშინებლად, თავდაყირა დავაყენოთ გამცემლობაში ყველაზე ნაცადი თავადის ციხე-დარბაზი!

— აგრემც იყოს! მაგრამ, გიორგი, გორის ციხეს სპარსელებმა ათასები მიუსიეს ასაღებად.

— ჩვენ კი, დაუთბეგ, გორს მფრინავი ომის კანონით ავიღებთ.

პირდაპირ გასაოცარია, როგორ გვანან იუზბაშებს გადაცმული როსტომი და დაუთბეგი, მათ სახეებსაც კი ზაფრანის ფერი დასდებიათ. ისინი დაღვრემილნი უჯავრდებოდნენ მათ უკან მიმავალ ვითომ სარბაზთა ჯგუფს. და იმათ ლაპარაკს, რომელიც ჩვეული იყო ისპაჰანელებისათვის, მთავარი კარის უფროსის, ახალგაზრდა ხანის არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია.

— ხოსრო მირზას გამოგზავნილი იუზბაში? ალაჰის მოწყალებაც ნუ მოჰკლებია მას!

— აი ფირმანიც, მირზას ნებას რომ გვამცნობს.

— თორმეტი იმამი ჰფარავდეს მათ, ვინც გურჯისტანში ასრულებს შაჰინშაჰის ნებას!

— სააკაძიანთ გიორგი, ვერაგი განდგომილი, თბილისს უვლის გარშემო და ცდილობს გასთიშოს მართლმორწმუნენი, რომლებმაც ხელთ იგდეს საქართველოს ორი ბურჯი — თბილისი და გორი. მაგრამ გრიგალის შეტევით ბარხანიევით განიბნეს შაითანის განზრახვა! ალაჰი გვიკარნახებს გავაერთიანოთ „ლომის" ძალები „ვეფხვის" დასაღუპავად. ხოსრო მირზა გვიბრძანებს, ერთი საათიც არ დავაყოვნოთ და ქვეითი და ცხენოსანი ათასეულები გავგზავნოთ თბილისს, გორში კი დავტოვოთ მაზანდერანელთა ასეული, როგორც აუცილებელი საფარი.

— წმიდა ჰუსეინი იფარავდეს მამაც მირზას!

ხანის მიწვევაზე, ჩამოხდით და ფირმანი პირადად მამედხანს გადაეცითო, იუზბაშებმა განაცხადეს: თავად ქაიხოსრო ბარათასთან ვიჩქარით, რათა გადავცეთ ბრძანება, რომ საჩქაროდ გაგზავნოს ოთხასი სარბაზი იმ ხუთასი სარბაზიდან, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ გაუგზავნეს მას.

ხანმა ზანგ მონას გამოართვა მუზარადი, დოლბანდი მიუგდო, და გაიკვირვა:

— ბისმალაჰ! ხუთასიდან თავადს უტოვებენ ასს, ხოლო დიდმნიშვნელოვან ციხეში ათასიდან აგრეთვე ასს?!

იუზბაშებმა ცივად უპასუხეს:

— მირზას ნება ხანის გაკვირვებაზე უფრო ძლიერია. მაჰმადი მირზას გადასცემს ალაჰის სიტყვებს, მირზა კი თავის მხრივ ასაჩუქრებს მართლმორწმუნეებს. არა არს ჭეშმარიტება გარდა ჭეშმარიტებისა! ცნობილი გახდა, რომ გურჯი საკაძე, ეს შაითანის ნაშობი, თბილისზე თავდასასხმელად ემზადება. ურწმუნოს ბრბო უკვე უნახავთ მცხეთის ახლოს.

იუზბაშებმა ერთხელ კიდევ გაუმეორეს ხოსრო მირზას ბრძანება, მოითხოვეს მისი დაუყოვნებლივ შესრულება, ცხენები მიაბრუნეს და დამთხვეულებივით გააქროლეს. მათ მიჰყვნენ სპარსული იარაღით აღჭურვილი მხედრები, ქუჩაში რომ მტვრის კორიანტელი დააყენეს.

თუმცა გორიდან არც აგრე შორს წასულან. ისინი მოსახვევში ჩამოხდნენ, მტკვრის ნაპირას, ცხენები სადავით წაიყვანეს და გადმოწოლილი ქვისქვეშ შეძვრნენ, გვირაბის დასაწყისს რომ აღნიშნავდა.

საკაძე მოუთმენლად ელოდებოდა მათ უფლისციხეში, სადაც გვირაბი ერთ-ერთ თაღოვან დარბაზში აწყდებოდა.

სამხედრო საუბარი გაიმართა ვრცელ გამოქვაბულში. ბანის კარიდან შემოსული სინათლე ძუნწად აშუქებდა მკაცრ სახეებს, მთის ქარს, კოცონების ცეცხლსა და მზეს რომ გაერუჯა.

„ვეფხვები“ შეთანხმდნენ. რა თქმა უნდა, მამედ-ხანი იცნობს ხოსრო მირზას ხელს; მაგრამ საკაძეც ხომ არა ნაკლებ იცნობს მას, რადგან ხშირად იღებდა ხოლმე ისპაჰანიდან ცბიერი მეფისწულის წერილებს. როსტომი კი დახელოვნებული მიმბაძველია. ჯერ კიდევ ნოსტეში მან გულდასმით შეისწავლა ხოსროს ხელის თვისებანი და იშვიათი წარმატებით შეადგინა ხოსრო მირზას „წერილი“ მამაცი, მაგრამ უჭკუო მამედ-ხანისადმი.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირებიათ. ორი საათის შემდეგ ბაზილიკის მხრიდან, ცენტრალურ მოედანზე რომ იყო აღ-

მართული, გამოჩნდა მოდარაჯე რაზმელი, რომელმაც ქართლელებს აცნობა, მამედ-ხანი გორის ციხიდან გავიდაო. სპარსული მწყობრით მიდიან ათასები, ნარინჯისფერი დროშები რომ გაუშლიათ. მინბაშებს, იუზბაშებსა და ონბაშებს ხურავთ ფირუზისფერი ფრთებით მორთული მუზარადები, ხოსრო მირზამ რომ გორის აღებისათვის უწყალობა. წინ ამაყად მიდის თვით მამედ-ხანი, რომელსაც გარს ახვევიან ქეშიკები. ზარბაზნებითა და ბარგით დატვირთული აქლემები კოლონების შუაგულში მოუქცევიათ.

გვირაბებში აჩხარუნდა იარაღი, აკრაჭუნდა უნაგირები.

— რა გაეწყობა, მეგობრებო, ვაცალოთ გორს გასცდნენ ისრის ათიოდ სასროლზე, რათა ციხეში დასაბრუნებელი გზა მოვუჭრათ. — აღიმაღლა ხმა ააკაძემ. — ყველა ცხენს დახვეული აქვს თუ არა ფეხზე ქეჩა?

— რა მოხდა, გიორგი? სპარსელები თბილისისაკენ დაიძრნენ? ძალიან კარგი! გადავუჭრათ გზა და შევუმციროთ მანძილი მაჰმადის სამოთხისაკენ. დაე ღეჭონ იქ ფირუზისფერი ფრთები! — ქელივიძემ ამაყად შემოიდგა დოინჯი.

— კარგი ხერხის გადმოღება, თუნდაც იგი მტრისა იყოს, მავნებელი როდია. გაიხსენეთ, რომ ერთხელ, ჩვენი ახალგაზრდობის წლებში, შადიმანმა ნოსტედან, ანანურიდან გაიტყუა ჯარი და ამით შეცვალა ჩვენი ბედი.

— აბა მაგას რა დაგვავიწყებს, — წაიბუტბუტა გუნიამ, — ამან გაიძულა შენ, გიორგი, ირანში გადახვეწილიყავი.

— მოხუცებულობაში შადიმანი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდება, მარაბდას არ გასცილდება.

— სულაც არა, გიორგი, ქართლს იქით შენ არსად არ წასულხარ, ყანდაგართან ბრძოლაშიც კი გაიძახოდი: „ქართლისათვის!“ შადიმანი კი, თუმცა მარაბდას არ გასცდება, მაგრამ სპარსთა ზურნაზე ისე ცეკვავს, თითქოს უკვე დევლეთ-ხანეშია*. შენს წინააღმდეგ ბრძოლის დროს კი გაიძახის: „თავადებისათვის!“ — დაუთბეგი სათვალთვალო ნახვრეტს მიეკრა. — კიდევ მოჩანან.

---

* დევლეთ-ხანე — „დოვლათის სახლი“; შაჰის სასახლე ისპაჰანში.

— მოვიცადოთ. ერთი რამ კარგია. იმ გარემოებამ, რომ მტრებს ვიცნობთ, შესაძლებლობა მოგვცა დავამარცხოთ ისინი.

— გიორგი, ყიზილბაშებს აერიათ შენი ვარაუდი, მკვეთრად გაუხვიეს ხრამისაკენ! — წამოიძახა გახარებულმა მათარსმა.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! თვითონ მოხვდნენ სპარსთსაჭერელაში! — და დიმიტრიმ ცხენი გასასვლელისაკენ წაიყვანა.

— ვისარგებლოთ, მეგობრებო, მოულოდნელი წარმატებით! წინ! დავიფაროთ გორი! ქვლივიძე რაზმელებით — ზურგში, გზა გადაუჭრას მტრებს! დიმიტრი, როსტომი, მათარსი — გორის მარჯვენა ფერდობებისაკენ. გუნია და ასლამაზი თეთრი და შავი ასეულებით — მარცხენა ფერდობებისაკენ. დაუთბეგმა, ნოდარმა და ზუმბულიძემ აზნაურთა რაზმები მტკვარსა და ლიახვის შუა გაშალონ! გზის მოსაჭრელად დავძრავ მოლაშქრეებს! ავთანდილი მე გამომყვება ნოსტელთა რაზმით! პანუში, მიქელაძე და ბერიძე — გორისციხის მთავარი კარისაკენ! ჩქარა! არჩილი და მზვერავები განის კარებისაკენ! იქ გველოდეთ!

ახოვანი მხედარი, რომელსაც ბადისებრ ჯავშანზე ბუსუსიანი ნაბადი ესხა, ქვიანი ბილიკით დაეშვა. სააკაძეს მისდევდნენ უკვე ბრძოლის ცეცხლით ანთებული ქართლელები.

მთვარემ დამცინავად გამოიხედა ღრუბლის კარავში და გაანათა ხრამის შავი ფსკერი. ცნობისმოყვარეობით უცქეროდა იგი, თუ რა უთავბოლოდ დაბორიალებდნენ სარბაზები და მათი უფროსები, რომელთაც სეტყვასავით ეფრქვეოდათ თავს ისრები. გააფთრებულნი და გაოგნებულნი აწყდებოდნენ ისინი ხან წინ, ხან მარჯვენა კლდოვან ფერდობს, ხან ტყიან მარცხენა ფერდობს, ხანაც ცდილობდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ, სადაც ხვეული ბილიკი მოჩანდა, მაგრამ ყველგან გარდუვალად აწყდებოდნენ მარჯვედ ნასროლ ისრებს, შუბებს, სათხებს, აღმართულ ხმლებს.

ღრიალებდნენ აქლემები. გამაყრუებელ ჭიხვინს ეხმაურებოდნენ ნაპრალები.

დაღლილობით გაფითრებულმა მთვარემ მეგობრულად დაიქნია თავი, ნელა მოშორდა იქაურობას და მერხევი შორეული სივრცეები შეეერცხლა. და საცქერიც აღარა იყო რა. იქაურობას აყროლებდა სისხლისა და ცხენის ოფლის სუნი.

ცოტა სარბაზი და უფრო ნაკლები ცხენი ამობობღდა ხრამიდან, რომელიც გადაელილი იყო თხილნარითა და შინდნარით, მაგრამ აქ მათ იპერდნენ გააფთრებული მოლაშქრენი.

მაგრამ მაინც მამედ-ხანმა, ვისაც მაზანდერანელთა გმირობა არ აკლდა, ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით მოახერხა ჯარის ნაწილის საძი ხაზი ერთ მუშტად შეეკრა. სარბაზებმა შუბები მოიმარჯვეს და გაარღვიეს აზნაურთა ძალების მარცხენა ფრთა, მამედი ეზაში გამოიპრა, უკუაგდო მცირერიცხოვანი საფარი რაზმი, თბილისისაკენ გაეშურა და თან გაიყოლია სამასი გადარჩენილი სარბაზი.

დიმიტრის წყენის მიუხედავად, რომ ამდენი ყიზილბაში გადარჩა, საკაძემ უბრძანა ყველას გორისაკენ წასულიყვნენ. ქვლივიძე და ნოდარი კი თავიანთი რაზმებიანად გამოჰყო, რათა თვალყური ედევნებინათ თბილისის მისადგომებისათვის.

დაუთბეგი და როსტომი კვლავ იუზბაშები უნდა გამხდარიყვნენ. ულმობლად იგინებოდნენ, მაგრამ მაინც ჰინით იღებავდნენ ულვაშს და წელზე ირტყამდნენ კაუჭა სატევარს.

მალე „ვეფხვები“ და ათი „სარბაზი“ ციხის კარს მიადგნენ, საიდანაც იწყებოდა მარმარილოს კიბე, რომელსაც ყოველ ახალ სასვენ პატარა მოედანზე სხვა კარი ჰქონდა, და გუშაგ სარბაზებს გასძახეს, ჩვენი ნაცნობი იუზბაში გამოგვიხმეთო.

გაიღო თუ არა პატარა რკინის ჭიშკარი, როსტომი ჩამოხდა, ახალგაზრდა ხანთან მივიდა და ჰკითხა, წავიდა თუ არა ჯარი თბილისშიო. აღმოჩნდა, რომ ზუსტად ათზე — ასე აჩვენა სილის საათმა — წასულიყო. როსტომმა განაცხადა, ისე დავიღალეთ, როგორც ორმოცი ათასი აქლემიც ვერ დაიღლებოდაო, ამიტომ ითხოვა, გაეღოთ კარი, რათა იუზბაშებსა და სარბაზებს ოდნავ მაინც დაესვენათ: ისინი ხომ მზის ამოსვლამდე, წყეულიმც იყოს ეს მოუსვენარი გურჯისტანი! — თბილისში უნდა გაეშურნენო.

როსტომის ენამზეობა ძლიერ მოეწონა ახალგაზრდა ხანს, ვისი ნიშნითაც კარი გააღეს.

აქ დაუთბეგმა უზანგებზე წამოიწია, ხმალი იშიშვლა და ელვისებური დარტყმით თავი გააგდებინა იუზბაშს. მცველებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ მაშინვე აჩეხილ იქნენ.

სულ უფრო სწრაფად ახლოვდებოდა ნოსტური საყვირის ხმა. ცხენოსანი ჯარი ორი მხრით ერტყმოდა გარს გორის ციხეს. სააკაძე და აზნაურები ციხეში შეიჭრნენ.

მალე ყველაფერი დამთავრდა...

ციხის კედლებთან კიდევ იწვოდა რაღაც ნაკრაულები, ხოლო დროშა, რომელზეც „ვეფხვი შუბს იქნევდა", უკვე ფრიალებდა ზემო კოშკებზე. გორი — ქართლის გული — კვლავ ქართული იყო.

მიმალული მცხოვრებნი ქუჩებში გამოეფინენ და თავიანთ სიხარულს დაბინდებამდე გამოთქვამდნენ განუწყვეტელი ცეკვითა და მოურავის ქება-დიდებით.

სააკაძემ მათარსს, როგორც ჯარის უფროსს, რომელმაც თავი გამოიჩინა ჟინვალის ხიდისათვის ბრძოლაში, ცოტაოდენი რაზმელები დაუტოვა და ბრძანა: არავითარ ცბიერებას, არავითარ ნიშანს არ დაუჯეროთ და ციხის კარი არ გააღოთო, თანაც დანიშნა დათქმული შეძახილი უფროსი გუშაგებისათვის. უბრძანა ციხე გაემაგრებინათ, ზემო წყალსატევი წყაროს წყლით აევსოთ, ხოლო გალავნის ქვემო ხაზზე დაეწყოთ ტომრები, რომლებშიც დანაყილ პილპილთან არეული სილა იყო. განკარგულება გასცა აგრეთვე, გალავნის მეორე ხაზზე დაეგროვებინათ ძელები და ქვა, ხოლო უკანასკნელ ხაზზე ადუღებული კუპრით სავსე ქვაბები. სპარსთა მიერ მიტოვებული ზარბაზანი და ათი ბირთვი თვითონ დაეხმარა და ისე დაადგმევინა მთავარი მარმარილოს კიბის მეორე მოედანზე.

„ვეფხვებს", რომლებიც მათთან ერთად ციხეს ათვალიერებდნენ. მოურავმა უბრძანა დაეთვალათ ნადავლი, მცხოვრებლებისათვის გამოეყოთ საჭმელი და პირუტყვი, ხოლო დანარჩენი თანასწორად გაეყოთ გორისა და ტბილისის წინააღმდეგ ლაშქრობის მონაწილეთა შორის.

დიახ, სწორედ ტბილისის — ბარათას რეზიდენციის წინააღ-

მდეგ ლაშქრობის მონაწილეთა შორის. მაგრამ რატომ მიცქერის გუნია ასე გაკვირვებული? ნუთუ კიდევ ჰგონია, რომ სააკაძეს შეუძლია ვერაგობა აპატიოს ვინმეს?

აზნაურთა და მოლაშქრეთა ბევრი ცხენი მოიკლა და დასახიჩრდა წარსულ შეტაკებაში, მაგრამ სააკაძემ ბრძანა, ის ოთხასი სპარსული ბედაური, რომლებიც უნაგირებიანად და საომარი აღკაზმულობით ჩაიგდეს ხელში, მიეცათ მოლაშქრეებისა და უცხენო რაზმელებისათვის, რადგან ახლა, თუ ფიცხი ცხენი არა ჰყავს, არც ერთ სააკაძელს არ შეუძლია იომოს. პარტიზანულ ომში ძირითადი სისწრაფე და შეტევაა.

მეორე დღის განთიადზე თავადმა ბარათამ ერთხელ კიდევ შეამოწმა, კარგად შეუფუთავთ თუ არა ყალიონების მდიდარი კომპლექტიო, და საჭურველთმტვირთველს უბრძანა, საგარეო მუზარადი და მოსასხამი მომართვიო.

კნეინას, რომელიც მედიდურობისა და კუდაბზიკაობის განსახიერება იყო, სარკის წინ მდგომარეს ეშინოდა, ერთი რამ ზედმეტი მოძრაობა არ გავაკეთოო, და ვარდისფერი ქვის ქანდაკებას მოგვაგონებდა, რომლის გარშემო მონურად დაფუსფუსებდნენ პირისფარეშები და ყორნის ფრთასავით შავ თმაზე საგზაო თავსაფარს ამაგრებდნენ.

თავადმა და მისმა მეუღლემ ვაჟებს ერთნაირი ქულაჯები ჩააცვეს, ხოლო ქალიშვილებს — ერთნაირი კაბები, მთელ ჯალაბს უბრძანეს, უკან გამოგვყევითო, და უკვე მზად იყვნენ ბირთვისის ციხეში წასასვლელად, სადაც, ხოსრო მირზას რჩევით, აპირებდნენ თავი შეეფარებინათ, სანამ ქარიშხალი გაივლიდა, ხოლო შემდეგ სააკაძისა და მის დამქაშთა დაღუპვა ზეიმით აღენიშნათ.

მსახურთუფროსის მიწვევით, გასამგზავრებლად გამზადებულნი ხმაურით შეიკრიბნენ დარბაზში, სადაც თავადმა აღმართა ვერცხლით უხვად მოჭედილი ჯიხვის ყანწი და ძშვიდობით მგზავრობის სადღეგრძელო დალია. მაგრამ... ეს რა არის? ყანწი კვლავ ხელში ეკავა, მაგრამ თავადს სახე დაე-

მანჭა. არა, ყურს როდი მოუტყუებია: ახლოვდებოდა ნოსტური საყვირის მრისხანე გუგუნი!

უსიამოვნოდ გაოკებული თავადი ვიწრო ფანჯარასთან მივარდა. ჭადრის ხშირ ტოტებში მოჩანდა, თუ როგორ ერტყმოდნენ ციხე-დარბაზს გარს საკაძელები. თავადმა ძლივს დასძლია შიში და ბრძანა დაეხსნათ შეკრული ფუთები, საგარეო მუზარადი მოიხადა, ღირსეულად შეეგება მოულოდნელ სტუმარს და საყვედურით ჰკითხა, რით არის გამოწვეული მოურავის მტრული მოქმედებაო.

— თავს ნუ იყატუნებ, თავადო! — შეაწყვეტინა სიტყვა საკაძემ. — მე ისიც კი ვიცი, თუ რამდენი ხანი გყავს სტუმრად შენს ციხე-დარბაზში, ხუთას ყიზილბაშს რომ თავი დავანებოთ!

— მერე ქართლისა და კახეთის რომელ ციხეში არ მოკალათებულან ახლა ხანები, როგორც თავიანთ სახლში?

— იმ სახლში, რომელიც მიუწვდომელია მტრებისათვის. მგონია, მუდამ იკვეხნიდი, ბირთვისი მიუდგომელიაო, და ამიტომ ერთ დროს არ დამემორჩილე არა მარტო მე, არამედ აგრეთვე მეფე თეიმურაზსა და მეფე სვიმონს. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ გულით გსურდა გედევნა სპარსელები „მეორედ მოსვლამდე". კარგი, ვთქვათ ქრისტეს დააგვიანდა... ნუ გგონია, ძლიერო ბარათა, რომ მეტისმეტად გამაკვირვა თავადთა გამცემლობამ. არა! გონებით ამაში ეჭვი არ შემსვლია, ხოლო გულით მსურდა დამეჯერებინა, რომ ზოგჯერ მგელსაც გაეღვიძება სინდისი. მე შენთან სამტროდ როდი მოვსულვარ, არამედ თხოვნით: ნუ ღალატობ ქართლს, ნუ მოაკლებ შენს დახმარებას სამშობლოს დამცველებს.

— მოურავო, განა ქართლი ჩემი სამშობლო არ არის? განა მე არა მსურს მტრებზე გამარჯვება?

— მაშინ საგვარეულო ხმალზე შემომფიცე, რომ კავშირს გაწყვეტ სპარსელებთან, და დამამტკიცებელ საბუთსაც მომცემ.

— და... თავადმა ბარათამ გაბედა?!

— დიდო მირზავ, განა გავბედავდი რამე მეთქვა იმაზე, რაც ჩემს თვალებს არ უნახავთ? ბირთვისის ორწოხებში ჰყრია ხუთასი სარბაზი, რომლებიც მტაცებლის მტაცებლებმა ასჩეხეს.

— ხომ არ ურეკ, მსახურო? — ეჭვით ჰკითხა შადიმანმა.— როგორ შეეძლო სააკაძეს თუნდაც ერთი სარბაზი გამოეყვანა მიუვალი ბირთვისიდან?

— ბრწყინვალე თავადო, რამდენი წელიწადი მენდობოდი და განა მარაბდის ციხე-დარბაზში მე არ ვასწავლიდი რაზმელებს დაზვერვის საქმეს? რამდენი ჭაღარაა ჩემს ულვაშებში, მაგრამ უფალს ჯერ ასეთი რამის ნახვა არ ულირსებია...

— თქვი!

— ფრთხილად მიმქონდა შენი წერილი თავად ქაიხოსროსთვის, ხეებს ვეფარებოდი და ვუახლოვდებოდი ბირთვისს... მაგრამ რაღაც გაუგებარი რამ მოხდა: ვიჩქარი შენი ბრძანებისამებრ, ბრწყინვალე თავადო, ხოლო ხეები ხან ახლოვდებიან, ხან შშორდებიან. და რაც უფრო ვიჩქარი, მით უფრო მხიარულია ტყის ხუმრობა. ვხედავ, პატარა ტანის ქალები ხელიხელჩაკიდებულნი ცეკვავენ. მივალ და, ფეხებში უკვე ყვავილები აქნევენ თავს. ან ტოტზე ზის კოდალა და უტიფრად მიცქერის. მივალ ტოტთან და — კოდალა აღარ არის, არის მხოლოდ ფიქვის გირჩა. გუნებაში სამჯერ გავაფურთხე: „მწვანე ეშმაკსაც დაუდგამს ფეხი ყვითელი ჭინკას კუდზე-მეთქი!“ და, წარმოვთქვი თუ არა ცთუნების წინააღმდეგ შელოცვა: „ჩემი მარცხენა ხელის თითები შენს მარჯვენა თვალში-მეთქი“, ჭინკამ ტოტები გადასწია და ისეთი რამ დავინახე, რაც პაპაჩემს ზღაპარშიც კი არ გაუგონია: თითქოს ექვსი თვალი გამომესხა. წინ კი, თითქოს კლდიდან გამოხტა ბირთვისის ციხე-დარბაზი. უეცრად მესმის, — მაგრამ რა მესმის, — მეხია? მეხი არ არის. იქნებ რკინაზე ეშმაკი ჭინკას აჯანჯღარებს? სამწუხაროდ, შევცდი! ეშმაკი კი არა —

მამაკაცია, ხოლო დოლს ისეთი გუგუნი გააქვს, თითქოს მეხიაო, და წვიმის ნაცვლად უეცრად ცრემლი მდის. ვხედავ — ო-ო-ო! — ციხე-დარბაზის ალაყაფში სარბაზები გამორბიან, როგორც მორიელები ნაპრალებიდან, რას იზამ! არ უყვართ სპარსელებს შავი ჭირი. ხოლო ბირთვისი რომ ჯოჯოხეთურ ქვაბში შავმა ჭირმა ჩააგდო, თვით ცბიერმა ბარათამ მოიგონა, მოიგონა თუ არ მოიგონა, ის კი იყო, რომ ხანებს გაგიჟებულივით მოსდევდნენ უკან სარბაზები. ეუცქერი და მიკვირს: იქნებ კვლავ კოდალა მეჩვენება? არა, ვფიქრობ, თავადი გირჩად გადაქცევას როგორ მოისურვებდა. ის არის სწორედ, ბარათა! ხოლო უკან მოსდევს მისი ძმა ხოსია, ბირთვისის ციხის უფროსი. და მყის კოშკზე ყორნის ფრთასავით აფრიალდა შავი დროშა. აქ ხოსიამ დროშა დაუშვა და ყიზილბაშები უფრო სწრაფად გამოცვივდნენ, ერთმანეთს ეტაკებიან, იარაღს კიბეზე ყრიან და თავისებურად ისეთ რაღაცას ყვირიან, რომ მხოლოდ მოლები თუ გაიგებენ. სიმამაცით მუხლთ მომეკვეთა. მაშინ გავიფიქრე: თუკი ყვავილები თაეს იქნეედნენ, უთუოდ საკუთარ თავზეც უნდა ვიფიქრო-მეთქი. გადავწყვიტე მომეცადნა, სანამ ხანები სარბაზებს მისდევდნენ, ხოლო ყველა კი — ხოსიას. და კარგადაც გადავწყვიტე. ბუჩქებში შევძვერი, კარგად მოვეწყე. ლურჯ ბუზანკალას ვაკვირდები, — მეშინია ეშმაკად არ წარმომიდგეს, შუბლზე რომ კოპიჩი აქვს, პირში კი კოდალა უჭირავს. უეცრად ტოტის ლაწა-ლუწი გავიგონე. შევხტი კიდეც: ჭინკა ხომ არ არისმეთქი? ეს კი ნაცნობი რაზმელია თავად ქაიხოსრო ბარათას ამალიდან, თვითონ წამომაღგა თავს და შეჰყვირა — უთუოდ, ეშმაკი ვეგონე! შემდეგ გაჯავრებულმა წამოიძახა რაღაც და სიცილი აუტყდა. რას იზამ? ნაცნობია! გონს რომ მოვიდა, ასეთი რამ მიამბო: „სააკაძე მყის გარს შემოერტყა ციხე-დარბაზს. ჭიანჭველასაც კი გზა არ დაუტოვა, შემდეგ ერთგულების საბუთი მოითხოვა. ბარათა კი ისეთ ყოფაშია, როგორც ჭიანჭველა ფინჯანში: ხედავს, რომ მოურავი არ ხუმრობს. აბა სცადე და არ დაეთანხმო? რას იზამ? გაახსენდა შავი დროშა. მსუბუქად ამოიოხრა: „ვაშა!“ არც სპარსელებს უყვართ შავი ჭირი, რაც ბრწყინვალე მირზას კარგად მოეხსე-

ნება. ხოლო როცა სარბაზები ჯოგივით ძირს ჩავიდნენ, თავადი ბარათა ერთბაშად გაქრა, თითქოს ორთქლიაო. იქნებ ყვითელმა კუდიანმა დაპატიჟა, ან კუდით მიითრია? ვინ იცის? ღმერთს ყველა თანაბრად უყვარს".

— ო, ადამიანო, შენ ემსგავსები ცბიერებით სავსე ჭურჭელს! გაიგონე, შადიმან? შენმა თანამემამულეებმა თვითონ გაიყვანეს სპარსელი მეომრები!

— დიახ, ჩემო უფლისწულო, როცა ყელში დანას დაგაბჯენენ, ამაზე უფრო მეტ რამეს ჩაიდენს უმამაცესი მამაცთა შორის.

— ბისმილაჰ! ხომ არ დაგვიწყნია, რომ ბირთვისის ციხეს გარს არტყია მაღალი ტყიანი მთები, რომლებიც დასერილია ღრმა ხევებით, მისი კოშკები კი მიუვალია. ძლივს შეაღწიეს იქ ჩემმა იუზბაშებმა და ონბაშებმა, რომელთა კვალდაკვალ მორჩილი თხებივით მიბობღავდნენ სარბაზები. მათი უფროსი, ახალგაზრდა ხანი — ერებ-ხანის ვაჟი... დიდება წმიდა ანტონის... თბილისში სამხიარულოდ ჩამოვიდა, ყანწი აუწია და მეშვიდე იმამის დოლბანდს მეფიცებოდა, რომ კლდეებში გამოჩეხილი ას ორმოცდაათი საფეხური, რომლებზეც გაბაწვრით მიდიოდნენ სარბაზები, უფრო ფიქით გაპოხილ ფიცარს გავს, ვიდრე კიბესო. და, შენი აზრით, ეს საკმაო არ არის, რომ აასრულოს სიტყვა, რომელიც ხოსრო მირზას მისცა?

— დიდო უფლისწულო, ფიქა აქ არაფერ შუაშია. ერთი ტოლუმბაში მარწმუნებდა, რაც უფრო ვიწროა ხვრელი, თაგვს მით უფრო ეხალისება იმაში გაძრომაო...

ხოსრო გაჩუმდა. „რა ცხენით გავასწრო ბედს? გორის ციხე თბილისის საფარად მიიჩნდათ, მაგრამ ახლა იგი კვლავ საკაძის საშიშ ხელშია. შადიმანი კი? განა მოიგონა საშუალება, რომ გორის ციხე წაერთმია? არა, ბისმილაჰ! იგი სამ დღეს დაბორიალებდა, თითქოს მეხი დასცემიაო. და მამედხანმა, ბრძოლასა და ცბიერებაში გამოცდილმა, ვერ მოასწრო ვარდის წყლით ჩამოერეცხა გაყვითლებულ სახეზე სირცხვილის დაღი, კვლავ ხელთ ეგდო გამაგრებული აწყური და ფარავნის ციხე — თუმცა ხმამაღლა არ შეიძლება ითქვას, მათ

აზნაურები ნაკლებ იცავდნენო, — რომ „ვეფხვის“ თათებს ბირთვისის ციხე მიეკრა. ისღა დამრჩენია“...

ხოსრო უეცრად გაჯავრდა:

— გამხადე ღირსი, მსახურო, და მითხარ, რას ატუზულხარ ჩემს წინ, როგორც ჩხირი?

— ველოდები, სანამ კიდევ მკითხავდეს ბრწყინვალე თავადი.

— კიდევ? ან, იქნებ გგონია, რომ სპილენძის ყურები მასხია?

— როგორ გავბედავდი, ბრწყინვალე მირზავ, შენს ყურებზე აგრე მეფიქრა? მხოლოდ თიკნა ბერის ციხე-დარბაზის კარია ალბათ სპილენძის, თორემ რატომ დაამწყვდია საკაძემ იქ თავადი ხოსია, როგორც უფროს ბარათასთან მეგობრობის მძევალი?

— ახლა რას ელოდები?

— იმას, თუ როდის გამიშვებს ჩემი ბრწყინვალე თავადი. — მსახურს გაეცინა, შადიმანს თვალი შეავლო და ამოიოხრა. — დაე შენი ცხოვრება, მირზავ, ისე ყვაოდეს, როგორც ია გაზაფხულზე!.. და შენიცა, ბრწყინვალე თავადო!

— წადი!.. როცა საჭირო იქნები, დაგიძახებ. — და შადიმანმა ბრძანებით ჩაიქნია ხელი.

მსახურმა თავი დაუკრა და უხმაუროდ გავიდა.

— ხომ არა გგონია, თავადო შადიმან, რომ დროა ამიხსნა ერთი რამ: რამ აიძულა ქედმაღალი ქაიხოსრო ბარათა კავშირი დაედო უსახლკარო სააკაძესთან?

— ეჭვი არა მაქვს, უძლეველის სწრაფმა მოქმედებამ, — მგონი ასე ეძახდნენ „უსახლკაროს“ ისპაჰანში? — მწარედ უთხრა შადიმანმა, რომელიც თავისთვის მოულოდნელად გააჯავრა სააკაძისადმი უგულებელყოფით მოპყრობამ.

ხოსრომ წარბი შეიკრა, ყურადღება არ მიაქცია შადიმანის მკვახე სიტყვას და გაჯავრებულმა წარმოთქვა:

— ალაჰი მოწმეა, ცბიერი ბარათა ხალისით ეწეოდა მოლაპარაკებას ჩემთან. განა მისგან არ ვიღებდი გრძელ წერილებს? ვერ გამოვიჩინე სიფრთხილე და ჰასუხს ვაძლევდი. არც შენთვის იქნება, შადიმან, უსარგებლო იცოდე, თუ ქარ-

თლელი თავადები რატომ გადაიხარნენ უეცრად სააკაძისაკენ. ნუთუ გაბედეს და ეჭვი შეიტანეს ირანის ძლიერებაში?

— არა ყველას, როგორ შეგეძლო ამ ცოტა ხნის წინათ დარწმუნებულიყავი.

მირზა კმაყოფილი გახდა, რომ შადიმანი მოიღუშა, და ფიქრებში გაერთო: „როგორ დაკაღწიო თავი ქართლის ჭაობს? ტყუილად კი არ უნახავს ჰასანს კვლავ გამაფრთხილებელი სიზმარი. და ვინ იქნება იმის თავდები, რომ სხვის ვენახში ყურძენი მუდამ ტკბილი იქნება? ჩემი მამა, კახეთის მეფე, მუდამ მასწავლიდა: „ვინც შედეგზე არ ფიქრობს, მას ბედიც არ სწყალობსო!“.

შედეგებზე იწყეს დაჟინებით ფიქრი, როგორც ავსულებზე, რომლებიც იოლად ამარცხებენ უხილავი მახვილით. მიუვალი ბირთვისი უძლეველისათვის აღმოჩნდა ქვიშაზე აგებული ციხე. განა ამ მიზეზით არ იქერდა ისა-ხანი გაფიცხებულ ცხენს მეტეხის ციხე-დარბაზის ქვით მოფენილ ეზოში, ხოლო ხოსრო მირზა გზის განურჩევლად მიჰქროდა ციხეში, თბილისს რომ თავს დასცქერის, ხოლო მას ცხენებით მისდევდნენ თავადები შადიმანი, ზურაბი და ანდუყაფარი?

სცადეს მოეწვიათ მეტეხში მცხოვრებ თავადთა თათბირი. მაგრამ რამდენიც არ იშფოთეს — თითქოს ლოდებს აკორებენო, რამდენიც არ ხარჯეს გახურებული ნიაღვრისებრივი სიტყვები, — ერთი რამ გამოდიოდა: მხოლოდ სააკაძის დატყვევებას ან მოსპობას შეეძლო განემტკიცებინა ხოსრო მირზასა და ისა-ხანის გამარჯვება.

მაგრამ სპარსელი. სარდლებიც რომ დაყაბულებულიყვნენ და აშკარა ომი გაემართათ, სად და რა საშუალებით უნდა დაეჭირათ „უძლეველი“?

„გამოჩნდებიან თუ არა მინბაშები ცხენოსანი და ქვეითი ათასებით, — სჩიოდა მირზა, — სააკაძე და მისი დამქაშები გაიბნევიან ხოლმე მცხუნვარე ხევებში, ყინულის ლოდად იქცევიან მთებში ან იძირებიან ტყიანი მთების ტბებში. თავს დაეესხა საფარ-ფაშის სამფლობელოს? მაგრამ რამდენჯერ

შეიძლება ლაპარაკი შეუძლებელზე? რამდენჯერ მიცდია შემეტყო რა უფრო საშიშია — დახმარება გიორგი სააკაძისადმი სანჯაყთა ფაშების მხრივ, თუ შაჰინშაჰის რისხვა სამცხე-საათაბაგოში თვითნებური შეპრისათვის, რომელიც თურქეთს ემორჩილება?.. და განა არ მიცდია ნამდვილი საშუალება? განა საფარ-ფაშას არ შესთავაზეს მთელი სავარგულები, ძვირფასი საჩუქრები, ცხენთა რემა გიორგი სააკაძის გაცემისათვის? გონიერთაგან ვინ არ მიხვდება, რომ მეგობრობა როდი აკავებს საუარს? გამოდის, რომ სააკაძეს თვით სულთანი იფარავს".

ასეთ დასკვნამდე რომ მივიდნენ, ისა-ხანმა და ხოსრო მირზამ შეიგნეს, თუ რა ცუდია ჩიხში ბორიალი. და კვლავ გადიოდა დღეები. მგონი, ორი პარასკევი გავიდა. ყალიონი მთლად აბრუებდა, ხავერდის ხალიჩები მოაგონებდა ქვიშნარს, რომელზეც ფეხს მტკიცედ ვერ იკიდებდა.

სურნელოვანი ღვინით შეხვდნენ მესამე კვირას. აქ კი გამძვინვარდა ზურაბი და უკმეხად მოითხოვა თავადთა დიდი ომი ახალციხის მფლობელი ფაშის საზღვრებშიც კი, სადაც „ვეფხვი" ნებივრობს. არც შადიმანი, არც ანდუყაფარი, არც თვით იგი, არაგვის ერისთავი არ ემორჩილებიან თურქებს და სულთანთან ხელშეკრულება არ დაუდვიათ, როგორც ირანს. მაშ რატომ არ მოქმედებენ? რატომ ელოდებიან ყინულოვანი ლოდების ახალ ზვავს? განა მან, ზურაბმა, არ იცის, როგორ აიძულოს სააკაძე იბრძოლოს? როგორ გამოიტყუოს თურქული ბუნაგიდან? მაგრამ საჭიროა ჯარი, სულ ცოტა ჩვიდმეტი ათასი! თავადები მიიმალნენ? მაგრამ რატომ არ შეიძლება სარბაზებს რაზმელთა ტანსაცმელი ჩავაცვათ? სააკაძემ ხომ გადააქცია ქართველები რუსებად?

— ო, ალაჰ, რატომ დაუბნელებ ხოლმე ხანდახან თვალს კარგად მხედველს? — მორიგ თათბირზე წამოიძახა ისა-ხანმა. — ვინ გინდა, თავადო, ჭკუით მოატყუო? სააკაძე? იგი ოცჯერ მაინც დაიხვევს თითზე თვით შაითანს. და თუ შენგან შეშინებული სარბაზები, თავადო, ბრძოლაში არ დაიწყებენ ძახილს: „ვაშა! ვაშა!" განა, ფიცხი „ვეფხვები" ხმლებით არ დაეხმარებიან მათ და არ აძახებენ: „ალაჰ! ალაჰ!" და ერთ

მშვენიერ დღეს ის მოხდება, რასაც ჭკვიანი მოისურვებს. სააკაძე ხელთ იგდებს ას-ორას სარბაზს, ჩვეულებრივ სპარსულ ტანსაცმელს ჩააცმევს და არ დააყოვნებს ახალი ცოცხალი საბუთი მისცეს სულთანს, თუ რა ცბიერულად არღვევს ფიცს „ირანის ლომი". ხოლო სულთანი, რომელიც თავს ისე მოგვაჩვენებს, თითქოს შაჰინშაჰმა მეტად შეურაცხმყოო, გულში წამოიძახებს: „კურთხეულ იყოს ჩემთან უძლეველის მოსვლა!" — და არ დააყოვნებს შემოგვესიოს თავისი მბეცების მსგავსი იანიჩარებით არა იმდენად ქართლის გასათავისუფლებლად, რამდენადაც განჯისა და აზერბაიჯანის ხელში ჩასაგდებად. და მადლობის ნიშნად, უკვე გულში კი არა, არამედ სიხარულითა და ხალისით ტკბილად წარმოთქვამს სულთანი: „ჭეშმარიტად, მოურავ-ბეგო, შენი სურვილი—გაიმეორო მარტყოფი, შესასრულებელია, რადგან წმიდა ოსმანმა სასიამოვნო აზრი შთამაგონა". ჭეშმარიტად ყველა მართლმორწმუნე ალაჰს ეკუთვნის და თუ განრისხებული ალაჰი დაგვეხმარება ხოსრო მირზასა და მე გადავრჩეთ უძლეველის ხმალს, სულ ერთია თავმოჭრილნი უნდა ვივარაუდოთ თავი, რადგან მოწყალე შაჰინშაჰი მყის გადაგვასახლებს მიწისქვეშა სატრაპის ცოლებთან.

მოღუშული დუმდა შადიმანი, დუმდნენ მრჩევლებიც. ზურაბი მძიმედ ქშინავდა და მგელივით აღრჭენდა კბილებს.

— გამოდის, რომ მოთმინებით უნდა ვიტანდეთ მდაბიო სააკაძის მიერ შეურაცხყოფას!

— და განა მე ასე ვთქვი? შენ, თავადო ანდუყაფარ, ბევრი წყენა განგიცდია, რატომ ერთხელ მაინც არ გაილაშქრე მდაბიოს წინააღმდეგ? ალაჰმა უწყის, რომ ჩვიდმეტი ათასი ჯარისკაცი, თქვენ, თავადებს, შეგიძლიათ თქვენს ციხე-დარბაზებში მოაგროვოთ.

— კეთილშობილი ისა-ხანი მართალია! განსაკუთრებით,— ანდუყაფარმა ჩაიფხუკუნა, — თუ ზურაბი მოახერხებს თავისი არაგველები გამოისყიდოს გურიელისა და სამეგრელოს მთავარ ლევანისაგან: თავადთა ჯარი ერთბაშად გადიდდება!..

— შენ, ანდუყაფარ, სიცილს გგვრის ჩემი მოლაპარაკება არაგველთა გამოსყიდვის შესახებ, რადგან, გარდა ზიზღისა

და ჩაგვრისა, შენი რაზმელები შენსას ვერაფერს ხედავენ. ხოლო ჩემმა არაგველებმა იციან, რომ თითოეულისათვის მზადა ვარ აზარფეშით მივუწყო ოქრო და ძვირფასეულობა, ხოლო თუ საჭირო იქნა, ხმალიც ვიშიშვლო მათს დასაცავად, ამიტომ შენი რაზმელები პირველი შესაძლებლობისთანავე სიამოვნებით გარბიან, ხოლო ჩემი რაზმელები არც კი დაფიქრდებიან სიცოცხლე გასწირონ ჩემთვის.

— მაშ არა და, ვინ არ იცის! შენ ხომ საკაძის მოწაფე ხარ, ხოლო მისი რაზმელები მასთან ერთად ერთ თიხის ჯამში ჭამენ.

— თუნდაც აგრე იყოს! შენ კი, არშის მფლობელო, მხოლოდ სვიმონ მეფის მფარველობით შეგიძლია ვერცხლის ლანგარზე მშვიდად წიწკნიდე ხოხობს.

შადიმანმა შეამჩნია, როგორ ჭირხლდებოდა შეურიგებელ თავადთა სახეები და არ დააყოვნა დაემშვიდებინა ისინი:

— შეიძლება ვიფიქროთ, მამაცნო, თითქოს დადგა ხუმრობისა და არა თბილისის დაცვის დრო. თუ ჩემი რჩევა უადგილო არ არის, ნუთუ ისა-ხანმა ისპაჰანს არ უნდა გაგზავნოს შიკრიკი?

— ბისმილაჰ! ხომ არ აპირებ, თავადო, შაჰინშაჰს სთხოვო ასი ათას სარბაზს, რომლებიც გურჯისტანში ჩარჩნენ, კიდევ მიუმატოს ასი ათასი შაითანთან საომრად, რომელიც ქარს მოაქვს?

— რა თქმა უნდა, არა. მარტო „შაითანისათვის" ასი ათასიც მეტად ბევრია. მაგრამ მაინც იგი დამარცხებული არ არის და, როგორც თანასწორი, სატანასთან დაიმალა. ვიფიქრე, თაყვანი ვცე-მეთქი ყოვლად ძლიერი მბრძანებლის ზურმუხტოვან მუხლებს და გამოვთხოვო ფირმანი, რომელიც ჩვენ გვიბრძანებს გადავაბიჯოთ საფარ-ფაშის სამფლობელოს ზღურბლს.

თავადები და სარდლები აჩოჩქოლდნენ და ხელი ჩასჭიდეს ამ რჩევას, როგორც წყალწაღებული ხავსს ეჭიდება, და დაიწყეს იმის განხილვა, თუ ვინ წაიღებს წერილს დავლეთხანაში და ვინ დასწერს მას. ხოსრო მირზას სურდა არ გადაედგა საეჭვო ნაბიჯი და ამიტომ განაცხადა, რომ შაჰინშაჰმა

ჯარის მეთაურად დააყენა ისა-ხანი, ამიტომ მან უნდა დაწეროსო.

მაგრამ ისა-ხანი ასე ფიქრობდა: სააკაძის დაჭერით ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან თავადები — მაშასადამე, შადიმანმა უნდა დაწეროსო. ხოლო „გველი“ თავადი თავის მხრივ ირწმუნებოდა: ასეთი თხოვნა საჩიეარსა ჰგავს, რადგან ისა-ხანმა და ხოსრო მირზამ, რომელთაც ასი ათასი კაცი ჰყავდათ, მიუხედავად ბრძანებისა — ისპაჰანს ჩაეყვანათ ცოცხალი სააკაძე ან თუნდაც ჩაეტანათ მისი თავი, მიუტევებლად გაუშვეს ხელიდან არა მარტო „ვეფხვი“, არამედ აგრეთვე „აფთარიც“ — მეფე თეიმურაზი.

და კვლავ გადიოდა დღეები...

მესამე პარასკევს ისა-ხანმა მეჩეთში ილოცა, ლერწამი ოქროს მელანში ჩააწო და უკვე მზად იყო დაეწყო გრაგნილი ალაჰის საყვარელი „ლომის“ ქება-დიდებით, რომ შადიმანისაგან მოიკრა შიკრიკი და სთხოვა მეტეხში მისულიყო.

რატომ შეიკრიბნენ მრჩეველნი სვიმონ მეფის სასახლეში, არავინ იცოდა, რადგან გორის განადგურებით გამოწვეული, აგრეთვე ბირთვისის განადგურებით გამოწვეული მწუხარება უმეფოდ გადაიტანეს.

„ალბათ იმისთვის შეიკრიბნენ, რომ ოდნავ გაერთონ“,— გადაწყვიტა შადიმანმა. ასევე იფიქრა ზურაბმაც: „მეტად დიდ გასაჭირს აყენებს მათ რუსუდანის ქმარი, რომელიც განბანილია ურჩხულის სისხლით და ამიტომაც უვნებადია... ნუთუ არავითარი ღონისძიებით არ შეიძლება ვაიძულოთ ისა-ხანი გაილაშქროს? ან ეს გამხმარი წიწაკა ანდუყაფარი?! ორი ათას რაზმელს თბილისში მალავს, როგორც შხამიან ობობებს ქოთანში“.

ზურაბის ფიქრი დაარღვია ხმელ-ხმელმა მოხუცმა მსახურმა, რომელიც საჭურველთმტვირთველმა შემოიყვანა. თუმცა მან, რომელიც დილით მოვიდა, ბევრი რამ უკვე უამბო თავადებსა და მირზას, მაგრამ ისა-ხანისათვის ყველაფერი უნდა გაემეორებინა. და მსახურმა დაიწყო, როგორც დასწავლილი შაირი:

— წმიდა ანტონი უბედურებას არ დაუშვებს... თავადი,

მისი მეუღლე, ქალიშვილები და ახალგაზრდა თავადები სტუმრად წავიდნენ ამირაჯიბთან. დიდი ხანია აპირებდნენ. არავინ არ მოელოდა ამას, კიდევ ვიტყვი, — ციხე-დარბაზი ძლიერ გაამაგრა ჩემმა თავადმა, ქველი წერეთელმა. რაკის მთებს ჯეირანივით გადმოაბიჯა მოურავმა. ვინ იცოდა, რომ ასეც შეიძლებოდა? ძალიან ხმაურობს მდინარე ყვირილა: როგორ გადმოვიდნენ მეორე ნაპირიდან, როგორ ამოცოცდნენ კლდეებზე და შეიჭრნენ ციხე-დარბაზში, არავის არ გაუგონია. სულ სხვა საქმეა აზნაურები და რაზმელები — ისინი ვერ იცოცხლებენ თუ ღვინო არ სვეს და თავს არავის დაესხნენ. მაგრამ ვის უნახავს, რომ ჩამოფლეთილი მოლაშქრეები ბაყაყებივით ხტოდნენ გალავნიდან თავადების ციხე-დარბაზებში? მოურავი მთელ ციხე-დარბაზში ეძებდა თავადს, სარდაფებშიც კი შეიხედა, სახურავზეც კი ავიდა. როცა დარწმუნდა, რომ ჩვენ სიმართლეს ვეუბნებოდით, ყველა მსახური და ციხე-დარბაზის მცველი შეაგროვა და ასე დაიწყო: „არც ერთი თქვენგანი ჩემს წინაშე დამნაშავე არ არის: განა გონივრულია ბრმა თხუნელებს თვალხილულის მოქმედება მოსთხოვო? ეს იმას ემსგავსება, რომ ბრიყვებს ბრძნული გადაწყვეტილება მოეთხოვოს. მაგრამ თქვენი თავადი ბრიყვზე უარესია, იგი ქართლის გამცემია. ვთქვათ, გამცემლობა ნახევარი უბედურებაა, ყველა თავადი მისი მსგავსია...“

— შე ვირის თავო, ვინ გთხოვა სისულელე გაიმეორეო? — გაცხარდა ანდუყაფარი. — საქმეზე ილაპარაკე!

— არავის არ უთხოვია — მხოლოდ სხვანაირად, თავადო, არ შემიძლია, ავიბნევი, ასე დავიმახსოვრე... „თითქმის ყველა თავადიო, ამბობდა, მას ჰგავსო, მაგრამ ისეთი მსტოვარი, რომელიც კურდღელზე უფრო მხდალია, მე მხოლოდ ერთი ვიციო — თქვენი წერეთელიო. ჰეი, ვინ არის აქ მეთაური?!“ — უეცრად წამოიძახა მოურავმა. ო ბრწყინვალეო მეფეთმეფევ! ო კეთილშობილო ხანებო! ო თავადთა თავადებო! ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე, რომ არავის არ სურდა მეთაური ყოფილიყო! და ყველა ისე მტკიცედ დუმდა, თითქოს ენა ამოგლიჯესო. მაშინ კეთილშობილმა მოურავმა ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, რომ მთებში სატანამაც ველარ მოითმინა.

„ხო-ხო-ხო!“ გაისმოდა ყველგან. შემდეგ აზნაურებს ასე უთხრა: „ეტყობა, იმ მხდალმა თავადმა კურდღლის სიმხდალე ამ ვირებსაც შთაუნერგა“. და ყველა აზნაურმა, განსაკუთრებით კი ყველაზე გრძელცხვირამ, ისეთი რაშის ლაპარაკი დაიწყეს თავადებზე, რომ ჩვენ, მსახურნი, ერთბაშად გავფითრდით.

— როგორ, ყველა ერთბაშად? — ჩაიცინა ზურაბმა. — იქნებ ერთი თქვენგანი გაწითლდა?

— მე გავწითლდი, თავადო ერისთავო, — ალბათ ამიტომ მდულარიდან ამოვხტი, როგორც კიბო. აქ ჩემი ანგელოზი მარცხენა მხარზე დამაჯდა — ჭკვიანია! — და თუმცა პირველად მძიმე მეჩვენა, მაინც წყნარად ჩამჩურჩულა: „ტყუილუბრალოდ მივაჩხიტვართ დიდ მოურავს ბრმებად, განა შენი საქმეები ქვასაც კი თვალხილულს არ გახდიან? მხოლოდ თითოეული ცოცხალი ქვეშევრდომი თავისი თავადის მორჩილი უნდა იყოს, რადგან თავადი ღვთისგანაა...“ ვერ მოვასწარი ანგელოზის ნათქვამი გამემეორებინა, რომ წინ წამოდგა გრძელცხვირა, ხელები აიქნია და ისე დაიყვირა, რომ ფრინველები ხეებიდან ჩამოცვივდნენ: „შე ბაიყუშის შვილო, ვინ გასწავლა ბოროტად გამოიყენო ჩემი მოთმინება? სამუდამოდ დაიხსომე: თავადები სატანისგან არიან და ამიტომაც იმ კუდიანის სურვილით დედამიწა მყრალ ჯოჯოხეთად აქციეს!“ დარტყმაც უნდოდა, მაგრამ აქ ჩემი ანგელოზი მარცხენა ბეჭზე აფრინდა... ჭკუიანია! კიდევ კარგი, რომ მეორე აზნაურმა გრძელცხვირას მოქნეული ხელი შეაჩერა. ხოლო კიდევ ერთმა — მე ვიცნობ იმას, ქვლივიძეა, — მხიარულად წამოიძახა: „რა ამბავია, აზნაურებო, თავადი გაძვრა? ძალიან კარგი! დატოვა, ვთქვათ, თავისი ნაკელი? კიდევ უკეთესი! ფუნა ვირის ჩლიქზე უფრო კარგად იწვის. ჰეი, ვინა ხარ აქ უფროსი? უბრძანე მცველებს ცეცხლი წაუკიდონ ციხე-დარბაზს, ხოლო რაც არ იწვის, დაე წერეთლის ყმებმა ნაჯახით დაანგრიონ!“ აქ ვიგრძენი, ხელი დამტაცა ყვითელმა დევმა, აბანოში წამათრია, გამსაპნა და ცხელი ქაფით დაფარული აფთრის პირში შემაგდო. და მე სასოწარკვეთილებით დავიყვირე: „მე ვარ უფროსი! მე დამიტოვა თავადმა ციხე-დარბაზი! და

თუ გავ‌ბედე და ეუბრძანე დაანგრიონ თავადის მიერ მონდობილი სახლ-კარი, ყმად გადამაქცევს, კიდევ კარგი თუ ენა შემარჩინა. სამართლიანო მოურავო, საფრთხეში ნუ ჩაგვაგდებ, თუ ასეთი რამ გიფიქრია, დაე შენმა რაზმელებმა ციხე-დარბაზი ნაცარტუტად აქციონ!“

— თქვე გარეულო ღორებო! თქვენი დაკოდვა ცოტაა. სად არის თქვენი ერთგულება თავადისადმი?! — დაიყვირა ანდუყაფარმა და მრისხანედ შეიკრა წარბი. — ყვერულო! დაკოდილო ცხენო! ჯორო! საჭურისო! ნაცვლად იმისა, რომ ციხე-დარბაზი დაგეცვა... შენ... მე თვითონ ჩაგალეწავდი მაგ ცხვირპირს, მაგრამ არ მინდა ხელი ფუნაში გავისვარო!

— და ჭკუიანად მოიქცევი ანდუყაფარ, — კვლავ გადაიხარხარა ზურაბმა. — რა საჭიროა სხვისი ზილო... როცა საკუთარი თავზე გაყრია.

სვიმონ მეფემ ზურაბს შეხედა, მერე ხოსროს, რომელმაც პირი იბრუნა, და უეცრად ისეთი სიცილი აუტყდა, რომ მის ფეხებთან მწოლიარე ძაღლმა წკმუტუნი დაიწყო.

„რაკი მეფე, თუნდაც უადგილოდ, იცინის, უზრდელობაა ვეზირი დუმდეს“, — გაიფიქრა შადიმანმა და მასაც სიცილი აუტყდა.

„შაითნებო, იპოვნეთ რაღა დრო სახარხაროდ!“ — გაიფიქრა ისა-ხანმა, ტუჩზე აბრეშუმის ხელსახოცი მიიფარა და სიცილით აცახცახდა.

მსახურმა ნაღვლიანად მოავლო თვალი თავადებს, შემდეგ მეფის წინ დახარა თავი:

— ბრწყინვალე მეფეთმეფეო, მე ჯერ კიდევ ყველაფერი როდი მითქვამს.

— ეჰ, მსახურო, გინდ თქვი და გინდ არა, ფუნაზე უკეთესი შენს ენას არაფერი წასცდება.

თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა ყველას. მსახური ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდა.

„გახა არ ვიცოდი, — გაიფიქრა ზურაბმა, — „გველ“ თავადს მხიარულება მოესურვა“.

ბოლოს, ხოსრომ გადაწყვიტა შეეჩერებინა გართობა:

— გმადლობ, მსახურო, ეფე გააცინე. ახლა წადი, რაც დაგავიწყდა, თეითონ ვიტყვით.

მეფე უეცრად შეშფოთდა: უჩემოდ იტყვიან! როგორც ბავშვს, ისე მიფრთხილდებიან? მომიგონებენ მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი მოვაწერო ახალი გადასახადების ბრძანებას? ფეხი ჰკრა მოწკმუტუნე ძაღლს: „ო, შაითან! მომბეზრდა თავად მაჩაბელთან ნარდის თამაში, ამირაჯიბთან ჭადრაკში შეჯიბრება, გულშართან მღერა ჩონგურის კვნესაზე. რათ დავუჯერე ბრიყვებს და სახე დავიმახინჯე მეორე ულვაშის გაშვებით?“ სვიმონ მეორე დაბადებულია ალმასის ღოლბანდისათვის, ხოლო თავს ისე გრძნობს როგორც გოგრა შუბზე! თუკი მეფეა, მასაც სურს სიცილი!

და სვიმონმა მოულოდნელად აღიმაღლა ხმა:

— მოიცა, მსახურო, კიდევ რისი თქმა გსურდა?

— ბრწყინვალე მეფეთმეფეო, იმიტომ გავბედე სამეფო მეტეხში გამოქცევა, რომ ჩემს თავადს არ ეფიქრა, რომ მისი ერთგული ყმა არა ვარ. როცა კუთხის კოშკები დაწვეს, ციხე-დარბაზს მოუახლოვდა ერთი აზნაური და დაიყვირა: „დაიტაცეთ სიმდიდრე!“ აქ ჩვენ ყველანი ციხე-დარბაზში შევცვივდით. საშწუხაროა, თავადს დიდი ქონება გააჩნდა.

— გააჩნდაო? ახლა კი ველური „ვეფხვი“ გამდიდრდა?

— არა, კეთილშობილო თავადო ანდუყაფარ, მხეცმა მოურავმა გიორგიმ მხოლოდ იარაღი და ცხენები გადაარჩევინა. ხოლო ქვლივიძემ ერთ მოლაშქრეს მეგობრულად ჩააფარა თავში და ასე უთხრა: „რას დაგიღიათ პირი, ბრიყვებო? ჩაიცვით თავადის ქულაჯები, წაღები, რომლებიც მორთულია ფირუზებით! ბუხრის ქუდიც არ დაგავიწყდეს, შე ჩანჩურავ!“ ჩანჩურამ კი თავისი ჩოხა უკვე გაიხადა, — მერე სად იპოვნა ასეთი რამ, — გაიხადა და ხელი ჩაავლო ზურმუხტისფერს; შემდეგ თავადის ქულაჯის ჩაცმა დაიწყო. სხვა მოლაშქრეებიც დაესივნენ ტანისამოსს. მაგრამ წინ გამოვარდა სატანასავით მოხუცი გლეხი და ასე დაიყვირა: „როგორ შეგიძლიათ თქვენ „სამშობლოს წინაშე ვალდებულთა“ საკუთარი ტანსაცმელი შეცვალოთ იმ ქულაჯით. რომელიც მოღალატეებმა შეურაცხყვეს?“ თითქოს კამეჩის უწმინდურება გადაასხეს თავ-

საო, მოლაშქრეებმა მიატოვეს სიმდიდრე და იქვე ჩაუქრათ თვალში გაუმაძღრობის ცეცხლი. მან კი, ვინც მოასწრო ხელი გაეყარა ხავერდის სახელოში, რომელიც მორთული იყო ზურმუხტით, მყისვე გაიძრო ქულაჯა და შორს გადააგდო. ო წმიდაო ევსტათე! უმჯობესი იყო სატანას გულში ჩაერჭო დანა ჩემთვის! საუკეთესო ქულაჯა, რომელსაც იმდენი ზურმუხტი ეჯდა, რამდენიც ქერის მარცვალია ცხენის ჩონჩორიკში...

— ეს უკვე გავიგონე, შემდეგ რაღა იყო? — გააწყვეტინა მეფემ.

— შემდეგ? როცა მოურავის ბრძანებით ჩემი თავადის ყველა რაზმელი და მოსამსახურე, ბავშვებიც კი, შეუდგნენ ხალიჩების, ჭურჭლის დატაცებას — ბევრი ვერცხლის ჭურჭელი იყო, აბრეშუმი, ხავერდი, ფარჩა — ბევრი სპარსული, მე არ ვეწინააღმდეგებოდი, მხოლოდ ვიხსომებდი: ვის, რა და სად მიაქვს... დავეხმარები-მეთქი, ვფიქრობდი, თავადს ნივთების მოძებნაში. მოურავი ჩემს ფიქრებს მიხვდა. მაგრამ როგორ მიხვდა, წმინდანი ხომ არ არის?! თვალები დააბრიალა და მრისხანედ დამიყვირა: „აბა სინჯე, მამაძაღლო, და შენს წერეთელს დაუსახელე ადამიანები, ტყავს გაგაძრობ! თავადის მონები სამართლიანად ითვისებენ მათს შეძენილს. ხოლო მხდალ ქველის გადაეცი: მას სიმდიდრისათვის კი არ სჯიან, არამედ თვითონ იცის, რისთვისაც. აი მოლაშქრენი დახეული წულებით იცავენ ქართლს სისხლის მსმელი ხანებისაგან, რომლებიც მარტო მდიდარ დარბაზებს როდი ძარცვავენ თავიანთთვის...

— ენა ჩაიწყვიტე, შე ეშმაკის შვილო! როგორ ბედავ გაიმეორო ველური „ვეფხვის“ ცილისწამება? ილაპარაკე, რაც საჭიროა!

— სხვანაირად არ შემიძლია, ხანო, ავიბნევი. ასე მაქვს დამახსოვრებული... „მარტო მდიდარ ციხე-დარბაზებს როდი ძარცვავენ თავიანთთვის. არამედ სახლებიდან უბრალო ქვაბებიც გამოაქვთ და ირანში მიათრევენ“.

— ო ალაჰ! აბა ვის უნახავს ასეთი მამადამწვრის შვილი!— წამოიძახა ხოსრომ და შეშფოთებულმა გადახედა ისა-ხანს. — განა ჩემი თვალით არ მინახავს, როგორ ბრუნდებოდა ველუ-

რი „ვეფხვი“ თავისი ბრბოთი ინდოეთიდან, ბაღდადიდან, ან... ყოველი მხრიდან მოჰქონდა თავისთვის ზანდუკები, რომლებიც სავსე იყო ძვირფასი ნაკეთობით, ნაკრაულები უმაგალითო ხალიჩებით, ან ოქროს მორთულობით სავსე ხუოჯინებით ან მარგალიტითა და ზურმუხტებით გაჭედილი ყუთები თავისი ცოლისათვის...

— მამაცი არაგვის ერისთავის ნუგზარის ქალიშვილს დატაცებული მორთულობა არ ესაჭიროებოდა! — ფიცხად წამოიძახა ზურაბმა. — მას ნამზითევი ძვირფასეულობის კოლოფებიც არ გაუხსნია ჯერ. ხოლო ფარჩითა და ხავერდით სავსე ზანდუკები ხარახურასავით უყრია სარდაფებში. ქართელი თავადების საბედნიეროდ, „ვეფხვი“ უჭკუო აღმოჩნდა: ნაცვლად იმისა, რომ თავისთვის აეგო მარმარილოს ციხე-დარბაზი, გარს შემოევლო მისთვის სამმაგი გალავანი სათოფურებითა და ორმოებით, სადაც მას ვერავინ მისწვდებოდა, იგი ამსხვრევდა ბაღდადურ და ინდურ ზანდუკებს და ამდიდრებდა თავის ამქრებს, უკვეთავდა მათ იარაღს, ტანსაცმელსა და უნაგირებს ჩამოგლეჯილი მოლაშქრეებისათვის, რომლებიც ემსგავსებიან იმ ბრიყვს, რომელსაც სურდა დამგვანებოდა ჭკვიანს და დახეული წუღის გაკვრით გადააგდო ზურმუხტებით მორთული ქულაჯა.

— იაგუნდებით მორთული! — გაუსწორა მსახურმა.

— ასე გგონია, არაგვის ერისთავი თავისი დის ქმრის მითითებით ბეჯითობდეს, — შხამიანად ჩაიბუზღუნა ანდუყაფარმა.

— ბეჯითობა რომ მსურდეს, არშის ციხე-დარბაზის განდეგილისა როდი შემეშინდებოდა. — ზურაბმა სარტყელიდან ამოიღო გატენილი ქისა და მსახურს მიმართა: — წაიღე, მსახურო, იმისათვის, რომ ერთგული ხარ შენი თავადისა და პატიოსნურად ლაპარაკობ ჩემი დის ქმარზე!

შადიმანი ხავერდის სავარძელში აცმუკდა: „ეს მგლის თავი, რაღა სულ ზურაბთან ჩხუბს აპირებს?“ — და ხმამაღლა დაიყვირა:

— წადი, მსახურო, ჩვენ დავეხმარებით შენს თავადს!

— ბრწყინვალე თავადო, მე ჯერ ყველაფერი როდი მითქვამს...

— რაო? — დაიღრიალა ანდუყაფარმა. — კიდევ იმღერებ ველური „ვეფხვის“ კეთილშობილებაზე?!

— არა, თავადო, ეს მორჩა.

— მაშინ მოშორდი აქედან! ჩვენ ყველაფერი ვიცით.

— მეფეთმეფეო, ნება მიბოძე, მთავარი რამ გითხრა... დილით ასე გადავწყვიტე: არა ღირს თავადების შეწუხებამეთქი, ხოლო ახლა, როცა კეთილშობილმა არაგვის ერისთავმა სიმართლისათვის დამაჯილდოვა, მინდა კიდევ ერთი სიმართლე ვთქვა.

— თქვი, თქვი, მსახურო, ჩემი სახლიდან ქვეშევრდომების გაშვების უფლება მხოლოდ მე მაქვს! — სვიმონი კმაყოფილების გამო გაწითლდა, მას აინტერესებდა ყველაფერი, რაც ხდებოდა. და გულში აღშფოთდა: ეს ნიანგი ანდუყაფარი რატომ ასე შეურაცხმყოფელად აშორებს მეფეს ყველა საქმეს?!

— ბრწყინვალე მეფეთმეფეო, სანამ მოლაშქრეები და რაზმელები, ეს ჯოჯოხეთის ნაშობნი, ლამაზ ციხე-დარბაზს ნაცარტუტად აქცევდნენ, შევნიშნე, რომ გრძელცხვირა აზნაურმა მეორე, დაღრეჯილი აზნაური ბაღის კუთხეში გაიხმო და რაღაცას წუნარად ელაპარაკებოდა. „მიხსენ და შემიწყალე, წმიდაო დავით! — შიშით გავიფიქრე მე. — ხომ არ აპირებენ ეს ავაზაკები დაუდარაჯდნენ ჩემს თავადს და გზაში დაესხნენ თავს?“ ვერ მოვასწარი ამის გაფიქრება, რომ ორივე, საბედნიეროდ, მსხვილი მუხის ახლოს ჩამოჯდა სკამზე. მე ახლოს მივიპარე და ასეთი რამ გავიგონე: „რაო, გიორგი ხუმრობს? რატომ არა სურს თავს დაესხას ამირაჯიბს? ერთბაშად თავადთა წოდება შემცირდებოდა“. „დიმიტრი, — ასე უწოდა დაღრეჯილმა გრძელცხვირას, — შენ არ გესმის, გიორგის, პირიქით, ყოველი ღონისძიებით სურს, რომ თავადებს თვალი აეხილოთ. ხომ ხედავ, როგორ გაანადგურეს წყეულმა სპარსელებმა ქართლი და კახეთი...“

— კვლავ სისულელეებს იმეორებ? .

— კეთილშობილო ხანო, სხვანაირად ავიბნევი, ასე დავიმახსოვრე... „წყეულმა სპარსელებმა გაანადგურეს ქართლი

და კახეთიო". — „ეეჰ, დაუთბეგ, — გრძელცხვირამ ასე უწოდა დაღვრემილს, — შენ ცნობილი კამეჩი ხარ! თავადებისათვის ახლა ხელსაყრელია „ირანის ლომის" კუდს ებღაუჭებოდნენ, ვიდრე „ვეფხვს" კეთილშობილურ საქმეში ეხმარებოდნენ. მოიცა, დათო დაბრუნდება კონსტანტინოპოლიდან და მაშინ სხვა საუბარი იქნება..."

— რაო, მსახურო. რა თქვი? კონსტანტინოპოლიდან?

— კარგად დაკიმახსოვრე, ბრწყინვალე თავადო შადიმან, კონსტანტინოპოლიდან.

— ილაპარაკე, ილაპარაკე კიდევ რა იყო.

— აქ დაღვრემილმა ამოიოხრა: — „გგონია, სულთანი იანიჩარებს გამოგზავნის?" — „რა თქმა უნდა, გამოგზავნის. განა დათო როდისმე დამარცხებულა საელჩო საქმეებში?" — „მაგრამ, იქნებ, იმის ნახევარი გამოგზავნოს, რასაც ვთხოვთ?" — „გიორგი ამბობს: განგებ ბევრი ვითხოვე, რომ ნახევარი მივიღოო". — „ეჰ, თუნდაც ნახევარი! მე პირველი არაგველი ტერის ციხე-დარბაზის გალავანზე ავბობღდები, მერე კი ვიცი საითაც. ვერც ერთი სპარსელი ვერსად გამექცევა". — „ქელივიძეც ფიცავს — მაჰმადის სამოთხე მოუწყოს დაუპატიჟებელ სტუმრებს". — „მაგრამ ჯერ გიორგიმ ფირან ამილახვრის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს. მობეზრდა გამცემლობის მოთმენა..." აქ, ბრწყინვალე მეფეო, მათთან სხვები მივიდნენ, მე კი ვისარგებლე ჩოჩქოლით და ხვლიკივით შევძვერი ბუჩქებში. ციხე-დარბაზიდან გამოვედი, ცხენს მოვახტი და ტყეში დავიმალე. დაბინდებამდე დაჭერილ ბეღურასავით ვთრთოდი. ბეღურაზე კი ამბობენ შუქისა არ ეშინიანო... შემდეგ ბილიკით გავქუსლე...

— მოიცა, დილით რატომ ერთბაშად არ ილაპარაკე კონსტანტინოპოლზე? — აღშფოთდა შადიმანი.

— ჩემი თავადი, ქველი წერეთელი, ჩემთვის სულთანზე უფრო ძვირფასია. მე ხან ამილახვრისკენ მივაჭენებდი, ხან ვიმალებოდი, ხანაც ისევ მივაჭენებდი. და ტყუილ-უბრალოდ როდი გადაურბენია მელიას გზა ჯერ მარცხნივ. ხოლო შემდეგ მარჯვნივ: თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩემი თავადი. ნეტავ რა მოხდა, სტუმრად მყოფს ცუდად ხომ არ დაუგეს ლო-

გინი? რატომ ეჩქარებოდა ასე შინ? ვერ მოვასწარი შეძახება: „ო წმიდაო ქალწულო!“ — და მოურავმა გზა გადაუჭრა... ბედი კიდევ, რომ ჩემი თავადი უოჯახოდ ბრუნდებოდა. კიდევ მეორე ბედი ის იყო, რომ ერთბაშად შენიშნა მრისხანე მოურავი. ჩემი თავადის ნაცვლად, მოურავის ისარმა გარეული მტრედი ჩამოაგდო... სწორედ რომ დროზე გადაიფრინა. ჩემი თავადი კი ხრამში ჩაგორდა — ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, — და შემდეგ რამდენიც არ ვეძებე — მაშინ როცა მოურავი თავისი ბაშიბუზუკებიანად წავიდა, — რამდენიც არ ვიბობღე ხრამში, ჩემი თავადი ვერ ვიპოვნე. მაშინ ასე გავიფიქრე: მეფისაკენ უნდა ვიჩქარო, მეფის გარდა, ვინ დაეხმარება ჩემს თავადს-მეთქი? აი ყველაფერი ვთქვი... გამიშვი, მეფეთმეფეო, დუქანში, ორი დღეა პირში, გარდა საკუთარი კბილებისა, არაფერი არა მქონია.

— მოიცა, მსახურო, მერე როდის უნდა დაბრუნდეს აზნაური დათო კონსტანტინოპოლიდან, გრძელცხვირასა და დაღერემილს არ უთქვამთ?

— ყველაფერი ვთქვი, ბრწყინვალე თავადო შადიმან.

— მაგრამ, იქნებ, მათ თქვეს, როდის ელოდებიან იანიჩარებს.

— მე ყველაფერი ვთქვი, კეთილშობილო თავადო ზურაბ.

— თბილისზე არ აპირებენ თავდასხმას?

— მე ყველაფერი ვთქვი, დიდად პატივცემულო ხოსრო მირზა. გამიშვი დუქანში, მეფეთმეფეო! ორი დღეა, გარდა საკუთარი ენისა, არაფერი გამიღეჭნია.

— წადი, მსახურო. თუ საჭირო იქენი, ერთხელ კიდევ ღირსს გაგხდი მელაპარაკო.

— ნება მიბოძე, მეფეთმეფეო, შენი სადღეგრძელო დავლიო. — მერე გაუბედავად შეირხა და დასძინა: — არაგვის ერისთავის სადღეგრძელო ორი თასით უნდა დავლიო. მისი ქისა მისი დღესასწაულია.

გავიდა თუ არა მსახური, ანდუყაფარმა ბოროტად ჩაილაპარაკა:

— რას აპირებ, შადიმან? იანიჩარები ხომ მალე მობრძანდებიან.

— რასაც მეფე ისურვებს. მე მხოლოდ შაჰინშაჰისა და მეფეთმეფის ნების შემსრულებელი ვარ.

ზურაბმა წარბი ასწია: „დრო ნახა რაღა ხუმრობის განსაგრძობად! ცხადია, განზრახული აქვს ქართლ-კახეთის დაცვა შაჰინშაჰს მიანდოს“.

— ბრიყვმა მსახურმა გაგვახსენა კბილები და ენა! სადილი გველოდება! — უეცრად განაცხადა სვიმონმა, ადგა და დასძინა: — ისა-ხან, რას იჩქარი? ჩვენთან ერთად გაიზიარე საამო პურ-მარილი.

ხოსრო მირზამ და შადიმანმა შეუმჩნეველად გადაჰხედეს ერთმანეთს და გაილალნენ, რომ უზრდელი სიცილი არ ასტეხოდათ.

ზურაბი მარჯვედ გაძვრა განის კარში, ხელი ჰკრა მეისრეს, ყურს რომ უგდებდა, და თავის სამყოფელში წავიდა: ამჯობინა უარი ეთქვა ერთად „მხიარულ“ ჭამაზე. მივიდა თუ არა ნიშთან, სადაც ამაყად გაეშალა ფრთები ძვლის ორბს, რომელიც არაგვის ხეობას მოაგონებდა, ზურაბი ფიქრს მიეცა: „დათო სულთანთან არის! ყველაფერი გასაგებია, ტყუილ-უბრალოდ კი არ იყო აღტაცებული თეიმურაზ მეფე მისი მჭევრმეტყველებით. ეჭვიც არ უნდა, რომ საакაძე ჯერ თავს დაესხმის ანანურის ციხე-დარბაზს...“ ზურაბმა მკვეთრად გადაიკრიხა ულვაში, ფარდით დაბნელებულ ფანჯრისკენ წავიდა და დიდხანს იდგა ასე, თითქოს პირველად შენიშნა აბანოების გუმბათებიო. გონების სასწორზე წონიდა ხსნის ხან ერთ ხან მეორე ღონისძიებას. არა, რუსუდანი არ დამიცავს, მეტად ღრმად შეიჭრა ზურაბ ერისთავისა და გიორგი საакაძის ცხოვრებაში მტრობის ბილიკი. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ქმარს ურჩიოს განადგურებული არაგვის საერისთაო ბაადურს გადასცეს! კანონიერი მემკვიდრეა! მერე რა არის ზურაბ ერისთავი, თუ არაგვის საერისთაო არ ექნა? არაფერი! არაფერზე მეტიც! სამარცხვინო რამ თავადთა მთელი წოდებისათვის! ტყუილუბრალოდ კი არ აუყრიათ ქეჩო მგლებს, არა სურთ იცნონ ჩემი პირველობა. ბოროტი სიხარულის გარდა, არაფერს არ უნდა მოველოდე... მეფის ციხე-დარბაზშიც კი.

მაგრამ ასეთი არ არის თავადი ზურაბი! არ დაიეიწყონ, რომ იგი საკაძის მოწაფეა! იგი იმოქმედებს დიდი მოურავის შემოწმებული წესების მიხედვით.

უკვე შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა ზურაბმა ეტრატი გაშალა, ბატის ფრთის კალამი მარჯნის მელანში ჩააწო და პირველი სიტყვა დაწერა. უარი თქვა ქამაზე, ძილზე, და ერთი რამ აზრი უმსჭვალავდა ტვინს: როგორ გადავარჩინო არაგვის საერისთავოო.

წერილი დედისადმი, კნეინა ნატო ერისთავისადმი, გამსჭვალული იყო შვილის აუწერელი სიყვარულით. „ისე მომწყინდა, რომ მზადა ვარ დღედაღამ ვაქენო ცხენი, ოღონდ მალე ვნახო ჩემი უპკნობი, მშვენიერი დედა. მაგრამ... სამეფოს საქმეებმა თითქოს ჯაჭვით მიმაბეს მეტეხს, სადაც უჩემოდ არ სუნთქავენ არც მეფე და არც კარისკაცები. იმათ გამო კი არ ვარ ამდენ ხანს მეტეხში, არამედ იმის გამო, რომ მსურს გავადიდო არაგვის ერისთავთა დროშა. ეს ხომ მამაცმა ნუგზარმა მიანდერძა და დაუვიწყარი მამის ნება უნდა ასრულდეს. მაგრამ როგორ შეიძლება დამშვიდებით აშენებდე კოშკს, თუ საფუძველი ერყევა? ახლა ანანურის ციხე-დარბაზი მომაგონებს უდაბნოს, საიდანაც VI საუკუნეში ცამეტი სირიელი მამა გამოვიდა. რად ღირს სიმდიდრე, რომლითაც სავსეა ციხე-დარბაზი, თუ იქ ქალბატონი არ არის? და განა მტაცებლებისათვის საცთუნებელი არ არის დაიტაცონ საუკუნეობით შეგროვებული ძვირფასეულობანი? და სად მოვიყვანო ჩემი წარჩინებული ცოლი...“

აქ ზურაბს ენა დაება: არ შეიძლება მისწეროს — მაგდანა, შადიმანის ქალიშვილი. დედა გაჯავრდება: ძალიან ამაყობს ნესტან-დარეჯნით, მეფის ქალიშვილით... მაგრამ ვერავინ ვერ შეიტყობს და ვერ გაბედავს ხელთ იგდოს ერთგული არაგველის მეშვეობით გაგზავნილი წერილი... და ზურაბმა მკაფიოდ გამოიყვანა ეტრატზე: „ნესტან-დარეჯანი“.

მერე ცოტა დაფიქრდა და დაუმატა:

„ციხე-დარბაზში, რა თქმა უნდა, გამეფებულია სისაძაგლე მოოხრებისა! გემუდარები, ჩემო ქალბატონო და დედავ, დაბ-

რუნდი ანანურს და იქ ელოდე ჩვენს ჩამოსვლას. გარს შემოიკრიბე ჩვენი ერთგული მსახურები, დაე მორთონ ციხე-დარბაზი, დაფერთხონ ხალიჩები, დაწმინდონ ვერცხლის ჭურჭელი.

დაე შეარჩიონ სხვადასხვა ფერის სანთლები, ხოლო მზარეულებმა დაამზადონ საკმაო ტკბილეული. არ დაგავიწყდეს, მონადირეებს უბრძანე, მეტი დახოცონ ირემი და გამოშიგნონ ხოხობი. თუ ჩემს თხოვნას ყურადღებ, დაუყოვნებლივ დაბრუნდი ჩვენს ციხე-დარბაზში. შემდეგ... უხერხულია წლობით სტუმრად იყო ნათესავებთანაც კი, შვილიშვილებს შეუძლიათ გულში გაღარიბებულ კნეინად მიგიჩნიონ. არ შეიძლება შევიწყნაროთ ჩვენი გვარეულობის ასეთი შერცხვენა. უმჯობესია შენთან მიიწვიო სტუმრად დედოფლები და წარჩინებული კნეინები. როგორც კი ანანურს ჩახვალ, პაპუხი გამომიგზავნე ერთგული პავლეს ხელით და შენთან ჩამოვა დედოფალი მარიამი,—მან რამდენიმე შიკრიკი გაუგზავნა ხოსრო მირზას და უჩივის მოწყენილობას თვალადში. ტრიფილიოსიც კი აღარ ნახულობს ახლა მას. ხოლო მაღალაძეს ისე ეშინია ნოსტელისა, რომ თავისი აკლდამის გარეთ არსად არ გადის. შენთან ჩამოვლენ კიდევ სასიამოვნო კნეინები ლიპარიტისა, ქაჩიბაძისა და მათი შვილიშვილები და ძმისწულები. გასამხიარულებლად თბილისიდან სამოცი დღით გამოვგზავნი საზანდარს, ჯამბაზს, ინდოელ ფაკირსა და თვალთმაქცს. ცეკვისა და სიმღერისათვის ცოტა ლამაზმანი როდი გვყავს. ჩემო ქალბატონო და საყვარელო დედავ, ეცადე, რომ სუფრაზე იჯდეს სულ ცოტა ორმოცი კაცი, — მამას უყვარდა ასე თქმა: „ადამიანები სუფრის მშვენებაა“. ეჭვი არ უნდა: როცა შენს დაბრუნებას გაიგებენ, მოგროვდებიან აგრეთვე გაღარიბებული მეზობლები, ნათესავები. მოწვევის ღირსი გახადე ციხე-დარბაზის ერთგული მოურავები, რაზმელები და გუშაგები თავიანთი ოჯახებიანად. დაე შენ და შენს სტუმრებს არ მოაკლდეს მხიარულება და სიუხვე! დაე ყვაოდეს დარბაზი, როგორც ვარდი გაზაფხულის სინათლეზე! ნუმც უზეიმნიათ ჩემს მტრებს!“

კიდევ რამდენიმე მლიქვნელური სიტყვით და სურვილით ზურაბმა საბოლოოდ მიჩქმალა თავისი დაჟინებული თხოვნის ნამდვილი მიზანი: კნეინა ნატოს დაეტოვებინა უშიშარი თავშესაფარი და დაბრუნებულიყო ციხე-დარბაზში, რომელსაც ახლა ცეცხლის მდინარე ერტყა გარს.

წერილი რომ დაამთავრა, ზურაბმა ბატის ფრთის წვერს მოაშორა მარჯნის წვეთი, სისხლს რომ მოაგონებდა, მხრები გაშალა, ამომავალ მზეს შეხედა და, როგორც ჩვეულებრივ, როცა ჩანაფიქრი მოუხერხდებოდა ხოლმე, გადაიხარხარა. ერთი რაზმელის დატოვებაც კი საჭირო არ იქნება ანანურში: სააკაძე არასოდეს არ დაესხმის თავს ციხე-დარბაზს, სადაც რუსუდანის დედა ცხოვრობს.

შადიმანთან სადილზე ზურაბმა სთხოვა ხოსრო მირზას, რათა ანანურში დედოფალ მარიამის მიწვევისათვის დაერთო თავისი სურვილი, რომ დედოფალი, რომელიც ასე მწარედ უჩიოდა მარტოობას, წასულიყო გასართობად. მეო, უთხრა ზურაბმა, მის მხლებლებად გავგზავნი ათ რაზმელს, გავატან ცხენების პალანკინს და პირად განკარგულებაში გადავცემ ხუთ ქისა ოქროს. მაგრამ შადიმანის გამომცდელი თვალი რომ შენიშნა, უბრალოდ თქვა:

— კნეინა ნატო მოწყენილობას უჩივის, აგრეთვე დედოფალი მარიამიც. მე კიდევ რამდენიმე კნეინას ვპატიჟებ. ოღონდ თუნდაც დროებით ჩასვლა არ მთხოვოს.

— როგორ? განა კნეინა ნატო ქსნის ერისთავებთან არ არის?!

ზურაბმა განგებ გაიკვირვა:

— ნუთუ, თავადო, არ მითქვამს შენთვის, რომ უკანასკნელი ქარავანით მივიღე წერილი, რომლითაც კნეინა მთხოვა ვინახულო იგი, რადგან გადაუწყვეტია ანანურს დაბრუნება და არ უნდა გაემგზავროს ჩემს ჩასვლამდე.

— კნეინას დაბრუნება დიდი წარმატებაა. — შადიმანმა მხოლოდ გაიღიმა. — ახლა შენ, ზურაბ, შეგიძლია დამშვიდებით იძინო მეტეხში და განთიადამდე არ ფხიზლობდე. ციხე-დარბაზის კუნჭულებში ბევრი ცნობისმოყვარე დაინტერე-

სებულია, თუ რატომ ენთო მთელ ღამეს შენს სამყოფელში სანთლები.

— დამალვა რომ მდომოდა, ფანჯრებს უსათუოდ ჩამოვაფარებდი ბნელ ფარდებს. წერილებს ვწერდი დედოფალ მარიამს, კნეინა ლიპარიტისას და კნეინა ქაჩიბაძისას. გთხოვ, ხოსრო მირზა, ჩემს შიკრიკებს მისცე საშვები სიგელები ხსენებულ ციხე-დარბაზებში, რათა საჩუქრები გუშაგმა სარბაზებმა არ წაართვან.

— თუ აქ წყდება საუბარი კნეინა ნატოს გამხიარულებაზე, საჭირო ხომ არ იქნება ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები, თუ რა ვქნათ სააკაძისა და იანიჩარების გამხიარულების წინააღმდეგ?

— ჯერ კიდევ არაფერი გადაგიწყვეტიათ? მე კი მგონია, შადიმანისას განთიადამდე ენთო სანთელი თქვენი ფიქრების გამო... ცოტა გამიკვირდა კიდეც, რატომ დამივიწყეს-მეთქი.

— ჩვენს გარდა, ფიქრობდა აგრეთვე თავადი ციციშვილი, ღამით რომ მოიჭრა. დღეს ველოდებით ლიპარიტს. აი, ზურაბ, შემთხვევა გექნება პირადად სთხოვო თავადს გაუშვას კნეინა ანანურის დასაცავად. — შადიმანს გულუბრყვილო სიცილი აუტყდა.

— შენ.კი, შადიმან, არ შიშობ თავადის ასულ მაგდანასათვის? ერთხელ ხომ იგი „ვეფხვებმა“ მოიტაცეს... ამბობენ, ერთ-ერთი მტაცებელი ძლიერ შეყვარებულია თავადის ასულზეო.

— შემიძლია, ზურაბ, შემოგფიცო, რომ არ მეშინია! შენთვის დაპირებულ მაგდანას ისეთი მფარველი ჰყავს, რომ იგი მიუწვდომელია. ხოლო თუ ვინმეა მასზე შეყვარებული, საკვირველი როდია, იგი მშვენიერია, ვით მაისის ვარდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ ლაპარაკობ „ვეფხვზე“ კი არა, არამედ ქორ გურიელზე. მისი სიყვარული უსაზღვროა, როგორც ზღვა, რომელსაც იგი თავისი კლდიდან ხედავს. ამიტომაც არის, რომ მიუხედავად შენი უხვი დაპირებისა, არ თანხმდება არაგველების გამოსყიდვაზე.

— ერთი რამ მაკვირვებს, ჯერ კიდევ არ ჩამოვსულიყავ მეტეხში, რომ ეს უკვე იცოდნენ მუხრანში. განა ანანურში

ჩემი ყოფნა არ აკავებდა თავხედ ქაიხოსროს საშიში თამაშისაგან?

უეცრად შადიმანს თითქოს ადუღებული კუპრი გადაასხესო. მღელვარება მიჩქმალა, მეჩიბუხე მოიხმო და უბრძანა, სურები გამოცვალე და გაციებული ხილი მოგვართვიო: „წინათ რატომ ვერ მივხვდი? — გულში წამოიძახა კარისკაცმა. — რამდენ ღამეს ვწვალობდი: რამ გააჭრო-მეთქი მაგდანა?! თუ რატომ გაჭრა, ვიცოდი, — სძულს მას ზურაბი. ახლა კი თავს აღარ შევიწუხებ ფიქრით: ალიაქოთით ისარგებლა, ერთ-ერთ ურემში, რომლითაც ანანურიდან ცხენის საკვები ჩამოიტანეს, დაიმალა, ხოლო როცა უკან ბრუნდებოდა, ის საძაგელ დამშვიდებით წავიდა თბილისიდან... მოხერხებულ ადგილს ჩამოძვრა ურემზე და... შემდეგ... შემდეგ... ხორეშანმა თქვა: „დიდებულმა თავადმა დახმარება გაუწია მაგდანას ძმებთან გამგზავრებულიყო. დიდებული თავადი! რატომ დაესხა ქაიხოსრო მუხრანბატონი უეცრად თავს არაგველებს, ახლა საეჭვო აღარ არის: თავს დაესხა, რათა ჩამოეშორებინა ყურადღება. იმ საძაგელმა მას შველა სთხოვა. ვისაგან? მამისაგან? აგრეთვე ზურაბისაგან? კონსტანტინოპოლს მას გაჰყვა მხიარული დათო... მადლობის ნიშნად ჩემი ვაჟები „ვეფხს“ დაეხმარებიან სულთანს გამოსთხოვოს იანიჩარები“.

— შენი სადღეგრძელო იყოს, შადიმან, რაზე დაფიქრებულხარ ასე ძლიერ, სამჯერ დაგიძახე.

— იმაზე ვფიქრობდი, ზურაბ, რომ ყველაფრის გამჭვრეტი ბრძენებიც კი ზოგჯერ ხუმარების ჩაჩით დასეირნობენ. რატომ ვერ მივხვდით სააკაძის საელჩოს ამბავს? უნდა ვაცნობოთ ციხე-დარბაზებს, თავადები უნდა შეშინდნენ, უნდა დაივიწყონ პირადი მტრობა. უნდა გადავარჩინოთ წოდება და დაე იზრუნონ ციხე-დარბაზების გადარჩენისათვის, რადგან ნანგრევები, წერეთლის ციხე-დარბაზის მსგავსად, ნაკლებ ამშვენებენ წარჩინებულ საგვარეულოთა დროშებსაც კი. ხოლო რა მოუვიდათ თავადებს? დაჭერილ თაგვებივით დაბორიალობენ! ციციშვილი ირწმუნება, თითქოს მაღალაძეს სწრაფლმსრბოლი გაეგზავნოს ჭკვიან მოურავთან, სააკაძეს კი გაეგზავნოს იგი: „წაეთრიე! გადაეცი შენს თავადს: მე გამცემთა

დახმარება არ მინდა! და არც მესაჭიროება ჯარი, მალე იმაზე მეტი მეყოლება, რაც საჭიროა...“ თუ ჯარის ისეთი შემგროვებელიც კი, როგორიც სააკაძეა, დახმარებაზე უარს ამბობს, მაშინ ენაკვიმატმა მსახურმა სიმართლე თქვა... დათო, ეს სასიამოვნო დამყოლიებელი, ახლა სულთანთან არის და გამოსათხოვარ სადილზე ტკბილეულს მიირთმევს... განა ციციშვილიც ამიტომ არ მოიკრა? თავადები აბნეული არიან, ყველა ციხე-დარბაზს შიში შეეპარა, გრძნობენ, რომ მათ თუ თხილი არა, წიწაკა უეჭველად ერგებათ. ხოლო ერთად შეკრებასა და მტაცებლისათვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავენ.

— გამოდის, რომ წუხელ ტყუილ-უბრალოდ როდი მითათბირნია კუდმოკლე ეშმაკთან. ასეთი რამ მიკარნახა: შეშინებული თავადები მეტეხში მოიწვიე დიდ თათბირზეო.

— რაო რაზეა ლაპარაკი, ზურაბ?..

— ქართლის გადარჩენაზე...

— გმადლობ, თავადო! ისეთი ახალი ამბავი შემატყობინე, რომ განცვიფრებით თვალში ორად მეჩვენება!

— შემიძლია უფროც განგაცვიფრო... შენ ახლა, შადიმან, გამსჭვალული ხარ ფიქრით, თუ როგორ გადაარჩინო ციხე-დარბაზები.

— და შენ კი, ზურაბ, იცი როგორ გადაარჩინო?

— ვიცი.

შადიმანმა საუკეთესო ატამი ამოარჩია და ხოსროს ახლოს ვერცხლის ლანგარზე დადო. მერე ნატიფი მოძრაობით აიღო თასი და წარმოთქვა:

— გაუმარჯოს არაგვის ერისთავს! მალე დავცლით თასებს მთების მეფის სადღეგრძელოდ. მუდამ ვიცოდი — ზურაბ ერისთავი თავადთა წოდების დამცირებას არ ინებებს.

— გისმენ, კეთილშობილო ზურაბ.

— ახლა, უფლისწულო ხოსროვ, აშკარად უნდა ვილაპარაკო. — ზურაბმა კარისაკენ მიიხედა. შადიმანმა ეს შეამჩნია და ჩაიცინა:

— მშვიდად ილაპარაკე, ჩემთან ყურს არავინ გიგდებს. ეჩიბუხე, წადი, ღვინო თვითონ დაისხმის თასებში.

-- სააკაძე ემზადება თავს დაესხას მხოლოდ იმ ციხე-დარბაზებს, რომელთაც სარბაზები იცავენ. არც მისთვის არის ხელსაყრელი ახლა ქართლი ანგრიოს და ნაცარტუტად აქციოს.

— განა ქველი წერეთელს სარბაზები ჰყავდა?

— კარგად ვიცი, რომ არა ჰყოლია, მაგრამ „ვეფხვმა" იგი დააშინა დანარჩენებისათვის ჭკუის სასწავლებლად. ეეძლო თავისუფლად დასცემოდა თავს აგრეთვე ამირეჯიბს, ფირან ამილახვარს. და მაღალაძის დახმარებაზე უარი იმიტომ თქვა, რომ არ ენდობა, ახალგაზრდობიდანვე მტრობენ ერთმანეთს. და მაინც თავს არ ესხმის, მაშასადამე... ალბა მხოლოდ ირანის საწინააღმდეგოს ვარაუდობს.

— ყალბად ხომ არ გამიგია თავადი ზურაბის სიტყვები? ისღა დაგვრჩენია, რომ ქართლიდან გავიყვანოთ სპარსეთის ჯარი?

— მე გაგაფრთხილეთ, უფლისწულო: აქ რომ ანდუყაფარი ან ისა-ხანი ყოფილიყვნენ, ასე გულახდილად არ ვილაპარაკებდი. გამოსავალი არ არის, სულთანისათვის ხელსაყრელია დახმარება გაუწიოს სააკაძეს, — ეს, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ვინა კარგი იქნება, რომ იანიჩარებმა სააკაძის წინამძღოლობით ქართლში გაწყვიტონ ირანის „ლომის ლეკვები"? განა შაჰინშაჰს ხუმრობა უყვარს?

— შენ ცდები, თავადო, გამოსავალი არის: ისმაილმა დაუყოვნებლივ უნდა გამოგზავნოს ათი ათასი სარბაზი, ასე უბრძანებს ისა-ხანი. არ უნდა გავაზვიადოთ: სულთანი ათი ათასზე მეტს სააკაძეს არ გამოუგზავნის. ვთქვათ, უნიფხი მოლაშქრენიც ორი ათასამდე იქნებიან. ხოლო აზნაურთა რაზმები უდაბნოს მტვერია, ათას ხმალზე მეტს ვერ შეაგროვებენ.

— ხოლო მუხრანბატონი? ქსნის ერისთავი? გურიელი? ან ლევან დადიანი? როცა იანიჩარების მოსვლას შეიტყობენ, განა დასახმარებლად არ გამოეშურებიან? ხოლო საფარფაშა? არა, უფლისწულო, შეცდომა საშიშია. სააკაძეს მუდამ უყვარდა მტრის ძალების გაზვიადება, თავისი ძალებისა კი შემცირება, ასე უფრო სწორია.

—რა გაეწყობა. მოგვიხდება ისმაილ-ხანს თხუთმეტი ათასი გამოვთხოვოთ, და აქაც თხუთმეტი ათასზე ნაკლები არ გვეყო-

ლება... მე ერთხელ უკვე დავამარცხე სააკაძე მუხრანის ველში.

— ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა დაგიფაროს, უფლისწულო, მეორე ასეთი გამარჯვებისაგან.

— უცნაურად ლაპარაკობ, ზურაბ. მეფისწულმა დიდი გამარჯვება მოიპოვა.

— მე მგონია, ჩემო შადიმან, რომ გამარჯვება არშის ციხე-დარბაზის გზაზე სარგებელს მოუტანდა მხოლოდ ანდუყაფარსა და გულშარს, მაგრამ არა ათასობით სარბაზს, რომლებიც არც კი დაუმარხავთ.

— განა მეტად აშკარად არ მსჯელობ, თავადო?

— ასე უნდა მოვიქცე, რადგან შორს არ არის დრო, როცა მეფისწული ხოსრო კახეთის მეფე უნდა გახდეს. მერე რა სარგებლობა ექნება ქართველ მეფეს შაჰსეი-ვაჰსეი მოუწყოს სარბაზებსა და იანიჩარებს საქართველოს მიწაწყალზე?

— არ მეკადრება მე ასეთი სიტყვების მოსმენა. ჩემი მბრძანებელია შაჰინშაჰი და მხოლოდ მან იცის, რაზდის და რა უნდა გავხდე.

— მსურს კიდევ გაგაფრთხილოთ, — იჩქარა ზურაბმა, რაკი დაინახა, ხოსრო ადგომას აპირებსო. — უკვე ცნობილია, რომ სააკაძე თავს დაესხმის ჩემს ციხე-დარბაზს... რადგან არაგველები სარბაზებთან ერთად იფარავენ მთიელებს. ქველი წერეთელს რომ არ დავემსგავსო, დილით უკვე გავგზავნე შიკრიკი და ვუბრძანე: არაგველთა ათასები წავიდნენ ანანურს და დაიცვან თავად ერისთავების ღირსება — ციხე-დარბაზი, სადაც ჩემი დედა ცხოვრობს. შემდეგ, — მე სამართლიანად მგონია, — განა საკმაო არ არის, რომ ჩემი ორი ათასი ცხენოსანი მარტო დგას მუხრანისა და ქსნის ციხე-დარბაზების წინააღმდეგ? თუ მათს შესაცვლელად არ გაგიგზავნიათ ანდუყაფარის თუნდაც ათასი რაზმელი, იქიდან მოვხსნი არა ათასს, როგორც გადაწყვეტილი მაქვს, არამედ მთელ დაცვას... რადგან მესაჭიროება გავამაგრო აგრეთვე დუშეთი. გთხოვ, მეფისწულო, ამ ციხიდანაც გაიყვანო სარბაზები. — ზურაბი ადგა, ზრდილობიანად დაუკრა თავი ხოსრო მირზას, შემდეგ შადიმანს და გავიდა.

მხოლოდ ორი დღის ცხარე დავის შემდეგ მოახერხა ისა-ხანმა დაეჯერებინა ანდუყაფარი, რომ ათასი რაზმელი გაეგზავნა არაგველთა შესაცვლელად: „არ შეიძლება მთიელთა ცთუნება: დაცვის შესუსტებას რომ იგრძნობენ, ისინი მყისვე ბრძოლით გაეშურებიან საკაძესთან. ზურაბი მართალია, რატომ მარტო მისი ჯარი უნდა განიცდიდეს საშიშროებას და გზას უღობავდეს ქსნის ერისთავებს, აკავებდეს მუხრანბატონის ძლიერ ჯარს? ანდუყაფარი თითქმის არაგველთა მეზობელია და არშის გზა ჭრის არაგვის ერისთავის სამფლობელოს და ფასანაურის ხეობას. მაშასადამე, თვით ალაჰი გვირჩევს ჩაკეტილი ვიყოლიოთ მთიელები. ზურაბმა აღგვითქვა ქსნის ერისთავებისა და მუხრანბატონების ციხე-დარბაზების ახლოს კიდევაც გააძლიეროს დაცვა, რადგან ქაიხოსრო სიმამაცითა და მოსაზრებულობით არაგვის ერისთავის ღირსეული მოწინააღმდეგეა“.

ასევე გადაწყდა გაედიდებინათ მსტოვართა რაოდენობა. ერთმა მარჯვე მარაბდელმა ამას წინათ ისიც კი მოახერხა, რომ ვითომ მჭედლად შესულიყო ბენარში. სამ დღეს ეძებდა სამუშაოს მჭედელი: ციხე-დარბაზში დაუკაკუნა კარს — არ შეუშვეს, ჩვენიც ბევრი გვყავსო. მაგრამ მან მაინც მოახერხა შეეტყო, რომ გიორგი საკაძის დესპანი, აზნაური დათო, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა იმერეთიდან, სადაც თითქოს იარაღის შესაძენად გაემართა. თუმცა, მალე მოელიან ამბავს, — მჭედელს ჩურჩულით აცნობა საკაძის ჯამაათიდან მზარეულის მოწაფემ, რომელიც ბაზარში მწვანილს ყიდულობდა. ჰალვითა და რაჰათ-ლუხუმის ნაჭრით შეცდენილმა მზარეულის მოწაფემ აღუთქვა, როგორც კი მოვლენ. მაშინვე შეგატყობინებ, დიდი ქარავანი მოდგაკენ თუ არაო.

შადიმანს რომ სცოდნოდა, ეს „მზარეულის მოწაფე“ — უფრო სწორად, მზვერავი — არჩილის ბრძანებით გაელაპარაკა მარაბდელს, მაშინ იგი ისე მოხარული არ იქნებოდა თავისი მსტოვრის სიმარჯვისა.

გადაწყდა, გამოეყენებინათ დრო და მომზადებულიყვნენ იანიჩარების შესახვედრად. იანიჩართა ურდოები უკვე ყველანი დაუფლებული იყვნენ მუშკეტის სროლის ხელოვნებას და ზარბაზნები მათ ყიზილბაშებზე ნაკლები როდი ჰქონდათ.

ანდუყაფარი ძლივს მალავდა გაცოფებას და თვითონ გზავნიდა თავის ათას რაზმელს, რომელთაც უბრძანა, ტყუილ-უბრალოდ ნუ ჩაებმებით ჩხუბში და არშელთა რაოდენობა ნუ შეამცირებთო... იგი გულშარს ანუგეშებდა და არწმუნებდა, რომ თბილისის კარის დასაცავად ათასიც საკმაოა, ხოლო მეტეხში, სადაც მეფეა მისი ძმა, ასი შვილდოსანი, შუბოსანი და მედროშეც მეტად ბევრიაო.

„ომის გამოცხადება ჯერ საჭირო არ არის, — ურჩევდა გულშარი და ტუჩებს იკვნეტდა, — დაე ხოსრო მირზამ იომოს, ამისთვის ჩამოვიდა ირანიდანო".

ანდუყაფარმა რომ ჭკუიან კნეინას მოუსმინა, დამშვიდდა. და მართლაც, არც ერთი თავადი ციხე-დარბაზიდან ცხვირს არ ყოფს გარეთ, და რა გინდ დაჟინებით არ მოითხოვდეს შადიმანი, ყველანი თითქოს დაყრუვდნენ. ბაშ რატომ უნდა ჩაუვარდეს პირში მტაცებელს ანდუყაფარი? დაე ისა-ხანი ეცადოს, ამისთვის ჩამოვიდა ირანიდან.

თავი მესამე

ქარავნის უფროსს, „სამთვალა" არაგველს — ასე ეძახდნენ მას ორბის გუგის გამო, რომელიც ჩოხაზე ჰქონდა მიმაგრებული და რომელიც თითქოს დახმარებას უწევდა მოგზაურობისას საფრთხის გამოცნობაში — ალბათ ზედმეტი მღელვარების არავითარი მიზეზი არა ჰქონდა. და სწორედ დღეს „სამთვალა" უდარდელად შესცქეროდა ცისკიდურს. მის ულვაშებს ჯერ კიდევ არ დაჰფენოდა რუხ-ყვითელი მტვერი და მათარაშიც კიდევ იყო გულის გამამხიარულებელი რამდენიმე ყლუპი ღვინო. ასეთი ნიშანი იმას მოწმობდა, რომ ქარავანს მცირე მანძილი გაევლო. მაგრამ ახალ ქისაში, რომელიც მოსიყვარულე ცოლს შეეკერა ქირმანის შალის ნაჭრებისაგან, მუდამ ჩხრიალებდა ვერცხლის ფული და გზისპირა დუქნისაკენ მიმართავდა მის ფიქრს.

ცა კი! რა უხვად აფრქვევს იგი სილურჯეს ტყიან მთებს, მზის სხივებში რომ ბრწყინავენ. განა ამიტომ არ არის ძვირფასი მადლიანი ჩრდილი, რომელიც ვიწრო გზაზე გადმოზიდულ კლდეს დაუფენია?

და უეცრად საპხის ბუშტის ოდენა შავი ღრუბელი სადღაც შორეულ მწვერვალს გადაღმა ამოტივტივდა და სწრაფად უახლოვდებოდა ხეობას, და თუმცა ორბის გუგა არაგველის მკერდზე მწვანედ არ აციალებულა, როგორც რიგი იყო, იგი მოღუშული მივიდა ტახტრევანთან, ორ შეკაზმულ ცხენზე რომაა გაბმული, და დაბლა დაუკრა თავი.

— დედოფალთა დედოფალო, ქარიშხალი ახლოვდება, უბრძანე ტახტრევანდი გზისპირა ქარვასლისაკენ მიაბრუნონ.

ოდნავ შეირხა ჰაერივით ცისფერი ფარდა და გამოჩნდა დედოფალ მარიამის სახე, რომელიც გადამწიფებულ ლიმონს ჰგავდა, რომელსაც შეეძლო სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინა მხოლოდ შადიმანზე, მაგრამ, ეაგლახ, იმ შემთხვევაში, თუ იგი მარიამისა არ ყოფილიყო. მან ზიზღით შეხედა ქარავნის უფროსს და ისეთი მძაფრი სიცილი აუტყდა, რომ მის ყურებზე გრძელი საყურეები აქანავდნენ. თუმცა მას დიდ ხანს უცხოვრია თვალადში განდეგილივით, მაგრამ თურმე, სწორედ ამიტომ იცის, რომ ქარიშხლის ნახვა აგვისტოში შეიძლება მხოლოდ ფაიფურის ფინჯნებზე დახატული ან აბრეშუმის ბალიშებზე ამოქარგული. მან გაისწორა ჩიხტიკოპში გამომძვრალი შეღებილი თმა და მბრძანებლურად წარმოთქვა: არა მსურს შევიდე უმნიშვნელო ქარვასლაში და მირჩევნია ჩემი სტუმრობით გავახარო რომელიმე თავადის ციხე-დარბაზი, ჩემი მეფური მსვლელობის გზაზე რომ უნდა იყოსო.

არაგველმა მოწიწებით მოისმინა გრძელი ნაბრძანები და სინანული გამოთქვა, რომ ახლომახლო თავადებს ჯერ კიდევ არ უზრუნვიათ იმისათვის, რომ ხეობის ან აქეთა, ან იქითა ნაპირზე აეგოთ ციხე-დარბაზი, ამიტომ, რაგინდ სამწუხაროც იყოს, იძულებული ვართ შევიდეთ გზისპირა ქარვასლაში, სადაც ალბათ უკვე გაეშურნენ აქლემები, სახედრები და ცხენები, რომელთაც გზაში შავმა ღრუბელმა მოუსწროო.

ტახტრევანდში თითქოს ჭოტმა დაიკივლაო, გაისმა წყევლა-კრულვა, ფარდა განზე გაფრინდა და განრისხებულმა ნარიმ გაიოიხედა. განვლილ წლებს არ გაუძლიერებია მისი მსგავსება მშვიდ ანგელოზთან და ჩვეულებრივ მისდგა ხრინწიანი ხმით „სამთვალას", მას რომ ყეყეჩივით მიშტერებოდა: „რეგვენო, განა არ იცი, საღ ეკადრება გაჩერება დედოფალთა დედოფალს?!"

მაგრამ არაგველს სიტყვის შებრუნებაც ვერ მოესწრო, რომ ცამ მყის წამოიბურა რუხ-თეთრი მოსასხამი — და დაიწყო... მთებიდან დაუბერა გიჟმა ქარმა, ტახტრევანდს ეძგერა, ვით მოჯირითემ ჭენებით წარიტაცა აბრეშუმის ფარდები და დროშასავით ააფრიალა ჰაერში.

ქარავნის უფროსმა ფიქრით დაუბრუნა ნარის მისივე ნათქვამი, ცალენს მოევლო, მათრახი დააწივლა და სადღაც გაილალა მოთეთრო ნისლში. მას მიჰყვა ქარავანი, საპალნეს რომ მაღლა-მაღლა ისროდა და ტახტრევანდსაც უმოწყალოდ არხევდა.

ჯერ კიდევ იშვიათად იჭრებოდნენ დაბლა დაშვებულ შავ ღრუბლებში მზის მიბნედილი სხივები, მაგრამ უკვე მრისხანედ გაკრთა ელვა, თითქოს ქაჯმა ცას სტყორცნა თავისი ვერცხლის წალდი და ერთბაშად ერთმანეთს ახალა უზარმაზარი ლოდებიო. დაიგრიალა მეხმა. გაყრუებული ცხენები შიშით აჭიხვინდნენ და მოსახვევისაკენ გაიჭრნენ. ტახტრევანდი შეირხა, გაისმა მაგარი ხის ლაწანი. ქარიშხლის საშინელ ქუხილში, მთები რომ იხმობდნენ, აღარ ისმოდა არც ნარის გინება, არც ორი პირისფარეშის წივილი და არც დედოფალ მარიამის მოთქმა.

გზა მკვეთრად დაეშვა დაღმართში, რამაც განსაკუთრებული მიბზიდველობა მისცა ჭენებას. უცრად მოღრუბლული ციდან ჩამოვარდა ყინულის მარცვალი. და დაიწყო სეტყვის ჭახანი. ხის ტოტებში გაბლანდული ხოშკაკალა მალე გადაიქცა ყინულის კაკლად და ულმობლად დასცხო ტყის გიგანტებს. ქვიან შვერილებსა და კლდეებს. თითქოს ღრუბლები კი არ ეხლებიან ერთმანეთს, არამედ ორწოხების ავი სულები დედამიწის ზედაპირის სულებს ერკინებიანო.

ნაბადში გახვეული არაგველები ძლივს აკავებდნენ ტახტრევანდს, რომ გაჭენებულ ცხენებს არ გადაეგდოთ. სეტყვა კი თვალსაჩინოდ ბრჭყვიალებდა ალმასივით და ცვიოდა ტახტრევანდში, ქარიშხლის ცივ ნასუნთქში რომ გახვეულიყო. ცხენები დამთხვეულივით მიჰქროდნენ.

მარიამის საბედნიეროდ, წინ უკვე მოჩანდა ქარვასლის თეთრი კედლები, ახროტინებული ცხენები, ქაფის ფანტელებს რომ ისროდნენ, სტუმართმოყვარულად გაღებულ ჭიშკარში შევარდნენ.

დაბალთაღოვანი გრძელი შენობა ფართო ტლანქი ტახტებით კედლების გასწვრივ, რომელთაც გახეხილი ფარდაგები ეფინათ, მარიამს მხსნელ სამოთხედ ეჩვენა, რადგან ნარიჰთან და მოსამსახურეებთან ერთად შეაფარა თუ არა თავი მას, ციდან უხვად წამოვიდა უკვე მტრედის კვერცხისოდენა სეტყვა.

ოთხკუთხ ეზოში, სადაც გაყინული აუზი მოჩანდა, თვალის დახამხამებაში გაქრნენ ადამიანები და ცხოველები. ბევრი თანხმიერობა და სასიმღერო მელოდია სმენოდა მარიამს თავის მეფურ ცხოვრებაში, მაგრამ ახლა მის ნატიფ სმენას ხვდებოდა მხოლოდ გამაყრუებელი ჭიხვინი, ძაღლების ყმუილი, ცხვრების გაკვირვებული ბღავილი, ღორების ჭყვიტინი და ქათმების კრიახთან შეზავებული სახედართა და აქლემთა ყროყინი. გაკვირვებული იცქირებოდა მარიამი ვიწრო ფანჯარაში, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ეზიზღებოდა თავისი ხმა შეერწყო ამ წარმოუდგენელი გუნდისათვის.

მაშინ მარიამი ფიქრებს მიეცა. იმ დროიდან, რაც თბილისიდან შიკრიკი მოვიდა და თან მოიტანა ხოსრო მირზას, თავისი მამაცი ქმრის — მეფე გიორგი X — ბიძაშვილის წერილი და ზურაბ ერისთავის წერილი, მოუთმენლობის გამო მოსვენება აღარ ჰქონდა. თვალადი ქალთა მონასტრად ეჩვენებოდა. სადაც უფერულად ილეოდნენ მისი სიცოცხლის დღენი, და თუმცა მეტად მობეზრდა ჩუქურთმიანი პატარა მაგიდა, ვერცხლის საქვეშარი ძვლის ჭოტის სახით, ნარის რომ აგონებდა, დაუცხრომლად აწრიპინებდა ბატის ფრთის კალამს, წერილებს წერდა ლუარსაბს და ემუდარებოდა: დაემორჩილე მრისხანე, მაგრამ მოწყალე შაჰ აბასსო. ზედიზედ იგზავნებოდა ჩაფარი

თვალადიდან გულაბს მოწოდებით ლუარსაბისადმი — მეფედ დაბრუნებულიყო მეტეხს, რათა მისთვისაც, ნამდვილი დედოფლისთვისაც, გაეღო ბაგრატიონების სახლის დამაბრმავებელი კარი. მაგრამ „სასტიკი“ შვილი კვლავ ჯიუტობდა და იგი, ქართლის მბრძანებელი, „ღვთისსწორი“, იძულებული იყო განეცადა არა მარტო უაზრო მოწყენილობა, არამედ დამამცირებელი შეზღუდვაც, მორთულობის ნაკლებობაც.

წინათ საკაძე თუნდაც ძუნწად, მაგრამ წელიწადში ორჯერ წესიერად უგზავნიდა ხოლმე „მეფის გულუხვობის სკივრიდან“ წკრიალა ფულით სავსე მძივის ფოჩებიან ქისებს, წინამძღვარი ტრიფილიოსი კი — საჩუქარს, განსაკუთრებით ქვათახევის მონასტრის სატრაპეზოდან, მოსამსახურეთა თვალს რომ ახარებდა: ღვინოს, კარაქს, თაფლსა და ყველს. ან სხვანაირად როგორ იქნებოდა?! ის ხომ დედოფალია! თვალადი სავსეა მოსამსახურეებით, ქეშიკებით, მონადირეებით. ნარი ჩივის: „ყველა უნდა არჩინო, რომ ქვეშევრდომთა თვალში არ ბნდებოდეს აღტაცების ციალიო“.

ასე დღითიდღე ილეოდა მძიმე, საზიზღარი, მაგრამ წყნარი ცხოვრება. შემდეგ გაქრა საკაძე და მასთან ერთად უფსკრულში დაიკარგა ფოჩებიანი ქისები. მერე გაქრა ტრიფილიოსი, ამბობენ, რაკი კათალიკოსის მხრივ დაცვის იმედი არა ჰქონდა, რუსეთში გაიქცაო, და თითქოს ღრუბლებში დაიცარა საქმელ-სასმელიანი კალათები. მართალია, კათალიკოსს არ მოუკლია თავისი წმიდა ყურადღება, მაგრამ აბა როგორ შეიძლება მეფურად ცხოვრება მარტო ეკლესიის წყალობით? აქ უნებურად თვითონაც ფრესკად გადაიქცევი! კიდევ კარგი, რომ დროზე ჩამოვიდა ხოსრო მირზა, თორემ სულ გახუნდებოდა თვალადი, ოდესღაც დიდი ბაგრატიონების მშვენიერი სამყოფელი.

მაგრამ ახლა მოწყალე ზრუნვა და კეთილისყოფაც საკმაოა მისთვის! ამიერიდან მისმა ერთგულმა მოსამსახურეებმა ისე იცხოვრონ, როგორც შეუძლიათ. მან კეთილინება და პატივი დასდო კნეინა ერისთავისას ერთ წელიწადს მისი სტუმარი იყოს. დიახ, სწორედ „პატივი დასდო“, ზურაბმაც ასე მოსწერა... ხოლო მისი უხვი საჩუქრები! ისინი ეყოფა შემდეგ

თვალადში სამი წლის უზრუნველი ცხოვრებისათვის. ორი მოსამსახურის გარდა, ნარიმ წამოიყვანა კიდევ ათი ყმა და ამდენივე ცხენი. თვალადში დატოვა მხოლოდ ათი მამაკაცი და ხუთი ქალი, დაე იტანჯონ. ნარიმ მათ უბრძანა თესონ ფეტვი, ახმონ ხილი, იმარაგონ თაფლი და ამრავლონ პირუტყვი და ფრინველი. ხოსრომ მოიწერა, რომ იქნება მხიარულება. დიდი ხანია დროა! მოწყენილობამ გული გააწყალა, ეს დედოფალთა ხვედრი როდია!

უეცრად მარიამ ფანჯარას მოსწყდა, საამო ფიქრები დაიცარა დილის ნისლივით: ქარვასლის ჭიშკარში შემოდიოდნენ ნაბდებში გახვეული ცხენოსნები.

აგვისტოში მოულოდნელმა სეტყვამ აზნაურებსაც მოუსწრო ტყეში. ისინი უკვე დაიყვნენ ჯგუფებად. „ვეფხვებმა" მარცხნით გაუხვიეს, სადაც დათქმულ ადგილას უნდა შეხვედროდნენ საკაძეს. ქვლივიძე და მოლაშქრენი ბენარს გაემგზავრნენ — იქ, მოურავის ციხე-დარბაზში, იგი დაარიგებს ნადავლს. ნოდარი, გუნია და ასლამაზი გორისკენ გაუხვევენ; გზაში, გლეხების თხოვნით, მოკლე ხნით უნდა ენახათ სოფელი, სადაც პარპაშებდნენ მამედ-ხანის მიერ სურსათის საშოვრად გაგზავნილი სარბაზები. ამბავი უცნაური ქარიგნისა, რომელსაც დახურული ტახტრევანდი მიჰქონდა, „ვეფხვებს" მუხრანელმა მზვერავმა აცნობა.

გასაგებია, საკაძესა და ყველა „ვეფხეს" არაგველზე ნაკლებ როდი შეეძლოთ ცის სიანცის გამოცნობა. და უწყინარი ღრუბელი ჯერ კიდევ არ დაჰკიდებოდა მზის წვეტიან სხივს, რომ „ვეფხვები" ქარვასლისაკენ გაეშურნენ. სადღაც ქვემოთ ერასტიმ გამოიცნო გაჩქარებული არაგველები. მით უკეთესი, შეხვედრა თითქოს შემთხვევით მოხდება. ვისთან? უთუოდ არა მეგობრებთან.

„ვეფხვები" სეტყვას იფერთხავდნენ თავიანთ ნაბდებზე და გაცხოველებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— პირდაპირ უნდა ვთქვა, — თქვა პანუშმა და განგებ შეშფოთებით მოისვა ხელი შუბლზე, — ჩვენი თავები ქვისაა, თორემ როგორ გადარჩნენ?

სააკაძემ ზღუობლს გადააბიჯა, სწრაფად მოავლო თვალი სადგომს და განცვიფრებული შედგა. ყველაფერი შეიძლებოდა გვეევარაუდნა: სამეგრელოს კარისკაცის გამოქცევა, შეშინებული ქაოთლელი თავადის გადასახლება, ხანის უკან დახევაც კი, მაგრამ გადამდგარი დედოფალი მარიამი! მაგრამ არაგველები, რომლებიც, თითქოს გაქვავებულანო, უძრავად იდგნენ შუაგულ ოთახში!

მარიამმა შენიშნა საშინელი მოურავის მისკენ მიპყრობილი თვალი და გულგახეთქილმა შეჰკივლა: „მიშველეთ! მიშველეთ!“. მაგრამ არავის ყურადღება მისი გაბმული კივილი, ნარის მოთქმა და მოსამსახურეთა მუდარა. გაძლიერებული სეტყვა ქვასავით სცემდა სახურავს, ფანჯრის რაფებს, ხტუნავდა ხის აივანზე. პირდაღებულმა არაგველებმა და ქალთა საშინელებით გამსჭვალულმა თვალებმა გაამხიარულეს „ვეფხვები“. სააკაძემ ღიმილი შეიკავა და მათრახის ტარით აუწია ნიკაპი მის წინ თაედახრილ პატრონს.

— შენ რაო, მტვრიანო გუდავ, გაგიჟდი? როგორ იღებ დედოფალ მარიამს?

ქარვასლის პატრონმა ძლივს დაძლია დარცხვენა და წაიბუტბუტა:

— ბატონო, საიდან ვიცოდი, რომ ის დედოფალია? რამდენიც არ ვკითხე, ხმა არ გამცა. მხოლოდ შენ შეგიძლია მეხის გრიალი ჩაახშო! ბატონო, განა ღმერთმა ნება მისცა წმიდა ელიას ყინულის კაკალი აგორაოს შემოდგომაზე? გაზაფხულზე სად იყო? რატომ მაშინ არ უშენდა სეტყვას, ახლა კი...

— კარგი, — ჩაიცინა სააკაძემ, — ზოგჯერ წინასწარმეტყველებსაც უყვართ ხუმრობა. მოიტანე საუკეთესო ხალიჩები, ხავერდის მუთაქები. უთუოდ თავადებისათვის გაქვს მომარაგებული?

— აგრეთვე დიდი მოურავისათვის.

— არაბული მაგიდა დადგი, ალბათ მდიდარი ვაჭრებისათვის გაქვს?

— წარჩინებული „ვეფხვებისთვისაც“.

— საუკეთესო საჭმელები მოართვი. მზარეულს უთხარ: დედოფალი სტუმრად მიბრძანდება ზურაბ ერისთავისას, უნდ-

აამო, თორემ არაგველი თავადი ქარვასლის პატრონს თავს გააგდებინებს-თქო.

მარიამი გონს ვერ მოსულიყო გაოცების გამო. მასაც გრგვინვასა და სეტყვაში ესმოდა მოურავის სიტყვები, ხოლო ნარის ყელში რაღაც უხრიალებდა. მოსამსახურენი პატრონის დასახმარებლად დაფაცურდნენ, და მალე მარიამი, რომელმაც კვლავ შეიძინა ჩვეული ღირსება, დიდებულად დაბრძანებულიყო რბილ ბალიშებზე, გაშლილ ხალიჩაზე რომ იყო დაყრილი. ხალიჩა გაშალეს იატაკზე და მარიამის ფეხებთან ბიბიტახეს არაბული პატარა მაგიდა. მოსამსახურენი მოარბენინებდნენ ხონჩებს, დოქებს, მოჰქონდათ ხილით სავსე ლანგრები, დადგა სანელებლებით შეზავებული საჭმელების სუნი.

მაგრამ როცა პატრონმა, მუდამ რომ ზრდილობიანად თავს იხრიდა, სააკაძეს სთხოვა, ცხელ ჩანახსა და ცივ ღვინოს ნუ იუკადრისებო, სასიხარულოდ, პასუხად მიიღო: „ვეფხვებს“ ეჩქარებათ და, როგორც კი წინასწარმეტყველებს ლელოს თამაში მობეზრდებათ, გაემგზავრებიან. ღვინო კი ყველა აზნაურს მიართვიო.

სააკაძემ დაუთბეგსა და როსტომს გადაჰხედა, დედოფალთან მივიდა და ერთხელ კიდევ მოწიწებით დაუკრა თაყვი.

მარიამი მთლად აიბნა და მოჰყვა ოჯახის ამბის გამოკითხვას, გაიხსენა ხორეშანიც, რომელმაც, „ღმერთმა შეუნდოს“, მთლად დაივიწყა დედოფალი, ვისაც იგი შვილივით გაუზრდია.

სეტყვა ნელდებოდა, და უკვე შეიძლებოდა დაუძაბავად ლაპარაკი. სააკაძე მოწიწებით იჯდა მისთვის მოტანილ სკამზე და საუბრით ართობდა დედოფალს.

მიახლოებული დაუთბეგი და როსტომი რომ დაინახა, „სამთვალამ“, რომელიც არაგველებთან ერთად ფრთხილად მოთავსებულიყო გრძელი სადგომის მეორე მხარეზე, იარაღისაკენ გააპარა ხელი. „ვეფხვებმა“ ჩაიცინეს.

— როდის აქეთ ესალმებიან აზნაურები ერთმანეთს იარაღით?

— მე რა აზნაური ვარ? თვით მოგეხსენება, პატივცემულო დაუთბეგ, მამაცმა ნუგზარმა მ'ახური დამაწინაურა.

— ჩვენ კი, შენი ფიქრით, მეფეებისაგან გამოვიჩეკეთ?

— თუმცა მეფეებისაგან არა, პატივცემულო როსტომ, მაგრამ მაინც მეფის აზნაურები თავადებისაზე უფრო მაღლა, საეკლესიო აზნაურებზე მაღლაც კი დგანან.

— დიდი ახალი ამბავი კი გვითხარი! ყოველ შემთხვევაში იცოდე: აზნაური აზნაურია — მაღალი, დაბალი, სულერთია ერთი წოდებაა. მაშასადამე, იარაღით ამქრები არიან.

ნაამებმა არაგველმა ულვაში გადაიგრიხა და შესთავაზა, დავლიოთო. როსტომმა მაშინვე უბრძანა, საუკეთესო ღვინო მოგვიტანეთო.

— განგებ შემოვუხვიეთ აქ, — დაიწყო როსტომმა.—ქალბატონი რუსუდანი დედისათვის წუხს.

— კნეინა ნატო კარგად ბრძანდება.

— მაგას კი არ მოგახსენებ... გარშემო სპარსელები არიან, როგორ გადაწყვიტა ანანურს დაბრუნება?

— სპარსელები მიდიან.

— როგორ?! — გაიკვირვა როსტომმა. — განა ხოსროს აღარ ეშინია, რომ ხევსურები, ფშავლები და მთიულები მოურავისაკენ გამოიჭრებიან?

— მირზა რას ფიქრობს, არ ვიცი, ჩემს ბატონს კი...

— არ ეშინია, — ეშმაკურად მოუჭუტა თვალი მეორე არაგველმა. — განა არ შეგიტყვიათ, რომ თითქმის ყველანი თუშეთში წავიდნენ?

— არც თუ ყველა, — ძლივს დამალა მღელვარება დაუთბეგმა, მიიხედ-მოიხედა და არაგველისაკენ მიიწია, — მეფე თეიმურაზი, სანამ ერთიორად მეტ ჯარს არ შემოიკრებს, ვიდრე ისმაილ-ხანს ჰყავს, კახეთზე არ გაილაშქრებს.

— თქვენ საიდან გაიგეთ, რომ მეფე თეიმურაზი თუშეთშია? — წამოიძახა განცვიფრებულმა არაგველმა.

როსტომმა შეუმჩნეველად გადაჰხედა დაუთბეგს და ხმას დაუდაბლა:

— ძალიან ნუ იყვირებ, მიხავ, ხოსრო მირზამდე არ მივიდეს.

— უკვე მივიდა, ამიტომ თბილისზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ანანურზე, მიუხედავად ამისა, ჩემმა ბატონმა ზურაბმა მოითხოვა, კნეინა ნატო რომ დამშვიდებული იყოს,

ანდუყაფარის ათასმა რაზმელმა გორი დაიცვას. უკვე ჩამწკრივებული არიან ფასანაურის ხეობიდან ზემო ბილიკამდე. — არაგველმა იქედნურად მოუტა თვალი: — გამოდის, რომ ვერც მთიელები თქვენთან და ვერც თქვენ მთიელებთან სტუმრად ვერ მიბრძანდებით.

— რა დროს სტუმრობაა? — იმიამიტა დაუთბეგმა. — ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი მეფე თეიმურაზის, წყეული სპარსელების წინააღმდეგ ამ დაუცხრომელი მებრძოლის გამარჯვებას.

არაგველი უნდოდ დაიღმიჭა, სურდა გაემართლებინა ზურაბი და ცოტა რამ ეამბნა, მაგრამ თავშეკავებით თქვა:

— აბა რომელი ქართველი, თუ არა ძაღლი, ფიქრობს სხვანაირად?

— ე-ე, აზნაურო, სიფრთხილეს თავი არ ტკივა. განა თავადი ზურაბი ხოსრო მირზას სტუმარი არ არის?! — დაუთბეგმა და როსტომმა დიდმნიშვნელოვნად გაიცინეს.

— რატომ... რატომ გგონიათ, რომ სტუმარია? — აიბნა არაგველი. — იქნებ ამით ანანურის გადარჩენა სურს.

— ვისგან?

— ი... იმ...

— გინდა თქვა — მოურავისაგანო?

— არა, რატომ კეთილშობილი მოურავისაგან? განა ბუხრან-ბატონი უფრო საშიში არ არის? ან ქსნის ერისთავები?

„ვეფხვები" განგებ ცხარობდნენ:

— მერე რა, ახლა ზურაბს დამშვიდებით შეუძლია დახმარება გაუწიოს თეიმურაზ მეფეს: დედოფალი მარიამ და მისი ნარი ანანურის დასაცავად მიდიან.

— ეგ ვინ გითხრათ? — არაგველი შეშფოთებით ათვალიერებდა „ვეფხვებს" და უეცრად გადაჭრით განაცხადა: — არაგვის ერისთავს არ სჯერა, რომ თეიმურაზი გაიმარჯვებს და ამიტომ არ დაეხმარება მეფეს.

— მერე ქართველთაგან სხვანაირად ვინ ფიქრობს თუ არა ძაღლი?!

არაგველი ძალზე წამოჭარხლდა. ხელი კვლავ ხმლისაკენ გააპარა, მაგრამ დაუთბეგი ადგა, მუშკეტი გამართა და დაუმიზნებლივ გაისროლა მაღლა.

— არ ვარგა, როცა წესიერ ქარვასლაში ობობა გაჩნდება: ეგერ თაღზე სველი ლაქაა. — და ისე გამოუშვა ბოლი, რომ არაგველი მის მოლურჯო ნაკადში გაეხვია. — უკაცრავად, მამაცო აზნაურო, უნებურად შეგაწუხე. — მერე მობრუნდა და ხმამაღლა დაიძახა:—იქნებ წავიდეთ, გიორგი? აი აზნაური თანახმაა გადასცეს კნეინა ნატოს ქალბატონ რუსუდანის სალამი.

— სალამი? რა თავაზიანია! — სააკაძემ თავი დაუკრა მარიამს, დარბაზი გადასჭრა და არაგველებთან მივიდა. — და განა თავს შევიწუხებდი მგლის ხროვასთან შეხვედრისათვის? ქალბატონ რუსუდანს სურს წერილი და საჩუქარი გაუგზავნოს კნეინა ნატოს. ამოარჩიე, მამაცი ნუგზარის საყვარელო მეომარო, ორი არაგველი, დაე გამოგყვნენ როგორც ანანურის მფლობელის შიკრიკები.

— დიდო მოურავო, — არაგველი შეშფოთებული იხედებოდა გარშემო, — მივალ თუ არა, კნეინა შიკრიკებს გამოგზავნის. საშიში გზაა! აქ დათვიც არის, ფოცხვერიც, ალაჯის იქით მოჯადოებული ტყეა, კლდიდან კლდეზე ობობას ქსელი გაბმული და ობობას ნაცვლად კუდიანი წუწნის მსხვერპლს. შემდეგ კი ორი ნაკადულია: ერთი ცხენს ფლოქვებს აყრევინებს, მეორე კი — ტყუილად როდი ჰგავს სატევარს — ცხენოსანს ყველაზე ძვირფას რამეს აჭრის. როგორ გავბედო ორი მეომრის დაკლება? თვითონ ხედავ, დედოფალს ვახლავართ.

— პირდაპირ გეტყვი, მიხაკ, ყეყეჩი ხარ! კუდიანს ეშმაკის სალამი გადაეცი — ნაკადულებს დააცხრობს. ხოლო რაკი ვთქვი, ახლა წავიყვან ორს, შენ უნდა ინანო, რომ ხუთი არ მიმყავს. რად გავახელოთ კუდიანი? — სააკაძემ ოდნავ დაუდაბლა ხმას. — ფასდაკარგული ჭოტისა და დაბერებული გომბეშოს დასაცავად ისინიც კმარა, ვინც დაგრჩება. ჰოდა ასე. შიკრიკები აირჩიე, თვითონ კი პატივით გააცილე დიდად პატივცემული დედოფალი და დაუჩქარე! — სააკაძე მკვეთრად მობრუნდა და დარბაზიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ აზნაურები უკვე გადიოდნენ ჭიშკარში. პატრონი ზღურბლზე იდგა, მადლობას იხდიდა, სიხარულს არ მალავდა და დაბლა უკრავდა თავს. გამოცდილება უკარნახებდა, რომ შეიძლებოდა სისხლის მღვრელი ბრძოლა მომხდარიყო. მერე რა საჭიროა სისხლის წვეთები? სჯობს ფული დაცინცლო გამვლელთ! არაგველ ქარავანბაშს კი მოუხდება თავადის ზედმეტ ქისას მოხსნას თავი, რადგან მოურავმა გონებამახვილურად ბრძანა ყველაფერი ძვირფასი მოგვართვითო, მტერს კი გადაახდევინა.

ქარიშხალი ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. ჰაერი ჯერ კიდევ გაჟღენთილი იყო თოელიანი მთების სიგრილით, ჯერ კიდევ მთებს გადაღმა უხალისოდ ნელდებოდა გრგვინვა, ხოლო კლდეთა შვერილებზე წკრიალით ცვივოდა დაგვიანებული ლოლუები, მაგრამ მცხუნვარე სხივებით დაგლეჯილი ღრუბლები იფანტებოდნენ და განბანილი ცა ალერსიანად ახურავდა დამშვიდებულ დედამიწას მტრედისფერ კარავს.

ორი არაგველი მოღუშული და შეშფოთებული უცქეროდა ერასტისა და მათარსს, რომელნიც მათ ბადრაგობდნენ, როგორც დატყვევებულთ.

დაუთბეგი და როსტომი ერთბაშად მიხვდნენ, რომ საკაძეს არ სურდა გზაში ელაპარაკა დიდმნიშვნელოვან საქმეზე, რადგან ნიავს მსტოვარზე უარესად როდი მიაქვს საიდუმლო სიტყვები მტრის ყურამდე. და ისინი განგებ მხიარულად ლაპარაკობდნენ მრისხანე „ვეფხვთან“ სასიამოვნო შეხვედრით შეშინებულ მარიამ დედოფალზე.

დიმიტრი ირწმუნებოდა, ზურაბის ტურებთან შეხვედრამ მომაწყურა და მოუთმენლად ველოდები პირველ სოფელს, სადაც შემეძლება ნება მივცე მახვილს, ქარქაშში რომ დიდხანს სძინავსო. ამაზე ერასტიმ მოოუშვით უპასუხა:

— წყურვილზე ქარვასლაში უნდა გეფიქრა. დილიდანვე მშივრები მოვძუნძულობთ, გემრიელი ჩანახი კი რატომღაც მტრებს მივართვით.

— ე-ე, მოუაზრებელო აქლემო! განა ჩანახი თივად არ იქცევა, როცა გარშემო ავი სულები ფუსფუსებენ?

— მეც აგრე მგონია, როსტომ. გომბეშოებიც ნუ მოეშალოთ საუზმედ! საიდან გამოტყვრნენ?

ჩაფიქრებული მისჩერებოდა საკაძე მთის ტყეს, სიყვითლე რომ ოდნავ შეხებოდა, და უეცრად მიბრუნდა დაუთბეგისაკენ:

— უცნაური დღეა, მკვეხარა მტერზე დიდი გამარჯვების შემდეგ ვბრუნდებით, დამამშვიდებელი წვიმის ნაცვლად კი ქუხილი და სეტყვაა.

— გაზაფხულის ქუხილია, გიორგი. ეს კარგის მომასწავებელია.

— ხოლო „ჭოტთან" შეხვედრაც გაზაფხულს ნიშნავს? არა, მეგობარო, არ მომწონს დღევანდელი დღე. ხომ იცი, ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ... რაღაც იდუმალი განზრახვა იგულისხმება მის მოულოდნელ სვლებში.

— ეგ ბედისწერაა! მოდი, გიორგი, დავიმონოთ ის საძაგელი. — და დაუთბეგმა ანაზდად იშიშვლა სატევარი და მკვეთრად მობრუნდა.

ცხენებმა ყური დაცქვიტეს, განზე გახტნენ და გამაყრუებლად იჭიხვინეს. კლდის ნამსხვრევებში, მათთან შეხამებული, გაწოლილიყო ძუ ვეფხვი, მაგრამ მისი ბეწვის გარდიგარდმო ზოლები არ გამოპარვია დაუთბეგის გამჭრიახ თვალს. გაისმა დაბალი, ხორხისმიერი ბგერა „ღმუუ" და მტაცებელი, რაკი იგრძნო, დამინახესო, გადმოსახტომად მოემზადა. მაგრამ ავთანდილმა მყის გადმოიღო მოვერცხლილი მშვილდი, ძალუმად მოსწია ლარი ინდური წესით — მარჯვენა ყურამდე — ორად მოღუნა მშვილდი და ისარი სტყორცნა.

ორბის ფრთებმა, ისრის ბოლოს რომ ესხა, ჰაერში გაიელვეს და აღნიშნეს აწივლებული ისრის გეზი. „ღმ-ამ" — ხმამაღლა დაიღრიალა ძუ ვეფხვმა და კლდის შვერილზე გადმოეშვა. და მყისვე ისრის წვერო მარჯვენა თვალში ჩაერჭო.

ვერც სპარსული ჯავშანი და ვერც თურქული ფარი ვერ აკავებდა „ვეფხვთა" საბრძოლო ისარს, ას ნაბიჯზე ხვრეტდა იგი თითის სიმსხო მუხის ფიცარს. და ძუ ვეფხვი ავთანდილის ფეხთან დაენარცხა ძირს სასიკვდილოდ დაჭრილი ისე, რომ მაწყინრამდე ვერ მიაღწია.

ბრწყინავდა მზეზე ოქროსფერზოლიანი ბეწვი, გამარჯვებულის უნაგირზე რომ უმწეოდ ეკიდა: „ვეფხვები" ისე

დამშვიდებული განაგრძობდნენ გზას, თითქოს გავლით ვერაგი მხეცი კი არა, უწყინარი ბატკანი მოეკლათ. ავთანდილმა ისარი ამოაძრო თვალში მტაცებელს, ტარსიკონის ნაჭრით წმენდდა და რაღაცას თავისთვის ცხვირში ღიღინებდა.

არაგველები, უზარმაზარ ტყავს რომ უცქეროდნენ, მთლად დაღონდნენ.

შეშფოთება არ შორდებოდა თავად ღაზნელს. პირიქით, რაც უფრო მეტი გულის გამაწვრილებელი დღე, რაც უფრო მეტი დამაღონებელი კვირა გადიოდა, მით უფრო ღრმად იჭრებოდა ეს შეშფოთება მოლოდინით ნაწამებ მის გულში. თავადი ნერვულად იგრეხდა თეთრ ულვაშს, ფხიზლად უგდებდა ყურს: სააკაძე ხომ არ ბრუნდებაო, და უფრო დაბლა იხრებოდა ბავშვის ლოგინზე, მზად იყო ყოველ წუთს მიჭრილიყო შვილიშვილის, თავისი შეუდარებელი განძის დასაცავად.

ტყუილად არწმუნებდა რუსუდანი: საფრთხის დროს მალული სასელელი საუკეთესო თავდაცვაო. ამაოდ ამტკიცებდა ხორეშანი, არც აგრე ადვილია საფარ-ფაშის სამფლობელოში შემოვრაო, თუმცა, ფაშის თანხმობით, ამ სამფლობელოს სანიხევროდ გიორგი სააკაძის მეომრები იცავდნენ.

წვეტიანი ცხვირი გაუთეთრდა თავადს, რაც მის მღელვარებას ამჟღავნებდა. იგი გაჯავრებით მოაგონებდა თავადთა ვერაგობას, რომლებიც ღაზნელს მტრობდნენ, მოაგონებდა ძლიერ გამაგრებულ ციხე-დარბაზზე თავდასხმას, სადაც მათ ამოწყვიტეს ღაზნელთა კეთილშობილური გვარი და დაეუფლნენ მის სიმდიდრეს. იგი ფიცხდებოდა ამ მოგონებით და მტკიცედ მოითხოვდა — დაუყოვნებლივ წაეყვანათ შვილიშვილი აფხაზეთში, სადაც ზღვაც ახლოს არის და მთებიც იქვეა.

დავას რომ შეწყვეტდა, მოხუცი თავადი ოცნებით მიაპყრობდა თვალს სივრცეს, თითქოს უკვე ხედავდა ზღვის ლარივით სწორ გზას და კარჭაპის ანძაზე ღაზნელთა ამაყად აფრიალებულ ალამს.

და აი მოულოდნელად, ერთ ნისლიან საღამოს, ციხე-დარბაზის გალავანს გარეთ აგუგუნდა ნოსტური ბუკი. ცხენის

აჩქარებული ფეხის ხმა ისე გაისმა, როგორც დოლის სადღესასწაულო რაკრაკი. ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შემოაჭენა ცხენი ქვლივიძემ, რომელსაც გარს ეხვევნენ აზნაურები და მოლაშქრეები, მათს უკან კი მოზოზინებდა ნადავლით დატვირთული ცხენთა ქარავანი.

უზანგებზე შემდგარი ქვლივიძე იქნევდა ფაფახს, რომელზეც მიმაგრებული იყო ორი შემოდგომის ვარდი: წითელი და ნარინჯის ფერი. სასწრაფოდ გამოსული მსახურნი ჩირაღდნებით აშუქებდნენ, და იგიც იძლეოდა განკარგულებას.

— ჩვენს უკან ერთ აღაჯაზე ტაატით მოდიან სპარსთა და მათ დამქაშთა ძვირფასეულობით დატვირთული ურმები. ვფიცავ წინასწარმეტყველის წვერს, ყველაფერი გამოადგებათ აზნაურებსა და მოლაშქრეებს! — ხმამაღლა დაიძახა ვიღაცამ ბნელში.

— ტყუილად როდი მოუთრევიათ აქ, — ჩაერია მაღალი მოლაშქრე, რომელიც ისე ჩამოხდა ცხენიდან, როგორც სკამიდან,—„ვეფხვებზე“ უფრო სამართლიანად ვერავინ გაყოფს.

განსაკუთრებით აღელვებდნენ მოლაშქრეებს ფეხწვრილი ფიცხი ცხენები და რუხი, შავი და ყვითელი ფოლადის ხმლები. საუკეთესო მარცვალი და ღვინო პატარა ტიკჭორებით განკუთვნილი იყო ქალებისა და ბავშვების საჩუქრად, ლავაში და შუშხუნა ღვინით სავსე თიხის ჯამები მხიარულებას შეიტანენ ბნელ მიწურებში. მაგრამ მოლაშქრენი მაინც დიდებულ რემასთან და იარაღის ნაკრაულებთან შეგროვებულიყვნენ.

ძლივს მოახერხა ქვლივიძემ დაერწმუნებინა მოლაშქრეები: კმარა, მოშორდით ცხენებს, გახარებული დარეჯანის გამართული პურ-მარილი იგემეთ და დაისვენეთ გააფთრებული ომის შემდეგო.

— ხოლო როცა ურმები მოვლენ, — გრგვინავდა ქვლივიძე, რომელმაც ვარდები მოგლიჯა ფაფახს და დარეჯანს გადასცა, — აზნაურთა და მოლაშქრეთა ამორჩეული პირები მიუკერძებლად გაყოფენ...

დილით „ვეფხვებმა“ მოაჭენეს ცხენები.

ორი არაგველი რომ დაინახა, ქვლივიძე ერთ ხანს მიშტე-

რებოდა, თითქოს საკუთარ თვალს არ უჯერისო, და უეცრად დაიღრიალა:

— ტურები! ტურები! დაჰკათ მაგ მამაძაღლებს!

— მოიცათ! — გაეცინა როსტომს. — ესენი კნეინა ნატოს შიკრიკები არიან.

ყველას უკვირდა, რომ არაგველები თავისუფალი დატოვეს და აქმეე-ასმეედნენ რაზმელებთან ერთად, რაც აზნაურთა უკმაყოფილებას იწვევდა.

არაგველებმა სცადეს ხუმრობა: როცა ხეს წააქცევენ, ყველანი მისცვივდებიან — ცულიანებიც და უცულოებიც.

რაზმელებმა წყრომით მიუგეს:

— აქლემი როგორც უნდა წაიქცეს, კუზი მაინც უჩანს.

მხოლოდ არჩილი უცქეროდა დამშვიდებით არაგველებს: გული საგულეს ჰქონდა, რადგან, სხვების შეუმჩნევლად, მიუჩინა არაგველებს თავისი ორი მზვერავი და თანაც გააძლიერა მცველები ჭიშკართან, — არჩილის ნებადაურთველად არავის შეეძლო ციხე-დარბაზიდან გასულიყო.

დამთავრდა თუ არა მხიარული პურისჭამა, საკაძემ უძილო ღამე მოიმიზეზა და თავის კოშკში ავიდა. იქ შეუმჩნევლად ავიდნენ „ვეფხვებიც“.

საკაძემ ყურადღებით მოუსმინა დაუთბეგსა და როსტომს, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, კედელზე დაკიდებული ნუგზარის ხმალი გაასწორა და ტახტზე დაჯდა.

— მიხვედრა ძნელი როდია, ტურამ გაამაგრა თავისი ციხე-დარბაზი და ჩემი რაზმელებისათვის მიუწვდომელი გახადა. და მცველებიც ცოტანი არიან — სულ ერთი კნეინა ნატოა. მაგრამ ხომ სიტყვა მოგვცა, რუსუდანის დაუკითხავად ანანურს არ დავბრუნდებიო.

— ტურას სიმარჯვეს ვერ ვუძრახავთ. მხოლოდ თუ თეიმურაზს ეხმარება, მეტეხში რატომ შადიმანის შემდეგ გახდა პირველი? და კიდევ — განა ანდუყაფარს დაემალებოდა რამე? შადიმანის მოტყუება კი აგრე ადვილი როდია!

— ადვილი არ არის, ჩემო დაუთბეგ, მაგრამ ატყუებს. რა თქმა უნდა, მთიელები თუშეთში ზურაბის თანხმობით წავიდნენ, რაც ისა-ხანმა არ იცის. არაგვის საერისთაო სარბა-

ზებისაგან გაწმინდა ხოსრო მირზას თანხმობით; რა მიზნით— შადიმანი ვერ ხვდება. შემდეგ თბილისიდან გაიყვანა ანდუყაფარის ნახევარი ჯარი, რომელმაც აგრეთვე არ იცის ნამდვილი მიზეზი. რას ამზადებს ტურა? ვფიქრობ, ჩემს მოსპობას დაჰპირდა, ამიტომაც მეტეხში ყველა აამებს. მაგრამ...

— მეც ვეწვალები: რატომ არის, რომ ორ დიდ მრჩეველს — დაუთბეგსა და როსტომს — მიხა ხელში ჰყავს და ვერაფერი დააცდენია?

— შენც რომ დასახმარებლად მოგვეწვიე, მაშინაც იმას, რაც შევიტყეთ, აღარაფერი მიემატებოდა; — მშვიდად მიუგო როსტომმა.

— და განა ის ღელის სატანა მზად არ არის თავისი ხელით გაიძროს ტყავი ზურაბისათვის? — იწყინა დაუთბეგმა და მათრახი მტვრიან წაღზე შემოიკრა. — შენ რაო, გრძელცხვირა კოდალავ, უჭკუობას გვისაყვედურებ? თვითონ შეგეძლო დარწმუნებულიყავ, რა ერთგულია საზიზღარი მსახური ბილწი თავადისა. შეიბრალე მუტრუკი, დაე თვითონ იგლიჯოს კუდი.

— ნუ დავობთ, ჩემო „ვეფხვებო", მალე პაპუნა შეგვატყობინებს ყველაფერს. ის ორი არაგველი ხომ, რომლებსაც დროზე გავუშვებთ, ანანურს კი არ გაეშურებიან, რათა რუსუდანის წერილი და საჩუქრები გადასცენ, არამედ მეტეხს.

— რატომ აგრე გგონია, გიორგი? — გაიკვირვა პანუშმა.

— არ მეეჭვება, რომ, დაინახავენ თუ არა დათოსა და გივის, რომლებიც სადაცაა დაბრუნდებიან სტამბოლიდან, არაგველები ტურასთან გაიქცევიან, რათა გააფრთხილონ, რომ სულთანი დახმარებას გაგვიწევს.

— და რომ არ გაგვიწიოს? — ოდნავ შეშფოთებით იკითხა მათარსმა.

— სულერთია, მეტეხისათვის ხელსაყრელია ხმა, რომ გაგვიწევს. როგორც კი ზედა კოშკიდან გუშაგი დათოს დაინახავს, შენ, როსტომ, შეუმჩნევლად გასწევ მის შესახვედრად და გააფრთხილებ მეგობარს, მაგრამ დაბრუნდები, რასაკვირველია, მარტო და კვლავ შეუმჩნევლად. გახსოვდეთ, რომ არაგველები ზურაბის გაწვრთნილი არიან, მაშასადამე, სულერთია, რაღა ჩვენი და რაღა იმისი.

— ახლა მესმის, — გადაიხარხარა დიმიტრიმ, — რა ხათაბალა ატყდება მეტეხში. ხოსროსაც კი ძილი დაეკარგება.

— მეც მაგგვარი რამის იმედი მაქვს. გახსოვს, სიტყვა რომ მივეცი თუშებს, სპარსელებს განვდევნი-მეთქი. აქ, ჩემო მეგობრებო, დიდი თამაშია. საჭიროა, რომ თეიმურაზმაც შეიტყოს, — გულს მოიცემს.

— მე კი, გიორგი, თავს ვიტეხდი, სულ ვფიქრობდი: რად უნდა-მეთქი ეს ორი გაუმაძღარი არაგველი? ან რატომ ასე თავისუფლად ჰყავს, როგორც საპატიო შიკრიკები? ხომ ხედავ, რამდენი ხანია შენს ახლოს ვარ და მაინც ვერაფერი ვისწავლე! აი დათო, დაუთბეგი, როსტომი, დიმიტრი...

— შენ რაო, მუტრუკო, საათნახევარია ჩემს სწავლულობაზე გალობ, ვით სპარსული ბულბული?

— განა ასე არ არის? მე მხოლოდ ერთი რამ ვისწავლე: დიდი მოურავის ნების შესრულება.

— ჩემი კი არა, ქართლისა. და... ჩემო პანუშ, შენ ერთგული მოვალე ხარ სამშობლოს წინაშე, ცოტა რამ როდი შემიწირავს მისთვის. გაიხსენე ჟინვალის ბრძოლა. შენ თავი გამოიჩინე, როგორც წარჩინებულმა მეომარმა. და კიდევ ვიტყვი: სად არის შენი სახლი, სად არიან ცოლი, შვილები?

პანუშმა დამნაშავესავით დახარა თავი.

— რისთვის წუხ, გიორგი, განა ასე უფრო თავისუფალი არა ვართ?

— ჩემო მათარს, წინათ სულ სხვანაირად ფიქრობდი.

— წინათ? მაშინ ალბათ არ ვატარებდი შავ თვალსახვევს და ამიტომ ცუდად ვხედავდი.

— ისეთს, როგორიც შენა ხარ, ქართველი ქალიშვილი ცალთვალასაც ძლიერ შეიყვარებს.

— გამოდის, პანუშ, თვალის ნაცვლად შუშა გაქვს, რაკი ვერ ამჩნევ, როგორ წითლდებოდა შენს ახლოს ქეთევანი, სიუშის შვილიშვილი...

— იქნებ, განგებ არ ვამჩნევ ჯერჯერობით. ცოლი სად უნდა წავიყვანო? ხურჯინში ხომ ვერ ჩავისვამ?

— მამასთან ვერ წაიყვან დროებით?

— მამის იმედით ცოლს არ ირთავენ.

დაუთბეგმა, რომელიც მალავდა სიყვარულსა და თანაგრძნობას მეგობრებისადმი, ყველაზე ხმამაღლა გაიცინა.

ზოგჯერ კაცი ტკბება ვარსკვლავთა ცქერით და ჰგონია, რომ იმათზე მშვენიერი არაფერია. და უეცრად ცის ტატნობზე ნარნარით ამოდის ბადრი მთვარე და აღტაცებულ ადამიანს ავიწყდება ვარსკვლავები და მთლად იხიბლება მიუწვდომელი ციური ხომალდით.

ასე იყო დღესაც: თუმცა საგუშაგო კოშკებიდან ყური მოჰკრეს ურმების ჭრიალს, რომლებსაც მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ ნადავლის მოახლოებას არავინ გაუხარებია, რადგან უეცრად ორი ცხენოსანი გამოჩნდა გაქაფულ ცხენებზე, ვერცხლით რომ იყვნენ აღკაზმულნი, და ციხე-დარბაზისაკენ გაეშურნენ, უკან მათ ორი რაზმელი მოსდევდათ.

ერთის გამაყრუებელმა ყვირილმა, მეორეს — სიცილმა და ცხენების საზეიმო ჭიხვინმა. ააფორიაქა მოლაშქრენი. ძილი ყველას გაუტყდა ციხე-დარბაზში.

აზნაურები ალაყაფის კართან მიიჭრნენ; დარეჯანმა ძლივს მოასწრო შალის მოხურვა; უფროსი მზარეული ხელს იწმენდდა ფეშტემალზე და ცდილობდა გაესწრო ომარისათვის; ისარივით მიჰქროდნენ იორამი და ბეჟანი.

აივანზე გავიდნენ რუსუდანი, გიორგი, შესამჩნევად გახარებული ღაზნელი და ხორეშანი, მაღლა რომ აეყვანა ხელში პატარა დათო.

ხოლო საგუშაგო კოშკიდან მთელ ციხე-დარბაზში გაჰკიოდა ავთანდილი:

— დათო და გივი! ვაშა! სტამბოლიდააან! ჰეი, მეგობრებო!

გივიმ, შემოაჭენა ცხენი ჭიშკარში თუ არა, გამაყრუებლად დაიყვირა:

— გამარჯობა „ვეფხვებო", გამარჯობა აზნაურებო!—მერე უეცრად მიბრუნდა და ორ რაზმელს შეუტია: — ფრთხილად, რეგვენებო! ხურჯინები არ აურიოთ! არ იცით, რომ მაგაში, ძვირფასეულობის გარდა, ბროლის ყალიონია მოურა-

ვისათვის თვით სულთნის ნაჩუქარი? ჰეი, რუსუდან! დარეჯან! გამარჯობა! დათო, შეხედე ვინ ჰყავს ხელში ხორეშანს!

„ვეფხვები", მოლაშქრეები, აზნაურები, რაზმელები და მოსამსახურეები გარს შემოეხვივნენ დათოსა და გივის და ცხენიდან ჩამოხდომის საშუალებას არ აძლევდნენ.

— რაო? რა გითხრათ სულთანმა? — აღელვებით წამოიძახა ნოდარმა.

შემდეგ კი გამოძახილივით იმეორებდნენ მოლაშქრეები:

— რაო? რაო?

— წმიდა გიორგის გულისათვის! რაო?

— რა გითხრათ სულთანმა?

დათო აროხროხდა:

— თურქეთის სულთანმა არაბული სიბრძნით გვიპასუხა: „თუ დაბრუნებულ „ვეფხვებს" ქართული მადა ექნეთ, აქამეთ თუნდაც სპარსული ცხვრის ბარკალი" — და რაკი დაინახა, სულერთია ჩამოხდომის საშუალებას არ მომცემენო, დათო უნაგირზე შედგა. — ვიცი თქვენი მოუთმენლობის ამბავი, და მეც ასე შევხვდი სერალის საღოდინო დარბაზში ვეზირ ოსმან-ფაშას. — ქულაჯის უბედან ფირმანი ამოიღო და გაშალა. — მთავარ ნაწილს წავიკითხავ. იმედია, მერე ნებას მომცემთ ჩამოვხდე? აი, გაიგონეთ:

„... ვის შეუძლია უარი უთხრას გიორგი საკაძეს? ძრწოდნენ ოქროსრქიანი სტამბოლისა და ზურმუხტოვანი გურჯისტანის დაუძინებელი მტრები მოურავ-ბეგის მახვილის წინაშე! მე, მსოფლიოს მბრძანებელი, ალაჰის კარის მცველი, სამოთხის კარს ვუღებ ღირსეულთ. დაე კვლავ ბრწყინავდეს მოურავ-ბეგი დიდებისა და სიმდიდრის შუქით! და იცოდეს მან: ტურები იმისთვის არსებობენ, რომ იჩხავლონ. და ნუ დაივიწყებენ ისინი, რომ ძალაუფლება სადავეს ემსგავსება: ხელს შეუშვებ — და ცხენი სხვა მხრით წავა. ბრძენები გვარწმუნებენ: ვარსკვლავები მანამდე ბრწყინავენ, სანამ არ ჩაქრებიან; მზე — სანამ მთვარე არ დააბნელებს, ბატონი კი — სანამ მწვერვალზეა. და მე დავეხმარები გაუფრთხილებელ მოურავ-ბეგს კვლავ ავიდეს მწვერვალზე და ხელთ იგდოს სადავე... ვუბრძანებ ჩემს ვეზირს ოსმან-ფაშას აღმოუჩინოს..."

დათომ უეცრად შეწყვიტა კითხვა და გაოცებული მიაშტერდა არაგველებს. მერე გულისწყრომით დაახვია ფირმანი, როსტომს გადაუჩურჩულა, მხრები აიჩეჩა და უკმაყოფილოდ დაიყვირა:

— ჰეი, გივი, რაო, მაგ ცხენს ხომ არ შეეხორცე? — უნაგირს გადმოევლო და ჩამოხდა. ხალხმა უტია.

როსტომი კი სწრაფად მივიდა ომართან, რომელიც არაგველების ახლოს იდგა და განგებისი უკმაყოფილებით ჰკითხა: არაგველები რატომ არ წაიყვანე, როცა დათო მოვიდაო. განა ყველაფერი უცხოთა გასაგონია? ომარმა, თითქოს აიბნაო, მიმოიხედა, მაგრამ არაგველები მიხვდნენ, უნდა წაგვიყვანონო, და სადღაც გაილალნენ.

ზეიმმა ნაშუაღამევამდე გასტანა. რაზმელებმა უზარმაზარი კოლოტები გამოიტანეს, ირგვლივ დააწვინეს. მზარეულები უკვე ატრიალებდნენ ცეცხლზე ბატკნებს, ციკნებსა და ბურვაკებს. თავს აბრუებდა წიწაკის, ღვინისა და ქონის სუნი. ბოლქვებად მიცურავდა კვამლი. ფარდაგებსა და სკამებზე გაჩნდა ფიალები, შოთები, ყველი, მწვანილი, ხილი.

წინა ეზოდან მოურავის პატივსაცემად მოისმოდა „მრავალჟამიერი“. ავთანდილი, იორამი და ბეჟანი ჯგუფიდან ჯგუფთან გადადიოდნენ, უმასპინძლდებოდნენ და თვითონაც სვამდნენ, არაგველები ცდილობდნენ თვალში არ მოხვედროდნენ აზნაურებს, სვამდნენ, ჭამდნენ, თანაც ყველაფერს უთვალთვალებდნენ.

ღაზნელიც კი გამხიარულდა: ქრებოდა შიში, შეშფოთება, და გულკეთილად იცინოდა, როცა დათო ხან კოცნიდა პატარა დათოს, ხან ხეების ხშირ ტოტებამდე ისროდა, ხან ცხენზე აჯენდა და ხელში ხმალს აძლევდა.

გივი ვეღარ ითმენდა, სურდა საჩუქრები დაერიგებინა ქალებისათვის, მაგრამ როსტომმა წასჩურჩულა: უხერხულია მრავალი სტუმრის წინაშე, ხომ ყველას უნდა გავუნაწილოთ. მალე დაიშლებიან და მაშინ იქნება მაგისი დროო.

გივი ოხრავდა, ხან მათარსს ეხეოდა, ხან პაპუნას და აამბობინებდა გორის, ბირთვისის აღების, ქველი წერეთლის ამბავს, და სულ იმას ნანობდა, რომ ვერ დაესწრო. თუმცა

„ვეფხვებმა“ სასწრაფოდ უამბეს გივისა და დათოს ელვისებურ ოიზე, მაგრამ კვლავ და კვლავ სურდათ მოესმინათ.

ხოლო ქვლივიძე განუწყვეტლივ იღებდა ყანწს და თავადებს უსურვებდა ყოველი ღამე ისე მხიარულად გაეტარებინათ, როგორც გულკეთილი აზნაურები ატარებდნენ.

დიმიტრი გამაყრუებელი „ვაშათი“ უპასუხებდა მოხუც აზნაურს და ჰფიცავდა, მზად ვარ თუნდაც წელიწადნახევარს არ ვიძინო, ოღონდ ხშირად გავეხარო ხოლმე თავადები ჩემი ღამის სტუმრობითო.

თრთოლვით უსმენდნენ არაგველები ხუმრობას, რომელიც მუქარას ჰგავდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ითხოვდნენ შიკრიკები გაგვიშვითო: „კნეინა ნატო ალბათ წუხს, ქალბატონმა რუსუდანმა ხომ ინება წერილის გაგზავნაო“. მაგრამ რუსუდანს ჯერ კიდევ ვერ დაეწერა წერილი. ახლა კი, როცა საჭიროა მეტის შეტყობა, არჩილმა სამი საათის წინ მოღუშვით განაცხადა, წერილი მზად არის, აგრეთვე საჩუქარიო.

არაგველებს არაფრად ეპიტნავებოდათ, რომ ისინი, როგორც ერთადერთი უცხონი ამ ციხე-დარბაზში, მათ სურდათ მალე მოეშორებინათ თავიდან. რაკი უნდოდათ, ის დღე გამოეყენებინათ, დაუცხრომლად დაძვრებოდნენ რაზმელებსა და მოლაშქრეებში და შეუმჩნევლად სტყუებდნენ ცნობებს თურქების შესახებ. ერთ-ერთი რაზმელი, რომელიც დათოსა და გივის ახლდა კონსტანტინოპოლში, სრულიად მთვრალი, ენადაბმული ირწმუნებოდა კვეხნით: სულთანმა და ოსმან-ფაშამ საჩუქრებით აავსეს მოურავის მოციქულები, აგრეთვე ცოტა ძვირფასი მორთულობა და ქსოვილი როდი გამოუგზავნეს ქალბატონ რუსუდანს და თანაც ფეშქაშს დაჰპირდნენ: ბევრ ჯარს სპარსელებისა და კიდევ ვიღაცის განსადევნად. ო, თბილისში მალე დარეკავენ ზარებს, რადგან მოურავი არ დაიშურებს სისხლიანი დღესასწაული მოუწყოს მტრებსო...

დილით რუსუდანმა არაგველები იხმო, დედისათვის გადასცა წერილი, ცალკე ხურჯინით კი — საჩუქრები. შიკრიკებს ქისით ფული მისცა და სთხოვა, გზაში ნუ გაჩერდებით და რაც შეიძლება მალე ჩადით ანანურს, რადგან მხოლოდ ავადმყოფობამ მაიძულა ორი დღე ზედმეტად გამეჩერებინეთო.

კოშკში სათათბიროდ ასვლა გიორგიმ და „ვეფხვებმა“ მხოლოდ მეორე ღამეს მოახერხეს და აქ დაიწყო გულახდილი ლაპარაკი, ხან მწკლატე, როგორც ძველი ღვინო, ხან ტკბილი, ვით გოზინაყი და ხანაც მწარე, როგორც პილპილი.

— არა, გიორგი, იანიჩარებს სტამბოლიდან ნუ ელოდები. სულთანსა და ვეზირს არ იამათ შენი თხოვნა. თუ ფაშები, ეფენდი და მოლები არ გამოაყოლეს, ისე იანიჩარების გამოგზავნა მათთვის ხელსაყრელი არ არის, მაგრამ უარის თქმაც არ უნდათ, რადგან სულთანს კარგად ახსოვს შაჰ აბასი და მტკიცედ გადაუწყვეტია მიგიმხროს. ამიტომ ბურუსში გახვია ნამდვილი მიზნები და ცალკე ფირმანით, რომელიც ვეზირმა გადმომცა, ქართლის მოსაზღვრე სამფლობელოთა ფაშებს უბრძანა დახმარება გაუწიონ მოურავ-ბეგს. — დათომ აბგიდან ამოიღო ფირმანი და მაგიდაზე დადო. — გამოდის, რომ ჩვენია იმ ფაშების ხროვა, რომლებიც თავიანთ საფაშოებს ძარცვავენ ვარძიისა და ახალქალაქის ახლოს! ო, ო, წმიდაო ანტონ, დიდი მადლობა ასეთი გულუხვობისათვის!

— შორს სადმე დამალე ამ ძაღლის ფირმანი, წყეულიმც იყონ ისინი!

— მგონი ეგ არ მოვვიხდეს, დიმიტრი. „მსოფლიოს ფადიშაჰმა“ ცალკე ბრძანება გაუგზავნა ფაშებს: ძალიან გულუხვი ნუ იქნებით იანიჩარების გაგზავნაში და ნურც ძლიერ აჩქარდებითო.

— განა ძნელია სულთნის ცბიერების მიხვედრა? მაგრამ ტყუილად ნუ აქვს იმედი, რომ, თუ იანიჩარები უფაშებოდ ვერ მივიღე, დავთანხმდები თურქეთის ჯარის შემოშვებაზე. ჯერ არ დამვიწყებია მზე „ირანის ლომის“ ზურგზე, რომ გამეხარდეს ახალი მთვარე „სტამბოლის დელფინის“ თავზე.

— გიორგი, მე თავი მოვიკატუნე, თითქოს არ მესმის სულთნის განზრახვა — ჩვენს სამეფოში შემოიჭრას თავის ტორბაშებთან და მხეცთა მსგავს იანიჩარებთან ერთად, რომელნიც აღჭურვილნი არიან ახალი ზარბაზნებით, და მორჩილად ვკითხე: „რამდენი ჯარის გაგზავნას ინებებს ქართლში“ „ოსმანთა მბრძანებელი“ თავისი მომჯადოებელი გულკეთილობით, თუ მოურავ-ბეგი კვლავ დაემხო მართლმორწმუნეთა

ტახტის წინაშე და დახმარება ითხოვა-მეთქი?“ სულთანმა და ვეზირმა ერთმანეთს გადაჰხედეს, იყუჩეს, ტუჩები ააცმაცურეს, თვალები ზეაღმართეს, თავი ძირს დახარეს, ბოლოს, სულთანმა წარმოთქვა: „ის, რასაც ალაჰი ინებებს, აუცილებლად უნდა აღსრულდეს!“ როცა ჩემი გაკვირვება დაინახა, ვეზირმა მოწიწებით განავრცო: „ო, მუჰამედ, ო, წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველო! იყავ შუამდგომელი ალაჰსა და სულთან მურად მეოთხეს შორის, — რადგან, თუ ზეციერმა არ ურჩია, არ იქნება პასუხი მიწის მფლობელისა!“.

შესაძლებელია, მეოთხე მფლობელი თხუთმეტ დღეს ითათბირებდა, მაგრამ მე უმალვე მივართვი ვეზირს საიდუმლოდ საჩუქარი და ვთხოვე დაეჩქარებინა ალაჰი, რადგან კონსტანტინოპოლის დიდებული სანახაობით ტკბობა „ვეფხვს“ არ შეეფერება, როცა ყოველი ხმალი მეტად საჭიროა. ორ საბაზრო დღეზე მეტ ხანს არ გაუელია და ვეზირის პირით მოვისმინე ალაჰის რჩევა: „თუ აზნაურებს ცუდი დრო დაუდგათ, ძუნწი ნუ იქნეს მოწყალებით მურად მეოთხე და გაუგზავნოს მოურავ-ბეგს ჯარი ქვეითი და ცხენოსანი უთვალავი“...

— რა გაეწყობა, მეგობრებო, მადლობა იმისთვისაც, რომ სურთ შეეჯიბრონ შაჰს სხვისი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების გადაწვაში. მოვიკატუნოთ თავი ჩვენც, რომ ვერ მივმხვდარვართ. დაისვენებ, დათო, და მოგიხდება ეწვიო ფაშებს, რომლებიც სიამით ელოდებიან გამდიდრებას. ურმები მოვიდნენ. გავყოთ ნადავლი და დაე მოლაშქრენი წავიდნენ თავიანთ სახლებში. მაგრამ აზნაურებსაც ყველაფერს ნუ ვეტყვით.

— მართალი ხარ, გიორგი. წარსულმა გვიჩვენა: ხშირად გულახდილობა ახლობლებს შორეულებად აქცევს.

— კაი დროს მოგაგონდა, დათო, ახლობლები. რას იზამს ტურა, როცა თავის მსტოვართაგან შეიტყობს, რომ სულთანს წყურია დაგვეხმაროს?

— ერთიც ვნახოთ, არაგველები პირდაპირ ანანურს გაეშურნენ.

— აგრე რომ გვგონოდა, აქ არ მოვათრევდით მათ. ნუ ეშვობ, მათარს, პიროპირ თბილისისაკენ მიაბრუნეს ცხენები.

— ოღონდაც, ჯანდაბას იმათი თავი. განა არ ისარგებ-

ლებენ შემთხვევით მიხას უმონაწილეოდ დაიმსახურონ ტურის წინაშე!

— ვერასგზით ვერ გამიგია, — გაასავსავა ხელები როსტომმა, — ხოსროს ხომ თხუთმეტი ათასი ჯარისკაცი ჰყავს და რატომ არ დაგვესხმის თავს?

— თავადები არ უშვებენ. უფრო გაგიკვირდებათ, ჩემო „ვეფხვებო", თუ ვიტყვი: ზურაბი უკანასკნელ დროს, თავისდა უნებურად, ხელს უწყობს ჩვენს გამარჯვებას. რით? თავისი შეცდომებით. ამ გათავხედებულმა ტურამ ისე დააშინა თავადები მტკიცე მოთხოვნით ჩემს სრულ განკარგულებაში გადმომეცით თქვენი ჯარები და ყველა საგვარეულომ არაგვის დროშით გაილაშქროს ნოსტური „ვეფხვის" წინააღმდეგო, რომ უჭკუო თავადების აღშფოთებაც კი გამოიწვია. ჰგლებმა ეჭვი აიღეს — ტურას სურს ჩვენი ციხე-დარბაზები თავისი ბოროტანგარული მიზნით დაასუსტოსო. ქორებმა და გველებმა მათს მაგალითს მიჰბაძეს. ამიტომ, რაკი იციან, რომ მე უხალისოდ ვანგრევ ციხე-დარბაზებს, თავადებს ახლა ჩემი იმდენად არ ეშინიათ, რამდენადაც მომავალში არაგვის ერისთავის თავდასხმისა. ხედავთ, თუ არა, რა საქანელაზე ვქანაობთ?

— ცდები, ძვირფასო გიორგი. ტურასა და სპარსელებს მარტო თავადთა ჯიუტობა კი არა, შენი გამარჯვებაც აკავებს.

— შეცდომა, ჩემო დათო, ყოველთვის საშიშია. ნაცარს თვალში ვაყრით მტრებს, საქმით კი ხან მამედ-ხანი გვართმევს სუსტად დაცულ ციხეებს, ხან ჩვენ ვერეკებით მას სუსტად დაცული ციხეებიდან. ეს თამაშია და არა გამარჯვება. ერთი რამ უეჭველია: ჩვენ თავადთა აბნეულობა გვშველის და სანამ თამაში გვესაჭიროება, რაც შეიძლება ხშირად უნდა გავახაროთ ხოლმე მეტეხი მოულოდნელობით.

— ასეთი რამ ძნელი როდია, შეიძლება ფირან ამილახვარს ვავუმასპინძლდეთ, მგონი ქველი წერეთელთან ერთად ცდილობდა.

— არა, დაუთბეგ, მაგისი დრო არ არის. მოულოდნელობა უკვე ელოდება მეტეხს. არაგველები უამბობენ, რომ დათო დიდი წარმატებით დაბრუნდა კონსტანტინოპოლიდან. გამო-

დის, ხოსრო მირზა და ისა-ხანი იძულებული იქნებიან ან ჩვენ დაგვესხან თავს, ვიდრე თურქები მოვიდოდნენ, ან გაქრნენ უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ... თურქებთან ერთად თბილისს შევუტევდეთ.

— ჩვენთვის განა ხელსაყრელია ახლა ხოსროს თავდასხმა?

— ჩვენთვის ხელსაყრელია სპარსელების ნაჩქარევი წასვლა, რასაც ისინი კიდევაც იზამენ. ჯერჯერობით კი აზნაურებმა ყოველი ღონისძიებით უნდა შეინარჩუნონ გორი — გზა თბილისისაკენ, და ხერთვისი — გზა თურქეთისაკენ. ერთიც ვნახოთ, სულთანმა ინება უფრო ადრე მობრძანება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ?

— რას ბრძანებ, გიორგი? — გაიკვირვა გივიმ ისე, რომ პირი ნახევრად დააღო. — დათომ ხომ ხმამაღლა თქვა: როცა ვთხოვთო. რაო, სულთანი მუტრუკია?

— ლაპარაკს ნუ გვიშლი. ბევრი რამ გაგეგება სულთნებში!

— შეიძლება სულთნებში ბევრი არა, მაგრამ მუტრუკებში კი — სულთანზე უკეთ.

სააკაძე გაახარა საუბრის დამთავრების შესაძლებლობამ და „ვეფხვები" დაარწმუნა, რომ ღამე ეჭვსა და ფიქრს თესავს, დილა კი — სიმხნევესა და იმედს.

მხოლოდ ახლა იგრძნეს „ვეფხვებმა", რომ დაღლილობით ძლივს დგანან ფეხზე.

დიახ, სიბრძნე გვიკარნახებს ვერიდოთ ეჭვსა და ვესწრაფვოდეთ იმედს...

თავი მეოთხე

შადიმანი დიდი ხანია ასე გამოცოცხლებული არა ყოფილა. კვლავ გრძნობდა გულში სიცოცხლის ფეთქვას. მეთოთხმეტე ქორონიკონმა წარმოშვა უმტკიცობა, ნიადაგი ირყევა ფეხქვეშ. უნდონი არიან ადამიანები. მთები კი სანდონი არიან? მდინარეები? ვარსკვლავთა სამყაროც კი მირაჟია! მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ თავადი შადიმანიც მირაჟია? არა! იგი რეალურია, ვით კლდე უფსკრულის პირას. იგი წინანდე-

ბურად დგას ზემო, შუა და ქვემო ქართლის მფლობელთა დროშების საგუშაგოზე. „ასი საზრუნავის“ თამაში უხსნის ახალ გზებს იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ორი საუკუნის — მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეთა მიჯნაზე დაინახა და ახლა თეთრი და შავი ოთხკუთხედები მზად არიან მომავალი სვლებისათვის. რა უწყობდა ხელს მას იმ მისიის მესრულებაში, რომელიც ღმერთმა — თავადთა წოდების პატრონმა დააკისრა? რამ დაამტკიცა იგი საგვარეულოთა უპირატესობის მტკიცე გუშაგად? რა თქმა უნდა, შეხედულებისა და განსჯის უცვლელობამ!

მეჩიბუხემ ლიმონის ახალი ნერგი შემოიტანა. დაე მარადმწვანე ფოთლებში მწიფდებოდეს ნაყოფი, მზემ რომ დაბადა და შადიმანის მისწრაფება კვებავს. დაე გაიმარჯვოს კანონმა, ხელისუფლებამ და ძალამ! მის მოვლილ აღსაზრდელებს რომ დაინახავენ, ყოველი კაცი წამოიძახებს: „ცოცხალ არს რკინის თავადი!“

მაშ ასე, ორთა ბრძოლა გრძელდება.

აღსრულდა! დიდი ხნის დავა კეთილსაჯურველად დამთავრდა. ისა-ხანი ორმოცდაათ სარბაზსა და ორ იუზბაშს მიანდობს მარაბდელთა რაზმეულების უფროსს, რომელსაც ორმოცდაათი მარაბდელი მიჰყავს თან. ზურაბიც გაგზავნის გამოცდილ უფროსს ორმოცდაათ არაგველთან ერთად. ნაკრები რაზმი ჯერ გაემართება მიწისქვეშა გზით „მგლის ბილიკამდე“, რომლითაც შადიმანმა ხოსრო მირზა და მისი ჯარი გამოატარა. ეს საიდუმლო გზა მხოლოდ მარაბდელებმა იციან. ხრამში რომ გავლენ, მარაბდელთა უფროსი ყველას წაიყვანს შემოვლითი, ძნელადსავალი ბილიკით მთის კალთებისაკენ, მერე კი რაზმს მეთაურობას არაგველი გაუწევს. ეს გზა ჯერ კიდევ მარტყოფის ბრძოლის დროს უჩვენა ზურაბს მოურავმა, რათა თავადი ერისთავი უშიშრად გადასულიყო კახეთში. „ვეფხვების“ გარდა მხოლოდ რამდენიმე არაგველმა იცის კლდოვანი მოსახვევებისა და ტყიანი მწვერვალების საიდუმლოება. ამიტომ ახლა ჩასაფრებისა არ უნდა გვეშინოდეს. საკაძე ხომ დარწმუნებულია, რომ ზურაბი თეიმურაზ ბეფისადმი ერთგულების გა-

მო კახეთში შესვლისა და უკან დაბრუნების უშიშარ გზას არასოდეს არ უჩვენებს. განსაკუთრებით სპარსთა ჯარს.

„ეს ასე იქნებოდა, — ნაღვლიანად ადასტურებდა ზურაბი, — თეიმურაზ მეფე რომ სააკაძესთან ერთად არ ეწინააღმდეგებოდეს ჩემს სანუკვარ ოცნებას — გავხდე მთიელთა მეფე. ახლა კი არაგვის ერისთავს ერთი გზა აქვს მეტეხის მმართველებთან ერთად. და იგი პირობას იძლევა, რომ ერთგული არაგველი კახეთიდან მიწისქვეშა ხვრელამდე მიაცილებს ათი ათას სარბაზს, მინბაშებს, იუზბაშებს, ონბაშებსა და აქლემთა ქარავნებს ზარბაზნებიანად და სურსათიანად. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არაგველებმა ძალიან კარგად იციან სააკაძელთა ცბიერული სვლის ამბავი“.

სვიმონ მეფის სადილზე მხიარულება იყო. გამხიარულდა ანდუყაფარიც კი, მუდამ რომ მოღუშული იყო. რატომაც არ იმხიარულებდა, როცა ამჯერად რაზმელებს აღარ სთხოვდნენ. ასე რომ, თბილისში მხოლოდ ათასი კაცილა დარჩა. და ანდუყაფარმა მოულოდნელად აიღო ფიალა სვიმონ მეორის ბედნიერი მეფობის სადღეგრძელოდ. მეფე მთლად მოეშვა: „ისახანი, შადიმანი, ხოსრო მირზა, ანდუყაფარი და ზურაბ ერისთავი უეჭველად მოსპობენ სააკაძეს! და განა ეს მთავარი რამე არ არის? გულშარი ამბობს: როცა კათალიკოსი დაინახავს, რომ სააკაძის დახმარების უკანასკნელი იმედი გაქრა, ველარ გაბედავს გადადოს მცხეთის ტაძარში სვიმონ მეორის მეფედ კურთხევა“.

ასე, საშიში მტრის მოსპობაზე საამო ოცნებით ტკბებოდა სადილზე ნეტარი მეფე, რომ ანაზდად...

პაპუნამ, რომელიც ქეიფს განაგრძობდა არჩილის პატარა სახლში, ძლივს მოასწრო მუთაქაზე თავის დადება და მომძინარება. უეცრად შემოვარდნილმა მეფის ნუკერმა, სულს რომ ძლივს ითქვამდა, წამოიძახა:

— რამდენ თუნგ ღვინოს ჩამოასხამ მოურავის ციხე-დარბაზიდან მოსული ახალი ამბისათვის?

— უკეთესია მკითხო, რამდენს ჩამოვასხამ, თუ იშოვნი სამკურნალო ბალახებს, რომ ამ ციებ-ცხელებას გადამარჩინო. მოურავის ახალი ამბავი კი ალბათ თვითონ გამოიგონე.

— გამოდის, რომ ორი არაგველიც ბენარიდან რომ მოიკრა, მე გამოვიგონე? აგრეთვე ქალბატონ რუსუდანის საჩუქრები კნეინა ნატოსათვის მე მოვქორე? იქნებ წერილიც თვითონ დავწერე?

— მოიცა!.. სად მიეჩქარები? განა კნეინა ნატო მეტეხშია?

— მისი აჩრდილიც კი არ არის აქ. ეს არაგველები კი ისე ცბიერი არიან, როგორც ჭინკები! ანანურში კი არა, აქ მოიკრნენ.

— მერე შენ საიდან იცი, რომ აქ და არა ანანურში?

— აზნაურო პაპუნა, შენზე უფრო სასიამოვნო ჩემს თვალს არავინ დაუნახავს, მაგრამ არც შენზე უფრო მიამიტი უნახავს ვინმე! მე თვალ-ყურს ვადევნებ... შენ შეიძლება გითხრა, თავადი ზურაბი ხომ შენი მტერია. მეფემ ბრძანა... თავადის სამყოფლოში არის შეუმჩნეველი ჭუჭრუტანა — ყველაფერს ვხედავ და მესმის, რაც საჭიროა. არაგველებმა მას გრაგნილი და ხურჯინი გადასცეს. შემდეგ ივერიის ღვთისმშობელი დაიფიცეს, თითქოს აზნაური დათო დაბრუნდა და სულთანმა დიდი დახმარება აღუთქვა მოურავს.

— საჩუქრები როგორია, ძვირფასია?

— საჩუქრები არ მინახავს. თავადმა თავმოკრული ხურჯინი ოდნავ გახსნა და ხელით ცომივით მოზილა შიგ ყველაფერი, შემდეგ მეორე წერილი ამოაძრო, სწრაფად წაიკითხა, გადაიხარხარა, უბრძანა — ხურჯინი საიდუმლო ბოქლომიან ზანდუკში შეინახეთო, თვითონ კი არაბული ცხენით მოქუსლა შადიმანთან.

— და შენც მას დაედევნე?

— კვლავ მიკვირს. რამდენი ხანია შადიმანს იცნობ, ხოლო მისი სატანა მეჩიბუხე დაგავიწყდა! შადიმანის სამყოფლოსთან ბუზიც კი შეუმჩნეველი ვერ მიფრინდება. მეფე დამპირდა — აზნაურს გაგხდი, თუ თავადისა და ხოსრო მირზას ღამის საუბარს მოისმენო, ხშირად თათბირობენ. ეჰე, მხოლოდ

მეფეს შეეძლო დამპირებოდა, აზნაურს გაგხდიო, სულერთია რა წაუხდებოდა.

— ე-ე... მამაცო კაცო, განა ავადმყოფისათვის სულერთი არ არის, დღეს თუ, ვთქვათ, ხუთი დღის შემდეგ მიიღებს საჩუქარს კნეინა ნატო?

— წმინდაო ევსტათე! განა არ მითქვამს, რომ აზნაური დათო კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდა? ამიტომაა, რომ მოურავის ციხე-დარბაზი გაჭედილია მოლაშქრეებით. გავიგონე, თბილისზე თავდასასხმელად ემზადებაო.

— რაკი ემზადებიან, კიდევაც მოემზადებიან.

— ფუტკარი მთელ გაზაფხულს თაფლს აგროვებდა, დათვმა კი ერთ დღეს შესვლიპა. უკვე დილით ჯარისათვის კახეთში მიდიან მეგზურები.

— ჩასაფრება დააკავებს.

— ჩასაფრება? შემოვლითი ბილიკით გაატარებს ანანურის მსახური. თვითონ იცი, იქ ჩასაფრება არ არის.

პაპუნა შეკრთა: „ხელი უნდა შევუშალოთ! დიდი უბედურება იქნება, სპარსელებმა რომ მაგ ბილიკის ამბავი შეიტყონ. წყეული ტურა გამცემლურად, ქართლის საზიანოდ მოქმედებს!“

პაპუნას სურდა მღელვარება დაეფარა, ამიტომ დაიკვნესა და რაღაც გაუგებარი წაიბურტყუნა. ასე იქცეოდა ხოლმე ჩვეულებრივად. როცა შეიტყობდა, რაც საჭირო იყო.

ნუკერი წყნარად გავიდა, გადაწყვიტა საღამოს შემოვალო, რაკი თუნგი ღვინო ყოველთვის ელოდებოდა მნახველებს.

გავიდა თუ არა ნუკერი, პაპუნამ სამჯერ დაიყრანტალა. არჩილი დინჯად შემოვიდა, კარი მიხურა და წყნარად ჰკითხა:

— უკვე გაიგონე?

— ალბათ სულ არა. არჩილ, გაეშურე მაიდანზე, ნუცა მოვიდეს შეუმჩნევლად, ვითომ სამკურნალო ბალახები მოიტანა. საჭიროა გიორგი გავაფრთხილოთ.

— გვიანღაა, ძვირფასო, დილამდე მეტეხი დაგმანულია, ანდუყაფარმა მთელი გალავნის გაყოლებით თავისი რაზმელე-

ბი დააყენა და დაჰპირდა: ვინც გავა, თავს ხმლით გავაგდებინებო.

— ამას ის მგლის ნაშობი უსათუოდ აასრულებს, უყვარს სხვის ხარჯზე მკლავის გამაგრება. შენი საიდუმლო გასასვლელი კი?

— არ მინდა თავი ხიფათში ჩავიგდო. უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის ვინახავ.

— რომლისათვის?

— შენი სიცოცხლის გადარჩენისათვის.

— ეჰ, უფრო მნიშვნელოვანია ქართლის გადარჩენა, მე კი უსიცოცხლოდაც როგორმე იოლად წავალ, მას შემდეგ, რაც ჩემი თეკლე... წახვალ?..

— ან იქნებ ჩემი თავი შენ უფრო მოგბეზრდა, ვიდრე მე? არა? მაშინ ნუ მთხოვ. დილამდე მეტეხიდან არ გავალ! — მეჯინიბემ ალმაცერად გადაჰხედა პაპუნას და დაყვავებით დასძინა: — მალე სტუმრები მოვლენ, გურამმა მითხრა, შემოვივლიო. დღეს ანდუყაფარმა კვლავ მათრახი გადაჰკრა. მზად არის მოკლას თავადი. შეიძლება კიდევ ახალი ამბავი გავიგოთ, დილით ვარდანთან წავალ და უშენოდ დიდ რამეს ვეტყვი. უკვე თვეა, ჩოხის ყიდვა მინდა, მეჯინიბეები იცინიან: „არჩილ! ალბათ ოცდაათი აღდგომის შემდეგ ჩოხისათვის გაიქცევიო!“

ამ უმთვარო ღამეს მეტეხი ისე ზუზუნებდა, როგორც ბუდეში გაღიზიანებული კრაზანები. შადიმანისას ჩურჩულებდნენ. მეფის სამყოფლოში გულშარი ჩასჩურჩულებდა ძმას: „საჭიროა გალაშქრება! მაგრამ ვისი? განა მხცოვანი შადიმანი მებრძოლ ანდუყაფარს ჰგავს?“

შეშფოთებამ მოიცვა ციხე-დარბაზი. ანდუყაფარის საძალლეშიც კი ძაღლები ერთმანეთს მიესივნენ, ვიღაცას ძვალი შეეგდო.

მოხუცი მეძაღლე ცრუმორწმუნეობით აქნევდა თავს:

— ვინ გაბედა ძაღლების გაფუჭება? კარს არ გავცილებივარ.

— შენ არ გასცილებიხარ, მაგრამ ფრთიანმა ეშმაკმა ფანჯარაში შეაგდო.

— დაინახე?

— ყველაფერს თვალით ვერ დაინახავ, ზოგჯერ ჭკუით მეტს ხედავ.

— ანდუყაფარი კვლავ მათრახით გაახურებს გურამს.

— რატომ გგონია?

— მოსამსახურეთა უფროსია.

— კნეინა გულშარმა კი დღეს ნახევარი ნაწნავი გამოგლიჯა ნატოს.

— ასეთი თავადისათვის მოურავს კბილებიც ჩაუმტვრევია ხმლით.

— ჩუმად! გაგიჟდი? სანამ მოურავი მოვიდოდეს, ერთი ღერი წვერიც აღარ შეგრჩება.

— რა ჯანდაბად მინდა წვერი, რომელსაც ყოველ დღე გაგლეჯენ.

— ე, ვაჟკაცო, გაიპარსე წვერი.

— დიდი ხანია, მინდოდა, თავადმა დამიშალა.

— კარგი უქნია, აბა მაშინ რაღა უნდა ეგლიჯა?

— იშოვნიდა რასმე.

— ეშმაკსაც ამოუგლეჯია ეგ ენა! მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეთ: თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

— ჩემი პაპა ჯერ კიდევ მამაც ნუგზარს ემსახურებოდა. ანანურს არ მოეშორებივარ — და ერთი დღე არ მახსოვს, რომ ზურაბს რაზმელისათვის ხელი ეხლოს. როგორ ითმენთ შეურაცხყოფას? რატომ არ გაიქცევით სხვა თავადთან?

— შენ, რაო, არაგველო, ანგელოზს ხომ არ ამოუფრინდი უბიდან? ჩვენ გავიქცევით და ჩვენს ცოლებს, შვილებს ანდუყაფარი ვერცხლის სინით გოზინაყს მიართმევს?

— განა უცოლოები ცოტა არიან? რატომ იმდაბლებენ თავს? რატომ კარგად არ ასწავლით ჭკუას უჯიათ თავადს და მის მეუღლეს?

— მე უცოლო ვარ, და, შენი აზრით, მამას უღელი უნდა დავადგა? ან დედას აუტანელი შრომა დავაკისრო? და კიდევ — სირცხვილი ვაჭამო?

— არაგველებს შეუძლიათ წააქეზონ, რა ენაღვლებათ!

— ვინ აქეზებს? გვებრალებით! ჰოდა, თუ კეთილი ახდუ-
ყაფარი მოგწონთ, ღმერთმა მოგახმაროთ.

რაზმელები დუმდნენ. არაგველებს როდი დაუწყიათ პირ-
ველებს ასეთი საუბარი. რატომ? ვთქვათ, ზურაბს რაზმელები
უყვარს, სოფლებში კი ხალხი როგორ ცხოვრობს? იქნებ
ანდუყაფარზე უარესად ასრჩობს გადასახადით? იქნებ ბავშ-
ვები ჩამომხმარ მაიმუნებივით დადიან? შორიდან თავადები
ყველანი კარგი არიან. აი, მოურავი რომ...

— ხვალ კახეთს მივდივართ, — დაარღვია სიჩუმე არაგ-
ველმა.

— როცა მიხვიდეთ, უამბეთ, რამდენი შემწვარი ცხვარი
შეჭამეთ გზაში.

— შენ გგონია წყალი გაგვაძღებს?

— თუ სააკაძის რაზმელები გაგიმასპინძლდნენ, იქნებ ცო-
ფიანი კამეჩიც მიირთვათ.

— ო, ო, ასეთი სურვილისათვის ისიც კი არ მენანება, რომ
მორიელი დაგასვა საჯდომზე!

— ეი, გურამ! — უეცრად გაისმა ბნელში.

— გურამი აქ არ არის, ალბათ სძინავს.

— რა დროს ძილია? თავადი კახეთს გზავნის.

— მარტოს?

— იქნებ შენთან ერთად, — გაიცინა ბნელში მოლაპარაკემ.

— ობობაც დაგჯდომია მაგ ენაზე! — შეშინებით ჩაიქნია
ხელი ბიჭმა. — განა ჩემთვის აქ სპარსელი ცოტაა?

განის ფანჯარაში სინათლის შუქი გაკრთა, ლანდი გამოჩ-
ნდა. მოდავეებმა პირი უნებურად იბრუნეს, მაგრამ, რამდე-
ნიც არ აკვირდებოდნენ, ჩამოშვებულ ფარდებში არაფრის
გარჩევა არ შეიძლებოდა.

ზურაბს ეს ცოტა ეჩვენა. მსახურს უბრძანა, მეორე, უფ-
რო სქელი ფარდა ჩამოუშვი და ზანდუკიდან ხურჯინი ამო-
იღეო.

მთელ ერთ საათს იჯდა ზურაბი და ფიქრობდა: არაგველე-
ბის მოტანილმა ამბავმა ყირამალა დააყენა მისი გეგმები. ახლა

ათი კი არა, ოცი ათასი სარბაზი უნდა მოიყვანოს კახეთიდან. რა იქნება, რომ სააკაძემ თურქების დახმარებით გაიმარჯვოს? ზურაბს ტანი აებურძგნა. არა! სამ კვირაზე ადრე ოსმალები ვერ მოვლენ. ამასობაში, მიწისქვეშა გზის მეოხებით, კახეთიდან ჩამოვლენ სარბაზები.

ზურაბმა ხურჯინიდან ორი გრაგნილი ამოიღო. ერთში, რუსუდანმა რომ არაგველებს გადასცა, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. რუსუდანი დედას მიეპალმებოდა, სთხოვდა, მცირე ძღვენი მიიღეო, თავს გაუფრთხილდიო, აცნობებდა მთელი ოჯახის ამბავს. მეორეში კი, ვარდისფერ-ნარინჯისფერი ფარჩის ნაკეცებში რომ იყო ღრმად დამალული, ბევრი რამ იყო აღნიშნული.

რუსუდანი აღშფოთებას გამოთქვამდა: „ზურაბ, როგორ გაბედე და აიძულე დედა დაეტოვებინა უშიშარი ქსნის ციხე-დარბაზი და გადასახლებულიყო მოტორტმანე ნავში? განა საყვარელი შვილიშვილის მაროს ოჯახში კნეინა ნატო სუფრის თავში არ იჯდა? ან იქნებ მას არ მიართმევდნენ შამფურზე უკეთეს ნაჭრებს? ან არ უგებდნენ ატლასის საბნებს? იქნებ მოწყენილობაში ამყოფებდნენ? მაგრამ თუ ქსანში მოწყინდა, რატომ არ წავიდა მუხრანბატონებისას, როგორც დაპირებული იყო? ან იქნებ მეორე შვილიშვილმა, ხვარამზემ, რამე აწყენინა? შიკრიკს ზედიზედ არ გზავნიდა და არ ეპატიჟებოდა ციხე-დარბაზში? მერე, რად უნდა ის გადაღძუებული ჭოტი, რომელსაც მამაცი ნუგზარ ერისთავის ოჯახისათვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია? ახლა არეულობის დროა. გიორგი მარტო სპარსთა წინააღმდეგ როდი ამზადებს დიდ ომს. გადაწყვიტა, გამცემლებისაგან გაწმინდოს ქართლი. თურქეთის იანიჩართა ურდოები მოვლენ უფაშებოდ, უბეგებოდ და უტორბაშებოდ, მთლიანად გიორგის განკარგულებაში. ვეთაურობას გაუწევენ „ვეფხვები“ და ერთგული აზნაურები. მაშასადამე, ხალხი არ დაზარალდება. რა თქმა უნდა, სულთანი ტყუილად როდი გაგულკეთილებულა. მაგრამ ასეთი რამ არ გვაშინებს, რადგან გიორგი როდი აპირებს შეიბრალოს მოღალატენი. შფოთიან დროს ქალები კარგად უნდა იყვნენ დაცულნი. დაე ძვირფასმა დედამ გამოძებნოს უსიამოვნო

სტუმართაგან განთავისუფლების საბაბი. დაე თქვას: „ხვარამ-ზე, დღეგრძელიმც იყოს იგი, ავად არის-თქო“, ამასვე ძლიერ გთხოვს გიორგიც...“

ბოროტად დაემანჭა სახე ზურაბს. ცვილანა დაჭმუჭნა, სანთელთან მიიტანა, დაწვა, ფერფლს სული შეუბერა ფანჯარაში და შავ პეპლებს თვალი გაადევნა. გულდასმით გადაათვალიერა საჩუქრები და ნარინჯისფერ-ვარდისფერი ფარჩა გადადო: „ახალგაზრდა არ არის, თანაც უქმაროა, არაფერი ძისი საქმეა ასეთი კაბით კოხტაობა! ეს ფარჩა ჩემს სატრფოს უფრო დაშვენდება. დიახ, ჩემსას! ქაჯმაც რომ გადამიღობოს გზა ჯადოსნური ნაჯახით... მაგრამ ბედნიერება უნდა დავიმსახურო, რომელსაც ასე ვესწრაფვი მე, მისი ერთგული ზურაბი. უნდა ვიჩქარო გამარჯვება! ხოლო თუ სატანამ მკითხა: „რომელი გამარჯვება?“ მე დავიყვირებ: „ჩემი!“ ო, უწმინდურო, შენ ძლიერ ცნობისმოყვარე ხარ! ტყუილად ისწრაფვის მოურავ-ბეგი ანანურის ხელში ჩაგდებას, ამაოდ ცდილობს მოსპოს თავადი ზურაბი და იბატონოს, როგორც ბატონობდა. არა, შეუდარებლად ძლიერია! ალბათ გადაწყვიტა ბოლო მოუღოს ზღაპრული სულელის თამაშს და მართლაც მიიტაცოს ბაგრატიონების ტახტი! ეს არ იქნება! — არა, დიდო მოურავო, არ იქნება! მე უკეთესი რამ მოვიგონე! — ზურაბმა გაიღმიჭა. — მეგობარი შადიმანი ჩემი კმაყოფილი იქნება. იმედი მაქვს მეფეთმეფე, სვიმონ მეორეც. ბოლოს, ანდუყაფარი, ღრენას შეწყვეტს. როგორ შეეშინდათ თურქებისა! მამაცი ხოსროც კი გაფითრდა. ისა-ხანი კი?! მხოლოდ „გველმა“ თავადმა განაცხადა რწმენით, რომ „თურქები სააკაძეს უფრო ავნებენ, ვიდრე მას, შადიმანს“.

კიდევ დიდხანს ბობოქრობდა ღამის სიწყნარეში ზურაბი, რომელიც ძალაუფლებისა და შურისგების წყურვილს შეეპყრო. მაგრამ აი ერთგულმა მსახურმა მოაგონა ბრძანება ორი არაგველის შესახებ, რომლებიც სააკაძისაგან მოვიდნენ, ხვალ განთიადისას გამგზავრებულიყვნენ ანანურს. განთიადზე, დასძინა მსახურმა, მე და ორმოცდაათი არაგველი კახეთს მივდივართო.

— კარგი. არ დაგავიწყდეს განუმეორო შიკრიკებს, რომ

მიხა და მისი ათი მზვერავი დაუყოვნებლივ ჩამოვიდნენ აქ. და რომ კნეინა ნატო ყოველ დღე სწრაფლმსრბოლი შიკრიკის პირით მატყობინებდეს თავის ამბავს. ხურჯინს თავი მოჰკარ, პირველ წერილს კი, როგორც ნაბრძანევი გაქვს, ხელში მისცემ. — ზურაბმა ფარჩა გადადო. — შეინახე ზანდუკში, სანამ არ გავიხსენებ. მიხამ ასეთი ბრძანება გადასცეს უფროს ქარშენიძეს: თუ კნეინას შიკრიკის გამოგზავნა დაავიწყდეს, თვითონ გამოგზავნოს.

ღამე უკვე, როგორც მგზავრი, რომელმაც ოქროები იპოვნა, უხილავ ქისაში კრეფდა ვარსკვლავებს, რის გამოც ცა სწრაფად ნათდებოდა. ასე მოეჩვენა ზურაბს; დაამთქნარა, დათვის ტყავზე გაიშხვართა, ახლოს დაიდო მახვილი და თვალები დახუჭა.

მსახურმა გულმოდგინედ დაათვალიერა ოთახი, რომელიც განსასვენებელს ეკრა, და უხმო მოსამსახურეს, რომელიც ზღურბლთან ჩაჯდა. „მეგობრებთან როდი ვართ სტუმრად",— მუდამ უმეორებდა იგი არაგველებს და უბრძანებდა, თვალი არ მოხუჭოთ, რაც უნდა დაღლილი იყოთ, სიბნელეს თვალი გაუსწორეთო.

მოღრუბლული დილა როდი იყო, თუმცა არც მზიანს ჰგავდა. დილა იყო, როგორც ყოველი დილა, მაგრამ შადიმანს მშვენიერ გუნებაზე გაეღვიძა. დიდება მის ვერცხლისებრ მოთმინებას! აი ხანებიც დაიძრნენ დახშული წრიდან. მადლობა თურქებს, დაგვეხმარნენ. რა შეუწყნარებელი შეცდომა ჩაიდინა საკაძემ „ასი საზრუნავის" თამაშში!

ჩვეულებრივი დილა იყო, მაგრამ შადიმანი რატომღაც აბორიალდა სამყოფლოში და იქვე თითქმის დაეცა მუთაქებზე. იგი ელოდებოდა, როდის დაიბრუნებდა ლაპარაკის უნარს მეჩიბუხე, ისარივით რომ შემოიჭრა. მაგრამ მეჩიბუხე თვალგამოპრაწული და პირდაღებული გაქვავდა, ამაოდ ცდილობდა ღრანჭების გახსნას.

ბოლოს შადიმანს მობეზრდა თოჯინის ცქერა.

— დაიწყებ ლაპარაკს, თუ მიბრძანებ ხმლით ამოვჩეხო შენი თიხის ხორხიდან საჭირო სიტყვები?

— უფა... ლო... ღმე... ერ... ბრწყი... ინვა... ლე თა... ვა...

— ერთ წუთს გაძლევ გაქცეული ხმის დასაჭერად. — შადიმანმა რატომღაც გადააბრუნა სილის საათი: „უცნაური სილაა! თევზის თვალებსა ჰგავს". — არაფერს ამბობ? — შადიმანმა ხელი დაავლო ხმალს.

— ხმა არა... ფერ შუა... ა... შია, — ძლივს ამოიგმინა მეჩიბუხემ; და უეცრად, თითქოს ქვის ყანჩის ყელში ამოხეთქა წყლის თუ არა, სიტყვების შადრევანმა. სუნთქვაშეკრულს, სულშეხუთულს, საკუთარი ენა ეჩრებოდა ყელში და წკმუტუნით იძახოდა: — ყველაფერი, ყველაფერი ჩახერგილია! სასვლელი არ არის!

— რა სასვლელი?! იტყვი თუ არა?! — და შადიმანმა ზურგში სდრუზა ხმლის ქარქაში.

— მი... წის... ქვე... შა სა... ას... ვლე... ლი გა... ა... ან... ჯის კარ... თან...

შადიმანი გაოცებული უცქერდა მეჩიბუხეს. „გველ" თავადს იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ მარაბდელთა გათხრილი მიწისქვეშა სასვლელი, რომელსაც ასე გულმოდგინედ იცავდნენ გუშაგები, „ვეფხვებს" როსტომსა და არჩილ-თვალმარჯვეს დაენგრიათ, ჯერ კიდევ მანამდე დაენგრიათ, სანამ საკაძე ბენარის ციხე-დარბაზში გადასახლდებოდა.

ამ მიწისქვეშა სასვლელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „მგლის ხვევთა" და თელეთის გაუვალი ტყით აერთებდა თბილისისა და მარაბდის მისადგომებს. და აი გაქარწყლდა უიმედო მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობა. და თითქოს მომხდარი ამბის შეგნება არ ძალუძსო, შადიმანმა წამოი ახა:

— ეაიმეორე, უტვინო რეგვენო, რა ჩაუხერგავთ?

— მიწის... ქვეშა სასვლელი! — წაიბლუკუნა მეჩიბუხემ, რომელსაც კვლავ დაუბრუნდა სიტყვის თქმის უნარი. — იქ ჯოხსაც ვერ გააძვრენ! გათხრა სცადეს. სამი არშინი გათხარეს, მეტი აღარ შეიძლება. სად არის კედლები? სად არის მერი? ქვა, რკინა, ძელები, — ყველაფერი ერთმანეთშია არეული... — მეჩიბუხე უეცრად შედგა: თავადი ჭკუაზე ხომ არ შეცდაო? თვალები აღტაცებით უბრწყინავს და თითქოს ვისმე შორით ამბორს უყოფსო!

„ჩემი მოწმე იყოს ცელქი სატანა! — გულში წამოიძახა შადიმანმა. — აღტაცებული ვარ! განუმეორებელი სვლა „ასი ხაზრუნავის“ თამაში“.

— არეულია? — უეცრად დაარტყა შადიმანმა მუშტი მაგიდას და ხილიანი ვაზა გადააგდო. „რა უცნაური ხილია! ხანების დოლბანდს ჰგავს“. — უტვინო ბატი! აურიეს ძელები, რკინა, ქვა მარჯვე სააკაძელებმა, რეგვენი შადიმანელები კი დღედაღამ ამ გროვის წინაშე... შუბებს ატრიალებდნენ.

თვითონ უკვირდა საკუთარი სიმკვირცხლე, რომ დარბაზობის წესების დაუცველად ხოსროსთან შევარდა:

— ბატონიშვილო! სვლა უნდა შეიცვალოს. სააკაძემ დაფაზე მოხსნა ყველა მხედარი! თამაში ჯერჯერობით მისია!

და ხოსროც, რაღაც განსაკუთრებულ რამეს რომ წინასწარ გრძნობდა, ყოველგვარი წესის საწინააღმდეგოდ, ტახტზე დაჯდა. მისი შეშფოთებული თვალი ხან ბროლის ყალიონს მიაშტერდებოდა, ხან მის წინ გაშლილ საჭადრაკო დაფას, საიდუმლოებით რომ იყო აღსავსე, ხანაც აღელვებულ შადიმანს. ის იყო, ჰასანმა სიზმარი უამბო, თითქოს ხოსრო აპირებდა მოხტომოდა თოლიივით თეთრიფერის ცხენს. ცხენმა დაიფრთქვინა და მტვერში გადმოაგდო იგი. მაგრამ ანაზდად ზეციდან ჩამოფრინდა გაბრიელი, რომელსაც ლაგამით ეკავა ოქროსფერი ულაყი. „საფრთხეში ნუ ვარდები, — ჭკუის სასწავლად უთხრა ანგელოზმა, — ო, ხოსრო მირზა! სამგლოვიარო ცხენი რად გინდა, როცა შენი ხვედრია სამეფო ცხენზე ჯდომა? ო, ხოსრო მირზა! აირჩიე არა სატანის მიერ აჩიჩქნილი, არამედ ხავერდით დაფენილი გზა. ო, ხოსრო...“

— მირზა, — ერთბაშად მიახალა შადიმანმა, — განსაცდელი მოგველის, თუ... თუ გამოსავალი ვერ ვიპოვნეთ.

არ შეიძლება ითქვას, რომ დაწყებული საუბარი მხიარული ყოფილიყოს, მაგრამ გეგონებოდა, მას დასასრული არ ექნებაო. არც ერთმა მოსაუბრემ არ იცოდა, როგორ დაემთავრებინა და როგორ განშორებოდა ერთმანეთს, ან როგორ დარჩენილიყო.

ისა-ხანმა უშველათ. იგი შემოვიდა და სიცილით იგუდებოდა: „ო, ეს სულ უძლეველის რინებია. ეს ხუმარა შაითნებმა,

„ვეფხვებმა“ მიუყენეს მცველებად თავადის რაზმელები მიხრწნილი დევის ცოლებისათვის განმზადებული ფლავის ქვაბს. ხედავს ალაჰი, რომ მტაცებლებს ახლა არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეთ: თურქების დახმარება სწორედ დროზე მოუვათ...“

დიდი ხანია მეტეხს ასეთი მღელვარება არ გამოუვლია. სვიმონ მეფეც კი გამოვიდა ნეტარი მდგომარეობიდან და წარამარა არბენინებდა ახალგაზრდა თავადებს შადიმანის სამყოფლოში.

ორ დღეს თათბირობდნენ ხანები და თავადები. ანდუყაფარი მძვინვარებდა, მრისხანედ იჭმუხნებოდა, ამტკიცებდა, გაფრთხილებას იძლეოდა: „საკაძესთან საქმის დაყოვნება არ შეიძლება!..“

ზურაბს თითქმის ხმა არ ამოუღია, დაძაბულად ფიქრობდა რაღაცას: „ნუთუ ყველაფერი ვერ ისწავლა საკაძისაგან?“ მერე საუბარში ისე ჩაერია, როგორც მგელი ფარეხში.

— თავადო, შენ ნამდვილი კოდალა ხარ — მხოლოდ კაკუნი იცი! რატომ თვითონ არ მოქმედებდი? რატომ აყოვნებდი? ვიცი რატომ! ჩვენ ყველას ცოტა რაზმელი როდი დაგვკლებია, შენ კი ერთი მაინც გაგიწირავს?

კინკლაობისათვის მხარი არავის დაუჭერია, მაგრამ იგი არც არავის აღუკვეთია.

მზადდებოდა რაღაც გადამწყვეტი, შეშფოთებამ მეტად მოსჭიმა შვილდის ლარი.

როგორღაც თავისთავად გამოვიდა, რომ ისა-ხანმა მოსაუბრეთ დაასწრო და პირველმა გამოიყვანა მწვავე დასკვნა. მან განაცხადა: საუბრების დრო წავიდა, დაე ხვალ ყოველმა მრჩეველმა მტკიცე გადაწყვეტილება შემოიტანოსო.

ღამე ყოველთვის როდი უნდა უწყობდეს ხელს ლხინს, ზოგჯერ იგი სიბრძნის გაღრმავებასაც ემსახურება. ყველაზე უკეთ ეს ზურაბმა იცოდა, რადგან აგერ უკვე მესამე ღამეა, რაც ფიქრშია გართული. თითქოს ყველაფერი აწონილ-დაწონილია, ყველაფერი წინასწარ გადაჭრილია. კვლავ გაიშალა საჭადრაკო დაფა. თამაში გრძელდება! მთიელთა მბრძანებლობა — ნაკლები რამ არა სურს!.. მეტს მიაღწევს! თუ ჩანაფიქრი მოხერხდა, შესაძლებელია უკეთესიც კი იყოს ის, რაც მოხდა!

შეიკრიბნენ თუ არა მრჩეველები, მათი საუბარი თითქოს სამართებლის პირზე აეწყო. მოისმინა ანდუყაფარის წინადადება: „დაუყოვნებლივ გაიგზავნონ შიკრიკები შემოვლითი გზით კახეთში, თვითონ კი ზემო, შუა და ქვემო ქართლში შეაგროვონ რაზმები, სოფლებიდან გამოიწვიონ უმოქმედო სარბაზები, გააერთიანონ ძალები და მოუმზადებელს დაესხნენ თავს საკაძეს“ — და ისა-ხანმა დაცინვით მიუგო:

— მაჰმადმა დაგიფაროს! რით განგირისხებია ღამე, მოწყალედ რომ მალავს თავის საბურველში ბოროტმოქმედებასაც და სიბრალულსაც? რატომ არ შთაგაგონა ახალი აზრი, მზის სსივებისა და მთვარის შუქისაგან მოქსოვილი? ან იქნებ მოურიდებლად დაიძინე ჭურჭლის ახლოს ისე, რომ არ დააცხრე ათრთოლებული ვარდის წყურვილი? ან იქნებ დაემსგავსე მამალს, რომელიც თავს დაჰყივის მოღუღუნე მტრედებს, როცა ზრდილობა მოითხოვს თავი მოიმძინარო?

— შენმა სიტყვებმა, ისა-ხან, აღმიტაცეს, რადგან გონებამახვილობის მარგალიტი ბრწყინავს შიგ. მაგრამ გახდი თუ არა ღირსს ჩვენს სმენას საუბრით შენი ღამის წარმატებაზე?

— ღირსს გავხდი, ო, ხოსრო მირზა, ვინაიდან ტკბილია საუბარი იმასთან, ვინც მაშინვე ხვდება იმას, რაც ჯერ არ გამოგითქვამს. ჩემი ზრდილობიანი სიფხიზლით კმაყოფილმა ღამემ მიკარნახა, ზეცით წინასწარ დასახული დღისით ვატარო ცხენი და არ ვდიო ქარს. ნურც ითქვას, რომ ვემსგავსე მამალს. მოწმეა სულეიმანი, უფრო სასარგებლოდ მივიჩნიე, ქედმაღლობა დავიცხრო და ჩვენი თარეშით აღარ ვაცთუნო მოურავბეგი. უფრო საშიშია კახეთიდან გამოვიყვანოთ კარგად შენახული ჯარი, რადგან თეიმურაზი, როცა შარვალი ეწვის, იჩქარის ღამე დაატკბოს სასმენად ტკბილი და გემოთი მწარე შაირით... რომელიც ამასთან შენელებულია მთიელთა გააფთრებით, რომელთაც ყელში წაუჭირეს ხელი, და ორპირ თავადთა ჯარების ღრიალით.

— ო, ისა-ხან, შენი განმარტება ჰგავს კრიალოსანს, მგოსანს რომ უკავია ხელში! მე მინახავს, როგორ თრთოდა ერთი თავადი ნოსტელი „ვეფხვის“ წინაშე, ქება-დიდებას ასხამდა

„ირანის ლომს“ და ცლიდა ყანწს კახეთის „ტახის“ სადღეგრძელოდ.

ზურაბმა, ფარჩის საიდაყვეზე რომ იყო დაყრდნობილი, შეშფოთების დასაფარავად განგებ მედიდურად წამოიძახა:

— ვიზე გაქვთ ეჭვი, კეთილშობილო ისა-ხან, და შენ, ხოსრო-მირზა? ვფიცავ, თვით გურიის მთავარმაც ვერ შემაშინოს! ურჩხულის წინაშეც კი ამოვიწვდი ხმალს!

— თავადო ზურაბ, შეგიძლია შენს მოჩვენებით მოწინააღმდეგეებს მიუმატო სამეგრელოს მთავარიც, რადგან ისიც არაფერ შუაშია.

— მაგრამ, კეთილშობილო მირზა, — შეაბრუნა შადიმანმა საუბარი მისთვის საინტერესო თემისაკენ. — გამოდის, ჩაკეტილი ვართ თბილისში?

— ო თავადთა-თავადო! ო სამეფოს გულშემატკივარო შადიმან! რად უნდა შეიბილწოთ სმენა მახინჯი ჭეშმარიტებით? განა უფრო ხელსაყრელი არ არის თავი ისე ვაჩვენოთ, რომ ჩვენთვის ასე უფრო მოხერხებულია? ის ხომ, ვინც ჩაკეტილია, თავისუფალია იმისაგან, ვინც ჩაჭკეტა. და განა დამავიწყდა მეთქვა, რომ ღამემ უკანასკნელი რჩევა მომცა? ხოლო კვლავ დაეინებით უკირკიტო ჭეშმარიტებას იმას ეშსგავსება, რომ გალოკილი თეფში ლოკო. უნდა იცოდეთ: რაც უნდა გეჩქარებოდეთ, თქვენ, თავადებს, „ვეფხვის“ გახელება, თუ შაჰინშაჰის ბრძანება არ იქნა, თურქთა წინააღმდეგ მუშკეტებს არ მივმართავ.

— არც მე მოვიქნევ ხმალს, რადგან შაჰინშაჰი ძლივს მოურიგდა სულთანს. ხოლო ომის ჟამი მრუდმთვარიან სტამბოლთან ჯერ არ დამდგარა. და განა ყველამ არ უწყის, რით უმასპინძლდება ურჩებს ალაჰის მიერ ცით მოვლენილი შაჰ აბასი? და განა წინდაუხედარბა არ იქნება მხედართმთავრისათვის უჯაროდ ისპაჰანს დაბრუნება?

— ო, ალაჰ, ხომ არა სურს ხოსრო მირზას დაბრუნდეს ისპაჰანს ქრისტიანთა ალაჰისამებრ მკვდრეთით აღმდგარ სარბაზებიანად?

— მიხვდი, ჩემო გონებამახვილო ისა-ხან! დაებრუნდებით

გადარჩენილებიანად, გამოვთხოვთ ბრძანებას, გამოვიველრებთ ახალ ჯარს და ლომებიანით დავეძგერებით თურქებს.

— ჩემი სმენაც გამდიდრებულა შენი აზრებით! ღამემ გიკარნახა თუ თვითონ მიხვდი, როგორ გადავურჩეთ სააკაძის ცოფიან ძაღლებსა და გააფთრებულ კამეჩებს?

— გადავურჩებით, ინშალაჰ, მახვილის დახმარებით, ვფიცავ წმინდანის დოლბანდს, ყოვლისგანმჭვრეტო ისა-ხან, ტყეებში გავფანტო მტაცებელნი!

— ო, უმამაცესო! ეგ მეომრის საუკეთესო საგმირო საქმეა, მაგრამ განა საუმჯობესოდ არ მიგაჩნია კვლავ აღარ შეამცირო ჩვენი ჯარი, რადგან გზა არშიდან მეტად უხვად არის მოფენილი სარბაზებითა და იუზბაშებით?

— უბრძნესო ისა-ხან, შენთან საუბარი ტკბილია, რადგან მარჯვე მონადირესავით მყისვე იჭერ ჩემს აზრებს. ვინ არ იცის, რომ უფრო გონივრულია ისპაჰანს ჩახვიდე და თან ჩაიყვანო ორი ცოცხალი სარბაზი, ვიდრე ათასი მკვდარი!

— ან რატომ უნდა დაიღუპოს ახლა თუნდაც ერთი სარბაზი? განა უფრო სასარგებლო არ არის მარტო დავტოვოთ საკაძე თავის ეშვებიან თანაშემწეებთან? დაე დაგლიჯონ ერთმანეთი! — წამოიძახა ზურაბმა.

— ეჭვნებ იცოდე, თავადო, სამკურნალო მალამო, რითაც სარბაზებს გავპოხავთ?

— არა: მაგრამ დაგავიწყდათ, რომ ვიცი გზა, რომლითაც უვნებელი გადახვალთ კახეთში, თუ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი დატოვოთ ქართლი.

— გინდა, რომ ვენდოთ შენს ორმოცდაათ მეგზურს?

— ღმერთმა დამიფაროს ასეთი ფიქრისაგან, თქვენ უნდა გახლდეთ სულ ცოტა ორი ათასი რაზმელი, რადგან ნათქვამია: ძვირფასეულობას ღიად ნუ წაიღებო.

— ზურაბ, ვისი რაზმელები დასახე?—უდარდელად ჰკითხა შადიმანმა. და სავარძლის ზურგს მიეყრდნო.

— უწინარეს ყოვლისა, ათასი არაგველი, რომლებიც უკვე დაძრწოდნენ ამ გზებში, შემდეგ ხუთასი მარაბდელი, გველების მსგავსი მზვერავები, და ხუთასი არშელი, როგორც განთქმული მამაცები.

— კვლავ ჩემი დაინახე? განა არ იცი, რომ თბილისში მე მხოლოდ ათასი მრჩება?

— მერე შენ განა თბილისში აპირებ ბრძოლას? კიდევ ვისდამია შაჰინშაჰი, განგრძობილ იქნეს დღენი მისნი ამ ქვეყნის დასასრულამდე, ისე კეთილმოსურნედ განწყობილი, როგორც შენდამი, ანდუყაფარ?

კიდევ რაღაცას ყვიროდა ანდუყაფარი, კიდევ რაღაცას ჰკითხულობდა ისა-ხანი, ზურაბი კი შეშფოთებული ფიქრობდა: „ნუთუ ხვდებიან, რომ ორპოფულად ვიქცევი? მაგრამ მეფე თეიმურაზს უნდა დავეხმარო დაიბრუნოს ტახტი, რადგან ეს დამიახლოებს სანუკვარ მიზნებს. ან იქნებ მომაკვდინებელ საფრთხეს ვიქმნი იმით, რომ მამხილოს შადიმანმა, და რაც უარესია, ისა-ხანმა, და დარჩობილი ვარ, ვით დაჟანგებული ლურსმანი დამპალ ძელში, უჭკუო სვიმონის კეთილდღეობისათვის? არა, მე მაგათ ყველას მოვატყუებ! დაე, ტკბილი უმეცრებით იქონიონ იმედი, რომ არაგველები დიდსულოვნურად დაეხმარებიან მათ მიაღწიონ თელავამდე; ნამდვილად კი სპარსელები დაეხმარებიან ჩემს ათასებს მივიდნენ თეიმურაზ მეფესთან“.

შადიმანი ნაზად ისვამდა ხელს სუნამონაპკურებ წვერზე და ჩაფიქრებული უცქეროდა გამხიარულებულ ზურაბს: „უცნაურია, კვლავ მაწუხებენ ეჭვები. მაგრამ რატომ? თავისიანები თითქმის ყველა მიჰყავს“...

ხანები შეკრთნენ — გადაკრულად აგრძნობინეს, რომ თურქების ერთობლივად განადგურების შემდეგ ზურაბი მიიღებს ახალ მიწებსა და დიდ ნადავლს, და დაარწმუნეს, რომ შაჰ აბასი არავითარი გზით არ მისცემს ნებას სულთანს დაეუფლოს ქართლსა და კახეთს, რომლებიც ირანის საფარია მოსკოვისაგან.

—მერე ურაზმელებოდ როგორ იქნები? — ვერ სძლია ეჭვსა და ჰკითხა შადიმანმა.'

— ნუთუ ასეთი სისულელე წამოვროშე? არა, ბრძენო შეშმუნვარეე, მე გულუბრყვილო როდი ვარ! მათ შესაცვლელად მოვლენ ჩემი არაგველები ანანურიდან.

— მამასადამე, ციხე-დარბაზს აშიშვლებ სააკაძისათვის? — გამომცდელი თვალი მიაშტერა ზურაბს ანდუყაფარმა.

— სააკაძე ანანურზე არ გაილაშქრებს.

— რატომ? — განცვიფრდა ანდუყაფარი და უფრო ისა-ხანს შეეკითხა.

—ანანურს ახლა დედაჩემი, კნეინა ნატოა, — ნაზი ხმით მიუგო ზურაბმა.

ისა-ხანმა ყვირილი ჩაიხშო და მშვიდად დაუწყო თვალიერება დაზაფრანებულ ფრჩხილებს. მერე უეცრად წამოდგა და დაღლილობა მოიმიზეზა. ხვალ შეგხვდებითო, განაცხადა, და მეტეხიდან წავიდა.

დილით ხოსრო მირზასთან და შადიმანთან მოულოდნელად გამოცხადდა ისა-ხანის ონბაში და ციხეში მიიწვია, რადგან ხანს ფეხი ასტკივნოდა ძველი ჭრილობისაგან და სურდა გადაეჭრა მცირე საქმეები: რომელ თავადს უნდა მიეცეს ციხე-დარბაზის დაცვის ფირმანიო.

ანდუყაფარმა, ხოლო მით უმეტეს ზურაბმა, არ დაიჯერა ეს საბაბი და ორივე აღშფოთდა: გვერდი რატომ აგვიარესო? ანდუყაფარი უზომოდ იგინებოდა, მაგრამ უმთავრესად შადიმანის სახელს ახსენებდა, ზურაბი კი, შეშფოთებით გამსჭვალული, თავის სამყოფლოში ჩაიკეტა.

საძულველი ეჩვენებოდა კუთხეში მიხვეული ბინდიც, ყომრალი დათვის ტყავიც გამოცივებული თვალებით და ჩამქრალი ბუხარიც, — შავი ნახშირი თითქოს მოასწავებდა ყოველი ბრძოლის შედეგს: ჯერ ცეცხლი, შემდეგ ნაცარი. ზურაბი სამფეხა პატარა მაგიდას მიუჯდა, ხელი სტაცა ვერცხლის სურასა და ხარბად მოსვა. მერე მსჯელობა დაიწყო და გააფთრებით ურტყამდა ხელისგულს მაგიდის მოოქვილ ზედაპირს.

„ისა-ხანმა რაღაც ეპვი აიღო. აგრეთვე შადიმანმა. რა თქმა უნდა, ანდუყაფარი თვალის ასახვევად არ მიიწვიეს, სატევარიმც გაჰყრია ყელში! ახლა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ის არის, რომ დავარწმუნო სამი მელა — მინდა დავეხმარო მათ გაუსხლტდნენ „ვეფხვების“ ტორებს. ხოლო მთავარია: სამღვდელოება მხოლოდ მეფე თეიმურაზს იწამებს — მაშასადამე, ყოველი ღონისძიებით ვეცდები მოვიგო ეკლესიის გული და

დავარწმუნო, რომ თეიმურაზის ერთგული ვარ. ან იქნებ უფრო გონივრულია ფარულად გავეშურო ანანურს? აბა სად, თუ არა საკუთარ სამფლობელოში, შეიძლება თავს უშიშრად გრძნობდე? მაგრამ მაშინ გამოვეთხოვო ტახტს? არა! არა! და არა! ხოლო ლამაზმანი, მუდამ რომ ხელიდან მისხლტება? დრო არ არის თუნდაც წუთიერ ეჭვს დავემორჩილო. მეტად დიდხანს ვქსოვდი ბადეს, რომ უარი ვთქვა ოქროს კალმახის დაჭერაზე! აღსრულდეს ყოველივე განზრახული!"

ზურაბმა არაგველს დაუძახა და უბრძანა: გაიქეც არქიეპისკოპოს თეოდოსისთან და სთხოვე დაუყოვნებლივ მოვიდეს ანჩისხატის ტაძარში: ზურაბ ერისთავს აღსარების ავლა სურს. შეტად აწუხებენ მცირე და დიდი ცოდვები-თქო.

შემდეგ სადღესასწაულო ტანსაცმელი, ქულაჯისქვეშ კი ჯავშნის პერანგი ჩაიცვა, ათი ქეშიკი გაიყოლია და მეტეხიდან გავიდა.

„უცნაურია, — ფიქრობდა გზაში ზურაბი, — რატომ ამდენ ხანს არ ამივლია აღსარება? ვინ მომაკლო ღვთიური მადლი? ვინ ჩამომაშორა ღვთის სახლს? საააძემ? არა, იგი საკვლებით არასოდეს არ მენდობოდა და ფრთხილად გაურბოდა ეკლესიაზე ლაპარაკს. ახლა კი, თვალთმაქცი. უეკლესიოდ არ სუნთქავს, კათალიკოსიც კი გააკვირვა. მაშინ ვინ? ჰო-ო! გამარჯობა ძვირფასო პაპუნა! შენ არ იყავ, რომ მაცდურივით მარწმუნებდი, ჯოჯოხეთი სწორედ ეკლესია არისო,—ღმერთს თავის ამალიანად ტყუილად როდი დაუტოვებია მოსაწყენი ზეცა და ფარჩით შემოსილ ეშმაკთა შორის დაუსადგურებია. შემდეგ ხალხთან უფრო ახლოს არის, მაშასადამე, უფრო ხელსაყრელია... რამდენი თუნგი ღვინო დალიეს მაშინ ამ ოხუნჯობაში! განსაკუთრებით დათომ, ამ სწორუპოვარმა დამყოლიებელმა. პაპუნა კი დასამტკიცებლად... დასწყევლოს! სულ დამავიწყდა: პაპუნა კვლავ ავად არის! და რატომ ვერ ამჩნევს უნდო შადიმანი, თუ რა ჯანსაღი თვალით უთვალთვალებს მეტეხს ავადმყოფი? ან იქნებ „გველი" თავადი ხოსროს უფრთხის? ამ რაინდმა ხომ სიტყვა მისცა ხორეშანს დაიცვას დიდი მოურავის მსტოვარი? ერთი რამ კარგია — კახეთის ტახტზე

შეოცნებე მალე წავა აქედან და მაშინ მახვილით ვუჩვენებ ეშ-
მაკთა მხიარულ მაქებარს ჯოჯოხეთის მოკლე გზას".

ასეთ ფიქრებში გართულმა ზურაბმა განის ქუჩაში შეუხვია
და ანჩისხატს მიადგა. ცნობისმოყვარეობამ აიტანა თეოდოსი,
თუ უეცრობამ შეაშფოთა, მაგრამ, როცა ზურაბი ცარიელ ეკ-
ლესიაში შევიდა და გულმოდგინედ იწერდა პირჯვარს, მასთან
მორჩილი მივიდა და წასჩურჩულა, არქიეპისკოპოსის სამოსსა-
ცავში გელოდებაო.

საუბარი მაშინვე დაიწყო, და არა წმინდა საიდუმლოზე.

— მამაო თეოდოსი, — ზეიმოვნად აიმაღლა ხმა თავადმა,—
მიხვდი თუ არა ჩემი ნაჩქარევი მოსვლის მიზეზს?

— ვფიქრობ, გაწუხებდნენ დიდი და მცირე ცოდვანი. შე-
ინანიე, შვილო ჩემო, შეინანიე! მოწყალე ღმერთი მომნანიე-
ბელს უარს არ ეტყვის ცოდვების მიტევებაზე.

— ვინანიებ, მამაო თეოდოსი! ხოსრო მირზა და ისა-ხანი
მთელ სპარსელებთან ერთად ქართლიდან მიდიან.

— უკვე?! — თეოდოსის კინაღამ გაუვარდა ხელიდან ჯვა-
რი, რომლითაც ზურაბის დალოცვას აპირებდა.

ცოდვები დაივიწყეს. თეოდოსი ხან წითლდებოდა, თითქოს
მდინარეში ჩაყვინთაო, ხან უმარილწასმულივით ფითრდებო-
და. თვალებაცეცებულ თავადს რომ ხედავდა, არქიეპისკოპოსი
განგებ აღელდა.

— ჰოი, უფალო, ვინ გამოიცნოს გზანი შენნი! რატომღა
აყოვნებ, თავადო? თეიმურაზ მეფე ხომ თუშეთში გმინავს?

— მეტად შეშფოთებული ვარ. მეფეს შეუძლია დაუფიქ-
რებლად ადრე ჩამოვიდეს მთებიდან და პირდაპირ ხახაში ჩაუ-
ვარდეს ხოსრო მირზას!

— ძალნო ციურნო! სასწრაფოდ გაგზავნე შიკრიკები. ან
იქნებ აკრძალული გაქვს თუშეთის გზებზე სვლა?

— შადიმანის მსტოვრები ჩემს ყოველ ამოსუნთქვას ადევ-
ნებენ თვალყურს. იმისათვის კი, რაც განზრახული მაქვს, სა-
ჭირო მეტეხი სავსებით მენდობოდეს. ვფიქრობდით: ეკლესია,
რომელსაც სურს მეფედ მხოლოდ თეიმურაზი იხილოს...

— არ დააყოვნებს და, ვით ბაქია, ხახაში ჩაუვარდება ისა-
ხანს? უგნურად ფიქრობდი, შვილო ჩემო, უგნურად! ან იქნებ

არ იცი, რომ ისინი, ვისაც მონასტრების სიმდიდრე სწყურია, ჩვენს შეცდომას ისე უთვალთვალებენ, ვით სატანა ცოდვილებს?

— მაგრამ ბერს, რომელიც შესაწირავს აგროვებს ეკლესიის საჭიროებისათვის, ვინ გააჩერებს?

— სპარსელები. წამებით გამოსძალავენ, თუ რა შესაწირავისათვის გაემართა ბერი თუშეთში, და თავს დაატყდებიან მონასტერთა ბრძენებს, რომელთაც სწყურიათ კვლავ იხილონ თავადი ზურაბი თეიმურაზ მეფის გვერდით.

— კი, მაგრამ, მამაო თეოდოსი, განა შეიძლება დაიღუპოს მეფე, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის იბრძვის? — ზურაბმა თვალი მიაპყრო კამარას, სადაც წმინდანთა გამოსახულებანი კაცს აოცებდნენ სახეთა ასკეტურობით და შესამოსელის სიმდიდრით.

— სად არის სიმართლე შენს სიტყვებში, თავადო? ზრუნავ თეიმურაზ პირველისათვის, სვიმონ მეორეს კი მიეყიდე?

— მტრის საზრიანად მოტყუება მეგობრის გაცემას როდი ნიშნავს. სააკაძე თავისი მახვილის ალესვას ანანურის სამჭედლოში აპირებდა. ღვთისმშობლის მოღალატე ხოსრო მირზას განზრახვა ჰქონდა „ირანის ლომის“ დროშა ანანურის ტაძრის სამრეკლოზე აღემართა. შადიმანი ფიქრობდა, არაგვის დახმარებით გაეერთიანებინა ქართლელი თავადები, რისთვისაც დამპირდა დავეცავი სააკაძისა და „ირანის ლომისაგან“. და ჯი ღიმილი ულვაშებში დავმალე და მეტეხში გავემართე. ო, კეთილმორწმუნე თეოდოსი, მე ისე მოვიქეცი, როგორც ბრძენი. ახლა, როცა მეტეხის ნდობით ვარ აღჭურვილი, ვიცი ყველა მათი ვერაგული გეგმა და შემიძლია დავეხმარო ჩემს მეფეს, ჩემი საყვარელი დარეჯანის მამას.

თეოდოსიმ კეთილმოსურნედ დაუქნია თავი თავადს და ფუნთუშა თითები დაისვა გაფანჩულ წვერზე: „საყვარელი დარეჯანი! — გულში აღშფოთდა იგი. — შენ კი იკითხე, ნაცადო ტურავ, ახლა დარეჯანს ვინ უყვარს, იმერელი მეფისწულის ალექსანდრეს გარდა?“ ხმამაღლა კი მოთაფლულად წარმოთქვა:

— ეკლესია დალოცავს შენს სურვილს — დაეხმარო მეფეს.

— მამაო! — სასოწარკვეთით წამოიძახა ზურაბმა. — თვითონ რომ შემეძლოს, განა ეკლესიას შევაწუხებდი?

ზურაბმა კინაღამ დასტაცა ხელი ჯვარს, სახარებაზე რომ იდო, და თავში არ დაჰკრა არქიეპისკოპოსს, მაგრამ ნამდვილად კი მუდარით წაიჩურჩულა:

—მამაო! წმიდა სახარებისა და ჯვრის გულისათვის, გთხოვ, გაგზავნო შიკრიკი! თეიმურაზი გამსჭვალულია მოუთმენლობით. თუნდაც თუშები ხუთჯერ უფრო მამაცნი იყვნენ ისახანზე, ხოსრო მირზასა და ისმაილ-ხანზე, რომელთაც ერთად ორმოცი ათასი სარბაზი ჰყავთ, — თუშები ვერ გაუმკლავდებიან, მეფე დაიღუპება! დაიღუპება ქართლ-კახეთის იმედი!

— არ დაიღუპება, თავადო!

— არ დაიღუპება? — ზურაბი ძლივს იკავებდა კბილთა ღრჭენას. — თუ...

— დამშვიდდი, თავადო! თუშები, თუ გიორგი საკაძემ ნიშანი არ მისცა, მთებიდან არ ჩამოვლენ.

ერთხანს ზურაბი გაოცებული უცქეროდა თეოდოსის, რომელიც ცალ ხელს ჯვარს უსვამდა, მეორეს კი — სახარებას, შემდეგ წაიხიხინა:

— საკაძის ნდობა საშიშია, იგი თეიმურაზის მტერია.

— ეგეც ცნობილია, თავადო. მაგრამ მოურავი მეფისათვის როდი წუხს: თუშების მეგობარია. ეშინია — მთის საუკეთესო ძალა არ დაიღუპოს. სწორედ ასე გვითხრა ანთა დევდრისის გამოგზავნილმა შიკრიკმა. იგი გვთხოვს: სვიმონ მეორეს მცხეთაში გვირგვინს ნუ უკურთხებთ... რადგან დიდხანს როდი მოგვიხდება ცის ნაკურთხი ჟამის ლოდინი.

— გამოდის, საკაძეს შიკრიკი გაუგზავნია თუშეთში?

— თვითონ იყო იქ... თუშებმა სთხოვეს.

— თვითონ? — ზურაბი გააფთრებულ დათვივით ბურღღუნებდა და ცმუკავდა. — თვითონ?..

თითქოს თავადის ბობოქრობას ვერ ამჩნევსო, თეოდოსი წყნარად განაგრძობდა:

— ღვთის შეწევნით! დაპირდა, როგორც კი მახვილითა და მოხერხებით ირანის გზას უჩვენებს ხოსრო მირზაა და ისა-ხანს, კახეთში ჩამოსვლის ნიშანს მისცემს. თუშებმა დაიფიცეს — გელოდებითო.

ზურაბი გრძნობდა, როგორ ეპარებოდა მის გულს გამყინავი სიცივე. ისე შეიკუმშა, თითქოს გადაბტომას აპირებსო, და ხრინწიანი ხმით წამოიძახა:

— მამაო, რატომ ერთბაშად არ მითხარი?

— ეკლესიისათვისაც და შენთვისაც, თავადო, უფრო ხელსაყრელია, რომ სააკაძის მახვილმა კი არ განდევნოს სპარსელები, არამედ... წმიდა ეკლესიის ჯვარმა.

ზურაბი წამოხტა. საკინძე გაიგლიჯა და ძლივს შეიკავა გინება. წამოჭარხლებული, ნანობდა, რომ სახარება, რომელზეც ჯვარი უკვე არ იდო, სამურველი არ იყო, თორემ თეოდოსის ფუნჩულა ლოყებს ჭაკის გავას დაამსგავსებდა, და უეცრად დაიღრიალა:

— ამინ!

გავიდა ერთი საათი, ორი, არაგველები მოუთმენლად შესცქეროდნენ მაგრად მიხერულ კარს. იგი ისე უეცრად გაიღო და ზურაბი ისე სწრაფად გავარდა ბაზილიკიდან, რომ საჭურველთმტვირთველმა ვერ მოასწრო მიელოცა წმიდა საიდუმლოს მიღება, მეჯინიბემ კი — ცხენის მოგვრა.

მეტეხში რომ შეაჭენა ცხენი, ზურაბმა მარჯვედ აირბინა კიბე და მაგარი მუშტით მიესალმა გუშაგს, რომელმაც ვერ მოასწრო შუბის აღმართვით მიეცა სალამი.

როცა შეიტყო, შადიმანი და ხოსრო ჯერ არ დაბრუნებულანო, ზურაბმა ბოროტად გადაიხარხარა, ერთბაშად გადაჭკრა ხელადა ღვინო, დათვის ტყავზე გაიშხვართა და, როგორც ყოველთვის, მახვილი გვერდით მოიდო.

ისა-ხანს დასვენების დრო როდი აქონდა. ერთობ შეშფოთებით უტლაშუნებდა ფრთებს ბედი. მეტად ბლანტი აღმოჩნდა ჯზისპირა ჭაობი: ცხენიანად ჩაითრევს, და მერე თვით მაჰმადიც ვეღარ უჩვენებს, სად იდგა ირანის ჯარი. ზურაბი კი? რომელ გულუბრყვილოს შეუძლია დაიჯეროს მხეცის გულკე-

თილობა? მაგრამ — დასწყეველოს ათასმა შაითანმა! — იგი გამყოლად იძლევა ათას არაგველს. აქ ხომ არ იმალება ხაფანგი? იქნებ საკაძეს შეუთანხმდა გაგვიყვანოს უცნობ გზაზე და იქ პატივით შეგვახვედროს უძლეველი?

ხავერდის მუთაქები, ბალიშები, ლურჯ-თეთრი ყალიონები, შარბათიანი სურები, დასტარხნის სახოვანი ხონჩა ნაკლებ შეეფერებოდა საუბარს, რაც ამ ქართულ დარბაზში წარმოებდა სპარსულ ენაზე უკვე არა ერთ საათს.

— ხომ არა ფიქრობ, უმამაცესო ისა-ხან, რომ ვერ გავბედავ შევება საკაძეს?

— ალაჰმა დამიფაროს ასეთი აზრისაგან, მამაცო მირზავ! შენ არც ერთხელ არ დაუმარცხებიხარ უძლეველს. მაგრამ თუ ფიქრობ ისპაჰანს მარტო დაბრუნდე, ალაჰმა დამიფაროს თან ვახლდე მიმნდობელს!

— კეთილშობილო მრჩეველებო, ზურაბს ვერდოთ, მაგრამ ხალათების ქვეშ სატევრები კი გვქონდეს მზად. ხოლო თუ ათასი არაგველი უფრო ძლიერია ათი ათას სარბაზზე, ათას მარაბდელსა და არშელზე, მაშინ უმჯობესია დაუყოვნებლივ გავუმართოთ ბრძოლა საკაძეს, ვიდრე გავურბოდეთ მას უფსკრულის პირას ხოხვით.

— განა ეს სიბრძნე არ არის! — აამა შადიმანმა. — შემდეგ კი რას აპირებ, დიდადპატივცემულო ხოსრო მირზავ?

— ორი ათასი ქართველი რაზმელი დავტოვოთ თელავში ისმაილ-ხანის დასაცავად და კიდევ ათი ათასი მინბაშთა მეთაურობით. ნება დავრთოთ ისმაილ-ხანს დაგვიმალოს კიდევ ათი ათასი და შაჰინშაჰის მარგალიტის ყურამდე მივიტანოთ: „ალაჰი მოწმეა, გონივრულად მოვიქეცით, რომ ისმაილ-ხანს დიდძალი ჯარი დავუტოვეთ-თქო“, და ორმოცდაათი ათასიდან ირანში ჩავიყვანთ მხოლოდ ოცდაათი ათასს. როცა თურქების ვერაგობის ამბავს მოისმენს, „ირანის ლომი“ დროულად მიიჩნევს, მოგვცეს ასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი და ნებას დაგვრთავს სატევრით ვუღუტუნოთ თურქებს ფეხის გულში. მაშინ სულთანი, „სულთანთა სულთანი“, „მდაბალთა შორის მდაბალი“, „ჰალვის მბრძანებელი“ საჭიროდ მიიჩნევს იომუელოს, ხოლო შაჰს, მეფეთმეფეს, დიდს დიდთა შორის, ირანის მბრძა-

ნებელს სრულიად არაფერი არ ეცოდინება ჩვენს თვითნებურ მოქმედებაზე... რაც, უნდა ითქვას, გამოწვეულია ფაშების თვითნებური საქციელით. განრისხებული სულთანი, „რაჰათ-ლუხუმის ცქიტი", „აქლემის დუჟის მცველი" ფაშებს უბრძანებს დასტოვონ გურჯისტანის საზღვრები. განრისხებული „ირანის მზე", მპყრობელთა მპყრობელი გვიბრძანებს დავტოვოთ თურქეთის საზღვრები და გავამაგროთ საქართველოსი!

— წმიდა ჰუსეინს პირიც უბრუნებია ჩემგან, თუ ვერ მივხვდი. შემდეგ რა იქნება. უძლეველს მოვსპობთ და მერე მივდგებით მის დამქაშებს — თავადებს მუხრანბატონებსა და ქსნის ერისთავებს. ან მოვსპობთ მათ, ან სვიმონ მეფისაკენ გადმოვიბირებთ.

— არაგვის ერისთავი ზურაბი, ყველაზე საშიშია თავადთა შორის, გირჩევთ, მოვსპოთ უკანასკნელი, როცა მისი დამსახურება გამოწურული ლიმონის ფასად ეღირება.

— მიხვდი, ჩემო შადიმან. განთავისუფლებული მთიელები კი არ დააყოვნებენ მადლობით მოიხარონ ქედი მრისხანე, მაგრამ მოწყალე შაჰ აბასის წინაშე და ირანის მზე ამობრწყინდება მშვიდობიან ქართლ-კახეთში.

— კეთილშობილნო ისა-ხან და ხოსრო მირზავ! აღტაცებული ვარ! მაგრამ განა არ გაუკვირდება შაჰინშაჰს, თუ რატომ საუკეთესოდ არ მივიჩნიეთ ჯერ მოგვესპო სააკაძე, რაკი, ვთქვათ, ორმოცი, ან ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი გვყავდა, და შემდეგ დავბრუნებულიყავით ირანში?

— თავადთა თავადო, ჩვენ სწორედ აგრეც მოვიქეცით! მართალ მორწმუნეთაგან ვინ არ იცის, რომ ზეცის საყვარელი შაჰ აბასი თავს ჰკვეთს იმასაც, ვინც მას ატყუებს და იმასაც, ვინც ტყუილს უჯერის? დაე ყველამ იცოდეს: სააკაძე დამარცხდა, გაიქცა და შეევრდომა სულთნის ვასალს, საფარ-ფაშას, რომელიც სულთნის შიშით ვერ ბედავს სააკაძის გაცემას. არ გასჭრა არც მუქარამ და არც სიმდიდრის დაპირებამ. ალაჰი მოწმეა, რომ ეს სიმართლეა! მთელი ქართლი და კახეთი შაჰინშაჰის ფირუზის ფერხთა წინაშეა განრთხმული. ორივე სამეფოს თავადები დიდ ხარკს უხდიან „ირანის ლომს". სვიმონ მეფე, რომელსაც გარს ახვევიან ბრძენი მრჩევლები, ერთგუ-

ლად ემსახურება „ირანის მზეს“. რაც ასეა, ასეა! თვით წმიდა ალიც კი სიცრუის ნასახს ვერ იპოვნის ჩემს სიტყვებში...

„სიმართლეც ხომ მაგაზე მეტი არ არის, — გულში ჩაილაპარაკა შადიმანმა, და გაუკვირდა, თუ რა მოხერხებულად შეიძლება გადაიხლართოს ერთმანეთში სიცრუე და სიმართლე. — ვერა, ვერ მიაგნებს „ირანის ლომი“ ხვრელს, სადაც ჭეშმარიტება იმალება. მაგრამ უფლისწულის მოხერხებული პოლიტიკის მეოხებით ქართლი გადარჩა საშინელ სისხლისღვრას, რაც ჩვეულებრივია სპარსთა შემოსევის დროს, — მაშასადამე, მტკიცედ იმედოვნებს გამეფდეს კახეთში? რა გაეწყობა, უკეთესს ვერც კი ისურვებ! და არც ზურაბისაგან გადარჩენაა ცუდი. მომბეზრდა ათეული წლების ეს ტვირთი! ვიორგი საკაძისაგან გაფრთხილებული, სულ უფრო ნაკლებ ვენდობი ირაგვის ერისთავს...“

— თუ საკაძეზე ყველაფერი ითქვა, — დაარღვია სიჩუმე ისა-ხანმა, — განა გონივრული არ იქნებოდა, ხოსრო მირზავ, თეიმურაზზეც გამოიგონო შესაფერისი იგავი?

— შაჰინშაჰის სამხედრო საქმეებში მხოლოდ უთავოები იგონებენ, რადგან მათთვის ფასი აღარ აქვს არარსებულს... — ხოსრო მირზა დარბაისლურად შეეხო თავის შუბლს. — ჩემი ენაც თავისთავად მოხვედრილა შაითნის ხახაში, თუ ყოელისშემძლე „ირანის ლომმა“ მხოლოდ სიმართლე არ შეიტყო თეიმურაზზე. განა კახეთის მეფე თეიმურაზი ცნობილი ტყის ბილიკით არ გაიქცა სამარცხვინოდ იმერეთში? გაიქცა! მიატოვა სამეფო, მიატოვა თავისი თავადების სიმდიდრე და ციხე-დარბაზები! აღშფოთებულებმა, მათ მიმართეს მრისხანე, მაგრამ მოწყალე შაჰინშაჰს. ახლა თეიმურაზის ფარული მომხრეები ირწმუნებიან, მეფე თუშეთშიაო. მთელი მთები მწვერვალებიდან ძირამდე მოჩხრიკეს ჩვენმა მსტოვრებმა, მაგრამ არეული ნაამბობის მეტი ვერაფერი შეიტყეს. იქნებ თეიმურაზი კიდევაც იმალებოდეს ნაპრალებში, ვით ხელიკი, მაგრამ იქ იგი თავის თავსაც ვერ იპოვნის. ხოლო თუ მოღალატე საკაძემ იპოვნა, ეს იქნება თეიმურაზის უკანასკნელი ჟამი...

ალბათ მრავალსიტყვიანობის გამო ხოსროს ყელი გაუშრა. იგი დიდხანს სვამდა შარბათს დიდი ფიალით, მაგრამ ცალი თვალი ისა-ხანისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

„აი, — ფიქრობდა შადიმანი და ლურჯ-თეთრი ყალიონის ჩიბუხს ათამაშებდა, — თითქმის სრული, უტიფარი მოტყუებაა, მაგრამ... ამბები სწორია, თითქოს ადლით გაუზომავთო, მხოლოდ ოდნავ განვრცობილია, როგორც გამოცდილი ვაჭრის ხელში გაჭიმული ქსოვილი. ეშვის არავითარი მიზეზი არ არის: შაჰ აბასი ორივეს დაუჯილდოებს... საკაძის დამარცხებისათვის. მაგრამ თურქებს ომს არ გამოუცხადებს, — ახლა სხვა საქმე აქვს. კახეთს ისმაილ-ხანი იცავს, ქართლი კი თვითონ დაიცავს თავს. სწორედ ასე მოვიქცევი. ხოსროს სიმარჯვე კახეთის ტახტს დაუახლოებს მას...“

— თუ ალაჰს ჩემთვის მიხვედრის უნარი არ წაურთმევია, — კვლავ დაარღვია სიჩუმე ისა-ხანმა, — ისპაჰანს გავეჭგზავრებით არა უძლეველის მიერ ჩაკეტილი თბილისიდან, არაგვედ ქართლის სამეფო ქალაქიდან, რომელიც შაჰ აბასმა დაიპყრო. — და მხიარულად გადაიგორა ხელისგულზე დაშაქრული ატამი, თითქოს საჩუქრად განთქმული ალმასი „შირაზის ვარსკვლავი“ მიიღოო.

მაგრამ ხოსრომ მკვახედ შეაწყვეტინა ხანს მხიარულება:

— მტკიცედ დაიხსომე, ხალისიანო ისა! შენ ხომ შაჰინშაჰის ახლო ნათესავი ხარ და თვითონ გადასცემ ალაჰის ჩაგონებულ მხსნელ აზრს. და, დაემბობი რა მის წინაშე, „ირანის ლომს“ აცნობებ, რომ ეკლესია მზად არის გვირგვინი უკურთხოს სვიმონ მეორეს მცხეთაში; მაგრამ თვით მეფე კი ამბობს — უკვე დაგვირგვინებული ვარ ირანის ყოვლისშემძლე შაჰის მარგალიტის ხელითო.

— ო. ალაჰ! ასეთი რამე თქვა?

— დღეს იტყვის!

— დღეს? — გაოცდა შადიმანი, რაკი იცოდა, თუ როგორ ოცნებობდა მეფე მცხეთაზე.

— უფრო სწორად რომ ვთქვა, ისა-ხანის რჩევით მისწერს ჩვენს მბრძანებელს.

შადიმანი სულ უფრო გაოცებული იყო: მაშასადამე, ხოსრო ეკლესიასაც იცავს, რადგან თავიდან აშორებს შაჰის რის-

ხვას მისი ნების შეუსრულებლობის გამო? მაგრამ თავადი ცდილობდა აუღელვებლად ეჩვენებინა თავი. ყალიონი აიღო, თვალის გასწვრივ დაიჭირა და მოჭუტული გახედა მზეზე: „კარგი ქაშანურია! ყველაფერს ლურჯ-რძისფერ ნისლივით გიჩვენებს. უფრო ცუდია, როცა ასეთი ნისლი სიტყვებშია ხოლმე“.

— ათას სარბაზს დავტოვებთ მეფის დასაცავად, — დუმილის შემდეგ თქვა ისა-ხანმა.

— ათასს? — მხრები აიჩეჩა შადიმანმა. — ვისგან უნდა დაიცვან?

— ეკლესიისაგან!

— ეკლესიისაგან? მეგონა, სააკაძისაგან-მეთქი.

— სააკაძისაგან დასაცავად ათი ათასიც საკმაო არ იქნება, მაგრამ, დიდება ალაჰს, მტაცებელი თბილისის წინააღმდეგ არ წამოიყვანს თავის აფთრებს, ამჯობინებს ქართლის გული ყოვლადსამღვდელო კათალიკოსს დაუტოვოს.

— ნება მიბოძე, ბრძენო ხოსრო მირზავ, კვლავ გამოვთქვა აღტაცება. — შადიმანმა ლამაზად დახარა თავი. — ყოველი შენგან თქმული თითქოს ბედის ატლასის წიგნში იყოს ჩაწერილი. შაჰინშაჰი კმაყოფილი იქნება. ქართლი და კახეთი კვლავ მას ეკუთვნის. დაე შემწყნარებლურად იცავდეს მათ. დროა იმერეთმაც მოიხაროს ქედი მსოფლიოს მპყრობლის ალმასის ფერხთა წინაშე, რადგან ეს უბადრუკი სამეფო ბედავს შეიერდომოს შაჰინშაჰის ურჩნი. მაგრამ ათასი სარბაზი მეტად ცოტაა წმიდა მოხუცისათვის, ორი ათასი დატოვე.

— ხედავს წინასწარმეტყველი, მეტი არც ერთი სარბაზი! კათალიკოსს ეტყვი: ასი ათასით დავბრუნდებით და განვდევნით ქოფაკ იანიჩარებს, თანაც ბოლო მოეღება „ვეფხვს“. მაგრამ თუ წმიდა მამები წინანდებურად ურჩობას ამჯობინებენ სვიმონ მეფის ნების შესრულებას, მაშინ მოგვიხდება ფრთები დავაგლიჯოთ მათ, რათა მეტად მაღლა არ იფრინონ...

ბოლოს ყველაფერი ითქვა. მირზასა და ხანს მოეწონათ შადიმანის აზრი: მუქარით და ზურაბის დახმარებით შეაგროვონ თავადთა ჯარი და გაძლონ. სანამ ხანები ისპაჰანიდან არ დაბრუნდებიან ან არ გამოგზავნიან შიკრიკს შაჰის ბრძანებით,

თუ შემდეგ რა აკეთონ. დასასრულ შადიმანმა იმედი გამოთქვა, რომ შაჰ აბასი სულთანს მოაგონებს ხელშეკრულებას მძლავრ ირანთან და მოსთხოვს არ შეიჭრას ქართლ-კახეთში. გამოირკვა, რომ ასე ფიქრობდნენ ხოსროცა და ისა-ხანიც.

ერთმანეთის კმაყოფილნი, ცბიერნი ციხის პირველ გალავანზე ავიდნენ და ტკბებოდნენ მზის ჩასვლის ცქერით. რაგინდ შეშფოთებული იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს საქმეთა გამგებელნი, როდი დავიწყნიათ მშვენიერი სადილი, რომელიც სტუმართმოყვარე ისა-ხანმა გაუმართა თავის თანამოაზრეებს.

დიდ სასადილო დარბაზში სტუმრებს უკვე ელოდნენ მროკავნი და თვალთმაქცნი. ზოლიან დოლაბანდებით მორთულმა მსახურებმა მოოქრული სინებით შემოიტანეს ბროწეულის წვნითა და ზაფრანით შენელებული ფლავი. დახორებული იყო შემწვარი ხოსბები ბრინჯითა და ნუშით. სპარსულ სანელებელთა სუნი მოედო დარბაზს. მუსიკოსები წყნარად შეეხნენ სიმებს.

სხვადასხვა ფერის ასროლილი ჯოხების ხმაურში, რომელნიც მყის შადრევნის ნაკადებად იქცეოდნენ, ტკბებოდა რა ნაირფერი ყვავილებით, ჩიტებივით რომ სხდებოდნენ ვერცხლის ჭოლოკებზე, მოხიბლული შირაზელთა სიმღერით, ქალის სიყვარულს რომ ქება-დიდებას ასხამდნენ, იგონებდა შადიმანი თავის საუბარს თავადებთან, ქველი წერეთელთან ან ჯავახიშვილთან, როგორც შორეული ბავშვობის გამოხმობას.

საუკუნესთან ერთად იზრდებოდნენ მოლაპარაკენი, მხედართმთავრები, სახელისა და სიმდიდრის მოძავეენი, სივრცეთა დამპყრობნი და სულთა მფლობელნი. ბრძოლის ძველებური საშუალებანი უკვე აშკარად არ იყო საკმარისი. საჭირო იყო გაწაფვა, ოქროს და საწამლავის ორმაგი სიმარჯვით შეხაზება, უხილავი მახვილის მხოლოდ გულისაკენ მიმართვა, ლაბირინთების ხლართების გართულება, ხრიკების მოწყობის ოსტატობის სრულყოფა.

მთავარი რამ კი, საჭირო იყო სიჩქარე, სიჩქარე! ყველაფერი განუწყვეტლივ მოძრაობდა, და ცხოვრების ქარავანს ჩამორჩენა თუნდაც ერთი წუთით ნიშნავდა თეთრი ძვლებით მოფენილ უდაბნოში დაღუპვას. და იგიც, შადიმანი, ამჯობი-

ნებდა არა თუ არ ჩამორჩენილიყო, არამედ, პირიქით, წარემართა, როგორც წინამძღოლს, მოწინავე აქლემი, რადგან მისი ზანზალაკების ხმას მორჩილად უნდა მიჰყოლოდნენ დანარჩენები.

თავი მეხუთე

ზურაბი იწვა მარმარილოს სკამლოგინზე, ნაზ-რძისფერ ორთქლში რომ იყო გახვეული და ნეტარებდა. თავი წარმოედგინა გახვეული თეთრ ღრუბლებში, ანანურის გარშემო მთებს რომ ჩამოსწოლოდნენ.

სპილენძის ლომის ხახიდან წვეთავდა და მუქმწვანე წყალში ჩნდებოდა წრეები, რომლებიც ზურაბს ამქვეყნიურ სურვილებს უძრავდნენ. ტკბილ თვლემაში წარმოიდგენდა, თუ რა სასიამოვნო იქნებოდა ამ აუზში დაენახა არა თავნება ნესტანდარეჯანი, — რადგან მეფის ასულისათვის ეს სამარცხვინოა, არამედ უბიწო მაგდანა, — რადგან შადიმანის ასულისათვის უკეთესს ვერ მოიგონებ: „მაგდანა! შიშველი! მომხიბლავი!". იგი აკვირდებოდა წყლის მოციმციმე წრეებს და იმედი ჰქონდა შიგ დაენახა ქალის იმ მარგალიტის საყურეებით მორთული, ნაზი სახე, შადიმან ბარათაშვილის საგანძურიდან რომ არის ამოღებული. და უეცრად მძაფრი სიძულვილით გაიმსჭვალა. ხელი აღმართა, თითქოს სურს ყელში სწვდეს თავადსო, მაგრამ წყალს შეეხო, გააფურთხა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. მის წინ შადრევანი ჩქეფდა, ბასრი, ვით მახვილი. ეს შედარება მოეწონა ზურაბს, ზურგზე გადაბრუნდა, თვალი მიაშტერა მუქ თაღს, სინათლეს რომ ძუნწად უშვებდა „განწმენდის ოაზისში" და დაიწყო ფიქრი ახალ დევიზზე. რომლის ამოკვეთას აპირებდა ხმლის პირზე: „ჩემი მახვილი ჩემი სინდისია!".

მექისემ უდროოდ შეწყვიტა ზურაბის ფიქრები, — ყურებში სწვდა, ცხვირი თითებით მოუსრისა, ერთხელ კიდევ გაბერა ხარის ბუშტი, ჯამბაზივით შეხტა და, რაც ღონე ჰქონდა, ბუშტი მოქნილ ბეჭებში დაუშინა. ზურაბმა სიამით ამოიფშვინა, კვლავ გვერდი იბრუნა, ფოლადისებრი კუნთები აათამაშა და შემდეგ ნება დართო მექისეს ეგრიხა ხელები, ფეხები, ებრუ-

ნებინა კისერი, ეცეკვა ზურგზე და თავით ფეხამდე ესხა გოგირდის მწვანე წყალი.

სუნთქვა სულ უფრო მსუბუქი ხდებოდა, თითქოს მაცოცხლებელი ელექსირი დალიაო. ულმობელმა ზელვამ აზრებს მოქნილობა მიანიჭა, გათანგულ სხეულს კი — ენერგია, როგორც ბერძნულ მითში, ხოლო რაც მთავარი იყო, სულაც არ უშლიდა ხელს ემოქმედნა და განკარგულება ეძლია. და ზურაბი წამდაუწუმ უხმობდა ქეშიკს, აძლევდა განკარგულებას, რასაც მყისვე ასრულებდნენ წინა ოთახში შეკრებილი არაგველები.

ქეშიკი არაერთხელ შევიდა თვით სააბაზანოში და აცნობა, რომ მოუთმენელმა მირზამ რამდენჯერმე გამოგზავნა კაცი არაგვის ერისთავთან, რომ ისა-ხანი გაკვირვებულია ზურაბის დაუსწრებლობით. ზურაბი იკრიჭებოდა, ის იყო, ახალი განკარგულება უნდა გაეცა, რომ ამჯერად მექისემ საკმაოდ მოურიდებლად გადააგდო თავადი მცირე აუზში, რომელშიც პირდაპირ წყაროდან ეშვებოდა გოგირდოვანი წყალი.

ზურაბმა მსუბუქად ამოისუნთქა და ჩამოათვალიერა მოზაიკური თეთრ-ლურჯი კედლები და კონუსისებრი თაღი. კარმა გაიჭრიალა და დინჯად შემოვიდა ქეშიკი.

— კეთილშობილო თავადო! მიხა მოიჭრა ანანურიდან. უკვე გავგზავნე მის მოსაყვანად, როგორც მიბრძანე.

— შემოვიდეს ადამის აღჭურვილობით! — ზურაბმა გადაიხარხარა, თვალი ჩაუკრა არაგველს, მერე ქისა ანიშნა და შიგ თითი გაუყარა.

არაგველს სიცილი აუტყდა. ზურაბმა მეგობრულად უთაქა კისერში.

— უბრძანე, მცველებმაც მოიშორონ ზედმეტი ჭუჭყი. მექისეებს დაუძახე, დაე ფეხებით მოუთელონ ნაშრომი ზურგი.

რამდენიც არ ელაპარაკა უფროსი ქეშიკი, რამდენიც არ უმტკიცა, რომ ხალხი მეგობრულად არ ეპყრობა არაგველებს, რაც განსაკუთრებით საშიშია საერთო აბანოში, სადაც ყველა შიშველია და ამიტომ არ იცი, ვისკენ იბრუნო პირი და ვისკენ ზურგიო, ზურაბმა ჩვეული ზრუნვით თავისი რაზმელებისათვის ბრძანა — მხოლოდ ორს ედარაჯნა შესასვლელთან მო-

რიგეობით, დანარჩენებს კი დაუყოვნებლივ ეგემათ დედამიწის გოგირდოვანი სიამე, რომელიც არ ჩამოუვარდება სამოთხის ვაშლოვან სიამეს: დაე ჰკითხონ ადამს... ან უმჯობესია ევასო.

მიხას ჯერ კიდევ არ აეფარებინა ზოლიანი ქსოვილი და საბანაოს მუქ თაღქვეშ არ შესულიყო, რომ ზურაბმა ტაში შემოჰკრა. მექისემ სწორად გაიგო, რაც თავადმა მკაფიოდ ანიშნა, სკამლოგინზე დააწვიხა ძიხა და დაუწყო ხელ-ფეხის გრეხა. კვლავ ამუშავდა ხეშეში ქისა და აბრეშუმის ბალიშისპირი, რომელიც უხვად აყენებდა საპნის ცხელი ქაფის გორებს. მიხა სიამით ოხრავდა, კვნესოდა და; ზურაბის ხუმრობასა და ქეშიკის სახსრების ტკაცუნში, ყვიროდა: „ხელი, მარჯვენა ხელი არ მომტეხო, მუდრეგო!" მაგრამ მექისე, რომლის უვნებო სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შემკრთალა, იმდენსავე ყურადღებას აქცევდა მიხას მოთქმას, რამდენსაც ვირის ყროყინს. აზნაურს ცხელი წყალი გადააკლო, მარმარილოს საწოლი გაასუფთავა და თავადი დააწვინა, რომელიც წინასწარ გაბეია ბუსუსა ზეწარში, მიხა კი ნაკრაულივით ჩააგდო აუზში, საიდანაც ის იყო თავადი ამოვიდა.

ზურაბმა მექისე გაგზავნა მახლობელ სახაშეში არაგველებისათვის ეყიდნა ყველი და მწვანილი, ჩაძმარული კალმახი, ლულაქაბაბი, ცხელი ლავაში და ექვსი თუნგი საუკეთესო ღვინო, ხოლო უფროს ქეშიკს უბრძანა, აბანოს წინა ოთახშიც კი არავინ შემოუშვაო.

— აქ. ჩემო ერთგულო მიხა, შეიძლება თავისუფლად ვილაპარაკოთ. არ ვეჭვობ, რომ მეტეხში განუწყვეტლად მადევნებენ თვალყურს, ტყუილად კი არ მეხმის კედლებში თაგვების ჩუჩუნი. ისა-ხანი და ხოსრო მხოლოდ ლაყბობენ წასვლაზე, ხოლო იგვიანებენ, როგორც კუები... ხვალ ანანურიდან ჩამოვა შიკრიკი?

— ხუთი შიკრიკი აქვე ახლოს დავმალე, ყოველდღე მოვლენ ხოლმე. ყველას ვასწავლე, თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს ანანურიდან მოვიდა. ანანურში კნეინა ნატოს დასაცავად ასი რაზმელი დავტოვე.

— მუხრანბატონთა ციხე-დარბაზის ახლოსაც ასი დატოვე. დაე ყველას თვალში ეჩხირებოდნენ. სამასი ნაბადი და ფაფახი გრძელ ხის ჯვრებზე ჩამოაცვი. გაიგე? და ტყეში ისინი ისე დააყენე, რომ ხეებში საგუშაგო კოშკებიდან მხოლოდ ქუდები ჩანდეს. ქსნის ერისთავის ციხე-დარბაზთანაც ასე მოიქეცი. უღელტეხილების დასაცავად ხუთასი რაზმელი გასჭიმე, — სათვალთვალო აღარავინ არის, ყველა თეიმურაზ მეფესთან წავიდა. ტყეული იმედი აქვს საკაძეს — ვერც ერთს ვერ ეღირსება! თბილისის წინააღმდეგ ათას ხუთასი კაცი დამჭირდება, — ფრთხილად წამოიყვანე დუშეთისაკენ. როცა გაცნობო, რაც შეიძლება სწრაფად წამოდი. გაიგე?

— ყველაფერი გავიგე, ბატონო. პირველი შიკრიკი დილით მოიპრება, მეორე...

— მეხუთე შიკრიკს მოაგონე: ჩვარი ხარის სისხლში ამოსვაროს, თავი შეიხვიოს და ისე მოვიდეს. თუნდაც ხატზე დაიფიცოს, რომ საკაძელთა რიგებში იანიჩარები ნახა. მთელი საზრიანობა უნდა ვიხმარო, რომ კახეთში ორი ათასი მსუბუქი ცხენოსანი შევიყვანო, გაიგე?

— ყველაფერი გავიგე, ჩემო ბატონო: არაგველებთან ერთად გადავიყვანოთ ხოსრო მირზა და ისა-ხანი.

ზურაბმა ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ხანიცა და მირზაც! — და ხუმრობით ისე დაჰკრა მიხას მხარზე ხელი, რომ ქეშიკმა დაიკვნესა და ჩაჯდა.

თუმცა მეტეხიდან ორჯერ მოვიდა შიკრიკი, მაგრამ ზურაბი არხეინად შეექცეოდა კალმახს სააბაზანოს წინა ოთახში. აქ მხოლოდ მიხა იზიარებდა ზურაბის სუფრას, საერთო სადგომში კი, სკამებზე აუზის გარშემო ისხდნენ არაგველები და ნაკლებ მადიანად როდი მიირთმევდნენ ლულაქაბაბს და სვამდნენ არაგვის ერისთავის ზურაბის სადღეგრძელოს.

როცა დასვენებული არაგველები ზურაბს გაჰყვნენ, მზად იყვნენ თავადისათვის თუნდაც ცეცხლში შეპრილიყვნენ.

ხიდთან ფრთხილმა მიხამ და ორმა არაგველმა განზე გაუხვიეს და მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩებში მიიმალნენ.

მეტეხში არაჩვეულებრივი სიწყნარე გამეფებულიყო. „თითქოს მოჯადოებულ ციხე-დარბაზში შევედი!" — გაიკვირვა

ზურაბმა, ხმლის ტარი ჩაბღუჯა და სწრაფად წავიდა თავისი პირადი სამყოფლოსაკენ. განგებ ხმამაღლა — მსტოვრებისათვის, თუ ისინი ყურს უგდებდნენ, — ზღურბლზე მოდარაჯე რაზმელს ჰკითხა, ეს სიჩუმე რას ნიშნავსო.

— დიდო ბატონო, ყველანი მეჯლისზე არიან ისა-ხანთან. სასიხარულო ამბავი შეიტყო ხანმა: მისმა მეფურმა მეუღლემ, შაჰ აბასის დამ, ქალიშვილი შესძინა, რადგან ორი ვაჟი უკვე ჰყავს. მეფემ საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვა და ძვირფასად მოირთო. კნეინა გულშარს კი — ძნელი სათქმელია, ალმასი და მარგალიტი უფრო უბრწყინავდა, თუ თვალები. მან საჩუქრები წაუღო ისა-ხანსა და მის ცოლებს. ანდუყაფარიც ახალი ჩოხით გამოეწყო, უფრო ტანწვრილი გახდა. ხოსრო მირზამ ოქროს ხმალი შემოირტყა, ელვასა ჰგავდა. მხოლოდ თავადმა შადიმანმა ჩვეულებრივი ქულაჯა ლიმონისფერი ბეწვეულით განაახლა — სრულიადაც არა ლხინისათვის.

ზურაბი გაკვირვებული იყო. ჯერ კიდევ გუშინ ლაპარაკი არ ყოფილა ლხინზე. მართალია, მასთან აბანოში ორჯერ გამოგზავნეს კაცი. მაგრამ არავის არ განუმეორებია, ციხეში გეპატიჟებიანო. რაღაცას უმალავენ, საჭიროა სიფრთხილე. ან იქნებ განიზრახეს ციხეში შეიტყუონ და აღარ გამოუშვან? ტყუილად ხომ არ მორთულა ასე შადიმანი.

„ფარისევლები!“ ზურაბი ზიზღით დაიმანჭა, ხმალი ნახევრად გააშიშვლა, მერე მუშტის დაკვრით კვლავ ჩააგო ქარქაშში. და უეცრად ბრძანა, მეტეხში ხუთასი რაზმელი შეაგროვეთო. მინდა შევამოწმო, ჩემი ბრძანებისამებრ არიან ჩაცმულნი და მზად აქვთ იარაღი. თუ არაო.

როცა რაზმელები შეიკრიბნენ მეტეხის მეორე ეზოში და იარაღის ჩხარუნით ორ მწკრივად დაეწყნენ, თავადმა გულდასმით დაათვალიერა ისინი და უბრძანა — ამაღამ ჩემი სამყოფლოს ფანჯრებთან განლაგდებით: დილით მინდა ჩემი ჯარი ხოსრო მირზას ვაჩვენოო.

მარტო ზურაბი კი არა, მთელი მოედანი აფორიაქდა. განუწყვეტელი შუღლით მოქანცულ მოქალაქეებს თითქმის უხა-

როდათ ეს დიდებული გამოსვლა მეტეხიდან და მეფეს ხვდებოდნენ მისასალმებელი შეძახილებით: ცოცხლობდეს და იმარჯვებდესო. კინაღამ აჰყვნენ ზეიმს წვრილი ვაჭრებიც: „იქნებ ვაჭრობა დავიწყოთო?“

მაგრამ ამქრების შეურაცხმყოფელმა ღიმილმა და ვარდან ბრძენის უნდობელმა თავიბქნევამ მყისვე გაუგრილეს მათ გული. მაგრამ მაინც, მაიდანმა, როგორც ვაჭრობის ერთიანმა გულმა, რაღაც ამბების მოახლოება იგრძნო. განსაკუთრებით შეშფოთდნენ ვაჭრები, როცა უეცრად სადღაც გაქრა შადიმანი: აი ეს არის ახლა მოდიოდა ცხენით ხოსრო მირზას გვერდით, რაღაცას ესაუბრებოდა, თვალს ჭუტავდა — და უეცრად გაქრა. ვერც მოასწრეს გაკვირვებოდათ მისი უბრალო ჩაცმულობა, რომ ცეცხლივით ფიცხ ცხენიანად და ბაყაყივით სრიალა მეჩიბუხიანად თითქოს უფსკრულში შთაინთქა! ბევრმა პირჯვარი გამოისახა: „ეშმაკს ხომ არ გაუხეთქია მიწა ბარათას ცხენის წინაშეო?“

თითქმის იგივე ივარაუდა შადიმანმა, როცა წმიდა მამის რეზიდენციის ჭიშკარში შედიოდა. პალატში, რომელიც საერო საქმეებისათვის იყო განკუთვნილი, გრილოდა, ლურჯი და იისფერი ლამპრების შუქი შეღებილ ლოლუებივით ეფინებოდა იატაკს. მაგრამ შადიმანმა ცხვირსახოცი მიიდო ოფლიან შუბლზე: „თითქოს გავარვარებულ ღუმელში შევდიოდე! — ირონიულად ჩაიცინა. — ისიც მართალია, რომ გადამწყვეტი საუბარი მოგველის“.

შეხვედრის მშრალი ცერემონიით შადიმანი მიხვდა: არაფერს არ დასთმობენ. და გადაწყვიტა: არ ეთხოვა არც სვიმონის დაგვირგვინება მცხეთაში და არც დახმარება ჯარის გამოკვებაში — ეგი ხომ სხვა დიდმნიშვნელოვანმა მიზეზებმა მოიყვანეს ზეცის სამეუფოს კართან.

— წმიდა მამაო, — მთავარი საკითხით დაიწყო შადიმანმა და თვალები მიბნიდა, — ჩვენს მრავალტანჯულ ქართლს დიდი განსაცდელი მოელის.

— ამაზე უარესი არაფერი იქნება, — ნაღვლიანად წარმოთქვა კათალიკოსმა და შავი სავარძლის ზურგს მიეყრდნო.

— იქნება, რადგან საკაძემ ჯარი გამოსთხოვა სულთან მურადს, უწმინდურ აგარიანელებს, როგორც თქვენ უწოდებთ.

— ეგ ჩემთვის ცნობილია, — სპარსელთა წინააღმდეგ მოვლენ თურქები. სააკაძე ჰფიცავს: „ქართლი იანიჩარებით არ დაზარალდება!“ აკურთხოს უფალმა, და ვიხილოთ, რომ თურქებმა ამოწყვიტონ სპარსელები და პირიქით. ასე ვიტყვით ჩვენ ღვთის სადიდებლად! დაე გაწყდნენ ურწმუნონი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც გამსქვალულია სიძულვილით ჩვენი ძველის-ძველი მტრებისადმი.

— ამინ! — თითქოს კედლიდან გაისმაო.

— მაგრამ, წმიდა მამაო, — შეესიტყვა გაკვირვებული შადიმანი, — განა მზეცების ჩხუბით არ დაზარალდებიან ჩვენი ქალაქები და სოფლები? და არ დაემბობიან მონასტრები, სინათლის ეს ოაზისები ყოფნის უდაბნოში?

— ცრემლთა ველში დასატანჯველი აღარავინ დარჩენილა, ხოლო გადარჩენილთ ეკლესია გააფრთხილებს თავისი მოწყალებით: დაე წაიყვანონ პირუტყვი და გაიხიზნონ მთებში, ვით სირიელი განმანათლებელნი.

— განა, წმიდა მამაო, ტაძრები საფრთხეში არ არიან? სპარსელებმა ხომ ხოსრო მირზას მეოხებით არ ახლეს ხელი უფლის სამფლობელოებს.

— დიდი ხანია ვფიქრობდი, რომ ხოსროსათვის სასარგებლოა ეკლესიის დაცვა. ხომ არ განუზრახავს კახელს დაიკავოს თეიმურაზის ტახტი? ან იქნებ ქრისტეს ერთგულებისათვის იცავდეს წმიდა სავანეებს?

— ტახტის შესახებ არაფერი მსმენია, ხოლო ერთგულება ქრისტესადმი, მგონია, შეინარჩუნა. ამაში არ მოტყუებულხარ, წმიდა მამაო. მაგრამ, როგორც ანგელოზთა ვერცხლის ბუკებმა გვამცნეს, უფლისწული ხოსრო ირანს მიემგზავრება.

კათალიკოსმა კითხვით მიაპყრო შადიმანს თვალი, სადაც ცბიერების ნაპერწკალი კიაფობდა.

— თურქებისა შეეშინდა? ხოლო ისა-ხანი?

— ისიც მიდის, — რა თქმა უნდა, არა შიშის გამო. გამჭრიახი უფლისწული ფიქრობს: თუ სარბაზები არ იქნებიან, სააკაძე ვერ გაბედავს ქალაქები გაუღოს სისხლისმსმელი მხეცების მსგავს იანიჩარებს.

კათალიკოსს სალოცავად აღემართა ხელები და დუმილით უცქეროდა კამარას. გოლგოთის არქიეპისკოპოსი თეოდოსი და თბილელი ერთმანეთს წყნარად ეჩურჩულებოდნენ. თეოდოსი მტკიცედ მალავდა ზურაბთან საუბარს, ასე უბრძანა კათალიკოსმა.

— სწორად გავიგე შენი ნათქვამი, თუ არა? ხოსროს მიჰყავს მტრედების მსგავსი სარბაზები?

— არა ყველანი. თბილისისა და მეფის დასაცავად საჭირო სარბაზებს სტრ̄ეებს.

— ხოლო თუ საეკლესიო ჯარი თბილისის დასაცავად გამოვიდა?

— მეფისა? შენ ხომ, წმიდა მამაო, სვიმონს არ ცნობ?

— არ ვცნობ. იგი შეიძლება დაიცვან შენმა და ანდუყაფარის რაზმელებმა, არაგველიც დაგეხმარებათ.

— კიდევ არის მიზეზი: მეფის „სიუხვის ზანდუკი" ცარიელია. აგრეთვე ბეღლები, შალსართავები და აბრეშუმსართავები სასაფლაოს გვანან. ვაჭრობა ჩაკვდა, ამქრებს სამუშაო არა აქვთ, ბაჟი ვერავისაგან აუღიათ. სპარსელებს თბილისისათვის ხელი არ უხლიათ. მონასტრებს გვერდს უვლიდნენ, მაგრამ მეფის ჯარს მაინც კვებავდნენ.

— ჯოჯოხეთის ცეცხლიც დასტეხიათ თავს ავაზაკებს! — წამოიძახა თეოდოსიმ. — ყველა სოფელი „გაპარსეს", ვითარცა ცხვრები! ხალხი რკოთი საზრდოობს, მამაკაცებს წალის ნაცვლად ხის ქერქი აცვიათ, ქანცგაწყვეტილი ქალები ძლივს იფარავენ სიშიშვლეს. ბავშვები იხოცებიან, პირუტყვი დატაცებულია, ბეღლებიდან თაგვებიც კი გაიქცნენ! მიხსენ და მიწყალე მე, ღმერთო!

— მაგას მეც ვწუხ, წმიდა მამებო, მაგრამ ჭეშმარიტება თავის მოტყუებაზე ძლიერია: სპარსელები წავლენ და მეფის რაზმელები რით ვარჩინოთ?

— საეკლესიო ჯარს, ღმერთი ინებებს, მონასტრები გამოკვებავენ.

— მეფისას?

— წმიდა ქალწულ მარიამსაც დაულოცავს ჩემი სიტყვები! მეფის ჯარსაც გამოკვებავენ. მაგრამ იცოდე, თავადო შადიმან:

მეტსაც ვიზამთ, თუ... ერთი სპარსელი — გესმის, ერთი სპარსელიც კი არ დარჩება! მთელი ქართლი უნდა განიწმიდოს სიბილწისაგან! ციხეში, მისი აიაზმით მოსხურების შემდეგ, ჩემი ჯარი ჩადგება. აგრეთვე არ უნდა დარჩეს არც ერთი მრჩეველი სპარსელი ან დოლბანდიანი ქუშიკი სვიმონთან! გაიწმინდოს, რკინის ცოცხით გაიგავოს უწმინდურება ღვთისმშობლის წილხვდომილ ივერიიდან! მაშინ ბევრ რამეს ვიზამთ... ეკლესიის ერთგული თავადების ციხე-დარბაზებშიც სამონასტრო რაზმეულები ჩადგებიან.

— მოწიწებით გისმენ, წმიდა მამაო, მაგრამ განა ასეთი ღონისძიებით შეიძლება ვაიძულოთ სააკაძე ხელი აიღოს თავისი ძლიერებისა და ყოფილი ძალაუფლების აღდგენაზე?

— ამაზე ნუ სწუხარ, შვილო ჩემო, — უეცრად, თითქოს კრიალოსანი დაებნაო, დაიწყო თეოდოსიმ, — ეკლესია აიძულებს ხელი აიღოს.

— რით აიძულებს?

— ქალაქებისა და სოფლების ყველა ტაძარში, ყველა მონასტერში წმიდა საკურთხევლის მსახურნი ხალხს აუწყებენ, რომ სპარსელები განდევნილ არიან ქართლიდან ერთგული შვილების დიდი შრომით, და თუ კვლავ ვინმე გაბედავს თავისი სარგებლობისათვის მიმართოს სპარსელების ან თურქების დახმარებას, დაე წყეულ იქნენ ისინი, ვინც მოღალატეს, მიემხროს!

— წმიდა მამის სიბრძნე გულს მინათლებს! — აღტაცებით წარმოთქვა შადიმანმა. — მაგრამ მაშინ, ჩემი აზრით, მოღალატე უნდა ეწოდოს სააკაძეს, რომელიც მზად არის ახლა მოიწვიოს თურქები, როგორც ოდესმე მოიწვია სპარსელები, რომლებმაც ააოხრეს ქართლ-კახეთი და ამოჟლიტეს უდანაშაულო ქალები და ბავშვები.

— ხალხისათვის ასე აშკარად ქადაგება საშიშია, რადგან სააკაძემ მოიყვანა — სააკაძემვე მოსპო და საქართველო იხსნა დაღუპვისაგან. შემდეგ შენც, შადიმან, მიწისქვეშა გზით შემოიყვანე სპარსელები სამეფოს გულში, — წყნარად თქვა თბილელმა, სკამზე კრიალოსანი აიღო და კათალიკოსს გადასცა.

— მე ომისათვის როდი ვცდილობდი, — მოჭუტა თვალები შადიმანმა.

— ჩვენ ვიცით, რომ მაჰმადიანი სვიმონის გასამეფებლად! — მკვეთრად გადაიწია ანაფორის სახელო, ფიქისფერ მაჯაზე კრიალოსანი შეიხსნა და შავი აღათი ააჩხაკუნა. — საakაძის სახელი ჯერ არ უნდა წარმოითქვას.

— მაგრამ თუ უკლებლივ ყველა სარბაზის გაყვანის სანაცვლოდ ისა-ხანმა საakაძის გაცემა მოითხოვა? ასეთია შაჰ აბასის სურვილი...

ჩამოვარდა დუმილი, მძიმე, ვით სპილენძის მთა. სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ კრიალოსნების შეწყობილი ჩხაკუნი. ეკლესიის მსახურთ იცოდნენ, რასაც მათგან ისა-ხანი მოითხოვდა. ბოლოს კათალიკოსმა წყნარად წარმოთქვა:

— თუ შაჰს საakაძის თავი ესაჭიროება, დაე ისა-ხანმა იმღიქვნელოს და თვითონ მიართვას იგი. ეკლესიას ეს არ ძალუძს.

სამთავროს ეპისკოპოსი სახატის წინ აღიმართა, მხედრულად შეეხო სამკერდე ჯვარს, ვით მახვილს.

— წინდაუხედავად გვაიძულებ, თავადო, ჩავიდინოთ ეკლესიის საწინააღმდეგო საქციელი. ჩვენ საakაძეს ხაფანგს არ დავუგებთ, არ მოვიწვევთ თუნდაც მცხეთაში, ვითომ მოსალაპარაკებლად, რათა შემდეგ ყიზილბაშებს გადავცეთ. თქვი, როგორც აღსარებაზე, ფიქრობდი თუ არა ამაზე?!

— აგრე. თუ სახელმწიფოს მთლიანობისათვის საჭიროა მსხვერპლი... განა ქვათახევის წინამძღვარს აგრეთვე არ მოითხოვს შაჰი? რაკი ვიცოდი, თუ რაოდენ აფასებს ეკლესია მამა ტრიფილიოსს, ყოველნაირად ვარწმუნებდი ხოსრო მირზას.

— გადაეცი ისა-ხანს: ტრიფილიოსი რუსეთს გაიქცა და იქიდან ვეღარ გამოიტყუებ. — „სიცრუე, რომელსაც ეკლესიისათვის სარგებლობა მოაქვს, იგივე სიმართლეა", — გაიფიქრა კათალიკოსმა. — მაგრამ თუ დაბრუნდა, შაჰის ბრძანებას შევასრულებთ, იცოდე, შვილო ჩემო...

- შადიმანმა გაიღრიჭა, სურდა შეენარჩუნებინა საამო წუთი, — კათალიკოსმა ხომ პირველად უწოდა მას: „შვილო ჩე-

მო“. იგი დაბლა დაიხარა და ემთხვია მძიმე აბრეშუმის ანაფორის სახელოს.

კათალიკოსი ჩაფიქრებული განაგრძობდა:

— ...თუ, როგორც ვთქვი, სპარსელები უკლებლივ წავლენ, მაშინ ბევრი რამ შეგიძლია გვთხოვო და იმავე კურთხეული დღიდან ეკლესიებში დაიწყება ქადაგება საკაძის წინააღმდეგ. მისთვის როდია ღვთისაგან წინასწარდასახული დაიკავოს ბაგრატიონთა ტახტი.

დაიხურა თუ არა შადიმანის წასვლის შემდეგ ჭიშკარი, იგი კვლავ გაიღო ორი გამგზავრებული ბერისათვის, რომელთაც ხოსრო მირზასაგან მიიღეს ნებართვა იარონ მცხეთაში.

ბერები, რომლებიც ჯორებს წკეპლით მიერეკებოდნენ, თბილისის კარში გავიდნენ, მაგრამ, მცხეთას რომ გვერდი აუქციეს, ტყეში შევიდნენ და სულ წინ მიიწევდნენ. ისინი წინასწარ ტკბებოდნენ, როგორ შეექცეოდნენ ივრის კალმახს, რადგან კათალიკოსმა მათ დაავალა ასულიყვნენ თუშეთში და შეეტყოთ თეიმურაზ მეფის ამბავი.

ჩაფიქრებული ბრუნდებოდა მეტეხში შადიმანი. ოდესღაც იმერეთში ენახა მთის ნაკადი, მიზანსწრაფულად რომ მიექანებოდა შორს, რაღაც იდუმალი სურვილით გამსჭვალული. მაგრამ რამდენი საბედისწერო დაბრკოლება აღმართულიყო მიხვეულ-მოხვეულ გზაში! აი უკვე, ეჩვენებოდა, გაიჭრება მზიან სივრცეში, აი კიდევ მხოლოდ ერთი მოძრაობა — და, გამარჯვებული, შეიცნობს მიღწეულის საიდუმლოს, ზღვის მარადიულ ძალაუფლებას. და უცვლელად ყოველთვის უზარმაზარი ლოდი აღიმართებოდა მის გზაში, და ნაკადი თეთრი მკერდით ეხეთქებოდა ქვას და ჩაშავებულ კონცხებს უხვად აყრიდა წყლის შხეფებს. წყლისას? იქნებ სისხლისას?

ეჩვენებოდა, უდიდესი გამარჯვება, რაც კათალიკოსის პალატში მოიპოვა, ბოლოს, დამშვიდებას უქადდა სამეფოს და უნდა გაეხარებინა იგი, — მაგრამ რატომღაც სიხარულს როდი გრძნობდა, არამედ, ეაგლახ, მომქანცველ დაღლილობას.

„რა თქმა უნდა, ეკლესია სრულიად უიარაღოდ მოსპობს დიდ მოურავს. მას ძალუძს მოსპობაც და განდიდებაც. მერე ვინ დარჩება? ეს თვითმოყვარენი? ზურაბ ერისთავი? ანდუ-

ყაფარ ამილახვარი? ციციშვილი? განა ყველა ერთად საკაძის გაცვეთილ წაღად ღირს? ჩემზე უკეთ ვინ იცის, თუ რას კარგავს ქართლი? კიდევ ვის შეუძლია თავისი დევგმირული მკერდით დაიცვას სამეფო? მერე რატომ ცდილობდი შენ, „გველო“ თავადო, მის დაღუპვას? მე... მე ვცდილობდი? ვინ გაბედა ჩემზე ასეთი საზიზღრობა ეფიქრა? მე კი არ ვცდილობდი. არამედ თავადთა წოდების მეთაური, რადგან სხვა გამოსავალი არ არის. თავადთა დროშების ხსნა დიდი მოურავის დაღუპვაა. ყანგდება მახვილი და არა ჭეშმარიტება! მერე რა არის ჭეშმარიტება? ორთა ბრძოლა! ის ორთა ბრძოლა, რასაც მე, შადიმან ბარათა, და გიორგი საკაძე ვეწევით უკვე მრავალი წელია. მძიმეა მისი დაკარგვა, ვინც შენი ღირსია... ყოველი ფიქრი დაკავშირებულია მასთან. თუნდაც ერთხელ კიდევ ვნახო, ვიდავოთ. ძველი ღვინო ვსვათ ვერცხლის თასებით და ვიოხუნჯოთ სამასხრო მეტეხზე. ვაგლახ! საკაძე დაიღუპ... დანამდვილებით ვიცი. დაიხურა საჭადრაკო დაფა. უკანასკნელი მისი იმედი — ეკლესია — გაქრა, და დევგმირის გზაზეა მტვერი, ქვა და ნამსხვრევები... იმედის ნამსხვრევები. ჩემს გზაზე კი რა არის? საბედისწერო დაბრკოლებანი! რიყის ქვა! და წყლის უთვალავი შხეფი. წყლისა? იქნებ სისხლისა?“

ჩუმად, თითქმის ფეხაკრეფით შეიპარა შადიმანი თავის სამყოფლოში, მეჩიბუხეს უბრძანა: საჭადრაკო მაგიდაზე მოიტანე ორი ვერცხლის თასი, ძველი ღვინო, და დილამდე ჩემთან არავინ შემოუშვაო.

გაახილა თვალი თუ არა, გულშარმა ფირუზისფერი აბრეშუმი გადასწია და ჩამოათვალიერა საწოლი ოთახი, სპარსული ხალიჩებით, ლარნაკებით და სურებით რომ იყო მორთული. ანდუყაფარისა კვალიც კი არ ჩანდა. ქალმა გაჯავრებით იკბინა ტუჩზე, სწვდა ვენეციურ სარკეს, კუს ძვლის ჩარჩოში რომ იყო გამართული. და სახეს დააკვირდა: ხომ არ გამოჩენილა, იქით იყოს, ახალი ნაოჭებიო. ბალიშით ნაჭეჭკმა ლოყამ გუნება ვერ გამოუკეთა, და მოჰყვა ანდუყაფარის აუგს.

„მზე ამოსულიც არ იყო, რომ გაიქცა. რა ჭინკა უღუტუნებს? რამდენიც უნდა ვასწავლო, მაინც თავადია. და განა ძნელია იმის გაგება, რომ დედოფალ-ცოლისათვის სხვა რა-

მეა საქირო? — ოდნავ დაიშორა სარკე და ამაყურად გაისწორა ყორნის ფრთასავით შავი თმა, სუნნელებით რომ იყო ნაპკურები. — დიახ. დედოფალი უნდა გავხდე, თორემ ბაგრატ მეფის ქალიშვილი არ ვიქნებოდი. სვიმონი? ძალიან სუსტია. შადიმანი მის მაგიერ ფიქრობს, ამიტომ თვითონაც გამოსულელდა. მაგრამ... როცა საკაძეს მოვიშორებთ თავიდან, მაშინ შადიმანიც შეიძლება მარაბდას წავიდეს და ლიმონივით ყვითლდებოდეს თავის აკლდამაში. თავი მოგვაბეზრა, ვით ერთფეროვანმა ხავერდმა. მისი დანახვისას სახე ისე მელმიქება, როგორც სიმჟავისაგან. კარგად თქვა გუშინ მინბაშის უფროსმა ცოლმა: „თუ ალაჰმა ქალს წაართვა ძალაუფლება მამაკაცზე ბატონობისა, უმჯობესია სილამაზეს ნუ მისცემსო“. და განა მთელი ჰარამხანა არ გაიძახის: „ხანუმ გულშარი ყველაზე ლამაზიაო!“ განა არა ვგავარ შაჰის დოლბანდის მარგალიტს? ხოლო რას მატებს მარგალიტს თავისი ბრწყინვა?.. ყველაფერი სხვანაირად იყო ლუარსაბის დროს. — გულშარმა დასურმული წარბი შეიკრა, გაჯავრებულმა ჰკრა ხელი მსუბუქ საბანს და მოქნილ ხელებზე სპარსული სამაჯურები გაიკეთა. — რატომ მამა არ გავიხსენე? განა მის დროს უფრო არ ვბრწყინავდი? წარჩინებულთა შორის ვინ არ იცის: ახლა მეტეხში მოწყენილობაა ომის გამო. ომი პლებეების წინააღმდეგ! როდის დამთავრდება? დამთავრდება! შეიძლება კიდევ ათი წელი გავიდეს... მაშინ მარგალიტსაც მოუვა დაბნედის დრო. ისა-ხანის მესამე ლამაზი ცოლი. ისპაჰანის ვარსკვლავი, გოგოებს შობს, სიბერეს უფრთხის, სულ ჩვიდმეტი წლისაა და უკვე ორი წელიწადია, რაც გათხოვილია. საბრალო ცოლები ისპაჰანს ეშურებიან, აქ ისინიც მოწყენილი არიან, სტუმრად ვერაფისთან მიდიან დასტარხანზე. თუმცა მონები ატკბობენ ცეკვითა და სიმღერით, თუმცა მზარეულები საუკეთესო საჭმელებს უკეთებენ, ხოლო მეაბანოე ქალები ისე უპოხავენ ტანს ნელსაცხებლებით, რომ ატლასს უგავთ, მაგრამ ყოველივე ამას რა აზრი აქვს გულმოყიჭებული ხანისათვის. არა, მე ასეთ ძალაუფლებაზე როდი ვოცნებობ. — ხელისგულზე დაისხა რამდენიმე წვეთი ვარდის ზეთი და წაისვა ოდნავ შევსებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მკვრივ ძუძუებზე, შემდეგ ზანტად დაუშვა ფე-

ხები და ცდილობდა წამოეცვა სანდლები. — სად დაიმალნენ პირისფარეშები?

გულშარმა მკვეთრად შემოკრა ვერცხლის ჯოხი ბურთობს და უკვე სურდა სილა ეჭმია სასწრაფოდ შემოსული უფროსი პირისფარეშისათვის, მაგრამ მან იდუმალ მიხურა კარი. გულშარმა ყური ცქვიტა. ამ პირისფარეშისა, რომელსაც ნუშისებრი ლამაზი თვალები და აჩქენტილი ცხვირი ჰქონდა, ყველა დანარჩენ პირისფარეშს ეშინოდა, რადგან იგი ახერხებდა სილა მხოლოდ ორჯერ ეგემნა ნახევარ წელიწადში. ალბათ ყველაზე ამბობს რაღაც-რაღაცეებს, თორემ პატივში რატომ არის?

— უბრწყინვალესო დედოფალო! — იგი სხვანაირად არ უწოდებდა გულშარს, რაკი იცოდა, რომ ყველაზე მეტი ცემით აჯილდოებდნენ იმ პირისფარეშებს, ვინც კნეინას, მასთან პირისპირ ყოფნისას, დედოფალს არ უწოდებდა, მაგრამ დოყლაპიებისათვის ჭკუის სწავლება მისთვის ხელსაყრელი არ იყო.— რა მშვენიერია დღეს უბრწყინვალესი დედოფალი! თვალებს მჭრით, როგორც მზე. და გაბედავს თავის ძლიერებაზე იფიქროს, როცა მეტეხში ბატონობს ქართლის ყველა ლამაზმანის მბრძანებელი?

— და განა აქ არის ვინმე მეფეთ მეფეზე, ჩემს ძმაზე უფრო ძლიერი?

— დაე გოგრა გაუხმეს იმას, ვინც აგრე ფიქრობს! ჯერ მეტეხის კარიც არ მიეხურათ მზის მსგავსი დედოფლისა და მეფეთ მეფის შემოსვლის შემდეგ, რომ თხებივით შემოცვივდნენ არაგველები, მცირე ეზოც აავსეს და დიდის ნაწილიც დაიკავეს. თავადმა ზურაბმა თითოეული ცალკე დაათვალიერა, ვის მხარზე ხელი დაკრა, ვის სასაცილო რამე უთხრა, — და ყველა ისე უცქეროდა, როგორც ანგელოზები მტრედს.

— კიდევ რა იყო? — მოუთმენლად დააბაკუნა ფეხი გულშარმა და თვალით ანიშნა სიფრიფანა პერანგზე, ტაბურეტზე რომ იყო გადაფენილი.

— ისა, რომ მტრედმა ყველა ანგელოზს უბრძანა, ციხეღარბაზში დარჩითო, — ენაწყლიანად აცნობა პირისფარეშმა ღა დაეხმარა პერანგის ჩაცმაში,— მთელი უკანა ეზო დაიკავეს.

ახლა თავადს ექვსასი ქეშიკი ჰყავს, მეფეთ მეფეს კი — სამასი...

— სულელო, შენი საქმე არ არის იმის დათვლა, თუ რამდენი ჰყავს მეფეს! — გაჯავრებით გააწყვეტინა სიტყვა პირფარეშს და ცისფერ მარმაშზე წითელი ვარდი დაიმცნია. — საშურველთმტვირთველს უბრძანე აქ მოიხმოს თავადი ანდუყაფარი, და მომეცი ოქროსფერი სახოვანი კაბა.

გულშარი იცვამდა და ძლივს იკავებდა წყრომის ახალ ტალღას. ანდუყაფარმა შემოსვლაც ვერ მოასწრო, რომ გულშარმა მსახური გაუშვა და ქმარს შეუტია:

— ზურაბის თავხედობის ამბავი უკვე იცი? თუ ჩემი გამჭრიახობის იმედი გაქვს?

— რატომ თავხედობა? — გაკვირვებით აიჩეჩა მხრები ანდუყაფარმა. მან ხომ აღგვითქვა ათასობით სარბაზი გამოეყო ხანების გასაცილებლად. ალბათ იარაღის შემოწმება მოისურვა.

— შეამოწმოს, ვის უფრო ბევრი ბუმბული აქვს ფრთებში — ანგელოზებს თუ მტრედებს! სამწუხაროა, რომ შენი ტანი შენს ჭვრეტაზე უფრო გრძელია, თორემ დაინახავდი, რომ არაგველი მედიდურობს ჩვენს წინაშე. და რატომ უთენია გარბიხარ შადიმანის საწოლი ოთახის ზღურბლზე სადარაჯოდ? განა შენ, გულშარის ქმარს, არ უნდა გცემდეს ყველა თაყვანს? რატომ ისე არ გიკავია თავი, როგორც სვიმონის ძმასა და მემკვიდრეს?

— გულშარ! გევედრები, როგორც ქრისტეს... ან მაჰმადს... ეს ერთი და იგივეა...—ანდუყაფარმა კარი გააღო და ისევ მიაჯახუნა. — შადიმანმა ან სვიმონმა რომ გაიგონოს, ეს კი ერთი და იგივეა, კვლავ დავინახავთ არშის ციხეს.

— ჰა... ჰა... კიდევ ვისი გეშინია, აყლაყუდა მამალო? ჩანს, შენ უფრო მეტი ბუმბული გაქვს!

— ძრავისი ისე არ მეშინია, როგორც შენი ენისა, ხოლო ჩემი ხმალი უარესად გალესილი როდია, ვიდრე უგანათლებულესი თავადებისა. მაგრამ გირჩევ არ დაივიწყო შაჰ აბასის სურვილი — თავისი დისწული ნახოს ქართლის დედოფლად, მისი ვაჟი კი — მემკვიდრედ!

— ყურებს ნუ მიტენი დამპალი ბალახით! გვირგვინს არავის დავუთმობ, ხოლო შადიმანი, რომელმაც შენი ნათელი დროშა ზურაბის შავი ნაბდით დაჩრდილა, დროა...

— არ დაამთავრო, გულშარ. მტკიცედ დაიხსომე: შადიმანი დაეხმარა სვიმონს ტახტის დაკავებაში, ჩვენ დაგვეხმარა არშის დატოვებაში და კიდევ... დაგვეხმარება, როცა დადგება ზურაბის თავიდან მოშორების ჟამი. არ დაივიწყო აგრეთვე, რომ ჩემს ძმას ფირანს ცოლად ჰყავს მისი და. — ნათესავია ხომ? მერე მეტეხი უშადიმანოდ რა არის?

— და შენც, თავადო, არ გაბედო დამთავრება! ნათესავია! დიდი ხანია დაივიწყეს ეგ! მეტეხი ბაგრატიონებისთვისაა და არა...

— ვერც ერთი ბაგრატიონი ტახტზე ვერ იქნება, თუ ძლიერმა თავადებმა მხარი არ დაუჭირეს! — წამოიძახა ნაწყენმა ანდუყაფარმა. — გთხოვ, გულშარ, ნუ გაამწვავებ ჩვენს ურთიერთობას შადიმანთან. ჩვენ ისედაც მარტო ვართ, თავადები მეტეხიდან გარბიან, როგორც ვირთაგვები ცეცხლმოკიდებული ბეღლიდან.

გულშარმა გაისწორა ლოყებზე ჩამოშვებული კულულები, მარგალიტის საყურეები, ბურთობს დაჰკრა, შემოსულ პირისფარეშს უბრძანა, ახალგაზრდა თავადი მაჩაბელი მომიხმეო, ქმრისათვის არც კი შეუხედავს და „შეხვედრის დარბაზისკენ“ გაემართა.

შემოვიდა თუ არა ახალგაზრდა თავადი, მაშინვე გაგზავნა მეფის სამყოფლოში შეეტყო მესტუმრისაგან, როგორ არის მეფე, და გაეფრთხილებინა, რომ იგი, მეფის ასული გულშარი, ინებებს და პირადად წარსდგება „წინასწარმეტყველის აჩრდილის“ წინაშე, რათა დილის სალამი გადასცეს. თუმცა სვიმონმა, რომელსაც ეშინოდა დისა, კიდევაც სთხოვა მას, ყოველთვის მეტეხის შეუტყობინებლად მობრძანდი ხოლმეო, მაგრამ გულშარი ზუსტად იცავდა სასახლის წესებს, რადგან ამით სურდა განსაკუთრებით აღენიშნა თავისი ძალაუფლებაც და მეფის მიუწვდომლობაც. თორემო, ფიქრობდა იგი, ყოველი მაიმუნი არაფრად ჩააგდებს ისეთ გვირგვინოსანს, როგორიც ჩემი ძმაო. და ანდუყაფარიც უნდა დამორჩილებოდა გულშარის

ჭირვეულობას. და იგი არ შემცდარა, მეტეხში მყოფნი კარისკაცნი უნებურად ჰბაძავდნენ მის მაგალითს და. შადიმანის სასიამოვნოდ. დაცული იყო თუნდაც ოდნავი წილი პატივისცემისა მეფისადმი.

ზურაბის უცნაურმა საქციელმა, თუ არ აღაშფოთა, გააკვირვა მაინც შადიმანი. შადიმანმა გადაწყვიტა გადაედო ხოსროსთან საუბარი კათალიკოსის წინადადებაზე და დაუყოვნებლივ განეხილა მეფისწულთან ერთად არაგველის ახალი „თავსატეხი საკითხი".

დილის თათბირზე პირველი მოვიდა ანდუყაფარი, მეორე— ისა-ხანი და ბოლოს ზურაბი.

— ბისმილაჰ, — წამოიძახა ისა-ხანმა და ხმას შარბათის სიტკბო მისცა. — ნუთუ შენ გხედავენ განშორებით დამწუხრებული ჩემი თვალები? ლხინი ნახევრად იყო ჩვენი დამტკბობი, მაგრამ ამის მიზეზის ძებნაში ჩვენ შევჩერდით ვარაუდის ოაზისში, რადგან ნათქვამია: ნუ ეძებ აზრს იქ, სადაც განზრახვა ჩანს.

— ხანთა შორის წარჩინებულო, როცა შენი შიკრიკი მოვიდა, სველი ვიყავი თევზივით და ვერ გავბედე გამოქცეულიყავ შენს დაძახებაზე. ხოლო, როდესაც შეეიმშრალე, შენი ძახილი აღარ გამიგონია და მოწყენილი დავრჩი. რადგან ნათქვამია: ნუ ისწრაფვი იქ, სადაც არ გელოდებიან.

— და განა იმიტომ არ ისწრაფვოდი, თავადო ზურაბ, — და ანდუყაფარმა ჩაიცინა, — რომ თვითნებურად განალაგე მეფის ციხე-დარბაზში არაგველები, რომლებიც არავის არ დაუპატიჟნია?

— და მე შემატყობინეს, ზურაბ. რომ არაგველები მეგობრულად შეხვდნენ თავიანთ ბატონს მეტეხის სტუმართმოყვრულ ციხე-დარბაზში.

— ხოლო, მე რომ ზიარების წმიდა საიდუმლოება მივიღე, ამისი ამბავი არ მოსულა შენამდე, შადიმან?

— მოვიდა, ისე როგორც განცვიფრება მიდის გონებამდე.

— რაინდების მწყალობელმა ანჩისხატის ღვთისმშობელმა

შთამაგონა, — ზურაბმა გამომწვევად დაიდო ხელი ქამარზე, თითქოს ხმლის ტარიაო, — ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ ჩემი გამჭრიახობა. სიტყვამ მოიტანა: არაგველები მეტეხში კი არა, ეზოში დავაყენე. დაე იცოდნენ ფრთხილებმა: როცა რაინდი ხმლების ჩახუნში მწვანე ველის ნაცვლად უფსკრულს ხედავს, ვალდებულია გაფრთხილდეს, ხოლო შავ ანგელოზთან მოულოდნელი შეხვედრის შემთხვევაში შეიძლება ეკლესიას სთხოვო ცოდვების განტევება.

— ალაჰმა დღეს მიხვედრის უნარი წამართვა, მაგრამ რაკი დერვიშების კრებაზე არა ვართ, მივაბრუნოთ ჩვენი ფიქრი კახეთის გზისაკენ, — ცივად თქვა ისა-ხანმა.

ამ დროს მოისმა ქვის ფილებზე შუბების დარტყმის ხმა, მცველების ხმამაღალი ლაპარაკი, აჩქარებული ნაბიჯი. შემოვარდა მეჩიბუხე, კარშივე შეჩერდა და აღელვებულად წარმოთქვა:

— თავადო არაგვის ერისთავო ზურაბ, ანანურიდან შიკრიკი მოიჭრა! შუბლი თეთრი აქვს, როგორც ფიცარი, დაღლილობისაგან ბზრიალასავით ბარბაცებს, შენ გეძებს, თავადო!

ზურაბი შეშფოთებული წამოხტა, მაგრამ მაშინვე ტახტზე დაეშვა.

— თუ პატივცემული მრჩეველები წინააღმდეგი არ არიან, დაე შიკრიკი აქ შემოვიდეს.

— დაე შემოვიდეს! — მოუთმენლად დაუდასტურა ისა-ხანმა.

შემოვიდა შიკრიკი — გაფითრებული, ჯავშნით დაუფარავ ადგილებზე ტანსაცმელი დახეული ჰქონდა; აბორჯლებული ენით რაღაც გაურკვეველი წაილუღლუღა.

ზურაბმა თავისი თასი ღვინით აავსო, შადიმანს ნება სთხოვა და შიკრიკს გაუწოდა.

— იასონ, ახლა კი ილაპარაკე. მეფის მრჩეველთა წინაშე არაფერი არ დამალო! რა მოხდა?

— ჩემო ბატონო! ძლივს ცოცხალი გადავრჩი, არ ვიცი როგორ! სააკაძის კაცებმა კინაღამ მომკლეს. ღამით მოიპარებოდნენ გორის გზაზე... მე, სპირიდონი და რევაზი, როგორც მიხამ გვიბრძანა, მათ ვუთვალთვალებდით. არ ვიცით, დღისით რო-

გორ, მაგრამ ღამით მრავალი ცხენოსანი დავინახეთ. სპირიდონ-მა მოახერხა სულ ახლოს მიცოცებულიყო და ეს გაეგონა: „კარგია, საფარ-ფაშამ ჯარი მოგვცა, მაგრამ თურქები მთელ კვირას იგვიანებენ. და განა დრო არ არის გამოვცადოთ თბილისის გალავნის სიმტკიცე?“. მაშინ მეორემ ასე უთხრა: „მოურავს არ უნდა ხელი ახლოს თბილისს, უამისოდაც ერთ ბადეში მოხვდება რამდენიმე ჩიტი... მოიცადეთ, აქ ვიღაც იმალება!“ სპირიდონი უკან გამოცოცდა, უკვე ცხენზე შეჯდა, რომ უეცრად სააკაძის კაცებმა დაიყვირეს: „დაიჭი! აი ისინი! ისა-ხანის მსტოვრები!“ და ისეთი ამბავი ატყდა, ბატონო, რომ მოგონებაც საშინელია! კიდევ კარგი, რომ მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ისარი დაგვაყარეს, ბნელში ხმლები ლაპლაპებ-დნენ... მაშინ სპირიდონმა წაიხიხინა: „იასონ, თბილისში გასწი, თავადი გააფრთხილე!“ მე ცხენი გამოვაქენე, ჩვენებიც სხვადა-სხვა მხრისაკენ გაილალნენ და მდევართ გზა აუბნიეს. არ ვიცი, ცოცხლები არიან. თუ არა, მე კი მოვახერხე გასხლტომა, ჩემო ბატონო.

— ვხედავ, — გაიცინა ზურაბმა. — ალბათ სპირიდონი და რევაზი აგრეთვე გაუსხლტნენ, ტყუილა როდი არიან არაგველები. მხედართა შორის მოურავი არ შეგიმჩნევიათ?

— არა, ბატონო, არ შეგვიმჩნევია, ბნელოდა; მაგრამ მე მაინც ვიცანი „ვეფხვი“ დათოს მხიარული ხმა. შეიძლება სხვებიც იყვნენ, მაგრამ არ შეგვინიშნავს. აქედან რომ მსტოვრები გავგზავნოთ, უფლისციხესთან ახლოს დგანან...

მარტო ისა-ხანი როდი გამოჰკითხავდა გამომცდელად შიკრიკს, არამედ შადიმანიც და ხოსრო მირზაც ბეჯითად ცდილობდნენ გაეგოთ, სად არის სააკაძე. ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ, რომ „ვეფხვთა“ წინამძღოლმა უფლისციხეში მოიკალათა და მიუწვდომელი გახდა. მაშასადამე, თურქებს დაელოდება და თბილისს დაეძგერება?

მიხურეს თუ არა ქეშიკებმა კარი შიკრიკის გასვლის შემდეგ და კვლავ დააჯვარედინეს შუბები, ხოსრო მირზამ წამოიძახა:

— წმიდა ჰუსეინმა ისმინა ჩემი ვედრება და ერთხელ კიდევ მახვედრებს უძლეველს.

— როგორ, ხოსრო მირზა აპირებს ბრძოლაში ჩაბმას?

— მიხვდი. თავადო ზურაბ! საკაძე ხომ ქართლშია?

ზურაბი ცდილობდა დაემალა მღელვარება, ხან წამოხტებოდა, ხან კვლავ დაჯდებოდა.

— მაგრამ, პატივცემულო მრჩეველებო, ხომ გაიგონეთ, შიკრიკს საკაძე არ დაუნახავს. „ვეფხვი“ ახალციხეს არ მოშორებია! — გაბრაზებით წაიჩიფჩიფა.

შადიმანი შეშფოთებით გამსჭვალულ ზურაბს მიშტერებოდა: „აქ რაღაც ცბიერებაა! არა, ზურაბი სანდო არ არის“, და მტკიცედ თქვა:

— საკაძე დიდ საქმეზე მარტო „ვეფხვებს“ არ გზავნის. ერთობ ჭკუიანია. ხოსრო მირზა მართალია. და ნურავინ იფიქრებს, რომ საკაძეს ვერ დაამარცხებს ის, ვინც „ირანის მზემ“, დიდმა შაჰინშაჰმა ნდობის ღირსი გახადა!

ხოსრო წამოდგა და განაცხადა: დაყოვნება სიკვდილის დარია. მინბაშებს ვუბრძანებ ორი საათის შემდეგ გაილაშქრონ და მეც უფლისციხისაკენ წავალო. დაე აგუგუნდეს ათასობით დოლი!

„უნდა გავიქცე! დაუყოვნებლივ უნდა გავიქცე! — შეძრწუნდა ზურაბი.—ორპოფულ თამაშს ბოლო მოეღო! წყევლა! ო, უბადრუკო ხვედრო!.. გავიქცე? რომ დამაკავონ?.. გავიქრები!“—ზურაბმა ჯავშანქვეშ მოკლე მახვილი მოისინჯა.

კვლავ გაიჩხარუნეს შუბებმა და ხმაურით გაღებულ კარში შემოვარდა მეჩიბუხე, სახელოთი რომ შუბლზე ოფლს იწმენდდა.

— ბრწყინ-ვა-ლე თა-ვა-დო! კვლავ შიკ-რი-კი. სულ გასის-ხლი-ანე-ბუ-ლია!

უსიამოვნებამ დაღმიჭა ზურაბის სახე. წამოვარდა და გულში ათასგვარი წყევლა უქადა შიკრიკს. „სატანა მოწმეა! ამ სულელს აიძულებენ გაუძღვეს სარბაზებს საკაძის არ არსებული ბანაკისაკენ. დაუყოვნებლივ უნდა გავიქცე!“

— შემოიყვანე შიკრიკი! — შადიმანი უფრო ეჭვიანად ადევნებდა თვალს ზურაბს. — რა მოგივიდა, თავადო? განა მეტად არა ხარ შეშფოთებული?

— მტაცებლები რომ მარაბდისაკენ ისწრაფვოდნენ, დამშვიდებული იქნებოდი, როგორც მარმარილოს ანგელოზი? საჭიროა გადავარჩინო ციხე-დარბაზი! საჭიროა!

ზურაბმა კინაღამ წამოიყვირა: „უნდა გავიქცეო“, მაგრამ როცა დაინახა შიკრიკი, რომელიც კი არ შემოსულა, არამედ გადმოაბიჯა თუ არა ზღურბლს, გულაღმა წაიქცა, იგრძნო სკამს შეეხორცეო.

თვალდაჭყეტილი ზურაბი შიკრიკს შესცქეროდა: „ვფიცავ კუდიანს, ეს ცთუნებაა!..“ მის წინ ხალიჩაზე წამოდგა არა არაგველი, არამედ სააკაძელი ილო, გიორგი სააკაძის საუკეთესო მსტოვარი.

— ილაპარაკე! და კარგად დაიხსომე, არაგველო: სიცრუისათვის წამებით დაისჯები! — შადიმანმა სიძულვილით გადაიტანა თვალი გაოგნებულ ზურაბზე.

— დიდო ბატონო, — ხრინწიანად დაიწყო შიკრიკმა, — თუ არ ვილაპარაკე. აბა აქ რისთვის ვარ?

— სადაური ხარ? — ველარ მოითმინა და დაიღრიალა ზურაბმა.

— როგორ თუ სადაური, ბრწყინვალე თავადო? თვით იცი, ჩემი დაი დუშეთში ცხოვრობს, შენი მეჯინიბის ცოლია, მასთან სტუმრად ვიყავი, ვინ დამიშლის? უკვე მცხეთასთან ვიყავი, უეცრად შენი ერთგული რევაზი შემხვდა. „მითხრეს. მეუბნება, სააკაძემ თურქები მაინც მოიყვანა!“ — „უამისოდ ვერ იცოცხლებს“, — ეს მე ვუთხარი. „გინდა, ილო, ჩემთან ერთად თავადის მადლობა დაიმსახურო?“ — „სულელი იტყვის უარს ასეთ რამეზე“, — ეს მე ვუთხარი... ერთ საათსაც არ გაევლო. რომ უკვე უფლისციხეს ვეპარებოდით... თვითონ ხვდები, მამაცო თავადო ზურაბ, თუ რა შევიტყეთ იქ.

შიკრიკი დაწვრილებით მოყვა: როგორ მიაბეს ცხენები თხილის ბუჩქს, როგორ წაცოცდნენ სულმოუთქმელად იქითკენ, სადაც სააკაძის კაცები იდგნენ, როგორ გამოცვივდნენ ლიშხნარიდან ცხენოსნები; მათ შორის ბევრი იყო იანიჩარი,— აზნაურებს თურქულად ელაპარაკებოდნენ. როგორ მოუხდათ ლოდინი, სანამ ისინი თბილისის გზის მოსახვევში არ მიიმალნენ:

— უთუოდ მსტოვრები...

ზურაბი ტუჩებს იკვნეტდა, ცდილობდა დაეძლია გააფთრება. ილო განაგრძობდა ტყუილის ბანდვას და სახეზე სატანისებური ღიმილი უთამაშებდა.

„ძაღლო! ვირისა და ღორის ნარევო! — ზურაბს გაახსენდა, რომ ოდესღაც ეს ილო ანანურიდან ნოსტეს გაიქცა არჩილთან ერთად (რომელიც გორის გალავანთან შაჰ აბასმა სიკვდილით დასაჯა) და სააკაძის საუკეთესო მსტოვარი გახდა. განა მარტყოფში ილომ არ შეაღწია სპარსთა ბანაკში? მაგრამ აქ რად შემოძვრა? ნუთუ გაბედავს ჩემს გაცემას? უფლისციხეში ხომ იმდენივე იანიჩარი და აზნაურია, რამდენიც ალმასის ციხე-დარბაზში! დასწყევლოს ღმერთმა! სააკაძე მიხვდა ჩემს განზრახვას! „ვეფხვებმა“ უთვალთვალეს ჩემს შიკრიკებს, ხოლო მთავარმა მტაცებელმა ილო გამოგზავნა ჩემს დასაღუპავად! ჩანს, ეს ვირიშვილი წაეჩხუბა ჩემს შიკრიკს და მის ნაცვლად თვითონ შემოძვრა სტუმართმოყვრულ მეტეხში. სატანა!“

— რატომ შენთან ერთად არ მოვიდა მეორე არაგველიც? — ჯერ კიდევ ეჭვიანად ჰკითხა შადიმანმა.

— ბრწყინვალე თავადო, თვითონ მოგეხსენება, რომ ცხენზე შესაჯდომად საჭიროა საჯდომი, რევაზი კი აგერ ერთი თვეა მუცელზე წევს და იანიჩართა გამასპინძლებას ღვინოს აყოლებს. — ილომ მხიარულად ჩაუკრა თვალი ზურაბს.

არაგვის ერისთავმა ჯიქურად გაივლო ხელი ქამარს. ისახანმა ხმამაღლა გადაიხარხარა. ხოსრო ღიმილს იკავებდა. ზურაბმა თითები დაატკაცუნა: „ყველაფერს მივხვდი! წყეული „ვეფხვების“ წყეულმა კუდმა ჩემი შიკრიკი დაიჭირა და ჩხუბში, დაცინვით, მკერდი კი არ დაუჩხვლიტა, როგორც რიგია...“

— შენ კი რატომ გაქვს უკანალი მრთელი? — ჰკითხა დაინტერესებულმა ანდუყაფარმა.

— ეგ, თავადო, ჩვევაზეა: მე ერთხელაც არ მიჩვენებია ზურგი მტრისათვის. თუმცა ხედავ? — ილომ პერანგი გაიხსნა: მკერდში ღრმა ჭრილობიდან სისხლი ჟონავდა.

შადიმანი შეკრთა და მტკიცედ გადაწყვიტა: „მეფისწული ხოსრო მეფე იქნება, რადგან...“

ხოსრომ ნაზი სუნამოთი ნაპკურები აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და ილოს გაუწოდა.

— აიღე, ჭრილობა შეიხვიე და... თქვი, შემდეგ რა მოხდა?

— ქართლის გულისათვის, მეფისწულო, ვიტყვი, რაც საჭიროა. დაე ქართულმა მზემ გააბრწყინოს შენი გვირგვინი! დაე...

— ჩუმად, საძაგელო! როგორ ბედავ ხმის ამოღებას? ან იქნებ შენთვის ცოტაა ერთი ჭრილობა და კიდევ გინდა?

— მეტი სად მივიყენო?

— როგორ? როგორ თქვი? — ზურაბი ხარხარმა ააცახცახა. — აჰა, ქისა, აიღე, ეგ განგიკურნავს სისხლით მოსვრილ თავს.

— ვერ განმიკურნავს, ბატონო. ხარის სისხლით რომ დავისველო... ბედნიერი რევაზი, ის ასე მოიქცა.

— შენ რა თქვი, ვირიშვილო? — ანდუყაფარმა მრისხანედ გამოსკვნა მუშტი. — შენი ბატონის თანდასწრებით ფუნად გადაგაქცევ!

— მართალი ბრძანეთ, არშის თავადო... მეტს ვეღარსად. — ილომ სახვევი მოიგლიჯა: შუბლზე სატევრით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. — იანიჩარმა მომაყენა, მაგრამ მეც მის გოგრაზე ხმალი გადავტეხე, მხოლოდ შემდეგ გამოვიქეცი.

ზურაბი გულდასმით აკვირდებოდა ჭრილობას: „თვითონ დაუჭრია თავი. სატევარს ასე არ ურტყამენ. მაგრამ მიზანი რა არის? ჯერჯერობით ჩემს სასარგებლოდ როშავს ტყუილს. ან იქნებ მეთამაშება, როგორც დაჭერილ თაგვს. აქვე მოვკლავ!“ — და განგებ გაიღიმა, კბილები რომ არ დაღრჭიალებოდა.

— ცხადია, ჭრილობები ლაპარაკს გიშლიან? ვგრძნობ, რომ მოახერხე იმის მოსმენა, რაზეც კლდის უკან თათბირობდნენ.

— რომ არ მომეხერხებინა, ბრწყინვალე თავადო, როგორ გავბედავდი მოსვლას? ყველამ იცის: ზურაბ ერისთავს საუკეთესო მსტოვრები ჰყავს. და, გარდა ამისა, იმას, ვინც ღმერთმა გააბედნიერა და არაგვის საერისთაოში დაიბადა, ირმის სმენა აქვს. კარგად კიდევ არ ვიყავ დამალული, რომ ეს გავიგონე: „რა ამბავია, ნოდარ, თურქები რვა დღით იგვიანებენ? ძალიან

კარგია! სააკაძემ ახლა ოსმან-ფაშას გამოგზავნილი ორასი იანიჩარიდან საფარ-ფაშას უნდა გამოართვას ასი კაცი, რომლებმაც ზარბაზნის სროლა იციან? კიდევ უკეთესი! წამოვიღებთ მათს ზარბაზნებს და მათს იანიჩარებს ვაიძულებთ ასწავლონ ჩვენს რაზმელებს...“

— მოიცა, — გააწყვეტინა შადიმანმა შიკრიკს, — გამოდის, რომ სააკაძე ახალციხეშია?

— მიხვდი, ბრწყინვალე თავადო, და თითქმის ყველა თავზე ხელაღებული „ვეფხვი“ იმასთანაა. კიდევ ასეთი რამ გავიგონე, ბატონო: თხუთმეტ ათასზე მეტი რვა დღის შემდეგ ახალციხეს მოუახლოვდება. მაშინ მთელ ქართლს შემოერტყმიან გარს, რომ ვერც ერთი ხანი... ვერც ერთი სარბაზი ცოცხალი ვერ წავიდეს. კიდევ ასეთიც გავიგონე, ვიღაც აზნაური მეორეს ელაპარაკებოდა: „ჩვენმა მოურავმა დაიფიცა, ისა-ხანი ცოცხალი უნდა წამოვიყვანოო... სულთანს ასე დავპირდიო“. — „რატომ ხოსრო-მირზა არა?“ — გაიკვირვა მეორემ. „ე, რა მიუხვედრელია! ხოსრო მირზა სულთანს ისე ესაჭიროება, როგორც ბატს ფაფახი. ისა-ხანი სხვა საქმეა, — შაჰ აბასის ახლო ნათესავია...“ — „ე, პანუშ, ხელები მექავება! მე პირველი ავალ ანანურის გალავანზე, გზა კარგად ვიცი“. — „რატომ მარაბდის გალავანზე არა?“ — „კვლავ სისულელეს ამჟღავნებ! ჩვენმა მოურავმა თქვა: „მარაბდა თვითონ მე მესაჭიროებაო“. მარაბდის ნაცვლად სულთანს ორ სამთავროს დაპირდა: საციციანოსა და საჯავახოს“. — „გამოდის, რომ სამი სამთავრო დაზარალდება?“—„რატომ სამი, არში? სულთანმა სწორედ ასე თქვა: „არაგვის საერისთაო და არში ისე მესაჭიროება, როგორც ოქროს რქაო!“. მარაბდა კი...

— შენ, აქლემის ფუნავ, გინდა დამარწმუნო, რომ მთელ საათს უსმენდი და არ დაგიჭირეს?

— კიდევ ერთ საათს შემეძლო მოსმენა, მაგრამ ამ რეგვენმა რევაზმა ამჯობინა თავისი უკანალი ცხრილად გადაექცია.

ზურაბი ფიქრობდა: „ამ ძაღლის გაცემა საკუთარი თავის გაცემას ნიშნავს. მერე რა სარგებელი მექნება? ისედაც კინაღამ დავიღუპე. „ვეფხვის“ მსტოვარმა მიშველა. და ხრინწიანი ხმით შეიგინა.

— შენ როგორღა გადარჩი? — ხმამაღლა ჰკითხა ხოსრო მირზამ და ანდუყაფარის სიცილი ჩაახშო.

— ცხენს უნდა ვუმადლოდე! გამოცვივდნენ სააკაძელები, აგრეთვე იანიჩარები, ღამე ბნელია, ცხენები კი მათ არა ჰყავთ. ხმლები მოვიქნიეთ, მერე ხელი დავაცალე რეევაზს, ხურჯინივით გადავკიდე ცხენზე და ქარივით გამოვაქროლე. დიდხანს გვესმოდა შორიდან ცხენის თქარა-თქური, მაგრამ დაიგვიანეს ფინაჩებმა. რეევაზმა რომ დაინახა, გადავრჩითო, კვნესით ჩამოხტა ცხენიდან, მე კი აქეთ მოვქუსლე. კეთილშობილმა, მაღალშობილმა კნეინა ნატომ შემოგითვალა, თავადთა თავადო, — უეცრად განაგრძო ილომ და უტიფრად შეხედა ზურაბს, — როცა ანანურს დაბრუნდები, ორი ნაჭერი ხავერდი იყიდე: შვილიშვილებს უნდა გაუგზავნოს. ცისფერი ქსნის ერისთავის მაროს დაშვენდება, ვარდისფერი კი ხვარამზეს, მუხრანბატონის კნეინას. თუმცა ორივე გიორგი სააკაძის ქალიშვილია, მაგრამ მაინც ძლიერ უყვარს...

— ჩუმად, საზიზღარო! — ვეღარ მოითმინა და გაცხარდა ზურაბი. — ბოროტად ნუ იყენებ ჩემს მოთმინებას!

— დიდო თავადო, რა გადავცე მიხას? გზავნოს კიდევ შიკრიკები, თუ უკვე კმარა?

— გაეთრიე, აფთარო! თუ არ გინდა... — ზურაბს ენა დაეობა, როცა შადიმანის გამჭოლი ცქერა იგრძნო. „სად არის ჩემი გამჭრიახობა?“ — უსაყვედურა თავს ზურაბმა და უკვე გულკეთილად წარმოთქვა: — წადი, ერთგულო მეომარო, დალაქმა გაგკურნოს და რამდენიმე დღის შემდეგ წერილსა და ხავერდს წაუღებ კეთილშობილ კნეინა ნატოს.

შადიმანმა ნაზად დაისვა ხელი მოვლილ წვერზე და იქ მყოფთ შესთავაზა: საღამოს ნარდში შეჯიბრება მოვაწყოთ, ახლა კი დავიშალნეთ, რათა სიწყნარეში მოვიფიქროთ გაგონილიო.

შიკრიკი არავის დაუსაჩუქრებია: დაე ზურაბმა იზრუნოს თავისი მსტოვრებისათვის, მით უმეტეს, რომ ისეთი ამბები მოიტანა, რომლებიც მხოლოდ ეშმაკს გაახარებსო.

ყველაზე ცუდად გრძნობდა თავს ისა-ხანი: „თუ უძლეველი რამეს დაგპირდა, უთუოდ აასრულებს. ღმერთმა დამიფაროს

ასეთი სირცხვილისაგან! უმჯობესია ბრძოლაში დავიღუპო. მაგრამ განა სხვა გზა ცოტაა? რით არის ცუდი ისპაჰანის გზა?“

მეჯინიბეებს მოეჩვენათ, რომ ისა-ხანი მეტად საჩქაროდ მოახტა ლურჯა თოხარიკს და ციხისკენ გასწია.

თავის სამყოფლოში რომ შევიდა, ზურაბმა ნებას მიუშვა სიბრაზე: სურას ხელი დასტაცა, ძირს დაანარცხა, ნამსხვრევებს ფეხი ჰკრა და წყევას მოჰყვა:

„აფთარსაც ჩაუყლაპიხარ! სატანის მამამთავარო! განა ეს სირცხვილი არ არის? ვიღაც ნოსტელმა სააკაძემ გაბედა საცინლად ავეგდე მე, არაგვის ერისთავი, როგორც უკანასკნელი ყეყეჩი! აი საზიზღარი საზღაური სიკეთისათვის! განა მე, ზურაბ ერისთავმა, მარტყოფის ველზე აღტაცებულმა, არ დავაჯილდოვე მსტოვარი ილო? და აი ეს გომბეშოსა და გველის ნარევი, კლაკნითა და ხტუნვით, კვალდაკვალ უთვალთვალებდა მიხას. მერე რა იქნება, — ზურაბი შეძრწუნდა, — თუ ყალბი რაზმელების ამბავიც შეიტყო? განა საკმარისი არ არის ქედმაღალი მუხრანბატონების დაცინვა? და რა ურცხვად წამოდგა ჩემს წინაშე. ახლა კი ალბათ თბილისში დასეირნობს, ამქრებთან სვამს და მეტეხის ყველა ამბავს ტყობილობს... დიახ, მაგრამ რატომ დამეხმარა სააკაძე ქართლიდან გამესტუმრებინა ხოსრო მირზა და ისა-ხანი? ვცნობ მტაცებელს! აი, ვხედავ, ულვაშები გაუფანჩავს და „ვეფხვის“ დრუნჩით ისერის სიბრძნეს: „ბრძოლაში ის იარაღია კარგი, რომელიც ხელში მოგყვება“. პირდაპირ შიგ თათში მოვარტყი, რადგან კიდევ ერთი თვე და — აზნაურები ვეღარაფრით გაუმკლავდებიან სპარსელებს. კახეთში მას ისა-ხანი არ ესაჭიროება, და აქ სვიმონ მეორე „ვეფხვს“ რაში გამოადგება?.. მაშასადამე, მისთვის ხელსაყრელია ჩემთან ერთად იმოქმედოს. ო, სატანავ! მოგშორდები თუ არა როდისმე?! და ისე კი არ მოქმედებს, როგორც თანასწორი თანასწორთან, არამედ ტარიფით მატრიალებს. მაგრამ... რა ღონისძიებით მიაღწია ჩემი ერთგული რევაზის მოღალატეობას? ნუთუ ემუქრებოდა, საჭურისად გადაგაქცევო, და თანაც უკანალი დაუჩხვლიტა?..“

ცბიერული აზრით შეპყრობილმა, ავყიად გადაიხარხარა,

უფროს რაზმელს დაუძახა და უბრძანა, ილო დაუყოვნებლივ მოათრიეო.

დაუკრეს არაგვის ბუკი, არაგველები აფუსფუსდნენ. მაგრამ რამდენიც არ ეძიეს, არა თუ მეტეხში, არამედ მთელ თბილისშიც, ვერსად ვერ იპოვნეს. ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ... რადგან არც ერთ კარში არ გასულა.

შადიმანი ნაბიჯების თვლამ მოღალა და კუთხის ტახტზე ჩამოჯდა. უფერული სხივები დაცურავდნენ ხალიჩის სახეებში, თითქოს ლაბირინთისათვის თავი ვერ დაუღწეიათო. ბალიშებს ვარდების მწკლარტე სუნი სდიოდათ და უდროოდ აბრუებდნენ კაცს.

„არა, — ფიქრობდა შადიმანი და წაღის ჭვინტს აყოლებდა ხალიჩის არაბესკებს, თითქოს ელვარების დაჭერა სურსო. — გიორგი მარაბდას არ მისცემს სულთანს და თვითონაც არ დაესხმება თავს. ჩემთან მეგობრულად არის, მაგრამ ვერც მე ვბედავ ვაცთუნო მისი მოთმინება. სპარსელები უნდა წავიდნენ. ეკლესიაც ამას მოითხოვს, სარბაზებს იით ხომ ვერ გამოვკვებავთ და ხანებს აქ საკეთებელი არაფერი აქვთ — სულერთია, სააკაძეს ისინი ვერ მოსპობენ. ხოლო თუ წავიდნენ, შესაძლებელია შევუთანხმდეთ უბადლო მოურავს... როგორ შემეძლო დამშვიდებულად შემეწყნარებინა თურქების შემოსვლა? განა თავადი წერეთლის მსახურმა შემატყობინა დათო ქავთარაძის კონსტანტინოპოლს გამგზავრება? მე კი არ შემიმოწმებია, ნამდვილად იყო თუ არა დათო სულთნის სერალშიც? ან ისა-ხანმა ჩემგან ფარულად არ გაგზავნა კონსტანტინოპოლს თავისი ჩქარი მსტოვარი? ანდა არ შეშფოთებულან ისა და ხოსრო, როცა მათი მსტოვარი დაბრუნდა? ორი დღე და ერთი ღამე ხოსრო მირზა სტუმრად იყო ისა-ხანთან. მე თავი მოვიკატუნე, რომ დავიჯერე თვალთმაქცების სურვილი — შაჰ აბასს ერთად მივწეროთ შისალოცი წერილიო. სად გაქრა ჩემი გამჭრიახობა? მაშინაც კი, როცა კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდნენ მოციქული ბერები და კათალიკოსს მოახსენეს „დამყოლიებელი" დათოს წარმატება, მე სპარსული ძილიდან

ვერ გამოვფხიზლდი. და აი, ზეცის კანონებით იმას ვიმკი, რაც დავთესე. „წმიდა მამა“ ულმობელია ჩემთან, მაგრამ სპარსელებისა როდი ეშინია, — თურქები ახლა უფრო ძლიერი არიან. უფრო ძლიერი არიან, რადგან მათთან არის სააკაძე... იგი სულთანს ესაჭიროება შაჰ აბასის წინააღმდეგ დიდი ომისათვის. სვიმონიც კი, ეს ბრმა გვირგვინოსანი, ხედავს, რომ ნახევარმთვარის მატარებელი შეასრულებს უძლეველის მოთხოვნას და მისცემს მას იანიჩარებს, ზარბაზნებს, ფულსა და ცხენებს. მისცემდა საყვარელ ოდალისკასაც, რომ არ უფრთხოდეს იმას, რომ დათო უვნებლად არ ჩაიყვანს მას. რა გაეწყობა, საზარალო ვაჭრობა როდია, სამაგიეროდ მოურავბეგი სულთანს ჰპირდება დაუბრუნოს შაჰ აბასის მიერ წართმეული მიწები და... დაუბრუნებს! საქართველოს სამთავროები სულთანს ესაჭიროება მხოლოდ მსუბუქ საუზმედ საძღომი ლხინის წინ. მაგრამ თუ სპარსელებმა ქართლი დატოვეს, მაშინ საუზმეც აღარ იქნება. დიახ, უგუნურებაა „ვეფხვისათვის“ წინააღმდეგობის გაწევა. მეფისწულმა ეს უნდა შეიგნოს... დაუყოვნებლივ“.

სწორედ ამ დროს ხოსრო ფიქრობდა ქართლიდან სპარსელების დაუყოვნებლივ წასვლაზე. მან იქით გადადგა ეიწროყელიანი სურა, რომელშიც წითელი კახური იყო და არაბულ ნატიფ პატარა მაგიდაზე იდგა. ჰასანი იხმო და უბრძანა, აქ მომიწიე სპარსული ჭურჭელიო, რომელშიც იყო დიუშაბი, სასმელი, იაბოსავით რომ მოკლებულია ყველაზე მნიშვნელოვან რამეს — მათრობლობას. ისპაჰანი თბილისი როდია, უნდა მიეჩვიოს!

„მაგრამ ხედავს წმიდა ანტონი, უკანდახევა დროებითი იქნება. შაჰი არ მოისვენებს, სანამ ცოცხალი ან მკვდარი უძლეველი არ წარსდგება მისი შურისგების მახვილის წინაშე. ჩვენთვის, ორივესათვის ქართლი ვიწროა. ქართლი? განა კახეთი ჩემი სამშობლო არ არის? კახეთი და ქართლი... რაკი თვით სააკაძემ გააერთიანა, გაყოფა უგუნურებაა, ხოლო თეიმურაზი? შაჰი არ შეიწყნარებს. სვიმონი? სააკაძე არ ინებებს.

საკაძე? თავადები არ ისურვებენ — ეშინიათ. კათალიკოსი? არ შეიწყნარებს არც საკაძეს და არც სვიმონს. ეს უტვინო შამლაყინწა ყოველი საშუალებით ცდილობდა დაემსახურებინა ეკლესიის სიძულვილი. განა ძნელი იყო შაჰისათვისაც ემსახურა და ეკლესიის გულიც მოეგო. ეკლესია! იმაზე ძლიერი იარაღი არ არის! მე ეკლესია არაფრით არ განმირისხებია, პირიქით — დიდი საჩუქრები გავუგზავნე ფარულად ჰასანის ხელით. მიიღეს, მადლობა ფარულად შემომითვალეს გულშარის პირით. შადიმანთან ბერს მოვუსმინე, ჯვარს ვემთხვიე. თუ ყურძენი გინდა, ვაზს მოუარე! ბერს გული აუჩუყდა, მეუბნება: „თბილისის გადარჩენისათვის მადლობას გითვლის წმიდა მამა". მე კი მგონია, საჩუქრებისათვისაც". მარგალიტის კრიალოსანი წმიდა მამას გაუგზავნა, ალმასის კაკალი, ზურმუხტის მანიაკი წმიდა ქალწულ მარიამისათვის, ოქროს ნაწარმით სავსე კოლოფი ამალისათვის გაგზავნა, — ჰასანმა ურჩია. ბერი დააჯერა, რომ სიკეთისათვის მადლობას ჩემს გულში რჩეული ადგილი უკავია, მაჰმადიანობა სულით კი არ მიმიღია, არამედ რომ არ დაეღუპულიყავ, გულში კი მაინც საქართველოს შვილი დავრჩიო. „შადიმანმა ძლიერ მოიწონა ჩემი სვლები ბედის საჭადრაკო დაფაზე. მაგრამ ზეცის ცთუნება გონივრული როდია. ალაჰი მოწყალებაზე ძუნწი არ არის, მაგრამ იმასაც კი არ შეუძლია რვა დღე რვა მთვარედ აქციოს. შემდეგ — ჰასანი ჯავრობს, ცუდ სიზმრებს ხედავს, მე კი ყურადღებას არ ვაქცევ..."

ხოსრო კარგად მოეწყო ცისა და ზღვისფერ ბალიშებზე, ჰასანი იხმო, უბრძანა ფირუზის ყალიონი მომიტანეო და... მეტეხის მსახურთა ფარულად დაიწყე ზანდუკებში ძვირფასი ტანსაცმლისა და ძვირფასეულობიანი ყუთების ჩალაგება.

თავი მეექვსე

უკვე მესამე ქულაჯას აწვდის მეჩიბუხე თავად შადიმანს ბარათაშვილის გვარიდან, მეფე სვიმონ მეორის ვეზირს, მაგრამ ეს სოსანი, მელის ბეწვით შემოქობილი ქულაჯაც უსია-

მოვნებას იწვევს. იგი ღამის ლხინს უფრო შეეფერება და არა დღევანდელ დღეს — ფხიზელი საუბრისა და ცივი ანგარიშის დღეს.

შადიმანი ჩვეულებრივზე ადრე ადგა. ჯარაექიმმა მასაჟი გაუკეთა, დალაქმა მოვლილი წვერი დაუოშა, ხოლო ნელსაცხებელთათვის მიჩენილმა ფარეშმა ულვაშებს სუნამო უპკურა და ფრჩხილები ლამაზად გაუკრიალა. მოართვეს თურქულ ბადურა ჩარჩოში ჩასმული სარკე და შიგ ჩაისახა შნოიანი კარისკაცი, მოვლილ თითებზე რომ ბეჭდებს იკეთებდა. მან სკეპტიკურად მოავლო თვალი თავის თავსა ღა ტუჩები დამანჭა.

„ყველაფერი უნაკლოა, მაგრამ ტანსაცმელი რატომღაც ჩემს გემოზე არაა: ხან მეტად მუქია, ხან მეტად სადღესასწაულო, ხანაც... მაგრამ განა მთავარი ტანსაცმელია? ხავერდი და ატლასია? ფარჩა და აბრეშუმია? რა თქმა უნდა, ტანსაცმელია! ან, ვთქვათ, დღევანდელი ამბების შესაბამისი ფერები. დედამიწაც კი სასაცილო მოგვეჩვენებოდა, ანაზდად რომ დასწოლოდა შავი ღრუბელი, მოქარგული არა ვარსკვლავებით, არამედ ყვითელი მაიმუნებით, ხოლო ზღვა აღელვებულიყო არა თოვლივით თეთრი ქაფით, არამედ კამეჩის ჩლიქებით. და უფრო სამასხროდ მოგვეჩვენებოდა ხეები, იისფერ ტოტებზე რომ მომღერალი კალმახი დაერხიათ. საბედნიეროდ, არ შეიძლება დავამახინჯოთ ცნებანი, რომელნიც სამუდამოდ განუსაზღვრავთ ჩვენთვის საუკუნეებს; და ვინც ამას ვერ შეიგნებს, დაცინვისა და ზიზღის ღირსია. აი უბრალო შემთხვევა: თავადთა წარსულ ყრილობაზე ჯავახიშვილს ფიქრად მოსვლია მსუქან მხრებზე ჩამოეცვა ვარდისფერი ქულაჯა და რა გამოვიდა? რაც უნდა ეთქვა თავადს, ყველანი სიცილით იხოცებოდნენ. „გველმა უკბინა ჩემი საჭურველთმტვირთველის ცოლს“, — უნებურად განაცხადა თავადმა. და ისეთი ხარხარი ატყდა, თითქოს ჯამბაზები ცხვრებით დაჯირითობენო. „სიკვდილი ეწია კნეინას ძმას“, — მწუხარებით განაცხადა თავადმა. და ყველამ ცხვირსახოცი აიფარა პირზე, რომ არ გასცინებოდა. და როგორ იკვნეტდა ულვაშებს დინჯი ხოსრო მირზა, როცა ჯავახიშვილი უჩიოდა ვარსკვლავთა წვიმას, ზვრები რომ მოსპო. თუ თავადს საბოლოოდ არ დაუკარგავს ტვინი გიორგი საკა-

ძის დროის ვარსკვლავთა წვიმისა და გამაცოცხლებელი სეტყვის გამო, საგვარეულო ციხე-დარბაზში დაბრუნების შემდეგ ვარდისფერი ქულაჯა ალბათ კუპრის კასრში ჩააგდო. და სხვაც მაგონდება. თავადები მეფის ნადირობაზე შეიყარნენ. სწორედ ამ დილას სატანამ თავად ქაჩიბაძეს შეატყუა დამპალი მსხლისფერი ქულაჯა, რომელიც გაწყობილი იყო ჭინჭრის მსგავსი ბეწვით. შეტყუება კიდევ არაფერია: მხეცის დეენით გატაცებულ თავადებს შესაძლებელია ეს ვერც კი შეემჩნიათ. მაგრამ დამპალ ქულაჯასთან ერთად სატანამ ქაჩიბაძეს მხიარული ფიქრებიც შთააგონა. ახლაც კი არ მესიამოვნება: რაც უნდა სასაცილო რამე ეთქვა ქაჩიბაძეს, თავადები მოწყენილობით ოხრავდნენ, ხოლო ახალგაზრდა ფალავანდიშვილი უეცრად შეყვარებულივით ატირდა. დარცხვენილი მამა ირწმუნებოდა, თითქოს ვაჟის ნაზმა გულმა ვერ გაუძლო თავადის მიერ ნახსენებ ამბავს მელისას, რომელსაც მან ნადირის გამოგდების დამთავრებისას კუდზე ულმობლად დააჭირა ფეხი. არა, დღის შესაბამისად ჩაცმის უნარი იგივეა, რაც სათანადო დროს ჭკვიანი სიტყვა ჩაურთო".

მეჩიბუხემ ისარგებლა თავადის ჩაფიქრებით და კვერნის ბეწვით გაწყობილი ქულაჯა ჩააცვა.

— მგონი, ეს შესაფერისია, — დაეთანხმა შადიმანი, —არც მეტად სამხიარულოა და არც მეტად მოსაწყენი.

მეჩიბუხემ ძვირფასეულობის კოლოფი მიაწოდა და, ნაცვლად იმისა, რომ მეტეხში და მის გარეთ ღამის განმავლობაში მომხდარი ამბები ეუწყებინა, თხოვნით დაიწყო.

— ვინა? — გაიკვირვა შადიმანმა. — მეფის თავლების ზედამხედველი არჩილი? უცნაურია, არასოდეს არ შეუწუხებივარ. რა გაეწყობა, შემოვიდეს.

მეჩიბუხემ, ისე როგორც ციხე-დარბაზის ყველა მსახური, პატივისცემით და ნდობითაც კი გამსჭვალული არჩილისადმი, თავადიც კი კეთილად განაწყო მისდამი, და კმაყოფილი გავარდა დერეფანში.

— ჰო, მითხარი, არჩილ, — მოწყალედ შეხვდა შადიმანი მთხოვნელს და ხელში აათამაშა სმარაგდო, — რა გაგჭირებია?

— დიდო თავადო, დღესაც ვერ გავბედავდი შენს შეწუხებას, მაგრამ... — არჩილი დაიბნა და ოდნავ გადახარა განზე გაჭაღარავებული თავი, — ერთადერთი ნათესავია ჩემთან სტუმრად... დიდი ხანია უნდა წასულიყო. წინათ ავად იყო და ახლა შენს ნებართვას ელოდება.

„დღეს რომ სიცილის გუნებაზე ვიყო, — გაიფიქრა შადიმანმა და უნებურად დახედა თავის ქულაჯას: — არა, არც თუ ძლიერ მოსაწყენია, მაგრამ არც მეტად სამხიარულოა, — უსათუოდ ბევრს ვიცინებდი“, — მერე წარბი ასწია და ჰკითხა:

— რაო, მე შენს ნათესავს კუდზე ფეხი დავაჭირე თუ?

— დიდო თავადო, ის გიორგი საკაძის შიკრიკია...

— მელად „ვეფხვისაგან?“

— შენს ნება დაურთველად ვერ გაბედა წასვლა.

— ჰო, გამახსენდა! გადაეცი მხიარულ აზნაურს, წადითქო... თუმცა მოიცა, მე ჯერ კიდევ არ მიპასუხნია მის წერილზე. უთხარ, დიდხანს არ დაგაყოვნებ-თქო. მაგრამ იცოდე, არჩილ, ამაზე ჩიტმაც არ უნდა დაიჭიკჭიკოს!

— დიდო თავადო, გაგებას ვინ გაბედავს, თუ მეჩიბუხე ღამე თვითონ მოიტანს გრაგნილს შენს ფირმანთან ერთად თბილისიდან გასასვლელად.

— უფირმანოდ კი ვერ გავა? — შადიმანი საკარძლის ზურგს მიეყრდნო და ეშვიანად შეავლო თვალი მეჯინიბეს. — ნუთუ საიდუმლო ხერელები არ იცის?

— ბრწყინვალე თავადო, ერთობ გაამაგრა მოურავმა თბილისის გალავანი — თაგვი ვერ გაძვრება, თორემ პირველ კარისკაცს არ შეაწუხებდა.

— დილმის კართან არაგველები დგანან.

— პაპუნა ისნის კარით გავა, იქ მარაბდელები გუშაგობენ.

კელაე შეშფოთებამ შეიპყრო შადიმანი: „ფრთხილად იყავ! ფრთხილად, ტურასთან! განა მუდამ არ მაფრთხილებს მოურავი? რატომ ასე უდარდელად ვუსმენ საკუთარ გულისხმასაც? გაუფრთხილდიო! მაგრამ საფრთხე სად არის? იქნებ ციხე-დარბაზშია მოგეზებული? თავის მოტყუება უგუნურებაა... მაგრამ სად არის სიცრუე? ზურაბი დღითიღდე სულ უფრო მაჩვენებს თავს მეგობრად, არა ერთხელ უსაყვედურებია, დაწინდულ მაგდანას მიმალავო. მაგრამ სად არის ცბიერება?“.

შადიმანი დუმდა. ნელა მივიდა პატარა ლიმონის ხესთან, ხელი გადაუსვა ღია მწვანე ფოთოლს, პატარა სარწყაევი აიღო და გულდასმით მორწყო; მერე მობრუნდა და დამაჯერებლად თქვა:

— არჩილ, შეგიძლია მშვიდად განაგრძო შენი საქმე, რადგან შენი ნათესავი უვნებელი მიუვა სააკაძეს.

მაშინვე მივიდა ხოსრო მირზასთან და ზრდილობიანად, არც თუ მეტად მშრალად, მაგრამ არც ძლიერ მხიარულად დაიწყო ლაპარაკი, რომ საჭიროა გამგზავრების დაჩქარება. რაკი შაჰის ნებადაურთველად თურქებთან ბრძოლა არ შეიძლება, რაღა აზრი აქვს ასე გაბნეულად ვიყოლიოთ ქართლში სარბაზები? განა მათ არ დაგლეჯენ „ვეფხვები" ორმოცდაათი ათასი იანიჩარის დაუხმარებლადაც კი? ხოლო თუ სპარსეთის ჯარი წავა, სააკაძე უარს იტყვის სულთნის დახმარებაზეო.

— დაფიქრდი, ბატონიშვილო. ყოველი საშუალებით უნდა შევინარჩუნოთ დაუზიანებლად შენი სამეფო.

— არ გამხდი ღირსს, თავადო, უფრო ნათლად თქვა, რომელი ჩემი სამეფო?

— კახეთზე ვლაპარაკობ... კახეთის დიდო ბატონიშვილო.

— ისა-ხანი არ დათანხმდება.

— უნდა დათანხმდეს. სააკაძემ არაგვის ერისთავზე ნაკლებ როდი იცის კახეთის საიდუმლო გზები და, როცა შეებმება, ვთქვათ, თუნდაც მამაც მამედ-ხანს, შეუძლია თურქებთან ერთად დაედევნოს ისა-ხანს. ხოლო თბილისი? განა გონივრული იქნება ნანგრევებად ვაქციოთ იგი? თუმცა ამას ყოველი ღონისძიებით ესწრაფვის არაგვის ტურა.

— განა ვერ ატყობ, თავადო, რომ გამცემთა გამცემმა გადაიფიქრა გვიჩვენოს გზა?

— მგონია, მაგრამ ვერ გამიგია, რა მიზანი აქვს?

— თურქებით დაშინებული, იგი თავისი დის რუსუდანის დახმარებით შეურიგდება სააკაძეს.

— თუ ისა-ხანი მოისურვებს გადაარჩინოს რამდენიმე ათასი სარბაზი და თან წაიყვანოს ისინი, მე ვაიძულებ ზურაბს აასრულოს მოცემული პირობა. მერწმუნე, ჩემო ბატონიშვილო, შადიმან ბარათაშვილი მოუთმენლად დაელოდება შენს დაბრუნებას.

—საჭიროდ ხომ არ მიიჩნევ, ჩემო შადიმან, გულახდილად მაცნობო საუბარი კათალიკოსთან?

შადიმანმა გამომცდელი თვალი მიაპყრო ბატონიშვილს. „არა, თეიმურაზი მე არ მესაჭიროება, ხოლო სვიმონი ვერასოდეს ვერ დაიმორჩილებს ორივე სამეფოს. მაშასადამე, ყოველი საშუალებით უნდა დავარწმუნო ხოსრო, რომ თავადობას ძლიერ სურს მეფედ იყოლიოს მამაცი რაინდი, მით უმეტეს, რომ ურყევია მისი, როგორც კახეთის ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრის უფლებანი“. და მან სრულიად ხელსაყრელი გაშუქებით გადასცა საუბარი კათალიკოსთან, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკვი არ არის: ეკლესია დიდი სიხარულით შეუწყობს ხელს საქართველოს ჭეშმარიტი შვილის გამეფებას. დიახ, კათალიკოსი აშკარად წყალობს კახეთის ბატონიშვილს, რადგან ხედავს, თუ რაოდენ ესწრაფვის იგი კანონს, ხელისუფლებასა და ძალას, რამაც დაუზიანებლად უნდა დაიცვას ქართლი, — მაშასადამე, მონასტრებიცო. შადიმანს სურდა ეხსენებინა საჩუქრებიც, რასაც ესოდენ უხვად უგზავნის მირზა პირადად კათალიკოსს და „ეკლესიისათვის“, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან საჩუქრები შადიმანისთვისაც კი ფარულად იგზავნებოდა.

წირვის დროს ზურაბს საიდუმლოდ აცნობეს, რომ ხოსრო მირზა საკურველთმტვირთველებითურთ ციხეში წაბრძანდა. თავადმა მადლობით აღსავსე თვალი მიაპყრო ზეცას. და თითქოს მისი თვალის ზეგავლენითო, მზის ნარინჯოვანი სხივებით გაშუქებული უზარმაზარი ღრუბელი ცალცალკე ნაფლეთებად დაიშალა, რომლებიც ზურაბს მოეჩვენა ირანელთა ჯარის ქარავნებად, ლურჯი გზით რომ თავიანთი საზღვრებისაკენ მიეშურებოდნენ.

და ეს ღრუბლები ჯერ კიდევ ცის კიდურიდან მთების მწვერვალებს გადაღმა ეშვებოდნენ, ხოლო მოქურუშებული ანდუყაფარი, რომელსაც ულვაშები ისრებივით გაეწკიპა, თითქოს უხილავი მტრებისაკენ სურს მიმართოსო, ხელების ფართიფურთით და თითქმის ყვირილით ეუბნებოდა მეფეს, რომ ხოსრო ფარულად შევარდა ციხეშიო.

და იმავე წამს, როცა სვიმონ მეფე უაზროდ უცქერდა ანდუყაფარს და უკვირდა, რატომ უგრძელდება გულშარის ქმარს კისერი, როგორც ბატს, ან რატომ უწითლდება, როგორც კიბოსო, ციხე-დარბაზის მეორე მხარეზე მეჩიბუხე მოკრძალებით მოახსენებდა ბოროტად მომღიმარე შადიმანს მისი ბრძანების შესრულებას, რომ ხელახლად დაეკედათ ცხენები, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ხოსრო მირზას საჭურველთმტვირთველებისა და მოსამსახურეებისათვის.

შუადღისას ნარიყალადან სპარსთა ჯარების ყველა ბანაკისაკენ გაეშურნენ ჩქარი შიკრიკები. ისინი ისწრაფვოდნენ მინბაშებისათვის მიეტანათ ბრძანება — დაუყოვნებლივ დაიძარით თბილისისაკენო.

და კვლავ დილა. კვლავ დღე. მაგრამ ვინ თქვა, რომ დღევანდელი და გუშინდელი ერთნაირია, როგორც ტყუპებიო? რა მსგავსებაა საამოდ მოკაშკაშე მზესა და ბნელ ღრუბელს შორის? ან ახმაურებული, მხიარული ქორწილი რითიმე მოგვაგონებს სამგლოვიარო პროცესიას, როცა მახლობელს მიაცილებენ იმ ქვეყანაში, საიდანაც დასაბრუნებელი გზა არ არის? იცოდეს ყველამ: ათასობით საუკუნე ბრუნავს, მიფრინავს, მირბის, მიზოზავს დღე, მუდამ სხვადასხვანაირი. დღე გამცემი, დღე მეგობარი!

— ბისმილაჰ, რა დღე განუმზადებია ჩვენთვის ბედისწერას? — წამოიძახა ისა-ხანმა, დაჯდა თუ არა ტახტზე და აიღო თუ არა ყალიონი. — მრავალი ბნელი საათი გამიტარებია ვარსკვლავებზე დაკვირვებაში, ალაჰს რომ გაუფანტავს უცოდინართა გულის მოსალბობად და ბრძენთა შესაშფოთებლად, რომლებიც მისწვდნენ სამყაროს საიდუმლოებას და რჩეულთ გადაუშალეს ალაჰის გადაწყვეტილებათა წიგნი. თავადო ზურაბ ერისთავო, ჩვენ მოწყალედ ვიღებთ შენს დახმარებას.

— ვაგლახ, დიდო ხანო, სანამ შენ ვარსკვლავებს აკვირდებოდი, მათ უკვე იცვალეს გზა. მხოლოდ დღეს კვლავ მოიკრა ანანურიდან შიკრიკი. კნეინა ნატო დიდად ღელავს, გემუდარება შეაგროვო ანანურის ჯარი და ისწრაფო ციხე-დარბაზში.

თორემო, იფიცავს, ძნელი იქნება მოლაპარაკების დაწყება ჩემს ქალიშვილთან, რუსუდან სააკაძესთანო.

გაოცებულნი, დიდხანს დუმდნენ. ხოსრო მირზას ჯიუტი ყვრიმალები წამოუპარხლდა:

— რომელი ცვალებადი ჟამიდან არ ასრულებს თავის სიტყვას მამაცი თავადი ზურაბი?

— განზრახვის შეცვლა სიტყვის შეუსრულებლობას როდი ნიშნავს. რუსუდანის წერილიდან ჩანს, რომ სააკაძემ მტკიცედ გადაწყვიტა იერიშით აიღოს თბილისი, თუ უარს იტყვით ჩემს გაცემაზე. მაგრამ თბილისი ინდოეთი არ არის, მეტეხი ბაღდადი არ არის, მე კი თაგვი არა ვარ და სათაგურში არ მოვხვდები კატის სასიხარულოდ.

ზურაბმა წარბები შეიკრა, ტუჩებზე კი დაცინვა გაუკრთა.

„სად არის აქ ცბიერება? — იტანჯებოდა შადიმანი და ზურაბს აკვირდებოდა. — ხოლო რომ ცბიერობს და დიდ თამაშს ეწევა, აშკარად ვხედავ".

— შენ იცი, თავადო, ჩვენი ჩვეულება ღვინო სიმღერით ესვათ, — შეპარვით უთხრა შადიმანმა და თვალს არ აშორებდა ზურაბს, — თუ ანანურს მიიჩქარი, მეც გამოსათხოვარ ლხინს დავაჩქარებ. — და შეკრთა: „არა, არ მომჩვენებია, ზურაბი შეშფოთდა".

ხოსრო თვალს არ აშორებდა შადიმანს და ნელა განაგრძო:

— დარწმუნებული ხარ, თავადო ზურაბ, რომ ალაჰმა ისურვა, ჩვენი ხელით შეგიქმნას უბედურება?

— მე? არაფერში არა ვარ დარწმუნებული. — ზურაბი აშკარად შფოთავდა. — მაგრამ რაინდებს სჩვევიათ სიფრთხილე.

ისა-ხანმა გველივით შემოახვია ყალიონს ფირუზისფერი მილაკი, და გადაწყვიტა: „უკითელმა შაითანმა ჯოჯოხეთში გადამიგდოს ფლავიანი თეფში, თუ ტურას მორჩილება არ ვაიძულო!" — და ხმა აიმაღლა:

— დიდება ალაჰს! იგი, მსოფლიოს კარის გამღები და დამხურავი, მიგიყვანს კეთილდღეობის ნაპირზე. თავადო, შენ თვითონ წაიყვან შენს არაგველებს კახეთში. თურქები არ მოვ-

ლენ, ხოლო, როცა საკაძე ამას გაიგებს, თბილისს თავს არ დაესხმის.

„ეფიცავ, ანანურის ქორმა მსუბუქად ამოისუნთქა!“ — შენიშნა შადიმანმა და ნაზად დაისვა ხელი მოელილ წვერზე.

ზურაბი გრძნობდა შადიმანის მიშტერებულ ცქერას, თვითონაც არ აშორებდა თვალს მას და ქედმაღლურად წარმოთქვა:

— მე, არაგვის ერისთავს, საუკეთესო მონადირედ მთვლიან და მტაცებელს არ გავექცევი. ხოლო თუ სატანა საკაძეს შთაგონებს საბედნიერო აზრს — ალყა შემოარტყას თბილისს, მე საბრძოლველად გავალ გალავანს გარეთ, რადგან სამეფო ქალაქს საფრთხე არ უნდა მოელოდეს.

— ტკბილ ძილში ხომ არ დასიზმრებია კნეინა ნატოს თბილისის ალყა? — თავაზიანად იკითხა მარაბდის მფლობელმა.

— რატომ მიმალავ, თავადო, ჩემს საცოლეს, მშვენიერ მაგდანას? — გააწყვეტინა აბნეულმა ზურაბმა შადიმანს. — განა საფუძველი არა მაქვს ვიფიქრო, რომ...

— ჩვენ ვამჯობინებთ მონადირე მხეცს ჩავუგდოთ ხელში? ან, როგორც თურქები ამბობენ, მამალს მშიერ ძაღლს მივუგდებთ?

— შენ მიხვდი, გამჭრიახო ანდუყაფარ, მე არა მაქვს არც შენი ნდობა და არც...

— შადიმანისა? — შადიმანმა დაბლა დაუკრა თავი და გაიფიქრა: „ახლა აღარ ვეჭვობ, ცბიერობს ძერა!“ — მაშასადამე, თავადო...

ისა-ხანი უეცრად აღრიალდა:

— შაჰინშაჰის სახელით! ან შენ, თავადო, შენს რაზმეულებს წაიყვან კახეთში, ან მეტეხიდან არ გაგიშვებთ.

შადიმანმა მოჩვენებათა ტყეობაში იგრძნო თავი. მაგრამ განა არ მოეჩვენა, რომ ტურას თვალები სიხარულით გაუბრწყინდა? შადიმანმა თვალები მოხუჭა და მყისვე გაახილა: „ო, განა ესეც თვალის მოტყუებაა? არა, კვლავ ზეიმი, შეუმჩნეველი, ეით ობობას ჩრდილი. მაგრამ ყოველივე ეს ბოროტი ძალის შთაგონებული ხომ არ არის?“

ზურაბი წელში გაიმართა, მუშტი გამოსკვნა და დუმდა, სახე ფარისევლურად მოეღუშა, დაჭერილ მგელს დაემსგავსა, ცმუკავდა, იბღვირებოდა. დუმდნენ დანარჩენებიც.

— გამოდის, რომ მე ტყვე ვარ? არა, ხანო, მე ნებაყოფლობით მოვსულვარ და ნებაყოფლობითვე წავალ. მაგრამ ჩემი დაპირება შემიძლია შევასრულო, თუ ხელს მოაწერთ ფირმანს თქვენი დაპირების შესრულების შესახებ.

— ბისმილაჰ! სხვანაირად ვინ ფიქრობს? გააძლიერებ ჩვენდამი ნდობას და ყველაფერი, რასაც დაგპირდით, შესრულდება!

— ჩემი არაგველი მიხა, საბრძოლო უფროსი ორი ათასი ცხენოსნით შენს განკარგულებაშია, დიდო ხანო.

— აღსრულდეს ალაჰის წინასწარ გადაწყვეტილი! „ირანის ლომი“ შეიტყობს შენს ერთგულებას.

გაიღო თუ არა დუქნები და მედუქნეებმა დაიწყეს მყიდველთა მიპატიჟება, თავიანთი საქონლის მჭევრმეტყველურად ქება, შულტამ ულმობლად დასცხო კონუსისებრ უზარმაზარ ღოლს, ცდილობდა ჩაეხშო ტალღიანი მორევივით ახმაურებული მოედანი და ზეიმოვნად განაცხადა:

— მოქალაქენო, ვაჭრებო და ამქრებო, მწონავებო და დამტარებლებო, ქარავანბაშებო, ჩალვადრებო და მეხრეებო — ყველა, ვისაც გიყვართ დიდი ვაჭრობა და ჩაქუჩების კაკუნი, ვისაც გიყვართ სიცილი და ცეკვა! დაე თქვენი სმენა იყოს ირმის სმენის მსგავსი! ისმინეთ ყულგანაბულად! ჩვენმა ბრწყინვალე მეფე სვიმონმა, მუდამ ანათებდეს მზე მის ტახტს, მოისურვა მიჰბაძოს ქართლის მხედართმთავარ მეფეთა მაგალითს და იდღესასწაულოს თავისი მაღალი დაბადების დღე თავის ქვეშევრდომებთან ერთად. თბილისში და მის გალავანს გარეთ მყოფი ჯარი ერთად შეიკრიბება, რადგან მეფე ინებებს პირადად დააჯილდოვოს ღირსეულნი აზნაურის წოდებით, ისინი, ვინც თავი გამოიჩინა, დააჯილდოვოს იუზბაშებისა და ონბაშების ნიშნებით. თბილისის ბედნიერო მცხოვრებნო! მორთეთ აივნები ხალიჩებით, სახურავები ლამაზი ქალებით — დაე იცეკვონ ქართული მოგუგუნე დაირის ხმაზე და აღაფრთოვა-

ნონ მამაკაცნი. ვაჭრებო, ჩაიცვით ახალი ახალოხები! აზნაურებო, შეისხით იარაღი! ამქრებო, დაიხურეთ წოწოლა ფაფახები! კვირა დღით დილიდანვე, წირვის შემდეგ, დაიწყება მსიარულება. მეზურნეებო, თქვენ გელოდებიან მაიდანზე! და კიდევ ინება ბრწყინვალე მეფემ ჯარის დათვალიერების შემდეგ სამი დღე მოახმაროს ერთგული ქართლელების საქმეებს და მოისმინოს საჩივარი გზირის, ნაცვალის, მწონავებისა და ერთმანეთის შესახებ. აბა ვის უნახავს კიდევ ასეთი მოწყალე?! კიდევ რომელ ქართველთა სამეფოშია მეფე, რომელსაც ოქროს გული აქვს და ალმასის ფიქრები თავის ხალხზე?!

თბილისელები ისმენდნენ და ისინი იმდენად არ დაურწმუნებია „ოქროს გულის" შექებას, რამდენადაც გაახარა მომავალი დღესასწაულის ამბავმა. ჯირითობა! ცეკვა! ზურნა! საზანდარი! დიდი ხანია დროა, მოწყენილობამ ფიქრები ჩაყლაპა. ალბათ მაიდანზე შუშხუნა ღვინით გატიტინებულ ტიკებს გამოიტანს გულუხვი თავადი შადიმანი. მეფეც მისია და გამასპინძლებაც!..

უკვე მესამე დღეა, სახელდობრ ხუთშაბათიდან, გალავნის კარში გაშლილი დროშებით შემოდიან სპარსეთისა და თავადების ჯარები და იქვე ისწრაფვიან სათოფურებიანი გალავნისაკენ, ციხეს რომ აკრავს. მოდიან ათასობით ქვეითნი, მოდიან ცხენოსნები ფრთიანი მუზარადებით, გრუხუნებენ ზარბაზნები, ხრაგუნობენ ურმები ჯარის ტვირთით, დიდებულად მოაბიჯებენ აღალის აქლემები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მამედ-ხანის რაზმი. მაგრამ ხანი, რომელსაც ზოლებიანი დოლბანდი მოუხვევია თავზე, მოქურუხებულია და ყურადღებას არ აქცევს არც ონბაშებისა და იუზბაშების ძახილს, არც ქართველი ჯარის უფროსების ბრძანებას.

„ემზადებიან!" — იღიმებოდნენ მოქალაქენი და გამალებული რთავდნენ სახლებსა და დუქნებს.

თბილისელები განსაკუთრებით განაცვიფრა ზურაბ ერისთავის ცხენოსანი ჯარის ზეიმოვანმა სვლამ. ბრჭყვიალა ჯავშნები, მოვერცხლილი მუზარადები, თვალის მომჭრელად გაპრიალებული საიდაყვეები, მოვლილი ცხენები და... რამდენია? ათასი? ორი ათასი? ან იქნებ ხუთი ათასიც?

არა, ზურაბმა ზუსტად იცის: ათას ხუთასია, და მათ შემდეგ მოდის აქლემთა გრძელი ქარავანი საჭმლითა და ღვინით.

ცოტა ბრძოლა როდი მოუხდა ზურაბს ისა-ხანის წინააღმდეგ და შემდეგ განაცხადა, რომ კახეთში წასულთა ნაცვლად არაგვის ახალ რაზმეულებს გამოვიწვევო. მე არაგვის საერისთაოს მფლობელი ვარ და, როგორც უკვე ვთქვი, ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოო.

ისა-ხანმა ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა არის ცბიერება, რომ არ დაეთმო. ამასთან, თავადი მართალია: აბა ვის, თუ არა მას, შეუძლია გაუმკლავდეს სააკაძეს?

და შადიმანი ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო, რადგან ზურაბი ბრდღვინავდა, როგორც გაღვიძებული დათვი. „კმარა ჯიუტებისათვის დაბალი სალამი! მე ჩაფრებს გავგზავნი ციციშვილის, ლიპარიტის, ჯავახიშვილის, ფირან ამილახვარისა და სხვების ციხე-დარბაზებში, რადგან კარგად ვერ წარმოუდგენიათ, რაოდენ საშიშია სააკაძე თავადებისათვის, თურქებიც რომ არ მოვიდნენ. მაგრამ თუ ბრმები ახლაც არ გაჰოცხადდებიან მეტეხში, მე, ზურაბ ერისთავი სათითაოდ შევანჯღრევ მათ. დროა თავადობა გაერთიანდეს, დროა აღდგეს ბაგრატიონების ტახტის ბრწყინვალება! კმარა მტაცებელთა მონობა!..“

ესა და ბევრი სხვა საბუთი, რომლებიც განრისხებისა და გაფიცხების დროს წარმოთქვა ზურაბმა, შეესაბამებოდა შადიმანის სურვილებს და თუ საბოლოოდ არ გაუფანტავს ეჭვები, უკარნახებდნენ მაინც, რომ ახლა დრო არ არის ეჭვებს მიეცეო.

და შადიმანმა თავაზიანად მისცა პირობა არაგვის ერისთავს, რომ, როგორც კი საფრთხე გაივლის, მაგდანა მეტეხში ჩამოვაო. ხოლო იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა სააკაძე, ცოცხალი თუ მკვდარი, ბორკილშეყრილი იქნება, ზურაბს გადაეცემა ქართლის ჯარების სარდლობა.

ზურაბი, თითქოს დაპირებით დამშვიდებული, ფუსფუსად ადევნებდა თვალს ხანებსა და სარბაზებს და მიხას უბრძანა ფარულად შეემოწმებინა, ხომ არსად დამალეს მინბაშებმა

სარბაზებიო. უჩვენებდა ბანაკების ადგილს, ამხნევებდა დაპირებით მეფის მომავალი ჯილდოების შესახებ.

მოქალაქეებმა დაინახეს, რომ სპარსეთის ჯარები ციხისაკენ მიეუეეს, მათ შემდეგ შეგროვდნენ არაგველები, ხოლო ძაიდანთან ახლოს დაბანაკდნენ მარაბდელები და ანდუყაფარის რაზმეულები.

— ე, ვარდან, მთელი ქართველი ჯარები წინ არიან! თავადი ზურაბი ქართველია და ძლიერი ხელიც აქვს!

— მარტო ხელი, სიუშ?

— ვხედავ და მიკვირს, რატომ ითმენენ სპარსები ასეთ რამეს? — ხმადაბლა თქვა ვარდანმა.

— ამბობენ, სვიმონი კათალიკოსს აამებს: ჯერ ნაკურთხი არ არის მცხეთაში — გამოდის, არც მეფეა!

თბილისელებმა, რომლებიც ყოველგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ, ვერ შენიშნეს, რომ ათასი არაგველი ღამით გავიდა ლეღვის ხეობაში, როგორ იცავდნენ ანდუყაფარის რაზმელები ციხის ახლომახლო ქუჩებსა და შუკებს. ხოლო მამედ-ხანი თავისი ათასეულით მკვიდრ კედელივით ღობავდა ლეღვის ხეობისაკენ მიმავალ გზას. შადიმანისა და ანდუყაფარის რჩეული რაზმეულები შემოეგარნენ ციხეს, ხოლო ყველა გასასვლელს ქუჩებიდან ციხეში იცავდნენ სარბაზები, რომელთაც ათობით მუშკეტერი ეხმარებოდა.

ვერცერთი ცნობისმოყვარე ვერ შეაღწევდა ცოცხალ ღობეში, ვერ მიუახლოვდებოდა სამმაგ ჯაჭვს.

შაბათ საღამოს მოქალაქეებს მოესმათ ძახილი: „გაუმარჯოს თავად შადიმანს!“, „გაუმარჯოს ხოსრო მირზას!“, „იცავდეს ალაჰი ისა-ხანს!“

„ჯარებს ამოწმებენ მეფის მიერ დათვალიერების წინ“, — ამბობდნენ თბილისელები და ტკბილად ამთქნარებდნენ თავიანთ ლოგინებში.

სძინავს მეტეხსაც. და უფრო მკაფიოდ მოისმის ქვემოდან ღამის მტკვრის დუდუნი. მხოლოდ შადიმანის სამყოფლოში ანთია სანთელი და უცნაურ აჩრდილებს ხატავს სპარსულ და

თურქულ ხალიჩებზე. შადიმანი გართულია წერით. თვითონაც არ იცის, რატომ ასე დაწვრილებით აუწერა გიორგი საკაძეს თბილისის საქმეები, აფრთხილებდა არასწორი ნაბიჯისათვის და არ დააყოვნა დაეტრაბახა, ქართლი ისე გავწმინდე, ერთი ისარიც არ გამიტყორცნიაო...

„ხედავ, გიორგი, — განაგრძობდა შადიმანი, — მე ბრძენი მმართველი აღმოვჩნდი. სპარსელები უკლებლივ მიდიან, სვიმონ მეფის მცველებიც კი ქართველები არიან. ახლა შენ ვისღა უნდა ეომო. იტყვი:—თავადებსო!—მაგისი დრო არ არის! უნდა დავიცვათ ქართლი... აგრეთვე თურქებისაგან. გაიხსენე ახალციხელი ათაბაგების ამბავი: იმათაც მოუსაზრებლად მიმართეს დახმარებისათვის თურქებს. და რით დამთავრდა? სტამბოლელებმა ჯერ დახმარება გამოგზავნეს, შემდეგ თვითონ მოვიდნენ. ჯერ ხარკის გადახდა დააკისრეს, შემდეგ ისლამი მოახვიეს თავს, ხოლო უფრო გვიან ისე მოიკალათეს, როგორც საკუთარ სახლში, ხელთ იგდეს ძალაუფლება სამცხე-საათაბაგოში... და აი ახლა შენ, დიდი მოურავი, იძულებული ხარ დაემორჩილო იმათ, ვინც შენთვის საზიზღარია. მე, ღვთისმშობლის სახელით, გთხოვ: დაივიწყე მტრობა და მოდი შეტეხში; პატივით შეგხვდებიან! გამოთქვი თანხმობა, რომ დაემორჩილები სვიმონ მეფეს და გახდი კვლავ დიდი მოურავი. გეფიცები წმიდა მოწამე გობრონს და მის ასოცდაცამეტ მეომარს, რომ ჩემი სიტყვები მართალია. მაგრამ თუ არ მენდობი, მომწერე, რა პირობით მიიღებ ძალაუფლებას ქართლის ოთხი დროშის ჯარებზე? შენვე მოგანდობს მეფე ახალი ციხეებისა და საგუშაგო კოშკების აგებას თურქეთისა და ირანის მოსაზღვრე მიჯნებზე. თუ მოისურვებ, ომს გამოუცხადებ და მტერს წაართმევ დაპყრობილ მიწებს. თავადები? ყველანი კრძალვით დაემორჩილებიან შენს მახვილს — მხედართმთავრის მახვილს! მოიფიქრე, გიორგი. შენ ხომ იცი, ეკლესია შენი წინააღმდეგია, დახმარება არსაიდან მოსალოდნელი არ არის. და, როგორც უკვე გწერ, ვის უნდა ეომო. ხედავ, როგორ ვენდობი დიდ მოურავს... დიახ, დიდს! შენ შეგიძლია დამღუპო: ჩემი წერილი გაუგზავნო მხოლოდ შაჰ აბასს ან... თუნდაც ზურაბ ერისთავს. სიტყვამ მოიტანა, ეს ძერა. მოისურვებ, გადმოგცემ. ყველა მისი მოქმედება

თითქოს სწორი და სამეფოსათვის სასარგებლოა, მაგრამ შენ დამაჯერე, და მე არ ვენდობი პატივმოყვარეს, რომელიც ოცნებობს მთიელებზე გამეფებას. ის უგუნური დარწმუნებულია, რომ ნებას დავრთავ მთიელთა წაღებით გათელოს ქართლის გვირგვინი. როგორც უკვე დაგპირდი ხორეშანის პირით: თუ მიღალატა, სამაგიეროს გადავუხდი! შემოკლებულ დღეთა დასასრულამდე ემახსოვრება, რომ „გველ" თავადთან ხუმრობა საშიშია: შეუძლია მომაკვდინებლად უკბინოს.

მაშ ასე, გიორგი, ველოდები შენს თანხმობას.

ხელს ვაწერ შადიმანი,
საბარათიანოს მფლობელი.
საჭირო არ არის მორჩილი იყო!
ქორონიკონსა 14, წელსა 325".

შადიმანმა გრაგნილი დაახვია, ცისფერი ცვილანით დაბეჭდა, შავი მოსასხამი მოიხურა, ჩუქურთმიანი კარი მიხურა. აივანზე რომ გადიოდა, სანთელი ჩააქრო, მეჩიბუხესთან ერთად კიბეზე ჩავიდა და ღამის წყვდიადს შეერთო...

შვიდი ვეფხვი რომ შეპრილიყო მეფის საჯინიბეთა ზედამხედველის პატარა სახლში, მაშინაც ისე არ გაოცდებოდა არჩილი. აბნეულმა შეხედა ყოვლისმძლე თავად შადიმანს, ტაბურეტი გადააბრუნა და გაუბედავად სთხოვა თავადს — ღორსი გამხადე და ჩამოჯექი ტახტზეო, რომლიდანაც დამშვიდებული წამოდგა პაპუნა.

— თვითონ შენ მთხოვე ხომ ფარულად გადმომეცა წერილი, — გაიცინა შადიმანმა, — ახლა კი ისე მიყურებ, თითქოს დამპალი მსხლის ფერი ქულაჯა მეცვას გაწყობილი ბეწვით, რომელიც ჭინჭარსა ჰგავს. ე-ე, მხიარულო აზნაურო პაპუნა, მზად ვარ დავიფიცო, რომ შენი ავადმყოფობა ხელსაყრელია გიორგი საკაძისათვის: ბევრი რამ სასარგებლო დაინახე აქ!

— შენთვის, თავადო შადიმან, ცოტა რამ.

— შენ ამას რაზე ამბობ?

— შენს მეგობრობაზე შავ უკუდო ეშმაკებთან. და კიდევ იცოდე: ტურა ქორის თანამგზავრი როდია.

— შენ მეტად გულახდილი ხარ. საშიში არ არის?

— ეჰ, თავადო, მე ყველაზე მეტად ვშიშობ არ გავხდე ყეყეჩის სტუმარი. დანარჩენი კი დედამიწაზე ღმერთმა ყველაფერი თავისი წესისამებრ მოაწყო.

შადიმანს გულწრფელად გაეცინა, მოიხსნა ძეწკვი, გაიხადა ალტაბასის მოსასხამი და ჯეირანის ფიტულზე გადაკიდა, კუთხეში რომ იდგა.

რაკი რაღაც უკმაყოფილება შენიშნა სახეზე, ფანჯრისაკენ რომ წარბშეკრული წავიდა, პაპუნამ უთხრა:

— ო, არჩილ! განა ასე იღებ ჭკვიანთა შორის უჭკვიანესს? სად არის ის ღვინო, რომელიც დღეს მეჯინიბეს მოატანინე „ოქროს აქლემიდან?"

შადიმანმა თვით არ იცოდა, რატომ ასე ხალისიანად იჯდა მირთმეულ ბალიშზე, რატომ დალია პაპუნასთან ერთად, რატომ, მიუხედავად აზნაურის მწარე ენისა, კმაყოფილი იყო მხიარული საუბრით, და უეცრად ჰკითხა:

— მითხარი, აზნაურო, არ გინდა მეფე სვიმონთან თანამდებობა დაიკავო?

— ო, თავადო, განა მე არჩილის მსგავსად ცხენის კბილები მაქვს?

— კბილები აქ რა შუაშია?

— ბევრ რამეში, თავადო! აი ჩემი არჩილი მეხუთე მეფეს იცვლის-და ერთხელაც არ შემოუჩივლია მუცელი მტკივაო!

შადიმანი კინაღამ დაახრჩო უეცრად ატეხილმა სიცილმა. მეჩიბუხემ შიშით შეხედა კარს: ისლა გვაკლია, რომ ვინმემ აქ ნახოს თავადიო. ხოლო შადიმანი, როგორც თავდახსნილი ტყვე, იცინოდა და წრუპავდა ღვინოს ფაიფურის ფიალით; ეს ფიალა ჰასანის ნაჩუქარი იყო, რომლისგანაც პაპუნამ ბევრი რამ სასარგებლო გაიგო.

— არჩილ, სად იშოვნე ასეთი ღვინო?

— ბრწყინვალე თავადო, განა გაბედავს თუნდაც ერთი მედუქნე აზნაურ პაპუნას ცუდი ღვინო გამოუგზავნოს?

— ვერ გაბედავს იმის შიშით, რომ როცა საკაძე დაბრუნდება, მე ვისარგებლებ ახალი ხელისუფლების ძველი მარწუხით და უტიფარს თავს წავაცლი.

— და შენ გგონია სააკაძე დაბრუნდება?

— დიდო თავადო, მოწყენილობა საუკეთესო მეხრეა. ერთ მწყემსს მეორემ ჰკითხა: რატომ კვლავ ჭაობიან მინდორში აძოვებ ფარასაო? ან განა ცოტა ცხვარი ჩაუწოვია ჭაობსაო? რატომ არ გინდა აი ის მდელოო? განა იქ ნოყიერი ბალახი არ არისო? ან იქნებ ღმერთს იქ ჩრდილოვანი ხე არ დაურგავს მწყემსების დასასვენებლადო? ან იქნებ იქ გრილი მთის წყარო არ ჩუხჩუხებსო?

მწყემსმა ყური მოიფხანა და ასე უპასუხა: „შესაძლოა შენ მართალიც იყო, მეგობარო, მხოლოდ მოწყენილობაზე საშინელი არაფერია. თვითონ იცი, რა ხმაური ატყდება, როცა ჭაობი ცხვარს ჩაითრევს. მირბიხარ, უკან სხვები მორბიან, მე იქით-აქეთ ვეხლები წამოჭირხლებული, ვყვირი: „მიშველეთ! მიშველეთ!“ თვითონ კი მიხარია, რომ დროც გარბის. ვხედავ მზეს: ეს რა მოსელია დღეს? როგორც მწყემსი დაბორიალებს ცხვრების მსგავს ღრუბლებში! ცხვარი უკვე ყელამდე ჩაფლულა ჭაობში „დაიჭი! ამოსწიე! ამოათრიე!“ სისხლი ფისივით დუღს „მე-ე-ე!“ — ბღავის ცხვარი. ხოლო თუ ცხვარმა გადარჩენა მოახერხა, მაშინ ყველა კმაყოფილია! „მე-ე-ე!“ — მადლობას იხდის ცხვარი. და ჩვენ ვიცინით, ზურგში ვცემთ ერთმანეთს: „ყოჩაღ, ბერუა! ყოჩაღ, დუღაბ! გამარჯვება უნდა ვიდღესასწაულოთ!“ აქვეა ღვინით სავსე დოქი, რომელიც მდინარეშია ჩაციებული, თვითონ ამოხტება ბალახში. ყოველი მიუშვერს თასს, პური უკვე გატეხილია, საიდან გაჩნდა ეს ყველი, ეს მწვანილი! „იცოცხლე! გაგიმარჯოს! მრავალჟამიერ! ე-ჰე-ჰე!.. ვხედავ მთვარეს — ეს რა მოსდის დღეს? როგორც თასი, ღვინოში იძირება. დიახ, მაშინ ყველასათვის საწყენია, რომ უკვე დადგა ფარის შინ გარეკვის დრო“.

— ჰო-ჰო-ჰო! — გულამოსკვნილი ხარხარებდა შადიმანი, აბრეშუმის ხელსახოცს ტუჩზე იდებდა, თითქოს მეტად გულღია სიცილი სურს მოაყრუოსო.

პაპუნამ კვლავ ააავსო ღვინით თასები და მშვიდობიანად განაგრძო:

— ხედავ, თავადო, რომ მოწყენილობის წამალიც არის. იცოცხლე, კარისკაცო შადიმან ბარათაშვილო! — პაპუნამ თა-

სი ასწია, დაცალა და თავზე დაიმხო. — თუმცა შენ და საკაძეს სხვადასხვა ფიქრი გაქვთ ცხვრებზე, მაგრამ მოწყენილია ხოლმე ჩემი „ვეფხვი“, როცა შენი ამბავი დიდხანს არ ესმის, ამიტომ ერეკება თავის ცხვრებს თავადთა მიჯნების ახლოს.

— ხომ არ იმედოვნებს, რომ მე, ბოლოს, გონს მოვალ და დავეხმარები ცხვრები ჭაობიდან ამოვიყვანო? უთხარი „ვეფხვს“: ტყუილი იმედი გაქვს-თქო. — დავეხმარები ჭაობმა უფრო ჩაიწოვოს.

— მეც აგრე მგონია.

— ხოლო ხომ არა გგონია, რომ მეტეხის ჭაობიც საშიშია მსტოვრებისათვის?

— ცნობებს რომ ხურჯინით ეზიდებოდნენ და მე მომიხდეს ქარავნის დატვირთვა, მაშინ, რა თქმა უნდა, შემეშინდებოდა; ხოლო რაკი ყველაფერი თავში ლაგდება, მაშინ სულერთია თითქოს შიშველი ვარ, — ხოლო შიშველი ყველა ერთნაირია. აი გუშინ გადავწყვიტე მტკვარში მებანავა; ის იყო გავიხადე, ვხედავ ერთი სამმაგი მუცლის პატრონი მზეზე შრება. „ეი, ვუყვირი, ცას რატომ ქონს უცხებ-მეთქი?“ — „როგორ ბედავ, — პასუხად ღრიალებს მუცლის პატრონი, — ჩემთან ხუმრობას? მე თავადი ვარ მეფე სვიმონის კარზე!“ — „დიდ ბოდიშს ვიხდი! — პასუხად ვუყვირი. — ვერ გიცანი. დღევანდელ დილამდე ვფიქრობ: „თავადს მუცელზე საგვარეულო დროშა აქვს ამომწვარი, ხოლო იმაზე... ვთქვათ, ზურგზე — საკუთარი სახელი“. ჰოდა ასე, რატომღაც ისე გააფთრდა ჩემი წყლის მეზობელი, რომ კინაღამ უშარვლო გაიქცა, მხოლოდ ფაფახი დაიხურა. შეიძლებოდა გაციებულიყო. კიდევ კარგი, რომ ზემოდან საჭურველთმტვირთველი ჩამოხტა და თავადს მიმავალს ჩააცვა შარვალი.

კვლავ გაიფანტა ღრუბლები შადიმანის შუბლზე და მან დაუდევრად ჩაირჭო ქამარში აბრეშუმის ხელსახოცი. არჩილსაც კი ოდნავ გაეღიმა.

— იცი, აზნაურო, შენ შიშველიც არ დაიღუპები. რატომ არ გგზავნის მოურავი ელჩად სულთანთან? უეჭველად გამოსტყუებდი მას თუნდაც... ვთქვათ, ოქროს რქას.

— შესაძლებელია კიდევაც გავეგზავნე, მაგრამ უკვე ყელამდე ვარ მაძღარი „ირანის ლომით“.

— გამოდის, რომ გეშინია, სულთანიც მოგატყუებს?

— სხვანაირად ვერ მოახერხებს — ბოსფორით სუნთქავს! ხოლო იქ ტყუილი სელაპივითაა: შესახედავად უცოდველია, კბილები კი ხერხივით აქვს.

— არასოდეს არ გამიხდია სელაპები ჩემი ყურადღების ღირსი.

— დიდი ხარვეზია, თავადო, შენი ჭკუისათვის მიუტევებელია. თვითონ განსაჯე: შენ ესწრაფვი დიდებას, გულკეთილი ბედი ღირსეული მოწინააღმდეგის ნაცვლად ლაჩარს გიგზავნის; შენ გწყურია დიდება, ხოლო მეფეს გაჩრიან; შენ გწყურია სიმართლე და ბერს კი გთავაზობენ!

— შენ, აზნაურო საშიში კაცი ხარ.

— საშიში ვიქნებოდი, მაგრამ ვაი რომ ჩემს რჩევას მოისმენ: უკეთესია უცქირო კუდიანს, ვიდრე შაჰის გამოგზავნილ უკუდოს, ხალხი იცინის: „რა მხიარულია პაპუნა, რამდენი წელიწადია, რომ არ მოსწყინდა მეფეებზე ლაპარაკი!“.

— აღგითქვამ. აზნაურო, ჩემი ასი წლის თავისათვის გავიხსენო შენი რჩევა. ხოლო ზეიმის მოლოდინში, — შადიმანმა მეჩიბუხეს გამოართვა გრაგნილი, — გადაეცი გიორგი საააკაძეს, რომ თუმცა თავადი შადიმან ბარათაშვილის დამოკიდებულება ცხვრებისადმი სხვანაირია, ვიდრე დიდი მოურავისა, მაგრამ ისიც მოწყენილია ხოლმე, როცა ნოსტეს მხრიდან დიდხანს არ ესმის გრგვინვა. დღეს შაბათია, წახვალ არც ადრე, არც გვიან ორშაბათისა. აი თავისუფლად გასვლის ფირმანი, იცოდე აზნაურო, გრაგნილი უნდა მიიღოს მხოლოდ გიორგი საააკაძემ. მეჩიბუხე განთიადისას დაგელოდება ისნის კართან, — და შადიმანი წავიდა.

დაუცლელ თასში ისახებოდა შუქი, რომელიც გადაწეული ფარდიდან შემოდიოდა. ნიშში მოჩანდა ხისგან გამოკვეთილი მერანი. ირმის რქაზე ეკიდა სირმით მორთული ჩაბალახი. ნაცნობი ნივთები აბრუნებდნენ მომავალი დღის რეალური შეგრძნებისაკენ და უფრო დაუჯერებლად ეჩვენებოდა შადიმანის სტუმრობა.

არჩილს უკვირდა: კარისკაცს ხომ თავისი ღირსების დამამცირებლად მიაჩნდა მესამე ეზოსთან მიახლოებაც კი, სადაც ჰეფის საჯინიბოები იყო, აქ კი განთიადამდე იჯდა და ღვინოს სვამდა... რა მიზანი აქვს? ალბათ დიდმნიშვნელოვანი წერილია მოურავისადმი.

შავ ჩარდახივით აზიდულიყო მაღლა ცა, ვარსკვლავებით დაფენილიყო, მაგრამ ციხის გზა, რომელიც კლდოვან ფერდობებს ეკვროდა უკუნ ბნელში იკარგებოდა. შავი, ბნელი კონცხები დასწოლოდა თავს ლეღვის ხეობას. კოშკების იდუმალ სილუეტებს არ აშუქებდა არცერთი სანთელი.

არც ცხენის ფეხის ხმა, არც იარაღის ჩხარუნი. დროშები დახვეულია, დოლები აღარ გუგუნებენ, დუმან გრძელი ღოროტოტოები, შავ თექაში რომ გაუხვევიათ. მკაცრია სარდლების, მინბაშების ბრძანება: „ალაჰის სახელით, ჯარი არ უნდა ხმაურობდეს". და აი სარბაზები ცდილობენ არც კი ისუნთქონ.

აქლემების სილუეტები, ვით უდაბნოს შავი მოჩვენებანი, წუთით ჩნდებიან მთის ქედზე და მყისვე ქრებიან. დაძაბულ დუმილში ათასები ცდილობენ არ დაშალონ სალაშქრო წყობა.

სპარსელთა ჯარის ერთი ნაწილი, ციხის სავალს რომ გასცდა, ნელა შედის ლეღვის ხეობაში, სადაც უერთდება მეორე ნაწილს, განჯის კარიდან რომ მოზოზინებს. ათასები ქმნიან ერთ კოლონას, მარცხნივ უხვევენ და მიემართებიან მთა ბერის კალთებისაკენ.

არაგველთა ცხენოსნების ხუთი ასეული სადღაც წინ არის, შავნაბდიანი შვიდი ასეული ყიზილბაშთა კოლონის ბოლოს მიდის, ორი ასეული საზვერავად გაიფანტა, ხოლო ერთი ასეული ხიდზეა ხევში და ბილიკებზე, შაჰ-ტახტისკენ რომ მიდიან, უთვალთვალებს ბულჩისის გზას, ძლივს რომ მოჩანს, და ფარავს სპარსთა ძალების მოძრაობას. მცველი რაზმები მხოლოდ მაშინ მოიხსნებიან, როცა აღალის უკანასკნელი აქლემი გაუხვევს კრწანისის ბაღებისაკენ.

ხოსრო მირზამ შეაჩერა ფიცხი ცხენი და მოუთმენლად იცქირება სიბნელეში. ბოლოს საიდანღაც გამოძვრა ანანურე-

ლი აზნაური მიხა, მის უკან მოჩანს ხუთი ახოვანი რაზმელი. მიხა ჰბაძავს ჭოტსა და ყრუდ კივის. უზარმაზარი კოლონა ემორჩილება შავბედით სიგნალს და გაჭირვებით უხვევს ვიწრო კლდოვანი გზისკენ, შეშფოთებით მოდუდუნე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რომ მიიკლაკნება.

უმთვარო ღამე არ აფრთხობს არც ცხენებსა და არც მხედრებს. გურჯისტანში დღისითაც კი საშიშია ყოველი შვერილი, ხოლო სიბნელე განა არ იფარავს მოწამლული ისრის ან მარჯვედ ნასროლი ხელშუბისაგან? და დაე თბილისელებმა დილით თაბორის კოშკზე დაინახონ ნარინჯისფერი დროშა, რომელზეც გამოსახულია მძვინვარე ლომი, და არაფერი იცოდნენ იმაზე, რომ მართლმორწმუნეთა ჯარი წავიდა. სად წავიდა? შირვანს, ლენქორანს, კახეთს? ესეც საიდუმლოდ უნდა დარჩეს. დაე იყოს ისე, როგორც მირზამ და ხანმა ბრძანეს.

მზის სხივები ღამის კარჭაპში განისვენებენ, მაგრამ ომის ძლიერი სულები იფარავენ დოლბანდიან უფროსებს. არც ერთი მხედარი არ გადაჩეხილა კლდეზე. ცხენებს ფლოქვებზე შემოხვეული აქვთ შავი ქეჩა და მიცოცავენ წრიაპზე, როგორც ზღაპრული არსებანი. დაე მშვიდად თვლემდეს იარაღი ქარქაშში. წყვდიადი უსაზღვროა, და მხედრებს შეუძლიათ ჩაიძირონ რულში, რომელიც ტკბილია, ვით სპარსული ზღვის დუდუნი: „აი ბალამ!.. ბა-ა-ლა-ამ!“

განთიადმა ხოსრო მირზა და ისა-ხანის ჯარს უსწრო მთის ტყეში, შორს თბილისიდან. ისა-ხანმა ძირს ჩაიხედა და წარბი შეიკრა: „ბისმილაჰ! რა თვალთსატყუარია ძირს გადაჭიმული ველი! შურისმგებელი გურჯების მწვანე მოსასხამებს ხომ არ დაუფარავთ იგი? ხოლო ზევით — ჭადრებისა და რცხილების ტოტებში ხომ არ განაბულან მტაცებელი „ვეფხვები“?

ისა-ხანმა შეაგროვა მამაცი მინბაშები, მინბაშებმა — გამოცდილი იუზბაშები. გაისმა ბრძანება: „ცეცხლს ნუ დაანთებთ, მზად იყოლიეთ შუტიურ-ბადები!“ * მოკლე შესვენება. ათასების ხელახლად დაწყობა. მაზანდერანელები კოლონის

---

* შუტიურ-ბაადი (სპარს.) — „ქარი“ — აქლემი, ცხენზე სწრაფად რ.ომ გარბის.

თავში გადადიან და ხელიდან არ უშვებენ მუშკეტებს. სპარსელთა ჯარმა ტყიანი მთები გადავლო და გზას განაგრძობს.

მაგრამ ვინ ეხმარება მტერს? ვინ უადვილებს ლაშქრობას ირანელებს, აუარებელ ნაკრაულებში რომ დაუმალავთ ქართლის ძვირფასეულობა? არაგვის ერისთავი, თავადი ზურაბ, მთიელთა გვირგვინის პირსისხლიანი მაძიებელი, მოუხელავი, ვით ზღაპრული ფასკუნჯი. იგი ახლა მეტეხშია, ხოლო ციცაბო ფერდობზე გაშლილია თითქოს მისი ხელის ჩრდილი, კახეთისაკენ რომ უჩვენებს. კიდევ რა ვერაგობას მალავს გულის კუნჭულებში ზურაბი?

წინგაგზავნილი არაგველთა სამი ცხენოსანი ჯგუფი განუწყვეტლივ იუწყება, რომ უშიშარია გზები, ტყეები და მთები ჯარის მწყობრ სვლას არაფერი არ დაარღვევს.

და ანაზდად, ვით შაითანი, მოიკრა დაღვრემილი არაგველი: რა ამბავი მოიტანა, ო ალი!

— წინ ხაფანგია! გზის მარჯვნივ ქვებია ჩახერგილი! მარცხნივ ორ კიდულ ხიდს გვარლები აქვს დაჭრილი! საიმედო განსაკუთრებით არ არის გზა საბარათიანოში.

მინბაშები და იუზბაშები აბნეული უცქეროდნენ ხოსრო მირზას და ისა-ხანს. სარბაზები შიშით შესცქეროდნენ იუზბაშებსა და ონბაშებს. „მტერი როდი გვაშინებს, ნაცარი მის თავს! მაგრამ დაიღუპო ცოფიანი ძაღლებისა და გველებისაგან? მოაკლდე მაჰმადის სამოთხეს?! დაგვიფაროს მართლმსაჯულების გამგემ!“ — ღაღადებდნენ ისინი.. „ხომ არ უნებებია ალაჰს, რომ ყელი ჩვენივე ხელით გამოვიჭრათ?“ — ჩიოდნენ სხვები.

შიში ნისლივით ედებოდა ირანელებს. მათი გონება გაჩანაგებული იყო ათასგვარი წარმოდგენით. ძლივს მიაბიჯებდნენ, თითქოს ფეხებზე ლოდები აქვთ მიბმულიო, და ყოველ ჩუჩუნზე ეცემოდნენ, აცახცახებულ ხელებს გულგრილი ზეცისაკენ აპყრობდნენ. ერთი სურვილი დაუფლებოდათ მხოლოდ: გამოსხმოდათ ფრთები, რომ მყის მიწისქვეშა ცეცხლის ქვეყანაში გაჩენილიყვნენ *.

---

* ესე იგი ბაქოს სახანოში.

— ჩვენი ხსნა ცბიერებაა, — თქვა მამედ-ხანმა, ცხენი რომ ზედ ისა-ხანთან მიაგდო. — მარაბდისაკენ ხომ არ გავგზავნოთ ორმოცდაათი არაგველი? რომ არ მიიქციონ იმ ძაღლების ყურადღება.

— ვაგლახ! შენ ისე ლაპარაკობ, მამედ-ხან, რომ გონებას არ შეკითხებიხარ. — დაცინვით ახედ-ჩახედა ისამ გაოცებულ ხანს. — საკუთარი ტკბილი სიცოცხლისათვის გაგვცემენ არაგველები. კეთილდღეობის მომნიჭებელმა სხვა რამ ჩამაგონა.

დაღვრემილი მიხა, შორიდან რომ აკვირდებოდა ხანებს, თითქოს მიხვდა, რაზედაც ისინი საუბრობენო, მიუახლოვდა და მოკრძალებით მიიდო შუბლზე ხელი. სპარსელი ხანები დაარწმუნა, რომ თავადი ზურაბ ერისთავი მათდამი გამსჭვალულია უაღრესად მეგობრული გრძნობებით და „ირანის ლომის“ მამაც ჯარებს უსურვებს უვნებლად მიაღწიონ კახეთის საზღვრებს. ამიტომ მან, მიხამ, არაგვის ერისთავის მონამ, ირანელები არ წაიყვანა გომბორის უღელტეხილით, სადაც ყოველი ქვა მტაცებელი სააკაძის მოკავშირეა, არ წაიყვანს არც საბარათიანოზე, სადაც ყოველი ხრამი გველების ბუდეა. არა, იგი დიდ მირზასა და ყოვლადძლიერ ხანს უჩვენებს ყველასათვის უცნობ გასასვლელს კახეთში გარეჯის მთაზე გადასვლით. დაე, სარდლებმა მეტი ნდობა გამოიჩინონ და დაჯილდოებულ იქნებიან კეთილი შედეგით.

მიხამ არაგველებს უბრძანა, მტკვრის ფონისაკენ გაუხვიეთო, და ცხენოსანთა რაზმი მეორე ნაპირზე გაიყვანა, მერე ირანელებს დაეხმარა მდინარის გადალახვაში.

სარბაზები გამხნევდნენ, ორ ცეცხლს შუა რომ აღმოჩნდნენ, წყალი ამჯობინეს. მაგრამ ისა-ხანმა მიხა დააჯილდოვა ალმასის ქინძისთავით და მინბაშს უბრძანა — გვერდით საზვერავად მუშკეტიანი ლენქორანელები გაგზავნე და დაბინდებიდან გათენებამდე ასე იარეთ გარეჯის უღელტეხილისაკენ, დღისით კი ხშირ ტყეში ჩაწექით, სანამ საფრთხე არ გაივლის, როგორც მიხამ დაგვარწმუნაო. და კვლავ ბრძანა ხანმა, არ დაენთოთ ცეცხლი, არ მოეხარშათ საჭმელი, არამედ დაკმაყოფილებულიყვნენ: ხანები — ცივი ხორცითა და ტკბილეულობით, სარბაზები — შოთებითა და გოგრით.

დღეები კი მიზოზინებდნენ, თითქოს მოკლე ღამეებს დასცინიანო, ერთნაირ ბილიკებს რომ შავ ხვიანდაგივით ხლართავდნენ. სარბაზთა ათასები ბნელში იკარგებოდნენ და ბრმად ემორჩილებოდნენ მეგზურ არაგველებს.

— ერთიც ვნახოთ, გაიღვიძა ჩემმა სისასტიკემ, — წარბშეკვრით უთხრა ისა-ხანს დაღლილმა ხოსრო მირზამ და მათრახით მოსასხამზე მტვერი დაიფერთხა. — განა ვერ ამჩნევ, კეთილშობილო ხანო, რომ ეს გურჯი მიხა განგებ გვაბორიალებს ამ მთის ორწოხებში?

— ნუ აცთუნებინებ შაითანს, ო ხოსრო მირზა, შენს მოთმინებას. ალაჰი გვიწყალობებს მოსვენების ოაზისს მღელვარების უდაბნოს შემდეგ. მალე მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს.

და დადგა ღამე! თითქოს მას შავი სვეტები შეუბრჯენია ვარსკვლავიანი გუმბათისათვისო. ცა უკვე გამქვირვალე ლურჯი კი არ არის, არამედ სოსან-ვერცხლისფერი, და მის ქვეშ იგულისხმება ვენახიანი ველი, რომელსაც საამურად მოდუდუნე მდინარე ამდიდრებს.

— იორი! — წამოიძახა მიხამ, მუზარადი მოიხადა, აღმოსავლეთს თაყვანი სცა და ზეიმოვნად განაცხადა, საფრთხემ განვლოო, ირანის ჯარი გარეჯის მთის გადაღმა არისო.

სასიხარულო შეძახილებს მკაფიოდ იხმობდა უკანასკნელი ხეობა. სარბაზები გაგიჟდნენ, განუწყვეტლივ იცინოდნენ. თავაწყვეტილი ცეკვავდნენ. „ალა! იალა!“ — ერთმანეთს ` უჯახუნებდნენ შუბებს, ლოცვას უგზავნიდნენ „მარადმყოფს“...

შემდეგ დაინთო კოცონები, ათუხთუხდა წყალი.

მაგრამ სინათლის პირველი შუქი, ვით ამოწვდილი ხმალი, გახდა ნიშანი. ხოსრო მირზა და ისა-ხანი მოუთმენლად მოახტნენ ცხენებს. მათს შემდეგ — მინბაშები და იუზბაშები. გაშალეს „ირანის ლომის“ ნარინჯისფერი დროშა და ფერდობებიდან უგზო-უკვლოდ დაეშვნენ წარმტაცი ველისაკენ. გარბოდნენ, როგორც დამთხვეულნი, არც დროს გრძნობდნენ, არც შიმშილსა და წყურვილს...

უკან კი რჩებოდა ქართლის მიწა, გადაბუგული, მაგრამ დაუმარცხებელი.

„შეუძლია თუ არა ადამიანს განუწყვეტლივ იაროს ღამე-დღე და კიდევ ღამე? ადამიანს ალბათ არ შეუძლია, ხოლო გიორგი სააკაძე ერთ კვირას ტკეპნის წალით ქვის იატაკს, სანამ თავის ფიქრებს საბრძოლო წყობაში არ მოიყვანს“.

ასე ამბობდნენ „ვეფხვები“, რომელთაც თვითონ დავიწყებოდათ ძილი და უმიზნოდ ზომავდნენ ციხე-დარბაზის ბაღს სიგრძე-სიგანით. ისინი თავიანთ თავს ადარებდნენ ბრინჯაოს ფასკუნჯებსა და მარმარილოს ფრთოსან ცხენებს, რომლებიც ჩამწკრივებული იყვნენ ხეივნების გაყოლებით, შესახედავად მრისხანენი, მაგრამ კვარცხლბეკებს მიჯედილნი, და ამიტომ უძლურნი. ციხის სათოფურიანი გალავნის ხაზს აზნაურები ისე უცქეროდნენ, როგორც ვეფხვი უცქერის თავის საკბილოს ხრამს გაღმა გადახტომის წინ.

თავდაპირველად უჩვეულო სიჩუმე დაეუფლა მთის კალთებს, ხევებს. ბრძოლა ისა-ხანისა და ხოსრო მირზას წინააღმდეგ ანაზდად შეწყდა, როგორც სიმღერაშია ხოლმე. მხედრებმა ძლივს მოასწრეს სადავის მოჭიმვა და ცხენებმა შეშფოთებით დაიბერეს ნესტოები, ჭენება შეწყვიტეს თეთრი ციხის მოსახვევში.

— რა გაეწყობა, — როსტომმა უზანგებზე წამოიწია, გზისპირა ჩირგვებს თვალი მოავლო და განგებ დაამთქნარა, — რაკი ხუთ მარჩილადაც ვერ იპოვნი თუნდაც ერთ კოჭლ სარბაზს, გავაჭენოთ, მეგობრებო, ცხენები მახლობლებთან, და ამასთან შევიტყოთ, ეს რა ზარის რეკვა აზანზარებს ცას.

რეკვა! რეკვა ქარგრიგალას მსგავსად, სწედება ცას და, თითქოს სპილენძის ნამსხვრევებიაო, ეფრქვევა ველებს, აყრუებს მგზავრსაც და ტყის ნადირსაც, აგრეთვე აფრთხიალებულ ფრინველებს. კიდითკიდემდე შეიძრა ქართლი ზარის რეკვით. უხილავ ტალღად იჭრება რეკვა ქალაქებიდან, ედება სოფლებს, ციხე-დარბაზებს. ბენარშიც კი, თუმცა ზუსტად არ იცოდნენ რეკვის მიზეზი, აჰყვნენ და ისე აზრიალდნენ ორი ეკლესიის ზარები, რომ ფანჯრებმა ზანზარი დაიწყეს.

და უეცრად სულ უფრო მზარდ რეკვაში შეიჭრნენ ხმები.

ამბიონებიდან ჯვარაღმართული აბუბუნდნენ ეპისკოპოსები, არქიელები, კეთილმოწესენი, მღვდლები, დიაკვნები.

„...აღსრულდა! შევძახოთ, ძმებო! ვიჯმნი ეშმაკისაგან! თაყვანსა ვცემ ღმერთსა ჩემსა, იესო ქრისტეს, ძესა ღვთისასა! შეიყვარეთ დიდად ღმერთი, მფარველი ჩვენი. მან და მხოლოდ მან მისცა კათალიკოსს ხელში ჯვარი, რომელსაც მსახვრელი მახვილის ძალა აქვს! წმიდა მამამ ერთიანი უდრეკი ნებით განდევნა სპარსელნი ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნიდან! ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა, მხოლოდ ძლიერი რწმენით მოახდინე შენ სასწაული, წმიდაო მამავ! შეკქმენ განკურნება ჩვენი ქართლისა! შენ სიბრძნავე და სიმუნჯე უქადე მტრებს, შენ უქადე მათ ჭირი და ყოველგვარი ავადობა. შეძრწუნდნენ ჰეროდეები და გაიქცნენ კათალიკოსის მიერ დაწყეველილნი! ინუგეშე, ხალხო! გაქრა მტერი, ზეიმობს ჯვარი, რომელიც ეკლესიის მამის ყოვლადძლიერმა ხელმა აღმართა!“

იღვრება რეკვა. ფართოდ გაუღიათ ტაძრების კარი.

„...ისმინეთ წმიდა სიტყვები: ურწმუნონი განდევნილ არიან! და თუ გამოჩნდა მოღალატე და კვლავ მოიყვანა სპარსნი ან თურქნი, ან სხვანი, რომელთა ქრისტე არა სწამთ, წყევაკრულვაც ნუ მოშლია ურჩებს, აფთარსაც დაუგლეჯია, როგორც გაველურებული ქოფაკები! ხოლო თუ ვინმემ გაბედა მოღალატეების დახმარება, არ იქნება მოთქმა, მსგავსი მისი მოთქმისა! დაე განიფანტნენ ისინი მთელ მსოფლიოში, დაე ივალალონ მათ თავიანთ სიცოცხლეზე, რამეთუ არ გაუგონეს წმიდა მამას და შეურაცხყვეს ღმერთი, ყოვლის შემქმნელი.

ინუგეშე, ხალხო! მტერი გაქრა!“

საკეცხლურების კვამლში გაისმის გამაფრთხილებელი სიტყვები, იმედის მომცემი სიტყვები.

„...განიფანტენით, მოლაშქრენო, სოფლებში და ახარეთ ცოლებს, დედებსა და შვილებს! განა კიდევ დიდხანს დაიტანჯებიან ისინი ჩამქრალი კერის პირას?! გაიტანეთ სახნისი დარბლებულ მინდვრებში! დადგა დრო მიხედოთ საკუთარ ცხოვრებას, გამოისახოთ პირჯვარი და ინუგეშოთ, რადგან წმიდა ეკლესია ურყევად დგას თავისი სამწყსოს დასაცავად. მშვიდო-

ბით ვიდოდეთ სახლსა თქვენსა! დაჰკიდეთ იარაღი ტახტების ზემოთ, უნაგირი მოხადეთ ცხენებს! დაე ისვენებდნენ მებრძოლი მეგობრები! დაე ღიმილით და სიხარულით შედიოდეს ხალხი ეკლესიაში! დაე მადლობდეს უფალს ჩვენსას ლოცვითა და სანთლებით სასწაულით მოვლინებული შუქოსანი გამარჯვებისათვის!"

ირბევიან დიდი და პატარა ზარები. გუგუნებენ, გრგვინავენ.

„...ჰოი უფალო, შემოქმედო ყოვლისაო, შენ, და სხვამ არავინ, უშველე წარმოგზავნილსა შენ მიერ განედევნა სიცრუის მამა ეშმაკი ქართლის საზღვრებიდან! ახსენებდეთ იესო ქრისტეს სახელს ამიერიდან უკუნისამდე! ამინ! ამინ! ამინ!" — გაისმის ეკლესიებში.

რეკვა — რეკვა. გახშირებული რეკვა.

გახარებული და გაოცებული ხალხი ისწრაფვის კერისაკენ, მიტოვებული ყანებისაკენ. დღესასწაულია! მხიარულებაა! მტრები წავიდნენ, წავიდნენ! განა ეს ზეცის წყალობა არ არის?!

მართალია, ამორჩეული მოლაშქრენი ჩურჩულებდნენ, რომ არა მარტო ზეცა, არამედ მოურავის მახვილიც მონაწილეობდა მტრის განდევნაში და მოლაშქრეთა ხმალსაც ცოტათი როდი შეუწყვია ამისთვის ხელი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთი გაბედული გრაკლელი ასეთი ლაპარაკისათვის ეკლესიიდან განდევნეს, ყველანი გაჩუმდნენ. აზნაურთა რაზმელებიც კი უფრთხოდნენ ამაზე ლაპარაკს ურთიერთ შორის. ბაზარშიც კი შეწყვიტეს საშიში საუბარი. და ეკლესიები ასე გაჭედილი ხალხით არასოდეს არა ყოფილა. ყოველი კაცი ისწრაფვოდა თავი კათალიკოსის ერთგულ ქვეშევრდომად მოეჩვენებინა.

ამიტომ ხომ არ სცემდა ბოლთას თავის კოშკში გიორგი სააკაძე ორ დღესა და ორ ღამეს?

ამიტომ ხომ არ არის რომ დათო, დიმიტრი და დაუთბეგი, დროს რომ ვეღარ არჩევენ, ნაბიჯებით ზომავენ ციხე-დარბაზის ბაღს სიგრძე-სიგანით? ისინი როდი წასულან, სხვა „ვეფხვების" მსგავსად, ნათესავების სანახავად. არც გივი წასულა: სურდა ესარგებლა მოკლე ხნის შესვენებით და ენახა ძახლო-

ბელნი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა მახლობელი გვერდით ჰყავდა და სადღა უნდა წასულიყო.

რით დაიწყო?.. პაპუნა თბილისიდან დაბრუნდა. უხაროდა, რომ ახალი ამბების მთელი ქარავანი თავში დაიტია და მისი განტვირთვა ერთ დღეს შეძლო.

როგორც გუშინ, სადილის დროს, მსახურმა ყველანი მიიწვია სადილზე. როგორც გუშინ, რუსუდანი, მკაცრი და მზრუნველი, თავის ადგილზე იჯდა. მიწყნარებული ავთანდილი კარს შესცქეროდა. დარეჯანი დამწუხრებული აქნევდა თავს. საქმელი ცივდებოდა, ხოლო ფიალებს არავინ ავსებდა და არავინ ცლიდა.

ანაზდად ხორეშანმა განგებ გაკვირვებით იკითხა:

— რატომ ასე დაამწუხრა „ვეფხვები" სპარსელების, წყეული მტრების წასვლამ? იქნებ ეშინიათ—ცხენები დაგვისუქდებიან, ან იარაღი დაგვეჟანგებაო? ან იქნებ დაცარიელებული მეტეხი აწუხებთ?

— ვის აწუხებს? — უეცრად გაჯავრდა დიმიტრი.—გველნახევარიმც ჰქონიათ მათ საუზმედ! მერე რაღა იქნება? ვის ვებრძოლოთ ქართლისათვის, ვის დავესხათ თავს? აი საქმე რა არის.

— ქალბატონო რუსუდან, კოშკში მაინც ასულიყავით, — რამდენი ხანია მოურავს არაფერი უჭამია.

— არ შეიძლება, დარეჯან, ხელი შეუშალო კაცს, როცა ფიქრობს.

— არაფერი არ უნდა მოურავს, ერასტის ყველაფერი უკანვე მოაქვს. თვითონაც თითქმის ზღურბლს არ შორდება.

— რა გაეწყობა, ჩემო დარეჯან, — გაიცინა პაპუნამ. — ცხვრებს მთელი სიმდიდრე თავში კი არ აქვთ, დუმაში აქვთ. ერთხელ ჰკითხეს ერთ ცხვარს: „ბატონო, ზურგის ბოლოს რატომ დაათრევ ასეთ მსუქან სიმძიმესო?" — „როგორ თუ რატომ? — გაუკვირდა ცხვარს. — აბა ჩემს მაგიერ ვინ ათრევს?"

გივიმ გაკვირვებით ასწია წარბები:

— და მართლაც, ვინ ათრევს? მწყემსი ხომ არა?

ავთანდილი კინაღამ ღვინით დაიხრჩო. რუსუდანსაც კი

ტუჩზე ღიმი გაუკრთა. მაგრამ დარეჯანმა იწყინა: „განა ერასტი ცხვარს გავსო?“

— შესაძლებელია ცხვარს არა, მაგრამ ერკემალს უსათუოდ! რამდენსაც არ ვეუბნები: „წადი დაიძინე! მოურავი უშენოდაც გამოცდის ქვის ფილების სიმაგრეს-მეთქი“. იგი კი გაოცებულია: „როგორ თუ დავიძინო? მერე ჩემს მაგიერ ვინ უდარაჯებს მოურავის მოსვენებას?“

რაკი პაპუნამ დაინახა, რომ მეგობართა დაღვრემილი სახე რამდენადმე გამხიარულდა, მოჰყვა იმის განმარტებას, თუ რით ჰგავს და რით განსხვავდება ორფეხა ცხვარი ოთხფეხა ერკემლისაგან.

სააკაძემ ერთხელ კიდევ გადაიკითხა საპასუხო წერილი. ოქროს მელნით დაეწერა შადიმანს:

„...მომწერე შენი პირობები...“ სააკაძე დაფიქრდა, კალამი წითელ მელანში ჩააწო და დასძინა:

„არა, ძვირფასო შადიმან, არა თუ თეიმურაზ პირველისათვის, არამედ სვიმონ მეორისთვისაც მე დიდების მომხვეჭი არა ვარ. მაგრამ შენ მართალი ხარ: თავადებთან ბრძოლის დრო ახლა არ არის. ქართლი გაძარცვეს სვიმონ მეფის მეგობრებმა, ხალხი გამოქვაბულების ძველ მცხოვრებს დაემსგავსა, სიშიშვლეს ძლივს იფარავს. მგონი მე და შენ იქამდე მივედით, რომ სავსებით გვესმის ერთმანეთის. ასე ჯობს — ჩამოხდილი ზუჩით ბრძოლა. შენს მოწოდებას რომ გამოვეხმაურო, ეს იმას ნიშნავს, რომ თავი დამარცხებულად მივიჩნიო. მაგრამ რა საჭიროა სიმართლის წინააღმდეგ წასვლა? არც შენ და არც მე დამარცხებული არა ვართ. ჩვენი დავა არ დამთავრებულა. მაგრამ გახსოვდეს: საჭიროა მეფე, — და აქვე უნდა ითქვას, ნამდვილი მეფე და არა მასხარა. მეფე და ქართლი და არა ისე, შენ რომ გსურს: მეფე და თავადები. მგონია, შენს დაუხმარებლად როდი გაგულკეთილებულან სამწყსოსადმი შავი თავადები. მაგრამ რით დაეხმარნენ ისინი, გარდა იმისა, რომ ურჩევდნენ იარაღი კედელზე დაეკიდათ, თუკი იკი გადარჩა, ხოლო თუ სპარსელებმა დაწვეს — მაშინ დაჟანგებულ ლურ-

სმანზე ჩამოეკიდათ, თუ სპარსელებს არ მოუსწრიათ მისი ამოღება? და ეს რჩევა მათივე სასარგებლოა, რადგან სხვანაირად რით უნდა გამდიდრდნენ შავი და თეთრი თავადები? ხოლო თვითონ იცი: შიმშილი ცუდი მრჩეველია... ამიტომ დაჟანგებული ლურსმანი იარაღს საიმედოდ ვერ დაიჭერს.

მე არც ზარის რეკვით ვარ ნაწყენი. ჭკვიანები ულვაშებში მალავენ ღიმილს, უჭკუოები შიშით იფიცებიან, თვითონ ვნახეთ, რომ წმიდა მამა ჯვრით ერეკებოდა ირანის ჯარსო, ხოლო მხდლები გაჰკივიან: „სააკაძე აქ არაფერ შუაშიაო!“ მეგობრულად მინდა გითხრა: დიდი ხანია აღარაფერი მაკვირვებს. „ღვთის სავალი მიუწვდომელია!“

ამიტომ ძლიერ ნუ დაენდობი წმიდა მამას. შენსავით აბა გინ იცის ისა-ხანისა და ხოსრო მირზას, მომავალი მეფის, ვთქვათ, კახეთის მეფის გაქცევის ნამდვილი მიზეზი, თუ მას, ჰასანის ნაცვლად, თვითონ არ დაეზმანება ორმაგი სიზმარი.

ჰოდა ასე, ძვირფასო შადიმან, სვიმონ მეფე ჩემთვის არაფრის მაქნისია. თეიმურაზ მეფე — ეკლესიის დაყენებული — არც შენ და არც მე არ გვესაჭიროება. თუ მიხვდები ბაგრატიონთა დინასტიიდან აირჩიო მეფისწული, რომელსაც შეეძლება დაამშვენოს და მიწითა და წყლით გაამდიდროს ქართლი, მზად ვარ მახვილით გავადიდო ჩვენი სამშობლო. დაე ყვაოდეს იგი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, როგორც იყო მეფეთ მეფის თამარის დროს, ვისაც ბედნიერი ომებისა და მეცნიერების სიყვარულისათვის მგოსნები „მეფეთა დილის აღტაცებას“ უწოდებდნენ. სტლითა და გულით მიმაჩნიხარ სამეფოს საუკეთესო ვეზირად და შენთან ერთად მზად ვარ განვამტკიცო ბაგრატიონთა შერყეული ტახტი“.

სააკაძე დაფიქრდა და დაუმატა:

„სტამბოლის დახმარებაზე ჯერჯერობით უარს ვამბობ: რაკი სპარსელები წავიდნენ, თურქებიც საჭირო არ არიან. დაე სხვა ადგილას ურტყან ერთმანეთს. უკვე გაეუგზავნე დიდ ვეზირს სასიხარულო ამბავი, რომ სულთნის ერთი ხსენებით შაჰ აბასის მხედართმთავრები შიშით გაეცალნენ ქართლს.

ყველაფერი ვთქვი, ჯერჯერობით დაეისვენებ, ვინადირებ; შესაძლებელია მალე დავბრუნდე ნოსტეს.

კიდევ მუდამ გახსოვდეს: უფრთხილდი ტურას, რომელიც ოცნებობს მთიელებზე გამეფდეს, ხოლო შესაძლებელია უფრო მეტზეც. უმჯობესია მიატოვებდეს მეტეხს. მე ანანურზე არ გავილაშქრებ, რადგან მან რაინდულად დაფარა ციხე-დარბაზი კნეინა ნატოთი, რუსუდანის დედით. მაგრამ ნოსტეს ციხე-დარბაზის წინააღმდეგ ეს რაინდი სიამოვნებით წავიდოდა, თუმცა ნოსტე მის დას ეკუთვნის. საბედნიეროდ, არაგველისა არ მეშინიან, მაგრამ შენი სიცოცხლე შენთვის ძვირფასია, რადგან ქართლი უშენოდ ვერ წარმომიდგენია. ამიტომ შეშფოთებული ვარ: მზად გყავს თუ არა ორი ცხენი და მთვარისფერი ლაბადა?..“

პაპუნას ჯერ არ დაემთავრებინა ლაპარაკი ყეყეჩზე, რომელიც ღვინოს არ სვამდა, რომ მოულოდნელად შემოვიდა საკაძე, ხოლო მის შემდეგ სახეგაბრწყინებული ერასტი.

აფუსფუსდნენ მსახურნი, აჩხარუნდა ჯამ-ჭურჭელი.

ერასტიმ ნუკერს გამოსტაცა სურა და თვითონ გაიქცა მარანში გიორგის საყვარელი ღვინისათვის, შემდეგ მზარეულის დახმარებით შემოიტანა შამფური მოშიშხინე ბატკნით, ხონჩაზე დადო, საკაძის წინ რომ იდო, სწრაფად დაჭრა სატევრით ნაზი ხორცი, რომელსაც გემრიელი სუნი სდიოდა. მხოლოდ ასეთი შრომის შემდეგ ერასტი თავის ადგილზე დაჯდა და ერთბაშად იგრძნო, რომ ორი დღე და ღამე არ ეჭამა, ხოლო ღვინო თითქოს პირველად გასინჯაო.

რუსუდანმა გულში გამოისახა პირჯვარი: „დიდება შენდა, წმიდაო ყრმაო! ყველაფერი მოიფიქრა, ყველაფერი გადაწყვიტა გიორგიმ“. და თუმცა მისი გადაწყვეტილებანი არ იცოდა, მაგრამ მისთვის მძიმე სინამდვილეც კი უკეთესი იყო გაურკვევლობაზე. „ვეფხვებიც“ ჩვეულებრივ გუნებაზე მოვიდნენ. უკვე საჭირო აღარ იყო ვისიმე პატიჟი, მიირთმევდნენ და განსაკუთრებით ბევრ ღვინოს სვამდნენ, თითქოს კარგი გამარჯვების შემდეგ.

დაუთბეგის თხოვნით პაპუნამ კვლავ დაიწყო ლაპარაკი შადიმანთან შეხვედრაზე.

რატომღაც სწორედ ამ უბრალოებამ, რაც უჩვეულოა ქედმაღალი თავადისათვის, რომელმაც იკადრა საჯინიბოს ზედამხედველის სახლში სტუმრობა, დააფიქრა სააკაძე. მან რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი, აკვირდებოდა ასოებს, თითქოს სურს დაინახოს, რომელი მათგანის უკან იმალება ხაფანგიო. „მაგრამ მეც თავადისათვის ყველაფერი როდი მითქვამს, — ჩაიცინა სააკაძემ, — დაე ეგონოს, რომ სპარსთა წასვლამ მაფიქრებინა უარი მეთქვა თურქების დახმარებაზე. ასე სჯობს“.

— ძია პაპუნა, — აქეზებდა ავთანდილი, — „გველის“ სტუმრობის შემდეგ დოქში არ ჩაგიხედნია?

— მიმიხვდი, ჩემო ბავშვო. ვაიმე! მიუხედავად მხიარული საუბრისა, ღვინო აიკრა, როგორც რძე!

— მე მაგისათვის თავნახევარს და კიდევ დანაწონს წავაჭრიდი „გველის“ მეჩიბუხეს.

— ეჰე, დიმიტრი, ერთ თავს როგორმე ვნახავდი, სოლო ნახევარი ზედ დანაწონით ანდუყაფარისათვის უნდა მეთხოვნა. ნუ იცინით, მართალს ვამბობ. რას იზამ! მესიზმრე ჰასანმაც კი შეამჩნია, როგორ ეპარება არშის თავადი სვიმონ მეორის გვირგვინს. მაგრამ ჰასანი საგუშაგოზეა, ერთხელ კიდევ ნახა სიზმარი: ვერ მისწვდა ანდუყაფარი — მკლავი შეახმა. ამით დაამშვიდა ხოსრო მირზა, რომელიც გულში მეფის ფაფახს იზომებდა.

— ნუ გეეჭვება, ძვირფასო პაპუნა, ხოსრო იქნება მეფე. იქნება, თუ ჩვენ...

აქ გივიმ გააწყვეტინა გიორგის:

— გუშინ ასეთი რამ იყო. შენ, გიორგი, მაღლა ბოლთას სცემდი, სამი „ვეფხვი“ კი ბაღში დაბორიალობდა. რუსუდანი და ხორეშანი ბანზე ზანდუკის სიმდიდრეს ათვალიერებდნენ— რა სჯობს თან წავიღოთო. და ვერც კი თქვეს, თუ სად მიდიოდნენ და რა შეიძლებოდა ღარიბებისათვის დაერიგებინათ. დარეჯანმაც კი უარი თქვა ეკლესიაში წასვლაზე: „კვირა ხომ არ არისო, ამბობდა, იორამსა და ბეჟანს დავპირდი თქვენი რაინდული შეჯიბრების მსაჯი ვიქნებიო. რას იზამ! მოწყენი-

ლობით ტუჩი გამიგანიერდა! გადავწყვიტე: მარტო წავალ-მეთქი. ტანსაცმელიც არ გამომიცვლია — კვირა როდია, — შესაძლებელია ამიტომაც ხალხი ნაკლებ ყურადღებას მაქცევ-და. ხოლო მივედი თუ არა მიკვირს: რატომ არის ეკლესიაში ამდენი მლოცველი, რომ სულ ჩამობნელებულა, თუმცა სანთ-ლები, როგორც ცოდვილნი ჯოჯოხეთში, იწვიან. ძლივს ვიპოვ-ნე ადგილი ფეხის დასადგმელად. ვიფიქრე, ნამდვილად ჯვრის-წერაა-მეთქი, ახლოს მივედი: ხომ არ გაუბედნიერებია სადე-დოფლოს საქმაროს ნათესავები თავისი სილამაზით-მეთქი? წინ გავძვერი, მხოლოდ ახალგაზრდა მღვდლის ნაცვლად საგალო-ბელზე უცნობი მღვდელი დავინახე. არ დაიჯერებ, წვერი ქე-ციანი აქვს, თვალები თაგვისას უგავს და წრიპინებს, თითქოს კუდზე ფეხი დაადგესო!

— დანარჩენი, ძვირფასო გივი, შემიძლია შენს მაგიერ და-ვამთავრო, — გააწყვეტინა სააკაძემ „ვეფხვს". — აქაც კი მო-უწევიათ ეშმაკებს... მერე ხალხი რას ამბობდა?

— ხალხი! ჩვენ შენი მონები ვართო! ერთმანეთს ეამბო-რებიან, ქება-დიდებას უძღვნიან კათალიკოსს: „ომი დამთავრ-და! კერისაკენ! კერისაკენ, ხალხნო!" ამას საქმარო კი არა, ატე-ნელი მოლაშქრე ყვიროდა.

— აი გიორგი, შენ ხმლითა და ჭკუით აიძულე მტრები წა-სულიყვნენ...

— გაქცეულიყვნენ, ჩემო დათო! გაქცეულიყვნენ სვიმონ მეფის ზურნის ჰანგებში და მთავარი ტურის მფარველობით, რომელიც იმასაც კი არ მოერიდა, რომ მტრისათვის გაემხილა საიდუმლო გასასვლელი ქართლიდან კახეთში!

დათომ ალმაცერად გადაჰხედა მდუმარე რუსუდანს. უხერ-ხულობის გრძნობა დაეუფლა დანარჩენებსაც.

კარი გაიღო და დარბაზში ხმაურით შემოვიდნენ მათარსი და პანუში, რომლებმაც ჩაბალახები მოიხადეს. ყველანი გა-დაეხვივნენ. რა თქმა უნდა, მათ მშვიდობით მიაღწიეს თუ-შეთს. ანთა დევდრისმა შეჰფიცა, როგორც მოურავმა ბრძანა, რვა დღეს გაუშვას და მხოლოდ მერე აცნობოს მეფე თეიმუ-რაზს ისა-ხანისა და ხოსრო მირზას ჯარების წასვლა ქართლი-

დან და კახეთიდან, რათა მეფე თეიმურაზი მოუთმენლობის გამო უთანასწორო ბრძოლაში არ ჩაბმულიყო.

— კარგად არ მესმის, რატომ რვა დღის შემდეგ?

— იცოდე, ჩემო დაუთბეგ, ვაჭრები იმიტომ არიან ძლიერნი, რომ ჯერ გამოიანგარიშებენ, შემდეგ ზუსტად გამოარკვევენ, რა არის ხელსაყრელი და რა არის საზარალო, რომ შეიძინონ ან გაყიდონ საქონელი. რვა დღეში ირანისაკენ საჩქაროდ მიმავალი ჯარი შორს იქნება. და თუ ისა-ხანი საფრთხეს იგრძნობს ჩრდილოეთიდან და დასაწევად შიკრიკს გაგზავნის სამხრეთისაკენ, სულერთია მირზას და ისა-ხანის დახმარება ვერ მიუსწრებს, თანაც ჯარის უფროსი ხანები არ მოისურვებენ ათასების მობრუნებას, რადგან სარბაზები იმ დროისათვის დააცარიელებენ გზაში მთელ სოფლებს. ხოლო რაკი საკვებს ვერ იშოვნიან, მაშასადამე, კახეთშიც აღარ დაბრუნდებიან. ისმაილ-ხანი აშკარად ზარალშია, თეიმურაზი კი, მთიელებს გარდა, ორი ათას არაგველს მიიღებს. გამარჯვება, მეგობრებო! მეფე თეიმურაზი სამეფოს დაიბრუნებს! კარგია, თუ მარტო ერთს! ტყუილა კი არ დარჩენილა მეტეხში არაგვული ტურა: უთუოდ შეუთანხმდა კათალიკოსს.

— გიორგი, მე არც ის მომწონს, რომ ლიპარიტი ასე უეცრად წავიდა აფხაზეთს, აგრეთვე დიდი თავადები რომ დაეინებით ამბობენ უარს მეტეხში მისვლაზე.

— მართალი ხარ, ჩემო დათო! საბრალო შადიმანს მძიმე განსაცდელი მოელის.

ანაზდად სააკაძე გვერდის ფანჯარასთან მივიდა, მთის ჩრდილზე გამოარკვია, რა დრო იყო და გარეთ გავიდა. მას გაჰყვნენ ბაღში ყველანი. სააკაძემ არჩილი იხმო და უბრძანა, ცხენი საჩქაროდ შეიკაზმეო:

— შადიმანთან გაეშურები შიკრიკად, ჩემს წერილს მიუტან. არ დაგავიწყდეს, თბილისში სანთლები აანთო ეკლესიებში. ყური მიუგდე ლაპარაკს, უთვალთვალე მტრებსა და მეგობრებს. არ დაგავიწყდეს აგრეთვე ურჩიო ვარდანს — ერთი თვის შემდეგ გურგენი გაგზავნოს საქონელზე გურიას; ზუსტად დათქვას, სად უნდა შეხვდეს მას დაუთბეგი. ამქრებთან

შეიარე — ახალი ხმალი ან ფაფახი ეძიე, რაც უფრო მოსახერხებელი იქნეს.

— ნუ წუხარ, ბატონო, ყველაფერს შევიტყობ! სეხნია არჩილთანაც შევიელი მეტეხში! სალამი აზნაურ პაპუნასაგან...

— ახლოსაც არ გაეკარო! საჯინიბოების ზედამხედველი განზე უნდა დარჩეს. ის მხოლოდ პაპუნასთვის არის ნათესავი, ამიტომ ეპვმიუტანელია, ხოლო თუ ალმაცერად უყურებენ, სულერთია, პაპუნას მიღებას ვერ აუკრძალავენ. ამის უფლება მხოლოდ შადიმანს აქვს.

— ყველაფერს, ბატონო, როგორც მიბრძანე, ისე შევასრულებ!

სააკაძემ თვალი გააყოლა გარეთ გასულ არჩილს და მოიღუშა. რაღაცამ გულში უჩხვლიტა. „უცნაურია, — გაიფიქრა სააკაძემ, — რატომღაც ისე მომეჩვენა, თითქოს უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს“. უეცრად მთისკენ წავიდა.

პატარა მოედანზე, ვიწრო ბილიკს რომ დასცქერდა თავს, სააკაძე შედგა და ულვაშის გრეხა დაიწყო. მთის ნიავი თმას უშლიდა, ანცად ჩარბოდა ძირს, ბუჩქნარში იხლართებოდა და მსუბუქ მტვერს აყენებდა. უკვე ბუნდოვნად მოჩანდა ცხენოსნის სილუეტი. ცხენი ერთბაშად მიაბრუნა დანისლული ხვეისაკენ და როგორღაც ანაზდად მიიმალა, მხოლოდ გამოძახილმა მოიტანა გაურკვეველად ცხენის ფეხის ხმა.

ცის მსხვრეული ხაზი, მწვერვალებს რომ დაყრდნობოდა, შორს ლაპლაპებდა.

— დახე, გიორგი, ეს სისხლისფერი ცა ამინდის ცვლილების მომასწავებელია, — უთხრა დათომ.

— დიახ, ცვლილებისა. — სააკაძემ მხოლოდ ახლა შეამჩნია მეგობრები. — რაო, შეგეშინდათ, ბილიკზე ფეხი არ დაუსხლტესო? — და მეგობრულად დაადო მხარზე ხელი პაპუნას. — ძვირფასო! ვიცი, არ გიყვარს, მაგრამ შენზე უკეთესად მეტეხში სტუმრობას ვერავინ მოახერხებს. მგონი, იქ მეგობრები გყავს?

— მეგობრები პაპუნას სად არა ჰყავს? წავალ ცხენის გასაცვლელად, შადიმანმა რომ მაჩუქა. გამოვიწვლილებ — ვიტყვი, გველის ეშინია და სწორედ გველების მეფესთან ჭორ-

წილზე ვარ დაპატიჟებული-მეთქი. თანაც ახალ ტანსაცმელს ვიყიდი, კარგა ხანია ვაპირებ.

— რაც მთავარია, მეგობარო, იყიდე რაც შეიძლება მეტი საიდუმლოება ვაჭრებისაგან, ამქრებისაგან, ბერებისაგან. აი, ავთანდილ, — მიმართა სააკაძემ ვაჟს, — რომელიც მის ფერხთით იჯდა ქვაზე, შენც შემთხვევა გეძლევა ძმა ინახულო. ჩემი სახელით მიულოცე მონასტერს სპარსთაგან განთავისუფლება. უთხარი, რომ მე ახლა გამსჭვალული ვარ სიხარულით და გადავწყვიტე ვინადირო, — ბედნიერი ვიქნები ვიქეიფო მეგობრებთან ერთად. ტრიფილიოსს გადაეცი, რომ აზნაურებს ვიწვევ ლხინზე წმიდა მამის მიერ მოსისხლე მტრებისაგან ქართლის განთავისუფლების გამო. აცადე, ჩემო ბიჭო, გაიგო, ფიქრობენ თუ არა შავი მღვდელმთავრები ცნონ სვიმონი, ან იქნებ თეიმურაზს ელოდებიან.

— ძვირფასო მამა, ყველაფერს შევასრულებ. მხოლოდ მელოდე. არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც შენთან ერთად ნადირობა.

სააკაძე შეკრთა: მგონი, პაატაც ასეთ რამეს ამბობდა. მოქურუშდა გიორგი, წარბი შეიკრა. „ვეფხვები" მიწყნარდნენ: შემდეგ რაღა იქნება?.. სააკაძემ მხრები გაშალა და უკვე მტკიცედ თქვა:

— საჭიროა ვიცოდეთ, რა ხდება მთელ ქართლში, რამდენად ღრმად შეიჭრა ხალხში ჩვენი საქმისათვის საშიში პოლიტიკა ეკლესიისა. ერასტი, გაგზავნე თუ არა შიკრიკნი როსტომთან და ელიზბართან?

— როგორ არა, ბატონო, ხვალ აქ იქნებიან.

— როსტომი გაემგზავრება გორს, სანამ იგი ჩვენს ხელშია. საბაბი ხელსაყრელია: თითქოს ციხის შემოწმება, ნამდვილად კი — გამოვარკვიოთ, რამდენი მოლაშქრე გაგვექცა ზარების რეკვაში. ელიზბარი ნოსტეს გაემგზავრება, ყველა სოფელში, ყველა დუქანში შეუხვევს, ეკლესიებში ყველგან აანთებს სანთელსა და მოისმენს ქადაგებას. თქვენ, განუყრელ მეგობრებს, პანუშ და მათარს, მოგიხდებათ კვლავ შეკაზმოთ ცხენები. შემოივლით წყაროებს, საიდანაც ცოცხალ ძალას ვიძენთ. ნიაბში მამაცი ლომკაცი გეტყვით, გამოიცვალნენ ნიჩბისელები,

თუ კვლავ ჩვენი ერთგული არიან, როგორც ძველისძველი ტყე. ეწვიეთ ატენს, იქ არის ატენელ მოლაშქრეთა მეთაური, ბაქარი, ყველაფერს გიამბობთ. ეკლესიებში მოისმინეთ მღვდელთმსახურება, ყველგან უხვად გაიღეთ შესაწირავი და ხმამაღლა ლოცავდეთ „წმიდა მამას“. არც ერთი სიტყვა სამღვდელოების ფარისეველობაზე! თუ ვინმე გამოჩნდა მეტად ცნობისმოყვარე, უფრო სწორად, თავმომაბეზრებელი მღვდელი, უთხარით: „გიორგი სააკაძე კათალიკოსის გულის მოსაგებად მოქმედებდა-თქო“. ერიდეთ საშიშ საუბრებს, რადგან, სპარსული სიბრძნის მიხედვით — ვირის ყროყინზე იაფი ღირს საუბარი, რომელსაც შენთვის ზიანი მოაქვს. ჰო, მგონი, ყველაფერი ვთქვი.

— კარგი „ყველაფერია“! იმათ ჩამოირიგეს საუკეთესო საქმეები, მე და დათომ კი თავი თოფრაკებში ჩავყოთ და ვიყურყუმალავოთ?

— თითქმის მიხვდი, ჩემო გივი, ხვალ შენთვის ბზეს მოვამზადებ...

დაღამებამდე გაგრძელდა საუბარი. არაფრის რჩევა არ დავიწყნია გიორგის თავისი სწრაფლმსრბოლებისათვის, არაფერი არ დავიწყნიათ ერთგულ მეგობრებს, რაც მისთვის უნდა ეკითხათ.

და როცა ღამემ მთვარის შუქით მოვერცხლილი ფრთები დააფარა დედამიწას, ყველა „ვეფხვი“ სიამით გაიჭიმა ტახტზე: კვლავ ბრძოლა, საფრთხე, წარმატება. კვლავ ცხენი, იარაღი, შეხვედრა...

ადრე განთიადმა გზაში მოუსწრო სწრაფლმსრბოლებს.

ციხე-დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა. სასადილო ოთახში თაროებზე შეიხიზნენ სურები და ფიალები, ვით რაზმი ბანაკში. მაგრამ სააკაძის კოშკში წინანდებურადვე დახორებულია გრაგნილები; ქვის ფილაზე, შავი ხისა და სპილოს ძვლის სათოფისწამლეს — საფარ-ფაშის საჩუქრის გვერდით დასტად აწყვია „სარაცინთა მატიანის“ პერგამენტის ფურცლები, ნახევრადდახვეულ რუკაზე გაბნეული ბატის ფრთის კალმები, კაპარჭიდან გადმოცვენილ ისრებს რომ მოგვაგონებენ. სააკაძე კალამს არჩევს და უკანასკნელ რჩევას აძლევს გივის, რომე-

ლიც სტუმრად იგზავნება მღვდელთან, შეუმჩნევლად უნდა იწვლილოს მოსული ქადაგის ამბავი.

რუსუდანმა შემთხვევით ისარგებლა და მღვდლის ოჯახს მცირე საჩუქარი გაუგზავნა. დავალებით გაამაყებულმა გივიმ კი უბრძანა შეეწვათ სამი ყვერული, ორი ინდაური, ხურჯინში ჩაედოთ ხუთი ახლადგამომცხვარი შოთი და ღვინით სავსე ტიკჭორა, — რადგან არ სურდა უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა ღარიბი მღვდელი მოულოდნელი სტუმრობით.

— ახლა გივი საღამომდე უტრიალებს გარშემო მღვდლის ქალიშვილებს! — იცინოდა დათო.

— შენ შეგცვლის, — წაიბუზღუნა განაწყენებულმა დიმიტრიმ: იგი სულ იმას ფიქრობდა — მე და დაუთბეგს რაღას მოგვანდობს გიორგიო? ნუთუ ციხე-დარბაზის დაცვას? ან დასვენებას? სხვები კი საფრთხეში უნდა ჩავარდნენ? ძერებსა და მგლებს შუა უნდა იძრომიალონ? დიმიტრი მთლად დაიძაბა, როცა სააკაძემ გუშინდელი საუბრის განგრძობა ინება.

რა თქმა უნდა, ერასტიმ მთელი ბაღი შემოიარა, დაათვალიერა ბუჩქები, თუმცა კარგად იცოდა, რომ ფრინველების გარდა, გალავანზე გადასვლას ვერავინ ვერ გაბედავდა.

— მაშ ასე, მეგობრებო, თურქებზე მთლად უარი უნდა ვთქვათ. არ გვესაჭიროებიან არც შორეულნი და არც უახლოესნი. თქვენ, დაუთბეგ და დიმიტრი, მოგიხდებათ ფაშალიყში მოგზაურობა. წაუღეთ საჩუქრები იმ გაუმაძღარ აფთრებს და აცნობეთ სასიხარულო ამბავი: სპარსელები გაიქცნენ, ომი ქართლში დამთავრდა-თქო. იმედი მაქვს, უარს არ იტყვიან ჩემთან ერთად ინადირონ ჩემს ნოსტეს მამულში. იქ განსაკუთრებით კარგი არიან ირმები და ჯეირნებიც უხვად არიან. ღვინო კი მათთვის დამზადებული მაქვს მამაპაპისეულ მარანში. ილაპარაკეთ, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ მეგობრობის განსამტკიცებლად. დაგათრობენ, რომ ქართლის მდგომარეობის ამბები გამოგტყუონ, თავი მოიმთვრალეთ და წამოაყრანტალეთ, რომ ეკლესიას ასი ათასი ჯარი ჰყავს, რომელიც მუდამ მზად არის წმიდა ომისათვის, და სწორედ ამან შეაშინა გაქცეული სპარსელები. შემდეგ თითქოს უეცრად წამორო-

შეთ, რომ თავადებმა გააერთიანეს რაზმეულები, მოურავს კი სთავაზობენ სარდლობა გაუწიოს მეფის ჯარს. მერე როცა სულ გამოიბრუეებით, „წამოტორტლეთ", რომ თავადმა შადიმანმა ახალი ციხეებისა და ხერგების შენება დაიწყო ყველა მიჯნაზე.

— მოიცა, გიორგი! — გაოცდა დათო, — გამოდის, რომ გადაგიწყვეტია ცნო სვიმონი?!

— ეგ ვინ გითხრა? ახლა საჭიროა შევაკავოთ თურქთა ფაშები. თუ ჩვენსკენ ისწრაფეს, იძულებული გავხდები მახვილით ვუჩვენო უკანდასაბრუნებელი გზა, ხოლო სტამბოლთან ჩხუბი უგუნურებაა.

— მაგრამ ვისღა უნდა ვეომოთ? და რისთვის?

— რისთვის? ხოლო დროებითმა ბრძოლამ ხოსროსა და ისა-ხანის წინააღმდეგ განა რამე შეცვალა? ან იქნებ, თქვენი აზრით, ქართველთა სამეფოები გაერთიანდნენ? ან თავადთა უფლებანი შეკვეცეს? იქნებ აზნაურთა წოდებამ გაიმარჯვა? ისიც მართალია, რომ შევარყიეთ თავადთა ციხე-დარბაზების ბურჯები, უკვე ისე ვეღარ ბატონობენ მეფეზე. შადიმანიც კი, ვინც სიცოცხლე თავადთა წოდების განმტკიცებას მოანდომა, თითქმის თვინიერი გახდა, მაგრამ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ. არა, ჩემო მეგობრებო, დასახული უნდა შესრულდეს. ბრძოლა, ბრძოლა ბოლომდე! უნდა იბრწყინოს ჩვენმა სამშობლომ, ვით უქრობელმა ვარსკვლავმა! ერთიანმა, ძლიერმა, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"!

— მაშასადამე, უარყოფ შადიმანის წინადადებას?

— იმისათვის როდი განვვლეთ დიდი, მძიმე გზა, რომ სვიმონ უჭკუოს მონები გავხდეთ.

— გიორგი, რა განგიზრახავს? — წამოიძახა დიმიტრიმ.— ნუთუ მოგვიხდება კვლავ თეიმურაზი დავსვათ ტახტზე?

— თეიმურაზი სვიმონზე ნაკლებ მესაჭიროება.

— მაგრამ სამეფოს ხომ მეფე უნდა! ან იქნებ, ბოლოს, გადაწყვიტე...

— ხალხს ესაჭიროება ბაგრატიდი მეფე და არა ნოსტელი გიორგი საკაძე.

— სად ვიპოვნოთ ბაგრატიდი?

— უკვე ვიპოვნე. ნუთუ დაგავიწყდათ?

— იპოვნე? იპოვნე? — თითქმის ერთხმად წამოიძახეს „ვეფხვებმა“. — ვინ არის?

— ალექსანდრე, იმერელი უფლისწული, იმერეთის მეფის გიორგი ბაგრატიონის ვაჟი. იმერეთის ტახტის მემკვიდრე.

— წელიწადნახევარს არ გამხსენებია!

— შეიძლება ორ წელსაც არ მოიგონო, მაგრამ უნდა გახსოვდეს.

— დაუთბეგი მართალია. — დათო უეცრად მიხვდა სააკაძის დიდ განზრახვას და აღტაცებით წამოიძახა: — მაშასადამე, საბოლოოდ გადაწყვიტე უსისხლოდ შეუერთო იმერეთი ქართლს?

— კი არ შევუერთო, გავაერთიანო. მგონია, ამას იმერეთის მეფე დიდი სიხარულით დაეთანხმება. ალექსანდრე ჯერ ქართლის მეფე გახდება, ხოლო როცა დადგება გიორგი მესამის ამ ქვეყნიდან გამგზავრების ჟამი, თავის სამეფოსაც მიიღებს. ჩვენ კი იმერეთის ჯარის დახმარებით კახეთს გავათავისუფლებთ.

— მერე სვიმონი?

— შადიმანთან ერთად გაიქცევა მარაბდას ან ისპაჰანს.

— თეიმურაზი?

— იმისათვის როდი ვცდილობ, ერთხელ ჩავიდინე შეცდომა. არ გაუპირდება მიჩვევა, სადაც უნდა, გაიქცეს. როგორც დიდი ხანია გადავწყვიტეთ, გავაერთიანებთ სამ სამეფოს: იმერეთს, ქართლსა და კახეთს! სამი სამეფო ერთი სკიპტრით! შემდეგ გურიას შემოვიერთებთ, — ქართლისა და იმერეთის გზაზე მდებარეობს. სამეგრელოს მთავარ ლევანთან სამხედრო კავშირს შევკრავთ: ასეთ მხედართმთავარს ფრთხილად უნდა მოვეპყროთ, ძლიერი ჯარი ჰყავს, შეიძლება თურქებიც შევავიწროოთ და ახალციხე განვათავისუფლოთ, დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ. შემდეგ სპარსელებს განვდევნით ლენქორანს იქით... მაგრამ როცა ლევან დადიანი აღარ იქნება, სამეგრელო ქართლს უნდა შეუერთდეს. აფხაზეთი დიდხანს ვერ გაძლებს მარტოდ და... ან ნებაყოფლობით შეუერთდება ქართლს, ან იარაღით ვაიძულებთ! აი, მეგობრებო, სპარსთაგან

რომ განვთავისუფლდებით, დიდი ხნის ნაზრახს დავუბრუნდებით — ერთ ძლიერ სამეფოდ საქართველოს გაერთიანებას. და ახლა გზაც სწორია და ამინდიც ხელს გვიწყობს. ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, ჩვენს მემკვიდრეებს ანდერძად დავუტოვებთ: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"! მაგრამ ჩვენ, სამშობლოს წინაშე ვალდებულნი, განუხრელად უნდა ვამზადებდეთ გამარჯვებას! საქართველო ერთიანი, დამოუკიდებელი და... არა თავადური! განა ეს ჩვენი სიცოცხლის კეთილშობილური მიზანი არ არის?!

— გიორგი, მზადა ვარ თვენახევარს გკოცნო! ჰეი, „ვეფხვებო", თქვენ კი წუწუნებდით: „მერე რა ვქნათ? ნუთუ შადიმანს ვემსახუროთ?" როდის გავლესოთ ხმლები, ძვირფასო გიორგი?

— მოვასწრებთ, ჯერჯერობით დროებით მივწყნარდეთ. „წმიდა მამები" მთლად აიბნევიან; ვისთვის ვილოცოთ, ვინ ვწყევლოთ? დაე ეკლესია ხელისუფლებით, ხალხი კი შიმშილით დატკბეს. და ერთს მოღუშულ დილას ხალხი დაიყვირებს: „დაგვეხმარეთ!". ეკლესია კი უპასუხებს: „ღმერთი გიშველით!" ამასობაში დათო ნელნელა იმერეთისკენ გაემართება, მეფე გიორგისთან მოსალაპარაკებლად. წინდაწინვე ვიცი, ბატონიშვილი ალექსანდრე სიხარულით ცას დაეწევა.

— სამი სამეფოსათვის მთვარეზე შეჯდომაც არ არის ძნელი!

— განა მხოლოდ სამეფოებისათვის?

— აბა კიდევ რისთვის? — გაუკვირდა დიმიტრის.

— მას თეიმურაზ მეფის ქალიშვილი უყვარს, ნესტან-დარეჯანსაც უყვარს იგი.

დაუთბეგმა ისე გაიკვირვა, რომ მტრედი, რომელიც ის იყო ფანჯარაზე შემოჯდა, გაფრთხა და გაფრინდა.

— სა... საიდან იცი?

— არჩილ-თვალმარჯვემ შეიტყო. გახსოვთ, ანაზდად გაქრა? შეუმჩნევლად იმერეთში ჩავიდა: მინდოდა გამეგო, რას აკეთებს თეიმურაზი. მთელი ქუთაისი მაშინ აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ იმერეთიდან წასვლისას თეიმურაზმა ნესტან-დარეჯანი რატომ არ დატოვა გიორგი მეფის სასახლე-

შიო. ეკლესიას სურდა ნესტან-დარეჯანის განქორწინება, მაგრამ თეიმურაზი ჯარს ითხოვდა ისა-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო იმერლები ვერ ბედავდნენ სპარსელების გაღიზიანებას. ამბობენ, ბატონიშვილმა დაიფიცა: „სულერთია, დარეჯანი ჩემი იქნებაო“. და ქალმა პირობა მისცა, ზურაბს შეუღლად აღარ მივიჩნევო. ხომ ხედავთ, მეგობრებო, ჩვენი საქმეები არც ისე ცუდია. საჭიროა ყველაფერი მოვამზადოთ. მთავარია, განვაიარაღოთ მთავარი მოწინააღმდეგე — ეკლესია, რომ ჩვენს წინააღმდეგ ხელი ვერ გაანძრიოს. ჩვენ მორჩილი სამწყსო ვართ. აგრე ნუ იცინი, დიმიტრი, ფრინველები სულ გააფრთხე. მე კი მომწონს, როცა ისინი აინუნშიაც არ აგდებენ ჩემს განზრახვას და უცქერენ ხელს, რომლითაც საკენკს ვუყრი.

— გიორგი, ძვირფასო მეგობარო, როდის მოიფიქრე ყველაფერი?

— როგორც კი ისა-ხანსა და ხოსრო მირზას დაავიწყდათ თან წაეყვანათ სვიმონ მეორე. დათო! რა თქმა უნდა, თუ გივი არ წაგყვა, ჩვენი ხორეშანი ისე არ გაგიშვებს.

— და მეც მივეჩვიე მაგ ბედნიერს. ეს პირველი არ არის. არაფერზე არ ფიქრობს, ბედი კი თავისთავად წყალობს.

— გულმართალია და იმიტომ. ტიკნახევარი იმას ხახაში. ვლანძღავ, — მას კი არ ესმის რისთვის.

— გიორგი... — დათო დაიბნა. — თუ არ დამძრახავ, ხორეშანს წავიყვან. გვინდა აფხაზეთს წავიდეთ, პატარა დათო და მოხუცი თავადი ვნახოთ.

— არა თუ არ დაგძრახავ, უკეთესსაც ვერ მოიგონებდი. დაე, ყველამ შეიტყოს, რომ აფხაზეთს წახვედი, — შადიმანს ცოტა მსტოვარი როდი ჰყავს. ზურაბისათვის კი წერილს ანანურში შიკრიკი წაიღებს. რუსუდანი დედას შესჩივლებს: ხორეშანი შვილის სანახავად წავიდა და უმისოდ მთლად მოწყენილი ვარო. თუ ახლა გაემგზავრები, შეგიძლია, მეგობარო, ჯერ აფხაზეთს ესტუმრო, იმერეთში ცოტა ადრეა.

— კი, მაგრამ შენ მარტო როგორ დარჩები?

— რასაკვირველია, უთქვენოდ მომეწყინება; მაგრამ ყველაფერს ხომ თქვენ ვერ დაგაკისრებთ. უკვე დღეს გავგზავნე

კაცი ქვლივიძესთან და სანადიროდ დავპატიჟე, რა თქმა უნდა, ნოდარიანად. შემდეგ ასლამაზსა და გუნიას ველოდები, სხვას კი ჯერჯერობით არავის. და იმათ ყველაფერს როდი ვეტყვი. ეს კია, არ შეიძლება აზნაურთა კავშირი გაკვირვებული დავტოვო. იმათ მივანდობ, მოამზადონ აზნაურთა ყრილობა ქვლივიძის მამულში. დაე იამაყოს, და შემთხვევაც მიეცემა სიმდიდრე დაიკვეხნოს, სტუმრებს დიდებულად მიიღებს. ამბობენ, სპარსელებზე თარეშის დროს თავის თავიც არ დავიწყნიაო.

— ომში ნადაელი უფლებით რაინდს ეკუთვნის.

— მერე შენ რატომ არაფერი მოგქონდა, ზანტო კამეჩო? საათნახევარს გეხვეწებოდი ხანის ცხენზე გადაჯექ-მეთქი!

— ჩემსას მივეჩვიე. შენ კი, ცხვირა ეშმაკო, თუმნებით სავსე ქისას რად მიაფურთხე? მარტო ჩემს სისულელეს ამჩნევ?

— ორივე სულელი ხართ, — დაამშვიდა „ვეფხვები" დათომ, — მე არასოდეს არ ვამბობ უარს ალაფზე, როგორც რომაელები ამბობდნენ, და თავადთა სასახლეებში მთელი ნაძარცვი დამშვიდებით წავართვი სპარსელებს. ახლა მეც მდიდარი ვარ; ნაწილი გადავდე მოლაშქრეებისათვის, უფრო სწორად — სახედრებისათვის, რომლებიც მალე მოვლენ და ნიფხვის ფასს ითხოვენ. იქნებ არც კი მიმეცა, მაგრამ ქალების გამო გავგულკეთილდები: რცხვენიათ შიშველი უკანალის დანახვა. ხოლო, თუ ბევრი შევინახე, ჩვენვე გამოგვადგება. არც გუნიასა და ასლამაზს უთქვამთ უარი ოქროზე. ქვლივიძეც ყოჩაღია! რაო, ამქარზე უარესია თუ? აბა სად უნდა იშოვნოს, თუ არა ომში?

— მეც აგრე მგონია, მაგრამ რაკი ცხვირა ეშმაკი არ იღებდა... სულერთია, არ დაკარგულა, ყველა აზნაურმა დარია ხელი, მოლაშქრეებს უხვად არ უზიარებდნენ, ეს არ ვარგა: „დაე თვითონ გამდიდრდნენ, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართო". და განა მოლაშქრეს შეუძლია აზნაურს შეედაროს? რაზმელები დაუცხრომლად ინახავენ წართმეულს თავიანთი ბატონისათვის. მხოლოდ შენ, გიორგი, თანაბრად ჰყოფ ნადაელს და ყოველთვის სამართლიანი როდი ხარ შენი თავისათვის. შენ ხომ მთელ ქონებას სხვებს ურიგებ?

— ვურიგებ იარაღისათვის, ცხენებისათვის, ტანსაცმელისათვის, ყოველივეს — ქართლისათვის. პურისათვის სოფლად იშვიათად ვაძლევ: ყველას ვერ გამოვკვებავ, ბრძოლის სახსრები კი შეიძლება დაკარგო. ნადავლი სხვა საქმეა — ეს საერთო მონაპოვარია და სამართლიანად უნდა გაპყო: ვინც სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა, ის მოგების მონაწილეა. რა, მოხარული ხართ თუ არა, მეგობრებო? ყველას ხომ კვლავ დიდი საქმეები გვაქვს? ჰო, დიმიტრი, დღეს შენი პაპა უნდა მოვიდეს, კაცი გავუგზავნე. ანგარიში უნდა მომცეს, როგორ მართავდა ციხე-დარბაზს ნოსტეში.

როცა გიორგიმ შეამჩნია, როგორ გაფითრდა დიმიტრი, აღელვებით ადგა და „ვეფხვებს“ უთხრა: წავიდეთ ლოდინით დატანჯულ ჩვენს ქალებთან, რომელთაც წილად ხვდათ არა მხიარულება, არამედ მუდმივი ზრუნვა: ან აცილებენ მეომრებს, ან ელოდებიან მათს დაბრუნებას, ან გული ელევათ, როცა შინ ვერას გზით ვერ ამთავრებენ სამხედრო საუბარს.

თავი მერვე

მტვრის გამჭვირვალე ღრუბლებს დაუფარავთ მინარეთების წვეროები, რეშტის ქვის გუშაგები. ჩვეულებრივი შუადღეა. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაბანდებში განუწყვეტლივ იძვრიან ქარავნები და ერთ მთლიან ნაკადად შერწყმულა სპარსული ექვნებისა და ზანზალაკების ჟღარუნი. ეს საჟღარუნოები ზოგი კაკლისოდენაა, ზოგიც გოგრისოდენა, დამაგრებულია აღკაზმულობაზე, აქლემების გვერდებსა და კისრებზე. გაისმის ჩალვადრების შეძახილი, სახედრების, ჯორების ყროყინი, გამრეკთა ძახილი, ცხენების განუწყვეტელი ჭიხვინი, შეიარაღებული ვაჭრების შეძახილები, ერთმანეთს შეხლილი ცხენოსნების გინება, ძაღლების ყეფა, შალის ჩადრებსა და თეთრ ზეწრებში გახვეული ქალების მოთქმა. მტვრიან ჭუჭყიან კედლებს ეკვრიან შიშით ფეხშიშველა ბავშვები, რომელთაც ქეჩის ქუდები ხურავთ და ხელში ფრთხილად უჭირავთ მღვრიე წყლით სავსე დოქები. გაივლის ერთი წყება დასაპალნებული ქარავა-

ნი, მყისვე გამოჩნდება მეორე და ახალი ღრიალითა და ჟღარუნით ავსებს შუბის ტარის სიგანე ქუჩებს.

საპალნეების მთები, დასტების პირამიდები, ნაკრაულების რიგები ხან წყდება, ხან კვლავ ხორავდება ბაზრის მოედნის გაყოლებით. აქლემები იჩოქებენ, ყროყინებენ. მტვირთავები მონოტონური ღიღინით მიემართებიან უდაბნოებისა და ველების ხომალდებისაკენ.

ბაზრის ზედამხედველი, შემოსავალს რომ ითვლის, და ყანთარიდან გადმოგდებული ბოხჩების ხმაური გვაუწყებს არა მარტო მზის, არამედ დღის ვაჭრობის ზენიტსაც. მზის სხივები თვალისმომჭრელად ციმციმებენ, წყალსატევთან შეხლა-შემოხლაა, ტყლაშუნობს შოლტი. ხან აქ, ხან იქ გაისმის გაფთრებული „ჰაბარდა!" ულმობლად იგინებიან გაბრაზებული ქარავანბაშები და მიერეკებიან მეწინავე აქლემებს, ავიწროებენ შავგვრემან და წითელწვერა მეკურტნეებს, მხრებზე რომ ძლივს იმაგრებენ ტვირთს.

კალათებში ირხევა აბრეშუმის პარკი, ნაკრაულებში — გილანის აბრეშუმი, საპალნეებში — ქერმანშაჰული და ხორასნული ხალიჩები. განსაკუთრებულ ჭურჭლებშია ნელსაცხებელი, მკვრივ ტომსიკებში — სანელებელი. მტვერში გორაობს მზე. დუღს რეშტი. გადის ჩვეულებრივი შუადღე. „აი ბალამ! ბა-ლა-ამ!"

ქარავნები იჩქარიან ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ — მოსკოვსა და ინდოეთს, ხორეზმსა და სინდს, ავღანეთსა და სირიას, ტალიშიგის სახანოსა და შირვანს, დიდ მონღოლთა სახელმწიფოში, ოკეანეების, ზღვებისა და ყურეების ნაპირებისაკენ.

წკრიალებენ აზიისა და ევროპის მონეტები, შხაკუნებს საანგარიშო ჩოთქი. ვაჭრობის ყაირათიანი სიტყვები ენაცვლებიან ნამაზისადმი მოწოდების ლოცვებს. ამაოებისაგან ჯმნა— ვით მიქცევა ზღვისა, შეძენის წყურვილი — ვით მოქცევა. ჟღარუნებენ ეჟვნები, წკრიალებენ ზარები და ითვლიან აქლემთა ნაბიჯებს, ქარავნები ესწრაფვიან მოგზაურობის განგრძობას, მტვრის ახალი კორიანტელი დგება ქუჩებში, შოლ-

ტებს ატყლაშუნებენ ჩალვადრები, ხრინწიანი ხმით მღერიან ქარავანბაშები: „აი ბალამ! ბა-ლა-აამ!“

და ანაზდად — ყვირილი, მოთქმა, გინება: ქურდი დაიჭირეს. „ფერაშები, ფერაშები!“ * გაიელვებს სატევარი და ჩამოთლის ყურს. გაველურებული ძაღლები დაღვრილ სისხლს მიესევიან. ყველაფერი ჩვეულებრივია, როგორც ცა.

შეხუთული, ცხელი ჰაერი, მტვერს რომ გაუსქელებია, ჩამოსწოლია ქუჩებს. ნაყარნუყარის სუნი ერთვის ბაღების შწკლარტე სურნელს, თიხის, ქვისა და შორენკეცის კედლებს გადაღმა რომ მიჩქმალულან. ზღვისპირა ჭაობებიდან მოდის სიდამპლის სუნი. აუტანელად ცხელა. აგერ-აგერ შეწყდება სუნთქვა. მაგრამ ასე ყოფილა ყოველდღე, ყოველ წელს! ასე ყოფილა მუდამ! ვაჭრული ცხოვრება წარმატების სასწორისაკენ ისწრაფვის. და დრო დაჟინებით ილტვის მომავლისაკენ, ვით ქარავანი. სამი საათი ჰყოფს დღეს ზენიტისაგან. ჩვეულებრივი დღეები დაუფლებიან რეშტს. მოუწოდებენ მუეძინები, მღერის მოხეტიალე მომღერალი:

ცისფერ ტრამალზე ქარავანი მიდის, ვალალებს,
ჩემო ლეილა, თვალს აბრმავებს უდაბნოს ხვატი...
ბორკილებიანით დაიჩლართა შენი დალალი,
შენ რეშტში დარჩი, გულს ამძიმებს სიმღერა ნატვრის,—

მეჯნუნს კი არა, თვალთა შენთა ცეცხლი და ეშხი
მე მატყვევებენ ბორკილიანით, გული მიღელავს,
მტვერს გავექეცი, მაგრამ ისევ აღმოვჩნდი მტვერში
და უდაბნოში ცრემლის დარად ვკარგავ სიმღერას.

ფანატიკოსი მოლა ფეხს ადგამს ყვითელ მიწაზე გაწოლილ ჩრდილს. სალულაქაბაბედან მოდის ცხვრის ხორცის სუნი: იქით მიიჩქარიან დაღლილი ჩალვადრები.

მღერის მოხეტიალე მომღერალი, თან სპილენძის ფიალა გაუწვდია და მოუწოდებს:

— მოიღეთ მოწყალება! ო, იმამო რეზა!

ვაჭარი, რომელიც პატარა ხალიჩაზე ზის ნახევრადბნელი

* ფერაში — „შაჰის ნების აღმსრულებელი“. შაჰის ჩაფრები.

დუქნის წინ, სადღაც იცქირება,. და ჩვევისამებრ ათამაშებს ხელში კრიალოსანს. მის წინ ყვითელ მიწაზე ისახება მომღერ-ლის ჩრდილი გაწვდილი ფიალით. ორი წვრილი მონეტი წკრიალით ეცემა „იმედის სავანეში“.

მიიჩქარიან ქარავნები. ჩრდილები მოკლდებიან. მტვრის ფარდა უფრო სქელდება.

მომღერალი მღერის:

ლამაზმანებზე ათასობით სიმღერას ვისმენთ,
ერთი სჯობია: ლეილაა — სიმღერის ღმერთი!
მე უდაბნოში დაეკარგე და ვიპოვნე ისევ
ნეტარ ცრემლებში განბანილი სიმღერა ერთი.

დარდიანი ვარ, ღვინიან თასს აღემართავ მაღლა
და შევსვამ. წინათ არ ვუდრკოდი რასმე და ვისმე, —
დავეხეტები უგზო-უკვლოდ ლატაკი ახლა.
რაც კი ვიპოვნე უდაბნოში, დაეკარგე ისევ.

კელავ მიეალალებს ქარავანი—შეფარებული
მტვრის ღრუბლებს ქვემოთ და მზე უშენს სხივების ისრებს...
შეყვარებული წავალ, მოვალ შეყვარებული,
რაც კი დაეკარგე უდაბნოში, ვიპოვნე ისევ.

— მოიღეთ მოწყალება! ო გაჭირვების კარო!

გრილ ყავახანაში წითელწვერა ქარავანბაში, წლითიწლობით რომ სერავს სილის ზღვას, ფართო ტახტზე წამოწოლილა და ყალიონს ეწევა. მომღერალი მოთმინებით ელოდება, სანამ ბოლის ღიალურჯი ნაკადი განქარდებოდეს. კეთილისმდომის ხელი ფიალაში აგდებს სპილენძის მონეტს.

მთვარის სადარო, ჩრდილი შენი დაგტოვებს, ვიდრე
ჩემი სიმღერა ცრემლებივით იღვრება გზიდან,
მე უდაბნოში ვეძებდი და ვიპოვნე კიდეც,
ლეილა, შენი დალალების სურნელი წმინდა.

დავტოვე ყველა უგულო და მაძღარი ბოლოს,
შენ თქვი: „ლეილას გარდა — იგი დასტოვებს ყოველს!“
ჩემი სიმღერა გარდაცელილებს ამხნევებს მხოლოდ,
ბინდი დავკარგე უდაბნოში, ნათელი ვპოვე.

— მოიღეთ მოწყალება! ო ღაზელის თავმდებო!

ბრინჯაოსფერი სახის ღებრმა, მაღალი შავი ჩაჩი რომ ეხურა და ზარატუსტრას მოძღვრებაზე რომ ფიქრობდა, მტვრიან გზაჯვარედინზე მოგრძო ნესვი გაყიდა. აღებული ფული უდარდელად ჩააგდო სპილენძის ფიალაში.

— ალაჰსაც ნუ უნებებია უნებური ისრით შენი განგმირვა!

მხოლოდ წუთით შეჩერდა შემახელი კოხტა ცხენოსანი. შავი ფაფახი კეფაზე მოიგდო და ვნებიანად მიაშტერდა სპარსელ ქალს, გამქვირვალე მარმაშში რომ აბრიალებდა თვალებს. ოცდაოთხი ნაწნავი ჰკიდია მას მხრებზე, საშიშნი, ვით გველები. მოჩვენებასავით იმალება იგი თურინჯის ხშირ ხეებში, რეშტს რომ ფარავენ.

მომღერალი უფრო ხმამაღლა და აღტაცებით ამღერდა:

ჰურჰელში წყალი გამიშრა და თვალებში—ცრემლი,
ჰაეროვანი ჩრდილი შენი გულს სევდით მივსებს.
ვიხეტიალე უდაბნოში, დიდი და ვრცელი —
მე ოაზისი დავკარგე და ვიპოვნე ისევ.

ბორკილებივით დაიხლართა შენი დალალი,
ლეილა, რეშტში ერთადერთი ჩრდილია მარტო,
ცისფერ ტრამალზე ქარავანი მიდის, ვალალებს,
მიდის და ცეცხლი ეკიდება უდაბნოს ტატნობს:

და მომღერალი გაუდგა მცხუნვარე ქუჩას, თანაც ხმამაღლა მოუწოდებდა:

— მოწყალება მოიღე! ო ლეილა, მოწყალება!..

გამომწვარი წითელი კრამიტის სახურავი დაჰყურებს ქუჩას მოშორებულ ბაღებს. მზის სხივები ფოთლებში იფანტებიან და ძუნწად აშუქებენ არხებს. აქ ცხოვრება ზანტია, როგორც წყალი არხში, იქ კი სწრაფი, ვით ყალიონის ბოლი.

სადღაც შორს და სულ ახლოს მუეძინი გადაჭრით მოაგონებს მართლმორწმუნეთ ხარკს ალაჰისათვის, ერთარსისა და ყოვლისმიმტევებლისათვის. ყოველივე ისეა, ვით გუშინ, და ვით ხვალ იქნება...

და უეცრად, თითქოს ქარბორბალამ დაჰქროლაო, მოიჭრა დოლის ულმობელი ბრახუნი, ყურისწამღებად აწივლდნენ

სასტვენები, გაოცებით აყეფდნენ ძაღლები, აყოყინდნენ აქლემები, აკყივლდნენ საითგანღაც გამომძვრალი ბიკები! ხრინწიანი ხმით რაღაცას გაიძახოდა მოფუსფუსე ფერაშბაში *, მაგრამ არ უსმენდნენ: ერთმანეთს ეხლებოდნენ, გარბოდნენ, ბოღჩებსა და ცხოველებს აწყდებოდნენ, დაბორიალებდნენ, არავინ იცოდა რისთვის, მოუწოდებდნენ, არავინ იცოდა ვის: „ალაჰ! სად? ვინ?"

ქუჩაში მოჰქროდა მხედარი „უკვდავთა ათასეულიდან", შაჰ აბასის პირად მცველთა რაზმიდან. ასეთი შეხვედრა მინბაშისათვის ჩვეული და სასურველი იყო. მხედარს ჯავშნის ბადურა გაეხსნა, კისერსა და სახეს რომ უფარავდა, მოვარაყებულბუნიკიანი შუბი აღემართა, თვალებს ისე მრისხანედ აბრიალებდა, რომ ემსგავსებოდა ყურანის სამოცდამეერთე სურის — „ბრძოლის წესის" მეთერთმეტე სტროფის ღვთის მეომარს, ამქვეყნიური სახე რომ მიუღია. მის შემდეგ მოაჭენებდნენ „შაჰ-სევანის" რაზმი — „შაჰის მოყვარულნი", საჭურველთმტვირთველები და ქეშიკები. ისინი მეთვალყურეობდნენ გზების უსაფრთხობასა და იმპერიის სიმშვიდეს, არ იშურებდნენ მუშტსა თუ სილაქს ვიწრო მოედნებისა და ქუჩების ორივე მხარეზე.

შაჰის შულტა, ბერბერულ ლაფშაზე მჯდომი, კვალდაკვალ მოსდევდა მეწინავე მხედარს, მრისხანე მინბაშს, ოქროსბუნიკიან შუბს რომ ატრიალებდა და თითქოს ცდილობდა თვალსაჩინო ძალით დაედასტურებინა შულტას სიტყვების ძალა.

— სახელითა უმაღლესი ალაჰისათა! — გაიძახოდა შულტა, რომელსაც ოქროსბეჭდიანი საჩვენებელი თითი თითქოს გადარაჯებული ცისკენ აეშვირა. — ყოვლადკეთილისა და მოწყალისათა! იყოს კურთხევა ორი სამყაროს შემოქმედისა! იყოს კურთხევა ღვთისა მაჰმადსა და მის შთამომავლობასა ზედა! დაე რეშტის მცხოვრებთა სულები ქმნიდნენ ერთ სულსა! დაე რეშტის მცხოვრებთა სმენა იწვევდეს ვეფხვებისა და ჯიქების შურს. იცოდეთ, მართლმორწმუნენო, და განიმსჭვალენით ბედნიერებით! იზეიმეთ უმაღლესი ზეიმით! გილანისა-

* ფერაშბაში — შაჰის ჩაფართა უფროსი.

კენ, ფარავდეს მას ალაჰი, რეშტისაკენ, ზრუნავდეს მისთვის წინასწარმეტყველი, აუღია მაღალი გეზი შაჰინშაჰს! „ირანის მზეს!“ „ლომთა ლომს!“ დიდ შაჰ აბასს!!!

ცისფერი ზეციდან რომ მეხი დასცემოდა რეშტსა და ათი ათასები გაეჟლიტა, უფრო მეტ შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა რეშტელებზე, ვიდრე ეს ფანტასტური ძახილი. ბაზრის მომიჯნავე ქუჩებში ატყდა ერთი ალიაქოთი: ვიღაც განკარგულებას იძლეოდა, ვიღაც დაბორიალებდა, ვიღაც კბენია და მტლინკავ აქლემებს, ვირებსა და ჯორებს ერეკებოდა ეზოებში. მყის გამოჩნდნენ ქუჩის მრწყველი ბიჭები და დოქებით ასხამდნენ წყალს. გახელებული, გაოგნებული ბრბო იზრდებოდა, ფართოვდებოდა, აწვებოდა ალიზის კედლებს — აგერ-აგერ დაინგრეოდნენ. ნამსხვრევებად იქცეოდნენ დოქები, საითგანღაც ზემოდან ცვივოდა ნაკრაულები პირდაპირ აკივლებული ქალების თავზე. გამოჩნდა ქალანთარი *, ხელებს რომ ასავსავებდა, და ქალაქში გაისმა გაბმული, სასიხარულო თუ სავალალო ყვირილი: „ოო — ოლ!“

გამტვერიანებულმა მინბაშმა და გაოფლიანებულმა „შაჰსევანებმა“ თურინჯის ბაღებსა და მეჩეთს გვერდი აუარეს და გავიდნენ თუთიანში, სეფევიდების ბაღებს მჭიდრო რკალად რომ შემორტყმოდნენ.

რეშტი აფორიაქებულია! „ისწრაფეთ, მართლმორწმუნენო! შაჰ აბასი ახლოსაა!“

მაიდანის დუქნებიდან გაქრა იაფი ქალემქარი და მის ნაცვლად სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ქსოვილებით აივსო ბნელი თაროები. კაკლის ხის ნუჟრისაგან ნაკეთები ჯამები შეცვალა მოჭედილმა ნაწარმმა. თიხის ბუზსაჭერები ბნელ ნიშებში მიაგდეს და მათს ადგილზე ლამაზად დააწყეს შავი და წითელი ლაქით შეღებილი შარბათის კოვზები.

ქუჩები, რომლებითაც „ირანის ლომი“ გაივლის, უხვად მორწყული და დაგვილია. ყველგან, როგორც ბაირამის წინ, ფერთხავენ ხალიჩებს, წმენდენ ფლავის სპილენძის ქვაბებს, ტახტებზე აფენენ ქაშმირისა და ქერმანის შალებს, თითქოს

* ქალანთარი — ქალაქის უფროსი.

შაჰ აბასი ინებებს ეწვიოს თუნდაც ერთ-ერთ სახლს. მაგრამ— ინშალაჰ! — მას შეუძლია გაიაროს ახლოს, შეუძლია კეთილ-მოსურნედ მიაბრუნოს თავი ღობისაკენ!

— მერე რა? — ხიხინებს ბებერი ქიული. — განა ღობე-ში მოჩანს თუნდაც ერთი ატამი?

— ო ალი, ვინ თქვა, მოჩანსო? — სისინებს დედაბერი ზე-ბენდა და გააფთრებით აპრიალებს დაჟულტილ ტაშტს.

— ბაირამია, ბაირამი! — გაიძახის მოხუცი ქაიქიაფი და სოხანეზე ფენს ჭილობს. — დიდთა შორის დიდი შაჰინშაჰი რეშტს მობრძანდება!

ხმები დაჰქროდნენ, ვით ხაშხაშის ფურცლები. ამბობენ, „ირანის ლომმა“ უეცრად ინება ჯერ გილანი შემოიაროსო. ამბობენ, „ქვეყნიერების მბრძანებელმა“ ბრძანა ენზელის გზა-ზე გააშენონ ბაღი, სადაც დამწიფდება ფირუზისფერი ქლიავი. ამბობენ, „სამყაროს ჭიპმა“ გადაწყვიტა ზღვაზე გადოს ხიდი, რომლის სიგრძე იქნება იმდენი, რამდენიც ერთმანეთზე დაყუ-ნებული შვიდი ათასი აქლემიო. ამბობენ, „ირანის მზემ“ ინება სეფიდ-რუდის ნაპირზე ბრწყინვალე მეჩეთი ააგოსო. მისი ასოცი სვეტი აღმოსავლეთს, დასავლეთსა და ჩრდილოეთს გაა-ოცებსო.

მალე „ათასი უკვდავის“ მინბაშებისა და „შაჰ-სევანის“ რაზმის შემდეგ თუთიანთან მოვიდა შვიდი ათასი აქლემისაგან შემდგარი უზარმაზარი ქარავანი. „მოწინავე სახლმა“, — ასე ეწოდებოდა ამ ქარავანს, — ისპაჰანიდან, შაჰ აბასის სატახტო ქალაქიდან, სამხრეთ კასპიის სანაპირო ქალაქში — რეშტში მოიტანა კარვები, ავეჯი, ხალიჩები, ოქროს ჭურჭელი, სურ-სათის მარაგი, კალის მილები და შადრევნები ბაღების გამოსა-ცოცხლებლად.

თილისმა ეგონათ ყოველივე, რაც ხდებოდა. იქ, სადაც მხოლოდ გუშინ მწვანე ბალახი იყო, აღიმართა შაჰ აბასის მოზაიკური თაღ-კამარა და მის ძირში მიმოიფინა უცნაური არაბესკები, მეწამული ვარდებისაგან შექმნილი. მარმარილოს ფასკუნჯის გამხმარი ყელიდან ანაზდად იფეთქა მარგალიტის

ნაკადმა და თოვლივით თეთრი ქაფით დაასველა ტერასების სარკესავით გაკრიალებული ფილები, ხეებმა, ტოტები რომ უდარდელად გაეშალათ, მებაღეთა სასხლავებით მყის მიიღეს სათნო, მწყობრი სახე. მრავალი მონა, შავკანიანი და შავგვრემანი, შოლტების წამქეზებელი ტყლაშუნით შეუდგა კარავ-სასახლის აგებას.

და ვით ფაკირის საუცხოო ყვავილი, მყის გაიშალა აბრეშუმი, რომელიც გადაჭიმული იყო ერთიანად ბაჯაღლო ოქროს სალტეებით დამაგრებულ სვეტებზე. ძვირფასი ფარჩა ქმნიდა ოთხ კედელს, რომელთა გაყოლებით გაშალეს ხალიჩები, ხოლო ცისფერი ქერმანშაჰები ზევით აჭიმეს და ოქროს ვაშლებით დაამაგრეს. ნაკადული გადააგდეს და კარავ-სასახლეში გაიყვანეს, მიწაში ჩაფლული ტყვიის ფილებისაგან გააკეთეს ოქროს ნახევრადმრგვალი ფირფიტების კარნიზიანი აუზი.

— ისწრაფეთ, მართლმორწმუნენო, შაჰ აბასი ახლოვდება!

შავკანიან და შავგვრემან მონებს მიემატნენ რეშტის მცხოვრებნი — მატყლისა და ტყავის, ლითონისა და ხის დამმუშავებელი ოსტატები. ათასობით წერაქვისა და ჩაქუჩის რახუნმა გააყრუა მიდამოები. და კარავ-სასახლის გარშემო, ვით ბუშტები წყალში ნასროლი ქვისაგან, მაშინვე გაჩნდნენ კარვები მიღებისათვის, განბანისა და ლხინისათვის. უკან გაიშალა კარვები შაჰის ჰარამხანისათვის, ხოლო ცოტა მოშორებით კიდევ კარისკაცების, მათი ჰარამხანების, მცველებისა და მოსამსახურეების კარვები. საგუშაგოებზე უკვე გაქვავდნენ ახოვანი მამლუქები, თეთრმოსასხამიანი არაბები, მეომარი მაზანდერანელები, თავს რომ ზოლიანი ჩალმები ეხვიათ. ბაღები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ სრულიად მოუვლელი იყო, ახლა დახატული გეგონებოდათ; კუთხეებში ბრინჯაოს საკმეველები გუნდრუკს აკმევდნენ, და ახალ ქვიშას გზებზე კიდევ შერჩენოდა ზღვის მადლიანი სუნთქვა.

ისპაჰანი აფორიაქებულია. მაიდნებზე, ბაზრებში, ხანების სასახლეებში, უბრალო სახლებში მხოლოდ შაჰის მოგზაურობაზე ლაპარაკობენ. აღელვებულია ჰარამხანაც: რა თქმა უნდა, ცოლები წავლენ, მაგრამ ხასებს შორის ვის გახდის მხიარული მოგზაურობის ღირსს შაჰინშაჰი?

შვიდი ათასი აქლემია განმზადებული შორეული გზისათვის. შაჰის ამალა მზად არის დატოვოს ისპაჰანი. უეცრად შაჰმა ბრძანა, ჰარამხანის მთელი მოსახლეობა გამომყვესო: ცოლები დახურული ტახტრევნებით, ხასები — ქეჯავებით *. განსაკუთრებით მიიწვია საყვარელი და — ისა-ხანის ცოლი.

და რეშტისათვის დადგა რჩეული დღე.

მპყრობელი ახლოვდებოდა. გზებში ფრიალებდა შაჰინშაჰის ნარინჯისფერი ალამი: ლომი, რომელსაც ტორით უჭირავს ხმალი და ზურგზე ამოსდის მრისხანე მზე, რაც მოგვაგონებს ძალას, რომელსაც შეუძლია ფერფლად აქციოს, აკუწოს ყველაფერი, რაც დედამიწაზე ალაჰის განწესებულს არ ნებავს.

ახლოვდებოდა „ირანის ლომი!“ წინ მეჯინიბეებს მოჰყავდათ სათადარიგო ცხენები — ოქროს აღკაზმულობით, აბრეშუმის ყაჯრებით, ძვირფასი ქვებით რომ იყო მორთული. შემდეგ მოდიოდნენ მედოლეები და მებუკეები. „უკვდავთა ათასეული“ ცხენებს მოაგელვებდა დიდებული ამალის შემდეგ. აგერ ისინიც მოხუცი და ახალგაზრდა ხანები, მზესავით მბრწყინავი ფარჩით გამოწყობილნი, სარდლები მოლაპლაპე საჭურვლით, ინკრუსტირებული მუშკეტებით შეიარაღებული ნადირობის უფროსნი, ბაზიერები, ხელზე რომ აქოჩრილი მიმინოები ეჯდათ, მდუმარე საჭურისები, დარბაისლობით რომ ცდილობდნენ აენაზღაურებინათ თავიანთი დასახიჩრება, მეჩიბუხეები, შუბებივით ამპარტავნულად რომ აღემართათ იშვიათი ჩიბუხები, უთვალავი ცოლები და ხასები, მსუბუქად რომ იყვნენ გამოწყობილნი.

წინ, ოქროსფერ ცხენებზე აღმართულიყო ცისფერი, ოქროთი და მარგალიტით ძორთული ტახტრევანდი. მსუბუქ ფარდებს იქით, ატლასის ბალიშებზე მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო თინათინი; გვერდით საყვარელი მეგობარი ქალი ეჯდა. ნესტან ერისთავმა უარი თქვა საქართველოში დაბრუნებაზე და მოისურვა დეევლეთ-ხანეში დარჩენა. ამისათვის შაჰმა მრავალი საჩუქარი უძღვნა და ხშირად იწვევდა თავისთან და თინათინთან სადილზე თუ დილის ყავაზე და მთელი

* ქეჯავი — უნაგირზე გადაკიდებული დახურული საჯდომები.

ჰარამხანა პატივს სცემდა არა როგორც წარჩინებულ თავადის ქალს, არამედ როგორც ისეთ პიროვნებას, რომელიც შაჰინ-შაჰის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახდა. აი ამიტომ ახლაც ნესტანი თინათინის გვერდით იჯდა მდიდრულ ტახტ-რევანდში.

ჰარამხანის აქლემების შემდეგ მოდიოდა მთავარი ხაზინა-დარი, რომელიც იცავდა ოქროს ფულით სავსე ტყავის ტომსი-კებს. შემდეგ მოდიოდნენ მდიდრულად ჩაცმული პოეტები, ვარსკვლავთმრიცხველები, ცაში რომ ვარსკვლავებს მწყემსა-ვენ, როგორც მწყემსები ცხვარს, მეფარნეთა — სიბნელის წი-ნააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლთა რაზმები, საუფრველთ-მტვირთველები, რომლებიც ეჭვით უცქეროდნენ თავიანთი ცხენების აჩრდილსაც კი. და ყველა ისინი შაჰის მსვლელობას ანიჭებდნენ იმ დიდებულებას, იმ ბრწყინვალებას, ურომლი-სოდაც ვერ წარმოედგინათ „მეფეთ მეფე", შეუზღუდველი მბრძანებელი და იმპერიის პირველი მომთაბარე.

ფიხებდასოჭილ ცხენს, ყელი რომ ლამაზად მოეღერებინა, თითქოს შაჰ აბასი მოჰყავდა. ბრინჯის ყანები განზე დარჩა. ახლოვდებოდა თუთიანი, გილანის აბრეშუმის სამეფო. და ნა-რინჯ-ოქროსფერი სინათლე, ცისკიდურს რომ ზღვასთან აერ-თებდა, რეშტის თავზე გაშლილ ნაზ აბრეშუმს ჰგავდა. უკვე ბუნდოვანად მოჩანდა შორეული დაკბილული მთაგრეხილები. გამჭვირვალე ბურუსში ხმაურობდა ზღვისკენ მიმავალი სწრა-ფი მდინარე. ყველაფერი თითქოს ამაღლებული, განყენებუ-ლი ფიქრებისათვის, კეთილი საქმეების ჩადენისათვის განა-წყობდა კაცს.

შაჰ აბასი ისე გამართული იჯდა ცხენზე, როგორც ტახტ-ზე. მისი სახე შეუცნობელი იყო, მაგრამ უაღრესად ამქვეყნი-ურზე ფიქრობდა: თუ დათვი წყალსატევის ერთ მხარესთან მისულა, ლომმა არ უნდა დაიგვიანოს და მეორე მხარესთან მივიდეს. ტუჩები მტკიცედ მოეკუმა, თითქოს უფრთხოდა, ერთი სიტყვაც კი არ წამომცდეს ისეთი, რომელიც ფარდას ახდიდა ჩემს ფარულ გეგმებსო, და ტუჩების კუთხეებში, მე-კარესავით, მიმალულიყო ოდნავ შესამჩნევი სისასტიკე.

უეცრად მკვეთრად შეაჩერა თავისი ტაიჩი „სწრაფლ-

მსრბოლი“. შაჰის შემდეგ მყისვე მოჰიმეს სადაველები ხანებმაც-მსვლელობა შეჩერდა. ზღვის სიღრმიდან აღმომართულიყო უზარმაზარი შავი ჯვარი.

მოღუშული უცქეროდა შაჰ აბასი გადარჩენილ ანძის ზემო ჯვარედინს:

„დაიღუპა ხომალდი და დატოვა ქრისტიანობის ნიშანი. განა ეს ბედისწერა არ არის? — ტალღებიდან წამოსული საფრთხის წინათგრძნობა მეუფლება. ხედავს ალი, რომ ახლა კი არ წარმოშობილა მუქმწვანე წყლიდან მწუხარების დედა, არა, დიდი ხანია, რაც შეშფოთება არ მშორდება. მაგრამ ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ ამიხსნიდა ამის მიზეზს. განა ალაჰმა კეთილმოსურნედ არ ამისრულა სურვილები? განა მაცნეებს ყოველ შაბათს არ მოაქვთ ისა-ხანის სასიხარულო წერილები გურჯისტანიდან? განა რეშტის გზაზე არ დამეწია ჩემი საყვარელი დის ქმრის შიკრიკი და განა არ მოვიდა ხოსრო მირზას შიკრიკი? დიახ, ჩემი მხედართმთავრები ზეიმით შევიდნენ ისპაჰანში ჯარიანად. კახეთი კვლავ ჩემი ფეხის მტვერია, როგორც ისმაილ-ხანის შიკრიკი ამბობს. ქართლი დამარცხებულია, — განადგურებულმა მოიხარა ქედი, ვით მონამ, „ირანის ლომის“ წინაშე. იქ, გურჯისტანში, მაჰმადიანმა მეფემ სვიმონმა შეწყვიტა ქართლის ნაცნობობა მოსკოვთან. ალაჰი ხედავს, რომ ეს მთავარი რამეა! რადგან საფრთხე ირანისათვის ჩრდილოეთიდან მოდის“.

შაჰ აბასმა ოდნავ წამოიწია უზანგებზე, თითქო კასპიის იქითა ნაპირის დანახვას ცდილობსო.

„ო მაჰმად, რაოდენ კეთილგანწყობილი ხარ მართლმორწმუნეთადმი! მაგრამ რატომ არ ეწვია დამშვიდება ჩემს გულს, „ირანის ლომის“ გულს? რატომ აფრთხობს შეშფოთება სპარსთა მბრძანებლის ძილს? რატომ? მიწუნარებული ვულკანი სამარადისო მორჩილებას როდი ნიშნავს. განა ცეცხლმქშინავი გიორგი საკაძე ვულკანს არა ჰგავს? უკეთესი იქნებოდა დამარცხებული ისა-ხანი ქურციკივით გამოქცეულიყო ქართლიდან, მაგრამ თან მოეტანა საკაძის შუბზეწამოგებული თავი,—და მაშინ მე, შაჰ აბასი, მადლობას შევწირავდი ალაჰს ჩემთვის მონიჭებული ნამდვილი გამარჯვებისათვის. მაგრამ

რატომ არსად არის ნათქვამი, როგორ ვძლიო უძლეველს, რომელსაც იცავს რკინის შაითანი. და რაც უარესია, იგი იმყოფება თურქეთის ვასალის, ათაბაგ საფარის მფარველობაში. განა არ მოუვათ აზრად სტამბოლურ ძაღლებს, რომელთაც ბრძოლაში არც სინდისი აქვთ და არც პატიოსნება, ისარგებლონ უძლეველით, დაარღვიონ ხელშეკრულება ირანთან და თავიანთი პირსისხლიანი იანიჩარები დაძრან გადასახტომად განმზადებული „ვეფხვის" დროშით? და უფრო ადრე, ვიდრე გილანის ციხიდან, რომლის აგება გადავწყვიტე მე, გამჭრიახმა და მოსაზრებულმა, თუნდაც ერთ არშინზე გამოვიდოდეს მოკლე გზა, ?ტაცებელი „ირანის ლომს" წაართმევს არა მარტო ქართლსა და კახეთს, არამედ აზერბაიჯანსაც და... აბა ვინ, თუ არა მე, შაჰ აბასმა, ვიცი, თუ რა განძი შეიძინა სულთანმა, იმ ქარვის კერპმა, სააკაძის მიმხრობით! წმიდა ჰუსეინი ჩამჩურჩულებს აზრებს ბედის წიგნიდან: „ო შაჰინშაჰ, თუ დროზე არ მოტეხე ფეხი „ვეფხვს", მას შეუძლია ქართლის ტახტზეც შეხტეს". და მაშინ შეიქმნება საფრთხე დავკარგო გურჯისტანის მოსაზღვრე მხარეებიც, შექისა და შირვანის სახანოები. და განა სააკაძემ არ დააყენა განჯა თავდაყირა, როგორც ფლავის ქვაბი? და განა მან არ შეუყენა შიშის ქარი სპარსელებს, კახეთის სოფლებიდან რომ გამოიქცნენ? განა გონივრულია მუდმივი საფრთხის თმენა? განა უმჯობესი არ არის დავწვა, დავფერფლო გურჯისტანი, თბილისი ნაცარ-ტუტად ვაქციო? სად იმეფოს სვიმონმა? არა ღირს ამაზე ფიქრით შევიწუხო თავი! მაშინაც კი არ ღირს, ცოლად რომ ძმისწული მივცე. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მოვსპო ძლიერი ციხეები — მტრის ოდინდელი საყრდნობი. ხოლო ჩემი დაყენებული პირები მცხეთაშიც იმეფებენ; გორსაც დავუტოვებ მათ, მაგრამ სულთანთან შეთანხმებით წავართმევ ბირთვისსა და ვარძიას. გურჯისტანი ირანის სამფლობელო უნდა იყოს. იქ დავასახლებ ორმოცდათათას მეომარს ოჯახებიანად. მაგრამ, ხედავს ალაჰი, ყველაფერი შესაძლებელია სააკაძის მოსპობის შემდეგ, რადგან კათალიკოსი, იგრძნობს თუ არა თავისი შვილების მოსპობის საფრთხეს, ასიათას საეკლესიო ჯარს იმ მამაძაღლს ჩააბარებს. მოწმეა თორმეტი იმამი! სააკაძის ხელში ეს სამას

ათას სარბაზს უდრის. არა! გონება მიკარნახებს მოვიცადო. ო ჰუსეინ, ო ცის საყრდენების მფლობელო! განა არ უწყი, ბედი ულმობელია? მაშ ნუ მოაშორებ შენს ყოვლისმხედველ თვალს რუსეთს. თვისი ტლანქი ფეხით მას შეუძლია გამოიაროს გურჯისტანი და თოვლის ღრუბელივით დაეფინოს ირანს. და ალი იყოს მოწმე ჩემი, რომ საკაძე მიიპყრობს როგორც რუსეთის, ისე თურქეთის ყურადღებას, ძლევამოსილად გაშლის სამ დროშას და დაჩეხავს, დაწვავს ბრწყინვალე ისმაილ პირველის დიდებულ სამეფოს, მრავალი წლის შრომით რომ შეიქმნია. მაგრამ განა მე, შაჰ აბასს, ახლა ჯარი არა მყავს? ანდა ალაჰს არ მიუცია თავისი რჩეულისათვის მხედართმთავრები? ან „ირანის ლომისათვის" არ მიუნიჭებია მომაკვდინებელი ჭანგები? ან არ მიუმადლებია სიბრძნე? არა, ყველაფრით მდიდარი ვარ მე, ალაჰის წარმოგზავნილი! მაგრამ რა შეუძლია თუნდაც ჩქარ აქლემს, თუ ისპაჰანიდან კახეთამდე თვრამეტი დღის სავალია, თუ ლენქორანის მოკლე გზა ჩახერგილია ქვით, წალეკილია მდინარეებით და ავსებულია ქვიშით. მხოლოდ ჩქარი გადასვლა უქადის ომს წარმატებას, მხოლოდ ათასობით სარბაზის ელვისებური სიჩქარით გადაყვანას დასავლეთით და აღმოსავლეთით შეუძლია შეაჩეროს მტრის ნიაღვარი.

მაგრამ განა ეს არის ჩემი სამწუხარო? ხედავს ალაჰი, არა! მაშ რა ღრღნის „ირანის ლომის" ძალას? რა მიმძიმებს სულს?"

თავი მეცხრე

ეს ყოველივე ისპაჰანში დაიწყო!

„ო მოწყალების მთესველო, რატომ არ გამაბედნიერე მე, შაჰ აბასი, წინასწარმეტყველის ნიჭით? მაშინ თავიდან ავიცილებდი მათრობელ სამსალას! და პარასკევის მხიარული დღე აღარ გახდებოდა მწუხარებისა და შეშფოთების დასაწყისი!".

ქეშიკთა უფროსს მკერდზე ხელი მიედო, შეღებილი წვერი მაღლა აეწია და საგულდაგულოდ ჩამოთვლიდა მორიგ ახალგაზრდა ხანებს, რომელთაც ამაღამ დევლეთ-ხანე უნდა დაეცვათ. ასე ხდებოდა ხოლმე ყოველ საღამოს. მაგრამ ახლა

აბასს არ გაუგონია წარჩინებულთა გვარები, იგი ფიქრების ვიწრო ხეობაში იყო შორს შესული.

„ შეიძლება უადგილო იყო დიდი ხნის დაწესებულის შეცვლა? და იმ საბედისწერო პარასკევს, წინანდელი პარასკევების მაგალითისამებრ, არ უნდა ესადილნა ერთგულ და სასიამოვნო ლელუსთან? მაგრამ შაითანი დილიდანვე მიღვივებდა სურვილს: „ო შაჰინშაჰ, რატომ ერთსა და იმავეს ღეჟავ ვირივით? განა მკერდვარდისფერ ხასებს დაუკარგავთ შენთვის საამო ღვინის გემო? ან იქნებ სუნნელოვან აბაზანაში მობანავე ჰურიების ცქერა აგიკრძალა სიხარულის მთესველმა? დაე ამაღლდეს დიდება შენი! რატომ არ უნდა ტკბებოდე ახალგაზრდა ხასების სიანცით, შენს ფერხთით რომ იგრიხებიან? განა უმანკო ლელუს შეუძლია სიცელქით ღიმი მოგგვაროს?“ — „ხედავს ალაჰი, არა! — ასე ვუპასუხე შაითანს. — მაგრამ ლელუ მატყვევებს ჟუჟუნა თვალებით, უნაზესი სურნელით ფშვინავს მისი ატლასის ტანი! და განა უმაღლესი მშვენება არ არის მისი ნათელი გონება? განა ლელუ არ მიტკბობს სმენას სასიამოვნო სიტყვით, უმაღლეს სურვილებს რომ მგვრის? ხოლო მისი გონივრული რჩევა, რასაც განამტკიცებს ხოლმე ფირდოუსისა თუ ომარ საიამის ათასობით თქმულებით!“ — „ყოველივე ეს ასეა, — გაიცინა შაითანმა, — მაგრამ მამალიც რომ მხოლოდ ტკბილი ცომით ეკვებოთ, ვფიცავ შაითანის შემქმნელს, ისიც კი ნაგვის გროვისაკენ გაიქცევა იმ იმედით, რომ ერთი მარცვალი გამოვჩხრიკოო“.

შაჰმა შაითანის სიტყვები გონივრულად მიიჩნია და ბაღისაკენ გაეშურა. ახალგაზრდა ხასები, გამჭვირვალე შარვლები რომ ეცვათ, აღტაცებული ჭიკჭიკით შემოეხვივნენ. ბულბულის სტვენის მსგავსი გულამოსკვნილი სიცილი ატკბობდა ყურს. შაითანი მართალი იყო: დიდი ხანია არ დამტკბარა ირანის მპყრობელი ასეთი სიმღერით, თითქოს სამოთხიდან რომ მოისმოდა. და, ჰურიების მსგავსად, ეხვეოდნენ ისინი ვნებით და ტკბობას ევედრებოდნენ.

დიდი ხანია ასეთი მხიარული ღამე არ ყოფილა, მაგრამ შაითანზე განრისხებულმა ალაჰმა ინება, რომ იგი უკანასკნელი ყოფილიყო.

ვერ მოასწრო გამორკვევა შაჰმა პარასკევის ღამის სრული მოთენთილობისაგან, რომ დადგა ავბედითი შაბათ დილა.

უეცრად შემოვარდა სეფი მირზა, მისი მემკვიდრე, გულისწყრომითა და აღშფოთებით ფერმკრთალი, აქოშინებული. ხიზღით ეჭირა ხელში წვრილად ნაწერი ეტრატი.

— ო შაჰინშაჰ, ო ვარსკვლავებისა და მზის მბრძანებელო, ო ჩემო უძლიერესო მამავ! ალაჰსაც განუგრძია შენი ზურმუხტოვანი სიცოცხლე დაუსრულებლად! — და სეფი შაჰის წინ დაემხო და ემთხვია მის ფეხს, შაჰი კი გაკვირვებული უცქეროდა.

— ადექ, შვილო ჩემო, მშვენიერო, ვით ბადრი მთვარე! რამ ააღელვა შენი გული, წმინდა, როგორც ზემზემის წყარო? რატომ ბრწყინავენ შენი თვალები, ვით მახვილის პირი? ან იქნება გაბედა ვინმემ და შეურაცხყო ჩემი სეფი?

— ო „ირანის მზეო", შენ მიხვდი! არასოდეს, საკუთარ თვალებსაც კი არ დავუჯერებდი, რომ მოიძებნებოდნენ ასეთი შეურაცხმყოფელნი! და ლაჩრულად რომ არ დაემალათ თავიანთი სახელები, მე, შენი მონა, შევებმოდი მათ, და ვფიცავ მაჰმადს, ერთი და ორი როდი დაეცემოდა ყოვლადძლიერი „ლომის" ვაჟიშვილის სატევრით განგმირული!

— შეგეწიოს ალაჰი! მითხარ, რა შეურაცხყოფა მოგაყენეს გაუფრთხილებლებმა?

აღელვებულმა სეფიმ უხმოდ გაუწოდა შაჰს ოთხადგაკეცილი ეტრატი.

რაც უფრო მეტს კითხულობდა შაჰი, მით უფრო მრისხანე ხდებოდა მისი სახე, თვალები სასტიკი ცეცხლით აენთო. თითები ისე მოუჭირა ეტრატს, თითქოს მტერს ახრჩობსო. დიდხანს გაგრძელდა დუმილი. შაჰმა კითხვის თვალი მიაპყრო მოცისფრო ჭერსა და კვლავ გადაიკითხა ეტრატი.

„ოდნავი ეჭვიც არ არის, რომ ეს ხანების ბოროტებაა! მაგრამ ვინ? ვინ გაბედა დაევალებინა იაგუნდივით წმინდა ჩემი ვაჟიშვილისათვის ხელები მამის სისხლით შეეღება? ვინ მოისურვა ნაადრევად დაესვა ტახტზე სეფი მირზა? იმ ძაღლის შვილებმა გაბედეს დაეწერათ, რომ აღარ შეუძლიათ

აბასს არ გაუგონია წარჩინებულთა გვარები, იგი ფიქრების ვიწრო ხეობაში იყო შორს შესული.

„შეიძლება უადგილო იყო დიდი ხნის დაწესებულის შეცვლა? და იმ საბედისწერო პარასკევს, წინანდელი პარასკევების მაგალითისამებრ, არ უნდა ესადილნა ერთგულ და სასიამოვნო ლელუსთან? მაგრამ შაითანი დილიდანვე მიღვიეებდა სურვილს: „ო შაჰინშაჰ, რატომ ერთსა და იმავეს ღეკავ ვირივით? განა მკერდვარდისფერ ხასებს დაუკარგავთ შენთვის საამო ღვინის გემო? ან იქნებ სუნნელოვან აბაზანაში მობანავე ჰურიების ცქერა აგიკრძალა სიხარულის მთესველმა? დაე ამაღლდეს დიდება შენი! რატომ არ უნდა ტკბებოდე ახალგაზრდა ხასების სიანცით, შენს ფერხთით რომ იგრიხებიან? განა უმანკო ლელუს შეუძლია სიცელქით ღიმი მოგგვაროს?“ — „ხედავს ალაჰი, არა! — ასე ვუპასუხე შაითანს. — მაგრამ ლელუ მატყვევებს ჟუჟუნა თვალებით, უნაზესი სურნელით ფშვინავს მისი ატლასის ტანი! და განა უმაღლესი მშვენება არ არის მისი ნათელი გონება? განა ლელუ არ მიტკბობს სმენას სასიამოვნო სიტყვით, უმაღლეს სურვილებს რომ მგვრის? ხოლო მისი გონივრული რჩევა, რასაც განამტკიცებს ხოლმე ფირდოუსისა თუ ომარ საიამის ათასობით თქმულებით!“ — „ყოველივე ეს ასეა, — გაიცინა შაითანმა, — მაგრამ მამალიც რომ მხოლოდ ტკბილი ცომით ეკვებოთ, ვფიცავ შაითანის შემქმნელს, ისიც კი ნაგვის გროვისაკენ გაიქცევა იმ იმედით, რომ ერთი მარცვალი გამოვჩხრიკოო“.

შაჰმა შაითანის სიტყვები გონივრულად მიიჩნია და ბაღისაკენ გაეშურა. ახალგაზრდა ხასები, გამჭვირვალე შარვლები რომ ეცვათ, აღტაცებული ჭიკჭიკით შემოეხვივნენ. ბულბულის სტვენის მსგავსი გულამოსკვნილი სიცილი ატკბობდა ყურს. შაითანი მართალი იყო: დიდი ხანია არ დამტკბარა ირანის მპყრობელი ასეთი სიმღერით, თითქოს სამოთხიდან რომ მოისმოდა. და, ჰურიების მსგავსად, ეხვეოდნენ ისინი ვნებით და ტკბობას ეეედრებოდნენ.

დიდი ხანია ასეთი მხიარული ღამე არ ყოფილა, მაგრამ შაითანზე განრისხებულმა ალაჰმა ინება, რომ იგი უკანასკნელი ყოფილიყო.

— ჩემო მშვენიერო დედავ, მეტად აღელვებული ვიყავ და სურვილმა დამძლია მალე დამერწმუნებინა შაჰინშაჰი, რომ მხურვალედ, ვით მწველი მზე, მიყვარს და ერთგული ვარ მისი.

— შაჰმა განრისხებულმა გაგიშვა?

— ო ეფიცავ ზეცას, არა! „ირანის ლომი" ნაზად მომეხვია და დაიფიცა, ახლა უფრო ძლიერ მიყვარხარ და ყოველ სურვილს აგისრულებო.

— ხომ არ უცთუნებიხარ სურვილს, ჩემო სეფი, ზულეიკასთვის აზრები გაგეზიარებინა იმ საშინელ წერილზე? — წყნარად ჰკითხა თინათინმა.

— არა, ვარსკვლავიან ღამესავით მშვენიერო დედავ! მე შენთან... მაგრამ ეს რატომ მკითხე? განა ზულეიკა კვლავ ჩემი გულის ხავერდოვანი ვარდი არ არის?

— იგი მეტად იჭვნეული, აგრეთვე უზომოდ შურისმგებელია და გონების დაბნელების წუთში შეეძლო ჩრდილი მიეყენებინა უდანაშაულოებისათვის. გაიხსენე, ჩემო კეთილშობილო შვილო: იმ წყეულ წერილში ლაპარაკია სისასტიკეზე საქართველოსადმი... ვერაგული ნართაულია: მე ხომ ქართველი ქალი ვარ. ხოლო ჩემი ძმა, მეფე ლუარსაბი, შენი ბიძაა.

სეფი თავზარდაცემული შეკრთა. საშინელება ეპარებოდა გულში. ეჭვის ნასახიც რომ შეეპაროთ ტყვე ლუარსაბის მომხრეებისადმი, მათ ისე აწამებენ, რომ სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესი იქნება!

და იგი დედის მუხლებს მიეხუტა.

— ჩემო შვილო, ირანში არავინ არ უნდა იცოდეს იმ ეტრატის ამბავი. გახსოვდეს, შაჰიც არავის გაუმხელს ჯერჯერობით, ყარაჯუღაისაც კი, თუმცა კეთილშობილ ხანს ისე ენდობა, როგორც საკუთარ თავს. ნუ გაგიკვირდება, თუ შაჰი ხხვადასხვა საბაბით ხშირად გამართავს ლხინს. მაგრამ გახსოვდეს: მომღერალთა ჰანგებსა და ფლეიტების ხმებში შაჰი დაიწყებს გამოკითხვას. ლხინის დროს უცქირე მხოლოდ შაჰს, ისმინე მხოლოდ მისი სიტყვები, აღფრთოვანდი მხოლოდ მისი სიბრძნით. ეცადე არ მიეფარო მის თვალთა ცქერას. მაგ-

რამ ყველაფერი აკეთე ძალდაუტანებლად, ღიმილით, რათა შაჰს არ აღეძრას ეჭვი, რომ შენი ქცევა მოფიქრებულია. ხოლო თუ შაჰმა ხანებთან გაგგზავნოს, მიდი მხოლოდ ერებ-ხანთან ან ყარაჯულაი-ხანთან, თუ იმათთან არა, მაშინ იუსუფ-ხანთან ან ბულათ-ბეგთან. გახსოვდეს: თვით უმნიშვნელო ყურადღებაც კი შაჰ აბასთან უფრო დაშორებული ხანებისადმი იმას ემსგავსება, რომ სატევარი დაუღირო არა მარტო მის ყელს, არამედ მისი შვილებისა და ყველა მისი ნათესავის ყელს.

მოწიწებით და შიშით ისმენდა სეფი დედის ჩურჩულს. და გაფითრებულმა მისცა ფიცი, რასაც დედა ითხოვდა, შევასრულო შენი რჩევა, როგორც უბედურების გზაზე ჩემი წინამძღოლისაო.

სეფიმ გულგრილად ჩამოათვალიერა ოთახი: გახუნდნენ მისთვის ყვავილები, ალარ ლაპლაპებდა მინანქარი სურებზე და ყვითელი თუთიყუში კუთხეში უეცრად ნაცრისფერ აბუზულ ჩიტად მოეჩვენა. ასეა ხოლმე: გადმოვარდება მაყალიდან გავარვარებული ნაკვერჩხალი — და ანაზდად იფერფლება, როგორც სიზმარი.

სეფიმ სამწუხარო საუბარი შეცვალა და ჰკითხა, ხანუმ ნესტანი როგორ არისო.

— როდის გაგზავნა ზულეიკამ პატარა სემი შაჰთან? — უეცრად ჰკითხა თინათინმა.

მხოლოდ გუშინ იყო სემი სტუმრად უძლიერეს პაპასთან და, თუმცა მისი საყვარელი ჩინური ფიალა გატეხა, მაგრამ ჩვენი მბრძანებელი არ გაჯავრებულა, პირიქით, ოქროს პატარა ზარი აჩუქა და სიცილით უთხრა: არასოდეს არ იდარდო სხვის სახლებში არსებულ ძვირფასეულობაზეო.

— უნდა იცოდე, ჩემო საყვარელო, რომ ცბიერი ზულეიკა ასწავლის საძაგელ სემს დააბეზღოს პატარა სეფი, გულუზარის ვაჟი. ალაჰი იყოს მოწმე, თუ რა საშიშია ეს. რადგან შევა თუ არა შაჰთან, მაშინვე იწყებს ცილისწამებას გულუზარის წინააღმდეგ, თითქოს იგი კვეხნით ამბობდეს, რომ ალაჰმა ტახტის მემკვიდრედ მისი ვაჟი განაწესა.

— შეიძლება მთლად აგრეც არ იყოს. — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა სეფიმ. — ვიცი, შენ გულუზარის ვაჟი უფრო გიყვარს.

— ღმერთი ხედავს, რომ სიმართლე არასოდეს არ დამიმალავს! ხოლო შენი უმცროსი ვაჟი უფრო მიყვარს, რადგან უფროსი მეტად სასტიკი, ველური და თავაშვებული ზნისაა, რაც საშიშია ადამიანთა სიცოცხლის განმგებლისათვის. უკუნისამდეც გაგრძელებულა მეფობა შაჰ აბასისა! მაგრამ, როცა ალაჰი საჭიროდ მიიჩნევს მიიწვიოს ზეცის წარმოგზავნილი და შენ, ინშალაჰ...

— ო ჩემო მშვენიერო დედავ, ამაზე ნუ ილაპარაკებ! რადგან თითოეულს ბედი საკუთარ კისერზე ჰკიდია, როგორც ჯაჭვი. გაიხსენე პაატა, — ის ხომ ჩემი ბიძაშვილია. დიახ, ის დედოფალ თეკლეს ძმისწულია, მე კი მეფე ლუარსაბის დისწული ვარ. შენ თითქმის არასოდეს არ გისაუბრია ჩემთან პაატაზე.

— ის ვაჟია სააკაძისა, რომელმაც დაღუპა ჩემი მშვენიერი ძმა ლუარსაბი.

— ჩემო სწორუპოვარო დედა, განა სააკაძე ბედზე ძლიერია? ალაჰმა ინება მეფისათვის უბედურება უძლეველის ხელით შეექმნა.

— ალაჰსაც ნუ დაუშურებია მოწყალება ტანჯული პატიმრისათვის! წმიდა სამება ყოფილიყოს შენი მფარველი, მას მოევლინებინოს სეფი მირზასათვის ბედნიერებითა და კეთილდღეობით დატვირთული ციური ქარავანი!

— დამშვიდებული გავიდა სეფი მირზა დედის ოთახიდან. და ხის ფოთლებიც უკვე ნაცრისფერ-რუხი როდი ეჩვენა, არამედ მწვანე, თითქოს ზურმუხტისაგან გამოუკვეთავთო; და მუქი ფირუზიც მის თავზე თითქოს უძირო ცად გადაიქცა, მოსალბუნე ბალზამს რომ აპკურებდა. იგი ზულეიკასთან იჩქაროდა, რადგან სურდა დილის ჰაერი ესუნთქა, და ამიტომ წამოვიდა განთიადისას, როცა ხშირი წამწამები ფარავენ ზულეიკას მუდამ მგზნებარე თვალებს, ხოლო ოდნავ გახსნილი ბაგენი მეტყველებენ ვნებიანი კოცნის მოუკვლელ წყურვილზე. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა სამუდამო ძილით სძინებოდა სეფის სწორედ ამ დილას.

ახლა გაახსენდა, რომ ერთი ქეშიკის თანხლებით ასევე ოცნებობდა ზულეიკაზე და უკვე აპირებდა ცხენით განევლო

ფოლე ჰაჯუს ხიდი, რომ ვიღაც მოსასხამში გახვეული კაცი ელვასავით გამოკრთა ხიდის თაღიდან, ოთხადგაკეცილი ეტრატი მიაჩეჩა ხელში და ისევე სწრაფად მიიმალა. ერთგულმა ქეშიკმა გაიცინა და თქვა: „ალბათ კვლავ ვინმე მთხოვნელია. უთვალავნი არიან ისინი გულუხვი და სულგრძელი სეფი მირზას გზაზე!“.

კარგია რომ მანაც, მირზამაც ასე გაიფიქრა, ეტრატი სარტყელში გაირჭო და შემდეგ წაიკითხა, როცა მარტო დარჩა ბაღში — და შეძრწუნდა. არა, არავის არ გაუმხელს მკრეხელურ, შხამით გაჟღენთილ სიტყვებს. აღშფოთებული მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა, სად, და მოულოდნელად შეუხვია ვარდისფერი სახლისაკენ.

გულუზარი, როგორც ყოველთვის, ქორფა, ვით დილის ნამი, და ნაზი, ვით მტრედი, სიხარულის შეძახილით შეეგება სეფის და მყისვე მოკრძალებით დახარა თვალები. პატარა სეფი კი ყვირილით ჩამოეკიდა მამას კისერზე, გამალებული უკოცნიდა სახეს, ხელებს და საჩქაროდ უამბობდა თავის სიხარულსა და წყენას.

გულუზარის გაუბედავ თხოვნაზე მირზამ მხიარულად უპასუხა: რა თქმა უნდა, სიამოვნებით შევსვამ შარბათს და ფაშარ ქადაზეც უარს არ ვიტყვიო. სეფი თვალს ადევნებდა წყნარად მოგოგმანე გულუზარს, არაბულ პატარა სუფრაზე რომ ფინჯნებს ალაგებდა, და გაიფიქრა: „კარგად მოვიქეცი, დღეს რომ უარი ვთქვი ახალ ხასაზე, რომელიც შაჰს სურდა ეჩუქნა ჩემი დამტკიცებული ერთგულებისათვის მადლობის ნიშნად. განა მოზაიკურ სახლში არა მაქვს ვულკანი, რომელიც სიყვარულის ცეცხლსა და სიძულვილს აფრქვევს, და ნაზად მფშვინავი ვარდის წყნარი შრიალი ვარდისფერ სახლში? მე მეტს არაფერს ველტვი. ესოდენ სხვადასხვაგვარი ვაჟიშვილებიც კი სხვადასხვანაირ სიხარულს მანიჭებენ.

მირზამ მარმარილოს შუბლს ამბორი უყო და დაჰპირდა, ამაღამ განვაგრძობთ სასიამოვნო შეხვედრასო, და გაემართა ზულეიკასთან, რათა მის მარჯნის ბაგეთაგან ზიარებოდა ცეცხლს, რადგან, რა თქმა უნდა, ქალს უკვე შეატყობინეს. სეფიმ ყავა ვარდისფერ სახლში მიირთვაო.

არა, თინათინს აღარ გადააქვს აბრეშუმზე ფირდოუსის ტაეპები, აღარ ახარებს ამომავალი მზე და მოახლეებულ ღამეს ძრწოლით ელოდება, რადგან არა ჰქონია ძილი, არა ჰქონია მოსვენება.

ტყუილად ცდილობდა ნესტანი გაეფანტა თინათინის შავბნელი ფიქრები. იმ საშინელი დილის შემდეგ, როცა უზაკველმა სეფიმ ასე განუსჯელად გადასცა შაჰს ბედუკუღმართი ეტრატი, თინათინი მუდამ შეშფოთებული იყო.

რბილ ბალიშზე იდაყვდაყრდნობილნი, მეგობრები წყნარად ლაპარაკობდნენ ქართულად:

— მაგრამ, ჩემო დედოფალო თინათინ, რამდენიმე თვე გავიდა და დიდ შაჰ აბასს არ გამოუცვლია გუნება მისდამი, მდიდარი სასახლეებითა და ძვირფასეულობით ასაჩუქრებს. შეხედე, — და ოდნავ გადასწია ფარდა, — რა მდიდრულად არის მორთული ზულეიკას და გულუზარის ტახტრევანდები, რამდენი მოსამსახურე ახლავს მათ! და განა შაჰინშაჰმა არ აჩუქა ბაჩა ცხენები ორივე შვილიშვილს და განა ჩვენი საყვარელი სეფი შაჰ აბასის გვერდით არ დადის ხოლმე ცხენით? მაშ რატომღა ნაღვლიანობს მშვენიერი თინათინი?

სევდიანად იღიმებოდა ხოლმე თინათინი. ყველაფერი მართალია, მაგრამ იცოდა, რა ძლიერ გამოიცვალა იმ საბედისწერო დილის შემდეგ მისი მრისხანე მეუღლე. მუსაიბი, რომელმაც უფრო ძლიერ განამტკიცა მასთან მეგობრობა, საიდუმლოდ უამბობდა, თუ რა მზარდი ეჭვიანობით ეპყრობოდა შაჰი ხანებს, განსაკუთრებით წარჩინებულ გვარისათ, შეშინებული, ღამით სამჯერ იცვლის საწოლ ადგილს, რომ არავის, საჭურისებსაც კი, არ ენდობა, როგორ აუკრძალა ხანების ვაჟებს, ყარაჯულაი-ხანის, ერებ-ხანისა და იუსუფ-ხანის ვაჟების გარდა, უდარაჯონ მისი საწოლი ოთახის კარებს. სინჯა თინათინმა ნაზად ეკითხა შაჰისათვის, რად ხარ ასე ჩაფიქრებულიო, მაგრამ შაჰი ჩააშტერდა ჟუჟუნა მომხიბლველ თვალებში და უპასუხა: ალაჰმა მეტად ბევრი საზრუნავი დამაკისრა ირანისათვისო, და გამოსაცდელად ეთათბირებოდა მას სახელმწიფოს საქმეებზე და აღტაცებული იყო მისი ჭკუით. ერთხელ, მთლად გაწამებული, დაეცა იგი შაჰის ფერხთით და ევედრა ეთქვა,

თუ რა ამძიმებდა მის ყოვლადძლიერ მბრძანებელს. იგი უკოცნიდა თითებს, ტანსაცმელს, მერე უეცრად ჩაიკრა გულში, ვნებიანი ამბორით დაუფარა შუბლი, თვალები, ტუჩები, უწოდებდა საალერსო სახელებს, ტანზე შემოახვია თავისი დიდებული ნაწნავები. ო, რა არ შეუძლია უბედურ დედას, ერთადერთი შვილის სიცოცხლეს რომ იცავს! და, მისი გაბედული მუდარით გაოცებული შაჰი დაჰპირდა — შვიდ დღეს ვიქნები შენი სტუმარიო.

რა მზრუნველობა, რა სიყვარული არ გამოიჩინა თინათინმა მრისხანე „ირანის ლომისადმი"! დარაჯობდა მის ძილს, მუსაიბთან ერთად გულდასმით სინჯავდა მის სასმელ-საჭმელს, თვითონ უვარცხნიდა ულვაშებს, აპკურებდა ნელსაცხებლებს, თვითონ ავსებდა სუნნელოვანი წყლით ნაზად მოქღურტულე აუზს, სადაც ბანაობდა ხოლმე შაჰი მაგარი ძილის შემდეგ.

როცა შვიდი დღის შემდეგ აბასი შევიდა მრგვალ ოთახში, რომელსაც „შაჰის ყურები" ეწოდებოდა, ხანები აღტაცებული იყვნენ: მათს წინაშე კვლავ წარდგა ქვეყნებისა და ხალხების ახალგაზრდა დამპყრობი. და, მისი მეორე გაზაფხულით აღფრთოვანებულნი, გამარჯვების შეძახილებით მიესალმნენ.

თითქოს მძიმე ჯავშანი მოშორდაო მპყრობელის სულს. ხარბად დაეწაფა ირანის საქმეებს და აზრის სინათლესა და მტკიცე ნებას იჩენდა. თავისი უახლოესი მრჩევლების გულწრფელი სიხარული რომ დაინახა, გაიცინა და ხანებს გაანდო გამცემლური წერილი, სეფი მირზას რომ მიაჩეჩეს; თითების დამწველი ეტრატიც კი აჩვენა მათ. თითოეულმა ხანმა აღშფოთებით წაიკითხა, რაც შიგ ეწერა და საკუთარ თვალსა და ყურს არ უჯეროდა. მხოლოდ იუსუფ-ხანმა გადაიკითხა ორჯერ ჯოჯოხეთური ეტრატი და უკანასკნელი სიტყვებით შეაგინა შაითანს, — რადგან სხვას ვის შეეძლო ასეთი ბოროტმოქმედებისათვის თავი სპარსელ ხანად გაესაღებინა.

ყარაჯულაი-ხანმა ნაიარევ ლოყაზე ხელი მოისვა და ქებაღიდება დაუწყო კეთილშობილი სეფი მირზას ერთგულებას შაჰინშაჰისადმი, მის შემდეგ კი ყველამ ზედიზედ გამოთქვა აღტაცება დიდი შაჰ აბასის ვაჟის გამო. და განა სხვანაირად შეიძლებოდა ყოფილიყო? განა შეიძლებოდა ლომს ლეკვი ლომისა არ დაბადებოდა?

შაჰი მოწონებით აქნევდა თავს და კვლავ შეინახა ეტრატი კოლოფში, თუმცა მხიარული ერებ-ხანი ბულათ-ბეგის სიცილში ურჩევდა უფრო შესაფერისი ადგილი მოენახა საზიზღარი წერილისათვის.

მთელ თვეს განიცდიდა ბედნიერებას თინათინი, რადგან შაჰი თვალებდაცეცებული ფეხაკრეფილი აღარ დადიოდა დევლეთ-ხანეში უსაფრთხო განსასვენებელი ადგილის საძებნელად, ყოველ პარასკევს მისი სტუმარი იყო ხოლმე და ტკბებოდა ერთგულთა შორის უერთგულესის ალერსით და უმშვენიერესი სუფრით სხვადასხვა ფერის ვარდთა შორის.

ო, რა არ შეუძლია უბედურ დედას, ერთადერთი შვილის სიცოცხლეს რომ იცავს!

და უეცრად ყველაფერი. დაემხო.

ეს მოხდა მორიგ ლხინზე. შაჰი განსაკუთრებით მხიარული იყო, თითქმის აღარ ახსოვდა წერილი. მის ახლოს, ჩვეულებისამებრ, იჯდა სეფი, იგი მხოლოდ შაჰს უსმენდა, მხოლოდ შაჰის მოსწრებულ სიტყვებზე იცინოდა, თვალებში შესცქნაოდა მას და... სულაც ვერ ამჩნევდა იბრაჰიმ-ხანს, რაღაცას რომ ანიშნებდა: ისრის სროლას, თუ ფლავის ჭამას სამი თითით.

შაჰმა კრუნჩხვით მოუჭირა ხელი ოქროს ფიალას და ყურძნის წვენი ხალიჩაზე დაღვარა. მძიმე ჯავშანმა კვლავ შეუხუთა სული. აქოშინებულმა წასჩურჩულა ბულათ-ბეგს, მგონი, ერთი გველი ცდილობს ხვრელიდან გამოძვრესო.

— ალის გულისათვის, იბრაჰიმ-ხან, როგორ ფაკირივით შლი და ხრი თითებს? — შეპარვით ჰკითხა შაჰმა და თვალი თვალში გაუყარა გაუფრთხილებელს.

— ო მზეო სამყაროსაო, რაკი ვერ ვბედავდი შენს ტახტთან მოახლოებას, ამაოდ ვცდილობდი მიმექცია უკეთესთა შორის უკეთესი სეფი მირზას ყურადღება.

— თუ აგრეა, მიდი უყურადღებოსთან და გამოთქვი შენი სურვილი.

— მოწმე იყოს წმიდა ალი, თუ, ო შაჰინშაჰ, შენს ბორას მესმოდეს, რატომ არ აასრულა სეფი მირზამ დაპირება, რაც აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია მომცა, გავებედნიერებინე ერთად ნადირობით და ელხინა ჩემს ოჯახში.

— 'შენი რისხვა ნუ გაძლიერებულა, კეთილშობილო იბრაჰიმ-ხან, — სეფი წამოდგა, თავი დახარა და წარმოთქვა. — შენი მიწვევა იძულებით ზრდილობად მივიჩნიე, რადგან კეთილშობილ ქაფარ-ხანთან რომ არ ვმჯდარიყავ, არ გაგახსენდებოდი. მე წლოვანებით ღარიბი ვარ და არა მაქვს უფლება მოვითხოვო იმათი ყურადღება, ვინც მით მდიდარია.

— შენი სიმარჯვე, ნარცისის მსგავსო სეფი მირზა, შენი ზურმუხტივით ბრწყინვალე გონების თანაბარია. მაგრამ ახლა შენს გვერდით არ დგას ქაფარ-ხანი და, რაკი ვერ ვბედავ თვალი გავუსწორო მზეს, თავს ვიხრი მთვარის წინაშე და მოგაგონებ...

— მხიარულმა კინკლაობამ დამარწმუნა, რომ მართალი ხარ, იბრაჰიმ-ხან! — და კვლავ ბრძანა შაჰმა ყურძნის წვენით აევსოთ ოქროს თასი. — როდის გინდა შენს ოჯახში ნახო სეფი მირზა?

— ო მოწყალეო, ო სამართლიანო შაჰინშაჰ, სწორედ პარასკევს.

დამსწრენი ერთმანეთს არ აცლიდნენ და აქებდნენ შაჰ აბასის სიბრძნეს. ისინი უსურვებდნენ ემეფა ათას წელსა და კიდევ ამდენ ხანს, შურდათ იბრაჰიმის მდგომარეობა, რადგან გახდა „ირანის ლომთან" საუბრის ღირსი, და ისე ხმაურობდნენ თითქოს დიდმნიშვნელოვანი ამბავი მომხდარიყოს. მხოლოდ სეფი მირზა იყო თავშეკავებული და შაჰის კითხვაზე, რატომ აგრე გულგრილი ხარ ხანის მიწვევაზეო, მოკლედ უპასუხა:

— არ მიყვარს მისი ვაჟები და ამიტომ მიმძიმს არასასურველი მეგობრობა.

უახლოეს მრჩევლებთან საუბარში, როცა ყარაჯუღაი დაწვრილებით ლაპარაკობდა ლენქორანის გზის ხელსაყრელობაზე, შაჰი მრულოდნელად დაინტერესდა: ბევრი ვაჟი ჰყავს თუ არა იბრაჰიმ-ხანს და როგორნი არიანო. ყარაჯუღაის გული გადაუცივდა: „ბისმილაჰ, შაჰმა ეჭვი შეიტანა, რომ იბრაჰიმი შეთქმულებაში მონაწილეობს! უბედური! მას შეუძლია ეწიოს ლომის კლანჭებში ჩავარდნილი ციკნის ბედი! თავიდან უნდა ავაცილო..." და ყარაჯუღაის გაახსენდა იბრაჰი-

მის ჩივილი ხასებისაგან შეძენილი სანი ვაჟის გამო და სასწრაფოდ მიუგო:

— ბრძენთა ბრძენო შაჰინშაჰ, რატომ არსად არა სწერია, თუ რით უნდა აიძულო შაითანი იჯდეს თავის სამეფოში? იბრაჰიმისათვის დიდად სავალალოდ, ვაჟები მას, შაითანის სურვილით, მეტად ბევრი ჰყავს. თუ ვინმემ გაიგონა სამარცხვინო ჩხუბი, მხეცური შეტაკება და ლოთობა, მყისვე წამოიძახებს: „ო ჰუსეინ! კვლავ იბრაჰიმ-ხანის შვილები არიან! ქოქოლა კი დაეყაროთ თავზე!“ ისინი შედიან მამის ჰარამხანაში და, ჯოჯოხეთის მფლობელის საამებლად, მხიარულობენ ახალგაზრდა ხასებთან ან თავაშვებულ აურზაურს ასტეხენ ხოლმე იქ. ამბობენ, მათ შორის უსუსურებიცა და მახინჯებიც არიანო. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს, რადგან ხანი გულდასმით მალავს თავის სირცხვილს. მაგრამ ალაჰი ძუნწი როდია მოწყალებისათვის და ხანს სანუგეშოდ მისცა ქალიშვილი, არა ძლიერ ლამაზი, მაგრამ მშვიდი, ვით ზეცის ბინადარი.

— დიდ არს ალაჰი! ხანი უზომოდ ბედნიერია! — წარმოთქვა ერებ-ხანმა. — რადგან ნათქვამია: ვისაც საკუთარი ჯოჯოხეთი და სამოთხე აქვს, მას დაფიქრება რად უნდაო! მტერს მიაძახებს: „ჩემი ვაჟის მსხლის ქვეშაც დამანჭულხარო!“ მეგობარს კი წაუღეღლუნებს: „ჩემი ქალიშვილის ატმითაც დამტკბარხარო“.

შაჰი უნებურად გამხიარულდა. ყარაჯუღაიმ მოწონებით გაუღიმა გონებამახვილ ერებ-ხანს. მხოლოდ იუსუფ-ხანი დარჩა უკმაყოფილო: იბრაჰიმი მისი მტერია, შაჰი კი, როგორც ჩანს, აღარ ფიქრობს, ხანი ვაჟების ბოროტმოქმედების მონაწილეაო.

მართლაც, შაჰი ფიქრობდა: „თუ იბრაჰიმი დამნაშავეა, განა თავი არ უნდა მოეკვეთოს სხვების დასაშინებლად? ხოლო, თუ დამნაშავე არ არის, განა ღირს სულელი გავახარო მის ჰარამხანაში შაითნების შემცირებით?“

მეორე დღეს ყარაჯუღაი-ხანმა დაარღვია თავისი ჩვეულება და შაჰის მეჩეთში კი არ წავიდა ნამაზისათვის, არამედ შეიჭ ლუთფოლის მეჩეთში, სადაც, როგორც ფიქრობდა, იბრაჰიმი ნახა. საბედნიეროდ, დილის ნამაზის დრო გასულიყო, და მეჩე-

თი დუმილს მოეცვა, მხოლოდ დაგვიანებული ხანი ამოიავრებდა ლოცვას. ყარაჯულაიმ იბრაჰიმის გვერდით მოირთხა, ხალიჩაზე, ნამაზი შეასრულა და წინადადება მისცა, ერთად დავისვენოთ ქალაქის შადრევნის ახლოსო. მაიდან-შაჰზე * სიწყნარე იყო, რადგან ეს დრო ძღომისა და დასვენების დრო იყო.

— რატომ არსად არ თქმულა მართლმორწმუნეებზე, სიფრთხილე რომ დაუკარგავთ? — ლურჯ ნაიარავებს ხელი შეახო ლოყაზე და განყენებულად დაიწყო ყარაჯულაიმ. — ან იქნებ კეთილდღეობის გზა სატევრის პირზე გადის?

— რაზე ამბობ, კეთილშობილო ყარაჯულაი?

— შაჰინშაჰი მეკითხებოდა შენს ვაჟებზე. ნუ ფითრდები, იბრაჰიმ, მე ვლაპარაკობდი მხოლოდ სამზე. მითხარ, შენი საყვარელი მამედი კვლავ სტუმრად არის თებრიზში?

— ბისმილაჰ! შენი სიტყვები მაკვირვებს. ფირუზისფერა ზეცაც ულიმოდეს მამედს! მან გაახანგრძლივა პაპასთან ყოფნა.

— გაგზავნე იქ სულეიმანიც, ჩემი ჯაფარის მეგობარი. დაე პაპასთან იყვნენ სტუმრად სულ ცოტა ერთ წელს. იცოდე, ხანო, ალაჰმა კეთილმოსურნედ აუარა გვერდი შენს სურვილს — შაჰინშაჰისათვის გეჩვენებინა სულეიმანი.

— ო ყარაჯულაი, ო კეთილშობილთა შორის კეთილშობილო! შენ ააფორიაქე ჩემი ფიქრები და დაამძიმე სული! გამიმხილე შენი რჩევის აზრი.

— ღირს მყავ, წარჩინებულო იბრაჰიმ, ნდობით, და ალაჰმა გატაროს ჩემი რჩევის გზით! მემედი და სულეიმანი სუსტი აგებულებისანი არიან, შემთხვევის დროს იმწუხრე ამაზე... მათთვის მავნებელია სამეფო ისპაჰანის ხმაურიანი ცხოვრება. პაპის წყნარ ოჯახში ისინი, ინშალაჰ, განიკურნებიან... ო, მაჰმად! კინაღამ დამავიწყდა... პარასკევს შენს ნადირობაზე სეფი მირზას, შაჰინშაჰის სურვილით, ეხლება იუსუფ-ხანი, ალი ბაინდურის მეგობარი.

სიკვდილის ფერი დაედო იბრაჰიმს. მან სტაცა ხელი ხელში ყარაჯულაის და ძლივს წაიჩურჩულა:

---

* მაიდან-შაჰი — შაჰის მოედანი ისპაჰანში.

— წმიდაო მექა! რით განვარისხე შაჰინშაჰი?

— ბრძნულად იქცევი, ფრთხილო იბრაჰიმ, რომ პარასკევს ბევრ სტუმარს არ იწვევ. სჯობს ცოტა, მაგრამ შაჰთან უფრო დაახლოებულნი. ერებ-ხანს უყვარს ნადირობა, სთხოვე მას.. კიდევ ემირ-გიუნე-ხანი. ან იქნებ შენი სტუმრები გყავს? ხომ არ დაასახელებ?

იბრაჰიმმა ყური სცქვიტა. ახლა გაახსენდა, რომ სწორედ ზოგიერთმა მისმა მეგობარმა, ისეთივე წარჩინებულმა, როგორც თვითონაა, მოითხოვა, რომ სეფი მირზა მოეწვია. მოწყალეა ალაჰი! და ნადირობაც იმათ მოიგონეს. იქნებ იმ უგუნურებს სურთ იგიც, იბრაჰიმიც ჩაითრიონ რაღაც შეთქმულებაში? წუთით გაჩანაგებული უეცრად მობრუნდა:

— უკეთილშობილესო ყარაჯუღაი-ხანო! დაე ყოვლისმხედველმა ალაჰმა ენა ამომგლიჯოს, თუ ვიცოდე, რატომ ავიხირე ეს ნადირობა? ჩემი, ვარსკვლავივით წმიდა, სულეიმან დიდი ხანია მთხოვდა: „მამა, მოაწყე ნადირობა, მინდა დავუახლოვდე სეფი მირზას, ჯაფართან, უკეთესთა უკეთესი ყარაჯუღაის ვაჟთან ერთად მსურს ნადირობაზე მშვენიერ სეფი მირზას ვახლდეო“.

ყარაჯუღაი მყისვე მიხვდა, რომ იბრაჰიმმა არც ერთი ხანი არ დაასახელა. მაგრამ დამნაშავეა თუ არა თვითონ? არა მგონია, თორემ შაჰს არ გამოუტყდებოდა, როგორც უგუნური. იგი მარჯვედ გამოიყენეს უფრო ძლიერმა ავაზაკებმა, მაგრამ არც ერთი არ ჩავარდება, რადგან იბრაჰიმი ყველას გააფრთხილებს, იუსუფ-ხანიც იქნებაო. შაჰინშაჰი არ ინდომებს ანგარიში გაუსწოროს იბრაჰიმს, რომ ნამდვილი შეთქმულები არ გააფრთხოს.

— შენ ახლა ჩემი ჯაფარი ახსენე. მაგრამ რაკი სულეიმანი საჩქაროდ გაემგზავრა ავადმყოფ ძმასთან, ჩემი ვაჟი თუმცა გეწვევა, მაგრამ გეწვევა სეფი მირზას ამალაში და ერთი წუთითაც არ მოშორდება მას, რათა მეტად აბეზრებმა მირზას კმაყოფილება არ გააუგემურონ.

— განა შენ, ყარაჯუღაი, ღირსს არ გამხდი და არ მეწვევი?

— ალაჰი ხედავს, მესიამოვნება შენთან სტუმრობა! და თუ შაჰინშაჰი არ მიბრძანებს, მეახელო, შენ გეწვევი ლხინზე...

ლხინი! განა იგი ხანების თავებზე ნადირობას უფრო არ ჰგავდა? სეფის ამალა შაჰის მსტოვრებისაგან შედგებოდა. იუსუფი მეძებარს დაემსგავსა. მაგრამ მრავალი წარჩინებული ხანი ისე გულწრფელად მხიარულობდა, იმდენი კარგი უსურვეს შაჰ აბასს, და ისე აშკარად მიესალმნენ სეფის, რომ რამდენსაც არ აკვირდებოდა იუსუფ-ხანი და ერებ-ხანიც კი, საეჭვო ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

იბრაჰიმის ლხინის შემდეგ შაჰს ისევ სტანჯავდა ეჭვი. „ერთგულ მეძებართა მთელი ჯგრო და არც ერთი გამოგდებული მხეცი! კვამლი და ისიც კი უფრო ხელშესახებია, ვიდრე ხანის ნადირობის შედეგი. ალაჰ! სად არიან შეთქმულები? ისინი უნდა იყვნენ!.. მაშასადამე, იმედი აქვთ, რომ მოახერხებენ მოსპონ აბასი და ირანის შაჰად გამოაცხადონ სეფი? ნუთუ იმ მკრეხელთაგან სეფიმ არავინ არ იცის? ან, ბისმილაჰ, არა სურს გასცეს? მაგრამ მორიელსაც ხომ შეუძლია ანგელოზის გარსი მიიღოს? ტყუილად ხომ არ გაურბის სეფი ყველას...“

და სულ უფრო ჩაქუფრული ხდებოდა შაჰ აბასი. და სულ უფრო შეშფოთებული ისრესდა ნაიარავებს ყარაჯუღაი. და აი ანაზდად მხსნელი მოგზაურობა!

პირველად ვინ ჩამოაგდო ამაზე ლაპარაკი? შეიძლება, არც თვით შაჰმა, მაგრამ არ ეეჭვებოდა, რომ სწორედ მას მოუვიდა ეს ბედნიერი აზრი. თავის მრჩევლებს უთხრა, ირანის საქმეები დიდი ხანია მიწვევენ გილანში სამოგზაუროდო.

და მრჩევლები ზედიზედ არწმუნებდნენ, რომ თუ ეს მოგზაურობა არ მოეწყო, ისე არ გადაწყდება არც რუსეთისა და არც საქართველოს საქმეებიო.

შაჰ აბასმა ძეწკვს მოხსნა პირადი ბეჭედი, ყელზე რომ ეკიდა და დავათარი* იხმო. დავათარმა თავის ქამარზე მიმაგრებული სამელნე მოიხსნა, ბეჭედს მელანი წასცხო, დაიხარა და შაჰს გადასცა. სიტყვებმა:

---

* დავათარი. — შაჰის გადამწერი.

„სახელითა ალაჰისათა იყოს მშვიდობა
შაჰ აბასსა ზედა.
მონა რვისა და ოთხისა“,

რომლებიც შიშის ზარს ჰგვრიდნენ სპარსელებს, დაამტკიცეს ფირმანი.

და ყველაფერი ამოძრავდა...

მუეძინი ზეიმით მოუწოდებდა მართლმორწმუნეთ ლოცვისათვის. ეაჭრები თავგამეტებით აქებდნენ თავიანთ საქონელს. მგოსნებს ხელი ზეაღეპყროთ და ხმამაღლა მღეროდნენ:

ო, აბას, ხმალო ირანის,
გვიდგას მარადი დარი!
ქვეყანას მიეც სინათლე,
გახსენ სამოთხის კარი!

ყველა სიკეთე შენია!
ყურანის ცეცხლი გვათბობს!
მტრის ჯარი მოიგერია
ირანის ლომმა მარტო.

მეფეთა მეფეე, ამაყად
ჩვენთვის ცოცხლობ და სუნთქავ,
გოლიათების შამა ხარ,
გამარჯვებულო მუდამ!

მხოლოდ მტვერი და ნაცარი
არის სხვა მეფე შენთან.
შენ სიბრძნის წყაროც დასცალე,
ყველაფერს გრძნობ და ხედავ.

ო, აბას, შუქო ნუგეშის,
მიწა გიკოცნის ტერფებს!
ჩვენს რეშტში და ჩვენს გულებში
ბრწყინავს ისლამის მეფე!

მგოსნების ქებათა-ქებას გამოეხმაურნენ დერვიშები, ვარხკვლავთმრიცხველები და ზარაფები.

„ამაღლდეს დიდება მუჰამედისა! მან ინება და ოქროს ჭურჭელი არ აშორებია რეშტს!“

განთიადიდან პირველ ვარსკვლავებამდე ბუბუნებდა რეშტი, როგორც გახელებული სკა.

„ცხადიც ნუ გადაქცეულა სიზმრად!“ „შაჰ აბასმა, ირანის მზემ, თავისი ბრწყინვით გააბედნიერა მართლმორწმუნენი!“ „ბარექ-ალაჰ! დღესასწაულია!“ დერვიშებიც კი მხიარულობენ, რადგან უხვმა სხივებმა მათს ბნელ სენაკებშიც შეაღწიეს: „ჩვენი თვალის გუგა შაჰ აბასის ბუდეა!“ „აია ალაჰ, ო ალაჰ!“

მაგრამ რეშტის დიდ სიხარულს შაჰის ღიმილი არ გამოუწვევია. არა, შავი ჩრდილი დღითიდღე სულ უფრო სქლად უფარავდა სახეს. მიწისქვეშა ნაკადი განუხრელად უთხრიდა ძირს კლდეს. დღითიდღე სულ უფრო ბეჯითად ადევნებდა თვალყურს იუსუფ-ხანი დანაღვლიანებულ მპყრობელს.

ერთხელ დილით, როცა ხანები ჯერ კიდევ არ მისულიყვნენ კარავ-სასახლეში და შაჰი ბაღში ხმლის ქარქაშით ხაზავდა ზღვის სილაზე ლენქორანის გზას, იუსუფ-ხანი თითქოს შემთხვევით გამოვიდა გვერდით ხეივნიდან. ხანი მწუხარებით აქნევდა თავს და ნანობდა, რომ ახლა აქ არ იყო ალი-ბაინდური, რომელიც ქორივით იყნოსავს საკერძეს და გამოარკვევდა, რატომ სცემს ზოგიერთი ხანი მეტად დიდ პატივს სეფი მირზას.

შაჰი შეკრთა და მოითხოვა დაუყოვნებლივ დაესახელებინა ეპვმიტანილნი.

მაგრამ იუსუფი მეტად ცბიერი და ფრთხილი იყო: „ალაჰმა დაიფაროს განუსჯელნი, — გაიფიქრა მან, — ისინი, ვინც გაბედა ჩრდილი მიეყენებინა ყარაჯულაის ან ერებ-ხანის მეგობრებისათვის!“ და ხანმა ნაღვლიანად წაიჩურჩულა:

— მრავალი ქვეყნის დიდო მბრძანებელო! ალაჰმა ღირსი არ გახადა მორჩილი იუსუფი აღმოეჩინა შენი მტრები, თორეე დიდი ხნის წინათ დაახრჩობდა მათ. მაგრამ... გონების თვალი განმინათლოს წმიდა ჰუსეინმა! იმ წყეულ წერილში რატომ არის მოხსენიებული გურჯისტანი?

— თქვი, ხანო! და ფრთხილად იყავ, რომ შავი ჩრდილი არ მიაყენო ჩემს ახლობლებს! — მოულოდნელად მრისხანედ წარმოთქვა შაჰმა. — თქვი!

— შაჰინშაჰ! — წაიბლუკუნა შეშინებულმა ხანმა. — მე...

მე... იქნებ ლუარსაბის მომხრენი ფიქრობენ — ტვინიც გამოფიტვიათ მათ! რომ სეფი მირზა გაათავისუფლებს თავის ბიძას?

განცვიფრებული შაჰი გაქვავებულივით შედგა. „კელავ ლუარსაბი! ო ალაჰ! მთელი ბოროტმოქმედების ხლართი გულაბის ციხიდან მოდის დევლეთ-ხანეში! სეფის დედა ქართველია, ხოლო სისხლის ერთობა სარწმუნოების ერთობა არ არის? მაშინ... გონიერება მიკარნახებს მახსოვდეს ძაფის ორი ბოლო. და რომ რუსეთმა ვეღარაფრისაგან ქსოვოს ბადე, რათა შიგ ირანი გახვიოს, უნდა მოისპოს ერთი ბოლო, რომელიც სეფის უპირავს, და არ დავინდო მეორე, ლუარსაბს რომ უკავია ალაჰ! რატომ მე, შაჰ აბასს, გამჭრიახთა შორის უგამჭრიახესს ადრე არ მომივიდა აზრად ასეთი რამ?“ მაგრამ, რაკი არ სურდა იუსუფის წინაშე მიუხვედრელი გამოსულიყო, ზიზღით თქვა:

— ჭეშმარიტად, ხანო, მოუსაზრებლობა დიდი მანკია, განსაკუთრებით ომში. შენ თავში მოგდის სასაცილო ფიქრები. გურჯისტანი ახსენეს უბადრუკმა უგუნურებმა, რაკი იმედი ჰქონდათ, რომ ეს აიძულებდა ჩემს სეფის არ გაემხილა გამცემლური წერილი. მაგრამ ჩემმა კეთილშობილმა სეფიმ უგულებელყო მათი ხრიკები. იცოდე, მოუსაზრებელო: გურჯისტანი საფარია! ო ყვითელი შაითნების კუდის მქონენო, ვისი მოტყუების იმედი გქონდათ?

თავის თავზე გაჯავრებულმა იუსუფ-ხანმა მლიქვნელურად შეასხა ქება-დიდება „ირანის ლომის“ სიბრძნეს.

შაჰმა ბრძანება გასცა გაეძლიერებინათ მცველები. გარშემო, შუბებსდაყრდნობილნი, იდგნენ მოგუშაგე სარბაზები, მამლუქები. ყოველ კუთხეში მზად ჰქონდათ ხმლები, ორი, ჯაჭვით დაბმული ვეფხვი იცავდა კარავ-სასახლის შესასვლელს. და ეს ღონისძიებანი, ვით დაცინვა, მუდამ მოაგონებდნენ შაჰს საფრთხეს. ღამეებს მისთვის შვება არ მოჰქონდა. იგი კვლავ რამდენჯერმე იცვლიდა საწოლ ოთახს. „ჭეშმარიტებას რიდე მოშორდა! — წუხდა შაჰი. — ესენი ლუარსაბის მომხრენი არიან! ხოლო სეფის დედა განა ქართველი არ არის? ო ალაჰ, ნუ წამართმევ ნდობას ჩემი ლელუსადმი! ნუ წამართმევ! რადგან მხოლოდ მასთან ვპოვებ მოსვენებას ჩემი მწვე-

ლი ცეცხლისაგან! არა! ჩემმა ლელუმ სრულიად არაფერი არ იცის. მას ხომ ათასგზის შეეძლო ჩემს ტუჩთან მოეტანა მოწამლული სასმელი ან შემოეშვა მოღალატენი თავის მგზნებარედ საყვარელი სეფის მეთაურობით, როცა უდარდელად ვტკბებოდი მოსვენებით მის სამყოფელში. ხოლო მუსაიბი? ჩემი ერთგული მუსაიბი — ის, ვით მთვარე, არასოდეს არ ცდება თავის გზაზე. დიახ, ჩემს ლელუს ისე ვუყვარვარ, როგორც თვეზს წყალი! მას კეთილშობილება სჩვევია... რადგან იგი მეფის ქალიშვილია!"

რამდენიმე დღეს შაჰი სასეირნოდ არ გასულა, მრჩევლები არ შეუკრებია. მრისხანედ წარბშეკრული, იჯდა მართლმორწმუნეთა მბრძანებელი და ფირდოუსის გაშლილი წიგნი წინ ედო.

ხანები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: „დიდ არს ალაჰი, მან შაჰს დიდმნიშვნელოვანი საფიქრებელი მისცა!"

ყარაჯუღაი ლურჯ ნაიარავებს ისრესდა მარცხენა ლოყაზე და ჰეფეზეს მწუხარედ ეუბნებოდა:

— ვერ ერევა შაჰი აკვიატებულ ნაღველს.

მუსაიბი წყნარად შესჩიოდა მრჩევლებს:

მთელი ჰარამხანის ფარულად ღვრიდა ცრემლს თინათინი: „ო ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, დაიცავ და შეიწყნარე ჩემი სეფი!"

კარავ-სასახლე სავსე იყო მოყრუებული ოხვრითა და ოდნავ გასაგონი ფაჩუნით.

და აი სწორედ დროზე რეშტს მოვიდნენ ისა-ხანი და ხოსრო მირზა. უადგილო სიხარული ბრწყინავდა მათს სახეზე. და ეს მართალია — რა ესაქმებათ მათ ნაჭყლეტ ბუზებივით მცოცავ მრჩევლებთან? განა ისინი, მხედართმთავრები, დაბრუნდნენ ნახევარზე მეტად შემცირებული ჯარით?

„ო რაოდენ მოწყალეა ალაჰი! ამის გაგონება უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე დანახვა!"

და შაჰის იქ არ ყოფნით აღფრთოვანებულმა მხედართმთავრებმა შეთხელებული ჯარი მამედ-ხანის მზრუნველობით ისპაჰანს დატოვეს, თვითონ კი მდიდარი საჩუქრებით ჯერ

ქაშანისა და ყაზვინის გზებით გაეშურნენ, შემდეგ კი ლანგერუდის გზით.

მხედართმთავრები არ შემცდარან: ქართლსა და კახეთში რომ დიდი გამარჯვების ამბავი შეიტყო, შაჰი შემწყნარებლურად შეხვდა ჯარის ერთგვარ ზარალს.

— ხედავს შაითანი, რომ როცა ცოფიანი ძაღლებითა და აფთრებით გაძლიერებულ „ვეფხვის“ ჯარს ებრძვი, არ შეიძლება სარბაზების სრული შენარჩუნების იმედი გექნეს.

მაგრამ ოსმალოებზე შაჰმა გულის ჯავრი იყარა და განაცხადა: ინშალაჰ, სარბაზები საკმაოდ დაბრუნდნენ ისპაჰანს, რომ მისი, „ირანის ლომის“ ბრძანებით გურჯისტანს დაბრუნდნენ და დასაჯონ ნახევარმთვარის მოუსვენარი ქოფაკები, რომლებმაც, შეთანხმების საწინააღმდეგოდ, გაბედეს დახმარებოდნენ მამაძაღლ სააკაძეს.

დიდხანს ლაპარაკობდნენ ისა-ხანი და ხოსრო მირზა თავიანთ გმირობაზე დაპყრობილ ქართლსა და კახეთში. შაჰი ყურს უგდებდა დაბმული ვეფხვების ჯაჭვების ჩხრიალს, ხელს არ აშორებდა ალმასებით მოჭედილ ხმლის ტარს, მოწყალედ აქნევდა თავს და უეცრად იკითხა:

— ხანები, მეტად შემწყნარებლად ხომ არ ეპყრობოდით კათალიკოსს? როგორ გაბედა მან არ ეცნო ზეცის წარმოგზავნილი „ირანის ლომი?“.

— ქვეყნებისა და ზღვების მბრძანებელო! — ფრთხილად დაიწყო ხოსრო მირზამ. — კათალიკოსი იმდენად დამნაშავე როდია, — ხალხს არ უყვარს სეიმონ მეფე.

— ხალხს? როგორ ბედავენ საზიზღრები თავიანთი აზრი იქონიონ? რატომ მდინარეები არ შეღებეთ იმათი სისხლით? რატომ არ გააძღეთ იმათი ლეშით გურჯისტანის ყველა ქორი?!

— დიდთა შორის უდიდესო, „ირანის მზეო“, სწორედ აგრე მოვიქეცით. კახეთში თითქმის ვერავისგან აიღებ ხარკს, ქართლში ყველა რაბათი * დაცარიელებულია. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ან ყველაფერი დაკარგა, ან მოსპობილია. კათალიკოსი არ ჩარეულა, მაგრამ საკაძე უფრო ხმამაღლა ყვირო-

* რაბათი — გარეუბანი.

და: „ომი მჩაგვრელებს! სპარსელთა ულმობელი გაჟლეტა! შურისგება მკვლელობისათვის!“. კიდევ ბევრ რამეს გაიძახოდა წყეული მოღალატე, და ხალხი გაეშურა მისკენ და შველას თხოვდა. — ხოსრომ თვალი მოავლო ისა-ხანს. — რათა შეგვემცირებინა უმადური გურჯების ლტოლვა საკაძესთან, იძულებული გავხდით თბილისისათვის ხელი არ გვეხლო. და კიდევ იმიტომ, რომ შენს ერთგულ მეფე სვიმონს ეშინოდა ნანგრევებზე მეფობისა.

— ბისმილაჰ! იმ სახედარს კი არა, ცბიერ შადიმანს ეშინოდა, რადგან იგი მეფობს. თქვენ კი, ხანებო, თვით ალაჰმა გიკარნახათ არ ჩაბმულიყავით ომში თურქებთან, რადგან ახლა დრო არ არის, დაე მოიცადონ, სანამ განზრახულს შევასრულებდე... თუ გურჯისტანიდან სპარსეთის ჯარები წამოვიდნენ, ირანის მოღალატე ჭკუიანი საკაძე თურქებს ქართლში არ შეუშვებს. მაშასადამე, უნდათ საკაძე მეფედ დასვან? სვიმონი კი ქართლელებს არ უყვართ?

— შაჰინშაჰ, — სწრაფად მიუგო ერებ-ხანმა, — აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ პოეტის სიბრძნე:

— რატომ ციმციმებს სანთელი ღამით, ხან ჩანს და ხან არ ჩანს?
რად ბორგავს სული და გული ყოველთვის ადამიანთა?
— მხოლოდ იმიტომ, რომ პირველს ცხიმი აკლია მარადჟამს,
ხოლო მეორეს პირიქით — ცხიმი მეტი აქვს ნიადაგ.

შაჰმა კმაყოფილებით შეხედა საყვარელ ხანს. შაჰის შემდეგ ყველამ მადლობა გადაუხადა მხიარულ ერებს.

— სმენა დამიტკბო საამო ამბავმა: ქართლელებს, რომელთაც „ირანის ლომის“ არ ეშინიათ, მამაძაღლი საკაძე სურთ მეფედ დასვან?

— არა, შაჰინშაჰ, თეიმურაზი, ტურის შვილი.

შაჰმა მტკივნეულად მოუჭირა ხელი ხმლის ტარს: „თეიმურაზი? ვინ უფრო საშიშია ირანისათვის, ის თუ საკაძე? ხედავს ალაჰი — უძლეველი!“

შაჰი მკაცრად უცქეროდა ხოსროს, რომელიც, აბნეული თვალით ემუდარებოდა ისა-ხანს, მიშველეო.

ისა-ხანი ფიქრში იყო: „ხედავს გაბრიელი, ძლიერ ხშირად არ უნდა შეეხოთ გურჯისტანს. არა, მე მოსისხარი არა ვარ,

და შეძენისათვის არასოდეს არ დამიქცევია დაპყრობილი ქვეყნები, ტყუილად არ გამიჟლეტია სხვა ხალხი. არა, მე, ისა, ნამდვილი მხედართმთავარი ვარ..“

აქ ისა-ხანს ფიქრში ენა დაება: „მუჰამედსაც ნუ უნებებია, სხვა მისწვდომოდეს ჩემს ფიქრებს!“. ვაი, რომ იგი, ისა-ხანი, აღტაცებულია უძლეველით. გულში უხარია ხოსრო მირზას მარცხი, რომ ვერ დაატყვევა სააკაძე. მოწმეა ჰუსეინი, კმარა სისხლი! განა მხეცობა სახელს უხვევს ვისმე?

შაჰი გამომცდელი თვალით აკვირდებოდა გაჩუმებულ მხედართმთავრებს: „ისინი მართალი არიან, არ შეიძლება უპასუხო ალაჰის დაყენებულს, თუ გულდასმით, ფირუზივით არ შეარჩიე სიტყვები“.

„ან რით არის ცუდი, თუ სააკაძემ, შაითანის შვილმა, — ფიქრობდა ისა-ხანი, — მიიტაცა ბაგრატიონების ტახტი? რით არის კოჭდაბალი სახედარი სვიმონი დიდ „ვეფხვ“ გიორგიზე უფრო ღირსეული?“ — და უეცრად წარმოთქვა:

— ამაღლდეს დიდება შენი, შაჰინშაჰ! გურჯები ელოდებიან თეიმურაზს, რადგან იგი ბაგრატიონია. ხოსრო მირზა დაბადებულია ბაგრატიონად და, თუმცა მუსლიმობის ღირსი გახდა, თბილისელები მუდამ მიესალმებოდნენ შეძახილებით: „ცოცხლობდეს მარად შაჰინშაჰი! დაე მოწყალედ გვფენდეს სხივებს „ირანის მზე“. რადგან ხოსრო მირზა განადიდებდა ჭრისხანე, მაგრამ სამართლიანი შაჰ აბასის სახელს, სამართლიანად სჯიდა და იცავდა, ვინც დაიმსახურა. და სასულიერო პირები არ ერიდებოდნენ მირზას, როგორც გაურბოდნენ სვიმონს.

— ხომ არ გინდა თქვა, ჩემო სიძევ, — ჩაიცინა შაჰმა, — რომ საქართველოსათვის ყველაზე შესაფერისი მეფე ხოსრო მირზაა?

— ჩემო დიდო მბრძანებელო, შესაფერისი ის არის, ვისაც ბრძენი შაჰინშაჰი აღნიშნავს. მე მხოლოდ, შენი მონა, ებედავ ეიფიქრო, რომ თეიმურაზი ირანს არ შეეფერება.

— მაჰმადი გფარავს, ჩემო მამაცო ისა-ხან, შენ მართალი ხარ. ინშალაჰ! ხოსრო მირზა ჩემი ერთგულებისათვის გურჯისტანის ტახტის ღირსი გახდება. მაგრამ ჯერ თეიმურაზი

უნდა მოისპოს. ქართლის გამო დამშვიდებული ვარ: შადიმანი მტკიცედ მყავს ფეხზე გამობმული, რადგან საკაძე ფეხქვეშ ეგება სულთანს.

— მოწყალეო, ვით ზეცა, დღესა და ღამეს, მზესა და მთვარეს, ვარსკვლავებსა და ციაგს რომ გვანიჭებს, შაჰინშაჰ! ყველაფერი შენ გმონებს! მიბრძანე, ვადიდო მტრებისათვის მრისხანე სახელი შენი ბრძოლებსა და სამშვიდობო საქმეებში.

როგორც წიხასწარ იცოდა ხოსრომ ჯერ კიდევ თბილისში, შაჰმა შემწყნარებლურად მოიწონა ისა-ხანისა და ხოსრო მირზას მოქმედება, უხვად დაასაჩუქრა ორივე და ხოსროს „კარის-კაცთა უფროსობა“ უბოძა. შაჰმა ხუმრობით თქვა, რომ მირზას მალე მოუხდება ისპაპანში აქლემს აჰკიდოს თავისი ბედი და ჩამოხსნას კახეთში, მამის ტახტის ახლოს, რათა დაიკავოს იგი სამართლითაც და გემოვნებითაც. თეიმურაზს კი, რომ არ მოიწყინოს, უნდა შევთავაზოთ იმერეთის ტახტის ფეხი, დაე ღრღნას.

მარტოდ რომ დარჩნენ, ისა-ხანი და ხოსრო ქება-დიდებას ასხამდნენ შაჰს მათდამი სამართლიანი მოპყრობისათვის, თავიანთ თავს კი — სიმარჯვისათვის, რომლითაც თავი დაიცვეს საფრთხისაგან.

ხოსრო კი აშკარა სიხარულს მიეცა: კახეთის ტახტი, ვით ტახტრევანდი თეთრ აქლემზე, სადღაც სულ ახლოს ეჩვენებოდა! მაგრამ... როგორც ყველაფერი აწონ-დაწონა თბილისში, გურჯისტანის გათიშვა არა ღირს, მით უმეტეს, რომ ქართლის ტახტი, როგორც მოსწრებულად თქვა ხორეშანმა, სვიმონ მეორის დანახვისას ცრემლს ღვრის. „ხოლო თბილისელებმა იციან, რომ მე ვიცავდი ქართლის მთავარ ქალაქს. იცის შადიმანმაც, რომ არ უგულვებელვყოფ თავადთა ინტერესებს, და უკვე ამის გამო სვიმონს სიამით გაცვლის ხოსროში. ეკლესიაც კმაყოფილია ჩემით — თბილისის დაცვისა და უხვი საჩუქრებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ არ ვერეოდი დავაში — ეკურთხებინათ სვიმონი მცხეთაში თუ არა“.

ოცნებობდა ხოსრო მირზა და არ ვარაუდობდა, რომ ქართლის ბაგრატიონების გვირგვინი აგერ-აგერ აბრწყინდება მის თავზე და რომ სწორედ მას უწერია გახდეს სასურველი მეფე

ქართლ-კახეთის პრივილეგირებულ წოდებათათვის და თავისი ფრთხილი და ზომიერი პოლიტიკით მოინადიროს საქართველოს ძლიერი მფლობელების, მის ნახევარმეფეთა გული.

და კვლავ ცისფერ ქერმანშაჰებში ისმოდა დახშული ხმები. ორ დღეს ეთათბირებოდა შაჰ აბასი თავის მრჩეველებს. ისახანმა საპატიო ადგილი დაიკავა მათ შორის, ხოსრო კი მოწყალედ დაშვებულ იქნა თათბირზე. შაჰმა სხვათა შორის თქვა: „დაე ისწავლოს სამეფოს მართვა". მეორე საღამოს ბოლოს შაჰმა იკითხა: მიაჩნიათ თუ არა ხანებს შესაძლებლად მისი გეგმა: რუსეთი და თურქეთი შორს გადასწიოს ირანის საზღვრებიდან? და ხომ არ ჰგონიათ, რომ სამი ახალი სამხედრო გზა და რეშტის ციხე ირანს მიუწვდომელს გახდიან ჩრდილოეთის მტრებისათვის სამივე მხრიდან?

ხანები კიდევაც განცვიფრდნენ: როგორ გაბედავდნენ თავი არ მოეხარათ დიდი შაჰ აბასის ბრძნული გადაწყვეტილების წინაშე? განა შაჰინშაჰმა არ აიყვანა სამეფო მზის ბრწყინვალებამდე? განა მას, წინასწარმეტყველის ჰეშმარიტებათა მცველს, არ უნდა უმადლოდნენ მართლმორწმუნენი დიდებულ მეჩეთებს, არაჩვეულებრივ ხიდებს, აყვავებულ ბაღებს? აბა რომელი შაჰია კიდევ ესოდენ კეთილმოსურნე თავისი ქვეშევრდომებისათვის? შაჰმა მოისმინა კიდევ იმდენი ხოტბა, რამდენსაც დამყარებული წესრიგი მოითხოვდა, უეცრად შეიკრა წარბი და მრისხანედ იკითხა: — რა უნდა ექნათ, თუ ირანის შემდგომი აყვავების გზაზე დაბრკოლება წარმოიშვა?

— ბისმილაჰ! აღიკვეთოს მახვილით, ცეცხლითა და წყლით!

— მართალი ხარ, ჩემო ხანო... სწორედ აგრე ვიზამ.

ყარაჯუღაიმ დილის ნამაზის შესრულება ვერ მოასწრო, რომ გუშაგთუფროსმა მოირბინა და განაცხადა: შაჰინშაჰი გიბარებსო.

— ხანთა ხანო, — ცოტა დუმილის შემდეგ გულგრილად დაიწყო შაჰმა, როგორც კი ყარაჯუღაი დაჯდა ხალიჩაზე მ ი ს-

გან დაწესებულ მანძილზე, — აუცილებლად უნდა აღიკვეთოს დაბრკოლება, რომელიც ხელს მიშლის მშვიდად განვაგებდე სამეფოს... მზად არის თუ არა შენი მახვილი?

— ბისმილაჰ! ყველა შენი სურვილი ჩემს თავზე იყოს! და არა მარტო მე ვიშიშვლებ მახვილს, არამედ მთელი ირანი!

— ალაჰმა წინასწარგანსაზღვრა შენი მახვილი — დაე აღსრულდეს ის, რაც უნდა აღსრულდეს... ბზარი ჩემს გულში დიდია, ვით ძველისძველ ქვაში, იგი შლის ჩემი ფიქრების მწყობრს... რადგან სანამ ცოცხალია სეფი მირზა, ირანის მბრძანებელს არ შეუძლია მშვიდად იცხოვროს დღისით და სამგზის იცვლის სარეცელს ღამით.

გაოცებული ყარაჯუღაი დუმდა. სახე დაეღმიჭა შაჰს, მოუთმენლად გააგდო კრიალოსანი და წინ წამოიწია.

— მაცნობეს, რომ შეთქმულნი გამომყვნენ აქ, რეშტში. და სეფი ღალატისაკენ იხრება, — რადგან მაშინ იგი არა მარტო დაეუფლება ირანს, არამედ კიდევაც გაათავისუფლებს ლუარსაბს. გურჯისტანი! ო, უნასთა ბუდე! მან მომწყვიტა გულზე შვილი! შურისგება ალაჰისათვის!

„სატანავ, მაღირსე პასუხი: მძინავს, თუ შენთან ვლხინობ?!“ — ელვასავით გაკრთა ყარაჯუღაის თავში.

ზღურბლზე ვეფხვები ბრდღვინავდნენ, სადღაც ერთმანეთს უხმობდნენ მამლუქები, სულის შემხუთავი სიცხე იყო, სადღაც ახლოს ზუზუნებდა კოღო, თითქოს ვიღაც ბნელეთის წიაღიდან ათასობით უხილავ სიმს ჭიმავსო. და საშინელი გახდა სინამდვილე, ულმობელი, დამთრგუნველი! ნების უზომო დაძაბვით ხანმა თავი შეიკავა და წამოიძახა:

— დიდ არს შაჰ აბასი!

იგი ტყუილად არწმუნებდა გულმხურვალედ, ფიცით, რომ სეფის ცილი დასწამეს ბოროტგამზრახველებმა, რომელთაც სურთ თავიანთი რაღაც მდაბალი მიზნისათვის დაღუპონ მშვენიერი, სულითა და ფიქრით წმიდა სეფი მირზა.

შაჰმა მრისხანედ ჩაიქნია ხელი, უზომო სიმწარეს განიცდიდა.

— ო ფირდოუს, შენ მართალი ხარ!

თუ საბოლოოდ გაგწირავს ბედი,
ეეღარ იპოვნი ნაღვლიან გზაზე
ერთგულ მეგობარს — სიკეთით სავსეს...

ყარაჯუღაიმ თავი ჩაჰკიდა, თითქოს ბრალდების სიმძიმე დააწვაო. მაგრამ განა იგი გულგრილია შაჰის სულიერი წუხილისადმი?..

— რა უფრო მნიშვნელოვანია, — უკვე ყვიროდა შაჰი, — სეფის სიცოცხლე თუ ირანის კეთილდღეობა? საზიზღარმა, მამაძაღლმა საკაძემაც კი გადაწყვიტა, რომ ქართლი უფრო მნიშვნელოვანია პაატაზე. ბედო, ო, ბედო! შენ უღალატე აბასს! — და უეცრად მკაცრად, ისეთი ხმით, რომელიც წინააღმდეგობას ვერ მოითმენდა, თქვა: — შენ განგმირავ სეფი მირზას გულს! შენ, ყარაჯუღაი-ხანო, საბრძოლო მახვილით! შენ განდობ, ხანო, ღირსეულ საქმეს! შენ განდობ ჭმუნვა მოაშორო ზეცის დაყენებულის შუბლს! განა ეს მოწყალება არ არის?!

ყარაჯუღაიმ ხმალი შემოიხსნა და შაჰს ფეხებში ჩაუვარდა.

— ვფიცავ თორმეტ იმამს, ჩემთვის უფრო ადვილია საკუთარი თავის დაკარგვა, ვიდრე „ირანის ლომის“ ვაჟის გულის ხელყოფა! — და მოულოდნელი სიმტკიცით, რაკი წრფელი აღელვება დასძლია: — ალაჰმა მიბოძა ბედნიერება მქონდეს მეფეთ მეფის ნდობა! მე უკუვაგდე მტერი ბაღდადიდან, მონა ვიყავ და მხედართმთავარი, ირანის ხანი გავხდი. შენი ბოძებული სიკეთე ესოდენ დიდია, რომ არა თუ არ ძალმიძს ჩავიდინო დიდი ბოროტმოქმედება, არამედ ფიქრადაც ვერ ვბედავ ცუდი რამ განვიზრახო სეფევიდების წმიდა სისხლის წინააღმდეგ. შენი სისხლი უკვდავია!

წუთით შუქის მსგავსი რამ გაკრთა შაჰის თვალებში. და, თითქოს მიწისქვეშა ბიძგითო, იგი დაბარბაცდა და ყრუდ წარმოთქვა:

— წადი, ყარაჯუღაი, გამიშვიხარ. მაგრამ იცოდე: დამამწუხრე შენი სიბრმავით!..

„ირანის ლომი“ უეცრად მშვიდი გახდა, ვით შუბი პირამიდაში, შემოსევლის გამგესთან ერთად ანგარიშობდა, რამდენი ოქროს თუმანი უნდა შემოიტანოს გილანმა გზების გასაყვანადო, მერე ფლავი ძიირთვა და დიუშაბი დააყოლა. საღამოს შაჰმა ინდური ჯავშანი ჩაიცვა ოქროსფერი ფარის ქვეშ: „როცა საზიზღარ ავაზაკთან შესვედრას ელოდები, სიფრთხილე არ უნდა თვლემდეს“ და უბრძანა, ბულათ-ბეგი მიხმეთო.

ბულათ-ბეგი ეახლა.

შაჰ აბასი გულცივი და დიდებული იყო. სამეფო სიმაღლიდან თითქოს სიტყვებს კი არა, დანებს ისვრისო.

— ბულათ-ბეგ, შეგიძლია ყაზვინის მმართველი გახდე! თქვი: „გემორჩილები-თქო!..“

კარავ-სასახლიდან ბულათ-ბეგი ბედნიერი და ქედმაღალი გამოვიდა. იგი გულში იხუტებდა მბრძანებლის მიერ მისთვის გადაცემულ „ლალის ლომს, რომელიც მასვილით გმირავს ჯიქს“, — „სიკვდილის ბეჭედს“.

ყარაჯუღაი მძიმე ნაბიჯით მიდიოდა ისა-ხანისას. ყოველგვარი სურვილი გაქრა, ვით ყინული ცხელ ტაფაზე, დარჩა ერთი რამ — საშინელი უბედურების თავიდან აცილება.

„მაგრამ ისურვებს თუ არა ისა ჩარევას? მან ხომ ძლივს აიცილა თავიდან შაჰის რისხვა, რადგან, თუმცა ბულბულივით გალობდა, მაგრამ გურჯისტანში იმაზე მეტი ჯარი შემოეხარჯა, რაც შესაწყნარებელია გამარჯვებულისათვის. და ვინ დაამარცხეს მან და ხოსრომ? სააკაძე? ცოცხალია, უვნებელია და კვლავ იქნევს ხმალს! თეიმურაზი? მაგრამ ისიც კვლავ აპირებს დაიბრუნოს თავისი სამეფო. ბისმილაჰ! ჯერ კიდევ ბევრი ომი დაგეჭირდება, სანამ გურჯისტანი ირანის სამფლობელო გახდებოდეს. მაგრამ ჯერ დრო არ არის თვალი ავუხილოთ შაჰს სიმართლისათვის. სასიამოვნო ისა-ხანმა მეც კი მომიტანა საჩუქარი. ერებს კი — ისეთი ღვინო, რომ, როგორც ხანი გვარწმუნებს, ანგელოზების გამასპინძლებაც არ იქნება სასირცხვო. აი ახლაც ალაჰმა მომაგონა, რომ ისა შაჰის საყვარელი დის ქმარია. რა გამახსენდა? ღვინო? სისხლი უნდა მახსოვდეს!

ულირსობაა შეცბუნება და შეშფოთება განაცდევინო წარჩინებულ მხედართმთავარს!“

ყარაჯუღაი მკვეთრად გაბრუნდა თავისი კარვისაკენ. ორმა ზანგმა, რომელთაც ჭრელი ყაუხი ეხურათ, შუბები განზე გასწიეს. იგი ჰეფეზესაკენ გაემართა, მაგრამ ანაზდად შედგა ჩაფიქრებული: „ჰეფეზე! დიახ, იგი არ დააყოვნებს გააფრთხილოს დიდსულოვანი ხანუმ ლელუ. ხოლო ლელუ, ვფიცავ ალის მარჯვენას, შაჰთან გაეშურება სეფის გადასარჩენად. რას არ მოიქმედებს ლელუ ერთადერთი საღმერთებელი შვილისათვის! არა მარტო შაჰის ბანაკს, არამედ მთელ რეშტს შეუძლია შეიტყოს, „ირანის ლომის“ არასახარბიელო საქციელი! ატყდება დრტვინვა და... ყველა ხანი როდი მოუწონებს მბრძანებელს. ალაჰს სიძუნწე არ გამოუჩენია იმ საშუალებათა გამო, რომლებითაც შაჰინშაჰს შეუძლია დაიმორჩილოს თავისი მონები, მაგრამ მისი სახელი — შვილის მკვლელის სახელი — შეიძლება კიდევაც დაიჩრდილოს. მერე ვინ იქნება ყველაფერში დამნაშავე? ერთ-ერთი ერთგული ხანი, რადგან მხოლოდ მე... და მეტი არავისათვის გაუმხელია შაჰს და, ინშალაჰ, არც გაუმხელს საშინელ განზრახვას. ქება და დიდება ალაჰს, მან დაგმო ჩემი განზრახვა, რადგან ჩემთვის უმჯობესია დავკარგო სიცოცხლე, ვიდრე შაჰის ნდობა!“

ყარაჯუღაიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ მას ემახსოვრება სისხლი.

გავიდა დღე, მერე კიდევ დღე და გათენდა დილა, როცა ალაჰმა ინება უხვი ხელით დაეტეხა თავს რეშტისათვის უზომო მწუხარება.

სეფი ცხენით ბრუნდებოდა ბანაობიდან და ტკბებოდა ვარდისფერი მზით, ის იყო გრილ ცაზე რომ ამოვიდა. მხოლოდ ახალგაზრდა ქეშიკი ახლდა სეფის. იგი საამო სიმშვიდესთან ერთად გრძნობდა ზღვის სიგრილეს და უღიმოდა რაღაც ნათელ მოგონებათ — შესაძლოა თოვლივით თეთრ მეთოლიას, ფრთით რომ მწვანე ტალღაზე უცნაური ნახატი გამოჰყავდა, ან იქნებ აფრას, ისარივით რომ ისწრაფვოდა შორს...

ჯორები ზანტად სერავდნენ დაჭაობებულ მინდორს, ხოლო ლურჯ ნისლში მაღლა გაჩერებულიყო ღრუბელი, გაპენტილ ბამბას რომ ჰგავდა.

სეფი გააცინა აყლარწულმა ყანჩამ, მედიდურად რომ იდგა თავის გრძელ წითელ ფეხებზე შორს, შუა ჭაობში, სადაც განაწილებულიყვნენ ბაყაყები. „მთლად ხანს ჰგავს, რომელსაც წითელი ფეხსაცმელი აცვია და თავის მამულს ათვალიერებს“, — ხმამაღლა გაიცინა სეფიმ.

ანაზდად ლელიანიდან გამოძვრა ბულათ-ბეგი, შეუბღვირა და გზა გადაუღობა მირზას.

— ჩამოხდი, სეფი მირზა! — ავად წამოიყვირა მან და ჯორს ლაგამში სტაცა ხელი. — შაჰინშაჰის სახელით!

ოდნავ გაკვირვებული სეფი აუჩქარებლად ჩამოხდა ჯორიდან, უზანგი გაასწორა, ბულათ-ბეგისაკენ მიბრუნდა, ალერსიანად მიესალმა და ელოდებოდა მოესმინა თავისი დიდი მამის მორიგი ბრძანება: დაეთვალიერებინა რეშტელ მოისართა ათასეული ან ზღვის ნაპირზე აერჩია ადგილი ციხის ჩრდილოეთის გალავნის ასაგებად.

ბულათ-ბეგს უნდოდა რაღაც წამოეძახა, მაგრამ სეფის ნაცვლად მის წინ აღიმართა ყაზვინის გალავანი, რომლის ახლოს დაეხორებინათ ოქროთი სავსე ტომრები. ხედავს მაჰმადი, ეს არის ის ოქრო, რომელსაც დაჩაგრულ ყაზვინელებს ასწაპნის. აი კიდევ ცხენები, შეეარდნები, შალი, ხალიჩები, რომლებსაც ფეშქაშად მიიღებს მთხოვნელთაგან. ბულათ-ბეგმა ავხორცად მოჭუტა თვალები და, უკვე როგორც ყაზვინის სრულუფლებიანმა მბრძანებელმა, ქედმაღლურად წარმოთქვა:

— შენი, ლომის მსგავსი, მამის, ყოვლისშემძლე შაჰ აბასის ბრძანებით, შენ უნდა მოკვდე!

— როგორ გაბედე, საზიზღარო!

— არა მე! ვფიცავ — შაჰინშაჰმა!

— შენი ბაგენი სიცრუეს როშავენ!

— გონს მოდი, მირზა! ირანში ვინ გაბედავს შაჰ აბასის სახელით იხუმროს?

— ალაჰ! — წამოიძახა მირზამ ტკივილისაგან, გული რომ

მყის გაუმსჭვალა. — რა დამიშავებია მამაჩემის წინაშე? ვინ ცდილობს მოღალატურად დამღუპოს?

— მირზა, ნუ სცდი „ირანის ლომის“ მოთმინებას, ის ელოდება!

— ო ცავ, შენ დღეს განსაკუთრებით მოწმენდილი ხარ! ჩემო მშვენიერო დედავ! შენ ვერ აიტან მწუხარებას, სატანამ რომ განგიმზადა! შენი ტანჯვის გამო, ვალდებული ვარ ვინასულო მამა! დაე მითხრას, რად დამიწესა მკვლელის ხელით დაღუპვა?

სეფის უნდოდა მოხტომოდა ჯორს, მაგრამ გაალქაჯებული ბულათ-ბეგი წინ გამოიჭრა, რადგან შეეშინდა, ყაზვინი მოჩვენებასავით არ გამქრალიყო. წუთიც, და ხელი სტაცა სეფის ქამარში.

— კარგია ალაჰის პურს მიირთმევდე და შაითანს მეგობრობდე? დამმორჩილდი! შაჰ აბასის ნება უზენაესის ნებაა! როგორ ბედავ შემოდავებას? და ხედავს ალი, მაუბუქი სიკვდილი სჯობს წამებასა და ტანჯვას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გასცე შენი თანამონაწილენი! შენ გინდოდა მოგეკლა შაჰ აბასი, დაგეკავებინა მისი ტახტი! შენ მირზა კი არა, არამედ...

— ჩუმად, საზიზღარო! — წაიჩურჩულა სეფიმ, რომელიც გრძნობდა, როგორ სწვავდა ცრემლი, უკანასკნელი ცრემლი სიცოცხლეში. — თავსაც დაგტეხია დედაჩემის მრავალი უბედურება! ჩამომეცალე! მე შაჰინშაჰთან მივდივარ! — და ხელი ჰკრა ბულათ-ბეგს.

ბულათ-ბეგი განზე გახტა, თვალის დახამხამებაში იძრო ქამრიდან „სიკვდილის ბეჭედი“ და აღმართა „ლალის ლომი, მახვილით რომ გმირავს ჯიქს“.

სეფი მირზამ უკან გადადგა ერთი ნაბიჯი, თვალი ვერ მოეშორებინა სიკვდილის მაუწყებლისათვის.

— დიდ არს შაჰ აბასი! — წაიჩურჩულა გაფითრებულმა სეფიმ. — დაე აღსრულდეს ალაჰისა და შაჰ აბასის ნება! — და გაიგლიჯა ღრუბელივით თეთრი პერანგი, მკერდი გამოიჩინა და ამაყად გასწორდა წელში.

და გასაოცრად დაემსგავსა იგი თინათინს ბაგრატიონთა დინასტიიდან, ქართველ ქალს, რომელმაც შეიცნო მერყეობა

ბედისა და გარდუვალობა უბედურებისა ვარდის და თვითნებობის ქვეყანაში.

ბულათ-ბეგმა ელვის სისწრაფით აღმართა სატევარი, მოიღუნა, მკერდში აძგერა სეფის და ორჯერ დაუტრიალა შიგ.

ახალგაზრდა ქეშიკი, რომელმაც ვერ მოასწრო ჩამოფარებოდა მირზას, შიშით თავდაღმა დაეცა მწვანე ჭაობში, მაგრამ მყისვე წამოხტა და ლიშხნარში შევარდა.

ბულათ-ბეგმა მშვიდად გაწმინდა სეფის ლაბადით სატევარი და ქარქაშში ჩააგო.

ღრუბელი კი, ბამბას რომ ჰგავდა, ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ნისლში, და შორს, შუაგულ ჭაობში, კვლავ გულგრილად იდგა გრძელ წითელ ფეხებზე აყლარწული ყანჩა.

ოთხ საათზე მეტ ხანს იწვა ჭაობში სეფი, ხელები ფართოდ გაეშალა, თითქოს ვისმე მოხვევა სურსო, მზე კი კვლავ ეალერსებოდა მკვდარ თვალებს. გაუტეხელი სიწყნარე იყო. მხოლოდ ლიშხნარში ფართქუნობდა მგალობელი შაშვი და შორიდან ძლივს მოისმოდა მიმავალი ქარავნის ზანზალაკების ერთხმოვანი ჟღარუნი და ქარავანბაშის ღიღინი: „აი ბალამ! ბა-ლა-ამ!“

შემთხვევით გაიარა საჭურისმა, შეჩერდა, ფეხსაცმლის ჭვინტით გადმოაბრუნა მკვდრის თავი და... გაქვავდა: მირზა!

თითქოს ჯადოსნური ჯოხის დაქნევით, გოდებამ და ტირილმა გააყრუა რეშტი. სასწრაფოდ დაიხურა დუქნები. შავი შალები გადმოიფინა აივნებზე, ვით ღამურას ფრთები. და ძლივს დაეშვა თუ არა ბინდი, მყის ალაპლაპდა ათასობით ჩირაღდანი.

მცხოვრებნი, ვით დამთხვეულნი, გაექანენ ქარავ-სასახლისაკენ, გაჰკიოდნენ შურისგებას, მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ მოეძებნათ და საშინლად ეწამებინათ ავაზაკი. მოითხოვდნენ არა მარტო ირანის მპყრობელის, არამედ სამყაროს შემქმნელის ჩარევას.

— იქ, სადაც შენ მოგკლეს, შენვე ნახე შენი სისხლი! — უცნაურად გაჰკიოდნენ დერვიშები.

— დაიღვარა შაჰ აბასის სისხლი! — მოთქვამდნენ მოლეები, — „ლომის“ მოყვარულნი ყველანი სულგრძელნი არიან! იძიეთ შური სისხლისათვის!

— ო დაუსაბამო ალაჰის სინათლევ! — მძვინვარებდნენ რეშტელნი. — შეგვეწიე აღმოვაჩინოთ ბოროტმოქმედება!

მხვნელ-მთესველნი, მეთევზენი, მონადირენი მუშტებს იქნევდნენ. ვიღაც ჩალვადარი საშინელ წყევლას უთვლიდა უცნობ ავაზაკს:

— დაე აღსრულდეს სამართალი! საკუთარ ტყავშიც გამხმარიყოს მკვლელი!

— დროშა დაემხო, სისხლი სდის სულს! შური იძიეთ შაჰ აბასის სისხლისათვის!

ბრბო საშიშრად იზრდებოდა, იკრებდა ასობით სარბაზს, უხვევდნენ თუთიანს, ავსებდნენ ბაღებს. ზღვიდან ქარი ამოტყდა, კარვების ქალაქს დაუბერა, ტილოები ააფორიაქა. თავისი გამაყრუებელი ზუზუნი ვეფხვების გაბოროტებულ ბრდღვინვას შეუერთა. კრუნჩხვით ლიცლიცებდნენ ჩირაღდნების წითელი ენები, ცეცხლის ზღვას რომ ქმნიდნენ, და ზედ გააფთრებულ ალქაჯებივით გორავდნენ კვამლის შავი ბოლქვები.

ხანები, და მათ შორის იუსუფ-ხანი და ბულათ-ბეგი, თავზარდაცემულნი მოახტნენ ცხენებს და გააჭენეს შეშფოთებული რეშტიდან, თვითონაც არ იცოდნენ საით და რისთვის.

შეძრწუნებულმა ისა-ხანმა განიცადა მწუხარების მთელი ძალა, რადგან უყვარდა სეფი, როგორც საკუთარი შვილი. კაზმული აბჯარი აიყარა, ვით განკიცხულმა, თავის კარავში ჩაიკეტა და, მიუხედავად ცოლის მუდარისა, არ წავიდა მკვლელის სანუგეშებლად.

სასაკმეველს სდიოდა ხვეული იისფერი კვამლი, მასთან ერთად ქრებოდა ბნელი ღამის ჟამი. კამათელი ხელში მოხვდა და ისა-ხანი, შეუმჩნევლად, წამდაუწუმ ისროდა მას. ცდილობდა, მაგრამ ვერ გაეაზრებინა მომხდარი ამბავი, სურდა და ვერ მოეხერხებინა იმის გაგება, რომ სეფის მკვლელობა ბედისწერაა, „ბედის წიგნში“ ჩაწერილი. მის თვალში, მისდა უნებურად, დაიჩრდილა შაჰ აბასის შარავანდედი, მაგრამ ამა-

ზე ფიქრი საშიშიც კი იყო. განადგურებული, იგი ისროდა კამათელს და ყურს უგდებდა ბებერი წიფელის ტოტების ხმაურს, რომელიც თითქოს ამბობდა ლომის არაკს, თავისმა აჩრდილმა რომ შეაშინა და თავისივე ხორცი მოკლა.

ასე გადიოდა მწუხარებისა და გულისწყრომის ღამე.

მაგრამ ჯერ კიდევ ბინდში, აუარებელი ჩირაღდნებით რომ იყო განათებული, ერებ-ხანმა თავისას შეათრია თავზარდაცემული ხოსრო მირზა და ახლა მასთან ერთად სვამდა და ღვინოში აწვეთებდა სიბრალულის ცრემლს. ერები ქება-დიდებას ასხამდა სწორუპოვარ სეფი მირზას. „ო-ო, ეფიცავ ნეჯეფს, — წამოიძახა მან. — სეფის მკვლელი რომ თვით ბედისწერა არ ყოფილიყო, მე ვიხმარდი უაღრესად ნატიფ წამებას, რათა ბოროტმოქმედს შურისგება სწეოდა“.

სანთელი დნებოდა და დოქი უკვე სუფრაზე გორავდა.

„განა სიმკაცრე ამშვენებს მპყრობელს?“ — ფიქრობდა ხოსრო. ისიც მოწყალე თვალით უცქეროდა თავის ნათესავ სეფის. მხოლოდ სიფრთხილით არ გაჰკიოდა დასჯაზე და ამჯობინებდა რეშტი შეეგრძნო როგორც ჰასანის ერთ-ერთი საშინელი სიზმარი, მაგრამ მეტად გაეხარდა, როცა შაჰ აბასმა დღისით არ მიიკარა იგი და სალარ-ხანის, გილანის უფროსის, პირით შემოუთვალა: „შაჰინშაჰი კეთილმოსურნედ იღებს ხოსრო მირზას ერთგულებასა და მზად ყოფნას — შეებრძოლოს ყველა მის მტერს“. „არა, არა, — განაგრძობდა ფიქრს ხოსრო, — სისასტიკე იწვევს შიშის სიმახინჯეს და არა სიყვარულის სილამაზეს. მმართველები არ უნდა უყვარდეთ, რადგან მათი ძალაა ქვეშევრდომთა გულწრფელი მადლობა. დაე შაჰ აბასი იყოს ისეთივე ძლიერი, მაგრამ ყოველი ხანის გულში დაიხურა აღტაცების კარი. კარგია, რომ ხალხმა არ იცის ჭეშმარიტება! თორემ ათასთაგან გამოჩნდებოდა ერთი ვინმე, რომელიც ნათელი სეფის სიყვარულის გამო ისრით განგმირავდა მკვლელს. წმიდაო ღეთისმშობელო!.. ო-ო, უბედურებამ აზრი ამიფორიაქა!.. ალაჰ, განა მმართველს არ ამშვენებს გულკეთილობა? არა? მაგრამ მაშინ რაღა ამშვენებს? სიბრძნე? მართალი ხარ: სასტიკი უნდა იყო, ხოლო გულკეთილი ეჩვენებოდე!“

— კეთილო ერებ-ხან, დაე შენი ბედის თასი ავსებულიყოს შაჰინშაჰის წყალობით! — და ხოსრო მირზამ ერთბაშად დაცალა თასი.

საათის ქვემო ბურთობიდან ზემოში არავის გადაუყრია სილა. დრო გაჩერდა. ყარაჯუღაი ხანს იგი არ ესაჭიროებოდა. იგი არსად არ წასულა და არავისთან არ უსვამს. თავზე მაგრად შემოეჭირა ხელი, ჰეფეზეს სამყოფლოში იჯდა იატაკზე და სინდისი ჰქენჯნიდა. ნუთუ ისე მდაბალია ყარაჯუღაი, რომ თავის თავს შველოდა? ხედავს ალაჰი, არა! უნდოდა შაჰის სახელი ეხსნა! მაგრამ რად ეწვის ასე გული, თითქოს გავარვარებული წიაღვარი გადაულაპაო? და თვალებიც სტკივა, თითქოს შიგ ცრემლი მოხვედრილაო. ხვალ იგი მიმართავს ყურანის გამოცხადებას, რათა შეიცნოს ჭეშმარიტება. დღეს იგი ეჭვების მსხვერპლია, სულს რომ სჭამენ, ვით ჟანგი რკინას.

და ყარაჯუღაი მორჩილებით ისმენდა ცოლის საყვედურს, თუმცა ახლა სიტყვებს მისთვის ჰქონდა მნიშვნელობა წვიმის წვეთებისა, მინას რომ ესხმება.

ხანუმი სასოწარკვეთილებით ასავსავებდა ხელებს. ო, იგი გამოძებნიდა საშუალებას ლელუს გასაფრთხილებლად, ისინი ერთად დაეხმარებოდნენ გაქცევაში მშვენიერ სეფის.

ყარაჯუღაი არ უპასუხებდა. მხოლოდ ორმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა ბოროტმოქმედების ჩადენაზე, დღეს კი იგი უკვე ჩადენილია. ორი დღე — ორი საუკუნე!

ჰეფეზემ თეთრი ჩადრი მოიხვია და დამწუხრებული წავიდა ლელუსთან.

გამაყრუებელი ზრიალი იდგა. „ათას უკვდავს“ შუბები დაეშვა და ფოლადის გალავანი შეექმნა. თვითონ გაალქაჯებულნი, ქეშიკები ძლივს იკავებდნენ გააფთრებულ მუსლიმებს, კარვების ქალაქისაკენ რომ მიიჭრებოდნენ და კორომს მწუხრული შეძახილებით აყრუებდნენ: „ჰაი-ჰაი!“. მოსამსახურეები და საჭურისები უკან ერეკებოდნენ კარვებისაკენ გაჭრილთ. ტყლაშუნებდნენ მათრახები, ტკაცანებდნენ ჯოხები და ბდრტვინავთა ზურგზე ტოვებდნენ მოლურჯო-წითელ ზოლებს.

კვნესა თინათინის კარავში იქცეოდა ერთ მთლიან გოდე-

ბად, გარე გუგუნს რომ ახშობდა. ხასები ტანსაცმელს იგლეჯ-დნენ, პირს იხოკავდნენ, არ იცოდნენ, რომ შაჰი მირზას მკელელობის მონაწილე იყო, ისე მოთქვამდნენ, თითქოს მათ ჰგლეჯდნენ ნაწილ-ნაწილად.

ოთხი ისპაჰანური სანთელი ბრინჯაოს შანდლებით იდგა ქორედის კუთხეებში, ცისფერი ქერმანშაჰი რომ ეფარა. გულუზარის მოტანილ თეთრ ვარდებზე იწვა სეფი. გახრწნა ჯერ კიდევ არ მიჰკარებოდა, სანთლების შუქი ციალებდა მაღალ შუბლზე და გეჩვენებოდა — მირზა ღრმა ძილშიაო.

გულუზარი გამაფრთხილებლად იდებდა თითს ტუჩზე, თითქოს ემუდარება — სეფი არ გააღვიძოთო. თვალებგამშრალი, სახეგაფითრებული იძეროდა იგი, ვით აჩრდილი სარკეში, ვერავის და ვერაფერს ვერ ხედავდა. იქვე ახლოს დახორავებულ მუთაქებს ამოფარებული, მთლად აკანკალებული უცქეროდა მამას პატარა სეფი. და უეცრად, შეშინებულმა ისკუპა და თინათინისაკენ გაექანა.

თინათინი კი? იგი თითქოს გაქვავებულაო. ვერ გრძნობდა, რომ თმაგაშლილმა ნესტანმა, ქართული ჩვეულებისამებრ, რომელსაც შავი მონაზვნური სამოსი ეცვა, და უხეში ზონარი ერტყა, სამგლოვიარო ტანსაცმლით გამოაწყო, სქელი თმა ჩამოუშალა, პირსახე ცივი წყლით დაუსველა.

— დედოფალო თინათინ! ნუთუ შენ გხედავ ესოდენ სასოწარკვეთილს? ან იქნებ დაგავიწყდა მოვალეობა ბატონიშვილ სეფის უბედური ვაჟების წინაშე? შეხედე გულუზარს, შეხედე პატარა სეფის, კალთაში რომ ჩაგეჭიდებია და მფარველობას გთხოვს! ან იქნებ დაგავიწყდნენ უბედური ხასები? გაიხსენე როგორ მოეპყრო შაჰი თავის შვილებს: ხოდაბენდე მირზასა და იმამ-ყული მირზას! შანთით დააბრმავა ისინი! როგორ იკლავდნენ მაშინ თავს დედები! ამის გამო შაჰმა ისინიც დასაჯა. საფრთხეს ნუ უქმნი უწლოვან შვილიშვილებს. ან იქნებ ჰყავთ მათ დამცველი, შენს გარდა? გაიხსენე აგრეთვე ლუარსაბი, ვის ამარა ფიქრობ მის დატოვებას?

— ზულეიკა სად არის? — ძლივს დაძრა სიტყვა თინათინმა.

— მე ვიყავი მასთან. სემთან ერთად ჩაიკეტა და ჩემს

დაკაკუნებაზე გიჟივით აყვირდა: „არ მოგცემ, არ მოგცემ ჩემს სემს! რა ვნება შეუძლია მიაყენოს მან შაჰს? უშველეთ, უშველეთ ჩემს შვილს! დაე დედოფალმა ლელუმ დაიცვას იგი!“ ჩემმა ხვეწნამ არ ‘გასჭრა, განუწყვეტლივ იმეორებს: სანამ არ დაიფიცებ, სემს დავიცავო, მანამ არ გამოვალ.

— ჩემო კეთილო დაო, წადი ზულეიკასთან და უთხარ: მე ბავშვებისათვის დავრჩი ცოცხალი. დაე ზულეიკა უშიშრად მოვიდეს, მოიყვანოს სემი, და გამოეთხოვოს საყვარელ ადამიანს.

თინათინმა უეცრად მოიშორა მეგობარი და მკვეთრად გადასწია ფარდა.

კარავ-სასახლის შესასვლელთან მაღალ ტარზე ქარი აფრიალებდა ირანის დროშას, და ნარინჯისფერი ლომი თითქოს ამოწვდილი ხმლით ემუქრებოდა გაგიჟებულს. თინათინ—ლელუს მისდევდნენ საჟურისები, თეთრკანიანი და შავკანიანი ფარეშები. ისინი ძრწოდნენ იმის ფიქრით, რომ შაქინშაჰი ახლა უბრძანებს მოაკვდინონ თავხედი, ვინც გაბედა თუნდაც ერთი წუთით დაევიწყებინა, რომ შაჰ აბასი არის არა მარტო „ირანის ლომი“, არამედ აგრეთვე ალაჰის აჩრდილი დედამიწაზე.

საჟურისების წინ მორბოდა აქოშინებული მუსაიბი. მაგრამ გვიანღა იყო. ვეფხვებმა უკვე ააჩხარუნეს ჯაჭვები, გუშაგმა სარბაზებმა ვერ მოასწრეს შუბებით გადაღობათ გზა, აბნეულმა ქეშიკებმა უკან დაიხიეს და... თინათინი შევიდა კარავ-სასახლეში.

იგი, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ძრწოდა შაჰ აბასის წინაშე, ვით სუმბული, ახლა, მის წინაშე რომ წარსდგა, ადამიანის გულისწყრომის მთელი ძალის განსახიერება იყო.

— პირსიხლიანო! რად გახდი საკუთარი სისხლის მკვლელი?! — თინათინს სახე მკვდარივით გაფითრებული ჰქონდა, მაგრამ ამით თვალები უფრო შავი გაუხდა, და იქ, ვით ავდრის ღრუბლებში, ელვა გაკრთა. — შენ გაეც ირანი! ვინ იმეფებს შენს შემდეგ? შენი მტრები ისარგებლებენ შენი ბოროტმოქმედებით! რით? მითხარ, რით დაიმსახურა ჩემმა შვილმა, ვისაც ესოდენ ნაზად უყვარდი, ასეთი სიკვდილი? შენ სიმხდალე

გამოიჩინე მართლმორწმუნეთა სამართლიანი მოთხოვნის წინაშე, გაგეცა მკვლელი! აი, აი, ის, საშინელი მკვლელი! შეხედეთ! შეხედეთ ახლა! ხვალ! მომავალში! მასზეა სისხლი შვილისა, უდანაშაულოსი და მშვენიერისა.

და თინათინი მივარდა შაჰს და, წარმოუდგენელი რამ ჩაიდინა: ყბაში გააწნა სილა.

— მე არ მეშინია შენი რისხვისა, შაჰ აბას! მე შემძაგდი, ტირანო!

და მთელ ხანგრძლივ სიცოცხლეში მათ პირველად გაუსწორეს თვალი ერთმანეთს როგორც თანასწორებმა. შაჰმა დაინახა უზომო მწუხარებისა და სულის მზარდი აჯანყების გამოჩატულება, სულისა, რომელსაც მისკენ ვეღარ მიაბრუნებს ვერც სიმდიდრე და ვერც წამება. ქალმა კი — ტანჯვა მპყრობელისა, საკუთარი დიდება რომ აბუჩად აიგდო.

შაჰმა ვერ გაუძლო მის გაშტერებულ თვალს და, თითქოს, მოწყალებისთვისო, გაუწოდა აკანკალებული ხელი.

— ლელუ! ლელუ! ალაჰის გულისათვის, ნუ მიმატოვებ! მე შურს კაგებ! ვფიცავ, სამაგიეროს მივუზღავ ჩვენი შვილის მკვლელს, ჩემი სამეფოს მემკვიდრის მკვლელს! ლელუ!

შაჰ აბასის სახე კონვულსიამ დამანჯა, ცრემლი დასდინდა ჩაცვივნულ ლოყებზე, მაგრამ მათ თინათინის ზიზღი გამოიწვიეს, იგი გაუბედავად შეეხო თინათინის სამგლოვიარო ტანსაცმელს — მან კი ზიზღით უკან დაიხია.

— შორს ჩემგან! აღარა გყავს ერთგული ლელუ! ჩემს შვილთან მივდივარ! გძინავს, ჩემო ბიჭო! არა! არა! შენ მოკლული ხარ! მაგრამ სეფი, სეფი, გესმის თუ არა ჩემი?!

მუსაიბმა ხალიჩა გადასწია, შემოვიდა და ხელში აიყვანა თინათინი.

— დიდ არს შაჰ აბასი! — წამოიძახა საჭურისმა, როცა თინათინი აიყვანა, თითქოს ზეცას შემწეობას სთხოვსო.—აპატიე გონებადაკარგულს! ყველაფერი გაივლის, ესეც გაივლის. იგი შენი სიყვარულის მონაა, და კელავ ჰარამხანის მშვენება იქნება.

იგი დაიხარა გაოგნებული შაჰის წინაშე, ფრთხილად გაატარა ლელუ და უხმაუროდ გავიდა...

მაგრამ მუსაიბი მოტყუვდა. ლელუ აღარ იყო შაჰის მორჩილი მონა, მისი საყვარელი ცოლი და მრჩეველი. იყო თინა-

თინი, ქართველი დედოფალი ბაგრატიონთა დინასტიიდან, კვლავ რომ მოიპოვა სიამაყის ფრთები და შურისგება სწყურიდა! მუსაიბს გაუსხლტა და კარვების გარშემო მოგუგუნე ბრბოში შევარდა. თითქოს მონობის ბორკილი მოიშორაო, მძვინვარებდა, მკვლელს სწყევლიდა და შურისგებას მოითხოვდა.

თინათინის წაქეზებულნი, შემოეხვივნენ სპარსელები, და ჩირაღდნების ცეცხლის ტალღები ატლაშუნდნენ კარავთა ქალაქის გარშემო, როგორც კუნძულის გარშემო. კაშკაშა შუქი, ასე სწრაფად რომ გაფანტა წყვდიადის შავი სვეტები, ვარსკვლავიან ცას რომ შეჰყუდებოდნენ, დაეფრქვა ლომის ფიტულს, ტლანქად შეკრულ საკაცეზე, რომელიც მაღლა ეკავათ დერვიშებს.

მოციალე შუქის ნაკადში მკაფიოდ მოჩანდნენ ნახევრადშიშველი დერვიშები, მხრებზე რომ მხეცის ტყავები გადაეკიდათ. გრძელი აბურძგნული თმა უფარავდათ თითქოს ძვლისაგან გამოკვეთილ ფერმკრთალ სახეებს და შიშველ გულზე ეფინებოდათ. ოთხთაგან თითოეული, ცალი ხელით რომ საკაცეს იკავებდა, მეორეთი კარავ-სასახლეს უჩვენებდა და აღტაცებული ყვიროდა:

— ო აბას! ო მბრძანებელო ჩვენო!

— ო შაჰ-ლომო! შენ მოწყალების წყარო ხარ!

— შენ, ო რჩეულო ლომო, სიკეთისა და თანაგრძნობის მაღარო ხარ!

— ო ალაჰ, ლომის მოყვარულნი ერთობის ყვავილნარში არიან!

— ო ლომო, შენი სიმშვიდის მსხვერპლად შევწირავთ ჩვენს სიცოცხლეს!

ბნელი ცისკენ ხელაპყრობილმა თინათინმა შეიგნო, რომ მთელი ეს ხალხი, ანთებული ჩირაღდნებით რომ ჭეშმარიტებას ეძიებს, ვერასოდეს ვერ შეიძენს მას, როგორც ბრმა ვერ შეიძენს მის მიერ დაკარგული სამყაროს სილამაზეს. მათი აღშფოთების წონა არ აღემატებოდა ჩალის ღერს ბოროტმოქმედების სასწორზე. ისინი უთანაგრძნობდნენ მბრძანებელს, ქებას ასხამდნენ მის სახელს, — და დაგლეჯდნენ მას,

ვინც გაბედავდა მკვლელი ეწოდებინა მისთვის! ისინი იყვნენ არა მარტო მისი ხმლის მონები, არამედ მისი აჩრდილის მონებიც, ალაჰის აჩრდილისა დედამიწაზე.

თინათინის ცთომილი თვალი უნებურად შეჩერდა საკაცეზე, სამგლოვიარო საბურველი რომ ეფარა. მაგრამ ეს რა არის? უზარმაზარი ლომი წამდაუწუმ იღებდა თათით ნაცარს და იყრიდა ძირსდახრილ თავზე. თინათინი ვერ მიხვდა ამას, — ფიტულს, რომელსაც უხილავი თოკი ამოძრავებდა, არამედ მიხვდა იმას, რომ ეს იყო უტიფრობა, მკრეხელობის დარი და მან თითით უჩვენა ლომი და ახარხარდა.

ცხადია, თინათინმა რაღაც წარმოუდგენელი რამ წამოიყვირა, რაც მყის ჩაახშო ხმებმა და ზღვა ცეცხლმა. არავის არ შეეძლო ეთქვა: გაიგონა, თუ ვერ გაიგონა. მაგრამ ეს ეჭვიც საკმაო იყო, რომ თეთრჩალმიან მოლას თვალები დაეპრაწა, ფერმკრთალი სახე რისხვას დაემანჭა და თეთრი მოსასხამი აექნია.

და მყისვე დერვიშებმა უკან დაიხიეს, კინაღამ ხელიდან გაუვარდათ ის ლომის ფიტული. შაჰ აბასი მფარველობდა მათ. მათთვის მოაწყო საგანგებო თავშესაფრები, „ხანაგები", მათ მიანდო შიიზმის მცნებანი, — მათ გამტვერულთ და მზით გარუჯულთ, გაჰქონდათ ეს მცნებანი შუა აზიის უდაბნოებში, ციცაბო მთებში, გადადიოდნენ უღელტეხილებს, აღწევდნენ სპარსეთის უაღრესად შორეულ კუთხეებს და განამტკიცებდნენ რწმენას შაჰ აბასისადმი, ირანისადმი. ახლა ისინი იჩქაროდნენ თავიანთი წმიდა ემბლემა გაეტანათ ზღვა სინათლიდან ზღვა სიბნელეში, და მხეცთა ტყავები მათს მხრებზე უკანასკნელად ალაპლაპდნენ და ჩაქრნენ. დერვიშებს მიჰყვა ფანატიკოსთა ბრბო, ჩირაღდნები რომ დაეხარათ და გოდება დაეცხროთ.

ჩამწვარიყო ოთხი ისპაჰანური სანთელი. შაჰის ცოლებმა, ხასებმა და ხანების ცოლებმა გზა მისცეს თინათინს. იგი ქორედზე ავარდა შვილის გვამთან, ნაზად დაიხარა მისკენ, შუბლზე ხელი გადაუსვა, თითქოს ცდილობს თავისი სითბო გადასცესო, და ანაზდეულად იძრო ქამრიდან პატარა სატევარი. მხოლოდ ერთი სურვილით იყო გამსჭვალული: უკანასკ-

ნელი დედობრივი ამბორი ეყო სეფისათვის და გულზე დაკვდომოდა!

ნესტანმა შეჰკივლა და მკლავზე ჩამოეკიდა. სატევარი წკრიალით დაგორდა საფეხურებზე.

ღიაოქროსფერი თმის კულული ამოისვა თვალებში ნესტანმა, ხელი მოჰხვია თინათინს და წაიყვანა. თინათინი კი სასოწარკვეთილი მიეხუტა მეგობარს და წაიჩურჩულა: „ოჰ, შენ ჩემთან ხარ? თითქოს სამშობლოს სუნთქვა ხარ!“

ატკაცუნდა სანთელი სასთუმალთან, ფიქის ცრემლი ნელა დაჰყვა მას და თეთრ ვარდს დაეცა.

შაჰ აბასი, მრისხანე „ირანის ლომი“ მორჩილად იჯდა სამლოცველო ხალიჩაზე და გაშტერებული თვალით აკვირდებოდა როგორ ციმციმებდა ნაშუადღევი მზის სხივი ვარდისფერ თასზე ისე, რომ მის ზედაპირზე არც ლაქებს ტოვებდა და არც ბზარებს. ადამიანის უსრულობის ფიქრმა კვლავ მიაპყრო ყურადღება „შაჰნამეს“, მაგრამ წიგნი განზე გასწია, რადგან არ სურდა დაერღვია შეხვედრა საკუთარ თავთან.

ათი დღე და ათი ღამე არ გამოსულა შაჰ აბასი კარავ-სასახლიდან. ირანი გამოვარდა მის თვალთა ხედვიდან, ვით კრიალოსანი გაძვალტყავებულ ხელიდან. დარჩა მხოლოდ ეს თავშესაფარი, სადაც ჩამქრალან სანათები.

მწუხარების მესამე ღამეს ნახევრად გონდაკარგული იყო, ვერ გრძნობდა ვერც ჟამს, ვერც სივრცეს. მთვარის ბუნდოვანი შუქი ძლივს ანათებდა ცისფერ ქერმანშაჰებს და ნივთებს არაჩვეულებრივ მოხაზულობას აძლევდა. და ვერცხლისა და წყვდიადის ამ მოძრავი ძაფებისაგან წარმოიშვა მოჩვენება, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და საკუთარი თავი წამოსწია. შაჰ აბასმა უკან გადაიწია და დააშტერდა მის ბუნდოვან ნიშნებს... და იცნო... პაატა სააკაძე! მას იგივე თეთრი სამოსი ეცვა, როგორც სიკვდილით დასჯის იმ საბედისწერო დილას.

შაჰმა იგრძნო, როგორ შეეპარა ტანში სამარისებური სიცივე და მოძრაობა შეუბოჭა. თავმა ოდნავ გაახილა თვალები და აამოძრავა ბაგე. მპყრობელმა ნებისყოფა დაძაბა,

სატევარი იძრო და აჩრდილს ესროლა: „სახელითა ალაჰისათა, გაქრი!“ სატევარი მაღალ თეთრ ლარნაკს მოხვდა, ნამსხვრევები გაიფანტა.

„ათასი უკვდავის“ უფროსმა შეშფოთებით გადასწია კარვის კალთა. აბასმა ხელის აქნევით ანიშნა, წადიო.

ქართველები აჩრდილთა სამეფოდანაც ემუქრებოდნენ. ამან გაამძვინვარა სეფევიდი და ცხოვრებისაკენ აბრუნებინა პირი.

მწუხარების მეოთხე დღეს განაგრძობდა ავი ჯინების ქსელის დაშლას. გურჯისტანი მიუწვდომელი თილისმის დახმარებით დაუპყრობელი იყო. ირანს გულში ჩარჩენოდა ხიწვი — ლუარსაბი.

რა არ შესთავაზა ურჩს მან, შაჰ აბასმა, სარწმუნოებაზე უარის თქმისათვის: ქართლის სამეფოს ტახტი, მისი გულის დედოფლის სიყვარული, აურაცხელი სიმდიდრე და, რაც მთავარია, თავისუფლება! მან ყველაფერი მოიძულა, ყველაფერი უარყო. ტყვე, იგი კვლავ მტერი იყო, მუდამ რომ იმუქრებოდა თავისი მაღალი სულის უხილავი მახვილით. ლუარსაბ ბაგრატიონის მომხრენი, ისინი კი ცოტანი როდი იყვნენ ქართლში, ირანს უსისიანებდნენ რუსეთის მეფეს, გამჭრიახი პატრიარქის შვილს. ტყვე მეფის განთავისუფლებაზე ლაპარაკის განრინება სულ უფრო ძნელი ხდებოდა. მერე ვინ იყო ეს მოუდრეკელი მეფე? ძმა თავისი საყვარელი ლელუსი, რომელმაც გაბედა... დიახ, მან სიკვდილით დასჯა დაიმსახურა, მაგრამ თვითონ დასაჯა იგი, შაჰინშაჰი; მეფეთა და ხალხთა რისხვა! ხოლო ლუარსაბის საყვარელი ცოლი იყო ნაზი თეკლე, ზეცამ რომ განაწესა, საუკუნეები განეცვიფრებინა თავის სულის სიდიადით; რომელიც დაბადებულია დაუმორჩილებელ საქართველოში, მის აყვავებულ ბაღებში, მის დიდებულ ხევებში, მის მთათა თოვლში, მისი ველების მზეში. ხოლო თეკლე და არის უძლეველის, გიორგი საакაძისა, რომელთანაც შაჰ აბასს ევიწროება ერთი დედამიწა! და სეფი, უბადლო სეფი გიორგი საакაძის ნათესავია, „ვეფხვისა“, „ლომთან“ ბრძოლაში რომ ჩაეგბა. აი რატომ გააცოცხლა სეფის სისხლმა მძევლობის მსხვერპლი — პაატა.

მწუხარების მეხუთე ღამეს შაჰ აბასმა გადაწყვიტა: „საში-

ნელება არ განქარდება! დადგა ჟამი ვისკუპო გარდუვალობაში. საშინელ სპარსულ-ქართულ ჯაჭვში უნდა გამოეარდეს რგოლი, მხოლოდ ერთი რგოლი, რომ დაიშალოს ჯაჭვი“.

მწუხარების მეშვიდე დღეს შაჰ აბასი ფიქრობდა: „ჯაჭვი დაიშლება, მაგრამ დარჩებიან სამეფოები. მე მოვკალი სეფი, რადგან ჩემთვის, შაჰ აბასისათვის, ყველაზე საყვარელი შვილი ირანია! მე რომ სპარსთა მიწებისათვის არ ვიზრუნო, უდაბნოების ქარი მარტო სილას როდი მოიტანს, რასაც შეუძლია შთანთქას სეფევიდების მთელი ნამოღვაწარი. ავღანელები, უზბეკები და თურქები დაგლეჯენ ირანს, როგორც ცხვრის ტყავს. მე, შაჰ აბასი, წინასწარმეტყველის მახვილი, არ დავუშვებ სირცხვილს! მე თვითონ ამოვწყვეტ უდაბნოში ირანის მტრებს! არც რუსეთი დამავიწყდება“.

მწუხარების მერვე ღამეს შაჰ აბასი დააკვირდა რეზა-აბასის ნახატს, პიკნიკს რომ გამოსახავს. უცნაური ხისქვეშ სეფი ტკბებოდა ისპაჰანის ნაზი თბილი ღამით და ეტრფოდა გულუზარს, მოშორებით რომ იჯდა სანდომიანი სახის მუსიკოსებთან. მოსამსახურემ აავსო სეფის თასი შირაზული ღვინით; სინზე ლამაზად ეწყო მსხალი; ორი სანთლის შუქი პეპლებივით ეფინებოდა მწვანე ბალახს. ყველაფერი იწვევდა საკვირველი ბუნებით ტკბობას, მაგრამ სეფი თვალს არ აშორებდა გულუზარს, — მას უყვარდა სიცოცხლე.

შაჰ აბასი არაჩვეულებრივი სინაზით აკვირდებოდა შვილის მშვენიერ სახეს: მის ნუშისებრ თვალებში იხატებოდა დიდი ჭკუა, ხოლო ბაგეზე ღიმილი უთამაშებდა. მერე როგორ უხდებოდა სირაქლემის ფრთიანი დოლბანდი, რა აშკარად აჩენდა ინდური შალი მის ტანადობას, რა დარდიმანდულად იცოდა მან მხრებზე სახიანი ხიფთანის მოგდება. არა, ოსტატ შახნეკაზს* ამჯერად არ ულიქნია „ირანის ლომის“ წინაშე, მას სეფი დაუხატავს ისეთი, როგორიც იყო.

„სეფი, სეფევიდების ტახტის ღირსეული მემკვიდრე! ვინ გაბედა დანის აღმართვა შაჰ აბასის სისხლის წინააღმდეგ? ვინ გაიწირა თავი, რომ ნებადართულის საზღვარს გადასული-

* შახნეკაზი — შაჰ აბასის კარის მხატვარი — რეზა-აბასი.

ყო?“ — შაჰ აბასმა ტუჩი მოკუმა, რომ კვნესა ჩაეხშო. რისხვის გამოხატულებამ დაუმანჭა სახე, თითებმა კრუნჩხვით ჩაბღუჯეს ხმლის ტარი. „ბისმილაჰ, თვითონ მე მოვკიდებ ხელს ყაზვინის საქმეებს! არც ბულათ-ბეგს დავივიწყებ!“

მწუხარების მეცხრე დღეს შაჰი ღრმა ფიქრში გაერთო. რეშტის დღეებმა მისი გრძნობების საგანძურში შეიტანეს შავი და ყვითელი ქვები, მათ მკვეთრად გამოჰყვეს წინათ იქ ერთმანეთში არეული ლალები და ალმასები, ფირუზები და საფირონები. იგი, მეფეთ მეფე საბრალო იყო. განადგურებული, დამცირებული! ახლა დადგა ჟამი საგანძურიდან ამოჰყაროს ყვითელი და შავი ქვები. იგი უბრუნდებოდა ფირუზებსა და ალმასებს, ლალებსა და საფირონებს. მისი ნამდვილი არსი იყო დიდებულება, და კვლავ აპირებდა მისთვის მიემართნა. მაგრამ მის დიდებულებას არ შეეძლო ეპატიებინა არც წუთიერი სისუსტე, რამაც ასე აშკარად იჩინა თავი კაც აბასის ხასიათში. მან ინება მპყრობელის მახვილით მოეგონებინა ყველასათვის, რომ იგი ღვთის აჩრდილია.

მწუხარების მეათე და უკანასკნელ ღამეს შაჰ აბასი ფიქრობდა ძალასა და სისუსტეზე და დასახა შეექმნა მათი ორი თავშესაფარი. ბრძანა, მიერთმიათ მისთვის სამგლოვიარო სამოსი და წაეღოთ ფარჩა და აბრეშუმი. მხოლოდ შუა თითზე დაიტოვა კარბონატი — „მეფეთ მეფე“, რომელსაც მოკვდავთათვის უნდა გაეხსენებინა, რომ შაჰ აბასი სეფეევიდია. ერთხელ კიდევ მიიდო თვალებზე ცხვირსახოცი და გადააგდო. გულის ნაღველი ადგილს უთმობდა გონების ენერგიას.

შუადღისას გამოვიდა ხანებთან დიდებული და გულგრილი, ქორეჯზე ავიდა და მბრძანებლურად აღმართა ხელი, თითქოს თავის სიტყვებს ალაჰს უძღვნისო. ლაპარაკი ინება!

ამაზე ჯერ კიდევ ერთი საათით ადრე კარავთა ქალაქში, როგორც დევლეთ-ხანეში, ფლეიტისტებმა, მედოლეებმა და მებუკეებმა დაუკრეს შეხვედრა. ხოსრო მირზამ გაიგონა მოწოდების ხმა და სახე გაუბრწყინდა: „დიდება ალაჰს, შაჰ აბასი აღდგა!“

ბრძანებათა გადამცემმა ინახულა კარის სხვა ხანებიც. ახლა ისინი — ყარაჯულაი-ხანი, ერებ-ხანი, ქურთისტანიდან

დაბრუნებული აღა-ხანი, ისა-ხანი, სალარ-ხანი, დაბრუნებული იუსუფ-ხანი — ძრწოლით შესცქეროდნენ შაჰს და უკვირდათ მისი სიმშვიდე. განვლილი ქარტეხილის ნასახიც კი არ აღბეჭდილიყო მის სახეზე. ვეფხვის სიმკაცრე ნიავის ქროლვა იყო მის სიმკაცრესთან შედარებით, და ლაპარაკი ისე დაიწყო, თითქოს გუშინ შეწყვეტილ საუბარს განაგრძობსო. მათ ისღა დარჩენოდათ, რომ შორჩილად ესმინათ მბრძანებლური სიტყვები.

— ხანებო, განზრახვა მაქვს ორი თავშესაფარი შევქმნა აქ, დიდ წყალთან: ძალის თავშესაფარი და სისუსტის თავშესაფარი, — მოუთმენლად წარმოთქვა შაჰმა ისე, რომ ხმა არც აუმაღლებია და არც დაუდაბლებია. — წმიდად კაცხადებ იმ ადგილს, სადაც ავაზაკურად მოკლეს სეფეიდების ტახტის მემკვიდრე, ანგელოზის მსგავსი სეფი. გრძელი ქვიტკირის გალავანი შემოეველოს იმ ადგილს, სადაც დაიღვარა შაჰ აბასის სისხლი. ამიერიდან ის იქნება თავისუფლების სავანე! დაე ყოველი დამნაშავე იქნეს ბესტში *. რეშტი ხელშეუხებელია! დაე ყოველმა ღარიბმა პოვოს აქ თავშესაფარი, ტანსაცმელი და საჭმელი: ალაჰ!

— იალაჰ! — გაიმეორეს გულაჩუყებულმა ხანებმა.

— აღა-ხანო, შენ დროზე მოხვედი! ყაზვინში შენ გელოდება ბულათ-ბეგი, რომელიც ჩემი მადლობელია ბრძნული გადაწყვეტილებისათვის. უთხარი მას: ნდობით შეუძლია გადმოგცეს პირველი ფული „თაფაჰოთ ჰამალი“ **, რომელიც უკვე მოაგროვა თავის სასარგებლოდ ყაზვინელთა შორის. ამ ოქროთი აიგება თავისუფლების თავშესაფარი სეფი მირზას ხსოვნის აღსანიშნავად, ხოლო მას კვლავაც ბულათ-ბეგი შეინახავს. და დაე იცოდეს აჩქარებულმა ბულათ-ბეგმა: თუ თუნდაც მტრედის ბუმბულის წონა სპილენძის ფული დაუმალავს, დამოკლებულ იქნება სწორედ ერთი თავით, ინშალაჰ!

---

* ბესტი — თავშესაფარი წმიდა ადგილებში დამნაშავეთათვის.

** თაფაჰოთ ჰამალი — სახელმწიფოს შემოსავლის გარდამეტი, რაც მალულ თანამდებობის პირებს ეძლეოდათ.

— ინშალაჰ! — დაეთანხმნენ ხანები.

— იუსუფ-ხანო, შენ დროზე მოხვედი! ყაზვინის შემოსავალს, რომელიც ტახტს ეკუთვნის, ბულათ-ბეგი გადმოგცემს ისევე განუწყვეტლივ, როგორც სუნთქავს. ამ ოქროთი, ჩემი ბრძანებით, გახახორციელებ ძალის თავშესაფარს — ააგებ ლენქორანის გზას. და დაე ახსოვდეს აჩქარებულ ბულათ-ბეგს თუ თუნდაც მტრედის ბუმბულის წონა სპილენძის ფული დაუმალავს, დამოკლებულ იქნება სწორედ ერთი თავით. ინშალაჰ!

— ინშალაჰ! — გამოხმობასავით გაიმეორეს ხანებმა.

ხოსრო მირზამ და ისა-ხანმა შეუმჩნეველად გადაჰხედეს ერთმანეთს. ჰაერში სისხლის სუნი იდგა, საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რათა ბულათ-ბეგისათვის არ წაერთმიათ პირველობა თამაშში: ან ოქრო, ან თავი.

შაჰ აბასი ისე უძრავად იყო, ვით ნექშე რუსთემის კლდეში გამოკვეთილი მხედარი. მხოლოდ ხელი, რომელსაც ხან მბრძანებლურად აღმართავდა, ხან ნარნარით გაიქნევდა, ზანაც მრისხანედ გააქანებდა წინ, ადასტურებდა მისი სიტყვების მნიშვნელობას.

— თუ დათვი წყალსატევის ერთ მხარეს მოადგა, ლომმა არ უნდა დააყოვნოს და მის მეორე მხარეს უნდა მიადგეს. ინშალაჰ! მე თავიდან ავიცილებ საფრთხეს და ირანის სამხედრო გზას განვაგრძობ იქით, საითაც უჩვენებს დაღუპული ხომალდის შავი ჯვარედინი. ჰოდა-ხევიზ! *

— ჰოდა-ხევიზ! — გაეხარდათ ხანებს.

— ალაჰი იმათთან არის, ვინც მტკიცედ ესწრაფვის მიზანს, — ასე ამბობს წინასწარმეტყველი. ესწრაფვოდე შენს მიზანს, განა ეს არ ნიშნავს: არაფერი არ დაივიწყო შენს განვლილ გზაზე — არც ერთი მარცვალი ბრინჯი, არც კლდე, არც კურდღელი, არც ვეფხვი, არც ხილი, არც წყალი.. შაჰინშაჰის ჯარი ალაჰის ჯარია! ასე სურს მეშვიდე ცის კარის გუშაგს! გურჯისტანის მთებში ურჯულოები ებრძვიან ათიათასობით სარბაზს. გურჯები მეტად ახლოს არიან თავიანთ მთებთან, სარბაზები ძლიერ დაშორებული არიან თავიანთ მიწა-წყალს.

---

* ღმერთი იყოს თქვენთანა!

ირანის გზა ომის გზაა. ვინ არ იცის: დაგვიანებულს ყოველთვის მარცხი ელოდება! ყორჩი-ხანის დამარცხებას გაბრიელი არ ინებებდა, ირანს რომ ადრე ეზრუნა დიდი გზისათვის, რომელიც გლუვია, ვით მინის სარკე. ჩემი სიტყვები ნუმც ასცდენია ალაჰის მარგალიტის ყურს!

— ო შაჰინშაჰ! — უპასუხებდნენ ხანები.

— ახლა ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის სახელმწიფონი ჩაბმული არიან ომში. მე, შაჰ აბასი, ირანი ვარ. ირანის ბედი მე ალაჰმა ჩამაბარა. მეფე მიხეილი რუსეთია! და მე, მოწმეა წმიდა ალი, არ დავუშვებ, რომ დათვმა გაუსწროს მარდ ირემს. ბისმილაჰ! თუ ხელთ არ ვიგდე თეთრი მთაგრეხილი, ორ ზღვას რომ კეტავს, რუსეთი ამ ნაპირზე აღმართავს შავჯვარედინიან ანძას. ირანს ჯვარი არ ესაჭიროება! ირანს ყურანი ესაჭიროება! ისმინოს ალაჰმა ჩემი სიტყვები!

— იალაჰ! — ფანატიკურად წამოიძახეს ხანებმა.

— გზა ჯარებისათვის! ვინც ქვა-ღორღს დაახვედრებს ჩემი განზრახვის ბორბალს, მტვერსავით აღვგვი მიწისაგან. ვინც ნამცეცის წონა ეჭვს აღმიძრავს, გავჭყლეტ ჩემი ძალის ბორბლით. მე, შაჰ აბასმა უგულებელვყავ გულუბრყვილობა, რადგან წინასწარ ვხედავ, რაც ირანს მოელის. ალაჰი მიკარნახებს, რომ ამ ნაპირს დროზე მოვედი. ბარექ ალაე!

— ბარექ ალაე! — აღტაცებით გაიმეორეს ხანებმა.

— ვფიცავ წმიდა ჰუსეინის სახელს, აქ, კასპიის ნაპირზე მე, შაჰ აბასი, ავაგებ მრისხანე ციხეს: მისი აღმოსავლეთის კარიდან გზა წავა ფარაჰაბადისაკენ — ურჩი უზბეკების საზღვრისაკენ, დასავლეთის კარიდან გზა დაიკლაკნება ბაზიანისაკენ — მოუსვენარი ძაღლი თურქების შესახვედრად. მაგრამ მთავარი გზა — ლენქორანისა — გაეშურება ჩრდილოეთის კარიდან, გაჭრის თალიშის სახანოს და შეუძლებელს შესაძლებელს გახდის. გურჯისტანი მუდამ შაჰინშაჰის თვალთა არეში იქნება. ინშალაჰ!

— ინშალაჰ! — მოკრძალებით ადასტურებენ ხანები.

— მაგრამ როცა გურჯისტანზე ვფიქრობ, მე, ლომი, არ ვივიწყებ დათვს: ციხის ჩრდილოეთი მხარე იქნება იმ ზღვის

გზის ფხიზელი გუშაგი, ასტრახანისკენ რომ მიდის. რუსეთის ვერაგული სურვილები სურვილებადვე დარჩება. ციხის ქვის ენა გვერდებს გაულოკავს სპარსულ ხომალდებს და ხომალდებზე დაიდგმება ზარბაზნები. ასე განსაჯა წინასწარ ალაჰმა!

— იალაჰ! — გამოხმობასავით იმეორებენ ხანები.

— ალაჰმა დამაჯილდოვა ბამაცობით და არ დავიწყნია ჩემი გრძნობების კაპარჭში ჩაედო სიფრთხილე. დაე ვერც რუსეთის დათვმა, ვერც საქართველოს ჯიქმა, ვერც ავღანეთის ჯეირანმა, ვერც უზბეკეთის ორბმა და ვერც თურქეთის ძაღლმა ვერ მოიყნოსონ შაჰ აბასის ახალი გზები! და მთავარი ის არის, რომ უდროოდ არ შეშფოთდეს არც რუსეთი და არც თურქეთი. მე გიბრძანებთ, ერთგულო ხანებო, მიანდოთ ვისაც ჯერ არს, ოთხი მხრივ გაიტანოს შაჰ აბასის ახალი ახირების ამბავი: — დაე გაჰკიოდეს: კასპიისპირა მიწაზე, საუკუნოვან კვიპაროზთა და უზარმაზარ ბზათა შორის, სადაც ყოველ ქვასა და კლდეს სდის წყალი ცივი და ცხელი, გაშენდეს „უკეთილშობილესი ქალაქთა შორის“ — აშრაფ-ულ-ბილადი!

— აშრაფ-ულ-ბილადი! — ერთხმად წამოიძახეს ხანებმა.

— ვერც რომი — ფერენგთა* დიდი ქალაქი, ვერც კონსტანტინოპოლი — ბიზანტიელთა დიდი ქალაქი, — ვერ შეედაროს აშრაფ-ულ-ბილადს! ასე ვბრძანებ მე, ზეცის დაყენებული! მისი ფუფუნება გადააჭარბებს ფასარგადის** ფუფუნებას. ვით ალადინის ლამპარი, მზისა და მთვარის სხივებში ილაპლაპებს სასახლე აშრაფი, ბრწყინვალე, ნაირფერი მინის ტალანებით გარშემორტყმული და შორენკეცის კოშკებით დამშვენებული. იქ მე, შაჰ აბასი, დავასახლებ სამას ყველაზე ლამაზ ხასას. — თითოეული ედაროს ძვირფასი თვლებით შემკულ სურათს; ორი ათას მამლუქს, — თითოეული ედაროს დამასკურ ხმალს; ერთ ათას საჭურისს, — თითოეული ედაროს სიმახინჯის ნიღაბს; და ათი ათას ცხენსა და აქლემს, თითოეული ედაროს თავის თავს. დაე ამაზე ილაპარაკონ შურით სულშეხუთულმა მტრებმა და არა სამხედრო გზებზე. და რათა

---

* ფერენგი — უცხოელი.

** ძველი სპარსეთის სატახტო ქალაქი.

ქვეყანას ვაჭცნო სასწაული, დავგზავნი ქებულ ვაჭრებს უცხო სამეფოებში ფარჩასა და ხავერდზე, ნელსაცხებლებსა და საფელებლებზე, მარგალიტებსა და ზურმუხტებზე. და დაე, ვით შადრევანი, ვაჭართა ყელებს აღმოხდეს ყივილი შაჰ აბასის უზომო გულუხვობა. ინშალაჰ!

— ინშალაჰ! — აღტაცებით წამოიძახეს ხანებმა და პირქვე დაემხნენ.

— ჩემო ერთგულო მრჩევლებო, დღეს თქვენ დაეხმარეთ შაჰ აბასს და მან თავის თავს უკარნახა ბევრი სამართლიანი გადაწყვეტილება. ახლა თქვენ ცხოვრებაში განახორციელებთ მათ, როგორც თესლი იქცევა ნაყოფად.

— დიდ არს შაჰ აბასი! — შუბლით შეეხნენ ხანები ხალიჩას.

მზის სხივები უკვე ოდნავ აღწევდნენ ქერმანშახებს შორის. ცისფერი ხალიჩები გამუქდნენ, როგორც ზღვა მუქდება დაბინდების ჟამს. შაჰმა მისცა ნიშანი, რომ გადაეწიათ კარავსასახლის კალთები. ოდნავ დაიძრა სიო. შესასვლელთან მოჩანდნენ თეთრლაბადებიანი ყრუმუნჯი მონები, მუმლს რომ იგერიებდნენ. ნახევარბინდში ირხეოდნენ სირაქლემას ფრთების მარაოები. ჩამოვარდა გულისწამღები სიჩუმე. და მხოლოდ ოდნავ ისმოდა ზანზალაკების ჟღარუნი და ქარავანბაშების მოთქმა: „აი ბალამ! ბა-ლა-ამ!“ სადღაც შორს მიდიოდა ქარავანი.

დიდი მოწიწებით უცქერდნენ ბრძენ მბრძანებელს ერთგული მრჩევლები — ხანები. იგი ამძიმებდა მათ თავისი ფიქრებით, მოჩვენებას აქცევდა ფასეულობად, და, ვით არამიწიერი ჩალვადარი, ირანს უძღოდა გზის მაჩვენებელი ვარსკვლავის შუქით. მან ულმობლად მოიშორა ყოველივე პირადული და განიწმინდა დიდი საქმეებისათვის. მისი ხმა უფრო მომწოდებლურად ისმოდა, ვიდრე ზარის ხმა. ხანები თაყვანს სცემდნენ მას, როგორც ღვთაებას.

აბასმა ხელის მსუბუქი მოძრაობით გაუშვა ისინი, და კვლავ გასცქეროდა ბინდს, თითქოს იქ შორეული მთებისა და მდინარეების მოხაზულობას ხედავსო.

იგი, ვინც სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება მიიკუთვნა,

სულ უფრო მიმართავდა სიკვდილის სამსახურს და უარყოფდა სიცოცხლის დახმარებას. მის საქმეებს ალაჰისა და ირანის სადიდებლად არ შეიძლებოდა არ წარმოეშვა ყოველი სახისა და ყოველი ჯურის მტრები. დანა და საწამლავი შეიძლებოდა მიმალულიყო ვარდის უბიწო ფურცლებშიც. კუთხეში გამკრთალი აჩრდილი უფრო საშიში იყო, ვიდრე მაჰარაჯის სპილოები, იგი მოუხელებელი იყო. იგი ამჯობინებდა დაესწრო ცხოვრების მოვლენებისათვის და ემოქმედნა სიკვდილის იარაღით: დანით, საწამლავით, ჩრდილით. უმჯობესია თვითონ მიაყენო ჩრდილი უდანაშაულოს, ვიდრე დაეკონო ვარდს, გველი რომ შეუფარებია.

ყოველი ოდნავი ჩუჩუნისადმი ეჭვიანი, იგი სიმწარეს განიცდიდა. მარტოდ დარჩენილს არაერთხელ წამოუძახნია და ახლაც წამოიძახა: „რით განვირჩევი მონისაგან მე, მბრძანებელი?! კედლიდან გამოვარდნილ შორენკეცს შეუძლია უეცრად გაგვათანაბროს. ორივე უმწეო ვართ მეხის წინაშე". და ამან გამოიწვია მისი გულისწყრომა. „ო, ბისმილაჰ!" სიმკაცრეს რომ იჩენდა, იგი უცვლელად აღრმავებდა წუხილს, მძიმე წუხილს, გაბედული გეგმისა და აზრთა აღმაფრენის მიუხედავად. აი აღსრულდა კიდევაც!.. ხოლო წუხილი დარჩა და კიდევაც გაძლიერდა, სრულიად დაუმძიმა სული. წუხილი სდევნის მას, ვით მსროლელი მტერს, აცახცახებს სრული მყუდროების დროსაც. „რა არის ეს, ულმობელი ბედისწერა? ან იქნებ მის სასწორზე დანაკარგმა გადასწონა? მერე ვინ დაეკარგე? ააა!.. სეფი... ლელუ.... უკეთესთა შორის უკეთესი! სად არის, ფირდოუსო, შენი ბრძნული რჩევანი? სად არის ჭვრეტის სიცივე? მაგრამ კურთხეულ იყოს თორმეტი იმამი, რომლებმაც მომანიჭეს მე, შაჰ აბასს, ძალა უახლოეს მრჩეველთაც კი დავუმალო ფიქრები, განუხრელად რომ ბნელდებიან".

თავი მეათე

თეთრი კაპარჭში გამოხატავდა დღეებს, შავი კი — ღამეებს. წარბშეკრულმა ზურაბმა ორივეში გადათვალა ისრები. ისინი ასჯერ მეტი იყო, ვიდრე თვით ვარაუდობდა. ფეხი დაარტყა

და თეთრ კაპარჭში სწრაფად ჩადო კიდევ ერთი ისარი: დღეს ხომ ახალი შიკრიკი გაგზავნა თუშეთში, უფრო სწორად — სატანის ხახაში.

გათავდება თუ არა შიკრიკების ეს ართურმა? როცა პირველს გზავნიდა, სრულიად უდარდელ გუნებაზე მყოფმა ირემი უწოდა მას. შიკრიკი წარმოადგენდა არაგვის საერისთაოს, გამოწყობილი იყო სადღესასწაულოდ, უნაგირი კი მოკაზმული იყო მოოქროვილი ვერცხლით. და ყოველ თუშს შეეძლო ეფიქრა: „თუ შიკრიკს ასეთი უნაგირი აქვს, თვითონ მფლობელისა უთუოდ ოქროთია მოჭედილი!“ ხოლო სადაც ოქროა, იქ ძალაცაა! დაე იცოდნენ: საფირონის არაგვი უძლეველია! შიკრიკი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ბრძანება არ შეასრულა და სადღაც შერჩა. მას გამოუდგა მეორე შიკრიკი, მისი უნაგირიც მოოქროვილი ვერცხლით იყო მოჭედილი. მეორეც გაქრა. მერე დაიკარგა მესამე ისეთივე უნაგირით. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე იგზავნებოდნენ ზედიზედ, დღისით და ღამით — და უცვლელად იკარგებოდნენ. მათი უნაგირები უკვე უვარაყო ვერცხლით იყო მოჭედილი. გადიოდნენ დღეები, ღამეები — კარჭაპებში ისრები აღარ ეტეოდა. უდარდელი გუნება უკვალოდ გაქრა, ისე როგორც შიკრიკები. უკანასკნელის უნაგირი სპილენძით იყო მოჭედილი.

ზურაბს უკვირდა და შფოთავდა. სად დაიკარგნენ ეს „ზღარბები“? თითქოს მთის ხეობებში ჩაიჩეხნენო! თუშეთიდან არავითარი პასუხი. ხოლო კახეთიდან? არც ნიავის ქროლვა! ამალის თანხლებით ადიოდა მახათას გორაზე, ავლაბრის კარს გასცდებოდა და კახეთის გზაზე გადიოდა, ჭასცქეროდა მოყვითალო სივრცეს, აყურებდა, — მაგრამ წინ არ ჩანდა არც „ზღარბი“ და არც „ირემი“, არ ისმოდა არც ცხენოსნის შეძახილი და არც ფლოქვების თქარუნი. მხოლოდ ქარი არხევდა უხალისოდ გზის პირას ბალახს, ივლისის მზეს რომ გაერუჯა.

და დღეს, იგი რომ არაგვის ერისთავი არ ყოფილიყო, შიში შეეპარებოდა გულში. შორს მოჩანდა მთების ტეხილი ხაზი, მათ თავს დამხობოდა ლურჯი ცა, სადაც ორბს გაეშალა უზარმაზარი ფრთები და დასტრიალებდა სამგორის ველს.

ჩვეულებრივი დღე საფრთხეს შეიცავდა, რადგან შეიძლება სასიხარულო გამხდარიყო არა მის, ზურაბის, სასარგებლოდ. ასეთია ბედშმარიტება! ბედი ხშირად მოჩვენებითი სიმშვიდით ფარავს უთვალავ ვერაგობას, და ზოგჯერ გამოცდილი მონადირეც ვერ გამოიცნობს უღრუბლო ცაში მომაკვდინებელ მეხს. შიშმა, უეჭველია, იპოვნა საძრომი ზურაბის გულში, მაგრამ მან ამჯობინა არ შეემჩნია იგი ან ყოველ შემთხვევაში გარშემო მყოფთათვის არ მიეცა საბაბი სხვანაირად ეფიქრათ, ვიდრე თვით სურდა.

მისკენ ზანტად მოდიოდნენ ურმები, ათას ხმაზე რომ ჭრიალებდნენ, ვით ცოდვილნი ჯოჯოხეთში. ქედმაღალი ერისთავის დანახვაზე გლეხები დაბალ სალამს აძლევდნენ, გვერდს უვლიდნენ. დოინჯშემოყრილი ზურაბი ეკითხებოდა, საიდან მოდიხართ, გზაში ხომ არ შეხვედრიხართ ცხენოსნებს, უნაგირები რომ ოქროთი ან ვერცხლით აქვთ მოჭედილიო. გლეხები კვლავ დაბლა უკრავდნენ თავს და უპასუხებდნენ: თბილისის მაიდანზე ყველი და მწვანილი მიგვაქვს, მდიდარი ცხენოსნები კი არ გვინახავსო. მხოლოდ „მზის ჭაბუკის“ და „ღვინის წყაროს“ დუქნებში ეუბნებოდნენ მწყემსები და მონადირეები, რომ გომბორის უღელტეხილზე კვლავ გამოჩნდა მეფე ორბი, კლანჭის ერთი გაკვრით რომ ფათრავს კაცსა და ცხენს. ხოლო თუ ცხენი და ცხენოსანი არ არის, მაშინ ვერც ოქროს, ვერც ვერცხლისა და ვერც სპილენძის უნაგირს დაინახავ, — ალბათ ბუდეში მიათრევს და იქ უცვლის ტახების მეფეს ან მგლების მეფეს გველებშიო. განჯელებსა და შამხალებს ძალიან უყვართ ასეთი უნაგირები. ქართლში კი ამიტომ გველი უფრო ბევრია, ვიდრე უნაგირიო.

ზურაბმა ისე ჩაბღუჯა მათრახი, რომ გლეხებმა ნაბდის ქუდები მოიხადეს და მალე გაეცალნენ იქაურობას. ზურაბი სიძულვილით აღსავსე თვალით უცქეროდა ორბს, — სწამდა, რომ არსებობს მეფე ორბი, რომელიც ოდითვე ხელყოფს შთიელთა ტახტს. პაპანება იდგა სამგორში, მახრები და კალიები დაფუსფუსებდნენ გამტვერიანებულ გზისპირებში და დამშრალი ნაკადულის ახლოს საბრალოდ ჩაეკიდათ თავი დამჭკნარ ყვავილებს...

მეტეხში რომ დაბრუნდა, ზურაბი მივიდა კაპარჭებთან, დაკარგულ შიკრიკებს რომ აგოხებდნენ და, ვიდრე თეთრ კაპარჭში ისარს ჩადებდა, წარმოთქვა ყველა: „ძეფე ორბო, ნისკარტიმც დაგწვია! ხელს ნუ ახლებ ჩემს ტახტს, სხვებისაკენ გაფრინდი! თვალებიც დაგბრმავებია!“

ყანწი წიაველი ღვინით ააესო, ერთბაშად გამოცალა და ტუჩი სახელოთი მოიწმინდა. დრო ქრებოდა, როგორც ეს ღვინო. მიზოზინებდნენ ღრუბლები. მზის ცეცხლოვანი გორგალი ხან ლურჯ კლდეზე აცოცდებოდა, ხან უფაკრულში ჩაენარცხებოდა. ბტკვარი და არაგვი ერთმანეთს ეხვეოდნენ, თეთრ და მოყვითალო ტალღებს ეოთმანეთში ურევდნენ და ცვალებადი სივრცისაკენ მიერეკებოდნენ. და ზურაბის სიცოცხლის მიზანი — მთიელთა ტახტი — ასევე მიუვდომელი იყო. მთიელთა ტახტი! ყინულების ალმასებსა და აისის ლალებში!

თავადთა ასპარეზზე კი გრძელდებოდა აყალმაყალი, თითქოს ყველა ქონდრისკაცი კლდეთა ნაპრალებიდან გამომძვრალა, ჭყივიან, გალურჯებულ ხიკაპს აცანცარებენ, ერთმანეთს ეძიძგილებიან, პატარა მახვილებს იქნევენ, ტყავი კი ვერ გაუყვიათ, რადგან ტყავად ეჩვენებათ საპნის ქაფი, ხოლო ბუშტულების პრწყიალი — ძვირფასი თვლების ბრჭყვიალად. და მას, ზურაბს, არ ძალუძს ალაგმოს ეს ქონდრისკაცები, თავის ძლიერ ნებას დაუმორჩილოს, დიდებული განზრახვის აღმსრულებლები გახადოს.

ზურაბმა ტყავის ბუდიდან ამოიღო სარკე, ინდურ ჩარჩოში რომ იყო ჩასმული. ეს ერთი ხანია ყურადღებით ადევნებდა თვალს ნაოქებს, ვერაგულად რომ ეპარებოდნენ საფეთქლებში. წლები გარბოდნენ უკან ბერბერიული ბედაურების სისწრაფით, და „ვეფხვის“ აჩრდილი კვლავ მათს გზაზე ეფინა. უნდა იჩქაროს! ამისათვის კი ისე უნდა მოუჭიროს ხელი თავადებს, რომ სისხლი კვლავ აჩქეფდეს მათს გაყინულ ძარღვებში.

ფანჯარასთან მივიდა და ვარდები ქვის იატაკზე დაყარა. ფეხით ზედ შედგა და ფანჯრის ძინას შუბლით მიეყრდნო. ციხე-დარბაზის ეზოში სიწყნარე იყო, ბინდდებოდა, მაგრამ

შიკრიკები არ მოდიოდნენ. დრო იყო თვითონ შემჯდარიყო სპილენძით მოჭედილ უნაგირზე.

მაგრამ არაგვის ერისთავი ტყუილად წუხდა. მეფე ორბი არაფერ შუაში არ იყო. ყველაფრის დამნაშავე ანთა დევდრისი იყო, მკაცრი „მთების მოხუცი“ შორეულ თუშეთში. სიფრთხილის გამო გადაწყვიტა მხოლოდ თორმეტი დღის შემდეგ ეცნობებინა მოუთმენელი თეიმურაზისათვის კახეთიდან ხოსრო მირზასა და ისა-ხანის წასვლა. აი ამიტომ ზურაბის შიკრიკებს ზრდილობიანად კეტავდნენ კოშკებში, ბაუბან-ბილიკის თავზე რომ აღმართულიყვნენ. იმავე კოშკებში ინახებოდა მოოქროვილი ვერცხლით, ვერცხლითა და სპილენძით მოჭედილი უნაგირები...

თუ ზურაბს შეშფოთება დაეუფლა ზოგი მიზეზით, შადიმანს არანაკლები — სხვა მიზეზებით. სპარსელები წავიდნენ— თითქოს კალიამ ადგილი გადაინაცვლა, თითქოს რაღაც დაუჯერებელი რამ უნდა მომხდარიყო: სტიქიონურად უნდა ეფეთქა დღესასწაულს, მხიარულება მოსდებოდა ზემო, შუა და ქვემო ქართლს, გამართულიყო ლხინი, ღრეობა... ხოლო, რაც მთავარია: თავადობა უნდა აღფრთოვანებულიყო, გახსენებოდა ქველი დროშები, დარაზმულიყო შადიმანის სიბრძნის მეოხებით. მაგრამ არაფერი არ მომხდარა.

პირიქით, თბილისი რაღაცნაირად გაიტრუნა; ქალაქი, ვით ქვა ტბაში, მყუდროებაში ჩაიძირა. ეს უფრო საეჭვო იყო, ვიდრე ათასობით მსტოვარი, ბერების ანაფორა რომ ეცვათ. კათალიკოსის პალატებში აწყობდნენ ისინი კრებებს, ხოლო ტაძრების დახურულ ეზოებში აქლემებს ჩამოხდიდნენ გრძელ ყუთებს, — ამბობდნენ, სანთელია, შესაწევრად რომ გამოუგზავნიათ ქართველთა სავანეებს წმიდა ქვეყნიდან — მოციქულთა მონასტერსა და სინას მთის მონასტერსო. ასეა განა? ბენარიდან კი საეჭვო ხმები მოდიოდა.

„ან სხვანაირად როგორ იქნება? შესაძლებელია განა, რომ გიორგი სააკაძე დამშვიდებული ნადირობდეს და აზნაურთა მამულებში სტუმრობდეს? — უკვირდა შადიმანს, — და ნოსტეს ციხე-დარბაზშიც არ დაბრუნდეს. იმიტომ კი არა, რომ სვიმონ მეფის ეშინოდეს, იცის: თავადი შადიმანი ნებას არა-

ვის მისცეს ააოხროს უძლეველის ციხე-დარბაზი, მაშინ... ნუ-თუ თეიმურაზს უფრთხის? არა მგონია. ზურაბიც ვერ შეუშ-ლის ხელს... მაშასადამე, ელოდება ჩემს სვლას? თითქოს მართალია".

როცა მეჩიბუხისაგან გაიგო, ზურაბი დაბრუნდა კახეთის გზაზე მორიგი გასვლიდანო, უბრძანა, ლიმონისფერი ქულაჯა მომეცით: იგი გარეგნულად მზიური უნდა იყოს, შიგნით კი — მქავე, რა თქმა უნდა, არა თავისთვის.

ზურაბმა შადიმანი განგებ თავაზიანად მიიღო, შესთავაზა ანანურის მარნის ღვინო, აშკარად ჩაიცინა და პირველმა გა-მოსცალა ვერცხლით მოჭედილი ჯიხვის ყანწი.

არაბულ მაგიდას უსხდნენ, როგორც დიდი ხნის მეგობ-რები, და საამური ღიმილით ფარავდნენ სურვილს ყელში სცემოდნენ ბრჭყალებით ერთმანეთს და დაეგესლათ. ზუ-რაბმა ზრდილობიანად იკითხა, როგორ ბრძანდება მარაბდის მამაცი მფლობელიო. შადიმანმა თავაზიანი მადლობა გადაუ-ხადა და დაინტერესდა — არაგვის მამაცი ერისთავი ხომ კარ-გად ბრძანდებაო.

მიირთვეს ღვინო და დაშაქრული ატამი, შორსმჭვრეტელმა სოსრო შირზამ რომ დაუტოვა: დაე მიეჩვიოს ურჩი სპარსულ დასტარხანსო. ატამი აქეს, ხანები კი აძაგეს: რამდენიც არ არწმუნეს შაჰის ჯარების უფროსები, რომ მათ დაუხმარებლად ქართლის მმართველები თავიანთ ძალაუფლებას სამეფოში ვერ განამტკიცებდნენ, წავიდნენ და ყველაფერი ქარს მიან-დეს. ქარი კი მეგობრულად როდი ქროდა, განსაკუთრებით ბენარის მხრიდან.

შადიმანმა მაგიდიდან აიღო ძვლის ბანქო და ირონიულად ჩაიცინა:

— მამაცო ზურაბ, შეიძლება განა ვუსაყვედუროთ ისა-ხანს, თუ ამ საჩუქრით ერთხელ კიდევ მოგვაგონა: ცხოვრება თამაშია, ზოგჯერ მხიარული, მაგრამ უფრო ხშირად კი სა-შიშო. თუმცა გენჯეფეს * თამაშის წესით ალთაფები მუდამ

* გენჯეფე — ძველისძველი სპარსული ბანქო, რომელიც შედგებოდა ორმოცდაექვსი ძვლის ფირფიტისაგან; რვა სხვადასხვაფერის ჯგუფში 12 ფირფიტა იყო თითოეულში.

მეთაურობენ მხედრებსა და ქოლგიანებს — მსახური ბევრია, ბატონი კი — ერთი.

— ასე ინება ერთბაშად პირველმა ადამმა, — წამოიძახა ზურაბმა, — და ასეთი რამ ნურც საშინელი სამსჯავროს შემდეგ მოშლილა!

— ამ ნ! მაგრამ იმ პირობით, თუ სამეფო უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ეს სათამაშო ციხე-დარბაზი. — შადიმანმა წკიპურტით დაანგრია მის მიერ ახოლიხებული კოშკი. ძვლის ფირფიტები სადაფით მოოქვილ დაფაზე გაიბნა.

— შენ მოითხოვ, შადიმან?... — ზურაბმა ძვლის ბანქო მოაგროვა და აურია.

— სამეფოს განმტკიცებას ჩვენი ხმლების კავშირზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა, საიდუმლო კავშირით, ძვირფასო თავადო, რომ დანარჩენი მფლობელები არ გავაბოროტოთ! დადგა დრო მოვიწვიოთ ზემო, შუა და ქვემო ქართლის თავადთა ყრილობა.

ზურაბმა ალალბედზე გამოაძრო ერთი ფირფიტა და კმაყოფილებით გაიღიმა:

— თაჯი! გვირგვინი! ჩემი ხელი არაგვის ანგელოზმა წარმართა! აგრე იყოს, შადიმან! გამოპყავ ასი სწრაფლმსრბოლი; დაე მათი უნაგირები მოოქედილი იყოს ლურსმნით — ეს დააჩქარებს მათ. და მეც სხვანაირად არ მოვიქცევი. დროა უკლებლივ ყველას — დიდ და პატარა ციხე-დარბაზს შევატყობინოთ ყრილობის ამბავი.

— თანხმობის ნიშნად ეს საღამო მივუძღვნათ გენჯეფეს თამაშს. მოვასვენოთ ფიქრები და მოვიწვიოთ ანდუყაფარი. წაგებისას სახე ისე ულურჯდება, როგორც მეტად დამწიფებულ შვინდს, და ენაჭარტალა ხდება, ვით გამფრთხალი კაჭკაჭი.

ზურაბმა გულიანად გადაიხარხარა, ყანწები აავსო და განაცხადა: სიამოვნებით ვისაუბრებ გონებამახვილ კარისკაცთანო. მაგრამ, შადიმანი რომ გააცილა, ჩაიცინა: „ე-ე-... „გველო" თავადო, სამაგიეროდ მე როდი ვარ ენაჭარტალა. შენ არც კი გაგიგია, რომ შენი შემოთავაზებული ყრილობა ჩემი სანუკვარი გეგმაა. ყოჩაღ, ბარათა! შენთან ერთად გავიმარჯვებთ!"

გზებსა და ბილიკებზე დაჰქროდნენ ცხენოსნები. მძაფრად აყვირებდნენ ბუკს, აყენებდნენ მტვერსა და ხეობიდან ხეობაში, მთიდან მთაზე გადადიოდნენ. მაგრამ თავადები ამჯობინებდნენ სათოფურებიან კოშკებში ელოდნათ. შადიმანის მოწოდება მათზე არ მოქმედებდა. უფრო ადვილი იყო ლოდების გორება, ვიდრე საკუთარი წოდების წინაშე მათი მოვალეობის გაღვიძება: განედიდებინათ სამეფო, რათა იქ უშიშრად აფრიალებულიყვნენ თავადთა დროშები.

მუხრანბატონს რომ არა, შადიმანის მოწოდება იქნებოდა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ სამუხრანოს მფლობელის თანხმობა — მოსულიყო ყრილობაზე, სიგნალი გახდა. თავადებმა უკუაგდეს განმარტოება და აფუსფუსდნენ. ციხე-დარბაზებში ალიაქოთი ატყდა: აღებდნენ მამაპაპეულ ზანდუკებს, კედლებზე ხსნიდნენ საგვარეულო იარაღს.

შადიმანის შიკრიკი რომ გაისტუმრა, მირვან მუხრანბატონმა „ოქროს ვარაყის ოთახში" ცვილანაზე დაწერა:

„... მივდივარ, ძვირფასო გიორგი, უნასთა ბუდეში ყრილობაზე. იქ იქნებიან ტურებიც. თუ ეშვებსა და ნესტრებს გადავურჩი, სიამოვნებით ვინადირებ შენთან ერთად დათვზე. ველოდები მუხრანში მხიარულ „ვეფხვებსაც". თანაც მოინახულებ შენს ქალიშვილ ხვარამზეს; გაკეთდა შიოს დაბადების შემდეგ: თვალები ორ იას უგავს, მთვარის შუქი რომ დასცემია..."

მეხსიერება არ უვარგათ თავადებს. განა დიდი ხანია მას აქეთ, რაც ამ გზებზე დადიოდნენ სპარსელები, დაათრევდნენ ზარბაზნებს, დაჰყავდათ აღალები, დაჰქონდათ ტვირთი? გამაგრილებელ წვიმას ჯერ კიდევ არ ჩამოურეცხია ფოთლებზე მათ მიერ აყენებული მტვერი, ქარს ჯერ კიდევ არ გაუფანტავს ხევებში ნაცარი, ჯერ კიდევ არ დაშლილა გადაულახავი ხერგები, და უკვე დაივიწყეს, როგორ იბღალებოდა მათი ღირსება, რა განუკვრეტელი იყო წყვდიადი და რა უსაზღვრო იყო სამეფოს განადგურება. თავადები თავაწყვეტილ მხიარულებას მიეცნენ. დაჰქროდნენ ცხენოსანთა ჯგუფები. მათს შემდეგ სამხედრო გზებზე გამოჩნდნენ დასაპალნებული ცხენები, სადღესასწაულოდ მორთული აქლემები, ლურჯი და წი-

თელი მძიებებით შემკულნი, აპრიალდნენ ურმის ქარავნები. თითქოს მთელ ქართლს გადასახლება განუზრახავსო. ოღონდაც! მგზავრობა საშიში აღარ იყო. რატომ არ უნდა დაიკვეხონ მეტეხში თავიანთი ძლიერება, ცოლებისა და ქალიშვილების მდიდრული ჩაცმულობა, ცხენთა ძვირფასი აღკაზმულობა და იშვიათი იარაღი. ამასთანავე დადგა დრო წარუდგინონ მეფეს, თუნდაც უთავოს, ახალგაზრდა თავადები, საგვარეულო დროშების მემკვიდრენი. ამ წესის შესრულების დროს მეფეს კი არ უნდა იფიქროს, არამედ უცქიროს.

აღელვებული შიკრიკები უკან ბრუნდებოდნენ დიდმნიშვნელოვანი ამბით: „მოდიან!“

გულშარმა ფერი იცვალა. დიდი ხნის ნანატრი დღეები ახლოვდება. კმარა უფერული ცხოვრება! შორს ძილი! ბოლოს იგი, გულშარი, მიაღწევს დიდების მწვერვალს. რამდენ წელს იტანჯებოდა იმის მოლოდინში, თუ როდის მოიხრიდნენ მის წინაშე ქედს ზვიადი კნეინები. ცთომილ ვარსკვლავებივით ჩნდებოდნენ დიდგვაროვანთა ქალები გიორგი მეათის, ლუარსაბ მეორის, ბაგრატ მეშვიდის, თეიმურაზ პირველისა და, ბოლოს, სვიმონ მეორის ტახტთან, გამოჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. მხოლოდ ერთი გულშარი, ვით უძრავი პლანეტი, აშუქებდა თავისი არაამქვეყნიური სახით ბაგრატიონების ხელისუფლების სიმბოლოს, ცოტა მოქიშპე როდი შეხვედრია მწვერვალისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე: ოქროსკულულებიანი ნესტან ორბელიანი, სეფევიდთა პრინცესა, ყველას ვერ ჩამოთვლის. მაგრამ წმიდა ნინოს ხელი არ აუღია უგანათლებულეს გულშარზე, დიდება სამართლიანობას! ახლა მისი სურვილი კანონია, მისი ამება მოვალეობაა. დაე ცხოვრება დაემსგავსოს მშვენიერ ხავერდისფრთიან პეპელას, რჩეულ ყვავილებს რომ დაფარფატებს თავს!

ბოლოს და ბოლოს, თავადები დაინახავენ რაოდენ მოწყალეა სვიმონ მეორე, რა დიდებულია, რა სტუმართმოყვარეა! ამიერიდან დიდი სერალი. სტამბოლში, დევლეთ-ხანე ისპაჰანში, ხოლო გულშარის მეტეხი თბილისშია. რა დღესასწაულებს უმეთაურებს იგი, პირიმზე, სვიმონის გვირგვინის სადიდებლად... ო არა, თავისი გვირგვინის სადიდებლად! რა სასმელ-

საჰმელს გამოიგონებს! დაე ჭინკებმა ამოსწუწნონ მოწყენილობა! კმარა რაც სამეფოს ისარი და ხმალი მართავდა. ახლა გულშარის ყელსაბამის მარგალიტები გააშუქებენ მოცეკვავეთ, მოსიმღერეთ, მეჩონგურეთ. რა კარგია ნაირფერი ცეცეცეცხლი! რა მწველია ახალგაზრდა თავადთა სუნთქვა! მეტეხი უნდა აღდგეს და, როგორც ოდესმე, მიიპყროს ძლიერ საგვარეულოთა წარმომადგენლების ხარბი თვალი. საკმაო ხანს აკავებდნენ ტყვეებს, ბრძოლაში დაქანცულებსა და გასისხლიანებულებს! ახლა დატყვევებულ იქნებიან კნეინები, — მათ მეტეხში დააკავებს იგი, გულშარი, ყოვლადძლიერი, მიუდგომელი. მაგრამ რომელ კნეინებს? იმათ, ვისაც პოეტები ადარებენ მზესა და მთვარეს, მაისის ვარდსა და ბულბულს. რად უნდა მას გასიებული ნინო მაღალაძე? ან დამჭკნარი ქოჩაკიძისა? დაე ახალგაზრდავდებოდეს თავისი ვახტანგის ფარქვეშ! კიდევ ნაკლებ ესაჭიროება მოხუცი მდიენისა! მაგრამ ლიპარიტის კნეინა, ციციშვილისა, ახალი ლამაზმანი მანანა გურამიშვილი, გულშარს რომ აღმერთებს, განსაკუთრებით კი მუხრანბატონისანი უფრო ესაჭიროება, ვიდრე მარაო აფრიკის სამოთხეს. ღირსეულთ დაადებენ პატივსა და ყურადღების ბორკილს.

გულშარი წინასწარ ტკბებოდა მეტეხის სასახლეში თავადთა დიდებული შესვლით გამოწვეული აღტაცებით. მთავარ შესასვლელთან ჩამწკრივდნენ მცველები, გულზე რომ სვიმოხ მეორის ნიშანი ეკეთათ: ოქროსრქიანი ხარის თავი, მარჯვნივ — ულვაში, მარცხნივ — დოლბანდი. ოცი დუმბეკი* მზად იყო გუგუნისათვის თავადთა პატივსაცემად, ორმოცი საყვირი — სალუტისათვის, შადრევნის ნაკადთა ქღურტულს რომ მოგვაგონებდნენ.

და აი ოთხკუთხა კოშკის გუშაგთა უფროსმა მოახსენა თავადთა პირველი ჯგუფის მოსვლა. გულშარმა წარბები დაისურმა და საჩქაროდ გავიდა „ნაირფერი მინების აივანზე", საიდანაც მთავარი ეზო ხელისგულზე გაშლილივით მოჩანდა. მაგრამ მყისვე მოკუმა ტუჩი და უკან დაიხია აივნის სიღრმეში:

---

*დუმბეკი — ირმის, გამოუქნელი ტყავის დაირა.

მირვან მუხრანბატონი მარტო მობრძანდა, უკნეინებოდ. მაგრამ ყველაზე უფრო იმან გააოცა, რომ მცირე ამალით მოვიდა: სულ მხოლოდ ოცი ქეშიკი, ხუთი საჭურველთმტვირთველი და ორი მეჯინიბე, მირვანს, თითქოს სურს ყველას გააგებინოს, ვიცი სადაც მოვსულვარო, ხელი არ მოუშორებია ხმლის ვადისათვის ისე ანიშნა დევგმირული ტანადობის ახალგაზრდა აზნაურს, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მსახური რომ იყო, ყელამდე შეიარაღებული, იგი მთელ ურდოს ასჩეხავდა და მართლაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ თითქოს კიდევაც აპირებდა ამას. იგი ფეხდაფეხ მიჰყვა უკან მირვანს.

განაწყენებული გულშარი ქედმაღლურად მიესალმა მირვანს, არც კი უკითხავს გაელენიანი სახლის კნეინების ამბავი. ზრდილობის გამო მოხუცი კნეინას ჯანმრთელობის ამბავი მაინც უნდა ეკითხა, მაგრამ დუმილი ამჯობინა და დაბნეული ცქერა მარმარილოს მერანზე გადაიტანა.

შადიმანმა, რომელიც შეხვედრას დაესწრო, არ დააყოვნა მაღალი გრძნობების მგზნებარება ჩაექსოვა მისალმების სიტყვებში, ოსტატურად გათლილი ალმასის ფორმა რომ ჰისცა მათ. მირვანს მკლავში გაუყარა ხელი და თვალი მიაშტერა გულშარის გედისებურ ყელს, თითქოს უმიზნებს, უფრო მარჯვედ როგორ დავახრჩოო: მისი მარგალიტის ყელსაბამის მარყუჟით თუ უბრალოდ საკუთარი თითებითო, შემდეგ კი მირვანს უჩვენა სამყოფლო, მისთვის რომ იყო განკუთვნილი ყრილობის დროს. სამყოფლო გემოვნებით იყო მორთული: ხალიჩებით, ხავერდითა და ატლასით.

მეფე სვიმონმა ყურად იღო შადიმანის დაჟინებული თხოვნა და, გააფთრებული გულშარის სურვილის წინააღმდეგ, მაშინვე მიიწვია მირვანი „ნარინჯისფერი ფრინველების“ დარბაზში, იკითხა უფროსი და უმცროსი მუხრანბატონების ჯანმრთელობის ამბავი, განსაკუთრებით ფრეესკასავით დიდებული მოხუცი კნეინისა (ეს შედარება წინასწარ უკარნახა შადიმანმა), და მუხრანბატონს სამახსოვროდ უძღვნა სადაფის კოლოფი, რომელიც სავსე იყო მეწამული ზღვის ნაპირზე შეგროვებული ნიჟარებითა და სხვადასხვა ფერის კენჭებით.

თავადთა მოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე შადიმანმა შეყარა მეოქროჩკედლეთა, მემაუდეთა, მესირმეთა, ატლასის, ხავერდისა და ფარჩის ოსტატთა უსტაბაშები. მათ უნდა შეესრულებინათ შადიმანის სასწრაფო შეკვეთა და მისი გეგმით ყრილობის გახსნისათვის უნდა მოემზადებინათ „ნარინჯისფერ ფრინველთა დარბაზი“.

სანამ მესტუმრე მოსულ მფლობელთ ხვდებოდა, არჩილი კარის საჯინიბოებში აბამდა აქაფებულ და დამტვერულ ბედაურებს; სანამ წმენდდნენ იარაღს და აღებდნენ სამკაულითა და მორთულობით სავსე ზანდუკებს, სანამ ითვლიდნენ ღირებულებას და წკრიალებდა სპარსული ოქროს ფული, განუწყვეტლივ უკრავდნენ ქართლის სამეფოს ბუკს და თბილისელებს აუწყებდნენ თავადთა შეხვედრის გამო კამართული დღესასწაულის დაწყებას.

ბუკების ყვირილს დაერთო დუმბეკთა დაკვრა. აუშვეს შადრევნები, აანთეს სხვადასხვაფერი ინდური ჩირაღდნები და ვარდებით, რომლებიც ფერებით გაზაფხულის ცისარტყელას ეჯიბრებოდნენ, აივსო ციხე-დარბაზი, რაც ყველას მოაგონებდა ფურცლებისა და ეკლების განუყრელ ერთობას.

ყველანი ნაზად იღიმებოდნენ და თვალით ჩხვლეტდნენ ერთმანეთს. ათასობით თვალ-მარგალიტი ელვარებდა ხმლის ვადებსა და ქარქაშებზე, თითქოს ზღაპრული მთების წიაღი გახსნილაო. მარგალიტებისა და ალმასების ყვავილნარები სამაჯურებსა და მანიაკებზე თითქოს უარყოფდნენ სისხლის ნიაღვრებს, ქართლი რომ შეარყიეს

ორ დღეს ივსებოდნენ ღვინით ვერცხლის თასები, აზარფეშები, ჯიხვის ყანწები. ორ დღეს აქაფებულ ჩანჩქერივით ღვრიდნენ თამადის ბაგენი თავადთა დროშების სიქველის ქებასა და ქალთა აუწერელი სილამაზით აღტაცებას.

მესამე დღეს კი თავადები რბილ ტახტებზე იზმორებოდნენ და სინანულით იტანჯებოდნენ.

„აბა, ბარათაშვილი სულს ვეღარ ითქვამდა აღტაცებით მიქელაძის მამაცობის გამო, — თამადის მოვალეობა ხომ ის არის, რომ ყველას სასიამოვნო რამ უთხრას! — ბრაზობდა ზოგი. — მე კი რა მრჯიდა, ყანწები ვერძის რქებივით მეტრია-

ლებისა სუფრაზე? ჩემი აზრით, გამოდიოდა, ციციშვილი მხოლოდ იმას აკეთებს, რომ მტრებისაგან იხსნას ქართლი".

„შადიმანმა ღვინოს უთუოდ ხაშხაში შეურია, — უკვირდათ სხვებს, — თორემ აბა რით უნდა აიხსნას, რომ ორთა ბრძოლაში ვიწვევდი ყველას, ვინც გაბედავდა აღტაცებას ფალავანდიშვილის მამაცობის გამო. მერე რა ჰქნა ამ კამეჩის მსგავსმა თავადმა? თუნდაც ერთხელ დაეხმარა სამეფოს ჯარით ან ფულით? და კიდევ ვიტყვი... მაგრამ. ყუდიანსაც უღუტუნებია მისთვის!... ახლა კიდევ რაღას მოიგონებს დღეს შადიმანი? ჰო, დროზე გამახსენდა!"

— ეი, სად დაიკარგე დღეს? — მიაძახა თავადმა სწრაფად შემოსულ მოსამსახურეს. — დაგავიწყდა, რომ დღეს თათბირის პირველი დღეა? შესაფერისი ქულაჯა მომიმზადე!

„ერთი რამ მანუგეშებს, — ფიქრობდა ჯავახიშვილი და თან წაღას იცვამდა, — მარტო მე როდი ამიშვია ენა. მაგრამ მაინც რად ვუწოდე არაგვის ტურას თავადთა რაინდი? აი მხოლოდ მირვან მუხრანბატონი ყვამდა თავადების საგვარეულოთა, მათი დროშების, ციხე-დარბაზების გამრავლების სადღეგრძელოს. ამის წინააღმდეგი ვინ იქნება? ჭკუიანი კაცი მხოლოდ სასიამოვნოს გისურვებს, და ყველა კმაყოფილია; სულელი კი, როგორც ეს ქორის მსგავსი ფირან ამილახვარია, იმდენს ილაყბებს, რომ ხურჯინშიც ვერ ჩატევ, ხელშესახები კი არაფერია.

შადიმანმა ძლივს დასძლია მძიმე შთაბეჭდილება. ეს თავადები თითქოს ცოცხალი კი არა, დახატული არიან, მხიარულობენ მთვარეულებივით, მოძრაობენ აჩრდილებივით. არავის არ სურს მიიქციოს მეფის ყურადღება, — პირიქით, თითქოს ვერც კი ამჩნევენ. და ოქროსიც არაფერია, სულ მოოქროვილია მხოლოდ!.. კარგად ქნა, რომ უსტაბაშები შეყარა: დაე საპატიო სავარძლებმა მოაგონონ თავადებს მათი მნიშვნელობა სამეფოში!

გულშარის სამყოფელოში კი კვლავ ისმოდა სიმღერა, ჩონგურის წკრიალი. გულშარი იდუმალად ჩურჩულებდა: „აი გაათავებენ თავადები სერიოზულ საქმეებს და დაიწყება ნამდვილი მხიარულება". და თავისთვის დასძინა: „დახეთ, მეტეხი

იყო და არის ბაგრატიოხთა სამყოფლო! იქ ყველაფერი ისეა როგორც წინანდელი მეფეების დროს იყო“.

და მართლაც, თითქოს არაფერი არ გამოცვლილა: თავადის ასულნი ქართულს ცეკვავდნენ, ახალგაზრდა თავადები ქალთა ტანადობის ცქერით ტკბებოდნენ; ხნიერნი კამათელს ისროდნენ ნარდის დაფაზე ან გენჯეფეს ძვლის ფირფიტებს რვაკუთხოვან მაგიდებზე; მოხუცთ ტახტებზე მოეფრთხნათ ფეხი, კრიალოსანს ათამაშებდნენ და ძრახავდნენ ყველას ერთად და თითოეულს ცალკე. ახალგაზრდობა კი? კიხაღამ ურთმანეთს ეხვეოდა მთელი საზოგადოების წინაშე! და საძრახავ სიტყვებს არ ზოგავდნენ არც მოხუცნი და არც ხნიერნი: განა ასე იქცეოდნენ მათს ყმაწვილობაში?! თვალის გამართვას ვერ ბედავდნენ!

ნუკერები და მოსამსახურეები ხონჩებს დაატარებდნენ და ცივ შარბათსა და ყოველგვარ ტკბილეულს თავაზობდნენ.

— რატომ ტახტზე არ დადგამენ, — ბუზღუნებდა მოხუცი კნეინა გურამიშვილი და წყენით იბზუებდა სქელ ტუჩებს.

— მართლაც, განა კრაზანასავით უნდა იჭერდე ნუგას?

— იქნებ ისა-ხანის ჰარამხანაში ნახა ასეთი რამ?

— არა, არშის ციხეში მოუგონია მოწყენილობის გამო.

— და არა მეტეხში სიძუნწის გამო?

— ტყუილად გგონიათ, მუდამ განთქმული იყო გულუხვობით. აგერ თავად ტარიელს სამოთხის ვაშლით უმასპინძლდება.

— და არა ჯოჯოხეთის ატმით იგებს მის გულს?

— მართლა, უმიზეზოდ აკანტურებს თავს.

— მოწყენილია, დიდი ხანია თაფლი არ გაუსინჯავს.

— ჰა-ჰა-ჰა.

— ჰი-ჰი-ჰი!

— ნატომ ყოველთვის უნდა გაგამხიარულოს.

დილით ყრილობა არ გახსნილა, მაგრამ სასახლე სამზადისში იყო გართული. „ქართლის დედოფალთა ბაღში მოაწყო შადიმანმა ლხინი და ჭიდაობა. თავადებს გამოჰყავდათ უძლი-

ერესი მოჭიდავეები, თავიანთი ბატონების დროშის ღირსებას რომ იცავდნენ. მწვანე მოლზე დაეფინათ უზარმაზარი ხალიჩა, რომელზეც გამოხატული იყო ირემზე ნადირობა. მეშუსიკენი ამზადებდნენ დუდუკსა და დაფს. ხალიჩასთან მოგროვილიყვნენ ნუკერები, მოჭიდავეები, საჭურველთმტვირთველები, რაზმელები, მოსამსახურეები. წუთი წუთზე მოელოდნენ თავადთა მობრძანებას. კოჯრის კარის მხრიდან მოისმოდა ცხენების თქარათქური და საყვირის ხმა.

შადიმანი საპატიო მიზეზით სასახლეში დარჩა. მცირე ეზოში განუწყვეტლივ შედიოდნენ დაჩარდახებული ურმები, რომელთაც სხვადასხვა საამქროს წევრები ახლდნენ. უხმაუროდ აგროვებდნენ კალათებსა და ხურჯინებს და მეჩიბუხის მეთვალყურეობით შეჰქონდათ გვერდით მარმარილოს კამარაში.

„ნარინჯისფერი ფრინველების დარბაზი" აივსო ადლების რაკუნით, მაკრატლების ჩხაკუნით, ხმების გუგუნით. იქ მბრძანებლობდნენ უსტაბაშები და მათი თანაშემწეები. ბეჯითად მუშაობდნენ ამქრები, იჩქაროდნენ. შადიმანის ნებით ყრილობის დარბაზი ემზადებოდა თავადთა მიღებისათვის.

გავიდა კიდევ ერთი ღამე. შუაღამისას კვლავ გაისმა ქართლის სამეფოს საყვირების ხმა. მფლობელნი, დინჯად და ქედმაღლურად, არც მეტად სწრაფად და არცთუ მეტად ნელა, გაემართნენ „ნარინჯისფერი ფრინველების დარბაზისაკენ". მაგრამ როცა პირველებმა ზღურბლს გადააბიჯეს, უნებურად შედგნენ, გზა არ მისცეს დანარჩენებსა და უეცრად გაისმა განცვიფრების, უკმაყოფილების შეძახილები. ზოგს დაავიწყდა ზრდილობა და მიაწვა წინმდგომს, შეიქმნა მიხლა-მოხლა. შემდეგ შესულნი თავიანთ შეძახილებს უერთებდნენ საერთო ხმაურს. რა მოხდა? რატომ ატყდა ასეთი უკმაყოფილება?

როგორ თუ რატომ? ყველა წინანდელ ყრილობაზე თავადთა სავარძლები ამ დარბაზში იდგმებოდა ერთხელ და სამუდამოდ დამყარებული წესით. ქორედს სამი საფეხური ჰქონდა, შუაში იდგა მეფის ტახტი, ხოლო მის ორივე მხარეს — „თავადთა ერთნაირი სიმაღლის, ერთნაირი იისფერი ხავერდგადა-

კრული სავარძლები. ვინ არის ამ მასკარადის მოწყობის დამნაშავე? როგორ თუ ვინ? რა თქმა უნდა, შადიმანი!

ახლა ქორედზე დარჩა მხოლოდ მეფის ტახტი. მის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული იყო სავარძლები სწორი წრის სახით, რაც, შადიმანის აზრით, ათანაბრებდა მფლობელთ ღირსებით და უფლებით. სავარძლების საჯდომ ნაწილსა და ზურგს გადაკრული ჰქონდა საგვარეულო დროშების ფერი ხავერდი, ხოლო ზურგზე იყო კიდევ ემბლემები, რომლებიც ღერბს ცვლიდნენ. და აი ახლა ზოგიერთი წმინდა ემბლემა, რაც უნდა კეთილი ყოფილიყო შადიმანის განზრახვა, დაუმსახურებლად იყო დაშორებული მეფის ტახტს, სხვები კი, პირიქით, დაუმსახურებლად უფრო ახლოს იყო.

— ოო! რატომ მიურთმევიათ ანდუყაფარისათვის პირველი სავარძელი ტახტის მარჯვნივ? და რა უტიფრად იცქირება ორბისფრთიანი ლომი, თათში ოქროს ხმალი რომ უჭირავს! და ზემოთ რატომ არის გვირგვინი? წინათ არ ყოფილა! ნუთუ ეს ახირებული გულშარის ოინია? ან ზურაბის სავარძელი რად არის პირველი ტახტის მარცხნივ? რუხ-თეთრ-ლურჯ არეზეა ვერცხლის მთა — ეს გასაგებია, მზე ოქროსია — ესეც გასაგებია: სხვა ფერი მზეს არ აქვს; მის ქვემოთ შავი დათვის თათს უჭირავს ოქროს ხმალი, ესეც გასაგებია, მაგრამ მზით განათებულ მთაზე რატომ ბრწყინავს მთიელთა ყინულის გვირგვინი? ნუთუ ზურაბს ხელი არ აეღია გიჟურ აზრზე მარტო თავისთვის მიიტაცოს ყველა მთიელი? ტურაა! ნამდვილი ტურაა! იქით კი რაღაა? ოო! ფირანის სავარძელი! ასე უწყინრად მორთული! უქკუო! მეტი ვერაფერი მოიგონა თავისი დროშისათვის, თუ არა ღიარუხი ჯეირანი, რომელიც მუქი მიხაკისფერი მთიდან დასცქერის ოქროს ისარსა და ვერცხლის შუბს? კარგი რამ კია ეს ჯეირანი! ლიპარიტის ყალხზე შემდგარ ვეფხვსა და ციციშვილის რუხ მგელს შუა რომ მიკუნჭულა! რაჟდენ ორბელიანი კიდეეაც გაყვითლებულა! კვლავ დაუდასტურებია, რომ მისი წინაპრები ჩინ-მაჩინიდან გამოსულან... აბა როგორ არ გაყვითლდებოდა! მზე მისი სა-

ვარძლის ზურგზე ოქროსია, მთები — ლურჯი, მახვილებიც ოქროსია, ხოლო სავარძელი ტახტიდან მერვეა! შემდეგ უჰ-კუო ქაჩიბაძისა და ბეცი ნიკო ჯორჯაძის სავარძლებია! ხოლო თვით შადიმანი მარჯვედ მოკალათებულა მუხრანბატონსა და ქსნის ერისთავს შუა: ალბათ განზრახ, ნოსტელი „ვეფხვის“ პარტიის ცენტრში! ოო! „გველი“ თავადი! ნარინჯისფერ-მწვანე ხავერდზე თეთრი გველი შემოხვეულია ოქროს მახვილს, ირანიც ახსოვს, თურქეთს არ ივიწყებს და თავისთვისაც ზრუნავს! ჯავახიშვილი კი? ჰო-ჰოო! ისე უცქერის თავის სავარძელს, როგორც მგელი ბატკანს! აბა რატომ უნდა უცქიროს ისე, როგორც პეპელამ შროშანას? ლურჯ არეზე მთები თეთრია, მახვილი ვერცხლის, ალამი წითელი, — მაგრამ ყველაფერს ჩრდილავს ციციშვილის სავარძელი, ისინი კი მეგობრები არიან, ამიტომაც ციციშვილს ცხვირი მწიფე პილპილივით გაუხდა, შუბლი კი თეთრი, როგორც თუშური ცხვრის დუმა!..

მირვანი ძლივს გაძვრა თავის სავარძელთან, ხელი ზურგს დაადო და ირონიულად მოჭუტა თვალები: „და ეს მენამცეცეები შეიყარნენ, რომ სამეფო განამტკიცონ! უმნიშვნელო საბაბი და—უკმაყოფილება იფეთქებს, როგორც კოცონი, ორბები და ლომები გადაიქცევიან თაგვებად და აწრიპინდებიან. მათთვის ყველაზე ძვირფასია წვრილმანი ინტერესები. უნდა ითქვას, შადიმანი უფრო სწორ საშუალებას ვერ გამოძებნიდა იმის შესამოწმებლად, რომ მფლობელები მზად არიან იზრუნონ არა საგვარეულო ციხე-დარბაზებისათვის, არამედ სამშობლოსათვის, რომელსაც ისინი გაუზრდია. მაგრამ სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვითონ მირვანიც არ იქნებოდა დამშვიდებული, მუხრანბატონის სავარძელი რომ აღმოჩენილიყო, ვთქვათ, კონსტანტინე მიქელაძის, ამ ხმელ-ხმელი, მუდამ მამალ ინდაურივით გაფხორილი თავადის საეარძლის ახლოს! მართალია, ცისფერ არეზე ოქროს მახვილები დაჯვარედინებულია ვერცხლის ფარზე, მაგრამ მათს ზემოთ არის კამეჩის თავი — ხოლო შავი კამეჩი თეთრი არწივის რა მეზობელია?“

შადიმანმა ორი საფეხური ავლო და ცდილობდა დაემყარებინა წესრიგი, რითაც ახალი საპროტესტო შეძახილები გამო-

იწვია. კიდევაც მოეჩვენა, რომ ვახტანგ ქოჩაკიძე წამოიქოჩრა, ვით ქორი მისი სავარძლის ზურგზე, და თავადებს შესძახა: „იარაღს იკარით ხელი!“

არავინ იცის, რით დამთავდებოდა ეს ზეიმური დასაწყისი, კარის ცერემონიის გამგეს რომ სამჯერ არ აღემართა მოოქროვილი კვერთხი და არ განეცხადებინა: მეფე მობრძანდებაო!

თავადებმა, შადიმანს რომ მრავლისმეტყველი ცქერით აჯილდოებდნენ, უხალისოდ დაიწყეს დაჯდომა.

გამოჩნდა სვიმონ მეორე, სკიპტრა რომ მაგრად ჩაებღუჯა და ულვაშები გაეფანჩა. ტახტზე ისე დაბრძანდა, რომ ღირსეულად დაეცვა სიდიადე. კარის ცერემონიის გამგემ სამჯერ დაჰკრა მოოქროვილი კვერთხი მარმარილოს იატაკს.

სვიმონ მეორე ცდილობდა არ გამორჩენოდა არც ერთი დასწავლილი სიტყვა და მადლობა გადაუხადა მამაც თავადებს, ყრილობაზე რომ მოვიდნენ მეფისა და სამეფოს მოწოდებით (სურდა დაემატებინა: და სარწმუნოებისო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი). — მეფე ქართლისა, — ზვიადად წარმოთქვა მან და გულში იგრძნო იმის სიტკბოება, რომ თავს მძიმე გვირგვინი ედგა, — არ აპირებს შებოჭოს მფლობელთა მაჯელობა, მათი გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, და ამიტომ არ დაესწრება ყრილობას, რომელიც ნებავს (აპირებდა ეთქვა: ალაჰსო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და ზეცის შემქმნელის სახელი შეცვალა საკუთარი სახელით) სვიმონ მეორე ბაგრატოვანს!

კარის ცერემონიის უფროსმა სამჯერ აღმართა მოოქროვილი კვერთხი და წარმოთქვა:

— მეფე მიბრძანდება!

და სვიმონმა, რომელიც ცდილობდა თავი არ დავაკანტურო, დარბაზი დატოვა.

საერთო სიძულვილმა მეფისადმი რამდენადმე შეანელა მფლობელთა სიფიცხე, მაგრამ მოლაპარაკებამ მაინც ერთბაშად მიიღო მღელვარე ხასიათი. იმის გამო, რომ დიდხანს გროვდებოდა უკმაყოფილება ერთმანეთის წინააღმდეგ, თუ იმის გამო, რომ მწვავე საკითხები იყო, მაგრამ ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, და თითოეულს სურდა, რომ მხოლოდ

მისთვის ესმინათ, და ამასთან ცდილობდა თუნდაც ნეკის სიგრძეზე მიეწია ტახტისაკენ თავისი სავარძელი.

შადიმანი ჩაფიქრებული ისვამდა ხელს მოვლილ წვერზე, რომელიც ხელს უწყობდა იმას, რომ მიუწედომელი ყოფილიყო მისი ფიქრები სხვებისათვის, ხელს არ უშლიდა მოკამათეთა გაფიცხებას, რადგან გამოცდილებით იცოდა: სანამ მცირე შეტაკებაში არ დაიღლებიან, მთავარზე არ უნდა ილაპარაკო. მის ხელმარცხნივ ცარიელი იყო ქსნის ერისთავების სავარძელი, ეს არღვევდა სავარძლების ნახევარწრის წონასწორობას. შადიმანი უგდებდა ყურს საყვედურს, ბრალდებას, შარს, თავადები რომ ერთმანეთისათვის არ იშურებდნენ, და გმობდა ქსნის ერისთავს, რომელმაც იმედი არ გაუმართლა.

ქსნის ერისთავის სავარძელს უბღეერდა ზურაბიც. ლურჯწითელ არეზე, რუხი ცხენის, გადაჯვარედინებული ოქროს ხმლისა და ვერცხლის შუბქვეშ მკაფიოდ მოჩანდა წითელი ჯვარი. „ჰო!—გულში ჯავრობდა ზურაბი,—ჯვარი თავის ადგილზეა, წარმართი კი არა ჩანს. ალბათ ხბოს ბეჭის ძვალში ამოიკითხა, რომ უმჯობესია ყველა ქსნის ერისთავი იჯდეს... სჯობს სპარსულად ითქვას: ბესტში“. ზურაბმა ისარგებლა ოდნავი სიწყნარით და მოკყვა ხმამაღლა თავადთა ძაგებას.

— რაზე დავობთ, მამაცნო? მცირე საოჯახო საქმეებზე! გისონებზე ბაჟის წესების დარღვევაზე! პირუტყვისა და მატყლის ფასის შესახებ მსახურთა დავაზე! სად გინახავთ, რომ თავადები ვაჭრობდნენ? განა ეს თავადთა საქმეა? მთავარი კი სულ დაგავიწყდათ: რა საშუალებით განვამტკიცოთ ჩვენი ძალაუფლება ქართლში, როგორ გავადიდოთ დროშების ძალა? და კვლავ მთავარი რამ: როგორ მოვიშოროთ თავიდან საკაძე? ან იქნებ დაგავიწყდათ, რომ მტაცებელი გადახტომის წინ მიწყნარდება ხოლმე?

— სანამ გადმოხტებოდეს, თავადთა ისრები ფეხებს დაალეწავენ.

— რაკი ბრჭყალებისაგან განთავისუფლდი, ტორებზე წუხილი არა ღირს! ეს იმიტომ გახსოვს ასე მტკიცედ, რომ მისი ცოლისძმა ხარ, — იქედნურად უთხრა ციციშვილმა, რომელიც კვლავ ჯავრობდა იმის გამო, რომ მისი სავარძელი თირან ამილახვრის სავარძლის შემდეგ იდგა, ზურაბისა კი—ტახტთან.

— მარტო მე როდი ვარ აქ ნათესავობით ბედნიერი! — მიუგო ზურაბმა, და გულში გვირგვინი მუხრანბატონის სავარძლის ზურგზე შეადარა ბუნაგს, რომელშიც „ვეფხვს" ყოველთვის შეუძლია თავშესაფარი პოვოს.

— რა გაეწყობა, თუ მე მგულისხმობდი, — დამშვიდებით მიუგო მირვანმა, — პირდაპირ გეტყვი: ვამაყობ ასეთი ნათესაევის გამო, რადგან ნათქვამია: ფრთამოტეხილი არწივი მაინც არწივია, ხოლო მამალი, რამდენიც უნდა აბარტყუნოს ფრთები, მხოლოდ მამალია.

თავადები აჩოჩქოლდნენ. ბევრმა იწყინა, თვითონაც არ იცოდნენ რატომ. ნიკო ჯორჯაძემ, რომლის სავარძლის ზურგზე თეთრ მთებში ფრთები გაეშალა შავ ქორს, გულზე იტაცა ხელი, რადგან ქულაჯის ქვეშ დამალული სატევრის ვადაზე ხელის გაკვრა საშიში იყო, ხოლო ფირან ამილახვარმა, ლოყები რომ შეუწითლდა, მამალივით წამოიყივლა:

— მაშინ სიამაყემ ხელი არ უნდა შეუშალოს მუხრანბატონს და განაცხადოს: ფრთამოტეხილი არწივი საშიში არ არის-თქო!

— ამაზეც ვიტყვი: საბედნიეროდ, წინანდებურადვე საშიშია.

— როგორ უნდა გავიგოთ შენი სიტყვები, მირვან? — მხრები აიჩეჩა ციციშვილმა.

— გაგება ძნელი როდია: მოურავმა აიძულა სპარსელები გაქცეულიყვნენ ქართლიდან, მაგრამ კახეთი კვლავ სავსეა მტრებით, ხოლო არაგვის ერისთავმა მაამებლურად უჩვენა კახეთის საიდუმლო გზა ქართლიდან დაძრულ მტერთა ურდოებს. რისთვის? განა არა იმისათვის, რომ ყოველ დროს შეიძლებოდეს მათი დაბრუნების მოლოდინი?

— გამოდის, რომ სააკაძე საზეიმო შეხვედრისათვის ემზადება?

— ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა, კეთილშობილო ლიპარიტ, მაგრამ, მგონია, რომ კატა დაუსჯელად არასოდეს არ მისცემს ნებას თაგვებს თავისი ბრძყალების ახლოს იცუნცულონ.

— გისმენ, მუხრანბატონო, და მიკვირს. მთელმა ქართლმა

იცის, სპარსელები იმიტომ წავიდნენ, რომ წმიდა მამამ დააშინა, შენი ფიქრით კი გამოდის — სააკაძემ განდევნა!

— შენი ფიქრითაც ასე გამოდის, თავადო ჯავახიშვილო, მხოლოდ თავს იმიამიტებ. ალამი კი შენი საკარძლის ზურგზე სხვას ამტკიცებს: შეღებილია სისხლით. და ესეც მაკვირვებს: თუ კათალიკოსმა, თუნდაც დაგვიანებით, სპარსელები განდევნა და მეტეხი ამას აღიარებს, მაშინ რატომ არ მოიწვიეთ საძღვდელოება თავადთა ყრილობაზე, როგორც წინათ იყო ხოლმე?

ჯავახიშვილმა საკინძე გაიგლიჯა, რადგან გულისწყროში ახრჩობდა, და უკვე მზად იყო შეეთავაზებინა მირვანისათვის საკარძლების გაცვლა სამართლიანობისათვის.

— თავადებო, ახლა ამაზე როდია ლაპარაკი, — შეაჩერა საშიში დავა შადიმანმა. — თავადთა წოდებაზე ილაპარაკეთ. ყრილობა მხოლოდ თავადებისაა, ეკლესიის მსახურთ ახლა აქ საქმე არ აქვთ, ზეცის კურთხევაც ყოფილა მათზე! ზურაბი მართალია. აღვმართოთ დახრილი დროშები, კვლავ შემოვარტყათ გარს ტახტს დიდგვარიანთა ფარები, კვლავ ვუკარნახოთ მეფეს ჩვენი ნება, განვაგოთ სამეფოს საქმენი — აი ჩვენი უფლება!

— უმაღლესი საბჭო? არა, კეთილშობილო შადიმან?

— დიახ, ძვირფასო ფირან.

— მარტო საბჭოზე როდია ლაპარაკი. მტკიცედ მოვითხოვ, თავადებო: სანამ მეორე ფრთას არ მოვტეხთ — არაფერი მტკიცე არ იქნება. მე უკეთ ვიცნობ ნოსტურ არწივს.

— რა წინადადებას იძლევი, ზურაბ? არწივი გადავარქვათ „ვეფხვს“?

— გავაუვნებლოთ! თუ... ჯერჯერობით ძნელია მოსპობა, მისივე საშუალებებით გავაუვნებლოთ! აზნაურები წავიდ-წამოვიდნენ, მოლაშქრენი თითქმის ყველანი გაიქცნენ, კერა მოენატრათ. მაგრამ თბილისი ფარულად მას ეკუთვნის. ვაჭრები, ამქრები. წვრილი ვაჭრებიც კი, უპკუო მეთულუხეები, ყველანი ო ენებობენ დიდი მოურავის დაბრუნებაზე. საჭიროა მაიდანი ვაოცნებოთ თავადთა ძალაუფლების დაბრუნებაზე!

— წმიდაო ევსტაფე! — წამოიძახა ბირთვისის პატრონმა. — ხომ არ გვირჩევ, თავადო, მოვსპოთ დედაქალაქი?

— მოვითხოვ გავადიდოთ! უკვე შევუდექ ამას: მეიარაღეებს შევუკვეთე ფარები, სამკლაურები, ისრები მთელი ჩემი ჯარისათვის, ხუთასი ახალი ხმალი და შუბების ბუნიკები, სირაჯებს შევუკვეთე ხუთასი უნაგირი, ხუთასი სხვადასხვაფერი წაღა, მკერვალთა ამქარს შევუკვეთე შვიდასი ნაირფერი შარვალი, მექუდეებს — ფაფახები! არც ერთი საამქრო უსაქმოდ არ დამიტოვებია. არც ეაქრებისთვის მიწყენინებია: მსახურთ ვუბრძანე, ყველასაგან იყიდონ ცოტაოდენი სახიანი მიტკალი ჩემი გლეხების ცოლებისათვის, ხავერდი და ატლასი ჩემი ციხე-დარბაზისათვის, ფარჩა კი...—ზურაბს ენა შეებორჯლა და ბევრის მეტყველი თვალი შადიმანს მიაპყრო. — ეოდა, აი გირჩევთ, თავადებო, დატვირთოთ ამქრები სამუშაოთი, ეაქრები კი — ეაქრობით. მე კარგად ვიცნობ ამ მდაბიოებს: სააკაძემ ამგვარად მიაბა ისინი თავისი ცხენის კუდს. ამქრებისათვის მუშაობა ისეთივე დიდმნიშვნელოვანია, როგორც სიცოცხლე; და თუ იგი საკმაოდ ექნათ, დიდხანს აღარ მოიწყენენ უსააკაძეოდ, შემდეგ კი სულ გაეთიშავთ მათ. დიდი ეაქრები შეიძლება საქონლისათვის გავგზავნოთ თუნდაც იმერეთში, გურიაში ან სპარსეთში. დაე იყოს ქარავნების ეღარუნი თუ ოქროს არა, ვერცხლისა მაინც. მაიდანი ავაფეოიაქოთ ეაქრობით, ამქრები დავამშვიდოთ მუშაობით — აი უხვ აზნაურებზე სრული გამარჯვების გზა!

თავადებს უკვირდათ: ბრძოლის ასეთი ხერხი მათთვის სრულიად ახალი იყო, მაგრამ... მაგრამ... საიდან აქვს ზურაბს ამდენი ფული? საიდან აქვს ასეთი განზრახვა?

მირვანი გამჭრიახ თვალს არ აშორებდა ერისთავს, სიბრძნით რომ არ განირჩეოდა, და თითქოს გაკვრით ეკითხა:

— სამეფომ კი რამდენი შეუკვეთა ამქრებს?

— სამეფომ? სამეფო ჩვენ ვართ...

— მე მაგას როდი გეკითხები, ზურაბ. ვეზირმა შადიმანმა რამდენი შეუკვეთა სამეფო ჯარისათვის?

— მე, თავადო, ჯერჯერობით ვფიქრობ. დაე ჯერ მეფის მწიგნობრებმა დააზუსტონ მოისრეებისა და მხედრების რიცხ-

ვი. აი თავადებმა გურამიშვილმა და ქაჩიბაძემ შეარჩიეს მცოდნენი და ისინი ადგენენ სიებს...

შადიმანისათვის უხერხული იყო ელიარებინა, რომ ზურაბმა დააჯერა, კვლავ ნუ გამოფიტავ ისედაც შესუსტებულ სამეფო ხაზინასო.

— მაშასადამე, მეფეს ჯერ არაფერი შეუკვეთია?

— სააკაძის მეოხებით მეფის „სიუხვის ზანდუკი" მთლად დაცარიელდა.

— გინდოდა გეთქვა, ისა-ხანისა და ხოსრო მირზას მეოხებით მთელი სამეფო დაცარიელდაო! მაგრამ შენ, ზურაბ, ერთი შაურითაც არ გაღარიბებულხარ, პირიქით — შენი მოქმედება განცვიფრების ღირსია. და, შადიმან, შენც გამაკვირვე. განა, თუნდაც ზრდილობისათვის, არ უნდა შეგეკვეთა სამეფოსათვის? გამოდის, რომ მხოლოდ თავადი ერისთავი ცდილობს მიაღწიოს მწვერვალს?

— მუდამ გახსოვდეს, მირვან მუხრანბატონო: თავადი ზურაბ ერისთავი მწვერვალზე იყო და იქნება! მას არ უპირს...

— უპირს, რაკი წელებზე ფეხს იდგამს, რომ ამქრები მიიმხროს! მოურავი არ მალავდა, რომ აზნაურთა წოდებისათვის, თავადთა ინტერესების წინააღმდეგ, მოიგო მაიდნის გული, შენ კი ვისთვის ცდილობ?

— მე? მე? — ზურაბმა წუთით, ვით დაჭრილმა მგელმა, კბილები დაკრიჭა. — მე თავადთა წოდებისათვის...

— როცა მოურავი დიდმნიშვნელოვან საკითხს წყვეტს, აზნაურთა ყრილობას იწვევს, შენ კი, ზურაბ, თავადებს დაეკითხე? არა! შენ აჩქარდი და თბილისი შენთვის დაიპყარ! — მირვანი სავარძლის ზურგს მიეყრდნო და გვირგვინის ემბლემა თითქოს თავს დაედგა.

ზურაბი შეკრთა, რამდენიმე წამს აბნეული უცქეროდა მირვანს, შემდეგ ისეთი გააფთრებით დაესხა თავს საკაძის „დამქაშს", რომ ციციშვილმაც კი უხერხულობა იგრძნო. ბევრი თავადი, მტრებიც და მეგობრებიც, პატივს სცემდნენ ნახევრად მეფეებს — მუხრანბატონებს მათი სიქველისა და კეთილშობილებისათვის, და თავად ერისთავის მიერ ლანძღვა არასაკადრისად და საშიშრად მიაჩნდათ. ეჭვით შეპყრობილი

შადიმანი ამაოდ ცდილობდა შეეწყვიტა დავა. ზურაბი, აწყვეტილ დათვივით, სულ უფრო ცოფდებოდა და მირვანს უწმაწურ სიტყვებს აყრიდა.

— დამშვიდდი, შადიმან, — გულგრილად უთხრა მირვანმა. — აცალე არაგვის ერისთავს ილაპარაკოს თავის საკუთარ ენაზე.

მფლობელები, რომლებიც განსაკუთრებით აფასებდნენ მკვახე სიტყვებს. მარჯვე შედარებას, მწვავე გამოხდომას, ერთხმად ახარხარდნენ.

ნირწამხდარმა ზურაბმა, აქეთ-იქით რომ იბღვირებოდა, წაიბუზღუნა:

— მაშინ იცინებთ, როცა სააკაძე ისარგებლებს ისა-ხანის წასვლით და მისდგება თავადთა სასახლეებს! მაშინ გვარიანად შეგიღუტუნებთ!

— ჯერჯერობით მხოლოდ აშკარა მტრებს უღუტუნებდა მახვილის წვეროთი. ჩვენც წყენას არ ვითმენთ და ერთმანეთს ვეჩხუბებით, ხოლო ჩვენ ხომ სპარსელები არა ვართ, თავადები ვართ, — დარბაისლურად წარმოთქვა ლიპარიტმა და შეუმჩნევლად გასწია სავარძელი ფირანის სავარძლიდან.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ლიპარიტ, ამჟამად ჩვენზე როდი ფიქრობს მოურავი, მეტად აფიქრებს ეკლესიის სიუხვე.

— ეს თვითონ სააკაძემ გითხრა?

— თავადმა, რომელიც ოცნებობს წოდების მეთაური გახდეს, თავისი სახურავის გარდა, ვარსკვლავებიც უნდა დაინახოს, — გულცივად წარმოთქვა თავადმა ბარათამ და ოდნავ მიიწია მარჯვნივ, რათა ანდუყაფარს ეთხელ კიდევ შეეგნო ბირთვისის ემბლემის მნიშვნელობა: „გულისწყრომის მეხო, დაიცავ ძლიერების კოშკი!“

მფლობელთ არ გამოპარვიათ ლიპარიტის მანევრი და მათაც იწყეს თავიანთ სავარძლების ოდნავ მიწევა ტახტისაკენ. წრე დავიწროვდა, ვნება კი გახელდა. ქოჩაკიძე, რომელსაც მაღალქუსლიანი წაღა ეცვა, რათა მაღალი გამოჩენილიყო, ახლა კიდევ თითის წვეროზე შედგა და, როცა ჯორჯაძის სიმაღლის ნახევარს მიაღწია, ავღანურ შუბს რომ მოგვაგონებდა,

წაეკიდა მას რაღაც ქვიტკირის წისქვილის გამო, ორი მამულის საზღვარზე რომ იყო. რაკდენ ორბელიანი, თვალები რომ „საშინელი სამსჯავროს“ ფრესკიდან ჩამოფრენილ ანგელოზს უგავდა, იმ ადამიანის ღვარძლიანობით, რომელმაც ამქვეყნად ჯოჯოხეთი გამოიარა, რაღაცას უსაყვედურებდა გააფთრებულ ქაჩიბაძეს, ვინც თავის მხრივ საყვედურს არ აკლებდა. ისმოდა მხოლოდ: „სამი ავაზაკი!... ორბეთელი კეკლუცი!... ნაბადი წააფარეს! თავადურად არ მოქცეულა!“ ციციშვილი, ათრთოლებული მუცელი რომ აეწურა, ფირანს აწამებდა და უმტკიცებდა რუხი მგლის უპირატესობას მფრთხალი ჯეირანის წინაშე. „საგვარეულოს ნიშანი, — დაჟინებით ამბობდა იგი, — ყოველთვის განსაზღვრავს მფლობელის თვისებათ. ამიტომ ტახტთან იმაზე უფრო ახლოს არ უნდა დაჯდე, რაც არ გეკუთვნის!..“

თავადებმა თითქოს ამოშალეს ხსოვნაში ყრილობის მიზანი — გაეერთიანებინათ და განემტკიცებინათ სამეფო. თითქოს სავარძლები კი არა, შუბებით შეიარაღებული ციხე-დარბაზები დაუყენებიათ წრიულად და საუკუნეობრივ განხეთქილებას ახალი გამოხატულება მიეღიაო.

იქმნებოდა საფრთხე — კინკლაობა ჩხუბად არ გადაქცეულიყო. და უეცრად, — როგორც შემდეგ გამოირკვა, შადიმანის იდუმალი ნიშნით, — ქანდარაზე გამაყრუებლად ააყვირეს სამეფო ბუკი და ნაღარა. აღარაფერი ისმოდა, საშინელი გუგუნის გარდა.

თავადებს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ჩამოვარდა სიჩუმე. შადიმანმა მბრძანებლურად აღმართა ხელი.

— მფლობელნო! — მოკლედ თქვა. — გავიხსენოთ ქართლი!

მარჯვედ შეაბრუნა საუბარი, მტკიცედ იპყრო ხელთ სადავეები და გახურებული თავადები გაირეკა პოლიტიკის მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით.

დღის ბოლოს ზემო, შუა და ქვემო ქართლის თავადები საფუძვლიანად დაიღალნენ. თითოეული სიამით ფიქრობდა გამაგრილებელ ჭიქა ღვინოზე. ხმაურით წამოიშალნენ და, თითქოს უნებურადო, მისწი-მოსწიეს სავარძლები და ცდი-

ლობდნენ ტახტის ახლოს დაედგათ. სავარძლები ისე ჩაიხერგა, როგორც ხევში დასარწყულებლად შერეკილი კამეჩთა ჯოგი.

გადიოდა ყრილობის მესამე დღე. ახლა, ისე როგორც წინათ, ქორედზე, რომელსაც სამი საფეხური ჰქონდა, შუაგულში აღმართული იყო მეფის ტახტი. მის ოთივე მხარეზე ჩამწკრივებული იყო თავადთა ერთი და იმავე სიმაღლის სავარძლები, რომელთაც ერთნაირი იისფერი ხავერდი ჰქონდათ გადაკრული.

ზურაბმა, შადიმანის მხარდაჭერით, მოახერხა დაერწმუნებინა თავადები, მიემხროთ „ვაჭრობის ბატონები". და აი ახლა მწიგნობარნი აღვენდნენ სიებს, თუ ყოველ თავადს რა თანხის ნაწარმი უნდა შეეკვეთა ან მზად ეყიდნა თბილისის მაიდანზე.

პატივმოყვარეობით თავადები ისეთ ციფრს ასახელებდნენ, რაც ყოველთვის როდი შეესაბამებოდა მათს სურვილსა და შეძლებას.

შადიმანი ზურაბს კვერს უკრავდა და ვერ მიმხვდარიყო: რატომ ემუდარებოდა ასე ძლიერ არაგველი, ხაზინას ნუ დააცარიელებო? და შადიმანმა სიფრთხილის გამო განაცხადა, რომ მეფე სეიმონმა მოწყალედ გადაწყვიტა სამეფო ჯარის საჭურველი ერთიორად მეტი შეუკვეთოს, ვიდრე ზურაბ ერისთავმა. თავადებმა, რომელთაც უხაროდათ შეიძლება ზურაბის პირველობას ბოლო მოეღოსო, დიდად მოიწონეს მეფის გონივრული განზრახვა.

მაგრამ შადიმანს არ გაუმხელია, რომ ხაზინის კუთვნილი ხარჯის ნახევრის დაფარვა თვითონ მოუხდა, მეოთხედი ძლივს დააკისრა გულშარს, ვინც იკისრა სეიმონ მეფის განდიდებისათვის სადაფის ყუთში ამოეღო ოქრო. და მხოლოდ ერთი მეოთხედი ძლივს გამოფხიკეს სამეფო ხაზინაში.

სცადეს და ყრილობის სახელით კათალიკოსს გაუგზავნეს თავადები ამილახვარი და ციციშვილი, რომლებმაც ეკლესიას სთხოვეს მხარი დაეჭირა დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის, მაგრამ კათალიკოსმა მკვახედ უპასუხა: თავადები მეტად ცო-

ტას ზრუნავენ ეკლესიისათვის, მეტად აშკარად ემხრობიან მუსლიმ მეფეს და მეტად ძუნწი არიან შესაწირავზე. სამღვდელოებას უხდება თვითონ გამოძებნოს სახსრები, რათა დაიცვას ღვთის სახლის ღირსებაო. თეოდოსიმ კი არხეინად დასძინა, ყველა მონასტერს თავისი ამქრები ჰყავს და ურიგო არ იქნებოდა თუნდაც ნახევარი შეკვეთა მონასტრებში გაენაწილებინათო.

თავადებმა ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვეს კათალიკოსს და უკან დაბრუნდნენ.

სამღვდელოება გაფიცხდა. გაუგებარი რამ ხდებოდა: ნაცვლად იმისა, რომ განემტკიცებინათ სამეფო, სულ უფრო არყევდნენ მის ბურჯებს. ხოსრო მირზასა და ისა-ხანის წასვლის შემდეგ შადიმანი უფრო დაჟინებით მოითხოვდა სვიმონ მეფის ცნობას. უფრო გაჯიუტდა კათალიკოსი. ასე დღითიდღე მწვავდებოდა მათი ურთიერთობა. მეტეხი და კათალიკოსის პალატა ისე იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ, როგორც ორი მტრული ბანაკი.

ახლა კი? მეტეხმა აშკარად გადაწყვიტა უგულებელეყო ეკლესიის მსახურთა უფლებანი! „ნარინჯისფერ ფრინველთა დარბაზი" თავადებმა დაიკავეს, სამღვდელოების სავარძლები გაიტანეს. აშკარა გამოწვევაა! და შადიმანთან დაუყოვნებლივ გაემართა თბილელი.

მაგრამ არა ყრილობის დარბაზში, როგორც ეკლესიის მსახურნი მოელოდნენ, არამედ თითქმის ფარულად მიიღეს კათალიკოსის დესპანი შადიმანის სამყოფლოში. და რაც უფრო საწყენი იყო: რამდენიმე ხანს თავადის ლოდინი მას მეჩიბუხის საზოგადოებაში მოუხდა. დესპანის გული მაშინაც არ მოლბობილა, როცა სწრაფად შესულმა შადიმანმა იბოდიშა: „სამეფოს საქმეები! თავადთა თათბირი!"

— სამეფოს საქმეები? — აღშფოთდა თბილელი, თავი ასწია და წარბები შეიკრა. — რა ქვესკნელში, ღმერთო შემინდე, განიზრახეს თავადებმა სამეფო საქმეების გაძღოლა ეკლესიის მამის დაულოცავად?

და დააყარა საყვედური:

— ღმერთო წმიდაო, განა შესაწყნარებელია? სამღვდე-

ლოება პირველად არ მიიწვიეს სრულიად ქართლის თავადთა ყრილობაზე, სადაც განიხილავენ ქართლის — ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის ბედს! შესაწყნარებელია განა თავადთა ასეთი თვითნებობა? ან იქნებ დაივიწყეს, რომ წინაადელი მეფეების დროს თავადთა არც ერთი დიდი მოლაპარაკება ეკლესიის მამების დაუსწრებლად არ მომხდარა? ქრისტე ღმერთო, შეიწყალე უსინათლონი, ამინ!

შადიმანმა მოუსმინა თბილელს და ცივად უპასუხა:

— რომელი ბაგრატიონი მეფობდა მცხეთაში დაუგვირგვინებლად? კათალიკოსმა ბევრი რამ აღგვითქვა, მაგრამ წავიდნენ თუ არა სპარსელები, ჩაილურის წყალი დალია ყველა დაპირებამ? განა შესაწყნარებელია, რომ ეკლესიის მამამ სიტყვა არ შეასრულოს? ან იქნებ დაგავიწყდათ, რომ სვიმონ მეფე შაჰის დაყენებულია? საშიში თამაშია! მონახტრების სიმდიდრე ხელმიუწვდომელია მხოლოდ საქართველოსათვის!..

თბილელის მარცხმა უფრო გაახელა საძღვდელება. სასწრაფოდ შეიკრიბა სინკლიტი. და აქ სავსებით გამომჟღავნდა დაბნეულობა.

შემაშფოთებელი აზრი გამოთქვა თეოდოსიმ:

— ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ის გარემოება, თუ კვლავ გავუწიეთ წინააღმდეგობა სვიმონის დაგვირგვინებას მეტეხში არ გამოიწვევს ეკლესიის ურთიერთობის სრულ შეწყვეტას მეტეხთან?

— მეტეხს ეგ არ აშინებს! — წაიბობღინა ავქსენტიმ. — განდგომილ სვიმონს — გნესიოზის კეთრიც შეჰყრია მას! — შეუძლია აასრულოს მუქარა და — ენაც შეხმობია ღვთის მგმობელს! — სიონის გვერდით აიგოს მეჩეთი.

სინკლიტი დაეთანხმა: ლარი თუ მეტად მოვეშიეთ, გაწყდება.

— შთაგვაგონოს წმიდა ევსტაფემ, რა ვქნათ? — მძიმედ ამოიოხრა მოხუცმა.

— ვინც იკითხოს, მას უპასუხონ! — ტრიფილიოსმა სინკლიტი ჩამოათვალიერა. — ან იქნებ დაგავიწყდათ ეკლესიის ერთგული შვილი?

— ო ღმერთო! განა გიორგი სააკაძე თავს დაგავიწყებინებს?!

— ნუ ზრუნავ, სახიერო თეოდოსი, მოუსვენარი შეომრისათვის, იგი საშიშია მეფე თეიმურაზისათვის.

— იგი, ღმერთო შემინდე, საშიშია ყველა მეფისათვის, რადგან თვითონ ოცნებობს ტახტზე!

— უგუნურებაა, მამაო არქიდიაკონო, ძაგება ქართლის ნამდვილი შვილისა! ღმერთმა უშველოს მას სააქაოს და საიქიოს! თუ ოცნებობდეს, კიდევაც მიაღწევდა; იყო დრო და ხალხსაც წყუროდა ძლიერი ხელმწიფება. და — უფალი ღმერთიც ნუ გამრისხებია სიმართლისათვის! — ეკლესია დალოცავდა! უმეფობის ჟამს განვიცდიდით. — ტრიფილიოსმა საყვედურის თვალი მოავლო შავ ძმობას.

შიშობდნენ, ფიცხობდნენ მწყემსმთავრები, მაგრამ მაინც ვერაფერი გადაწყვიტეს.

— სჯობს დავიცადოთ: იქნებ თეიმურაზმა ზეშთაგონებით თავის ამბავი გვამცნოს, თუ არა და — დათმობა არასოდეს დაგვიანებული არ არის.

მეტეხში გრძელდებოდა გაცხარებული დავა. ყველა თავს ისე გრძნობდა, როგორც ასპარეზზე. ასპარეზი! ცოტა სიმარჯვე როდი იყო საჭირო, რომ მოწინააღმდეგე ცხენიდან ჩამოგეგდო, შენ კი ჭენება განგეგრძო. შადიმანი დაუცხრომლად შთააგონებდა, თავადებმა ყველაფერი, ყველაფერი უნდა გაითვალისწინონო!

როცა გამოარკვიეს, კვლავაც როგორ მოვიგოთ ამქრების გულიო, ზურაბის დაჟინებით გადავიდნენ იმის განხილვაზე, თუ როგორ აეცილებინათ თავიდან თურქების შესაძლო შემოსევა. თუმცა ბევრი ეთანხმებოდა მირვანს, რომ ახლა სიფრთხილე არაფრის მაქნისიაო, მაგრამ გაიმარჯვეს ზურაბმა, ანდუყაფარმა, ციცაშვილმა და ჯავახიშვილმა, და ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ყოველმა ციხე-დარბაზმა გამოიყვანოს ასი რაზმელი თურქეთის მოსაზღვრე ზღუდეე-

ბის დასაცავად. ძალების შეცვლა კი ხდებოდეს სამი თვის გასვლის შემდეგ.

ყველა გააკვირვა, შადიმანი კი გაახარა მირვანის განცხადებამ: რაკი ყრილობამ გადაწყვიტა, ას რაზმელს მეც გაბოვგზავნიო.

მირვანი ღიმილს მალავდა და ფიქრობდა: „აი გავახარებ გიორგის! წუხდა, ცოტა რაზმელია, თურქეთის საზღვარზე ვერავინ დამიყენებიაო, აქ კი მოულოდნელად ტურებმა და აფთრებმა დახმარება გაუწიეს". მირვანს უეცრად გაეცინა და შადიმანის გაკვირვებაზე განმარტა: სიამოვნებით გამოვიყვანდი კიდევ სამას რაზმელს, რომ სპარსეთის მოსაზღვრე ზღუდეებზე გუშაგებად მდგარიყვნენო.

თავადმა ბარათამ აშკარად გადაიხარხარა. შადიმანმა საყვედურით გადააქნია თავი: „და ამას ძმა ჰქვია!" ლიპარიტმა შენიშნა: რაკი კეთილშობილი მირვანის სურვილის შესრულება ჯერჯერობით არ შეიძლება, უნდა დავუბრუნდეთ იმას, რისი შესრულებაც შესაძლებელია.

აქ კინაღამ კვლავ ატყდა დავა. ანდუყაფარი რაღაცას ღრმააზროვნად ითვლიდა თითებზე და, თითქოს სხვათა შორის თქვა: თბილისში სულ ხუთასი რაზმელი დამრჩა და, სამწუხაროდ, ერთსაც ვერ გამოვიყვანო. ჯავახიშვილმა თავაზიანად დახარა თავი ანდუყაფარის წინაშე: „გმადლობ!" და უეცრად გახელდა:

— გამოდის, რომ ანდუყაფარს, როგორც მეფის ნათესავს, სურს მთელი ზრუნვა სამეფოსათვის თავადებს დააკისროს? რად უნდა ძლიერ გამაგრებულ თბილისში, რომელსაც, აქვე უნდა ითქვას, თავს არავინ ესხმის, ხუთასი რაზმელი?

— ზურაბ ერისთავს კი რად უნდა ხუთასი რაზმელი ძლიერ გამაგრებულ მეტეხში? — აიცდინა მოწინააღმდეგის ძოქნეული იარაღი ანდუყაფარმა და ფირანს თვალი ჩაუკრა.

— რად მინდა? — წაიფხუკუნა ზურაბმა. — ერთიც ვნახოთ შენ, ანდუყაფარ, განიზრახე თავს დამესხა? შენ რომ ხუმრობა გიყვარს და თანაც აქ შინ ხარ, მე კი... მაგალითისათვის შორს რად წაიიდეთ! აბა იფიქრე, მეფე ლუარსაბს რომ მოსვლოდა კარგი აზრი — თეკლესათვის მცველებად დაეტო-

ვებინა ხუთასამდე რაზმელი, მაშინ... ბოროტგამზრახველებიც ასე გაბედული ვერ იქნებოდნენ და... ბევრი რამ სხვანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო. არა, ბატონებო, მე ხბო არასოდეს ვყოფილვარ და მგონია, რომ ხუთასი რაზმელი თავდასაცავად შეეფერება ჩემს წოდებას.

ანდუყაფარი გაფითრდა, კინაღამ შეუტია ზურაბს, მაგრამ მუშტი მუხლზე დაიკრა და სიტყვაც არ უთქვამს.

თავადებმა უხმოდ დაუდასტურეს ზურაბს: განა არ იციან რამდენ საფრთხეს შეიცავს მეფის სასახლე?

დუმდა შადიმანიც. თავადებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ გადაწყვიტა მაინც გამოეყო ასი რაზმელი თავისი თბილისური რაზმიდან, რადგან მარაბდის გაშიშვლება ჯერ საშიში იყო. „ასე რომ, — გაიფიქრა მან, — თბილისში დამრჩება სამასი რაზმელი, მეტეხში კი — ორასი. მაგრამ საჭიროა ისინი ახლებურად განლაგდნენ. ხუთასმა არაგველმა ერთობ ბევრი გამაგრებული ადგილი დაიკავა. ანდუყაფარს მეტეხში ასორმოცდაათიც თუ მოეძებნება, მოსამსახურე კი ძუნწს ორმოცდაათი ჰყავს. სვიმონს მოსამსახურე ორასი ჰყავს, — ასე ინება, — ქეშიკი კი სულ ასია. უცნაურია, რატომ დავიწყე ერთბაშად თვლა? ნუთუ სერიოზულად ვაპირებ თავს დავესხა ზურაბს? მაგრამ ზურაბის ვერც ერთ მოქმედებაში ღალატის ეჭვს ვერ შეიტან, იგი, ერისთავი, სარდალია და დამეხმარება, — უკეთ რომ ვთქვა, — აიძულებს თავადებს ყოფილ სიმაღლეზე აიყვანონ თავადთა წოდება. მე როდი შევმცდარვარ, რომ სამეფოს აღსადგენად დავიხმარე... მეჩიბუხემ გუშინ საღამოს მითხრა, ორ ცხენსა და მთვარიანი ღამის ლაბადას მეფუტკრე თვალისჩინივით ინახავსო... რაზე ვფიქრობ? ახლა წყდება ხომ, აყვავდეს თუ არა ქართლი?.. უცნაური წერილი გადმომცა გუშინ საკაძის შიკრიკმა... „მეფე გამოძებნეო!...“ ადვილი საქმელია! ისინი იალაღზე ხომ აო ძოვენ? „მეფე და არა მასხარაო!“ მე კი, შადიმანი, რაო, ვერ ვხედავ, რომ ქართლის ტახტზე ნამდვილი მასხარა ზის? „მეფე გამოძებნეო!“ ვის ჰგულისხმობს კიორგი? რიმ დათანხმდებოდეს... არა, ეაი რომ აქ ასეთი ლაპარაკი არ ყოფილა! დაბლა, დაბლა დაფრინავენ თავადები! სად არის სამეფოს ან თუნდაც

ვაჭრობის გაფართოება? სად არის მაიდნის ბრწყინვალება? უცხოელი ვაჭრები? მოგზაურები? შეკვეთა ამქრებს ოვიდიოდე თვეს ეყოფათ. მერე კი? ხოლო... მოქანდაკეთა დარბაზი სად არის? მწიგნობრები სად არიან? სად არიან ნიჭიერი მგოსნები, რომ ხოტბა შეასხან ქალთა სილამაზეს? სად არიან ხორეშანის მსგავსი გონებამახვილი მანდილოსნები? ხოლო მარქვი კვლავ, ჩემო გონებავ: სად არის მამაცი, უძლეველი ჯარი?.. სად არის „ღვთის სწორი მეფე"?.. რაღაც წავიდა... ნუთუ, მართლა, ახალი რამ უნდა მოვიდეს? ასეთია ცხოვრების კანონი? მერე ახალი რა არის? თავადთა დროშების გახახლება? მაგრამ... ეს ხომ ძველი და ურყევია!.."

უკვე ორჯერ გაეხმიანა შადიმანს ციციშვილი.

— ასე ღრმად რაზე დაფიქრებულხარ, ძვირფასო შადიმან? — თანაგრძნობით ჰკითხა ლიპარიტმა და დაღვრეძილ სახეში ჩააშტერდა. — იქნებ შეუძლოდ ხარ?

შადიმანი შეკრთა: „ვინ? მე ვარ შეუძლოდ? არასოდეს არა ვყოფილვარ ასეთი ცეცხლგამძლე! რაო? კვლავ ჩხუბობენ ზურაბი და ანდუყაფარი? ესეც ძველი ამბავია და... მომბეზრდა!"

— პირდაპირ ვიტყვი: ცოფიან ძაღლს უნდა ერიდო, რადგან ერთს შეუძლია დაღუპოს ასი რაზმელი, ხოლო ასს — ათასი. მაგრამ უფრო საშიში არიან ორფეხა ძაღლები, რადგან მათი სიცოფე უბრალო თვალისათვის შეუმჩნეველია.

ანდუყაფარმა ისე გადაიხარხარა, თითქოს ზურაბი ყირაზე დადგაო.

— სააკაძე ბეცი აღმოჩნდა, რადგან გაუფრთხილებლად გადმოგცა მხედართმთავრის უნარი და ცოფიანის ცბიერება, შენს არაგველებს კი — ყოველივე ის, რაც დიდი ირანის მეომართაგან გადმოიღო.

— შენ, ანდუყაფარ, ჩემზე ნაკლებ გამჭრიახი ხარ, იმიტომ არ გაგიწვრთნია შენი რაზმები სააკაძისებური წესით, და ახლა ჩემი ერთი ასეული შენს სამ ასეულს სჯობს. — ახლა ზურაბი ხარხარებდა და ზიზღით უცქეროდა ანდუყაფარს.

„დიახ, ტურაე, შენ ერთობ კარგად გამოგწვრთნა გიორგიმ", — დაცინვით გაიფიქრა შადიმანმა.

ატყდა ახალი დავა: სად შეკრებილიყვნენ რაზმელების გასანაწილებლად. ყველას სურდა თავის ციხე-დარბაზის ახლოს ყოფილიყო ბანაკი, რომელიც ნაწილობრივ ბაფარველიც იყო.

— მე სხვას გირჩევთ, — შადიმანმა წვერში ჩამალა ირონიული ღიმილი. — ვთხოვოთ კათალიკოსს, ნება დაგვრთოს მცხეთაში, — თბილისთან ახლოა, არც ბევრ ციხე-დარბაზს შორავს, ხოლო რაც მთავარია: საკაძე არასოდეს არ დაესხმის თავს კათალიკოსის სამფლობელოს.

— უკეთესს ვერც მოიგონებ, — დაეთანხმა ლიპარიტი და მეფურად მიმართა მირვანს. — მუხრანბატონი რას გვირჩევს?

— ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. სამუხრანოს მარტო მე როდი ვფლობ. უნდა მოვეთათბირო ძმებს, ძმისწულებს.

— ან იქნებ, საკაძეს? — შადიმანის საწყენად ზრდილობიანად ჰკითხა ანდუყაფარმა.

— მოურავს უსათუოდ, — ასევე ზრდილობიანად მიუგო მირვანმა, — ის ნაცადი მხედართმთავარია, ხოლო რამდენიმ. ათასი რაზმელის დაბანაკება სერიოზული საქმეა. და თუ რამე ქართლის სასარგებლოა, მოურავი ყველაფერს ივიწყებს, მოსისხლე მტრებთან მტრობასაც კი. არა ერთგზის დაუმტკიცებია თავისი კეთილშობილება.

ბევრი თავადი არ შეცბუნებულა, უმრავლესობა კი აღშფოთებული აყაყანდა: არა, ჩვენ არაფერი დაგვივიწყნია! განა შეიძლება იმის დავიწყება, როგორ გვაჯდა თავზე მდაბიო? როგორ წამოვხტებოდით ხოლმე თოჯინებივით, როცა იგი შემოვიდოდაო?

— მოხერხებული შედარებაა! — დამშვიდებით შეაქო ფირანი მოღიმარე მირვანმა.

შადიმანმა თვითონაც არ იცოდა, რატომ ამოიოხრა მსუბუქად, როცა მესტუმრემ გამოაცხადა: მეფეთ მეფე სვიმონ მეორე თავადებს სადილზე პატიუებსო...

უცნაური იმედის გაცრუება, თითქმის წყენა უწუხებდა გულს შადიმანს. „განა ეს ბედის დაცინვა არ არის? იქნებ ჩემი დარბაზის კარზე საჭიროა ყვითელი ასოებით დაიწეროს: „აქ განისვენებს თავადი შადიმან ბარათაშვილი, თავადთა წოდე-

ბის მონა, ქარის წისქვილში რომ უყვარდა ფუქსავატი იმედის მარცვლის ფქვა?“

გაახსენდა შადიმანს ვიღაც გენუელი მოგზაურის ნაამბობი, როგორ განიზრახა კეისარმა, მგონი იულიოსმა, აღედგინა კერპთაყვანისმცემლობა და მოაწყო ქურუმ ქალთა დღესასწაული, სინაზისა და უმანკოების დღესასწაული. მორთულნი, ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შემკული, თავაშვებული ქალიშვილები განდეგილთა ოჯახებიდან, ჩანგების ხმებში რომ ჩააქრეს წმიდა სანთლები, შმაგობდნენ: ტიტველნი ცეკვავდნენ ბილწად, იმღეროდნენ და გარყვნილების ქება-დიდებით ბილწავდნენ ტაძარს. და კეისარი მიხვდა: როგორც არ შეიძლება მდინარის აღმა დინება, ასევე შეუძლებელია იმის დაბრუნება, რაც წარსულს ჩაბარდა. სიხარულისა და სილამაზის დღესასწაული უწმაწურ ღრეობად გადაიქცა!

არა, მას ასეთი ყრილობა როდი ესაჭიროება! აბა როგორი?...

ბოლოს დადგა სამეფოს უმაღლესი საბჭოს მრჩევლებად თავადთა არჩევნების დღე. აქ ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ შადიმანს მოეჩვენა, თითქოს ნარინჯისფერი ფრინველები თაღებზე აფრინდნენ და ფრთები აატყლაშუნეს. მას კიდევაც გაეხარდა: ეგონა, რაღაც ძველმა დაჰკროლაო.

ერთი დღის დავის შემდეგ, როცა იმდენი იყვირეს, რომ ხმა ჩაუწყდათ, მუდმივ მრჩევლებად აირჩიეს ციციშვილი, შადიმანი, ჯავახიშვილი, ლიპარიტი, ანდუყაფარი და ზურაბი, დანარჩენი თავადები კი — არამუდმივ მრჩევლებად, სამ თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბონ ისინი მეტეხში გადაწყვეტილებათა მისაღებად, აგრეთვე წინადადებათა მოსასმენად.

ტახტზე აბრძანდა სვიმონი. მან მოწყალედ ინება თავადებისათვის დაერთო ნება კვლავ შეკრებილიყვნენ „ნარინჯისფერი ფრინველების დარბაზში“ ზუსტად სამი თვის შემდეგ, რათა მოესმინათ მრჩევლებისათვის, დიდმნიშვნელოვანი მინდობილებანი რომ მიიღეს.

კვლავ დღესასწაული ყრილობის კეთილად დამთავრების აღსანიშნავად. მღერიან. ბრწყინავენ. სმენ. ცეკვავენ. ქებადიდებას ასხამენ. სძულთ ერთმანეთი. დიდი ლხინია. გაისმის ფანდურის ხმა. მრავალ მოსამსახურეს, სვიმონ მეფის საყვარელი ფერების ტანისამოსი რომ აცვიათ, ხონჩებით შემოაქვთ მთლიანად შემწვარი ირმები, რომელთა დატოტვილ რქებზე სანთლები ანთია. აქ ფირან ამილახვარმა ეს შემთხვევა მოსახერხებლად მიიჩნია, რომ ყველანი მიეწვია სხვილოსის ციხედარბაზში დიდ ნადირობაზე.

მხიარული ნადირობა! შესვენება თვალწარმტაც ტყის ნაპირებზე! ცხენის ჭენება! ყველანი მოვლენ, ყველანი! ოღონდაც! საკაძის მეოხებით ხომ კარგა ხანს იყვნენ გამომწყვდეულნი თავიანთ ციხე-დარბაზებში!

და სრულიად მოულოდნელად მეფე სვიმონმა განაცხადა, ფირანს მეც ვეწვევიო. ზრდილობის გამო, თუ ნასვამმა ღვინომ უკარნახათ, თავადები ხმამაღლა უხდიდნენ მადლობას მოწყალე მეფეს, რომ პატივი დასდო მათთან ერთად ენადირა. და ყველაზე ხმამაღლა ფირანი უცხადებდა მადლობას.

უეცრად ფირანი მოიღუშა; იგი სრულიად უმიზნოდ ხშირად იკრავდა წარბს, რადგან უყვარდა ანდუყაფარისათვის მიბაძვა.

— ზურაბ, შენ კი რას გაჩუმებულხარ? ან იქნებ ღირსი არ ვიყო? ყველას წინაშე ამიხსენ, რით ხარ უკმაყოფილო ჩემზე? ან იქნებ ცუდად დაგპატიჟეთ? მაგრამ თვით მეფემ მიბოძა წყალობა.

— მე? მე ვარ უკმაყოფილო? ერთ-ერთი პირველი გეწვევი! ხოლო თუ აღსრულდა... — ზურაბმა მანიშნებლად შეხედა შადიმანს, — მარტო როდი მოვალ.

შადიმანმა, გულში რომ ჯავრობდა გულშარზე, რომელმაც მთელ კვირას გააჩერა თავადები, აშკარად დაუჭირა მხარი მის პატივმოყვარე სურვილს თავი გამოეჩინა თავადობის წინაშე გულუხვობით და მესტუმრეს უბრძანა ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა გაეგზავნა გზირი ფრინველების, ცხვრების, თაფლის, ხილის, ბრინჯის, ერბო-კარაქისა და ყველის, აგრეთვე ყოველგვარი სანოვაგის შესაგროვებლად, რაც საჭირო იყო

თავადთა ოჯახების გასამასპინძლებლად. საჭირო იყო გამოეჩინა ზრუნვა ათასი, ხოლო შესაძლოა, უფრო მეტი, მათი გაუმაძღარი მოსამსახურისათვის, ქეშიკის, საჭურველთმტვირთველისა და რაზმელისათვის. ო, სოფლებს კვლავ მოელით განსაცდელი!...

„თითქოს ყველაფერი კარგადაა, — ფიქრობდა შადიმანი,— სამეფოს ბურჯები შემაგრებულია, და კიდევ არის იმედის ნასახი, რომ მისი თაღები დანგრევას გადაურჩეს. ქართლის ოქროს ბუკს შეუძლია დაუკრას საზეიმო ჰიმნი. მაგრამ რატომ შეეპარა ჩემს გულს მოწყენილობა?..“

თავი მეთერთმეტე

— ინებე თასი! იგი შენს ხელთაა.

— იქნებ ვარდანს მოვუცადოთ? — ზრდილობისათვის იკითხა არჩილ-თვალმარჯვემ.

— სანამ ვარდანი მოვიდოდეს, შიმშილი ერთხელ კიდევ გაგვახსენებს თავს. — ნუცამ პური გატეხა და ფერად სუფრაზე დაალაგა. — ჩემს ვარდანს უყვარს უკანასკნელმა დახუროს დუქანი: დარწმუნებულია, წარმატება იმას წყალობს, ვინც არ იჩქარის. მე კი ასე მგონია: წარმატება ჭირვეული ქალბატონია, რამდენიც უნდა ეპატიჟო, რა განივრადაც უნდა გაუღო კარი, თუ გზა შენსკენ არ უძევს, სხვა მხრით წავა, ხოლო თუ გზა შენსკენ აქვს, მაშინ დუქანი თუნდ ცხრა კლიტულით დაკეტე, იგი ჭუჭრუტანაში შემოძვრება. რა საჭიროა წარმატების წინაშე ტყუილ-უბრალოდ ლიქვნა? განა უფრო ჭკუიანი არ იქნება, თავი ისე აჩვენო, რომ შენთვის სულერთია? უფრო გულდამშვიდებული იქნები და შინ ტყემლის წვენიც არ დაგიობდება. მითხარ, მართალს არ ვამბობ?

— მართალს ბრძანებ, ქალბატონო. მაგრამ ძნელია, ღმერთსაც კი ეძნელება კაცის გარდაქმნა.

— ძნელიაო? — გაჯავრდა ნუცა. — ხოლო ამდენი ანდუყაფარის გამრავლება ქვეყნად ადვილია? ჩემი ვარდანი ნამ-

ღვილი ვაჭარია, მისთვის ღირს ღმერთი შეწუხდეს! მაგრამ ღმერთს რომ ჩემი რჩევა ესმოდეს, არ დაიწყებდა ზურაბების ასე მოწყალედ გამრავლებას!

— რატომ? აი არაგვის ერისთავმა გააბედნიერა ამქრები. ვაჭრებს ამდიდრებს...

— ვარდანი ამბობს: — ჯვრის ნაცვლად უბეში ცბიერება უდევსო. ციალა გახსოვს?

— მახსოვს...

— გუშინ იმასთან ვიყავ. უფრო ლამაზი გამხდარა.

— ისედაც არ უწყენინებია ღმერთს.

— თანაც უფრო დამშვიდებულია. რაკი შური იძია, გული სამაგიეროს აღარ მოითხოვს.

— სულ წავიდა მონასტერში?

— რატომ სულ? ჯერჯერობით სხვაგან ვერსად წავა, ჩემთან კი ცოტა აღრეა კიდევ. მაინც ასეთი რამ თქვა: „მოურავს მონაზვნები არ უყვარს. მის წინააღმდეგ არ წავალ. და თუმცა ვიცი, რომ არავის ვუნდივარ, მონასტერში არ დავრჩები. იქნებ ვინმემ მოსამსახურედ ამიყვანოს...“ მხოლოდ აბა რა მოსამსახურეა, თუ კნეინას უფრო ჰგავს? იღუმენს საჩუქრები წავუღე, ვთხოვე ციალას გაუფრთხილდი-მეთქი. მალე საკუთარ ქალიშვილივით ავიყვან. კიდევაც გავათხოვებ.

— არ გათხოვდება. მწუხარებამ გული პირთამდე აუვსო.

— ე-ე, არჩილ, გულმაც ანგარიში იცის: ერთი დღე გადის, მეორე გადის, — ნელნელა მწუხარებას დევნის, გული თანაბრად უცემს, ხოლო თუ შვილები ეყოლა, ქმარი სიკეთეს არ მოუშლის — სიხარული უსათუოდ შეცვლის მწუხარებას, ერთად ვერ გაძლებენ.

— როცა კიდევ ნახო, უთხარ, რომ მეც ვიკითხე. თუნდაც ათ წელს დევნოს მწუხარება გულიდან, სულერთია მოვუცდი.

— ვაიმე! სულ დამავიწყდა, ჩანახი დამეწვება!

არჩილმა თვალი გააყოლა ნუცას.

„კარგია, რომ ღმერთს არ ავიწყდება ასეთების შექმნა. თუ ციალა ჩემს ამბავს კითხულობს, მაშასადამე, ჩემი სიტყვები ახსოვს. ნუცამ ყველაფერი შეამჩნია. მხოლოდ ახლა დრო არ არის...“

და არჩილი იმაზე დაფიქრდა, რაც თბილისში ხდებოდა. დღეს მესამედ იყო მეტეხში, მაგრამ „გველი“ თავადის მეჩიბუხემ ღვარძლიანად განაცხადა: „ბატონი სტუმრებთანაა, ხუთი დღის შემდეგ მოდი“. არჩილმა წყენით გაასავსავა ხელები: დროა შინ დავბრუნდეო, თავი დახარა და მორჩილად გაემართა ჭიშკრისაკენ. მეტეხის გალავნის გარეთ რომ აღმოჩნდა, კინაღამ ჩამოუარა: სწორედ ახლა, როცა თავადები აქ არიან, საჭიროა ისიც თბილისში იყოს. თუმცა შუბის ტარზედაც არ შეიძლება მიუახლოვდეს მეფის საჯინიბოთა ზედამხედველის სახლს, მაგრამ პაპუნას ნათესავმა ორჯერ საიდუმლოდ ინახულა და დიდმნიშვნელოვანი ახალი ამბები აცნობა.

თორმეტიოდე დღის წინათ, მიუხედავად იმისა, რომ მეჩიბუხემ მოითხოვა, მოურავის წერილი მე უნდა გადავცეო, არჩილმა ისე მოახერხა, რომ პირადად შეხვედროდა თავად შადიმანს.

შადიმანმა ყურადღებით ჩამოათვალიერა შიკრიკი და უკმეხად ჰკითხა:

— რატომ მეჩიბუხეს არ გადაეცი წერილი?

არჩილმა დაიფიცა, ჩემი ბრალი არ არისო: მოურავმა მიბრძანა, ხელში, პირადად გადაეცეო. განა შეეძლო დიდი მოურავის ურჩობაო?

შადიმანმა წარბი შეიკრა და ხმას აუმაღლა:

— აზნაური ხარ?

— აზნაურის შვილი ვარ, ბატონო.

— ვინა ხარ?

— ბრწყინვალე თავადო, შენ იცნობ მამაჩემს, აზნაურ დათიკოს, იგი თავად ბააკა ხერხეულიძის ერთგული მოსამსახურეა და ახლა მეფესთან არის გულაბის ციხეში.

წარსული! ხსოვნაში იგი დარჩა, ვით მზის სხივი. და რაღაც თბილმა დაჰბერა შადიმანს: მოხუჭა თვალები, კვლავ რომ ამაღელვებელ ჩვენებას ემორჩილებოდნენ: აი გონებამახვილი მეფე ლუარსაბი, გიპყრობს მისი ღიმილი, ჩრდილოეან ბაღში ისწრაფვის და მას, შადიმანს არწმუნებს: დაისვენე სამეფო საქმეებისაგან და მოქღურტულე შადრევანთან ვისაუბროთ ზეცის სილამაზეზე, ახალ შაირებსა და ქალის ბაგეთა მშვენი-

ერებაზეო... შადიმანი შეკრთა, მოეჩვენა, თითქოს რაღაც შარიშური და იმ სუნამოს არომატი იგრძნო, ლუარსაბს რომ უყვარდა. შადიმანმა მხარი აიჩეჩა თითქოს კვლავ განდევნა ხიბლიო, და უფრო ეკვიანად შეხედა არჩილს.

— გამოდის, რომ მეფის მსახურთაგან ხარ? სააკაძესთან როგორ მოხვდი?

— თვითონ მივედი მოურავთან.

— თვითონ? რატომ?

— დიდ მთასთან წყარო მუდამ უფრო ანკარაა. შეგიძლია მცოცავს არ შეუშინდე და წყურვილი მოიკლა.

— შენ კი რა წყურვილი გაქვს?

— მტერზე გამარჯვებისა, ბრწყინვალე თავადო!

— და არა მეცნიერებისა სხვისი საიდუმლო შეიტყო?

— არც ეს არის ცუდი ხელობა, მაგრამ მე, ბრწყინვალე თავადო, ნასწავლი როდი ვარ, — თითქოს ქარაგმას ვერ მიუხვდაო, მიუგო არჩილმა.

— დიახ, ურიგო როდი იქნებოდა ესწავლებინათ შენთვის. გამოდის, ლტოლვილი ხარ?

— არა, დიდო ბატონო, ჯერ კიდევ თავად ბააკას დროს მამაჩემმა მთელი თავისი ოჯახის თავისუფლება მიიღო, ვისაც სად უნდოდა, იქ წავიდა. მე კი მოურავთან წავედი.

— მაშასადამე, მოურავმა გიბრძანა, პასუხი მომიტანეო?

— თუ ინებებ, ბრწყინვალე თავადო.

შადიმანმა თითქოს უნებურად უთხრა:

— მაშინ აქ დარჩი, დაგიძახებ. იქნებ არჩილთან, საჯინიბოთა უფროს ზედამხედველთან იცხოვრო?

— აზნაურმა პაპუნამაც აგრე მირჩია, მაგრამ, თუ ნებას მომცემ, ჩემს ნათესავთან ვიქნები სტუმრად.

არჩილი თვალების დაუფახულებლად ნათლად უცქეროდა თავადს. „აბა რით არ არის მამა აბრამის ბატკანი?" — ჩაიცინა შადიმანმა. გულზე ხელები დაიკრიფა და არჩილიდან თვალი გადაიტანა სპარსული ფარჩის ფარდაზე, თაღს რომ ფარავდა. იგი ოდნავ ირხეოდა, ქარის გამო, თუ იქ მიმალული მეჩიბუხის გამო.

„ვთქვათ, ეს გაიძვერა მსტოვარია, — დაასკვნა შადიმან-

ჭა. — მაგრამ მეც ხომ, მეტეხის ვეზირი, უიმათოდ მივდივარ იოლად?“ არჩილს უბრძანა, ერთი კვირის შემდეგ მოდიო, და მოწყალედ გაისტუმრა.

ნათესავები არჩილ-თეალმარჯვეს თბილისში არა ჰყოლია, მაგრამ ამას ხელი როდი შეუშლია მისთვის კარგად მოწყობილიყო ამქარ სიუშის ნათესავთან — მებაღესთან, მოშორებით რომ ცხოვრობდა კრწანისის მყუდროებაში.

სიუშმა აცნობა მას ამქრობაში მომხდარი ცვლილება:

— რას იზამ, ძვირფასო, მოეწყინა ხალხს. მთელი კვირაობით ველოდებოდით, სანამ ვინმეს ქვაბი დასჭირდებოდა ფლავის მოსახარშავად, ან სპილენძის თუნგი, ან ნალი მჭედელს. განა შეიძლება ამქარმა ასე იცხოვროს? უკვე ბევრმა იწყო „საამქროს სიუხვის ზანდუკში“ ცქერა. ბევრი მხოლოდ იმისათვის, რომ უსაქმურად არ ყოფილიყო, წვრილ რამეებს აკეთებდა სოფელში თითქმის მუქთად გასაყიდად. ყველა ითმენდა, ეგონა, დროებითიაო. ძლიერ ელოდნენ მოურავს. მაგრამ თვითონაც ხედავ, თავადებმა ტახტი განამტკიცეს. ერთბაშად დაგვაყარეს შეკვეთები. სამეფო ჯარს ყველაფერი უნდა. ზურაბ ერისთავმა კი რამდენი რამ შეგვიკვეთა! არც ერთი საამქრო უსაქმურად არ ზის. გუშინ შულტა აცხადებდა, თავადებმა ყრილობა გამოიყენეს და აგრეთვე გადაწყვიტეს რაზმებისათვის განაახლონ იარაღი, ტანსაცმელი, ცხენის აღკაზმულობა. ამბობდა, სამუშაო სამ წელს გეყოფათო. ვაჭრები ძლივს ასწრებენ დახლზე საქონლის გამოტანას. თბილისელებიც შეშინდნენ, ერთიც ვნახოთ, ჩვენ აღარ გვეყოსო! — რასაც დაინახავენ, მიაქვთ, ამქრებიც შეკვეთებით აავსეს. თურმე მთელი ჭურჭელი მოძველებულა ღარიბთა ოჯახებშიც და მდიდართა ოჯახებშიც. ეს მაიმუნები წინათ სად იყვნენ?

არჩილი შეშფოთდა: საქმე ცუდადაა! უსტაბაში ძლივს მალავს სიხარულს. ეტყობა, მხოლოდ ზრდილობისათვის გვარწმუნებს ამქრობა მოურავის ერთგულიაო. მხოლოდ... უმუშევრად ცხოვრება ძნელია.

არჩილი ფიქრებიდან ვარდანმა გამოარკვია. კმაყოფილი, საუბარს განაგრძობდა და ნუცასთან ერთად ოთახში შემოვიდა:

— ... უკვე ურდულს ვუყრიდი, რომ ბირთვისელი კხეინის მოსამსახურემ ხელი მტაცა: „კნეინას საჩქაროდ ხავერდი ესაჭიროება! — აკაკანდა. — ხუთი არშინი ლურჯი! რვა არშინი ჟოლოსფერი!“ მე კი მეოთხედი არშინი მუქმწვანე ხავერდი მოსამსახურეს ვაჩუქე თავსაკრავად. თითქმის არ შემვაჭრებია, სულ ახალთახალი ფული დამითვალა. ხომ ხედავ. ნუცაჯან, ტყუილად ჯავრობ, დუქანს რატომ სხვებთან ერთად არ კეტავ.

— თვითონაც არ გესმის რას ამბობ! — გაიცინა ნუცამ. — ყველამ იცის: შენი ხავერდისაზე უკეთესი არავის არ აქვს, დღეს რომ არ ეყიდნა, ის მოსამსახურე სულერთია ხვალ მოირბენდა, საჩუქრის მიღებასაც ხვალ მოასწრებდა. „ხეირია!“ ძალიან ხშირად ალალბედზე იგებ საჩუქრებით კნეინების მოსამსახურეთა გულს. განა გუშინ არ იყო, რომ თავად ჯავახიშვილის ქეშიკს ერთი არშინი ატლასი უთავაზე სადღესასწაულო ჩოხის სახელოების სარჩულად? და იმ ტუტუც ქალიშვილს შენ არ მიუზომე მარმაში კაბისათვის? არ დაგავიწყდეს, გადაეცი: თუ კიდევ მოსულა დუქანში, მე ნუცა არა ვყოფილვარ, თუ თმით არ ვათრიო! ხელი აიღოს გამოძალვაზე.

— ნუცა, ვაჭრობაში უფეშქაშოდ როგორ იქნება? მარმაში მე თითქმის მუქთად მიმიღია: დიდი ხანია მას აქეთ, ისპაჰანში ძვირფასი ფარჩა გამიხვიეს შიგ. სამაგიეროდ კნეინა ლიპარიტისა დაიყოლია მთელი ნარინჯისფერი და ცისფერი ატლასი თავისი ქალიშვილებისათვის ეყიდა კაბად და ჟოლოსფერი ხავერდიც მანდილისათვის. აი, ძვირფასო არჩილ, ნუცას წლები შეიძლება ადლით გაუზომო, ეჭვიანობაზე კი ხელი არ აუღია! — ვარდანმა უდარდელად ჩაიცინა. — ახლა კარგია ერთი ხელადა ცივი ღვინო.

— შეიძლება კარგიც იყოს, — თქვა განაწყენებულმა ნუცამ, — მხოლოდ გაცივება დამავიწყდა! ტყემლის საწებელიც დაობდა, სანამ შენი „სიფთა“ ხავერდს შინჯავდა.

მაგრამ როცა სუფრას შემოუსხდნენ, ღვინის დოქიც ცივი აღმოჩნდა და საწებელიც ენაზე დნებოდა. განა ნუცამ არ იცის, რა უყვარს ვარდანს, როცა თავის წყნარ ოჯახში მოდის ხმაურიანი სავაჭრო დღის შემდეგ?

ვაჭართა მამასახლისი ისე კარგ გუნებაზე არ იყო, როგორც მეტყველთა უსტაბაში, მაგრამ მანაც ილაპარაკა თითქმის ჩამკვდარი ვაჭრობის გამოცოცხლებაზე:

— აი ნაკრებ ქარავანს ირანში გზავნიან, ცალკე კიდევ სამი ქარავანი ბათუმსა და ქუთაისს მიდის. გურგენიც აბრეშუმზე სამი კვირის შემდეგ წავა. — ვარდანმა დიდმნიშვნელოვნად გადაჰხედა არჩილს. — გურგენი მცხეთაში გაჩერდება, მოქალაქეებისათვის დიდ ბოღჩებს წაიღებს. ალბათ ხუთიოდე დღეს იქ დარჩება. თუ ვისმე კარგი საქონლის შეძენა უნდა, ნუ დააყოვნებს.

ფრთხილ ვარდანს საშიშ საქმეებზე აშკარად ლაპარაკი შინაც კი არ უყვარდა. არჩილ-თვალმარჯვე მხოლოდ ღამით მიდიოდა ხოლმე მასთან. არჩილი, რაკი იცოდა, რომ შადიძანის მსტოვრები თვალ-ყურს ადევნებდნენ, მაიდანზე ხეტიალის დროს ყიდულობდა ხან ქისას, ხან ფერად ხელსახოცებს, ხან იაფ მძივებს და არასოდეს არ შედიოდა აზნაურებთან მეგობრულად განწყობილ დუქნებში, ცდილობდა სამიკიტნოებში შეეტყო ახალი ამბები. არ ივიწყებდა არჩილი სანთლები აენთო ეკლესიებში, ყველაზე უფრო უყვარდა ანჩისხატი და სიონის ტაძარი, მაგრამ ხშირად შეიხედავდა ხოლმე ღარიბ ეკლესიებშიც. არჩილი მწუხარებით რწმუნდებოდა, რომ სამღვდელოების წინაშე მლიქვნელობის შხამს ძლიერ მოეწამლა ხალხი. ძახილი: „გვეყოფა ომი! დავიღალეთ! გვინდა ვიმუშაოთ! მშვიდობით ვიცხოვროთ! ვიმხიარულოთ! კმარა დახოცილთა გამო ტირილი!" — შეიძლებოდა გაგეგონათ ეკლესიებშიც, მაიდანზეც, სამიკიტნოებშიც, დუქნებშიც და აბანოებშიც კი. გიორგი საკაძეზე მეგობრები ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. რატომ? განა ის მშვიდობიანი ცხოვრების წინააღმდეგი იყო? განა არ ფიქრობს ხალხის სიხარულზე?

— ეჰე-ჰე... ვის ეუბნები? — მწუხარებით დააქნია თავი ვარდანმა, — როცა არჩილ-თვალმარჯვემ კვლავ და კვლავ გაიმეორა თავისი კითხვა. — განა შეიძლება დიდი მოურავის დრო ახლანდელს შევადაროთ? ხათაბალაა! ხალხი მართლაც დაიღალა. დაე დაისვენოს, სანამ თავადებს მოწყინდებოდეთ გულკეთილობა, — მაშინ გაიხსენებს თავის მფარველს. მე შა-

დიმანს ბევრზე უკეთ ვიცნობ, გუშინ განგებ მიეუტანე სპილოს ძვლის პატარა სატევარი, — უყვარს თავადს ლამაზი საქონელი. მაგრამ, ვხედავ, ყოყმანობს: აიღოს თუ არა. ალბათ ფული ესაჭიროება, მარაბდაში კი ამ მიზნით ჯერ არ გაუგზავნია კაცი რატომღაც. ან იქნებ თავის თავსაც აღარ უჯერის? ისიც შევატყე, რომ თავადი შადიმანი არცთუ ძლიერ მხიარულია, თუმცა თავს ასე გვიჩვენებს. „ხედავ, — მეუბნება, — კვლავ ვაჭრობა, კვლავ გამდიდრდებით", თვითონ გამომცდელად მიცქერის. მაგრამ მე ვიცი, რა ნიღაბი ავიფარო, როცა იმ ბუდეში მივძვრები, სადაც სისინებენ! „ხედავს ღმერთი, ვუპასუხებ, კეთილშობილი შადიმან ბარათაშვილის დროს გაღარიბება არ შეიძლება". შემდეგ დიდ ხანს მეკითხებოდა მაიდნის ამბებს და უეცრად შენ გიკითხა. ველოდი ამას და ამიტომ პასუხი წინასწარ დავამზადე: „თვითონ მიკვირს, ბატონო! მაიდანზე ბევრს დაუნახავს საკაძის ერთგული რაზმელი, ჩემთან რატომ არ შემოვიდა? იქნებ ფული არა აქვს. მაგრამ განა ყოველთვის უნდა იყიდო? წინათ, როცა თბილისში ცხოვრობდა, ხშირად შემოივლიდა ხოლმე სამუსაიფოდ". მისმენს შადიმანი და თვალით ბურღივით მხვრეტავს. მე მგონია, არჩილ, თბილისში განგებ დიდ ხანს გაჩერებს, უნდა დაგიჭიროს, როგორც მსტოვარი. ფრთხილად იყავი, განსაკუთრებით „ოქროს აქლემის" დუქანში, სადაც ხშირად დადიხარ. მოურავზე ნურავის დაელაპარაკები, მეჩიბუხე ბევრ მოთვალთვალეს გზავნის, გაჯავრებულია შენზე.

— დუქნის პატრონს — პანუშს კი შეიძლება წინანდებურად ვენდო?

— როგორც შენს თავს. კიდეც მიკვირს: მოურავის, „ვეფხვებისა" და ქვლივიძის გარდა, არავის არ ცნობს. ხშირად ამბობს: „ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო!"

კუტკარზე წყნარად დააკაკუნეს. ვარდანმა ყურები ცქვიტა:

— ნუცა, უცხოს ნუ შემოუშვებ. გურგენი არ მოვა, ცოლიანად სადღაც მიდის.

კაკუნი უფრო დაჟინებით განმეორდა. ვარდანს უნდოდა კიდევაც გაეღო კარი, სადაც საიდუმლო სტუმრებს მალავდა ხოლმე მტრების მოულოდნელი მოსვლისას, მაგრამ შემოვარ-

და აღელვებული ნუცა, მას შემოჰყვა სამეფო საჯინიბოების უფროსი ზედამხედველი არჩილი. ეტყობოდა, ჩვეულ სიმშვიდეს ეღალატნა მისთვის, გაფითრებული სახე უცნაურად უთრთოდა. თითქმის დაეცა ტახტზე და ერთ ხანს დუმდა. ვერავინ ბედავდა ეკითხა ასეთი აღელვების მიზეზი და რამ აიძულა ფრთხილი ზედამხედველი ასე აშკარად მოსულიყო.

— მეფე თეიმურაზმა... — ბოლოს, ძლივს თქვა ზედამხედველმა, — მეფემ... კახეთი კვლავ წაართვა ისმაილ-ხანს!

ყველანი წამოხტნენ. ვარდანი ისე მიაშტერდა მოამბეს, თითქოს მის წინაშე ანგელოზი გამოცხადებულიკოს ვერცხლის ბუკით ხელში.

— როდის? როგორ წაართვა? — ცრუ გაკვირვებით წამოიძახა არჩილ-თვალმარჯვემ და თავი უცოდინარად აჩვენა. — ვინ თქვა?

— რატომ მაიდანზე არ გამიგონია? — მასთან ერთად უკვირდა ვარდანს.

— იქნებ ტყუილია?

— მართალია, მეგობრებო, მართალი! ჯერჯერობით არავინ იცის... ამას წინათ ზურაბთან შიკრიკი მოიჭრა — თითქოს ანანურიდან, მე კი წინათ ვნახე, რომ მან ხოსრო მირზა კახეთში გააცილა, — მერე მეტად ხმამაღლა განაგრძო, რომ ანანურში ვაშლი აყვავდა, რომ კნეინა ნატომ იშვიათი ცხენი გამოუგზავნა თავადს; ეწუხვარ, რომ ახლა ვერ ვნახავო. ქეშიკი შიკრიკს აჩერებს: „დრო არ არის! არაგვის ერისთავი თავადებთან თათბირობს“; ის კი თავისას იმეორებს: „ქმაყოფილი იქნება საჩუქრით“. მაშინ შეუმჩნეველად დავაკვირდი თურმე არც ტყუილად. ცხენი მეფის თავლაში ღაბეს, შიკრიკმა დაიქინა. მე განგებ ვეწინააღმდეგე, მერე დავუთმე. რაცა ყველა მეჯინიბე დასასვენებლად წავიდა, ვხედავ, შიკრიკი თავლაში შემოდის. მე ჩემი საიდუმლო კარი მაქვს ყველა საჯინიბოში, — ასე ვამოწმებ მეჯინიბეებს. შევიპარე და თივაში დავიმალე, ცხენის ახლოს. დიდ ხანს არ ყოფილა შიკრიკი მოწყენილი. გამოჩნდა თუ არა კარში ზურაბი, განგებ ხმამაღლა იკითხა: „მიჩვენე რა საჩუქარი გამომიგზავნა კნეინა ნატომ?“ მერე კარები მაგრად ჩაკეტა და ერთბაშად

აჩურჩულდნენ. ყველაფერი არ გამიგონია, მაგრამ რაც გავიგონე, ისიც კმარა! ზურაბი უეცრად გაჯავრდა: „ამბობ, ხევსურები ბევრნი იყვნენო? გამოდის, მთებიდან ჩამოვიდნენ, ჩემი არ ეშინიათ?!“ — „ბატონო, — შიკრიკმაც აუწია ხმას, — ყველა მთიელი მეფე თეიმურაზის დასახმარებლად მოვიდა. თუშები ცოფიანებივით დაერივნენ მძინარ სარბაზებს. მთელ ღამეს ცეცხლი მძვინვარებდა და სისხლი მდინარესავით ჩქეფდა. ისმაილ-ხანმა ძლივს უშველა თავს გაქცევით. თეიმურაზი თავის სასახლეში დაბრუნდა“. და კვლავ აჩურჩულდნენ. მესმის ცალკეული ხმები: „თეიმურაზმა ბრძანა, ულმობლად მოსპეთო...“ „თელავი მხიარულობს...“ „კეთილსახიერი ხარიტონი პარაკლისს იხდის...“ „მიხა სად არის?“ — „მალე მოვა“ და უეცრად გაფრთილდნენ, შიკრიკმა რაღაც წასჩურჩულა ყურში ზურაბს.

როცა წავიდნენ, დიდ ხანს ვწვალობდი, როგორ მოვიქცე-მეთქი: იქნებ შადიმანს ვუამბო? მერე გადავწყვიტე: „არა ღირს ჩემი ჩარევა-მეთქი, — იმიტომ შევრჩი ჩემს ადგილზე ამდენ ხანს, რომ უცვლელად განზე ვიდექი ჩემთვის... მეგობრებს ვეხმარები“. აქაც ამიტომ გამოვეშურე.

— შენ, არჩილ-თვალმარჯვევ, დროებით უნდა მიიმალო. თუ ხვალ მეტეხმა შეიტყო, რომ უმოკავშირეოდ დარჩა, შადიმანი მსტოვართა ჭერას შეუდგება. იფიქრებს, მოურავმა იცოდა და იმიტომ გამოგგზავნა შეეტყო, როგორ გაეხარდა თბილისს და რას იზამს შადიმანი... განა უმჯობესი არ იქნება დღესვე გაჰქუსლო?

— გაქუსვლა უარესია, მოურავისათვის ვერაფერს შევიტყობ. ჯერჯერობით პანუშთან დავიმალები „ოქროს აქლემში“. იგი ყველა ახალ ამბავს საიდუმლო ოთახში მომიტანს. დუქანი ჩანჩქერივით აქუხდება: სხვადასხვა ხალხი — სხვადასხვა ლაპარაკი... არა, ჯერჯერობით თბილისში დავრჩები, ჩემთვის ნუ შეგეშინდება, ბატონო არჩილ, ასეთი რამეები მინახავს? მოურავი ბრიყვებს როდი წვრთნის! რაკი საქმე მომანდო, უნდა შევასრულო.

— ვარდან, ჯერჯერობით ჩუმად იყავ მაიდანზე, ერთი დღე მოვიცადოთ. მაგრამ თუ ზურაბმა ყველაფერი დაუმალა

მეტეხს, შადიმანს ძღვენს აშკარად წაუღებ: ერთბაშად მიხვდება თავადი, საგანგებო რამ გაქვს სათქმელი. ასეთი მისვლა შენი სასარგებლოც არის და მეტეხისაც.

კიდევ ორ დღეს უნდა იქეიფონ თავადებმა მეტეხში. ზურაბი ულვაშებს იკვნეტდა, ძლივს იკავებდა ბრაზს. ერთგული არაგველები წამდაუწუმ არბოდნენ მაღალ კოშკზე, საიდანაც კახეთის გზა მოჩანს, — მაგრამ მტვერს არავინ აყენებდა. ჰაერს არავინ არ აყრუებდა მხიარული თუ ნაღვლიანი სიმღერით. და ზურაბი იტანჯებოდა: „სად არის ჩემი ორი ათასი არაგველი, რომლებიც ისა-ხანთან ერთად გავგზავნე თითქოს მიმავალი ხანების დასაცავად, ნამდვილად კი მეფე თეიმურაზისათვის სამხედრო დახმარების გასაწევად?"

უეცრად, თითქოს რისამე შეეშიხდაო, ზურაბმა, სტუმრებისათვის ზრუნვის საბაბით, უბრძანა — ქალაქის ყველა კართან, განსაკუთრებით კი ავლაბრის კართან, დაეყენებინათ გაძლიერებული მცველები თავისი არაგველებისაგან და სასტიკად ედევნებინათ თვალ-ყური მომსვლელებისათვის, ხოლო საეჭვონი დაუყოვნებლივ მასთან მიეყვანათ.

ასეთი საეჭვო აღმოჩნდა განთიადზე ერთი ბერი, რომელმაც გაქაფული ჭაკი მოაჭენა. რამდენიც არ იფიცა, რამდენიც არ იმტკიცა, კათალიკოსთან სასწრაფო საქმე მაქვსო, არაგველებმა იგი თავიანთ სადარაჯოში წაიყვანეს და ჩაკეტეს, თანაც დაჰპირდნენ: საღამოს მეტეხში წაგიყვანთ, თუ შენ ქრისტეს მსახური ხარ და არა ისმაილის მსტოვარი, თავადი ზურაბი მაშინვე გაგიშვებსო. თუმცა ბერს გული უწევდა სათქმელად, რომ ისმაილისა კვალიც კი აღარ დარჩენილა და მთელ კახეთში სარბაზების ჟლეტაა გაჩაღებულიო, მაგრამ გაახსენდა კეთილსახიერი ხარიტონის ნაბრძანები: ყველაფერი პირველად კათალიკოსს უამბეო...

ბოლოს, შუადღისას, როცა მსუბუქი საუზმის შემდეგ კნეინები ემზადებოდნენ დასასვენებლად გულშარის სამყოფლოში, თავადები ნარდში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ციციშვილი, ანდუყაფარი და კიდევ ზოგნი ციხეში წასასვ-

ლელად ემზადებოდნენ, რათა შეემოწმებინათ გალავნის სიმტკიცე და გუშაგთა სიფხიზლე, ხიდზე გაისმა ცხენების თქარათქური და სხვადასხვა ხმაზე ყიჟინა. მეტეხის კარს მაგრად დაუბრახუნეს შუბები. მეჩიბუხე შეიჭრა შადიმანთან, რომელიც ზურაბსა და ლიპარიტს ეთათბირებოდა: შევუკვეთოთ მეფის მსუბუქი რაზმეულებისათვის თურქული მოკაუჭებული ხმლები, თუ ქართული დავუტოვოთო.

— ბატონო, ბრწყინვალე თავადო!... კახეთიდან არ: გველები მოიჭრნენ, ამბობენ... მეფე თეიმურაზმა განდევნა ისმა...

თავადებმა აღარ მოუსმინეს და აივანზე გაცვივდნენ, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ არა მარტო თავადები, არამედ კნეინებიც. კარისკაცთა შორის იყო მეფე სვიმონიც, რომელსაც დავიწყნოდა თავისი ხარისხი, გაფითრებულიყო, ხელები უკანკალებდა. მას ყურადღებას არ აქცევდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ და კითხვებს აყრიდნენ მხედრებს, ეზო რომ აევსოთ.

ორასამდე არაგველი გაქაფულ ცხენებზე ამხედრებულნი, დამტვერიანებულნი, ტანსაცმელჩამოგლეჯილნი, ზოგიერთი თავშეხვეული, ჩამომხმარი, ჩახლეჩილი ხმით ითხოვდა: ერთი ყლუპი წყალიო.

ზურაბი მედიდურად გამოვიდა და ომახიანად ბრძანა:

— ღვინო მიეცით! და როცა დალიოთ, ზემოთ გამოგზავნეთ საზრიანი რაზმელები, დაე ისინი მოგვიყვნენ.

მსახურნი აფუსფუსდნენ. მოუთმენლობა ისე დიდი იყო, რომ ღვინოს ჯამებში ასხამდნენ და ისე უხვად აძლევდნენ არაგველებს, როგორც წყალს ხანძრის ჩაქრობისას. და აი სამი მათგანი, საპურველმტვირთველის თანხლებით აივნისაკენ გაემართა. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ერთი ამბიდან მეორეზე გადადიოდნენ, აბნეულად და უთავბოლოდ უამბობდნენ, თუ რა მოულოდნელად ჩამოვიდა მთებიდან თეიმურაზ მეფე თუშებთან ერთად, უეცრად დაესხა თავს ისმაილ-ხანს და რა გააფთრებით იბრძოდნენ თუშები. სარბაზები თუმცა უფრო ბევრი იყვნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს ცხენზე შეჯდომა. შემდეგ ხანები გონს მოვიდნენ, ჯარი მოაგროვეს,

მაგრამ გვიანღა იყო, რადგან ხევისბერი, ალბათ შვიდასამდე ბეჭედარი, ზურგიდან დაეცნენ თავს.

— ხმლების ჩახუნით, ბატონო, ღამე კვნესოდა, — საკმაოდ მხიარულად თქვა ახალგაზრდა არაგველმა, — ძლივს მოვასწარით ტანსაცმლის ჩაცმა.

— ხოლო როცა ჩაიცვეთ, ვის მხარეზე იბრძოდით, მამლის ბოლოებო?! — წამოიძახა ანდუყაფარმა.

— ბატონებო! წამობრძანდით „ნარინჯისფერ დარბაზში!“ — სასწრაფოდ წარმოთქვა შადიმანმა, რომელსაც ეშინოდა სიმართლისა და უფრთხოდა ანდუყაფარისა და ზურაბის შეტაკებას. — მეჩიბუხევ, ააარჩიე სამი სხვა არაგველი!

— აქ გახლავართ, ბატონო.

— სამი წამოიყვანე, დანარჩენები დააპურონ.

— მაგის დრო არ არის! — აიმაღლა ხმა ზურაბმა. — წადით იმ შენობაში, არაგველებისათვის რომ არის ალაყაფთან. რამდენიც უნდა მოვიდეს კიდევ, დაითვალეთ. — და უეცრად რომ მეფე ორბი გაახსენდა, დაიღრიალა: — თქვე ვირიშვილებო, რატომ ერთბაშად არ დაიხიეთ უკან თბილისისაკენ? ვინ მოგცათ ბრძოლის უფლება? დანარჩენები სად არიან?

— დიდო ბატონო, განა ჩვენი ბრალია? აზნაური მიხა დიდი ხანია ეხვეწებოდა ხანს, შინ გაგვიშვიო, ტყუილად არწმუნებდა, ჩვენ მხოლოდ ისა-ხანსა და ხოსრო მირზას ვახლდითო. განა მაგ ძაღლ მუსლიმანებს... — არაგველმა ენა ჩაიკვნიტა, — განა ხა... ხანებს სინდისი აქვთ? სხვადასხვა საბაბით გვაკავებდა, მერე გაგვყო: ხუთასი არაგველი თავის ამალაში ჩარიცხა, სამასი ერთ ხანს მისცა — უხვია! — ორასი...

— მიხა სად არის? რად მისცა ამის ნება? თქვე მგლის კუდებო, რად დაემორჩილეთ? როგორ გაბედა იმ სატანამ, თავის მონებად მიეჩნია ჩემი ჯარი?

ციციშვილიც და ლიპარიტიც ცდილობდნენ ეკითხათ, ვის მხარეზე იბრძოდნენ არაგველებიო, მაგრამ ზურაბი ისე გააფთრდა, ისე ლანძღავდა ხან არაგველებსა და ხან ისმაილს, ვერავინ ვერ ჩაერია და ერთი სიტყვაც ვერ თქვა.

— ყველანი წაეთრიეთ მეტეხიდან! არც ერთი აქ არ დარჩეს!

შადიმანმა კინაღამ პროტესტი განაცხადა: ჯერ კიდევ, როგორც რიგია, არ გამოგვიკითხავსო. მაგრამ ზურაბმა დაიჟინა, ჯერ თავადთა თათბირი, შემდეგ კი გამოკითხვა, მთავარი რამ უკვე ვიცითო.

როცა „ნარინჯისფერი ფრინველების დარბაზის“ კართან ახალგაზრდა ქაჩიბაძემ მცველები დააყენა, და აღელვებული თავადები ამ ამბის განხილვას შეუდგნენ, უეცრად შემოვიდა მეფე სვიმონი და მასთან ერთად გულშარი. შადიმანი გაოცდა: ასეთი რამ ჯერ არც ერთ დედოფალს არ გაებედა. მაგრამ სვიმონმა, რომელიც, ცხადია, დის წაქეზებული იყო, წამოიძახა:

— ვინ ბედავს საფრთხის ჟამს, ჩემს სამეფო სახლს რომ ემუქრება, დაივიწყოს, რომ მეფე აქ მე ვარ?

— რა საფრთხეზე ბრძანებ, ჩემო მეფევ? თუ გსურს გაისარჯო, ვინ გაბედავს წინააღმდეგობას? მაგრამ მე, ვეზირი, შაჰ აბასის სანდო პირი, ვფიქრობ, რომ ჯერ თავადები მოიფიქრებენ ყველაფერს, შემდეგ კი მეფეს მოახსენებენ.

— ახლა ფიქრი გვიანდაა, რაკი მოვბრძანდი. ითათბირეთ ჩემთან!

— ახლა დაიწყება სამხედრო საუბარი. იქნებ მშვენიერმა გულშარმა არ ინებოს მოწყენა?

— შენ, თავადო ბარათაშვილო, უმჯობესია გაფიქრებდეს საკაძის მხიარული თავდასხმა ბირთვისის სამფლობელოზე, ჩემი მოწყენილობისათვის კი თვითონ ვიზრუნებ. ჩვენ, სამეფო ოჯახმა, ვინებეთ ახლა ერთად ვიყოთ. ჩვენი მტერი თეიმურაზი...

— მე უარს ვამბობ უმაღლეს თათბირში მონაწილეობაზე კნეინას თანდასწრებით! — გულშარს გააწყვეტინა სიტყვა ჯავახიშვილმა; როგორც კი თეიმურაზის გამარჯვების ამბავი შეიტყო, ცდილობდა გამოეძებნა საბაბი და ოჯახიანად თავის ციხე-დარბაზში წასულიყო.

შეშფოთებამ მოიცვა შადიმანი, იგი თითქმის მიხვდა თავადის განზრახვას, — მასთან ერთად ხომ შეიძლება სხვებიც გაილალნენ ამ საშიში თათბირიდან. სწორედ ამიტომ, ჩვეუ-

ლებრივ თავშეკავებულმა შადიმანმა ხმა აიმაღლა და მეფეს მიმართა:

— მეფე სვიმონ! შეჰფერის განა მხოლოდ კნეინა გულშარს სტუმრები მიატოვოს და აქ დაესწროს? თუ ეს საჭიროდ მიგაჩნია, მაშინ ნება დართე ყველა კნეინას დაესწრონ სამეფო თათბირს.

გულშარმა რისხვით დააბრიალა თვალები და მზად იყო იქვე გაეთავებინა ანდუყაფარი, მაგრამ ამ თავადმაც იგრძნო საფრთხე: მეტეხიდან არ გაიქცნენ თავადებიო, და მკვეთრად განაცხადა:

— გთხოვ, ღირსო და კეთილშობილო გულშარ, დაბრუნდე შენს სამყოფელში. კნეინებმა არ უნდა მოიწყინონ სასახლეში.

„და ესენი არიან რაინდები! — ზიზღით მოავლო თვალი გულშარმა დაღონებულ თავადებს.—არც ერთს არ აქვს უნარი მუხლი მოიდრიკოს მეფური სილამაზის ქალის წინაშე, თავის მახვილს მისი ფერების ბაფთები შემოახვიოს და შეურაცხმყოფელი ხმალში გაიწვიოს! ო არა, მე არ მესაჭიროება სველი ბეღურების ამალა!“ გულშარმა მედიდურად გადაიხსნა პირბადე და დიდებული ნაბიჯით მიატოვა დარბაზი ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია თავადთა გამოსათხოვარი სალამისათვის.

დადგა მძიმე წუთი. ვერავინ ვერ ბედავდა პირველს დაეწყო ლაპარაკი: ბევრს ეშინოდა არ გაემეღავნებინა თავისი სიხარული; სხვები კი ფრთხილობდნენ, დილეგში არ მოვხვედე... მეფე სვიმონის ღალატისათვისო. ციციშვილი მირვანს უკვირდებოდა. სხვებმაც მას მიაპყრეს თვალი. მირვანი, ბოლოს, დაეთანხმა თავადთა უხმო თხოვნას.

— რა გაეწყობა, ბატონებო, ჩვენ აქ მარტონი ვართ, ვიყოთ გულახდილნი: უნდა გვიხაროდეს, რომ ქართველმა მეფემ კახეთიდან განდევნა ისმაილ-ხანი.

— და შენ, თავადო, შესაძლებლად მიგაჩნია, სიხარული გამოთქვა მეფე სვიმონის თანდასწრებით, რომელიც მრისხანე შაჰ აბასის ერთგული ვასალია?

— შენ კი, თავადო ანდუყაფარ, სხვა რამ გსურს? ჩვენ აქ

ვართ ქართლის მეფის სვიმონ მეორე ბაგრატიონის თავადთა უმაღლესი საბჭო და უნდა ვიმსჯელოთ, რა არის სასარგებლო ჩვენი სამეფოსათვის. პირდაპირ ვიტყვი! თუმცა მეფე თეიმურაზს არასოდეს არ მიუქცევია კეთილმოსურნე ყურადღება ჩვენი საგვარეულოსათვის, მაგრამ ყველა მუხრანბატონის სახელით ვიტყვი: ვამჯობინებთ მეზობლად ვიყოლიოთ მეფე თეიმურაზი და არა შაჰის მძარცველნი, რომლებსაც კახეთში ერთი ჩიხაც არ დაუტოვებიათ.

— მაშ, შენი აზრით, გამოდის, რომ მეფე თეიმურაზი კახეთს იქით არ წავა? — ანდუყაფარი ზიზღით ადევნებდა თვალს თავადებს.

— შეიძლება კიდევაც წავიდოდა — მიეჩვია მოურავის მეოხებით ორ სამეფოს ფლობდეს, — მხოლოდ ვინ დაიხმაროს!

— როგორ თუ ვინ? თუშები? ხევსურები? ფშავები?

— თუშები, კეთილშობილო ციციშვილო, ქართლზე არ გაილაშქრებენ. ისინი რაზმელები როდი არიან, და თუმცა თეიმურაზი უყვართ, მაგრამ მათი საკუთარი საქმე კახეთია, სპარსელებმა თუშები ალვანის საძოვრებიდან გარეკეს, მაგრამ მათ უამისოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. თუშების სიმდიდრე პირუტყვია და კლდეები ხომ ცხვარს ვერ გამოკვებავენ.

— მე ვეთანხმები მირვან მუხრანბატონს: ბევრი დრო გაივლის, სანამ კახეთის მეფე ქართლს გაიხსენებდეს. ჯერ თეიმურაზმა თავისი ჯარი უნდა შეაგროვოს, კახეთი თუნდაც ცოტა მოაშენოს, ვაჭრობა განაახლოს და მხოლოდ შემდეგ იფიქროს თავს დაესხას სხვა ქვეყანას. მანამდე ბრწყინვალე მეფე სვიმონი მოახერხებს შეუთანხმდეს თეიმურაზს.

— მე კი აგრე როდი ვფიქრობ, კეთილშობილო ლიპარიტ, — მიუგო ჯაველიშვილმა, რომელსაც შეშურდა მერცხლის მდგომარეობა, ფანჯარასთან რომ გაიქროლა. — მეფე თეიმურაზმა ჯარი ალბათ უკვე შეაგროვა, ტყუილა ხომ არ უცხოვრია თუშეთში ერთ წელს? ჩვენ, თავადთა საბჭომ, სასწრაფოდ უნდა გავგზავნოთ მასთან საელჩო მეგობრობის წინადადებით. იწონებ, ზურაბ?

— მე არ მომწონს ჩემი ორი ათასი ჯარისკაცის დაღუპვა. არა! თავადებო, რა სამსახურიც უნდა გაუწიო სპარსელებს, სულერთია უმადური არიან. როგორ გაბედა ისმაილმა ჩემი ქოხების განკარგულება? როგორ გაბედა ჩემი არაგველების მოსპობა? როგორ გაბედა...

— დამშვიდდი, ერისთავო, შენი არაგველები უვნებელნი დაგიბრუნდებიან. და, გარდა ამისა, ქარაფშუტა ცხვარი ნუ გგონივარ!

— რაო? ამით რის თქმა გნებავს, მირვან მუხრანბატონო?

შადიმანმა თითები დაატკაცუნა, მაგრამ სიმშვიდე არ დაუკარგავს, და მხოლოდ თვალები მიაშტერა მირვანს, დამცინავად რომ იღიმებოდა.

— ღვთის გულისათვის, თქვი, თავადო!

მირვანმა თვალი მოავლო მრჩევლებს. „უსათუოდ ამათაც ეპვი მიაქვთ ზურაბზე, მაგრამ არასოდეს არ გაიმეტებენ და სვიმონსაც მეფედ არ ცნობენ. და ვინ უნდა ცნონ?—მირვანმა მოიხედა: ტახტზე, ყველასაგან მიტოვებული, იჯდა თოჯინა მეფე სვიმონი, რომელსაც მედიდურად აწეულ თავზე ჩამოეცვა გვირგვინი და დუნე ხელში ეპყრო სკიპტრა, განა შეეძლო რისიმე გაგება? — არა მგონია“.

„არა, — გაიფიქრა მირვანმა, — მე როდი უნდა დავიცვა იგი, და არც შადიმანს შევუნარჩუნო ძალაუფლება, ესენი ყველანი მუხრანბატონთა შეურიგებელი მტრები, მოურავის მტრები არიან“. და ნელა წარმოთქვა:

— მე, თავადო შადიმან, მწამს არაგველთა სიმარჯვე. მათ ისმაილ-ხანის მხარეზე არ უბრძოლიათ.

— მაშასადამე, მეფე თეიმურაზს ეხმარებოდნენ?

თავადები დუმდნენ.

ზურაბი, დაჭერილ მგელივით კბილებდაღრჭენილი, მძიმედ სუნთქავდა და თვალს არ აშორებდა თავადებს. „წყევა და კრულვა! მირვანი მიხვდა ჩემს განზრახვას! გიორგი სააკაძესავით, შეუძლია კვანძების დახსნა. სხვა თავადებისაგან კი დახმარებას ნუ მოელი. მაგრამ მაშინ... რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა შევინარჩუნო შადიმანის ნდობა!“

ზურაბი ნელა წამოდგა, დინჯად გადაისვა ხელი ულვაშებზე და, ყველას გასაოცებლად, თავი დაუკრა მეფეს.

— მეფეთ მეფეო, მიბრძანე და მყის გავეშურები ჩემს სამფლობელოში, რათა შენთვის შევაგროვო ჯარი! უკვე ორი წელია მორიგე არ შემიგროვებია. ახლა თექვსმეტწლიანებს ცხენებზე შევსვამ. ვერავინ გაბედავს თქვას, რომ მე, შენგან გაბედნიერებულმა მხედართმთავარმა, ნება მივეცი თავხედს დასხმოდა თავს შენს სამფლობელოს!

— რა საჭიროა, თავადო, შენი ჭენება? — შადიმანს ირონია არ დაუმალავს და ხელები ისე გაშალა, თითქოს ზურაბის დაჭერას ლამობსო. — გაგზავნე შენი ერთგული არაგველები, ისინი მოაგვარებენ მაგ საქმეს.

— დიახ, თავადო, ნებას გაძლევთ გაგზავნოთ მხედრები— დაე მოიყვანონ თბილისში სულ მცირე ათასი დროშებითა და ბუკებით, — გაუბედავად დაიწყო სვიმონმა, მაგრამ საკუთარი სიტყვების მნიშვნელობამ ფრთები შეასხა და უკვე მბრძანებლურად დაამთავრა: — სხვა თავადებიც ასე მოიქცნენ. ყველამ უნდა დაიცვას თავისი მეფე!

შადიმანი ამჩნევდა, რომ თავადები ძლივს იკავებდნენ ღიმილს, და მწუხარებით გაიფიქრა: „თავისი თავის პატივისცემის გამო მაინც არ უნდა დასცინოდნენ თავიანთ მეფეს. განა ვინც ტახტზე იჯდა, ყველას დიდი ჭკუა ჰქონდა? მაგრამ მეფე მეფეა! რა მოუვიდათ თავადებს? სად დაეკარგათ ტახტის წინაშე დგომის უნარი? კინაღამ ზურგი შეაქციეს!“ — და განგებ მოწიწებით დახარა თავი სვიმონის წინაშე.

— შევასრულებთ შენს მეფურ ბრძანებას, დიდო ხელმწიფევ. მეც გავგზავნი ჩაფრებს მარაბდას. ვფიქრობ, სააკაძემ მოხსნა ცბიერული ჩასაფრებანი, — სპარსთა ჯარების წინააღმდეგ მოქმედებდა. თეიმურაზ მეფე კი მას ისე ესაჭიროება, როგორც ძროხას უნაგირი! ნუ იცინით, ბატონებო, სააკაძე ხელს არ შეგიშლით ქართლის დაცვაში.

— იქნებ, თვითონაც კი დაგვეხმაროს?

— თვითონაც კი! ასეთი რამ ნუ გაგაკვირვებს ბატონო ანდუყაფარ. მეფე სვიმონს „ვეფხვისათვის“ არაფერი არ მიუცია, მაგრამ არც არაფერს დაჰპირებია. თეიმურაზ მეფე კი

კახეთის ტახტის დაბრუნებისა და ქართლის სამეფოსათვის რას არ დაკპირდა სააკაძეს, მაგრამ მატყუარასავით მოეპყრო.

თავადები თითქოს აღელდნენ, წამოიშალნენ, ახმაურდნენ: „იარაღიო“ — და კელავ დასხდნენ. ზურაბმა ხრინწიანად წამოიძახა:

— ვემორჩილები ჩვენი მეფეთ მეფის ნებას. მაგრამ დაე აქ თუნდაც ერთ კვირას დარჩნენ ლიპარიტი და მუხრანბატონი.

— იქნებ შენ დამაკავო აქ? იცოდე, მუხრანბატონები თვითონ მოდიან და თვითონვე მიდიან, როცა საჭიროდ მიიჩნევენ. მე ხვალ დილაადრიან წავალ. ეპვი არა მაქვს, რომ კეთილშობილი ლიპარიტი ინებებს გამომყვეს. მაგრამ შენ, თავადო ზურაბ, მეტეხში მარტო შადიმანს კი არა, შაჰ აბასის მხედართმთავრებსაც მოუწვევიხარ, — მოვალე ხარ დარჩე! ვინ იცის, იქნებ ბედმა ინებოს, შენი სიმამრის საწინააღმდეგოდ, სამსახური გაუწიო მეტეხს.

— ჩემს სამსახურზე შენ, მირვან, ნოსტელი სააკაძის მეგობარო, მალე გაიგონებ! არა მგონია, იგი თქვენთვის სასარგებლო იქნეს, რადგან ჩემი მახვილის ძალას თქვენ პირველნი იგრძნობთ!

მირვანმა ტაში დაუკრა.

— კარგად მომაგონე, თავადო! დიდი ხანია მინდოდა მეკითხა: მოახერხე თუ ვერა იმ არაგველების გამოსყიდვა, ქაიხოსრო მუხრანბატონმა რომ თავისი ხმლით გურიაში შერეკა?

ზურაბი წამოჭარხლდა და მუქარით აიქნია მუშტი, საჩვენებელ თითზე აბრჭყვიალდა საბრძოლო ბეჭედი.

შადიმანმა ძლივს მოახერხა შეტაკების თავიდან აცილება. მან დროზე შეამჩნია, რომ ყველა თავადს საცერული ჰქონდა. იგი არა ჰქონია მხოლოდ მირვანსა და ლიპარიტს, მეფის ტახტის პატივისცემის გამო.

მზე უკვე ზენიტზე აღიმართა, მაგრამ საუზმე არავის გახსენებია. თავადები აშკარად იჩქაროდნენ ყველაფერი განეხილათ და თავიანთ ციხე-დარბაზებში დაბრუნებულიყვნენ. ისი-

ნი შეთანხმდნენ უარი არ ეთქვათ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, იმაზე კი დათანხმდნენ, რომ ცხენითა და იარაღით დახმარებოდნენ მეფის ახალ რაზმეულებს. ბირთვისის მფლობელის წინადადებით, იკისრეს მოციქულები არ გაეგზავნათ თეიმურაზთან, არამედ ელოდნათ, რას იზამდა კახეთის მეფე.

მარტო ანდუყაფარს როდი გაკვირვებია, რომ ზურაბი ასე გააფთრებით იცავდა ქართლის სამეფოს ინტერესებს. მას თითქმის წამოსცდა, მეშინია თეიმურაზის შურისძიებისა და ყოველი ღონისძიებით ვეცდები არ მოვაკარო ქართლის საზღვრებს, რომელიც ასე მაამებლურად, სამეფოს საზიანოდ, მიართვა გიორგი საკაძემ სხვის სამფლობელოთა მოუსვენარ მომხვეჭსო.

ამან და ბევრმა სხვა მისმა ნათქვამმა, აგრეთვე განზრახვამ დარჩენილიყო მეტეხში და ყველაფერში დახმარებოდა ვეზირს, დაამშვიდა შადიმანი, რომელიც ღალატის ეშვს შეეპყრო. „არა, რა ანგარიშია არაგველისათვის კვლავ ჩაუვარდეს კლანჭებში თეიმურაზს? მოიელებზე ზურაბის გამეფებას მგოსანი არ ინებებს! მე კი?.. საქმე გვიჩვენებს!“ — ხელი ჩაიქნია უსიამოვნო ფიქრზე შადიმანმა.

სიამაყით თუ იმის გამო, რომ შადიმანსა და ანდუყაფარს ძალადობა არ ეხმარათ, რადგან ასე მოურიდებლად სურდათ რაც შეიძლებოდა მეტ ხანს დაეტოვებინათ თავიანი მეტეხში, ამათ, თითქოს დათქმული აქვთო, განაცხადეს: მირვანსა და ლიპარიტს არ მივბაძავთ და, როგორც დანიშნული იყო, ორი დღის შემდეგ წავალთო. მაგრამ აი ატყდა ზარების გრიალი თბილისის ტაძრებსა და ეკლესიებში და თავადებს ცახცახი აუტეხა. ისინი მზად იყვნენ მოეწონებინათ ფალავანდიშვილის აზრი: „არ დავაყოვნოთ არც ერთი საათი, არც ერთი წუთი! წავიდეთ მეტეხიდან!“ მოხტომოდნენ თავიანთ ცხენებს და წასულიყვნენ.

მაგრამ ამ ღროს მოხდა ისეთი მოულოდნელი ამბავი, რომელმაც შადიმანი შეაძრწუნა. „ნარინჯისფერი ფრინველების დარბაზის“ კარი გაიღო და ყველამ დაინახა, რომ მცველებმა

ბუნიკიანი შუბები დახარეს ძირს, ხოლო დარბაზში ჯვრებაღ-მართული შემოვიდა საზეიმოდ შემოსილი სამღვდელოება.

წინ მობრძანდებოდა არქიეპისკოპოსი თეოდოსი, შემდეგ ტრიფილიოსი, ათი ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი. თეოდოსიმ, რომელიც თავადებს მარჯვნივ და მარცხნივ ლოცავდა ჯვრით, განაცხადა:

— წმიდა მამა, ქართლის კათალიკოსი, გითვლით თქვენ, ქართლის თავადებს, მწყემსმთავრულ კურთხევას და სასიხარულო ამბავს: ოდითვე ქრისტეს მტრები — სპარსელები განდევნილ არიან საქართველოს მიწა-წყლიდან. ღვთითმოვლენილი მეფე, გამარჯვებული თეიმურაზ ბაგრატოვანი, კვლავ გამეფდა კახეთში! ზეიმობდეს მშვიდობა ღვთისმშობლის წილხვდომილ ივერიაში! იყოს კურთხევა ღვთისა ორივე სამეფოს ხალხსა ზედა!

— ამინ! — დაადასტურეს სხვებმა.

— ჰყვაოდეს მეგობრობისა და ურთიერთობის ყვავილი! — წარმოთქვა ტრიფილიოსმა.

— ამინ! — დასძინეს სხვებმა.

და უფრო მალე, ვიდრე ვინმე გონს მოვიდოდა, სამღვდელოება ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

ყინულოვანმა დუმილმა შებოჭა თავადები. „ეკლესიამ მეფედ ცნო თეიმურაზი!.. გავიქცეთ!.. რაც შეიძლება მალე გავიქცეთ ჩვენ-ჩვენს ციხე-დარბაზებში!.. არქიეპისკოპოსმა თეოდოსიმ ძლივს აღირსა სალამი მეფე სვიმონს!.. იქნებ, თეიმურაზი ახლა აქ მოისწრაფვის? გავიქცეთ! გავიქცეთ, სანამ გვიან არ არის!“

მაგრამ შიშმა შადიმანის და, განსაკუთრებით ზურაბის წინაშე — დილეგში არ ჩაგვყარონო, რაშიც ხალისით დაეხმარებოდა მათ ანდუყაფარი, აიძულა თავადები დინჯად მოპყრობოდნენ ეკლესიის გამომწვევ მოქმედებას და, თავიანთი მძაფრი სურვილის წინააღმდეგ, დარჩენილიყვნენ წასვლის დანიშნულ ვადამდე.

ბევრს ფირან ამილახვარმა უშველა: მან თავადებს მოაგონა დაპირება ენადირათ მასთან სხვილოს ციხეში.

ჯავახიშვილი პირველი დაპირდა თავაზიან მემამულეს: ო, რა თქმა უნდა, მახსოვს მიპატიჟება და უსათუოდ -გეწვევი. როდის არის ნადირობაო?

თუნდაც დღესო. თავადები აღელდნენ: „მხეცი გამორეკილია თუ არა? ძაღლები მზად არიან? არ დავიგვიანოთ!" და ბევრმა გადაწყვიტა, მაშინვე წასულიყო, პირდაპირ მეტეხიდან.

გახარებულმა ფირანმა შადიმანი დააჩქარა მალე დაემთავრებინა ყრილობა: „რამდენი უნდა ვილაპარაკოთ? არაფერი თავადებს ისე არ გააერთიანებს, როგორც დახოცილი ნადირი".

— შენ კი რად გაჩუმებულხარ, თავადო ზურაბ? ხომ არ ფიქრობ არ შეასრულო დაპირება?

— ვინ? მე? ვაი, რა ცუდად მიცნობ, ფირან. — ზურაბმა დოინჯი შემოიყარა. — გეფიცები, ჩემს შეთარჯულ კურდღლებს შეუძლიათ დღესვე გადაიხადონ პანაშვიდი! დროზე მოვალ, ბატონო. შეიძლება მოვახერხო და შადიმანიც გამოვიტყუო მეტეხიდან.

„განსაკუთრებული რა თქვა ზურაბმა? გული რატომ გადამიცივდა? — უკვირდა შადიმანს. — უცნაურია, რად დავანარჩუნე მეტეხში? შეცდომა უნდა გამოვასწორო და რაც შეიძლება მოხერხებულად გავისტუმრო აქედან".

— ვიცი, ფირან, ვერ მოისვენებ, სანამ ზურაბი არ გეწვევა. და თუმცა მე და ზურაბმა ბევრ რამეზე უნდა მოვილაპარაკოთ, მაგრამ გადავდებთ ნადირობის დამთავრებამდე. გთხოვ, ზურაბ, წაყევი ფირანს. ისიც მართალია, რომ დასვენება ხელს არ შეგიშლის.

— განა დაღლილს ვგავარ, ძვირფასო შადიმან? ნება მიბოძე წავიდე მეფის წაბრძანების მეორე დღეს. შენ მართალი ხარ: არის გადაუდებელი საქმეები... დარწმუნებული ვარ, მოიწონებ.

აღმოჩნდა, რომ ბევრ თავადსაც გადაუდებელი საქმეები ჰქონდა და ერთი დღით თავის სასახლეში შეუხვევდა. ასეთებმა ფირანის დახმარებით მოახერხეს მეტეხიდან სხვებზე რამდენადმე ადრე წასვლა.

როცა შადიმანთან და ანდუყაფართან, მათ რომ საეჭვოდ არ შორდებოდა, დარჩა, ზურაბმა უეცრად გადაიხარხარა. იცინოდა დაუცხრომლად, ხმამაღლა, გამომწვეკად, ო, იგი, არაგვის ერისთავი, ნადირობის მოყვარული, ცნობს წვრილმანი სულის კურდღლებს! ისინი ძლივს მალავენ შიშს. ცნობს იმათ, ვინც ქარის ოდნავ დაბერვაზე ქანაობს. რა გაეწყობა, ჯერ კიდევ არავინ იცის, საით დაბერავს ქარი! „აი შადიმანი მარწმუნებდა, დაისვენეო, ხოლო დააეიწყდა, რომ სამღვდელოებამ კვლავ გადადო მეფე სვიმონის გვირგვინის კურთხევა მცხეთაში. არაუგვიანეს ხვალისა მე კათალიკოსთან გავჩნდები, და არაგვის ერისთავი ზურაბი არ ვიყო, თუ თანხმობა არ გამოვძალო შავანაფორიან ჯიუტებს. მაცალონ, ჩემს ძალას ნახავენ სამღვდელოებაც და თავადებიც!“

შადიმანს მეტად გაუკვირდა, როცა ზურაბის გადაწყვეტილება მოისმინა. მაგრამ განა სულერთი არაა? უკვე არაფრის წახდენა არ შეიძლება. სხვა თავადები? ზურაბი მართალია: ისე გაიქცნენ, როგორც კურდღლები გაურბიან მონადირეს. მაგრამ მონადირე კი ვინ არის? დიდ შეურაცხყოფას გრძნობდა შადიმანი. ვის მოახმარა თავისი სიცოცხლე? სად არის თავადთა ამაყი წოდება, სად? ან იქნებ, მართალი არიან? რა მიზეზით უნდა დაემორჩილონ ასეთ მეფეს? ვინ თქვა დაემორჩილონო?! ასეთ მეფეზე უნდა ბატონობდნენ! მაგრამ თავადებს ესეც არ შეუძლიათ. არა, ეგ არა! ყოველ მათგანს სურს სხვაზე მაღლა იდგეს, მხოლოდ არა ასეთი მეფის დროს. სააკაძე მართალია, მაგრამ სად ვიშოვნოთ სხვა? გვიკარნახოს, თუ ვინმე ჰყავს. დიახ და... რაც შეიძლება მალე!

შადიმანმა მეჩიბუხე იხმო და უბრძანა — სააკაძის შიკრიკი მომიძებნეო. მეჩიბუხე დაიბნა: მან შიკრიკს უთხრა, ექვსიოდე დღის შემდეგ მოდი, როცა თავადები წავლენ-წამოვლენ, დღეს კი მხოლოდ მეოთხე დღეა. თვითონ არ უთქვამს, და მეჩიბუხეს დაავიწყდა ეკითხა, სად ცხოვრობო...

შადიმანმა მკვახედ მიაძახა:

— მოძებნე! და დაუყოვნებლივ! თუნდ მტკვრის ფსკერზე! თუნდ თბილისის წიაღში! თუნდაც ჯანდაბაში!

ჯერ კიდევ გუშინ ზურაბმა, განგებ შადიმანის თანდასწრებით, შიკრიკი აფრინა კათალიკოსის სასახლეში. წმიდა მამა ერთბაშად დათანხმდა მოესმინა, თუ რას ეტყოდა ზურაბ ერისთავი, და აი დილით თავადმა ბრძანა, ცხენი შემიკაზმეთო. მაგრამ ის იყო შედგა ფეხი უზანგში, რომ მოირბინა არაგველმა მეოთხე ასეულიდან და შეეხვეწა — შეიარე მამუკასთან კახეთში მიღებული ჭრილობით რომ კვდებაო. ზურაბი დაიმანჭა და მთელი ეზოს გასაგონად დაიყვირა:

— თუ ჯერ არ მომკვდარა, გაიქე მღვდელთან! განა მე ვუბრძანე ვირიშვილს, იბრძოლე-მეთქი?!

— დიდო ბატონო, ჯანმრთელს შეგიძლია უყვირო, მამუკას კი ეშინია შენს შეუნდობლად არ მოკვდეს!

— აქაც ეშინია?

— წმიდა გიორგის გულისათვის გთხოვ, აღირსე!

— უმჯობესია სხვა წმიდანისთვის!

მერე ზურაბმა წარბი შეიკრა და დაიძახა:

— ეი, ჯიბო, გაიქე კეთილსახიერ თეოდოსისთან, უამბე, რა მიზეზით დამაგვიანდება ცოტა! არაფერია, ღვთის საამებელი საქმეა! — და ცხენოსან არაგველებს მიმართა: — რატომ ოცი ხართ? მე რა, სამღვდელოებასთან ბრძოლას ხომ არ ვაპირებ? — თვალი დარჩა ცხენოსნებზე და უბრძანა: — ხუთიც კმარა! დანარჩენები დუქანში წავიდნენ და მამუკას სადღეგრძელო დალიონ, იქნებ გაჯანსაღდეს.

ზურაბის შემდეგ მეტეხიდან მეტად ცუდ გუნებაზე გავიდა შადიმანის მეჩიბუხე. გუშინ, რამდენიც არ ეძია, ვერსად ვერ იპოვნა საკაძის წყეული შიკრიკი, თითქოს მიწამ პირი უყოო. კიდევ კარგი, რომ საჯინიბოების ზედამხედველმა მის კვალზე დააყენა: ვარდანის დუქანზე ჩამოუგდო სიტყვა, — იქ მუდამ სხვადასხვა საქონელია. ჯერ დაირცხვინა: „შენაო, უთხრა, თვალსაჩინო კაცი ხარ, უხერხულია თხოვნით შეგაწუხო, მეგონა რაზმელს წაიყოლებდიო“. მაგრამ მანაც, მეჩიბუხემ პატივი დადო: „შენ კი განა თვალსაჩინო არა ხარ? მეფე და თავადები ძვირფას ცხენებს განდობენ. თვითონ იცი,

რაღა უცხენო რაინდი და რაღა უთმო ქალიშვილი". ცოტა კიდევ იხუმრეს და საჯინიბოს ზედამხედველმა დაავალა, ვაჭარი ინახულეო.

ზურაბმა თვალი მოავლო მეჩიბუხეს, ცხენს რომ მიაჭენებდა, და ხიდისაკენ გაუხვია: „არა, მე როდი მითვალთვალებს. მაგრამ არც უსაქმოდ სეირნობს", — და ერთ-ერთ მხლებელ არაგველს უბრძანა, თვალი ადევნე მეჩიბუხესო.

შევიდა თუ არა დაუთბეგისა და დიმიტრის ყოფილი სახლის ეზოში, ზურაბი მეორე სართულზე აიჭრა და კარი შეაღო გვერდის ოთახში. სუფრას უჯდა ღრეჭია მიხა და მუშტით ამტვრევდა კახურ კაკალს. ზურაბი გადაეხვია წამომხტარ მსახურს.

— როგორ არის, მიხა, ჩემი ცხენოსანი ჯარი? — მოუთმენლად წამოიძახა თავადმა.

— დიდება წმიდა ნინოს! ყველანი მწყობრში არიან და მზად არიან სიცოცხლე გასწირონ თავის საყვარელი ბატონისათვის, არაგვის მფლობელისათვის!

— მითხარი, მითხარი მალე, როგორ არის მეფე თეიმურაზი, დედოფალი? ისა... ისა... მეფის ასული ნესტან-დარეჯანი?

— ყველანი, ყველანი კარგად არიან! შენთვის, ბატონო, მეფის წერილი მაქვს. თავად ჩერქეზიშვილის ხელით გადმომცა. თავადი თვითონ უნდა მოსულიყო შენთან მეფის ელჩად, მაგრამ უკანასკნელ წუთს გადაიფიქრა.

გრაგნილი თითქმის გამოსტაცა და ზურაბი კითხვას შეუდგა. სახე გულისწყრომით დაემანჭა, თვალები რისხვით აენთო: „განა მე, ზურაბმა, ასჯერ მაინც არ გავწირე თავი თეიმურაზისათვის მეტეხში ცხოვრებით? განა ადვილია შადიმანის მოტყუება? და აი ჯილდო! მადლობისა და სიყვარულის ნაცვლად, დარეჯანზე, ჩემს ცოლზე, ლაპარაკის ნაცვლად, მეფე საყვედურს მითვლის! მე... მე სვიმონს მივემხრე! წარმოიდგინა რაღაც ურჩმა და მემუქრება, შენი დახმარება აღარ მინდაო. ახლა იგი უფადარს წასულა, სადაც ელოდება ჩემს დაპირებულს, და თუ დავიგვიანე, მაშინ... იგი, თეიმურაზი, შეუთანხმდება ერევნელ მელიქ-ბეგს... და ახლოს არის დღე, როცა მეფე თეიმურაზი ოქროს კალამს, მუზამ რომ აჩუქა, დამს-

ჯელ მახვილად გადააქცევს. დაე აფასებდეს ზურაბი: ახლოსაა დღე, როცა მერყეევი თავადი დაინახავს, რა მოუვა მეტად უჭკუო სვიმონს და მეტად თავხედ არაგვის ერისთავს!.. ო-ო, ურჩი! სიზმარში ხომ არა ვარ? სისულელეები კარგია შაირში! მუქარა კი აქ ნაკლები როდია, ვიდრე გველი მუღანში! ყოველი სტრიქონი ძვირფასია! აი:

„და თუ ზურაბის შიკრიკი დაუყოვნებლივ არ მომიტანს პასუხს, რამდენ ხანს უნდა ველოდო მე, ღვთის ტოლი თეიმურაზი, თბილისში შესვლას, მაშინ გამოჩნდება, რამდენი მამხილებელი საბუთი მაქვს კაპარჭში, რომლებითაც შაჰ აბასი ადვილად შეიტყობს, რა თავხედურად მოატყუა არაგვის ერისთავმა ხოსრო მირზა და ისა-ხანი, როცა კახეთში გაგზავნა ორი ათასი არაგველი მეფე თეიმურაზის დასახმარებლად. მართლაც, არაგველი ცხენოსნების დახმარებით მოვახერხე შაჰ აბასის ჯარის განადგურება, ისმაილ-ხანის განდევნა...“

ზურაბი დარბაზში დაბორიალებდა. კარგია, რომ მიხა მიხვდა და ხელადა მიაწოდა, თავადმა რომ გულის მოსაოხებლად ქედელს მიანარცხა. დადგა ღვინის სუნი. „ხოლო განა ცხოვრება ღვინის სარდაფი არ არის? შიგ შედიხარ მტკიცედ ორ ფეხზე მდგომი — როგორც ადამიანი, გამოდიხარ კი ოთხზე — როგორც ღორი! წინასწარ ტკბები დღესასწაულით, იღებ კი წესის აგებას! — ნუთუ ეს გასაგონად ვთქვი?—დოქის ნამსხვრევებს ფეხი ჰკრა და კბილები დააღრჭიალა:—ო-ო, მე ღირსეულ პასუხს გავუგზავნი ჩემს სიმამრს!..—მაგრამ ოანდათან შეშფოთება დაეუფლა:—თეიმურაზს შეუძლია აასრულოს მუქარა, მისწეროს შაჰ აბასს... და... და... შადიმანს! ძნელია განა იმის მიხვედრა, თუ როგორ გამისწორდება ხოსრო მირზა, ახალი ჯარით რომ შემოიჭრას. არა! არაგვის ერისთავი ზურაბი ყველას გააცურებს და გახდება... ჯერ მთიელთა მეფე, მერე კი...“

ზურაბი დაბინდებიდანვე წერდა მგზნებარე წერილს, სიყვარულისა და ერთგულების ფიცით რომ გამსჭვალულიყო: „ხოლო ღვთის ტოლი მეფე თეიმურაზი, პირველი ბაგრატიონი, თბილისში შემობრძანდება უფრო ადრე, ვიდრე ვარაუ-

დობს. და დაე მეფის მსახვრალი მახვილი გადაიქცეს ოქროს კალმად, რომლითაც მეფე დასწერს ქებას მისთვის ქართლის გვირგვინის დაბრუნების აღსანიშნავად...“

კათალიკოსის სასახლეში თავად ზურაბს მოუთმენლად ელოდებოდნენ... არქიელები ფანჯრებთან მოგროვებულიყვნენ და წამდაუწუმ იცქირებოდნენ ჭიშკრისაკენ. გაუგებარი რამ ხდებოდა: ყველაფერი მათს დაუკითხავად კეთდებოდა. ნუთუ მცხეთაში სვიმონის დაგვირგვინებაზე უარის თქმას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფოსაგან ეკლესიის თვითნებური გამოყოფა?! წმიდა სამებას ნუ ენებოს ასეთი რამ! მაგრამ შადიმანი პასუხს ელოდება. კვლავ დაყოვნება საშიშია! სად არის ის მადლი, ასე რომ ელოდნენ? გადიოდა კვირეები, თვეები, იმედს ამყარებდნენ სარწმუნოებაზე, ჩიხში ექცეოდნენ, კვლავ ეძებდნენ გამოსავალს... და უეცრად აღსრულდა. მაგრამ რატომ არაფერი შეიცვალა? და აი ტრიფილიოსმა ურჩიათ მიულოცონ თავადებს მეფე თეიმურაზის გამარჯვება ისმაილ-ხანზე: მოულოდნელობა ყოველთვის განცვიფრებას იწვევს. თანაც ღმერთი ინებებს, და გამოირკვევა რომელი თავადები არიან თეიმურაზის, მაშასადამე, ეკლესიის ერთგულნი, და რომელნი სვიმონის, მაშასადამე, შაჰისა. ასეთი მოქმედება უკარსახებს შადიმანის პასუხსაც. მაგრამ მოხდა გაუგებარი რამ, მეტად ცუდი რამეც კი, რადგან გუშინ თითქმის ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და არც ერთი წმიდა მამასთან არ მოსულა დარიგებისა თუ დალოცვისათვის. ნუთუ ყველა თავმოყვარე სვიმონის მომხრეა? ან იქნებ ღმერთმა გონება წაართვა და თეიმურაზის წინააღმდეგ განიზრახავენ?!

— თანაც, — ზანტად ამბობდა ტრიფილიოსი, — განა მეფე თეიმურაზმა ეკლესიის მამები არ გააბედნიერა, რომ პირადად შეატყობინა ღვთის მონიჭებული გამარჯვების ამბავი, განა წმიდა მამას არ გამოუგზავნა მაცნე ჭეშმარიტად სასიხარულო ამბის შესატყობინებლად, სამცნებლად? ან იქნებ კახელ ძმებს მამაცობა აღარ შერჩათ?

— ჭეშმარიტებას ბრძანებ, მამაო ტრიფილიოს, — თქვა თბილელმა, — რატომ არ ჩამოცოცდა საკუთარი უნაგირით სახიერი შავოსანი, ღმერთო ნუ მიწყენ, ალავერდის საეანის სიმაღლიდან?

— ან იქნებ კახეთის ეკლესიამ განიზრახა ამაღლდეს ქართლის ეკლესიაზე? დიდი ხანია, ვით მელია საკბილოს, ეპარება ქრისტეს მოადგილის, წმიდა მამა კათალიკოსის მეთაურულ ძალაუფლებას.

ეპვის აღძვრა ადვილია, მისი დაძლევა კი — ძნელი, ამასთან კახეთის ეკლესიას არაერთგზის უცდია ქართლის ეკლესიაზე უფრო მაღლა დამდგარიყო.

საერთო ხმაურში ვიღაცამ წამოიძახა:

— ღვთის საწინააღმდეგო რამ ნურც მომხდარა! ის ბერი, აქ რომ მოიპრა და არაგველებმა რომ ორი დღით დააკავეს, ცერბერისათვის გადაგდებული ძვალი ხომ არ არის?

ასეთი ვარაუდი სახარბიელო არ იყო და ბამები დაეთანხმნენ ტრიფილიოსს: ზურაბ ერისთავს მოვუსმინოთო. ხოლო, თუ ეკლესიისათვის სასარგებლო და სანუგეშო არაფერი თქვა, მაშინ დავიწყოთ მოლაპარაკება გიორგი სააკაძესთან, რათა მან თავის სარდლობაში მიიღოს საეკლესიო ჯარი, ქართლიდან განდევნოს მეფე სვიმონი და მისი ხროვა და ამასთან ერთად გაუსწორდეს ეკლესიის ურჩ თავადებს.

— ვინ გამეფდება ქართლში? ახლა ეს როდია მნიშვნელოვანი!

ნურც წაუბილწავს მუსლიმთა ფეხს ტაძარი ცხოველმყოფელი!

— თანაც ღმერთი შეეწევა გიორგი სააკაძეს გამოძებნოს მეფე ბაგრატიონთა შტოიდან. — ტრიფილიოსის თვალებში სიქველე გამოიხატა. — და ერთხელ კიდევ მოგვაშორებს თავიდან „არაღვთის სწორ“ მეფეს, თუ წმიდა სამებამ ინება.

— და წმიდა მამამ, ქართლის კათალიკოსმაც.

— ამინ!

— მაგრამ ჯერ მოვუსმინოთ, ღმერთო ნუ მიწყენ, ჭეშმარიტად არაგველ ტურას...

მაიდანი ღელავს.

— რა? რა იქნება ახლა? ვინ იტყვის? ვინ მიხვდება?

ამქრებს, ვაჭრებს, მოქალაქეებს ქუდები განზე მოუგდიათ. დიდრონი ჭრელი ხელსახოცებით გაოფლიანებულ შუბლსა და კეფას იმშრალებენ და ერთმანეთს ეკითხებიან: რა იქნება?

მუშაობა უკვე გაჩაღდა, საქონელი თვითონ ეზომებოდა ალაბს, სასწორი უკვე ცეკვავდა. უკვე შეურიგდნენ მეფე სვიმონს — რაც უნდა იყოს, საკუთარი ცალკე მეფეა.

— ნუთუ კახელი ამქრები კვლავ ქართლის ქვაბში დაიწყებენ ხელის რევას?

— რა თქმა უნდა! თავიანთ ცარიელს ხომ არ დაუწყებენ ლოკვას?

— ქვაბზე ტყუილად ნუ წუხარ, სიუშ: ისმაილ-ხანმა სავსეც წაიღო და ცარიელიც!

— ეგეც კარგია! ჩვენს მოურავს არ ცნობდნენ — უნიფხვოდ დარჩნენ.

— ახლა ნუღარ იმედოვნებ, მეორეჯერ არ გაირჯება კახეთის აღსადგენად.

— არაფერია, ალაზნის კალმახი დაეხმარებათ...

გულიანი სიცილი გაისმა. და კვლავ წუხილი, შეშფოთება: რა, რა იქნება? და უცნაური ის იყო, რომ რაც უფრო ხურდებოდა ჰაერი, მით უფრო ხმამაღლა გაისმოდა გიორგი საakაძის სახელი: მხოლოდ მოურავს შეუძლია გამონახოს გამოსავალი, მხოლოდ ის გვიხსნის! სვიმონი კანონიერი მეფეა, ხოლო თეიმურაზი?..

— თუ ომი იქნა, ის გაიმარჯვებს, ვის მხარეზეც მოურავი იქნება.

— რა თქმა უნდა, სიუშ, ომი უსათუოდ იქნება. სად გაგონილა, რომ ტახტზე უჩხუბრად ასულიყვნენ?

— შენ ვის ემხრობი?

— მე? დიდ მოურავს!

— მეფე?

— მეფე უსათუოდ საჭიროა! სამეფო კაციერითაა, უთავოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

— უთავოდ უკვე ცოცხლობს, — მხოლოდ ფაფახი ხურავს, იმიტომ არ ეტყობა უთავობა.

ვაჭრებმა, ყველა საამქროს ამქრებმა ალაბი და ჩაქუჩი მიაგდეს, დილიდან საღამომდე ხან ერთად იკრიბებოდნენ, ხან მცირე ჯგუფებად დაიყოფოდნენ, თავიანთი სიტყვებით ალიგზნებოდნენ და დაობდნენ. დაობდნენ წვრილი ვაჭრები, ჩალვადრები, დუქნის პატრონებიც კი, დალაქები, მემწვადეები. ყველას აღელვებდა ვაჭრობის ბედი. თითოეული ცდილობდა წინასწარ გადაეჭრა მაიდნის მომავალი.

— რაზე დავობთ? განა, თუ არ ივაჭრა, სამეფოს შეუძლია იცხოვროს?

— მართალს ამბობ, პანუშ! დაე მეფეები თავისკენ ეწეოდნენ ქართლს, ჩვენ კი, როგორც აკვანში, შუაში ვიწოლებით.

— ეგეთი ჭკუიანი რატომ ხარ ღღეს, ოთარ? განა არ იცი, რომ, თუ ძლიერ დაარწიე აკვანი, შეიძლება ბალღი გადმოაგდო!

— ეგეც მართალია, მაიდნისათვის ცოტა ხეირია, როცა ყოველ დღე ხათაბალაა!

— ეჰ, რას იზამ, თუ თავადებმა თვითონ არ იციან, როგორი მეფე უნდათ: ერთი მეტად წყნარია, მეორე ძლიერ ხმამაღალი, მესამეს თვითონ სურს, უთავადებოდ იმეფოს, მეოთხე კიდევ უარესი — სულაც არ უნდა მეფობა...

— ჰე-ჰე!.. მეხუთე წელიწადში სამას ღღეს ღღესასწაულობს თავისი დაბადების ღღეს.

— და ოცდათხუთმეტ ღღეს ნადირობას ანდომებს.

მაიდანზე ხარხარი არ ცხრებოდა.

— რა გაეწყობა, სწორედ დროა აკვანს ვარწევდეთ, — ყვიროდა ჩასუქებული ყველის ვაჭარი და მუშტებით თვალებს იწმენდდა, — მხოლოდ რა ვაჭამოთ ასეთ მოუსვენარ ბავშვს?

— მწნილი, — ხუმრობდა ჰინის ვაჭარი.

— არ იცი რა? მაშინ რაღა იცი? დამწნილებულო! — გაბრაზდა თიხის ჭურჭლით მოვაჭრე. — ეშმაკების გასახარებლად გზირები დაიწყებენ აქეთ-იქით სიარულს ახალ-ახალი

ბრძანებით და ყველა ეცდება ჩემს ჭურჭელზე გადაიაროს.

ხან გინება ისმოდა, ხან ხარხარი. კვლავ გროვდებოდა ხალხი, რომ იქვე ჯგუფებად დაყოფილიყო. აუტანელი სიცხე თვალს აბრმავებდა. მეკოკეები ძლივს ასწრებდნენ მტკვრიდან წყლის მოტანას, რომ მყისვე ისმებოდა.

ჰაერში გუგუნი იყო, თითქოს სამჭედური მუშაობსო. თავადების შეკვეთა უკვე არავის ახარებდა: ბე მისცეს, მაგრამ გამომუშავება სად არის? არა, დრო არ არის ფული საქონელზე დაიხარჯოს! თავადები კი თავის სიტყვაზე არიან: ჯერ მზა საქონელი, მერე ფული. როგორღაც ერთბაშად შეირყა ცხოვრება, — თითქოს სადავე მიუშვეს და ცხენი ბორძიკით ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის, არ იცის, საით წავიდესო.

მხოლოდ ერთი ვარდან ბრძენი, ჩვეულებრივ, დუმდა, არ ერეოდა არავითარ კამათში, არავითარ სურვილს არ გამოთქვამდა. აუჩქარებლივ ჩამოიღო თაროებიდან ხავერდი, აბრეშუმი, ფარჩა და სხვა ძვირფასი საქონელი, ნუცას რჩევით, შინ გადაიტანა და დიდ ზანდუკებში ჩაალაგა, ფარდულში რომ იყო დაფლული.

დარბაისელი ვაჭრები, ვარდანთან რომ რჩევისათვის მოდიოდნენ, თვალს მოჰკრავდნენ თაროებს, რომლებიც სავსე იყო იაფი სპარსული ნარმით, მიტკლით სოფლური პერანგისათვის და უხეში მაუდით, მხოლოდ მემწვანილეებისა და მეთულუხეების საჩოხედ რომ გამოდგებოდა, დუმილით ბრუნდებოდნენ თავიანთ დუქნებში და, კარდასშულში, საჩქაროდ აწყობდნენ საქონელს ბოხჩებსა და ზანდუკებში...

მეჩიბუხე მოულოდნელად ეწვია, მაგრამ ძნელი იყო ვარდანს მოუმზადებელს წასდგომოდი თავს. იგი თვალს ადევნებდა მაიდანს, სასწრაფოდ გავიდა და კარი მიხურა.

— შენ რაო, ვარდან, უკვე მორჩი?

— მიხვდი პატივცემულო. ერთმა კაცმა, — ამბობენ თავად ფალავანდიშვილის მსახურიაო, — თითქმის არ უვაჭრია, ისე იყიდა ჩემგან ფარჩა, ხავერდი და აბრეშუმი. იკვეხნიდა, თავადის ასულის მზითევიაო. არ ვიცი, მართალია თუ არა.

— ტყუილია. თავადმა ფალავანდიშვილმა უმცროსი ქალიშვილი ზამთარში გაათხოვა. იქნებ კახელი მსახური იყო?

აგრეთვე ამბობენ: მამაცმა ისმაილ-ხანმა არა ერთი და ორი ქულაჯა-შარვალი გახადა კახელ თავადებს, ისინი კი წინააღმდეგი არ ყოფილანო.

— შეიძლება კახელიც იყო, ფულს ხომ სუნი არ აქვს.

— სამაგიეროდ მსტოვრებს ყნოსვით იცნობენ ხოლმე.

— შეიძლება, აგრეც იყოს. აი გადავწყვიტე შინ წავიდე. ცოლს ყაურმა მოუმზადებია, კარგა ხანია მინდოდა.

— არჩილმა, აი მეტეხში რომ არის, მთხოვა გადმოგცე: ჩემს არჩეულ საქონელს ნულარ შეინახავ, გადავიფიქრე ჩოხის შეკერვაო, — გაახსენდა მეჩიბუხეს საჯინიბოების უფროსი ზედამხედველის დანაბარები. — ხავერდოვან მსტოვარს მიჰყიდეო... ჰო, მართლა, მსტოვარზე გამახსენდა! შიკრიკი ხომ არ გინახავს?

— ვინ შიკრიკი?

— საკაძისა... ჩემი თავადი ეძახის.

— მერე... მერე მე რატომ უნდა მენახა?

— განა შენ არ იყავი პატივში, როცა საკაძე ქართლში პარპაშებდა?

— მე ახლაც პატივში ვარ, როცა ანდუყაფარი პარპაშებს.

— რატომ გგონია, ანდუყაფარი?

— მარტო მე კი არა, ყველა გრძნობს თავადის საამო ხელს. კარგია, რომ კეთილშობილმა თავადმა შადიმანმა საშუშაოთი დაამშვიდა ამქრები. უკვე ბევრი აპირებდა დაეხურა დუქანი. — ვარდანმა უეცრად ხელით დაიჩრდილა თვალები და შორს დაიწყო ცქერა. არ მოეწონა შადიმანის მსტოვრის საუბარი, და გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა დაუპატიჟებელი მოსაუბრე. — პატივცემულო მეჩიბუხევ, თუ მოურავის შიკრიკს ეძებ, აგერ ახლა ხიდისკენ მიაჭენებდა ცხენს.

— ხიდისკენ?

მეჩიბუხემ მათრახი გადაჰკრა ცხენს და ძლივს გაეტია ხალხში მაიდანზე.

ვარდანი სასწრაფოდ შევიდა დუქანში.

— გურგენ! — დაუძახა მიმალულ შვილს. — გაიქე „ოქროს აქლემის“ დუქანში და უთხარი არჩილს, დაუყოვნებლივ წავიდეს მეტეხში, — თავადი შადიმანი ეძახის. გადაეცი: უფ-

როსმა ზედამხედველმა არჩილმა მეჩიბუხის პირით გადმომცა, საქონელს ნუღარ შეინახავო. გამოდის, „თვალმარჯვეს“ შეუძლია თავისუფლად ისეირნოს, საფრთხე აღარ მოელის. ღამით ჩვენთან აშკარად მაინც ნუ მოვა. მინდა მოურავს ვაცნობო მაიდნის ამბავი...

როცა არჩილ-თვალმარჯვე შადიმანს წარუდგა, უკვე შუადღე იყო. ვენეციურ ჭიქაში დნებოდა ყინულის ნატეხი, მზის სხივებს რომ ისხლეტდა. შადიმანი ვერცხლის ჩხირს უკაკუნებდა ყინულს, კელავ დაწვრილებით ეკითხებოდა სააკაძეზე და „ვეფხვთა რაზმეულზეც“ კი. როცა შეიტყო, დათო და ხორეშანი აფხაზეთს გაემგზავრნენ პირმშოს სანახავადო, შადიმანი გამოცოცხლდა და ჰკითხა:

— სააკაძის ვაჟის სამაჭანკლოდ ხომ არ წასულან? ხმა დადის, მთავარ შარვაშიძეს ლამაზი ქალიშვილი ჰყავსო.

— არა, ბრწყინვალე თავადო, ჩვენი ავთანდილი ჯერ ახალგაზრდაა. შარვაშიძის ქალიშვილი კი უცხვიროა. აბა რა ცოლი უნდა იქნეს, თუ ლევან დადიანმა, ქმრის უფლებით, მას ცხვირი მოჭრა? თუმცა მართალი არ არის, ღალატისთვისო. მაგრამ ცხვირი კვლავ მაინც არ წამოზრდია.

შადიმანმა ღიმილს ნება არ მისცა სიცილად გადაქცეულიყო და მიაშტერდა სასიამოვნო, გაბედულ სახეს, ჭკუიანი თვალების ციალი რომ აშუქებდა. არც თუ შეუშურვებლად გაიფიქრა: „ამას შეიძლება ენდო. იცის მოურავმა მიიზიდოს ადამიანი, ვით ანდამატმა — რკინა“.

— აი რა, „თვალმარჯვეე“, მგონი ასე გეძახიან?

— აგრე, ბრწყინვალე თავადო, ჯერ არასოდეს არ ამიცდენია. საითკენაც ისარს გავისვრი, იქ დაერჭობა.

— მესმის. მინდა მოგანდო ერთი დიდი ნადირობა, და თუ სამეფო ირემს მოახვედრებ, მთხოვე, რაც გინდა. აზნაურს გაგხდი, ხოლო, თუ გინდა, ჩემი მსახურის ღას შეგრთავ.

— დიდო ბატონო, მე ისედაც უზომოდ ბედნიერი ვარ, რაკი მენდობი, — და თითქოს მადლიერებით გატაცებულმა წამოიძახა: — მოურავს ტყუილა როდი უყვარხარ, ბატონო!

საქვეყნოდ არ ლაპარაკობს, მაგრამ ისე კი ყველას ურჩევს, პატივი ეცით და დააფასეთ მისი დიდი ჭკუაო.

— უცნაურია, მე კი პირიქით მეგონა: ვძულვარ-მეთქი, — ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე ვედავებით ერთმანეთს. — ლიმოხის ნაჭერი აიღო და გულმოდგინედ ჩაწურა ჭიქაში.

— უსათუოდ იმიტომ გედავებათ, რომ გაფასებთ.

— მაფასებს? გამოდის, რომ მაგალითს იღებს ჩემგან.

შადიმანმა დაფიქრებული თვალი მოავლო არჩილის სახეს, უკვე აღარ უკვირდა, რომ უბრალო რაზმელს ესაუბრება. „მზად ვარ მოურავში ათი თავადი გავიღო. მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენ სხვადასხვა ეკლესიაში მოუნათლივართ". მერე ჭიქა მოსვა და ჰკითხა:

— სად იყავი ამ დღეებში, რომ არსად ჩანდი? რატომ მეტეხში არ მოდი? განა არ იცი, სად უნდა ელოდოს პასუხს შიკრიკი მოთმინებით?

— ვიცი, ბრწყინვალე თავადო, მხოლოდ შენმა მეჩიბუხემ მიბრძანა, ნუ შეაწუხებ, სანამ თავადები წავლენო. დღეს სწორედ შესაფერისი დღეა.

— შესაფერისი? რატომ?

— სათქმელი მაქვს... თუ ნებას დამრთავ, ბატონო.

— თქვი.

— დღეს დუქანში ჩანახი გავსინჯე, ღვინოც, რა თქმა უნდა, ცოტა დავლიე... ვხედავ, არაგველებიც ჭამენ და ხელადებს მალმალე ცლიან; და ისე მიცქერიან, თითქოს არ მიცნობდნენ. მე კი, რასაკვირველია, იმათ სულაც არა ვცნობ. გულში კი ვფიქრობ: საქმიდღეს ამდენს რატომ სვამენ-მეთქი? ამის პასუხი ვერ მოვასწარი, რომ თავად ანდუყაფარის რაზმელები შემოვიდნენ. არაგველებმა მყის გამოამეღავნეს თავიანთი ხასიათი: „ეი!.. — ყვირიან. — როდის გამდიდრდით, რომ დუქანში შემოდით? იქნებ თქვენმა გრძელმა თავადმა ქისებს თავი მოხსნა თქვენთვის?" აქ ერთმა ხანში შესულმა არშელმა ჭკუა გამოიჩინა: „თუმცაო, ამბობს, ჩვენს გრძელ თავადს ქისები არ გაუხსნია, მაგრამ მაინც ფული თქვენი განიერი თავადის ქისაში არ ამოგვიღია, ჩვენსას ვსვამთ". „თქვენსას? მერე სად იშოვნეთ? იქნებ გულშარის

სილა-ტყლაშუნი გაყიდეთ ხეირიანად?“ — „იძულებული გავ-ხდით, — უპასუხებს ჭკუიანი არშელი, — თორემ თქვენს ვი-რულ ხუმრობაში ხომ ფარასაც არავინ გაიღებს!“ ვხედავ, ბატონო, რომ ჩხუბი იქნება; თუ დავრჩი, უთუოდ ხმალს ვი-შიშვლებ, — მაგრამ ვის მხარეზე? თავადი ზურაბი ახლა მო-ურავის ყველაზე უარესი მტერია, თავადი ანდუყაფარი კი მუდამ მტერი იყო. დუქნიდან გამოვედი — და კვლავ გაევოც-დი: მთელ მაიდანზე არაგველები, როგორც თავიანთ თავლებ-ში, ჭიხვინებენ. მე ძლიერ კარგად ვიცი მათი ხასიათი, — ძაღ-ლიც მიჰკვდომიათ სულში. — მხარდამხარ გვიბრძოლია, ბრძოლის წინ ყოველთვის მხიარული არიან. თავადი ზურაბი მაგალითს უჩვენებს. მხოლოდ ვფიქრობ: ვისთან იბრძვიან? აი ეს მინდოდა, ბატონო, შენთვის მეთქვა.

— ყოჩაღ, რომ მითხარი. — შადიმანმა დასცალა ყინულო-ვანი წყალი, ჭიქას მზეზე გაჰხედა და იგი ოქროსფერის ნაცელად მუქწითელი გახდა. ასეთივე მატყუარაა დღეთა ვითარება თბილისში! ვერას გზით ვერ მოეშორებინა ფიქრი, რომ იქ ყველაფერი რიგზე არ არის.

„მსტოვრები მარწმუნებენ: თეიმურაზის გამარჯვება ხალხს უხარიაო. ეს გასაგებია. თუ თავადები ძლივს მალავენ კმაყოფილების გრძნობას, მდაბიოებმა რად უნდა იტირონ? ზურაბს დღეს მთელი დღე სძინავს; ჰფიცავს დამღალა ხაოიან ქვაზე ენის ლესვამო... ხოლო საერთო საუზმეზე რატომ-ღაც ჩემი ჭკუიანი თავის სადღეგრძელო დალია. მეხვეწებო-და, ხვალ ფირანს ვეწვიოთ სანადიროთო... იქნებ ღალატს აწყობს? არა, ჯერჯერობით თავს შევიკავებ და არ დავტკბე-ბი ხოხბებზე ნადირობით. მაგრამ უკანასკნელ წუთს რატომ დავაკავე ფირანი მეტეხში? ეს „თვალმარჯვე“ ნდობას მი-ნერგავს, თუმცა მეჩიბუხეს არ უყვარს, ამბობს: „თვალებში ცბიერებას მალავსო“. მაგრამ... რატომღაც მას უფრო ვენდო-ბი, ვიდრე ზურაბს. გიორგი გამცემს არ გამოგზავნიდა, ახლა დიდ მოურავთან მეგობრობა მაქვს. დიახ, თეიმურაზი ჩვენ არ გვესაჭიროება. მაგრამ ქართლელებს იგი უფრო მოს-წონთ, ვიდრე სვიმონი. მაშასადამე, ისეთი მეფე უნდა მივარ-თვათ, რომ სიხარულით დაავიწყდეთ არა მარტო კახეთის მე-

ფის სახელი, არამედ თავიანთიც. ლუარსაბი! დიახ, მხოლოდ ის! ყოველი ღონისძიებით უნდა განვთავისუფლოთ იგი სპარსეთის საპყრობილედან! ბაკამ უნდა გაიგოს: სამეფოს გადარჩენა პირად გრძნობებზე უფრო მაღალია. წერილში ყველაფერი ავუწერე, უარს ვერ იტყვის. რომ ვიცოდე, თეკლე სად არის, მისი გულისათვის ლუარსაბი ბევრ რამეზე დათანხმდებოდა. მაგრამ საჭიროა ვიჩქარო, რადგან თეიმურაზსაც უყვარს სიჩქარე. ხვალვე გამოვიწვევ მარაბდიდან მთავარ რაზმეულებს..."

— მითხარ, „თვალმარჯვევ", — უეცრად შეწყვიტა დუმილი შადიმანმა, — გინდა ნახო მამაშენი?

არჩილმა თვალები დაჭყიტა: „მახეს ხომ არ მიგებს?! ან იქნებ მართლაც შესაძლებელია ასეთი ბედნიერება?"

— ბრწყინვალე, კეთილშობილო თავადო! დღე და ღამ ამაზე ვფიქრობ. ძლიერ მენატრება, მაგრამ როგორ ვნახო?

— ალი-ბაინდურს ჩემს საჩუქარსა და წერილს წაუღებ. ყურადღებით მისმინე. რა თქმა უნდა, ძვირფას საჩუქარს ალი-ბაინდურს თვალსატყუარად ვუგზავნი. მთავარი ის არის, რომ საიდუმლო წერილი პირადად ბაკას გადასცე... აბა, მზად ხარ?

— ვფიცავ მზეს, ბრწყინვალე თავადო, ყველაფერს შევასრულებ! მხოლოდ როგორ დავუმალო წერილი წყეულ ბაინდურს? ერთიც ვნახოთ, ბრძანოს, გაჩხრიკეთო? ისიც გამოცდილია, ძნელია მისი მოტყუება. იქნებ წაღაში ან ჩოხისქვეშ დავმალო?

— არ ივარგებს. — შადიმანმა ტახტიდან აიღო კოპებიანი ქამარი. — ხედავ თუ არა აქ წერილს?

— ვერა, ბატონო.

— ნაცადი ხერხია. დააჭირე ხელი ამ კოპსა და მოხსენი. ვერავინ ვერ მიხვდება, გამოცდილებით ვიცი.

შადიმანი ასწავლიდა, ხოლო არჩილმა გაიხსენა, როგორ იპოვნა შადიმანის წერილი ლორეს მფლობელისადმი სწორედ წითელწვერა მთიელის ქამარში, და, ვითომც აქ არაფერიაო, მოჰყვა საიდუმლო წერილების გაგზავნის ამ ხერხის ქებას, რომელიც თითქოს დღემდე უცნობი იყო მისთვის.

— რა თქმა უნდა, რაკი გასწავლე, კვლავ ვეღარ გამოვიყენებ ამ ხერხს, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი საქმეა... და არა მარტო ჩემთვის... ამიტომ გავწირე საიდუმლოება. აი, დაიჭი მთელი ირანის გზებში სიარულის ფირმანი. მეფე სვიმონს უწერია ხელი. ალი-ბაინდურის გრაგნილი კი ყველა ციხისა და ქალაქის კარს გაგიღებს. როდის წახვალ?

— სად, ბატონო?

— როგორ თუ სად? გულაბს.

— მოურავის ნებადაურთველად ვერ გავბედავ.

— ამაზეც მიფიქრია. საერთო საქმეა. შიკრიკს გავატან წერილს მოურავისათვის, ავუხსნი შენს გამგზავრებას. მოურავი მოიწონებს.

— თუ აგრეა, კეთილშობილო თავადო, ხვალ მიეაბრუნებ ცხენს ირანისაკენ. არ დავაყოვნებ შენი ნდობის გამართლებას.

— ვინც მოურავთან არის, იმას სიფრთხილის სწავლება არ უნდა. წაიღე! — შადიმანმა სავსე ქისა გადაუგდო არჩილს, ნიშიდან ჯვარი გამოიღო და ზეიმურად წარმოთქვა: — ახლა კი ჯვარზე დაიფიცე მამაშენის სიცოცხლე, რომ ქამარს გადასცემ მხოლოდ თავად ბაკა ხერხეულიძეს.

არჩილმა დაიჩოქა, ჯვარს ემთხვია და წარმოთქვა:

— ვფიცავ მამაჩემის სიცოცხლეს, ვფიცავ ჩემი სულის ცხონებას, რომ, თუ საფრიდან არ მომკლეს, ქამარი საკუთარ ხელში გადავცე თავად ბაკა ხერხეულიძეს! და დავბრმავდე, თუ მტერს ქამრიანად დავნებდე!

— საჯინიბოში შეიარე, ნაბრძანები მაქვს საუკეთესო ცხენი მოგცენ.

მეტეხიდან რომ გავიდა, არჩილი თითქოს სიხარულმა დაათრო. რა თქმა უნდა, დიდი ხანია გულმოდგინედ მალავდა მამის ნახვის ნატვრას, ახლა კი რა შემთხვევა მიეცა!

ხიდზე შეჩერდა და დაფიქრდა: „სულერთია, მოურავის ნებადაურთველად არ წავალ. შადიმანი მსტოვრებს დამადევნებს. მაგრამ განა ძნელია მათი მოტყუება? თვალსატყუარად ვანჯის კარიდან გავალ ირანის საზღვრისაკენ, მერე ცხენს ქეჩას შემოვახვევ ფლოქვებზე და მთებით ახალციხისაკენ გა-

ვეშურები. მოურავი არ დამაკავებს, დიდი ხანია თანამიგრძნობს. ბაინდურისათვის გაგზავნილი წერილის წაკითხვაც საჭარგებლოა. მაგრამ ქამარს, როგორც დავიფიცე, მხოლოდ თავად ბაკას გადავცემ. პაპუნას გაეხარდება, ძლიერ წუხს დედოფალ თეკლეზე. რა თქმა უნდა, შადიმანი რომ ღალატს უმზადებდეს მოურავს, დიდმნიშვნელოვან წერილს არ გამატანდა ბაინდურთან. ღამით ვარდანთან შევიელი, მხოლოდ არ ვეტყვი, რომ გულაბს მივდივარ. მოურავი გვასწავლის: „საიდუმლოება წარმატების დედაა, ლაყბობა კი — უჭკუობის და. სჯობს თვითონ მეტი ვუსმინო. დაე სხვებმა აუშვან ენა“.

დაბინდდა თუ არა, ფირანი და ანდუყაფარი, რომლებიც მეჩიბუხემ გააფრთხილა, შადიმანისას გაეშურნენ. საუბარი თანხმობითი იყო. ოღონდაც, სხვილოს ციხეში — თავად ამილახვართა საგვარეულო ციხეში — სტუმრებს ელოდებიან, უნდა იჩქარონ წასვლა. შადიმანი, თვითონაც არ იცოდა რატომ, გამსჭვალული იყო უცნაური შეშფოთებით და ისე მოქმედებდა, თითქოს უბოროტეს მტერთან შეხვედრისათვის ემზადებაო.

— იცით თუ არა, ძვირფასებო, რა მიუტევებელი შეცდომა ჩავიდინეთ, ზურაბი რომ მეტეხში დავაკავეთ? მეტეხი ხომ სავსეა არაგველებით? და თვით ისიც რაღაც უცნაურად იქცევა. ხვალ ყველაფერი უნდა შეიცვალოს. როცა მეფე მეტეხში აღარ იქნება, ზურაბისათვის უხერხული იქნება იქ დარჩენა და ფირანთან ან ანანურში გაეშურება. და ჩვენ მაგრად, სამუდამოდ ჩავუკეტავთ მეტეხის კარს.

შემდეგ შადიმანმა დაწვრილებით აუწერა მათ მეფის ფარული გამგზავრების გეგმა.

მეტად კმაყოფილი ანდუყაფარი და ფირანი მეფე სვიმონთან გაეშურნენ. მეჩიბუხემ არ დააყოვნა და შეუმჩნეველად დააყენა მცველები ერთგულ მარაბდელთაგან, ასე რომ მეფის სამყოფლოს ახლოს ერთი არაგველიც აღარ დარჩენილა. ციხის კართანაც ანდუყაფარის რაზმელები მოგროვებულიყვნენ, უდარდელად იცინოდნენ, და, როგორც მეჩიბუხემ ასწავლა,

ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას „ოქროს აქლემში" იმ დამთხვეულ არაგველებთან ჩხუბის შესახებ.

შადიმანმა ანდუყაფარი და ფირანი გააცილა, სვიმონ მეორის დაახლოებული ახალგაზრდა თავადები მიიხმო და მკაცრად უბრძანა: მეფის სამყოფელს უდარაჯეთ და ძილს ნუ გაუფრთხობთ, რადგან ხვალ, ამოიწვერება თუ არა მზე, მეფე, როგორც დაჰპირდა, ამილახვარის ციხე-დარბაზში გაემგზავრებაო.

— უმჯობესია, — აზუსტებდა შადიმანი, — რიგრიგობით არ იძინოთ, რათა თავხედი ვინმე არ შეიპაროს.

გაკვირვებული თავადები სვიმონის სამყოფლოსკენ წავიდნენ და თან მსჯელობდნენ: ვის წინააღმდეგ აყენებს მცველებს შადიმანიო? გადაწყვიტეს — გულშარის წინააღმდეგო, რადგან იგი, დაპატიჟებული თუ დაუპატიჟებელი, ამ უკანასკნელ დროს მეფესთან შედის და ეჩურჩულება ყველაფერზე, რაც მეტეხში ხდება თუ არ ხდება. ახარებდათ ეს შემთხვევა ეწყენინებინათ აბეზარისათვის და გადაწყვიტეს — არავითარ ძახილს არ გახმაურებოდნენ.

თავადებს შეხვდნენ მეფის სამყოფლოდან გამოსული ანდუყაფარი და ფირანი, რომელთაც ახლდათ ხანში შესული არშელი, — სწორედ ის, ვინც „ოქროს აქლემში" ჩხუბის შემდეგ სულ თავშეხვეული დადის, ამიტომაც შემოუხვევია ჩაბალახი ასე მაგრად.

მათ თავადებს უთხრეს: მეფე უკვე საწოლ ოთახშია და დილამდე არ შეაწუხოთო, და სამივე მარმარილოს გასასვლელის კუთხეს მიეფარა.

ერთი საათის შემდეგ, როცა პირველი ვარსკვლავი აენთო ჯერ კიდევ ფერმკრთალ ცაში, ფირან ამილახვარი თავისი ორმოცდაათი რაზმელის თანხლებით მეტეხის კარიდან გავიდა. და თუმცა არაგველები ფხიზლად დარაჯობდნენ, მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ცხენოსან რაზმელთა შორის, უბრალო ნაბდითა და ჩაბალახით გამოწყობილი, მიდიოდა მეფე სვიმონ მეორე, რომელიც არაფრით არ განირჩეოდა ფირანის დანარჩენ მხედართაგან.

შადიმანი ვიწრო ფანჯრიდან უცქეროდა წასულთ. უცქეროდა დიდხანს, სანამ ბინდში არ მისწყდა ცხენთა ფეხის ხმა. უცნაურია, რატომ ასე უეცრად ჩამოვარდა სიჩუმე? უცნაური, გულისგამაწვრილებელი სიჩუმე.

შადიმანი მკვეთრად მობრუნდა, სანათს ხელი დააკლო, მაღლა ასწია, შორეული კუთხე გააშუქა, შემდეგ გულგრილად გადაშალა „აბდულ მესია", განზე გადადო, ხავერდის ნაჭერი აიღო და ფრთხილად შეუდგა ლიმონის ფოთლების წმენდას.

თავი მეცამეტე

სისხლის წვიმის ღამე

ფარნის წითელი შუქი ხევსურულ ნაბადს შეეხო და ზედ თითქოს სისხლის ზოლი დატოვა. ზურაბმა გააფურთხა: „გაქრებიან დღეს ვარსკვლავები? უთუოდ შორს მჭვრეტელი ანგელოზები, ხელში რომ სანათები უჭირავთ, გარს შემორტყმიან ღვთის დარბაზს, რათა ისიც კარგად ტკბებოდეს მიწიერი მასხრობით. რა გაეწყობა, ზეცის გულისმოგებაც საჭიროა. აი მალე გაბრწყინებული ტახტისაკენ აღემართებიან სულნი. სხეულნი კი? სხეულნი შეერთვიან მტკვრის მღვრიე ტალღებს, მეტეხის კლდის ძირში რომ ავბედითად ფუხფუხებენ".

— ჩუ, ჩუმად! — კედელს აეკრა შავი აჩრდილი.

ზურაბი პარაპეტისაკენ გაძვრა და უეცრად გაახსენდა, რომ, როცა გუშინ ამ კლდეს გაღმა ნაპირიდან უცქეროდა, გაუკვირდა, რადგან გაარჩია ათი ქვის გოლიათი, მახინჯი სახეები რომ ღრმა ნაოჭებით დაღარვოდათ. ვიღაც ბერმა უამბო, რომ მრავალი საუკუნის წინათ აჯანყებული გოლიათები მეტეხის გალავნიდან გადაყარეს და მას შემდეგ მათ მხრებით უკავიათ მეტეხის ციხე-დარბაზი. დროისა და წყლის ნაკადები ხეხავდნენ ციცაბო კლდეს, სანამ იგი მეტეხის კოშ-

კებსა და სათოფურებიან გალავანს არ შეერწყო. და აი, როცა მეტეხის გალავნიდან ურჩებს ყრიან, გაქვავებული გოლიათები იღიმებიან, ხოლო როცა მშვიდობა გრძელდება, მტკვრის ტალღებს მოწყენილი ცქერით აცივებენ... ზურაბმა ნაბადი გაიხსნა. „უ-უჰ! ისე ცხელა, როგორც ჯოჯოხეთში! ბერი კი იქვე ტრიალებს... რატომ? ჰო, გოლიათებს დიდი ხანია არ გაუღიმიათ! ო-ო, ზურაბ ერისთავი მალე აახარხარებს მათ!“.

— ჩუ-უ!.. — ვიღაცამ ბნელში ყრუდ ჩაახველა.

ზურაბი გაინაბა. და მყის წყვდიადში გაისმა სისინი: „ს-ს-ს... ჩუმად“. შავი აჩრდილი ამოძვრა და კიბისაკენ გაცოცდა.

დახუთული ღამეა. ლიმონის არომატი, მწკლატე სურნელებას რომ შერთვოდა, საწოლი ოთახიდან თითქოს ჰაერის უკანასკნელ ნაწილაკს ერეკებოდა. შადიმანს სული ეხუთებოდა: „რა უნდა იყოს? განა დახუთული ღამე ცოტა ყოფილა? არ ვარგა! საჭიროა მხნეობა. განსაკუთრებით დღეს... არაფერია! ფუქსავატი ფიქრი თავს ამძიმებს“. შადიმანმა შუბლზე ბროლის ნატეხი მიიდო, მუთაქას დაეყრდნო და თვალები მოხუჭა.

მეჩიბუხე მოუსვენრად გორავდა ლოგინზე და ხელით სატევარს საზრავდა მუთაქისქვეშ. მაგრამ იარაღით აბეზარ სიზმარს ვერ მოიშორებ! აგერ უკვე რამდენი ღამეა, რომ, მოხუჭავს თუ არა თვალს, კალიების გუნდი, ოქროსფერ ნათესებს რომ ანადგურებენ, თავს ეხვევა ველური ბორიალით. აი ახლაც! მეჩიბუხე ადგა და ფრთხილი ნაბიჯით შადიმანის საწოლი ოთახისაკენ გაემართა.

ყველაფერი რიგზე იყო. კართან იდგნენ მცველები ერთგულ მარაბდელთაგან, რომლებიც სასახლის ამ ნაწილს იცავდნენ, სანამ ცელა მოვიდოდა. რქის ჭრაქებში, როგორც ყოველთვის, ყვითელი შუქი კიაფობდა და მკრთალ სხივებს აფრქვევდა მარმარილოს კედლებს... მეჩიბუხემ მოუსვენარი

ყორანი უწოდა თავის თავს. ვინ იცის, რა შთააგონა ეშმაკმა ამ „თვალმარჯვეს“!

კვლავ რომ დაადო ყური კარს, მეჩიბუხეს გაეხარდა, როცა შადიმანის ფეხის ხმა გაიგონა: უმჯობესია განთიადამდე სწერდეს წერილს გიორგი სააკაძეს. მეჩიბუხე ცოტა ხანს იდგა და მერე კოშკზე ავიდა, რათა მთვარიანი ღამის ცქერით დამტკბარიყო, რაც არასოდეს არ დამართნია. ძილის ეშინოდა, თვითონაც არ იცოდა რატომ. არჩილის ნაამბობი დუქანში მომხდარ ჩხუბზე უნებურად აგონდებოდა.

კოშკზე ოდნავ გრილოდა. მტკვარს ნიავი მოჰქონდა. მილეული მთვარე მთას დაყრდნობოდა და ვერცხლისფერ შუქს აფრქვევდა. მეჩიბუხეს იგი აგონებდა კალიას, ცის ტატნობს რომ ანადგურებდა. მან გაბრაზებით გამოსკვნა მუშტი — და უეცრად გაითანგა სათოფურებს შუა: სადღაც ქვემოთ ჩირაღდანი გაკრთა. „ვინ ვარ, თუ არა მშიშარა ყორანი? — გაჯავრდა მეჩიბუხე. — კუთხის კოშკთან ყარაულს ცვლიან“. ეზოში მკაფიოდ გაისმოდა ფეხის ხმა. მეჩიბუხე დაძაბული უგდებდა ყურს. სიწყნარე იყო, მას კი თითქოს ესმოდა: „ყველა ჭიშკარი დაკავებული აქვთ არაგველებს?.. ს-ს-ს-ს-!.. აგრეთვე ყველა გასასვლელი სასახლიდან“. რაღაც აჩრდილები მოწყდნენ შინაკედლებს. „კვლავ კალია? ეშმაკის ოინებია. მაინც ფრთხილად უნდა ვიყო! ერთიც ვნახოთ, თავადმა დაიძინა?“ მეჩიბუხე ქვემოთ გაექანა.

შადიმანი ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და წყვდიადს გასცქეროდა. სიჩუმეა. მაგრამ რატომ არ არის იგი ლბილი, მოსვენებული? აი აგერ ჭიშკრის კამარაში თითქოს აჩრდილი გამოჩნდა და გაჰქრა. გუშაგის შეძახილი, და კვლავ სიჩუმე! მაგრამ რატომ უახლოვდება იგი მეტეხს, ვით საშინელება? რატომ გვამძიმებს, გვიშფოთებს ფიქრებს? განა ეს ეშმაკის ოინები არ არის? სახოვანი ფარნების შუქში ვიღაც წითლადჩაცმული გაკრთა! ყურმა ხომ არ მოატყუა იგი, შადიმანი? უთვალავი გველი ხომ არ ასისინებულა მოჩუქურთმებულ სვეტებს შორის: „ს-ს-ს-ს!“... სადღაც ოდნავ გაიჭრიალა კარმა. ვიღაცამ ყრუდ ჩაახველა. კვლავ მიწიდან ამოძვრნენ

აჩრდილნი! რა თილისმაა! რაც უნდა ჰვრიტო სიბნელე — არავინაა. ეს წითლადჩაცმული უთუოდ სატანაა!..

კედელსაკრული იდგა ზურაბი, ვით ქვის კანდაკი. სასახლის ვიწრო სარკმლებს შესცქეროდა და იგონებდა: „გაქრება დღეს ცეცხლი წყეულ მეტეხში? მოისვენებს თუ არა, ბოლოს, მეფის ეს უტყვი ფარა? განა დრო არ არის დაემსგავსოთ კურდღლებს, ძერა რომ დასწევიათ?!“

კოშკები ჩაბნელებულიყვნენ. აი გაკრთა და მყის ჩაქრა უკანასკნელი სანთელი, ალბათ შადიმანის საწოლ ოთახში. სასახლე წყვდიადმა მოიცვა. მთის გადაღმა იწურებოდა მთვარე, ვერცხლისფერ კვამლს ტოვებდა, და უფრო მკაფიოდ გამოირჩეოდა მეფის საწოლი ოთახის სარკმელი, ღამის სანათის მომწვანო შუქით რომ იყო განათებული და...

ზურაბმა ხმალი იშიშვლა, გაავებულმა გაკვეთა ჰაერი. რაღაც შეინძრა, აბორიალდა და კიბეებისაკენ გაექანა.

მთავარი ჰიშკრის კამარიდან გამოცვივდნენ აჩრდილები და უხმოდ გაექანენ მოედნებისაკენ, მოდარაჯე რაზმელებს რომ ეკავათ. ბნელში დააჯვარედინეს ხმლები, სატევრები, ფოლადის ჯაჭვნი გამოიხმო ბნელმა კუნჭულებმა, აჩხარუნდნენ ხელში გავარდნილი შუბები, ახალი აჩრდილები გამოძვრნენ ჩუქურთმიან სვეტებს შორის, და აე სულებივით უხმოდ დაესხნენ თავს თითქოს დამუნჯებულ მცველებს... ფარი ფარს მოხვდა. მახვილებმა გზა გაიკაფეს კოშკების ზემო მოედნებისაკენ, აჩრდილები ზევით აცვივდნენ, სათოფურებიან გალავანზე გაკრთნენ... მარმარილოს საფეხურებს სისხლი ღვარად დაედინა.

იქით! იქით!

საპურვლის დარბაზი! მცირე ლხინის დარბაზი! დიდი ტრაპეზობის დარბაზი! ნარინჯისფერი დარბაზი! ლუარსაბ მეორის სამყოფლო!

იქით! იქით!

მკლავებდაკაპიწებული, გასისხლიანებული მახვილით, ზურაბი არაგველებს მიუძღოდა, წლობით დაგროვებულმა სი-

ძულვილმა ფართო გამოსავალი ჰპოვა. მტრის ციხეში არ გამოიჩენდა იგი ასეთ სისასტიკეს, როგორც ამ სასახლეში, სადაც მისი სიამაყე ფეხქვეშ ითელებოდა და თავმოყვარეობა იბღალებოდა. მხოლოდ თავადთა წარსული ყრილობა რად ღირდა! მაგრამ მეტეხზე გადიოდა ხომ ციცაბო, მაგრამ უკვე მისაღწევი გზა მთიელთა მეფის ტახტისაკენ! განა მარტო მთიელთა? საჭიროა მხოლოდ, რომ ბაგრატოვანთა სასახლეში მყოფი ცოცხალი სულები მკვდრებად ვაქციო. „ჰეი, მეფე სვიმონ ყეყეჩო! შენ პირველი უნდა მოკვდე!..“

ზურაბი წინ მიჰქროდა და ფეხით თელავდა ჩამოყრილი ლარნაკების ნამსხვრევებს, ხმლით ყრიდა ძირს კანდელებს.

სამონადირეო დარბაზი! დიდებული მეფე ორბი! რამდენი ეძია უნაყოფოდ ოქროს ბუდე გაყინულ მწვერვალებზე, სადაც ორბთა მეფე ცხოვრობდა! რომელმა მამაცმა გაგხადა შენ, თეთრო ორბო, ფიტული, თავზე რომ პატარა გვირგვინი გადგას? მაგრამ შენ უარყავ სიკვდილი და ამაყად გაშალე ფრთები ხელოვნურ კლდეზე, ყალბი ლალებით და ზურმუხტებით რომ ბრწყინავს.

და თეთრი ორბი ზურაბს ეჩვენებოდა ბაგრატოვანთა მრისხანე მცველად. მოისპოს — და დინასტია დაემხობა! მაგრამ ორბამდე მიღწევა ძნელია. ორბი ფრთებს აბარტყუნებდა და ირხეოდა, ნისკარტს იქნევდა და თავს იცავდა, როგორც ცოცხალი. ზურაბმა დაიღრინა, შეხტა და გამეტებით დაარტყა ხმალი. ნარინჯისფერ ფილებზე წკრიალით გაგორდა დამსხვრეული გვირგვინი.

ზურაბმა დამხობილ ორბს გადააბიჯა და უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. მთავარი რამ უკვე შესრულებულია. დაემხო ბაგრატოვანთა პატრონი. ზურაბმა ძლევამოსილად დაიქნია ხმალი და კამაროვანი გასასვლელისაკენ გაეშურა. ჩქარა იქ, სვიმონ მეფის სამყოფლოში! და მას მიჰყვნენ გაალქაჯებული არაგველები, უაზროდ რომ ღრიალებდნენ.

კვნესა. დაცემა. მიგორავენ ფარები, ანდუყაფარის გაოცებულ რაზმელებს რომ უვარდებათ ხელიდან. აი უკვე უკან დარჩა მკვდრებით ავსებული კამაროვანი გასასვლელი. ბინდბუნდში მოჩანან ვერცხლის ფიგურები, რომლებიც ორ აღ-

ჭურვილ სარბაზს გამოხატავენ. სატანურმა ღიმილმა დამანჭა ზურაბის სახე. თითქოს ციხის ასაღებადო, ისეთი გააფთრებით მიუძღვის ზურაბი არაგველებს. ზეიმოვან ღრიალში საჭურვლის ჩხარუნით ეცემიან ძირს ვერცხლის სარბაზები. ვიღაც ცდილობს იყვიროს, მაგრამ ყელგამოღადრული ეცემა ძირს. ვიღაც ვერ ასწრებს ისრის დადებას მშვილდზე. ვიღაცას სურს თავი დააღწიოს, გაიქცეს. და კვლავ იარაღის ჩხარუნი, გვამების ძირს დაცემა, გინება, კივილი, წყევა, მოთქმა, სისხლი!

სასახლის კამარებში თითქოს მეხმა იგრიალაო. საჭურველთმტვირთველნი, ქეშიკნი, ნუკერნი, მეჩიბუხენი სანათურს მაღლა სწევენ და გრძელ ტალანებში დაბორიალებენ. გამორბიან ნამძინარევი კარისკაცები, სინამდვილე რომ ვერ შეუგნიათ.

— რა ამბავია?

— ვინ დაგვესხა თავს?

— სპარსელები?

— თურქები?

— არა, ტურა!

— წყევა და კრულვა!

— ო-ო, დადგა ზურაბ ერისთავის დრო!

— სისხლის წვიმების დრო!

— წყევა-კრულვა!

გულისშემღონებელი კივილი მკაფიოდ გაისმა კიბეებზე.

— გვიშველეთ! გვიშველეთ!

ყოველი მხრიდან ტყაპა-ტყუპით მორბიან მეტეხის მცველები.

— ჩუმად, ცხვარო, ყელს გამოგჭრი!

— გვიშვე-ლეთ, გვიშვე...

იარაღის ჩხარუნი. კვნესა. გარბიან ანდუყაფარის გაოგნებული რაზმელები, მარაბდელები. გინება, ხმაური, ვედრება დახმარების შესახებ. გარბიან, მაგრამ ყველგან არაგველთა ხმლებს აწყდებიან.

— რა მოხდა? რა?

გაისმის ქალთა განუწყვეტელი მოთქმა. არშელები მეფის საწოლი ოთახისაკენ ისწრაფვიან, მაგრამ მათ ულმობლად ჩეხავენ არაგველები. ძირს ეცემიან. რამდენი? ათი, ოცი? მხეცური ღრიალი, ვით მთის ზვავის ხმაური, სადღაც ინთქმება წყვდიადში.

— გვიშველეთ! გვიშველეთ! მეფეს უშველეთ! ა-აა! მომკლეს!..

თვალგასისხლიანებულნი, ჩირაღდანაღმართულნი, ხმალს იქნევენ არაგველები და განურჩევლად ესხმიან თავს ყველას.

ანდუყაფარი დერეფანში გაიჭრა, ფანჯარა გააღო და მრისხანედ გასძახა წყვდიადში:

— ღალატია! გააღეთ ჭიშკარი! გაიქეცით, თბილისელებს დაუძახეთ! რაზმელებო, ისწრაფეთ ჩემსკენ!

მაგრამ მისი ძახილი ჯოჯოხეთურ ღრიანცელში დაინთქა. ბრძოლა მეფის სამყოფლოს კართან ძლიერდებოდა. წყევა-კრულვა, იარაღის ჯახუნი, დაცემულთა კვნესა. და უკვე ვეღარაფერს არჩევენ, ხელჩართულად იბრძვიან, ერთმანეთს კბენენ, სახეს უკაწრავენ, ყურებს გლეჯენ.

არაგველები დამთხვეულებივით ხარხარებენ.

და კვლავ შადიმანისა და ანდუყაფარის რაზმელები შუაგულ ბრძოლაში იჭრებიან, და კვლავ უკუაგდებენ მათ არაგველები, რომლებიც სულ უფრო ახლოს მიიწევენ მეფის საწოლი ოთახისაკენ.

ყველა მოედანზე ქალები გამაყრუებელი ხმით მოუწოდებდნენ თბილისელებს:

— ეი, ხალხო! ხალხო! ღალატია! გვიშველეთ, გვხოცავენ.

მაგრამ ერთობ მაღალია მეტეხის გალავანი, მეტად შორს არიან თბილისელები. ხოლო ვინც გაიღვიძა და გაიგონა შორეული ყვირილი, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა: „მეტეხში კვლავ დღესასწაულია! მოსვენება არა გვაქვს!..“

და ანაზდად გაისმის ზურაბის ომახიანი ხმა, არაგველებს რომ მოუწოდებდა:

— ეი, არაგველებო, ყველა, ყველა ულმობლად ხოცეთ, როგორც ძაღლები!

შადიმანმა ხმალი იშიშვლა და კარისაკენ გაექანა, მაგრამ მეჩიბუხემ მოურიდებლად ჩაავლო ხელი და ფარული ნიშისაკენ გაიტაცა. მათ ძლივს მოასწრეს დამალვა, რომ კამაროვან დერეფანში გაოგნებული და „მიშველეს“ ძახილით გარბოდა ახალგაზრდა ქაჩიბაძე, თავზე რომ მეფის ხალათი დაეფარებინა. მას ხმალამოწვდილი და მხეცური ხარხარით მისდევდა ზურაბი.

შადიმანი განზე გახტა.

არაგველები, რომელთაც ანთებული ჩირაღდნები აღემართათ, უყურებდნენ, როგორც ნადირობაზე, და თავიანთ მსხვერპლს მისდევდნენ.

— ეი, გვირგვინი სად დაგეკარგა? — ზურაბმა კისერში დასტაცა ხელი ვითარცა მეფეს. — უფრო გაანათეთ, უფრო! დაე ისინი, ვისაც დღეს თავს გააგდებინებენ, ჯერ თავიანთი მეფის ცქერით დატკბნენ. დაე ნახონ, როგორ წმენდს თავისთვის მეტეხს ზურაბი! ეი, ანდუყაფარ, რატომ არ იცავ შენს საყვარელ მეფეს? ჰო-ჰო-ჰოო! შადიმან, ისწრაფე! შენი ჭკუიანი თავისათვის მე გულმოდგინედ გავლესე ხმალი! პავლე, ეს გოგრა შუბზე წამოაგე და შუაგულ ეზოში დაარჭე, დაე აღფრთოვანდნენ ჩემი სიმარჯვით.

ახიხინებული ქაჩიბაძე მტერს იგერიებდა და ცდილობდა რაღაც დაეძახა, მაგრამ ხმაური და ყიჟინა ახშობდა ახალგაზრდა თავადის ხმას. ზურაბი ეცა და მოგლიჯა თავზე მეფის ხალათი.

— ღმერთმა დასწყევლოს! სად მიჩქმალეთ სვიმონი? მხდალო, წინააღმდეგობასაც ბედავ! მოძებნეთ! — ზურაბმა ქაჩიბაძეს თავზე დაუტრიალა ხმალი. — შენ კი, რომ კვლავ არ წამოისხა სხვისი ტყავი!

მაგრამ ქაჩიბაძე უკვე კვამლივით გაქრა. ეიღაცამ დაიძახა:

— მეფე ფირანთან ერთად წავიდა! უდანაშაულოებს ნუ ღუპავ, ქალები შეიბრალე!

— რაო? უდანაშაულოებსო, ასჩეხე ყველა! ყველა რაზმელი! მეფე დამალეს? ჰა-ჰა! ვიპოვნით! მიწის ქვეშეთიდან გამოვათრევ! ანდუყაფარი სად არის? ეი, არაგველებო, მას ხელი არ ახლოთ! მე თვითონ გავაგდებინებ თავს! შადიმან! ეი,

შადიმან! შენ მგონი თავად ერისთავს არ ენდობოდი? ტყუილად! ნუ იმალები!..

თვითონ ფიცხდებოდა თავისი სიტყვებით და თავს უკვე თავადად კი არა, მეფედ გრძნობდა. გამხიარულდა, თითქოს თაკზე სამეფო გვირგვინი უბრწყინავსო. ოცნებით ფრთაშესხმული, ზევით ავარდა.

მეტეხი ისე გმინავდა, როგორც ომის ასპარეზზე დაჭრილი მეომარი. იხოცებოდნენ მეტეხის, ანდუყაფარის, შადიმანის დამცველები.

— ვინ მთხოვს შებრალებას? ზურაბ ერისთავი შებრალებას ვერ იცნობს. ამაო ვედრებაა! სიკვდილს ეზიზღება ისინი, ვინც სიცოცხლეს ებღაუქება!

სადღაც გაისმა გონებადაკარგული ანდუყაფარის ყვირილი. ირემივით გარბოდა იგი, რომელსაც გააფთრებული ზურაბი მისდევდა.

— სანამ ანდუყაფარს გაუსწორდებოდეს, ისარგებლე დროით, თავადო, — წასჩურჩულა მეჩიბუხემ და ხელი დაავლო ძვირფასეულობის კოლოფს.

საიდუმლო საძრომით შადიმანი და მეჩიბუხე შორეულ მოედანზე გავიდნენ.

აქ შადიმანს გაახსენდა დედოფალ მარიამის საიდუმლო ოთახის სამარაგო კარი, მან რომ დაუფიქრებლად ამოქოლა. მაგრამ შეიძლება სალოცავში შესვლა, იქ გულშარი... შემდეგ? რამდენიც არ ეცადა მაშინ სალოცავის საიდუმლოს შეტყობას, ყველაფერში დამთმობი მარიამი, მტკიცედ ეუბნებოდა: „მხოლოდ მომავალ დედოფალს გავუმხელ. სახარებაზე შეეფიცე“... სულ ახლოს გაისმა სულთმობრძავის გმინვა. შადიმანი სვეტს აეკრა. სათოფურებიან გალავანზე, მეტეხს რომ ერტყა გარს, გარბოდა ანდუყაფარი და საშინლად ქლოშინებდა, მას ეწეოდა ზურაბი და მისი ბრბო. ლიცლიცებდნენ ჩირაღდნების ენები.

ოდნავ წინწახრილი, ადევნებდა თვალს შადიმანი არშის მფლობელის დევნას. რაღაც დამამცირებელი იყო იმ კაცის

ხტომაში, რომელიც ამილახვრის გვარს ატარებდა, თანაც რაღაც მეტად სასაცილო, — იგი მოგაგონებდათ თოჯინას, თოკით რომ ამოძრავებენ. საგვარეულო ხმალი, დროშა, მამული, ოქრო-ვერცხლი, ლამაზი ცოლი — მეფის ქალიშვილი, — ყველაფერი არარად იქცა! დარჩა ერთი რამ — სირცხვილი! განა უფრო კეთილშობილური არ იქნებოდა, შებმოდა მტერს თუნდაც მარტო მთელი ხროვის წინააღმდეგ, მაგრამ, დაცემულიყო ბრძოლაში იარაღით ხელში? ხოლო თვით იგი, შადიმანი, არ გახდა „ასი საზრუნავისა“ და გაამაყებული ლიმონის მსხვერპლი?..

შადიმანი უკუდგა.

ჩირაღდნების შუქზე იელვა ხმალმა და წივილით გაკვეთა ჰაერი.

ანდუყაფარი წუთით გაკრთა სათოფურებში, დაბარბაცდა, ხმალი გადააგდო და ძირს გადავარდა. სადღაც გალავანს იქით გაისმა სულთმობრძავის კივილი.

ახარხარდნენ ქვის გოლიათები.

„ახლა რიგი ჩემზეა“, — ჩაიცინა შადიმანმა, როცა ბაღის მიყრუებულ კუთხეში შეეიდა. „ო გიორგი, შენ ნამდვილი მეგობარი ხარ! ყური არ ვათხოვე შენს გაფრთხილებას და მეტეხი საზიზღარ ნადირობად გადავაქციე! აი ვიღაც უკვე შემოვიდა ბაღში, აი უკვე სულ ახლოსაა შეძახილი! მე ხომ არ მეძებენ? არა, ჯერ შეამტვრევენ ჩემი სამყოფელის კარს. მაშასადამე, კიდევ მაქვს რამდენიმე წუთი. საჭიროა უკანასკნელ წუთამდე გავძლო, რომ შური ვიძიო. ხომ არ შეუმტვრევიათ უკვე? მაგრამ სად დავიმალო? თვითონ ამოვუქოლე მდაბიო სააკაძეს ყველა საიდუმლო გასასვლელი, ხოლო გავურბივარ თავადს — არ ვიცი კი, სად? ყველაფერი ამაოა! გაცოფებული ტურა ყველაფერს გადააბრუნებს მეტეხში, მისთვის მე ძლიერ საშიში ვარ, აქ მიპოვნის და... თავს ნუ მოიტყუებ, შადიმან, — გიპოვნის და თავს გაგაგდებინებს! შადიმანი შეკრთა, ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. — ო არა, თავადი შადიმანი ანდუყაფარს არ დაემსგავსება!..“

— აქეთ! აქეთ, თავადო, დიდი ხანია გელოდები!

შადიმანი ვერ ცნობდა ნაცნობ ხმას. თავლების მთავარი ზედამხედველი ბნელში გამოძვრა, მარჯვედ მოასხა ნაბადი და თავზე ჩაბალახი დახურა, მეჩიბუხეს კი მარტო ჩაბალახი, და ჩუმად წაიყვანა შუაგულ ბაღში. სადღაც გაკრთა ჩირაღდანი და გარკვევით მოისმა გინება. „ავაზაკები ბაღში შემოვიდნენ!“ — მიხვდა შადიმანი, მაგრამ მყის დაიჭრიალა დაქანგებულმა საკეტმა და... გაიღო კუტიკარი.

— გადარჩი, კეთილშობილო თავადო! ოცდაათი წელიწადია არ გამიღია — ვიცოდი, დადგებოდა ამ კუტიკარის ჟამი. აქედან დალმართია.

— ძვირფასო არჩილ, შენთან სამარადისო ვალში ვარ! — გულაჩუყებულმა წარმოთქვა შადიმანმა. — კიდევ ერთ სამსახურს გთხოვ: თუ შეგიძლია, გადაარჩინე უჭკუო კნეინა გულშარი!

— შენი გულისათვის, ბრწყინვალე თავადო, შევეცდები.

არჩილმა კუტიკარი მიხურა, აჭრიალდა შეუმჩნეველი საკეტი. რაღაც ტკივილით გახმიანდა გულში საბრალო ჭრიალი. შადიმანი არასოდეს არ დაბრუნდება მეტეხში. აღარასოდეს! წავიდა, წარსულს ჩაბარდა მეფე ლუარსაბის დრო... ცისფერი დროშის დრო... სისხლი... სისხლი!.. და შადიმანს მოეჩვენა, რომ გადაშლილია ბოლომდე მატიანე და დაიხურა რკინითშეკედილი ყდა.

— გვიშველეთ! გვიშველეთ! ხალხო! გვხოცავენ!

არჩილი გვერდითა ბილიკებით ფეხაკრეფით მიუახლოვდა უკანა შესასვლელს, რომლითაც მსახურნი სარგებლობდნენ. კედელ-კედელ მალვით მიაღწია გულშარის სამყოფელს. იქ გასაოცარი სიწყნარე იყო. ყველანი გაქცეულიყვნენ, თვით ერთგული მაბეზღარიც კი.

გულშარი? იგი იდგა, გულში ჩაეკრა ძვირფასეულობის კოლოფი და ლოცვებს ჩურჩულებდა. არჩილი რომ დაინახა. უფრო მაგრად ჩაიკრა გულში კოლოფი, თითქოს ბავშვს იცავსო.

— მალე, კნეინა, სიკვდილი კარს უკანაა! თავად შადიმანს შეეპირდი გადავარჩენ-მეთქი! წმიდა ნინოს გულისათვის, მალე!

გულშარის საშინელებით სავსე თვალებში იმედის შუქი გაკრთა. მაგრამ კვლავ ებღაუჭებოდა ძვირფასეულობას, რაც ახლა ერთი მუჭა მიწაც არ ღირდა.

— მოიცა, მარგალიტებით ამოქარგული კაბა მაინც წამოვიღო!

არჩილმა მაგრად ჩაბღუჯა გულშარის ხელი, დერეფანში გაიტაცა და გვერდით თაღიან კარში გავარდა. მიხვევ-მოხვევით გავიდნენ ისინი უკანა ეზოში, არჩილმა შინ შეირბინა, წალოში ასწია სასტუმრო ლოგინი, მოურიდებლად შეაგდო შიგ გულშარი და საბნები მიაყარა.

— ხმა არ გაიღო, კნეინა, თუ სიცოცხლე გიღირს!

ძლივს მოასწრო არჩილმა წალოს მოშორებოდა, რომ ოთახში შემოვარდნენ „ჭკუიანი“ არშელი და მისი ვაჟი. ისინი ვედრებით მიცვივდნენ არჩილთან: უკან ზურაბის ავაზაკები მოგვდევენო.

— აქ ვერ დაგტოვებთ, — სინანულით ამოიოხრა არჩილმა. — წამოდით, თავლაში დაგმალავთ ცხენებს შორის და, და როცა ზურაბი და მისი ხროვა დაიღლებიან ხალხის ხოცვით, მეტეხიდან გაგიყვანთ.

საიდუმლო კარიდან შერეკა ისინი მეფის თავლაში. და მაშინვე გაიგონა ფეხის ჩქარი ხმა. არჩილმა კარი გააღო და, ვითომც აქ არაფერიაო, ზღურბლზე დადგა და კარის წირთხლს მიეყრდნო. ჩირაღდანმა ბნელი გაანათა. გამოჩნდა ორი არაგველი, რომელიც ხრინწიანად იგინებოდა.

— აქ შემოვარდნენ ანდუყაფარის მონები, არ დაგინახავს, არჩილ?

— საიდან დავინახავდი, თუ თავლას არ ვშორდები?

— მერე რატომ არ შორდები?

— ცხენებს ვიცავ... ანდუყაფარის ნაბოლარებს შეუძლიათ შურისძიებით ცეცხლი წაუკიდონ თავლას, შეუძლიათ გაიყვანონ საუკეთესო ცხენები და გაიქცნენ.

— ყოჩაღ, არჩილ! თუმცა ყველა კარს ჩვენ ვიცავთ. ვერავინ გაგვეპარება. მაგრამ ცეცხლის წაკიდება შეუძლიათ მამაძაღლებს! მაგათი მიზეზით მთელ ღამეს არ გვძინავს და იარაღსაც ვაბინძურებთ! იცი, არჩილ? თითქმის არც ერთი

ავაზაკი არ დარჩენილა, ყველანი ბაყაყებივით გასრისესს! მაგრამ თუ ვინმე დაიმალა სულ ერთია ვიპოვნით!

— მერე ვინ დაიმალება, თქვენ კარგად გაჩხრიკეთ მეტეხი.

— მართალს ამბობ! მხოლოდ კუდიანი გულშარი ვერსად გვიპოვნია! ან დედლად გადაიქცა, ან ჭაკად! შენთან თავლაში ხომ არ არის, — ჰა, ჰა, ჰა! გამოტყდი, არჩილ.

— ჯიბო, მე თვითონ თილისმა ვარ, შემიძლია ჭაკი კვლავ ქალად ვაქციო, მხოლოდ სატევარს ამოვიღებ!

— ჰო, ჰო, ამოიღე!

— რატომ ართმევთ ანდუყაფარს სულის მომხსენიებელს. — არჩილმა გაიცინა და თითქოს სხვათა შორის თქვა:— მერე თქვენ ის რად გინდათ? ქართველი რაინდები ქალებს არასოდეს არ ხოცავენ.

არჩილის სიმშვიდემ რამდენადმე გამოაფხიზლა შეცბუნებული არაგველები. ცოტა ხანს იტრიალეს და შემდეგ ბაღში გავიდნენ გულშარის საძებნელად. გულში აღარ ამართლებდნენ ზურაბს, რომელსაც სურდა საკუთარი ხელით დაეჭრა კნეინასათვის ყურები, ცხვირი და თავი გაეპარსა. „რად უნდა დამახინჯდეს ლამაზი ქალი? რა ვუყოთ, რომ ავია? — ამბობდა ერთი და ალმაცერად უცქეროდა გაჯავრებულ ამხანაგს. — ყველა ავი რომ დავამახინჯოთ, ამ ქვეყნად ლამაზი აღარ დარჩება“. — „უნდა ვეცადოთ, რომ არ ვიპოვნოთ უბედური, — გადაწყვიტა მეორემ. — ყველა ავი რომ დავხოცოთ, დედამიწაზე ქალი აღარ დარჩება... მერე თვალი როგორ გავუსწოროთ პატიოსან არჩილს?..“

ღამე ილევა, ცის კიდური აღმოსავლეთით განათდა, მაგრამ არაგველები არ ცხრებოდნენ. მეფის სასახლე გადმობრუნებულ ზანდუკს ჰგავდა. კაცს აბრუებდა სისხლის მწკლარტე სუნი. ეს არც მკვლელობა იყო, ეს იყო ხოცვა, ჟლეტა. ყველგან საშინელი სანახაობა: მოკლულები იქვე ეყარნენ, სადაც მკვლელებს მიესწროთ — ეზოებში, ბაღში, აივნებზე, დარბაზებში, თაღოვან დერეფნებში, კიბეებსა და მოედნებზე. არაგველები თითქმის არ დაზარალებულან: რამდენიმე მოკლული და ორმოცდაათამდე დაჭრილი. მაგრამ მეტეხი!..

ჯიბო ბუზღუნებდა: „კიდევ კარგი, რომ მძინართ დაესხნენ თავს, იმათ ძლივს მოასწრეს იარაღის აღება და მაშინაც გაცოფებულივით იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, სიცოცხლეს იცავდნენ!“

ზურაბი ბობოქრობდა: „განა ანდუყაფარმა გამოისყიდა ყველას ცოდვა? სად არის სიმონი? სად არის შადიმანი? გაიპარა საშინელი მტერი. შადიმანი შურს იძიებს — და სასტიკადაც. ზურაბი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ შადიმანის გაშვებით მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა თავისთავს. — მაგრამ... შორს ნაღვლიანი ფიქრები! ორბი დამარცხებულია! მე, არაგვის ერისთავმა, ტახტის გზა გავიკაფე! მეფე სვიმონი? შეუძლია აგრეთვე თავი მკვდრად მიიჩნიოს! შემდეგ — რა თქმა უნდა; არა ერთბაშად! — დაიწყება ზეიმი! ვისი? ჯერ თეიმურაზისა, მერე ჩემი, ზურაბ ერისთავისა. ეს არის სისხლიანი ღამის აზრი! ზეიმი! თუ... წყევა და კრულვა, არავითარი თუ! საკაძე უნდა დაიღუპოს! თორემ არ მოხერხდება!“

ირიჟრაჟა. მთვრალნი სისხლითა და ღვინით, სარდაფებში რომ იპოვნეს, მიწყნარდნენ ღამის ბრძოლაში გამარჯვებულნი...

გულშარის სამყოფლოში ფანჯრის რაფაზე შეხტა რუხი კატა და თათით ბუზებს იჭერდა.

ციხე-დარბაზში სიწყნარეა. არჩილმა ეზოებს შემოუარა, — ყველა კარი მაგრად ჩაკეტილია, ახლოს დგანან ძილღვიძარი არაგველი მცველები. „არა, ჭიშკარში ვერ გავალთ. რა ვქნა? ორი საათიც არ გაივლის, რომ ზურაბი კვლავ დაუწყებს ძებნას შადიმანსა და კნეინას. დღისით უფრო ადვილია პოვნა... ის ორიც მენანება. პაპუნა უფროსი იმიტომ უყვარდა, რომ ჭკუიანია“.

თავის ეზოში რომ დაბრუნდა, არჩილმა ორი რაზმელი საიდუმლო კარით თავის ოთახში შეიყვანა. არჩილი განცვიფრებული დარჩა, როცა გულშარი სამალავში მძინარი ნახა. „რა მასალისაგანაა შექმნილი?!“ პირი დაეღო და ღრმად, მაგრამ თანაბრად სუნთქავდა. გრძელ წამწამებს ცისფერი ჩრდილი დაეყენებინათ და გამჭვირვალე მარმაშში ოქროვან-ვარდისფერი მკერდი გამოსჭვიოდა. არჩილმა უნებურად მოხუჭა

თვალი: „როგორ შეიძლება ერთად მოთავსდეს სილამაზე და სიმახინჯე!“ გულშარი გააღვიძა და განუცხადა, მეტეხი ახლავე უნდა დასტოვოო.

გულშარი ჩვეულებრივ გაჯავრდა: განა საჯინიბოს ზედამხედველმა არ იცის ვინა ვარო? იქნებ ჰგონია, ქვეითად ვანველო მეტეხის კარი? არა, ანდუყაფარს უნდა დავუცადო!

არშელი რაზმელები აშკარა ზიზღით უცქერდნენ კნეინას, რომელსაც არაფერი არ გაეგებოდა. კარგი იქნება ბედისამარა მიატოვონ! მაგრამ არჩილმა გააფრთხილა ისინი: გადარჩებით მხოლოდ, თუ არშის ციხეში გაიქცევით და თან წაიყვანთ კნეინას. ამიტომ მათ უხმოდ საჩქაროდ დალიეს თითო თასი ღვინო. არჩილმა ხურჯინში ჩაუდო შოთები და ერთი დოქი ღვინო. არჩილი გულშარსაც შეეპატიჟა დანაყრდიო, მაგრამ მან აზიზღებით თქვა უარი და ერთხელ კიდევ განაცხადა: მეტეხიდან მხოლოდ ცხენით გავალ და თავადი ანდუყაფარი შეძლებს უზრდელები დასაჯოსო.

— კნეინა, ვხედავ, რომ ვინდა დაღუპო არა მარტო შენი თავი, არამედ ეს ორიც... სიტყვას ნუ მაწყვეტინებ! — უეცრად აიმაღლა ხმა არჩილმა. — აქამდე გიბრალებდი, ახლა კი იცოდე მკაცრი სინამდვილე: მუცლით უნდა გახოხდე იქ, სადაც გიჩვენებ! შენი დამცველი არავინაა: ყველა შენი რაზმელი დახოცილია. თავადმა ანდუყაფარმა ამჯობინა გალავნიდან მტკვარში გადავარდნილიყო. მეფის მთელი ამალა დაიღუპა... — არჩილმა თხრობა შეწყვიტა.

გულშარმა ხელები გაასავსავა და გონება დაკარგა.

— წაიყვანეთ ეგ და წადით! — უბრძანა არჩილმა, — სადაცაა გათენდება. ყური მიგდეთ: წაიყვანეთ იგი ლელვის ხეობაში, — იქ, მეორე მხარეზე ცხოვრობს მეფუტკრე, ვარდან ბრძენის მამა. უთხარით: თავადმა შადიმანმა მოგანდო ჩვენი დამალვა-თქო. დღისით სახლიდან ნუ გახვალთ, ღამით ნუ დაიძინებთ. როცა მშვიდობა ჩამოვარდება, ვარდანის ვაჟი საჭ ცხენს მოიყვანს და საჭმელს მოიტანს. დაე კნეინამ გადაიხადოს.

არჩილმა გულშარი ნაბადში გახვია, ხელში კოლოფი მის-

ცა და რაზმელები ტვირთიანად ფარული კუტკარისაკენ წაიყვანა.

მალე ისინი ქვემოციხის უდაბური ქუჩით ხევისაკენ მიდიოდნენ. არჩილმა შვებით ამოისუნთქა, შინ შევიდა, კარი ჩაკეტა და ტახტზე წამოგორდა.

ფირან ამილახვრის ციხე-დარბაზი

ეძინა თუ არა ზურაბ ერისთავს სისხლიან ღამის თარეშის შემდეგ? არა, თავადი იჩქაროდა და, ირიჟრაჟა თუ არა, ის და ხუთასი არაგველი რჩეულ ცხენებზე შესხდნენ და სხვილოსის ციხისაკენ გაემართნენ.

თუმცა მეტეხი ცამეტი სირიელი მამის უდაბნოს მოგვაგონებდა, მაგრამ ზურაბმა ბრძანება გასცა: ორასი რაზმელი დარჩეს; განაგრძოს ცოცხლად გადარჩენილთა ძებნა, არავინ, მოსამსახურენიც კი, ორ დღეს ციხე-დარბაზიდან არ გაუშვანო. დანარჩენი არაგველები თბილისის კარებთან განლაგდნენ.

მიხამ ყველგან ერთგული მცველები დააყენა, რომ ფირან ამილახვრის ციხე-დარბაზიდან არავინ გაპარულიყო და თავისი ბატონის დასაწევნად გაეშურა.

ამაო იყო შიში. თბილისელებმა სრულიად არაფერი არ იცოდნენ. შადიმანი? მაგრამ იგი სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიაჭენებდა ცხენს და ცდილობდა მალე მისულიყო საკუთარ ციხე-დარბაზში... რა თქმა უნდა, მას მხოლოდ მარაბდაში შეეძლო თავი უშიშრად ეგრძნო.

„რა უცნაურია, — ფიქრობდა შადიმანი და წამდაუწუმ იქნევდა მათრახს, — რატომ ვერ მოისაზრა ტორამ, რომელიც ესოდინ ნაკადია ვერაგობასა და გამცემლობაში, მდევარი დაედევნებინა ჩემთვის?“

„რა უცნაურია, — ფიქრობდა რამდენიმე დღის შემდეგ საკაძე, — რატომ ვერ მოისაზრა შადიმანმა. რომელიც ცბიერებაში ესოდენ გამოცდილი კარისკაცია, სწრაფი ცხენით იმ წამსვე გაეგზავნა ვარდანი სხვილოსის ციხეში... რა მოხდებო-

და? ჩასული ზურაბი, ფირანის თანხლებით, მეფის სამყოფლოში შეეიდოდა ვითომ მისასალმებლად, და მოხვდებოდა რაზმელებით სავსე ხაფანგში, სადაც ძლიერ წყნარად თეიმურაზის მომხრე თავადების შეუტყობინებლად, თავს მოკვეთდა ფირანის ჯალათი. და... სვიმონი, თავადების თანხლებით, თბილისს დაბრუნდებოდა, რათა ემეფნა თავის გემოზე, ესე იგი, ემასხარავნა. შადიმანი? ისიც დაბრუნდებოდა სასახლეში, სადაც უშრეტი ენერგიით კვლავ დაიწყებდა თავადთა წოდების გაბზარული დოქის შეკეთებას. და მაშინ მეც, გიორგი სააკაძეს, მომიხდებოდა დაბრუნება, რადგან... უზრდელობა იქნებოდა მეფე თეიმურაზს არ შევხვედროდი თბილისის გალავანთან და მის ფერხთა წინაშე არ დამეგდო არა სვიმონ მეფის, არამედ თავად ზურაბ ერისთავის თავი. და იქვე, თბილისში არ შემეშვა მოშაირე და გამომეცხადებინა, რომ კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი ჩამოგდებულია ქართლის ტახტიდან... რადგან არც ხალხს, არც შადიმანს და არც მე იგი არ გვესაჭიროება. გამოდის, ვცნობდით სვიმონს? არა! სვიმონიც თავის დროზე ჩამოგდებულ იქნებოდა მაღალი ტახტიდან და განიდევნებოდა არშის ციხეში თავის კეთილ დასთან — გულშართან. შემდეგ? შემდეგ, როგორც დიდი ხანია გადავწყვიტე: იმერელი ალექსანდრე — მეფე ქართლ-კახეთ-იმერეთისა. და“...

„რა უცნაურია, — ერთი დღის შემდეგ ფიქრობდნენ თავადები, — რატომ ეპვი არ აღგვიძრა არაგველი ტურის მოულოდნელმა მოსვლამ, და უფრო მეტად მისმა ნაძალადევმა თავაზიანობამ მეფე სვიმონისადმი? ჩვენ, ქართლის თავადები, არასოდეს არ დავუშვებდით... რას არ დავუშვებდით? მეფე თეიმურაზის შესვლას თბილისში? არა, არა ამას, რადგან ჩვენ ყველანი მეფე თეიმურაზის მომხრენი ვართ. სვიმონი, აი ვინ უშლის ხელს ყველა გიგმას! მაგრამ განა ცუდი იქნებოდა ფირანის ციხე-დარბაზში დაგვემწყვდია იგი და შემდეგ წყნარად, პატივით და სიყვარულის გამოცხადებით მიგვეცილებინა ირანის საზღვრამდე? შაჰ აბასი გაითვალისწინებდა ჩვენს კეთილშობილურ საქციელს. და იმ შემთხვევაში... თუმცა, არა გვგონია, სააკაძე ქართლში შემოუშვებდეს შაჰის ურდოებს,

მაგრამ... უდავოა, უფრო გონივრული იქნება არ გაეაღიზიანოთ შაჰი, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს. დრო წყალზე უფრო მადუღარია, წყალი კი სისხლზე უფრო ძვირფასია...“

ზურაბი აუჩქარებლად მიდიოდა, როგორც მონადირე, რომელიც გრძნობდა, რომ მსხვერპლი უკვე გამომწყვდეულია და აჩქარება საჭირო არაა. თავს საუცხოოდ გრძნობდა, როგორც კარგად გატარებული დღესასწაულის შემდეგ.

მაგრამ მიხა უნდობლად ათვალიერებდა გზას და მზვერავებს გზავნიდა სხვადასხვა მხარეს, ჩასაფრებული ხომ არსად არიანო. არა, ყველაფერი მშვიდობით იყო. სადღაც მთაში ურემი ჭრიალებდა და მოისმოდა მელოდიური ურმული. ფერდობზე მწყემსი ცხვრებს აძოვებდა. კენჭებს მიაგორებდა და ჩხრიალებდა ნაკადული, როგორც გუშინ და როგორც ხვალ იჩხრიალებს. და მზესაც არ დაუგვიანებია მთებიდან გადმოხედვა.

ციცაბო კალთები დაფარული იყო ყაყაჩოებით. გზამ გაუხვია მარჯვნივ, მთებისაკენ, რომლებიც აქა-იქ დაფარული იყო თხელი ტყით. მოჩანდა ქართლის ველები, რომლებსაც მთები სერავდნენ. ძირს, მომწვანო კვამლში მოჩანდა სოფელი ქვემო ჭალა. სიწყნარე ავსებდა დაბლობს და დაჭიმულ სიმივით წკრიალებდა. ზურაბმა კმაყოფილი თვალი მოავლო ცას: „დღე! გასული ღამე კი ჩემი მტრების ნამდვილი, ცხელი სისხლით შეიღება... რომელი მტრების? შადიმანი, გულშარი, მეფე სვიმონი კი სად არიან? მათი დროც მოვა!“ ზურაბს გაახსენდა ანდუყაფარის გიჟური ბორიალი სათოფურებიან გალავანზე და გადაიხარხარა. და კვლავ ათრობდა გამარჯვების სიხარული და მიღწეული დიდების ახალი ძალა თითქოს ფრთებს ასხამდა. ზურაბმა ცხენი შეაჩერა და მუზარადზე შეისწორა მოოქროვილი ისარი, ხელი დინჯად დაიდო საგვარეულო ხმლის ვადაზე.

წინ მოჩანდა მრისხანე სხვილოსის ციხე, მიუვალი ოთხკუთხა კოშკი რომ წამოეწია, როგორც მოწინავე მებრძოლი. ქვიტკირის გალავანში, კოშკებს შორის მოჩანდა ციხე-დარბაზი

და ეკლესია. ჯვარს თავს დაფრიალებდა ფირან ამილახვრის დროშა: მუქმიხაკისფერ არეზე ღიარუხი ჯვირანი ამაყად უცქერდა გადაჯვარედინებულ ოქროს ისარსა და ვერცხლის შუბს.

ზურაბმა ანიშნა, ახოვანმა არაგველმა უზანგებზე წამოიწია და დაუკრა არაგული საყვირი, მომწოდებლურად, ნაზად. მოწინავე კოშკის მოედნიდან მაშინვე გამოეხმაურა მფლობელის საყვირი, სიხარულით, მეგობრულად. გუშაგები სწრაფად აღებდნენ ალაყაფს, ორ მწკრივად ეწყობოდნენ.

ციხე-დარბაზში დიდი ამბით შეხვედრამ ზურაბი დაარწმუნა, რომ ფირანმა და თავადებმა სრულიად არაფერი არ იციან. ხვალ ნადირობაა? გამოდის, რომ დროზე მოსულა! მაშ დღეს არის თავადთა შეხვედრის დღესასწაული.

ზურაბი გაჯავრებული იყო, რომ არა თუ მუხრანბატონები, არამედ არც ქსნის ერისთავები და არც ლიპარიტი არ მოსულან და გესლიანად დასცინოდა მათს უპატივცემლობას მეფისადმი, თვითონ კი სულ უფრო აკვირვებდა ყველას მეტისმეტი პატივისცემით, აღტაცებული იყო მისი ბედნიერი მეფობით და განუწყვეტლივ სვამდა მეფის სადღეგრძელოს.

სვიმონ მეორე აღტაცებული იყო, ცდილობდა სიტყვა-მოსწრებული ყოფილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

თავადები, ზურაბის დაჟინებით, სვამდნენ დიდ თასებს, უზარმაზარ ყანწებს.

ზოგჯერ ცოცხშვილი მოაგონებდა ხოლმე ხვალინდელ ნადირობას, მაგრამ ზურაბი არწმუნებდა, ღვინო მხოლოდ მეფის მტერს ავნებსო. და თავადები გაკვირვებული უცქეროდნენ ტურას! ნუთუ სულ უარი თქვა თეიმურაზზე? ზოგჯერ უფროსი ქაჩიბაძე გაიხსენებდა ხოლმე შაირს, ესოდენ რომ ამშვენებს ლხინს, და განგებ ნანობდა, მოშაირე არა ვარო. მაგრამ მალე ყველაზე გამძლენიც კი აღარაფერს არ მოაგონებდნენ.

თავდაპირველად ნაამები ფირანი დიდ ყურადღებას აქცევდა არაგვის ერისთავს. მაგრამ ოიცრად ქ

ილუღლუღა. თასიც კი ვეღარ მიიტანა ტუჩთან, აშკარად ცუდად იყო, და ქველი წერეთელმა თითქოს უხალისოდ წამოაყენა მეგობარი და გარეთ გაათრია.

მეფე სვიმონი მთლად მოითენთა კმაყოფილებით. ოქროს თასი სარკის მაგიერობას უწევდა, შიგ იხედებოდა და ტკბებოდა საკუთარი თავის ცქერით, თან ზურაბს არწმუნებდა: მეტეხში პირველ კარისკაცს გაგხდი და ქართლის მთავარ მხედართმთავრობას მოგანიჭებო.

ნაშუაღამევი იქნებოდა, რომ სტუმართა უმეტესობა ძალზე მთვრალი იყო. ზურაბი კი სულ აძალებდა ღვინოს და გულში წყევლიდა მათს გამძლეობას. არანაკლები გულისწყრომით იხსენიებდა თავის მტრებს — მუხრანბატონებს, ქსნის ერისთავებს, ლიპარიტსა და სხვებს, და ოცნებობდა ხმლით ამოეყარა მათი გულისჯავრი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ზურაბს ფიქრადაც არ მოუვა არა თუ ხელყოს აქ დამსწრე თავადთა სიცოცხლე, არამედ რითიმეც კი შეურაცხყოს, რადგან ყველა ისინი თეიმურაზის — მაშასადამე, ზურაბის მომხრენი არიან.

ფირანი კი? მისი ბედი გადაწყვეტილია! რაკი ანდუყაფარი გაუსხლტა არაგვის ერისთავის მახვილს, მისმა ძმამ უნდა ზღოს... ზურაბმა დარბაზი ჩამოათვალიერა: გაუგებარია, რატომ ციხე-დარბაზის პატრონი არ ჩანს? შეშფოთებულმა, შეუმჩნევლად მიიხმო მიხა და ხელუკუღმა მიაწოდა საესე ყანწი.

მსახურმა მადლობა გადაუხადა, ღვინო მოსვა და ხმამაღლა უთხრა:

— მხიარულება ნუ მოგკლებია, ჩემო ბატონო! — და სულ წყნარად: ნუ წუხარ, ბრწყინვალე თავადო: ფირანი და ქველი ხელიხელგადახვეული ბორძიკით შევიდნენ ბაღში.

— გაგზავნე არაგველები, თვალყური ადევნონ მათ.

მიხას არ უნდოდა ტყუილ-უბრალოდ აეღელვებინა თავისი ბატონი და ამიტომ დაუმალა, რომ ფირანმა უეცრად დააყენა მცველები და უბრძანა: თავადების, მით უმეტეს არაგვის ერისთავის, არც ერთი რაზმელი ბაღში არ შემოუშვათო.

ქველი წერეთელი სინამდვილეს ვერ ხვდებოდა, მაგრამ მაინც მეტად საეჭვოდ ეჩვენებოდა, რომ ჩვეულებრივად

დაღვრემილი ზურაბი უეცრად მხიარული გახდა, აშკარად ცდილობდა დაეთრო თავადები, თვითონ კი ცბიერულად ოდნავ აკარებდა პირს ყანწს. ქველიც აღარ სვამდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს უგრძნობლად მთვრალი ვარო. არა, მას როდი მოჩვენებია: ზურაბმა მართლა მოილოკა ტუჩები და ფირანს მიაშტერდა. ქველს უნებურად გააჟრჟოლა: ხმალი ქამარზე ავბედითად უბრწყინავდა ზურაბს. რატომ ყველა თავადი უიარაღოა? გადაწყვეტილება უეცრად დადგა.

როცა ბაღში შევიდნენ, ქველმა უეცრად გაანება თავი მომთვრალებას, აგრეთვე ფირანმა.

— ფირან. რა იქნა შენი სიფრთხილე? იმის ნაცვლად, რომ მეფეს ეფერებოდე, უმჯობესია მაცნე აფრინო მეტეხში და გაიგო, რატომ არ მოვიდა ანდუყაფარი. შენმა ძმამ ხომ მტკიცედ გადაწყვიტა გწვეოდა. და შემდეგ, — ქველმა შიშით მიმოიხედა, — გუშაგები დააყენე, რომ არაგველები ბაღში არ შემოვიდნენ.

ფირანმა თუმცა ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა, მაინც შეშფოთდა. რამდენიმე წამსაც არ გაუვლია, რომ ორმა რაზმელმა კუტკარში, ფათალოს რომ დაეფარა, აღვირით გაიყვანა ცხენები და სხვადასხვა გზით გაუტია თბილისისაკენ.

ფირანს სურდა სალხინო დარბაზში დაბრუნებულიყო. მაგრამ იქიდან მოისმა გააფთრებული ყვირილი: „გვიშველეთ, ღალატია! ო-ო-ო!“ გაფითრებულმა ქველმა ხელში ხელი ჩაავლო ფირანს და წასჩურჩულა:

— გესმის?.. ზურაბი მთვრალ თავადებს ხოცავს! გესმის! მეფე მაშველს ეძახის!

— სამალავში! ჩქარა! — შიშით გაოგნებულმა წამოიძახა ფირანმა.

ისინი ქვიტკირის კედელს ეცნენ. ფილამ გადაიწია და მყის მიიმალნენ.

— როგორ? — ჯავრობდა ზურაბი. — მიუხედავად ჩემი ერთგულებისა, ეჭვით შეურაცხმყოფ?

— მაგრამ მე არაფერი მითქვამს, — შეშინებული ბლუკუნებდა მეფე, ოქროს თასი ხელიდან გაუვარდა და ღვინო ფარ-

ჩის სამოსს დაეღვარა, — მე მხოლოდ გკითხე,— შენი მეუღლე — მშვენიერი დარეჯანი როგორ არის-მეთქი.

გალეშილი თავადები ცდილობდნენ დავაში ჩარეულიყვნენ, მაგრამ ზეზე ადგომასაც კი ვერ ახერხებდნენ.

— ჰეი, არაგველებო! — დაიღრიალა ზურაბმა.

კარები ხმაურით გაიღო და ხმლების ქნევით შემოცვივდნენ არაგველები, მაგრამ წინასწარვე ჰქონდათ მიღებული ზურაბის ბრძანება და ორ წრედ შემოერტყნენ გარს თავადებს. განსაკუთრებით იმათ, ვინც გამოფხიზლდა და ლამობდა დახმარება გაეწია მეფისათვის. სახტად დარჩენილმა თავადებმა არ იცოდნენ რა ექნათ, რადგან უკლებლივ ყველა უიარაღო აღმოჩნდა.

სვიმონის მცველები ცდილობდნენ დახმარებოდნენ მეფეს, მაგრამ ცხარე ბრძოლაში დაიხოცნენ. ზურაბის გასააფთრებლად მოკლეს მისი ხუთი არაგველი და ოცდახუთი დაჭრეს. ფირანის რაზმელები შეეცადნენ დარბაზში შეჭრილიყვნენ, მაგრამ არაგველებმა დაიკავეს ყველა შესასვლელი, სადაც ფირანის კაცებს ებრძოდნენ, ხოლო თავადთა დანარჩენ რაზმელებს კარებიდან ერეკებოდნენ და არწმუნებდნენ: თქვენ ბატონებს არავითარი საფრთხე არ მოელით და ლხინი გაგრძელდება, რადგან ღირსეულ ზურაბს მეგობრული ურთიერთობა აქვს ზემო, შუა და ქვემო ქართლის ყველა თავადთანო.

სალხინო დარბაზი სასაკლაოდ გადაიქცა.

სვიმონ მეფე მოულოდნელი სისწრაფით დარბოდა დარბაზში და დახმარებას ითხოვდა, ხმალამოწვდილი ზურაბი კი დასდევდა და თან ჩახლეჩილი ხმით აყრიდა წყევა-კრულვას.

ვერაფერი ვერ აკავებდა ზურაბს: ვერც თავადები, ამაოდ რომ ცდილობდნენ გაერღვიათ არაგველთა რკალი, ვერც ღვინოს შერეული სისხლის ტბორები. კარებთან ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. და როცა ჯავახიშვილის რაზმელებმა, თავისი თავადის მოწოდებით, არაგველები უკუაგდეს და დარბაზში შეიჭრნენ, არაგველთა ახალმა ჯგუფმა მოუსწრო და კვლავ გაჩაღდა მხეცური ჩეხა.

სვიმონი განუწყვეტლივ უხმობდა მაშველს, თავს ახტებოდა სავარძლებსა და სკამებს, გვერდის კარამდე მივიდა, გააღო

და კინაღამ დაჭრილებს გადააწყდა. აქ არაგველები მიხას მეთაურობით თავს დაეცნენ მეფეს, იგი სხვა კარისაკენ გაექანა

ბოლოს, დარბაზში შეიჭრა რამდენიმე რაზმელი, რომლებმაც იარაღი შეიტანეს და ისწრაფვოდნენ დაერიგებინათ თავადებისათვის. კვლავ ატყდა ჩეხა-ჟლეტა. ზურაბი დორბლს ყრიდა, თვალები დასისხლიანებოდა, უკუაგდო ჯავახიშვილი, გზას რომ უღობავდა, და მეფეს მისწვდა.

სვიმონი მობრუნდა... გაიელვა ზურაბის ხმალმა და თავი გაგორდა... თავმოკვეთილი ერთ წამს კიდევ მაგრად იდგა ფეხზე და... დოქებისა და ლარნაკების ნამსხვრევებს დაენარცხა.

და მყის აღშფოთებულმა ყვირილმა გააყრუა დარბაზი. ფეხქვეშ გათელილია თავადთა ღირსება! შურისგება!

ზურაბმა დამშვიდებით მოაშორა სისხლი ხმალს:

— ფირანმა თავაზიანად მომიწვია სანადიროდ, — რა გაეწყობა, ყოველი კაცი თავის გემოზე ირჩევს ნადირს.

მაგრამ მაშინვე შეაფასა მდგომარეობა: არა, მას არ სურს ქართლელ თავადებთან ჩხუბი; მოკვეთილ თავს გადააბიჯა და შემრიგებლური ხმით წარმოთქვა:

— რა გაწუხებთ, თავადებო? თეიმურაზი ხომ თბილისს უახლოვდება. განა ჩვენი მოვალეობა არ იყო გზა გაგვეწმინდა „ღვთის სწორისათვის“ და მოგვესპო სულელი, რომელიც არავის არ ესაჭიროება! ან იქნებ ამჯობინებდეთ შინაბრძოლაში დაკარგოთ საუკეთესო რაზმელები და თქვენც წამეჩხუბოთ, არავინ იცის რისთვის? ვინ არის აქ მეფე თეიმურაზის წინააღმდეგი?

— არავინ! — წამოიძახა ციციშვილმა. — ვაშა მეფე თეიმურაზს!

და ბევრმა გაიმეორა:

— ვაშა! ვაშა!

— თუ აგრეა, წადით თქვენ-თქვენს ციხე-დარბაზებში და ემზადეთ შეხვედრისათვის.

— მერე მეტეხი? ნუთუ შადიმანი გულხელდაკრეფილი ზის?

—არ ვიცი, ვის ნათლავს ახლა თავის მარაბდაში გაქცეული

შადიმანი, მაგრამ ჩემ მიერ დევნილი ანდუყაფარი კლდიდან გადაეარდა მტკვარში და ხელს ვეღარასოდეს აღძართავს ალაჰისათვის ლოცვის აღსავლენად.

ბევრის-მნახველი თავადები შიშით უცქერდნენ ზურაბს. მიხვდნენ, რაც მომხდარიყო.

სვიმონ მეფე კი ეგდო, ტანსაცმელი ღვინითა და სისხლით ჰქონდა მოსვრილი, და, როგორც სიცოცხლეში, ყურადღებას არავინ აქცევდა.

ზურაბი კვლავ ზეიმობდა — აქაც გაიმარჯვა თავადებზე — და უკვე მბრძანებლურად წამოიძახა:

— წავიდეთ, თავადებო!

— ფირანი სად არის? — მკვახედ იკითხა მოხუცმა ფალავანდიშვილმა. — ჩვენ მისი სტუმრები ვართ.

— მეც მინდა ვნახო ანდუყაფარის ძმა, ის ძლიერ ესაჭიროება ჩემს ჯერ კიდევ დაუბლაგვებელ ხმალს!

ზურაბმა გადაიხარხარა, მაგრამ არავინ არ აჰყოლია.

არაგველები ჯიბოს ჩამოეფარნენ, მან გაიღრიჯა, სვიმონის თავი ჩაბალახში ჩააგდო და ოქრომკედშემოვლებული ფოჩებით გაკვანძა.

— თავადო ერისთავო, — ცივად უთხრა ციციშვილმა. — ჩვენ შენი ხელქვეითები არა ვართ. ფირანი მუდამ პატიოსანი თავადი იყო და ნებას არ მოგცემთ დანაშაული ჩაიდინო. შენ აქედან პირველი წახვალ!

— და თუ არ წავედი?

— მთელ სიცოცხლეში ინანებ!

— თუ კიდევ ცოცხალი დარჩი! — დასძინა უფროსმა ქაჩიბაძემ. და მერე უეცრად შეშფოთდა: — თავადო ზურაბ, სად არის ჩემი შვილი?!

— შვილი? შიშით გადარჩა იოლად. ახლა იმაზე როდია ლაპარაკი... წმიდა ეკლესია მეფე თეიმურაზს ელოდება, თქვენ კი, ჩანს, წინააღმდეგი ხართ?! — ზურაბმა მიმოიხედა და დაიღრიალა: — ყველა რაზმელი გარეთ!

რაზმელები უნებურად დაემორჩილნენ მკაცრ ბრძანებას და კარისაკენ წავიდნენ, და როცა არაგველებმა დარჩენა დაპირეს, ზურაბმა იმათაც უბრძანა, მიხას გარდა, გადითო.

— ახლა მოვილაპარაკოთ! იცით, თავადებო, მე შემიძ-
ლია...

— არაფერი არ შეგიძლია, — ზიზღით მიახალა ფალავან-
დიშვილმა. — ჩვენ უიარაღოდაც შენზე ძლიერი ვართ, კვლა-
ვაც რომ დაუძახო თავზეხელაღებულთ.

— მაშასადამე, მეფე თეიმურაზის წინააღმდეგი ხართ?

— შენ „ღვთის სწორს“ ნუ ეძრები. ჩვენ ყველანი დიდი
სიხარულით შევეგებებით ჩვენს მეფეს, მაგრამ ნებას არ მივ-
ცემთ ზურაბ ერისთავს ხმლით სდევნოს თავადები. ჩვენ სვი-
მონ მეფე არა ვართ და ეს დარბაზიც ქართლი არ არის.

ზურაბი მკაცრ ფალავანდიშვილს უბღვერდა. არა, დრო არ
არის ავიმხედრო ყველაზე გავლენიანი თავადები. მაგრამ
პირველობას ხომ ვერ დავთმობ? და ბრაზიანად წამოიძახა:

— მე თქვენთან ჩხუბი არ მინდა, მაგრამ უნდა მოვსპო
მეფე თეიმურაზის აშკარა მტრები. გაბორტებული ფირანი
შურისძიებას დაიწყებს ძმისათვის.

— ვის წინააღმდეგ? მეფის წინააღმდეგ? განა მეფის ბრძა-
ნებით მოაწყე მეტეხის ჟლეტა?

— შენ თითქმის მიხვდი, ციციშვილო... მეფე თეიმურაზმა
ინება...

ზურაბმა ენა წაიკვნიტა: ფიქრები აუფორიაქდა. „ერთიც
ვნახოთ, თავადებმა შეიტყეს, სვიმონ მეფე თეიმურაზის თან-
ხმობით მოუკლავსო, თავიანთი ტყავისა შეეშინდეთ, ციხე-
დარბაზებში ჩაიკეტონ და მეფეს არ დაემორჩილონ, მაშინ
ხომ თეიმურაზს ქართლის დაპყრობა მოუხდება? მერე განა
საკაძე თავადებს არ მიემხრობა?“

ზურაბმა ღრჭიალით ჩააგო ხმალი.

— თავადებო, თქვენს სიბრმავეს არ მოველოდი! განა
თქვენ არ ოცნებობდით უპკუო სვიმონისაგან განთავისუფ-
ლებაზე?

— განთავისუფლებაზე? ბრწყინვალე თავადთა თვალწინ
გაბედე შენ გამცემლურად მოგეკვეთა თავი მეფისათვის! მისი
გასამართლების, ტახტიდან ჩამოგდებისა თუ სიკვდილით დას-
ჯის უფლება აქვს მთელი თავადების წოდებას. იყო ხოლმე
შემთხვევა, რომ ერთი მეფე მეორეს თვალებს დასთხრიდა ან

თავს მოკვეთდა და თავადთა დახმარებით ტახტს მიიტაცებდა, მაგრამ ასეთი სამარცხვინო რამ ჩვენ არ გვახსოვს. ჩამოურეცხელ ლაქად დააჩნდება შენს დროშას ეს სირცხვილი!

— თანახმა ვარ! მეფე თეიმურაზისათვის ამაზე მეტის ჩადენაც შემიძლია! ჰეი, არაგველებო, — დაიძახა ზურაბმა. — შეკაზმეთ ცხენები! მიხა, უბრძანე შუბზე წამოაგონ სვიმონის თავი და ჩემი ცხენის უკან ატარონ. ამ ძვირფას რამეს მეფე თეიმურაზის ცხენს ჩავუგდებ ფეხებში! იმედი მაქვს, თქვენც არ დაიგვიანებთ შეეგებოთ „ღვთის სწორს", რომელიც მთელ სიცოცხლეში ებრძოდა ირანის „ლომს", ჩვენს ქვეყანას რომ ბილწავდა.

ჩამობნელდა დარბაზი, რომელიც სამსჯავროდ იქცა. თავადები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. საქურველთმტვირთველის დახმარებით ციციშვილმა ხმალი შეიბა და მშრალად წარმოთქვა:

— „ღვთის სწორი" ჩვენ შენზე ნაკლებ როდი გვახსოვს. ჩვენ ვიცავთ ფირან ამილახვრის ციხე-დარბაზს, შენ რომ შეურაცხყავ. და იცოდე, შენი წასელის შემდეგ შენგან აქ საიდუმლოდ დატოვებულ ყველა რაზმელს მოვსპობთ, როგორც ქურდებს.

— ძალა არ გეყოფათ, ძვირფასებო! მე აქ დავტოვებ შვიდას არაგველს! გიკვირთ? ნუთუ ფიქრობდით, რომ არაგვის ერისთავმა არ იცის, რა ამალით ეწვიოს მტერს?

— მტერთან მისვლა სულაც არ არის საჭირო!

— ო-ო! თავადო ფალავანდიშვილო, რამდენჯერ ყოფილხარ გიორგი საკაძისას? და თქვენ ყველას, მამაცნო, განა არ მიგირთმევიათ ღვინო დიდი მოურავის სუფრაზე? სხვილოსციხის გალავანთან მე დავტოვე კიდევ ხუთასი კაცი. როცა წახვალთ, ეს ციხე-დარბაზი, გამარჯვებულის უფლებით, ჩემი საკუთრება იქნება!

— დიახ, თავადო ზურაბ, დროზე გაგახსენდა ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე. მართალია, თავადებს არაერთგზის მოულხენიათ გიორგი საკაძისას. და თუმცა მან იცოდა: ჩვენი დაზავება მასთან დროებითი იყო, მას არასოდეს არ უცდია ბოლო მოელო ჩვენთვის ან თავის ციხე-დარბაზში, ან მეტეხში,

ბისი მტრობა კი აშკარაა, პატიოსნურია! — ლირსებით წარმოთქვა მიქელაძემ და ორივე ხელი ხმალზე დაიდო. — დაე მისი მოწინააღმდეგენი ვიყოთ, მაგრამ დიდ მოურავს მუდამ პატივს ვცემთ! მისი ამაგია სურამი და მარტყოფი! დიახ, შენ, ზურაბ, მგონი გაინტერესებდა, სად წავიდა ფირანი? მე გავიგონე ფირანისა და ქველის ლაპარაკი. მათ უეცრად საეჭვოდ ეჩვენათ შენი არაჩვეულებრივი მხიარულება. მერე მომესმა ცხენის შორეული ფეხის ხმა. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, — და მიქელაძემ დიდი თავაზით დახარა თავი, — ფირანი მუხრანბატონთან ისწრაფვის, რათა დახმარება სთხოვოს შენს წინააღმდეგ. აქვე უნდა მოგახსენო, რომ ამჟამად იქ არის საჯაძეც. მგონია, რომ „ვეფხვი“ ხელიდან არ გაუშვებს ასეთ შემთხვევას, რომ არ ინახულოს თავისი მამაცი ცოლისძმა. მამაცი ქველი წერეთელი კი ლიბარიტთან გაეშურა, რომელიც არასოდეს არ ამბობს უარს დახმარება გაუწიოს დაზარალებულს.

— მე არაფრის არ მეშინია. ერთი სცადონ და აიღონ სხვილოსციხე! ციხე განთქმულია, როგორც მიუვალი, ჩემი დროშის ქვეშ კი იგი ისე მიუწვდომელია, როგორც მთვარე.

— შენ დაგავიწყდა, ზურაბ, რომ ფირანი დამცველებს იმავე გზით მოიყვანს, რომლითაც წავიდა. ის გზა საიმედოა. შენს თავზეხელაღებულებსაც კი დოყლაპიებივით გაეპარათ სახარბიელო დავლა. მერე კიდევ გახსოვდეს: არშის ციხე-დარბაზი ხელშეუხებელია! ჩვენ, თავადთა წოდება, ვიფარავთ ანდუყაფარის ქვრივს, კნეინა გულშარს.

— ციციშვილი მართალს ამბობს, მაგრამ ესეც დაიხსომე, — ფალავანდიშვილმა მკაცრი თვალი მიაპყრო ზურაბს. — თუ არ აგისრულებია ჩვენი, როგორც თავადთა წოდების გადაწყვეტილება, კეთილშობილთა წრიდან გაგრიცხავთ. და აღარასოდეს თავადს არ გიწოდებთ! ვფიქრობ, ჩვენს გადაწყვეტილებას გაიზიარებს ზემო, შუა და ქვემო ქართლის მთელი თავადობა!

— მაშ ასე, ზურაბ ერისთავო, კარგად დაიხსომე, რაც აქ ითქვა, — დასძინა ჯავახიშვილმა. — ჩვენ არა გვსურს გაგიფუჭოთ მშვენიერ დარეჯანთან შეხვედრა და არ გაკავებთ აქ.

დაუყოვნებლივ გაემგზავრე აქედან! და თან წაიტანე რაზმელები, დაე უკლებლივ ყველა ახლდეს დამპყრობს! იჩქარე! ან... სულაც არ გაგიშვებთ!

ზურაბი დიდხანს დუმდა, შემდეგ დაბღვერილმა წარმოთქვა:

— თავადთა წოდების წინააღმდეგ არასოდეს არ წავსულვარ. მაგრამ სვიმონის თავი ჩემია! მე მოვიპოვე!..

ნახევარი საათის შემდეგ ზურაბ ერისთავმა დატოვა სხვილოსციხე. მას გაჰყვა ყველა არაგველი.

„ღვთის სწორის" მოგბრძანება

თბილისელებს ალბათ დაბეღებული ჰქონდათ ყოველდღე რაღაც გაკვირვებოდათ. დღეს კი? ჰოი, ღვთისმშობელო ვლახეთისა! განა ბევრი დარჩა შენს ხალთაში მოწყალების მარცვალი, ამქრებს რომ თავს არ დაფრქეევია? რაო? შულტა რას გაჰკივის?

— ხალხო! ხალხო! მორთეთ აივნები ხალიჩებით და თვალის გამხარებელი ქსოვილებით! ქალებო, დროა ჩაიცვათ საუკეთესო ტანსაცმელი და მოძებნოთ ოქროს სამკაულები! ემზადეთ დიდი დღესასწაულისათვის! ბრწყინვალე მეფე თეიმურაზმა ინება ღვთის ნაბოძებ თავის მამულში მობრძანება!

— ვაი მე! — დაიკვნესა ბანზე ქალმა და ხელიდან გავარდა სართავი. — რომელი თეიმურაზ მეფე? სვიმონი სადღაა?

— ვინ სვიმონი? ყური სად გასხია? თეიმურაზი?!

— რომელი თეიმურაზი? სვიმონი!

— გაგიჟდნენ! სვიმონი კი არა, ბრწყინვალე თეიმურაზი!

— დავბრმავდე, თუ საკუთარი თვალით არ დამენახოს, რომ პარასკევს სვიმონი მეჩეთში ისწრაფვოდა!

— თეიმურაზი კი დღეს ეკლესიაში იჩქარის!

— ვაი მე! ქალებო! გეფიცებით, შულტა ურევს! სვიმონი! მეფე სვიმონი!

— გეუბნები, თეიმურაზი-მეთქი! მეფე!

— ქალებო, სვინდისი სადა გაქვთ? რატომ არ ირთვებით?

— მართალია, სვიმონ მეფეა თუ თეიმურაზ მეფე... მერე გავიგებთ...

ქალებმა ხელი დაავლეს ხონჩებს, ჯარას, თაბახებსა და თავთავიანთ სახლებს მიაშურეს.

აფრიალდნენ ნაირფერი ქსოვილები. ბანებზე გამოიტანეს ხალიჩები და მუთაქები. ვიწრო ქუჩიდან გამოძვრნენ მეზურნეები და მხიარული ჰანგებით გააყრუეს მაიდანი. ქალებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ხეირიანად ვერ გაეგოთ ვერაფერი, დაირას დასცხეს და ხელგაშლილნი უვლიდნენ. ყველა ბანიდან მოისმოდა მხიარული სიცილი და ლაპარაკი. უეცრად აგუგუნდა სიონის ტაძრის ზარი. და მყის აჰყვნენ თბილისის სხვა ეკლესიების ზარები: სულს ძლივს ითქვამდნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ, წკრიალებდნენ, ზრიალებდნენ, გუგუნებდნენ, ერთმანეთს ერწყმოდნენ ზარები.

მაიდანზე გამოცვივდნენ ზურაბის რაზმელები: საკინძე გაეხსნათ, ლოყები ღვინითა და მზით აწითლებოდათ და ხელგადახვეულნი ღრიალებდნენ გამარჯვების სიმღერებს.

— დაიმალე, ბიჭო, — მიაძახა ვარდანმა და ხელის კვრით შეაგდო დუქანში არჩილ-თვალმარჯვე, — იჯექ, სანამ მოვიდოდე!

თავმოყრილი ცხენების ხმამაღალი ჭიხვინი და არაგველთა მხიარული მთიულური სიმღერა აყრუებდა მოედანს. მდიდრული აბჯრით და ძვირფასი ყელსაბამით მორთული, წინ მოაგელვებდა აღკაზმულ ბედაურს თავადი ზურაბი. მის უკან მედროშეს მაღლა აღემართა არაგვის ერისთავთა კაშკაშა დროშა. ოდნავ მოშორებით არაგველს დარბაისლურად ეკავა ჭოკი, რომელზეც ირხეოდა დოლბანდიანი საშინელი თავი.

— ვაიმე! მეფე სვიმონი!

კივილი, ყვირილი, მოთქმა გაისმოდა ყველგან. ეს მეფე, სპარსეთის შაჰის ყურმოჭრილი ყმა, არ უყვარდათ, მაგრამ მეტად უბრალოდ მოხდა მისი დაღუპვა — თითქოს ტოტიდან კაკალი ჩამოაგდესო. ლაპარაკი მიწყდა, სიცილი ჩაიხშო. შეძრწუნებული თბილისელები მდუმარედ უცქერდნენ არაგვე-

ლებს, ზურაბის ცხენის წინ რომ ცეკვავდნენ და დამთხვეულებივით ღრიალებდნენ.

— ხომ არ გგონია, ძვირფასო, რომ ზურაბმა ვერც თუ მთლად გაახარა თბილისელები? — წასჩურჩულა ჯავახიშვილმა, როცა ციციშვილს გაუსწორდა.

— არაფერია, შეეჩვევიან!

ფალავანდიშვილმა მზრუნველობით მოავლო თვალი ქართლელ თავადთა ამალას — ვაი, რომ გვარიანად შეთხელებული იყო. თუმცა ზურაბმა ყველას აცნობა მეფე თეიმურაზის მობრძანება ქართლის დედაქალაქში, მაგრამ ყველა როდი ჩამოსულა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მუხრანბატონის საგვარეულოს დაუსწრებლობა.

სამღვდელოება ჯვრებითა და ბაირაღებით ცალკე ჯგუფად იდგა. თეოდოსი, რომელსაც მდიდრული ანაფორა ეცვა და მკერდს ალმასის ჯვარი უმშვენებდა, ოქროსფერ ულაყზე ზიდა.

უეცრად ზურაბმა სადავე მოსწია. ჰაერი განცვიფრების გუგუნმა შეარყია. ფართოდ გაიღო ავლაბრის კარი.

— ვაი მე! მეფე თეიმურაზი!

მკვეთრი შეძახილები, ყვირილი, უცნაური ხარხარი — და მბრძანებლური:

— ვაშა! ვაშა ბრწყინვალე მეფეს!

— ვაშა ისმაილ-ხანის დამმარცხებელს!

— ვაშა! ვაშა! ვაშა-ა-ა!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს თავად ზურაბ ერისთავს — ბაგრატიონების ტახტის განმათავისუფლებელს! — იჭაჭებოდა ქველი წერეთელი და მაღალაძეს უმუჯლუგუნებდა.

— ვაშა! — დაიღრიალა მაღალაძემ და გურამიშვილს წაჰკრა ხელი.

ხალხი ტალღასავით იძვროდა მოედანზე. თავზარდაცემულმა მოქალაქეებმა თითქოს გონება დაკარგესო: ერთმანეთს ეხლებოდნენ, ოხრავდნენ, ვიღაცას წყევლიდნენ.

ძლივს მოჩანდა მეფე თეიმურაზი, რომელსაც გარს ეხვევნენ კახელი სამღვდელოება, თავისი ამალა, თავადები, ქეშიკები. ბრწყინვალე ამალის შემდეგ მოდიოდა ორი ათასი არაგ-

ველი, სწორედ ისინი, ვინც თბილისიდან კახეთში ახლდა ხოსრო მირზასა და ისა-ხანს.

არაგველები თითქოს გაგიჟებულანო: გაშმაგებული ღრიალებდნენ, დაფის გუგუნსა და ზურნის ჭყვიტინში ცეკვით უვლიდნენ გარს მეფეს.

— ვაშა! ვაშა მეფე თეიმურაზს!

ამქრები, რომლებიც ვერ მიმხვდარიყვნენ, ემხიარულნათ თუ მოულოდნელობის შიში ჰქონოდათ, ქუდმოხდილნი, გაუბედავად აძლევდნენ ბანს თავადთა რაზმეულებს:

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს ბრწყინვალე მეფე თეიმურაზს!

ზურაბმა ჭოკი დახარა, შუბიდან სვიმონ მეფის თავი ჩამოგლიჯა, ფეხებში ჩაუგდო თეიმურაზის ცხენსა და ომახიანად შესძახა:

— მეფეთ-მეფეო! შაჰის ხანების დამმარცხებელო! მიიღე შენი ერთგული არაგვის ერისთავის ზურაბის საჩუქარი, მშვენიერი ხესტან-დარეჯანისათვის რომ აღმითქვამს!

— გამარჯობა, ძვირფასო ზურაბ! — მიუგო გულაჩუყებულმა თეიმურაზმა და სამჯერ გადაკოცნა თავისი სიძე.

ამქარმა სიუშმა, ანგარიშმიუცემლად, ანაზდად წამოიძახა:

— გაუმარჯოს! ვაშა ბრწყინვალე მეფე თეიმურაზს!

ამქრებმა მისალმება გაიმეორეს და მაღლა შეაგდეს ქუდები.

— გაუმარჯოს! ვაშა ბრწყინვალე მეფე თეიმურაზს!

ქველი ჯავახიშვილისაკენ გადაიხარა:

— ხომ არ გგონია, მეგობარო, რომ ზურაბის ცოლს ჩამოსვლა დაავიწყდა?

— მე სხვა რამ მგონია: ზურაბს დაავიწყდა, რომ დარეჯანს ჭირივით ეჯავრება იგი.

— რაზე იცინით? — ქაჩიბაძემ ცხენი მიაგდო მათთან. — ო! ე! ზურაბი!

და თავადებმა კვლავ გადაიხარხარეს. ქაჩიბაძემ ფალავანდიშვილის მკაცრი ცქერა შენიშნა, და წარმოთქვა:

— მწუხარების ჟამმა განვლო, შვილი კარგადმყოფი ვნახე. ახლა სიხარული გვმართებს.

— ზურაბ ერისთავის გამეფების გამო?..

— რას იზამ, ძვირფასო! — წასჩურჩულა პანუშმა დანალ-ვლიანებულ ვარდანს. — სვიმონის თავი მისი ნადავლია, თბილისის დღესასწაული მისი ლხინია!

ზურაბმა ნელა ჩამოათვალიერა კახელი თავადები და მოკრძალებით უთხრა მეფეს:

— დაე იცოდეს ჩემმა მეუღლემ, მშვენიერმა ნესტან-დარეჯანმა: ზურაბ ერისთავი მიცემული სიტყვის მუდამ ერთგულია. მაგრამ რატომ არ გამოგყვა ის მზისდარი?

თეიმურაზმა შეცბუნება დასძლია და სწრაფად მიუგო:

— დედოფალმა ნათიამ და დარეჯანმა თელავში დარჩენა ისურვეს, სანამ ქართლში გავმეფდებოდე.

— შენ, მეფეთ-მეფეო, უკვე გამეფდი. მორჩილებითა და სიხარულით გელოდებიან ქართლელი თავადები.

— ეხედავ. მაგრამ რატომ ესოდენ ცოტანი არიან ისინი აქ?

— ვერ მოვასწარით... ყველასათვის გვეცნობებინა. ამაზე ნუ წუხარ, ჩემო მეფევ. ისე გელოდებოდნენ, ვით გაზაფხულს.

— აზნაურებიც? როგორღაც ვერც ერთს ვერ ვხედავ. სააკაძე სად არის?

— ახალციხელი საფარ-ფაშის სამფლობელოში ჩაიკეტა. ახლა მისი მოსპობა ძნელი როდია.

თეიმურაზი გულდასმით დააკვირდა თბილისელებს, ახლოს რომ ჩაუარა. რაკი ვერც განსაკუთრებული სიხარული და ვერც მწუხარება ვერ შეამჩნია, წყნარად თქვა:

— თბილისი ჯერჯერობით გიორგი სააკაძეს ეკუთვნის. მაგრამ იცოდე, თავადო, მე უნდა მეკუთვნოდეს!

ზურნის გამაყრუებელ ჭყვიტინში, დაფის გუგუნსა და ზარების რეკვაში მეფე თეიმურაზმა ცხენი მბრძანებლურად მიაბრუნა მეტეხისაკენ — ბაგრატიონთა დინასტიის ციხე-დარბაზისაკენ.

გაწმენდილ და მორთულ მეტეხში მეფე თეიმურაზ ბაგრატიონს უკვე ელოდებოდნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსები, არ-

ქიეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, მთელი თეთრი და შავი სამღვდელოება.

და კვლავ მთელ ღამეს თბილისელებს ესმოდათ სადღესასწაულო ღრიანცელი, მეტეხის გალავანზე რომ გადადიოდა. კვლავ ანცვიფრებდათ, რაც მოხდა, და ნაღვლიანად ჩურჩულებდნენ: „ნუთუ კვლავ დადგა სისხლის წვიმების დრო?“

მოღუშულნი დუმდნენ ქვის დეკგმირები.

თავი მეთოთხმეტე

— დაატკბე, მოყოყმანე ალი-ბაინდურ, ყური ჩემი აღიარებით: რა ნაღვლიან ქამს დაგეკარგა ყნოსვა და ვერა გრძნობ საამო მოგებას?

— მოუაზრებელო იუსუფ-ხან, განა შეიძლება იმის დაკარგვა, რაც სულს გიტკბობს? წმიდა წინასწარმეტყველს არ ეყვარს აჩქარება. ფიქრთა ღამეს სამკალის დღე მოსდევს. საუბრის დასაწყისი საათები უმწიფარი ხილის ყლორტებია მხოლოდ.

— თუ ალაჰს მიხვედრის უნარით დავუჯილდოებივარ, შენ მხოლოდ ხვალ დათანხმდები გამდიდრდე, ამასთან ერთი ფლურიც არ დაკარგო.

— მიხვდა ჩემი სულიერი ძმა. დღეს მე გურჯისტანის ნაყოფი მამძიმებს... შაითანმა თეიმურაზმა კვლავ გაბედა შაჰინშაჰის ბრძანების დარღვევა!

— შაჰინშაჰი კი, დიდება ჰუსეინს, კვლავ განდევნის ჯიუტს.

— მითხარ, რატომ შენ უფრო მეტს გაფიქრებს კახეთი, ვიდრე ყარაჯუღაი-ხანს?

— მაჰმადი ასეთ პასუხს მიკარნახებს: ალი-ბაინდური და არა ყარაჯუღაი გამტერებულა მტვრიან გულაბში, ვით დერგიში აკლდამასთან. ხოლო ბრწყინვალე ისპაჰანში დატკბობას ბაინდურ-ხანი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მეფე ლუარსაბი ან შეასრულებს „ირანის ლომის“ სურვილს, ან სიცოცხლის

ძაფს უფრო ადრე გაწყვეტს, ვიდრე ამაში გაძვალტყავებული ხანუმის მაკრატელი დაეხმარებოდეს.

— მაგრამ განა შენს ხანეში ცოტა მაკრატელია?

— დეკლეთ-ხანეშიც ნაკლები სატევარი და შუბი როდია, რომლებზეც შეიძლება წამოაგონ თავები „ირანის ლომის" ურჩებისა, ვის ხელშიც ტყვე მეფის სიცოცხლეა, უკანასკნელი ოხვრაც აღმოხდენია მას მზის ჩასვლისას! მაგრამ, მგონია, შემიბრალა წმიდა ჰუსეინმა: გუშინ ჩამოვიდა თავად შადიმანის შიკრიკი და ჩამოიტანა წერილი ჩემთვის და ბააკასათვის, მეფე ლუარსაბის საგუშაგო ძაღლისათვის. როცა დილით სარბაზებმა შენი მოსვლის ამბავი შემატყობინეს, სიხარულით გავიფიქრე: თვით ალაჰმა დააყენა ჩემს ზღურბლზე გამოცდილი მრჩეველი. სანამ ყალიონით დატკბებოდე...

— შენ თავს გამიბრუებ მეფე ლუარსაბისადმი გამოგზავნილი წერილის აზრით?

— ო ხანო! ისე მიხვდი, როგორც ხედება ხოლმე კარგი ბედი მართლმორწმუნის სურვილს.

— საჩუქრით ხომ არ გაუხარებიხარ ვეზირ შადიმანს?

დიდხანს და ხარბად ათვალიერებდა იუსუფ-ხანი სპილოს ძელის ჩუქურთმიან კოლოფს, რომლის ფსკერზე, ვარდისფერი მარგალიტებით შემოგარსული, ზურმუხტის ცეცხლს აკიაფებდა ბეჭედი. მოუსვენარი ფიქრი, რომ ეს ბეჭედი გასაოცრად დამშვენდებოდა მისი მარჯვენა ხელის ცერს, უშლიდა ხელს იუსუფს ყურადღება მიეპყრო წერილისადმი. არ აღელვებდა ხანს შადიმანის ხვეწნა ბააკასადმი დაეყოლიებინა მეფე ლუარსაბი დამორჩილებოდა შაჰინშაჰს, მიეღო მუსლიმობა და დაბრუნებულიყო, რათა განედევნა თეიმურაზი, კახეთში რომ გამეფდა. ვერ აღელვებდა შადიმანის მტკიცება, რომ თეიმურაზის მოქმედება დამღუპველია. სწორედ წერილის ამ ადგილზე იუსუფმა გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნება ბეჭედი შუა თითზე წამოიგოს და არა ცერზე, — უფრო შესამჩნევია...

როცა ბაინდურმა წერილი ბოლომდე ჩაიკითხა და იუსუფს მიმართა, როგორია შენი აზრით, მან დაფიქრებულმა მიუგო: „ალაჰია მოწმე, მარცხენა ხელის ცერზე უფრო შესამჩნევი იქნება".

ბაინდურს ხმა არ ამოუღია, უფრთხოდა, უვიცობაში არ ჩამომართვასო, მაგრამ შუაღამისას ქერიმი იხმო და მოსთხოვა გამოცანის ახსნა.

— აუცილებელია ვიფიქრო სულ ცოტა ერთი საბაზრო დღე მაინც.

— რაო? — დაიღრიალა ბაინდურმა. — შენ გგონია, რბილ ლოგინიდან ავდექი შენი ფიქრებისათვის? — და სილის საათი უჩვენა: — აი შენი ვადა!

ქერიმმა ამოიოხრა: ზედა ბურთობში სილა სულ რაღაც ხუთი წუთისა იყო! „ყოველი ღონისძიებით შევიტყობ, რისთვის მოვიდა ის ძაღლი-ხანი! საიდუმლო დავალებით ხომ არა? ალაჰმა აშოროს ბოროტმოქმედის ხელი მეფე ლუარსაბს! უნდა გავიგო! უნდა გავიგო, თუნდაც თავაზიანი შაითნის დახმარებით, რისთვის მომწყვიტა აფთარმა-ხანმა რბილ ლოგინს კი არა, მკაცრ აზრებს! მაჰმადი ჰფარავდეს ნათელი მეფე ლუარსაბის სიცოცხლეს!“ უკანასკნელი ცახე დაეცა ოქროსფერი სილის პაწია გროვას. ქერიმს სახე გაუბრწყინდა:

— წმიდა ჰუსეინმა შეიბრალა ჩემი პატარა ფიქრები და ჭეშმარიტება მიკარნახა. იუსუფ-ხანი პირდაპირ თქმას მოერიდა, ქარაგმულად გითხრა: შენ, ხანთა-ხანო, მარცხენა ხელის ერთი თითითაც კი შეგიძლია დამეხმარო ჩემს დიდ საიდუმლო საქმეშიო.

— ქერიმ! ო ქერიმ! შენ მიხვდი! — ხანმა უნდოდ გადაჰხედა ქერიმს: „ისღა მაკლია, რომ ამ მამადამწვრის შვილმა გონების სიჩლუნგე დამწამოს“. — მინდოდა გამომეცადე, ქერიმ, რადგან ერთბაშად, ჰუსეინის დაუხმარებლად, გამოვიცან...

— ო ალი! აბა სხვანაირად ვინ ფიქრობს? იუსუფ-ხანი ხომ შენთან მოფრინდა? და არა მარტო მარცხენა ხელის ერთი თითისათვის... იქნება ორივე ხელიც არ ეყოს!

— ქერიმ, მეწუღის ცოლსაც უღუტუნებია შენთვის! კვლავ მიხვდი. ხელი ბევრია საჭირო... მომისმინე და დაფიქრდი, მაგრამ არა უმეტეს ნახევარი საბაზრო დღისა.

და ბაინდური დაწვრილებით შეუდგა იმის მოყოლას, რაც იუსუფისაგან შეიტყო.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ხასები ხმამაღლა ჩიოდნენ: შაჰინშაჰი ყურადღებას აღარ გვაქცევს, ერთი წუთითაც არ გვაღირსებს თავის ალმასის თვალის ცქერას, ხოლო ტანსაცმელი შემოგვაცვდა და სამკაულიც გვაკლიაო!

მუსაიბმა შაჰს უამბო იმ გაყოყოჩებულ ხასებზე, რომელთა სილამაზე დიდი ხანია საეჭვო გახდა, და გააფრთხილა: ასეთ საყვედურს შეუძლია გამოიწვიოს ხანების ჰარამხანების მცხოვრებთა თანაგრძნობა ხნიერებისადმი.

მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ებრძანებინა — ახალგაზრდები შინდის წკეპლით გაწკეპლე, ხოლო „საეჭვოები" განდევნე და უფრო ლამაზებით შეცვალეო, შაჰმა თანაგრძნობით ამოიოხრა და ბრძანა: მიანდე უმდიდრეს ვაჭრებს გაემგზავრონ ინდოეთს, აეღანეთსა და ეგვიპტეს საუკეთესო ქსოვილების, ძვირფასეულობისა და ნელსაცხებლისათვის და ბედ თითო ტომარა თუმანი მიეცით. შემდეგ მოწყალედ ინება ხასებისათვის გადაეცა შაჰის მადლიერება, რადგან სეფი მირზას დაკრძალვაზე ისინი ცასა და დედამიწას აყრუებდნენ მოთქმით, ბღუჯად იგლეჯდნენ თმასა და საფლავის გორაკს აყრიდნენ, ხოლო „საეჭვოები" იგლეჯდნენ მანიაკებს, სამაჯურებს, საყურეებსა და სხვა სამკაულს, საფლავში ყრიდნენ, ქვითინებდნენ და წასვლისას არც კი მიუხედნიათ თავიანთი ძვირფასეულობისათვის, რასაც სწრაფად კრეფდნენ მათხოვრები.

ალი-ბაინდური როგორღაც კატისებრ მიახტა კარს. როცა დარწმუნდა, ყურს არავინ გვიგდებსო, მოხერხებულად გაგორდა მუთაქებზე, ყალიონი მოსწია. თვალები იქედნურად მოჭუტა და განაგრძო:

— იუსუფ-ხანი ჰფიცავდა, დედოფალი ლელუ თეთრ ტანსაცმელს არ იხდის, არავითარ სამკაულს არ იკარებს და, წინანდელი მგზნებარე სიყვარულის ნაცვლად, შაჰს მხოლოდ სიძულვილსა და ზიზღს უჩვენებსო. მან სამუდამოდ თქვა უარი გაიზიაროს მისი ლოგინი და შიგაკარები ლურსმნით აქედა. ერებ-ხანის მეუღლეს მოუხერხებია შაჰის მესამე ცო-

ლისაგან შეეტყო, რომ ირანის მბრძანებელი, რომელსაც მოაკლდა ლელუს საამო, ჭკუიანი საუბარი მშვენიერ სუფრაზე და გონივრული რჩევა, ურომლისოდაც წინათ არაფერს არ გადაწყვეტდა, ძლიერ იტანჯება, რადგან მისი სიცოცხლე მოსაწყენი და ერთფეროვანი გახდა. შეშფოთებული მუსაიბი ამაოდ ეხვეწებოდა ლელუს, შაჰის რისხვას ერიდე, რადგან შეიძლება მოთმინება დაეკარგოსო. სხვა ცოლები და ბევრი ხასაც ამაოდ ცრემლით ემუდარებოდნენ, საფრთხეში ნუ იგდებ თავსო, მაგრამ ლელუ მშვიდად უპასუხებს: ახლა ჩემთვის საშიშია მხოლოდ სიცოცხლე და რაც უფრო მალე გათავდება იგი, მით უკეთესია. ხოლო ჩემი ერთადერთი, უბადლო შვილის, სუფთა, ვით წმიდა მთის წყარო, სეფის მკვლელის სიყვარულს ალაჰი მიკრძალავს, რადგან არა მისი, არამედ შაითნის ნებით ჩაიდინა შაჰმა საშინელი ბოროტმოქმედება.

შაჰის ყველა ჰარამხანაში აშკარად ლაპარაკობენ: ლელუ ცოცხალი იმიტომ დარჩა, რომ ყურადღება გულუზარის ვედრება, რომელმაც აგრეთვე მოიხსნა ყველა სამკაული და ისე გახდა, რომ თეთრი ტანსაცმლით აჩრდილს დაემსგავსა, თვალები კი — ტბებს, რადგან თვალებში არასოდეს არ შრება ცრემლი.

გველაძუა ზულეიკაც კი შიშს შეუპყრია: თუმცა შაჰინშაჰმა თავის მემკვიდრედ უკვე სეფი მირზას ვაჟი გამოაცხადა, მაგრამ ყოველდღე თავისი ხელით აძლევს ხაშხაშით შემზადებულ წამალს, რაც ზრდასა და ტვინის განვითარებას აფერხებს. მაგრამ სემს ამით სრულიადაც არ ეკარგება სახის ვარდის ფერი და, თითქოს გაბრიელის ფრთებითო, სულ ზევით მიიწევს, — ხანები ჩურჩულებენ, რომ დედოფალი ლელუც აძლევს სემს წამალს, რომელიც უკარგავს შაჰის ექიმის იუსუფის საწამლავს ძალას. ამბობენ, შაჰი აშკარა მიხვედრილია, მაგრამ დუმს, ლელუსი ეშინიაო.

ლელუს ამბავს რომ მორჩა, იუსუფ-ხანმა ილაპარაკა ფუქსავატი ხასების გასამდიდრებლად გამგზავრებულ ვაჭრებზე, ხასებმა ხომ ცბიერებით გამოსტყუეს შაჰს ძვირფასეულობა თვით ალაჰი გვიკარნახებს, არ ჩავიდინოთ ასეთი უსამარ-

თლობა. განა შაჰინშაჰის ერთგული ხანები ყურადღების ნაკლებ ღირსი არიან? არ მოიძებნება განა ისეთი უსინდისო, რომელიც ამტკიცებდეს, ხასა მართლმორწმუნეს სჯობსო?

რატომ არსად არ არის ნათქვამი, როგორ აეიცილოთ თავიდან აუცილებელი? და აი, მას შემდეგ, რაც ვაჭართა ქარავანი უცხო ქვეყნებში გაემგზავრა, იუსუფ-ხანს ძილი დაეკარგა. იმ გასაოცარ ძვირფასეულობას, რასაც ვაჭრები მოიტანენ, შეუძლია ორი ხანი გაამდიდროს. აბა რას არ გიკარნახებს მოღიმარი ალი! შეიძლება ააგო შაჰის სასახლის მსგავსი სასახლე. შეგიძლია აგრეთვე იყიდო მთელი აღმოსავლეთის ლამაზები, შავი, როგორც შავი ხე, და ყვითელი, ვით სპილოს ძვალი, რომლებიც ალაჰმა თავისი პირველი ცოლის მსგავსად შექმნა. შეგიძლია გახდე ძლიერი, დაეუფლო მზის საიდუმლოებას და ააზანზარო დედამიწა. შეგიძლია სასწაულთა მაიდახზე იყიდო ილიათი* და სულეიმან ბრძნად გაითქვა სახელი, შეიძლება ცხოვრება გადააქციო სიტკბოდ, შეჰერაზადამ რომ ინატრა „ათას ერთ ღამეში"... მაგრამ ჩამოთვლა რა საჭიროა? განა ალაჰს დაუდგენია სურვილთა საზღვრის გამოცნობა?

ხანი იუსუფი დიდხანს ლოცულობდა, სთხოვდა ალაჰს ან მიხსენ ამ შფოთიანი ფიქრებისაგან ან მასწავლე საშუალება ხელთ ვიგდო აუარებელი სიმდიდრე, ოცდაათ აქლემზე რომ არის დატვირთულიო. და აი მოხდა ის, რაც მოხდა! მოხდა სასწაული! როცა ერთ ღამეს, როცა იუსუფ-ხანი ასე ევედრებოდა ღმერთს და უკვე გამოელია ლოცვები და ღრმად ჩაეძინა, მის საწოლთან ღრუბელს ჩამოჰყვა ალაჰი და... მბრძანებლურად უთხრა: „იუსუფ, როგორ შეგიძლია ეპვი შეიტანო ჩემს კეთილგანწყობილებაში? განა შენ არ ძღვნი უხვად შეიპ ლუთფოლის მეჩეთს? განა შენ არ მიგზავნი ქება-დიდებას მაშინაც კი, როცა ლოცვის ჟამს გზაში ხარ? მე არაფრად არ მიღირს მოგცე ფუფუნების ბოღჩები შვიდი ვაჭრის ქარავნიდან, რადგან მათი გაუმაძღრობის ამბავი მთელმა მაიდან-შაჰემ იცის, და „ირანის ლომისაგან" მიღებული ნახევარ-

---

* ილიათი — მომთაბარე ტომია სპარსეთში.

ზე მეტი ოქროს ფული შინ დატოვეს. იჩქარე, იუსუფ-ხან, რადგან ვაჭრებმა უკვე იყიდეს ძვირფასი საქონელი და უკან ბრუნდებიან, დაგვიანებულს კი წარუმატებლობა მოელის. არ დაივიწყო, ო იუსუფ, რომ უდაბნოში ამჟამად დაძრწის სახელგანთქმული ყაჩაღი ალმანზორი თავის მსახურიანად, რომელიც თვალში ბეწვს ისე ამოგართმევს, რომ ვერ შეიტყობ. შაითანმა ძალა მიანიჭა ალმანზორს და იგიც ერთი მსახურის დახმარებით ადვილად ძარცვავს ოცი აქლემისაგან შემდგარ ქარავანს. ვერც ერთი მართლმორწმუნე ვაჭარი გზას ვერ გაუდგება, თუ არ შეუერთდა ორმოცი აქლემისაგან შემდგარ ქარავანს, რომელსაც იცავენ ორმოცი ჩალვადარი, ხუთი ქარავანბაში და ათი მონა. ამიტომ, ო, ალაჰის პატივცემულო იუსუფ, არ მიეკარო პირველ ქარვასლას, არამედ თავს დაეცი მეორეს, სადაც ალმანზორი არასოდეს არ შედის და სადაც ვაჭართა ქარავნები მფლობელთა რიცხვის მიხედვით იყოფიან... და იქ მიდიან, სადაც უნდათ".

აქ იუსუფ-ხანმა დაიკვნესა: „ო, ალაჰ, როგორ შემიძლია, თუნდაც შენი დახმარებით, დავეუფლო ასეთ ქარავანს?" — „და განა მეგობარი არა გყავს? — გაიკვირვა ალაჰმა. — ერთისათვის ვაჭართა სიმდიდრე მეტად დიდია, ორისათვის კი სწორედ საკმაოა, რომ დაიკმაყოფილოთ სურვილი და კიდევ დაუტოვოთ უფროს ვაჟს საყვარელი ხასისათვის..." აქ ღრუბელი თანდათან დაიცარა.

იუსუფს, გაეღვიძა თუ არა, მყის გაახსენდა ალი-ბაინდური და მოვიდა, რათა წინადადება მიეცა მეგობრისათვის ერთად გამდიდრებულიყვნენ. ალიმ თან უნდა წამოიყვანოს ოციოდე სარბაზი წართმეული ქარავნის დასაცავად, რადგან თუმცა მას, იუსუფ-ხანს ჰყავს ოცი მონა, მაგრამ სიფრთხილე გვასწავლის არ ვენდოთ მხოლოდ მონებს.

ქერიმმა ყურადღებით მოუსმინა ხანს და კიდევაც სთხოვა გაემეორებინა, თუ რამდენი რამის შეძენა შეიძლებოდა ვაჭართა ნაძარცვით, და კმაყოფილი დარჩა იმის გამო, რომ ხანს დაუმალა სვიმონ მეფის დაღუპვის ამბავი, რადგან ბაინდური მაშინვე უარს იტყოდა ცთუნებაზე და გააძლიერებდა სიფხიზლეს მეფე ლუარსაბისადმი. განთავისუფლებული ქარ-

თლის ტახტის პრეტენდენტისადმი. „ალაჰსაც ნუ უნებებია დამავიწყოს, რომ იუსუფ ხანი ჩემი მტერია. მაშინ...“ ქერიმი ზრდილობისათვის ოდნავ დაფიქრდა და ოხვრით ურჩია: ასეთ იშვიათ შემთხვევას ნუ გაუშვებ და დაუყოვნებლივ დათანხმდი, რადგან „ათას ერთი ღამის“ სასწაულები მხოლოდ ერთხელ ესიზმრებათ და ისიც მხოლოდ მამაცებსო.

— შენ ალბათ შაითანმა ენაზე დაგადგა ფეხი! — გაჯავრდა ბაინდური. — მე ისედაც დაუყოვნებლივ დავეთანხმე, მაგრამ განა შემიძლია თუნდაც ერთი საათით დავტოვო გულაბი?

— შეგიძლია მე და სელიმს გვენდო.

— და სწორედ ამ დროს რომ მოუვიდეს ფიქრად შაჰს ან — რაც უარესია — ყარაჯულაის გამოგზავნოს შიკრიკი, რათა შეიტყოს მეფე ლუარსაბის ამბავი?

— ო ბრძენო ალი-ბაინდურ-ხანო! ამაზე როდი მიფიქრია. მოწმეა მაჰმადი, სჯობს უარი თქვა!

— უარი ვთქვა? შენ დღეს სწორედ იმ მამალს ჰგავხარ, რომელიც წარუმატებლად იბრძოდა მეზობლის დედლისათვის. სად გინახავს ისეთი ჰკუიანი, რომელიც დაბრკოლებას გაეყეყეჩებინოს? განა ასეთი სიმდიდრე ყოველ დღე მოგადგება კარს?

— ო ხანთა-ხანო! მართალი ხარ! მაგრამ განა შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს აქაც იყო და ქარვასლის გზაზეც?

— ჭრელ შაითანს ვიმოწმებ, რომ დღეს შენს ლოგინში არ გძინებია, თორემ, როგორც ყოველთვის, რატომ ვერ მიმხვდარხარ, რა კეთილგანწყობილი ვარ შენდამი?

— დაე მთელ სიცოცხლეში სამსახურს მიწევდეს სასიხარულო მოგონება შენს ხდობაზე. მაგრამ განა შემიძლია გამოვიცნო შენი მაღალი ზრახვანი?

— შენ წახვალ და არა მე იუსუფ-ხანთან სანადიროდ.

— მე? მე? ალაჰმა დამიფაროს ასეთი განზრახვისაგან!

— ო ჰუსეინ! ო ალი! რატომ არსად სწერია არაფერი, რა უნდა ვუყოთ უჭკუოთ, თავიანთი სარგებელი რომ არ ესმით! შენც ხომ გაყოფის დროს...

— სარგებელი? და განა ხანმა არ იცის ქართული ანდაზა?

მდიდარმა რომ გველი გადაყლაპოს, იტყვიან: „წამლად მიიღო“. თუ ღარიბმა გადაყლაპა, იტყვიან „შიოდაო“. ალი-ბაინდური რომ ჩავარდეს, იტყვიან: „რა მხიარული ხანია! ვაჭრების შესაშინებლად იხუმრაო“. ქერიმი რომ ჩავარდეს, — „რა უტიფარი მონაა! ვაჭრები დახოცა და გაძარცვაო“. და შაჰინშაჰი ბრძანებს — სამარცხვინო ბოძზე ეკიდოთ, და სხვადასხვა მცირე სიამის — მკლავის, ცხვირის, ყურების დაჭრის შემდეგ — ცოცხლად გამაძრობენ ტყავს, რომ საიქიოსაც აღარ გავმდიდრდე შაჰის ზანდუკით.

ალი-ბაინდური გაფითრდა: იცოდა, რომ შაჰს ასეთი შეძენის გამო შეუძლია ხანსაც თავი გააგდებინოს, ხოლო თავის დაკარგვის შემდეგ სულერთი არ არის — ცხვირს მოგჭრიან თუ ტყავს გაგაძრობენ? არა, იგი, ალი-ბაინდური, არასოდეს არ წავა იუსუფ-ხანთან! მაგრამ... უმაგალითო შემთხვევის ხელიდან გაშვება?.. იგი, ბაინდური, ხომ შუათანა ხანია, მას ყარაჯუღაის ქონების ნახევარიც არა აქვს. კიდევ ერთ წელიწადს, მეტს ვერ გაძლებს გაქვავებული ლუარსაბი. მაშინ შეიძლება ბრწყინვალე ისპაჰანს დაბრუნება... მაგრამ რით? გულაბის წყეულ ციხეში ჩემი პატიმრობის წლებში რა შეეძინე? გარშემო ღატაკები არიან... რამდენი გადასახადიც უნდა ამეღო იმათგან, სულერთია არაფერია. უარის თქმა შეუძლებელია, უნდა ვაიძულო ქერიმი, მერე კი...

— როგორ შეუძლია შაჰს შეიტყოს ის, რასაც იუსუფ-ხანი არ ისურვებს? ჭეშმარიტად ვიღაცამ თვალი აგიხვია, ქერიმ, თორემ აბა უარს როგორ იტყვი იმაზე, ურომლისოდაც ცხოვრება ცარიელი ბუშტია! განა ტანსაცმლის გარდა, მოგეპოვება ზედმეტი თუმანი? იცოდე, ახლა გადაეწყვიტე, რომ მეოთხედს იმ ნახევარი ძვირფასეულობიდან შენ გამოგიყოფ, თუ იუსუფ-ხანთან ერთად წახვალ სანადიროდ.

— ო კეთილშობილო ხანო! რატომ იკლებ მეოთხედს? სხვას მიანდე. „ირანის ლომის“ რისხვა მაძრწუნებს! რათ მინდა სიმდიდრე, და ისიც მოჩვენების მსგავსი, თუ სიცოცხლე საფრთხეში ჩავაგდე?!

— კარგი, მესამედს მიიღებ! კვლავ ცოტაა? ნახევარი წაიღე!

ქერიმი გულუბრყვილოდ ფიქრობდა. მხოლოდ ერთი რამ განზრახვა აქვს ბაინდურს, მოსპოს მისი სიმდიდრის გამტაცებელი, ხოლო ამასთან ერთად თავიდან მოიშოროს საშიში საქმის საშიში მოწმე. ალაჰ, არ შეიძლება ხელიდან გაუშვას შესაძლებლობა — კისერი მოუგრიხოს იუსუფს და მასთან ერთად ალი-ბაინდურს! ო, განა ეს უდიდესი სიამე არ არის? განა მარტო ამიტომ იჩქარის ქერიმი დათანხმდეს? ხედავს წინასწარმეტყველი, არა!

და ქერიმი განგებ ყოყმანობდა, თითქოს ძლივს გეთანხმებიო.

ბაინდურმა ყველა საშუალება გამოიყენა მოფიქრებული საქმის სასარგებლოდ და დაიჯიცა: სართად მოგცემ კიდევ ყველაზე ლამაზ ხასას, რომელსაც კი მოისურვებ. არის ერთი ისეთი, რომ ცეცხლისა და ზაფლის ნაზავიაო...

რასაკვირველია, ქერიმმა ასეთ ცთუნებას ვერ გაუძლო და სიხარულით წამოიძახა:

— ო უხვთა შორის უხვო! ხასა ოქროსთან ერთად მეტად საჭიროა. თანახმა ვარ! მაგრამ ჩემი ყურის საამებლად გაიმეორე, რა შემიძლია ვიყიდო შაჰის სიმდიდრით?

— შაჰი დაივიწყე!.. — ბაინდურმა შეშფოთებით მიიხედ-მოიხედა. — მისმინე და დაიხსომე: იყიდი აღმოსავლეთის ყველა ლამაზმანს, დაუცხრომელს, ვით წისქვილი, და ამტანს, ვით აქლემი, რომელნიც ალაჰმა თავის ცოლის მსგავსად შექმნა. იყიდი ილიათს სასწაულთა მაიდანზე, შეგიძლია თავი სულეიმან ბრძნად გაასაღო! შეგიძლია ცხოვრება აყვავებულ ვარდად აქციო!..

— ო დიდებულო ხანო! შენ დაგავიწყდა სიამე, შეჰერაზადა რომ გვპირდება „ათას ერთ ღამეში". და ჩემი მხრივ აუცილებლად უნდა დავძინო: შეიძლება დატკბე ათას მეორე ღამითაც...

— ქერიმ! შენი სიხარბე დერვიშსაც კი გააკვირვებს!

— დატკბე ათას მეორე ღამით და, გათენდება თუ არა დილა, — მოკრძალებულად დადუმდე...

ალი-ბაინდურმა ყურები დაცქვიტა: „ნუთუ ხვდება, რომ ჩემი სატევარი?.. ბისმილაჰ, იუსუფი უნდა დავაჩქარო!“ — და ხმამაღლა გაიმეორა:

— იუსუფ-ხანი უნდა დავაჩქარო!

— ღვთის გულისათვის, იუსუფ-ხანი რად გინდა?

— როგორ თუ რად მინდა? განა ის არ დამპირდა იმის ნახევარს, რაც...

— ერთად გართობა მეორე ქარვასლაში? შენ კი წამოიღებ ყველაფერს პირველი ქარვასლიდან მის დაუხმარებლად!

ერთ ხანს ალი-ბაინდური აღტაცებული შესცქეროდა ქერიმს: „მარტო გავმდიდრდე? დავემსგავსო ხალიფ ჰარუნ-ალრაშიდს? შენ მაჯილდოებ მოთმინებისათვის! მაგრამ რამდენს წაიღებს გაუმაძღარი ქერიმი?.. რაზე ვწუხვარ? განა სულერთი არ არის რამდენს, რაკი, სატევრის ჩაცემის გარდა, ვერაფერს მიიღებს! მაგრამ სიფრთხილე მიკარნახებს თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს შეშფოთებული ვარ“.

— შენი გონებამახვილობა, ქერიმ, თვით მაჰმადსაც აღტაცებაში მოიყვანს. მაგრამ რამდენი გინდა მიიღო?

— ბისმილაჰ! დიდად გაკვირვებული ვარ! რად გინდა ქერიმი, თუ კი საქმე ასე დატრიალდა?

— რა ხანია ჩემი რისხვის აღარ გეშინია?

— ალი მოწმეა, ახლა უფრო მეშინია, ვიდრე გუშინ. მაგრამ რა არის სიმდიდრე, თუ შაითანმა ყვითელ გულაბში მუდმივი ყოფნა გვარგუნა?

— მუდმივი? — ბაინდურმა სიცილი ველარ შეიკავა. — გრძელი ყოველთვის შეიძლება დამოკლდეს...

ქერიმმა გულის ტკივილი იგრძნო: „ალაჰმა აშოროს მტაცებლის ჭანგები მეფე ლუარსაბს. არა, ვაჭრებზე უარის თქმა წარმოუდგენელია, რადგან ეს ძაღლი ბაინდური იპოვნის შემთხვევას სატევარი ჩასცეს საშიშ მოწმეს. რა თქმა უნდა, მეც შემიძლია ვიპოვნო შემთხვევა და გულაბიდან გავიპარო... მერე მეფე? მშვენიერი დედოფალი? საყვარელი თავადი ბაკა? ხელი მომიმართოს ალაჰმა საყვარელი ადამიანები შაითნის ბუნაგიდან მშვენიერ თბილისში ჩავიყვანო!“ ქერიმს მოულოდნელი ფიქრი ეწვია და წამოიძახა:

— სწორუპოვარო ალი-ბაინდურ-ხანო, ტყუილად ცდილობ სიცილით მომანიჭო სიმხნეევ. განა დამავიწყდა მეამბნა შენთვის, რომ ისპაჰანში რამდენიმე ხანმა, რომელთაც აფიქრებდა გურჯისტანის მეფის სიცოცხლე, შაჰინშაჰს სთხოვა, შეეცვალე, რადგან შენ შეგიძლია მოთმინება დაკარგო, ხოლო შემდეგ... ყველაფერი შემთხვევას გადააბრალო. შაჰი ისე ვაბრაზდა, რომ ერებ-ხანსაც კი ბალახის ფერი დაედო. „ათასმა გველმა დაიცვას, — დააღრჭიალა კბილები კეთილმა შაჰმა, — ალი-ბაინდური შემთხვევისაგან!.. რადგან ვუბრძანებ მაიდანე-შაჰის მოედანზე აწამონ იგი! დაე დარწმუნდნენ მართლმორწმუნენი, რომ „ირანის ლომის“ თვალში ერთი ფასი აქვთ ხანსა და ფაკირს! ას წლამდე გასტანს გაოცება იმ წამების გამო, რასაც გაუფრთხილებელ ბაინდურს მივაყენებ!..“

ქერიმი დიდი სიამოვნებით აკვირდებოდა ხანის გალურჯებულ სახეს, რომელზეც ოფლის მსხვილი წვეთები სდიოდა.

— რომელმა შაითანმა გაბედა ცილი დაეწამებინა ჩემთვის შაჰინშაჰის წინაშე?! შენ ეს ყარაჯულაი-ხანმა გითხრა?

ქერიმი დუმდა. ბაინდურმა დაიხიხინა:

— სიხარულის შესაძლებლობას არ მივცემ ჩემს მტრებს! ვფიცავ წმიდა ალის, შემთხვევა არ იქნება!

მხოლოდ ახლა გადაუხადა ქერიმმა მადლობა ალაჰს: კეთილთა უკეთილესის სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის!

— დიდო ხანო, ხომ არა გგონია, რომ თავად შადიმანის ხვეწნამ გასტეხოს მეფის ჯიუტობა?

— მგონია, რადგან გაქვავებულ მეფეს იმედი აქვს იმეფოს.

— ო მაჰმად! ო ჰუსეინ! მაშასადამე, შიშიც არაფრისაა! მალე... ხვერდივითაც ყოფილა ჩვენი გზა ისპაჰანისაკენ!

— მაგრამ უმალ შენ, მოუთმენელო, სხვა გზა გელის.

— ხედავს წმიდა წინასწარმეტყველი, მზად ვარ! და დაე შაითანმა ჩემგან ლულაქაბაბი გააკეთოს, თუ არ მოგირეკე ოცდაათი აქლემი შვიდი ვაჭრის ქონებით!

— ქერიმ! ნუ აყოვნებ, რადგან დაგვიანებულს მუდამ

წარუმატებლობა ელის... — ხანს გაუკვირდა, რადგან თვით იგრძნო შიში. — ქერიმ! იუსუფს ოცი მონა ჰყავს, რომლებიც შებოჭავენ ვაჭრებს და ყოველივეს იზამენ, რაც საჭიროა. შენ კი სად იშოვნი ამდენს? შეწყვიტე შენი თხოვნა! არა! არც ერთ სარბაზს არ მოგცემ! თვითონ იშოვნე. ამისათვის ზედმეტს მიიღებ, მაშასადამე, ყველაფრისათვის უნდა აგო პასუხი. — ძლიერ აღელვებული ბაინდური წამოხტა, ალალბედზე გადაშალა ყურანი და წაიკითხა: „განუწყვეტლივ ნუ მოაწყობთ ჩასაფრებას...“ და წამოიძახა: — უიუსუფოდ წარმოუდგენელია! ო წმიდაო ჰუსეინ! კი მაგრამ იუსუფს ნახევარი რისთვის? ან იქნებ ერთ დღეს მაინც დატანჯულა გულაბში? ქერიმ! იშოვნე ოცი თანაშემწე!

— ბისმილაჰ! რათ გინდათ ოცი მოწმე? ან იქნებ შესაძლებელია თუნდაც ერთ მათგანს ენდო? ერთხელ როდისმე გაბრაზდება მათრახის გადაკვრისათვის ან აუტანელი გადასახადისათვის და „ირანის ლომს“ ჩაასმენს ორ ხანს...

— რომელ ორს?

— რა ეშმაკმა ურჩია იუსუფ-ხანს მოეთრია აქ ოცი მონა? მე უკვე ვთქვი: გაბრაზებულნი ან ნაწყენნი, ისინი ყველანი, ან ერთი მათგანი დაამტკიცებს, რომ ალი-ბაინდური იუსუფ-ხანთან ერთად თავს დაესხა და გაძარცვა შაჰის ქარავანი.

— ქერიმ! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ალი-ბაინდურმა. — შენ ისე მარხევ, ვით დათვი თუთას! განა თვითონ არ ამბობდი, იუსუფ-ხანი ნუ გვინდაო?!

— მაღირსე ნდობა, დიდო ხანო! არა მარტო იუსუფ-ხანია ზედმეტი, ოცი მოწმეც!

— ალაჰ! იქნებ მეც ზედმეტი ვარ? მითხარი, მარტო შენ ხომ არ პირებ მოერიო შვიდ ვაჭარსა და შვიდ ჩალეადარს?

— მოწმეა ჰუსეინი, მარტო ჩემთვის ძნელია, მაგრამ ათას მეორე ღამისა და ერთი მსახურის დახმარებით — ვფიცავ, ადვილია! წარმატების დამ ახლა მიკარნახა, ვინ...

— სამკუდიანი შაითნის დამ ხომ არა? სულერთია, თქვი ვინ ჩაგინერგა ნდობა?

— შადიმანის შიკრიკმა... არჩილ-თვალმარჯვემ. მას აქ არ იცნობენ და უცხოსაგან თავდაცვა უფრო ადვილია.

ქერიმმა კვლავ გამოიწვია ხანის აღტაცება. „თვალმარჯვე“ ვერ მოასწრებს დაბრუნებას, ბრმად და ამასთან უთქმელად გადაქცევას! დღესვე ეტყვის იგი, ალი-ბაინდური, უარს და კიდევაც უსაყვედურებს იუსუფ-ხანს განუკვრეტელობასა და უდარდელობას. განა მან არ იცის „ირანის ლომის“ ბრძანება — ერთი დღითაც არ დატოვოს გულაბის კოშკი? მერე რად შეუქმნა ალი-ბაინდურს საფრთხე, როცა თან მოათრია ოცი მოწმე? შემდეგ შეურიგდება და წმიდა მაჰმადს დაიფიცებს, რომ ფიქრადაც არ მოუვა ხელი ახლოს მეორე ქარვასლას. დაე იუსუფ-ხანი თვითონ გამდიდრდეს და გაახაროს თავისი ახლო მეგობრის, ალი-ბაინდურის გული; და დაიყოლიებს აჩქარდეს, რადგან დაგვიანებულთ წარუმატებლობა მოელით...

არჩილი სასოწარკვეთილებაში ვარდება: უკვე ხუთი დღე გავიდა, ქამარი კი ისევ არტყია. როცა შადიმანის ორი წერილი მიიღო, ხანმა ნება არ მისცა არჩილს ასულიყო კოშკში — იმ საბაბით, რომ შესაძლოა ქარვასლებში ყოფნის დროს რაიმე ავადმყოფობა შეეყარა: დაე ვადა გაეიდესო. არჩილი მოათავსეს მსტოვართან, ჩოფურა სარბაზთან, და თუმცა დათიკოს შეეძლო შვილი ენახა რამდენჯერაც სურდა, მაგრამ მსტოვარს ქართული ესმოდა და ლაპარაკობდნენ მხოლოდ ნათესავებზე, მეტეხზე. ამასთანავე არჩილი მუდამ იმეორებდა: „ჩემი თავადი შადიმანი“, ან: „მეფე სვიმონი განუწყვეტლივ ლოცულობს შაჰინშაჰის ჯანმრთელობისათვის“.

არჩილმა გადაწყვიტა: სვიმონ მეორის ტრაგიკულ აღსასრულზე მხოლოდ კოშკში ელაპარაკა, რადგან მოურავმა ინება დაემალა სიმართლე ალი-ბაინდურისათვის, ხოლო თუ ხანი თვითონ გაიგებდა, არჩილს უნდა ეთქვა: „მე უფრო ადრე წამოვედიო“. გაახსენდა არჩილს როგორ გახდა იმ საშინელების მოწმე, რაც თბილისელებმა განიცადეს, როცა იგი ფარულად ცხოვრობდა ვარდან ბრძენთან. მოქალაქენი თავშეკავებით შეხვდნენ მეფე თეიმურაზს, რადგან უკვირდათ ის აშკარა სიხარული, რომლითაც იგი შეხვდა მეორე მეფის მოკვლის ამბავს, და უფრო გულგრილად — არაგვის ერისთავს. გაცო-

ფებული ზურაბი, მოათავსა თუ არა მეტეხში მეფე თეიმურაზი, შეუდგა მოქალაქეთა აწიოკებას. მცირე და დიდ დამნაშავეთა კოშკები აივსო უდანაშაულოებით, რომლებზედაც ეპვი მიჰქონდათ — საკაძის მომხრენი არიანო. ბევრს ხოცავდნენ აგრეთვე როგორც საკაძის მსტოვარს. თავს კვეთდნენ, განსაკუთრებით მუსლიმანებს, თითქოს იმისათვის, რომ მეფე სვიმონს დასტირიოდნენ. დუქნები, სახლები ამოქოლილია. ბანები დაცარიელებულია, აბანოებში ერთი მოქეიფეც არა ჩანს. მოქალაქეებს შიშით თავი ვერ გაუყვიათ ქუჩაში, რადგან არაგველები კახელ რაზმელებთან ერთად პარპაშებენ და მოითხოვენ ან გამოტეხას — რაში?! — ან თავის გამოსყიდვას — რისთვის?! ახლოდება შიმშილი, რადგან, რაკი თავად ერისთავის მძევნვარების ამბავი შეიტყეს, ახლომახლო სოფლებიდან შუა ბაზარში აღარავის შეჰყავს საკლავი, არ შეაქვს მარცვლეული, ყველი, ნიგვზის ზეთი, და არც ვირზე აკიდებული ნახშირი და ფიჩხი. მოწყენილობაა მტკვარზეც, რომელიც თითქმის უხმაუროდ მიაქანებს წყალს — არც ერთი სატვირთო ტივი, არც ერთი სრიალა ნავტიკი!

თბილისი, თითქოს მტერს დაუპყრიაო, გაუტეხელ დუმილს მოეცვა ტაფობში. ნაღვლიანად მიჩუმებულიყვნენ მთებიც — დაკლაკნილ ბილიკებზე კაცის ჭაჭანება არ იყო. და მზეც თითქოს ზენიტში გაქვავებულაო...

„მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა!“ — წარმოთქვა ვარდან ბრძენმა, შეჰყარა ვაჭრები და საამქროთა უსტაბაშები და წინადადება მისცა ერთად წასულიყვნენ მეფე თეიმურაზთან. „ვინ მიგიშვებს?“ — „მერე ვინ არის ისეთი სულელი, რომ თქვას: „საჩივლელადო?“

ერთ დღეს თბილისელები სადღესასწაულოდ მოირთნენ. ვაჭართა და საამქროთა დროშები გაშალეს, მეფისათვის საჩუქრებით დატვირთული სამი აქლემი და თეიმურაზის კარისკაცებისათვის აკიდებული ორი ცხენი წაიყვანეს და ზურნა-ცეკვით გაემართნენ მეტეხისაკენ.

გაიხსენა არჩილ-თვალმარჯვემ ვარდანისა და მისი ვაჟის გურგენის დაწვრილებით ნაამბობი ყოველივე იმაზე, რაც მეტეხში ნახეს.

ჩანდა, რომ მეფე მეტად გააკვირვა თბილისელთა გულ-ციემა შეხვედრამ, თუმცა ამას თავშოყვარეობის გამო კარის-კაცებსაც კი უმალავდა. მაგრამ „ნარინჯისფერ დარბაზში", ტახტზე მჯდომმა, როცა ვაჭრებისა და ამქრების ამორჩეულთ იღებდა, თავი ვეღარ შეიკავა, რომ საყვედური არ ეთქვა. ვარ-დანი მეტად ცბიერი იყო, რომ აშკარად არ ემოქმედნა თავად ზურაბის წინააღმდეგ, ამიტომ იგი მიესალმა მეფეთმეფეს, დიდხანს მეფობა უსურვა და, სხვა ვაჭრებთან შეთანხმებით, სტუმრობის უსიამოვნო ნაწილი მიანდო ყველაზე ღარიბ ვა-ჭარს, რომელსაც მჭევრმეტყველების სახარბიელო ნიჭი ჰქონდა. „სულერთია, — ოხრავდა ვარდანი, — ასეთი ვინმე არაფერს დაკარგავს".

ღარიბ ვაჭარს ეს იამა, თანაც გულში მეფის კეთილმო-სურნეობის, მაშასადამე, გამდიდრების იმედიც ჰქონდა, ამი-ტომ წინ წამოდგა და მხურვალედ დაიწყო:

— როგორ შეგეძლო შენ, მეფეთმეფევ, ქრისტიანული ეკლესიის მფარველს, დაუცხრომელ რაინდს, ქართველთა სა-მეფოების იმედს, ფიქრადაც კი გაგევლო გულში, რომ თბი-ლისელები სიხარულით არ ტიროდნენ, როცა ბოლოს, აღს-რულდა მათი მგზნებარე სურვილი და მათი საყვარელი მეფე ბაგრატიდი თეიმურაზი, წყეული მტრები რომ განდევნა, თა-ვის სამეფოში დაბრუნდა?

— ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რატომღა არ შეხვდით „ღვთის სწორს" დროშებით და პირველსავე დღეს არ წარმოდექით ჩვენს წინაშე?

— უბრწყინვალესო მეფევ, ბევრ გაუფრთხილებელს სწორედ აგრე სურდა, — მერე ახლა სად არიან ისინი? ზოგმა თავი დაკარგა, ხოლო უფრო ბედნიერნი გმინავენ მცირე და დიდ დამნაშავეთა კოშკებში.

აქ ვაჭარმა შეამჩნია ვარდანის მხიარული ცქერა და უფ-რო მხურვალედ მოჰყვა, თუ როგორ ააწიოკეს არაგველებმა თბილისელები, რა განურჩევლად იჭერდნენ ყველას, მათ შო-რის ელამებსაც, და, რაკი კვლავ შეამჩნია, რომ ვარდანმა მოწონების ნიშნად თავი დააქნია, სიფრთხილის გრძნობა და-ეკარგა და არაგველებს იმ დანაშაულის ბრალიც კი დასდო,

რომელიც სულაც არ ჩადენილა: „და აი მათი, ლოთი-ფოთეების, მიზეზით თბილისში შიმშილობა დაიწყო! მათი მიზეზით უარესი მდგომარეობა შეიქმნა, ვიდრე ხოსრო მირზას დროს იყო!“ „მერე ვინ ააგულიანა ისინი აეწიოკებინათ ქეშევრდომნი მეფეთმეფის თეიმურაზისა, ზეცასაც ნუ მოუკლია მისთვის კურთხევა?!“—ამ სიტყვებზე ზურაბმა მრისხანე თვალი მიაპყრო ვარდან ბრძენს, რომელიც იღუშებოდა, წყნარად აწკლატუნებდა ენას და სასოწარკვეთილებით შლიდა ხელებს. ზურაბი დაჟინებულ, ისარივით გამჭოლ თვალს არ აშორებდა ვარდანს. „დროა შევაჩერო ჭკუიანი ღარიბი, — გადაწყვიტა ვარდანმა, — თორემ თავადი შეჭამს ფოჩიანად, თანაც, მადლობა მას, ყველაფერი უკვე თქვა“. — და ნაბიჯი წადგა წინ:

— ო ბრწყინვალე მეფევ, კეთილინებე და ნება დაგვრთე წარმოვმდგარიყავით შენს წინაშე. ყველა საქმეში არის მოგება და წაგება. და თავადი ზურაბ ერისთავი რომ არ ყოფილიყო, რა მოგვივიდოდა? მოთმინება ერთ ადლზეც არ გვეყოფოდა. შაჰის მძარცველები კი აურაცხელ ბოროტებასა და ტანჯვას გვაყენებდნენ. და განა თავადმა ზურაბმა არ შეუწყო ხელი ამჟამად თბილისში გამეფებულ სიხარულს? ახლა ყველას გვსურს გემსახუროთ შენ, მეფეთმეფევ, ვაჭრობით დავამშვენოთ შენი სამეფო, ბრძანე, და კვლავ ახმაურდებიან ჩაქუჩები, კვლავ გაიღება დუქნები და ადლი შეუდგება ძვირფასი საქონლის ზომას თავადებისათვის, უბრალო საქონლისას კი — სოფლებისათვის.

და აქ, როგორც დათქმული იყო, ყველა ვაჭარმა და ამქარმა შესძახა: „ვაშა, ვაშა ჩვენს მეფე თეიმურაზს! განგრძობილ იქნეს სახსენებელი მისი უკუნითი უკუნისამდე!“

თეიმურაზი მიხვდა, რომ მდგომარეობა სერიოზული იყო, მაგრამ არ სურდა გაენაწყენებინა თავისი სიძე, ზურაბ ერისთავი. ამიტომ დაპპირდა უახლოეს დღეებში განეხილა საჩივრები, და კოშკებიდან გაეთავისუფლებინა ისინი, ვინც უდანაშაულო აღმოჩნდებოდა.

იმედგაცრუებული ვაჭრები და ამქრები გარს ეხვეოდნენ ვარდანს.

ვარდანმა დიდი მადლობა გადაუხადა კეთილ მეფეს დ», რაკი ნებართვა მიიღო, ვაჭრებსა და ამქრებს უბრძანა, საჩუქრები შემოიტანეთო. სიმართლე უნდა ითქვას, თეიმურაზს მეტად ესაჭიროებოდა საჩუქარი, რადგან უსამეფოდ დიდხანს ყოფნამ, მტრის ძარცვა-გლეჯამ გააპარტახა მეფის ხაზინა. ხავერდის, ფარჩის, ატლასის, იარაღისა და ამქართა სხვა ნაკეთობის გარდა, მის ფერხთა წინაშე დაეცა მძივებით ამოქარგული ერთადლიანი ქისა, ფულით რომ იყო გატენილი.

ვარდანმა ჩოჩქოლით ისარგებლა და რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა ღარიბ ვაჭარს. კვლავ ნაამებმა ნდობით, ნატიფი სიტყვებით ბოდიში მოიხადა მეფის წინაშე მცირე ძღვნისათვის, სპარსელები ხომ ულმობლად ძარცვავდნენ ყველას, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა მეფეთმეფის თეიმურაზის ძლიერი ხელინ მფარველობით მადლიერი ვაჭრები და ამქრები კვლავ გამდიდრდებიან და მეფის საჩუქრები მისი დიდების შესაფერისი იქნება.

თეიმურაზმა კეთილმოსურნედ დახარა წამწამები და გულში უხაროდა, რომ შესაძლებლობა მიეცა შეევსო თავისი ღარიბი ხაზინა მაიდნის ხარჯზე, რადგან თავადთაგან განსაკუთრებულ სიუხვეს ნუ მოელი: ყველანი ჩივიან, სპარსელებმა გაგვძარცვესო.

— მაგრამ, დიდი ხნის ნანატრო მეფევ, — განაგრძო მეფის თავაზიანი მოპყრობით გამხნევებულმა ღარიბმა ვაჭარმა, — ვაჭრობასა და საამქროებში მეტად ცოტა ხალხია, ვინ უნდა იმუშაოს? ან ვინ უნდა ივაჭროს, თუ ოსტატთა ნახევარი კოშკებშია გამომწყვდეული? დღეს ჩვენთვის დიდი სიხარულია: მეფეს ვხედავთ! იქნებ უდანაშაულოებზეც მოიღო მოწყალება? ხოლო, თუ ვინმე ზედმეტ სიტყვას აფრქვევდა, როგორც ბზეს, ჯერჯერობით ბზისაგან ოქრო არავის არ მიუღია.

მეორე დილას არჩილ-თვალმარჯვემ მოახერხა არაგველთა შეუმჩნეველად გაპარულიყო თბილისიდან.

ერთგული მზვერავის ფიქრები კვლავ სააკაძესთან იყო. გაახსენდა, როგორ გაფითრდა რუსუდანი, როცა ზურაბის სისხლისმღვრელი ამბები მოისმინა. მაგრამ მოურავმა განაცხადა, სხვა რამეს მისგან არც მოველოდი, რადგან ტახტის მოსაპოვებელი გზა, რაც უფრო მიუღწეველია, მით უფრო მეტი სისხლით არის მორწყულიო. მოურავმა მოიწონა შადიმანის ცდა, თუმცა თვითონაც არ ეჯერა მეფედ ლუარსაბის დაბრუნების შესაძლებლობა.

გულაბში გამგზავრების წინ არჩილი ღირსი გახდა დასწრებოდა მოურავის საუბარს „ვეფხვებთან". შემდეგში რა ხშირად ცოცხლდებოდნენ მოგონებანი, ესოდენ ღრმად რომ შთაებეჭდნენ ხსოვნაში. მაშინ მას ვერ გაეთვალისწინებინა, რომ უკანასკნელად ხედავდა მოურავსა და ძვირფას ადამიანებს. ბედმა მკვეთრად წარმართა იგი, არჩილი, სხვა გზით და სხვა ადამიანებს, სხვათა ბედს დაუკავშირა...

„ახლა რა ვქნათ? — უპასუხა მოურავმა დათოს გაკვირვებულ კითხვას. — ველოდოთ. თეიმურაზი დიდხანს ვერ დატკბება მოჩვენებითი მეგობრობით, რადგან მაიდანს ესაჭიროება ვაჭრობა და არა მაჯამა..."

არჩილი იგონებდა დაწვრილებით ამ შესანიშნავ საუბარს, რომლის დროსაც მოურავმა ორაკულივით იწინასწარმეტყველა ზურაბის შემდგომი მოქმედება.

მაგრამ ამ დროს შემოვიდა ჩოფურა სარბაზი და განაცხადა: ხანი ალი-ბაინდური ნებას აძლევს არჩილს ავიდეს კოშკში, სადაც ტყვე მეფესთან ერთად ცხოვრობს არჩილის მამა, აზნაური დათიკო, და პირადად თავად ბააკას გადასცეს წერილი, რომელიც ხანმა სარბაზის ხელით გამოგზავნა.

არჩილი, რომელიც მიეჩვია ფრთხილად ყოფილიყო მტრებთან, ერთბაშად მიხვდა, რომ ბაინდურის უეცარი მოწყალება უზაკველი როდი იყო, რადგან იმედი ჰქონდა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ენახა თავადი ბააკა. მაგრამ უნდა იჩქაროს, რადგან, ბრძენთა სიტყვით, ხვალინდელი დღე მოულოდნელობითაა აღსავსე. არჩილმა გადაწყვიტა, სანამ გა-

დასცემდა შადიმანის წერილს, ქამარში რომ ჰქონდა დამალული, თავად ბააკასთვის ეამბნა ქართლში მომხდარი სისხლისმღვრელი ამბები და თეიმურაზის გამეფება, რომელიც აპირებს ზურაბ ერისთავი ქართლის ვეზირი გახადოს. „მაგრამ ეს საქმეს არ ცვლის", — ასე თქვა თავადმა შადიმანმა, როცა მან, არჩილმა, სანამ გულაბს გაემგზავრებოდა, მოურავის ბრძანებით, მარაბდაში შეიარა.

„დაე მეფე ლუარსაბი მოწყალედ დათანხმდეს და მთელი ქართლი მუხლმოდრეკილი შეხვდება. თუ გაქცევა მოხერხდა, პირდაპირ წაიყვანოს ცხენი მცხეთის კათალიკოსთან. და იქიდან სამეფოს ყველა ეკლესიის ზარები ხალხს აცნობებენ, რომ საყვარელი მეფე დაბრუნდა ღვთის მიერ მისთვის ბოძებულ მამულში. ნებაყოფლობით წავა კახეთში თეიმურაზი — კარგია. არ წავა და არა მარტო ზემო, შუა და ქვემო ქართლის თავადები, არამედ გურიელი, ზურაბის მტერი, არამედ აგრეთვე სამეგრელოს მთავარი ლევანი, და იმერეთის მეფეც გიორგი სააკაძეს დაპირდნენ დაეხმარონ ქართლს, ხმლით უჩვენებენ თეიმურაზის ცხენს კახეთში დასაბრუნებელ გზას, თავად ერისთავს — ანანურში ან ცოტა უფრო იქით..."

კვლავ გადაიკითხა ბააკამ შადიმანის გასაოცარი წერილი. არა, ეს წერილი არ არის. ეს არის დაჭრილის მოთქმა, ვედრება დახმარებაზე. რა თქმა უნდა, ბაინდურის გადმოცემულ წერილს როდი გაუკვირვებია ასე თავადი, არამედ იმან, რომელიც არჩილმა ქამარში ამოიღო. მაგრამ ვინ დაჭრა ასე შადიმანი? თითქოს არა გიორგი სააკაძემ... ნუთუ თავადებმა?

„ვიხსნათ ქართლი! სვიმონს არ ცნობენ არც თავადები, არც ხალხი, არც ეკლესია. ამიტომ თეიმურაზისათვის ძნელი როდია დაეუფლოს სამეფოს, რომელიც მან აღუთქვა თავის სიძეს ზურაბ ერისთავს ისმაილ-ხანის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ზურაბი — მძვინვარე და უპატიოსნო — ქართლის მეფე! განა ეს სირცხვილი არ არის? განა ეს უბედურება არ არის?! ხალხი გმინავს ომის სიძნელეთა გამო. მხოლოდ საყვარელი მეფე, როგორც ლუარსაბს იცნობენ, შეძლებს იხსნას უბედური ქართლი არაგველი უზურპატორის მეფობის საშინელებისაგან... გიორგი სააკაძე, ქართლის უანგარო რაინ-

დი, საფრთხის წინაშე მზად არის დაივიწყოს მტრობა თავადებთან, როგორც ერთხელ უკვე დაივიწყა თეიმურაზის გამო, მზად არის დამნაშავე თავი მოხაროს ლუარსაბის ფერხთა წინაშე. მან თვითონ გამომიგზავნა წერილი და მთხოვა — ყოველი ღონისძიებით დავაბრუნო ქართლის ტახტზე ნამდვილი ბაგრატოვანი. და წერილში ფიცსა სდებს ასეთ მეფეს დაუპყროს მიწები „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", როგორც თამარ მეფის დროს იყო. მე კი, შადიმანი, თუ ლუარსაბი არ ისურვებს ვეზირად მიყოლიოს, მორჩილად დავბრუნდები მარაბდას. მაგრამ, თუ შადიმან ბარათაშვილი საჭირო იქნა, მთელი ჩემი ცოდნით შევუწყობ ხელს სამეფოს აყვავებას, — ამაზე შევთანხმდით გიორგი სააკაძესთან და დავივიწყეთ სამუდამო მტრობა. დაე, ბრწყინვალე მეფემაც დაივიწყოს პირადი წყენა და სამშობლოსათვის, მრავალტანჯული ქართლელებისათვის კვლავ აიღოს ხელში ბაგრატოვანთა სკიპტრა, თავს დაიდგას გვირგვინი. ხოლო განა მშვენიერი თეკლე, დიდებული თავისი სულიერი ერთგულებით მეფისადმი, ღირსი არ არის კვლავ ბრწყინავდეს ტახტზე? ან ეკლესია უდიდესი სიხარულით არ გაამართლებს დროებით საჭიროებას მიიღოს მუსლიმობა? განა წმიდა წყალი არ გაწმენდს უნებურ ცოდვას სამეფო ხსნისათვის? დაე მეფე ლუარსაბმა მოიგონოს მეფე დიმიტრი თავდადებული, რომელიც სელჯუქებს შეეწირა სამშობლოს ხსნისათვის..."

კიდევ მრავალი სიტყვით არწმუნებდა შადიმანი ლუარსაბს დამორჩილებოდა გარემოებას, ხოლო შემდეგ, როცა უძლიერესი მეფე გახდებოდა, ყველასათვის საკადრისი მიეზღო...

ლუარსაბს უკვე დიდი ხანია სრული აპათია დაეუფლა. იგი გრძნობდა, რომ ქერიმს არაერთგზის მოუმზადებია გაქცევა, მაგრამ, ცხადია, ღმერთს არ ნებავდა მისი თავისუფლება, თორემ დაეხმარებოდა. იგი თეკლესთვის იტანჯებოდა; სრულიად დაუძლურებული, იგი აღარ იდგა ქვასთან, არამედ შეისმინა „თავისი გულის მეფის" ვედრება და დღის მეტი ნაწილის განმავლობაში დამტვერულ ქვაზე იჯდა ხოლმე. გული ტკივილით ეკუმშებოდა, როცა მის წერწეტ ტანს ხედავდა, და იგი ღმერთს ევედრებოდა შეეწყალებინა უბედური ვარდისფერი ჩიტი და ენებებინა მისი, ლუარსაბის, სიკვდილი.

ბააკას განსაცვიფრებლად, შალიმანის წერილმა მეფე გამოაცოცხლა. იგი დიდხანს დადიოდა გაცვეთილ ხალიჩაზე და უეცრად მოისურვა ქერიმის ნახვა...

— ინშალაჰ, დღეს ღამით წარვდგები მეფეთმეფის წინაშე, — თქვა ქერიმმა, როცა დათიკოს მოუსმინა.

კვლავ და კვლავ ფიქრობდა ქერიმი განზრახულზე და რაც უფრო მიკერძებით, მკაცრად და გულდასმით განიხილავდა გარდუვალ შემთხვევებს, მით უფრო ნაკლებ ეპარებოდა ეჭვი ლუარსაბისა და ყველა მისი საყვარელი ადამიანის გაქცევის წარმატებაში.

მხოლოდ გვიან ღამით დამთავრდა მომქანცველი გამოსათხოვარი ლხინი. ალი-ბაინდურმა მიაცილა იუსუფ-ხანი მის სამყოფლამდე და მხოლოდ მერე გაუშვა ქერიმი. ბაინდურმა ორ მრისხანე საჭურისს უბრძანა, როგორც ყოველ საღამოს უბრძანებდა ხოლმე, ჩემს საწოლს უდარაჯეთო, და მაგრად ჩაეძინა.

ქერიმმა ეზო შემოიარა, ჭიშკართან გუშაგები შეამოწმა და ქვის კოშკში ავიდა. რასაკვირველია, ენის მიტანისა არ ეშინოდა, რადგან დიდი ხანია დაიწყო ღამით კოშკის შემოწმება. ეს ღონისძიება ძლიერ მოიწონა ალი-ბაინდურმა, და ერთხელ კინაღამ სცემა ჩოფურა სარბაზს, რომელმაც აცნობა, ქერიმი კოშკში ხშირად დადისო.

და მაინც დღეს ქერიმს განსაკუთრებით ახარებდა ის გარემოება, რომ ჩოფურა სარბაზს, ბაინდურის საიდუმლო მსტოვარს ციება აკანკალებდა, ხოლო სელიმს არ ეცალა, რადგან ხასამ ისარგებლა ბაინდურის ღრმა ძილით და კვლავ შეძვრა ხვრელით ჩაბნელებულ ბაღში.

ქერიმმა ადვილად აირბინა ციცაბო ქვის კიბე.

მეფე მას სიხარულის შეძახილით შეხვდა:

— ჩემო ქერიმ! მე უკვე შევურიგდი ჩემს ხვედრს, მაგრამ საიდუმლო წერილმა ამაღელვა. მზად ვარ ვცადო ბედი, რადგან უმჯობესია სარბაზების სატევრით განვიგმირო, ვიდრე განვაგრძო უმოქმედობა, როცა სამეფო იღუპება. არ ვიტანჯებოდი, როცა ქართლში გიორგი საკაძე ბატონობდა, რად-

გან ვიცოდი, ქართლი აყვავდება მისი ძლიერი მარჯვენით; არ დავტანჯულვარ, როცა თეიმურაზმა ტახტი მიიტაცა, რადგან იგი ბაგრატოვანია. მაგრამ ახლა უზურპატორი, სვიმონ მეფის სისხლით რომ შეისვარა, გულღრძო ზურაბ ერისთავი პარპაშობს ჩემს მამულში. ეს ჩემს ძალას აღემატება! სცადე მომიწყო გაქცევა. ჩამაცვი სარბაზულად, ან მოიგონე, რაც გსურდეს, მხოლოდ გამიყვანე აქედან.

— ო მეფეთმეფეო, განა დღისით და ღამით არ ვფიქრობ შენს თავისუფლებაზე?! ძნელი არ არის სარბაზულად ჩაგაცვა, მაგრამ წყეულმა ხანმა — შაითანსაც დაუფერფლავს იგი! — დიდი ხანია გასცა ბრძანება: ღამით ჭიშკარში გასული ყოველი სარბაზი გასინჯეთ, ფარანი სახეში შეანათეთ და მოსასხამი გახადეთო. ცბიერი ხანი ფიქრობს, რომ სამუდამოდ როდი გისურვებია ქვის საპყრობილეში დარჩენა... და დღითიდღე სულ უფრო ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს ალაჰის მიერ დაწყეველილ კოშკს.

— მაშასადამე, არავითარი იმედი არ არის?!

— ალაჰი იყოს ჩემი მოწმე! არასოდეს არა ყოფილხარ შენ, მეფეთ მეფეო, ისე ახლოს თავისუფლებასთან, როგორც ახლა.

— რას ამბობ, რასა, ჩემო ქერიმ?!

— მაღირსე ნდობა, დიდო მეფეო! ახლა თვით ბედი გვთავაზობს ხსნას. ყველაფერი ისე მტკიცედ არის აგებული, რომ არავითარ შემთხვევითობას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ალაჰს გიჩვენოს შენ, ბრწყინვალე მეფეს, ბრწყინვალე დედოფალს, თავად ბააკასა და ჩვენ, შენს მონებს, ქართლის გზა.

— რა მოიგონე, ჩემო ქერიმ?

— მე კი არა, მეფეთმეფეო, არამედ ალაჰმა მოიგონა და დროზე მიკარნახა. აუცილებელია ხვალ გავემგზავრო სიმარჯვის გზით განზრახულის მისაღწევად. ჩემთან წამოვა არჩილ-თვალმარჯვე. შეიძლება ჩვენ ვიმგზავროთ თხუთმეტ დღესა და თხუთმეტ ღამეს, შეიძლება ოცსაც, მაგრამ როცა დავბრუნდებით, იმ ღამესვე შენ, ჩემო მბრძანებელო, ცხენს მოახტები და გააქროლებ თავისუფალი, ვით ქარი, საითაც

მოისურვებ. მე ვთხოვე აზნაურ დათიკოს გაეფრთხილებინა დედოფალი... პირველი მარცხის შემდეგ ვერასოდეს ვერ გავბედავდი ტყუილად შემეწუხებინე.

— და შენ ქარაგმულადაც არ გვეტყვი? — ჰკითხა ბაკამ.

— არა თავადთა თავადო. მაღირსე ნდობა. მეტეხში გეტყვი, თუ ბრწყინვალე მეფე ლუარსაბი ისურვებს მოსმენას.

მრავალი წლის პატიმრობაში ყოფნის გამო მეფე ლუარსაბიც და თავადი ბაკაც შეეჩვივნენ ყველაფერში ნდობოდნენ ერთგულს, კეთილშობილ ქერიმს. და ისეთი რწმენით იყვნენ ახლა გამსჭვალული მისი სიტყვები, რომ ლუარსაბმა უეცრად თავი თითქმის თავისუფალი იგრძნო. იგი გამხიარულდა, გამოთხოვებისას ქერიმი გადაკოცნა და აღუთქვა: თუ ღმერთმა ინება, სამუდამოდ დარჩები ქართლის მეფესთან და შენი ჭკუით მეტეხს დაამშვენებო.

უხაროდა ბაკასაც. მას განსაკუთრებით ის არწმუნებდა, რომ არჩილ-თვალმარჯვე, ეს საკაძის მოწაფე, იღებდა მონაწილეობას გაქცევის მოწყობაში.

მეორე დღეს გულაბის ციხეში ყველა სარბაზი შურით ამბობდა, რომ ხანმა მიანდო აღა ქერიმს მოეყვანა მისთვის წარჩინებული ხასა, ხოლო ბედნიერს თან ეხლება გურჯი, რადგან ახალი ლამაზმანი ქართველია.

მტვრიან, მიყრუებულ ქუჩაში, სადაც თეკლეს პატარა სახლი მიყუჟულიყო, თითქოს დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ. უკვე მრავალი თვის განმავლობაში, გარდა მცხუნვარე მზისა და მწვანე ყომრალ-ყვითელი მტვრისა, ვერაფერს ვერ დაინახავდი. და უეცრად თაკსხმა!. თიხის გალავნებს გადაღმა ისმოდა ქალების მხიარული ჭყივილი, ისინი ძვირფას სითხეს აგროვებდნენ; ბავშვები ცას აყრუებდნენ მხიარული ყივილ-ხივილით; ფეხშიშველნი დატყაპუნებდნენ ქუჩაში, მუხლამდე ეფლობოდნენ აზელილ ტალახში და, წვიმით განბანილნი, სახლისაკენ გარბოდნენ. უკვე ბინდდებოდა. ჯერ აფორიაქებული მტვერი მძიმე ღრუბელივით იდგა ჰაერში, მაგრამ წვიმა

მიწაზე აკრავდა მას და, თითქოს ბრძოლით დაიღალაო, გაუვალ ბლანტ ჭაობს ქმნიდა.

თეკლემ თვალი მიაპყრო ვიწრო სარკმელს და ჩიტივით შეიფრთხიალა. მან ჯერ მეფის მოღიმარე სახე დაინახა და მერე მეფის ხელი. ლუარსაბმა შორით კოცნა გაუგზავნა; იგი თითქმის არასოდეს ასე ახლოს არ მისულა რიკულთან, თეკლეს ასე ნათლად არასოდეს არ დაუნახავს მისი სახე. შენელებულ წვიმაში, გამჭვირვალე ჰაერში ასე ახლოს იყო საყვარელი.

თეკლე ვერ გრძნობდა ვერც სიცხესა და ვერც სიგრილეს. მას არ აწუხებდა არც მთლად დასველებული ტანსაცმელი და არც ტალახში ამოსვრილი ფეხები. მეფე! მისი მეფე ულიმოდა, მისასალმებელ კოცნას უგზავნიდა. ო, ალბათ რაღაც მოხდა! რატომ გაუთბა მილეული გული? და იგი თვალს არ აშორებდა რიკულს და სულ უფრო ანცვიფრებდა ნათელი ჩვენება.

ამაოდ ემუდარებოდა მოხუცი გორგასალი, წავიდეთ აქედანო. თეკლეს არაფერი ესმოდა, არაფერი გაეგებოდა — ერთი რამ სურდა მხოლოდ: ეცქირა საყვარელი ადამიანისათვის, ეგრძნო მისი სიახლოვე! მაგრამ აი გამოსათხოვარი ხელის დაქნევა და... თეკლე შეკრთა: გაქრა მოღიმარი სახე, და რიკულს იქით შავი თარალი შეიქნა.

ძლივს ამოათრია გორგასალმა წებოვან ტალახიდან თეკლეს ფეხები და თითქმის ატატებული წაიყვანა იგი შინ. სარბაზები კი, ჭიშკართან რომ შეყრილიყვნენ, დასცინოდნენ მოხუცს, კუდიანს რომ ელოლიავებოდა.

— დედოფალო, — წასჩურჩულა მოხუცმა, — უკან დათიკო მოგვყვება, ალბათ სიტყვა აქვს სათქმელი.

მართლაც დათიკო წამოეწია, ოქროს ფული გაუწოდა და ხმამაღლა უთხრა:

— თავადმა მომავალი პარასკევისათვის გამოგიგზავნა, — და ჩურჩულით დასძინა: — დღეს ნება მიბოძე გესტუმრო, — პასუხს არ დაუცადა და სწრაფად გაბრუნდა შინისაკენ.

თეკლეს მოუთმენლობა ესოდენ დიდი იყო, რომ არა თუ წინააღმდეგობა გაუწია მოხუც მზეხას, არამედ კიდევაც და-

ეხმარა ჩამოერეცხა მისთვის ტალახი და ჩაწვა თბილ საპხის ქაფში, ხალისით ადევნებდა თვალს, როგორ უვარცხნიდა ერთგული მოხუცი ქალი სქელ, გიშრის ნაწნავებს, დათანხმდა ჩაეცვა რბილი ხავერდის ფეხსაცმელი და ნათელი ფერის ტანსაცმელი. დიახ, მისი დღესასწაულიცაა, დღეს ხომ თავისი გულის მეფე უღიმოდა!

ბოლოს, ღამემ დედამიწას დააფარა შავი ფრთები. აი ახლა... აი... არა, არ მოდის ერთგული მეგობარი. სულგანაბული უსმენს იგი, როგორ ეცემა სპილენძის ტაშტზე წვიმის წვეთები. მაგრამ მგონია, ჭიშკარზე უკაკუნებენ?.. ერთი, ორი, სამი! დათიკოა! მალე, დათიკო, გული იწვის მოუთმენლობით! იჩქარე დატანჯულ თეკლესაკენ!

— ო მეგობარო, როგორ გელოდებოდი! თქვი! თქვი, რატომ გამხიარულდა ჩემი მეფე? რატომ მოვიდა დღეს ასე ახლოს რიკულთან, თითქოს წყეული სარკმლის გაღება სურსო?

— მიხვდი, მშვენიერო დედოფალო, სარკმელი მალე გაიღება. იქიდან გამოფრინდება ორბი.

თეკლემ ამოიკვნესა და დათიკოს ხელი დაუჭირა. იგი ხარბად ისმენდა ქერიმისა და დათიკოს ვაჟის წასვლის ამბავს. დიახ, დიახ, მალე თავისუფლება იქნება! მალე, რაკი ფრთხილმა ქერიმმა სთხოვა გაეფრთხილებინათ იგი, რაკი მეფე ლუარსაბმა სთხოვა, გრწამდეს, ჩვენი შეხვედრის ჟამი მოახლოვდაო.

თავი მეთხუთმეტე

ათას ორი ღამე

— აი ბალამ! ბა-ლა-აამ!—ხრინწიანი ხმით ღიღინებდა ქარავანბაში და ცდილობდა გაემხნევებინა ვაჭრები, რომლებსაც სასო დაკარგოდათ უსაზღვრო სილაში დაენახათ თუნდაც ის წყალი, ალქაჯის ოინებით რომ გამოჩნდება და გაქრება ხოლმე.

შვიდი გამოცდილი ჩალვადარიც კი კისერგაწვდილი ხარბად მიშტერებოდა ანთებული თვალით ბარხანების უსწორმასწორო კვლებს, რომელთა გადაღმა ეჩვენებოდათ ოაზისი: პალმების ჩრდილი და წყაროს ჩახშობილი რაკრაკი.

აქლემები ერთხმოვანად აღლარუნებდნენ ეკვან-ზანზალაკებს, დაღლილნი ძლივს ადგამდნენ ფეხსა და ზოზინით მიათრევდნენ თავიანთ უფორმო ლანდებს. სქელი ნარინჯისფერი მზე იკარგებოდა ლილისფერ სივრცეში, და სხივები, თითქოს მხედრებს გავარვარებული შუბები დაკარგვიათო, უდაბნოს ფარავდნენ.

— ინშალაჰ! დაღამებამდე გავლევთ ამ მკვდარ გზას და სიგრილით დავტკბებით პირველ ქარვასლაში, — ძლივს წარმოთქვა ჩასუქებულმა ვაჭარმა და გამშრალ ტუჩთან ცარიელი მათარა მიიტანა.

— ინშალაჰ! — ამოიოხრა დარიჩინისფერი სახის ვაჭარმა და პირში მლაშე მტვრის გემო იგრძნო.

— ინშალაჰ! — იმედიანად გაიმეორა ცანცარა ვაჭარმა და ხალათის კალთით მოიწმინდა ნესვის ქერქივით გამხმარი შუბლი. — მალე უნდა გავიგონოთ დიდი ხნის ნანატრი, ვით სასიყვარულო ძახილი, ძაღლების ყეფა, თუნდაც აბეზარმა სილამ, ზრდილობიანად ვიტყვი, ყურები აგვივსოს.

დანარჩენი ვაჭრები, სიცხით რომ იტანჯებოდნენ, მდუმარედ შესცქეროდნენ ცას, დიდი დოლბანდის მქონეს რომ გაბზარულ ამეთვისტოდ ეჩვენებოდა, რომლის გარშემოც, როგორც ზოლიანი ბოხჩების პატრონს ეჩვენებოდა, დახეულ აბრეშუმივით იკლაკნებოდა ნარინჯისფერი ნისლი.

— აი ბალამ, ბა-ლა-აამ! — კვლავ სევდიანად დაიწყო ქარავანბაშმა და უეცრად შეწყვიტა. — ვფიცავ მექას, წინ მოჩანს ყვითელი გალავანი!

— კვლავ გულების* ოინებია! — გამოერკვია მთვლემარე მხიარული ვაჭარი. — ყველაფრით აცთუნებდნენ წითელბალ-

---

* გულები — გადმოცემით, უდაბნოს ავი სულები არიან, რომლებიც გზას უბნევენ მოგზაურებს, მერე კი სვამენ გზასაცდენილთ და დატანჯულებს.

ნიანები და თორმეტჯერ გადააცდინეს ქარავანი გზას! განა თვალწინ ალერსიანად არ ირხეოდა შაჰის მარმარილოსაგან აგებული ხანე? და განა მოზაიკიანი მეჩეთები არ გვეპატიჟებოდნენ გრილ თაღებში? ხოლო ციები წყლის შადრევნები არ გვიწვევდნენ მწვანე ბაღებში? მაგრამ, მივუახლოვდებოდით თუ არა, უწმინდურნი მგზავრთა სიამეს კვლავ მალავდნენ ურწმუნოთა ტყავისაგან შეკერილი თავიანთი შარვლების ღრმა ჯიბეებში.

— ალაჰის წყალობაც ნუ მოგვკლებია! — მტკიცედ თქვა ქარავანბაშმა და გადაჭრით მიაბრუნა მეწინავე დრომადერი* — ამჯერად ავი სულები არაფერ შუაში არ არიან.

დასვენება რომ იგრძნეს, აქლემებმა, რომლებიც ყვითლად იდუქებოდნენ, უფრო ააწკრიალეს პატარა ზარები. კიდეე ერთი გაქანება — და ქარავანი გაჩერდა.

— დიდება წმიდა ჰუსეინს! — წამოიძახა მხიარულმა ვაჭარმა და პირველი ჩამოხდა დაჩოქილი აქლემიდან.

ისპაჰანელმა ვაჭრებმა სატევრები მოისინჯეს და გამოცოცხლებულნი მიუახლოვდნენ მაღალ ოთხკუთხიან თიხის გალავანს, რომლის გადაღმა იმალებოდა ორსართულიანი ბანიანი შენობა, ვიწრო სარკმლები და გამაგრილებელი სოხანე რომ ჰქონდა.

შავგვრემანმა მასპინძელმა გრძელი, რკინის ბუნიკიანი ჯოხით გარეკა ძაღლები, ყურისწამღებად რომ ყეფდნენ, ჭიშკარი გააღო, სიხარულით აატუტუნა თვალები და მოჰყვა სალამს: „ალაჰსაც ნუ გაუგმირავხართ, გულუხვო ვაჭრებო, უბედურების უეცარი ისრით!"

ჩალვადრებმა ყური არ ათხოვეს პატრონის ტკბილ სიტყვებს და ეზოში გამართულ მხსნელ ფარდულს მიაშურეს. სადაც ასაკიდი აქლემები ტვირთიანად ეყრებოდნენ სუნნელოვან ბზეზე.

მარდმა მსახურებმა მოიტანეს თიხის ჩაფები, ისპაჰანელები სიამით დაეწაფნენ ახალ წყალს, უდაბნოს ამ უდიდეს განძს.

---

* ორკუზიანი აქლემი.

ჩალვადრებმა ბოხჩები ცალკე, თაღოვან ოთახში გადაიტანეს და ჯგუფად მიაშურეს საერთო სადგომს, ამასთან წინასწარ ტკბებოდნენ საჭმლისა და დასვენების სიამით. ვაჭრებმა კი ერთხელ კიდევ გადაითვალეს ბოხჩები, სალოცავი ხალიჩები დაფინეს, დაღლილობა სძლიეს და ნამაზი შეასრულეს. მერე პატრონს კეთილდღეობა უსურვეს სიზმრად და ცხადად და ფრთხილად გამოჰკითხეს: ფარდულში რატომ არ არიან სხვა აქლემები, საჯინიბოში კი, რომელიც განკუთვნილია მთელი რემისათვის, მარტო ორი ცხენიაო.

— ო კეთილმორწმუნე ვაჭრებო, კურთხეულ არს წმიდა ალი, რომელმაც ჩემს ქარავასლაში მოგიყვანათ, რადგან ათი დღეა, რაც იგი ჰგავს უდაბნოს, თქვენ რომ ეს არის გამოიარეთ. ყაჩაღი ალმანზორი — წმიდა ჰუსეინსაც დაუბრმავებია იგი! — დამშეულ ვეფხვზე უფრო საშინელია. დიდი შარა გადაკრა, როგორც როსტომმა მტრის კისერი. და ახლა დაშინებული ვაჭრები სხვანაირად ვერ მოგზაურობენ, თუ ქარავნები არ შეაერთეს. ბისმილაჰ, რისი გულისთვის შეუდექით ასეთ გრძელ გზას, მხოლოდ შვიდი ჩალვადრის ამარა?

— ვფიცავ ალაჰს, — შიშით წამოიძახა დიდდოლბანდიანმა ვაჭარმა, — შაჰინშაჰის ბრძანებით ჩვენ მოვიარეთ ბევრი უცხო ქვეყანა და დევლეთ-ხანესთვის და ჩვენი დუქნებისათვის ვიყიდეთ ყველაფერი, რაც ხანების თვალს იამება. დიდი ხნის მოგზაურობამ და ზრუნვამ ძვირფასი საქონლისათვის ჩვენი ფიქრი მიაპყრო ქალაქებს, ბამბუკის ტყეებში რომ ჩაფლულან, და მწვანე ნაპირებს, ხომალდებს რომ იზიდავენ. ქარს კი ჩვენს ყურამდე არ მოუტანია უდაბნოში მომხდარ ცვლილებათა ამბავი.

— მადლობა ყოვლადძლიერს, — მიუგო პატრონმა და სახეზე დიდი ღვთისმოსაობა გამოეხატა, — უდაბნო უკვე გამოიარეთ, და ალაჰსაც უნებებია თქვენი სიკვდილი არა უადრეს თქვენი მტრებისა. აქედან დაწყებული შარაგზა და ხშირი ქარვასლები ხელს არ უწყობენ ყაჩაღ ალმანზორს.

— მე ვიცოდი, რომ ჩვენი გზა ნებავს ალაჰს! — წამოიძახა ბურთივით მრგვალმა ვაჭარმა და ნარინჯისფერ ცხვირთან სუნიანი ქარვა მიიტანა. მგზავრობის წინ მზის ამოსვ-

ლიდან მეორე ამოსვლამდე ვლოცულობდი და, როცა მეჩეთში კეთილმორწმუნე მოხუცი დავინახე, რომელსაც თორმეტ ნაკეცად ეხურა წმიდა დოლბანდი, რჩევა ვკითხე. მან მიწინასწარმეტყველა კეთილი მგზავრობა და ნანატრი გამდიდრება, რადგან შაჰ აბასის სიუხვე ოქროს სინათლის მომფენია. ხოლო ხანების ცოლებს არა სურთ ჩამორჩნენ შაჰინშაჰის ცოლებს და აგრეთვე ეტანებიან უცხოურ სამკაულს, განსაკუთრებით იმ შორეული დღიდან, როცა „ირანის შუბმა“ — გურჯმა სააკაძემ შაჰის ცოლს, დედოფალ ლელუს, ფირუზის ვარდზე მჯდომი ბულბული მოუტანა.

— ეფიცავ დილის ვარსკვლავს, სიუხვე აქ არაფერ შუაშია! ბულბული უძლეველმა ბაღდადში მოიპოვა, — ხმამაღლა გაიცინა მხიარულმა ვაჭარმა და გულში თავის თავს უსურვა მოეპოვებინა პალმის ქვეშ მყოფი ფირუზის სპილო.

— და მეც მაკმადმა შთამაგონა რჩევა მეკითხა მოლისათვის, — წაიბურტყუნა ავგულმა ვაჭარმა და კრიალოსანი ააჩხაკუნა. — კარგა ხანს რომ იფიქრა, მოლამ თქვა: „მრისხანე შაჰ აბასის ბრძანება ალაჰის ბრძანებას უდრის. ამ მიზეზით ზეცის მპყრობელი იცავს გულმოდგინე მართლმორწმუნეთა გზას. მაგრამ უცხო ქვეყნებში გამგზავრებისას მეჩეთს უნდა შესწირონ და ამით მოიპოვონ ყოვლად ძლიერის კეთილგანწყობილება“.

— წინასწარმეტყველების უნარით სწავლულ დერვიშს ვერავინ ვერ შეედრება. უცხვირო იასელი მუსტაფა ვარსკვლავთა შერწყმით მიქადიდა დიდ მოგებას, — კმაყოფილებით დაისვა ხელი წვერზე ელამმა ვაჭარმა.

— ინშალაჰ, ზარალისათვის მხოლოდ სულელები მოგზაურობენ, — თქვა მხიარულმა ვაჭარმა და ცბიერი თვალები გაუბრწყინდა. — რა თქმა უნდა, — დასძინა დაბალი ხმით, — ქარვასლა დამშვიდების ადგილი როდია, მაგრამ თუ ოთხი დაიძინებს და დანარჩენები იდარაჯებენ, დილამდე ყველა მოასწრებს დასვენებას და გზა შემდეგ ქარვასლამდე ჩვენთვის სიამე იქნება.

„ყველა მოასწრებსო“, ამის გაგონებაზე ვაჭრებმა კვლავ საშინელი დაღლილობა იგრძნეს, და პატრონიც აფუსფუსდა:

— ალაჰი იყოს თქვენთან! შედით საერთო ოთახში და ყურადღება მიაქციეთ ვახშამს, გულმოდგინედ რომ არის მომზადებული ჭეშმარიტად ჰუსეინის გამოგზავნილი სტუმრებისათვის.

— ალაჰმა შეგვიწყოს ხელი, დიდადპატივცემულო პატრონო, დავაფასოთ შენი მასპინძლობა აქ, — მოუჭრა სიტყვა ავყია ვაჭარმა და კუთხეში დაწყობილი ბოხჩები გადათვალა.

— მესმის და გემორჩილებით! წმიდა ალიმ შთამაგონა დავატკბო კეთილმორწმუნე ვაჭართა ყური საუცხოო არაკებით, რომლებითაც აგერ ოთხი დღეა საკმელივით უკმევს ჩემს სულს კეთილმორწმუნე შეიჰი. მაგრამ ხვალ იგი თავისი უტყვი მსახურითურთ სტოვებს ჩემს გრილ თავშესაფარს, და მზად ვარ სასოწარკვეთილების ცრემლი დამდინდეს თვალთაგან.

— შეიჰთან შეხვედრა კარგის მომასწავებელია, — მოწონებით ჩაიქნია თავი ჩასუქებულმა ვაჭარმა, — რადგან შეიჰმა თქვა: „ჩემო მონავ, საკადრისი მიუზღე ჩემს სტუმარს!“ და თუ, ო ვაჭრებო, ინებეთ, მე მოვიწვევ შეიჰს გაიზიაროს ჩვენი უხვი პურ-მარილი, რათა თავი იჩინოს გულწრფელობამ და გამხიარულდეს ღამე.

— უზრდელობა იქნება მოიწვიოს ერთმა, როცა აქ შვიდნი ვართ. — ეპვიანობით თქვა ავყია ვაჭარმა.

— აბა რომელ მართლმორწმუნეს არ მოიყვანს აღტაცებაში შენი სიმართლე, — თქვეს დანარჩენებმა, — საერთო მოწვევა ყოველთვის უფრო იამება სტუმარს...

ფართო ტახტზე, რომელსაც ხალიჩა ეფარა და მორთული იყო ბალიშებითა და მუთაქებით, მეოცნებესავით უძრავად იჯდა ფეხმორთხმული, მდიდრულად ჩაცმული შეიჰი. თეთრი შალის ჩალმა, თორმეტ ნაკეცად რომ ეხურა, თორმეტი იმამის, ალის შთამომავალთა, რიცხვის მიხედვით, მკაფიოდ აჩენდა მამაცურ შავგვრემან სახეს. გამჭრიახი, დამცინავი თვალებიც კი რატომღაც მოეწონათ ვაჭრებს. ახალგაზრდა შეიჰმა თავაზიანად შეხედა და კრიალოსნის თვლა შეაჩერა. დინჯად დაისვა მოვლილი თითები შავ აბრეშუმისებრ წვერზე, ზაფრანით შეღებილი ფრჩხილები აჩინა, უბრალო მსახუ-

რისაგან მიიღო ბროლის ყალიონი და განემზადა ნირვანაში ჩასაძირავად.

— ო კეთილმორწმუნე შეიხო, — წარმოთქვა მხიარულმა ვაჭარმა და მლოცველივით დაიკრიფა ხელები გულზე, — კურთხეულ იყოს ალაჰი, რომელმაც ჩვენს გზაზე გამოგგზავნა! უარს ნუ გვეტყვი გაიზიარო ჩვენი ვახშამი.

შეიხმა სუნნელოვანი ბოლი გამოუშვა, ცოტა დაფიქრდა და თქვა:

— სიბრძნე გვასწავლის: ყოველი მართლმორწმუნე გზაში ფრთხილად უნდა იყოს. და მეც ვფხიზლობ, რომ შევინარჩუნო ჩემი ბროლის ყალიონი. მაგრამ თქვენი ზრდილობა ნდობას მინერგავს, და დაე ჩვენი შეხვედრა იყოს ყოველგვარი კეთილდღეობის მიზეზი. მე, შეიხ აბუ-საიდ იბნ აბულ ჰეირის თაყვანისმცემელი, ალაჰსაც უკურთხებია იმისი სული, ვიღებ თქვენს მოწვევას.

აანთეს სათადარიგო სანათები. საპატიო სტუმარი იჯდა, მოქარგული ბალიშებით გარშემოწყობილი, ვაჭრები კი დაბალ სუფრას უსხდნენ და გაძლიერებით უმასპინძლდებოდნენ.

როცა შვლის ხორცითა და ინდის ხურმით მოიკლეს პირველი შიმშილი, ვაჭრებმა იფიქრეს, უკვე დროა უზრდელური დუმილი შევწყვიტოთო, და ყველანი ერთბაშად ალაპარაკდნენ.

— რა საქმეზე მოგზაურობ, კეთილმორწმუნე შეიხო? — ჰკითხა ჩასუქებულმა ვაჭარმა და ქონიანი თითები გაფიცხებულ ლავაშზე შეიწმინდა.

— კეთილშობილო ვაჭრებო, მე აუცილებლად უნდა ვთქვა ასეთი სიტყვა: მამაჩემმა, უკვდავი იყოს იმისი ხსოვნა, დამიტოვა ქონება, რაც საკმაოა ყველა ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებლად, და მე ვმოგზაურობ ცნობისმოყვარეობისა და სიბრძნის სიყვარულისათვის, რადგან ნათქვამია: „ვინც მეცნიერებისათვის მოგზაურობს, მას ალაჰი სამოთხის გზას უმსუბუქებს“.

— კეთილმორწმუნე შეიხო, — აღტაცებით უთხრა მხია-

რულმა ვაჭარმა, — ხომ არ შეგხვედრია შენს გზაზე ის, რაც აღტაცების ღირსია?

— ალაჰმა დალოცა ჩემი გზა, და მე ბევრი რამ ვნახე და გავიგონე, რაც შეიძლება მართლმორწმუნეთათვის ჭკუის სასწაულებელი და დასატკბობი იქნეს. ნურც თქმულა, რომ შეჰერაზადის „ათას ერთ ღამეს“ არ წარმოუშვია დამოძღვრების მოყვარულთა ათას ორი ღამე.

— მაჰმადისათვის, — წამოიძახეს ისპაჰანელებმა, — დატკბე ჩვენი ყური ათას ორი ღამით!

— ჩემამდე მოაღწია,—დინჯად წარმოთქვა შეიჰმა, — რომ ბევრ ქვეყანაში კეთილდღეობენ ვაჭრები, სხვისი ჭკუის საქონელს რომ ვაჭრობენ, ისინი აქლემებითა და ცხენებით მიემგზავრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სულაც არ აფიქრებთ შორი გზა, გამოიკითხავენ ან იგავებს მამაც შაჰზე, ან თქმულებას ავ ხანზე, ან მხიარულ ალქაჯზე, წერენ ყოველივე ამას პერგამენტზე, თითებიც გახმობიათ მათ, და შემდეგ მოურიდებლად ყიდიან სხვისი ნაფიქრის ნაყოფს, ხოლო თავის ნაფიქრად კი ასაღებენ. მარჯვე დერვიშები ათასობით და ათასობით ამრავლებენ ამ გრაგნილებს და ყავახანებსა ან ჩაიხანებში აძლევენ თავისად მგოსნებსა და მთქმელებს. ო, უსინდისოები, ისინი მაღალ სკამებზე სხედან, ჯოხებს იქნევენ და გაგონილს უამბობენ ყავის მსმელებს ან ლულაქაბაბის მჭამელებს. და გამოდის ისე, როგორც შაითანს სურს: სარგებელს იღებს ყველა, გარდა პირველისა. აუცილებლად უნდა გკითხოთ: იმ ვაჭართაგანი ხომ არა ხართ და სხვისი აზრებით ხომ არ არის გატენილი თქვენი ბოხჩები?

— ო ალაჰ, ქებულ იქნეს სახელი მისი! — წამოიძახა მსუქანმა ვაჭ-რმა. — მრავალი წელია ვვაჭრობ; ხშირად უწოდებიათ ჩემთვის დოლბანდიანი მაიმუნი, მაგრამ ჯერ არავის გაუბედავს ეწოდებინოს მგოსანი ან მთქმელი. იცოდე, კეთილმორწმუნე შეიჰო, აბუ-საიდ იბნ აბულ ჰეირის თაყვანისმცემელო, ალაჰსაც გაუნათლებია იმისი სული, ჩემი ბოხჩები გატენილია ფარჩა-ალტაბასით და უნაზესი აბრეშუმის ქსოვილებით, იშვიათი ძველი სახეებით რომ არის ამოქარგული;

მისი ტარების ღირსი მხოლოდ შაჰის საყვარელი ცოლები არიან.

— ჭეშმარიტად, მე არც კი გამიგონია, კეთილშობილო შეიხო, ასეთ ნაქურდალ საქონელზე, — თქვა ჭოკიეით მაღალმა ვაჭარმა, რადგან შაჰ აბასის სურვილით ამ ბოხჩებში შენახულ სპილოს ძვალს არ ესაჭიროება ლიტონი ნაფიქრის მეზობლობა.

— და განა ინდოეთის ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობას ესაჭიროება? — ჰკითხა ჩამრგვალებულმა ვაჭარმა და გაკვირვებით აზიდა ბეირუთის წითელი ქარვისფერი წარბები.

— მოწმეა გაბრიელი, ჩემი საქონელი არც ოქროა და არც ვერცხლი,—ჩაერია საუბარში მხიარული ვაჭარი,—მაგრამ არსად არ გამიგონია, რომ ზაფრანაში, ვანილში, ქაფურში, ილში, დარიჩინსა და თაფლინდში ოქროს არ იხდიდნენ.

— ან იქნებ ჩემი მგზავრობის შემდეგ შეიცვალა ვაჭრობის არსი?— ჩაილაპარაკა ავყია ვაჭარმა,— ან არავის უთქვამს. რომ იშვიათი სუნამოები, ცრემლივით გამქვირვალე ზეთები, ჩინური ფოთლოვანი წამლები, სამკურნალო სველი საფენი, სუნნელოვანი მალამოები, ძვირფასი ნელსაცხებლები, სხვადასხვა ყვავილის მაგარი ნაყენები და სუნიანი წყლები ოქროზე იაფი გახდნენ!

— მოწმეა ჰუსეინი, თქვენი საქონელი დაამშვენებდა ალიბაბას მღვიმეს, თქვენთანაც ყოფილა ყოვლისმხედველის კურთხევა! მაგრამ მეექვსე თქვენგანი, რომელსაც დიდი დოლბანდი უმშვენებს თავს, უსიამოდ დუმს, თითქოს მართლმორწმუნის მწუხარება ორ სამყაროში არ ეტეოდეს. მისი ბოხჩები კი მეტად პატარებია, — დიდი ფიქრების შესანახავად ხომ არ არიან ისინი განკუთვნილნი?

— არ ვიცი რამ გამოიწვია, ო კეთილმორწმუნე შეიხო, თქვენი ასეთი საწყენი ეჭვიანობა, ქეციც ნუ გადაგდებიათ უცხო ქვეყანაში! იმამების გულისათვის მითხარი, რათ მინდა სხვისი აზრები, როცა ჩემიც არა მაქვს? ხოლო ჩემი ბარგი მცირეა, რადგან ძვირფასი თვლები: მარჯანი, ყვითელი ქარვა, მარგალიტი, ალმასი, ფირუზი და იაგუნდი ბრინჯი როდია, რომ ბოხჩებით ვზიდო.

— მომიტევონ კეთილშობილმა ვაჭრებმა, — სასიამოვნოდ თქვა შეიხმა და ხელი შუბლსა და გულზე მიიდო, — მაგრამ ჩემი სიფრთხილე მაგალითადაც გამოგდგომიათ, რადგან ნათქვამია: „ჯერ შეიტყე, ვინ არის შენი მსმენელი, თორემ სახედრის ყროყინის ფასი აქვს შენს საუბარს, რომელსაც შემდეგ შენს საზიანოდ გამოიყენებენ.“ იყოს ისე, როგორც თქვენ ინებეთ. დატკბეს თქვენი სმენა იგავით — „ალაჰის ცოლი“ ათას ორი ღამიდან. ასე გამიგონია, რომ ზრდილობა მოითხოვს საუბარი დავიწყოთ შიშველი ადამ-ხანიდან. მაგრამ ნება მიბოძეთ, ეს უზრდელობად მივიჩნიო, რადგან ყოვლის შემქმნელი პირველი ადგილის ღირსია. და კიდევ უთქვამთ: „გული ქვაბია, ენა კი კოვზი; რაც ქვაბშია, კოვზსაც ამოჰყოლია“.

აქ შემოვიდა შეიხის მსახური, ყალიონი მიართვა და ოდნავ გასაგონად ყურში ქართულად ჩასჩურჩულა:

— როცა დაიფიცო, წვერი არ ჩამოიწიო.

შეიხმა ყალიონი მოსწია და ხმამაღლა სპარსულად თქვა:

— ინშალაჰ, მიწებებული არ ჩამოვარდება! ყალიონის სურნელოვან კვამლში ახლა თქვენს წინაშე წარმოდგება, ო ვაჭრებო, —

ალაჰის ცოლი

ჭეშმარიტად დიდ არს სახელქებული ალაჰი! რადგან სანამ სამყაროს შექმნიდა, ასეთი სიტყვა უთხრა თავის თავს: „განა უფრო გონივრული არ იქნება, ჯერ ცოლი შევიქმნა?“ და, რაკი თავისთვის ავი არ უნდოდა — შეიქმნა! ო მაჰმად! ო ალი! არ იყო მისი ბადალი წარსულში და არ იქნება მომავალში! ვაზივით მოქნილია მისი თეძოები, სურნელოვანია მისი მწვანე თმა, სავსე მთვარეზე უფრო ფერმკრთალია მისი შუბლი, მზეს უგვანან თვალები. მისი სუნთქვა ქვასაც კი ენაყოფიერებს, ნაბიჯი მისი ტოვებს ბედნიერების კვალს და ფუტკრის თაფლზე უფრო ტკბილია მისი ნერწყვი.

დიდად აღფრთოვანდა ალაჰი და ცოლს სახელად დაარქვა ბიცოცხლე და თავის სატრფოს გულისათვის შექმნა სამყარო.

— ჩემო მშვენიერო ხანუმ, — წამოიძახა განცვიფრებულმა ალაჰმა, — ნუმც გადაქცეულა ცხადი სიზმრად! შენ გაახარე თვალი ჩემი და აღაფრთოვანე ფიქრები. იყოს აგრე! აიღე თასი სიკეთის თესლით სავსე ჩემ მიერ შექმნილთათვის. სამართლიანობისათვის აურიე თესლი და აღსრულდეს, რაც ასასრულებელია! დაე ყველას ერგოს თანასწორად და ერთნაირად. დათესე მიწა და ლოცავდნენ ცოცხალნი შენს გამოჩენას. წადი, მაგრამ, მეშვიდე ცის გულისათვის, უკან არ მოიხედო, მშვენიერო ჩემო ხანუმ.

სიცოცხლემ თასი აიღო, ალაჰს გაუღიმა და გაიფიქრა: „რატომ არ მოვიხედო“? ხოლო როცა ქალი ფიქრობს, იგი საქმის არსს ივიწყებს.

— სამყაროსათვის! — წამოიძახა უეცრად სიცოცხლემ და ყოვლისშემძლე მბრძანებელს გადაჰხედა. — გიცავდეს ელვა და მეხი! რას ჭმუჭნი ხელში? ჭეშმარიტად შენზე, ო ალაჰ, როგორც მამაკაცზე, არაფერი კარგი არ ითქმის. რად გინდა ეგ ძვალტყავა საშინელება? ვფიცავ ვარსკვლავთა დაბადებას, ასეთ თავზე სარეველა ბალახიც კი არ იხარებს. შეხედე მის ცარიელ თვალებს, ნატვრით, განურჩევლად რომ უცქერიან ყველაფერს — „მთვარიდან თევზამდე“. განა საშინელებას არ გგვრის, ო ალაჰ, მისი დაკრუნჩხული ხელები, უტიფარი სიხარბით რომ იწევენ უაღრესად ფარულისაკენ? ვფიცავ მზეს, მის სუნთქვას შეუძლია გაფანტოს ძლიერი საავდრო ღრუბელი, და გვამი მისი უნაყოფოა, ვით შენი მეორე ცის ვაკე!

— ჭეშმარიტად, — თქვა ალაჰმა, და თან სიცოცხლის მშვენებით ტკბებოდა, — ქალის სილამაზე არ განიზომება მისი გონებით! როგორ შეიძლება იგემო გაფურჩქვნის სიტკბოება, თუ არ იგემე გახრწნის სიმწარე? და რას ნიშნავს უსასრულოს სილამაზე, თუ დასასრულის სიმახინჯე არ იქნება? შესაძლებელია განა უსაზღვრო ბედნიერება, თუ არ იქნა მისი დაკარგვის ზღვრული შიში? და რად ღირს სიკეთის მწიფე ნაყოფი ბედის უდანოდ, მას რომ გაჭრის? არც დამქანგვოდეს საიდუმლოთა კლიტენი! დაე მოხდეს ის, რაც უნდა მოხდეს!

ჰე ნებას დავრთავ მართლმორწმუნეთ იყოლიონ ოთხი კანონიერი ცოლი და უთვალავი ხასა, რადგან ნათქვამია: ქალის შეშვეობით შეიცნობ ერთსა და იმავე დროს კეთილისა და ბოროტის გზებს. მაგრამ მე ალაჰი ვარ და ამისათვის ჰარბად მეყოფა ორი ცოლი. და არც ერთი ხასა, რადგან უფრო სასიამოვნოა მეზობლის ჰარამხანაში ნახო ჩხუბი და დავიდარაბა. ო ჩემო მშვენიერო ხანუმ, ყოველივე საუკეთესო შენს შექმნაზე დაიხარჯა, რადგან შენ ხარ ყველა სურვილის, ყველა იმედის საწყისი. რისგან უნდა შემექმნა იგი, ვისი არსიც ყველა სურვილის დასასრულია? მაგრამ ნურც ეთქვათ: „ალაჰ-ინ-ალაჰი უსამართლოა!" მეორე ცოლს წავართვი სამოთხის მშვენება და ჯოჯოხეთის საშინელებით დავაჯილდოვე. იცოდე, შენგან სასტიკად გაბახებული საშინელი და ულმობელია, რადგან მისი სახელია სიკვდილი!

ო აღზევებულო, რომელიც სინათლეს სიბნელედ აქცევ და სიბნელეს სინათლედ! შენ, რომელიც აღებ და ხურავ სამყაროს კარს, როცა საჭიროა! შენ ყოვლად ძლიერი ხარ! ყოვლისმომცველი ხარ! მაგრამ შენც უღონო ხარ დაარწმუნო ეჰეიანი ქალი!

ვარდის მსგავსი სიცოცხლის მწუხარება რომ დაინახა, ალაჰმა გაიფიქრა: „ამაონი არიან ქალები. მათი დარწმუნება შეიძლება საჩუქრებით და არა სიტყვებით" და თქვა:

— მსურდა ჩემი უბადლო ხანუმი დამესაჩუქრებინა ძვირფასი მძივების მანიაკით. არც ერთ ცაზე მისი მსგავსი არ არის სხვადასხვაობით. აი პირველი პირველთაგანი — თეთრი, მისი სახელია სიმკაცრე; იგი მტკიცეა, ვით უფსკრულის ძირი, და ცივია, ვით სიმაღლის ჭერი. ჭეშმარიტად მშვენიერია ყვითელი — ეს არის აზრი; იგი ფრთოსანია, როგორც სიკეთე, რადგან იქლინთება მხოლოდ მზის სხივებით. მის გვერდით მწვანეა; აფასებდე მას, რადგან ეს არის ძალა, უიმისოდ არ ხარობს არც ერთი მცენარე. დაამშვენე მისი ფერით დედამიწა და შენ შეიცნობ საიდუმლოებათა საიდუმლოებას. დაიმახსოვრე მრავალწახნაგოვანი, იმ კურთხეულის სახელია სიყვარული, მაგრამ „მთვარიდან თევზამდე" ნუ ენდობი მის სხვადასხვა ფერის ბრწყინვალებას, ოხვრისა და

მწუხარების წყაროს, რადგან სიყვარული ბრმაა! ამქვეყნიური სიკეთისათვის მიიღე ცისფერი, ჩემგან კეთილის სახელით დაჯილდოებული, იგი თაფლის ფიჭაზე უფრო რბილია. ანგელოზთა საამებლად გამოძერწე მისგან ფრთები და—სამოთხის ხის ტუბისა და სამოთხის წყაროს ქევსერის გულისათვის — მშვენება ზენა და ქვენა, ჩემო მშვენიერო ხანუმ, ჭეშმარიტი სარწმუნოების სინათლისათვის შეინახე სისხლისფერი, რადგან იგი ბედნიერებაა! მედუზას მსგავსად იგი მოლიპული და გაქნილია; მხოლოდ რჩეულნი გახადე მისი შეხების ღირსი. აუცილებლად უნდა დაეუმატო მოკრუნჩხული — საზიზღრობა. ნუ შეგაშინებს ბლანტი! არსად არ არის ნათქვამი, სად დაკარგა თავისი მუდმივი ფერი და რომელ ჟამს იღებს იმ ფერს, რომელიც მისთვის ხელსაყრელია. ხელი ჩემი დიდსულოვანია, წაიღე სხვა მძივებიც. მე გულუხვობა გამოვიჩინე, და თითოეული მძივი ჩემი მოფიქრების ნაყოფია და დაჯილდოებულია განსაკუთრებული მნიშვნელობით. ფლობდე მათ, საყვარელო სიცოცხლევ, და ყოვლად ძლიერი იქნები. და იყოს ყველა სურვილი შენი თავსა ჩემსა ზედა!..

სანამ მზე და ვარსკვლავები მოძრაობდნენ, სიცოცხლე ტკბებოდა მანიაკით, მსუბუქი ოხვრით დაიკიდა იგი მოქნილ ყელზე, თეძოების რხევით გაიარა, გაიღიმა, შეუმჩნეველად გაკვნიტა და გადაყლაპა ყოფნის მძივი. თვალებით, სიტკბოებათა სიტკბოებას რომ უქადიდა, უცქეროდა ალაჰს და ჩურჩულებდა:

— ო ალაჰ, უმშვენიერესო მამაკაცთა შორის, ყოვლად ქებულო, მოწყალეო! დიდი ხარ გულუხვობითა შენითაც, მაგრამ აი ცარიელი საკიდი, მთელ მანიაკს რომ აფუჭებს. სად ვიშოვნო შენი საჩუქრის ღირსეული, ო სამყაროს მბრძანებელო?

სიცოცხლის თეძოების თამაშით გახელებულ ალაჰს, მწველი ნდომით რომ იყო გამსჭვალული, მოკვდავის მსგავსად სურდა მივარდნოდა სწორუპოვარს, მაგრამ შეხედა თუ არა, მიხვდა: თუ ახალი მძივი არ ვუსაჩუქრე, სატრფო არ ინებებს სიყვარულით ტკბობასო, მოღიმარ მთვარეს შეხედა და გაიფიქრა: „ო შაითან, თვით მე ხომ ვერ ჩამოვეკიდები იქ, სა-

დაც საჭირო არ არის!“ ხელი სტაცა სიკვდილს და სიცოცხლის მანიაკის ცარიელ საკიდზე ჩამოაგო, თვითონ კი, ვით ჩვეულებრივი მართლმორწმუნე, ტკბობას მიეცა...

სიცოცხლემ მანიაკი გაისწორა, ზეიმით დასწვა თავისი მეტოქე ზიზღის ცეცხლით, თასი აიღო და უდარდელად აბნევდა ძირს მარცვალს.

— ო მაჰმად, მართლმორწმუნეთაგან ვინ არ იცის: როცა ქალი თავის მეტოქეს უცქერის, იგი საქმის არსს ივიწყებს.

ალაჰმა ჰაეროვან შაჰ-ტახტიდან გადაჰხედა მიწას და გაშტერდა:

— ბისმილაჰ, გული გონების დაუკითხავად ხომ არ მიმიცია, მაგრამ, როცა მე განრისხებული ვარ, ლომები უდაბნოში ცახცახებენ. რა ჰქენი შენ, მშვენიერო? შენ დანისლე ჩემი თვალების ბრწყინვალება და დააბნელე სული. რატომ არ აურიე ერთმანეთში სიბრძნისა და სიცრუის მარცვალი? მე, რომელსაც შემიძლია დავშალო ობობას ქსელიც კი, მთლად შეცბუნებული ვარ. როგორ გაიყოფა ჩემი შექმნილი? ერთ ადგილას იმდენი წყალია, რომ შიგ მთელი ქვეყნები არ ჩანან, მეორე ადგილას კი — უსაზღვრო უდაბნოა და ერთი ყლუპი წყალიც არ არის. რა საჭიროა ამდენი მთები ერთად და ვაკე კი კოღოსთვისაც არ არის? ჭეშმარიტად კეთილსურნელოვანია ტყეები, მაგრამ რა სევდის მომგვრელია უდაბნოების უსაზღვრო სილა! ო სიცოცხლევ, ეს რა ჩაიდინე?!

მაგრამ, როცა ქალი ივიწყებს საქმის არსს, ამბობს: „ასე სჯობს“.

— ო განუმეორებელო! ო ალაჰთა ალაჰო! შენ მიეც შენს შექმნილთ თვალის სინათლე, მსგავსი სატევრის წვერისა, გაუმაძღრობა დიდი ზვიგენისა და განუზომლად გრძელი ხელები, — დაე თვითონ გაერკვიონ ზეცის სიუხვეში. განა შენ არ ამბობდი, ო ჩემო ალაჰ, რომ სიტკბოებას სიმწარით გაიგებო? რა სიამეა მზა სიკეთე? და განა შეიძლება შეიგნო სიმაღლის ზომა, თუ უფსკრულის ძირი არ განიცადე?

და იყო ისე, როგორც იყო. მიხვდა ალაჰი თავის უბადლო ცოლის ქარაგმულს და იყუჩა, მაგრამ უმალვე მისგან ფარულად შთააგონა მართლმორწმუნეთ: ქალს სერიოზული საქმე

არ მიანდოთ და წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, რადგან არაფერი გამოვაო.

— ჭეშმარიტად, კეთილმორწმუნე შეიპო, შენი ნაამბობი ჭკუის სასწავლია! — წამოიძახა მხიარულმა ვაჭარმა. — მაგრამ ხომ არა გაქვს გასაღები, დიდ საიდუმლოს რომ აღებს? სახელდობრ: რა მოუვიდათ პირველ ადამიანებს ქალის ნებით. თუნდაც მისი სახელია სიცოცხლე, რომლებიც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ?

— ვფიცავ ალაჰს, მიხვდი! — წამოიძახა შეიპმა. — სწორედ მაქვს!

— ო კეთილშობილო შეიპო, — უთხრა ავყია ვაჭარმა, — როგორც მე ლოცვებს ვუძღვნი წინასწარმეტყველს, გვაჩუქე შენი ყურადღება, მითუმეტეს, რომ ვახშამი, დიდი და მოწყალე ალაჰის ნებით, ჯერ არ გათავებულა.

— გისმენთ და გემორჩილებით! — მიუგო შეიპმა. — თქვენს ბაღშიც გაფურჩქნულა მოუთმენლობის ყვავილი!

ამ დროს შეიპმა დაინახა, რომ მსახურმა ხონჩით შემოიტანა ნუშით დაჩურჩული ფრინველი, და მოკრძალებით გაჩუმდა. მაგრამ როცა უკანასკნელი ნაჭერი კბილებში მოიქცია და პაპირუსივით თხელი ლავაშის ნარჩენებს თითები მოუჭირა, თქვა:

— გული ზღვაა, ენა კი — ნაპირი. როცა ზღვა ღელავს. ნაპირზე გამოყრის სწორედ იმას, რაც ზღვაშია...

ამ დროს მოვიდა შეიპის მსახური, ყალიონი გამოცვალა და ოდნავ გასაგონად უთხრა ქართულად:

— ჩალვადრები არ სმენ, შაითანისა ეშინიათ.

შეიპმა ყალიონი მოსწია და ხმამაღლა თქვა სპარსულად:

— მოწმედ მომყავს მოღიმარი ალქაჯი, „წინასწარმეტყველი" პაპუნა გვასწავლიდა: „ყურძენი ალაჰმა შექმნა და მისი წვენი წმიდაა!" დატკბნენ ამ წვენით მართლმორწმუნენ- უშიშრად! ასე გვიკარნახებს —

ხემამდე მოაღწია, ო კეთილმორწმუნე ვაჭრებო, რომ. ყოვლადძლიერის გადაწყვეტილებით, დიდ ხანს ცხოვრობდნენ მთებით, ტყეებით და წყლით გაყოფილი მართლმორწმუნენი და ურწმუნონი, და ხვდებოდნენ ვარსკვლავთა კარვისქვეშ და მზის გუმბათქვეშ მხოლოდ უახლოეს მეზობლებს. რადგან ჯერ კიდევ არ ესწავლათ ცხენების, აქლემების გახედნა, ნავების შენება. მაგრამ დედამიწის უძრაობა არ ნებავს მესამე ცას: განვლო დროის მდინარემ, და ადამიანები მოახტნენ ცხენებს, შეჯდნენ აქლემებზე, შეკაზმეს სახედრები. ალაგმეს ძაღლებიც კი და წავიდნენ იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა მათი თვალის ფარგლებს გარეთ. უკვე ნათქვამია: „ვინც შეცნობისათვის მოგზაურობს, იმას ალაჰი უმსუბუქებს სამოთხის გზას“.

უნდა იცოდეთ, რომ შექმნის დღეს, ყველაფრის შემქმნელის ნებით, ადამიანის კანმა სხვადასხვა ფერი მიიღო, თუმცა ამას არც ერთი ცოცხალი არ მოელოდა. და დიდი იყო მათი გაკვირვება, როცა შეხვდნენ და ერთმანეთს შეხედეს. ჯერ ყველა უზრდელურად ხარხარებდა, მერე კეთილმოსურნე ყურადღება მიაქციეს უცხო ქვეყნების საკვირველებას. მათს გულში გაჩაღდა უკმაყოფილების კოცონი და ამწვანდა სიძულვილის შხამი.

— მე ალაჰის რჩეული ვარ, — თქვა ერთმა, — რადგან ფერი მაქვს მიწისა, ყოველ სულდგმულს რომ არჩენს!

— ბრმა შაითანო! განა ვერ ხედავ, — მე განთიადისფრად ვარ შეღებილი! — წამოიძახა მეორემ.

— შენ რა იცი, წითელო ურჩხულო! განა ალაჰმა მე არ მიწყალობა თავისი მზისფერი?

— რატომ არსად წერია, რა უნდა უყონ ფერად ნაყარნუყარს? — წამოიძახა კიდევ ერთმა. — იცოდეთ, ალაჰმა მე ამირჩია თავისი სიყვარულისათვის, რადგან შექმნილი ვარ ლრუბელთა ფერისა და ანგელოზთა ფრთებისაგან.

და ალაჰის საყვარელმა დაუწყო ყველას იმის წართმევა,

რაც თავის ქვეყანაში არ ყოფნიდა ან სხვის ქვეყანაში მოეწონა.

მაგრამ ალაჰს ფერადკანიანებიც როდი დაუჯილდოებია ნაკლები გაუმაძღრობით. და მაშინ მოხდა სულის შეშფოთება, გაჩაღდა სისხლისმღვრელი შეტაკება, და მოხდა ისე, როგორც მოხდა: ერთსა და იმავე დროს დაიწყეს დრტვინვა ცხენების, აქლემებისა და ძაღლების მბრძანებლებმა.

— ალაჰ, — ყვიროდა ერთი, — რად მინდა ამდენი წყალი, განა წყალზე რამე ხარობს?

— ალაჰ, ალაჰ, დახარე თვალი შენი! — გაჰკიოდა მეორე. — რად მინდა ამოდენა უდაბნო, განა უწყლოდ ხარობს რამე?

— ან განა მე მხეცი ვარ, ალაჰ, რად მინდა გაუვალი ტყეები? — კვნესოდა მესამე.

ხოლო მთებში მცხოვრებნი ერთ ამბავში იყვნენ:

— ო ხუთი ლოცვის შემქმნელნო! თუ ალაჰს ჰგონია, რომ შეიძლება ქვების ჭამა, მაშინ ჭამოს თვითონ, აჭამოს თავის ცოლებსა და ხასებს.

და თითოეულმა განავრცო თავის გულისწყრომა უსაზღვროებამდე, მოუწოდებდა ალაჰს და მოითხოვდა სამართლიანობას.

აიბნა ალაჰი და... ვთქვათ, ძირს ჩააფურთხა.

— ო უმადურნო! განა მე, გაუფრთხილებელმა არ შეგქმენით ყველანი? მაშ რატომ ამძიმებთ ჩემს ყურს გულის ამრევი მოთქმით? თუ აგრეა, ჰქენით, რაც გინდათ. ამიერიდან არ ვერევი თქვენს უმნიშვნელო დავაში. ვიცი, რამდენიც უნდა გადავაკეთო დედამიწა, სულერთია უკმაყოფილებ..ს გამოვიწვევ; რადგან ნათქვამია: „ყველას ვერ აამებ“.

მერე ალაჰმა ზურგი შეაქცია დედამიწას და დატკბა ყალიონის სურნელოვანი ბოლით.

ეს არის ალაჰის ამბავი. ადამიანებზე კი სხვა იქნება. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ: რატომ ინება ყოვლადგანდიდებულმა, რომ საჩივრის პასუხად ჩამოაგდო გაყინული ნერწყვი, ვით ზეციდან ჩამოვარდნილი ქვა? მოიცადეს სულ ბევრი თორმეტი საბაზრო დღე და უფრო გააფთრებით წაიჩ-

ხუბნენ მართლმორწმუნენი და გიაურები, შემდეგ დალიეს ყინულივით ცივი წყალი და გადაწყვიტეს მიენდოთ ყველა ქვეყნის მეცნიერებისათვის რუხი ნაფურთხით გამოეცნოთ ალაჰის ზრახვანი.

ზუსტად სამ წელს, სამ თვესა და სამ დღეს ფიქრობდნენ მეცნიერნი, დახარჯეს ათასობით ხის ქერქის ნაჭერი (დიდება ალაჰს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ეტრატი ან ქაღალდი), ათასობით მონა ეზიდებოდა ძვირფას გრაგნილებს განსაკუთრებულ შენობებში, ბრინჯაოს თაღებით რომ ბრწყინავდნენ, ან პალმებით რომ იყვნენ დაჩრდილულნი. ისინი აეგო თითოეულ ქვეყანას თავისთვის, მაგრამ საერთო სახელწოდებით: „ფიქრის ქარვასლა“.

ერთ დღეს ხალიფებმა, ამირებმა და მბრძანებლებმა, მართლმორწმუნეთა და გიაურთა სასიხარულოდ რომ დაიბადნენ, მოთმინება დაკარგეს და წამოიძახეს: „თუ მეცნიერნი ფიქრს არ შეწყვეტენ, მაშინ, ალაჰსაც განუდიდებია ისინი, თვითონ ცოცხლად დაიმარხებიან „ფიქრის ქარვასლაში“. ერთი საბაზრო საათიც არ გასულა, რომ მეცნიერებმა ერთსულოვნად განაცხადეს: „მოწმეა ჰუსეინი, ჩვენ გამოვიცანით!“

დიდ არს ალაჰი საქმეებითა თვისითა! „ფიქრის დასასრულის გახსნის“ დღესასწაულზე ალაჰის ნაწყალობევი საჩუქრის გარშემო იმდენი მართლმორწმუნე და გიაური შეიკრიბა, რომ ჭიანჭველაც ვერ გაძვრებოდა. მაგრამ ამ დროს, როგორც სიზმარში, მოულოდნელი რამ მოხდა, რამაც დედამიწის მცხოვრებნი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო: ყველა მეცნიერი სულ სხვადასხვას ამბობდა.

— ეს ალაჰის სისუსტეა. — თქვა ერთმა.

— დაისუნამე შენი პირი, მატყუარავ! — დაიყვირა მეორემ, — ეს ძლიერებაა!

— ნაცარი თქვენს ცარიელ თავს! — აღშფოთდა მესამე. — ეს ალაჰის გულუხვობაა!

— ენაც ბალნით შეგმოსვია! — ძლივს წარმოთქვა მეოთხემ. — ეს დაცინვაა!

აქ წამოცვივდა მრავალი მეცნიერი, სირცხვილი დაკარგეს,

ყველა თავისას გაიძახოდა და სხვებს არ უსმენდა. მაგრამ ეს არ იკმარეს, ერთმანეთს სქელ წვერში ეცნენ და „მეცნიერთა ბრძოლის“ მოწმენი „საბედნიეროდ“ იქერდნენ სხვადასხვა ფერის ბალანს ბღუჯა-ბღუჯად. მაშინ ერთმა ხელები გაასავსავა და წამოიძახა:

— ალაჰ! ცა რატომ გაწითლდა?

ყველამ შიშით ასწია თავი და, როცა ლურჯი ცა დაინახეს, უნდოდათ სასაცილოდ აეგდოთ მატყუარა, მაგრამ მან ხელი მოუსვა მეცნიერთა და ბრძენთა წვერის უკანასკნელ ნაშთებს და გაქრა.

შემდეგში — აქლემის ფუნის მსხვერპლიც გამხდარა იგი — მატყუარამ სავაჭრო გახსნა მექის გზაზე, იფიცებოდა და ირწმუნებოდა: იმაზე უფრო წმიდა საქონელი არ არის, ვიდრე იმ მეცნიერთა წვერია, რომლებიც ალაჰის ნათელი შორსმჭვრეტელობით და ნიჭით არიან დაჯილდოებულნიო...

უკვე ჰურიები შლიდნენ ლოგინს თავიანთი ნაწნავებისაგან, მოქიშპენი კი განაგრძობდნენ ჩხუბს — კიდევ ერთი წამი და მსოფლიოში ერთი მეცნიერიც აღარ დარჩებოდა! მაგრამ ყოვლადძლიერი დახმარებას, როგორც ყოველთვის, დროზე გვიწევს:

გაწეწილ მეცნიერთა შიგ შუაგულში შეიჭრა უცნობი ქვეყნისა და უცნობი ფერის ცხენოსანი კეთილმორწმუნე შეიჰი, ცალ ხელში თეთრი ყურძნის მტევანი ეჭირა, მეორეში კი — შავი, — და შეიძლება ამიტომაც ყველა დაწყნარდა მის წინაშე.

— ფრთხილად იყავით, მართლმორწმუნენო, — წამოიძახა მან. — ეს სიბრძნეა.

— ალაჰის გულისათვის! — წამოიძახეს ერთად, როცა მანამდე გაუგონელი სიტყვები ესმათ, და ბევრმა მოუსვა.

მაშინ გამოვიდა მეთევზე...

უეცრად შეირხნენ სანათები: მსახურებმა კარი გააღეს და ბრინჯით სავსე სინები შემოიტანეს. შეიჰმა ყალიონი იქით გასწია და გაჩუმდა...

მაგრამ როცა გაქონილი თითები უკანასკნელად ჩაეფლნენ ფლავში და ისპაჰანელებმა ისინი ახალგამომცხვარი ლავაშით გაიწმინდეს, შეიჰმა განაგრძო:

...მაშინ გამოვიდა სასიამოვნო სახის ახალგაზრდა მეთევზე, მამაცობით რომ იყო განთქმული, და ასე თქვა:

— მართლმორწმუნენო, გონივრული როდია უცნობისა გვეშინოდეს. წმიდა აბასი იყოს ჩემი მფარველი, მე ქვასთან ვრჩები, რომ მივწვდე ალაჰის ზრახვას. ცხოვრების სიტკბოებისათვის თქვენ და კიდევ მრავალი ათასი გაკვირვებული გაიგებთ, რატომ გადმოგვაყარა თავზე ყოვლადძლიერმა სიბრძნე.

ალაჰმა ადამიანებს უბოძა მოთმინება და ისინი დიდხანს ელოდნენ, მაგრამ როცა გამოცანების ბილიკით დაბრუნდა იმედის მეთევზე, იგი ვერავინ ვერ იცნო: გამხდარი იყო, როგორც დერვიში, მოხუცი, ვით წინასწარმეტყველი, თვალები კი ისე ჰქონდა გახელილი, თითქოს შიგ ღრუბელი ჩაწოლილაო. მხოლოდ ნიამორიკით ტანადმა ქალმა, წინათ რომ მისი შავი კულულები უყვარდა, წვიმასავით დაღვარა ცრემლები და მწუხარებით წამოიძახა:

— ო რად გავეხვიე სასოწარკვეთილების ქსელში? განა შენა ხარ, ჩემო ბატონო? აბა რა გიყო სიბრძნემ?!

— ქალო, — გულგრილად წარმოთქვა მეთევზემ, — ცხოვრების აზრი ის არის, რომ უპერიტო მსოფლიო მოძრაობას, დანარჩენი კი ყურადღების ღირსი არ არის, რადგან კაცი საპნის ბუშტსა ჰგავს, რასაც ალაჰის ნალოლიავები სიცოცხლე თავის გასართობად გაუშვებს ხოლმე. იცოდე, ო ქალო: ბუშტი უზომოდ გაიბერება და გასკდება, და მშვენიერი სანახაობის ნაცვლად მართლმორწმუნეთა თვალები ხედავენ იმას, რომ ვერაფერს ვერ ხედავენ.

— ო მეთევზევ, — წამოიძახა ქალმა, — სიბრძნემ გამოგ-შიგნა და შემდეგ სისულელით გაგტენა!

— ქალო, — ბადესავით ჭიმავდა სიტყვებს მეთევზე, — ცხოვრების სიტკბოებით თრობა ისე გაივლის, როგორც ანთებიანის უაზრო ბოდვა და უფრო ნაკლებ კვალს ტოვებს, ვიდრე ზღვა — ქაფს ქვიშაზე. მოულოდნელობის გზაზე მოგწვდება სიკვდილი და შორეულ მოგზაურობაში, შენი ჯიგრის გარდა, ვერაფერს წაიღებ.

და იყო ისე, როგორც იყო. ქალმა სახე ყვითელი ვარდებით დაიფარა, სხვადასხვა ფერის კანიანებს კი უხაროდათ: „დიდება სამართლიანს, გაბრძენდა მეთევზე და არა ჩვენ“, — და გადაწყვიტეს: ფრთხილად მოპყრობოდნენ ალაჰის საშინელ საჩუქარს.

— ჭეშმარიტად, — თქვა ვაჭარმა, ვისაც ოქრო ჰქონდა, — შენი სიტყვები სიმდიდრედ ღირს! და ჩვენ, ინშალაჰ, ისპაჰანში ვასახელებთ შენთან შეხვედრას...

— და იმას რომ არ ვერიდებოდეთ, — განაგრძო ძვირფასეულობის პატრონმა ვაჭარმა, — რომ დაგაბრკოლებთ უდაბნოში ძნელი მგზავრობის წინ, რასაც, როგორც ქარვასლის პატრონმა გვითხრა, ხვალ შეუდგები—წმიდა ჰასანსაც კეთილდღეობის ნაპირზე მიუყვანიხარ! — შეგეხვეწებოდით კიდევ დაგეტკბო ჩვენი ყური ერთი მოძღვრებით. მადლი შევწიროთ ბეღლს იმისათვის...

— თავს კეთილად ზრდილ სტუმრად არ მივიჩნევდი, თქვენი თავაზიანობით რომ მესარგებლნა და საჩქაროდ წავსულიყავი. იმამმა თქვა: „საჭირო არ არის ამ ქვეყნის არც ერთი სიკეთე, თუ გაყრა გვითვალთვალებს“. ნება დართონ გზათა დამპყრობლებმა ჩემს მსახურს მოგვართვას ცხელი ყავა და ყალიონები...

და როცა მოსამსახურემ და შეიჰმა თვალი გაუსწორეს ერთმანეთს, მსახურმა ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა ქარიულად: „სმენ!“ — და თავის ბატონს წინ დაუდგა ბროლის ყალიონი, შეიჰმა ხმამაღლა სპარსულად წარმოთქვა:

— დალეულ იქნეს იმდენი, რამდენიც მხედველსა და ჩსმენელს სიზმრის ჭაობში ჩააგდებს! უცილებლად უნდა გითხრათ, ო ვაჭრებო, ადგილის შესაფერისი სიტყვა. თქვენი ყურიც დაუტკბია ჭეშმარიტად ჭკუის სასწავლ იგავს.

სულეიმანის სამართალი

და, თითქოს ვერ ამჩნევს ვაჭართა მოუსვენარ ცქერას, ძილს რომ ძლივს უმკლავდებიანო, შეიჰმა განაგრძო:

— გამიგონია, რომ დიდი ხნის წინათ — მთვარისა და მზის წლებში, ჟამთა ვითარების სილას რომ დაუფარავს, ქალაქ ბაღდადში ცხოვრობდა ვაჭარი სახელად ჰასან-ალ-ჰასიბი, რომელსაც გააჩნდა აურაცხელი სიმდიდრე, ჰყავდ: ჰურიების მსგავსი ცოლები, ახალგაზრდა მხევლები და მონები. გაბრიელის ნებით, ამ ვაჭრის ყველაზე მდიდარი დუქანი ბაზარში, სადაც იყიდებოდა უნაზესი ალტაბასები, ოქრომკედით და ძვირფასი თვლებით რომ იყო ამოქარგული, საბურველები და ნელსაცხებლები, მუდამ სავსე იყო სახელგანთქმული მყიდველებით, რადგან თვით ხალიფა და ამირები აქ ყიდულობდნენ საქონელს თავიანთი ცოლებისათვის.

სამართლიანობისათვის ვიტყვით: მარტო სიმდიდრით როდი მოუპოვებია ჰასან-ალ-ჰასიბს ყველას პატივისცემა, არამედ აგრეთვე არაჩვეულებრივი კეთილმორწმუნეობით, არასოდეს არ ავიწყდებოდა ჰასანს ყოველდღე აღევლინებინა ალაჰისათვის ლოცვები, რაც დაწესებული იყო მართლმორწმუნეებისათვის, არამედ ყოველ შემთხვევას იყენებდა, რომ ზედმეტი ნამაზი შეესრულებინა. არც ერთ მათხოვარს არ გაუვლია მისი დუქნის ახლოს ისე, რომ თანაგრძნობის ნაღვლიანი ოხვრა არ მიეღოს. იგი კეთილმორწმუნედ ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს ევალალნათ თავიანთი გაჭირვება და სამწუხარო ხვედრი და ეკედრებოდა ალაჰს შიმშილით არ დაეხოცა ეს საბრალონი მისი დუქნის კარწინ.

ეს რაც შეეხება მოუფიქრებლად დაბადებულ ღარიბებს;

სხვა საქმე იყო ძღვენი ხალიფასათვის, ვეზირებისა და გუშაგისათვის. მოწმეა წინასწარმეტყველი, ვერავინ ვერ შეედრებოდა ჰასანს ლამაზი საჩუქრების არჩევასა და სიუხვეში. და როდესაც მოხდა ის, რაც მოხდა, აღელვებული ბაზარი ისე აზუზუნდა, როგორც სკიდან გამორეკილი ფუტკარი: „ო ალი, ო მაჰმად! ღამით ჰასანმა გაქურდა თავისი გიაური მეზობელი!“ ბაღდადში სამართალს ქმნიდა თვით დიდი ვეზირი, რომელსაც სამართლის საქმეში თავი ბრძენი სულეიმან-ბენ-დაუდის მემკვიდრედ მიაჩნდა. და აი გიაურის საჩივარზე შეიყარნენ არა მარტო დუქნების აღშფოთებული პატრონები, არამედ ბაღდადის ყველა მცხოვრებნი, აღშფოთებული რომ იყვნენ ჰასანის უმაგალითო დანაშაულით. იმდენი მოვიდა, რომ ყველანი ვერ მოთავსდნენ სასამართლოში. მაშინ სკამები დაიკავეს მდიდრებმა და წარჩინებულებმა, დანარჩენები კი ქუჩაში მოთავსდნენ და დააყენეს შულტა, რომ მათთვის გადაეცა, რაც ხდებოდა დიდ ვეზირთან, რომელსაც თავი სულეიმან-ბენ-დაუდის მიმდევრად მიაჩნდა.

დიდმა ვეზირმა გიაურს უთხრა:

— ილაპარაკე!

ელვასავით დააბრიალა თვალები გიაურმა.

— ო დიდო ვეზირო, აგერ მეშვიდე ბადრი მთვარეა, რაც ამ კურთხეულ ბაღდადს ჩამოვედი. რაკი მსურდა ერთიორად გამედიდებინა ჩემი ქონება, ამიტომ ჩემს ქვეყანაში გავყიდე მთელი ქონება, მონები და მხევლებიც კი. აღებული ფულით ვიყიდე ძვირფასი იარაღი: დამასკოს ფოლადის ხმლები, სპილოს ძვლის ან ოქროზე ნატიფად მოჩუქურთმებული ანდა ფირუზითა და სხვა ძვირფასი თვლებით მოჭედილი ტარი რომ აქვთ, მშვენიერი ლარნაკები, რომელთაც ბრავალი ხნის განმავლობაში ხეხავდნენ, მარგალიტის მანიაკები, რომელთა ბადალი მთელს ბაღდადში არ იყო, ძვირფასთვლებიანი სამაჯურები აჟურული ოქროსაგან და ბევრი სხვა ძვირფასეულობა, რომელნიც სამოთხის საგანძურის ღირსია. მსოფლიოს გამგე მწყალობდა და ქონების ნაწილი დიდი მოგებით გავყიდე. ნურავინ იტყვის, რომ უჭკუოდ მოვიქეცი, როცა აღებული ოქროს ფული შინ შევინახე,

რადგან იგი ხელუხლებელი დარჩა. ჰასან-ალ-ჰასიბის — შერცხვეს მისი თავი! — დუქანი ჩემი დუქნის გვერდით იყო. რაკი მჯეროდა მისი პატიოსნება და მეგობრობა, მიხაროდა, ხშირად რომ დადიოდა ჩემსას და ყველაფერს ვუჩვენებდი, რასაც წარჩინებულ მყიდველებს ვუჩვენებდი ხოლმე. იგი ჩემგან არაფერს ყიდულობდა, მაგრამ დიდხანს ათვალიერებდა ხოლმე ძვირფასეულობას. გუშინ, როგორც ყოველთვის, დუქანი გავაღე და — ვაიმე! — დაცარიელებული იყო იგი! სასოწარკვეთილებით კინაღამ გონება დავკარგე, მაგრამ, გონს რომ მოვედი, ჰასანთან გავიქეცი რჩევისათვის და—ვფიცავ მზეს, მოღიმარი ალქაჯი აქ არაფერ შუაშია—გაოცებულმა ვნახე, რომ მთელი ჩემი საქონელი მის თაროებსა და დახლზე იყო დაწყობილი. ალაჰსაც უბრუნებია მისგან პირი! ისე ვაჭრობდა მას, როგორც თავისას. მხოლოდ ყველაზე ძვირფასი ნაკეთობა, როგორც შემდეგ შევიტყე, შინ წაეღო. ჩემს სასოწარკვეთილ ყვირილზე მოცვივდნენ დუქნის პატრონებიც, აქლემთა ქარავნების ჩალვადრებიც და მეთულუხეებიც. ისინი სირცხვილით დაიწვნენ, როცა ჰასანის მოპარული ჩემი საქონელი ნახეს. მისი თავიც დაფარულა ჩემი კვნესის ფერფლით! მან სრულიად დამშვიდებით უბრძანა ყველას, გარეთ გადითო, დუქანი დაკეტა და შინ წავიდა ისე, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია მთელი ბაზრის აღშფოთებისათვის. მაშინ მზის სხივი ჩასწვდა ჩემს მწუხარებას, და მე, ო დიდო ვეზირო, შენთან გამოვიქეცი, როგორც ცეცხლიდან წყალში ცვივიან ხოლმე, სამართლიანობის საძებნელად.

— დიდი აღშფოთებით გიცქერი, ო ჰასან-ალ-ჰასიბ! — უთხრა ვეზირმა. — ეს რა გიქნია? განა ბაღდადელ ყველა ვაჭარზე მდიდარი არ იყავ? შაითანმა გაცთუნა და შენ. სირცხვილის მსხვერპლო, უპირატესობა მიანიჭე მას ალაჰის წინაშე. განა ბაზარში ყოველ დღე არ არის ხეზე მიჭედილი ქურდი? განა არ იცი, რომ ორმაგი სასჯელი მოელის იმას, ვინც თავის მეზობელს ან სტუმარს გაქურდავს? რადგან ნათქვამია: სტუმართმოყვარეობა მართლმორწმუნის პირველი სათნოებაა. ო ჰასან-ალ ჰასიბ, შენი მეზობლისა და ჩვენი

სტუმრის გამქურდავო, შეღავათს ნუ ელი! ახლა შენ ილაპარაკე!

— დიდო ვეზირო, — ზე აღაპყრო ხელები ჰასანმა, — რაოდენ სამწუხარო და სავალალოა შენი სასტიკი სიტყვები! შენ იცი: „ალაჰმა უხმო ჩემს გულს და უთხრა: „სადაც გაჭირვებაა, იქ სასურველია — ეს მე ვარ, სადაც მისწრაფებაა, იქ მიზანია — ეს ადამიანები არიან". მე არც მატყუარა ვარ, ბისმილაჰ, და არც სასწაულთმოქმედი! ჰასან-ალ-ჰასიბი ვარ!. და განა მე მესაჭიროება სიმდიდრე, რომ ქურდი გავხდე? მთელი სიცოცხლე მოვანდომე ალაჰისადმი ლოცვასა და კეთილმსახურებას. მაგრამ შაითანის მონაბერი ექვი ჩემს სულს აშფოთებდა, ვით სამუმი — სილას: ცოტას ხომ არ ვლოცულობ, აღწევს თუ არა ჩემი ლოცვა ალაჰის ყურამდე, იამება თუ არა მისი სიწმიდე მარადს, უცვლელს? და ასე შეევეედრე: „ო ალაჰ, ყოვლადძლიერო, ყოვლის შემქმნელო! სხვა სიამე არა მაქვს, გარდა შენდამი ლოცვისა და ქებისა. უსმინე მონასა შენსა, ო მბრძანებელო, მომმადლე ღირსებისამებრ და გამოაჩინე როგორმე ჰასან-ალ-ჰასიბის შეწყალება. რათა იცოდეს, რომ მისი ლოცვები გნებავს". ასე ვლოცულობდი, დიდო ვეზირო, ყოველი დაძინების წინ. და გუშინ ალაჰმა განმიმზადა ისეთივე დღე, უკანასკნელი ნამაზი შევასრულე, ჩავწექ ლოგინში კეთილმსახურებით და, გულგრილმა ამქვეყნიური სიკეთისადმი, მაგრად ჩავიძინე. „ადექ, ჰასან!" — მომესმა ხმა, მუსიკის მსგავსი. „ვინ ხარ და რად მაღვიძებ?" — ვკითხე ჩემი ლოგინის წინ მდგომ მოხუცს, ცისფერი დოლბანდი რომ ეხურა. „მე ვარ ალაჰი, შენი მგზნებარე ვედრებით რომ ჩამოვედი!" — „ვესავ ალაჰს ალაჰის რისხვის გამო!" — წამოვიძახე და მყის დავინახე გარშემო დამაბრმავებელი სინათლე, პირქვე დავემხე, მიწას ვემთხვიე ალაჰის ფეხთან და თვალის აღმართვა ვერ გავბედე. მოწმეა მაჰმადი! კვლავ მესმის მუსიკის მსგავსი სიტყვები: „ჰასან-ალ-ჰასიბ, შენ ატკბობ ჩემს ყურს წმიდა ლოცვებით, იქნე შენ რჩეული, მაგალითი ბევრისათვის, იცოდეს ყველამ, როგორ ვაფასებ ერთგულებას, რადგან ის არის ჭეშმარიტება. ადექ, ჰასან, და მიიღე ნიშანი ჩემი კმაყოფილებისა შენ გამო ოთხი რამის —

გულის, სხეულის, ენისა და ქონების მეშვეობით. სამი პირველი მე მომეც, მეოთხე კი — წადი ახლავე ბაზარში და წარუღე შენს უწმინდურ მეზობელ გიაურს. დაე შენი იყოს ის, რაც დიდი ხანია შენს თვალს იტაცებს. ისწრაფე, რადგან დღითიდღე....

მაგრამ ამ დროს შეიჰმა დაინახა, რომ მსახურმა კვლავ შემოიტანა ხონჩით დასტარხანი, და მოკრძალებით გაჩუმდა.

ხოლო როცა პატარა ქაშანურ ფინჯნებში მხოლოდ ყავის ნალექი დარჩა, მან განაგრძო:

— ...დღითიდღე ძვირფასეულობა გიაურის დუქანში სულ უფრო ნაკლებია. არ დაგავიწყდეს სკამი, რომელზეც იგი იჯდა, რადგან ნათქვამია: „თუ დუქანში საქონელი არ არის, იქ ჯდომა რა საჭიროა". ო დიდო ვეზირო, როგორ შემეძლო გაცვურჩებოდი ალაჰს, იყოს ქებული ძლიერება მისი, და არ მიმეღო წმიდა საჩუქარი? მე მაშინვე გავიქეცი ბაზარში და ვქენი ის, რაც ვქენი.

და ჰასანი ვეზირის წინაშე განერთხა.

— კეთილმსახურო ჰასან, რომელიც ღირს იქმენ ალაჰის წვეისა, კურთხევა მისი იყოს ჩვენზედა! ადექ, ვიდოდე მშვიდობით და ფლობდე ყველაფერს, რაც ალაჰმა გაჩუქა!

— ყოვლადძლიერის გულისათვის, დიდო ვეზირო! — წამოიძახა გიაურმა. — როგორ შეიძლება მნიშვნელობა მისცე სიზმარს? ბაღდადელ ქურდს ჯერ პირში სუნამო უნდა გამოევლო, სანამ შენს ყურს შეურაცხყოფდა სიცრუით, რადგან ხვალ სიზმარში ალაჰი მას აჩუქებს ხალიფის საყვარელ ცოლს, და იგი შეძვრება ჰარამხანაში, რომ წაიყვანოს იგი...

— უცხოელო, — უთხრა ვეზირმა, — მოგეტევება, რომ ჩვენი კანონები არ იცი; არც ერთ მართლმორწმუნეს არ ეზმანება სიზმარი ხალიფის საზიანოდ. წადი მშვიდობით, ევედრე შენს ალაჰს, მე კი სულითა და გულით გისურვებ, რომ შენმა ლოცვებმა დაატკბონ წმიდა ყურები, და იყოს

სიუხვე მისი ჰასან-ალ-ჰასიბისადმი გამოჩენილი ხიუხვის მსგავსი. ისმინოს ჩემი გადაწყვეტილება ბატონმა სულეიმან-ბენ-დაუდმა!

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო აღტაცება დიდი ვეზირის ბრძნული სამართლის გამო, რომ მართლმორწმუნეებმა მეტი ცნობისმოყვარეობით ააესეს კვლავ სამსჯავრო. რადგან გასამართლების მეორე დილას ბაზარში გაისმა ჰასანის ყვირილი, და შეგროვებულმა ხალხმა დაინახა, რომ გიაურმა თავისას გადაიტანა ჰასანის მთელი საქონელი და ეაპრობდა, როგორც თავის საქონელს.

და გულისწყრომით აღსავსე ჰასანი დიდ ვეზირთან გაიქცა.

ვეზირმა საქმე მოისმინა, მწყრალად შეხედა გიაურს და უთხრა:

— გიაურო, გაუფრთხილებლობის მსხვერპლო, რა გიქნია? იცოდე, ქურდობას ჩვენს ქვეყანაში არა აქვს არავითარი შეწყნარება არც ეაპრებისათვის, არც წარჩინებულთათვის და არც სტუმრებისათვის, და ასეთი დანაშაული სულ ცოტა მარჯვენა ხელის მოკვეთით ისჯება.

— დიდო ვეზირო, — მოკრძალებით უთხრა გიაურმა, — შენ სამართლიანი ხარ. და როგორ შეგიძლია იფიქრო, რომ არ ვიცი, რაოდენ მკაცრია შენი ქვეყნის სამართალი? შენ, ო კეთილმსახურო, დამაყენე სიმართლის გზაზე, შენ მირჩიე გამომეთხოვა ჩემი ალაჰისაგან მოწყალება, მსგავსად ჰასანისა. გუშინ დაძინების წინ მხურვალედ ვლოცულობდი: „ჩემო ალაჰ, — ვუთხარი, — შეხედე, რა კეთილი ალაჰი ჰყავს ჰასანს, იგი ჭეშმარიტად ალაჰურად აჯილდოებს თავის მართლმორწმუნეებს. ნუმც ითქვას, რომ შენ მეტად სუსტი ხარ დახმარებისათვის ჩემს გაჭირვებაში“. ასე რომ ვილოცე, შემდეგ მაგრად დაეიძინე. ანაზდად მესმის: „ადექ, შვილო ჩემო, უცხო ქვეყანაში რომ გაჭირვებაში ჩავარდნილხარ!“. წამოვდექ და ვხედავ: თავზე დამფრინავს ჩემი ალაჰი, მოოქროვილი ფლოსტები რომ აცვია. „ჩემო ალაჰ, — წამოვიძახე. — ჩამოდი მიწაზე, რომ შემეძლოს შენს წინ განვერთხო!“ — „შვილო ჩემო, — მითხრა ალაჰმა, — ზეცის კანონებით ალაჰები არ

უნდა შეეხონ დედამიწას, რათა მათს ფეხებს არ მოეკიდონ ადამიანთა ცოდვები. და თუ ვინმემ გაბედა და თქვა, ალაჰი მიწაზე მდგომი ვნახეო, თვალში ჩააფურთხე და უბრძანე, პირში სუნამო გამოიცლე-თქო. ჩვენში აგრეთვე უზრდელობაუ მიაჩნიათ სხვის ხარჯზე საჩუქრის მირთმევა. მაგრამ რაკი ჩემი მეზობელი მეშვიდე ცაში, მუსლიმთა ალაჰი, უზრდელურად შეეხო ჩემი ქვეშევრდომის ქისას, აუცილებელია, მეც მით ვუპასუხო, თორემ ჩემს ძალაში ეჭვი შეუვათ, ხოლო ამისათვის ახლა სრულიად შეუფერებელი დროა, რადგან შეიძლება ძნელ მდგომარეობაში ჩააყენო მისიონერები, რომლებიც თაყვანისმცემლებს იძენენ. წადი, შვილო ჩემო, — განაგრძო ალაჰმა, თანაც თავზე მოოქროვილი ფლოსტით მეფერებოდა, — და ოთხი საგნის მეშვეობით ჰქენ ის, რაც ჰასანმა შენ გიყო. არ დაივიწყო, გამოართვი ალაბი, რადგან ნათქვამია: ალაბი რად გინდა, როცა გასაზომი არაფერი გაქვს"... ო დიდო ვეზირო, როგორ გავბედავდი მეურჩნა ჩემი ალაჰისათვის? და განა ეს შენ არ მისურვე თავაზიანად?

— გიაურო, — თქვა ვეზირმა და ჰაერშივე დაიჭირა მის უპეებზე ჩამოვარდნილი წამწამი, — მე არ მსმენია, რომ ალაჰთა შორის დადებულიყოს მეგობრული კავშირი, ამიტომ ისინი იცავენ ზრდილობას და თითოეული მბრძანებლობს თავის სამფლობელოში და არ ერევა უცხოელი ალაჰის საქმეებში. ო გიაურო, გიაურო! ჩემი სურვილი უნდა შესრულდეს შენს ქვეყანაში. მაგრამ შენ უცხოელი ხარ და არ შეგეძლო გცოდნოდა ჩვენი კანონები. ჩემი ბატონის სულეიმან-ბენ-დაუდის ხათრისათვის მოგეპყრობი შეღავათიანად და არა როგორც ჩვეულებრივ ქურდს: ჰასან-ალ-ჰასიბი მიიღებს შენსა და თავის საქონელს, ხოლო შენი შინდამალული ოქროს ფული, როგორც სასამართლოს გადასახდელი, ხალიფის ზანდუკში გადავა. და შენ დაუყოვნებლივ უნდა წახვიდე აქედან. წადი მშვიდობით! ტანსაცმელი, რაც გაცვია, საჩუქრად მიიღე: არავინ თქვას, რომ ბაღდადში დაირღვა სტუმართმოყვარეობის კანონი და სტუმარი, ვით გამოხრული ძვალი, შიშველი გაუშვესო.

— ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი იგავია! — წამოიძახა ვაჭარმა, ვისაც ქსოვილებით ჰქონდა ბოხჩები გატენილი.

— ალაჰსაც ნუ უნებებია, რომ ჩვენს ქარავანში ვინმეს ზმანებოდეს ასეთი სიზმარი, — ნაღვლიანად წარმოთქვა ვაჭარმა, ვისაც ძვირფასეულობა მოჰქონდა.

— ინშალაჰ და კვლავ ხუთჯერ ინშალაჰ! ჩვენზედაც ყოფილა კურთხევა ყოვლადძლიერისა! — წამოიძახა ვაჭარმა, ოქრო რომ შეესყიდა, და შიშით გადაჰხედა თავის ბოხჩებს.

— საშიში არაფერია, — მტკიცედ თქვა მხიარულმა ვაჭარმა, ვისაც სუნამოები ეყიდა, — ქარავანსლა სიზმრების ადგილი როდია.

— შენი ბაგით მეტყველებს წინასწარმეტყველის სიბრძნე, — დასტურის ნიშნად დააქნია თავი შეიჰმა. — ძილისათვის ყველაზე უკეთესი ადგილი საკუთარი სახლია.

— კურთხეულ იყოს ალაჰი, ჩვენს გზაზე რომ დაგაყენა, ო კეთილმსახურო შეიჰ! — წარმოთქვა ნელსაცხებლების ვაჭარმა და გრძლად დაამთქნარა. — თქვენმა სამოთხის გამოგზავნილმა იგავებმა შეგვიმოკლეს ღამე და უაღრესი უზრდელობა იქნებოდა გვეთხოვნა განგვეგრძო, რადგან ნათქვამია: „ნუ დააბრკოლებ სტუმარს, როცა მისი დასვენების დროა".

— დიახ, — თქვა მხიარულმა ვაჭარმა, — გაფერმკრთალებული მთვარე მოგვაგონებს, რომ მალე გათენდება. მადლობა ვუთხრათ სტუმარს იმისათვის...

— ჭეშმარიტად, კეთილმსახურო შეიჰ, დასვენება გესაჭიროება, რადგან უდაბნოში, რომელიც უნდა გაიარო, ყაჩაღი ალმანზორი დაძრწის.

— ბისმილაჰ, თქვენი ზრდილობა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს, ო კეთილადწვრთნილო ვაჭრებო! მაგრამ, ალის სურვილით, ჩემს მსახურს გამჭრიახი თვალი აქვს, და ფიქრი არა მაქვს ჩემი ყალიონისა. ნურც უთქვამთ, რომ თქვენი ქახშამი გავიზიარე და არ განვაგრძე მრისხანეთა შორის მრისხანე შაჰ აბასის დევლეთ-ხანესთან დაახლოებულ ვაჭრებთან შეხვედრა. ვფიცავ ნეჯეფს, დაე თორმეტი ალმანზორი დაძრწოდეს უდაბნოში და უთვალთვალებდეს ჩემს გავლას, მაგრამ

ჩემთვის აუცილებელია დავატკბო თქვენი ყური თავშესაქცევი იგავით...

მწუხარების გამომხატველი ოხვრა გაეხირათ ყელში ვაჭრებს, დახრილი თვალები კი მალავდნენ სასოწარკვეთილებას, იქ რომ ისახებოდა, როგორც იალქანი წყალში. ბურთივით მრგვალი ვაჭარი მეზობლის მხარს ებღაუჭებოდა, რომ არ წაქცეულიყო. ავყია ვაჭარს ცხვირთან მიეტანა სუნამოს ჭურჭელი და წყნარად ოხრავდა. მის გვერდით, ბოხჩების მხრიდან მოისმოდა კბილების კრაჭუნი.

მაგრამ გატაცებული შეიჰი ვერაფერს ვერ ამჩნევდა, იგავების სიყვარული სიწმიდეა და ბინძურ გულს არ ეკარება! მან თვალები აღაპყრო და გრძნობით განაცხადა:

— ალაჰის დიდებისათვის!

სასწაულთა მაიდანი

მოღიმარე ალმა მასწავლა იგავი და ისე მივიღე იგი, როგორც მფშვინვარე ვარდი.

გასულ საუკუნეებში ბედნიერების მთესველის ნებით, მაჰრებში ცხოვრობდა ალ-ბექარი. ამ ამირას სიმდიდრემ დიდი ხანია გადააჭარბა მის გაუმაძღარ სურვილს, და ზანდუკების მთავარი მცველი თავს არ იწუხებდა ზუსტად დაეთვალა მისი ოქროს ზოდები, რადგან მათი რაოდენობა აღემატებოდა მისი ცოდნის რიცხვს.

ასევე განთქმული იყო ალ-ბექარი თავისი ოთხი კანონიერი ცოლისა და სამოცდაექვსი ხასის უბადლო სილამაზით.

მაგრამ არაფერი არ ახარებდა ამირას თვალს, — არც ომანური მარგალიტი, არც ოქროში ჩასმული ირმის კბილები *, რადგან ახლოვდებოდა მისი სიცოცხლის შემოდგომა, ხოლო ვერც ცოლებმა და ვერც ხასებმა ვერ შესძინეს ვაჟი, გინდ ქალი. დიდხანს იტანჯებოდა ამირა მწუხარებით და

* თილისმა, ავითვალისაგან რომ იცავს კაცს.

უხერხულობასაც გრძნობდა სხვა ამირების წინაშე. აგრეთვე აწუხებდა იმის ფიქრი, თუ ვისთვის დაეტოვებინა სიმდიდრე. ერთ მთვარიან ღამეს, როცა ძილი, ვით ირემი, გაურბოდა მის საწოლს, ამირამ ყელზე დაიკიდა თილისმა და გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა ზანდუკების მცველს.

— ო მცველთა მცველო! გაბრიელმაც გიკარნახოს, რა ვქნა. მე ჩემს მსუქან ცოლებთან და ტანწერწეტა ხასებთან წარმტაც ღამეებს ვატარებ და არც მწარეს ვიკლებ და არც ტკბილს, გვამნი მათნი კი ცარიელია, ვით ჩემი ვეზირების თავი. რა განკურნავს ჩემი ჰარამხანის უნაყოფობას?

მცველს ნახევარი ბაზრის დღეზე მეტი არ უფიქრია და დამაჯერებლად უთხრა:

— ამირათა შორის დიდო ამირა! აუცილებელია ვაღიარო, თუმცა ეს ძალიან საჩოთირო საქმეა. ზოგჯერ ჩადრის შრიალსაც შეუძლია ცახცახი მოჰგვაროს იმას, რაც შუბის მსგავსია, ზოგჯერ კი მიწისძვრაც უძლურია შეარხიოს ის, რაც ლანდს ემსგავსება. აღირსე ნდობა წინასწარმეტყველებს, ისინი მექას ჰფიცავენ, რომ ასეთ შემთხვევაში მოგზაურობა მარგებელია. მე მითხრეს, ჰოი მბრძანებელო, რომ ყველა სამეფოს ზღვარზე, არავინ იცის, ვინ და როდის შექმნა სასწაულთა მაიდანი. იქ შეგიძლია იშოვნო არა მარტო ყოველივე ის, რაც ალაჰს შეუქმნია, არამედ ისიც, რაზეც არასოდეს არ უფიქრია სამყაროს მბრძანებელს, რისი ეშვიც შაითანსაც არ აქვს. მაძიებელს იმედიც განხორციელებია! მაჰმადსაც გაუწმენდია შენი გზა, იყოს დღე იგი კურთხეულ, როცა იპოვნი მას, რასაც ეძებ!

დიდი სიხარული ეწვია ამირას და მან უბრძანა მონებს შეეკაზმათ თეთრი აქლემი ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. მან ვეზირებს შორის გაანაწილა საამიროს საქმეები და, შენიშნა თუ არა მათი ფარული კმაყოფილება, ცბიერულად გაიღიმა და გაუშვა ისინი. მაგრამ, როცა ხალიჩას მიეფარა უკანასკნელი ალტაბასის აზიამი *, თავისი მონა ალი იხმო. მრავალგზის დარწმუნებულმა მის ერთგულებაში და მოხიბ-

* გრძელი ჩასაცმელი, ხალათის მსგავსი.

ლულმა კეთილმოსურნე სიტყვებითა და სილამაზით, სავსე მთვარეს რომ ჰგავდა, ამირამ ალი აღაზევა „ჩუსტის გამხდელის“ მაღალ წოდებამდე. მაგრამ ჩუსტი აქ არაფერ შუაშია, მთავარია საიდუმლო საუბრები, რომელთა შემდეგ ამირას განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა ვეზირი ყოველივე იმის შესახებ, რასაც ისინი სჩადიოდნენ.

— თვალყური ადევნე ყველას, — მოწყალედ უთხრა ამირამ, — იყოს გამჭრიახობა შენი, ვითა ქორისა! ნუ მიეცემი უნაყოფო სიზარმაცეს, იფხიზლე პირველიდან უკანასკნელ ნამაზამდე, რადგან ძილი სხვა არა არის რა, თუ არა უმოქმედობა, შაითანს რომ ახარებს... დაივიწყე ნირვანა... იყოს ღამეები შენი მეშვიდე ცის სამოთხის სიტკბოს მსგავსი! და თუ მოხდეს ისეთი რამ, რაც ალაჰსაც კი არ გაუთვალისწინებია, გიბრძანებ, დაუყოვნებლივ მაცნობო. გამრავლდეს კეთილდღეობა ჩემი შენი ერთგული, მოუხუჭავი თვალის მზრუნველობით.

ასე არიგებდა ამირა თავის მონას. ალი ძირს განერთხა და ემთხვია მიწას ხელებს შუა, თანაც მორჩილად წარმოთქვა:

— მესმის და გემორჩილები!

— ეს საზრიან ალიზე. ამირაზე კი — სხვა.

ამირამ განელო დიდი და მცირე გზები, ბედს რომ მისთვის დაესახა, და უეცრად შეჩერდა მაღალ შესასვლელთან.

მწვანე დაფაზე ბრწყინავდა თეთრი დაფა ყვითელი ფერის წარწერით:

„შემოდი, ო მგზავრო, აქ სასწაულთა მაიდანია! დატკბი უკვდავი აზრებით, და იყოს მანუგეშებელ შენდა დაცარიელებული ქისა“.

წაიკითხა ამირამ და გაიფიქრა: „ასეთი წარწერა უფრო სასარგებლოა სასწაულთა მაიდნიდან გამოსვლისას“. მაგრამ მაძიებელს ვერაფერი ვერ შეაყენებს, და ამირამ თითქმის შეირბინა თაეზიანად გაღებულ ჭიშკარში.

შესასვლელიდან არა უშორეს ათი წყრთისა, ამირამ დაინახა ოქროს ხილით დახუნძლული ხე. ერთ-ერთ შტოზე ეკიდა დიდი ვარდისფერი ფოთოლი საგულისხმო წარწერით:

„ო მგზავრო, უფრთხილდი ცნობადის ნაყოფს, რადგან ერთხელ მან ადამიანს წაართვა ციური სამოთხე“.

ამირამ დამშვიდებით შეხედა მაღლა ცისფერ კარავს, ცბიერულად გაუღიმა ჰარამხანის მოგონებას, ჯიბეები ოქროსფერი ხილით აივსო და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ჭეშმარიტად დიდ არს ალაჰი, რადგან იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა ადამიანს ქმნიდა“.

ამირა თავისი აჩრდილის მხარდამხარ მიდიოდა და დარწმუნდა, გარდა უთვალავი უსარგებლო ხეებისა წარწერით:

„კაკალი, რომელიც არც ერთ მართლმორწმუნეს არ უგემნია“,

„ტკბობის ყვავილები, გულში რომ გველის ნესტარს მალავენ“, — არის კიდევ ბევრი რამ, რაც გაოცების ღირსია.

— ო ალაჰ, დიდი ხარ შენი ხუმრობით! — უნებურად წამოიძახა ამირამ. — ნუთუ ესენიც ადამიანები არიან, რადგან ორი ფეხი და თავი აქვთ? მაგრამ ვფიცავ წინასწარმეტყველის წვერს, ისინი შაითანს შეუქმნია! დუქნებივით ყოველ გზაჯვარედინზე არიან და რომ ისინი იმად არ მიიჩნიონ, რაც ნამდვილად არიან, კისერზე დაუკიდიათ დაფები მაცთუნებელი წარწერებით.

ნებოძირზე იდგა ღია სახის, გულღია მოღიმარი უცხოელი და... — ო წმიდაო ჰუსეინ! — ისე მთლად აშკარა გულღია იყო, რომ მარმაშივით გასდიოდა სინათლე, ასე რომ აჩენდა იმას, რაც ალაჰმა ზრდილობისათვის კანქვეშ დამალა.

ო მართლმორწმუნენო! ცრუდ ნუ მიმიჩნევთ! უცხოელს გულზე ეკიდა სპილენძის დაფა ბერძნული წარწერით: „იცან თავი შენი, და იცნობ ყოფასაც“.

— ვფიცავ ალაჰს! — წამოიძახა ამირამ. — რა საჭიროა თავი შეიწუხო შეცნობით, რადგან ეს მოზაიკა შეიძლება მუქთად, ამასთან ყოველ დღე, ნახო „განმარტოების ოთახში“.

და, პირი რომ ქედმაღლურად იბრუნა, უეცრად დაინახა მშვენივრად ჩაცმული, განთიადის მსგავსი ჰურია, მთლად სმარაგდებით მორთული, და გაკვირვების მსხვერპლი გახდა. ჰურიამ, ანგელოზივით რომ იღიმებოდა, ქათამი ჩაყლაპა და

ცხვრის ბარკალს დააკლო ხელი. ძვალი იქით გადააგდო, ვნებიანად მოიღუნა წელში და ფლავიანი ქვაბი მიითრია...

„მშვენების დედა! ზღვის ქაფისა და მამალი თოლიას ასული“, — წაიკითხა ემირმა წარწერა დაფაზე, ცოტა იფიქრა და თქვა:

— ალაჰმა აუცილებლად უნდა მოუღოს ბოლო თოლიების ასეთ ცელქობას, თორემ ჩვეულებრივად შობილთ ერთი ინდის ხურმაც არ დარჩებათ.

მარჯვნივ და მარცხნივ მიხვევ-მოხვევით ამირა წაბორძიკდა და თითქოს გაქვავდა: მის წინ იდგა ქალი, ბრტყელი ვით დაფა, დაღუნული ფეხები, ნაღრძობი ხელები და განზე მოქცეული თავი ჰქონდა.

ამირამ წარწერა წაიკითხა: „კაზმულობა“, აქოშინდა და იწყო სირბილი ქალის გარშემო. უეცრად სიხარულით წამოიძახა:

— ვფიცავ ალაჰს, ესაა გულმკერდი, რადგან არასოდეს არ მინახავს, რომ ამულეტი ზურგზე ჰკიდებოდათ!

ამირა დამშვიდდა და დაიჩოქა ბერძნის ახლოს, დაფა რომ ეკიდა ზეთისხილისაგან შემდგარი წარწერით:

„ყველა მართლმორწმუნისა და არამართლმორწმუნისაგან ეიღებ დიოგენის კასრის შეკვეთას“.

ამირას უყვარდა ზეთისხილი და არა კასრი. მან განაგრძო თილისმა ბილიკი, ზედიზედ ხედავდა სასწაულს, შემდეგ საჩქაროდ გაშალა სალოცავი ხალიჩა და ნამაზი შეასრულა:

— ო ყოვლადძლიერო, თვალებზე ბებერას ნუ გამიჩენ და მიმართე მზერა ჩემი იმისაკენ, რასაც ვეძებ!

და ალაჰმა შესაძლებლად მიიჩნია დაეკმაყოფილებინა მისი თხოვნა და მიებრუნებინა სასწაულთა სასწაულისაკენ.

გაოცებული ამირა კინაღამ მკვდარივით დაეცა, მაგრამ გადაიფიქრა და ყურადღება მიაქცია სასწაულის ტანს. იგი გველს ჰგავდა, თევზის ბოლო ჰქონდა, ხავსის ხალიჩაზე იყო წამოწოლილი, თავები გამჭვირვალე ჰქონდა და ამირამ ისინი ზუსტად ასერთი დაუთვალა: შუაში ყველაზე დიდი, გვერდებზე კი ორმოცდაათ-ორმოცდაათი, რომლებიც ბოლოსაკენ თანდათან პატარავდებოდნენ. ყველაზე დიდში მეხი მიმა-

ლულიყო. დანარჩენებში კი, როგორც დუქნებში, განლაგებული იყო ყველაფერი, რაც ალაჰმა დედამიწისათვის შექმნა, იყო თავები, გამოტენილნი ეტლებით, რომელთაც არ ებათ ცხენები, არც აქლემები და არც სახედრები. სხვებში,—ბოლოსაკენ, — მოჩანდა ქალის მორთულობა, რაც გიზიდაედა ფერთა შეხამებით და გაბრ უებდა სურნელებით.

როცა ალაჰი დაეხმარა გონს მოსულიყო, ამირამ წამოიძახა:

— სწორედ აქ ვიპოვნი იმას, რისთვისაც ვმოგზაურობ! ო მაჰმად! ო ალი! მოიღეთ მოწყალება და სიცოცხლით ტკბობისათვის მიბოძეთ წამალი, რათა განვკურნო უნაყოფობისაგან ჰარამხანა ჩემი!

აქ ამირა დააკვირდა სასწაულის ერთადერთ მკერდს, გადმობრუნებულ ოქროს ფიალას, ნაზი ძუძუს თავი რომ ცისარტყელისფერი ჰქონდა, საიდანაც ოქროსფერი რძე წვეთავდა.

— ბისმილაჰ! რა მაწიერია ოქრო! — აღტაცებაში მოვიდა ამირა.

მაგრამ სასწაული, რომელმაც ამირას აღტაცება ვირის ყროყინად მიიღო, თავზე უსვამდა ხელს ჭაბუკს, ხარბად რომ ეწაფებოდა ოქროსრძიან ძუძუს.

— ჭეშმარიტად დიდ არს ალაჰი თავისი ანცობით! — წამოიძახა ამირამ. — ო ხანუმ, რამდენ ხანს შეუძლია ამ ჭაბუკს ურახუნოს შენს თავებს საკუთარი თავი დაუზიანებლად?

— დილის ვარსკვლავს გაფიცებ, მომშორდი, სასწაულთა მაიდანში უქმად მოხეტიალევ! — მრისხანედ უპასუხა სასწაულმა. — ბედნიერ დღეს დაბადებულხარ, რადგან მე ორი ხელი მაქვს და ორივეს არა სცალია, ხედავს ჰუსეინი, თორემ არ დავაყოვნებდი მესწავლებინა უზრდელისათვის ხელი არ შეეშალა ჩემთვის დიდი ბრძენების გამოზრდაში.

— ო მშვიდო ხანუმ! ალაჰსაც დაუცავხარ, როგორც სურნელი ბროლის ჭურჭელში, მაგრამ განა არ შეიძლება თუნდაც მეოთხედი საბაზრო დღის ვადით მოიცალო მაგ...

— სულელო სულელთა შორის! იცოდე, ბრძენნი საუკუნეობით იზრდებიან, და თუ თუნდაც მეოთხედი თვალის

დახამხამებით შეეაჩერე ჩემი მზერა შენს სრულიად უმნიშვნელო სახეზე, რამდენიმე წლით დავიგვიანებ და მსოფლიო მოხარული იქნება იოლად წაიიდეს უბრძენებოდ.

— მოუცლელი ხელებისა და თავისუფალი პირის პატრონო რჩეულო ხანუმ, შენი ბრძენები ხომ არ არიან ისინი, ვინც ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე საამიროში და, ღმერთს გეფიცები, ქადაგებს ასეთ რამეებს: „უფრთებოდ არ შეიძლება ფრენა, განსაკუთრებით ხრამზე“, ან „კაცს შეუძლია გაცურის ზღვა, გადააბიჯოს მთას, მაგრამ თავის ცხვირზე მაღლა ვერ ახტება“, ან კიდევ „შეიძლება აღმოაჩინო ახალი ვარსკვლავი, მაგრამ ერთი სინჯე და განკურნე სურდო“ ან...

— ო საზიზღარო! რით უხდი მადლობას ჩემს აღზრდილებს დიდ ჭეშმარიტებათათვის?

— ვფიცავ მექას, ბრძენი გულმკერდის პატრონო ქალო! შეშფოთების საბაბი არა გაქვს, რადგან ალაჰმა ადამიანს ბევრი საშუალება მისცა გამოავლინოს თავისი არსი: შენს აღზრდილებს ჯერ კოცონზე წვავდნენ, მერე ნანობდნენ, რატომ არ მოვუსმინეთო, რადგან ჩნდებოდნენ მიმდევრები. რომლებიც ამახინჯებდნენ დამწვარის მოძღვრებას, რისთვისაც იმათაც წვავდნენ. მაგრამ ქვეყანას ემატებოდნენ შენი ახალი აღზრდილები, რომლებიც უარყოფდნენ წინამორბედთა ჭეშმარიტებას. მოწმეა ჰასანი, ამის გამო იმათაც წვავდნენ, ან ცოცხლად მარხავდნენ, ზოგჯერ ჩამოკიდებდნენ ხოლმე. შემდეგ, ზენაარის განკარგულებით, მათ მიეჩვივნენ, და ხალიფმა ჰარუნ-ალ-რაშიდმა ბრძენთათვის განსაკუთრებული ფირმანიც კი გამოსცა, სადაც ნათქვამია: „დაე იარსებონ, მაგრამ არ გამრავლდნენ“. ამ მიზეზის გამო, ო ნაყოფიერო ქალო, მათ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ქუჩის ბიჭებს მიანდეს, რომლებიც — ჭეშმარიტად უბედურებაა მართლმორწმუნეთათვის! — გაჰკიოდნენ: „ბრძენო! ილია, ბრძენო!“ — და უკან დასდევდნენ. და მართლმორწმუნენი ნანობდნენ, რომ დამწვართ უფრო მხურვალედ არ გადაუხადეს მადლობა.

— ო შაითნის შობილო! ო ქვემძრომო! — გააფთრდა

სასწაული. — ალაჰმა გულუხვობით გიწყალობა ერთი თავი, მაგრამ ამირასათვის ერთობ ბევრი აღმოჩნდა.

— ახლა მე უხვად შევიტყე ყველაფერი, თუმცა სამსხიარულო არაფერია. — ამოიოხრა ამირამ. — ო ხანუმ, მეტად დიდმკერდიანო! რად ხარჯავ რძეს უსარგებლოთათვის, განა უმჯობესი არ იქნება გამოზარდო ჯიშიანი ვირები, რომელთაც ესოდენ აფასებენ ამირები?

— ალაჰმა ყველას მიანიჭა ძალის მიხედვით, — იქედნური თავმდაბლობით წარმოთქვა სასწაულმა. — მე ბრძენებს ვზრდი კაცობრიობისათვის, ხოლო ამირათა შორის ჩემს დაუხმარებლადაც ბევრი ვირია.

ამირამ რატომღაც იწყინა. ყურებზე ხელი შეისვა, მერე დოლბანდზე მარგალიტის ჯიღა შეისწორა, თილისმას შეეხო, დარბაისლური სახე მიიღო და წამოიძახა:

— ბისმილაჰ, დღეს სიზმარში თეეზი ვნახე! ცხადში წარმატება სად არის? და რა პასუხი შეიძლება დამაჯერებელი იყოს, თუ იგი ჯალათის დანით ვერ დავადასტურე?

ამ გაჭირვებიდან იგი მონა ალიმ გამოიყვანა, თავის მბრძანებლისაკენ რომ ქარიშხალივით მორბოდა. აღტაცებით მოცული ალი ცდილობდა საკუთარი ყვირილისათვის გაესწრო, მისი თვალები სიხარულით ბრწყინავდნენ.

— ო ამირათ ამირო, ვისწრაფი დავატკბო შენი ყური სასიხარულო ამბით — შენი კეთილდღეობა გაუმჯობესდა! ალაჰმა ისმინა ვედრება შენი, რადგან შენმა ოთხმა ცოლმა და სამოცდაექვსმა ხასამ თითო ბიჭი შეგძინეს, მშვენიერი ვით ბადრი მთვარე! ალაჰის ნებით, ყოველი ექვსი ძმა უფროსია სხვა ექვსზე მხოლოდ ერთი დღე-ღამით.

— აუცილებელია ვიცოდე, რამდენი ხანია ვმოგზაურობ? — იკითხა ცოტა ფიქრის შემდეგ ამირამ.

— ო ჩემო ბატონო, ზუსტად ცხრა თვე და ათი დღეა. მაჰმადმა შენი ჰარამხანისადმი გამოიჩინა მოწყალება და კეთილმოსურნეობა, და მე სულმოუთქმელად მოვქროდი აქეთ, რომ გამეხარებინე მრავალი შთამომავლით.

ამირამ შურითა და აღტაცებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ალი თავით ფეხამდე.

— თვით წმიდა ჰუსეინმა დაგაყენა ჩემს გზაზე!.. მადლობას სიკეთისათვის ჩემს გულში რჩეული ადგილი უკავია. შენ მორბოდი როგორც ირემი, ჭეშმარიტად დაიმსახურე დასვენება, ამიტომ, ჩემო მონათა მონავ, გიბრძანებ აქ დარჩე. რადგან სასწაულთა მაიდნის ჰაერი ხელს უწყობს შენს არსებას. წაიღე თილისმა — ირმის კბილები — და თაროზე ჩამოდე. შენ კი, არ დაგავიწყდეს, მიიკარ ოქროს დაფა წარწერით: „სიუხვის ჭურჭელი".

ასე თქვა ამირამ და შინ გაეშურა, რათა თავისი შთამომავლობის სამოცდაათი წინადაცვეთა ედღესასწაულნა...

— აი ყველაფერი, რაც მათ შეეხება, — დაამთავრა შეიხმა.

სასწაულთა მაიდანმა, როგორც ჩანს, ვაჭრები ააღელვა. ისინი მუშტებით თვალებს ისრესდნენ, შეშფოთებულნი ატრიალებდნენ ხელებს და რაღაცას ხრინწიანად გაიძახოდნენ.

— ჭეშმარიტად კარგად ვიქცევი, — თქვა მოუსვენარმა ვაჭარმა, — რომ გამგზავრებისას მონებს მეზობელთან ვგზავნი.

— მოწმეა შაითანი, ეგ საშუალება კარგად მოქმედებს დღისით, — თქვა მაღალმა ვაჭარმა, რომელსაც სპილოს ძვალი ჰქონდა, და რაღაც უცნაურად თავი ყიამყრალი ვაჭრის მხარს დააყრდნო.

— მადლობა ალაჰს, მე ერთი ცოლი მყავს! — მოწყენილად წაიბუტბუტა მოუსვენარმა ვაჭარმა. — რადგან ნათქვამია: „იმდენი მოამზადე, რამდენის შეეძლიაო".

— მადას ვერასოდეს ვერ გაიგებ წინასწარ, — თქვა ავყია ვაჭარმა, უცნაურად შეიშმუშნა და სპილოს ძვლის ვაჭრის თავი ალტაბასის მოვაჭრის მხარეზე გადადო.

— კეთილშობილო მოგზაურო! — თითქმის ტირილით წარმოთქვა ნერვულად დიდჩალმიანმა ვაჭარმა. — ჭეშმარი-

ტად საგულისხმოა შენი იგავები. და წინ რომ ძნელი გზა არ გედოს მცხუნვარე უდაბნოში, შეგეხვეწებოდით განგეგრძო, მაგრამ უზრდელობა იქნებოდა მთელი ღამე გვეწვალებინა კაცი ხანგრძლივი მოგზაურობის წინ.

— ღმერთმა ინებოს, რომ თევზი დაგსიზმრებოდეს! — ჩაწყვეტილი ხმით წამოიძახა ვაჭარმა, ჭოკს რომ ჰგავდა. — ნება გვიბოძე პატივით მიგაცილოთ, ო შეიხო, შენი ოთახის კარამდე.

შეიხმა გულგრილად მოაკლო თვალი ვაჭრებს. ამ დროს შემოვიდა მისი მსახური, ყალიონში წყალი გამოცვალა და ქართულად წასჩურჩულა:

— ესენი ქვისანი არიან... მალე გათენდება...

შეიხმა ერთი ნაფაზი დაჰკრა და ხმამაღლა თქვა სპარსულად:

— ქვებიც ჩამონგრეულა კალატოზ ქერიმის ჩაქუჩის დარტყმით!

— შეიხთა შეიხო! — წამოიკვნესა ვაჭარმა, რომელსაც ძვირფასეულობა მოჰქონდა. — მოწმეა ალაჰი, შენ უნდა დაისვენო, რადგან უდაბნო, სადაც ახლა დაძრწის...

— კეთილზრდილნო ვაჭარნო, როგორ შემიძლია ვისარგებლო თქვენი თავაზიანობით და მივეცე თვითმოყვარეობის ულირს გრძნობას? ნურც თქმულა, რომ მე გავიზიარე ნახევარი ღამე და იგი არ დავამთავრე ათას ორი ღამის სწორუპოვარი იგავით ყაჩაღ ალმანზორზე.

ჩახშობილი კვნესა, კბილების ჩუმი ღრჭიალი და ტანსაცმლის ნაკეცებში დამალული მუშტები ალბათ ვერ შეამჩნია შეიხმა, რადგან უდარდელად განაგრძო:

ყაჩაღი ალმანზორი

•

— ეს იგავი ბედმა მოულოდნელობის ნემსით ჩაწერა სიმდიდრის მაძიებელთა თვალებში. მე გამიგონია, თავაზიანო ვაჭრებო, რომ დამასკოში ცხოვრობდა მეტად მდიდარი

ვაჭარი ელ-დიხი. მისი დუქანი ყველაზე უკეთესი იყო ბაზარში; მეორე ზეცის სურვილით იგი სავსე იყო ოქროთი, ნელსაცხებლებითა და ძვირფასი თვლებით და წარჩინებულ მყიდველებს იზიდავდა. მაგრამ ალაჰი მიხვდა: ადამიანი არასოდეს არ სჯერდება იმას, რაც ბედს მიუნიჭებია. და აი ერთხელ ელ-დინმა გადაწყვიტა გაეათკეცებინა თავისი სიმდიდრე და საჩქაროდ დატვირთა აქლემები უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ, რათა თავისი საქონელი ძვირად გაეყიდა და უცხო საქონელი კი იაფად შეეძინა.

— ო შვილო ჩემო, — წამოიძახა დედამისმა, — იცოდე, რა თქვა წინასწარმეტყველმა: „ნეტარ არს კაცი, რომელიც თავისი ქვეყნის ნაყოფით იკვებება და არ მოგზაურობს თუნდა ისრის ათას გაფრენა მანძილზე“.

— შემინდოს წინასწარმეტყველმა! მას არ უვაჭრია და ამიტომ მის რჩევასაც ფასი არ აქვს.

— ო შვილო ჩემო, მადლობა ალაჰს, შენ ისედაც ყველა ვაჭარზე მდიდარი ხარ დამასკოში. რად უნდა გააღიზიანო ალაჰი გაუმაძღრობით და მოიელინო ყაჩაღ ალმანზორთან შეხვედრის საფრთხე?

— უნდა იცოდე, დედათა შორის უკეთესო დედაო: ბედი ყოველ ადამიანს ყელზე ჰკიდია. და ნურც თქმულა, რომ ელ-დინს ყაჩაღ ალმანზორისა შეეშინდა და რომ ჩემი ათი შეიარაღებული მონა მამაცია, ვით კურდღელი.

— ბისმილაჰ! — წამოიძახა დედამ, — ყურანში რატომ არაფერია ნათქვამი უპკუოებზე? ყველამ იცის: ათი თუ ოცი კაცისაგან შემდგარ ქარავანს ადვილად ძარცვავს ალმანზორი და მისი მსახური, რომელიც თვალში ბეწვს ისე ამოგართმევს, რომ ვერ შეამჩნევ...

ქარის ქშუილმა და ვეფხვების ბრდღვინვამ ააავსო სადგომი. „შეიჰმა“ თვალნი აღმართა და შვებით ამოისუნთქა, რადგან დაინახა, რომ ვეფხვები კი არ ბრწღვინავდნენ, არამედ ღრმად დაძინებული ვაჭრები, ერთმანეთზე რომ დაწოლილიყვნენ, და მყის გაჩუმდა...

...ხოლო როცა გათენდა... სადგომში შემოვარდა ქარავან-

ლის თმაწვერაბურძგნული პატრონი. ვაჭრები დაათვალიერა, დათვალა და სიხარულით წამოიძახა:

— ლა ილაჰე ილ ალაჰ, მუჰამედუნ რასულ ალაჰ! მადლობა ზენაარსს, ყველანი აქა ხართ! ახლა ფარდულში შეეხედე და ურწმუნოდ გავიფიქრე, რომ ღამით გაიპარენით და თავშესაფრისა და ვახშმის ფული არ გადამიხადეთ.

ამ სიტყვებმა მყის განუფანტეს ძილი ვაჭრებს, როგორც ხევში ჩამოვარდნილი განთიადის ქარი გაფანტავს ხოლმე ნისლს. წამოცვივდნენ თუ არა, ჯერ თაღებს ეცნენ და მერე ნიშებს, თავიანთ ბოხჩებს დაუწყეს ძებნა. გაოგნებულნი, ერთმანეთს ეხლეჩოდნენ, იწყევლებოდნენ. მაგრამ უფრო ადვილი იყო გამსკდარი საპნის ბუშტის პოვნა, ვიდრე იმის, რაც იყო და აღარ არის. მხოლოდ ყალიონი აღმართულიყო ობლად, ვით უდაბნოს სილნარში მიკარგული პალმა. აღარსად იყო არც საფენები, რომლებზეც ვაჭრები ისხდნენ, და აღარც ჩალმები.

ვაჭრები გამოშტერებულნი უცქეროდნენ ერთმანეთს. მოუსვენარმა ვაჭარმა, რომელსაც ეგონა, კვლავ მძინავსო, ავყიას უჩქმიტა. უშველებელმა ღრიალმა გააფრთხო უკანასკნელი იმედი.

ვაჭრებმა ხელი ჰკრეს ქარვასლის პატრონს და გიჟებივით გაცვივდნენ ეზოში, ფარდულქვეშ. მაგრად შეკრულნი, პირამოტენილნი, ჩალვადრები ერთმანეთზე ეყარნენ ბოხჩებივით; მგონი კვლავ ეძინათ.

— სად არის შენი წყეული შეიჰი? — დაუყვირა ქარვასლის პატრონს ყიამყრალმა ვაჭარმა.

— ალაჰსაც გაუმართავს მისი გზა! — აღტაცებით მიუგო პატრონმა, — შეიჰმა ჯერ კიდევ გუშინ, როცა თქვენ ბოხჩები შემოგქონდათ, უხვად გადამიხადა და მითხრა: „მართლმორწმუნემ არ უნდა დააყოვნოს და მადლიერად გადაუხადოს მისთვის გზაში გაწეული მომსახურების გამო, რადგან ხვალინდელი დღე აღსავსეა მოულოდნელობით“.

— ო ალაჰ, ეს ყაჩაღი ალმანზორი იყო! — წამოიძახა ჭოკის მსგავსმა ვაჭარმა.— ო ალაჰ, ყველა აქლემი წაუყვანია!

— ჭეშმარიტად გონება დაგიკარგავს, — შეესიტყვა მოუსვენარი, — თავისი ზურგით ხომ ვერ წაიღებდა იმდენ რაჰეს!

— ალაჰ, ალაჰ, განა არ შეგეძლო გემცნო ჩვენთვის ჰეშმარიტება?

— ო ყოვლადძლიერო! როგორ მიეცი ნება წყეულ ავაზაკს ასე შაითნურად გავებრუებინეთ ათას ორი ღამის იგავებით? — მოთქვამდა მსხვილი ვაჭარი.

— ბისმილაჰ, რა უნდა ვუთხრა შაჰინშაჰს? — კვნესოდა ბურთის მსგავსი.

— თვალიც დადგომია... მე ალმანზორზე ვამბობ... ხელებიც შეხმობია მას! — ხიხინებდა ავყია და ხელისგულს იფარებდა სიცხისაგან მელოტ თავზე. — რად უნდოდა ჩემი დოლბანდი?

— ვფიცავ ალაჰს, არ ვიცი, რად უნდოდა შენი ქეციანი დოლბანდი, — გაბრაზებით წარმოთქვა ძვირფასი თვლების პატრონმა ვაჭარმა, — მაგრამ ჩემი კი უთუოდ გამოადგება, რადგან იქ მქონდა დამალული ჩემი საუკეთესო თვლები...

თავი მეთექვსმეტე

სიცხე ნელდებოდა. აუზების ანკარა წყალში იხატებოდა ამომავალი მთვარე, ნაზ შუქს რომ ფენდა ელჩთა ხანეს თეთრ კედლებსა და ბაღის უცნაურ მცენარეებს. სანათურები ნიშებში და ვიწრო საყენებზე შეუმჩნეველი გახდნენ, დაიბნიდნენ, და ნათელი გახდა, როგორც დღე. მხოლოდ სქელ რუხ მაუდზე, რომელიც ეფინა ხანეს ახლოს ტერასის შუაგულს, ეცემოდა ჩრდილი დიდრონი ჭადრების გაფარჩხული ტოტებისა, უხმო გუშაგებივით რომ შემორტყმოდნენ ტერასას.

მოსკოვის სამეფოს ელჩმა, თავადმა ტიუფიაკინმა, შვებით ამოისუნთქა, თანდათანობით გაიხადა ზედა საზაფხულო საცმელი, ფერიაზი, აბრეშუმის ზიპუნი და მსუბუქი პერანგისამარა დარჩა: დააყურა: სიჩუმეა. მესტუმრე, სქელი, წითელულვაშიანი მაღალი ხანი, მოცეკვავე ქალივით რომ იღუნებოდა, ის იყო წავიდა ხანედან და წასვლისას დიდად პატივცემულ ელჩებს, ჩრდილოეთის მბრძანებლის, მეფე ხელმწიფე

მიხეილ თევდორეს ძის — ალაპსაც დაუცავს მარადის მისი სახელის ოქროვანი ბრწყინვალება — ერთგულ შუბებს, მეშვიდე ცის ვარსკვლავთა ძმებს უსურვა ძილი, ტკბილი, ვით ჰურიას ღიმილი. ცოტათი უფრო ადრე წავიდა ემირ-გიუნე, შაჰ აბასის ერთ-ერთი დაახლოებული ხანი, მბრძანებელს რომ ელჩების მდგომარეობის ამბავს აცნობებდა ხოლმე. ტიუფიაკინმა გულმართლად ჩაიცინა: იგი იძულებული იყო სამი საათის განმავლობაში თავი მიამიტად ეჩვენებინა, ნელა ეწრუპა შირაზული ღვინო და თავიდან აეცილებინა უსიამოვნო საუბარი ქალაქელ მეისრეებზე, რომლებსაც თავისუფალი ადამიანებისაგან აგროვებდნენ ნებაყოფლობით. მერე საიდან გაიგო ემირ-გიუნემ ბოიართა დუმის გადაწყვეტილება — მეისრეთა ჯარში არ ჩაერიცხათ ხოლოპები, პოსადელი შსჯავრდადებულნი მხვნელ-მთესველი გლეხები? ცბიერულად გამოკითხავდა, შირაზული ღვინო კი დოქში ცოტალა იყო, სულ ბევრი ნახევარი ჩარექა.

შუადღიდან ნაშუადღევის კაი სამ საათამდე ელჩობდნენ დეველეთ-ხანეში თავადი ტიუფიაკინი, მასთან პოდიაჩი გრიგოლ ფეოფილაქტევი და დიაკი პანოვი. როგორც შაჰთან პირველი წარდგომის დროს, ისე ახლაც, სამი კვირის მოლაპარაკების შემდეგ, დაჟინებით ლაპარაკობდნენ იმავეზე: „დიდი ხელმწიფის, სრულიად რუსეთის მეფის და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძის მეგობარია მისი უდიდებულესობა შაჰ აბასი. ხოლო ქრისტიანული საქართველო, ივერიის ქვეყანა, მისი მეფეები და თავადები ოდითვე ჩვენი, ბერძნული კანონის ქრისტიანული სარწმუნოებისანი არიან, და იგი, შაჰური უდიდებულესობა აბასი, მოეშვას საქართველოს და მის სამეფო უდიდებულესობის მიხეილ თევდორეს ძის სიყვარულისა და მეგობრობის გამო, მეფე ლუარსაბი ტყვეობისაგან გაათავისუფლოს და გულაბის საპყრობილიდან გამოიყვანოს. არ ეარგა, არ შეჰფერის ღვთის მიერ მირონცხებულის ღირსებას პატიმრობაში გმინვა!“

შაჰ აბასი მაღალი ტახტიდან მეგობრულად უცქეროდა მოსკოვის სამეფოს ელჩებს, თანაგრძნობით უსმენდა გატუალარჭულ სიტყვებს, დახელოვნებული თარჯიმანი რომ უთარ-

გმნიდა. თვალებს აღმართავდა ხოლმე ცისფერი ჭერისაკენ, ფერით რომ მოწმენდილ ცას ჰგავდა, და ქვეშქვეშ ბეჯითად ადევნებდა თვალს ელჩებს. ელჩებიც იძულებული იყვნენ მეგობრულად ეცქირათ შაჰისათვის და თვალი ცისფერი ჭერისათვის მიეპყროთ. და ეჩვენებოდა თავად ტიუფიაკინს, რომ მის მაგარ ფეხებქვეშ ხალიჩა კი არ იყო, არამედ ლურჯი მინდორი — და სადღაც ახლოს ხაფანგი. არ დაეცვა სიფრთხილე თავად ტიუფიაკინს, — ნაბიჯი განზე — და ზედ კოჭთან დაიწკაპუნებდა ხაფანგი.

შაჰი გაურკვევლად იცქირებოდა, ბაგენი კი თაფლივით ტკბილ სიტყვებს ამბობდნენ: „ქართველთა მიწა-წყალი, რა დასამალავია, ოდითვე ჩვენია! გურჯისტანის მეფეებიც და თავადებიც ჩვენი მსახურნი და ხელქვეითნი არიან. მე, შაჰ აბასი, მუდამ ვწყალობდი და ვიცავდი მათ! მაგრამ. ალაჰი იყოს მოწმე! ირანი ჩემია, და ადამიანები ჩემი არიან, ხაზინაც ჩემია — ყველაფერი რაც ჩემი არ არის, ღვთისა და ხელმწიფე მეფის მიხეილ თეოდორის ძისაა. ყველაფერი ალაჰისა და მისი — დიდი ხელმწიფის ნებაა!

ამიტომაც აღვუთქვი, მეფე ლუარსაბისათვის, ჩემი ძმისათვის ვიზრუნებ-მეთქი, რათა შეწყვეტილ იქნეს მისი სულიერი ტანჯვა, ხორციელს კი იგი არ განიცდის: კოშკში ისე ცხოვრობს, როგორც ციხე-დარბაზში, უარს არაფერზე არ ეუბნებიან. ხალიჩაზე მთებია გამოყვანილი, თეთრი და ლურჯი, — გურჯისტანს მოაგონებენ. ხოლო დაიღლება მეფე მათი ცქერით — და არის ჩრდილიანი ბაღი, ყვავილები ფშვინავენ — თვალს ახარებენ, და ბულბულები გალობენ — სმენას ატკბობენ."

უკვირდა ტიუფიაკინს შაჰის ორკვალობა: ადვილი როდია გაიგო, სად თავდება სიცრუე და სად იწყება სიმართლე, — ჭრელია მისი სიტყვა, როგორც ხალიჩა.

სრულიად რუსეთის ელჩი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს აგრეთვე ხანებს.

ტახტის ქორედის მარჯვნით და მარცხნით, ნახევარ წრესავით, აბრეშუმის ბალიშებზე ისხდნენ ისინი, ცბიერნი და გაიძვერანი. ხანების ფარჩის სამოსი ლაპლაპებდა ზურმუხ-

ტისა და ნარინჯისფრად, დოლბანდები მორჩილად იხრებოდნენ შაჰის სიტყვებისკვალად, თვალები კი ისეთი გაზეთილი ჰქონდათ — ბუზები რომ ზედ დამჯდარიყვნენ, დაეკვროდნენ!

შაჰ აბასი კი ელჩებს გამოჰკითხავდა მისი ძმის, მეფე მიხეილ თევდორეს ძის მეგობრებსა და მტრებზე.

ფრთხილად, თითქოს ყინულზე სრიალებსო, დაიწყო ლაპარაკი პოლონეთის საქმეებზე თავადმა ტიუფიაკინმა: „ბალტიისპირეთის მიწა-წყალი დენთის კვამლს მოუცავს — იქ ქედმაღალ რეჩ პოსპოლიტას ეომება სვეის მეფე გუსტავ-ადოლფი, მამაცი, ვით ცხენოსანი მამალი. — აქ შაჰ აბასმა კვლავ სახე მოღუშა. — მოსკოვის სამეფო ახლა ყველაფრით ძდიდარია — ჯარითაც და პურითაც; სვეის მეფეს გუსტავ-ადოლფს ბაზრები გაუღო: დაე მარცვლეული ომის საწარმოებლად, რამდენიც უნდა, იყიდოსო. იარაღს კი არ ელევა, მაგრამ როგორც ღვთის დანიშნული ჟამი დადგება, მყის იარაღს თავისი მოსისხლე მტრის, პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ მესამის წინააღმდეგ აღმართავს“.

შაჰმა მყის გამოთქვა აღტაცება რუსეთის მეფისა და უწმიდესი მამის პატრიარქ ფილარეტის სიბრძნის გამო: „ხოლო თუ საჭირო იქნა, მე, ირანის შაჰი, ჩემი ძმისათვის არ დავიშურებ არც ოქროსა და არც გულს“.

განსაკუთრებით გულმოდგინედ განიახლებდა ხსოვნაში თავადი ტიუფიაკინი შაჰ აბასის მიერ მოსკოვის ელჩების მესამე დარბაზობას. თითქოს შაჰს რაღაც აწუხებდა; თითქოს დავიწყებოდა, რომ პირველ დარბაზობაზე უკვე ჭარბად იყო აღთქმული ურთიერთ მეგობრობა და სიყვარული, და კვლავ დაიწყო დაწვრილებით გამოკითხვა ჩრდილოეთის მპყრობელის ჯანმრთელობაზე.

აქ ტიუფიაკინმა გადაწყვიტა, დარბაზობის ვადა გათავდაო, და მკაცრი სიტყვებით უამბო მეფე მიხეილ თევდორეს ძის საჩივარი სპარსეთის ელჩების ბულათ-ბეგისა და როსტომ-ბეგის წინააღმდეგ, რომელთაც სატახტო ქალაქ მოსკოვში უწესოება ჩაიდინეს და მით შებღალეს ხელმწიფის სახელი. განსაკუთრებით კი ბულათ-ბეგმა: ჩხუბი აუტეხა საქართვე-

ლოს სამეფოს ელჩთა მსახურებს, ყოველგვარ შეუფერებელ საქციელს სჩადიოდა და მეფის უდიდებულესობას ეურჩებოდა.

უძრავად იჯდა ტახტზე შაჰ აბასი, უსმენდა და თვალებში ნაპერწკლები უკრთოდა, — ეტყობოდა: უფრო სიხარულით, ვიდრე აღშფოთებით. იტყვიან თუ არა ელჩები: „ბულათ-ბეგმაო", მყის ნაპერწკალი გაიკიაფებს, თითქოს ვინმეს მუგუზალი შეარხიაო. ეტყობოდა, რაღაც ფიქრი დაეუფლა და, თითქოს მის მოსაწონებლად, თავიც კი დააქნია. უეცრად სპარსული „ლომი" სამ ცოცხალ შევარდენს მიაშტერდა: მოხდენილად ეკაეთ ისინი მოსკოველ ბაზიერებს; ძეწკვები მოოქროვილი ჰქონდათ, პატარა ბარტყულები კი მართლაც ფურცელი ოქროსი იყო. ამ სამი სანადირო ფრინველის გარდა, კიდევ ბევრი სხვა მოჰყავდათ, მაგრამ ვერ მოაღწიეს: გზა გრძელი და სიცხიანი იყო, — და იძულებული გახდნენ მეფისა და პატრიარქის საჩუქრებად მხოლოდ ფრინველების ფრთები და ბოლოები წარედგინათ. და ამ ცბიერებამ, ეტყობოდა, შაჰი აღაშფოთა: სჯობდა თუნდაც ერთი თავი მოეტანათ, — თავი საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ფეხებიც იყო. შაჰი დაღვრემილი უცქერდა ფრინველების ფრთებსა და ბოლოებს, და ანაზდად მკვახედ იკითხა, სად არიან მეფე მიხეილ თეოდორეს ძის აღთქმული სარკმლის ოსტატებიო! ელჩებმა კი თავათაც არ იცოდნენ, სად იყვნენ. ჩამოგვრჩნენ გზაში ის უგლიგარჯი ქალამნები, ქალაქ ისპაჰანს დროზე ვერ მოვიდნენო. ახლა კი წადი და ებოდიშე იმ უხეშებსო! და ასე უპასუხეს: „სარკმლის ოსტატები შერჩეული არიან თითქოს გამოფენისათვის — დიდი ხელმარჯვენი არიან, მინა მათ ხელში თითქოს სულდგმულია, და მათ მოსელას კი წუთიწუთზე უნდა ველოდეთ". და შაჰმა წარბი კვლავ შეიკრა, მაგრამ უკმაყოფილება დაფარა, მხოლოდ ბაგე გაუფითრდა, თითქოს მაწონში ჩაუყვიაო.

მაგრამ როცა ემირ-გიუნე ხანმა ისინი, ელჩები, შაჰთან მეხუთე დარბაზობაზე მიიწვია, — უარი თქვეს: რადგან შეიტყეს, რომ სხვა ქვეყნების ელჩები იმავე დღეს წარუდგებიან შაჰს. ყოველივე ამაში თავადი ტიუფიაკინი, პოდიაჩი გრი-

გოლი და დიაკი პანოვი იქცეოდნენ განწესის თანახმად „პოსოლსკის პრიკაზმა“ რომ დაამტკიცა და მეფისა და პატრიარქის ბეჭედმა რომ განამტკიცა: „ელჩობაზე არავითარ სხვა ელჩთან და დესპანთან წასვლა ნაბრძანები არ არის, და შაჰის სუფრაზე სხვა ელჩებთან და დესპანებთან ჯდომა ნაბრძანები არ არის; ხოლო თუ სხვა ხელმწიფეთა ელჩები და დესპანები იქნებიან, ამათ ნაბრძანები აქვთ წავიდნენ იქიდან“.

შაჰ აბასი სულ უფრო ალერსიანი ხდებოდა და ღიმილი მისი — როგორც მზის გამოსათხოვარი სხივი ქარიშხლის ღრუბლებში: აი სადაც არის გაკრთება ელვა, მოღუნული, ვით ისპაჰანური ხმალიო.

გადაწყვიტა თავადმა ტიუფიაკინმა თავი მოექონა შაჰისათვის. მარჯვენა ფეხი წინ წადგა, ხელები განზე გაშალა, თვითონ მოკრძალებით დაიხარა და დაიწყო ლაპარაკი ხელსაყრელ ვაჭრობაზე, რომელიც მოსკოვის სამეფომ, თავაზიანი ირანისათვის რომ ზრუნავს, მას განუმზადა. ფრანგმა ვაჭრებმა მოსკოველ ხელისუფალთაგან ვერ მიიღეს ნებართვა სპარსეთში ევლოთ ხმელეთის გზით, მოსკოვის სამეფოზე, სპარსელები კი მიიღებენ — საფრანგეთში აბრეშუმის შესატანად. და ამით მას, შაჰ აბასის უდიდებულესობას, დიდი მოგება ექნება.

არავინ იცოდა: იამა შაჰს, თუ გაეცინა, ხოლო ისე მკაფიოდ უპასუხა, თითქოს ყოველ სიტყვაზე ოქროს თუმანს წყალობსო: „მსურს სრულიად რუსეთის მეფესთან და დიდ მთავართან მიხეილ თეოდორეს ძესთან ვიცხოვრო ძმური სიყვარულითა და მეგობრობით, მქონდეს ისეთი ურთიერთობა, როგორიც წინათ მქონია. ხოლო ვაჭრობა მეგობრებისათვის ნაპოვნი განძია, ოქროა, მათი მტრებისათვის კი ფარული საფრთხე და საწამლავი“. და შაჰმა დასძინა: ყველაფერს სარგებლობის სასწორზე ავწონი და ამაზე ელჩებს თავის დროზე მოვახსენებო...

სატახტო დარბაზში, როცა ლაპარაკი იყო რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობაზე, თავადმა ტიუფიაკინმა, როგორც მოსკოვის ელჩს შეეფერებოდა, სახეზე დიდი გულდაჯერების გამოხატულება აღიბეჭდა. ახლა კი თავადის სახეს შეშფოთება დაე-

ტყო: ახლოვდებოდა ომი მეფის პოლონეთთან, საჭირო იყო მოსკოვის ხაზინა აღევსოთ ბაჯაღლო ოქროთი. საჭირო იყო ფიქრი არა მარტო მეისრეთა ჯარზე, არამედ თავად-აზნაურთა ჯარზეც. ხოლო ვინ არის აზნაურთა და ბოიართა შვილების უმეტესობა? ან უმამულონი, ან მცირემამულიანნი, პირდაპირ რომ ითქვას: არა უმეტეს, ვიდრე მსახურნი და არა უმცირეს, ვიდრე მოხეტიალე ღატაკები. დადგა დრო გაუმჯობესდეს მათი ბრძოლისუნარიანობა, მშვილდი და ისარი შეიცვალოს მუშკეტით და ტყვიით, ხოლო სამხედრო ვალდებულთა სამსახური უზრუნველყოფილ იქნეს მუდმივი ფულადი ჯამაგირით.

მაგრამ მარტო ამისათვის როდი ჩაღდებოდა ახალი ვაჭრობა. ავსტრიის სახლის სიმდიდრის, მისი ოქროს ძლიერების მთავარი წყარო იყო ესპანეთის საზღვაო ვაჭრობა აღმოსავლეთთან, ხოლო თუ სპარსელი ვაჭრები მიიღებდნენ ნებართვას — ევროპაში ევლოთ ხმელეთით, მოსკოვის სახელმწიფოზე გავლით, ჰაბსბურგებს დააკლდებოდათ დიდი შემოსავალი, საიდანაც მოსკოელი გვარიან ნაწილს მიიღებდა.

მაგრამ, თუმცა კუს ნაბიჯით მიდიოდა საელჩოს საქმეები ისპანეთში, მაინც ისახებოდა დასასრული და შეიძლებოდა ამოსუნთქვა და ტკბობა სპარსული ბაღით, რომელიც თითქოს მოხიბლული იყო მთვარის შუქით და წყნარად თვლემდა.

ხოლო ელჩობის შედეგი ჯერ ნათელი არ იყო და ეს იწვევდა უსიამოვნებას. „პოსოლსკი პრიკაზი“ აფასებდა მას, თავად ტიუფიაკინს, მეფე მიხეილ თეოდორეს ძე და განსაკუთრებით პატრიარქი ფილარეტი გულგრილად ეპყრობოდნენ. ტიუფიაკინს ამის მიზეზად ის მიაჩნდა, რომ იგი სახით ბორის გოდუნოვს ჰგავდა. თითქოს ეს ერთხელ კიდევ სურს დაადასტუროსო, თავადი დაიხარა ლურჯი წყლის აუზზე, სადაც მთვარე იხატებოდა, თუმცა სახე ნათლად არ იხატებოდა წყლის სარკეში, მაგრამ მაინც გამოჩნდა მეფე ბორისის დამახასიათებელი ნიშნები: ჯიუტი ნიკაპი, მკვეთრად გადახიდული წარბები, თათრული ლავიწები, მსხვილი ცხვირი. და მხოლოდ ხუჭუჭი წვერი რამდენადმე ანელებდა ამ უადგილო მსგავსებას.

პოდიაჩი გრიგოლი მაშინვე დაწვა დასაძინებლად, როგორც კი ემირ-გიუნე ხანი წავიდა. მალე მის მაგალითს მიჰბაძა დიაკმა პანოვმაც, — მას გვარიანად აკანკალებდა წყეული ციება, გილანის ადგილებში რომ შეიძინა. ის კი, ტიუფიაკინი, მუდამ განთქმული იყო დაუდეგრობით, თანაც საჭირო იყო ღამით შეემოწმებინა საელჩოს ხალხი: უცნობმა სასმელმა არ გაიტაცოს ან ხიბლმა არ აცთუნოს და არაფერი ჩაიდინონო. გარშემო აღმართულიყვნენ ხეები, ზოგი ნახევრად გამშვირვალე, ზოგი ფოთლებით დახურული. მაგრამ აფრთხობდა არა მწვანე, არამედ თიხა: ქალაქის ყოველ მხარეს გადაჭიმული იყო თიხით ნაშენი ღობეები, მათს გადაღმა კი ადვილად დაიბუდებდა რაიმე უწმინდურება.

შორიდან, იქიდან, სადაც საელჩოს თანმხლებთათვის განკუთვნილი იყო ცალკე შენობა, ხმები მოისმოდა. თავადი ტიუფიაკინი ჩუმად მიუახლოვდა და ჭადრის ქვეშ გაჩერდა. რამდენიმე ბაზიერი ერთმანეთს ელაპარაკებოდა და ხუმრობდა.

— თავს დავდებ სანაძლეოდ! შაჰ აბასის უდიდებულესობა მკვდარ შევარდენს ფარადაც არ აფასებს!

— კასპიის წყალთან, სადაც თერგის შესართავია, შევარდენი აუარებელია. იქ მობუდარი შევარდენი, დაბლობისა და მაღლობისა თანაბრად ნადირობს.

— გასაოცარია!

— და თუ რომელიმე შევარდენი დაიჭირეს, ან სხვა რაიმე უბედურება ეწია, მაღლის შევარდენი დასახმარებლად მიფრინავს.

— რას ამბობ? და არა ჭინკა კუდიანთან სასწავლად?

— მაგისთანა სისულელე ვინ როშა?

— სისულელე კი არ როშა, სიმღერა დააგრიალა. მერკუშკამ, მეისრეთა ათისთავმა. თვითონ ბალჩუკს გაუგონია.

— მერკუშკა? აი ისა, ბოიარინ ხვოროსტინინთან რომ არის...

— ჰო.

— მერე სიმღერა დაისწავლე?

— რასაკვირველია. სულ ზეპირად ვიცი.
— აბა, აბა!
— არ გჯერა? ეი, სიმონ, მოიტა ბალალაიკა!
— ისპაჰანს გააღვიძებ.
— მაგისი დარდი მაქვს?
— იცოდე, ვისთვის ისპაჰანი, ვისთვის კი ისპანახი!
— ხმა, კრინტი! იმღერეთ, ბაზიერებო!
— მიდი!

ახოვანმა ბაზიერმა, მკერდზე რომ ორთავიანი ორბი ეხატა, ბალალაიკა მაღლა შეაგდო, მარჯვედ დაიჭირა და მაშინვე სიმებს დაჰკრა ხელი.

ბუჩქები ოდნავ შეირხა, მაგრამ არც თავად ტიუფიაკინს და არც ბაზიერებს ვაჭარი მამესელეი არ შეუნიშნავთ. ეს მსტოვარი არაერთგზის ყოფილა მოსკოვს და წაუღია საქონელი. მისთვის ხელსაყრელი იყო და ისწავლა რუსული, რისთვისაც განსაკუთრებით აფასებდა შაჰ აბასი. ელჩთა ხანეს ბაღში იგი შევიდა ფარული კარით, რომელიც მხოლოდ ემირ-გიუნე ხანმა იცოდა, შეძვრა ხშირ შინდის ბუჩქებში და მთლად სმენად გადაიქცა.

ბაზიერი ბალალაიკას უკრავდა და მაღალი ხმით ამღერებდა:

მდელოს გადაღმა სანახებს
ნახევარმთვარე . ანათებს.

ხმა ნაღარისა იღვრება,
მინდვრებს აცოცხლებს სიმღერა,
სიმღერა იგი აცილებს
აღფრთოვანებულ არწივებს.

მიიღეს მეფის ბრძანება,
ჰეი, დიდება!
რომ მოსპონ მტერი თავნება,
ჰეი, დიდება!

ეკეეთონ დაუყოვნებლივ,
ჰეი, დიდება!
შშვილდით დახოცონ ქორები,
ჰეი, დიდება!

ენდე ხელმწიფის სამართალს;
ტიკი წაიღე ჯალათთან!
გაუძლებ ცოდვის მოლოდინს,
კუნძი ვარგოდეს ოღონდაც!

თავს გაუფრთხილდი, არასდროს
გატეხო სიტყვა ნათქვამი,
არწივი ყველგან ნავარდობს
ამაყი ფრთების ფართქალით.

გადაუქროლებს მალ-მალე
დონის სტეპებს და ტრამალებს,
ყოშკებთან, ლოდებს მიხლილი,
თერგი ღრიალებს ჯიხვივით.

არწივი დაპფრენს დიდ გორებს,
ცეცხლის რაშზე ზის იგორი,
ჰეი, დიდება!
რაშს მიაქროლებს ნეტარი,
ჭილყვავს შეხვდება მხედარი, —
გაუკვირდება.

იგორ ძვირფასო, მისმინე,
ირწმუნე, რასაც მოგძახი:
არავინაა ზღვისპირას
არწივზე უფრო ყოჩაღი!

შენი ფრთალაღი არწივი
მხეცებს, როგორც ცხვრებს, დასწვივის!
მეფეა ყველა ფრინველის,
მონადირეა პირველი.

ზღვის იქით გველეშაპია,
მოქნილია და სწრაფია,
როგორც კი სხეულს შეარხევს,
მოსპობს ყველას და ყველაფერს.

გველეშაპს უდგას ზანდუკი,
შიგ უძევს რკინის ხელკეტი.
მზე ციდან ყველგან აშუქებს,
მაგრამ იქ მეფობს ბნელეთი.

იმ დამწუხრებულ მხარეში
ქარი ზოლტიეით თარეშობს;
დატყვევებული არწივი
კვდება და სიკვდილს დასცინის.

დეეგმირო იგორ, ელვარე
მახვილი შენი დასძარი,
ზღვას გადუკროლე მღელვარეს,
გველეშაპს დაეც თავზარი.

დე, შენმა გმირმა არწივმა
ის გველეშაპი გასწიროს,
ამსხვრიოს რკინის კარები
მტაიცე და მიუკარები.

წუთით ჩაფიქრდა იგორი,
თითქოს რაღაცას იგონებს,
ეეი, დიდებაა!
ზღვისკენ მიმართა მზერანი
და გააკროლა მერანი —
დაურიდებლად!

ხომალდებს ჰგვანან რაშები,
ფრთა გაუშლიათ არწივებს,
ნაპერწკლებს ყრიან გარშემო,
დროშები მაღლა ასწიეს.

ალესილი გვაქვს მახვილი,
ჩვენ ვერ გვაშინებს ნაღველი,
გველეშაპს მივცემთ კაეშანს,
ჩვენსა არწივი აეშვა,

ღრეს ღამე დააფლეთინა,
ეეი, დიდებაა!
ბოროტსა სძლია კეთილმა,
ეეი, დიდებაა!

დამთავრდა ბრძოლა, ქვეყანას
ღრუბლები გადაეყარა.
ფრთა გაუშლიათ არწივებს,
არ ეშინიათ ქარწვიმის.

რაში მიუშვა იგორმა,
მინდერები გადაიქროლა,
გადაექროლა ფრთამალმა
დონის სტეპებს და ტრამალებს.

წინაა, კლდეებს მიხლილი,
თერგი-ღრიალა ჯიხვივით!

სახეტიალო ბევრია,
ქუქუნა წვიმა მოვიდა,
წყალში თევზები მღერიან,
ბულბული უსტვენს შორიდან.

მკაცრი თვალებით დაპყურებს
მეფე საკუთარ მსახურებს!

მამესელი ჩირგვებს მიეკრა და ფართოდ გაიღიმა, თითქოს საქონელი იაფად იყიდაო. შიგ ბუჩქების შუაგულში შეძვრა და დაჭყლეტილი შვინდი სისხლის ლაქებივით დააჩნდა მის აზიამს. ვაჭარს ბაზიერთა შეძახილები უკვე აღარ ესმოდა, ხელიკივით გარბოდა, მხრებში გაპარსული თავი შეერგო და წითელი წვერით თითქმის ეხებოდა მაღალ ბალახს. იქით-აქეთ ციალებდნენ რაღაც ჭია-ღუები თუ ყვავილები და მწვანე ლაბირინტს ფანტასტიკურ სახეს აძლევდნენ.

მთვარე ქრებოდა, როგორც ყალიონის ბოლი. კიდევ ერთი დღე გაისტუმრა ცხოვრებამ, დღეს იგი ბრწყინავდა მთელი იმ ქსოვილებისა და ხალიჩების ფერებით, მაიდანე-შაჰს რომ ამშვენებენ. მოედანზე არ ცხრებოდა დაირა, ღრიალებდნენ გრძელი ბუკები, დაფუსფუსებდნენ ფერაშები, ცხენს დააქროლებდა რიკა*, დაუცხრომლად გაჰკიოდა რაღაც ბრძანებებს შაჰის ქეშიკთა უფროსი, გაოფლილი, როგორც წყალში ჩავარდნილი ქეჩა.

ალი-კაპუს სასახლის კოშკზე, შაჰის მოედნის სამხრეთ-დასავლეთის მხარეზე, აფრიალდა ნარინჯისფერი დროშა, ხმალაღმართული ლომი რომ ეხატა. მაშინვე შეიჰ ლუთფოლის მე-

* რიკა — ქალაქის სისუფთავის მეთვალყურე.

ჩეთის მხრიდან გამოჩნდა შაჰის ქეშიკთა რაზმი და ჩამწკრივდა ორიარუსიანი შენობის გაყოლებით, რომელსაც ჰქონდა აივნები და ტალანები, სადაც ჩვეულებრივ შრომობდნენ ოქრომჭედლები, ოქრომეჩუქურთმეები და სხვა ხელოსნები.

ჯერ კიდევ წინა დღით ისპაჰანელმა ქალანთარმა ბრძანება გასცა ყველა გამყიდველისა და საქონლისაგან გაეწმინდათ მაიდანე-შაჰი. მოედანი მყის დაცარიელდა; დილის რვა საათისათვის იგი გულდასმით მორწყეს. ქალაქს ზეიმით აუწყეს, რომ შაჰინშაჰმა ინება გააკვირვოს მოსკოვის სამეფოს ელჩები ირანის ბრწყინვალებითა და მისი „ლომის", დედამიწაზე ალაპის ლანდის, მრისხანე შაჰ აბასის სიბრძნით.

შაჰი იდგა ვრცელ ბაქანზე მოედანს რომ დაჰყურებდა თავს. მბრძანებელს სათანადო მანძილით დაშორებულნი, გაქვავებულიყვნენ დოლბანდიანი მამლუქები, რომლებსაც შუბები მოემართნათ. შაჰის წინ მაამებლურად მოხრილიყო მამესელი.

აბასის სახე თითქოს გაქვავებულაო, მხოლოდ მოლ-ურჯო ძარღვი გამალებული უცემდა საფეთქელზე. გააფთრებული მბრძანებელი მზად იყო გამოეძახნა მარაოებიანი მსახურნი, რათა ხელოვნური სიგრილით გაენელებინათ სიცხე, სულს რომ უხუთავდა.

— იქნებ ღამის ავი სული მოგეჩვენა, ვაჭარო, ჩრდილოეთელი მეფის ელჩად?

— არა, შაჰინშაჰო, ეს იყო რუსი თავადი, ტიუფიაკინის შვილი.

— კარგი, მაგრამ იქნებ არ გაუგონია თავისი ბაზიერების სიმღერა?

— პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე შეეძლო გაეგონა მის ყურს.

— კარგი, მაგრამ იქნებ სიმღერის აზრი ის არ იყო, რაც შენ გაიგონე, არამედ ის, რაც რუსმა თავადმა გაიგო?

— მე ჩემთვის როდი ვისმენდი, დიდო შაჰო, არამედ მრისხანე „ირანის ლომისათვის".

— კარგი, მაგრამ ხომ არ ყოფილა ეს სიმღერა იმ წვეთი წყლის მსგავსი, გახურებულ რკინას რომ დაეცა?

— არა, შაჰინშაჰო, იგი უფრო ემსგავსებოდა ყინულის ლოდს, მამესელეის გულს რომ დაეცა.

— წადი!

მამლუქებმა შუბები დახარეს. ვაჭარი გაქრა.

შაჰ აბასმა თვალები დააბრიალა და მუშტები მაგრად გამოსკვნა. „მორჩილ" რეზა-აბასს, კარის მხატვარს რომ მოესურვებინა დაეხატა უკიდურესი გულისწყრომა, უკეთეს ნატურას ვერ იშოვნიდა. შაჰი მარტოდმარტო იყო, მას შეეძლო ყოფილიყო ის, რაც ნამდვილად იყო. მსტოვარმა ვაჭარმა მას მოუტანა ერთი წვეთი სიმართლე, მაგრამ ამ წვეთმა აღავსო სიმართლის ის ფიალა, რომელიც მას უნდა შეესვა. მოსკოველმა ბოიარებმა და უმაღლესმა სამღვდელოებამ გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, გაეთავისუფლებინათ გურჯისტანის მეფე, ურჩი ლუარსაბი!

— ბისმილაჰ! — წამოიძახა შაჰმა და თვალი ზეაღაპყრო. მას უყვარდა ალაჰთან საუბარი, ხოლო როცა ალაჰს არ ეცალა, — მაჰმადთან, მის წინასწარმეტყველთან. — შენ, განდიდებულ იქნეს ძლიერება შენი, მწყალობ სიბრძნეს! სამოცდაათი ათასი მთავარანგელოზი ახლავს მას სასთუმლიდან სასთუმლამდე. იგი ეძებს გულს, სადაც არ არის სიყვარული ამ ქვეყნისადმი, რათა შეაღწიოს და დაისადგუროს იქ. და აი იგი ეუბნება მთავარანგელოზებს: „წადით თქვენ — თქვენს ადგილას, რადგან ვიპოვნე ის, რასაც ვეძებდი". მონა მეორე დღეს დილით წარმოთქვამს სიბრძნეს, რომელიც შენ უწყალობე, მბრძანებელო ალაჰ! ზეცის სიბრძნით მოსილი, გულუხვობას ვიჩენ: ერთ გამ * მიწას ვაჩუქებ გურჯ ლუარსაბს, — სიამაყის გამო იგი მეტზე უარს იტყვის. მაშინ, გურჯისტანში, სიბრძნემ ვერ გაანათა გონება ჩემი და ვამჯობინე ტყვე მეფე შორს მყოლოდა მისი ქვეყნიდან — და ამით გავჩხვლიტე ირანის გული. ისლამის მეფეე, მი ვხედავ ჯამების უმდგრადობას ბედის სასწორზე. შხამიანი ნაკადი მოდის გულებიდან და წამლავს ჰაერს.

---

* გამი — სპარსული მიწის საზომი. დაახლოებით სამი ნაბიჯი.

მე, „ირანის ლომი“, თვითონ განვიცდი მისი თილისმის გავლენას! სხვანაირად ვერ ავხსნი გონების დაბნელებას, რეშტში რომ მომიეიდა. იქ მე მოვკალი ჩემი სისხლი და ხორცი! ო ჩემო საბრალო შვილო! ო სეფი!.. მაგრამ შურს ვიძიებ! მოხდება შურისგება ლელუს ცრემლებისათვის! ბულათ-ბეგს დაავიწყდა, რომ, როცა მე განრისხებული ვარ, უდაბნოში ლომებს კანკალი მოსდით!

მამლუქები ხედავდნენ, რა უდარდელად დასეირნობდა შაპი ბაქანზე. დრო და დრო იგი ძირს, მოედანზე იცქირებოდა: იქ ამთავრებდნენ მზადებას მოსკოვის სახელმწიფოს ელჩების შეხვედრისათვის. სასახლის დიდ შესასვლელთან, ოცი ნაბიჯის მანძილზე, უკვე იდგა თორმეტი რჩეული ცხენი — ექვსი ერთ მხარეს, და ექვსი მეორე მხარეს, — ბრწყინავდა მათი დიდებული აღკაზმულობა, რომელიც მოქარგული იყო ძვირფასი თვლებით და აქა-იქ ალმასებით.

მოედანზე გამოვიდა ემირ-გიუნე ხანი, თავი დახარა შაჰის წინაშე და განაცხადა:

— ხედავს მაჰმადი, რომ რუსეთის ელჩებს უფრო მეტად მოერია სიჯიუტე, ვიდრე საჭიროა.

— თქვი, ხანო.

— ო შაჰინშაჰო, სატანამ ურჩია მათ და უარს ამბობენ წამოდგნენ შენს წინაშე მოედანზე აზიამჩაცმულნი. უმადური გიაურები! განა „ირანის მზემ“ არ გახადა ისინი ამ საჩუქრის ღირსნი?

— რას იმოწმებდნენ ურწმუნონი?

— ჩვეულებას, შაჰინშაჰო. ჯიუტად იმეორებენ, — წმიდა ალის გაუგმირავს ისინი ისლამის შუბით! — მარტო კაფტანჩაცმულნი მოედანზე არ წავალთო.

— კარგი. დაე მოვიღონენ თავიანთი გრძელი ბალახონებით გამოწყობილნი! დღეს მხიარულების დღეა, ინშალაჰ!

— დაე დანათებდეს შაჰ აბასს მსოფლიოს ნათელი!

ბულათ-ბეგი ზეიმობდა. ბერბერიული ბედაურით გაიარა მან მორთული ისპაჰანი. აუარებელმა ხალხმა გააყოლა შურია-

ნი თვალი, — მას, სვიანს სვიანთა შორის! განა მას არ უბოძა „ირანის ლომმა“ ყაზვინის სულთნის წოდება? განა მას არა ჰყავს ყაზვინში აუარებელი ცოლი და მხევალი, რომელთაც ინახავენ ქალაქი და პროვინცია! საზეიმოდ ჩაცმული ათობით ცხენოსანი ახლდა მას ისპაჰანში, სადაც ჩავიდა „ირანის ლომის“ ბრძანებით, რომელმაც ინება, რომ მისი საყვარელი ხანი დასწრებოდა, როცა რუსეთის ელჩებს სპარსეთის საგანძურს უჩვენებდნენ. ისპაჰანში მას ჰყავდა მეგობარი როსტომ-ბეგი. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ალავერდი-ხანის ქვიტკირის ხიდზე, ზენდერუდზე რომ არის გადებული. როსტომ-ბეგი ძლივს მალავდა შურს.

ალტაცებით გუგუნებდა ბრბო, რომელსაც ფერაშები ეწეოდნენ უკან, და ადიდებდნენ დიდთა შორის დიდ შაჰ აბასს. ფრიალებდნენ ნარინჯისფერი ალმები, უმოწყალოდ აცხუნებდა მზე, გეგონებოდა, სიცხე ციდან და მიწიდან მოდისო. სწორკუთხოვან ყვითელ მოედანზე ხანდახან გადაივლიდნენ შავი ჩრდილები, მოცახცახე, ვით ბედნიერება. ბრწყინავდნენ შუბები, სარბაზების მზით გარუჯულ ხელს რომ ეჭირა, მუშკეტები ჰაერში გაყინულ გველებს ჰგავდნენ.

მრავალრიცხოვანი ამალა მისდევდა შაჰს. მსვლელობას უძღოდა ეშიქ-აღასიბაში, რომელსაც მოოქროვილი კვერთხი აღემართა. ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდნენ შაჰს მისი უახლოესი მრჩევლები: ხანები ყარაჯულაი, ერები, აღა, ემირგიუნე. ოდნავ მოშორებით მოდიოდნენ მდივანბეგები: მთავარი მოსამართლე, თორმეტი ათასი მსროლელის უფროსი, გულამების — ათი ათასი ცხენოსნის უფროსი, შაჰსევანების — გვარდიის უფროსი, მცველთუფროსი, აბდარი*, ქვემეხების ზედამხედველი, მონების ზედამხედველი, სანელებლების ზედამხედველი, შაჰის ნუკერების უფროსი, დავათარი — გადამწერელი, ნაზირი — მეკარე.

---

* აბდარი — მცველი წყლიანი დაბეჭდილი დოქისა, რომ არ მოეწამლათ შაჰისათვის.

მოსკოვის ელჩები მოედანზე რუსულად ჩაცმულნი მოვიდნენ: მაქმანიანი „ოპაშნებით“, საყელოზე მიბმული ჰქონდათ ძვირფასი მანიაკები, ფეხთ ეცვათ ოქროთი მოოქვილი ფერადი წაღები. დინჯად წარდგა შაპის წინაშე თავადი ტიუფიაკინი, მისი მაღალი ქუდი მოწმობდა ჯიშის წარჩინებასა და წოდების დიდებას; ყველაზე ძვირფასი ოქროს ძეწკვი უბრწყინავდა. მარჯვენა ყურში უკიაფებდა საყურე, თითებზე — ბეჭდები.

შაჰ აბასი მოწყალედ შეხვდა მოსკოვის სახელმწიფოს ელჩებს, კეთილმოსურნედ აათვალიერ-ჩაათვალიერა ტიუფიაკინი, თითქოს მის მორთულობას იწონებსო.

შაპმა თვალი მოჰკრა ბულათსა და როსტომს და გაიღიმა: „ყოჩაღ, ბეგებო! ფეჰხლევანებო! არ დაგიგვიანებიათ!“

საზეიმო მსვლელობა მაიდანე-შაპის მოედნით გაემართა. და შაჰ აბასმა ხელის ფართო მოძრაობით დაანახვა ელჩებს ირანის საკვირველებანი.

ელჩები, ხელწიფის განწესის დარღვევას რომ უფრთხოდნენ, ძლივს იკავებდნენ აღტაცებას. საპარადოდ აღკაზმული ცხენები აბრეშუმისა და ოქრომკედის გრეხილებით იყვნენ დაბმულნი ოქროს ლურსმნებზე, დიდრონი რგოლები რომ ჰქონდათ თავზე. ოქროსხაოიანი ხავერდის თორმეტი საძაგრავი საჩვენებლად გამოკიდებული იყო სასახლის ფასადზე გაბმულ თოკზე. ფიგურულ რიკულს იქით მოჩანდა ოთხი კასრი: ორი ოქროსი ოქროსავე სამფეხზე, ორიც ვერცხლისა ვერცხლისავე სამფეხზე. თვალს ტკენდა მზის ლაპლაპი ოქროს ორ წყლიან კასრზე, ცხენების სასმელად რომ იყო განკუთვნილი, და ოქროს ორ კვეჟოზე, მიწაში ლურსმნების ჩასასობად რომ იდო.

თავადმა ტიუფიაკინმა და დიაკმა პანოვმა შეუმჩნევლად გადაჰხედეს ერთმანეთს: ვაჭრობა შეიძლება განვითარდეს ურთიერთ სასარგებლოდ — ბეწვეული ირანში, ოქრო რუსეთში! მეჰმანდარი ეუბნებოდა მათ, საიდუმლოდ, რომ სპარსელი დედოფლები ჭყუმპალაობენ წმინდა ოქროს აბაზანებში, რომლებშიც წყლის ნაცვლად ნუშის რძე ასხია. ამიტომ დედოფალთა ტანის კანი ოქროსფერია, საამოდ ფშვი-

ნავს, ვით ნუშის ყვავილი. სანამ ანცი ფიქრი თავში უტრიალებდა ტიუფიაკინს, ოცდაათიოდე ნაბიჯი გაიარეს. აქ უფრო გაკვირდნენ ელჩები: ღიაწითელ ხალიჩაზე გაწოლილიყვნენ ორი ლომი, თავი რომ ალი-კაპუსკენ მიებრუნებინათ, ერთი ვეფხვი და ერთი ავაზა — უდაბნოებისა და ჯუნგლების რისხვა. მაგრად დაბმულნი, ისინი თავისუფალი, გადასახტომად გამზადილნი გეგონებოდა. შაჰმა მოწყალედ განმარტა, მხეცები მოზვრებთან საბრძოლველად არიან გაწვრთნილნიო. ხალიჩის ნაპირებზე ორმა ოქროს კასრმა მხეცების საკვებად ელჩების ყურადღება მიიპყრო თავისი მასივობით, იქვე უთავბოლოდ ეგდო ორი ოქროს კვეიო. მზეზე მათი ლაპლაპი გულს ურევდა ადამიანს, შაჰისათვის კი აბრეშუმი იყო, რადგან მთლად ღიმილად იყო გადაქცეული.

დიდ პორტალთან მივიდნენ. აქ იდგა ორი არაჩვეულებრივი სილამაზის ინდური ეტლი, შიგ ხარები ება და მეეტლეებიც ინდურად იყვნენ ჩაცმულნი. მარჯვნივ დაკუნტრუშებდა ორი ნიამორი, მარცხნივ კი ყორღანოებივით აღმართულიყო ორი უზარმაზარი სპილო, რომელთაც ეფარათ ფარჩის საძაგრავები, ეშვებზე რგოლები და ფეხებზე ვერცხლის ჯაჭვები და რგოლები ებათ. იქვე ჯავრობდა მარტორქა.

გაიარეს მუშკეტერთა უნაკლო მწყობრში. მაღალ იფნების ქვეშ, ოქროს ხონჩებზე ელაგა ყინულის ნატეხები. დიაკმა კიდევაც ამოიოხრა: ელჩებს ოქროს თასებით მიართვეს ყინულით გაციებული ღვინო. ოქროთი იერიშის შემდეგ შაჰს ნებავდა ელჩები განეცვიფრებინა ლოლუებით, ისინი რუსებს მიართვეს ნაზსახოვანმა ნუკერებმა, სხვა ნუკერებმა შაჰს, ელჩებსა და ხანებს აუქნიეს საგრილებლები. დიაკმა სიამით გაახილა თვალები, სიცხით რომ ეცრემლებოდა.

მივიდნენ ქორედთან, ცისფერი ქერმანშაჰი რომ ეფარა. შაჰ აბასმა ელჩებს ანიშნა, ამოდითო. ელჩები მოთმინებით მიჰყვნენ ირანის მბრძანებელს. აქედან კარგად მოჩანდა მოედნის ნაწილი, სასახლეს რომ ესაზღვრებოდა, რომელიც დიდებულად იყო მორთული.

შაჰ აბასმა ისე აჰხედა ცას, როგორც ჭერს, და გულში ჩამწვდომად თქვა:

— ხედავს ალაჰი, რომ თქვენი მეფე, მიხეილ თეოდორეს ძე, დიდებით აღზევებული, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, მრისხანებით ყაზაფერის მსგავსი, სიმდიდრით — დარიოს მეფის, დიდებულებით — მეფე კეკეუსუს, გმირობით — როსტომის, მამაცობით— ალექსანდრეს დარი,— ჩემი ძმაა! მისი მეგობარი ჩემი მეგობარია, მისი მტერი ჩემი მტერია! — და ხელი შეახო წეროს ფრთას, ჩალმას რომ ამშვენებდა.

მყისვე ეშიქ-აღასსიბაშმა კვერთხი აღმართა. ახმაურდა დაირა, აღრიალდნენ ბუკები. ქეშიკებმა, წვეტიანი მუზარადები რომ ეხურათ, წრე შეჰკრეს.

გაკვირვებულმა ტიუფიაკინმა ოდნავ ასწია წარბი და დააკვირდა ნაცნობ სახეს: ეს უეჭველად ბულათ-ბეგი იყო. მაგრამ მოედანზე რაღაც უცნაური რამ ხდებოდა: ნაჯახიანებმა ხელი ჩასჭიდეს ბულათ-ბეგს და წრეში შეათრიეს. ყაზვინის გამგებლის სახეს ფერის ნატამალი აღარ ედო, საშინელებით გონდაკარგული განუწყვეტლივ ასლოკინებდა.

— დამარ კონ!* — უყვიროდა უფროსი ნაჯახიანი.

თავადმა ტიუფიაკინმა ღირსება დაიცვა და თითქოს სრული გულგრილობის ნიღაბი აიფარა, და ნახულის გააზრების დროც აღარ იყო, ბულათ-ბეგს ბოხჩასავით აგორებდნენ, ის კი თითქოს გახევებულაო. თვალის დახამხამებაში გააკრეს ფიცარზე, გაიელვა ნაჯახმა, მთავარმა ნაჯახიანმა მოკვეთილ თავს ხელი დასტაცა, მაღლა ასწია, ხალხს აჩვენა და კალათში ჩააგდო.

შაჰ აბასმა გულში წამოიძახა „ნაზღავი ხარ, სეფი!“

მაიდანე-შაჰი აგუგუნდა და აქებდა შაჰ აბასის დიდსულოვნობას! კვლავ ახმაურდნენ დაირები, გამაყრუებლად აჭყვიტინდნენ ბუკები და მათ შეუერთდნენ, ვით მარგალიტის ნაკადი, ფლეიტის მელოდიური ხმები.

ისინი ეხმატკბილებოდნენ შაჰის სახის გამომეტყველებას, რომელიც თითქოს გარშემო სინაზეს ჰფენსო. მეგობრულად უცქეროდა „ირანის ლომს“ მუდამ დინჯი თავადი ტიუფიაკინი: მპყრობელსა და ელჩს უსიტყვოდ ესმოდა ერთმანეთისა.

---

* დამარ კონ (სპ.) — თავადღმა დაემხე.

რუსეთის ელჩმა გულში წარმოთქვა: „შენ დაისაჯე, ქედმაღალო ბულათ-ბეგო!“

წითელ ხალიჩაზე ანაზდად იბრდღვინა ვეფხვმა. დანარჩენი მხეცები ერთხმად აპყენენ, რამაც თავზარი დასცა ხალხს. მწყრალად ატყლაშუნდა შოლტი.

დიაკი პანოვი, თვითონაც არ იცოდა რატომ, მიაშტერდა ლოლუას, რომელიც ხელში შერჩენოდა აღა-ხანს. ლოლუა ლხვებოდა და ყინულოვანი ცრემლები ცისფერ ქერმანშაჰს ეღვრებოდა. როცა დიაკმა კვლავ მიაპყრო თვალი ქეშიკების წრეს, იქ უკვე სხვა მსხვერპლი იძაბებოდა მენაჯახეთა ხელში.

— დომარ კონ! — ყვიროდა მთავარი მენაჯახე.

როსტომ-ბეგს ტანსაცმელს გლეჯდნენ, ის კი საშინლად მოთქვამდა. თვალის დახამხამებაში გააკრეს ფიცარს, იელვა ნაჯახმა...

შაჰ აბასი ერთხელ კიდევ შეეხო წეროს ფრთას და მყისვე ეშიქ-აღასიბაშმა კვერთხი აღმართა.

წინ წამოდგა მდივანბეგი და შაჰის ფირმანი გამოაცხადა: — „სახელითა ალაჰისათა, შემწყალისა და მოწყალისათა! მე, აბასი, შაჰი სპარსეთისა და შირვანისა, შაჰინშაჰი, ვაცხადებ განაჩენს, სიბრძნემ რომ მიკარნახა. ჩემი ძმის, დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის მეფის, ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძისადმი ურჩობისათვის, ძაღლის ნასხლეტი როსტომი სიკვდილის ღირსია ისე, როგორც ძაღლის ნასხლეტი ბულათ-ბეგი. მაგრამ ალაჰმა ინება და როსტომი არ ჩააბა სხვა ქვეყნის ელჩების მხლებელთა ჩხუბში, რაც ძაღლის ნასხლეტმა ბულათ-ბეგმა ატეხა კიტაიგოროდში — რუსეთის პირველი ქალაქის მოსკოვის სავაჭრო ნაწილში. როცა მე გამწყრალი ვარ, ლომები კანკალს იწყებენ უდაბნოში! მე, ლომი რჩეულთა, მე შაჰ აბასი, მონა რვისა და ოთხისა, ვბრძანებ: როსტომი, ძაღლის ნასხლეტი, კი არ მოაკვდინონ, არამედ შეარცხვინონ! სახელითა მაჰმადისა, სააქაოსა და საიქიოს სამარადისო მეფისათა!“

წრეში შეიყვანეს ქეციანი ვირი, როსტომ-ბეგი მარჯვედ შესვეს ზედ, პირუკუღმა, გასისხლიანებულ ხელში გაქუცული

კუდი მისცეს, ვირის მუცელქვეშ ფეხები მძიმე ჯაჭვით გაუკრეს და სტვენა-კივილით გარეკეს.

— ო მაჰმად! ხედავს ისპაჰანი, როგორ ვსჯი მე, ირანის მბრძანებელი იმათ, ვინც ჩემს ძმას, მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს არ ნებავს! გაქრეს ირანის ქვეყნიდან როსტომ-ბეგი! მისი ლანდიც ნუ დარჩენილა აქ!

— დიდ არს შაჰ აბასი მოწყალებითა თვისითა! — დაიკვნესა როსტომმა და ამღვრეული თვალი მოაელო ფუფუნებით მორთულ მოედანს.

ვირს რომ შუბლში შოლტი მოხვდა, გულის გამაწვრილებლად აყროყინდა. ამან ისპაჰანელები გაამხიარულა. დაცინვა ბრელოსავით დაეყარა თავზე შეძრწუნებულ ბეგს, მკვეთრი ბიძგით თავი აუყანტალდა და დაეკიდა. მეტს იგი ვერაფერს გრძნობდა.

ჩაფიქრებულმა შაჰ აბასმა ხელი გადაისვა ულვაშზე, ზღარბსავით რომ გაფარჩხოდა, და სახეზე ლმობიერება დაეტყო. შემპარავი ხმით წარმოთქვა:

— მაჰმადმა ბრძანა: „იყავით სამართლიანნი, რადგან სამართლიანობა კეთილმორწმუნეობის მოსაზღვრეა". თქვენი მეფისა და ჩემი ძმის, მიხეილ თეოდორეს ძის სურვილი და ჩემი სურვილი ტყუპები არიან. მე დავსაჯე დამნაშავე ბეგები, რადგან ასე ნებავს მოსკოვის მეფეს, მდიდარსა და დიდს, აღზევებულსა და შემძლებელს. დაე თქვენმა მეფემ და ჩემმა ძმამ გამოიჩინოს სამართლიანობა და დასაჯოს ისინი, ვინც ჩემი კანონი დაარღვია.

მადლობის ნიშნად ტიუფიაკინმა თავი დახარა, მაგრამ არც ძალიან დაბლა:

— მადლობას მოვახსენებ შაჰ აბასის უდიდებულესობას თქვენი მოწყალებისათვის!

რუსმა თავადმა ძალიან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა შაჰის ქარაგმა. მაგრამ წარბიც არ შეიუხრია: მას იფარავდა ხელმწიფის განწესი, რომელიც იოტისოდნავადაც არ დაურღვევია.

შაჰ აბასმა ხელები აოპაყრო და განაგრძო:

— ალაჰი იყოს მოწმე, მეფე გურჯისტანისა, უდრეკი ლუარსაბი განთავისუფლდება ტანჯვისაგან. და დაე გაგრძელ-

დეს მეგობრობა ჩემი დიდ მეფესთან, მთავარესავით რომ ანათებს!

თავი დახარა მეორე ელჩმაც. ხოლო დიაკი თვალს არ აშორებდა ყინულიან ოქროს კასრს, ქორედზე რომ აეტანათ, და უკვირდა: ყინული უფრო საყვარელი იყო მისთვის, ვიდრე კასრი.

მაიდან-შაჰეზე დიდებულად ჩაცმული მეჯინიბეები ხსნიდნენ დაბმულ ცხენებს — მზადდებოდა ცხენოსნობაში წვრთნა. თავადი ტიუფიაკინი „ირანის ლომს" არწმუნებდა: რაც მას, შაჰ აბასს მოსწონს, ის მეფე მიხეილ თეოდორეს ძესაც მოსწონს, ხოლო რაც მას არ მოსწონს, ის არც მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს მოსწონს.

ჩვენს სახელოვან დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარს მიხეილ თეოდორეს ძეს, მთელი რუსეთის თვითმპყრობელს შაჰ აბასის უდიდებულესობასთან როგორი სიყვარული, მეგობრობა და ურთიერთობაც ჰქონდა, მომავალშიც ისეთივე ექნება. სპარსეთის მთელი სასახლისათვის ხელმწიფე-მეფეს უწინარეს ყოველისა კეთილი სურდა, ახლა კი მით უმეტეს.

კარის თარჯიმანი სწრაფად თარგმნიდა. შაჰ აბასი მეგობრულად უცქეროდა ელჩს, და მხოლოდ შეუმჩნეველად ემანჭებოდა ტუჩის კუთხე.

— ხოლო როცა გაგვიშვებ ჩვენ, ელჩებს, — განაგრძობდა ტიუფიაკინი, — და რასაც გვიბრძანებ, იმას მის უდიდებულესობას გადავცემ. ხოლო თუ შაჰის სიგელი იქნა, იმასაც, მაღალსა და ბრძნულს, მივართმევ, და თუ შენი ნება იქნება ჩვენთან ერთად გამოუშვა მეფე ლუარსაბი, სამეფო ქალაქ მოსკოვს მივიყვანთ, როგორც თქვენს დიდ წყალობას.

— ემირ-გიუნე ხანს ვუბრძანებ გაგამგზავროსთ! აი როგორც კი სიგელს დავამთავრებ, გაგიშვებთ. ინშალაჰ! ჩემი წერილით, თქვენი მეფე და ჩემი ძმა დაგაჯილდოებსთ! ახლა კი, ელჩო, ვბრძანებ: გამოჰყავ შენი საელჩოდან ბაზიერები, რათა ჩემს ხანებთან ერთად წავიდნენ გულაბს და თქვენთვის სასურველი გორჯი მეფე ლუარსაბი მიაცილონ იმ ადგილამდე, სადაც შენ, თავადო ტიუფიაკინ, და შენი კაცები დაელოდებიან მას.

ელჩებმა კვლავ მადლობა გადაუხადეს შაჰს.

მოედანზე ჩორთით გაიქენეს ცხენმა — ქარებმა. ძვირფასი თვლების ციალი მათს აღკაზმულობაზე თვალს სჭრიდა ადამიანს, თითქოს თილისმა ცთომილმა მაიდან-ხანეს კუდი შეახოო...

მტვერი სქელ ფენად დაედო როსტომ-ბეგის სახეს, წარბები გაქრა, ტუჩი კი ნაცრისფერი გახდა. ჩალვადრები ვირს უცაცხანებდნენ, ის კი ძლივს მიათრევდა ფეხებს. ბეგი გაქვავებულ ხელს უპერდა ვირის კუდს. შერცხვენის მსხვერპლს, როსტომს, ისპაჰანის ქუჩებში გავლის დროს თან ახლდა დაცინვა და შეურაცხყოფა. შარვალი ნაფლეთებად ეკიდა, ნაფურთხი იმდენი ჰქონდა სახეზე, რომ უკვე ვეღარ გრძნობდა მას. ცხენოსანი სარბაზებიც, რომლებიც გარს ეხვევნენ, არ აკლებდნენ დაცინვას: გზაჯვარედინებზე, სადაც განსაკუთრებით ბევრი ისპაჰანელი იყო თავმოყრილი, ერთ-ერთი სარბაზი გადმოიხრებოდა ხოლმე ცხენიდან და როსტომს გვარიანად უთავაზებდა კისერში, მარჯვე იუზბაში კი ცინიკურად დასცინოდა:

— ალაჰს ჰმადლობდე, ბეგო! შენ შეგრჩა ის, ურომლისოდაც ჰურიები უსარგებლონი არიან მართლმორწმუნისათვის! სჯობს ორი ატამი და ერთი ეკალი, ვიდრე დუქანი ბაღდადში!

პროცესია გავიდა პოლე ჰაჯუს ხიდზე და საადათ-აბადის გარეუბანში შევიდა. მარცხნივ და მარჯვნივ გაჭიმულიყვნენ თიხით გაგოზილი კედლები, ხალხი სულ უფრო მცირდებოდა: აქ თავშეფარებული ღატაკები ამჯობინებდნენ, თვალში არ მოხვედროდნენ სარბაზებს.

ბოლოს ისპაჰანი უკან დარჩა. დაიწყო ბრინჯის ყანები, შემდეგ გადაიჭიმა თუთის კორომები.

პროცესია უეცრად შეჩერდა მოჩუხჩუხე წყაროსთან. ეათკენ მოაქენებდნენ ცხენოსნები. როსტომ-ბეგი თვალდაქუეტილი მიშტერებოდა და არ სჯეროდა; მისკენ მოდიოდა შაჰის მრჩეველი, მრისხანე ემირ-გიუნე ხანი, მის უკან ქეშიკეს

მოჰყავდათ ფიცხი ცხენი და მოჰქონდათ მდიდრული ტანსაცმელი.

იუზბაშმა ბრძანება გასცა და ორმა სარბაზმა როსტომს ნოხსნა ბორკილი, სხვები ჩამწკრივდნენ და ხმლებით მისცეს სალუტი.

როსტომ-ბეგს ვერაფერი გაეგო და შაითანის ხუმრობას აწერდა ყოველივე იმას, რაც ხდებოდა. ემირ-გიუნე ხანმა დამრიგებლურად უთხრა:

— სახელითა ალაჰისათა, აქ დამთავრდა როსტომ-ბეგის გზა! სახელითა ალაჰისათა, აქ დაიწყო ჯემალ-ბეგის გზა. მტვერთან ერთად პირსახეზე ჩამოირეცხე წარსული.

როსტომ-ბეგმა ხანისკენ გაიწია, სურდა ეამბორა ხალათის კალთაზე, მაგრამ შაჰის მრჩეველმა წყრომით შეაჩერა:

— შეჩერდი, გაუფრთხილებელო ბეგო! რაც როსტომ-ბეგს შეეძლო, ის ჯემალ-ბეგს არ შეუძლია. სახელითა ალისათა, შეასრულე შაჰინშაჰის ნება!

— დიდ არს შაჰ აბასი!

როსტომ-ჯემალი დაიხარა და წყაროს წყლით მოიბანა განცდილი სირცხვილი.

მერე დალაქი აფუსფუსდა, ტანი ნელსაცხებლით დაუზილა ბეგს, ხოლო შაჰის ქეშიკები დაეხმარნენ ფარჩის აზიამის ჩაცმაში და აბრეშუმის ქამარზე ხმალი შეაბეს. კარის მეჯინიბემ ბედაური მიჰგვარა. მეტად გახარებულმა როსტომ-ჯემალმა ფეხი სახოვან უზანგში შედგა და მარჯვედ დაჯდა უნაგირზე; გულზე ხელი მიიდო და ემირ-გიუნე ხანს უსმინა:

— ჯემალ-ბეგ, შენ შაჰის განსაკუთრებული შიკრიკი ხარ! ალი-ბაინდურს გადასცემ ყოველივეს, რასაც გეტყვი, როცა ცხენებს დაეძრავთ. არ დაამახინჯო შაჰინშაჰის წმიდა სიტყვების აზრი: გურჯისტანის მეფე, მტკიცე ლუარსაბი, უნდა განთავისუფლდეს ტანჯვისაგან. ალაჰმა დაიფაროს ალი-ბაინდური, შაჰინშაჰის ნების ურჩობისაგან!

— შაჰ აბასის ნება წმიდაა! — წამოიძახა როსტომ-ჯემალმა.

— გასწი გულაბს და დრო არ იანგარიშო! შენმა ცხენმა ფრთები უნდა შეისხას! იცოდე, მეფე ლუარსაბისათვის ფრთე-

ბი მოსკოვის ელჩებს მიაქვთ... გახსოვდეს, ბეგო: ყოველი მოგებული საათი ყაზვინს დაგაახლოებს, შენ, ბულათ-ბეგის ნაცვლად, მისი სულთანი იქნები. ასე ინება შაჰ აბასმა!

თავი მეჩვიდმეტე

უცნაურად განათებული ცა ტბას ემსგავსებოდა: ერთ ნაწილზე ღამე კვლავ მოციმციმე ვარსკვლავებით მოფენილ შავ ბადეს ჰგავდა, მეორეზე კი უკვე განთიადს აღემართა ნარინჯისფერი იალქნები.

— დიდება მაჰმადს! მცოცავი სილა უკვე ყაჩაღ ალმანზორის სამფლობელოში დარჩა! და ხომ არა გგონია, ჩემო სულიერო ძმაო არჩილ, რომ წინასწარმეტყველის კეთილმოსურნე დახმარებით იქ დაიმარხა ათას მეორე ღამის იგავები, ვით წყალში ჩაცვივნული ალმასები?

— მგონია, ჩემო ქერიმ! და თუ ქარვასლიდან არ წამოგვეყვანა ოცი აქლემი, რომლებიც ძალზე დატვირთული მოაბოტებენ ჩვენი ცხენების უკან, ვფიცავ ვლახეთის ღვთისმშობელს, ისპაჰანელ ვაჭრებთან შეხვედრის ღამე სასწაულთა მაიდანზე ნახული მოჩვენების მსგავსი იქნებოდა.

ოაზისზე მეოცნებე არჩილი სიამით ისუნთქავდა წყლის მცენარეების სუნს. ქერიმმა მაღალ გვიმრებსა და ლერწმებში მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე გადაუხვია, აღვირში ჩააელო ხელი მოთავე აქლემს და დანარჩენები, რომლებიც მაგარი თოკით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი, მორჩილად მიჰყვნენ მოთავეს.

ზანზალაკები არ წკარუნებდნენ. ქერიმმა სიფრთხილის გამო მოხსნა ისინი. არც სიმღერა ისმოდა: სიწყნარე საიდუმლო საქმის უერთგულესი ფარია.

ქერიმმა უზანგებზე წამოიწია, გვიმრები ორივე ხელით გასწია, რის გამოც ვარდისფერი შროშანი წამოაფრინა, და ნაცნობ სივრცეს გაუსწორა თვალი. მათრახი მოიქნია და წამოშვერილ კონცხზე აიყვანა ცხენი, საიდანაც მოყვითალოლურჯ ნისლში ძლივს მოჩანდა უსიცოცხლო ვაკეში გულაბის

ციხის ავბედითი კოშკები. თითქოს გაეხარდაო, ერთბაშად ადგა მწვავე მტვერი და სქელ საბურველივით დაეფარა ქარავანს.

არჩილს ყელში მოუჭირა, დაახველა და შეიგინა:

— სატანავ, მომეშვი, ცხვირში ნუ მიღიტინებ!

— მეგობარო, სჯობს ალაჰი ახსენო ასეთ დროს!

— ეჰ, ქერიმ, ორივე კარგია! რაო, „ირანის ლომმა“ ხმალი მოგვიქნია, თუ თეიმურაზმა — ბატის ფრთის კალამი, რომ სულ ჩხუბობენ?

ქერიმმა არაფერი უპასუხა, მათრახი დაიქნია, ქარავნის გაყოლებით წაიყვანა ცხენი და ერთხელ კიდევ გულდასმით დაითვალა ზანდუკები, დიდი და მცირე ბოხჩები. „ალაჰმა დაიფაროს თუნდაც ერთი ნაწყვეტი თოკის დაკარგვისაგან, რადგან ნათქვამია: „არ დაგავიწყდეს დაუზიანებლად დააბრუნო დროებით წაღებული“...

არჩილმა ცხენი შეაჩერა, ქარავანი გაატარა და აგრეთვე დაითვალა ნაკიდები: „ხომ არ ჩამოვარდნილა, დაგვიფაროს წმიდა ღვთისმშობელმა, ზანდუკი ან ბოხჩა? — ძვირფასი ტვირთი ხომ გულდასმით უნდა დაითვალოს და მისი ღირებულება თავის დროზე ოქროს ფულით ან ზოდებით უნდა დაუბრუნდეს ვაჭრებს. ხედავს ღმერთი, რომ ადვილი როდია კეთილშობილი ქერიმისათვის მტაცებლად გახდომა! „რა გაეწყობა, ვისაც ძლიერ უყვარს, ამაზე უარესსაც ჩაიდენს. აი მოურავი... კარგია, რომ მოხერხდა ოც აქლემზე მთელი ტვირთის აკიდება. ნაკლებ საზრუნავია და არც ისე შესამჩნევია“.

— გულაბის მთავარი კოშკი უკვე თითქოს ხელისგულზეაო. მტვრადაც ქცეულა მთლად იგი! რა თქმა უნდა, არა უადრეს, ვიდრე ნათელ მეფე ლუარსაბს, სწორუპოვარ თავად ბაკასა და მამაჩემს, ქართლის მეფის ერთგულ აზნაურ დათიკოს გამოვიყვანდეთ!

— ძაჰმადის ღიმილიც ნუ მოგვკლებია! ამჯერად ვერავინ გაბედავს ხელი შეუშალოს იმას, რაც ცისა და მიწის მფლობელს ნებავს.

— ამინ!

— ინშალაჰ!

— არ შემიძლია დავივიწყო, ძვირფასო, როგორ მოიშეიჰე თავი, აქამდე სიცილი მახრჩობს. და ხმაც ისე გამოიცვალე, რომ მეც კი ვეჭვობდი: ის არის, თუ არა-მეთქი. თურმე შენ იყავი!

— მოწმეა ალი, მეც ეჭვი მაწუხებდა: შენ იყავი, ჩემი სულიერი ძმა, თუ მსახური ათას მეორე ღამიდან?!

— როგორ გგონია, ვაჭრები მდევარს დაგკადევნებენ, თუ არა?

— არჩილ, სჯობს ჩვენი გზა დაატკბო სიყვარულის სიხარულზე ლაპარაკით, მაგრამ დადგება ჟამი, როცა მეფე ლუარსაბი ზარალს დიდი სარგებლით აანაზღაურებს, და ვაჭრები ძლიერი აღტაცებით აღფრთოვანდებიან, რადგან ნადავლის სიტკბოება დანაკარგის სიმწარეზე უფრო ძლიერია.

— მაგრამ რატომ დუმხარ, ჩემო ქერიმ? როგორ ფიქრობ მოისყიდო გულაბელი მორიელები?

— ალაჰმა აზრი ჩამაგონა და იმაზე უარი არ მითქვამს. ჯერ სელიმს მოვიშორებ თავიდან. და როცა წყეული ალიბაინდური გაეშურება იმის სანახავად, რასაც ჩვენ მივიტანთ, ციხე დაცარიელდება, როგორც გულგამორთმეული გოგრა, რადგან სარბაზები, რომლებიც ჩემგან მიიღებენ ოქროს, ფარჩასა და მარგალიტს ჩემი არარსებული ხასისათვის გადასაცემად, შეეცდებიან ისპაჰანამდე არ მიიყვანონ თავიანთი ცხენები. უნდა იცოდე: სხვისი ქონების მითვისება და იმიანად მიმალვა არა თუ ადვილი, არამედ სასიამოვნო საქმეცაა.

— ხოლო თუ შეეშინდათ და...

— გულაბში დაბრუნდნენ? ო! ხუთკუდიანი შაითანი დაეხმარება მათ შემოიგლიჯონ ტანსაცმელი, თვითონ დაიხოკონ სახეები და სიცრუე დაიფიცონ: „მოწმეა წინასწარმეტყველი, ყაჩაღებმა გაგვძარცვეს და წინააღმდეგობის გამო კინაღამ დაგვხოცეს!“ და რადგან გულაბის „სიხარული“ იციან, ეს სარბაზები გაქცევას ამჯობინებენ, ვიდრე ალი-ბაინდურის სახე იხილონ. სხვებს ათობით გავგზავნი ახლომახლო სოფლებში ცხენების საყიდლად. ისინი აგრეთვე ცალკე მიიღებენ ფულს საქეიფოდ. ხუთ დღეს მათს სიცოცხლეს დაატკბობენ აკრძალულ ყავახანებში ხაშხაში, ყავა და მოცეკვავე ქალები.

მართლებსაც კი ოცნების ვარდისფერი აჩრდილები ურჩევნიათ სინამდვილის შავბნელ აჩრდილებს. ინშალაჰ, ხუთ დღეს სარბაზები დაივიწყებენ ცხენების მაიდანს, სადაც ბედაურების ჭიხვინი მათ აგონებს სისხლისმღვრელ ბრძოლასა და ძნელ მგზავრობას.

— ერთიც ვნახოთ, მიხვდნენ?

— ო ალი! ო მაჰმად! თქვენ ღარიბები დააჯილდოეთ მუდმივი მისწრაფებით სიმდიდრისადმი. ხუთი დღის შემდეგ სარბაზები იყიდიან ცუდ იაბოებს და იშვიათ სიხარულს იგემებენ, რადგან მიითვისებენ იმის ნახევარს, რაც ქისებშია, და აღარ გაეშურებიან მომაბეზრებელ გულაბში. ხოლო როცა დაცარიელებულ ციხეში დაბრუნდებიან, იწუხებენ, რომ ტყუილუბრალოდ დახარჯეს ფული იაბოებში და შეეცდებიან დახარჯული დაიბრუნონ.

— კი მაგრამ, მცველი ხომ უნდა დარჩეს ვინმე გულაბში. თორემ ეჭვს შეიტანენ.

— ინშალაჰ! დარჩებიან ისინი, ვინც ჩემი გულისათვის ცეცხლსა და წყალში ჩადგება. მაგრამ იმათ გავაბრუებ შაჰის ვაჭრების ბოხჩებში ნაპოვნი ოქროებით. წმიდა ჰუსეინი წყალობას არ მომაკლებს, რადგან დროებითი ქურდობა ჩავიდინე მეფე ლუარსაბის გადასარჩენად, რომელიც აწამა და მთლად გაძარცვა შაჰ აბასმა.

— შენ დაგავიწყდა განა საჭურისები? ისინი მგონია ხუთნი არიან — ხუთი ჩამოფხავებული მაიმუნი, რომელთაც ძლიერი ყნოსვა აქვთ, — მათ პირველთ შეუძლიათ განგაში ასტეხონ!

— ხედავს ჰუსეინი, ისინი არიან! მაგრამ უსასრულომ ჰიკარნახა დაუყოვნებლივ გავგზავნო ოთხი მათგანი ისპაჰანს: ბაინდურისათვის შეიძინონ ახალი ხასები, რათა დაამშვენოს გულაბის გახუნებული ჰარამხანა. ოთხი აქლემი, რომლებიც გვარიანად იქნებიან დატვირთულნი ხავერდით, ფარჩით, სუნამოებით და ძვირფასი ნაკეთობით, დააბრმავებენ მათ და აღტაცებულნი და აღელვებულნი, დაჰკარგავენ ალღოს და ვერც იფიქრებენ მკითხონ, თუ რატომ თვითონ ხანმა არ მიანდო მათ ოთხი აქლემის ტვირთის გაცვლა ლამაზმანებში. არ ისურვებენ იმიტომაც, რომ ცნობილია: მეტად მოხუცებულ საჭუ-

რისებს ჰარამხანიდან ერეკებიან, და თუ მათ ვერ მოასწრეს გამდიდრება ხასების ხარჯზე, რომლებიც მოისყიდიან ხოლმე საჭურისებს, რათა მათ ბატონებს უჩურჩულონ ხასების მშვენიერებაზე, ანდა არ ჰყოლიათ გულუხვი ხანი, რომელიც მათ ასაჩუქრებს, როცა ისინი მსტოვრების სიმარჯვეს იჩენენ, ალაჰი მწარე ხვედრს არგუნებს მათ: ჩამოკონკილნი დგანან მაიდნებზე ხელგაწვდილნი. ამ ოთხმა ვერ მოასწრო და, სიღარიბის ზღვარი რომ დატოვეს, ჭკვიანად გადაჭრიან თავიანთი მოხუცებულობის უზრუნველობის საკითხს, როცა იმედის კარი გაიღება მათს წინაშე. ისინი დაითვლიან აქლემებს და, როცა ნახავენ, რომ ორკუზიანები იმდენივეა, რამდენიც თვით ისინი, ერთკუზიანები, საჭურისები წამოიძახებენ: „ალაჰის წინასწარ გაფრთხილებაა!“ — და ხელს მოჰკიდებენ ლაგამში „უდაბნოების დამპყრობთ“, თითოეული მათგანი კი თავისი აქლემით საღღაც გაქრება.

— ჩემო ქერიმ, საიდან იცი ესოდენ ლამაზი სიტყვები? ახლა მითხარ, მოსამსახურეებს რით გაუმასპინძლდები? ხანი ხომ, არ გამომეღავნდესო, თან არ წაიტანს მონებს და ერთი, ვით გიჟი, გაექანება ბერძენი ქალის სახლში, რათა დატკბეს ძვირფასი თვლების ციალით, რომლებიც, იგი დარწმუნებულია, შენ არა მარტო მამაცი ალი-ბაინდურის გასამდიდრებლად წაართვი ვაჭრებს.

— მე დავემორჩილე ალაჰს, რადგან იუსუფ-ხანი, გულაბში რომ მოიპრა, თითქოს დაბრმავდა ღა დაყრუვდა. იყოს ჩემზე მსოფლიოს მბრძანებლის ნება, მის ჩაურევლად მოხერხებული და ცბიერი იუსუფი ერთბაშად მიხვდებოდა, რომ როცა ვაჭრების ამბავი მოისმინა, ალი-ბაინდურმა მყისვე გადაწყვიტა გვერდი აუაროს მას, როგორც ახლო მეგობარს, და თვითონ გამდიდრდეს. ბაინდური მეც მრავალსიტყვაობით მეხვეწებოდა, მაგრამ თავი მოვიკატუნე, რომ ვერ ვხვდები მის ნამდვილ განზრახვას დაუყოვნებლივ მომსპოს მე — როგორც საშიში მოწმე და როგორც მომავალი გაყოფის მონაწილეც. შაითანთა შაითანი ბედავს იფიქროს, რომ კალატოზი ქერიმი ალი-ბაინდურ ხანსა ჰგავს. მაგრამ ასრულდეს ყველაფერი, რაც ასასრულებელია!.. ინშალაჰ, ხანზე ყველაფერი ვთქვი. ახლა მსა-

ხურებზე. ბაინდური ვერ მოასწრებს სიმდიდრის საცავამდე მისვლას, რომ მე შეკრებ ათ მსახურს, სამ აქლემს გადავცემ მათ და ასეთ სიტყვას ვეტყვი: „ო ერთგულთა შორის ერთგულნო! განა კეთილი გულის ხანი ალი-ბაინდური მრავალი წლის განმავლობაში არ გასაჩუქრებდათ ძვირფასეულობით, განა თქვენთვის არ იჩენდა უმაგალითო გულისხმიერებას? ახლა სწორედ დადგა დრო სამაგიერო გადაუხადოთ საყვარელ ხანს. ო მსახურთა შორის მსახურნო, სასწრაფოდ შეასრულეთ მისი ბრძანება. აი სამი დრომადერი, რომლებიც დატვირთულია ძვირფასეულობათა სამეფოს საქონლით. მიუყვანეთ ისინი ხანს რაბათში, რომელიც სამი ქვიშის საათზეა გულაბიდან. კეთილი ხანი იქ გაეშურა შეხვდეს საზღაპრო ხასას, რომელსაც თან ახლავს ხუთი საჭურისი — ხუთი ვეფხვი, რომელთაც მძაფრი ალღო აქვთ, — რადგან ედემში არ არის მისი მსგავსი ჰურია. ო მსახურნო, ხანი, ერთბაშად რომ მოხიბლოს მიუკარებელი ხასა, აჩუქებს მას სიმდიდრეს, რომელიც ნავარაუდევია ოცი მართლმორწმუნის ოცი წლის მხიარული ცხოვრებისათვის“. ათი მსახური ვერ მოასწრებს ერთი ქვიშის საათში გზის გავლას გულაბიდან, რომ უფროსი ჰკითხავს: „განა ჩვენ არ ვემსგავსებით რუხ ვირს, რომელიც გადაღლეტილი ზურგით მიათრევდა სურნელოვან ნამჯას, თვითონ კი შიმშილით კვდებოდა?“ მეორე უპასუხებს: „თუ სიმდიდრე ოც მართლმორწმუნეს ეყოფა ოცი წლის მხიარული ცხოვრებისათვის, ათს ხომ ორმოც წელს ეყოფა!“ აქ მესამე გამოვა და ურჩევს დაითვალონ: „რამდენ წყევა-კრულვას მივიღებთ შაითან ალი-ბაინდურისაგან, კიდევ რომ ას წელიწადს ვემსახუროთ მას?!“. მაშინ ყველა გაუხსენებს უსამართლო და სასტიკ ხანს: ჯოხის რტყმევასაც ქუსლებზე, შოლტით ზურგის აჭრელებასაც და ხუნდების სიმძიმესაც კისერზე და სხვა მათ მიერ გამოვლილ სიამეს. დაიწყებენ წუწუნს, რომ წყეული ხანის სიძუნწის გამო, მათ უხეში ტანსაცმლისა და საზიზღარი საჭმლის გარდა, არაფერი არა აქვთ, და ერთხმად წამოიძახებენ: „ალაჰი დაეხმაროს ხანს სხვა ვირების პოვნაში!“ ასეთი სურვილი მათ გაამხნევებს და ისინი პატიოსნად გაიყოფენ სიმდიდრეს და ისე დაიქსაქსებიან ირანის ქალაქებსა და რაბათებში, როგორც მტვერი.

— ვხედავ, ძვირფასო ქერიმ, რომ ყველაფერი მოგიფიქრებია. ოღონდ ხანმა არ შეცვალოს გადაწყვეტილება თვითონ გაემგზავროს ისე, რომ თან არ წაგიტანოს ბერძენი ქალის სახლში და მარტოდ მარტომ დაათვალიეროს ჩვენ მიერ შეძენილი და მიტანილი სიმდიდრე.

— არ შეცვლის, რადგან დათვალიერებისთანავე განზრახვა აქვს ხანჯლით დამკლას — უკვე გალესა — და ამასთან, შაითანის გასახარელად დანაპირები წილიც წამართვას. საჭურისებს არ ენდობა, მსახურებს აგრეთვე, ხოლო სარბაზებზე არც კი იფიქრებს. სელიმს ყველაზე მეტად უფრთხის, გადაწყვიტა სრულიად დაივიწყოს, — მარტო საიდუმლოება გახდის ხომ ხანს სიმდიდრის მფლობელს. დაე ალაჰმა დაამშვიდოს შენი შეშფოთება: ბაინდური ბერძენი ქალის სახლში გაეშურება მარტო და გაუმაძღრობა იქ დააბამს მტაცებელს დილამდე, რადგან გათენებამდე ის ვერ გადათვლის შაჰის ვაჭრების მთელ სიმდიდრეს. ამ დროს კი ჩვენ, ინშალაჰ, გულაბს დავტოვებთ და ვეახლებით ნათელ მეფეს, დედოფალს, თავადსა და... მაგრამ ჩემი თვალი უკვე ხედავს ლამაზ სახლს. წარმატებაც ნუ დაგვკლებია! ნეტამც, ვერც ერთი გულაბელი ვერ აღმოაჩენდეს ქარავანს! ო იმამო რეზა!

ქერიმმა სასწრაფოდ მოსწია ცხენს ლაგამი და ღრმა ხევში ჩავიდა. მზე ისე წითელი ამოდიოდა, თითქოს ბროწეულის წვენს ღვრისო. ხრამის ფსკერზე აქლემთა ძვლები ეყარა.

ქარავანი ნელა ამოვიდა ხრამიდან და გაჩერდა ბერძენი ქალის ყოფილი სახლის წინ. ალიზის ღობეების ჩრდილი უსწორმასწოროდ ეფინა აქლემების წინ. ქერიმმა გააღო ჭიშკარი და ქარავანი შიდა ეზოში შევიდა. გარშემო სიწყნარე იყო. არჩილმა ამოიღო პატარა ბრტყელი ხელადა, სადაც შირაზული ღვინო ჰქონდა, ამოიღო მათარა და, ქართული ჩვეულებისამებრ, შესთავაზა მეგობარს დაელია წარჩინებული და არაწარჩინებული ქართლელების გადარჩენის სადღეგრძელო.

— ო წმიდაო გიორგი, ნუ მოგვაკლებ შენს მფარველობას! ამინ!

— ინშალაჰ!..

იმ დროს, განთიადის მოახლოებისას, როცა ქერიმი ვაჭრებს უამბობდა ქარვასლაში უკანასკნელ იგავს ყაჩაღ ალმანზორზე, ჩაფარ-ხანედან, რომელიც გულაბს ექვსი ფარსაჰით შორავს, დასვენებული ცხენით გამოიჭრა როსტომ-ჯემალ ბეგი. ათობით ბედაური და არანაკლები ჩაფარ-ხანე დარჩა უკან, იგი არ კარგავდა არც ერთ წუთს, როგორც უდაბნოში არ კარგავენ არც ერთ წვეთ წყალს. მისთვის ახლა დრო და წყალი ერთი ფასისა იყო: ისინი ხელს უწყობდნენ გადაელახა სივრცე, რომელიც საზღვრავდა მის შერცხვენასა და დიდებას. ბეგმა ჭარბად იგემა სირცხვილის სიმწარე და გამსჭვალული იყო მგზნებარე სურვილით ასევე მძაფრად განეცადა დიდების ნაყოფი. ცხენის ფლოქვების ხმაურში ესმოდა მოწოდების სიტყვები: „ყაზვინის მმართველი! ყაზვინის მმართველი!“ — და გულგრილად უტყლაშუნებდა მათრახს ცხენს.

მთელ გზაში, რომელიც ქალანთარებმა გაიყვანეს შაჰ აბასის ბრძანებით ისპაჰანსა და გულაბს შუა, ყველა ჩაფარ-ხანეში შაჰის განსაკუთრებულ რწმუნებულებს ხვდებოდნენ წყლით და დასვენებული ცხენებით.

როსტომ-ჯემალმა მშვენივრად იცოდა, რომ შაჰსევანების იუზბაში და მოსკოველი ბაზიერები ასისთავის უფროსობით, რომელსაც წარჩინებული ხანი უძღვოდა, გულაბისაკენ მიდიოდნენ სხვა, უფრო შორეული გზით, სადაც, რა თქმა უნდა, არ ყოფილან არც ჩაფარ-ხანები, არც წყალი და არც ბედაურები. მან ბევრად გაუსწრო რუსებს, მაგრამ მაინც წინ მიჰქროდა, როგორც გაგიჟებული.

როცა ქერიმმა და არჩილმა მშვიდობით ვამოიყვანეს ძვირფასი საქონლით დატვირთული ქარავანი ათას ორი ღამის ქარვასლიდან და ბერძენი ქალის სახლისაკენ მიდიოდნენ, სწორედ იმ დროს როსტომ-ჯემალმა გულაბს მიაღწია. მან ისე მბრძანებლურად დაუკაკუნა ხმლის ქარქაში ჭიშკარს, ისეთი უცხუნა მათრახი მორიგე სარბაზს სიზანტისათვის, ისე მრისხანედ დაუწყო გინება ციხიდან გამოვარდნილ ონბაშს დაგვიანებისათვის, რომ შაჰ აბასის ფირმანის წარდგენა ალი-ბაინდურ ხანისათვის უკვე ზედმეტი ფუფუნება იყო.

ალი-ბაინდური შურით უცქეროდა მის წინაშე გამოცხა-

დებულ შაჰის წარმოგზავნილს. როსტომ-ბეგი, ეს ბედის ნალოლიავები, მუდამ ამაყი და ამპარტავანი იყო, მაგრამ ახლა მის ქედმაღლობას საზღვარი არა ჰქონდა. მან თავი ასწია, მკერდი გამოიზიდა და ამით აშკარა ხაზგასმით აღნიშნა თავისი უპირატესობა ალი-ბაინდურის წინაშე. ჩაფრის ხმა დამასკოს ფოლადივით ზრიალებდა.

— შაჰის რა ბრძანება მოგიტანე, როსტომ-ბეგო?

— მე ჯემალ-ბეგი ვარ! გირჩევ დაიხსომო, ხანო, ჩემი ნამდვილი სახელი. იგი აღმოჩნდა რამდენიმე დღის წინათ. წინათ მე გამოგონილი გვარით ვცხოვრობდი.

— ბისმილაჰ, ჯემალ-ბეგო, რისთვის გამომეცხადა იგი?

— იმისათვის, რომ შეასრულო ის, რაც შაჰინშაჰმა ბრძანდო!

— რა მოგანდო, ჯემალ-ბეგო, შაჰინშაჰმა, დიდთა შორის დიდმა?

— ირანის საქმე! გულაბს მოდიან მოსკოვის სამეფოს ბაზიერები. ჩვენმა მოწყალე შაჰ აბასმა გადაწყვიტა გურჯი მეფე ლუარსაბი იხსნას ტანჯვისაგან. — და როსტომ-ჯემალმა დიდი ზნიშვნელობით გამოისვა თითი ყელში.

— შენ ამბობ, მიწიერი ტანჯვისაგანო?

— ალაჰის სადიდებლად, ღიახ!

— დიდ არს შაჰ აბასი! — სიხარულით წამოიძახა ალიბაინდურმა, რომელიც მზად იყო გადაეკოცნა სასიამოვნო მოამბე.

როსტომ-ჯემალმა მედიდურად გადგა ნაბიჯი უკან და შებორძიკდა, — მას თვალი არ მოუხუჭავს იმ მომენტიდან, როცა კინაღამ სამუდამოდ დაჩუჭა ისინი.

— გახსოვდეს, ხანო, შაჰინშაჰის ბრძანება ხვალ უნდა შესრულდეს. ყველაფერი ფარულად უნდა მოხდეს, რათა მთელს ირანში ყველა ლაპარაკობდეს გველზე გულაბის ციხის ბაღში და... არც ერთი სიტყვა შენს სიმარჯვეზე.

— ო შეუპოვარო ჯინო, გურჯ მეფეს აქაც ბედი ჰქონია! განა უკეთესი არ იქნებოდა მაღე ასულიყავი კოშკში და...

— არა, უმჯობესი არ იქნებოდა, რადგან შაჰმა ასე ბრძანა! და შენ ახლავე გაგზავნი სწრაფლმსრბოლებს რუსების შე-

სახვედრად და აცნობებ სამწუხარო ამბავს. დაე ტიუფიაკინის ყურამდე მიიტანონ, რომ მეტად გაუფრთხილებელი იყო გურჯი მეფე: გაეტაცნა ვარდების სილამაზეს, დაიძინა ბაღში და დაივიწყა გველის ნესტარი. გიაური ბაზიერები ისპაჰანს გაეშურებიან. ეს ამბავი სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს „ირანის ლომს“, იგი სამი დღის გლოვასაც კი გამოაცხადებს. და თავადი ტიუფიაკინი რუსეთის მეფეს აცნობებს შაჰ აბასის კეთილ ნებას, რომელმაც მოისურვა შეესრულებინა თავისი ჩრდილოელი ძმის სურვილი, აცნობებს ბედისწერის ამბავს, რომელიც უცვლელად უთვალთვალებს არა მარტო მონებს, არამედ მბრძანებლებსაც მოკლე გზაზე, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

ალი-ბაინდურმა უხმოდ მიიდო ტუჩზე შაჰის ფირმანი, რომლითაც ნაბრძანები იყო უსიტყვოდ შეესრულებინა ყველაფერი, რასაც სიტყვიერად გადასცემდა გულაბის ციხის უფროსს ალი-ბაინდურ ხანს ისპაჰანელი ჩაფარი ჯემალ-ბეგი.

როსტომ-ჯემალი ისე დაქანცული იყო, რომ ძლივს იდგა ფეხზე, მისთვის გამზადებულ ოთახში ტახტზე დაეგდო თუ არა, თვალებში აურიალდა დოქები, მუთაქები და ხალიჩები, რომლებმაც ჭრელი ნაკადი შექმნეს.

განთიადისას ალი-ბაინდური ბეგთან გაეშურა, მაგრამ მორიგე სარბაზმა უთხრა, შაჰის ჩაფარი რამდენიმე წუთის წინათ გულაბიდან წავიდაო.

მრისხანე შიკრიკი უკვე აღარ იყო. „ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!“ სამაგიეროდ იყო დღე, რომელიც მის წინ, ალი-ბაინდურის წინ, ჰქმნიდა მოულოდნელობას, მშვენიერთა შორის მშვენიერს.

ჭაობის წყალივით მღვრიე განთიადმა მოუსწრო ქერიმსა და არჩილს, როცა მცველების მოსასყიდად განკუთვნილ საქონელს ისინი იმ აქლემებიდან, რომლებიც ბერძენი ქალის სახლის მიდამოებში უნდა დარჩენილიყვნენ, ჰკიდებდნენ ციხეში შესასვლელად გადარჩეულ აქლემებს. ქერიმმა დაამთავრა ბოხჩების აკიდება და ათი აქლემი დამალა ლიშხნარში, რომელიც ბაღის მიყრუებულ კუთხეს ესაზღვრებოდა, სადაც იყო

ეკლებით შენიღბული გასასელელი, რომელიც მხოლოდ ქერიმმა იცოდა.

დანარჩენი საქონელი შინ შეიტანეს. ქსოვილის თოფები ლამაზად დააწყეს ტახტებზე, გარს შემოუწყეს ძვირფასეულობანი და ნელსაცხებლებით სავსე პატარა დოქები, სანელებლის კოლოფები.

ნავარაუდევი იყო, რომ როგორც კი ალი-ბაინდური მარტო ანდა ქერიმის თანხლებით ბერძენი ქალის სახლში მივიდოდა, არჩილი, რომელიც უკვე ჩალვადრად იყო ჩაცმული, ქერიმის ნიშანზე აქლემებს გაიყვანდა მიყრუებულ ბილიკზე.

ბაინდურის ცხენს მოშორებით გაიყვანენ, — ხანი ხომ ქვეითად არ წავა ღამით. ხოლო ქერიმი, რომელმაც დანამდვილებით იცის, რომ გაუმაძღარი ხანი გარეღობის იქით არ შეუშვებს მას, გაეშურება არჩილისაკენ ციხეში, სადაც დაიწყებს მოფიქრებული გეგმის განხორციელებას. ხოლო თუ ალი-ბაინდური მოითხოვს, რომ ქერიმი მასთან დარჩეს, დათქმული დროის გავლის შემდეგ არჩილი გულაბიდან დაბრუნდება ბერძენი ქალის სახლში ქერიმის დასახმარებლად, ამასთან წინასწარ ჩაკეტავს ქარავანს, თითქოს ხანის ბრძანებით, სათადარიგო სააქლემეში.

თუ ბერძენი ქალის სახლს ხანის თვალით შევხედავთ, ეს იქნება არა ამქვეყნიური ნეტარების ოაზისი. ხოლო თუ ქერიმისა და არჩილის თვალით შევხედავთ — ეს იქნება ხაფანგი დიდი მხეცისათვის.

შემდეგ კი ქერიმმა გადაწყვიტა იმოქმედოს გარემოების მიხედვით: ან ცთომილის სისწრაფით ანდა ირმის სიფრთხილით.

ასე იყო ნავარაუდევი. მაგრამ ცვალებადია ამინდი გზაში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, და ხშირად ჩაშლის ხოლმე გულდასმით მოფიქრებულ გეგმებს.

მხოლოდ პირველი ნამაზის შემდეგ ქერიმი თხრილზე გავიდა, შემოუარა ქვიტკირის გალავანს და ციხეში შევიდა.

უჩვეულო გამოცოცხლებამ, რაც სარბაზებს, მსახურებსა და საჭურისებსაც კი ემჩნეოდათ, გააცვიფრეს იგი. ყველანი მთვრალებივით დალასლასებდნენ. და რაღაც შემაშფოთებელი, გულისგამყინავი რამ იყო სელიმის ჩქარ ჩურჩულში:

— ვფიცავ ქერბელას, დიდმნიშვნელოვანმა შიკრიკმა ისპაჰანიდან სასიამოვნო ამბები მოიტანა, რადგან ძუნწმა ალიბაინდურმა ბრძანა სარბაზებს მოხარშული ცხვრის ხორცით გაუმასპინძლდნენ!

— მოხარშული ცხვრის ხორცით?!

ქერიმმა შეშფოთება დამალა და მოგონილი მხიარულებით შევიდა ხანთან და, თითქოს მის უცნაურ მდგომარეობას ვერ ამჩნევსო, აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი უთვალავ სიმდიდრეზე, რაც მეტად გაბედულ მოლოდინს აქარბებს: მარტო მარგალიტი იმდენია, რომ იგი შეიძლება ბათმნობით აირწყოს, ხოლო ფარჩის ბოხჩები და კოლოფები... ქერიმმა ჩამოთვალა და თვითონ სულ უფრო უძლიერდებოდა შეშფოთება: რატომ მაშინვე არ წამოხტა გაუმაძღარი ბაინდური და არ გაექანა საცავში? რა აწუხებს ასე ხანს?

— ო შაითან, როგორ არ მაწუხებს! — წამოიძახა ალიბაინდურმა და ქერიმი მიიყვანა ოვალურ ფანჯარასთან, რომელიც ბაღში გადიოდა, მერე უცნაურად წაისისინა, რომ აქედან ვინმე ხანს ეწყება განთავისუფლების გზა. ხოლო მოტანილი სიმდიდრე, ინშალაჰ, სწორედ დროულია.

ქერიმის გული სიხარულით აივსო: „ნეტავ, ყარაჯუღაიხანს ხომ არ მოუხერხებია ალი-ბაინდურის შეცვლა სხვა ხანით?“ — და სასწრაფოდ დაიწყო ძვირფასეულობის ჩამოთვლა, რომელიც დღემდე არ ნახულა. შესანიშნავი მანიაკები აღტაცებაში მოიყვანს შაჰის პირველ ცოლსაც კი! ახლა ინდური სამაჯურები! ახლა... არა, სიტყვები არა ყოფნის იმ თვლების ასაწერად, არაბესკების ციალისა და ნატიფი ნაკეთობის დასახატავად! უმჯობესია თვითონ ხანი გაეშუროს ბერძენი ქალის სახლში და დატკბეს საგანძურით, რომელიც ტახტებზეა დაწყობილი.

— როგორ! — წამოიძახა ხანმა. — შენ თვითნებურად ამოიღე ჩემი საქონელი ბოხჩებიდან და თავხედურად მიანდე დამწვარი მამის შვილს?

აღმოჩნდა, რომ ქერიმს არავისთვის არ მიუნდვია საზღაპრო ნადავლი, რადგან არც ხანს და არც მას, ქერიმს, არ ესაჭიროება ზედმეტი მოწმე, — ამიტომ უკანასკნელ მოსახვევზე ხრამთან არჩილი სხვა გზით წავიდა.

— შენ!.. ჰო-ჰო-ჰო!.. — ხანი სიცილით იჭაჭებოდა. — შენ ურწმუნოს მარადისობის გზა უჩვენე? სწორედ ამიტომ შეგიწყო ხელი ჰუსეინმა, რომ ერთმა გაართვი თავი ოცდაათ აქლემს.

— მე შევამცირე აქლემების და არა სიმდიდრის რიცხვი, და თითქმის ნახევარი ღამის განმავლობაში ვერეკებოდი მათ, სანამ სასურველ ჭიშკართან არ მოვედი. წმიდა ჰუსეინმა ასეთი აზრი ჩამაგონა: საიდუმლოება საუკეთესო გუშაგიაო.

ბაინდურმა ანაზდად ჩამოგლიჯა კავიდან ქამანდი და ფანჯარასთან მივარდა:

— ო შაითან, შენ ცდი ჩემს მოთმინებას! კვლავ არ არის ის, ვინც უნდა იყოს!

ქერიმი ბევრს ფიქრობდა, ვარაუდობდა, ეჭვიანობდა და ბძიმედ სუნთქავდა: „რით არის ხანი ასე შეშფოთებული? ხასას ხომ არ უთვალთვალებს, მას რომ ღალატობს გაუფრთხილებელ მოლასთან, რომლის წამებას ბაინდური აპირებს ბაზარში?" და რაც შეიძლებოდა უფრო დამშვიდებით ჰკითხა ქერიმმა:

— განა დიდხანს აპირებ, ხანო, არ აჩვენო გამჭრიახ თვალს ყოველივე ის, რაც ათას მეორე ღამემ გამოგზავნა? განა შეიძლება წინასწარ გაიგო ხუთკუდიანი ეშმაკის ანცობა? ერთიც ვნახოთ, მოიფიქრა და ყურში ჩასჩურჩულა ყაჩაღ ალმანზორს, სად არის ის კარი, რომელიც უჩვენებს დიდებისა და წარჩინების გზას? გონიერება გვიკარნახებს ვისწრაფოთ, რადგან ჩარორჩენილს მუდამ იმედის გაცრუება მოელის.

მაშინ ბაინდურმა ისე იფეთქა, რომ ქერიმმა უნებურად დაიხია უკან.

— ვის ასწავლი, ჯოჯოხეთის კუდიანი გუშაგის უმრწმე-

სო? განა მზად არა ვარ ქარიგით გავქროლდე ბერძენი ქალის სახლისაკენ? განა მე არ მენაღვლება განძი?

და ბაინდურმა წყევა-კრულვა გაუგზავნა ზანტ ბედს. „ეგერ მეორე დღეა იგი მიჯაჭვულია ამ ფანჯარას. აბეზარმა ბერმა ტრიფილიოსმა მაინც მოახერხა რუსეთში, რომ ირანმა გასცეს გურჯი მეფე ლუარსაბი. და შაჰი იძულებული გახდა დათანხმებოდა, რადგან ჩრდილოეთელი მეფე იმუქრებოდა: გავწყვეტ შენთან მეგობრობას და არ დავდებ ახალ სავაჭრო ხელშეკრულებას. რომელიც ფრანგების წინააღმდეგ არის მიმართული. გუშინ მოიქრა საგანგებო შიკრიკი, ჯემალ-ბეგი, შაჰინ-შაჰის საყვარელი ხანი. თურმე გულაბში ეს-ეს არის ჩამოვა კარის ხანი, და მასთან ერთად მოსკოველი ბაზიერები ასისთავის მეთაურობით, იმისათვის, რომ მოსკოვში გააცილონ გურჯისტანის მეფე ლუარსაბი.

— მეშვიდე ცის გულისათვის, ხანო! მაშასადამე, ტყვე მალე გაგათავისუფლებთ?

ბაინდურმა დამცინავად შეხედა ქერიმს და სინჯვა დაუწყო ქამანდს, მაგარია თუ არაო.

— ხედავს მაჰმადი. დიახ. მაგრამ განა შეიძლება მოხდეს ის, რაც არა სურს ალაჰსა და მის მოადგილეს, შაჰ აბასს? დათანხმება ყველაფერზე შეიძლება. დაე თავადმა ტიუფიაკინმა მიიღოს ის, რის მიღებასაც ასე მედგრად ცდილობდა. ტყუილად როდი მაქვს გავარდნილი ირმებზე საუკეთესო მონადირის სახელი.

— ანცი ალიც განუმარტავდეს ქერიმს, ალი — ბაინდურის მეგობარს! ელჩების სიცოცხლე ხომ ხელშეუხებელია?!

ალი-ბაინდურმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი:

— ხელშეუხებელია ბევრის სიცოცხლე, მაგრამ როცა ერთი მეფე დაჟინებით მოითხოვს შეუძლებელს მეორისაგან, მაშინ,..

ხანი კვლავ მივარდა ფანჯარას და უმოწყალოდ შეიგინა.

გაუგებარი შიში უკუმშავდა გულს ქერიმს: „ქამანდი! მერე რით არის იგი საშიში? ეს ხომ მუშკეტი ან შუბი არ არის! მაგრამ ქამანდი ხანის ხელში უფრო საშიშია, ვიდრე ათი მუშკეტი და შუბი! რად უნდა იგი უმდაბლესთა შორის უმდაბლესს? ან იქნებ იფიქრა დაიკვეხოს თავისი სიმარჯვე

რუსი ელჩების წინაშე? ან...“ ბაინდური უეცრად მოიხარა, მტაცებლურად დაკრიჭა კბილები და გაქვავდა.

მეფე ლუარსაბი ნელა, დაფიქრებული მოდიოდა. აი ფეხს აუჩქარა, თითქოს გაქცეული ფიქრის დაწევნა უნდაო, და კვლავ შეანელა, თითქოს აბეზარი წინათგრძნობისაგან უკან დაიხიაო.

„ფანჯარა! ლურჯ-ყვითელი! — უკვირდა ქერიმს. — რატომ წინათ არ შემინიშნავს? განა იგი ურჩხულის ხახას არა ჰგავს?“

ქერიმი გულის ძგერას იკავებდა და თვალყურს ადევნებდა მეფეს. „ო მაჰმად, საიდან არის ასეთი ფერმკრთალობა? და ერთგული ბააკაც მეტად დამშვიდებული არ არის... უცნაურია, რატომ არის ასეთი სიწყნარე? და სიბნელეც რატომ არის? საწვიმარი ღრუბელი ხომ არ ჩამოვარდნილა?! ო-ო, ფრთხილად, ქართლის მეფევ! უფრთხილდი! რატომ შეჩერდი?! რატომ არ გარბიხარ?! ან იქნებ ვერ ხედავ, როგორ განხორციელდა ქამანდით ულმობელი ბედისწერა?!“. უეცრად ლიშხნარიდან გამოვარდა ქურციკი. რაღაც წუთით ქერიმმა თვალი შეაჩერა ცხოველზე, რომელიც მძიმედ სუნთქავდა, ფიქრმა გაუელვა: „თვითონ ებმება მარყუჟში. უცნაურია, რატომ მთლად ჩამობნელდა? მეფევ, შევარდენო, გაფრინდი! აფრინდი მაღლა, მაღლა!“

გვიანღაა! ქამანდმა იშხუვლა და მარყუჟი კისერზე შემოეხვა ტყვეს.

ქართლის მეფე, ლუარსაბ მეორე, მოკვეთილი, თავდაღმა დაეცა ვარდის ბუჩქს. სახით დაეცა ეკლებს და ყვავილები დაამტვრია... და ქარმა აიტაცა მარტოდმარტო შთენილი წითელი ფურცელი ვარდისა.

სად არის სიცოცხლის ხმაური? რატომ არის ასეთი სიწყნარე? რატომ არ იყვირა ქერიმმა და არ ეცა ბოროტმოქმედს? რატომ არ გამოგლიჯა ქამანდი? რატომ?! განა შეიძლება დაიჭირო ელვა ან ჩამოვარდნილი ვარსკვლავი?!

წითელმა ფურცელმა იტრიალა ჰაერში და ფანჯრის რაფაზე დაეცა. ან იქნებ ეს სისხლის წვეთია?..

რაღაც ერთი წამით ქერიმი დაიბნა: თითქოს გულაბის გახრწნილ ჰაერში დაიცარაო, აღარ არსებობდა. ბნელმა მოიცვა

მისი სული და ისე ეზიდებოდა უფსკრულში, რომ ქერიმი წაბორძიკდა, ხელები აიქნია და ფანჯრის ჩარჩოს ჩაებღაუჭა. „გონს მოდი, ქერიმ! გონს მოდი! სატევარი ემუქრება შენს ახლობლებს!“ — ამ ფიქრმა, ჩქარმა და ცივმა, როგორც მყინვარიდან ნადენმა ნაკადმა, გამოაფხიზლა იგი.

ბაინდური ხელებს იფშვნეტდა და სიხარულით სულს გეღარ ითქვამდა: ბოლოს, მან უთვალთვალა ნადავლს! ბოლოს, გათავდა გულაბში მისი გმინვის დღეები! ახლა მიაშურე სიმდიდრეს! ქამანდმა გზა გაიყვანა დაღვრემილი ფანჯრიდან ბრწყინვალე მომავლისაკენ. ტყუილად კი არ იფიცებდა ბედაურებს, რომლებიც სირბილის გამო სულს ვერ ითქვამდნენ, ბედაურებს, რომელთაც ნაპერწკალი ცვივათ ფლოქვებში, ბედაურებს, რომლებიც დილაობით მტრებს ესხმიან თავს. ქამანდით გაიკაფა მან გზა ამ ქვეყნის სიკეთისაკენ! მოწყალე და შემწყალე ალაჰის სახელით დაე შეიტყოს ირანმა და მისმა „ლომმა“, თუ როგორია ალი-ბაინდურის დარტყმა! დარტყმა, რომელსაც შეუძლია მატყლივით გაფანტოს მთები!..

ხანმა წკიპურტი ჰკრა ვარდის წითელ ფურცელს ფანჯრის რაფაზე და შემობრუნდა, მწარე და დამცინავი:

— ქერიმ, თუ გკითხონ იმ მეცნიერებმა, რომლებიც დიდ წიგნებში წერენ ჰკუის სასწავლებელ იგავებს, რა სურდა ალი-ბაინდურს, სახელგანთქმულ ხანსო იმწამსვე, როცა მან მოკლა გურჯი მეფე ლუარსაბი ბაგრატიონების დინასტიისა, ასე უპასუხე: „ხანი ვერ ითმენდა გადაეყლაპა მოხარშული ცხვრის ხორცის ლუკმა. იგი მომშეული იყო-თქო“.

ქერიმი კარს მიყუდებოდა და ჩურჩულებდა: „ო ყოველადძლიერო, დამიფარე რისხვისაგან! განა მომაკვდინებელ საფრთხეში არ არის ამჟამად დედოფალი თეკლე? ხოლო თავადი ბააკა?! ახლა დათიკო, არჩილის მამა?.. ყველას აწამებს. მოსპობს ალაჰის მიერ წყეული ავაზაკი! ო წმიდაო ჰუსეინ, მოთმინებით აავსე ჩემი სული! დაე სიძულვილის ცეცხლი დროზე გაჩაღდეს!“

— შენ, ხმელო ხიწვო, ეგრე ბამბაზე უფრო თეთრი რადა ხარ? ან იქნებ გენანება ის, ვინც შაჰინშაჰს ეურჩება? — ბაინდურს თვალებში სისხლი მოაწვა, მაგრამ იმ წამსვე იქ მხია-

რული ნაპერწკალიც გაკრთა: „შაითანმა მარგუნა შემთხვევა თავიდან მოვიშორო მეტად ბევრის მცოდნე". ხანმა ხელი წაიღო ხანჯლისაკენ: — მითხარ, ძაღლისა და ვირის ნასხლეტო, არ მოგწონს შაჰინშაჰის ბრძანება?

— ხედავს მაჰმადი, მე სხვა რამემ გამაფითრა: ბერძენი ქალის სახლის გასაღები ქამარზე აღარა მაქვს. ო ალაჰ, ნუ ინებებ...

— გასაღები? თქვი, სად დაკარგე, წყეულო?! რაო? ო ხუთკუდიანო შაითანო! როგორ გაბედე არ შეგენახა ჩემი სიმდიდრე? სად არის გასაღები? ან იქნებ დაგავიწყდა როგორ ვაღწევ ხოლმე გამოტეხას?

თვალამღვრეული ბაინდური დაბორიალებდა, როგორც მტაცებელი მხეცი გალიაში.

ქერიმი ფანჯარაში იცქირებოდა. თავადი ბააკა! ტუჩები უხმოდ ჩურჩულებდნენ: „ო ყოვლადძლიერო, გამინათლე გონება! მიკარნახე მხსნელი აზრი?".

— გასაღები! სად არის გასაღები? — უტევდა ქერიმს და მძვინვარებდა ალი-ბაინდური. — თორემ...

— დაწყნარდი, ხანო, ეს არის მოვიგონე: ხომ არ ჩამიგდია ნაპრალში ან ხის ფუღუროში? რატომ არსად არ წერია, თუ რა უნდა უყოს კაცმა ნისლს, რომელიც მეხსიერებას აბნელებს? — ქერიმი დაძაბულად ეძიებდა საშუალებას ხანის ფიქრები მოეშორებინა ბაღისათვის: „ალაჰმა დაუბრუნოს სიცოცხლე თავადს!"

— მოიგონე, შაითანო, რომელ ნაპრალშია? თქვი!

— ო დიდო ხანო, აღტაცებული ვარ შენი სიმარჯვით და განცვიფრებული ვარ სიზუსტით, მაგრამ რატომ არ განაგრძე ნადირობა? განა თავადი ბააკა ნაკლებ გაბეზრებდა თავს?

— მოწმეა შაითანი, უფრო მაბეზრებდა თავს! მაგრამ „ირანის ლომმა" ისურვა თვითონ ინადიროს გარეულ ვირზე: ყელზე ჯაჭვჩაბმული გამოებმება იგი ჩემს უნაგირს, ეს თავადი ისპაჰანამდე ირბენს ჩემი ცხენის უკან. თქვი, მოუკალავო ქვაბო, გაიხსენე? — ბაინდურს თითქოს ციება აკანკალებდა. იგი ფანჯარაშიც კი აღარ იყურებოდა სიამით. ახლა მას აინტე-

რესებდა მხოლოდ თავისი სიმდიდრის გასაღები. — ნუ ცდი ჩემს მოთმენას, ქერიმ!

— დიდ არს ალაჰი! ბოლო მოეღო როგორც იქნა ჩვენს ტანჯვას! — ქერიმმა ფანჯარაში გაიხედა: იქ თავადი ბააკა თითქოს გაქვავებულიყო. „ო შავო ბედო, მოაშორე ეკალი კეთილშობილ თავადს!“ — ო ხანო, ვფიცავ... ნეჯეფს, გაიხსენე!

— გაიხსე...

— ხედავს ალაჰი, მეშინოდა თან მეტარებინა გასაღები... განა იცის ვინმემ, რა მოელის მართლმორწმუნეს ყოველ მოსახვევში?

— მაშ თქვი, შაითანო, სად არის?

— ჩემთვისაც ძვირფასია გასაღები, რადგან ალაჰმა ქერიმსაც უწყალობა სიმდიდრე. ხოლო ჩემთვის თქვენგან დაპირებული ხასა დატკბეს სამაჯურებით და ხაერდით!

— სიმდიდრე? ალაჰსაც ამოუთრევია სამარიდან მამაშენი! — ბაინდური წამოჭარხლდა. — რა სიმდიდრეზე ლაპარაკობ?

— როგორ თუ რა სიმდიდრეზე? განა შენ არ შემპირდი მეოთხედ ნაწილს? ან განა ჩემი სიმარჯვე არ გაგხდის პირველ ხანს ისპაჰანში? ო მხიარულო ალქაჯო, მართალი ხარ, დაპირება ყველაფრისა შეიძლება! მაგრამ... როცა გასაღები მოსაზრებულმა დამალა...

— ჯერ კიდევ არავინ იცის, იქნებ შენ უკვე წაიღე? შეიძლება შენი ხასა უკვე ტკბებოდეს სამაჯურებით?

— ო მაჰმად! ო ალი! ვერ წარმომედგინა ასეთი ჯილდო ერთგულებისათვის! განა შენ არ უნდა გიმადლოდე კეთილდღეობას? როგორ გავბედავდი გამეძარცვა ჩემი მფარველი?

ბაინდური ფიქრობდა: „გასაღები მას აქვს... მაშასადამე, ჯერ...“ ხანმა მუშტი გაშალა, რომელშიც მოშხამული სატევარის ტარი ეკავა.

ქერიმმა შეუმჩნევლად ჩამოიღო ხელი ქამრიდან, რომელშიც დამალული ჰქონდა სატევარი, აგრეთვე მოშხამული. „ჯერ დრო არ არის...“ და უეცრად შეშფოთდა: „ნეტავ ხომ არავის უთვალთვალებია ქარავანი? ათი და ათი აქლემი ხომ

ნემსი არ არის და მოწყენილი შაითანი გაბედულს უჩვენებს, თუ სად არის დამალული".

შეშფოთება, რომელმაც ბაინდური მოიცვა, თავშეუკავებელი გაბრაზებით შეიცვალა. „ბისმილაჰ! სპილენძით მოვკედ ქერიმის თავის ქალას და მივაკედებ საძაღლის კარს! მაგრამ ჯერ..." და ხანმა გაიღიმა, ტკბილი სიტყვებით შეკპირდა ქერიმს მოანგარიშის სიზუსტით გამოგიყოფ ნაწილსო, შეკპირდა ხასასაც და კიდევ ბევრ რამეს, რაც მისთვის უცნობი იყო, მაგრამ ერთი პირობით: გასაღები უნდა ექნეს მთავარ მფლობელს, და ახლავე.

თურმე ქერიმიც ვერ ითმენდა, მაგრამ... მან სწრაფად გაიხედა ფანჯარაში: „თავადი ბააკა ცოცხლდება! დროა შევწყვიტო ეს ვირული საუბარი", — და არწმუნებდა ალი-ბაინდურს, რომ დაბინდებამდე საშიში იყო გამგზავრება. შემდეგ, გახა საჭირო არ არის დაუყოვნებლივ ეცნობოს შაჰიხ'შაჰს, რომ მისი სამართლიანი ბრძანება შესრულებულია? ან იქნებ ხანი ელოდება, რომ ვინმე მარჯვემ, რომელსაც აქეზებს გამხიარულებული შაითანი, დაასწროს ხანს და მიიღოს შაჰინ-შაჰის წყალობა და ამასთან ერთად ჩრდილი მიაყენოს ალი-ბაინდურს, რომელსაც თავისი ჰარამხანა აინტერესებს?

ხანი აკანკალდა: როგორ შეიძლებოდა ასე დავიწყებოდა თავი? ეშმარიტად სიმდიდრემ გონება წაართვა. რატომ არ გაიხსენა, რომ ქართლში რისხვა დაიმსახურა სწორედ გიაურ ლუარსაბის გამო? იმერეთიდან მეფის დაბრუნება ხომ მან კი არა, არამედ „ვეფხვებმა" აცნობეს. მაგრამ ამ ქერიმს შეუძლია დაბინდებამდე მიითვისოს თვით მთვარეც, „ალი-ბაბას გამოქვაბულის" გასაღები ხომ მას აქვს! სიფრთხილე მიკარნახებს ძაღლი დაბინდებამდე კოშკში ვიყოლიო.

და ხანმა განგებ მხიარულად ჰკითხა: ხომ არ გადაუფიქრია ქერიმს საზღაურში ხასა მიიღოს? თუ ასეა, იგი საჭურისს ახლავე უბრძანებს ქერიმის სახლში წაიყვანოს ის, რომელმაც იგი, ხანი, ნესვით ამოყორა ყელამდე!

თურმე, ქერიმს არ გადაუფიქრია.

ძნელი სათქმელია. ახსოვდა თუ არა ბააკას, როგორ აღმოჩნდა აქ და რამდენ ხანს იდგა. თვალები თითქოს გამოსცია-

ბოდა, და აღარ შეეძლო მოეშორებინა წამებული მეფის უკვე უსიცოცხლო სახისათვის, რომლის ფერმკრთალ შუბლზე გულგრილად დასრიალებდნენ მზის სხივები.

ნაღვლიანად ზედიზედ ცვიოდნენ თავდახრილი ვარდის წითელი ფურცლები. უხმაუროდ, თითქოს დაიქანცაო, დაიხარა ნუშის რტო, სადღაც საბრალოდ დაიწივლა ნაწყენმა ჩიტმა. „ალბათ ვარდისფერი ჩიტია", — შეუგნებლად ხმამაღლა თქვა ბაკამ. თვალებში ხელი ამოისვა, გულგრილად მიციმციმე ლურჯ ცას შეხედა, გათანგულ მთვლემარე ბაღს... და მოესმა ზარების რეკვა. თავადმა წაიბორძიკა, მუხლებზე დაეცა და, სასოწარკვეთილმა, თავი მეფის მხარს დააყრდნო.

თავი მეთვრამეტე

ვინ თქვა, ყველა დღე ერთნაირიაო? არის სიხარულის დღეები, არის აგრეთვე მწუხარების დღეები. მაგრამ არის დღეები, რომელთაც სახელი არა აქვთ.

ასეთი დღე გაუთენდა ქერიმს დღეს.

სად გაიქცეს ჯერ? ჯერ ვინ ანუგეშოს?

ციხის ეზო სავსეა გულღვარძლიანი სიცილით, უხეში ხუმრობით. ისპაჰანი! სადღაც სულ ახლოს მოჩანს დაელეთ-ხანე.

განგებ ნელა ავიდა ქერიმი კოშკში, ბინდ-ბუნდში გაუარა ახლოს გუშაგებს, რომლებმაც უხმოდ გაატარეს ყოველადძლიერი აღა.

წყნარად გაიღო კარი — ერთი, მეორე. გულისტკივილით გაითანგა ზღურბლზე. თავადი ბაკა ჩაფლულია მდუმარებაში, ხოლო წინანდებურად გამოსციებია თვალები, ვით მინა; თავი ხელებზე დაუყრდნია, ქვითინებს, როგორც ბავშვი, დათიკო.

— სად არის მეფის ცხედარი?

— თავადსა და მე... გვსურდა ე... ე... დაგვეკრძალა, ხოლო შემდეგ ეკლესია გამოისყიდიდა და... და... გადაასვენებდა ქართლში, მაგრამ ის იყო კარამდე მოვიტანეთ, ატყდა ხმაური, ჯახუნი... მოგვცვივდნენ ხანის მგლები, წაგვართვეს... წითელ-

თმიანმა დაუსტვინა, შეახვიეს სქელ ქსოვილში და ცხენით გააქანეს ციხიდან... ალბათ, გაიფიქრეს დამალონ წმიდა ლუარსაბის განსვენების ადგილი... ო-ო!.. — დათიკომ ცრემლები მოიშორა. — ცოცხალი ტყვე იყო და მკვდარიც ტყვეა!

— დიდება ალაჰს, რომ თქვენ არ აგჩეხეს! ხოლო გული ქვა როდია, არ გატყდება ბედის მძიმე ურის ცემით. დღეს, ინშალაჰ! თავისუფალი იქნებით. არჩილი კარგად არის, დამალული მყავს, საღამოს შეხვდები.

ქერიმმა მკაცრად უბრძანა მცველებს, გურჯ თავადს უფრთხილდითო, და ძირს დაეშვა: „სად გაიქცეს ჯერ? ვინ ანუგეშოს?" უეცრად შედგა: ახლოს, სქელ გალავანს გადაღმა გაისმა გაბმული კვნესა. დაჭრილი ქურციკი ხომ არ იტანჯება იქ?

ხანის მსტოვარი, ჩოფურა სარბაზი, კმაყოფილებით ხითხითებდა და იკვეხნიდა, რომ გასართობად ურჩია ღარიბ ქალს კვლავ ნულარ გახვრეტს თვალით კოშკის ფანჯარას, რადგან გურჯი მეფე აღარ გადმოუგდებს არც ერთ ბისტს, რასაც ყოველ დილას სჩადიოდა.

— ო მაჰმად, აღა ქერიმს რომ დაენახა...

ქერიმს აღარ მოუსმენია და ჭიშკარში გავარდა. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული, მაგრამ ესმოდა საკუთარი მოთქმა.

„ტყუილ-უბრალოდ ეძებ, თეკლე, ცივ ქვასთან თანაგრძნობას.

ტყუილუბრალოდ იწვდი ვედრებით ხელს.

ტყუილუბრალოდ ნუგეშით მიმართავ თვალს შაებნელ უფსკრულს.

განა ასევე არ ცდილობს გულში სასიკვდილოდ დაჭრილი ქურციკი გამოთქვას საჩივარი?

განა ასევე არ ღვრის გატეხილი ამფორი წვეთ-წვეთობით ღვინოს, რომელიც გაყინულ სისხლსა ჰგავს?

· განა ასეთ საბრალო ხმას არ გამოსცემს გაწყვეტილი სიმი?

ო ულმობელო ცხოვრებავ, რა ჭურჭელში ინახავ თანაგრძნობას?"

ციების კანკალმა აიტანა ქერიმი. საშინელებით შესცქეროდა იგი თეკლეს, რომელიც კოშკთან გაშხვართულიყო. ქერიმი ცდილობდა მოეშორებინა მოვლენილი შიში და განგებ

სიმშვიდით შეაწყვეტინა სარბაზებს ხარხარი და სასტიკი განკარგულება გასცა:

— ხანი წერილს ადგენს შაპინშაპისათვის და ამ უბედურის კვნესამ შეიძლება ცუდი წინასწარგრძნობა ჩაუნერგოს. დაუყოვნებლივ წაიყვანეთ იგი ბაზრისაკენ!

— ჯოხით განდევნეთ! — მიაძახა ჩოფურამ, რომელიც ქერიმთან მოიჭრა.

მაგრამ რომელიღაც ახალგაზრდა სარბაზმა პროტესტი განაცხადა:

— ყველას ჰყავს დედა!

— ო შე ძაღლის შვილო! — წამოიძახა მრისხანე სარბაზმა. — ჩემი დედა დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამს დაობებულ ლავაშს, რომელიც შეზავებულია თიხით, ეს კალია კი ყოველდღე გამოძალავდა ხოლმე ბისტს ტყვეს. ყოველდღე თითო ბისტი! ოცდაათი ბისტი თვეში!

უეცრად თეკლე ზეწამოიჭრა, შეშინებულმა მიმოიხედა, ხელები აღაპყრო თითქოს აფრენას აპირებსო:

— ო ხალხო! ვისაც გული არ გაგყინვიათ, მომკალით! ან იქნებ შეწყალება არა გქონდეთ! შეწყალება! შეწყალებასა გთხოვთ! მომკალით! სასტიკო ღმერთო, რა ეუყავ მე შენს ცას? სასიკვდილოდ რომ დამჭერ, რად არ ისურვე შეგეერთებინე უბადლოდ მშვენიერისათვის? ხალხო!..

— გურჯია! გურჯია! ვფიცავ მექას, გურჯია! — სიხარულით წამოიძახა ჩოფურა სარბაზმა, რომელსაც ქართული ესმოდა.

— ვფიცავ ქერბელას, კუდიანია! ხედავთ, რა საშინელი ბოროტი ქარი მოგვიელინა!

მაგრამ სანამ ვინმე გონს მოვიდოდა, ქერიმმა ხელი დასტაცა თეკლეს და მასთან ერთად მოსახვევში მიიმალა.

თეკლე იბრძოდა, სურდა გასხლტომოდა, სურდა დაბრუნებულიყო კოშკთან და განუწყვეტლივ იმეორებდა:

— ო ხალხო! როგორ ვიცოცხლო, თუ არა მყავდეს ჩემი გულის მეფე?!

ქერიმს არ ახსოვდა, როგორ მიირბინა თეკლეს სახლამდე, როგორ გადასცა იგი მოხუცებს და უბრძანა ჩაკეტეთ, თორემ

დედოფალი დაიღუპებაო, — არ ახსოვდა როგორ გარბოდა უკან. მხოლოდ კოშკთან შეანელა ნაბიჯი — და დროზეც, რადგან გულის ბრაგუნს შეეძლო მოეკლა იგი. სახეებზე შეატყო სარბაზებს, რომ ხანისათვის ჯერ არ მოუხსენებიათ „გიჟი" გურჯი ქალის ამბავი. ქერიმმა სატეერის ტარს ხელი დაჰკრა და დაიყვირა:

— რა სისულელეზე დავობთ?! განა მთავარი ის არ არის, რომ მალე, ალაჰის წყალობით, ყველანი მივატოვებთ გულაბს? შენ, აჰმეთ, განსაკუთრებით გწყალობს ბედი: შენ დღესვე იუზბაშ სელიმთან ერთად გაემგზავრები ისპაჰანს, შენ განდობს ხანი შაჰინშაჰისადმი წერილს.

ჩოფურას დაავიწყდა გურჯი ქალი და სიხარულით აკუნტრუშდა: სამართლიანია ჰუსეინი! როგორც იქნა, ხანი დააჯილდოებს მას... ერთგულებისათვის!

— ო ალა ქერიმ! შენ მეკითხები, კიდევ რომელ ერთგულს გაგზავნის ხანი? ათია საკმარო?

ჩოფურა გახარებულია, დაასახელა კიდევ ცხრა სარბაზი.

„მაშასადამე, აგრეთვე მსტოვრები, — გაიფიქრა ქერიმმა. — კარგია, დაე მალე მოშორდნენ აქაურობას".

ატლასის სუფრაგადაფარებულ ტახტზე იჯდა ფეხმორთხმული ალი-ბაინდური და მიირთმევდა უხვ სადილს. მშვენიერ ვერცხლის ჯამში უყოფდა ხელს, წვენში იჭერდა წიწაკითა და ნივრით შენელებული ქონის ნაჭრებს, პირში გზავნიდა და თითებზე ქონს ილოკავდა.

აი ხელი დასტაცა ცხვრის ბეჭს და წამოიძახა: „ო ალაჰ!" მერე მოჰყვა ძვლის ლოღნას. თანაც მარცხენა ხელით ფლავში იღებდა ქონიან ინდურ ხურმას, აქ მან შენიშნა ქერიმი, დააბოყინა და ქერიმს ადგილი უჩვენა ტახტთან, დაჯექიო.

ქერიმმა თვალი გააყოლა მსახურს, ცარიელი თეფშები რომ მიჰქონდა, და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მნიშვნელობა არ გამიგონიაო. იგი ცდილობდა დაეძლია ზიზღი და ჰკითხა: განა არ ინებებთ და მე არ გამატანთ შაჰინშაჰის წერილსო. ჩემსავით მჭევრმეტყველურად ხომ ვერავინ აუწერს „ირანის

ლომს“ ერთგული ალი-ბაინდურის სიმარჯვეს.. თუ ასეა, ქერიმს თან მიჰყავს ხუთი აქლემი თავისი წილით და...

ბაინდური აქსუტუნდა, მკვეთრად ჰკრა ხელი თეფშს, ფლავი ხალიჩაზე დაიბნა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა გასაღები, გაბრაზება მიჩქმალა და თქვა:

— ალაჰს არ ნებავს ნაჩქარევი გაყოფა, რადგან ნათქვამია: „თვალი ნუ გრჩება იმაზე, რაც სხვამ უარყო“. და სანამ ერთხელ კიდევ გადავიკითხავდე წერილს შაჰინშაჰისადმი, შენ, ქერიმ, უბრძანე სელიმს მოემზადოს გასამგზავრებლად.

ქერიმს ეჭვი შეეპარა.

განა შაჰს უბადრუკად არ ეჩვენება შიკრიკი, რომელსაც ძვირფასი წერილი მიაქვს და ღირსეული მცველები არ ახლავან? და განა „ირანის ლომის“ წყრომას არ გამოიწვევს ალი-ბაინდურის გაუფრთხილებლობა? საჭიროა რჩეული იარაღით აღჭურვილი სულ ცოტა ათი სარბაზი.

ხანს მოეჩვენა, თითქოს მის ყელს უკვე უჭერს რკინის თითებს ისპაჰანელი ჯალათი, გაფითრდა და ღონემიხდილი გადაწვა ბალიშზე. „ო ხუთკუდიანო შაითანო, რატომ მიბნელებ დღეს გამჭრიახობას?“ და უეცრად იღრიალა:

— რას დასობილხარ ჭოკივით? ან იქნებ სიმდიდრემ თვალები ზურგზე გამოგაბა? შეარჩიე ათი ყველაზე ღირსეული სარბაზი, დაე შეაზმონ საუკეთესო ცხენები! გაეშურე სელიმთან. — ხანმა შეთქმულივით ჩაუკრა თვალი: — ხასა არსად გაიქცევა. მოდი და მითხარი, როცა ყველაფერი შეასრულო.

სელიმთან რომ მივიდა, ძლიერ დაქანცული ქერიმი ტახტზე დაეშვა. და ცივი შარბათიც დროზე მიართვეს, რადგან ყელი გამშრალი ჰქონდა.

— ისპაჰანს! შიკრიკად „ირანის მზესთან“! განა ეს ბედნიერება ალაჰის გამოგზავნილი არ არის? რაო? ქერიმმა ხასა გამოისყიდა? მაგრამ... შაითანი ხედავს, ხანს რომ სიტკბოება მოპარო, ერთი რამეა, ზურგზე ტვირთის წამოიდება კი—სხვა.

— შენი მწუხარება ნუ დაეღვაროს უსულგულო კლდეს, — დამამშვიდებლად წარმოთქვა ქერიმმა, — მე გრთავ ცოლს და გაძლევ მზითევს, რაც მისი სილამაზის შესაფერისია. იცოდე, ო ჩემო ერთგულო სელიმ, მზითევი დიდხანს გეყოფა, რომ

იცხოვრო ლამაზ სახლში, რომელსაც ექნება მხიარული ბაღი, მოლივლივე შადრევანი და გრილი აივანი. თუ დაიფიცებ ყურანზე, რომ ცოლად შეირთავ მას, მაშინ საღამოს მზითევით დატვირთავ ორ ზედმეტ ცხენს.

სელიმმა დაიფიცა...

ძლივს აიძულა თავი ქერიმმა კვლავ შესულიყო ხანთან. ბაინდურმა გულგრილად შეხედა შესულს და კვლავ გაუბედავად ატრიალებდა ხელში წერილს შაჰისადმი. „ახლა მივცე სელიმს თუ... დაბრუნების შემდეგ? რა თქმა უნდა, შემდეგ". ხანმა გრაგნილი კედლის კარადაში შეინახა და გასაღები ღრმად ჩაიდო ქამრის ნაკეცებში.

ამ დროს ქერიმი შეშფოთდა.

— თვალს ხომ არ გადევნებს ვინმე ცნობისმოყვარე, სად შეეძლო წასულიყო ხანი და თან არ წაეყვანა მცველები? ვინ უმჯობესი არ იქნება უფროს საჭურისს უთხრას, რომ წავიდა რუსი ბაზიერების შესახვედრად, რათა გულაბში არ შემოიყვანოს ისინი? დაე დაბრუნდნენ ისპაჰანს, — იქ თითქოს უკვე გაემგზავრა მეფე ლუარსაბი, რათა გამოეთხოვოს და მადლობა უთხრას შაჰინშაჰს წყალობისათვის.

ხანმა მოწონებით შეხედა ქერიმს, წუთით დაეწანა ასეთი თანაშემწის მოსპობა, მაგრამ... რად უნდა ზედმეტი მოწმე? და შემდეგ... სიმდიდრის მეოთხედი! არა, ქერიმი აღარ ესაჭიროება!.. უფროსი საჭურისი მოიწვია და დაწვრილებით აუხსნა თავისი გამგზავრების მიზეზი, თანაც უფროსად დატოვა ხანის სახლში, მერე კოშკის მცველთა უფროსი გამოიწვია, უბრძანა კარგად უდარაჯონ ორ ტყვე ქართველს, და, რაკი სურდა სავსებით მოეპოვებინა ქერიმის ნდობა, დასძინა:

— ალაჰის სადიდებლად, გიბრძანებ შეასრულო მხოლოდ უფროსი საჭურისისა და აღა ქერიმის ბრძანება.

კარგა გზა რომ გაიარა, ბაინდური შეშფოთდა: წამოიღო თუ არა ქერიმმა ხანჯალი ან მოშხამული დანა იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმემ უთვალთვალა ქარავანს და თავს დაგვესხა?

აღმოჩნდა, რომ ქერიმს თან არაფერი წამოეღო, რადგან

მის გვერდით არის თვით ხანი და ამასთანავე ჯერ არ დაღამებულა, ხოლო თუ თავს დაგვესხნენ, ბერძენი ქალის სახლში ცოტა როდია დამასკური ხმალი ბოხჩებში.

ალი ბაინდური შესამჩნევად გამხიარულდა და ცხენი გარეკა.

მალე ცხენები გააჩერეს და ბერძენი ქალის სახლთან ჩამოხდნენ.

ქერიმმა კუთხეს შემოუარა და ხელს რაღაც ხვრელში უფათურებდა. ბოლოს გასაღები მარჯვედ გამოიღო სახელოდან და კარი გააღო. ალი-ბაინდური შინ შევარდა და აღტაცებული გაშეშდა. ყველაფერი დააეიწყდა ამქვეყნად და გაოცებული უცქეროდა საზღაპრო სიმდიდრეს. ტახტი იღუნებოდა ძვირფასი ქსოვილების, ხალერდის, ფარჩის, აბრეშუმის მაქმანებისა და ატლასის სიმძიმით, მაისის ცისარტყელას ექიშპებოდნენ. ქერიმმა დარაბები გააღო და მილეული დღის სინათლეზე აბრჭყვიალდნენ იშვიათი თვლები, უნატიფესი ნაკეთობანი, კეთილშობილი მარგალიტი.

„და საგანძურის მეოთხედი მივცე ახლა ყაჩაღს, რომელიც აღარ მესაჭიროება! — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა ბაინდურმა; იგი თითქოს მთლად ოცნებაში ჩაეფლო, თვითონ კი ხელს შეუმჩნევლად იწვდიდა სატევრისაკენ — და შემდეგ... რად მინდა ზედმეტი მოწმე?!“

ბაინდური ბოხჩებთან მივიდა, მერე ისევ ტახტთან დაბრუნდა, რომლის იქითა მხარეს ქერიმი იდგა. ხანმა გაჯავრებით შეიკრა წარბი და უეცრად ვეფხვივით გადახტა ტახტზე და სატევრით შეუტია ქერიმს. ქერიმი რომ ამის მოლოდინში არ ყოფილიყო გულგანგმირული დაეცემოდა. მაგრამ მარჯვედ გახტა განზე, ქამარში დამალული სატევარი იძრო და დაიძახა:

— ყვითელო შაითანო! ჩაძაღლდები და დამსახურებულად დატკბები ჯოჯოხეთით.

იგი კვლავ გრძნობდა თავს მტვრიანი რაბათის ახალგაზრდა კალატოზად, ხანჯალს ურიოსავით იქნევდა და ხმამაღლა, გამომწვევად ხარხარებდა.

ხანი ხიხინებდა; ხტოდა, იგინებოდა და კვლავ უტევდა ქერიმს. იცოდა: ბრძოლა სასტიკი, ულმობელია, და ერთ-ერთი

უნდა მოკვდეს. მოსისხლე მტრები დაბორიალობდნენ, ულმობლად თელავდნენ ფეხქვეშ მოხვედრილ ძვირფასეულობას და ნამსხვრევებად აქცევდნენ ვაზებს, წკრიალით რომ ეცემოდნენ. აგერ-აგერ ფოლადი მიაწვდება განწირულის მკერდს! მაგრამ კვლავ ნახტომი, გადაბრუნდა ბოხჩები, გადმოიღვარა ქსოვილების ჭრელი ტალღები, იხევა და ფეხებს ებლანდება მოციალე მარმაში, იბნევა ძვირფასი თვლები, და კვლავ ცივად ლაპლაპებენ სატევრები.

არჩილმა ოდნავ გადასწია ხაერდის ფარდა, შემოიხედა და კვლავ მიიმალა.

ბაინდური წამოჭარხლდა, მოიღუნა, შეხტა და ქერიმს შეუტია. ქერიმს ფეხი დაუსხლტა ატლასზე, უნებურად წამოიჩოქა. ბაინდურმა ბოროტად დაპრაწა თვალები და სატევარი აღმართა, მაგრამ ამ დროს კვლავ გადაიწია ფარდა და არჩილმა ფეხი დაუდო ხანს. ბაინდური წაბორძიკდა, მარჯვედ გახტა განზე და ღრიალით შეუტია ქერიმს.

— ალაჰი მოწმეა, — წამოიძახა ქერიმმა, — ვიძიებ მეფე ლუარსაბის შურს! — და ძლიერი ბიძგით გადააგდო ბაინდური.

ხანი წაბორძიკდა, დაეცა და სატევარი გაუვარდა, საშინელება ენთო მის თვალებში. ქერიმი ვეღარ ფლობდა ნებისყოფას, სიძულვილის მძლავრი ნაკადი ახრჩობდა. ფეხს სცემდა ხანს, სახეში აფურთხებდა, ოფლით რომ იყო დაფარული. ტყუილად ცდილობდა ბაინდური წამომდგარიყო, ქერიმს ებღაუჭებოდა, ცდილობდა წაექცია, ტყუილად გლეჯდა კბილით მტრის ტანსაცმელს. აი ხანმა წამოიწია, აი აგერ ძლივს წამოდგა ერთ მუხლზე, მანჭვამ ლავიწები დაუძაბა, ცოტა კიდევ და... და...

ქერიმმა მკერდში ჩასცა სატევარი ალი-ბაინდურს და ორჯერ დაატრიალა. არაადამიანურმა კივილმა შესძრა ოთახი.

— ბინძურო ჯალათო! მიიღე საჩუქარი კალატოზისაგან! დიდი ხანია ალაჰს შევპირდი!

ზეიმოვნად დაჰყურებდა ქერიმი, როგორ იკრუნჩხებოდა ხანი, სისხლი ასველებდა ხალიჩას და გარს უვლიდა ძვირფასეულობას, თითქოს კუნძულებიაი.

არჩილი მუთაქაზე დაჯდა და ხელში აათამაშა ქარქაში. სატევრის ამოღება, სამწუხაროდ, აღარ დასჭირდა.

— შენ, ქერიმ, ტყუილად ეთამაშებოდი სიკვდილს ამდენ ხანს.

— დიდხანს? ერთი წამი! არ ღირდა, მეგობარო, ჩემი დახმარება. დაწყეველილი ხანის სიკვდილი ჩემი ხელით ბედის წიგნშია ჩაწერილი, და იუსუფ-ხანი, ჩემი მეორე მტერი აგრეთვე მოკვდება ჩემგან... შაჰ აბასის ხელით.

— ქერიმ, დაე ყველა ჩვენი მტერი აგრე მამაცურად დახოცილა! ვიჩქაროთ და განვათავისუფლოთ ჩვენი ძვირფასი ტყვეებიც.

— განვათავისუფლოთ!.. ხოლო რა ქვეყნებში განაგრძობს ახლა მოგზაურობას მოწამე მეფე ლუარსაბი?

დიდხანს არ შეწყვეტილა ბინდში ქერიმის ქვითინი. ახლა მას არ ერცხვინებოდა ცრემლი, უიმისოდ ასეთ მწუხარებას ვერ მოინელებ!

— ძმაო, — წყნარად დაუძახა არჩილმა, — ცოცხლები საფრთხეში არიან... ო, წყევლა! რამდენი ჭკუა მოვანდომე, რა იმედი ტრიალებდა ჩვენს გულებში და ერთი ღღით დაიგვიანო! განა დაცინვა არ არის? ო ქერიმ! შემდეგ რაღა ვქნათ?

— ზეცის წყალობაც ნუ მოგვკლებია! ჩემი მწუხარება წვეტიანი იარაღით არის დაწერილი ჩემს გულში! დედოფალსა და ყველა ჩვენს საყვარელს ვიხსნით. შევიხვიოთ მოთმინების სახვევით ჩვენი ჭრილობები, ცრემლებისა და მწუხარებისათვის ბევრი ბნელი ღამე და მოღრუბლული დღე გვექნება. ვიჩქაროთ, ძმობილო ჩემო, რადგან ხვალ უკვე გვიან იქნება.

ქერიმი დაიხარა, ბაინდურის ქამრის ნაკეცებიდან ამოიღო გასაღები და ზიზღით ჰკრა ფეხი ხანის გვამს. უსიცოცხლო ხელი გადაეარდა და დაეცა ალმასის თვალებიან ფირუზის ობობას, თითქოს მის აღებას აპირებსო.

— არჩილ, ხომ არ დაგვიწყნია ირანის კანონი? ვინც დაკარგულს ან ნაქურდალს იპოვნის, ნაპოვნის საერთო ღირებულების წილს მიიღებს. ხოლო ჩვენ განა არ დავუბრუნებთ

ვაჭრებს ალი-ბაიხდურისა და იუსუფ-ხანის მიერ მოტაცებულს?

ქერიმმა გულდასმით მოაგროვა გაფანტული ძვირფასეულობანი, არჩილის დახმარებით გამოუყო წილი „დაკარგულის მპოვნელებს“.

— მე აუცილებლად უნდა ვიჩქარო ციხეში, არჩილ. სელიმი დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ისპაჰანს, შენ კი, გაყოფას რომ მორჩე, აქ დამელოდე. ახლა ხომ ბევრის მოსყიდვა ციხეში საჭირო აღარ არის.

ქერიმი გულაბში გაეშურა. მას ესმოდა, რომ იქ იყო ორასამდე სარბაზი და ამასთან საჭურისები, ხოლო ეს ცბიერები ყნოსვით შეიტყობენ ყოველგვარ საიდუმლოს. გარდა ამისა, მსახურნი — ყოველი მათგანი ცდილობს დაიმსახუროს და აღმოაჩინოს შეთქმულება. რა იქნება, რომ ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს ხანის დიდი ხნით დაგვიანება და ააფორიაქოს ყველანი? მაშინ ბრბო ქერიმს მოსთხოვს თქვას, სად არის ხანი. გამოდის, რომ თავადი ბააკა უფრო მეტ საფრთხეში აღმოჩნდება. ის კი, თვითონ ქერიმი? შეკრულსა და შერცხვენილს წაათრევენ ისპაჰანს. ფიქრიც კი საშიშია, რა მოუვა დედოფალ თეკლუს, დანარჩენებს... უნდა მოვაწყოთ ალიაქოთი, ორომტრიალი, რომ ვერავინ ვერ მოასწროს გონზე მოსვლა. ციხე უნდა დაემსგავსოს ჭიანჭველების ბუდეს, რომელსაც მდულარე გადაასხეს, მხოლოდ მაშინ მოგვიხერხდება თავად ბააკასა და დათიკოს წაყვანა. იჩქარე, ქერიმ! დაიოკე მწუხარება, სძლიე დაღლილობას, ეს ახლა უადგილოა.

. ყველაზე უფრო ღელავდა სელიმი და ათი სარბაზი: ცხენები უკვე შეკაზმულია, უკვე ყველა გამოვიდა ბედნიერთა გასაცილებლად. ხანი კი არ არის და არა!

მაგრამ აი ღია ჭიშკარში შემოვიდა ქერიმი. და ერთბაშად ატყდა ალიაქოთი. ვიღაც საჩქაროდ უსინჯავდა ცხენს ნალებს, ვიღაც ბეჯითად აკრავდა უნაგირს ტყავის ჩანთას. ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რა მოხდა, მაგრამ ქერიმის ძახილმა: „მოემ-

ზადეთ, სარბაზებო, მალე დავტოვებთ გულაბს!“ — ყველა ააფორიაქა.

ქერიმმა სააქლემედან შეუმჩნეველად გადაიტანა თავის ოთახში პატარა ბოხჩა.

უფროს საჭურისს წასჩურჩულა: სანამ ხანი გიაური ბაზიერების ცხენებს ისპაჰანისაკენ დააბრუნებდეს, შენ ხანის ბრძანებით, დაუყოვნებლივ მოამზადე ჰარამხანა ჩქარი მგზავრობისათვის; ცოტა ხანს იყუჩა და დასძინა:

— ყველა საჭურისისათვის მაქვს დიდი ახალი ამბავი, შემდეგ ვიტყვი, — და საჩქაროდ გავიდა.

მაგრამ, გავიდა თუ არა საჭურისი ჰარამხანიდან, ქერიმი იმწამსვე დაბრუნდა ალი-ბაინდურის ოთახში, პატარა კარადიდან გამოიღო წერილი შაჰისადმი, სელიმი იხმო და თავის ოთახში შევიდა.

ცოტა ხანს მოიცადა, სანამ რამდენადმე დაცხრებოდა სელიმის აღტაცება იმის გამო, რაც ბოხჩაში იყო, და ქერიმმა გადასცა წერილი შაჰინშაჰისადმი.

ერთი საათის შემდეგ სელიმი, რომელიც გულში იხუტებდა კოლოფს, სადაც შაჰის წერილი იყო, გულაბის ჭიშკარში გავიდა. მას უკან მიჰყვებოდნენ ახალ ჩადრში გახვეული ხასა და ათი ბედნიერი სარბაზი, რომელთაც ქერიმმა ხუთ-ხუთი აბაზი დაურიგა გზაში ქეიფისათვის.

დრო ილეოდა, როგორც ვარსკვლავები განთიადისას. ქერიმი იჩქაროდა. მან გამოიხმო ხუთი განსაკუთრებით ერთგული სარბაზი და უბრძანა საჩქაროდ დაეკვედათ ხელახლა ცხენები, რადგან ამ ცხენებით ისინი გაეშურებიან, რათა ტყვე გურჯები გააცილონ პირველ ქარვასლამდე, ხოლო იქ ისპაჰანისაკენ გაუხვევენ და თან წაიღებენ წერილს ყარაჯუღაი-ხანისადმი. ქერიმმა წყნარად დასძინა: გულუხვ ხანს ვთხოვ მიმიღოს თავის ამალაში, და მაშინ ხუთივეს მოგაწყობთ საქმით ყოვლად ძლიერისა და მოპყრობით სასიამოვნო შაჰის მრჩეველის ამალაში. ასე რომ, მელოდეთ ისპაჰანში.

ქერიმმა გულდასმით მოიფიქრა ყოველი სტრიქონი და დაწერილებით მისწერა ყარაჯუღაი-ხანს თუ როგორ შეითქვნენ იუსუფ-ხანი, რომელიც გულაბს ჩამოვიდა, და ალი-ბაინდური

გაეძარცვათ ვაჭრები და შუაზე გაეყოთ შაჰინშაჰის შეკვეთილი საქონელი. დროებით მათ გადაწყვიტეს ეს სიმდიდრე გულაბის ახლოს დაემალათ ბერძენი ვაჭრის მიტოვებულ სახლში. ალი-ბაინდურმა, რომელსაც სურდა თავიდან მოეშორებინა თავისი საზიზღარი საქმის საშიში მოწმე, ქერიმი ცარიელ სახლში შეიტყუა, თითქოს დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის. მაგრამ გადააბიჯა თუ არა ზღურბლს ქერიმმა, ხანი თავს დაესხა მოშხამული სატევრით. ალაჰს არ ენება უსამართლობა და ქერიმის სატევარი მიმართა ავაზაკის პირდაპირ დამპალ გულში. ქერიმი დიდ ხანს სთხოვდა: გასაღები და საქონლის სია, რომელსაც ხუთ სარბაზს ატანს, გადასცეს გაძარცულ ვაჭრებს, რათა მათ იჩქარონ თავიანთი სიმდიდრის წასაღებად. ისინი იქ ნახავენ მძარცველსაც, მკვდარ ალი-ბაინდურს, რომელსაც ხელში უჭირავს მოშხამული სატევარი, ხოლო მეორე სატევარი კი გულში აქვს ჩაცემული. დაე ვაჭრებმა მიკერძოებით შეამოწმონ ძვირფასი ტვირთი სიის მიხედვით. თავისთვის მან, ქერიმმა, წაიღო მხოლოდ კანონიერი ნაწილი, არც ერთი ზედმეტი ბისტი არ აუღია, ხოლო რაც აიღო, დაურიგებს გულაბის ღარიბებს, მოსამსახურეებსა და პატიოსან სარბაზებს. და გარდა ამისა, ნაწილს გაუგზავნის იმ მოგვის ოჯახს, რომელიც უდანაშაულოდ აწამა ალი-ბაინდურმა. მაგრამ ქერიმმა გადაწყვიტა, თავისი თავიც დაეჯილდოებინა: იგი გადაარჩენს სრულიად უდანაშაულო თავად ბააკასა და მის აზნაურს. დაე კეთილშობილი ხანი ნუ დაგმობს ამისათვის ქერიმს, — იგი ალაჰის წინაშე წმიდაა და თავის სიცოცხლეს ირანში არ დაამთავრებს...

ქერიმმა სასწრაფოდ მოიხმო დამჭკნარი და გამელოტებული საჭურისები ხანის ოთახში და მაგრად ჩაკეტა კარი, შემდეგ წყნარად უთხრა მათ:

— ო საჭურისებო, აღშფოთებული და დამწუხრებული ვარ იმით, რაც დღეს ალი-ბაინდურისაგან გავიგონე. მძიმეა თქვენი ხვედრი, რადგან ხანმა გადაწყვიტა ყველანი გაგყაროსთ, როგორც ძალზე მოხუცებულნი, თავისი ჰარამხანიდან: „აი მიიყვანენ მხოლოდ ცოლებსა და ხასებს ისპაჰანამდე, იქ კი წაეთრიონ თუნდაც ჯანდაბას, რადგან თავიანთი მოხუცებუ-

ლობით ჩრდილს აყენებენ ჩემს სიმდიდრეს!“ და როგორ ხარ-ხარებდა ხანი, საჭურისებო. იგი ჰგავდა ფირუზის ობობას, რომელსაც ალმასის თვალები აქვს, თქვენ კი უმწეო ბუზებად მიაჩნდით.

აღშფოთებული საჭურისები იფიცავდნენ, რომ გახვრეტილი ფარაც არ მოუმარაგებიათ, როცა ძუნწ ხანს ემსახურებოდნენ.

— სად წავიდეთ? ო ალაჰ, ალაჰ! რა უბადრუკია ჩვენი ხვედრი!

— თუ სულელები იქნებით, უარესი მოგელით! განა ვინმე კრეფს დახოცილ ბუზებს? მოგიხდებათ ხელგაწვდილმა ყლაპოთ ბაზარში მტვერი.

— ო აღა ქერიმ, გვასწავლე, რა ვქნათ?

ქერიმს გაუკვირდა: ხანმა ხომ დანთქა მათი ახალგაზრდობა, მერე რატომ ვერ მიხვდებიან წაიღონ თუნდაც ხანის სიმდიდრის ნაწილი? ალი-ბაინდურმა მათ უბრძანა განთიადისას გაჰყოლოდნენ ჰარამხანას, თვითონ ციხეში დაბრუნდება და დაამთავრებს, რაც უნდა დამთავრდეს, ხოლო შემდეგ სარბაზებს წამოიყვანს და ისპაჰანს ჩამოვა, არა უგვიანეს ექვსი დღისა, ჰარამხანის გამგზავრების შემდეგ, მაგრამ იგი, ქერიმი, ასე ურჩევს: საჭურისები არ დაელოდონ ალი-ბაინდურის დაბრუნებას, მიატოვონ მისი ჰარამხანა და წავიდნენ, ვისაც სად სურს. ხანმა მათ უბრძანა თან წაეყვანათ ასი სარბაზი, — ისინი უსაჭურისებოდაც იოლად წავლენ. მგზავრობის წარმატებისათვის ახლავე უნდა გაიგზავნოს წინდაწინ ორმოცდაათი სარბაზი, რათა მათ გზაში იშოვნონ საუკეთესო სასმელ-საჭმელი, ხოლო ორმოცდაათი სხვა სარბაზი მომართული შუბებით ჰარამხანას გაჰყვება. მე, უთხრა ქერიმმა, ახლავე ვუბრძანებ ორმოცდაათ სარბაზს შეკაზმონ ცხენები, ხოლო სხვები კი მოემზადონ განთიადისას გასამგზავრებლადო.

გავიდა თუ არა ქერიმი, საჭურისები შეცვივდნენ ხანის ოთახებში და ტომრებში ყრიდნენ ძვირფასეულობას, ფულსა და ხანის ტანსაცმელს. მათ გადაწყვიტეს ხანისათვის ერთი ბისტიც არ დაეტოვებინათ, — მას საკმაოდ აქვს ოქრო ისპაჰანში!

ქერიმმა შეარჩია ხანის ორმოცდაათი ყველაზე ერთგული

სარბაზი, დაურიგა მათ ათ-ათი აბაზი და უბრძანა, დაუყოვნებლივ გაემგზავრეთო. გახარებული სარბაზები, ასეთივე ბრძანება რომ უფროსი საჟურისისაგანაც მიიღეს, ერთმანეთს ასწრებდნენ ცხენების შეკაზმვას.

როცა რბილი ბინდი დედამიწას დაეფინა და ცაში ვარსკვლავები აჭახჭახდნენ, რაც ჰგავდა ალტაბასს, რომელიც მოფენილია ოქროს მონეტებით, ქერიმი კოშკში ავიდა, კარი შეაღო და ხმამაღლა დაიძახა, რომ ალი-ბაინდურ ხანის ბრძანებით ტყვეები ორმოცდაათი სარბაზის თანხლებით ისპაჰანს გაემგზავრებიან. მე კი, თქვა ქერიმმა, ხუთი სარბაზის თანხლებით მიგაცილებთ პირველ ქარვასლამდე, სადაც თქვენს მისვლას ელოდებიან ისპაჰანიდან მოსული შაჰის გუშაგები.

დათიკომ სთხოვა, გამგზავრება გადაედო დილამდე, რადგან თავადი ძლიერ დაიღალაო, მაგრამ ქერიმმა ისე დაუყვირა, რომ დარაჯებმა უნებურად განზე გაიწიეს.

— რატომ არსად არ არის ნათქვამი, რა უნდა უყო მომაბეზრებელს? — ბრაზობდა ქერიმი. — განა არ გესმის, რომ ორმოცდაათი სარბაზი უკვე გავიდა ჭიშკარში? ბისმილაჰ, მეც დავიღალე, მაგრამ ხანის ბრძანება უნდა შესრულდეს! ან იქნებ თავადის მსახურს ორი თავი აბია?

ხუთი სარბაზის უკვე შეკაზმული ცხენები ეზოში იდგნენ. როგორი იყო სარბაზების გაკვირვება და სიხარული, როცა ქერიმმა დაურიგა მათ ფული, ოქროს ნაკეთობანი და დამატებით თითოეულს მისცა ხუთი არშინი მაუდი და ხუთი არშინი აბრეშუმი.

— ო, რა თქმა უნდა! ჩვენ აღა ქერიმისათვის თუნდაც ცეცხლში ჩავდგებით!

ქერიმს გაეცინა:

— ცეცხლი აქ არაფერ შუაშია. თქვენ უნდა მეახლოთ მე და ორ ტყვეს.

სარბაზები დუმდნენ: ვინ გაბედავდა აღა ქერიმის წინააღმდეგობას? მაგრამ... რატომ აძლევენ ნებას ტყვეებს წაიღონ ამდენი ნივთი? განა ცუდი იქნებოდა ეს სიმდიდრე სარბაზებს შორის გაეყოთ?

— ცუდი არ იქნებოდა, — წაიჩურჩულა უფროსმა სარბაზ-

მა, მაგრამ, ჩანს, ხანმა თვითონ გადაწყვიტა მიითვისოს გურჯი მეფის სიმდიდრე.

ალაპლაპდნენ ჩირაღდნები. სარბაზები დაეხმარნენ დათიკოს ოთხი ცხენისათვის აეკიდა ბოხჩები და ზანდუკები. მცველები დაღვრემილი უცქეროდნენ, როგორ გავიდნენ ჭიშკარში ქერიმი, ორი ქართველი და ხუთი ცხენოსანი.

მივიდნენ თუ არა ქარვასლამდე, ქერიმმა ხმადაბლა უთხრა თანმხლებთ, აქ უნდა მოვიდეს ორმოცდაათი სარბაზი, რათა მიიღოს დამხრჩვალი მეფეო. გალავანს გარეთ ვიღაცამ გრძლად დაიკვნესა.

შიშმა მოიცვა სარბაზები. იქნებ აღა ქერიმი ნებას დართავდეს მათ არ შევიდნენ ქარვასლის ეზოში?

ვიღაცამ, შავ სუდარაში გახვეულმა, ხელი ჩაჰკიდა ბაკას ყალყზე შემდგარ ცხენს. სარბაზებმა შიშით უკან დაიხიეს.

აქ ქერიმმა მოწყალება გამოიჩინა და სარბაზებს უთხრა, უთქვენოდაც იოლად წავალ, თქვენ კი პირდაპირ ისპაჰანს გაეშურეთო. თითქოს ქარიშხალმა დაუბერაო, ცხენოსნები სასწრაფოდ გაშორდნენ საშინელ ქარვასლას.

— არჩილ! — წამოიძახა დათიკომ და შვილს მოეხვია. — რა მწუხარებაში შევხვდით ერთმანეთს!

ქერიმმა მდუმარედ მოჰკიდა ხელი თავადის ცხენის ლაგამს და ყველანი შემოვლითი გზით, ხიდზე გავიდნენ, ხევში ჩაეშვნენ და თეკლეს სახლისაკენ წავიდნენ.

თავი მეცხრამეტე

— კი, მაგრამ, მოურავო, ასეთ სასტიკ ქამს რატომ უარყოფ ჩვენს დახმარებას? — ქაიხოსროს უკმაყოფილება შესამჩნევად ძლიერდებოდა. — განა ბოროტი მეოცნებე თეიმურაზი და მისი პირსისხლიანი თანაშემწე ზურაბი ჩვენი, მუხრანბატონების მეგობრები არიან?

- მეფე თეიმურაზთან შეტაკება გარდუვალი ხდებოდა, მაგრამ მეფეს მეფურად ხვდებიან: მეტი იარაღი, მეტი ჩასაფრე-

ბა! თუმცა, გარდა იარაღისა, საჭიროა შორსმჭვრეტელობა. ამიტომ გიორგი საკაძე და დათო ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ შეეკავებინათ თავადები სახიფათო ნაბიჯისაგან. გიორგი კვლავ ყოყმანობდა და სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ საჭირო იქნება გულახდილი საუბარი:

— საყვარელო ქაიხოსრო, თქვენი დახმარება ჩემთვის შეიძლება საშიში იქნეს, მაგრამ... საჭიროა სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, — სამეხრანოსათვის ეს შეიძლება, თუ დაღუპვა არა, დიდი უბედურება იქნეს. თეიმურაზი და მისი ხროვა დიდი ხანია კბილებს ილესავენ მეხრანბატონების მდიდარ სამფლობელოზე. კახელს ვერ დავიწყნია აგრეთვე, რომ შენ, ქაიხოსრო, ქართლის სასურველი მმართველი იყავი, — მაშასადამე, არ დაგიკარგავს შესაძლებლობა პატივით დაბრუნდე ტახტზე. ჰოდა აი, თუ ბედმა მიმეხთლა, თქვენი დახმარება გიორგი საკაძისათვის მოლექსე მეფეს სასურველ საბაბს მისცემს თავს დაესხას სამეხრანოს. აქ ის სიამოვნებით შეთხზავს შაირებსა და მაჯამებს, მაგრამ არა კალმით, არამედ ხმლით, და არა ქაღალდზე, არამედ ბრძოლის ველზე. მე კი შემდგომი ბრძოლისათვის საჭიროა უვნებლად დავიცვა მეხრანბატონის მამული. ამ მიზეზით ვამბობ უარს ქსნის ერისთავების დახმარებაზეც.

— მოურავო! — წამოიძახა ქაიხოსრომ. — განა შენი სიტყვები მესმის? ბრძოლის წინ არასოდეს არ ეპვობდი შენს გამარჯვებას!

— მართალი ხარ. ქართლის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის წინ — ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ, დიახ! მაშინ მტკიცედ ვიცოდი, რომ გამარჯვებული ვიქნებოდი. ახლა კი... მიმძიმს გამოთქმა — ქართლელ ხალხს უნდა ვებრძოლო. გამოდის, ძმათა შორის ომი.

. სახეზე ძარღვი გაუკრთა, და ქაიხოსროს ეს საშინლად და არაჩვეულებრივად მოეჩვენა.

— ჩემო გიორგი, არა თავადის მონების წინააღმდეგ?

— დიღომში, ძვირფასო ვახტანგ, მე არ ვარჩევდი აზნაურების, თავადებისა და მეფის რაზმელებს. ყველანი მხოლოდ სამშობლოს წინაშე ვალდებულად მიმაჩნდა. მიყვარდა ისინი,

შამასავით მზრუნველობით ვუვლიდი, ეუვითარებდი საუკეთესო თვისებებს: მამაცობას, სამშობლოს ერთგულებასა და მეგობრობის კეთილშობილურ გრძნობას. და მადლობის ნიშნად სამხედრო ვალდებულნი აღტაცებულნი მორჩილებით მიპასუხებდნენ. და აი... ისინი მდინარეს გაღმა დარჩნენ, სიძულვილით რომ ქუხს. თუ... არ მოხდა...

— სასწაული? — ვახტანგმა თვალი მოჭუტა, — სასწაულს ელოდები?

— პირდაპირ გეტყვი: ხალხის სიყვარულის იმედი მაქვს!

— მეც პირდაპირ გეტყვი: ნუ გაქვს იმედი! თავადთა რაზმეულები იარაღს აღმართავენ შენს წინააღმდეგ.

— ყველანი? არა, მირვან, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ დაიმსხვრა ჩემი იმედი. ბევრი არ აღმართავს... ვერ გაბედავს აღმართოს. განა მე არ ჩავუნერგე მათ რაინდული გრძნობა?

— ოჯახებისა გამო შეეშინდებათ, — აბნეულად წარმოთქვა ვახტანგმა.

— მაშასადამე, ქაიხოსროს და ხუთასი რაზმელის გარდა, ჩვენგან არავის წაიყვან? — უხერხული დუმილის შემდეგ ჰკითხა მირვანმა.

— არავის. და ქსნის ერისთავებისაგანაც სამას რაზმელზე მეტს არ წავიყვან. თქვენ კი გირჩევთ ცხენებზე შესვათ ყველა ჭაბუკი, დაწყებული ჩვიდმეტი წლით. გამოიყენეთ დრო და უფრო გაამაგრეთ სამუხრანო. ბრძოლის ახალი წესის გარდა, არ დაივიწყოთ ძველიც: ადუღებული კუპრი, გავარვარებული მარილი, ქვიშა, ქვები მუდამ გამომაფხიზლებლად მოქმედებდნენ მტრებზე, რომლებიც ციხეს გარს ერტყმიან.

— გამოდის, რომ ზურაბს თურქების გვერდით აყენებ?

— და სპარსთა გვერდითაც. ამ ავაზაკს ძილში და ცხადად თავი გამარჯვებულად მიაჩნია არა მარტო გიორგი საკაძეზე, არამედ მუხრან ბატონზეც. ხოლო ქსნის ერისთავი, ჩემი სიძე, ვანსაკუთრებით სძულს ანანურისადმი ზიზღის გამო.

— მე არ მეშინია მისი ტურებისა! — გაფიცხდა ქაიხოსრო. — ერთხელ უკვე ხუმრობით ვუჩვენე, რომ მუხრანელები არაგველებზე ცუდი როდი არიან, ხოლო შეიძლება უკე-

თაც იცოდნენ, თუ როგორ უნდა დაადგან ფეხი აბეზარს კუდზე. შენ აქ ყველაფერი როდი გინახავს. იმედი მაქვს დავიკვეხნო. მაგრამ მითხარ, რატომ ამბობ უარს სამეგრელოს მთავარ ლევანის დახმარებაზე? რატომ არ იწვევ გურიელს?

— ჯერ მე ვიტყვი, დანარჩენს გიორგი დაუმატებს, — ჩაერია საუბარში დათო. — სამეგრელოში ჩასვლა ვერ მომესწრო, გიორგისათვის ვერ მომესწრო თხოვნა სამხედრო დახმარება გაეწია თეიმურაზის წინააღმდეგ, რომ ლევანი მთლად გაბრწყინდა სიხარულით. ასე არის ხოლმე, როცა ორბი დავლას ხედავს. უბრწყინვალესმა ხელი მომხვია და წამოიძახა: „ე! ცხენებზე მე მუდამ ოცდაათი ათასი მიზის, მაგრამ მოურავს ვეახლები სულ ცოტა ასი ათასი კაცით! მხოლოდ დაე მოურავმა აღმითქვას, რომ ხელს არ შემიშლის იმერეთის მიტაცებაში!" მე ერთბაშად მივხვდი: თვალის ასაბმელად გაიხსენა იმერეთი.

მირვანმა ცოტა დუმილის შემდეგ იკითხა:

— გამოდის, რომ ლევანმა არ იცის შენი განზრახვა ქართლის ტახტზე დასვა ალექსანდრე, იმერეთის მემკვიდრე?

— ჯერ არ იცის, — დამშვიდებით უპასუხა საკაძემ და დაკვირვების თვალით ჩამოათვალიერა მეომართა დარბაზი, რომელიც მორთული იყო იშვიათი იარაღით. — ერთხელ კიდევ გადავწყვიტე გკითხო, ქაიხოსრო. ვხედავ, ბევრი ცვლილება განგიცდია. შენ ქართლის მმართველი იყავი, მაშასადამე პირველს გაქვს გამეფების უფლება...

— ამას ნუ გაიხსენებ, მოურავო! — წარბი შეიკრა ქაიხოსრომ — იგი ყოველთვის სირცხვილით იგონებდა ხოლმე მისთვის თავსმოხვეულ ტახტს. — ალექსანდრე ბაგრატიონია და ჩემზე უკეთ იცის, როგორი უნდა იყოს „ღვთის სწორი". მაგრამ შეიძლება სხვა მიზეზიც იყოს, თუ რატომ უმალავ ლევანს, ვინ დასახე მეფედ თეიმურაზის ნაცვლად?

საკაძე ადგა, გაიარ-გამოიარა. დიახ, გულღია საუბარი აუცილებელია! ღია ფანჯარაში შემოიჭრა ახალგაზრდათა სიცილი, ძაღლების ყეფა და ლეკვების წკავ-წკავი. მუხრანბატონების მრავალ ძმებს, ძმისწულებსა და ახალგაზრდა ასულთა

შორის დაბორიალებდა გივი და ცდილობდა დაეპირა ცელქი ლეკვი.

მამობრივი სინაზით შეხედა სააკაძემ წამოწითლებულ გივის. სურდა რაიმე საალერსო დაეძახა ბრძოლაში უშიშარისა და წმინდა გულის მეომრისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ განეცადა პირადი ბედნიერება... მაგრამ მოურავი მკვეთრად მობრუნდა და მრისხანედ თქვა:

— თეიმურაზი ქართლის მეფე არ იქნება!

— ამინ! — წამოიძახა ვახტანგმა.

— სიკვდილი პირსისხლიან ზურაბს!

— ამინ! ამინ! ამინ! — წამოიძახა ყველამ.

— წყეულიმც იყოს პირსისხლიანი ტურა, რომელიც მედგრად ელტვის ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას. რჯულს გადამდგარი ხოსრო მირზაც კი ერთხელაც არ დასხმია თავს სამუხრანოს და ქსნის ერისთავების სამფლობელოს, თუმცა ისა-ხანი, რომელსაც ზურაბი აქეზებდა, უარს არ იტყოდა ექეიფნა ჩვენს ციხე-დარბაზებში.

— ნუ გიკვირს, ძვირფასო მირვან! ნამდვილად ვიცი, რომ ხოსრო მირზა ყოველი ღონისძიებით იცავდა თქვენს სამფლობელოს.

— მაგრამ რატომ?

— ქართლში გამეფებას აპირებდა და საჭირო იყო მისთვის ძლიერი თავადების მხარდაჭერა. მან ისა-ხანი დააჯერა, რომ მუხრანბატონები და ქსნის ერისთავები ძლიერი არიან ჯარით, მაგრამ შაჰ აბასის წინააღმდეგ არ გამოდიან, დახმარებას არ უწევენ სააკაძეს. ხოლო თუ გავაღიზიანეთ, მაშინ ნამდვილად შეიძლება, მათი სურვილის წინააღმდეგ, გაერთიანონ ორივე სამფლობელო და მიემხრონ გიორგი სააკაძეს. და ჯერ კიდევ არავინ იცის, სამუხრანოს უძლიერეს მფლობელს არ მიჰბაძავს ზემო, შუა და ქვემო ქართლის ბევრი თავადი, რომლებიც ახლა წყნარად სხედან? და ამაზე ნაკლებ ცნობილია, არ განმეორდება განა მარტყოფის ბრძოლა, თუ უძლეველმა მიიღო ძლიერი ჯარი და გამოიყენა ომის წარმოების თავისი საყვარელი წესები. ხედავთ, მეგობრებო, მარტყოფის დამარცხების შავბნელი აჩრდილი კვლავ აწუხებს

სპარსელებს. ამიტომ ისა-ხანი ხალისით დაეთანხმა ხოსროს და ტურის არაერთგზის ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

— ძვირფასო გიორგი, ეს საიდან შეიტყე?

— ჩემი „მეგობრული" მოწინააღმდეგის, თავად შადიმანისაგან. მან, რომელსაც ხოსრო მირზას მოქმედება ფარულ ვერაგობად მიაჩნდა, ხუმრობა-ხუმრობით ამიწერა კარგად მოფიქრებული თამაში, იმის იმედით, რა თქმა უნდა, რომ ჩემგან შეეტყო: ხომ არ ვიცი ხოსრო მირზას, მრისხანე შაჰ აბასის მხედართმთავრის ესოდენ მოულოდნელი სიკეთის მიზეზი.

— და შენ, გიორგი...

— ვუპასუხე, ვიცი-მეთქი. და შადიმანს ჩავაგონე აზრი მოეპოვებინა დოლბანდიანი ბაგრატიონის ნდობა. შესაძლებელია ხოსროს შორსმჭვრეტელობამ სარგებლობა მოუტანოს მას, როგორც ქართლის მომავალ მეფეს-მეთქი.

მირვანს სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს გაისმა გონგის ხმა. დათო შეკრთა: ეს რა არის? გაახსენდა, რომ აქ შუადამ ასე პატიჟებდნენ სუფრაზე სტუმრებს. პირველი გონგი ნიშნავს: „ვისაც სადილისათვის ტანსაცმლის ვამოცვლა ვერ მოუსწრია, იჩქაროს!" მეორე: „მოხუცი კნეინა უკვე გამობრძანდა თავის სამყოფლოდან!" მესამე გონგი კი: „ყველანი უნდა შეკიდნენ სასადილო დარბაზში!". ასე იყო ძველი თავადის დროს, ასე იქნება შვილიშვილების დროსაც. სრულიად დაურღვეველი ჩვეულება, ერთხელ და სამუდამოდ შემოღებული. მაგრამ ნუთუ სრულიად დაურღვეველია?

სააკაძემ კვლავ, ისე როგორც ყოველი სტუმრობის დროს, ცნობისმოყვარეობით ჩამოათვალიერა სასადილო დარბაზი. მთავარ სუფრას, რომელიც განკუთვნილი იყო მუხრანბატონების მრავალრიცხოვანი ოჯახისა და ყველაზე დაახლოებულთათვის, სამოცამდე კაცი მიუჯდა. მაგრამ დღეს დადგმული იყო ორი დამატებითი სუფრა — სამუხრანოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ თავადთა, აზნაურებისა და მათი ოჯახებისათვის, აგრეთვე მსახურთა რაზმეულების სხვა უფროსებისათვის. ბევრი რაზმელი მოთავსდა ნაწილობრივ ციხე-დარბაზში, მაგრამ მეტი წილი კი გალავნის გარეთ, სოფელში. „დიახ, — გაიფიქრა გიორგიმ, — აქ ემზადებიან არა მარტო საღღესასწაულო სადილისათვის, არამედ ბრძოლისთვისაც".

ხმაურით უსხდებოდნენ სუფრას, ყოველი კაცი იკავებდა მისთვის დანიშნულ ადგილს.

სუფრის თავში, ბრძოლაში დაღუპული მამის ნაცვლად, დაჯდა უფროსი ვაჟი ვახტანგი, მის გვერდით მოხუცი კნეინა, შემდეგ მოურავი და ხელმარცხნივ — მირვანი, შემდეგ ქაიხოსრო და მის გვერდით დათო.

მუხრანბატონის გვარეულობისათვის საამაყო იყო ქაიხოსრო — ის ხომ თითქმის ქართლის მეფე იყო — და ჩვეულებრივ, როცა ისეთი საპატიო სტუმრები არ იყვნენ, როგორიც მოურავია, ქაიხოსროს მამის ადგილი ეკავა ხოლმე.

მამაკაცთა პირდაპირ, ვახტანგის მეუღლის მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ დასხდნენ ქალები. აქ იყვნენ რძლები და ისინი, ვინც უხნესი იყო. ხვარამზე, გიორგი სააკაძის ქალიშვილი, ახლა კნეინას გვერდით იჯდა. ნაწილობრივ ამით უნდოდათ აღენიშნათ პატივისცემა დიდი მოურავისადმი, მაგრამ სხვა მიზეზიც იყო: ხვარამზეს პირმშო ვაჟი იყო, სხვა რძლებისა კი — ქალიშვილები. აქ ყოველ დაბადებულს, განსაკუთრებით ბიჭებს, დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. ხვარამზეს ძვირფასეულობა დააყარეს. განსაკუთრებული ყურადღებით, სიყვარულით შემოსეს, ხოლო მეტად დიდ ლამაზ ბიჭუნას მოურავის პატივსაცემად გიორგი დაარქვეს და მხოლოდ იმ ძიძას ანდობენ, რომელმაც ქაიხოსრო გაზარდა.

საკაძე ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ქალიშვილს. იგი ზუსტად შეეგუა მუხრანბატონის ოჯახს: ისეთივე ამაყი შესახედაობა, ისეთივე ნაზი ღიმილი და ბედნიერებით გაშუქებული თვალები. გიორგიმ ძლივს შენიშნა ხვარამზეს სახეზე შერჩენილი მსგავსება საკაძის საგვარეულოსთან: სადღაც ტუჩების კუთხეებში მიმალულიყო მსუბუქი სევდა, რომელიც ესოდენ უხდებოდა რუსუდანის ბაგეს.

„მაშასადამე, მართალია, — ფიქრობდა გიორგი, — როცა შენი ხასიათი არა გაქვს, უნებურად ითვისებ იმათ თვისებებს, ვინც ახლოს არის. და რუსუდანი არ შემცდარა, როცა თქვა: „რატომ უნდა ვიფიქრო ბედნიერ ქალიშვილებზე, როცა თითოეულ „ვეფხვს" უფრო ესაჭიროება გულთბილი ზრუნვა".

გიორგიმ გაიფიქრა რომ პატარა დათო, ხორეშანის ვაჟი, რომელიც „ვეფხვების“ სიმამაცის განსახიერებაა, მისთვის გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი შვილიშვილი — გიორგი მუხრანბატონი. „საჭირო იქნება წასვლისას პატარა გიორგის ვუსაჩუქრო. ხმალი“, — გადაწყვიტა საკაძემ რომ გამოესყიდა თავისი დანაშაული შვილიშვილის წინაშე.

ახალგაზრდობა ხმაურით უსხდებოდა სუფრას, ისმოდა აბრეშუმის შრიალი და სამკაულის წკრიალი. თავადის ქალიშვილები ცდილობდნენ მორცხვად დაეჭირათ თავი, მაგრამ დახრილ წამწამებში სიანცით ელავდნენ თვალები და ტუჩები ძალად შეკავებული სიცილით თრთოდნენ.

გივი, რომელიც მირვანის უმცროსი ქალიშვილის პირდაპირ იჯდა, ისე ტრიალებდა, როგორც ხაფანგში მომწყვდეული კურდღელი, და ცდილობდა დაეჭირა მისი ცქერა.

დაუკრეს ჩონგური, დაიწყო სადღეგრძელოები, მოსწრებული, მხიარული. მეორე სუფრაზე წამოიწყეს სიმღერა, დალიეს მუხრანბატონის სახელგანთქმული გვარეულობის აყვავების სადღეგრძელო. თასების წკრიალი, ახმაურებული სურვილები, მხიარული სიცილი—ყველაფერი მოწმობდა მტრებისადმი ზიზღს. იქ, მიუვალ გალავანთან, ამაოდ ეწყობოდა მამაცი რაინდული გვარეულობის დაღუპვის გეგმები. საკაძე, რომელსაც უნარი ჰქონდა ერთსა და იმავე დროს კიდევაც ესმინა და კიდევაც ეპასუხნა, ხოლო სულ სხვა რამეზე კი ეფიქრა, ახლა აწყობდა სერიოზულ გულახდილ საუბარს. იგი იჩქაროდა, მაგრამ იცოდა: სანამ მას არ აღმოუჩენენ შესაფერის სტუმართმოყვარეობას, ვერავითარი სასწრაფო საქმე ვერ უშველის.

რით დაიწყო მისი აშკარა მტრობა თეიმურაზთან? თითქოს მეფის დაბრუნებასთან ერთად ჩამოვარდებოდა მშვიდობა და მოურავს ერთი რამღა დარჩებოდა: დაეყარა იარაღი და დამსახურებისამებრ დაესვენა. მაგრამ ზურაბის უწესობამ, რომელიც, რა თქმა უნდა, არ დასჯერდება იმას, რომ ააწიოკოს ვაჭრები და ამქრები, აზნაურები აიძულა სიფრთხილე გამოეჩინათ. ცხადი იყო: ზურაბი გამოიყენებდა მეფის ნებას და

თავს დაესხოდა ჯერ სუსტ აზნაურებს, შემდეგ კი გაღატაკებულთ. მაგრამ მთავარი ეს როდია: იმ ომების მთელ შედეგს, რომელნიც წარმოებდა მუსლიმთაგან საქართველოს განსათავისუფლებლად, მთელი დიდი ხნის შრომას სამეფოს გაერთიანებისათვის, ვაჭრობის აყვავებისა და თავადთა ძალაუფლების შემცირების საქმეში მიღწეულ შედეგს — ყველაფერს ახლა ჯიუტად ანგრევს დიდების მოყვარული თეიმურაზ მეფე. მას კი გაძლიერებით ეხმარება თავმოყვარე ტურა, რომელიც ოცნებობს გახდეს მთიელთა მეფე. მაგრამ განა მხოლოდ მთიელთა? თავის მოტყუება გამოდის „გიორგი სააკაძის დრო"? ნუთუ არ ყოფილა დიდი მსხვერპლი? სწადიათ ყველაფერი ამოშალონ, კვლავ ჩააგდონ ქართლი საძულველი თავადების, ყმათა ამ საუკუნოებრივი მჩაგვრელების ხელში! რისთვის ღა დაიხარჯა სიცოცხლის ესოდენ მრავალი წელი? ესოდენი მისთვის მინდობილი სისხლი? ნუთუ იგი ატყუებდა ხალხს და არწმუნებდა, რომ ხალხის ბედნიერება ხალხისავე ხელშია?

არა! სანამ გიორგი სააკაძე ცოცხალია, არ შეწყვეტს ბრძოლას თავადთა წინააღმდეგ, მეფის წინააღმდეგ, რომელიც მეფობს თავადთა საამებლად; დაბრმავებული თავმოყვარის წინააღმდეგ, რომელსაც არა სურს საქართველოს აყვავება, ვერ ხედავს მტრის მოახლოებას, რომელიც მთვრალია თავისი მოჩვენებითი ძალაუფლებით და ულმობლად თელავს ფეხით ახალგაზრდა ყლორტებს. კვლავ ბრძოლა! არა სასიცოცხლო, არამედ სამკვდრო! გიორგი სააკაძემ, პირველმა ვალდებულმა სამშობლოს წინაშე, უნდა შეასრულოს დანაპირები.

დიახ, რით დაიწყო მისი აშკარა მტრობა თეიმურაზთან? გაახსენდა: მეფემ მოისურვა მოურავი ბადეში მოემწყვდია, როგორც უგუნური ხოხობი. შევიდა თუ არა თეიმურაზ მეფე. უხეირო სვიმონის მოკვლის შემდეგ, მეტეხში, ჩოლოყაშვილმა არ დააყოვნა და შიკრიკი გაგზავნა ბენარს. თავადის წერილი მლიქვნელური იყო.

დაე მოურავი დაბრუნდეს ოჯახიანად ნოსტეში. წარუდგეს მეფეს. მეტეხში მას მოელის პატივი და დიდება. თეიმურაზ მეფემ გაანადგურა, განდევნა მტრები. მაშასადამე, ღირს განა, რომ მოურავი თავს აფარებდეს თურქეთის მოხარკის

საფარ-ფაშის სამფლობელოს? მეფემ იცის, თუ რა ბრძოლა გადაიხადა მოურავმა ხანების წინააღმდეგ, მფარველობას აღმოუჩენს და საუკეთესო მხედართმთავარს კელავ დააყენებს ქართლის ჯარების მეთაურად...

შემდეგ იყო მოთხოვნა: ჩააბაროს გორი, ნებაყოფლობით გაწმინდოს ბირთვისი, ცხური და სხვა ციხეები, რომლებიც სვიმონ მეფის დროს დაიკავა. რაკი არ არის მაჰმადიანი მეფე, აღარ არიან ირანის ჯარები, ყველაფერი უნდა დაუბრუნდეს ქართლის კანონიერ მეფეს. და კიდევ: უნდა გაიხსენოს მოურავმა, რომ ნადავლის მხოლოდ ნაწილი ეკუთვნის მხედართმთავარს, დანარჩენი კი — მეფის ხაზინას. მოურავისაგან ნადავლის მისაღებად გაემგზავრებიან, სადაც იგი უჩვენებს, თავადები ვაჩნაძე, ჯანდიერი და მაჩაბელი, რომელთაც ეახლებათ რაზმელები და გადამწერლები...

ყველაზე გულიანად ხარხარებდა მაშინ დათო, ხოლო გივი ისე გორაობდა ტახტზე, რომ საჭირო გახდა ღვინო ესხურებინათ მისთვის. მაგრამ გააფთრებული დიმიტრი მთელ ციხე-დარბაზის გასაგონად ყვიროდა, რომ შიკრიკს გაეგონა: „არ დაივიწყონ, ურემი, ურემნახევარი გამოგზავნონ კახეთის მაიმუნებმა ნადავლისათვის!“.

საკაძის პასუხი ზრდილობიანი იყო. იგი სთხოვდა თავად ჩოლოყაშვილს დაემახსოვრებინა: მოურავი მრისხანე და ცბიერი შაჰ აბასის კარზეც კი სულელად არ ითვლებოდა. მოურავს შეუძლია დაბრუნდეს ნოსტეს, მაგრამ არა უადრეს, ვიდრე მეფე თეიმურაზი შულტებს გადასცემს ფირმანს, რათა ქართლს აუწყონ, რომ მეფე თეიმურაზი, მადლობის ნიშნად, სთხოვს დიდ მოურავს კვლავ დაიკავოს წინანდელი მდგომარეობა, მისი დროშის ქვეშ აყენებს ქართლის სამეფო ჯარს, ნებას აძლევს განაახლოს უზენაესი საბჭო საპატიო თავადებისაგან, რომლებიც ხმლით თუ ოქროთი მონაწილეობას იღებდნენ სპარსთა ჯარების განდევნაში. და კიდევ: დაე ეკლესიამ, თუ მოურავის დაბრუნებას მოისურვებს, თეიმურაზის ფირმანი განამტკიცოს იმით, რომ ყველა ეკლესიაში აცნობოს ხალხს, რომ გიორგი საკაძე მიაჩნია დიდ მოურავად, სამშობლოს ერთგულ შვილად და მას ანდობს მტრებისაგან

წმიდა ეკლესიის დაცვას, იქნებიან ეს მტრები სპარსელები, თურქები, თუ კიდევ სხვა ვინმე.

„ამის შემდეგ მე, გიორგი საკაძე, მუხლს მოვიყრი საკურთხევლის წინაშე, და ხმალზე დავიფიცებ ვიყო მეფე თეიმურაზის დასაყრდენი, სამეფოში დავამყარო მშვიდობა, ხელი შეეუწყო ვაჭრობისა და ხუროთმოძღვრების აყვაეებას, გავაფართოო საქართველოს სამეფო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.

ახლა ნადავლზე. თუმცა ჩემი მამაცი „ვეფხვი“ მიკარნახებს, რომ ნადავლისათვის გამოგზავნოთ ურემნახევარი, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ერთი სახედარიც საკმაო იქნება, რათა გარდა ცარიელი ტომსიკებისა, სადაც ჩემი პირადი ფული ინახებოდა, რაც სპარსთა წინააღმდეგ ომის საჭიროებისათვის დაიხარჯა, არაფერი არ დარჩენილა“.

საკაძის მოტყუება რომ ვერ მოახერხა, თეიმურაზ მეფე აღშფოთდა და ზურაბის წაქეზებით ნოსტე მეფის სამფლობელოდ გამოაცხადა. ხოლო ზურაბს უბრძანა დაუყოვნებლივ გაელაშქრა გორის წინააღმდეგ. მაგრამ ზურაბის საიდუმლო გეგმა რომ მოისმინა, მეფემ გორს გაგზავნა ქართლის რაზმეულები თავად ჯავახიშვილის უფროსობით.

სანამ თავადი გორისაკენ მიდიოდა დამპყრობლური განზრახვით, მის ციხე-დარბაზსა და ორ სოფელს თავს დაესხნენ და დაწვეს მარცვლეულის, მატყლისა და კარაქის ბეღლები. მხოლოდ კნეინა ჯავახიშვილის მეოხებით გადარჩა ციხე-დარბაზი: იგი შეეგება აზნაურ ქვლივიძესა და განაცხადა, რომ ციხე-დარბაზში მამაკაცები არ არიან, ხოლო მოურავი არასოდეს არ ესხმის თავს უმწეო ქალებს, რისი მაგალითია მოურავის მოსისხლე მტრის ციხე-დარბაზი ანანური და რომ, თუ აზნაური რაზმელებს წაიყვანს, კნეინა ფიცსა სდებს გაგზავნოს შიკრიკი თავად ჯავახიშვილის დასაწევად, რათა მან, სანამ გვიან არ არის, ისწრაფოს თავის საგვარეულო ციხე-დარბაზში დაბრუნება.

ქვლივიძემ ზრდილობიანად დახარა თავი კნეინას წინაშე და წაიყვანა აზნაურთა რაზმეულები. ჯავახიშვილიც მალე

დაბრუნდა თავის ციხე-დარბაზში. „გაცხარება გაცხარებად, ხოლო მატყლი მატყლად!“ — ბრძნულად წარმოთქვა უფროსმა ქაჩიბაძემ. და შემდეგ არც ერთი თავადი არ დათანხმებულა გაელაშქრნა მოურავის წინააღმდეგ. ამან და კიდევ ქართლელთა შორის დაწყებულმა აღშფოთებამ: „ყველგან ჩვენ გვაგზავნიან, კახელებს კი უფრთხილდებიან!“ — შეარყია თეიმურაზი და იგი სულ უფრო კეთილმოსურნედ უსმენდა ზურაბის დაპირებას, რომელიც აღუთქვამდა სრულიად დაემორჩილებინა მისთვის ქართლი, თუ იგი, მეფე თეიმურაზი, გააბედნიერებს კახეთს და კვლავ დამკვიდრდება თავის სატახტო ქალაქ თელავში, მას კი, ზურაბს, სამართავად დაუტოვებს ქართლს, — სანამ მეფე თბილისშია, მისთვის, ზურაბისათვის, უხერხულია იმოქმედოს მტკიცედ. საჭიროა სიჩქარე, არწმუნებდა მეფეს ტურა, რადგან ქართლის რაზმელებს შორის დაიწყო ამბოხება და სადაც არის გაიქცევიან სააკაძესთან. ამიტომ მისთვის, ზურაბისათვის, უფრო მოხერხებული იქნება გაუსწორდეს სააკაძეს მეფის დაუსწრებლად.

ყოველივე ეს სააკაძეს აცნობა არა სხვა ვინმემ, არამედ შადიმანმა. თურმე, მიუხედავად მეტეხში მომხდარი უბედურებისა, მას იქ უვნებელი დარჩა ერთ-ერთი მარაბდელი მსახური, რომელსაც უნარი აქვს ყრუ კედლიდანაც მოისმინოს ლაპარაკი. შემდეგ შადიმანი სააკაძეს სთავაზობდა თავის რაზმებს: მართალია, საკმაო რაოდენობით არ შეუძლია დაუთმოს, თუმცა საერთო საქმეა, რადგან ყოველ დღე თვითონ მოელის ტურა ზურაბის თავდასხმას, მაგრამ ოთხას რაზმელს პირველი მოთხოვნისთანავე გაუგზავნის მოურავს.

სააკაძემ რომ წარსული გაიხსენა, უნებურად გაეღიმა: მე და შადიმანს საერთო საქმე აღმოგვიჩნდა! რა გაეწყობა, შადიმანი მუდამ აშკარა მოწინააღმდეგე იყო. იგი არ შემოჭრილა ჩემს სულში, როგორც ზურაბი, ჩემგან არ უსწავლია სამხედრო ხელოვნება, თავს არ მომხვევია მეგობრად. ახლა კი, შადიმანი მართალია, ჩვენ საერთო საქმე გვაქვს: არც მას, არც მე თეიმურაზი არ გვესაჭიროება. რადგან ამ კახელი მეფისათვის ქართლი მუდამ გერი იქნება. თუ შადიმანმა ვერ მოახერხა მეფე ლუარსაბის დაბრუნება, — ხოლო მას ვერ

დააბრუნებს, როგორც ვერ დაბრუნდება გუშინდელი დღე, — მან ხელი უნდა ჩასჭიდოს იმერეთის მემკვიდრეს, რადგან წყალწაღებული ერთნაირი სიხარულით ეჭიდება ძელსაც და ხავსსაც. სამღვდელოება კი? თეიმურაზის მომხრე იქნება. მაგრამ თუ... ზოგიერთს დავპირდით ძალაუფლებას და უნარიანად წავუსისიანებთ კახელ სამღვდელოებას?..“

თავაზიანი პასუხი შადიმანისადმი გამსჭვალული იყო გულწრფელი, კეთილი სურვილით:

„ეჭვი არ არის, ჩვენ საერთო საქმე გვაქვს. მაგრამ, ძვირფასო შადიმან, მეც დამრჩა მეტეხში ერთგული კაცი, — ეს შეიძლება ახლა გითხრა, — და ამიტომ ვიცი, თუ რა სასტიკი შეტაკება აქვს ტურას თავადებთან. თავადებმა გადაწყვიტეს უთხრეს უარი მხარი დაუჭირონ ზურაბის გაუმაძღარ სურვილს გაანადგუროს მარაბდა, რადგან შენ, როგორც მათ მეფეს უთხრეს, მთელ სიცოცხლეში გააფთრებით ებრძოდი გეორგი საკაძეს თავადთა შეღავათებისათვის.

ახლა დაფიქრდი, ძვირფასო: როცა ისინი შეიტყობენ, რომ დახმარებას მიწევ, განა არ გაეშურებიან შენს ციხე-დარბაზზე თავდასასხმელად? რა თქმა უნდა, გაეშურებიან! რადგან მათ იაფად როდი უჯდებათ კეთილშობილური მისწრაფება დაიცვან სხვისი ციხე-დარბაზი. მერწმუნე, შადიმან, მე შენზე უკეთ შევისწავლე შენი თავადები და ამიტომ შენთან, ბრწყინვალე თავადთან მეგობრობის გამო არასოდეს არ ვისარგებლებ „ასი საზრუნავის“ ოსტატის სურვილით — დაეხმაროს ნოსტელ „ვეფხვს“. ჩემი სურვილია, მოვესწრებოდეთ ჩვენი ძველის-ძველი ბრძოლის განახლებას და მაშინ ოთხასი მარაბდელის ხმალი დაე გამოგადგეს აზნაურთა წინააღმდეგ!

მაგრამ თუ მოხერხდა პოვნა ნამდვილი მეფისა, როგორც არა ერთგზის მითქვამს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, მაშინ შენთან ერთად, თავადო, ავამაღლოთ ჩვენთვის ორივესათვის საყვარელი ქართლის სამეფო...“

„მაშასადამე, შადიმანთან ერთად? დიახ! დაე გაქრეს. ვით კვამლი, ყოყმანი! განა მე არ ვამტკიცებდი: თუ ხალხისათვის საჭიროა, ყველაფერი უნდა გავხდე! ყველაფერი უნდა ჩავიდინო! არ დავზოგო არც თავი, არც ახლობლები, არც მტრე-

ბი! დავანგრიო ზღუდეები! და... დაე დაიღვაროს სისხლი. იგი ყოველთვის დაიღვრება, სანამ უსამართლობა არსებობს“.

გიორგი შეკრთა, ვიღაცამ დაჟინებით გაიმეორა მისი სახელი: „ჩემს სადღეგრძელოს სვამენ... მაგრამ სად? ძლიერი თაეადების ციხე-დარბაზში!“

სააკაძე წამოდგა, მაღლა ასწია თასი და გულწრფელად უსურვა აყვავება რაინდთა სულისკვეთებას მუხრანბატონის მამაცური ოჯახის ახალგაზრდა თაობაში.

სადღესასწაულო სადილი თავდებოდა. მოურავი გადაეხვია და სამჯერ გადაჰკოცნა ქაიხოსრო:

— ჩემო შვილო, რა საყვარელი ხარ ჩემი გულისათვის! ქაიხოსრო მუხრანბატონი და არა სხვა ვინმე გაამართლებს ჩემს ნატვრას.

— მოურავო, არ შემცდარხარ, რადგან ჩემი სურვილია გავხდე შენი სიყვარულის ღირსი. — ქაიხოსრო ცოტა ხანს დუმდა და მერე დასძინა: — დამდე პატივი, შეამოწმე ჩემი მზადება ტურებთან და მელებთან შესახვედრად.

დღის ლხინი ბაღში დამთავრდა. ახალგაზრდობა ცეკვავდა გაშლილ უზარმაზარ ხალიჩაზე, რომელიც ჰგავდა ვარდებით შემორგულ ლურჯ ტბას.

დათო ისე გაიტაცა ცეკვამ, თითქოს ქორწილზე მოვიდა და არა სერიოზულ საუბარზეო, არც გივი ჩამორჩებოდა, იგი გატაცებული იყო თავადის ქალიშვილების მხიარულებითა და სილამაზით.

სოფლებიდან მოვიდნენ ახალგაზრდები და ხანში შესულები, მოვიდნენ მოხუცნიც. რაზმელები უჩვენებდნენ სიმარჯვეს ჭიდაობაში და ისრის სროლას. ტანადი ქალიშვილები იმღეროდნენ, ცეკვავდნენ და თან ტკბილეულს შეექცეოდნენ. დამატებით გაშალეს ხალიჩები, გამოაგორეს ტიკები, უზარმაზარი ხონჩებით მოჰქონდათ ყოველგვარი საჭმელი და უხვად უმასპინძლდებოდნენ გლეხებს.

მესტვირე გუდასტვირს უკრავდა და მღეროდა ლომისა და ტურის იგავს.

მოურავის ახლოს, რომელსაც გარს ეხვევნენ თავადები, დადგეს ოქროს დოქი, სამოცი წლის ღვინით სავსე. ხილი და

ტკბილეული ვერცხლის ლარნაკებით მოიტანეს. ოქროს თასები, რომელთაც ამშვენებდათ ნატიფი ჩუქურთმა და ძველი წარწერები, ჩამავალი მზის სხივებზე ლაპლაპებდნენ.

ჩაფიქრებული უცქეროდა სხივების თამაშს საკაძე: „შესაძლებელია ჩემი მზეც უკანასკნელ სხივს აფრქვევდეს? მაგრამ საიდან არის ასეთი ეჭვი? საიდან? განა არ უნდა მოხდეს გადამწყვეტი რამ? ან ჩვენ, აზნაურები, გავიმარჯვებთ თეიმურაზზე, ან მოგვსპობენ. დიახ, სხვა გამოსავალი არ არის! კახელებს ემხრობა თითქმის ყველა ქართველი თავადი, რომელთაც წინამძღოლობს გაქნილი ტურა და მათთან არის ათიათასობით რაზმელი...“

— ...მაშინ ლომმა უთხრა,—განაგრძობდა მოხუცი იგავს:— „ტურავ, რაც უნდა იჩხავლო, მაგას ლომის ბრდღვინვად არავინ მიიღებს...“

„შესაძლებელია, მოხუცი მართალი იყოს, — ფიქრობდა კვლავ საკაძე, — რაც უნდა იჩხავლოს ზურაბმა, იგი ვერ დამამარცხებს!..“

— ...მაშინ ტურამ სიბრაზით ხეს დაუწყო ღრღნა, ლომმა ჩაიცინა და ასეთი რამ მიახალა: „ტურათა ტურავ, როცა პაპაჩემს ერთი შენი წინაპართაგანი ასევე ედავებოდა, ხე მისი კბილებისაგან შეირხა. ტურა მხოლოდ გაბოროტებით ვერ ამჩნევდა ამას...“

„უცნაურია, მოხუცი ალბათ ზურაბზე ლაპარაკობს“. საკაძემ თვალი მოავლო დამსწრეთ: ყველანი, თავადები და გლეხები, დიდი ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ მთქმელს.

„დიახ, ნათესაობით მდიდარი ვარ: ჩემი ქალიშვილი მუხოანბატონსა ჰყავს. მეორე ქალიშვილი — ქსნის ერისთაეს, რომელიც აგრეთვე ძლიერი გვარეულობაა; ჩემი და ქართლის დედოფალია; თინათინი, შაჰ აბასის ცოლი, ლუარსაბის დაა, ჩემი სიძისა, — მაშასადამე, შაჰ აბასიც ჩემი ნათესავია. და კვლავ: ჩემი ცოლი რუსუდანი ტურა ზურაბ ერისთავის დაა. ზურაბი, ჩემი ცოლისძმა, თეიმურაზ ბაგრატიონის სიძეა, მაშასადამე, ჯიუტი მეფეც ჩემი ნათესავია!.. განა მეტად ბევრი ხილი არ არის ერთ ხეზე?“

— ... რაც უნდა მაგარი ფესვი ჰქონოდა, ხე მაინც შეირხა. მხოლოდ ტურა ვერ ამჩნევდა ამას სიბრაზის გამო. ლომი განზე გახტა, ტურასაც უნდოდა გამსტარიყო, მხოლოდ გვიან მოუვიდა: ხე ხმაურით წაიქცა და ქვეშ მოიყოლია ტურა. გაჭყლეტილმა მხეცმა ლურჯი ენა წამოაგდო.

სააკაძემ მარგალიტის ღილი მოიწყვიტა საყელოზე და მოხუცს გაუწოდა:

— წაიღე, პაპაჩემო, გიორგი სააკაძის სამახსოვროდ. ყოველთვის უამბე ხალხს ლომისა და ტურის არაკი.

სამუხრანოს მამულის საზღვარზე გადაჭიმულა მდიდარი სოფელი. მისი ძველისძველი სახელი დაიკარგა წელთა მდინარებაში და ყველა მუხრანელი მას უბრალოდ უწოდებდა — ლამაზ სოფელს. ლამაზს, ისე როგორც მთელ სამუხრანოს. გარს ერტყა საგუშაგო კოშკები და მოედნები. სოფელი გორაკებზე იყო გაშენებული. გარს ერტყა ვენახები, ხეხილის ბაღები და ყვავილნარები, რომლებშიც ჩაფლული იყო კოხტა სახლები, ჩუქურთმიანი აივნები რომ ამშვენებდა. ლამაზი ასარებდა თვალს და კეთილშობილურ შურს იწვევდა.

მაგრამ სოფელი ლამაზი უფრო განთქმული იყო ახოვანი, ლამაზი ხალხით. სამუხრანოს არც ერთ სოფელში არ ყოფილა იმდენი მამაცი რაზმელი, იმდენი ლამაზი ქალიშვილი. და ხასიათითაც ისინი მკვეთრად განირჩეოდნენ სხვა გლეხებისა და მსახურთაგანაც კი. ლამაზი თითქოს მუხრანბატონის ციხედარბაზის გაგრძელება იყო. აქ წმიდად იცავდნენ მუხრანბატონების ყველა ტრადიციას. ქალიშვილებს, ისევე როგორც მამაკაცებს უყვარდათ იარაღი, უყვარდათ ცხენოსნობა, უყვარდათ ნადირობა და შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ მარჯვე ისარი არ ეტყორცნათ გაუფრთხილებლად მოახლოებული ნადირისათვის.

აქ ქალები ტუჩზე თითს არ იდებდნენ მორცხვობის ნიშნად — პირიქით, სიცილი და დაუსრულებელი მხიარულება მეფობდა ვენახებშიც, სახლებშიც და საგუშაგო კოშკების სათოფურებიანი გალავნის მოედნებზეც. აქ სიხარულით იღებ-

ლნენ სტუმრებს და ხმამაღალი დაცინვით ისრებთან ერთად იგერიებდნენ მტერს, რომელსაც არაერთხელ უცდია ლამაზის გალავანში შემოჭრა, მაგრამ ამაოდ.

ეს სოფელი ყველა სხვა თავის სოფელზე უფრო უყვარდა მოხუც თავად თეიმურაზ მუხრანბატონს. აქედან მიჰყავდათ ციხე-დარბაზში გადიები, ძიძები, დაახლოებული მსახურნი თავადთა მრავალრიცხოვანი შთამომავლობისათვის. აქედან მიჰყავდათ მოურავები, რაზმების უფროსები, მონადირეები, მეძაღლეები. ბევრ ლამაზელს ნიშნავდნენ აგრეთვე სხვა თანამდებობაზე, სადაც საჭირო იყო ძლიერი ხელი და მართვის უნარი.

ლამაზელი გლეხები თითქოს თავადის ოჯახის უმცროს წევრებად ითვლებოდნენ. იქმნებოდა ერთგვარი პატრიარქალობა. ხშირად ციხე-დარბაზისაკენ მიმავალს დაინახავდით დაჩარდახებულ ურმებს. რომლებითაც ციხე-დარბაზში მოსამსახურეებთან მიდიოდნენ სტუმრად ნათესავები და მეგობრები. მათ იქ მოელოდათ გულღია სტუმართმოყვარეობა და საჩუქრები კნეინებისაგან. დაუწერელი კანონით, არც ერთი ქალიშვილი არ გათხოვდებოდა სხვა ადგილას ან არც ერთი ბიჭი ცოლს სხვა სოფლიდან არ მოიყვანდა, რადგან ეშინოდათ არ შეხვედროდათ უღირსი მოყვარე, ამასთანავე ფხიზლად იცავდნენ თავიანთ შეღავათებს.

განა ლამაზში წასვლა არ უყვარდათ ახალგაზრდა თავადიბსა და თავადის ქალიშვილებს გასამხიარულებლად? აქ ვის ეწყინებოდა თავისუფალი ხუმრობა? არავის! მოხუცები იგონებდნენ თავიანთ ახალგაზრდობას და გულუბრყვილოდ ამბობდნენ: „დაე იმხიარულონ, ახალგაზრდობა მიტაად ჩქარა გაიელის, ხოლო ცუდი აქედან არაფერი არ იქნება“.

ლამაზელები არ ცდებოდნენ: ვერც ერთი თავადი ვერ გაბედავდა გადასულიყო ნებადართულის საზღვარზე. რადგან მოხუცმა თეიმურაზმა მრავალი წლის წინათ გამოაცხადა: „თუ ვინმემ მუხრანბატონის ოჯახიდან გაბედა ქალიშვილის გაუპატიურება ან ქმრის ღირსებას შეეხო, ციხე-დარბაზიდან გავაგდებ და მიყრუებულ სოფელში ვამყოფებ სულ მცირე ხუთ წელსო“.

და მარტო მკაცრი მამისა და პაპის მუქარა როდი აჩერებდა ახალგაზრდობას, არამედ აგრეთვე ის წესები, რომლებიც მან ბავშვობიდანვე დანერგა: საკუთარი ადამიანების ღირსების შებღალვა მუხრანბატონის საგვარეულო სახლის შეურაცხყოფას ნიშნავსო.

ანცობა კი სხვა საქმეა. თვითონ პაპასაც ხომ ლამაზი ქალიშვილის დანახვისას არაერთგზის გადაუგრეხია ულვაში, ხოლო კეთილშობილი ძია ტარიელი მსახური ქალის მოქნილი ტანის შეხედვისას თავს მაღლა ასწევდა ხოლმე, როგორც ჯიშიანი ცხენი. ან განა ვერცხლის სამაჯურებს არ უძღვნიან ხოლმე ტანად ქალებს სხვა ძიები? მერე რით არის ცუდი მცხუნვარე კოცნა სადმე ჭადრის ქვეშ ან ეკლესიის კუთხეში?

და თვითონ ქალიშვილებიც, როცა შეიკრიბებოდნენ წყაროსთან, წყლის რაკრაკში, ანკარა ნაკადად რომ ჩადიოდა თიხის ან სპილენძის ჭურჭელში, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— აი ჩემს ტუჩებს რომ შეეხებოდეს მშვენიერი ქაიხოსროს ხავერდოვანი ტუჩები, სიკვდილამდე მეხაომებოდა!

— შენთვის არ შეიძლება, დანიშნული ხარ. აი მე კი ჯერ თავისუფალი ვარ.

— რა ვუყოთ, რომ დანიშნული ვარ; მოვესწრები ქმართან სიამეს. თამარიც დანიშნულია, მაგრამ ვინ იცის, რამდენჯერ აკოცა ახალგაზრდა თავადმა ზაზამ.

— თუ ძალიან მთხოვ, ვიტყვი, — ხარხარით უთხრა თამარმა. — სწორედ იმდენჯერ, რამდენიც მას და მე თითები გვაქვს მარჯვენა და მარცხენა ხელებზე.

ქალიშვილები მხიარული სიცილით ხვდებოდნენ ხოლმე ასეთ ალიარებას.

დღეს განსაკუთრებული ხმაურობაა ლამაზში: ელოდებიან სტუმრებს მუხრანბატონის ციხე-დარბაზიდან. ძველისძველი ჩვეულებით, არა მარტო უნდა გამასპინძლებოდნეო ბატონებს, არამედ კიდევაც უნდა გაერთოთ ცეკვითა და საუბრით. ამიტომ საუკეთესო მოცეკვავე ვაჟებმა და ქალებმა სადღესასწაულოდ ჩაიცვეს, საუკეთესო მომღერლები აწყობდნენ ჩონგურსა და გუდასტვირს, საუკეთესო მთქმელები დილიდანვე ჩუმად

იყვნენ, რომ დღესასწაულზე მათი ხმა უფრო ძლიერად გამოჩენილიყო.

ეკლესიის მოედანზე დაგებულია ხალიჩები, დალაგებულია მუთაქები, ჩამწკრივებულია ფართო ტახტები, რომლებზეც აგრეთვე აწყვია მუთაქები და ბალიშები, მაგრამ უფრო მდიდრული: აქ დაისვენებენ ქაიხოსრო, მირვანი, ვახტანგი, აუცილებლად დიდი მოურავი! ამბობენ, თავადის ქალიშვილები მოვლენო! ოჰ, ოჰ, რა ქართული გაიმართება!.. შეხეთ, ოთარი, მერაბი და გიგლა ეშმაკებივით ბზრიალებენ, რა გამოწყობილან! ყოველთვის ქალიშვილებთან ცეკვავენ! მოჯირითეებს კი ცხენები სარკესავით გაუწმენდიათ... ხანში შესულები ნაკლებ როდი ირჯებიან: რამდენი ხბო, ბატკანი, ციკანი, რამდენი ქათამი დაიკლა! ტკბილეულობას კი უზარმაზარ ქვაბებში ხარშავდნენ! ახლა თევზს არ იტყვი! ნახევარი მდინარე ბადით გაანადგურეს. ახლა ხილი — უთვალავია! როგორც ხევი რიყით, ისეა სუფრები ხილით სავსე.

— ამბობენ, მოურავს ეჩქარება, დიდხანს ვერ ილხენსო!

— თუ ეჩქარება, იცის: ჩვეულების დარღვევა არ შეიძლება.

— მართალს ამბობ, ქეთევან! მოვიდა, მაშასადამე, სტუმარია; ჰოდა, სტუმარს მოულხენლად ვინ გაუშვებს?

— დაე არაგველები გალავანს გადაღმა ბრაზით ლურჯდებოდნენ! უფროსმა ილიამ განგებ უბრძანა რაზმელებს კოშკებზე — თქვენ იმღერეთ და იცეკვეთო. მეფანდურეები ავლენ იქ. ხოლო თუ მტერმა გაბედა თავის გამოყოფა, მათთვის მზად არის ცეცხლოვანი ისრები და გოგირდით სავსე ბუშტები.

— ჩემი პეტრე ამბობს: ყველაზე მაღალი ხმა ქარუმიძის ვაჟს აქვსო. იგი მთელ ხეობაში დასძახებს: „გაუმარჯოს მოურავს! ყველა შენს მტერზე მეტ ხანს იცოცხლეო!“

— ჩემი რამაზი ამბობს: „ახალ დაფს დაუკრავენო!“

— რწყილებსაც დაუკბენია თავად ზურაბის შხამიანი ენა, მისი ყაჩაღები დღემდე ხევებში დაძრწიან.

— დაე დაძრწოდნენ მეორედ მოსვლამდე, ახლოს მოსვლას მაინც ვერ გაბედავენ.

— შეხედეთ, ქალებო! ცანგალა ასპარეზზე გამოვიდა. ახლავე ყვირილს დაუწყებს ბიჭებს.

— მეგობრული ყვირილით მკლავი უფრო ძლიერი ხდება!

სამუხრანოში ოდითვე დაწესებული იყო: ყოველ ორმოცდაათ რაზმელს მსახური უფროსობდა, ხოლო მთელი სოფლის ყველა რაზმს თავადის აზნაური მეთაურობდა.

ლამაზში ყველა ბიჭი ცდილობდა მსახურ ცანგალას ნახევარ ასეულში მოხვედრილიყო, რადგან იგი, როგორც მჭედელი მახვილს, ისე სჭედდა მათგან მარჯვე მეომრებს, რომლებიც მუხრანბატონის ციხე-დარბაზშიც კი განთქმული იყვნენ. ცანგალას გამოზრდილები არაერთხელ ჩაურიცხავთ თავადთა პირადი მცველების რაზმში.

დღეს ცანგალა განსაკუთრებით მიკერძოებულად ამოწმებდა თავისი ორმოცდაათი რაზმელის სიმარჯვეს: ხუმრობა ხომ არ არის: მოურავი — თვითონ მოურავი შეაფასებს მათ წვრთნას.

უეცრად ცანგალას აღშფოთებულმა ყვირილმა, რომელიც შეერწყო ქალიშვილების ულმობელ დაცინვას, გაარღვია ჰაერი: ასოვანი, სასიამოვნო სახის ბიჭი, შვილდმომართული, დაღვრემილი უცქერდა რა თავისუფლად მიფრინავდა ცანგალას მიერ გაშვებული გარეული ისვი, რომელიც მან ვერც კი დაჭრა.

მსახური გაფიცხდა:

— შენ რაო, უხეიროვ, საიდან მოსულხარ? დიღმის ველიდან თუ შენი ბოსლიდან?

— ბატონო, ჩემი ანგელოზი დღეს რაღაც მოუსვენრად მიზის მხარზე, ფრთა მკრა და ხელი შემიშალა.

— ახლა ანგელოზს გადააბრალე! ანგელოზი მარცხენა მხარზე ზის! ეგ შენი უხეირო ხელის ბრალია! ეშმაკმა კუდით გიბიძგა!

— არ შეიძლება, ბატონო, ეშმაკი ახლოს ვერ მოვა რაკი ანგე...

— ე, ბიჭო, — გაიცინა ხმელ-ხმელმა მოხუცმა, — უთუოდ დაგავიწყდა: ანგელოზსაც ჭამა უნდა, თუმცა წმიდაა. სწორედ შუადღისას ზეცას გაფრინდება ხოლმე.

— ჰოდა, მაშინ ჩემი უხეირო ხელი არაფერ შუაშია! — საერთო სიცილში წამოიძახა ბიჭმა. — ეშმაკი ჩემზე ძლიერია!

— როგორ თუ, არაფერ შუაშია?—გაბრაზდა ცანგალა.— შენი აზრით, დიდი მოურავი ბრძოლის ველზე ეშმაკებს გარეკავს, შენ რომ ხელი არ შეგიშალონ მტერს ისარი ესროლო?

საერთო სიცილმა ისე შეარცხვინა რაზმელი, რომ სულ ულვაშს იკვნეტდა. წინ გამოხტა ტანადი ქალიშვილი, რომელმაც მრისხანეულ გადაიგდო უკან ნაწნავები. მისი თვალები აღშფოთებით იყო ანთებული, რადგან მხოლოდ გუშინ მოუფიქრებლად შეპპირდა ამ უხეიროს, ცოლად გამოგყვებიო.

— ბატონო ცანგალა, ნება მიბოძე მიზანში მე ვესროლო! — პასუხს არ მოუცადა, ხელში გამოჰგლიჯა ბიჭს მშვილდი და ზეიდ ისარი დაადო.

— ფრთხილად! თუ არ მოგიხვედრებია, დედაშენს ვუბრძანებ ნახევარი ნაწნავი შეგაჭრას!

ქალიშვილები შეშინებული ახმაურდნენ:

— მოეშვი, ქეთევან, თავს საფრთხეში რად იგდებ?

მაგრამ ქეთევანმა მტკიცედ მოკუმა წითელი ტუჩები და მაგრად მოზიდა ლარი.

— ჩემმა ანგელოზმა უკვე გაიმარჯვა, — დასცინოდა იგი ბიჭს, — ხოლო ეშმაკს ჯვარზე უფრო ეშინია ჩემი. ღამე კოცნა უნდოდა. მაგრამ ისეთი ვუთავაზე კინკრიხოში, რომ რქები მოძვრა და დილამდე ეძებდა მიწაზე, სანამ საკუთარ კუდში არ გაიხლართა!

— ე, ქეთევან, — გამოეხმაურა ხმელ-ხმელი მოხუცი, — შესაძლებელია შენი ეშმაკი უკუდო დაიარებოდეს? თორემ აბა ურქებოდ როგორ დარჩა? ან იქნებ ის თხა იყოს, მასაც ხომ წვერი აქვს?

საერთო სიცილსა და ორპოფულ ნართაულებში უხეირო მოარშიყის შესახებ ცანგალამ გალიიდან გამოიყვანა ფრინველი და დათქმული ნიშნით ჰაერში შეისროლა. ფრინველმა მზეზე გაშალა ლურჯსოსანი ფრთები და ჰაერში ავარდა. ქეთევანმა წამს მიაყოლა ისარი. ფრინველი გადატრიალდა. წუ-

თით თითქოს გაქვავდა ჰაერში და შემდეგ მოწყვეტით დაეცა მიწაზე.

მოედანზე ატყდა კივილი, ტაში, განსაკუთრებით ქალიშვილები ხმაურობდნენ, ერთბაშად მისცვივდნენ ქეთევანს საკოცნელად.

ცანგალამ განზე მოიგდო მრგვალი ქუდი და ქამარზე სატევარი შეისწორა.

— მადლობა, ძვირფასო, რომ არ შეგვარცხვინე! — სულმოუთქმელად ამბობდა ცელქი თამარი. — ბატონო ცანგალა, უთუოდ აჩვენე მოურავს მაგისი სიმარჯვე.

— რა გაეწყობა, უნდა ვაჩვენოთ! — ხარხარებდა მეორე ნახევარასეულის უფროსი მამუკა. — რადგან, რაკი რაზმელები ფრინველს უმიზნებენ, და საკუთარ ზურგში კი ხედებათ.

ცანგალა მკვეთრად მოტრიალდა და დამცინავი თვალი შეავლო მამუკას:

— შენს ნახევარასეულში ყველა ზურგში იხვედრებს ანდა, შესაძლებელია, ვინმე შენ გიმიზნებდეს, ღორს კი ახვედრებდეს?

კისკისი და სიცილი ატყდა მოედანზე. მაგრამ მამუკამ გულგრილად უპასუხა:

— ღორისა რა მოგახსენო, ხოლო ახლა ორმოცდაათი ხოხობი მივუტანეთ ქალებს, რომ შამფურზე შეწვან. როგორც რიგია გავუმასპინძლდებით მოურავს ჩემი რაზმელების სიმარჯვით. დაე ნახოს მოურავმა დიღომს თვალები ყველასათვის კინკრიხოში როდი ამოუყვანია.

— კინკრიხოში? — უეცრად აღრიალდა შერცხვენილი მსროლელი, მამუკას მშვილდი გამოსტაცა და გაფრენილ ბეღურას ესროლა. წუთი და... ბეღურა ბზრიალით წამოვიდა ძირს. მან კვლავ ისროლა ისარი და მეორე ბეღურაც მის ფეხებთან დაეცა. ორმოცდაცხრა რაზმელის, იმ „უხეიროს“ ამხანაგის სასიხარულო ყიჟინამ მოიცვა მოედანი. ქეთევანის მეგობრები გააფთრებით უკრავდნენ ტაშს. მაგრამ ცანგალამ ვერ მოისვენა და წამოიძახა:

— ძვირფასო მამუკა, შენს ორმოცდაათ რაზმელს

ტყუილ-უბრალოდ უსროლია ისარი ხოხობისთვის, უმჯობესი იქნებოდა დათვებისთვის ესროლა, უფრო დასანახავია!

— და შამფურზეც კარგად იწვიან! — იცინოდა ხანში შესული მჭედელი. მაგრამ მამუკასაც ცოტა როდი ჰყავდა მომხრე, რადგან მისი ორმოცდაათი რაზმელიც ლამაზში დაიბადა.

და ისეთი მხიარულება შეიქნა, რომ სხვა ნახევარასეულებმა, წვრთნა მიატოვეს და გამოიქცნენ იმის გასაგებად, დანიშნულზე ადრე ხომ არ მოვიდნენ მუხრანბატონებიო.

ხმელ-ხმელმა მოხუცმა გაიფიქრა, ახლა სჯობს სადავე მოვწიოო, და ურჩია, მხიარული საუბარი დავამთავროთ და ჩემთან წავიდეთ, ცოტაოდენი ღვინო დავლიოთ, შემდეგ დავისვენოთ, რადგან ხვალ სტუმართა წინაშე რაზმელები დიდი სიხარულით ბუზებსაც არ დააცდენენო.

საერთო სიცილსა და ხუმრობაში ყველანი ხმელ-ხმელ მოხუცთან წავიდნენ. მთელ გზაში ცანგალა და მამუკა ერთმანეთს მეგობრულად უთათუნებდნენ ხელს მხარზე და ორივე დიდსულოვნად აჯერებდა ერთმანეთს, რომ სურს უშიშარი მეგობრის გამარჯვება.

თავი მეოცე

თბილი დილა გაუთენდა დაცხუნებულ დედამიწას, მოავარაყა წყაროს გარშემო გაბნეული ქვები, დაიჭყიტა წითელ-ქოჩორა ჩიტმა და დასალევად მივიდა ანკარა წყალთან. მსუბუქმა ნიავმა მთებიდან ჩამოიტანა ნოყიერი ბალახების სუნი და დათოვლილი მწვერვალების სიგრილე.

მყისვე გაიღვიძა ციხე-დარბაზმა, თითქოს ღრუბელმა, რომელიც ვერცხლის ბუკს ჩამოჰგავდა, სანიშნო დაუკრაო. აფუსფუსდნენ მოსამსახურეები, აჩხრიალდა ხონჩები. მეჯინიბეებმა გააღეს საჯინიბოები, ცხენებმა ყურები დაცქვიტეს და უეცრად მხიარულად აჭიხვინდნენ, მოუთმენლად ფრთქვენდნენ, თითქოს მიხვდნენ, რომ სეირნობის დრო მოელოდათ

და მზად იყვნენ თვითონ წაეღოთ შესაკაზმავ ადგილას ძვირფასი სადღესასწაულო უნაგირები. და ერთბაშად დახუთული საძაღლეებიდან გამოცვივდნენ ძაღლები და შეშფოთებით აყეფდნენ. ახალგაზრდა თავადები პირველნი მოახტნენ ცხენებს, მოუთმენლად რომ სცემდნენ მიწას ტორეპს, და მხიარული შეძახილებით გააყრუეს ეზო. ყოველგვარი ფერისა და ჯიშის ძაღლები ხტუნვით, ჭყიოილითა და წკმუტუნით გამოხატავდნენ აღტაცებას და თხოვნას, თან წაგვიტანეთო.

ლამაზში მთელი გვარეულობით გაემგზავრნენ, ხანში შესული კნეინაც კი, ვახტანგის ცოლი, აგრეთვე მირვანის უმცროსი ქალიშვილი.

დათო, თავისი ჩვეულების წინააღმდეგ, ტკბებოდა არა მშვენიერი თავადის ასულების ცქერით, არამედ მოხუცი კნეინას თორმეტი შვილიშვილით: უმცროსს ის იყო შეუსრულდა ათი წელი, მაგრამ უნაგირზე ისე იჯდა, როგორც გამოცდილი მოჯირითე. ყველა ისინი გარს შემოეხვივნენ გაღმერთებულ ქაიხოსროს, თითქოს მისი ამალაა. წინ მიდიოდნენ უფროსები, ცოტა უკან ახალგაზრდობა, რომელსაც აღტაცებული წკმუტუნით მისდევდნენ საყვარელი ძაღლები: ბანჯგვლიანი, დახვეწილი, დაბალი, მაღალი, შავი, რუხი, თეთრი, ყავისფერი, დაწინწკლული ძაღლები, რომლებიც სარკესავით ბრწყინავდნენ მზეზე, დაურეცებულნი და დავარცხნილნი.

დიდხანს ისმოდა ველებსა და ხევებში ხმამაღალი სიცილი, შეძახილები და მხიარული სიმღერები.

და კვლავ გაიფიქრა საკაძემ: „ეს მხიარულება მტრისადმი სრულ ზიზღს ნიშნავს“.

წვეულნი ხან მარჯვნივ უხვევდნენ, ხან მარცხნივ და შედიოდნენ აყვავებულ სოფლებში, რომლებიც სავსე იყო მწიფე ლეღვის საამო სუნით. ქოხებიდან გამოდიოდნენ ქალები და ხონჩებით მოჰქონდათ ცივი ყურძენი, ცხელი ხაჭაპურები და გაცივებული ღვინო დოქებით. და აქ მტრის არავის არ ეშინოდა: ყველა ქმარი და ძმა რაზმებში იყვნენ და სამუხრანოს სამფლობელოს იცავდნენ. მხოლოდ ყველაზე ახალგაზრდანი დარჩნენ სოფლების დასაცავად, მხოლოდ მეტად მოხუცნი

მწყემსავდნენ ნოყიერ საძოვრებში მრავალათასოვანი ცხვრის ფარას, მახვილფეხა რქიან საქონელსა და კვიცების რემას. და კიდევ დიდხანს ისმოდა უკან: გზა მშვიდობისა.

ქაიხოსროს გაახსენდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ შეპირდა სააკაძეს, დაწვრილებით ეამბნა, თუ რა „თავაზიანი წერილი გაუგზავნა თეიმურაზ მეფეს“, და სააკაძეს მიუახლოვდა. გიორგი ხან იღიმებოდა, ხანაც წარბს იკრავდა, როცა ისმენდა, თუ რას მოითხოვდა მეტეხი.

მოურავთან რომ მარცხი ეწია, ჩოლოყაშვილმა, მეფის ბრძანებით, შიკრიკი გაუგზავნა მუხრანში — ახალგაზრდა თავადი ანდრონიკაშვილი, რომელსაც ახლდა სამი ქეშიკი, ხოლო თავადი ომანიშვილი ორი ქეშიკის თანხლებით ესპის ერისთავთან გაგზავნა.

„უნდა გაითიშოს წმიდა სამება რადაც უნდა დაჯდეს!“ — წამდაუწუმ იმეორებდა თეიმურაზი. მას ისე უხაროდა ეს მოსწრებული შედარება, რომ მთელ მეტეხში გაიძახოდა.

წერილი იწყებოდა მაღალფარდოვანი სურვილებით სახელოვანი გვარეულობის რაინდებისადმი. შემდეგ მოდიოდა საყვედური:

„უკვე ზემო, შუა და ქვემო ქართლის ყველა თავადი ეახლა მეფეთმეფე თეიმურაზს, სპარსთა ჯარის დამმარცხებელს. მაგრამ რატომ იგვიანებენ მუხრანბატონები! განა მათ არ მოელით პატივი კახეთ-ქართლის მეფის კარზე? განა დრო არ არის ყველა თავადი გაერთიანდეს ბაგრატიონების ტახტთან. რომლებიც მუდამ იცავდნენ თავადთა პრივილეგიებს?“

შემდეგ იყო მრავალი დაპირება: მაღალი წოდებანი მიენიჭებათ ახალგაზრდებს და მამულები გაუფართოვდებათ ხანში შესულებს. შემდეგ, თითქოს მახვილმა ნისლში, უეცრად გაიელვა მუქარამ:

„ურჩობის შემთხვევაში — თავადი ჩოლოყაშვილი მეფის რაზმებს არ გამოგზავნის დასახმარებლად, თუ რომელიმე თავადი, რომელიც მეფისადმი უყურადღებობით აღშფოთდება და მოისურვებს თავს დაესხას სამუხრანოს“.

ქაიხოსრომ კმაყოფილებით გაიხსენა პასუხი, რომელიც

მან ჩოლოყაშვილს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თეიმურაზს გაუგზავნა. მან იმით დაიწყო, რომ გულწრფელად აღტაცებულია მეფით, რომელმაც თუშებისა და სხვა მთიელების დახმარებით კახეთიდან განდევნა ისმაილ-ხანი, შემდეგ აღნიშნა, რომ, როცა ქართლის მმართველი იყო, სამეფოს განმტკიცებისათვის ნებაყოფლობით თქვა უარი ქართლის ტახტზე „ღვთის სწორი" თეიმურაზის სასარგებლოდ, ამიტომ უფლება აქვს იქონიოს იმედი, რომ მის მოადგილეს კარგი მეხსიერება აქვს. აგრეთვე გავახსენე, რომ მუხრანბატონთა საგვარეულო მუდამ პატივს სცემდა ბაგრატიონებს და ახლაც არ დააყოვნებდა პირადად მოსულიყო და მისალმებოდა მეტეხში, მაგრამ არც ერთი მუხრანბატონი ფეხს არ გადააბიჯებს მეტეხის ზღურბლს, სანამ იქ „სტუმრად არის" ზურაბ ერისთავი, რომელმაც ხელი გაისვარა მეფის სისხლით. ისიც მართალია, რომ კახეთში ეს სამარცხვინოდ არ მიაჩნიათ, იქ შვილიც კი შაჰ აბასის საამებლად თავს კვეთს მამას, — ამის მაგალითია ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელმაც თავი მოჰკვეთა თავის მამას, მეფე ალექსანდრეს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ შვილის მოკვლაც — ალექსანდრე მეფემ მოწამლა ბატონიშვილი დავითი. მაგრამ ქართლში ბაგრატოვანთა ტახტი ასეთი ბოროტმოქმედებით შერცხვენილი არ ყოფილა. და თუმცა მეფე სვიმონ მეორე ქართლის ბევრი თავადისათვის სასურველი არ იყო— არა მარტო მაჰმადიანობის გამო, არამედ უფრო მეტად იმის გამო, რომ უნარი არა ჰქონდა მეფობისა, მაინც არავის გაუბედნია ფიქრადაც კი, რომ ტახტი სამარცხვინო მკვლელობით გაეწმინდა. თავადებმა დაადგინეს მხოლოდ დაეტყვევებინათ სვიმონი და პატივით ჰყოლოდათ შორეულ ციხე-დარბაზში, სანამ ყურანზე არ დაიფიცებდა ტახტზე უარის თქმას თავისთვის და მომავალი ვაჟისათვის, რის შემდეგ ისპაჰანს გაიგზავნებოდა. „მგონია, თავად ჩოლოყაშვილს არ დასჭირდება მეტი საბუთის მოყვანა, რომელიც განუმარტავდა ჩვენს თავშეკავებას. მაგრამ თუ ეს საკმაო არ არის, მაშინ დავძენ: არავინ, ვინც პატივს სცემს თავის თავს, არ უნდა დაემსგავსოს ანდუყაფარს, რომელიც თავისი სიბეცით, როგორც უგუნური ბოცვერი, ხაფანგში გაება. კარგია, რომ მოისაზრა და, ზურა-

ბის მიერ შერცხვენილი, მტკვარში გადავარდა მეტეხის გალავნიდან, თორემ მის თავსაც, სვიმონ მეფის თავის მსგავსად, მეფე თეიმურაზის ცხენს ჩაუგდებდნეს ფეხქვეშ. ხოლო თუ რომელიმე თავადს, რომელიც განაწყენებულია მეფე თეიმურაზის გამო, სატანა მუხრანბატონის ციხე-დარბაზთან მოიყვანს, მაშინ ზარალის ასანაზღაურებლად, გაუფრთხილებელის თავი, ანდუყაფარის თავის ნაცვლად, ფლოქვებში ჩაუვარდება თეიმურაზის ცხენს. ეს არის, თავადო, ჩემი მუდამ ურღვევი, მტკიცე სიტყვა".

ქაიხოსრომ მხიარულად აიქნია მათრახი:

— ხედავ, ჩემო მოურავო, ასეთი ურთიერთ თავაზიანობა ალბათ არ მოეწონა არა მარტო ტურა ზურაბს და აი ამიტომ ჩვენ გაძლიერებით ვემზადებით დაუპატიჟებელი სტუმრების შესახვედრად.

— ვიცი და ამიტომ მტკიცედ ვამბობ უარს ჩემი ძვირფასი მუხრანბატონების დიდ დახმარებაზე.—საკაძემ თვალი მოავლო მთებს, სადაც განლაგებული იყო საგუშაგო კოშკები. — არც შადიმანთან აქვთ მათ საქმე კარგად.

— შადიმანთან?.. სა-აიდან იცი, მოურავო? ნუთუ...

— ახალგაზრდა ლიპარიტმა გულახდილად უამბო შალვა ქსნის ერისთავს. ზურაბი მთლად დაათრო სისხლმა, სურდა თავს დასხმოდა მარაბდას, მაგრამ თეიმურაზის გამეფების გამო ლხინზე შეკრებილმა თავადებმა უკმაყოფილებით მოუსმინეს ზურაბს. ხოლო მოხუცმა ლიპარიტმა გაბედულად განაცხადა, რომ თავადები არ ეთანხმებიან, რადგან შადიმანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იცავდა თავადთა წესებს, ებრძოდა გიორგი საკაძესა და თავადთაგან ბევრი უნდა უმადლოდეს შადიმანს თავიანთი ციხე-დარბაზების მთლიანობას. თავადები რომ ზურაბის მგლურად მოელვარე თვალებს ხედავდნენ, ლიპარიტს თხოვდნენ დაუყოვნებლივ წასულიყო მეტეხიდან, მაგრამ მოხუცი რაინდი მხოლოდ ლხინის შემდეგ გამოეთხოვა თეიმურაზს; ვფიქრობ, სამუდამოდ. თეიმურაზი მეტად ცხარობდა, მაგრამ ჩოლოყაშვილის, ვაჩნაძისა და ანდრონიკაშვილის რჩევით უარი თქვა მარაბდაზე. ხომ ხედავ, ჩე-

მო ქაიხოსრო, კიდევ ერთი უგანათლებულესი თავადი, ლიპარიტი, ჩამოშორდა თეიმურაზს. თავადებმა ნება არ მისცეს თავს დასხმოდა აგრეთვე არშის ციხე-დარბაზს. უფროსმა ფალავანდიშვილმაც კი განაცხადა, რომ თუ თავადთა საბჭოს არ დაემორჩილნენ, რომელმაც თავის მფარველობაში აიყვანა კნეინა გულშარი, ტრაგიკულად დაღუპული ანდუყაფარის ქვრივი, მაშინ იგი, თავადი ფალავანდიშვილი, და ბევრი წარჩინებული გვარი შეთანხმებულად დაიცავენ ამილახვარის მამულს. ზურაბი კბილის ღრჭიალით გახდა იძულებული უარი ეთქვა გაუმაძღარი სურვილის დაკმაყოფილებაზე — მიესაკუთრებინა მიუვალი ციხე, რომელიც ხევსურეთის მთების ახლოს მდებარეობს. მით უმეტეს, რომ ფირანი, რომელიც მეგობრულად განწყობილი თავადების მფარველობით ჩავიდა მეტეხში, ეეჟდრებოდა მეფეს არ წაერთმია საგვარეულო მამული. სიძულვილი, რამაც ზურაბს სახე დაუმანჭა, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ფარულად მოზეიმე თავადებს და დაიყოლიეს უფროსი ფალავანდიშვილი მაშინვე დაეტოვებინა მეტეხი, რაც ფრთხილმა თავადმა მყისვე შეასრულა და თან წაიყვანა ოჯახიც. გამოდის, ჩემო ქაიხოსრო, რომ კიდევ ერთი გავლენიანი თავადი ჩამოშორდა თეიმურაზს. იმედი მაქვს ფალავანდიშვილს მიჰბაძავენ სხვებიც, ზოგი სიმხდალით, ზოგიც აღშფოთებული მეტეხში კახელების ძალადობით. მაგრამ ჩვენთვის ეს როდია მთავარი.

დაფის გუგუნი, ზურნის ჭყვიტინი, ხმამაღალი შეძახილები: „გამარჯვება! გამარჯვება!“ — მთებში გაისმოდა. საგუშაგო კოშკებზე აანთეს გაფისული ჩირაღდნები, რომლებიც იისფერ შუქს ფანტავდნენ. „ვაშა! ვაშა!“ — გრიალებდა რაზმელთა საბრძოლო შეძახილი.

საკაძემ სიამოვნებით დაათვალიერა კოშკების ძირას ფართო ორმოები, რომლებიც სავსე იყო ლაფით. ორმოებზე გადებულ დროებით ბოგირებს თავდასხმისას ხელად იღებდნენ და ვერც ერთი მტერი ვერ გაბედავდა გადამხტარიყო წინა ან სათადარიგო ორმოზე.

საკაძემ დაწვრილებით დაათვალიერა სიმაგრეები, შეამოწმა საგუშაგოები და შეაქო ჯარის უფროსები, რომ მზად

არიან ბრძოლისათვის, მაგრამ ურჩია არ დაივიწყონ, რომ ზურაბ ერისთავი მისი მოწაფეა და, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული აქვს სამუხრანოს წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელე. ალბათ უკვე დაამზადა კატაპულტები არა მარტო „ცეცხლოვანი ისრების", არამედ აგრეთვე შაბამით სავსე ბუშტების სასროლად. ამიტომ საჭიროა ყველა მოედანზე დაიდგას ქვის ფარები და მოეწყოს ვიწრო სათოფურები. შემდეგ მოურავმა ურჩია, ზოგიერთ ადგილას ორმოების ფსკერზე დაესოთ შეუმჩნეველი პალოები და წყალქვეშ გაეჭიმათ რკინის ბადეები: საკმაოა ერთმა ცხენმა წაიფორხილის, რომ უკან მრავალი ასეულობით ცხენი წაიქცეს. ურიგო არ იქნება აგრეთვე, რომ ორმოების ნაპირებზე მიწაში ჩაასობდნენ წვეტიან ნატეხებს და შემდეგ, საფრებიდან ბრძოლის დროს, ისროლონ ანთებული ჩირაღდნები და ამით თვალი დაუბნელონ ცხენებს. ხოლო, რაც ყველაზე მთავარია, გალავნის შუა ადგილას იყოლიონ სათადარიგო დამკვრელი ჯგუფი, რომელსაც სასწრაფოდ გადაიყვანენ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება ბრძოლა. კიდევ ბევრი რამ ურჩია მოურავმა თავადებს, რომლებიც უურადღებით უსმენდნენ. მხოლოდ ქაიხოსრო ეუბნებოდა მადლობას და ეკითხებოდა: „განა მეტად დიდი მზადება არ არის მხოლოდ ზურაბისათვის?" რაზედაც საკაძე მუდამ უპასუხებდა: „არა მარტო მისთვის..."

დიდი საუბარი გაიმართა მხოლოდ ლამაზიდან დაბრუნების მეორე დღეს. მოუთმენლობის მიუხედავად, საკაძე კვლავ იძულებული გახდა ელოდნა კიდევ ერთი დღე ლხინისათვის. კვლავ სვამდნენ ყანწებს დიდი მოურავის სადღეგრძელოდ, სამუხრანოს ასაყვავებლად და მეინახენი ყოველგვარ სიავეს უსურვებდნენ მტრებს.

— აშკარად ჩანს, რომ ლევანი ვერ ხვდება შენს განზრახვას—ქართლში გაამეფო იმერელი ბატონიშვილი ალექსანდრე.

— ჯერ ვერ მიმხვდარა, ჩემო ვახტანგ. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ცბიერული განზრახვა.

— შენ, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს დაჰპირდი?

— რამდენიც უნდა დაჰპირდე, ძვირფასო მირვან, თვითონ თავისთვის ბევრი რამ სურს. ხომ გაიგონეთ დათოს ნაამბობი? ათი ათასები შეუძლია შესვას ცხენზე. ბევრად გადააჭარბებს ჩემს ცხენოსან ჯარს, თუ ყველა მოვიდა, ვისაც ველოდები.

— მოურავო, მისი დახმარება რომ მიიღო, უთუოდ გაიმარჯვებ.

— არა, ჩემო ქაიხოსრო, მაშინ უთუოდ წავაგებ. როგორც კი დათომ მიამბო, რომ ლევანი მოხარული და მზადაა ასი ათასი კაცი მოიყვანოს ქართლშიო, მაშინვე მივხვდი ცბიერის განზრახვას. ჩემთვის დახმარების გაწევის საბაბით, ნაცვლად იმისა, რომ დაატყვევოს მეფე თეიმურაზი, ზურაბ ერისთავი და კარის მლიქვნელები და ამით დაიმორჩილოს დანარჩენებიც, აიძულებს ცნონ სამეგრელოს მეფის ლევანის ძალაუფლება. იგი ულმობლად, ზედმეტი სისასტიკით დაიწყებს თეიმურაზისა და ზურაბის ჯარების ხოცვას, ჯარი კი ხალხია. მერე ჩემს სახელს დაიმოწმებს და თავს დაესხმის ცალკეულ ციხე-დარბაზებს და ისეთივე სიმკაცრით დაუწყებს ქლეტას ქართლელებს. უკანასკნელად თავს დაესხმის სამუხრანოს. აი ამიტომ გირჩევდი ლამაზში გაგეძლიერებინა თავდაცვა... უფრო ძლიერი მტრისათვის...

— მაგრამ თუკი იმასთან იქნები...

— იმასთან არ ვიქნები, რადგან იმ დროს მეთაურობას გავუწევ მის წინააღმდეგ ბრძოლას. მინდა ბოლომდე გითხრა, რასაც ვფიქრობ: როცა აზნაურებს ამოწყვეტს, სამეგრელოს მთავარი შეეცდება დამატყვევოს, მაგრამ, როცა დარწმუნდება, რომ ყოველი ცდა ამაოა, წინადადებას მომცემს ერთად გავილაშქროთ კახეთზე, სადაც თეიმურაზი გაიქცევა. თვალსაც არ დაახამხამებს ცბიერი ლევანი და დამპირდება გურიას, რომლის მოცემას არც კი იფიქრებს. აქ რომ გაიმარჯვებს, თავს დაესხმის და დაიპყრობს უმწეოდ დარჩენილ იმერეთის სამეფოს, შემდეგ ამოწყვეტს ყველა გავლენიან თავადს ქართველთა სამეფოებში და ცარიელი ხელით მიიტაცებს აფხაზეთს. თბილისში რომ გამეფდება, თავს ქართველთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფეთ მეფედ გამოაცხადებს და

მას დაარქმევს სამეგრელოს სამეფოს. შეიძლება იფიქრო, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი და ლევან დადიანი ისწრაფვიან განახორციელონ ჩემი დიდი ხნის განზრახვა. მაგრამ ასე ფიქრი საშიში შეცდომაა, რადგან მე საქართველოს გაერთიანებას ვფიქრობ ქართლის სკიპტრით; ქართლი ხომ ოდითვე მეთაურობს საქართველოს ყველა სამეფოსა და სამთავროს, და მეთაურობს სამართლით. ქართლი დედაა ქართველი ხალხისა. აკვანში უმღეროდა იგი მას „იავნანას", მან გამოზარდა იგი და ხელში მისცა წმიდა მახვილი. ქართლი იცავს ცეცხლს მის კერაზე, ცოდნისა და სრულყოფისადმი მისწრაფების ცეცხლს. ქართლი ხალხის უკვდავებაა! ეს ძალაუფლების მოყვარულნი კი ეწევიან: ზოგი კახეთისაკენ, ზოგი სამეგრელოსაკენ. ბუნების საწინააღმდეგოა, რომ შვილებს თავი მიაჩნდეთ თავიანთი მამის მამად. და კვლავ: როცა მე საქართველოს გაერთიანებას ვესწრაფვი, მინდა დავზოგო ხალხის სისხლი, შევიბრალო ციხე-დარბაზები, ციხეები, მონასტრები დავზოგო ყველაფერი, რაც საუკუნეობით დაუგროვებია სიბრძნესა და შრომას. ჩემი განზრახვის მიზანია საქართველოს აყვავება და მისი ძლიერება, მტრებისათვის მიუწვდომელი ზღუდეები „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე". ხოლო თვით მოყვარე თეიმურაზისა და პირსისხლიანი ლევანის განზრახვაა ბედნიერება თავისთვის, სისხლი და ტანჯვა კი — ხალხისათვის. და ასეთი მეფეები არაფერს არ მოერიდებიან, განსაკუთრებით ლევანი. როცა ხალხის სისხლით მორწყავს საქართველოს ყველა სამეფოსა და სამთავროს, მმართველებად ყველგან დააყენებს თავის მამაც, მაგრამ უაჩაღ თავადებს, უბრძანებს თვითონ და თავისი დარეჯანი მცხეთაში დააგვირგვინონ და განმტკიცდება, როგორც ერთადერთი „ღვთის სწორი", პირსისხლიანი ლევან დადიანი. აი რას მალავს თავის ოცნებაში ჭკუიანი, მამაცი, მაგრამ ულმობელი ლევანი. და, რა თქმა უნდა, მე ხელს ვერ შევუწყობ საძარცვინო განზრახვის განხორციელებაში.

— რა გამჭრიახად გამოიცან ცბიერი ლევანის ბოროტი სურვილი! — აღტაცებით წამოიძახა ვახტანგმა. — მაშასადამე, საჭიროა მის წინააღმდეგ უფრო ძლიერი მაშველი ჯარი.

— გაცილებით უფრო ძლიერი, — დაუდასტურა ძმამ მირვანმა. — საჭიროა ქსნის ერისთავებს გადავცეთ შენი აზრი და დავდოთ ორი საერისთაოს სამხედრო კავშირი — ქართლის საყრდენი.

— გირჩევთ, მეგობრებო, ლიპარიტსაც შეუთანხმდეთ. ის ჭკუიანი მოხუცია და მიხვდება, რომ შესაძლებელია ჩემთვის საზიანოდაც, სწორედ ამიტომ არ ვისარგებლე თქვენი სამხედრო ძალით, რათა ქართლისათვის არ წამერთმია საყრდენი და დამეცვა იგი არა მარტო ტურა ზურაბისაგან, არა მარტო თეიმურაზისაგან, რომელიც ისწრაფვის გააკახუროს ქართლი, არამედ აგრეთვე საშინელი საფრთხისაგან: ლევანის ჭანგებისაგან. როცა შეიტყობს, რომ სამუხრანოს, ქსნის ერისთავების, ლიპარიტისა და შადიმანის ჯარები ციხე-დარბაზებში არიან, ლევანი ვერ გაბედავს შემოიჭრას ქართლში, თუ მე არ მოვიწვევ. ახლა, მეგობრებო, გაიგეთ, რომ ქართლს, როგორც განათლებული სახელმწიფოს ბურჯს, ბასრი ხმლები უნდა შეაბათ. თქვენ კი — სულითა და ჯარით ძლიერი რაინდობა — მოვალენი ხართ სამშობლო დაიცვათ არა მარტო მუსლიმებისაგან, არამედ ერთმორწმუნე მტრებისაგანაც.

— იცოდე, კეთილშობილო მოურავო, როცა შენი ერთგული მეგობრების დახმარებაზე უარს ამბობ, საკუთარი თავის საზიანოდ მოქმედებ.

— სამაგიეროდ სამშობლოს სასარგებლოდ, ძვირფასო ქაიხოსრო. ბედნიერებაა, რომ ლევანის მოულოდნელი საფრთხე უფრო ადრე გამომეღავნდა, ვიდრე ბრძოლას დავიწყებდი უმადური თეიმურაზისა და საზიზღარი ზურაბის წინააღმდეგ. მაგრამ გაიხსენეთ ჩემი სიტყვები: ისინი ვერ იმეფებენ ქართლ-კახეთში... და იქ დაიღუპებიან, სადაც სამარე გაუთხარეს სამშობლოს ნამდვილ შვილს.

— მაინც. სანამ ჯარი მათს ხელშია, შეიძლება ვაცნობოთ ჯიუტ კახელს ლევანის ხრიკები? — ჩაფიქრებით წარმოთქვა მირვანმა. — შეიძლება საფრთხემ აიძულოს თვითმოყვარეები გვთხოვონ დახმარება შენ და ჩვენ?

— ცუდად იცნობ ზურაბს: ის, როგორც ლევანი, პირველ ადგილზე აყენებს პატივმოყვარეობას, და ტურა არასოდეს არ

იტყვის იმაზე უარს, სამეფოსთვისაც კი. ხოლო თეიმურაზს, რომელიც დაათრო ისმაილ-ხანზე გამარჯვებამ, მთლად დააავიწყდა, რომ ეს გამარჯვება მოიპოვა მხოლოდ თუშების ხმლებით, — რომლებიც, აქვე უნდა ითქვას, დროზე გააშიშვლეს ჩემი რჩევით. თქვენს კეთილშობილურ გაფრთხილებას სისუსტედ მიიჩნევენ და არ დააყოვნებენ თავს დაესხნენ სამუხრანოს. და მე უკვე ვთქვი: რადგან არ ვისარგებლებ სამეგრელოს დახმარებით, ლევანი დაუფიქრებლად თავს აღარ დაესხმის ქართლს.

— გურიელი? მასაც საკმაო ჯარი ჰყავს, ლევანი ტყუილად როდი ესხმის აგრე იშვიათად თავს.

— სამწუხაროდ, გურიელზედაც უარი უნდა ვთქვა, რადგან, როცა ლევანი შეიტყობს, ჩემს ნაცვლად გურიელი მიიწვიესო, ამას საბაბად გამოიყენებს, იწყენს და ქართლში დაუპატიჟებლად შემოვა. ახლა კი ეს სრულიადაც არ არის საჭირო.

— მერე როგორ ფიქრობ დააკავო იგი, რომ არ გამოიყენოს მეტად მაცთუნებელი შესაძლებლობა?

— მასთან ჩემი საჩუქრებით გაემგზავრნენ დაუთბეგი, როსტომი და დიმიტრი. „ვეფხვები“ მხურვალე მადლობას გადაუხდიან სამეგრელოს მთავარს ჩემთვის დახმარების გაწევის სურვილის გამო, სთხოვენ იყოს მზად და როცა ჟამი დადგება, მე მაცნეს გავგზავნი. ამასვე ეტყვიან ისინი გურიელს. აი ასე, მეგობრებო, თუ გავიმარჯვეთ, ბატონიშვილი ალექსანდრე გამეფდება ქართლ-კახეთში. და ლევანი ვერ გაბედავს დაუპატიჟებლად მობრძანდეს: იცის, რომ არ შემოვუშვებთ... ხოლო ჩემი მეგობარი იმერელი, გურული და აფხაზი თავადების ხელშეწყობით შეეძლებთ საკუთარ სკამზე დავსვათ ურჩი, და ისიც არავინ იცის, რამდენი ხნით. ხოლო თუ თეიმურაზმა გაიმარჯვა, უგანათლებულეს ლევანს არ შემოუშვებენ მუხრანბატონები, ქსნის ერისთავები და...

— მოურავო, საშინელებას ბრძანებ! შენ უძლეველი ხარ! — და შენ უნდა გაიმარჯვო! განა შაჰ აბასს ნაკლები ათასები ჰყავდა, ვიდრე ლევანს? მერე როგორ მოკურცხლეს საბრალო ნაშთებმა მარტყოფის ველიდან!

— ეჰ, ძვირფასო ქაიხოსრო, უმჯობესი იქნებოდა შევბრძოლებოდი სამ ტურას, ვიდრე საკუთარ ხალხს. რა თქვა უნდა, ცუდი როდია რამდენიმე თავადი დავამოკლო ერთი თავით, მაგრამ მათ ხომ ხალხი ემხრობა! დაფიქრდით, ჩემო თავადებო, რა ბოუვა სამეფოს, თუ ხალხი მოისპო? თუმცა იმედი მაქვს, ხალხი მომემხრობა და თავადები იძულებული გახდებიან თავი შეაფარონ თავიანთ ციხე-დარბაზებს.

სწრაფად შემოვიდა მსახური და აღელვებულმა გამოაცხადა, თბილისიდან მოურავთან შიკრიკი მოვიდაო.

— შიკრიკი? — გაიკვირვა სააკაძემ.

და მთლად განცვიფრდა, როცა შემოსული ვარდან ბრძენი დაინახა. დასვენებასა და ჭამაზე ბრძენმა უარი თქვა, რადგან ცხენის ჯიუტობამ აიძულა შესულიყო დუქანში და თვითონაც ეჭამა, დაესვენა და კიდევაც გამოეძინა.

ვარდანმა დაჯდომაზედაც უარი თქვა და უფრო დაბლა დაუკრა თავი ქაიხოსროს. და მხოლოდ მაშინ ყოფილი მმართველი ღიმილით გავიდა გარეთ. ვარდანი დინჯად დაჯდა ტახტზე და ფიქრობდა, რა ამბავი ამოვათრიო ხსოვნის ნაკრაულიდან პირველადო.

— ჯერ კათალიკოსზე ვილაპარაკებ. ბედი მეწია, მოურავო: სურფ-ნიშნის ეკლესიის მღვდელიც იყო გაწვეული არქიელთან. თბილისის ბევრი ეკლესიის მღვდლები შეიკრიბნენ. მოვიდნენ გორიდანაც, მეტეხიდანაც, დუშეთიდანაც ჩამოვიდნენ, ყველა სოფლიდან იჩქაროდნენ. თვალები ამიკრელდა. შავ ცხვრებივით დარბოდნენ ბერები. მღვდლები, პირიქით, ზოგი ლურჯი, ზოგიც იისფერი, ზოგი კიდევ მიხაკისფერი ანაფორით იყო გამოწყობილი. ჩემმა მღვდელმა გაიფიქრა: „იქნებ დღესასწაულია? იქნებ კათალიკოსი უარს ამბობს წმინდა ტახტზე? არც იმას ჰგავს, თითქოს მეფე თეიმურაზს სურდეს სამღვდელოების დაჯილდოება... მაშინ რაღაა?“ მალე ყველაფერი შეიტყეს. გამოვიდა კახეთის ეპისკოპოსი ხარიტონი, წვერზე ხელი ჩამოისვა, აბრეშუმის ანაფორაზე ჯვარი გაისწორა და ასე დაიწყო: „მისმინეთ, ქრისტეს მიერო ძმებო, და მწუხარებითა და ნაღვლით ნუმც ავსებულა თქვენი გული. უფალი ღმერთი ჩვენი ცოდვებისათვის ახალ განსაცდელს

გვიმზადებს...“ შემდეგ, მოურავო, შენი ნებართვით, უბრალოდ ვილაპარაკებ, ეკლესიურად რაღაც უფრო გრძელი გამოდის. თურმე ზურაბ ერისთავმა სახარებაზე დაიფიცა, რომ შენ, მოურავო, გადაწყვიტე „ღვთის სწორი“ გახდე. მოურავო, პირდაპირ გეტყვი: ამინ! მხოლოდ ვიცი, ტყუილ-უბრალოდ იფიცებდა თავადი. კათალიკოსს თუმცა არ დაუჯერებია, მაგრამ იფიქრა ესარგებლა შემთხვევით. ეს ჩემს მღვდელს სიძემ წასჩურჩულა, კათალიკოსთან მსახურობს... კიდევ ასეთი რამ წასჩურჩულა: მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები შენი აღზევების წინააღმდეგი არ არიან, რადგან შეეშინდათ, რომ კახეთის ეკლესია თეიმურაზისაგან პირველობას მიიღებს, — მაგრამ უფრთხიან იმას, რომ შენ მათი ვერაგობა არ გაიხსენო და არ დაიწყო საეკლესიო მიწების ჩამორთმევა. აქ ზურაბმა არ დააყოვნა დაბალი ფიცი მეფისაგან კათალიკოსისათვის მიეცა. მაშინ დათანხმდნენ შენს დაღუპვაზე. მოურავო, წინათ არასოდეს არ დავიჯერებდი, რომ ეკლესია წმიდა მამებმა საკაპრო დუქნად გადააქციეს! ყველა მღვდელს უბრძანეს ეკლესიებში ყოველი პარაკლისის შემდეგ ხალხს გამოუცხადონ, განსაკუთრებით კვირაობით, რომ სააკაძე ემზადება თურქები მოიყვანოს, როგორც სპარსელები მოიყვანა! სამეფოს დაქცევა მოელის, ხალხს კი — დაღუპვა! ქარივით აქშოტინდა საზიზღარი ხმა, რომელიც ეკლესიამ გაავრცელა. ახლა მთელ ქართლში გაჰკივიან: სააკაძემ ახალციხის საფარ-ფაშას თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ დახმარებისათვის აღუთქვა თელავსა და თბილისს შუა 120 მინარეთი ააგოს. ქართლელები ისეთმა შიშმა და აღშფოთებამ მოიცვა, რომ მშვიდად ლაპარაკი არავისთან არ შეიძლება. გაბიაბრუებული ხალხი იქით-აქეთ ეხლება. არ იცის, ვის ან რას ერწმუნოს. სახლებში კანდლები არ ქრება. ვიღაც მასხარა იფიცებოდა, რომ ვიღაცას მწვანე თვალები ბრიალებდა კერაში, ხოლო მღვრიე მთვარე გაფითრებულ ცას მოსწყდა, მიწაზე დაბლა გაიქროლა და საფლავებზე ჯვრები წააქციაო. გერგეთის მთაზე კი გაცოცხლდა გაქვავებული ურჩხული და ღამ-ღამობით იმუქრება გაყინული ზვავით წალეკოს იმათი ვენახები, ვინც მეფე თეიმურაზს არ დაემორჩილება. შესაძლებელია ხალხი დამშვიდებულიყო, ვენახები რომ

დაუზიანებელი ნახა, მაგრამ სამი დღის წინათ, დილით თბილისში ცხენები მოაქენეს მზვერავებმა და მაიდანზე ასეთი ყვირილი ატეხეს: „ხალხო! ხალხო! იმერეთის ჯარები ქართლში შემოვიდნენ! ჩანს, მართალს ამბობენ: მოურავმა აღუთქვა მთელი ქართლი მისცეს იმერეთს! და ბატონიშვილი ალექსანდრე უკვე მზად არის ტახტზე აბრძანდეს!“ ჰოდა, ისეთი ამბავი შეიქნა, რომ თვით სატანა დაყრუვდებოდა, მაშინ რომ თბილისს მოახლოებოდა. ეკლესიამ კი, თითქოს თავზე კუპრიანი ქვაბი დაეცაო, ყველა სამრეკლოში რეკვა ატეხა და, როცა ხალხმა, როგორც ხანძარზე, მიირბინა, ასეთი რამ გაიგონა: „ნურც შესრულებულა საქმე, რომელიც ეკლესიას არ ნებავს! ნურც გამეფებულა ქართლისათვის უცხო ალექსანდრე იმერელი, იმ ქვეყანაშიც შვილი მამას და ძმა ძმას ჰყიდის თურქების მონობაში!“ და როცა ხალხის დაშინება შეიტყეს, მღვდლებმა ეკლესიების ამბიონებიდან დაიწყეს უფრო ხმამაღალი ყვირილი: „ქრისტეს მიერო ძმებო! იხსენით წმიდა ეკლესია! იხსენით ქართლი!..“ მაშინ ხალხი უფრო ძლიერ აღელდა, ხოლო შენი მოლაშქრენი, მოურავო, უკვე ხმამაღლა ამბობენ: „ჩვენ მოურავი გვიყვარს. ყოველთვის გამოვდიოდით მის ძახილზეო. მაგრამ რატომ მეფის წინააღმდეგ უსისინებსო? — უცხო მეფე, იმერელი, არ გვინდა! მაიდანზე დარბოდნენ და ღელავდნენ თბილისელები. დაე სპარსთა წინააღმდეგ წაგვიძღვეს მოურავი! ქართველთა წინააღმდეგ არ წავალთ!“ აქ გიჟმა ქალებმა მოთქმა დაიწყეს: „ვაიმე! ვაიმე! ხალხო! ხალხო! იმერლები ყველა ქართლელს მონებად გაჰყიდიან!“ ხოლო უფრო დამშვიდებულნი ასე უპასუხებდნენ: „ტყუილუბრალოდ ფიქრობთ აგრე, უკვე ბევრი ტყეში გაიქცა, ბავშვები გახიზნა!“ მაგრამ გიჟები თავისას არ იშლიდნენ: „ხალხო! ხალხო! თურქები მოდიან! ყველას გამუსლიმებას დაიწყებენ, უკანასკნელ ცხვარს წაგვართმევენ!“ — „ტყუილუბრალოდ ფიქრობთ, უკვე ბევრმა თავისი პირუტყვი მთებში გაირეკა!“ მაშინ ვიღაც მოხუცი გამოვიდა და სრულიად მშვიდად თქვა: „მუსლიმთა წინააღმდეგ ყველამ სატევარი გალესა, შუბებიც მზად აქვთ“. „ხალხო! ხალხო! — დაიყვირა ვიღაც მოლაშქრემ. — „ვეფხვები“ იფიცავენ: მტრებმა ცილი დასწამეს მოურავს. საფარ-

ფაშა ხელს არაფერს ახლებს". — „ხოლო ქალებს რა — ისე შეხედავს, როგორც მამალი ზღარბს?" — ეჰვი შეუვიდა სქელ მედუქნეს. „ტყუილუბრალოდ ფიქრობენ! — წამოიძახა ხმელ-ხმელმა დედაბერმა. — უკვე ბევრს არა სჯერა, შაჰ აბასისა-თვისაც აგრე თავდებობდხენ!" და ერთბაშად მთელ მაიდანში ვიღაცამ დაიყვირა: „ხალხო! ხალხო! იჩქარეთ! უკვე ბევრი წა-ვიდა მეფე თეიმურაზთან თურქების წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად!" უფრო უარესიც მოხდა, მოურავო, ამქრებსა და ვაჭ-რებში. მართალია, ბევრი გემხრობა, მაგრამ ბევრმა არ იცის რა იფიქროს. ხოლო გზის ვაჭარმა მეფის საჩუქრის შემდეგ — აქვე ითქვას ჩვენი ქისით — სრულიად დაივიწყა რომ იგი მხოლოდ მეადღეა და თავი თეიმურაზის კარისკაცად წარმო-იდგინა. ჩემს სახლში შეიკრიბნენ. დალია ერთი, დალია მეორე თასი, გაიბერა ტიკივით და თავისი მჭევრმეტყველება გაახსენ-და: „გაუგებარი გახდა ერთბაშად ქართლელებისათვის გიორგი სააკაძე — თავისი მეფის წინააღმდეგ გამოდის! განა თვითონ არ მოიყვანა კახელი თეიმურაზი ზეიმით ქართლის ტახტთან? განა თვითონ არ ასხამდა ქება-დიდებას ორივე სამეფოს გაერ-თიანებას? ჰოდა, ახლა რატომ პირველი არ ემორჩილება ღვთის მიერ მირონცხებულს?" მეორე დღეს კი თითქმის წაი-ჩხუბა ორი მოციქული: ერთი შენი, მეორე — მეფისა. თბილი-სელები შეცბუნებული უსმენდნენ შულტას. „გვირგვინოსანიც და მოურავიც ერთნაირად გვპირდებიან სამეფოს განმტკიცე-ბას, ქალაქების გაფართოებას, ვაჭრობის გაჩაღებას. მაშინ რა არის მათი მტრობის მიზეზი?!" — გაიძახის მაიდანი. „ის, რომ გიორგი სააკაძეს სურს მეფეზე მაღლა დადგეს!" — უჩურჩუ-ლებდნენ თეიმურაზის შულტები.

„ახლა გასაგებია, — გაიფიქრა სააკაძემ, — თუ ჩემს ძა-ხილზე, როგორც ყოველთვის, მოლაშქრეები არ მოვიდნენ. მხოლოდ აზნაურთა კავშირის ერთგულმა ურბნელებმა და სააკაძის მომხრე ნიჩბისელებმა პირველი დაძახებისთანავე ალთქვეს დადგნენ „ვეფხვის" დროშის ქვეშ".

დუმდნენ ვახტანგი და მირვანი, რომლებიც ამ ნაამბობმა დაამწუხრა.

— შენ კი, ვარდან, როგორ გამოხვედი თბილისიდან? —

ჰკითხა სააკაძემ, რომელიც ცალი ხელით მუხლს დაეყრდნო, ცალით კი ულვაშს იგრეხდა.

— როგორ თუ გამოვედი მოურავო! თბილისის ყველა კარი ღიაა. მეფე ძალას აჩვენებს: ვისაც სურს — მობრძანდეს, ვისაც სურს — წაბრძანდეს. მხოლოდ ყველა გალავანზე თაეადმა ზურაბმა თავისი რაზმელები დააყენა, — რა თქმა უნდა, ერთბაშად ბევრ მეომარს არ გაუშვებს, კართანაც მსტოვრები დგანან. მე აშკარად გამოვედი — გურიაში ჩაბალახებისათვის. მართალია, სამი აქლემი გურგენმა უფრო ადრე წაიყვანა. როცა დაბრუნდება, დუქანში შეეხვდებით, დათქმული გვაქვს, თუ რომელ დუქანში. ეჰ, მოურავო, მოურავო! რატომ უთხარი უარი მთიელებს? ახლა არც ერთი მათგანი მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ არ წავა: ეს არის მისი დროშით სპარსელებზე გამარჯვება მოიპოვეს, გარდა ამისა, ვაჭრები და ამქრები ლექსით მოხიბლა. მეც ვცადე მომეხიბლა ვაჭრები, მაგრამ „საქონელ-ბეღლის", იქით ვერ წავედი. საიდან ახერხებს მეფე თეიმურაზი, რომ მისი გამგონე ბულბულები ყუჩდებიან? ამბობენ, ყელში მეზურნეები გაეხირაო: როგორც კი დუდუკს ჩაბერავს, მაშინვე წკრიალა სიტყვები გამოდისო.

სააკაძე სიამოვნებით უსმენდა ვაჭარს.

— მართალია, ვარდან, მეშაირემ ჯუჯებიც აიძულა იმუშაონ მისთვის. რიგი გოლიათებზეა!

— მაპატიე, მოურავო, ლაყბობა, ახლა ზურნისა კი არა, საქმის დროა. მოურავო... — ვარდანმა ფრთხილად ჩაახველა, — მარტო იმერეთს ეძახი დასახმარებლად? იქნებ, გურიელსაც დაუძახო?

გიორგიმ დაკვირებით შეხედა ვაჭარს და მიხვდა, თუ რისთვის ეწეოდა რისკს ვარდან ბრძენი: მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩავიდეს თბილისში და მაიდანს აცნობოს — მოურავს ცილი დასწამესო: არავითარ ბატონიშვილზე მოურავი არ ფიქრობს, მხოლოდ ზურაბის წინააღმდეგ ილაშქრებს და ეს სასიხარულო უნდა იყოსო.

— მიხვდი, ჩემო ვარდან, გურიელი მოვიწვიე და ლევან დადიანიც არ დამვიწყნია. მხოლოდ დიდი ფასი მოითხოვეს, ვვაჭრობთ. შეიძლება შევთანხმდეთ. აგრეთვე გადაეცი იმათ,

ვინც მე მიჯერის, რომ არც ახლობელ და არც შორეულ თურ-ქებს არ ვეპატიჟები ქართლში, თუმცა სულთანი დახმარებას მთავაზობს... იმათ კი, ვისაც ვეიჭვები, ნურაფერს ეტყვი. შემ-დეგ, როცა მათ თავადი ზურაბი კისერს მოუგრეხს, ბევრ რა-მეს ინანებენ.

— მოურავო... ღმერთსაც ნუ ენებოს ზურაბ ერისთავის დრო. სუდარისათვის თეთრი მიტკლის გარდა, ვერაფრით ვერ ვივაჭრებთ. ვის შეუძლია მაიდანი ოქროთი დახუროს? ვის, თუ არა შენ, შეუძლია ქართლს ფარჩა ჩააცვას? აბა შენსავით ვის ესმის, თუ რა არის ქარავანი უცხო ქვეყნიდან?! ეჰ-ჰე... მოურავო, ვფიქრობდი შენთან ერთად ვერცხლის ალაბით მე-ზომა დიდი მოურავის დრო!

— ნუ წუხარ, ჩემო ვარდან, ჯერ კიდევ ყველაფერი რო-დი დაღუპულა. გპირდები, თუ ბედმა სულ არ იბრუნა პირი ჩემი მახვილისაგან, თბილისის მაიდანის გზა ბაღდადის კარა-მდე განვაგრძო. ხოლო ვარდან ბრძენის დუქანში სამ დაზგა-ზე დაუწყებენ საქონელს ზომვას: ერთზე ხავერდსა და ფარ-ჩას, მეორეზე აბრეშუმსა და გამქვირვალე ნაქარგ ქსოვილს, მესამეზე კი სხვადასხვა საქონელს უბრალო ხალხისათვის. დუქანს ქვისა და მარმარილოსაგან თვითონ აგიშენებ, რად-გან, სხვა ისე არ წუხს სულით ვაჭრობის საქმის დაღუპვისა-თვის. და ვერავინ, ისე როგორც შენ, ვერ შეძლებს ამ საქმე-ში ჩემი მრჩეველი იყოს.

სახეგაბრწყინებული, იმედით აღსავსე გამოვიდა ვარდანი სამუხრანოს ციხე-დარბაზიდან. მან ვერც კი შენიშნა, რომ ვერ მიიღო პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც მაიდანს აწუხებდა — იმერეთის ბატონიშვილზე, რომლითაც ეკლესიამ ესოდენ დაა-შინა ყველა. მაგრამ განა მოურავი შეიწყნარებს ხალხის მონად გაყიდვას? განა ხალხისათვის არ ზრუნავს „ვეფხვების“ მთელი რაზმი? ჰოდა, იმერლებს ვინ მისცემს ნებას იპარპაშონ სხვის ქვეყანაში? და განა ზურაბის წინააღმდეგ არ აღმართა ხმალი მოურავმა, მთელი ქართლის მიერ საყვარელმა?

მაიდნის მამასახლისი ისწრაფვოდა გაეხარებინა ვაჭრები და ამქრები, მაგრამ დააიწყდა, რომ ისინი როდი შეადგენენ ჯარს, დააიწყდა, რომ ის მოიგებს, ვის მხარეზეც ეკლესიაა. ხოლო ქართლის ეკლესიამ უზრუნველყო თავისი მეთაურობა და მეფე თეიმურაზის მხარეზე იყო.

განთიადის ნისლში თითქოს ბოლავდა მუხრან ბატონის ციხე-დარბაზი. დაიკრიალა რკინის საკეტმა. ვიღაცას მარდმა ხელმა წყნარად გააღო ჭიშკარი, გაუშვა ცხენოსანთა ჯგუფი, რომელიც მაშინვე ჭენებით გაემართა. გზა ციცაბო ფერდობზე მიდიოდა, ხან გამოჩნდებოდა გაფანტულ ნისლში, ხან დაიკარგებოდა.

მიდიოდნენ ჩუმად, ფხიზლად გასცქეროდნენ ვარდისფრად გაშუქებულ ტყიან სივრცეს. ცხენებს თექა ჰქონდათ ფლოქვებზე შემოხვეული და რბილად მიაბიჯებდნენ დანამულ ბილიკზე. ცხენოსნები ფრთხილად იქნევდნენ მათრახს და ცდილობდნენ იარაღი არ აეჩხარუნებინათ.

მზის ამოსვლას ისინი აქაფებული მდინარის გაღმა შეხვდნენ. საშიში გზა გავლილი იყო და უკან შორს დარჩა სამუხრანოს საერისთავო და მტრულად განწყობილ თავადთა მამულები. კვლავ დაიწყო ციცაბო აღმართი, მერე დაღმართი ქვიან ხეობაში და ისევ აღმართი. უსწორ-მასწორო ბილიკის გასაყარზე საკაძემ ცხენი შეაჩერა.

— დათო, ყოველი საშუალებით ეცადე შეთანხმდე. ხედავ, მხოლოდ იმერეთის ჯარის იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ უხვია დაპირებაზე მეფე თეიმურაზი და ვიცით, თუ რაოდენ უხვია ეკლესია ზარის რეკვაზე. ჩვენი ვალია ქართლელებს დავპირდეთ სამშობლოს აყვავებას. მაგრამ რა ბრის დაპირება, თუ გამარჯვება არ იქნა!

— ასეთი რამ, გიორგი, ყველას როდი აღელვებს. მოვიპოვებ იმერეთის მეფის მხარდაჭერას! ვფიქრობ, ბატონიშვილი ალექსანდრე თანაგვიგრძნობს, რაკი შეყვარებულია დარეჯანზე. ვარდანს სიტყვები არ დაუზოგავს თბილისის ასაწერად. დაყოვნება საშიშია, დახმარებას ვერც თურქებისა და ვერც მეგობრულად განწყობილ თავადთავან ვერ მივიღებთ, იმედი არავისი არ არის.

— ცდები, ძვირფასო დათო, არ შეუძლია იმ ხალხს, რომელიც აღტაცებული ვაშას ძახილით მხვდება, ჩემს წინააღ-

მდეგ გაიშიშვლოს სატევარი. რა თქმა უნდა, არა ყველამ, მაგრამ...

მზემ თანდათანობით აიწია სულ მაღლა და ზენიტს მიაღწია. ციცაბო დაღმართზე „ვეფხვები" ჩამოხდნენ და მაგრად გადაეხვივნენ ერთმანეთს. დათომ, გივიმ და სამმა რაზმელმა ხევში შეუხვიეს. ჩაფიქრებული თვალი გააყოლა საკაძემ მეგობრებს, შემდეგ ჯამბაზი მოაბრუნა და პირდაპირი ხაზით ავიდა მთის ქოჩორზე. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა ერასტი. და ასე, ხან აღმა, ხან დაღმა, სრული დუმილით, ნელა მიაბიჯებდნენ ცხენები ავდრიანი დღის შესახვედრად.

ერასტი თვლემისაგან გამოერკვა, — მიხვდა, საით წაიყვანა ჯამბაზი გიორგი საკაძემ...

წმიდა ნინოს მონასტერი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელიც საათობით იყო გათვლილი. აქ ახლაც ვერ აღწევდა ქალაქებისა და სოფლების მღელვარება. აქ, როგორც ძველად, არავინ უკაკუნებდა ჭიშკარს, არც მხედარი, და არც მსტოვარი. ერთობ შორს, ერთობ მაღლა იყო წმიდა ნინოს მონასტერი. მაგრამ აქ ხშირად მოდიოდნენ ისინი, ვისაც წყუროდა სიმშვიდე და რჩევა, მათგან ტყობილობდა წინამძღვარი ნინო თითქოს ზურაბ ერისთავთან გიორგი საკაძის გააფთრებული ბრძოლის ამბავს, ნამდვილად კი მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ, რომელიც ფრთხილად იცავდა მოურავისაგან თავის ძალაუფლებას. „ასე განგრძობა არ შეიძლება, აგერ, სადაცაა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმიან ერთმანეთს".

მრავალი წელია მას შემდეგ, რაც ნინო ყოველ დღე, განსაზღვრულ ჟამს, დაიხრებოდა ხოლმე გრაგნილებზე. მარცხნივ ეწყო სუფთა, მარჯვნივ კი მისი ლამაზი და გარკვეული ხელით დაწერილი გრაგნილები... „გიორგი საკაძის, დიდი მოურავის ცხოვრების აღწერა, რომელიც განდეგილმა მაკრინემ შეადგინა", — ასე იყო აღნიშნული ზემოთ პირველ გრაგნილზე.

რატომ შეცვალა ნინომ მატიანეზე თავისი სახელი? ვერავინ ვერ უნდა ჩასწვდეს მისი გულის საიდუმლოს. დაე ის, ვინც მას იცნობს, ნუ დაეჭვდება, ხოლო ვინც ვერ იცნობს,

ვერ მიხვდება, რატომ ჰგავს წითელი მელანი ადუღებულ სისხლს, გრაგნილზე რატომ ეწყობა ცეცხლით გავარვარებული სიტყვები, მწუხარებით დანისლული, ვედრებით მიყრუებული და იმედით გაცისკროვნებული. ასე იგრიხებოდა გიორგი საააკაძის ცხოვრების ბრწყინვალე ძაფი. „...დაე შთამომავლობამ შეიტყოს ჩაუქრობელის ამბავი მისი სიკვდილის შემდეგაც კი. და დაე დაგმოს ან აღფრთოვანდეს, მაგრამ დამშვიდებული გიორგი საააკაძისადმი ვერავინ ვერ გაბედავს დარჩეს!“

ასე წერდა ოქროს ნინო.

უეცრად ყური მიუგდო, გარეთ გაისმა ცხენის ფეხის ხმა, რამაც ფიქრებს მოაშორა იგი. ასე გაისმის მხოლოდ გიორგის ცხენის ფეხის ხმა. ო, როგორ ჩაებეჭდა სამუდამოდ ხსოვნაში ბავშვობიდანვე ნაცნობი შავი ბედაური, რომელიც ამაყურად ხრის კისერს, რომელიც გიორგი საააკაძემ მიაჩვია მზესა და ქარიშხლებს, რომელიც გახედნილია მისი მძლავრი ხელით.

მაგრამ მან, ვისაც ეკუთვნოდა გულით გამთბარი ფიქრები, წინამძღვარ ნინოს ცივ სახეზე ვერ დაინახა ვერც შეშფოთება და ვერც სიხარული.

თითქოს მარმარილოს ქანდაკიაო, გაქვავდა თავისი სილამაზით ოქროს ნინო. „ნუთუ ორი მიყვარს?“ — კვლავ გაუკვირდა გიორგის. — ოქროს ნინო! ისეთივე ლურჯი ტბები ნათელ თვალებში, ისეთივე თავაზიანი ღიმილი ახალგაზრდა, ვარდისფერ, ხელუხლებელ ტუჩებზე, ისეთივე...“ საააკაძემ უნებურად დაიხია უკან: შავი კუნკულიდან ვერცხლისფერი, ოდესმე ოქროსფერი კულული გაკრთა. გიორგიმ შეცბუნება დამალა, დაბლა დაიხარა და ემთხვია შავი მანდილის ბოლოს. შემთხვევით თვალი გრაგნილებს მოხვდა- წუთით გრძელდებოდა დუმილი, იგი უსასრულო ჩანდა.

„...და მაშინ, გიორგი საააკაძემ, რომელსაც რკინის მარჯვენაში ეკავა სურამისა და მარტყოფის მახვილი, წარმოთქვა: „ამიერიდან უკუნისამდე არ იყოს ქართველი ხალხი მუსლიმების მონობაში...“

— შენ მართალი ხარ... — სურდა ეთქვა საააკაძეს: „ოქროს ნინო“, მაგრამ თავი შეიკავა, — მუდამ ახალგაზრდა ნი-

ნო: არ იქნება ქართველი ხალხი მტრის მონა, უფრო უარესისა, ვიდრე მუსლიმები არიან. ომს ვუცხადებ, ნინო, ზურაბ ერისთავს.

— დიდი ხანია დროა, გიორგი, არაერთი და ორი ცრემლი დაუღვრიათ იმ შვილების დედებს, რომლებიც არაგვის ერისთავს საზიზღარმა ხელმა მოსპო. მაგრამ, „ვეფხვების" გარდა, შენთან ახლა ვინ არის?

— არავინ.

— ხალხი?

— მეეჭვება.

მონასტრის თავზე მიცურავდნენ ღრუბლები და მათი ლანდები ნელა მისრიალებდნენ მთის კალთებზე. შემდეგ კაშკაშა სხივმა ისარივით გააპო რუხი სივრცე და შემოვიდა ვიწრო ფანჯარაში, ოქროს ვარაყით შეღება გრაგნილები, წუთით გააცოცხლა ნახევრად გაცრეცილი ხატი და კუთხეში გაქრა, თითქოს საძრომი იპოვაო. და სენაკში კვლავ დაისადგურა ზეიმოვანმა სიმკაცრემ, რომლის დარღვევას ვერ ბედავდა ვერც ერთი, ერთმანეთის პირდაპირ რომ ისხდნენ უძრავად. მაგრამ აი სააკაძემ თავი გაიქნია და ამით დაარღვია მძიმე სიჩუმე:

— მეეჭვება, მაგრამ იმედი მაქვს! როგორ შეუძლია ხალხს ტირანი ამჯობინოს თავის მეგობარს? განა ხალხს მრავალი წლის განმავლობაში ჩემთან არ მოჰქონდა საჩივარი მჩაგვრელთა წინააღმდეგ? განა მე არ მწყუროდა ხალხისათვის მიმენიჭებინა უკეთესი ცხოვრება?

— ხალხს ყველაფერი ესმის. მაგრამ შენ ყველაზე უკეთ იცი, რომ არათავისუფალი ადამიანი მოკლებულია უფლებას ამაღლებულად იფიქროს. თავადებს მაგრად უჭირავთ მტაცებლურ ხელში ხალხის ცხოვრება.

— შენ გინდა თქვა, მშვენიერო ნინო: მაგრად უჭირავთ მტაცებლურ ხელში ხალხის სული, ეკლესიის შავ თავადებს!

ნინომ წარბი შეიკრა, წმიდა ნინოს ხატს გადაჰხედა და წყნარად წარმოთქვა:

— გიორგი... ეკლესიამ მომანიჭა სულის სიმშვიდე. საჭირო არ არის მისი მოქმედების გმობა. ვინ იცის! შესაძლებე-

ლია, ეკლესია მართალიც იყოს, რომ არ გენდობა. თუ თავადთა ძალაუფლება დაემხო, გადარჩება განა მოციქულთა ძალაუფლება? შენ ისეთი როდი ხარ, რომ შუა გზაზე შეჩერდე.

— შენ არ ცდები, ნინო!... ნინო... ჩემი ჭაბუკობის გაზაფხულის ყვავილო! შენთან სადავოდ როდი მოვსულვარ, არამედ... მორჩილად გთხოვო... ვინ იცის, როგორი იქნება ჩემი ბედი... ჰოდა... მეფედ თეიმურაზი დიდხანს ვერ იქნება. შაჰაბასი არ შეიწყნარებს. ვფიქრობ, თუ... გამარჯვებამ ჩემგან პირი იბრუნა, ქართლში ხოსრო მირზა გამეფდება. განდობ გაახსენო მაშინ მეფეს, თუ ვის უნდა უმადლოდეს იგი ბაგრატიონების გვირგვინს. დაე ჩემს ოჯახს დაუბრუნოს ნოსტე.

— გიორგი! გიორგი! — უეცრად მგზნებარედ წამოიძახა ნინომ. — არასოდეს! არასოდეს არ იქნები დამარცხებული!— და დასუსტებული ხმით დასძინა: — ღმერთი არ შეიწყნარებს.

— ღმერთი? შენ ახლოს ხარ მასთან, მის გვერდით დგახარ და ვერ შეგიმჩნევია, რომ ზეცის მბრძანებელი ადამიანთა საქმეებში არ ერევა.

— შეჩერდი, გიორგი!

— არ ერევა, თორემ ბევრ რამეს არ შეიწყნარებდა... უწინარეს ყოვლისა — რომ ურწმუნოებს წაებილწათ ტაძრები, მის სახელზე რომ აუგიათ.

— ჩვენი ცოდვებისათვის ვიტანჯებით.

— არა ცოდვებისათვის, არამედ სისულელისათვის.

— ნუ მაცთუნებ, გიორგი! ნუ... მაცთუნებ!.. ძნელად მეღირსა დამშვიდება. ყველაფერი აირია! განადგურებულია სული! ო გიორგი!... სად არის სიჭაბუკე? სად არის? ნუ მაცთუნებ, გიორგი! ნუ მაცთუნებ!.. შენი სურვილი შესრულდება, ვინც უნდა გახდეს მეფედ, მე თვითონ ვეახლები მას, მაგრამ მწუხრულ ამბებს როდი ველოდები შენგან. წარმატებაც ნუ მოჰკლებია დიდ მოურავს! იყოს მასზე დიდების ბრწყინვალება! ამინ!

ნინო წამოდგა, ტანადი, დიდებული, მშვენიერი თავისი შეშფოთებული მორჩილებით. დიახ, ამჟამს იგი არ ცდილობდა დაემალა თავისი გულის მღელვარება. რისთვის? განა

შეიძლება მოატყუო მისი შორსმჭვრეტელობა, ვისაც უყვარხარ? არა, დაე წმიდად იწვოდეს დაჭრილი სულის ჩაუქრობელი ცეცხლი, ეს ხელს არ უშლის არც ღმერთს, არც ადამიანებს, რადგან უხილავია ტანჯვის წყარო.

„ნუთუ ორი მიყვარს?“ — იტანჯებოდა საკაძე.

ისინი ერთმანეთს დუმილით უცქერდნენ თვალებში და ვერ ამჩნევდნენ ვერც შემოპარულ ბინდს, ვერც ფრინველთა საღამოს ჭიკჭიკს. ერთმანეთს უცქერდნენ იმ თვალით, რომელიც სამარადისო განშორებას მოასწავებდა.

გიორგიმ ამოიღო ქისა, რომელზეც მძივით იყო გამოსახული ორბი, ოდესღაც ნინომ რომ ამოქარგა, ამოიღო ოქროსფერი კულულის ნაწკეპი, შუა გაყო და ნახევარი დაუმთავრებელ გრაგნილზე დადო. „დაე დატკბეს წარსული სიმდიდრით“, — გაიფიქრა მან და ხმამაღლა თქვა:

— მეორე ნახევარს მთლიანად შევინახავ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, მერე კი დაგიბრუნებ.

გიორგიმ მუხლი მოიყარა, დაეკონა წინამძღვარ ნინოს გაციებულ თითებს და უკანმოუხედავად გავიდა.

ნინო გააფთრებული ეცა განის ფანჯარას და გააღო. აი ეს არის ფრთებს გაშლის და გაფრინდება მონასტრის გალავნიდან, გაჰყვება მას ნისლიან სივრცეში და სიწყნარეს გაცვლის ქარიშხალში. „არა! არა! შემიბრალე, ღმერთო! შემიბრალე! ყველაფერს, ყველაფერს შევასრულებ, რასაც მთხოვ, მხოლოდ არა სამარადისო განშორებას!“ გარეთ ქვებს ხვდებოდა და წკრიალებდა ნალი. აღსრულდა! ყველაფერმა ჩაილურის წყალი დალია! ნინომ კრუნჩხვით მოუჭირა ხელი ფანჯრის რიკულებს. ძირს, ხრამში მიაჭენებდა ცხენს გიორგი საკაძე, მიაჭენებდა ისე, თითქოს სურს ყოფილი ნათელი აჩრდილის ნასახს დაეწიოსო. და სანამ ცივ კვამლში არ დაიცარა ვერცხლისფერ-შავი წერტილი, ხარბად, ცრემლების შეუმჩნევლად, უცქერდა ნინო მიმავალ სიცოცხლეს.

გაისმა ზარის ხმა. ხევში რომ გახმაურდა.

ნინომ მხრები აიჩეჩა, თითქოს შესცივდაო, გრაგნილების წინ დაიჩოქა და თვალიერება დაუწყო, თითქოს რაღაც უცნობს, ოქროს, ოდნავ ფერნაცვალ კულულს. კუნკულიდან

გამოვარდა ვერცხლისფერი ნაწკეპი და ოქროსფერი ნაწკეპის გვერდით დაეცა. ნინომ უმწეოდ ჩაჰკიდა თავი... და დიდხანს ისმოდა ზარის რეკვა, რომელიც ამაოდ მოუწოდებდა მორჩილებისა და დავიწყებისაკენ.

ბევრი გზა და ბილიკია ქართულ სამეფოებსა და სამთავროებში. ზოგი მათგანი უსაზღვრო სიმაღლეებს გვიახლოებს და ადამიანის სულის სიდიადის იმედს გვინერგავს, ზოგი შავბნელ უფსკრულში იკარგება, რომლებიც მოგვაგონებენ, თუ რა ძნელია ბნელიდან გამოსავალის პოვნა.

დათო ქუთაისში, იმერეთის სატახტო ქალაქში ჩავიდა ბილიკით, რომელიც ზედ ვარსკვლავების ქვეშ იკლაკნება. და სიმაღლის შეგრძნობით იყო გამსჭვალული მისი საუბარი მეფე გიორგისთან.

— დაფიქრდი, მეფევ, რაოდენ სასარგებლოა შენთვის დაეხმარო მოურავს.

— მე, იმერეთის მეფეს, მრწამს გიორგი სააკაძე, მახსოვს მისი ღონისძიებანი შეარიგოს ყველა ქართული სამეფო და სამთავრო, მაგრამ იგი მეტად ბევრს მთხოვს. საშიშია იმერეთის ჯარების შესუსტება, რადგან ავაზაკმა ლევან დადიანმა, რომელსაც აღარ ეშინია დიდი მოურავისა, გაახშირა თავდასხმა ჩემს საზღვრებზე. როგორც მთიდან დაგორებული ქვა, ისე დაგორდა ყველაფერი უკან. იგი მწვერვალზე ვერ აფრინდება, თუ თავს გვირგვინი არ დაიდო.

— ასეთი მწვერვალი გამზადებულია შენი მემკვიდრისათვის. მოურავი ნოსტურ მახვილს იფიცებს, რომ როცა შენი დახმარებით თეიმურაზს დაამარცხებს, კათალიკოსს აიძულებს ქართლის ტახტზე გვირგვინი უკურთხოს ბაგრატოვანს ალექსანდრე იმერელს.

— თუ ვერ აიძულა?

— დამარცხებული უნდა დამორჩილდეს. ოქროს ჩარდახში გიორგი სააკაძის დაპირებული შესრულდება. მოურავის დახმარებით შენი მაღალი დინასტია, იმერელ ბაგრატოვანთა

დინასტია მეთაურობას გაუწევს ქართულ სამეფოებს. მისი ძალის წინაშე ქედს მოიხრიან გურიელი და დადიანი.

მეფე გიორგიმ შეშფოთებით ჩამოათვალიერა დარბაზი. არავინ არის, იგი პირისპირ ესაუბრება მოურავის გამოგზავნილს, ხოლო სიჩუმეს არღვევს თაღებიდან შემოჭრილი დაუპატიჟებელი გამოხმობა. მეფემ ამოიოხრა:

— იყოს აგრე, ბატონიშვილი წამოვა მოურავის დასახმარებლად. მაგრამ უცნობია ღვთის სავალი: რა იქნება, თუ ქართლი გაიმარჯვებს და იმერელ მეფეს არ ისურვებს?

დათომ კიდევაც წამოიწია: მძევლებს ხომ არ თხოულობს მეფეო?

— მე, რომელსაც ჭეშმარიტად მრწამს ერთარსი წმიდა სამება, ლიხთიმერეთის მეფე, ღვთის მიერ ცხებულ მეფეთა შთამომავალი ვარ და არა სულთანი ან შაჰი! — გაჯავრდა ბაგრატიონი და სკიპტრას შეეხო. — არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძლიერი და მამაცი ზურაბ ერისთავი თეიმურაზთან და თავადთა უმრავლესობასთან ერთად მოურავის წინააღმდეგია, ხოლო მათს უკან დგანან რაზმები, რომლებსაც დაუფიქრებლად ასწავლა თვითონ მოურავმა. სიფრთხილე მაგალითებმა მიკარნახეს.

— დიდო მეფევ, შენი სიტყვები ვარსკვლავთა ციალის მსგავსია! იმერეთი ოდითვე შავი ბედით დევნილთა თავშესაფარია. არაერთგზის მოუმართავს შენი მფარველობისათვის მეფე თეიმურაზს და მეფე ლუარსაბისათვისაც იჩენდი შენ მამობრივ ყურადღებას. განა აზნაურებმა არ პოვეს შენს სამეფოში თავშესაფარი და ზრუნვა შადიმანის ძალაუფლების დროს? და გლეხებსაც, რომლებიც თავს შველოდნენ გამხეცებული თავადებისაგან, არასოდეს არ გასცემდი შენ. იმერეთის ტახტის მაღალო მბრძანებელო! ბრწყინვალევ, შენ მართალი ხარ, ძნელია ბედის განჭვრეტა, — რა მოგველის პატიოსნების ველზე? მიიღე შენს მფარველ მარჯვენის ქვეშ გიორგი საакაძის ოჯახი და ჩემს ხორეშანსაც უწყალობე შენი სტუმართმოყვარეობა. ისინი შენთან დარჩებიან. სანამ ქართლის ტახტზე ბატონიშვილი ალექსანდრე გამეფდებოდეს.

— დიდი მოურავის ოჯახი მთელი ჯალაბობით, ახლობლებითა და მსახურებით და შენი ოჯახი, კეთილშობილო აზნაურო, ჩემი სტუმრები იქნებიან, სანამ მოისურვებენ, — ზეიმით და კეთილმოსურნედ წარმოთქვა გიორგი მესამემ. — ჩემი მემკვიდრე, ბატონიშვილი ალექსანდრე მოურავთან მოვა დანიშნულ ვადაზე. წმიდა სამება ფარავდეს იმერეთის ჯარს! მაგრამ... ჩემი სიტყვა ეს არის, — მეფე წამოდგა, ნიშთან მივიდა, იქ კოლოფიდან ამოიღო გასანთლული გრაგნილი, დათოსთან დაბრუნდა და წყნარად წაიკითხა:

სახელითა ღვთისათა დ უმანკო ღვთისმშობლისათა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, რომელიც ყველა ციური და მიწიური, უსხეულო და სხეულიანი წმიდისა და წმიდა სვინაქსარებში მოხსენებულის ქომაგი და იმედია, — ყველა ამ წმიდათა ძალით და მონდობილობით ეს ფიცის პირობა ჩვენ, მეფეთ მეფემ, მფლობელმა გიორგიმ და ძეთა ჩვენთა, პატრონთა ალექსანდრემ, მამუკამ და როსტომმა თქვენ მოურავს, პატრონს გიორგის გიწყალობეთ მას შინა, რომ ჩვენს ქალიშვილს ხვარამზეს წმიდა გულით ვაძლევთ თქვენს ვაჟს ავთანდილს.

დასასრულს საწინდრად ვიძლევით ღმერთსა და უფლის ყველა წმიდანს, სხეულოვანსა და უსხეულოს.

ხელს აწერს მონა ღვთისა და წმიდა ჯვრის მოსავი, იმერეთის მეფე გიორგი.

განცვიფრებულმა დათომ მკვეთრად მოიყარა მუხლი და ემთხვია მეფის ქიტონის კალთას.

— დიდებულო მეფეთ მეფეო, პატივი, რომელსაც შენ ანიჭებ დიდ მოურავს, ადიდებდეს შენს სახელს! მიიღე ეს მახვილიც და მთელი „ვეფხვთა რაზმის“ მახვილები, როგორც სამარადისო მსახურნი, რომლებიც ვალდებულებას კისრულობენ განადიდონ სამეფო შენი, განავრცონ სამფლობელონი შენი! და დაე იმერეთის სახელგანთქმული მეფის გიორგი მესამის ფერხთა წინაშე დაეცნენ სამეგრელოს ქალაქებისა და ციხეების კლიტეები! დაე თავისი გარუჯული თავი დახაროს შენი ტახტის კვარცხლბეკთან შენმა მოსისხლე მტერმა ლევან დადიანმა!

გიორგი მესამე მსუბუქად შეცბა იმით, რომ დათო მიხვდა მის მეფურ განზრახვას, შფარველურად დაადო ხელი მხარზე და საღამოს ლხინზე მიიწვია.

შემოდგომის ქარები მთებიდან ერეკებოდნენ მოღუშულ ღრუბლებს. ძირს დაიხარა თელისა და ძელქვის დამჭკნარი ტოტები. ფრინველებიც კი მიყუჩდნენ. გაინაბნენ ტყეთა მცხოვრებნი, მხოლოდ მურა დათვი ნაღვლიანად ბურდღუნებდა ულრანში და ტორით ქექავდა ჭიანჭველების ბუდეებს.

დათო იჩქაროდა: ბენარის ციხე-დარბაზში ახლა აზნაურთა ყრილობაა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ახალციხეს, გზების მოსახვევებსა და ხშირ ბუჩქნარებში მით უფრო ხშირად ამჩნევდნენ საფრებს. მაგრამ ისინი მხოლოდ გულს ახარებდნენ, რადგან საფრები მოაწყო როსტომმა.

— იცი, დათო, — თქვა გივიმ და ჩამოათვალიერა მაღლობები, რომლებსაც საგუშაგო კოშკები აგვირგვინებდნენ,— სამწუხაროა მაინც, რომ აქ არჩილი არ არის. რატომ ასე ხალისით გაუშვა გიორგიმ? განა „თვალმარჯვე“ ახლა მხოლოდ იშვიათად არის საჭირო?

დათო სერიოზულად უგდებდა ყურს მიამიტი „ვეფხვის“ სიტყვებს. და ერთბაშად გაუელვა ფიქრმა: „რატომ ხალისით უშვებს ხოლმე გიორგი ყველა თავის მახლობელს?“ უნდა ითქვას, რომ დათომ პირველად როდი მოიშორა ხუმრობით აბეზარი კითხვა.

— ვფიქრობ, რომ „თვალმარჯვე“ მუდამ საჭიროა, თუმცა თავადები წინანდებურადვე უფრთხიან გულისწყრომის დროს მრისხანე მოურავთან შეხვედრას. საფარ-ფაშა კი ძლიერ ელოდებოდა წარჩინებულ სტუმრებს. მაშინ საბაბი იქნებოდა დასახმარებლად მოეწვია სამცხე-საათაბაგოს მოსაზღვრე სანჯაყების ფაშები.

დათო ვერ ამჩნევდა, რომ მოზღვავებულ ფიქრებს იგი ხმამაღლა გამოთქვამდა. იგი ჯერ არასოდეს არ დაბრუნებულა ასე შეშფოთებული გიორგი სააკაძესთან.

ყრილობაზე შეიკრიბა აზნაურთა კავშირის ყველა ერთგული. მაგრამ თასებში არ ჩქეფს ღვინო, არ გაისმის სუფრის სიმღერები. მკაცრი არიან ძველი მეომრები, თავშეკავებულნი — ახალგაზრდები. წყდება წოდების ბედი. არაერთგზის

დაცემულა იგი, დაჭრილი ფრინველის მსგავსად, ნატყვიარ ფრთაზე. მაგრამ კვლავ აფრენილა, კვლავ მისწრაფებია სიმაღლეს!

მერე ახლა ვინ უშლის გაიჭრას ღრუბლებში? ზურაბ ერისთავი და მისი ხროვა. მაშასადამე, საჭიროა მათი დამხობა! შემდეგ, ზედმეტი არ იქნება გაითვალისწინონ მცირემამულიანი თავადების მუდმივი უკმაყოფილება, რომლებსაც ავიწროებენ დიდი ძერები. ქაიხოსრო მუხრანბატონი, მოურავის უცვლელი მეგობარი, უკვე ეწევა მოლაპარაკებას ზოგიერთებთან, ფიცით ჰპირდება მისი სახელით გაუდიდოს მამულები, გაამდიდროს ფულით და მამულით ზურაბ ერისთავისა და მის თანამოაზრეთა შავბნელი ძალების განადგურებაში მონაწილეობისათვის.

როგორც ყოველმა მოულოდნელობამ, აზნაურები გააცვიფრა ქვის მაგიდამ, რომელზეც ხვავად ეყარა გრაგნილები, სიგელები, ტყავის ყდიანი ეტრატის წიგნები, გაყვითლეული სიები. ისინი ბეჯითად ადევნებდნენ თვალს, როგორ არჩევდა გროვაში საკაძე ძველს 1397 წლის სიგელს. საკაძემ მჭრელი თვალით ჩამოათვალიერა დარბაზი და ლაპარაკი დაიწყო იმაზე, რომ საჭიროა ბრძოლა სამღვდელოების ძალადობის წინააღმდეგ. ისინი არიან თავადთა ძალაუფლების საყრდენი, რომელიც ზიანს აყენებს აზნაურთა წოდებას. ისინი არიან რომ აფერხებენ ქართლის აყვავებას. მათს მჭიდე ხელშია თავმოყრილი გაძარცული ერის უდიდესი ღირებულებანი.

მოურავმა შეიცადა, სანამ გაურკვეველი გუგუნი მიწყნარდებოდა და მტკიცედ განაგრძო:

— აი თუნდაც მაგალითისათვის მცხეთის ტაძარი. ჯერ კიდევ ქორონიკონის მეთოთხმეტე რკალის პირველ წელს ეკი ისეთ სიმდიდრეს ფლობდა, რომ პილატესაც არ დასიზმრებია. ზღვა შეიძლება კოვზით დაილიოს, მაგრამ არა რელიგიის ამ ბურჯის საგანძური. ცოტა დრო როდი დასჭირდებოდა მცხეთის ტაძრის საკუთრების ჩამოთვლას. არა მსურს მოგქანცოთ, მამაცო აზნაურებო, და გამოვაქვეყნებ ამ საგულისხმო სიგელის ცალკეულ ადგილებს. აი რა ეკუთვნოდა და ეკუთვნის ამ ტაძარს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქალაქ თბილისში — ეკლესია, სასახლე, ბაზრები, ღვინის ვა-

ჭართა რიგები გადასახადებითა და შემოსავლით ასეთებისაგან; ავლაბარში — წმიდა ღვთისმშობლის მონასტერი ახლომახლო მამულით და ტყით; მდინარე მტკვრის ნაპირას — სოფლები დაქონი და ახალუბანი. ქალაქ თბილისში — კრწანისი ვაჭრებიანად, სოფლები შინდისი, წავკისი სოფლებ მაკრალაჯისა და ხეკორძის საზღვრებში; დიღომში — მცხეთის ყველა გლეხი სახნავ-სათეს მიწებიანად და ბაღებიანად; ლიხში — სამი კომლი გლეხი, სოფელი წინა უბანი და მთა თოვლისა და ყინულის მოსაპოვებლად.

— კასრნახევარი გოგირდის წყალი მათს ხახას! რად უნდათ ყინული, გიორგი?

— სულის გასაყინავად, ძვირფასო დიმიტრი. და შემდეგ ჩამოთვლილია მთელი რიგი სოფლები, შემდეგ არმაზის მონასტერი ციხიანად, შემოსავლიანად და გადასახადებიანად, და კვლავ სოფლები და კვლავ სწრაფი დახმარების მონასტერი; ატენში — ეკლესია, გლეხები, მამულები და მდელოები; იმერხევში — წმიდა გიორგის სოფელი სავარგულებიანად; ლორეში — სოფელი ამუჩი ეკლესიიანად და მამულიანად, სოფელი დისარი; ორბეთის ქვემოთ — სოფელი ყორანთა მისი სავარგულებიანად; სიონის გაღმა — წმიდა გიორგის მონასტერი...

— ჩრდილს მაინც არ აყენებდნენ შენი პატრონის სახელს!

— არათუ ჩრდილს, აზნაურო მიქაძე, არამედ ცხელ ფიჭასაც, — შენიშნა პაპუნამ.

სააკაძე თვალით კითხულობდა სიებს და უშვებდა ზოგიერთ მამულსა და ახსენებდა სხვებს.

— თუხარში, მაგალითად, მეტეხის ტაძარმა ხელთ იგდო არა მარტო მოციქულთა ეკლესია, არამედ აშოტ კურაპალატის საფლავიც და მასთან ერთად სოფლები ქვაყრილი, სხალთა და გიორგიწმიდა. ართანაში — ზემო ჭინჭარი და ქვემო ჭინჭარი, ქარაშეთის მთა და სოფელი ჯვარი.

— გრძელი ანაფორები აცვიათ, დახტუნავენ კი, როგორც ტიტველნი, — ხან სოფლიდან მთაში, ხან მთიდან სოფელში. რა ამბავია, აზნაურებო? — აღშფოთდა ქვლივიძე და წამოწითლდა.

— ციხეებსაც არ ივიწყებენ, ჩემო ძველო მეგობარო. არტანუჯის ციხეც შესასვლელიანად ხელთ იგდეს. და იქვე სოფლები ციხისძირი, ახალდაბა, ბოცოსჯვარი და აგარა. არც ერთი მდინარე უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. აი არაგვზე მიითვისეს სოფელი გერგეთი; წმიდა სამების მონასტერი და უდაბნო ეკლესიებიანად, ზედ მიაყოლეს გერგეთაულის ციხე და სოფელი ხანდაკი. და კვლავ ათობით სოფელი და ასობით სავარგული...—გიორგიმ გამჭრიახი თვალით გადაჰხედა აზნაურებს: „ვერა, ვერაფრით ვერ დავარწმუნე, აღშფოთებული არიან, მაგრამ არა ეკლესიის ბურჯებით, არამედ სამღვდელოების გაუმაძღრობით. მოვლენ სხვები, კეთილები და ყველაფერი კარგად იქნება!.. ეკლესია ურყევია! მაშინ..." გიორგიმ გულითადად დაამთავრა: — ხოლო რაც მთავარია, მცხეთის ტაძარი დაეუფლა ჩვენი ხალხის უდიდეს რელიქვიასაც — წმიდა ნინოს ჯვარს, რომელიც გაკეთებულია ვაზისაგან და შემოხვეული აქვს მისი თმა. სანამდე უნდა ვითმინოთ სამეფო სამეფოში?

აი აქ კი ჯეროვანად ახმაურდნენ აზნაურები და ეკლესიის მწყემსებს წყევლიდნენ გაუმაძღრობისათვის. აგინებდნენ იმისათვის, რომ ღალატობენ ქრისტეს. „მათთვის ყველაფერი ცოტაა, რომ კიდევ წმიდა ნინოს დაეუფლნენ!" აზნაურები ამჯობინებდნენ ცხარე სიტყვებს საშიშ მოქმედებას და ამას დასჯერდნენ. მეტად ძლიერი იყო რწმენა წმიდა ჯვრისადმი. კათალიკოსის შეუცდომლობისადმი. მხარი დაეჭირა თავისი წინამძღოლისადმი მის ბრძოლაში ეკლესიის წინააღმდეგ, ვერ გაბედა ვერც ერთმა აზნაურმა, ქვლივიძემაც კი.

— აბა რომელ ქვეყანაში არ მეგობრობს ეკლესია მეფეს? — თითქმის ერთხმად გაიძახოდნენ აზნაურები. — საჭიროა შევუკვეცოთ თავადებს ძალაუფლება, მაშინ მეფე ეკლესიის კურთხევით აზნაურებს თავის ბურჯად გამოაცხადებს.

სააკაძემ შეწყვიტა უსარგებლო დავა. მაშასადამე, ტყუილუბრალოდ ჰქონდა იმედი, რომ აზნაურები დაეხმარებოდნენ სოფლების მომხრობაში, დათესდნენ ეკლესიის მოქმედების

სისწორისადმი ეჭვს. და მან უხმოდ მიაგდო სიები, რომლებიც გახაზული იყო მისი ხელით.

ღამით, როცა უძრავ ბნელში ციხე-დარბაზი თითქოს წონადაკარგული გახდა და მთვარე ვერცხლისფერი შუქით ციალებდა ქვის ფანჯრის რაფაზე, სააკაძე „ვეფხვებს“ ეუბნებოდა:

— თუ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, ვფიცავ წმიდა გიორგის, განვახორციელო ჩემი დიდი ხნის განზრახვა: დავაუძლურო შავი თავადები! როგორ მოვახერხებ ამას? ცხადია მახვილის დახმარებით. ნუ ცმუკავ აგრე, გივი, ჯერ არ გავგიჟებულვარ, რომ მუსლიმთა სასიხარულოდ საბოლოოდ გავანადგურო ეკლესია. დაე არსებობდეს, მაგრამ არ მრავლდებოდეს.

— და შაჰ აბასი — ეკლესიის სასიხარულოდ?

— მიხვდი, დათო: დაე არ არსებობდეს შაჰი ქართლისათვის და მრავლდებოდეს თურქეთისათვის. მე გადავწყვიტე ელვისებურად დავესხა თავს ბერდუჯს და ქართლის მოსაზღვრე სხვა ვრცელ მიწებს და ნოყიერ საძოვრებს, რომლებიც შაჰებმა საქართველოს წაართვეს.

— გვითხარი, მეგობარო, რად გინდა ასე სასწრაფოდ ბერდუჯი? — გაიკვირვა როსტომმა.

— როგორ? ნუთუ ვერ ხვდებით? ვფიქრობ, იმისათვის, რომ მონასტრებში არ დავტოვო არა მარტო არც ერთი გლეხი, არამედ არც ერთი ყმაც. როგორ მივაღწევ ამას? კათალიკოსისათვის ერთ მოღრუბლულ დღეს მონასტრების სამფლობელოში გავრცელდება საიდუმლო ხმები, რომ სამეფო სამონასტრო გლეხებს ურიგებს მიწის ორმაგ ნაკვეთს, რომელიც სპარსელებს წაართვა და რომ სამეფო ახალდასახლებულებს ერთი წლით ათავისუფლებს ყველა გადასახადისაგან. არ ვეჭვობ, ხალხი გამოეშურება ჩემსკენ, რათა შეიტყოს, მართალია თუ არა. არც თავადებს, არც ეკლესიას არ დაუჯერებენ, მე კი...

— რა თქმა უნდა, ერთნახევარი ფუთი სანთელი ბერებს საუზმედ! განა შენ თუნდაც ერთხელ არ შეგისრულებია დანაპირები?

— და ამჯერადაც შევასრულებ, ბევრსაც პირადად დავპირდები — ვთქვათ, პირუტყვს, ავეჯს, ტანსაცმელს; ნაწილს უფასოდ, ნაწილს კი მრავალი ხნის განმავლობაში გადახდით.

— თუ ასეთი რამ დაჰპირდი, გლეხი, ყმა, ხიზანი, მსახურიც კი, თითქოს ქონი წაუცხესო, შენს მფარველობაში გამოიქცევიან; და თითოეული გამოეჩქარება დაასწროს მეორეს, რათა ხელთ იგდოს უკეთესი მიწები. მაგრამ დაპირებული უნდა შესრულდეს, ხოლო ირანელთა სამფლობელოს დაპყრობა ჩვენთვის ჯერ კიდევ ბედს არ ურგუნებია.

— სასოს ნუ წარიკვეთ, დათო, თავადთა ხრიკები რომ არ იყოს, ჩვენ არ დავაყოვნებდით, კვლავ წარგვედგინა შაჰ აბასისათვის მარტყოფის მინდორი. ჩვენს ბრძოლას ფასი არა აქვს, თუ ეს მიზანი არ ექნა, დიახ, ჩემო მეგობრებო, სხვანაირად არ შეიძლება, რადგან დაუსრულებელი ხტუნვა ერთ ადგილზე ღლის არა მარტო მხედარს, არამედ ცხენსაც, — შეიძლება ფლოქვებ ქვეშ აღმოჩნდე. საჭიროა, ცხენის უკანა ფეხები წინა ფეხებს უსწრებდნენ. ჰოდა, თუ საშინაო მტრები დავძლიეთ — გაღარიბდება ეკლესია, გამდიდრდება სამეფო, რადგან შავანაფორიან ფარისევლებს არ უყვართ თავი შეიწუხონ მიწის მუშაობით. მათ მხოლოდ სამეფოს საქმეები აღელვებთ, სულ უფრო ნაკლები ფარისეველი შეეფარება მონასტრის გალავანს, ხალხი სამეფოში მომრავლდება, ხოლო რაც მთავარია, ოქროს ჯვარს არ შეურევენ ფოლადის მახვილში. — სააკაძე უეცრად სხარტად წამოდგა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა დაბალ თაღიან ოთახში და ტახტზე დაჯდა. — ახლა, მეგობრებო, ვილაპარაკოთ იმერელ ნათელმჭვრეტზე. თურმე, გიორგი სააკაძე ვალდებულია დაენათესაოს მხოლოდ მეფეებს. ისიც მართალია, თავიანთ საზარალოდ როდი მოქმედებენ. აი იმერეთის მეფეს იმედი აქვს ხელთ იგდოს ჩემი ავთანდილი დანაწონთან ერთად, ესე იგი მეც.

— რატომ? ხაჭაპურნახევარი მის პირს! ჩვენი ავთანდილი თვითონ ოქროსავით ბრწყინავს.

— უფრო ძლიერ გაბრწყინდება, თუ იმერეთი დიდ მოურავს მიიღებს მზითვად.

— ხუმრობ, გიორგი! შენ რა, მათი ბიძა ხარ?

— თითქმის, დაუთბეგ, — ერთნაირად გვესაჭიროება სამეფოს დაცვა. ჰოდა, აი მოიგონეს: ავთანდილი მეფის ქალი-

შვილის საწოლს დაიცავს, მე კი იმერეთის საზღვრებზე დავიწყებ მახვილის ქნევას ხან სამეგრელოს მხრისაკენ, ხან გურიის მხრისაკენ. თვით აფხაზეთის მხრისაკენაც, ვინ გაბედავს მოსვლას?

— თუ ასე ფიქრობ, გიორგი...

— სხვანაირად ფიქრი თავის მოტყუება იქნებოდა.

— ჯერ კიდევ არავინ იცის, მამავ, რატომ ასე უხვი გახდა მეფე. მისი ქალიშვილი ბაყაყს ხომ არ გავს?

— მახინჯობა ხომ არ ტანჯავს? — დასძინა ელიზბარმა.

— ე, ბიჭო, ასეთ რამეზე ნუ ფიქრობ! რაკი სასძლო მეფის ქალიშვილია, თუნდაც ცხვირის ნაცვლად კაკალი ებას, სულ ერთია, ლამაზია!

— დაიფაროს ანჩისხატის ღვთისმშობელმა! თორემ კეთილგონიერებამ შეიძლება სწორედ იმ წუთს მოუსწროს, როცა შეიძლება თავი დაკარგოს კაცმა.

— ან იქნებ ასეთი ლამაზმანისათვის არ ღირდეს ავთანდილმა ხმალი გაიშიშვლოს?

— გივი! — კინაღამ დაუყვირა დიმიტრიმ. მაგრამ სწორედ ამ წუთს საერთო ხარხარში, თითქოს სურს დაამტკიცოს, რომ ასეთი რამ ხდება არა მარტო ზღაპარშიო, ფანჯრის რაფაზე ბაყაყი შემოხტა. დიმიტრიმ ხელი სტაცა და ჭკუის სასწავლად უთხრა:

— შენი ბედი, რომ მეფის ასულს არ ჰგავხარ, — თორემ საათნახევარს იფრენდი აქედან ძირს ცხვირით, — და ბაყაყი ფანჯარაში ფრთხილად ჩაუშვა მიწამდე და დაუღრიალა: — მეორეჯერ არ შემოხტე, სადაც არ გპატიჟობენ, სპარსეთის შაჰი კი არა ხარ! აბა! მოუსვი აქედან, სანამ არ გადამიფიქრია!

მაგრამ ბაყაყს ხტუნვისა არ ცხელოდა — თვალებგამოკუსული და პირდაღებული, იგი ნახევრად გონებადაკარგული ძლივს მიჩოჩდა კედლის ღრუმდე და დიდი ხნის დასასვენებლად მოეწყო.

— თუ ბაყაყზე ყველაფერი ითქვა, დავუბრუნდეთ მეფეს, — ჩაიცინა საააკაძემ. — თავაზიან წინადადებას მღელვარე სიხარულით მივიღებთ, მაგრამ მაჭანკლობას გამარჯვებამდე გადავდებთ. ამ ხნის განმავლობაში ავთანდილი ნახავს მე-

ფის ასულს და თვითონ გადაწყვეტს: მიუახლოვდეს მის განსასვენებელს, თუ მოშორდეს ერთ აღაჯზე. და კვლავ: საზღვარზე გუშაგად დგომაზე უარს არ ვიტყვი, თუ... თუ მეფე გიორგი მესამე იმერეთის საზღვარს ქართლისაკენ წამოწევს.

დილით ყრილობა კვლავ გრძელდებოდა. სააკაძე ეთათბირებოდა აზნაურებს და ეკლესიაზე სიტყვაც აღარ უხსენებია, მაგრამ არც მაჭანკლობაზე უთქვამს რამე. ისიც კარგი იყო, რომ არ განახლებულა უთანხმოება ალექსანდრეს ქართლ-კახეთის ტახტზე გამეფების შესახებ, ისიც ხომ ბაგრატოვანია. ხოლო ფიცის გამტეხი თეიმურაზის შებრალება აზნაურებს არა სჩვევიათ.

— მერე სააკაძის ჩვეული სისწრაფე ლევან დადიანსა და გურიელს აიძულებს კვლავ შევიდნენ ქართველთა სამეფოების კავშირში..

აზნაურებმა მაშინვე მოიწონეს ასლამაზის აზრი. რა თქმა უნდა! სამეგრელოსა და გურიის ჯარები ხიბლავდნენ ყველას.

„რა საჭიროა სამღვდელოებამ იცოდეს, რომ მოლაპარაკება ლევანთან მარცხით დამთავრდა?" — ფიქრობდა სააკაძე და ერიდებოდა მეფეთა კავშირზე ლაპარაკს.

ქვლივიძე ნერვულად იგრეხდა ულვაშს და უცქერდა თავშეკავებულ სააკაძეს, უხერხულობის გრძნობა არ შორდებოდა მოხუც რაინდს. მან ბევრი სახუმარო რამ იცოდა შავი და თეთრი სამღვდელოების შესახებ, მაგრამ აზნაურთა აზრის წინააღმდეგ არ წავა. განა არ შეიძლება შემრიგებელი ღონისძიების გამოძებნა? მან ქამარი შეისწორა და დინჯად ჩაახველა:

— ვფიქრობ, ბევრი გაიგებს და მხარს დაუჭერს დიდ მოურავს.

სწორედ ამ დროს სააკაძე ყურადღებით ათვალიერებდა მზის სხივებს თაღზე, ისინი ხან მკაფიოდ ჩანდნენ, ხან იჩრდილებოდნენ. განა ამ სხივებს არ გვანან უმტკიცი აზნაურები?

მოღუშულმა დაუთბეგმა მკაცრად შენიშნა, რომ მხარდაჭერა საჭიროა, როცა იგი აუცილებელია, ხოლო როცა ლხინის დრო დგება, მაშინ, დამარცხებულნი ვის რად უნდა!

აქ პაპუნამ სრულიად უადგილოდ გაიცინა:

— ამას წინათ, აზნაურებო, გზისპირა დუქანში, „ცოცხა-

ლი თევზი“ ერთმა მთქმელმა მოხუცმა ამირანზე მიამბო:

— ბევრი ბოროტება ჩიაყენა ხალხს ქერცლიანმა ურჩხულმა და თანაც გადაყლაპა ნისლოვანი ბილიკი, დედამიწასა და ცას რომ აერთებდა.

ამირანმა ასეთი ბოროტმოქმედება ვერ მოითმინა. ძმადნაფიცებთან ერთად წავიდა იქ, სადაც წინათ ნისლოვანი ბილიკი იწყებოდა, ისე დაუსტვინა, რომ სამი დევი დაიღუპა, სამი მუხა გასკდა, სამი ტახი გაქვავდა, და საბრძოლველად გამოიწვია ურჩხული. ურჩხული გამოვიდა, ბრძოლაზე დათანხმდა. სამ დღე-ღამეს იბრძოდნენ, — ორთაბრძოლაში ამირანმა გაიმარჯვა. დაეცა სამთავიანი ურჩხული, ხოლო მასთან ერთად მისი ხმალიც. მაშინ ურჩხულს ბოროტება დაავიწყდა და შებრალება ითხოვა, მაგრამ ამირანს ახსოვდა სიკეთე და ყური არ ათხოვა.

ჯერ ხმალი აღმართა — ერთი თავი მოკვეთა. მეორედ — მეორე თავი მოსჭრა. მესამედ — ურჩხული შეევედრა: „დამიტოვე თუნდაც ერთი თავი!“ ამირანმა უარი უთხრა, მთებზე უფრო მაღლა აღმართა ხმალი. ურჩხული შიშით გაფითრდა, კვლავ შეევედრა: „ოო ამირანო, შემიბრალე! ვფიცავ, გიჩვენო ლამაზი თამარის გზა. მისი ტანსაცმლის გარეცხვას სჭირდება ჩვიდმეტი კოკა წყალი, ხოლო მის გაშრობას — შვიდი მზიანი დღე“.

უდავოა, რომ თამარი მომხიბვლელია!

მაგრამ ამირანი შეურყეველია: მთვარეზე უფრო მაღლა აღმართა ხმალი.

„ოო ამირანო, — დაიღრიალა ურჩხულმა, — შემისრულე თუნდაც უკანასკნელი თხოვნა, — და ლამაზი თამარი შენი იყოს!“

„ვიცი ურჩხულების თხოვნა! — გაიღიმა ამირანმა და მთვარეს მახვილით მოუღუტუნა. — მაინც თქვი!“

ურჩხული სიხარულით გამწვანდა და ასე სთხოვა:

„ჩემი თავიდან სამი მატლი გამოვა, შეიბრალე ისინი“.

ამირანმა ურჩხულს უკანასკნელი თავი მოსჭრა, იქიდან გამოძვრა სამი მატლი: თეთრი, ყვითელი და ლურჯი.

„მატლებიც მოჰკალ!“ — ეხვეწებიან ძმადნაფიცები. ამი-

რანმა არ დაუჯერა და ასე უთხრა: „ურჩხულისათვის დანაპირევს ვასრულებ". უთხრა და მატლები გაუშვა. მატლები სამი მუხის ფულუროში შეძვრნენ, იქიდან ცეცხლისმფრქვევი მთის მუცელში ჩაეშვნენ და რგოლებად დაეხვნენ.

ამირანს ურჩხულის სისხლში არ ამოუვლია მახვილი, როგორც მოხუცები ურჩევდნენ, — თავის ძალას ენდო. დაუსტვინა და ზღვები მთებს დაეჯახნენ, თევზები მწვერვალებზე აფართქალდნენ, ვარსკვლავები ფსკერზე აწკრიალდნენ. ამირანი თამარის საძებნელად წავიდა. ძმები მიჰყვებიან და მამაცურად იმღერიან: „ამირანო, ალამ ჩალამ!.."

დიდხანს იარეს, მთები და ზღვები გადალახეს, აგრეთვე ველები და ხევები და უკვე გავიდნენ ცეცხლისმფრქვევი მთის პირდაპირ გზაზე, სადაც თამარის ციხე-დარბაზია, უზარმაზარ ბურთებს რომ ჰგავს. უეცრად სისინი გაისმა! ამირანმა უკან მიიხედა: მის უკან მოცოცავს სამი მატლი და დაცინვით იმღერის: „ამირანო, ალამ ჩალამ!" — აწრიალდნენ, ურჩხულებად იქცნენ, ნესტოებში კვამლი გამოდით.

ამირანმა მატლებს შეუტია. ერთხელ აღმართა ხმალი და თეთრი მატლი მოკლა. მეორეჯერ — ყვითელი მოკლა. მესამეჯერ — ლურჯი მატლი განზე გაუხტა და მყის გადაყლაპა ამირანი. დიდხანს იბრძოდნენ ძმები, ისროდნენ ისრებს, ქვებს, ურჩხული კი უვნებელია და სულ უფრო შორს გაურბის მათ. მაშინ ერთმა დაიძახა: „ამირანო, გაიხსენე სათადარიგო სატევარი!" ამირანმა გაიგონა ძმადნაფიცის ყვირილი, წაღის ყელში სატევარი ამოიღო და ურჩხულს გული გაუგმირა. ფეხით გაგლიჯა ამირანმა ქერცლიანი ჯავშანი, გარეთ გამოხტა, თმა ტყესავით აქოჩრია, შიგ სამი ქარი გაიხლართა.

ურჩხულის ხახიდან კი კვამლი ამოდიოდა, ნაცრისფერი ბილიკი გაჩნდა. უეცრად გაიჭიმა ბილიკი: სადაც დაიწყო, იქ ყინულია, სადაც შეწყდა — იქ ცეცხლია. ამირანს მოწყურდა, მახვილით ყინული მოტეხა, მაგრამ ვერაფრით გაადნო. ამირანმა ხმალი ურჩხულის სისხლში ამოავლო და მხნედ დადგა მოლივლივე ბილიკზე..."

— და კარგიც ქნა! თორემ აბა ხალხისათვის ღმერთს ცეცხლს ვინ მოსტაცებდა?

— ის კი კარგად მოიქცა, — დაღვრემით უთხრა გუნიამ,—მაგრამ შენ, კეთილშობილო პაპუნა, ეს რისთვის გვიამბე.

— დუქანში ეს ერთმა მხიარულმა კაცმაც ჰკითხა მთქმელს და მოხუცმა ბრძნულად მიუგო: „იცით, ხალხო, მტერს შთამომავლობა არ უნდა დაუტოვო. მტერი მთლად უნდა მოსპო, ძირიანად, — თორემ მშვიდად როგორ იცხოვრებ? მტერი სიკვდილის შემდეგაც საშიშია, რადგან ცდილობს ჩრდილი მიაყენოს გამარჯვებულს. ჩრდილი კი შავი ლაქაა, ვერც ყინულით და ვერც ცეცხლით ვერ ამოსწვავ“.

აზნაურებმა თავი უხერხულად იგრძნეს, გაჩუმდნენ. მხოლოდ დათო ილოკავდა ტუჩებს კმაყოფილებით. ხოლო მზის სხივები თაღზე ძველებურად ხან უფრო კაშკაშა ხდებოდნენ, ხან იბინდებოდნენ.

ამ დროს ანაზდეულად შემოვიდა ნუგზარ ერისთავის ძველი მსახური. მას დიდი ხანია ტანჯავდა სინდისი, რომ მოურავის წინააღმდეგ, რომელიც ქველ რუსუდანის მამას ნუგზარს უყვარდა, ბინძური საქმე მზადდებოდა: „არა, დაე კნეინა რუსუდანმა შეიბრალოს ერთგული მონა და თავის სახლში შეივრდომოს. იგი სამარცხვინო საქმის მოწმე ვერ გახდება.“

სააკაძემ ყურადღებით მოუსმინა არაგველს და დაუყოვნებლივ აცნობა ყრილობას დუშეთის „შეთქმულების“ ამბავი. მოურავი გამოუტყდა, რომ მას კიდევაც გაეხარდა, ასე სჯობს. ძლიერი თავადები შეიკრიბებიან ერთ ჟამს და ერთ ადგილას. უნასთა ხროვა ერთი დაკვრით უნდა მოისპოს. თავადთა რაზმელებს შორის ბევრია ისეთი, რომლებიც მან არა თუ გაწირთნა, არამედ კიდევაც ალოლიავა. განსაკუთრებით მესეფეები. არა, სამშობლოს წინაშე ვალდებულნი მის წინააღმდეგ არ წავლენ, იარაღს არ აღმართავენ იმ რაზმელთა წინააღმდეგ, რომლებთან ერთად დიღმის მინდორში ჭამდნენ, სვამდნენ, ერთად იმღეროდნენ სამამაცო სიმღერებს.

და გიორგიმ დაუყოვნებლივ შეცვალა ომის წარმოების გეგმა, რაც მოიწონეს ზემო, შუა და ქვემო ქართლის აზნაურებმა.

სააკაძის თბილისში შეტყუება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ჯიქისა ოქროს გალიაში. მეფე თეიმურაზმა რომ მარცხი განიცადა, დაიწყო საშუალების ძიება, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო მეფის მოღალატისათვის.

— ყური ხომ არ მატყუებს? — აღშფოთდა ზურაბი, — მეფემ არ იცის, რა მიაგოს ურჩს? მამული რომ ჩამოართვას და დიდი მოურავი უსახლკარო მათხოვარი გახადოს? განა საამო არ იქნება ასეთი შურისგება?

— განადგურდეს სააკაძე! განადგურდეს! — დაადასტურეს არაგვული ტურის მოწოდება ზემო, შუა და ქვემო ქართლის თავადებმა.

ბზიკებივით აზუზუნდნენ ისინი ციხე-დარბაზებში. ნოსტე! აბა რომელი მემამულე არ შესცქეროდა შურით გიორგი სააკაძის სიმდიდრეს? ვინ არ ოხრავდა ჩუმად, როცა ტკბებოდა ციხე-დარბაზის კეთილშობილური სილამაზით, ბაღებისა და მიუწვდომელი საგუშაგო კოშკების მშვენებით? ვინ არ ნატრობდა მის მსუქან ჯოგებსა და ცხენთა რემას?

და გარბოდნენ მეტეხისაკენ, ერთმანეთს ასწრებდნენ სიმდიდრეს მოშივნებულნი და მოწყურებულნი! დაეუფლონ, დაეუფლონ სააკაძის ალამს, რომლის წინაშეც ამ ცოტა ხნის წინათ ისინი თრთოდნენ.

გულღვარძლიანი მეფე თეიმურაზი აქეზებდა თავადთა უთანხმოებას ძვლის გამო, რომელიც ჯერ არ გადაეგდო, და ჩოლოყაშვილს უბრძანა, სააკაძის ყურამდე მიეტანე ეს ამბავიო.

და გაემართნენ ბენარისაკენ მოურავის „კეთილისმდომელნი".

— რაკი ასეა, ასე იყოს! — მიიღო გამოწვევა დაუთბეგმა. ბენარში სასწრაფოდ იხმეს მოკლენაბდიანი მესტვირე.

თავადთა დავა მეტეხში უკვე სამ დღეს გრძელდებოდა,

მეოთხე დღეს კი დიდი ამბით მივიდა კათალიკოსის გაგზავნილი სამღვდელოება.

თავადები ჯერ სახტად დარჩნენ, ჯვრები ანაფორებზე ამაოებათა ამაოებას მოაგონებდათ, მაგრამ მერე უფრო გააფთრებით დაიწყეს დავა.

— ჩვენი მამული საკაძისას ესაზღვრება! — გაიძახოდნენ მაღალაძეები. — ჯერ კიდევ გიორგი მეათის დროს ვდაობდით ამაზე.

— მერე რატომ ოქროს ხონჩით არ მოგართვათ ნოსტე გიორგი მეათემ? — იქედნურად მიუგო ქაჩიბაძემ. — ჩემი წინაპრები მუდამ ეჩხუბებოდნენ საკაძის წინაპრებს და არა ერთგზის გაუნადგურებიათ ეს საგვარეულო. გამოდის, რომ არ სურდათ მოუსვენარი გვარეულობის ამაღლება. მერე რატომ ჩვენ არ უნდა ვფლობდეთ მეფის ურჩის მამულს?

ავი ცეცხლი აინთო ჯავახიშვილის თვალებში, ჭაღარა წარბები მოიღუნა, როგორც ორი ხმალი. იგი სამჭედლოს საბერველივით ქშინავდა.

— დაე ქაჩიბაძემ კარგად გაიხსენოს, ვის ჰქონდა დაუსრულებელი საჩივარი საკაძის გვართან! ან იქნებ არა ჩვენ, ჯავახიშვილები, არა უგვიანეს, ვიდრე გიორგი მეათის დროს, მოვითხოვდით აზნაური საკაძეების მიწებს? სწორედ გიორგი მეათის დროს, — იცის ღმერთმა! — იყო ასეთი ლაპარაკი, მაგრამ მას თავაზიანმა გიორგი საკაძემ, მცირე ქონების შიოს შვილმა, სამსახური გაუწია და, ვით მგელმა ცხვარი, ხელთ იგდო ნოსტე.

და სხვა თავადებიც ცდილობდნენ გაებათილებინათ ერთმანეთის საბუთები და დაემტკიცებინათ, რომ სწორედ მათ აქვთ ნოსტეს დასაკუთრების უფლება.

თავადმა ციციშვილმა, რომელსაც არა ჰქონდა ნოსტეს დაუფლების იმედი, — მასზე უთუოდ თვალი ეჭირა ზურაბ ერისთავს, — კრებას მოაგონა, რომ საკაძე აზნაურია ბედის ჭირვეულობით, თავადი კი სამართლით.

— ის უგულებელყოფს საპატიო წოდებას! — თავადმა მაღალაძემ ზიზღით შეიკრა წარბი, თითქოს გალარიბებული აზნაურის უხეშ ლაბადას შეეხოვო.

მას შემდეგ, რაც თავადმა თამაზმა კარის მრჩევლის ქოჩაკიძის ქალიშვილი შეირთო, სრულიად გამოიცვალა — გულდასმით უვლიდა წვერ-ულვაშს, ბოროტად იყენებდა სუნამოებს. ხიოკი ბზეხათუნი თავის მამის ნიმუშით წვრთნიდა თამაზს. მაგრამ ბებერი მგლის ლეონის შთამომავალი მუდამ ოცნებობდა გასწორებოდა დიდ მოურავს, მაღალაძეთა საგვარეულოს მოსისხლე მტერს. თამაზი აშკარად ბედნიერი იქნებოდა, რომ მზეხათუნის ყურმოჭრილი ყმა არ ყოფილიყო. ცოლი გატაცებული იყო იმით, რომ მუქთად ყიდულობდა თუთის ნარგავებს და, სიამის მინიჭების ნაცვლად, აწამებდა თამაზს საუბრით აბრეშუმის ვაჭრობაზე. აგერ კიდევ მეფემ მოისურვა ნოსტელი „ვეფხვის“ განადგურება. ვაჭრული სისხლი მოითხოვდა: „მოიტაცე! არ დაუთმო! იჩქარე!“ და მან მტკიცედ უბრძანა თამაზს ემხილებინა „ულირსი“. მზეხათუნს განსაკუთრებით ხიბლავდა რუსუდანის ძვირფასეულობა, — მაშასადამე, საჭიროა დაამტკიცოს, რომ უფლება აქვს დაისაკუთროს ისინი, მანამდე სანამ „მტაცებლის ბუნაგში“ დამალულს აღმოაჩენდნენ და ჩაქოლავდნენ.

საამო თამაზს მხარი დაუჭირა თავადთა უმრავლესობამ: გაღარიბებული აზნაურის უხეში ლაბადა ამასთან გაჟღენთილია ცხვრის ოფლის სუნით! როცა „ვეფხვი“ ტახტის ახლოს დგას, მუდამ ნაკელის სუნი ასდის!

უფროსმა ფალავანდიშვილმა დამცინავი თვალი მოავლო თამაზს: „ეჰ, როცა კაცი წაიბორძიკებს, ყოველი ღორი ხალიჩაზეც კი დინგით ნაკელს ეძებს! განა დიდი ხანია, რაც ოფლი ამბრად მიაჩნდათ?“

— აზნაურთა ბელადობა უფრო საპატიოა, ვიდრე უგვარო თავადიშვილობა, — არ ცხრებოდა არც ციციშვილი, — და თუ ურჩი უფლებით თავადია, მხოლოდ თავადთა საბჭოს შეუძლია განსაზღვროს, ვის ხელში უნდა გადავიდეს მისი მამული.

— რა შუაშია აქ, ღმერთო მიშველე, თავადთა საბჭო? — თეოდოსიმ გაჯავრებით აიქნია ალამივით ანაფორის შავი სახელო. წმიდა მამა გაკვირვებულია: ჯვრის მსახურთათვის სასურველ მეფეს არაფრით არ დაუჯილდოებია ეკლესია ხო-

სრო მირზასა და ისა-ხანის განდევნისათვის. განა ახლა შესაფერისი შემთხვევა არ არის?

როგორღაც თავისთავად ისე გამოვიდა, რომ თავადები იარაღის დარბაზის ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ, იერარქები კი — მეორეზე. სასულიერო და საერო ბატონები მზად იყვნენ კედლიდან ჩამოეღოთ იარაღი და წასეოდნენ ერთმანეთს.

თეოდოსი შუა დარბაზში გავიდა და ჯვარაღმართული გაქვავდა.

თავადები დაიბნენ. მაგრამ ფალავანდიშვილმა, რომელსაც არ სურდა დაეთმო სიტყვიერი ბრძოლის ასპარეზი, შხამიანად შენიშნა: — სააკაძე ბერი არ არის, მაშასადამე, ეკლესია აქ არაფერ შუაშია.

კახეთის სამღვდელოებამ, ქართლის სამღვდელოებას რომ ემიჯნებოდა, მხარი დაუჭირა ციციშვილს. კახეთის ეკლესიის მამები ესწრაფვოდნენ პირველობას ეკლესიაში, მაშასადამე, სამეფოშიც, ამიტომ დარაზმულად შეუტიეს არქიელებს კათალიკოსის ხროვიდან: „იქნებ ქართლელებს სურთ გასივდნენ სავარგულებით და ოქროთი? განა წმიდა მოციქულმა არ ბრძანა...“ და გაისმა თქმულებანი ბიბლიიდან და სახარებიდან ისე უხვად, რომ სამ კრებას ეყოფოდა.

ხარიტონი ცდილობდა გაენაწყენებინა ზემო, შუა და ქვემო ქართლის სამღვდელოება და ამიტომ იენამწარა:

— თავადებს პირველად ხომ არ წაურთმევიათ მამულები ერთმანეთისათვის, დაე ახლაც თვითონ დაიცხრონ წოდებრივი გაუმაძღრობა. უფალსაც უბოძებია სწორი გადაწყვეტილება დამშეულთა და მწყურვალთათვის!

— ამინ! — გაძლიერებით დაადასტურეს კახელებმა. — ამინ!

ზურაბი ყურს უგდებდა დავას და ქულაჯა მკერდზე სულ უფრო მალე ადიჩადიოდა. მან ისე მკვეთრად გაიკრა ხელი მანიაკს, რომ ძვირფასი თვლები წკრიალით გაიბნა მარმარილოს იატაკზე. დიახ, იგი, არაგვის ერისთავი, ეთანხმება ციციშვილსა და ფალავანდიშვილს: დაე შეიკრიბოს დიდგვარიან თავადთა საბჭო.

არ ეპყობდა არაგვის ერისთავი: მის მიერ მოყვანილი

მოსაზრება მხოლოდ მას გახდის ნოსტეს მფლობელს. „განა ეს არ არის დამატკბობელი შურისძიება! — ნიშნის მოგებით ამბობდა ზურაბი. — დიდი დრო არ გავა, როცა მე, ნოსტეს ახალი მფლობელი, გააზატებულ ნოსტელებს თავიდან გამოეუბერტყავ სააკაძისეულ სულისკვეთებას. მე ავლაგმავ სახედრებს და ვამუშავებ თავიანთი ბატონის გასამდიდრებლად!..“ იგი გულში დასცინოდა მის გარშემო შემოკრებილ „ქორებს“ და სააკაძის მამული უკვე თავისად მიაჩნდა.

სიტყვიერმა პაექრობამ დაბინდებამდე გასტანა, და ზურაბი ძლივს ითმენდა, რომ არ წამოეძახა: „აბა ვის სურს დაეწიოს სვიმონ მეორეს?“

ბოლოს, თავის სამყოფლოში რომ აღმოჩნდა, ზურაბს სიცილი აუტყდა. ნოსტეს ციხე-დარბაზის სათოფურებიან გალავანზე ჩამოკიდებს ბატონებსაც და მონებსაც. დაე განქარდნენ! მან ფასი გაუგო საშინელების ძალას — როგორც ისეთ იარაღს, რომელსაც მორჩილებაში მოყავს ყველაზე ურჩნი,— და აპირებდა ფართოდ გამოეყენებინა თავის მოღვაწეობაში, რომლის მიზანი იყო ხელისუფლების მიტაცება აღმოსავლეთ საქართველოს ორ სამეფოში.

შემოვიდა არაგველი, მუხლი მოიყარა და გაუწოდა გრაგნილი, რომელიც ის იყო მაცნემ მოიტანა ანანურიდან.

ზურაბი კითხულობდა დედის, კნეინა ნატოს წერილს და თვალებს არ უჯეროდა. გრაგნილი გაჟღენთილი იყო, როგორც მას ეჩვენებოდა, არა ვარდის ზეთის სუნით, არამედ ჯოჯოხეთის მანგალის ქონით.

კნეინა ნატო იოლად როდი დანებებია, როცა მესტვირეს, იმას, ვინც ძველებურად ვერ ელეოდა მოკლე ნაბადს, მოუსმინა, მან მტკიცედ განაცხადა: მეფე თეიმურაზის საქმეებში არ ვერევიო.

— მეფის საქმეებში? — გაკვირვებით აიჩეჩა მხრები მესტვირემ. — და არა შენი ქალიშვილის, კეთილშობილი კნეინა რუსუდანის საქმეებში?

და აქ მესტვირემ საღებავები გაამუქა და ილაპარაკა იმა-

ზე, თუ როგორ ზეიმობენ თავადები და კნეინები, რომ ამაყი რუსუდანი უსახლკაროდ დარჩა, ისინი კი აბრეშუმის შარი-შურით ისეირნებენ ციხე-დარბაზში, დაკრეფენ ყვავილებს და გათელავენ ბალებს, მან რომ ასეთი სურვილით გააშენა.

კნეინა ნატო გააფთრდა:

— ო წმიდა მოწამე შუშანიკ! და ესენი არიან სწორედ ის კატები, რომელთაც დიდ პატივად მიაჩნდათ, როცა ჩემი კეთილშობილი ქალიშვილი მათ მიიღებდა!

— და მამაცი ნუგზარის ქალიშვილი! — აღვივებდა კნეინას გაჯავრებას მესტვირე. — მას რომ შეეძლოს იგრძნოს, თუ როგორ უპირებენ დამდაბლებას მის ქალიშვილს, წამოდგებოდა თავისი მარადიული განსვენების სარეცელიდან და მახვილით გარეკავდა თავხედებს.

ნატო აიბუძგა: აი... ცოცხალი ვარ, და ვითმენ!

— შენ ვინ გამოგგზავნა? — სწრაფად ჰკითხა კნეინამ და ორმაგი ნიკაპი აუთრთოლდა.

— შენმა კეთილისმყოფელმა; მხოლოდ მოკრძალების გამო მთხოვა არ დამესახელებინა.

— იქნებ რჩეულაც მომცა, როგორ მოვუგერიო თავადები ნოსტეს?

— მოგცა და ეგრე! განა შენ, კეთილშობილმა და მამაცმა კნეინამ, არ გადაარჩინე ანანურის ციხე-დარბაზი?

— მე?...

— ვფიცავ ზეცას, შენ!..

თავპირჩამობნელებულმა ზურაბმა მესამედ წაიკითხა წერილი:

„...ჩემი სიტყვა ეს არის: თუ შენ ვერ შეძლებ დაიცვა მამაცი ნუგზარის საყვარელი ქალიშვილის მამული, მაშინ თვით მე დავიცავ ნოსტეს, როგორც ანანური დავიცავი. იცოდე: ჰასუხს ველოდები ზუსტად შვიდ დღესა და შვიდ ღამეს თუ დაიგვიანე, წერილი გამოგზავნე ნოსტეს, რადგან მერვე დღეს იქ წავალ და... კიდევ იცოდე: მხოლოდ ჩემს გვამზე

გადააბიჯებენ მტაცებელი თავადები ჩემი რუსუდანის სახლის ზღურბლს... აგრეთვე იცოდე...“

გაჯავრებულმა ზურაბმა წერილი გადააგდო. ვინ? ვინ იყო დედასთან? ვინ დაამდაბლა იგი და გამოააშკარავა მიზანი, რომელსაც ისახავდა, როცა ჯერ კიდევ ხოსრო მირზას დროს დედოფალი მარიამი ანანურს გადაიყვანა? ვინ გაბედა შეჭრილიყო საიდუმლო თათბირის არსში? საიდუმლოს დაცვისათვის ხომ, გარდა ერთგული მსახურებისა და რაზმელებისა, ვერავინ გაბედავდა მიკარებოდა სეფედარბაზს!.. და მერე, როცა დაუპატიჟებელი მრჩევლისაგან შეიტყო, თუ კნეინა ნატო რატომ დაიყოლია მოყვარულმა ზურაბმა დაბრუნებულიყო ანანურს, იგი, რა თქმა უნდა, აღშფოთდა, რადგან დაბრუნდა თუ არა თბილისს მეფე თეიმურაზი, ანანურში ყველა დაპატიჟებული აქა-იქ გაიფანტა და იმედი ჰქონდათ მეტეხში ექეიფათ. მოხუცი დედოფალი მარიამიც კი აქ იქნება სტუმრად, სურს მეფის სასახლე გააკვირვოს პერგამენტის სახითა და მოტეხილი კბილით! მაგრამ პასუხი დაუყოვნებლივ უნდა გავცე. დავეთანხმო ყველაფერზე, მაგრამ პირობად დავუდო: კიდევ ექვს თვეს არ წავიდეს ანანურიდან არც მუხრანს, არც ქსნის ერისთავებთან. რადგან წავა თუ არა ანანურიდან, მყისვე იქ მიბრძანდება „ვეფხვი“ თავისი „ბოკვრებიანად“. „და თუ ნოსტეს ბუნაგი ხელთ ვიგდე, მაშინ ანანური სრულიადაც არ იქნება უარესი საცხოვრებელი ადგილი „მამაცი ნუგზარის“ ქალიშვილისათვის. დალახვროს! კვლავ შურისუგებელი ვრჩები! ნუთუ ვერასოდეს ვერ წამოვაჩოქებ იმ თავქედურა რუსუდანს? და მიწერია, თუ არა ვიხილო გიორგი საკაძის დამარცხება? მიწერია! რადგან ზეფე თეიმურაზი დამშვიდებული ვერ იმეფებს, სანამ საკაძე მოსპობილი არ არის“.

ყორნებივით მოფრინავდნენ უზენაეს თათბირზე თავადები. ბევრი ცოლითურთ მოვიდა, რადგან თითოეული ოცნებობდა თბილისიდან წასულიყო როგორც ნოსტეს მფლობელი და წინდაწინვე ტკბებოდა ქედმაღალი რუსუდანისა და ბატონობის მოყვარული მოურავის სასოწარკვეთილებით.

დაძაბულობა ძლიერდებოდა. განგებ დამშეიდებული ზურაბი ზიზღით შესცქეროდა „სვავებს“, სიბრძნის დარბაზის ზღურბლთან რომ შეკრებილიყვნენ. და ეჩვენებოდა, თითქოს ისინი თავიანთი გრძელი ნისკარტებით კორტნიდნენ მაღალ კარს.

მაგრამ იგი განივრად გაიღო და მეფე თეიმურაზი, ვისაც ენება უმაღლესი მრჩეველების თათბირს დასწრებოდა, დარბაისლურად, როგორც მხოლოდ ბაგრატიონებს სჩვევიათ, დარბაზში შემობრძანდა და მცირე ტახტზე დაბრძანდა...

ხმაურს, ურთიერთ საყვედურს, პროტესტს, დავას ორი დღე დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ ყველა თავადს ჰქონია ნოსტეს მისაკუთრების კანონიერი უფლება.

თეიმურაზიც კი დაიბნა: შესაფერისი დრო არ არის თავადთა გასაჯავრებლად, მაგრამ როგორ უწყალობოს ყველას ერთი ნოსტე?

— ჭეშმარიტად სოდომ-გომორია! — წუხდა თეოდოსი. — როგორც სამრეკლოა ყველა სახურავზე მაღალი, ისე ეკლესია ყველა სურვილზე! და გულაჩვილებულმა თავი ოდნავ გადასწია უკან, რამაც ზურაბს მოაგონა ველური წაბლის ხე, წვეროში რომ ბამბის ქულა ჰქონდა მიმაგრებული. — ჭეშმარიტად! გვინდა ვიცოდეთ: ვისღა უნდა ეკუთვნოდეს სამართლით ნოსტე?

— ვისა? — დაიღრიალა ზურაბმა და არქიეპისკოპოსი განგმირა ბოროტი თვალით, ვით ისრით. — იმას, ვინც ნამდვილად ფლობდა ნოსტეს, და არა იმას, ვინც. აშულის მსგავსად, მღერის იმაზე, რაც იყო და რაც ტკბილ სიზმარშიც კი არ ყოფილა. ეუსმენ და მაკვირვებენ თავადები! თავმოყვარეობამ ისე გაგვიტაცა, რომ დაგვავიწყდა: „ღვთის სწორმა“ გიორგი მეათემ ნოსტე უწყალობა აზნაურ საკაძეს. და თუ ბრწყინვალე მეფეთ მეფემ თეიმურაზმა თავისი სამართლიანი გულისწყრომით სამეფოს საჩუქარი მოღალატეს წაართვა, იგი სამეფოს უნდა დაუბრუნდეს.

თავადები სახტად დარჩნენ და ფარული აღშფოთებით მიაშტერდნენ დაუპატიჟებელ შემხსენებელს. გახარებული თეიმურაზი კი უკვე ძღვნიდა სიძეს კეთილმოსურნე ღიმილს:

„ნოსტე მდიდარი მამულია“. და უეცრად გაახსენდა: „განა შეეფერება მეფეს დაიკვეხნოს თავისი მიუხვედრელობა? რატომ არ მიკარნახა მდივანბეგთუხუცესმა ჩოლოყაშვილმა ხელსაყრელი გადაწყვეტილება?“

მგოსანმა მეფემ მოღუშულად გადაჰხედა თავის მრჩეველებს და ხელი აღმართა:

— თავადმა ერისთავმა გამოთქვა გადაწყვეტილება, ჩვენ რომ დიდი ხანია მივიღეთ. ჩვენ იმედი გვქონდა საბჭოს სამართლიანობისა. ვაცხადებთ ყველას გასაგონად: ჩვენ ვინებეთ ნოსტე საუფლისწულო სავარგულთა წიაღში მოვათავსოთ.

— ამინ! — წაიბუბუნა ზარივით არსენიმ, — ამინ!

— ამინ! ამინ! — დაუდასტურა კახეთის სამღვდელოებამ.

— უძღები ბატკანი ჯოგში დაბრუნდეს! — მადიანად იცინოდა ხარიტონი, გულში კი ზეიმობდა: „სამეფოს, ღვთის შეწევნით, გიორგი დროზე წაართმევს, მაგრამ გაუმაძღარი თავადებისათვის და — ღმერთმა შემინდოს, — არანაკლებ გაუმაძღარი სამღვდელოებისათვის წართმევა ადვილი როდი იქნებოდა“.

დამწუხრებული თავადები მაშინვე აპირებდნენ წასვლა-წამოსვლას, მაგრამ ჩოლოყაშვილმა, რომელიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გაემდიდრებინა მეფის ზანდუკი, წინადადება შეიტანა აერჩიათ ნოსტეს მოურავი. საჭიროა ახლავე გამგზავრება გადამწერლებითურთ, რათა გამორკვეულ იქნეს, რა სიმდიდრე აქვს მამულს. ნაცვალი, გზირი და მეზვერე მეფის სხვა სავარგულებიდან უნდა გადმოიყვანონ, დაე გლეხებმა იგრძნონ მაგარი ხელი.

და კვლავ ატყდა დავა, რადგან მოურავიც შეიძლება გამდიდრდეს. ყოველ მათგანს მაგალითად მოყავდა თავისი მამული და ამტკიცებდა: მხოლოდ მე შემიძლია მოვაგონო გათავხედებულ გლეხებს მეფის ქვეშევრდომთა მოვალეობაო. განსაკუთრებული გააფთრებით ესწრაფვოდა ძალაუფლებას მაღალაძე.

ზურაბსაც ისე მიაჩნდა, რომ თამაზსა და მერაბზე „უკეთეს გამანადგურებლებს“ ვერ ვიშოვნითო. განა სწორედ თამაზი არ გათავხედდა ისე ოდესმე თრიალეთის ბრძოლაში, რომ

საკაძეს მოსთხოვა მეწამული ნადავლი — ომარ-ფაშის თავი, რაც „ვეფხვეა“ თუნდაც იმით დაიმსახურა, რომ ზურაბ ერისთავი გამოგლიჯა გამხეცებულ თურქებს. მერაბი კი — ვით ნაჯახი: პატარაა, მაგრამ უზარმაზარ ხეს წააქცევს. კნეინა ნატოს შეუძლია მუქარა აასრულოს და გაემგზავროს ნოსტეს თუ არა, შვილიშვილებთან მაინ·ი, — დიდი ხანია ისწრაფვის მუხრანის მხიარულ ციხე-დარბაზში, საიდანაც მუდმივ მიდ·ს ანანურს შიკრიკი მიპატიჟებით — მობრძანდი და სუფრაზე საპატიო ადგილი დაიკავეო. არც ქსნის ერისთავები ეშვებიან. მაშასადამე, აქ შეთქმულებაა: ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ანანურიდან გამოიტყუონ კნეინა ნატო, რომელსაც არაფრის ეშვი არ აქვს. მერე კი დიდი მოურავი ლაგამს მიუშვებს თავის მდაბალ შურისძიებას. ამაო იმედია!..

ზურაბმა ხმამაღლა დაასახელა ახალგაზრდა ფალავანდიშვილი, როგორც მეფეთ მეფე თეიმურაზის ერთგული კარისკაცი, იმაზე უფრო გონივრულად სარგებელს მეფის ზანდუკისათვის ვერავინ გამოიღებს მდიდარი ნოსტედან.

თავადებმა იცოდნენ: „ახლა ზურაბ ერისთავის დროა“, და ერიდებოდნენ წინააღმდეგობის გაწევას.

ვაგემოთ გამანადგურებელი დარტყმა არა მარტო საკაძეს, არამედ ყველა მის თანამოაზრეს! აი გეგმა, რომელსაც ზურაბი ამზადებდა. და წავიდ-წამოვიდნენ თუ არა თავადები. ზურაბი შეუდგა მეფის დარწმუნებას, რომ გასწორებოდა აზნაურებს. სანამ ისინი გაერთიანებული არიან, საკაძე უძლეველია. აზნაურთა წოდება მისი ბურჯია! აზნაურთა განადგურება საკაძის აღსასრულია!

თავადებმა ჯანდიერმა და ვაჩნაძემ საფრთხე იგრძნეს და მალე მიიმხრეს მრავალი თავადი. ძლივს მოახერხეს მეფესთან ფარულად მისვლა და დააშლევინეს ჩაედინა ისეთი საქციელი, რომელიც მხოლოო ზურაბს შეეთერებოდა, რადგან მას პირადი ანგარიში ჰქონდა ბევრ აზნაურთან და სურდა მეფის ხელით ეგიმებინა დ·რტ··მა არა მარტო საკაძის მომხრეებისათვის, არამედ აზნაურთა მთელი წოდებისთვისაც. ასეთი მოქ-

მედება უსათუოდ გამოიწვევს ქართლელთა უკმაყოფილებას. კახელი აზნაურები ხომ ხელუხლებელი დარჩებიან? და ნათელი გახდება: არა წოდების, არამედ ქართლელთა წინააღმდეგ არის განწყობილი კახელი მეფე.

თეიმურაზი არცთუ ძლიერ მტკიცედ გრძნობდა თავს ქართლში და, თუმცა მუდამ ოცნებობდა განეიარაღებინა სააკაძე, შიგ გულში მოეხვედრებინა ნესტარი, მაგრამ იცოდა: დრო არ არისო. აი ჩოლოყაშვილიც კი ყოყმანობს.

თეიმურაზმა დაიჯერა ერთგული თავადების რჩევა და, ზურაბის გააფთრების მიუხედავად, ხელი არ მოაწერა ფირმანს, რომ სახელმწიფოს მიეთვისებინა სააკაძის მომხრე თავხედი აზნაურების მამულები.

— დამშვიდდი ზურაბ! სულერთია სააკაძე უნდა დაიღუპოს. ხოლო თუ მეთაური არ იქნა, არც მომხრეები იქნებიან. — და უკვე უფრო მშრალად დასძინა: — ჩვენ ვინებეთ დაგვეცვა ჩვენი ქვეშევრდომების მეურნეობა, რომ ყოფილიყო ვინმე, ვისაც სამეფო შეენახა.

ჩოლოყაშვილს არ გამოპარვია ზურაბის წყენა და. რაკი თვითონაც სააკაძისა და აზნაურების გააფთრებული მოწინააღმდეგე იყო, უზენაეს საბჭოს უკარნახა დადგენილება:

„სააკაძის მომხრეებს დაედოთ ერთდროული სამმაგი გადასახადი მეფის ზანდუკის სასარგებლოდ".

ამ დადგენილებას დიდი სიამოვნებით დაეთანხმნენ მეფეც და თავადებიც. და უფრო ხალისით მიიღო ეს დადგენილება თვით აზნაურთა კავშირმა, რადგან არავითარ სასიამოვნოს ზურაბ ერისთავისაგან არ მოელოდნენ. კიდევ კარგი, რომ წოდების შესანარჩუნებლად შეიძლება თავი დაიზღვიო ფულით, ცხენით, მატყლით.

კვლავ ქუხს ნოსტე, მაგრამ არა ისე, როგორც ქუხდა ხოლმე გაზაფხულის წყალდიდობის დროს, როცა დგება მიწის აღორძინების დრო, ან დათესილი ყანის, აყვავებული ბაღის, გაფურჩქნული ვაზის დოესასწაული. არა! ალით გარუჯულან ქვის ბუდეები. აქ აღშფოთებამ განდევნა სხვა გრძნობები. აქ

უხვად არის მუქარა, წუთობით რომ ძლიერდება. ასეა ხოლმე ზვავის დროს: მოწყდება თოვლი ჯოჯოხეთური ხმაურით, თან წამოიღებს კლდის ნამსხვრევებს, თავის შემთხვევითს გზაზე წალეკავს ტყეებსა და ყველაფერს, რაც ხელს უშლის მის შეუფერხებელ მოძრაობას.

საჩქაროდ მოსულმა გოგორიშვილმა, დაუთბეგის მამამ, ყველა პეპერა, „მოხუცი“ პაპა და „ახალგაზრდა“ პაპა ნახა ნოსტერის ნაპირას, სადაც მუდამ ჩუხჩუხებს რუხ-ლურჯი წყალი, აგორებს ქვებს და ბადროს სახეს აძლევს მათ. ძელებზე, რომლებიც თითქოს ოთხკუთხედის სამ მხარეს ქმნიან, ისეთი სივიწროვეა, რომ ბუზიც ვერ დაეტევა. მაგრამ გოგორიშვილის დანახვისას ყველანი ერთსა და იმავე დროს წამოდგნენ და სასურველ სტუმარს ეპატიჟებოდნენ ჩემს გვერდით დაჯექიო.

გოგორიშვილს ერიდებოდა, არავის ვაწყენინოვო, და გაუბედავად ათვალიერებდა ბავშვობის მეგობრებს, მისთვის ესოდენ ახლობლებს, სიჭაბუკის მეგობრებს, საპატიო მოხუცებსა და თანასოფლელებს, მისი არყოფნის დროს რომ მოწიფულიყვნენ.

დიმიტრის პაპამ უშველა:

— ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო! რა გაყვირებთ? ან იქნებ დაგავიწყდათ, სად უნდა დასვათ საპატიო სტუმარი? — დიმიტრის პაპამ მოურიდებლად ჯოხით მისწი-მოსწია პეპერები და მეგობარი მთავარი ძელის შუაგულში დასვა. — დაჯექ ძვირფასო! სანამ ბატკანს დაკლავდნენ, გვიამბე, როგორ ხარ? ხომ კარგად არის შენი კეთილშობილი ოჯახი?

— გმადლობ, ძვირფასო, ყველანი, მადლობა ღმერთს, კარგად არიან. მხოლოდ ერთი რამეა საწყენი — ნოსტე ირყევა.

— ე, მეგობარო, ყველაფერი, რაც ირყევა, ყოველთვის როდი ეცემა, შენ ვინ გითხრა?

— მოკლენაბდიანმა მესტვირემ. იგი არჩილმა, მეფის საჯინიბოს ზიდამხედველმა გამოგზავნა.

— აქ ის წინათ იყო. დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის უკვე მოვამზადეთ მასპინძლობა: საუზმე — რომ დახოცილიყვნენ, სადილი — რომ სული გაფრთხობოდათ!

გარშემო ხარხარი ატყდა. ასეთები არიან ნოსტელები: ნწუხარებაშიც არ შორდებათ სიცილი და მხიარულებაშიც მათს ყურადღებას არ გამოეპარება მწუხარება.

წაქეზებულმა მათარსის პეპერამ გადააფურთხა და წამოიძახა:

— თუ ცოტა იქნა, სამხრად შეგვიძლია...

— საჩქაროდ იმიტომ მოვედი, რომ თქვენი სიფიცხის ამბავი ვიცოდი! — თქვა გოგორიშვილმა. — ძაგისი დრო არ არის ახლა, რომ ნოსტური ხასიათი ვუჩვენოთ. შეუძლიათ ისარგებლონ და ჩვენც გაგვიმასპინძლდნენ, რითაც არ შეიძლება.

— შენ რაო, იმისათვის მოხვედი, რომ მორჩილება გვირჩიო? — გაიკვირვა დიმიტრის პაპამ და ისე წამოხტა, თითქოს ბრძოლის ველზეა და იარაღი მოიმარჯვაო.

— დამორჩილება არ იქნება! ვინც მოურავთან ერთად ცხოვრობდა, მან მორჩილება არ იცის! — პავლე ირწივივით წამოიქოჩრა.

— მე მორჩილებაზე როდი ვლაპარაკობ, ძვირფასო პავლე, არამედ გონივრულ მოქმედებაზე — შევინარჩუნოთ თუ სიმდიდრე არა, ციხე-დარბაზი მაინც მთლად.

— უკვე შევინარჩუნეთ! — ჩაიცინა მათარსის პეპერამ და თვალი ჩაუკრა მეგობრებს. — შედი, მეგობარო, დარბაზში: იქ დიდ ხანს არ დარჩებიან დაუპატიჟებელი სტუმრები!

— ჭვალიც დასობიათ გვერდებში! — სულითა და გულით უსურვა დიმიტრის პაპამ.

— უმჯობესია უფრო ქვემოთ! — დააზუსტა მათარსის პეპერამ.

ხარხარმა გააყრუა მდინარის ნაპირი. არა, აქ არავინ დაემორჩილება!

— პირუტყვის საქმე როგორ არის? — გოგორიშვილი ცდილობდა დაეცხრო აღგზნებული ნოსტელები.

— პირუტყვი? კარგად. — გაიცინა ვარდისის ქმარმა. — ნახევარი მთაში დავმალეთ, როგორც მტრისაგან. ბევრი ჯოგი „ვეფხვების" მშობლებთან მივრეკეთ. — შენთანაც გამოვგზავნეთ, ძვირფასო გიგო, — ალბათ სხვა ბილიკით მოდიოდი, იმი-

ტომ არ შეგხვედრია, — საერთო სიცილში უთხრა ერასტის შეჭაღარავებულმა სიძემ.

— მაგრამ ცოტა მაინც ხომ დატოვეთ? ოჯახი როგორ იცხოვრებს უპირუტყვოდ?

— როგორ არა; მე სამი კუდიანი ცხვარი, მობერებული ძროხა და ორი თხა დავინარჩუნე. რა გაეწყობა, საკაძემ დიდი ხანია ნოსტე დატოვა, ვისაც წინათ ბევრი ჰყავდა, დაკლა და შეჭამა. ვისაც კი ცოტა — კვლავ ღარიბი დარჩა. აი ბაბო ქეთევანმა უკანასკნელი ქათამი ელიზბარის მამას გაუგზავნა და ბოლ დღეს ასე ყვიროდა: „გიორგი საკაძის დროს მოშენებულ ფრინველს რომ მტერი ჭამდეს? უმალ დაბრმავდე!..“ ქალებმა ნათქვამი დაუდასტურეს. ახლა ცოტას ვნანობთ, არც ერთი ინდაური არ დაგვიტოვებია, რომ შენისთანა ძვირფას სტუმარს საკვებით გავუმასპინძლდეთო.

— საკვებით მაშინ გავუმასპინძლდებით, როცა ჩვენი გიორგი დაბრუნდება და ბლაგვი ხმლით, ვით ბატებს ბოსტნიდან, გარეკავს დაუპატიჟებელ მფლობელებს.

— მე ასე გეტყვით, — ფრთხილად დაიწყო გოგორიშვილმა: — ჩვენი გიორგი მარტო იარაღით როდი იმარჯვებდა, არამედ უფრო ჭკუით. თუ ჭკუაც ისე დამალეთ, როგორც ქათმები, ცუდ სამსახურს გაუწევთ დიდ მოურავს. მეფის მსახურთ გაეხარდებათ და ურჩებს მთლად მოსპობენ.

— როგორ თუ მოსპობენ? დახოცავენ? — განცვიფრდა მათარსის პეპერა.

— რატომ დახოცავენ? სხვა რამ მოიგონეს: ყველა ნოსტელს მეფის სხვადასხვა სოფელში გადაასახლებენ. დაფიქრდით, მთელ სიცოცხლეში ერთად ვყოფილვართ, ურჩობისათვის კი — შეიძლება ერთმანეთს ვეღარც კი შევხვდეთ.

დუმილმა, ყინულის ლოდივით მძიმე დუმილმა მოიცვა ნაპირი. გაქრა ფერების მკაფიო ლივლივი, რომელიც წელან უღრუბლო დღის სიამეს გვრიდა მთებს, მდინარეს, ველს და ახლა ზოზინა უფერული ნისლი დაეფარა სივრცეს.

დიმიტრის პაპამ საშინელებასავით იგრძნო, რა მოჩვენებითია ოცნება და რა მკაცრია სინამდვილე. „ჩამოშორდე ყველაფერს, რაც ბავშვობიდან სული და გული გახდა! აღარ ისუნ-

თქო მუდამ წყაროსავით სუფთა ჰაერი! მოშორდე მათარსის პეპერას! არა! სჯობს...“ დიმიტრის პაპამ ტუჩზე ხელი მიიჭირა, თითქოს ეშინია, აი ეს არის კვნესა აღმოხდება და ყველაზე იდუმალ გრძნობას გამოამეღავნებსო. უცქერდა და ეეღარ ცნობდა ძვირფას სახეებს. შიშითა და სასოწარკვეთილებით დამახინჯებულნი, ისინი თითქოს დაჭკნენ შემოდგომის ნისლში, უკვე შორს... შორს არა თუ ნოსტეს, არამედ... მთელი დედამიწის ფარგლებს იქით.

გოგორიშვილმა თვალი მოავლო ნაპირს, შეშფოთებულ ნოსტელებს და გაიფიქრა: „დაგვიფაროს ივერიის ღვთისმშობელმა, მტერს ვუკარნახოთ ის, რაც წარმოუდგენელია! ნოსტელებისათვის გათიშვა ყველაზე საშინელი სასჯელია“, — და გასამხნევებლად ხმამაღლა თქვა:

— თუ პატივით მიიღებთ, ყველაფერი ძველებურად იქნება. რა გაეწყობა, მათს ეზოში ახლა დღესასწაულია, ზურნა უკრავს. მაგრამ დადგება დრო, ისინი იფიქრებენ, როგორ დაიცვან... არა, პირუტყვი კი არა, ასეთი რამ ჩვენ არ მოგვხიბლავს, — როგორ შეინარჩუნონ სიცოცხლე; თუმცა საზიზღარი, მაგრამ მაინც საკუთარი სიცოცხლის დაკარგვა დასანანია.

დიდ ხანს მოძღვრავდა ნოსტელებს გოგორიშვილი. მზე, როგორც ცეცხლის გორგალი, მიგორავდა ლურჯ ბილიკზე. ებღაუჭებოდა მქრქალ ღრუბელს, როგორც გზისპირა კოლბოხს, როცა ვიღაცას მოაგონდა, რომ სტუმარი მშიერია და ნამგზავრს არ დაუსვენია.

თუ ციხე-დარბაზში რაიმე ავეჯი კიდევ დარჩენილიყო, ჭკუიანი მეგობრის რჩევის შემდეგ დამორჩილდითო, მოხუცებმა სულ ყველაფერი გადამალეს, უკანასკნელი სპილენძის ტაშტიც კი და მის ნაცვლად გაბზარული თიხის თეფში დატოვეს.

გოგორიშვილი ვითომ ვერაფერს ხედავდა. მაგრამ მუდამ წუხდა, მეფის მსახურთ აქ როგორ შეხვდებიანო.

ლოდინი დიდ ხანს არ დასჭირვებიათ. სამი დღის შემდეგ ნოსტეს მოვიდნენ ახალგაზრდა თავადი ფალავანდიშვილი და გადამწერლები, ფაფახები რომ მუზარადებით შეეცვალათ,

საქმიანი ნაცვლები, მოფუსფუსე მეზვერეები და პირადი მსახურნი, ქეიფზე რომ ოცნებობდნენ.

თავადი უზანგებზე შემდგარიყო და განცვიფრებული ათვალიერებდა მიმწუხრებულ ნოსტეს, — დაცარიელებულ ქუჩებში არ გაისმოდა არა თუ მისასალმებელი სიტყვები, არამედ ჩვეულებრივ ყველგან მოფუსფუსე ბავშვების ყვირილიც კი. „რა ამბავია? ნუთუ დაიხოცნენ?“ — არცთუ აუღელვებლად წარმოთქვა თავადმა.

სახლებიდან გამოძვრნენ ჯერ მოხუცები, მერე უფრო ახალგაზრდები. დაღვრემილი სახეები და ღარიბული ტანსაცმელი ნაკლებ შეეფერებოდა მდიდარი ნოსტეს სახელს.

დიმიტრის პაპა და მათარსის პეპერა თავადთან მივიდნენ, ცხვრის ტყავის ქუდები მოიხადეს, ზრდილობიანად მიესალმნენ და გულგრილად ჰკითხეს, კეთილშობილი თავადი საიდან და საით მიემგზავრებაო.

ფალავანდიშვილმა ინანა, რომ არ დაუჯერა უფროს ნაცვალს და წინასწარ არ გამოგზავნა შიკრიკები გასაფრთხილებლად: სააკაძის მამული მეფის ხაზინაში გადავიდა და ნოსტეს ახალი მოურავი ჩამოვაო.

საჩქაროდ შეკრებილმა ნოსტელებმა რომ ეს ახლა შეიტყეს, პირდაღებული დარჩნენ, თითქოს განცვიფრებით. დიდი გასაჭირი დაადგა გოგორიშვილს, რომ არ გადაეხარხარებინა. „მასხარები!“ — გაივლო გულში.

— ვინ არის აქ უფროსი? — განგებ დამშვიდებით იკითხა თავადმა და ხელში აათამაშა ძვირფასი მათრახი.

— არავინ, თავადო. ვცხოვრობთ, ვისაც როგორ სურს. — ამოიოხრა დიმიტრის პაპამ.— მოურავს მე არ დავუტოვებივარ ციხე-დარბაზის მცველად, მაგრამ, იქნებ, მე ვიყო უფროსი?

— მაშ ნოსტეს ვინ უგდებს თვალყურს?

— თვალყური რად უნდა? ისედაც არსად გაიქცევა.

— არ გაიქცევა? — გაჯავრდა გზირი. დაავიწყდა, რომ თავზე ქუდი კი არა, მუზარადი ეხურა, და სიყოჩაღისათვის ცდილობდა განზე მოეგდო იგი. — რაო, თქვე ვირიშვილებო, გადასახადს არ იხდით?

— დიდი მადლობა, გზირო! დიდი ხანია, გიორგი მეათის

დროიდან არ გაგვიგონია აგეთი სასიამოვნო სიტყვები და ამიტომ დაგვაეიწყდა, რომ „ვირიშვილები“ ვართ.

— მას შემდეგ, რაც ჩვენი მოურავი ნოსტეს კეთილშობილი პატრონი გახდა...

— აი მათრახს გადაგიჭერ და...

— დღეს? — შეშფოთებით იკითხა დიმიტრის პაპამ.

— უმჯობესია აღდგომას, — ურჩია მათარსის პეპერამ.

ნოსტელები აფრუტუნდნენ, ერთმანეთს ხელი წაჰკრეს და სიცილი ასტეხეს.

— თავად ვირიშვილო! — ბოლოს გული მოუვიდა გზირზე დიმიტრის პაპას. — სად გინახავს, რომ მოხუცებს მათრახს სცემდნენ? ირანში? ასი საჭურისი შენ საუზმედ!

— ხალხო, მოიცათ! — და გოგორიშვილი წინ წამოდგა. — თუ მეფის გამოგზავნილი ხარ, ნოსტელები პატივს გცემენ, კიდევაც დაგემორჩილებიან.

— შენ ვინ ხარ? უფროსი ხარ აქა?

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, მე აზნაური გოგორიშვილი ვარ. მოვედი გამეგო მოურავის ამბავი: მალე დაბრუნდება, თუ არა.

— შენ, კი აზნაურო, საკაძესთან რა გესაქმება? — გამომწვევად დაიწყო ნაცვალმა.

— მე შენ არ გიპასუხებ და თავადის მაგიერ ნუ ეჩრები!

— მაშინ მე მითხარ, მოურავი რად გაინტერესებს?

— დიდი სიამოვნებით, თავადო. ჩემი შვილი დაუთბეგი „ვეფხვთა“ რაზმის“ წევრია, მოურავთან ცხოვრობს. მეშინია. თუ თურქები მოვიდნენ, დიდ ხანს ვეღარ ვნახავ.

— მერე შენ საიდან იცი, რომ თურქები მოვლენ? — დაცქვიტა ყურები ფალავანდიშვილმა და უნებლიეთ მათრახი წაღის ყელში ჩაირჭო.

ნაცვალმა მნიშვნელოვანი თვალით გადაჰხედა გზირს: საომარი განწყობილება „ვეფხვის“ ამ ბუნაგში, როგორც ჩანს, ნაადრევიაო.

— არსაიდან არ ვიცი, თავადო. მხოლოდ ნახევარმთვარის ეშმაკთა ჩვეა კარგად ცნობილია: რაკი სპარსელები წავიდნენ, მაშასადამე, გზა ხსნილია.

— გამოდის, შენი შვილი მათ შეეგებება?

— სხვანაირად ვერ მოიქცევა! რაკი მტერი ცეცხლით შემოვა ქართლში, უსათუოდ ხმლით შეხვდება. მხოლოდ ახლა ამაზე როდია ლაპარაკი. ნოსტელებმა უკვე შეიტყვეს: თურქები ჯერ არ მოვლენ, მოურავისა ეშინიათ.

— შენი აზრით, აზნაურო, მეფისა არ ეშინიათ?

— როგორ შეიძლება, თავადო! ჩვენმა ბრწყინვალე მეფემ მაგრად დაარტყა სპარსელებს, რატომ თურქებსაც ასე არ მოექცევა?

— ვხედავ, შენ აქ შინაური კაცი ხარ... რაკი „ვეფხვის" მამა ხარ, მითხარ, ვინ არის უფროსი?

— უფროსია მეზვერე გოგია; გზირს, ნაცვალსა და მისთანებს აქ არ აფასებენ, ყველამ თავისი საქმე იცის.

— მერე მეზვერე სად არის?

წინ დარბაისლურად წამოდგა ვარდისის ქმარი.

— მე ვარ მეზვერე, კეთილშობილო თავადო.

— შენა? მერე რატომ ხმა არ გაიღე, როცა ვიკითხე?

— დამავიწყდა, რომ მეზვერე ვარ: დიდი ხანია ასაკრეფი არაფერია.

— გამოდის, ჰაერს ყლაპავთ თქვენდა სასიამოვნოდ? — დაცინვით ჩაილაპარაკა ახალმოსულმა მეზვერემ.

— ეშმაკსაც ნუ მოშლია ასეთი სიამოვნება! — ხანში შესულმა პაველმა განზე გააფურთხა. — ომმა სვიმონ მეფის მეგობრებთან, მაჰმადის სამოთხეშიც დამტკბარა მისი სული...

— ვერ დატკბება! სალამს ვერაფრით მისცემს ალაჰს: თავი ეშმაკის ფეხებში გაუგორდა.

ნოსტელები იცინოდნენ, მაგრამ თვალები დაბინდული ჰქონდათ. თავადმა კეთილმოსურნედ შეხედა მათარსის პეპერას. გოგორიშვილმა თავადი მიიწვია: ნამგზავრი ხარ და დაისვენეო. მოსულებთან ერთად სააკაძის ციხე-დარბაზში შევიდნენ საპატიო მოხუცნი და ხანში შესულნი, ნიშნის მოგებით რომ წინასწარ ტკბებოდნენ თავადის გაოცებით.

ფარეთო ბილიკმა, აღმართს რომ უელიდა, ცხენოსანთა ჯგუფი მიიყვანა რკინით შეკედილ ჭიშკართან; ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი მდუმარედ აღმართულიყო, ვით დაცარიელე-

ბული ბუდე. აქ ოდესღაც მეფე ლუარსაბმა პირველად დაინახა თეკლე. ფალავანდიშვილმა მუზარადი მოიხადა, თავი დახარა და საკადრისი მიუზღო სიყვარულის სიდიადეს. არა მარტო „ღვთის სწორი", არამედ „ალაპის აჩრდილი დედამიწაზე" — შაჰ აბასი ილხენდა ამ მრისხანე ციხე-დარბაზში. მპყრობელნი ოქრო-ვერცხლით ავსებდნენ „ვეფხვის" ლეგენდარულ სავანეს. ამ ფიქრებით ავიდა კარის თავადი ქვის კიბით დარბაზში... და ზღურბლზე გაქვავდა: მოსალოდნელი სიმდიდრის — ხალიჩების, იარაღის, ვერცხლის ნაკეთობათა ნაცვლად — კუთხეებში საბრალოდ მიკრუნჩხულიყო თიხის ჭურჭელი, სიცივეს ჰგვრიდა სრულიად გაშიშვლებული ქვიტკირის კედლები; არაბული ავეჯი კი არა, ხის სკამები ეყარა დაჩიჩქნილ იატაკზე.

სისხლი აუვარდა თავში თავადს და, თავისთვის მოულოდნელადაც კი, წაღის ყელიდან ამოიძრო მათრახი და დაიღრიალა:

— სად არის სააკაძის სიმდიდრე?

— მოურავმა ყველაფერი თან წაიღო, როცა ხოსრო მირზასაგან გადაარჩინა ოჯახი. — დინჯად და თითქოს წინასწარ უზრახველად მიუგო ვარდისის ქმარმა. — ვინ იცოდა, რომ შაჰმადიანს გულში მადლობა ჰქონდა? ახსოვს: მოურავმა დავიწყების ჭაობიდან ამოათრია იგი და მირზა გახადა. შუბის ერთ სატყორცნეზედაც კი არ მოჰკარებია ნოსტეს არც ერთი სარბაზი.

ფალავანდიშვილმა მწარედ ჩაიკვნიტა ტუჩი: თუმცა ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ თეიმურაზი, რომელსაც მოურავმა დახმარება გაუწია დაებრუნებინა გვირგვინი, და ისიც ორი სამეფოსი, მაგრამ ქარაგმა მეტად ცხადი იყო.

მეზვერემ ჩვევისამებრ დაიკაპიწა ჩოხის სახელოები და დაღვრემილი მივიდა ტახტთან.

— ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ აქ დაფენილი იყო ხალიჩა: შუა გულში — წითელი ფრინველები, გვერდებზე ვარდებიანი ლარნაკები. ახლა კი მატყუარას ენასავით ცარიელი ფიცარია. სად დამალეთ?

— მოძებნე, ბატონო. იპოვნი, შენი იყოს. ფიცრები კი

გლუვი როგორ არ იქნება, თუკი მათი გაშალაშინება მოურავმა ბრძანა. და მერე ფიცრების წაღებას ვინ გაბედავს, რაკი მოურავმა მე მომანდო ციხე-დარბაზის ყარაულობა? თუმცა არა ყოველ დღე, მაგრამ ხშირად აქ მძინავს. — დიმიტრის პაპამ ქამარი შეისწორა და წელში გაიმართა.

თავადმა გაუბედავად მიიხედ-მოიხედა. მათარსის პეპერა ხელად გავარდა გარეთ, ბალიში შემოიტანა, ჩითის პირი რომ ჰქონდა გადაკრული, ფრთხილად დადო ტახტზე, მოშორდა, გვერდიდან შეხედა, კვლავ მივიდა, ბალიში ააფუმფულა და სტუმართმოყვრულად წარმოთქვა:

— დაბრძანდი, თავადო! როგორ შეიძლება, ასეთი კეთილშობილი და — ცარიელ ტახტზე!.. სამწუხაროა, რომ არც ერთი ინდაური არ დაგვრჩა; ბაბო ქეთევანი ერთ ამბავშია: საციეი რისგან გავაკეთოვო.

გოგორიშვილმა ძლივს შეიკავა სიცილი და რაც შეიძლებოდა მკაცრად უთხრა ვარდისის ქმარს:

— ბატკანი შეწვი, ღვინოც საუკეთესო მოიტანე თავადისათვის — ატენური! თაფლი უთუოდ არის: ქალებმა გოზინაყი მოამზადონ, ახალი ლავაში გამოაცხონ. თავადო, სად გვიბრძანებ, სუფრა გავშალოთ?

— სადაც გინდა, ჩემთვის სულერთია, — მოიღუშა თავადი: სიამაყე მოითხოვდა უარი ეთქვა იძულებით სტუმართმოყვარეობაზე, შიმშილი კი ოცნებას უხელებდა, ხოლო ღვინისა და ლავაშის ხსენებამ გამცემლურად აუთრთოლა ტუჩი. — აზნაურო, დიდი ხნით ხარ მოსული?

— მინდოდა დღეს წავსულიყავ. ახლა, თუ ნებას მომცემ, დავრჩები და დაგეხმარები.

— ეს მე თვითონ მინდოდა მეთხოვნა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სადილი თავადს გემრიელი მოუმზადეს და ღვინოც კარგი იყო. მეზვერისათვის, გზირის, ნაცვალისა და გადამწერლებისათვის სუფრა მეორე ტახტზე გაშალეს და მასპინძლობაც უარესი იყო — ღვინო უფრო მომქავო იყო და გოზინაყისა და სხვა ტკბილეულობის მირთმევა სულაც დაავიწყდათ.

თავადმა გოგორიშვილი თავის სუფრაზე მიიწვია და წყნა-

რად ეკითხებოდა... სააკაძეზე. გოგორიშვილს უნდოდა ნოსტელებზეც ელაპარაკნა, მაგრამ დაღლილმა თავადმა ხელი ჩაიქნია და უთხრა: „ხვალ!“

ჩამოსულთა ძილი არ გაუფრთხიათ მამლის არც პირველ და არც უკანასკნელ ყივილს: მამლები საერთოდ არ იყვნენ. სამაგიეროდ მთელი ღამე ათევიათ ხმელმა საწოლმა.

დილაადრიან მეზვერემ, გზირმა და ნაცვალმა, წამდაუწუმ რომ იგინებოდნენ, დაიწყეს მთელ ნოსტეში ფათური. ისინი გრძნობდნენ ოინს, მაგრამ დასამტკიცებელი საბუთები არ იყო. მცირე მარაგი საზამთროდ, უბადრუკი პირუტყვი და ცარიელი სარდაფები არა თუ გამდიდრების „კანონიერ“ წილს არ უქადიდნენ, არამედ არც მაძღარ ცხოვრებას. როცა ისინი ნოსტელებს ჰკითხავდნენ, დერგებს ახალი ყველის სუნი რად უდითო, მათ არწმუნებდნენ: „ახალი იყო, ამჟამად კი ყველიც აღარ ეთქმისო“. როცა მსუქან ქათამს აღმოაჩენდნენ, ეფიცებოდნენ: „ქორწილისათვის ვასუქებდითო“. ქეთევანს კი საქმე სულ ცუდად წაუვიდა. გამოცდილმა მეზვერემ სიხარულით წამოიძახა:

— პირუტყვი სად დამალე?

— დიდი ხანია დავკალით.

— დაკალით? ეს ახალი ნაკელი კი საიდანაა?

— ჩემმა ანგელოზმა მიშველა.

— რა-ა-ო-ო-?! — აიბუძგა გზირი. — რა თქვი?

— განა ტყუილია? ნაკელი აგერ ერთი წლისა იქნება, შესახედავად კი თითქოს ეს არის... დაყარესო.

— ხმა ჩაიწყვიტე! — დაიღრიალა გზირმა. — თავადს ვეტყვი! კარგად დაგაჯილდოებს იმისათვის, რომ...

— დაე აგრე იყოს, მხოლოდ შენ თვითონ ხედავ: ანგელოზზე უხვად ამას აბა ვინ იზამდა. იმის იმედი მაქვს.

ბურთივით გამოვარდა ქეთევანის ეზოდან წამოჭარხლებული ნაცვალი, რომელსაც ხელში ეჭირა ცარიელი ქისა, მას მოჰყვებოდა გზირი, რომელსაც მუზარადზე უბრწყინავდა სპილენძის ისარი, გამორბოდნენ გაოცებული მეზვერე, რომელსაც მხარზე ქამანდი ეკიდა, და გადამწერლები, ქამრებზე რომ საწერლები ებათ და ფაფახებში გაცმული ჰქონდათ ბატის

ფრთები; მათ წყევლა-კრულვით მოსდევდა უკან გააფთრებული ბაბო ქეთევანი.

დიდხანს ესაუბრებოდა გულითადად თავადი გოგორიშვილს, რომელიც არწმუნებდა, ჩემს რჩევას დაუჯერეო. თავადი ულვაშს იკვნეტდა და სულ უფრო იღუშებოდა და, ბოლოს, ბრძანა, ნოსტელები შეყარეთო.

ამდენი ხალხი დიდი ხანია არ ყოფილა ეკლესიის მოედანზე. ყველა დუმდა. ჩურჩულიც კი არსად ისმოდა. „ასე უნდა", — ასწავლიდა მათ წინა დღით გოგორიშვილი.

თავადმა წალაში ჩაირეკა მათრახი და წარბშეკრულმა ჩამოათვალიერა მოედანი. „რა ხალხია! წყნარად დგას, მე კი მგონია, ქვას მესვრიან-მეთქი, თანაც მგონი ორ-ორი სატევარი აქვთ დამალული ჩოხებში"; მან პირჯვარი გადაიწერა და იკითხა:

— მღვდელი სად არის? რატომ ვერ ვხედავ?

— შენ არაფერ შუაში ხარ, კეთილშობილო თავადო: როგორ შეიძლება იმის დანახვა, ვინც არ არის? — დიმიტრის პაპამ ამოიოხრა. — ჩვენს მამა ანტონს ქალიშვილი ძლიერ ავად გაუხდა. მეტად უყვარს იგი. როგორც კი მოამბე მოიკრა, მამა ანტონი იმწამსვე ჭაკს მოახტა, თუმცა ანაფორიანია, მაგრამ რა ჯირითი იცის! ოჯახიც კვალდაკვალ გაჰყვა, მართალია, ურმით. რა გაეწყობა, მხოლოდ ერთი ჭაკი ჰყავთ.

— მედავითნეც ოჯახთან წავიდა, მაგრამ სახედრით, გამდიდრდება და ჭაკს იყიდის. შესაძლებელია იქ დასჭირდეთ, — მორჩილად დასძინა პავლემ.

მათარსის პაპას თვალები მთლად გაუბრწყინდა: სწორედ მან მისცა ნიშანი მოკლენაბდიან მესტვირეს გამოეგზავნა ცრუ მოამბე. „თორემ მღვდლის თანდასწრებით როგორ დამალავ პირუტყვს? ან სიმდიდრეს როგორ მიჩქმალავ? თუმცა ჩვენიანია — ისიც გიორგის ელოდება, მაგრამ მაინც მღვდელია: შეიძლება ვერ მოითმინოს და შემცოდავნი გასცეს სულის ცხონებისათვის. უმჯობესია არ ვაცდუნოთ. სანამ ქალიშვილთან მივიდოდეს, ერთი დღე გავა; მივა, ნახავს კარგად არის, გაეხარდება, ცრუ შიკრიკს აპატიებს. და რაკი მივიდა — სტუმრად დარჩება. მერე ოჯახი ურმით მიჩოჩდება, მედავით-

ნეც — სახედრით. კვლავ სტუმრობა დასჭირდება, გზაში დაღლილი არიან. სანამ დაბრუნდებოდნენ, აქ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება, უკვე მეფისანი გავხდებით. ეწყინება, რომ თავისის დამალვა ვერ მოასწრო, — თუ ცოდვა არ იქნა, სულს როგორ იხსნი? — და გამოჯავრებული ჩვენსაზეც არაფერს იტყვის".

თავადი კი, რომელსაც თავდაჯერება დაეკარგა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, სანამ ხმა არ ჩაუწყდა.

— ნუ დარდობ, თავადო, რა თქმა უნდა, დაცვაზე უარს არ ვიტყვით. ჭკუათამყოფელი ვინ იფიქრებს, რომ გიორგი სააკაძე არ დაბრუნდება?

„ეს მოხუცი მართალია, — ფიქრობდა უღურგატეხილი თავადი. — ხოლო სააკაძე რომ დაბრუნდება, შურისძიებას დაიწყებს. რატომ უნდა ჩავაგდო საფრთხეში ჩემი ციხე-დარბაზი. ნემდეგ, განა ზურაბი ნართაულად არ ამბობდა, რომ ერისთავის კნეინა ნატოს, ჩემს შორეულ დეიდას, ესიამოვნება, რომ რუსუდანის ციხე-დარბაზის მცველი თავადი იყოს მისი გვარიდან?"

— მაშასადამე, არა გსურთ დაემორჩილოთ ჩემთან ერთად მოსულ ნაცვალს, გზირსა და მეზვერეს?

— კეთილშობილო თავადო, ყოველი ჩვენგანი ცალკე დაემორჩილება, ხოლო ყველასათვის ერთად პირობას ვერ მოგცემთ. დაიწყებენ შევიწროებას მოსულნი, ხალხი საფარფაშის მიწვევას გაიხსენებს და... ერთ მშვენიერ დილას, მოხუცების გარდა, მამაცი მუზარადიანი გმირი და ფაფახიანი ნაცვალი ვერავის ვერ ნახავენ.

„ო, რომ ღვინოში ჩამხრჩვალიყო! — კინაღამ წამოიძახა გოგორიშვილმა და ალმაცერად გადაჰხედა განგებ დამწუხრებულ გოგიას. — ყოველი საშუალებით უნდა დავიცვათ ნოსტე, სანამ მშვიდად იმეფებს თეიმურაზი და სანამ შფოთიანად არ ისწრაფვის მთიელებისაკენ ზურაბი".

„რა უნდა ვქნა? ნუთუ დავიჯერო აზნაურის რჩევა? — თითქმის მწუხარებით ფიქრობდა ფალავანდიშვილი. — ეს რა ხალხია! წყნარად დგას, მორჩილად ლაპარაკობს, მე კი მგონია, რომ ვდგავარ კლდის ქვეშ, რომელიც ეს არის თავზე

დამეცემა. არა! აქ არავინ არ დაგემორჩილება! ბუნაგია „ვეფხვისა, რომელიც შუბს იქნევს“.

ორი დღის შემდეგ ხავერდის ლაბადაში მაგრად გახვეული ფალავანდიშვილი ნოსტეს ტოვებდა, მას დაღერემილი მიჰყვებოდნენ გზირი, ნაცვალი, მეზვერე და ორი გადამწერელი.

ნოსტელები უკლებლივ გამოვიდნენ დაუპატიჟებელი სტუმრების გასაცილებლად, დიდიან-პატარიანად იდგნენ გზის ნაპირებზე თავდახრილნი, ხელები სატევარზე ედოთ. გარეგნულად თავაზიანები, უსიტყვოდ აგონებდნენ თავადს, რომ მთიელები არიან, რომლებიც დიდმა მოურავმა გამოზარდა, და ნებას არავის მისცემენ დრო უკან დააბრუნონ, როგორც მიხრწნილი სახედარი. მათთვის გრძელდებოდა გიორგი სააკაძის დრო, გამაგრილებელი წვიმის დრო!

გზირი ტუჩებს იკვნეტდა, შიშით უცქეროდა ნოსტელებს და ფიქრობდა, რომ სპარსული ზარბაზნები არსად ისე გამოსაყენებელი არ იქნებოდა, როგორც აქ. ხოლო თავადი კვლავ კვირობდა: „ეს რა ხალხია! დგანან, თავაზიანად გესალმებიან, მე კი მგონია, გაშიშვლებულ სატევრებს ატრიალებენ-მეთქი“.

მაგრამ თავადი კმაყოფილი იყო: აზნაურ გოგორიშვილის დახმარებით მან წინადღით მოახერხა შეთანხმებოდა ნოსტელებს. რაკი სააკაძის მამული სამეფოს განკარგულებაში გადავიდა, აქ ყველაფერი ისე უნდა იქნეს, როგორც მეფის დანარჩენ მამულებში. გზირი, ნაცვალი, მეზვერე თავადმა ბრძანა ნოსტელთაგან აერჩიათ, მერე ჰკითხა, მალე დაიწყებენ თუ არა გადასახადების აკრეფასო. შეთანხმდნენ: „მალე“.

კმაყოფილმა ნოსტელებმა პირობა მისცეს გაძლიერებით ემუშავნათ და გაედიდებინათ შემოსავალი: „კეთილშობილი თავადი არ ინანებს, რომ სამეურვეოდ მოვიდა ნოსტეში. ხოლო როცა მოურავი დაბრუნდება, ისიც კმაყოფილი იქნება“.

თავადმა დაამტკიცა ნოსტელთა მიერ მდინარის ნაპირზე არჩეული გზირი, ნაცვალი და მეზვერე, — და საიდანღაც ერთბაშად გამოჩნდა ინდაური საციესათვის, და ბატკანი — მწვადისათვის!

ნოსტელები გამოსათხოვარ სადილზე თავადს სხვადასხვა დაპირებით ართობდნენ და აღუთქვეს: განვაახლებთ შალსარ-

თავს და ნაბდების კეთებასო, პირუტყვსაც გავამრავლებთო. და კიდევ ბევრ რამეზე შეთანხმდნენ ნოსტელები, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: კვლავაც არ მოახვიონ თავს უცხო ძალაუფლების მოყვარულნი.

ფალავანდიშვილი წინასწარ ტკბებოდა, თუ როგორ გააოცებს თავადთა საბჭოს იმით, რომ წარმატებით შეიტანა ნოსტე მეფის სამფლობელოთა წიაღში და ნოსტელებიც მტკიცედ შეპპირდნენ დამორჩილებოდნენ და ერთიორად გაედიდებინათ მეფის ზანდუკის შემოსავალი. იგი თავადებს განუმარტავს, რომ საჭიროა ლოდინი, რადგან სააკაძემ მთელი თავისი ქონება წაიღო და ნოსტე გაღარიბდა. მაგრამ გაღარიბდა დროებით, — მისი, თავადის მმართველობისას იგი კვლავ მდიდარი და ხალხმრავალი გახდება.

— მით უკეთესი! დაე იფიქრონ, რომ ეს მართალია და... თუ გიორგი სააკაძე დაბრუნდა, მასთანაც განუყრელ მეგობრობას დავამყარებთ.

— ხოლო ეს რისთვის?! — გაიკვირვა თავადმა ფალავანდიშვილმა.

თავი ოცდამესამე

ბაზალეთის ტბა

ლაფად იქცეოდა ცხენის ფლოქვებით აჩიჩქნილი მიწა. განუწყვეტელმა ნიაღვარმა, რუხ ფარდებს რომ ქმნიდა, თითქოს და სამუდამოდ ჩამორეცხა ზეცას გაციებული მზე. მთების ხაზები გადნა ძირს დაშვებულ ღრუბლებში და მხოლოდ სადღაც ხევებში გრიალებდა მრისხანე და დაუცხრომელი ნიაღვარი.

მოლიპულ ბილიკზე, ციცაბო ხრამების პირზე რომ იკლაკნებოდა და ნისლში იკარგებოდა, გაბაწვრით იძროდნენ მდუმარე ცხენოსნები, ჩაბალახები მუზარადებზე ჩამოეფარებინათ და ბუსუსიან ნაბდებზე მაგრა შემოეპირათ თასმები. შუბალმართულნი, ყურდაცქვეტილნი და დაღვრემილნი, ისინი მოგ-

ვაგონებდნენ დამპყრობლებს, რომელთაც ღრმად შეუღწევიათ მათდამი მტრულად განწყობილ მთებში. როცა ცხენოსნებმა მიაღწიეს კლდეს, ცრემლთა სავანე რომ ეწოდებოდა, დაჰქროლა ქარმა, საწვიმარი ღრუბლები გადარეკა და დახვეულ ნისლში გამოიჭრა ფერმკრთალი სხივი და წუთით გაანათა უახლოესი მთების კალთები და მშფოთვარე არაგვი, რომელიც უზარმაზარ ქვებზე სტოვებდა ფშავურ ცხვრების მატყლზე უფრო თეთრ ქაფს. მეწინავე ცხენოსანმა, ქვლივიძემ, ჩაბალახი გადაიგდო, უზანგებზე წამოდგა და დარბაისლურად გადაისვა ხელი გრძელ ულვაშზე.

ერთი წუთი და ახალმა საწვიმარმა ღრუბელმა კვლავ დაახშო მზე. გაუბედავი სხივები გაქრა და ჩამოდგა წყვდიადი. მაგრამ ქვლივიძეს უხაროდა: ცაში მეფობდა არა მნათობი, ვენახების მფარველი, რომლის გამამხნევებელ წვენს ესოდენ აფასებდა პეპერასეულ ჯიხვის რქაში, არამედ საწვიმარი ღრუბლები, რომლებიც ნისლს შეექსოვნენ და მთები დაფარეს თვით ფასანაურამდე და ბურავდნენ არა მარტო კავკასიონის მთაგრეხილის გოლიათ მწვერვალებს, არამედ მაყვლის ბუჩქებსაც, რომელთა ეკალი ცხენებს ედებოდა ფეხებში. დღეს, ფიქრობდა აზნაური, უნდა გიხაროდეს ავდარი, რადგან ასრულებს მოურავის გეგმას და ამისათვის ნისლი გამოიყენა როგორც საიმედო ფარდა და მშვიდობიანად გაატარა სერ-სერ აზნაურთა ცხენოსანი ჯარი. და აი ცხენებმა უკვე უკან მოიტოვეს ნატახტარის მთა — დიდი საკურთხეველი, ბულაჩაური, წითელი სოფელი და, ბოლოს, მისაქციელი.

ქვლივიძე გამჭრიახი თვალით აკვირდებოდა ნისლმოდებულ სოფლებს, რომლებიც მთის კალთებზე გაბნეულიყვნენ. არა, საგუშაგო კოშკებზე ზურაბ ერისთავის გუშაგებს არ აუნთიათ არც ერთი საგანგაშო კოცონი,— შავნაბდიანი ცხენოსნები ხომ თითქოს ღრუბლებში დაიკარგნენ, ხოლო ცხენები უხმოდ მიაბიჯებდნენ უფსკრულის თავზე; ბრძანებას ხმლების დათქმული აქნევით იძლეოდნენ. დროშა „ვეფხვი, რომელიც შუბს იქნევს“ შეხვეულია. შავი მაუდის საოფლეები ბედაურების ყორნისფერს ერთვიან, ხოლო ცხენთა აღკაზმულობას მოხსნეს სახოვანი ბალთები და სხვა მორთულობა.

დიახ, აზნაურთა რაზმეულები მათდამი მტრულად განწყობილ მთებში შევიდნენ, რადგან ეს მთები, რომლებიც რკალივით არტყია ბაზალეთის ტბას, არაგვის ერისთავის თავად ზურაბის სამფლობელოში შედიან. ქვლივიძემ ოდნავ მოსწია სადავე და გაიფიქრა, რომ უამინდობა კარგი მოკავშირეა: იგი ხელს შეგვიწყობს აქ, ცივი ტბის ნაპირებზე, სადაც თევზიც კი არ არის, ფარულად მოვუყაროთ თავი გიორგი სააკაძის ჯარს.

ადამიანის გუნება გასაოცარი თანამიმდევრობით ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქვამს იგი ბუნებას. ერთი და იგივე მთა, დაბლობი თუ ხრამი სხვადასხვანაირად წარმოუდგება — მიუახლოვდება მათ მხოლოდ სურვილით — დატკბეს ძშვენებით, ყვავილებით მის მკერდზე — ძალაუფლებისა და სიყვარულის ნიშნით, თუ, პირიქით შურისძიების წყურვილითა და მეომრის სიფიცხით.

ქვლივიძეს შურისგება სწყუროდა! მის გულს არ ახარებდა არც სიყვარული, არც ყვავილების მათრობელი სურნელება, არც დახორავებული კლდეების დიდებული სილამაზე. დუშეთს რომ შემოუარა, უახლოვდებოდა ბაზალეთის ტბას და სულ უფრო მოუთმენლად უჭერდა ხელს ხმლის ვადას. აზნაურს სიძულვილის ცეცხლი წვავდა: „ნუთუ ვერასოდეს ვერ მოვიშორებთ თავადთა უღელს? კიდევ დიდხანს გადაგვიღობავენ ცხოვრების სიკეთის გზას რკინის საბაჟოები — თავადთა პრივილეგიების ნიშანი?“ და კვლავ: მტაცებელმა ზურაბმა, დავიწყებას რომ მისცა ყოველივე, რაც გიორგი სააკაძემ მისთვის გააკეთა, მასაც ქვლივიძეს, რომელსაც აზნაურთა წოდების სინდისს ეძახიან, დიდი წყენა მიაყენა. მოწმენი არიან წმიდა ანგელოზები, ზურაბს რომ ებრძვის, იგი აზნაურთა წოდების ღირსებას იცავს!

და ქვლივიძე, რომელიც საკუთარმა ფიქრებმა გააააფთრეს, ყოველ კლდეს არაგვის ციხის გალავნად იღებდა და ყოველ ხევში მზად იყო აღმოეჩინა მგლის ხაფანგი. არა, მისთვის საშიში არ არის მტრის უაღრესად ცბიერული ხრიკები, თუნდაც ცხრათავიანი დევი გამოვიდეს მის წინააღმდეგ!

კუპრივით ჩაშავებულმა ღრუბლებმაც ვერ შეუშალეს ხელი ქვლივიძეს გაერჩია მწვერვალი, რომელიც თავს დასცქეროდა ჩანადირს.

როგორც აქოჩრილი ძერა, ისე დასცქეროდა ამ ჩანადირის მწვერვალიდან ზურაბი მთის ბილიკს, რომლებიც ნაცარას ციცაბო ფერდოებზე მიიკლაკნებოდა. მზვერავმა არაგველებმა სამი საათის წინათ აღმოაჩინეს, რომ აზნაურთა ცხენოსანი ჯარი ბაზალეთის ტბას უახლოვდებოდა. ნისლის განჭიატში გაბაწვრით იძროდნენ ცხენოსნები. ზოგი მიილალებოდა გრიგოლაანთ კარისაკენ, ზოგი ბაზალეთისა და ზოგი პირმისაანთ-კარისაკენ.

ზურაბმა ჩაიცინა. აზნაურთა რაზმეულების მოძრაობა დუშეთის ჩრდილო-დასავლეთით რამდენადმე ამქღავნებდა საakაძის ჩანაფიქრს: მაშასადამე, გადაწყვიტა დუშეთი მოწყვიტოს ცხრა ძმის სამხრეთ კალთებს. რა თქმა უნდა, „ვეფხვმა“ დიდი ხანია მოიყნოსა, რომ აქ თავს იყრის არაგვის ცხენოსანი ჯარის მთავარი სათადარიგო ძალა... ეჰე, დაიმტერევს ბასრ ჭანგებს! უნაგირა მთა კარგად აქვს გამაგრებული ანანურის პირველ რაზმეულს. ზურაბი უფრო მჭიდროდ გაეხვია ნაბადში და მათრახით ანიშნა საჭურველთმტვირთველებს ასულიყვნენ უფრო მაღლა, შესულიყვნენ ბაზალტის ფილების ქვის მოედანზე, რომლებიც ქარსა და ჟამთა ვითარებას გაეხეხა.

ზურაბი კვლავ მათრახს იქნევდა, თითქოს აბეზარ ღრუბლებს ფანტავსო, და უხაროდა, რომ არ დაივიწყა ის სამხედრო საუბარი, რომელიც გიორგი საakაძეს მასთან ჰქონდა კარავში მარტყოფის მინდორზე, არ დავიწყნია მისი ეშმაკური მოქმედება სურამთან, რის მეოხებითაც ახლა ესოდენ ადვილად გამოიცნო თავისი მასწავლებლის გეგმა: გასთიშოს არაგვისა და კახეთის ჯარები და შემდეგ... ცალცალკე მოსპოს ისინი. სისწრაფე გიორგი საakაძის მთავარი მანევრია. ზურაბი ნიშნის მოგებით ამბობდა: მეც სწრაფი ვიქნები ელვასავით! საქართველოს გვირგვინი მაინც აბრწყინდება ჩემს თავზეო!

დაზვერვის შედეგებით კმაყოფილი ზურაბი მოახტა ცხენს, რომელიც საჟურველთმტვირთველმა მიჰგვარა. და მაინც სადღაც სულის ღრმა კუნჭულში იგრძნობოდა შეშფოთება: „და რა იქნება, თუ... არა, შორს, სატანავ! ნუ მაშინებ!“ ზურაბმა მკვეთრად მიაბრუნა ცხენი დუშეთისაკენ. მისი სამფლობელოს ეს დიდმნიშვნელოვანი პუნქტი, ახლა თავადთა რაზმეულების თავშესაყრელი ადგილი გახდა: „ყველანი მოვლენ? რა თქმა უნდა, ყველანი! მეტად შორს შეტოპეს, რომ უკან აღარ დაიხიონ“. ზურაბი ამალითა და მცველების თანხლებით მიდიოდა ვრცელ, ახმაურებულ ბანაკებში. ხან აქ, ხან იქ, ცხენთა საბმულებზე მოუთმენლად სცემდნენ ტორებს ნასუქი ცხენები, ხოლო თბილი სახლებიდან მოისმოდა მხიარული სიმღერები. ცხვრის ქონის სუნი უერთდებოდა ნივრის სუნს. კაშკაშებდნენ კოცონები საგუშაგოების ახლოს.

თავადის სასახლეზე ფრიალებდა არაგვის ერისთავთა დროშა: შავი დათვის თათი, რომელსაც ოქროს მახვილი ეკავა. ოთხი ახოვანი არაგველი, თავიანთი ბატონის დიდებას რომ ხაზგასმით გამოხატავდა ხმალამოწვდილი იდგა შესასვლელთან. რკინით შეკედილი მუხის ჭიშკარი გაიღო აზნაურთა ტულუმბასების ხმაზე, ზურაბი შევიდა ეზოში, რომელიც სავსე იყო საჟურველთმტვირთველებითა და ქეშიკებით; მათ ეცვათ ხევსურული პერანგები, რომლებიც ამოქარგული იყო ჯვრებით, აქვე იყვნენ სხვადასხვა ხარისხის ჯარის უფროსები და მრავალრიცხოვანი ჯალაბი. ზურაბმა ხმელი ტუჩები მოილოკა, თითქოს ძალაუფლების სიამეს გრძნობსო, და წუთით შედგა დარბაზის ზღურბლზე, მკვეთრი თვალი მოავლო ზემო, შუა და ქვემო ქართლის ჩამოსულ თავადებს. ათეული წლების განმავლობაში ისინი — ფალავანდიშვილები, ორბელიანები, ჯავახიშვილები, ამილახვრები, წერეთლები, ამირეჯიბები ექიშპებოდნენ მას, არაგვის მფლობელს. მათ შურდათ მისი, სძულდათ, მაგრამ არ ეზიზღებოდათ, რადგან დიდი სიძულვილი გამორიცხავს წვრილმან ზიზღს. ახლა ზურაბ ერისთავის დრო იყო — მხოლოდ მას შეეძლო გაეტეხა გიორგი საააკაძე. მხოლოდ მისთვის, არაგვის ერისთავისათვის, დასძრა მეფე თეიმურაზმა კახეთის ჯარი. დაე მის საქმეთა უხილავ სიაში წით-

ლად კიაფობდეს არა მელანი, არამედ სვიმონ მეფის სისხლი,— მან გაიმარჯვა, მაშასადამე, მართალია.

და თავადები, რომლებმაც დაივიწყეს თავიანთი აღშფოთება სხვილოს ციხეში, ახლა მალავდნენ შურსა და არაგველი ტურის წინაშე ჩასახულ შიშს და უხვად უცხადებდნენ მადლობას ზურაბს მისი მტკიცე გადაწყვეტილებისათვის: „ამჯერად ხეობათა მთელი ავი სულებისა და მწვერვალთა ანგელოზების დახმარებით ბოლო მოუღოს გიორგი სააკაძეს!“

დაიწყო სამხედრო თათბირი. ზურაბმა მკვეთრად აღნიშნა, რომ მომავალი ბრძოლა გადამწყვეტი ბრძოლაა. წარმატება უზრუნველყოფილია ახლა, ვიდრე ოდესმე, რადგან მეფე თეიმურაზი არ ყოყმანობს, როგორც ლუარსაბი, იგი სავსებით ეთანხმება თავადებს.

— კმარა! — დაიბრდღვინა ზურაბმა. — მეოთხედი საუკუნეა ნაპერწკალი ცვივა ნოსტელის მახვილს და წვავს თავადთა ძალაუფლების პალატის ბურჯებს. არა, ისტორიის განთიადის დროიდან მეფე თეიმურაზის დრომდე საქართველოს მთებისა და ველების ბატონები თავადები არიან! იცოდეთ, კვლავაც მტკიცედ დავიცავთ ჩვენს საგვარეულო ადგილებს! — ზურაბი წელში მოიხარა, თითქოს გადასახტომად ემზადებაო. — მტკიცედ დაიხსომეთ, თავადებო: ნოსტელი თუ ტყვედ ვერ ჩავიგდეთ, უსათუოდ უნდა მოვკლათ!

თავადებმა ქვის იატაკზე ხმლების შეწყობილი დარტყმით დაუჭირეს მხარი ზურაბს. ჯავახიშვილმა მას გაუწოდა მეტისმეტად გრძელი ხელი და ზეიმით წარმოთქვა:

— დაე გიორგი სააკაძის დრო მიჩნეულ იქნეს როგორც მეფის, თავადებისა და მათთან ერთად აგრეთვე აზნაურების მძიმე სიზმარი!

მეფე თეიმურაზი ჭოჭმანობდა: „დავეხმარო ქვეშევრდომს, თუნდაც სიძეს, თუ დავიცვა „ღვთის სწორის“ ღირსება და ტახტიდან ვუცქირო მებრძოლთ?“ იგი მეტეხის ციხე-დარბაზის ოთხკუთხი კოშკის აივანზე იდგა და მოღუშული გასცქეროდა შავ ღრუბლებს, ტაფობს რომ ეტანებოდნენ. ბაგრატოვანთა დროშა ხან იმალებოდა ღრუბლებში, ხან ისევ ჩნდებოდა,

თითქოს მეფეს მოაგონებს იმ საფრთხეს, რომელიც დინასტიას კვლავ მოევლინაო.

ჯანდიერი ცდილობდა შეენარჩუნებინა გულგრილობა და შეშფოთებით ადევნებდა თვალს მეფეს: „შესაძლებელია განა საბედისწერო ნაბიჯი ცეცხლმფრქვევი უფსკრულის პირას?“ თავადმა თეიმურაზის მხრის ზემოდან ჩაიხედა ძირს, სადაც ტორებს სცემდნენ ფიცხი ცხენები და ნაბდიანი ჩაფრები მოუთმენლად ელოდნენ მეფის ბეჭედდასმულ გრაგნილებს, რათა კახეთის ჯარების ბანაკებისაკენ გაქანებულიყვნენ და მათთან ერთად კი დუშეთისაკენ, თავად ზურაბ ერისთავთან. ზურაბის ერთი ხელის აქნევაზე დამოკიდებული იყო ეს მხედრები სიცოცხლის მოამბენი იქნებოდნენ თუ სიკვდილისა.

და მეფე თეიმურაზ ბაგრატოვანი აყოვნებდა, ნერვულად უსვამდა თითებს ბეჭედს, რომელზეც ამოჭრილი იყო ჯვარი და გარშემო კი — წარწერა: „წყალობითა ღვთისათა მეფე ქართველთა თეიმურაზ“. იგი ფიქრობდა: „ერთიც ვნახოთ, უტიფარი ნოსტელი მართლაც უძლეველია? განა უფრო გონივრული არ იქნება სხვადასხვა საშუალებით ვაქციო იგი ტახტის ერთგულ მონად? განა საშიში არ არის ზურაბ ერისთავის აღზევება გიორგი მოურავის დაკნინებით?“

თეიმურაზმა მტკივნეულად ჩაიკვნიტა ტუჩი. „არა, საჭირო არ არის ეჭვიანობა! დადგა არა სიტყვის, არამედ იარაღის დრო. იარაღის ჩხარუნში უფრო ადვილია სანუკვარი სურვილის შესრულება: დაუცხრომელი „ვეფხვის“ თავიდან მოშორება, რომელსაც უკვე თვით სულთანი უწოდებს ქართლის მფლობელს მოურავ-ბეგს და კახეთის თეიმურაზ-ბეგის სწორად მიაჩნია. მაგრამ სანამ ცოცხალია თუნდაც ერთი ბაგრატოვანი,—თეიმურაზმა, მოწითალო თვალის გუგები დაპრაწა, გულისწყრომით წაიგლიჯა თითზე ბეჭედი, იგი აღარ ყოყმანობდა, — საკაძის საგვარეულო ვერ აღზევდება „ღვთის სწორის“ დინასტიამდე! ამისათვის ღირს დაირღვეს ტრადიცია, რომელიც მეფეს ნებას არ აძლევს ისე დამდაბლდეს, რომ პირადი დახმარება გაუწიოს ქვეშევრდომთ მათს საშინაო ბრძოლაში. რომელი თავადი გაბედავს დაგმობას? ყველანი ელოდებიან ხსნას და...“

მეფემ მარმარილოს დაფიდან აიღო პერგამენტის გრაგნილები და ზედ ბეჭედი დაასვა. ჯანდიერი შეკრთა.

ამ მომენტიდან მეფე თეიმურაზ პირველმა სამუდამოდ დააყენა თავისი თავი მუსლიმური ქარის მწველ ქროლვაში. როგორიც უნდა ყოფილიყო ბაზალეთის ტბის ნაპირზე ბრძოლის შედეგი, ამიერიდან მეფე მგოსანს თეიმურაზ პირველს მოსვენება აღარა ჰქონდა საქართველოში. მას კვლავ უნდა განეცადა ამქვეყნიური მწუხარება, სივალალისა და ბედის ცვალებადობის სამყარო. თავისი სიბეცით რომ სპობდა სააკაძეს, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოთა ბურჯს, თეიმურაზი თვითონ იახლოებდა თავისი დაღუპვის დროს, აჩქარებდა ახალი ეპოქის — ხოსრო მირზას — როსტომ პირველის მეფობის ხანას.

საომარ ხმაზე დაუკრეს კახეთის სამეფოს ოქროს ბუკები. აფრიალდნენ ღიაწითელი დროშები, რომლებზეც გამოსახული იყო გვირგვინი და ღიამწვანე ფერის ბედაური. სხვადასხვა ბილიკით დუშეთისაკენ გაემართნენ კარგად შეიარაღებული თელაველი აზნაურები.

მეფის რაზმს მიუძღოდა თავპირჩამობნელებული ჯანდიერი. მას რატომღაც აეკვიატა საფურცლიის ველის მოგონება, სადაც საააკაძემ რაინდულად იხსნა კახელი თავადები ყორჩიხანის მახვილისაგან. ახლა კი არც ერთ მათგანს, რომლებიც თავიანთი კეთილშობილებით ქედმაღლობდნენ, ეს არ გახსენებია. ჯანდიერმა ღრმად ჩამოიფხატა შუბლზე მრგვალი მუზარადი, მათრახი გადაუჭირა თოხარიკს და წინ გასწია. დამასკოს ოქროთი შეჭედილი მუზარადის ოთხწახნაგოვანი ბუნიკი ბრწყინავდა, მაგრამ განაწყენებულ თავადს სურდა ტალახში გადაეგდო იგი. თავადის თავზე ერთმანეთს ეჯახებოდნენ შავი, საშინელების მსგავსი ღრუბლები და თითქოს წინასწარ განსაზღვრავდნენ მოვლენათა საბედისწერო შედეგს. მწარე ღიმილი იმალებოდა მისი გალურჯებული ტუჩების კუთხეებში. იგი ფიქრობდა დიდ მოურავზე: „განა ღმერთი კვლავ გამოუგზავნის სამეფოს ასეთ რაინდს?..“

გაუთლელი ქვებით მოპირკეთებული გახურებული ბუხრის წინ იჯდა ზურაბი, ფეხი უნაგირზე დაედო. მეწამულ მოციმ-

ციმე შუქზე ზურაბის სახე ხან წითლდებოდა, ხან ლურჯდებოდა, თითქოს იგი ცოცხალი კი არ იყო, არამედ დაეხატა იმ მონაზონს, რომელსაც სწამდა ჯოჯოხეთის უსაშინელესი მოჩვენებანი.

ზურაბმა, რომელსაც ხელში ეკავა მეფის გრაგნილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა, გადავწყვიტე დუშეთს მოვიდეო, თვალები ნახევრად დახუჭა სოჭის ნემსებივით გრძელი წამწამებით და ერთხელ კიდევ ზედმეტად გაარჩია თავისი და აზნაურთა ჯარების დღისა და საღამოს მოძრაობა. „რატომ მრწამს იდუმალად, რომ გიორგი სააკაძე უძლეველია? მაშინ რად ვაგდებ საფრთხეში ყველაფერს? რისი გულისათვის? გამარჯვებისათვის! მე მესაჭიროება მხოლოდ გამარჯვება! ერთიც ვნახოთ?..“ არაგვის ერისთავს გაეღრეჯოლა, მაგრამ უეცრად ჰკრა ფეხი უნაგირს და წამოდგა, ღიმილი კვლავ ათამაშდა მის ტუჩებზე. „ქვლივიძემ მაინც ვერ მოახერხა ხელში ჩაეგდო გრიგოლაანთკარი და პირმისაანთკარი და ამით საფრთხე შეექმნა დუშეთისათვის. ქვლივიძე წარუმატებლობას განიცდიდა აგრეთვე მისწრაფებაში დამკვიდრებულიყო დუშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ზღუდეებზე, ბორცვებზე მლაშის ახლოს, სადაც მოხდა ნიჩბისელთა ცხენოსანი რაზმისა და არაგველთა ასეულის პირველი შეტაკება. ამაო აღმოჩნდა ფიცხი ნოდარ ქვლივიძის ცდა დაეკავებინა დიდმნიშვნელოვანი ბილიკი, რომელიც გადის დუშეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელ საკრამულის ახლოს...“

უეცრად ზურაბს ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ საჭურველთმტვირთველი, ნაბდით ჩამოფარებულ კართან რომ იდგა საგუშაგოზე, გაფითრდა და ინსტინქტურად დაიხია უკან. ხანში შესულმა ნუკერმა ხელი დაავლო ჯიხვის ყანწს, რომელშიც თუნგი ღვინო ჩადიოდა, და სასწრაფოდ მიართვა თავადს. ზურაბი დიდი ყლუპებით სვამდა ღვინოს და თავს იმხნევებდა: „არა, არა, გაქრეს ეჭვი! როგორ შეუძლია ნოსტელ „ვეფხვს“, რომელსაც აზნაურთა უმნიშვნელო რაზმები ჰყავს, აჯობოს მთელ მამაც თავადობას? რომ შეძლებოდა, დიდი ხანია მთელი ქართლის მფლობელი იქნებოდა!“

ბუხარს ხმელი შინდის შეშა შეუკეთეს და ქვითკირის

კედელზე ათამაშდნენ აჩრდილები, რომლებიც გაჭენებულ მხედრებს მოგვაგონებდნენ. ზურაბმა დაძაბულად მიუგდო ყური. არც ბუკის ხმა, არც ცხენთა თქარათქური!

მან ნაბადი მოისხა, გარეთ გავიდა და კუთხის კოშკზე ავიდა. მის წინაშე ღრუბლებში ბუნდოვანად მოჩანდა მთის მწვერვალები. და ისეთი არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო, თითქოს მთელი მანძილი ბაზალეთის ტბასა და დუშეთს შუა განაბულა რაღაც უცნობის, საშინელის მოლოდინშიო. ზურაბმა მძიმედ დაიდო ხელი მახვილზე: „ოღონდ მეფემ არ დაიგვიანოს და დროზე მოიყვანოს კახეთის ჯარი! განა გაბედავს სააკაძე თავს დაესხას დუშეთს, თუ იქ „ღვთის სწორი“ იქნა? ვერ გაბედავს! რადგან მთელი ქართლი აღშფოთდება „ვეფხვის“ საქციელის გამო, რომელმაც გაბედა მახვილი აღემართა გვირგვინოსნის წინააღმდეგ! მაგრამ გასაოცარია: რატომ არ სარგებლობს სააკაძე მეფის იქ არ ყოფნით და თავს არ დაესხმის დუშეთს? განა მას შეაშინებენ აქ შეკრებილი თავადები? მაშასადამე, რაღაცას ელის!“

უეცრად ჩასახულმა აზრმა გააოცა ზურაბი: ხაფანგში ხომ არ მოხვედრილა? კიბე სწრაფად ჩამოირბინა და ომახიანად დაიძახა:

— მიხა! დაუყოვნებლივ გაგზავნე მცველი ჯარი მეფის შესახვედრად! მეფე უნდა, უნდა მობრძანდეს!..

სააკაძეს მუზარადი მოეხადა, სახე დამრეცი წვიმისათვის შეეშვირა და დაწვრილებით გამოჰკითხავდა ქვლივიძისაგან მოსულ შიკრიკს.

ამაოდ იცინოდა ზურაბი, რომელმაც აზნაურთა რაზმეულების ფარული მოძრაობა აღმოაჩინა,—ქვლივიძეც ხომ ასევე იცინოდა, რადგან გეგმა—შეცდომაში შეეყვანა ზურაბი ჯერ ცრუ მოძრაობით დუშეთის ჩრდილო-დასავლეთით, გიგოლაანთკარისა და პირმისაანთკარის ახლოს, ხოლო შემდეგ ვითომდა მლაშისა და საკრამულის შემოვლით, დუშეთის ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით, როგორც ჩანდა, სავსებით მოხერხდა. ზურაბმა მთელი თავისი ყურადღება დუშეთის დაცვას მიაქცია და,

ცხადია, არ ვარაუდობდა, რომ ქვლივიძემ, რომელიც მოურავის საერთო გეგმის ნაწილს ასრულებდა, თავისი თითქოს წარუმატებელი გაქრით მარჯვედ შენიღბა დასავლეთიდან მოსალოდნელი იმერელთა მნიშვნელოვანი ძალების მოსვლა.

„როგორ გაოცდება ზურაბი, — ფიქრობდა საკაძე და ჩაბალახის ტოტით იწმენდდა სახეს, — როცა დუშეთის კართან მემკვიდრე ალექსანდრე ააფრიალებს ცისფერ დროშას, რომელზეც გამოხატულია ქორბუდა ირემი! რა თქმა უნდა, არაგველი ტურა შეშფოთდება: „რაკი იმერლები სააკაძის დასახმარებლად მოვიდნენ, მაშასადამე სამეგრელოს მთავარი მოვა, მას კი გურიელი მოჰყვება, ჩემი პირადი მტერი“. ასეთმა ვარაუდმა უნდა შეაწუხოს ზურაბი, ხოლო მტრის შეშფოთება ნახევარი წარმატებაა. მაგრამ რატომ იგვიანებს ალექსანდრე? რატომ არსად არ არის ნათქვამი, თუ რა უნდა უყო უდარდელს? განა გაჭიანურებული ლოდინი, და ისიც თავსხმაში, ეჭვს არ ბადებს?“

სააკაძემ დათქმულად დაუსტვინა. თავით ფეხამდე დასველებულმა ერასტიმ, თითქოს ეს არის ტბიდან ამოძვრაო, სააკაძეს მიჰგვარა ათრთოლებული ჯამბაზი, რომლის შავ საძაგრავს წურწურით ჩამოსდიოდა წყალი.

მოურავი ითვალისწინებდა ყოველგვარ მოძრაობას და ბაზალეთის ტბისაკენ მიუძღოდა აზნაურთა რაზმეულების ძირითად კოლონას, რომელსაც, როგორც იტყვიან, ძვალსა და რბილში გასჯდომოდა ნესტი და გაყინულიყო. „ო, რა კარგი იქნებოდა ახლა ერთი თასი ღვინო და ნატეხი ლავაში!“ ტალკვესის ერთი ნაპერწკალი თითქოს ყველა მათ გაათბობდა. სააკაძემ ცხენი შეაჩერა და თვალი მოავლო გაწამებულ რაზმელებს: „ყველაფერი იქნება, ღვინოც და... ოღონდ...“

მაგრამ სამ კლდესთან იმერელთა მეწინავე რაზმები არ აღმოჩნდნენ. იძულებული გახდნენ შემოევლოთ და წყვდიადში მიბრუნებულიყვნენ ხასიმაანთკარისაკენ და დაეკავებინათ დამრეცი ბორცვების კალთები. ანაზდად წინ ჩირაღდანი გაკრთა. სააკაძე მიიჭრა და მათრახით გააგდებინა ხელიდან ჩირაღდანი გაუფრთხილებელს: ჯამბაზის ფლოქვებში ამიშინდა ფისი და იელვა მოწითალო თვალის გუგამ და გაქრა.

სააკაძემ ხელი კრა ეკლიან ტოტს და ხელების ფათურით ავიდა მოლიპულ შვერილზე, დააყურა: არც ბუკისა და არც ცხენის ფეხის ხმა! „რას შეეძლო შეეფერხებინა მემკვიდრე ალექსანდრე?“ იმერეთიდან მოჭრილმა შიკრიკმა ხომ ფიცით გვამცნო: „იმერეთის ჯარების გამოლაშქრების ზუსტი დღე იმერეთის მეფემ დააწესა და იმერეთის კათალიკოსმა დაამტკიცაო“. და მემკვიდრე ალექსანდრე დაეთანხმა, რომ საჭიროა დაასწროს თეიმურაზ მეფეს და ღამით შეიჭრას დუშეთში, არა თუ მეფის ჯარის, არამედ კახელ თავადთა რაზმეულების მოსვლამდე. შიში სააკაძის მახვილის წინაშე ჯერ კიდევ ძლიერია! არა ყველა, მაგრამ ბევრი გაიქცევა! ერთი დაკვრით ჩავიგდოთ ხელში მშვენიერი ბანაკი და მეორენი უზრუნველყოთ თბილი კერით, სასმელ-საჭმლით, ხოლო ცხენები — თავლებით. დასვენება გადაიწყვეტი ბრძოლის წინ მეტად საჭიროა! აი უპირატესობა, რომელიც ამჟამად ზურაბს აქვს. მაშასადამე, საჭიროა ვაიძულოთ ტურა და მისი დამქაშები დაივიწყონ სითბო და მოსვენება! ერთი დარტყმით გამოერეკოთ ისინი გულისწამღებ თავსხმაში! იქნებ, ვცადოთ? ახლავე დავესხათ თავს? არა, ეს შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმერეთის ჯარებთან ერთად, — იქ, დუშეთში, თავი შეუყრიათ მეტად ბევრ ტურასა და ძერას! უსარგებლოა... მაგრამ ქაიხოსრო მუხრანბატონი მტკიცედ მოითხოვს ელვისებური დარტყმით დავიკავოთ დუშეთი. იგი დაბანაკებულია მის ახლოს და მოუთმენლად ელოდება ზურაბთან შებმას. ელოდება... მას კი მხოლოდ ხუთასი რაზმელი ჰყავს, მეტზე მე არ დავეთანხმე. და ქსნის ერისთავთანაც ზუსტად სამასზე შევთანხმდი. რატომ? ამისი საბუთები მუხრანბატონის ციხე-დარბაზში გამოვააშკარავე. მამაცი ქაიხოსრო ანგარიშს არ უწევს ზურაბისა და მისი მომხრე თავადების ჯარების მრავალ რიცხვს. მეც არ ვუწევ ანგარიშს, მაგრამ... ჰო, მართლაც რამდენი მეომარია ახლა დუშეთში და მის გარშემო? ალბათ ოცი ათასი. ქაიხოსროს კი ხუთასი ჰყავს. შალვა ქსნის ერისთავს — სამასი, ყველა აზნაურს — ორი ათასი. მაგრამ თუ მემკვიდრე ალექსანდრემ, როგორც იმერეთის მეფე შემპირდა, სამი ათასი მოიყვანა, და საფარ-ფაშამაც, თუმცა გათურქებული, მაგრამ მაინც ათასი ქართველი მოიყ-

ვანა... შემდეგ ხალხი, რომელიც დიღომში ერთგულებას მეფიცებოდა, უნდა მოვიდეს... დაე არა ყველა!.. რა მისცეს მათ თავადებმა? მონობა! მე მათ უკეთეს ხვედრს დავპირდი. არა, ისინი იარაღს არ აღმართავენ თავიანთი მოურავის წინააღმდეგ... არ აღმართავენ! მაშასადამე, თუ ყველა მოვიდა, ვისაც ველი, მე ძალებს თანაბრად მივიჩნევ".

უკუნმა ნესტიანმა ღამემ მოუსწრო ქართლელებს ცივ, სველ ტყეში. ცეცხლს არ ანთებდნენ და ამაოდ ცდილობდნენ საძაგრავის ქეჩით გაეთბოთ გაყინული თითები. უნაგირმოუხდელი ცხენები გაჯავრებით ურევდნენ დრუნჩს დაცარიელებულ თოფრებში. მხოლოდ ორი აქლემი, რომლებზეც კარვები იყო აკიდებული, რაღაცას იცოხნიდნენ და გულგრილად ათვალიერებდნენ მოფუსფუსე ადამიანებს.

სხვადასხვა მხრივ იგზავნებოდნენ მზვერავები. ზოგი ბრუნდებოდა, ზოგი მათს შესაცვლელად მიაჭენებდა. მაგრამ... იმერეთის ჯარები არ ჩანდნენ არც გზებში და არც ბილიკებზე. „ნუთუ ღალატია? რაღაც არა ჰგავს. მემკვიდრემ სახარებაზე დაიფიცა, ბაზალეთს მოვალო".

განთიადი ბინდსა ჰგავს. სააკაძე მთელ ღამეს არ ჩამომხდარა ცხენიდან. არაერთგზის მიუქცევია სივრცის გამჭოლი თვალი დუშეთისაკენ და კვლავ მობრუნებულა ბაზალეთის ტბისაკენ. იქ, უცნაურად აბორიალებული ნისლის ქაოსში, რომელიც ხან ჯიქების, ხან ლომების, ხან ორბების მოხაზულობას იღებს, გადაჭიმულა ბაზალეთის ტბა, რომელიც მრავალ საუკუნოვან საიდუმლოს ინახავს. „შესაძლებელია, მართლაც, მის ქვიან ფსკერზე, სადაც თევზიც კი არ ცოცხლობს, დასვენებულია ოქროს აკვანი, რომელშიც საქართველოს გული ძევს? ყველა საუკუნეში აქ მოდიოდნენ ბედის მაძიებლები, რომელთაც ზოგს გამართული კალამი ეჭირა ხელში, ზოგს კიდევ გალესილი მახვილი, მათ იმედი ჰქონდათ დაუფლებოდნენ ციცი სიღრმის საიდუმლოებას. რას შეიცავს ხვალინდელი დღე? რა საიდუმლო გამომჟღავნდება ამ მკაცრ ნაპირებზე? რას უქადის აზნაურებს მომავალი ბრძოლა? წარსულის უფსკრულში ჩანარცხებას, საღარ ამდენი ნამსხვრევია, თუ მომავლის მწვერვალებზე აფრენას? ერთი რამ ცხადი გახდა: უნდა

დაიღვაროს თავადთა საზიზღარი სისხლი და ამით გამართლდეს აწმყო".

„ვეფხვები", რომელთაც ჯაჭვის პერანგებს ზემოთ მოეხურათ ბანჯგვლიანი ნაბდები, კვალდაკვალ დაჰყვებოდნენ საკაძეს. მათს მხრებზე მოჩანდა ახალციხური მუშკეტები. ახალგაზრდობის დღეებში მათ უყვარდათ მხრებზე ეგრძნოთ მშვილდ-ისარი; მაშინ მათ ყველაფერი ისე ეჩვენებოდათ, თითქოს მზის დამაბრმავებელი შუქის სხივით იყო გაცისკროვნებული. ახლა კი ბნელით მოცულ ცისქვეშ თითქოს მეორე წარღვნა უქადოდა წალეკვას და იგონებდნენ: „გაასხიეოსნეპს კიდევ თუ არა მზე „ვეფხვთა რაზმის" სახელოვან გზას, თუ მათი შემოდგომის დღეები ბაზალეთის ბრძოლით დაიწყება?"

დადგა იმ ორთაბრძოლის გადამწყვეტი ჟამი, რაც მათ ოცდასამი წლის წინათ დაიწყეს, როცა ნოსტეში შეეტაკნენ თავად მაღალაძეებს. რამდენმა სისხლისმღვრელმა ნიაღვარმა გადაიგრიალა იმ უმაგალითო წლების შემდეგ საქართველოს შერყეულ მთებსა და ველებზე!

ბრუნდებოდნენ დაღლილი მზვერავები. სხვები ემზადებოდნენ წასასვლელად. მემკვიდრე ალექსანდრე მაინც არ ჩანდა! საკაძე დაძაბულად უგდებდა ყურს: არც ბუკისა და არც ცხენის ფეხის ხმა! მხოლოდ წვიმის წვეთების წკაპუნში, რომლებიც ქვებს ესხმებოდა და გუბეებში იკარგებოდა, მას ესმოდა წვრილი ხმები: „გაქ-რი... გაქ-რი... გაქ-რი..." რაზე აფრთხილებდა მას ცხოვრების უამინდობა? ნუთუ იმაზე, რომ მისი შუბი დაბლაგვდა და უკვე აღარ შეუძლია განგმიროს ურჩხულის ცეცხლმქმენავი მკერდი? ულრანი წლების მიღმა მოესმა გამაფრთხილებელი ხმა: „ცხენს უფრთხილდი! ცხენს უფრთხილდი!" წუთით შორეული სიზმრიდან გაკრთა, როგორც მაშინ, სამი გზა და მოაგონდა სამთავიანი ცხენი, რომელიც მას, გიორგის მიაქროლებდა ნარინჯისფერი ხეების ტყეში, მწვანე წყლებსა და შავბნელ მთებში. განა ბაზალეთის ტბის ნაპირებზე არ შეეჯახნენ სიზმარში მკვდარი მეომრები სისხლიან ტალღებში? ზურმუხტით მოოქვილი ტანსაცმელი ავიწროებდა მაშინ გიორგის, ოქროს ფეხსაცმელი ძირს ეწეოდა, მაგრამ ზევით აჰყავდა ალმასის ვარსკვლავს ფაფახზე და წინ მიაქროლებდა

ხელში ალაპლაპებული მახვილი. ახლა როგორც ძალის წყაროს გრძნობდა იგი მახვილს თავის უდრეკ მარჯვენაში, ფოლადის ფართო მახვილზე. ლაპლაპებდა გამაფრთხილებელი წარწერა: „ძლევამოსილი მახვილი ჩემი მსგავსია ელვისა, რომელიც სპობს ურწმუნოთა სულებს“.

სააკაძემ ძოიხედა, რკინის თათმანი გადაისვა თვალებზე, თითქოს წარსულის სურათებს იშორებსო. იქვე ახლოს რამდენიმე მხედარი გააფთრებული წურავდა სველ ჩაბალახებს. ნიჩბისელთა ახალგაზრდა ასეულის უფროსი გულმოდგინედ უსრესდა შუბლს თავის ბედაურს და ცდილობდა გაეთბო შეცივნებული მეგობარი. საჭურველთმტვირთველი, რომელსაც სახე გაფითრებოდა და საფეთქლებზე ძიკვროდა სველი თმა, გალურჯებულ თითებზე იბერავდა, თითქოს სანატრელ კოცონს აჩაღებსო.

და უეცრად, თითქოს სეტყვა ჯავშანზე, გაისმა მოწოდებისა და ვედრების სიტყვები:

— მოურავო, ბრძოლა დააჩქარე!

— დააჩქარე, მოურავო!

— აღარ შეუძლია თმენა ხალხს! — წამოიძახა მოხუცმა ნიჩბისელმა. — იქ, დუშეთში, გიზგიზებენ კერები, იქ პურია. იქ წაგვიყვანე!

— ხალხს მოუწოდე, მოურავო! ყველაფერს წავლეკავთ. ყველაფერს წავართმევთ წყეულ თავადებს!

— მოურავო! მოურავო!

ბკაცრად შეიკრა წარბი სააკაძემ, თვალი მოავლო სასოწარკვეთით მოცულ მეომრებს: წუთი — და ყველანი დუშეთისაკენ ვაეშურებიან, რადგან ბრძოლა სიცოცხლისათვის სჩვევია ძხეცსაც და კაცსაც. მაგრამ ის, ვინც პასუხისმგებელია ამ სიცოცხლისათვის, გონებასაც უნდა ფლობდეს.

— ჩემო მეომრებო. განა მე გამსჭვალული არა ვარ სურვილით შევუტიო მტერს? მაგრამ ამ უიმედო ჟამს უნდა დაგიცვათ გამოუსწორებელი მოვლენისაგან. მე პასუხს ვაგებ თქვენთვის, თქვენი ცოლებისა და დედების წინაშე. თქვენ იცით. არასოდეს არ შევუშინებივარ მტრის ჯარების მეტ რიცხვს. მაგრამ იქ, დუშეთში, შეკრებილი არიან ქართლის თავადთა

მეომრები, იქ სარბაზები კი არა, ქართველი რაზმელები არიან. ჩვენ ისე უნდა დავესხათ თავს. რომ დავატყვევოთ თავადები, და მაშინ, არ ვიტყვი ყველა-მეთქი, ბაგრამ ვინც დიღომში იყო და თქვენთან ჭამდა პურს და ერთი სასმისით სვამდა ღვინოს, იარაღს დაყრის! ეს მე მრწამს! თუ იგი არ მოგვემხრობა, არც ჩვენს წინააღმდეგ წავა. ბრძოლის დაჩქარება არ შეიძლება, ეს დამარცხების დარი იქნებოდა. დიდხანს ლოდინი აღარ დაგვჭირდება. იმერეთის ჯარი მოვა! გავიმარჯვებთ, მეომრებო! იყავით მამაცნი! არ არის ისეთი ქარი, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით ქროდეს. სიამაყით მოიგონებთ ბრძოლას... სიცოცხლისათვის!

მართლა დათბა, თუ ისე მოეჩვენა რაზმელებს, მაგრამ ბევრს გაეღიმა, სასოწარკვეთილება დიდი იმედით შეეცვალა. „როგორ უთბობს მოორავი გულს ადამიანს!“

„ვეფხვები“ ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— გიორგი! იქნებ მართლაც ჩვენ შევუტიოთ დუშეთს?

— დაუთბეგი მართალს ამბობს... სანამ თეიმურაზი არ მოსულა.

— მოულოდნელობა ყოველთვის ასუსტებს მტერს.

— ვიცი, ჩემო „ვეფხვებო“, მაგრამ, გაბედულების გარდა, ომში აუცილებელია ანგარიში. ჩვენ ცოტანი ვართ, თავადთა მონები კი ბევრნი არიან. მაშასადამე, გამარჯვებისათვის, მამაცობის გარდა, საჭიროა იცოდე, როგორ წარმართო ომი, ხოლო თუ იმერეთის ჯარი არ იქნა, ვერ ავაგებთ სამკუთხედ სოლს, რომელიც თავის წვეტით დუშეთიდან გარეკავს გადაგვარებულ თავადებს.

— მართალი ხარ, გიორგი, მაგრამ... მაგრამ ყველა სხვა ფიქრს ჩრდილავს ერთი ფიქრი: „შეტევა! შეტევა და შეტევა!“

— დიახ, ჩემო დათო, შეტევა, სანამ თეიმურაზი მოვიდოდეს. მხოლოდ გონიერება მტკიცედ გვიკარნახებს: „ფრთხილად, გიორგი, რადგან მთელ შენს საბრძოლო სიცოცხლეში შენი რაზმელი შეიძლება შედრკეს და... მიატოვოს ბრძოლის ველი. არა, მეგობრებო, სირცხვილის გარდა, ჩვენ შევქმნით იმის საფრთხეს, რომ ჩვენს მცირე ჯარს ჩავუნერგოთ ეშვი, თავადებს კი — რწმენა. არ უნდა დავივიწყოთ: ჯარი ძლიერია

მხედართმთავრით, მაგრამ მხედართმთავარიც ძლიერია ჯარით. რა იქნება, რომ ნდობა შეირყეს? დუშეთზე არ გავილაშქრებ, თუ მაშველი ჯარი არ მეყოლა!

— გიორგი, თუ მაშველმა ჯარმა მოგვისწრო მას შემდეგ, რაც მეფე დუშეთში მოვა, მაშინ?

— ნუთუ უარს იტყვი? — თითქმის სასოწარკვეთილებით წამოიძახა დიმიტრიმ. — მე საათნახ...

— თუ თეიმურაზი იმერლებზე ადრე მოვიდა, მაშინ ხელსაყრელი დრო წასული იქნება, — ამისათვის უნდა ვემზადოთ!

გიორგიმ დეზი კრა ჯაბაზს და წავიდა: „მამაცი არიან „ვეფხვები" ბრძოლაში და ჭკუიანნი საელჩო საქმეების შესრულებაში, მაგრამ ბევრი რამ არის მათთვის დაფარული. მეფე მეფეა! ხალხი არ მაპატიებს, რომ მეფეს თავს დავესხა შინ! ხოლო თუ გამარჯვება მე დამრჩა, კვლავ ფარისევლურად დაიწყებს მტკიცებას, საბრძოლველად კი არა, სიძესთან სტუმრად მოვედიო. აქ ეკლესია გამოვა და... დაიწყება საყვედური: „მეფეს თავს დაესხა!" და წმიდა მამების ლოცვა-კურთხევით ხალხი ზურგს შეაქცევს თავხედს! ხალხის მიტოვებული! ამაზე უფრო მწარე რა იქნება? არასოდეს! არასოდეს არ შევურაცხვყოფ ხალხს! განა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მასთან არ ვიყავი? სხვა საქმეა, თუ თვით მეფემ დაკარგა მეფური დიდება და უადგილოდ ჩაერია ქვეშევრდომთა ჩხუბში. ასეთი შეუფერებლობა ხალხს აღაშფოთებს! მეფე შეედრება მეტად გადაკიდებულ თავადს. და ხალხი იარაღს იშიშვლებს და გვარიანად გაუხურებს ქედს, რომ კვლავ თავისი ადგილი არ დაიკიწყოს. მაშასადამე, საჭიროა „ღვთის სწორს" ბრძოლის ველზე ველოდოთ... სადაც კიდევაც გავუხურებთ ქედს".

სააკაძემ მიკერძოებულად იკვლია ფერდობები, ერთი მოედანი აირჩია და ბრძანა: ჩამოხადეთ აქლემებს კარვები, აქ გაშალეთ და ცოტა ცეცხლი დაანთეთო.

რაზმელები საქმეს შეუდგნენ და ოდნავ გათბნენ. თითოეული ოცნებობდა ხორჯინიდან ამოეღო ცივი ლავაში და ტიკჭორით ღვინო. „ვეფხვებმა" თავიანთი ოთხი კარავი რაზმელებს დაუთმეს, მეხუთეში კი თვითონ მოთავსდნენ და იქ შეიყვანეს ავთანდილიც.

ერასტიმ სასწრაფოდ გაშალა სააკაძის კარავი და ხურჯინიდან ამოიღო მცირე სასმელ-საჭმელი.

კვლავ ისეთი თავსხმა დაიწყო, თითქოს უზარმაზარ კასრს, ღედამიწის თავზე რომ ეკიდა, ფსკერი გააგდებინესო. სააკაძე კარვის ახლოს დადიოდა და ყურადღებას არ აქცევდა ერასტის ხვეწნას.

გაისმა გუშაგების შეძახილი. ვიღაცამ ეშმაკს შეაგინა მოუთმენლობისათვის და დაუსტვინა.

და მყის აზნაურ ჩრდილელის შიკრიკმა ცხენი სააკაძის წინ შეაყენა:

— მოურავო, ჩრდილელის მოისრეებმა დაინახეს კახელთა ჯარი, რომელიც დუშეთს უახლოვდება. ალბათ მეფე თეიმურაზიც მალე მობრძანდება.

— გადაეცი აზნაურ ჩრდილელს, მალე მანდ ვიქნები-თქო.

სააკაძემ შიკრიკი გაუშვა და კვლავ მოჰყვა სიარულს, თან ფიქრით ზვერავდა მთელ სივრცეს ბაზალეთის ტბიდან დუშეთამდე, ხელსაყრელ ზღუდეებზე განალაგებდა იმერლებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, უკვე გავიდნენ მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე.

მორიგმა მზვერავმა მთელი სისწრაფით მოაჭენა გაქაფული ცხენი, ჩამოხდა და სააკაძესთან მიირბინა:

— მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე სიწყნარეა, რატომღაც ჩურჩულით აცნობა მან. — მხოლოდ ჯეირანი გამოვიდა დასარწყულებლად. არც იმერლები ჩანან, არც ქვეითები და არც ცხენოსნები.

ერასტიმ დაქანცული მზვერავი კარავში შეათრია, ღვინო დაალევინა, ხელში ნატეხი პური მისცა და ურჩია: რაზმელებთან შედი და გამოიძინე, თორემ მოუსვენარი მოურავი კვლავ გაგგზავნის იმერლების სათვალთვალოდო.

„კი, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილს ხომ უკვე დიდი ხნის წინათ უნდა გამოეგლო ქსანი და მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე გაეყვანა ჯარი, — გაკვირვებული ფიქრობდა გიორგი. — იმერლები რომ დათქმულ ვადაზე მოსულიყვნენ... ნუთუ ავი ბედი ისე გაამაყდა, რომ ჩემს ქენ იწვდის გაძეალტყავებულ ხელებს? დუშეთი ხელიდან წასულია. ასეთი

შესაძლებლობა აღარ განმეორდება. რა ეშმაკის ჯურღმულში ჩავარდა იმერეთის მემკვიდრე, რომელიც იმით არის განთქმული, რომ თავი შეაყვაროს მეფეთა თავნება ქალიშვილებს?" გიორგის დამწუხრებული თვალი არ შორდებოდა მახლობელი მთის კალთებს, ნაცრისფერ ნისლს რომ დაებურა.

ზურაბი ფეხს უსვამდა მის მიერ მოკლული დათვის კბილებდაღრეჯილ თავს და შემდეგი მოქმედების გეგმას სახავდა: „დუშეთში ჯდომა სახიფათოა. არ უნდა დავივიწყო, თუ რა სამხედრო ოსტატობით დაიპყრო მოურავმა ბაღდადის გალავანიც კი. აბა მასთან შედარებით რას წარმოადგენს დუშეთის გალავანი? იგივეა, რაც ლერწმის ღობე! მაგრამ... სადაცაა უნდა მოვიდეს მეფე! გაბედავს თუ არა მხეცი „ვეფხვი" თავს დაეცეს მეფეს? და შემდეგ — რა შეუძლია ნოსტელ მტაცებელს დაუპირდაპიროს მეფისა და თავადების მაძღარ და კერებთან დასვენებულ რაზმელებს და ისიც გვირგვინოსანის მეთაურობით? არაფერი, გარდა წყლის ნაკადებისა, რომლებიც გათოშილი ავაზაკების ჯავშნებსა და ნაბდებს სდის! დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენო ეს უპირატესობა. მაგრამ სად არის მეფე? ნუთუ დაივიწყა. რომ მისი მოსვლა დუშეთის ხსნაა? დაივიწყა ულმობლად მოახლოებული ბრძოლის მნიშვნელობა, გავლით რომელიმე მონასტერში განმარტოვდა, ბატის ფრთის კალამი ააწრიპინა და შთაგონებულად ქმნის შაირებს? მთავარი კი ის არის, რომ ეს არავის უკვირს და არც არავის აღაშფოთებს! არავინ იცის, რამ უფრო გაუთქვა სახელი თეიმურაზ პირველს — ომმა შაჰ აბასთან თუ კეთილხმოვანმა შაირებმა!"

ზურაბმა დათვის თავის ფიხი ჭკრა, გული რაღაცნაირად შეუკრთა და წამოდგა. მან ყველაფერი აწონ-დაწონა, მაგრამ სააკაძეს შეუძლია, როგორც სჩვევია, მოვლენები მოულოდნელად შეაბრუნოს თავის სასარგებლოდ. „არა, დაყოვნება საშიშია! შორს დუშეთიდან! ნიაღვარი შეიძლება უეცრად შეწყდეს. ნისლი გაიფანტოს — მაშინ აზნაურთა ბანაკებში დაანთებენ კოცონებს ოა მათს მწარე ავამლთან ერთად დაიცარება მხსნელი უპირატესობა. მაგრამ სად არის მეფე? სად?!"

ზურაბი აქეთ-იქით აწყდებოდა: „რა ვქნა? რა გადავწყვიტო? იქნებ მე თეითონ მოვახვიო თავს მოურავს ბრძოლა ბაზალეთის ტბის ნაპირებზე, ლელს რომ სქლად დაუფარავს? დიახ, ყველაფერი გადაწყვეტილია. თუ მეფემ დაიგვიანა, დაე უხილავი გვირგვინის სხივებმა გააშუქონ ბრძოლის ველი და გასწიონ ათასობით კახური ხმლის მაგიერობა. ზღაპრით ვინუგეშებ თავს! — აცახცახდა ზურაბი და რკინის საბუხარი კრა კბილებში დათვს. — მინდა მეფე! მეფე!! მეფე!!! დანარჩენი იარაღი უძლურია უკანასკნელ ორთაბრძოლაში. მაგრამ სად არის, სად მეფე?! წყეულ იქნეს ის ხევი, რომელმაც აცთუნა იგი გაჩერებულიყო დასასვენებლად. მე, მე, ზურაბ ერისთავი, მარტო, პირისპირ, უნდა შეევება მრისხანე ნოსტელს. მაშასადამე, უნდა დავიღუპო! აი ეგირ, წყვდიადის ზოლს იქით, თეთრად მოჩანს ხუვსურეთის მწვერვალები, ისინი დასცინიან ქონდრის კაცს, მათი დამონება რომ განიზრახა და ვერ გაუძლო იმ მხედართან ბრძოლას, რომელმაც თავადთა ძალაუფლება ალაგმა!“ ვისი სიცილი, ბოროტი, თანდათან გაძლიერებული სიცილი ესმის? მთების ქვის ხახიდან ხომ არ ამოდის ეს ხარხარი? საკაძე ხომ არ დასცინის და თვალს არ უკრავს ტბას, სიკვდილს რომ შეიცავს? რა არის ის, ცის აღმოსავლეთ კიდურზე რომ ნათდება? ნუთუ მზის პირველი სხივია? დიახ, ეს დილაა, ზურაბის მხრებს რომ აკისრებს შეშფოთების მტანჯველ ტვირთს. აქეთ-იქით ეხეთქება, მაგრამ გამოსავალი არ არის. საშველად მოუწოდებს არაგვის სულებს, ყოველი გაშვებული წამი ხომ ალმასის გრიგვაზე უფრო ძვირფასია! მაშ სად არის მეფე? სად? დაიკარგა მოშაირე? ხარხარი კი ძლიერდება, როგორც ზვავი, და ძალუმად ისმის რკინის წკრიალი, თითქოს გაჩაღებულ ბრძოლაში მეომრები ფარზე ხმალს ურტყამენო.

ზურაბმა გააფთრებით ჰკრა წიხლი დათვის თავს, ხელი დააკლო სასმისს და დაეწაფა ღვინოს. მაგრამ ეს რა არის? ხარხარი არ წყდება, როგორც მატყუარა მოჩვენება, და ჯერ კიდევ ვერ წვდება შეგნებას, ღვინის გამაგრილებელი წვეთები ნიკაპიდან ჯავშანს ესხმება. გაკვირვებული აყურებს. „ჰა, ჰა,

ჰა, ჰააა!“ — მხიარული ხარხარი ზედ ზღურბლზე ბობოქრობს, ვით ტალღა.

ხმაურით შემორბის უფროსი ქეშიკი, საჭურველთმტვირთველები ერთმანეთს არ აცლიან და გაიძახიან:

— ბრწყინვალე მეფე მობრძანდება! მეფე თეიმურაზი! მეფე!

-- დილა ახლოვდება. — ზეიმით აცხადებს ზურაბი.

არაგვის ერისთავი ზურაბი მრავალი წლის განმავლობაში წყეველიდა თავის უძლურებას და ძრწოდა უძლეველის წინაშე, მის ნებას რომ ახშობდა, და ელოდებოდა ამ დილას, რომელიც მეფის გვირგვინით უნდა დაფაროს გიორგი სააკაძის მკერდისათვის დამიზნებული მისი ხმალი. და მაინც ეს დილა დუშეთში მოულოდნელად დადგა, ღრუბლებსა და ნისლში, როგორც რუხფარდებიანი ხომალდი, უცნობ ბუხტში რომ შევიდა.

ზურაბმა ფერი იცვალა, ბრძანა ხევსურული ტანსაცმელი ჩამაცვითო და ჩაფხუტი ჩამოიფარა. მრავალრიცხოვანი მცველების თანხლებით იგი ფიცხი ბერბერიული ცხენით გავიდა უკვე ჩამწკრივებული რაზმეულების წინაშე.

ასე, ბაზალეთის ტბასთან იმერეთის ჯარების მოსვლამდე ერთი დღით ადრე აღფრთოვანებულ შეძახილებში მეფე თეიმურაზი დუშეთში ჩავიდა, დიდებულად ედო ხელი სპარსულ მახვილზე, რომლის ვადაზე გამოხატული იყო ვეფხვის თავი. თათრული უნაგირის მოოქროვილ ტახტაზე ბრწყინავდა ფირუზი, თითქოს ტბის წყლის გაყინული წვეთიაო.

თუმცა იარაღისა და საჭურვლის ფუფუნებას ვერ მიეჩქმალა მეფის შეშფოთება, ვერც მისი ჭროღა-მოწითალო თვალების დაძაბული ცქერა. რაც უფრო უახლოვდებოდა იგი არაგვის ერისთავების სასახლეს, მით უფრო ეუფლებოდა ეჭვი: სწორად მოიქცა თუ არა, რომ ორმოც მხედარს თელავის მცველებიდან უბრძანა გაშიშვლებული ხმლით ევლოთ მის წინ, ხოლო ორმოც სხვა ქეშიკს მეფის ამალის უკან? მეტად გულახდილად ხომ არ ცხადყო მისთვის ჩვეული ეჭვიანობა? მაგრამ იგი ხომ ჯერჯერობით მთლად ცნობილი მეფე არ არის და ვერც იქნება, სანამ ცოცხალია სააკაძე. ნოსტელს ხომ მხარს

უპერენ მუხრანბატონები, ქსნის ერისთავები... ხოლო რამდენი ჰყავს კიდევ ფარული მომხრე...

ზურაბი ითვალისწინებდა, თუ რა გუნებაზე მოვიდოდა მეფე და ამიტომ მისი მობრძანება აღმოსავლური ფუფუნებით შემოსა. ქვიანი გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყვნენ მედროშეები, რომელთაც ეჭირათ არა მარტო ქართლისა და კახეთის, არამედ გათურქებული მესხეთისა და შორეული სვანეთის დროშებიც, ეს კუთხეები ხომ დიდი ხანია ქართლის სამეფოს აღარ ეკუთვნოდნენ. ამით ზურაბი მლიქვნელურად მოაგონებდა მეფეს, რომ ძველი საქართველოს სამხრეთი და ჩრდილოეთი ზღუდეები ახლაც ბაგრატიონს ეკუთვნიანო. არაგველმა მოისრეებმა სამჯერ აღმართეს მშვილდისარი, მორიალე ნისლში გასრიალდნენ წითელი და ნარინჯისფერი ფრთებით მოსილი ისრები; თავადთა შუბოსნებმა სამჯერ შეაზანზარეს შუბები და დაიქნიეს თავიანთი ბატონების სხვადასხვაფერი ნიშნები; მეშურდულეებმა სამჯერ დამუსტეს ხელახლა შურდულები, თელებსა და მუხებზე მაღლა ისროლეს მრგვალი ქვები, რომლებიც სეტყვასავით ახმაურდნენ შეშვერილ ფარებზე.

სასახლის შესავალთან ზურაბი ჩამოხდა თავის ბერბერიულ ცხენიდან და მოწიწებით მოიყარა მუხლი. სხვა თავადებმა მიჰბაძეს არაგვის ერისთავის მაგალითს და მეფემ, რომელიც ნთლად გამხიარულდა. მოწყალედ აღმართა ხელი, თითქოს ერთსა და იმავე დროს აპირებს ერთგული მსახურნი აკურთხოს და მათ თავზე დააყაროს ოქროს ფულიო.

ყომრალი ნისლი ფარავდა მწვერვალებს და სულ უფრო გასქელებული მოიწევდა ქვემოთ არაგვის ხეობისაკენ. მაგრამ თეიმურაზის სული წუთობით თავისუფლდებოდა უნდობლობის ნისლისაგან და განუყოფელი ძალაუფლების მზე უკვე აშუქებდა მის გზას ბაზალეთისაკენ.

სასახლის პირველ დარბაზში მეფეს შეხვდა უმაღლესი სამღვდელოება. ახალი სამოსით შემოსილმა ეპისკოპოსმა წირვა შეასრულა. თავადები ზურაბის მეთაურობით ერთსულოვნად აღავლენდნენ ლოცვებს და შემოქმედს სთხოვდნენ მიენიჭებინათ გამარჯვება მეფის მახვილისათვის, თითქოს დავიწყ-

ნოდათ, რომ თვითონ არღვევდნენ ჩვეულებას, რომელსაც მუდამ ესოდენი ერთგულებით იცავდნენ. რას არ იზამდნენ თავადები საკაძის დასამარცხებლად!

ჩვეულებრივ წელში მოხრილი თეიმურაზი გასწორდა და ამით უფრო მხარბეჭიანი გახდა. კმაყოფილი, იგი გრძელი თითებით ეხებოდა გულდასმით შეკრეჭილ შავ წვერს და გულში უკვირდა ნესტან-დარეჯანის საქციელი, რომელიც აღარ ცნობდა მის ერთგულ ზურაბს. „მაჯამა უნდა ვუძღვნა ჭირვეულ ლაშაზმანებს". თეიმურაზმა თავიდან მოიშორა უდროოდ აღძრული ფიქრები და დაჯდა მაღალ ტახტზე, რომელსაც გადაკრული ჰქონდა წითელი ხავერდი, დაეყრდნო მუთაქას და მჭევრმეტყველური თვალი მოავლო მის წინ მორჩილად მდგარ ზურაბს.

და თითქოს იმის ჯილდოდ, რომ უხილავი ძაფით განამტკიცებს მათს კავშირსო, ზურაბმა, რაკი ახსოვდა მეფის დასწრების მნიშვნელობა ბრძოლის ველზე, სადაც ერთმანეთს შეებრძოლებიან ქართველები, შეკრებილ თავადთა სახელით ფიცით დაარწმუნა მეფე, რომ თავადებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იარაღი არ დაყარონ, სანამ გაუვნებლებელი არ იქნება ნოსტელი, ოცდაორი წლის განმავლობაში რომ ურჩობის ალს აღვივებდა.

თეიმურაზს გულწრფელობა მოესმა არაგვის ერისთავის ხმაში, გულაჩუყებით დაუქნია თავი და გულში გაივლო, მაჯამა უნდა დავწერო ლურჯა ცხენისა და შავი დათვის მეგობრობაზეო.

თავადები ქორედის ახლოს შეჯგუფებულიყვნენ და ცდილობდნენ დაეფარათ ერთმანეთის ხმა:

— პატივი დაგვდე, მეფეო! მიგვიღე შენი დროშის ქვეშ!

— წაგვიძეო დიდებისა და გამარჯვებისაკენ! სიკვდილი „ვეფხვს", რომელიც საფუძვლებს არყევს!

— ვაშა მეფე თეიმურაზს!

თეიმურაზი დარბაისლურად გასწორდა წელში:

— ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი, მამაცო თავადებო! სამართლიანობის გულისათვის ინებეთ სისხლის დაღვრა. მოლალატე გიორგი საკაძემ განიზრახა მახვილი აღემართა მეფის

წინააღმდეგ, რომელიც ღვთივმოვლენილია, გაბედა ხელეყო ჩვენი წმიდა ხვედრი. თავადმა ზურაბ ერისთავმა, არაგვის ბატონმა, ჩვენი უანგარო სამსახურით კეთილშობილური მაგალითი გვიჩვენა და დასახა „ღვთის სწორისათვის" უსაზღვრო ერთგულებით სამსახურის გზა. ჩვენ კი ვინებეთ მოწყალება გამოგვიჩინა ბაგრატოვანთა ტახტის ერთგული თავადებისადმი და გვეზრუნა ჩვენი სამფლობელოს დაცვისათვის. მახვილს ქარქაშში არ ჩავაგებთ, სანამ არ გავიმარჯვებთ ჯოჯოხეთის მიერ მოვლენილ ბნელზე.

ზურაბი, რომელიც ქორედის საფეხურზე იდგა, გულაჩუყებული უცქეროდა ტკბილად მოუბარ მეფეს. მერაბმა და თამაზ მაღალაძეებმა მოწიწებით გამოისახეს პირჯვარი და წინდაწინ ტკბებოდნენ იმით, რომ მეფე დააჯილდოვებდა მათ ნოსტეს ახლოს მდებარე მამულით, რომელიც განთქმულია თუთის კორომებით და კალმახით სავსე მდინარით. ქველი წერეთელმა გაიხსენა თავისი ციხე-დარბაზის აკლება და აღტაცებული გადაეხვია თავად ქაჩიბაძის, რომელმაც მისი ორი ვენახი და წისქვილი მიისაკუთრა. მაჩაბელს დაავიწყდა, რომ ედიშერ ვაჩნაძემ წაართვა მას წაბლისფერთმიანი ლამაზმანი, რომელიც თვითონ უნდოდა მხევლად, და მხურვალედ გადაეხვია. ორი ათეული წლის მშფოთვარე ამბები ქართლისა და კახეთის თავადებს ახლა საშინელ სიზმრად ეჩვენებოდათ და აღტაცებაში მოვიდნენ: ის, რაც ვერ შეძლო მეტად გამოქნილმა შადიმან ბარათაშვილმა, შესაძლებელი გახდა ზურაბ ერისთავის უდრეკი ნების მეოხებით.

მეფეს გული აუჩუყდა: როგორ არ ჰგავდა თავადთა უკიდურესი პატივისცემა საკაძის თვითნებობას. მის წინაშე ათამაშდნენ ცეცხლოვანი სიტყვები, რომლებიც მოისრეებივით, მწყობრ კოლონად ჩამწკრივდნენ:

თუ ახლა ვეფხვი ლაღი
მეფეს გადასცემს მახვილს,
გაჰყვება ბრძოლის ძახილს —
„ქილევსივით მტკიცე!

გმირი დაელოცოთ, დროა,
მოჩანს ახალი ტროა!
მეფის ალამი მოაქეს
ზურაბს და ბრძოლას იწყებს!

თეიმურაზმა საყელოზე მოიწყვიტა მსხვილი მარგალიტი და ზურაბის მახვილის ვადას მიამაგრა. მეფისა და თავადების ერთობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. აგუგუნდა დაფი, აწკრიალდა ფანდური. ზურაბი ბრწყინავდა. აღტაცებული ხმების გუგუნში მას ესმოდა ყინულების წკრიალი, თითქოს არაგვის კეთილი სულები შორსმჭვრეტელ თავადს უმზადებდნენ მთიელთა მეფის ტახტს.

ვერც კი შეამჩნიეს, როგორ დაილია დღე. ჩამავალი მზის სხივები თანდათან წითელი ხდებოდა და ავდარს მოასწავებდა, ყრუდ დუდუნებდა წყალი და აბრუნებდა წყლის წისქვილის ბორბალს, შემდეგ კი ჩაბნელებულ ხევში იკარგებოდა. ძლივს მოჩანდა ქვიანი ბილიკი, რომელიც იარაღის კოშკში ადიოდა, სადაც ანთებული იყო კოცონი, რომელიც აშუქებდა ხალხს, კოშკიდან რომ იარაღი გამოჰქონდათ. ბილიკის დასაწყისში აღმართული იყო მაღალი ძელი და ზედ ჩამოცმული იყო თავის ქალა.

სოფელი ჭალა ქვიან კალთებზე იყო გაშენებული, მიწურებიდან ამოდიოდა კერის მწვავე კვამლი. ძაღლების ყეფა ხან შეწყდებოდა, ხან კვლავ ყოველი მხრიდან მოისმოდა. ბინდბუნდში ჩხარუნებდა ჯაჭვი, ისმოდა ნაწყვეტი ლაპარაკი.

წყლის წისქვილის ახლოს შეგროვებულიყვნენ გლეხები. ეს ბინდი, საღამო, ღამე კიდევ ეკუთვნოდათ მათ, ხოლო ხვალ ისინი უკვე მდუმარენი იქნებიან, როგორც ეს ღრუბელი.

ხვალ! იგი გარდუვალი იყო. დილაადრიანვე მსახურები მათ დაურიგებენ იარაღს, დაუკრავს დაფი და ჭალელ რაზმელთა მწყობრის წინაშე ქედმაღლურად გაივლის ახალგაზრდა თავადი ჯავახიშვილი. იგი მათ წაიყვანს ბაზალეთის ტბაზე, სადაც უკვე წავიდა მოხუცი თავადი მოწინავე რაზმით, რომელიც შედგენილია დიღმის ველზე გაწვრთნილი მესეფეებისა და გლეხებისაგან, ისინი უსათუოდ უკვე დუშეთში არიან.

ხვალ კი აქ აფრიალდება თავადის დროშა: თეთრ მთებზე ვერცხლისფერი მახვილი. მსუბუქია აბრეშუმი, უფრო მსუბუ-

ქი, ვიდრე ნისლი, მაგრამ მძიმეა, როგორც ახალგაზრდა ტყეში ჩამონგრეული კლდე. განთიადისას დაიყვირებს თავადის ბუკი და ბრძოლისათვის მოუწოდებს. ვის წინააღმდეგ? საშინელებაა ფიქრი... მოურავის წინააღმდეგ!

წყეული იყოს ეს ღამე! შედექით წისქვილის ბორბლებო! შესაძლებელია, დრო იყოს თქვენთან ერთად გავჩერდეთ! დაე გაგრძელდეს ღამის წყვდიადი! საჭირო არ არის მზე! იგი თავადის დროშაზეა ორ თეთრ მთას შუა! და მისი სხივები შუბზე უფრო მჭრელია! ო-ო, ვის უმიზნებენ მათ? საშინელია ამაზე ფიქრი... მოურავს!

დახუთული ღამეა ჭალაში, ახლოვდება ბაზალეთის სისხლისმღვრელი დღე.

— ო-ო, ხალხო! რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ?

ყოყმანობენ გლეხები, არ იციან, რა ქნან. ახოვანი ახალგაზრდა გაჯავრებული იხდის ქუდს და მიწაზე აფერთხებს:

— პირდაპირ ვიტყვი, თავადებთან ერთად მოურავის წინააღმდეგ წასვლა ქართლის ღალატია!

— ე, ზაქრო, როდის გახდი ჭკვიანი? — წაიდუდუნა მეწისქვილის ვაჟმა და შიშით შეხედა კოშკს.

— დიღომში დავჭკვიანდი. როცა თხრილზე გადავხტი, გავიფიქრე: „ერთგულების ფიცს ვაძლევ მოურავს-მეთქი".

— და როცა ფიცს აძლევდი, ცოლზე, დედაზე, მამაზე ფიქრობდი?

— მამა თანახმაა...

— რაზეა თანახმა? უღელი ედოს კისერზე?

გლეხები გარს ეხვევიან აღშფოთებულ ზაქროს.

— ან იქნებ ლამაზი ქალიშვილი გასაბახებლად გავიმეტოთ?

— იქნებ ცოლი გადასახადის ამკრეფს აჩუქო? დიდი ხანია წყეული ისე უცქერის თინიკოს, როგორც ქორი — მტრედს!

— ტყუილად გვაშინებ! — მტკიცედ თქვა ბუაძემ. — მეც დიღმელი ვარ, შაქროსთან ერთად მოურავთან წავალ.

ახმაურდნენ, გაეხარდათ, თითქოს ამ სოფლელი ვაჟკაცის გადაწყვეტილებას ელოდნენო.

— მეც მოურავთან წავალ!

— მეც!

— და მეც!

— ო-ო, რამდენი ვირია ჩვენს სოფელში! — ყაბალახი ჩაიქრა ხანში შესულმა გლეხმა. — მარტო თქვენ გინდათ მოურავთან წახვიდეთ? ჩვენ კი თანახმა არა ვართ?

— წყნარად ილაპარაკე! წყნარად!

— დაგავიწყდათ, რა თქვა ეკლესიაში კვირას თავად ვირანის გლეხმა?

— ერქნებ განგებ გვაშინებდა!

— განგებ? გესმის, ხალხო? განგებ! გაიქეცი, შორს არ არის — გაიქეცი, ნახავ თუ როგორ კამეჩებივით ეწევიან უღელს მოურავის მომხრის ცოლი და დედა.

— სოფელ ძეგვში კი ორმოში ჩააგდეს ბიჭი, რომელიც ცდილობდა მოურავთან გაქცეულიყო.

მიმამულეთა სისასტიკეზე ბევრი რამ არის ნათქვამი ეკლესიებში, ბაზრებში, გზისპირა დუქნებში, სამჭედლოებში, წისქვილებში, ტიკებზე.

— ო, ხალხო! რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ?

და გლეხებს სულ უფრო ეუფლებოდა ეშვი და შიში.

— ხალხო, ვინ არ იცის იმ სამი ბიჭის ამბავი თავად ამირეჯიბის სოფლიდან?

— ნიკო, ჟინიანებისათვის ერთხელ კიდევ თქვი. დაე დაიმახსოვრონ: კუპრსა და თაფლს სხვადასხვა თვისება აქვს.

— წყნარად ილაპარაკე! წყნარად!

— აი, ხალხო, ბევრზე შეიტანეს ეშვი, მოურავთან წასვლას აპირებენო! ფეხებზე ბორკილი დაადეს.

— ბორკილი არაფერია, თუ დაადეს კიდევაც მოიხსნიან. სხვა მწუხარებაა: თავადმა ბრძანა, პირუტყვი წაართვითო! ხოლო დაცარიელებულ ბოსელში ვინ შერეკეს? მამა! დედა! დები!

— ო-ო, მწუხარებავ!

— წილიც წაართვეს.

— სწორად მოიქცნენ: თუ კერა ჩაქრა, მარცვალი რათ გინდა?

— მარცვალი თუ არ არის, რა საჭიროა ბოსელთან ბავშვები ტიროდნენ?

— წყეული თავადები! აი მოურავი გაიმარჯვებს და ყველა ავაზაკს ბოსელში შერეკავს!

— ვინ არის წინააღმდეგი?

— კამეჩები არიან წინააღმდეგი!

— წყნარად ილაპარაკე! წყნარად!

— ჩუმად, გოგლა! წმიდა ღვთისმშობელმა დედამ გამარჯვება მისცეს ჩვენს მოურავს!

— ეგ ყველას სურს! მხოლოდ სანამ გაიმარჯვებდეს, ჩვენი ოჯახები ორმოებში და უღელქვეშ შეიძლება დაიღუპნენ.

— რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? განა ჩვენ საკუთარი ნება გვაქვს?

— მაშასადამე, მოურავთან ბრძოლა გადაწყვიტეთ?

— ვინ გადაწყვიტა?! ეჰე, ზაქრო, ხალხი ჭკვიანს გეძახის, შენ კი არ იცი, რას ლაპარაკობ! თავს მოვიკატუნებთ, რომ ვიბრძვით.

— ჰო-ჰო, მსახურები კი ვერ შენიშნავენ? ან თვით თავადი შენზე უფრო სულელია? შეხედე ძელს — ეგერ თეთრად მოჩანს თავის ქალა! მოიგონე, რისთვის მოჰკვეთა თავადმა თავი საბას!

— ასეთი რამ კიდევ თავად ქაჩიბაძის სოფელში იყო, მოხუცმა ესტატემ ილაპარაკა ბაზარში. ათ დიღმელს უნდოდა მოურავთან გაქცეულიყო. დაიჭირეს. მაშინ თავადმა ბრძანა, ყველანი ორმოში ჩაყარეთო — იმუქრება: წელიწადს იქიდან არ ამოვუშვებო.

— უკვე ამოვიდნენ!

— ეგ ვინ თქვა? ვინ?

გლეხები სწრაფად მობრუნდნენ. ბინდში გამოძვრა ტანადი ხიზანი, რომელიც დაცინვით უცქეროდა მოდავეებს.

— ვფიცავ, არ ამოსულან! ასეთ საქმეში თავადების სიტყვა მტკიცეა.

— მე კი ვფიცავ — ამოვიდნენ! — დაჟინებით ამბობდა ხიზანი. — ამოვიდნენ, რაკი თავადმა ისინი თურქებს მიჰყიდა.

— თურ-ქეებს? ახალციხის მთავრეც დასცემია მათ თავს!

— რატომ აწუხებ საფარ-ფაშას? ჩვენი ძმები სტამბოლში გაირეკეს.

— რა-ო-ო?

შაქრო შეკრთა: ამაზე საშიში რა იქნება! გლეხები შეჩოჩქოლდნენ — შიშის ჩვენებაც უხერხულია და კანკალსაც ვერ იკავებენ. ბევრი შეუმჩნეველად გაილალა. სხვები შიშით იხედებიან სოფლისაკენ. ზემოთ უფრო გაჩაღდა კოცონი. ჩამოდიოდნენ მსახურები, რომელთაც იარაღი მოჰქონდათ. ცივი სიო ქროდა ბნელი ხევიდან, სადაც ყრუდ დუდუნებდა წყალი.

და უეცრად მოვარდა: ვინ თქვა, ძილის დროაო? უკანასკნელი ღამე მშობლიურ კერასთან. აგერ უკვე მამლები მეორედ ყივიან. ვინ აგონებდათ ხვალინდელ მძიმე დღეს? ჯერ კიდევ ჩალა არ გაუნიავებიათ და ერთმა თითქმის სიხარულით დაიძახა:

— ე-ე ხალხო, ძილის დროა! ალბათ კეთილი ცოლები ცხელი ლობიოთი გელოდებიან!

— დედაჩემი შემპირდა პურს გამოგიცხობო.

— დედაჩემი კი — ხაჭაპურსო. ღვინოსაც დამპირდა.

— ცოლმა სიტყვა ჩამომართვა, შინ მალე დაბრუნდიო.

— ეჰ, ხალხო, კარგია, როცა ოჯახი მშვიდობიანად ცხოვრობს! დაე ღარიბი, მაგრამ მთელი იყოს და არც ბავშვები ტიროდნენ დაკეტილ ბოსელთან.

— ყველა თქვენ. ხალხო, მართალს ამბობთ, მაგრამ მოურავი დიღომში გვასწავლიდა: „სიკვდილისა კი ნუ გეშინია — სირცხვილს უფრთხილდიო!“ და მე. სამშობლოს წინაშე ვალდებული. სულერთია მოურავთან წავალ.

— ჩუმად, შაქრო! ორმოში დამპალი თოკით ნუ ეშვები. შეხე, გზირი მგონი ჰაერს იყნოსავს.

— გახსოვდეს, ჩვენი გულუხვი თავადი შენც თურქებს მიგყიდის!

ზაქრომ მწუხარედ მოავლო თვალი თანასოფლელებს და მდუმარედ მიეფარა გაყვითლებულ ხეებს. და მაშინვე შორიდან მოისმა ახალგაზრდა ქალის ხმა:

— ზაქრო, ე ზაქრო! რატომ გვალოდინებ მოსვლას! ან იქნებ ხვალ დილით შენ არ უნდა გაგაცილოთ? ან იქნებ შენ ახალგაზრდა თავადის რაზმელი არა ხარ?

სადღაც მამალმა სამჯერ დაიყივლა. ბნელი მთის მწვერვალიდან მთვარემ გამოიხედა, და მის მკვდრულ შუქზე ავბედითად გაკრთა თეთრი თავის ქალა.

მეფე დუშეთშია! აღსრულდა! ზვავმა დაანგრია იმედის ციხე-დარბაზი! არ მოიდრიკება ნებისყოფა ბედის ცვალებადობით? გაქრეს ეჭვი! უნდა გავთიშოთ ძერები და ტურები! გული უნდა გაუგმიროთ არაგველს! მკვეთრად მიებრუნდეთ ჩრდილოეთისაკენ, შევიჭრათ თეთრი არაგვის ხეობაში და იერიშით ავიღოთ ანანურის ციხე-დარბაზი.

თავადები არ გამოეშურებიან ზურაბის დასახმარებლად მისი საგვარეულო ციხე-დარბაზის დასაცავად და... ზურაბი პირისპირ შეხვდება მოურავს.

როგორღაც ანანურში შეაღწია ხმამ, რომ მოურავი ერისთავის ციხე-დარბაზის აღებას აპირებსო. შიშმა მოიცვა ანანურელები. შეშფოთებული ელოდებოდნენ გარდუვალ უბედურებას, კლდეების ჩამონგრევას, არაგვის შეგუბებას, ხოლო ნაპირებიდან გადმოსული მდინარე ციხე-დარბაზს წალეკავ'ს ეკლესიის გუმბათის ჯვრამდე. წინასწარმთქმელები ჰაღარა თმას იგლეჯდნენ და სხვადასხვანაირად ქადაგებდნენ, მწვანე გველი გაუსხლტა შავი დათვის ბრჭყალებს და შიგ ცხელ გულში უკბინაო.

კნეინა ნატომ ამპარტავნულად ასწია თავი, რის გამო მის ორმაგ ლაბაბზე სისხლის წვეთებივით აკიაფდნენ მანიაკის ლალები:

— მოურავი არ დაესხმის თავს ანანურს!

და სააკაძესთან გაეშურა მოხუცი ბერი.

„...გიორგი, იცოდე, — წერდა ნატო, — რომ მხოლოდ ჩემს

გვამზე გადაბიჯებით შემოიჭრები ანანურის ციხე-დარბაზში, სადაც განისვენებს მამაცი ნუგზარ ერისთავის ნეშტი...“

„ვეფხვებმა“ ნიაღვარიც კი დაივიწყეს, ბრდღვინავდნენ, ხრიალებდნენ, დაფუსფუსებდნენ საკაძის გარშემო და მოგვაგონებდნენ იმათ, ვის სახელსაც ატარებდნენ. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს ციხე-დარბაზს. „არაფერს არ გაეწიოს ანგარიში!“ — გააფთრებით იძახდნენ ისინი.

მაგრამ საკაძემ ანანურზე არ გაილაშქრა...

„ბაზალეთში რატომ ყველაფერი ჩემი განზრახვის წინააღმდეგ ხდება? — მძიმედ ფიქრობდა მოურავი, — რატომ? ალბათ ხომ არა, რომ მხოლოდ ხალხს უნდა დაეყრდნო? ხოლო თუ იგი ცოტაა? დიდი მეფეებიც კი ხელსაყრელ მოკავშირეებს ეძებენ. რა თქმა უნდა, ისეთებს. რომლებიც დროზე მოდიან, იმერეთის მეფე ხელს უწყობს ღირსეული გეგმის ჩაშლას... უმჯობესი იყო ერთბაშად ეთქვა უარი, მაშინ დრო იქნებოდა მოსაფიქრებლად... ახლა კი?.. გავუშვით შემთხვევა ხელში ჩაგვეგდო უძლიერესი თავადები, მოგვესპო ზურაბ ერისთავი, გაგვედევნა თეიმურაზი და... რა ბეცები არიან მეფეები! ნუთუ იმერელ ტახტის მემკვიდრეს არ ხიბლავს სამი სამეფოს კვირგვინი? უსათუოდ ხიბლავს, მაგრამ იგი აუჩქარებელს უნდა მიართვას სულელმა ხალხმა სულელი მოურავის მეთაურობით... რომელსაც წყურია საყვარელი სამშობლოს აყვავება...“

წინა დღით „ვეფხვებმა“ პირადად მოაწყეს დაზვერვა. მრავალი წლის გამოცდილებამ ხელი შეუწყო მათ სქელ ნისლში სწორად წარმოედგინათ მტრის ძალების საბრძოლო განლაგება.

მოურავი, რომელსაც თან ახლდნენ ასლამაზი და გუნია თავიანთი ასეულებით, ბერთა მთისაკენ გაემართა, დუშეთის სამხრეთით რომ აღმართულა. კვლავ რაღაც წუთით გაიფანტა ნისლი და ღელში გამოჩნდა ტბა: გაჯავრებული ტალღები უდაბური ნაპირისაკენ ისწრაფოდნენ და მაღლა ისროდნენ აქაფებულ ქეჩოებს. მთელი ტბა თვალის ერთი მოვლებით ჩანდა, მაგრამ რაღაც შავბნელი ძალა მსჭვალავდა მძიმე, თითქოს ტყვიით გაჟღენთილ წყალს. „გოლიათს ხომ არ ამოუღია პეშვით შავი ზღვის წყალი, — გაიფიქრა საკაძემ,—და დაუსხამს

ამ მაღალ მთებში? დაე იმედი ნუ ექნებათ ქონდრის კაცებს ამ ნაპირებზე შეუყარონ ბორკილი ქართლის ბედს!"

სააკაძე. რომელიც იძულებული იყო ბრძოლისათვის აერჩია ბაზალეთის ტბის დასავლეთი ნაპირი, ყოველმხრივ აფასებდა მის წინაშე გადაჭიმულ ადგილს და ითვალისწინებდა აზნაურთა რიცხვმცირე ცხენოსან ჯარს. არამაღალი კალთები, რომლებიც მთავარი ქედიდან ჩამოდიოდნენ, დაფარული იყვნენ წვრილი ტყით და განშტოებასავით ვრცელდებოდნენ მტკვრის შენაკადებს — ქსანსა და არაგვს შუა, — სააკაძის ჩანაფიქრით, ისინი წარმოადგენდნენ ყველაზე ხელსაყრელ პოზიციებს, რადგან შესაძლებლობას იძლეოდნენ მოეწყო მოკლე. მაგრამ ძლიერი დარტყმა ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეზე.

სააკაძემ ასლამაზს უბრძანა რაზმეულები განელაგებინა ბერთა მთის და ნაცარა მთის ხაზზე და ღამის გათევა დანიშნა დამრეც კალთებზე, ამასთან წინ წასწია მზირთა შარი. იმართებოდა წნელისაგან გაკეთებული მსუბუქი კარვები, რომლებსაც ზემოდან ესხმოდა მღვრიე ნაკადულები და რაზმელები განუჭვრეტელ წყვდიადში ნაბდების ქვეშ მალავდნენ ხმლებსა და შუბებს.

სააკაძის კარავში მოთავსდნენ „ვეფხვები", თავქვეშ დაიდეს უნაგირები ან ქვები და ზედ წააფარეს დასველებული ჩაბალახები. ისინი მალავდნენ აღელვებას, გულს რომ უწვრილებდა მათ, და განგებისი უდარდელობით ისმენდნენ — მერამდენეჯერ! — გივის ნაამბობს ბოიარის ლხინის შესახებ. მეგობრებს განსაკუთრებით ართობდა იმ უმწეობის გამოხატულება, რაც გივის სახეზე ისახებოდა, როცა კელავ ბეჯითად ცდილობდა გაეხსენებინა ყველა მოსკოვური სუფის სახელწოდება და ამასთან მუდამ ეშლებოდა ანგარიში.

როსტომმა უფრო მაგრად შემოიჭირა ქამარი და საქმიანად იკითხა, რა წვნით იყო შემზადებული რუსეთის ვოეოდის სასახლეში მორთმეული ხორცი. ელიზბარს აინტერესებდა ხაჭაპურის გული, პანუშს კი — თევზის საწებელი. გივის განმარტებას აზუსტებდა დათო და მშიერ „ვეფხვებს" ზედიზედ ეყრებოდა თავს ოცნებით წარმოდგენილი მსუქანი საჭმლის

ნაჭრები. ბოლოს, დიმიტრიმ ველარ მოითმინა, ზურაბს ერთ-ნახევარი ეშმაკი უსურვა საუზმედ და დაიმუქრა, ნედლად ჩავ-ყლაპავ აზნაურულად უნაგირს, თუ არ შეწყდება იმ საქმელზე მოგონების ცდა, რომელიც დიდი ხანია გადაყლაპულიაო. ასეთი წამების გამოყენებას „ირანის ლომიც“ კი მოერიდებოდაო.

„ირანის ლომის“ გახსენებამ „ვეფხვებს“ მოაგონა ფიქრი „არაგვის ძერას“ შესახებ. ისინი მერყეე კარავიდან გავიდნენ და დაიწყეს თავიანთი რაზმეულების განლაგება იმ ხაზებზე, რომლებიც საკაძემ უჩვენა.

საკაძე ფიქრობდა მომავალი ბრძოლის ყოველგვარ მსვლელობაზე და თანაც დაძაბულად უსმენდა. მაგრამ ჯაგრისებზე, რომლებიც შინდის ტოტებზე იყო დაფენილი, მხოლოდ წყალი წანწკარებდა. არ ისმოდა არც ბუკისა და არც ცხენის ფეხის ხმა, — მემკვიდრე ალექსანდრე არ მოდიოდა.

არც სხვა კარვებში მოუხუჭავთ თვალი. ამ მომქანცველმა ლოდინმა საბოლოოდ გასტანჯა აზნაურთა რაზმელები. სტიქიურად წარმოშობილი წყალვარდნილები, რომლებიც გრიალით მიაქანებდნენ ქვებსა და ფესვებიანად ამოთხრილ ხეებს, შეშფოთებას უნერგავდნენ რაზმელებს: „იქნებ მართალს ამბობენ ბერები, რომ „ღვთის სწორის“ წინააღმდეგ აღმართული მახვილი გარდუვალად ფიქაზე უფრო რბილი გახდება?“ მაგრამ აქვე აგონდებოდათ, რომ მათი ხმალი გამოჭედილია განსაკუთრებული ფოლადისაგან, რომ ეს არის ხმალი გიორგი სააკაძისა, რომელსაც მუდამ ახსოვს ხალხი. იქ კი, მათს წინააღმდეგ, მტრის მხარეზე, სადაც მტრულად ჩამწკრივებულია თავადთა ჯარი, ლაპლაპებს საზიზღარი ზურაბ ერისთავის შხამით გაჟღენთილი მახვილი.

ფიქრები იხლართებოდნენ, ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ რა უჯობს ხალხს, სად არის სწორი გზა. და სულ უფრო მწვავედ იგრძნობოდა შეშფოთება ქართლის ხვალინდელი დღისათვის. იმერეთის ბაგრატიონების ჩარევა კი რაზმელებისათვის იყო მოურავისადმი ზეცის კარგი განწყობილების სასურველი ნიშანი მის ბრძოლაში საზიზღარი თავადების წინააღმდეგ.

ჯარის უფროსები და რაზმელები, ბრძოლებში გამოწრთობილი რაინდები და უწვერულვაშო ახალგაზრდები, რომლებიც

მხოლოდ საბრძოლო ნათლობას იღებდნენ, ერთნაირი თრთოლ-ვით ელოდნენ იმერლების მოსვლას. ნუთუ მთელი საუკუნე უნდა ველოდოთ მათ!

უკუნ ბნელში რიყეს ეხეთქებოდნენ ბაზალეთის ტბის ტალ-ღები და ითვლიდნენ წამებს, საათებს...

ლელში შრიალებდა ქარი...

არც ბუკის ხმა და არც ცხენის ფეხის ხმა!

კარვის სახურავს გამოსხლტა შვინდის ტოტი და შეეხო მთვლემარე დათოს ლოყას, მას კი მოლიმარი ხორეშანის სახე მოეჩვენა, რომელიც ნაზი თითებით ეფერებოდა სახეზე. მერე რატომ დაიცარა იგი როგორც ღრუბელი? აიძრნენ რაღაც აჩრდილები, ჩამოვარდა რკინა. დათო წამოხტა, თვალები მო-იფშვნიტა, მათარსი რკინის პერანგს იცვამდა, „ვეფხვები" ხმლებს ირტყამდნენ, ნაბდებს ისხამდნენ და გარეთ გარბოდ-ნენ!

ჭინკასავით აიტუზა მათ წინ მზვერავი და წვიმით გაჟღენ-თილი ჩაბალახი მოიხადა.

— მოურავო... მოცოცავენ!

— ვინ მოცოცავს?

— ისინი.

— ვინ ისინი? გველნახევარი შენ...

— უმჯობესი იქნებოდა აგრე ყოფილიყო!

კარვებიდან გამოცვივდნენ რაზმელები, ვილაცამ გაიცინა, ვილაცამ შეიგინა, ვილაცამ მუჭში ჩაიფრთქვინა.

სააკაძე მზვერავს აკვირდებოდა.

— რა გქვია?

— ტარიელად მომნათლეს... უმჯობესი იყო სულაც არ დავბადებულიყავი!

— ჩაბალახზე გატყობ, აზნაურ ასლამაზის რაზმელი ხარ.

— აბა ვისი ვიქნები?

— მაშასადამე, იმერლები მოიჩქარიან?

— იქნებ კიდეც მოიჩქაროდნენ, მხოლოდ წინ კუ უშლის.

რაზმელები სიცილით კინაღამ მიწაზე გაგორდნენ. დათო ტუჩს იკვნეტდა, გივი ხითხითებდა, სააკაძემაც კი გაიღიმა. მხოლოდ დიმიტრიმ დაიყვირა მკვახედ:

— ბოლოს, იტყვი თუ არა, სად არის იმერელთა ჯარის მეწინავე ნაწილი?

— კეთილშობილო აზნაურო, თავი და კუდი ერთ ქვაზე მოთავსდნენ.

— მაშასადამე, ცოტანი არიან?

— მოურავო, მემკვიდრის ფაფახზე წინ რომ ალმასი არ ბრწყინავდეს, სულაც ვერ შევნიშნავდი.

კვლავ ხარხარმა შეარყია ბანაკი. წვიმაც კი როგორღაც მინელდა. აეთანდილი დაუთბეგის მხარს ეყრდნობოდა და ატეხილი სიცილი ვერ შეემაგრებინა. გიეი ჭყვიტინებდა და ცხვირსახოცს წურავდა — არავინ იცოდა წვიმისა თუ მხიარული ცრემლის სიუხვისაგან.

— ასლამაზი გაეშურა მემკვიდრის შესახვედრად?

— არა, მოურავო. აზნაური გუნია გაგზავნა.

— თვითონ კი რატომ არ იკადრა?

— ცხენი დაენანა.

— ახლა სად არიან იმერლები?

— ყვითელი კუდიანის საჯდომზე გადმოდიან.

რაზმელები ხარხარებდნენ და ერთმანეთს ეხლებოდნენ. „ვეფხვებმა" არ იცოდნენ, როგორ შეეკავებინათ გულისწყრომა და უადგილო მხიარულება.

სააკაძეს თრთოლვა დაეუფლა: „და ხალხის მიერ ეს საცინად აგდებული მემკვიდრე ქართლის მეფედ დავსახე! სამი სამეფოს მეფედ! მერე ვინ მიიღებს მას სერიოზულად?"

მაგრამ... სააკაძე შიკრიკთან მივიდა და სამჯერ გადაკოცნა იგი:

— გმადლობ, ტარიელ! შენ, როგორც ქართლის ნამდვილმა შვილმა, ჩვენს მხრებს ნახევარი მწუხარება მოაშორე. ხომ ხედავ, მწუხარების ნაცვლად მამაცურად ვმხიარულობთ, სიცილი კი წარმატების საუკეთესო თანამგზავრია. მომგვარეთ ჯამბაზი! თვითონ შეეგებები ბატონიშვილ ალექსანდრეს, იმერეთის ტახტის მემკვიდრეს!

ამაო იმედია. კვლავ მღვრიე განთიადი, რომელიც კლდეებს შოსდებია, ბადესავით გადაფარებია ტბას, გაგიუებული ნაკადებით იმუქრება.

მაგრამ ხევების ავი სულების საწინააღმდეგოდ, ბოროტად რომ აღუმართავთ გიგანტური ქვის რქები და მორიალე ღრუბლებით გაკვეთილან, თავპირჩამობნელებული „ვეფხვები“ თითქოს ცის ჩამონგრეულ თაღში გაიჭრნენ და ბერთა მთის აღმოსავლეთ კალთებზე გავიდნენ.

ამ მთის დასავლეთ კალთებს კი უახლოვდებოდნენ დაქანცული, სიცივით ატანილი იმერლები. მეწინავე მხედრებს თასმებზე ეკიდათ ბუკები, გალურჯებულ თითებს არ შეეძლო მათი დაჭერა და მუშკეტების ბანჯგვლიან ბუდეებს, ვით კამეჩის ტყავს, წყალი სდიოდა.

„ვეფხვები“ უკვე ავიდნენ პატარა მოედანზე, კლდის ნამსხვრევებით რომ იყო ავსილი, ხელები დაიკრიფეს ჯავშნებზე და დაღვრემილნი უცქეროდნენ „ჯარს“, ლასლასით რომ უახლოვდებოდათ. დაუთბეგს კიდეც მოეჩვენა, რომ იძროდა დამკრძალავი პროცესია, და უნებურად წამოიძახა:

— ოხრები, ჩირაღდნებს რატომ არ ანთებენ?

ხანში შესულმა აზნაურმა ქვიქვირჩამოგდებულ ცხენს დეზი კრა და „ვეფხვებთან“ მივიდა. მან იცნო დათო, ფაფახი დაიფერთხა და ერთბაშად მორთო წუწუნი.

იმერლებს ჰქონდათ დასვენების, კერაზე გაჩაღებული ცეცხლის, ჭამა-სმის იმედი, ისინი კი გააოგნა ხმამ, რომ გზა დუშეთისაკენ კახელებმა და ქართლელი თავადების რაზმელებმა გადაჭრეს. მემკვიდრე ალექსანდრემ ძნელი უღელტეხილი გადმოლახა, მის მცველებს თვალი ვერ მოუხუჭავთ და მადლობის ნიშნად მათ სთავაზობენ ქვის ლავაშებსა და წვიმის წყალს!

ხანში შესული აზნაურის ჩვეულებრივ მოვლილი შავი წვერი ახლა გაბურძგნული იყო და წყენას მალავდა.

— გელათის ღვთისმშობლის გულისათვის, — განაგრძო მან გაჯავრებით, — მითხარი, აზნაურო, სად მოვათავსო იმერეთის

ტახტის მემკვიდრე? მეფემ მე, ქეშიკთა უფროსს, მომანდო მემკვიდრის ძვირფასი სიცოცხლე.

— იცი, აზნაურო, — თანაგრძნობით დაიწყო დათომ, — ჩვენ, „ვეფხვთა რაზმეულს“, ხალხმა ჩაგვაბარა დიდი მოურავის ძვირფასი სიცოცხლე, იგი კი თავს იკატუნებს, რომ ვერცა გრძნობს ამას, და აი უკვე რამდენიმე დღეა თითქმის არ ჩამომხდარა ცხენიდან, თითქოს ცას თავზე არ დაუფრქვევია მისთვის თავისი სიუხვე.

— და საიდან არის მაღლა ამდენი წყალი? — ამოიოხრა გივიმ და დასძინა: — კარგი ვერ არის, როცა წმინდანები არ ფიქრობენ, თუ რას აკეთებენ.

ხანში შესულმა აზნაურმა ნაღვლიანად შეხედა დათოს, რომელიც ულვაშს იკვნეტდა, და იმერლებს დასჭყივლა:

— თქვენ რა, ვირიშვილებო! დაგავიწყდათ, ვინ უნდა მოვიდეს აქ ნახევარი საათის შემდეგ? მემკვიდრე უნდა მოვიდეს!

— არ შემცდარხარ, აზნაურო? ჩვენი დიმიტრი ირწმუნება, საათნახევრის...

— გივი, სწორედ ახლა უნდა გაგგზავნო საათნახევარს ჯანდაბის ჯურღმულში! და კიდევ...

ხანში შესულმა აზნაურმა გაჯავრებული შეძახილით შეწყვიტა ქეშიკთა საყვედური და უბრძანა, დაუყოვნებლივ კარავი გაშალეთო.

მემკვიდრე ალექსანდრეს მსახურნი, რომელთაც მაღალი ტყავის წაღები ეცვათ, საქმიანად ეძებდნენ ადგილს დიდი იმერული კარავისათვის. „თითქოს ზაფხულში დასასვენებლად მოსულანო!“ — აიჩეჩა მხრები ელიზბარმა, რომელიც გიორგი სააკაძემ მემკვიდრის ამალას მიუჩინა დახმარებისა და კავშირურთიერთობისათვის. ბოლოს, პანტის ქვეშ ჩალვადრებმა განტვირთეს ორი ჩასუქებული ცხენი, სწრაფად ააგეს ინდოეთიდან მოტანილი ბამბუკისაგან კარვის ჩონჩხი და ზემოდან დააფარეს ცისფერი ქეჩის ნაჭრები. მედროშეებმა მყის აღმართეს შესასვლელთან იმერეთის ცისფერი დროშა, რომელზეც გამოსახული იყო ქორბუდა ირემი შუბლზე ჯვრით.

„ვეფხვები“ სულ უფრო გაკვირვებით უცქერდნენ, თუ როგორ განტვირთავდნენ მოსამსახურენი სამ აქლემს. მათ გაშა-

ლეს სქელი რუხი ქეჩა და დააგეს სველ მიწაზე, კარვის შესასვლელთან დაფინეს ბალახისფერი ქეჩა. ერთ-ერთ აქლემს ჩამოხადეს სალაშქრო სავარძელი, სამი არაბული სკამი და ორი რვაკუთხა მაგიდა.

„ვეფხვები" მეტს აღარ უცქერდნენ, რადგან დიმიტრი ისე წამოჭარხლდა, რომ ამჯობინეს მალე გასცლოდნენ აქაურობას და არ ეცთუნებინათ იგი ჩხუბი აეტეხა ხანში შესული აზნაურისათვის.

უფლისწული ალექსანდრე ნელა ჩამოხდა ცხენიდან, დარბაისლურად შებრძანდა კარავში, შესასვლელთან მოიხადა დასველებული ლაბადა, ნაზად გაიღიმა და სალაშქრო სავარძელში ჩაბრძანდა. კმაყოფილი იყო: ნაცვლად მომაბეზრებელი სამხედრო წვრთნისა, როგორც ქუთაისიდან თავისი რაზმის ქართლში გადაყვანა წარმოედგინა, იგი ჩავარდა უჩვეულო პიროებებში, სადაც სტიქიონის მოულოდნელი გამძაფრება შეერწყო სხვადასხვა თავგადასავალს, რომელთა მსგავსი მას გაგონილი ჰქონდა ბათუმში სტუმრობის დროს ვენეციური ხომალდების კაპიტნებისაგან ან იმ ტვირთის მფლობელთაგან, რომელიც იმერეთზე გაჰქონდათ. უფლისწულს, რა თქმა უნდა, ხიბლავდა მაღალი მიზანიც: მახვილით მოეპოვებინა აღმოსავლეთ საქართველოს ტახტი და ზედ აეყვანა მზეთუნახავი ნესტან-დარეჯანი.

ამ სასიამოვნო ფიქრებში მიუსწრო ალექსანდრეს სწრაფად შესულმა სააკაძემ. ორბის თვალი მოავლო მან ფუფუნების კარავს და წარბი შეიკრა: ეს რა არის — მხედართმთავრის შემთხვევითი ბანაკი ბრძოლის წინ, თუ ანტიკური საქონლის წარჩინებული ვაჭრის კარავი? ხავერდი და ტარსიკონი, ნაზი სუნამოთი რომ იყო გაჟღენთილი, ძვირფასი ლითონისა და ქვების ნაკეთობანი, უცნაურად რომ ციმციმებდნენ და... საბედისწერო ნიაღვარი, კარვის ცისფერი კედლების გარეთ რომ მძვინვარებდა. ხომ არ დასცინის შეშფოთებულ მოურავს შავი ბედისწერა?!

სააკაძემ მოწიწებითი და ამასთან ერთად თავშეკავებული სალამი მისცა უფლისწულს და დაწვრილებით აკვირდებოდა მის სახეს: მოგრძო, როგორც კრიალოსანის მძივი, თითქოს

ვარდის ფურცლებისაგან გამოუძერწავთო, სავსე ოდნავ მგრძნობიარე ტუჩების კუთხეებში მიმალული თავაზიანი ღიმილი. ზეცის სიგრილეს გამოსცემენ ჩიჩხ-ლურჯი თვალები, ხოლო მათ ზემოთ გადაჭიმული წვრილი, თითქოს დახატული წარბები. და როგორღაც უცნაურად არ ეგუება ნაზ ლაპარაკს მემკვიდრის მოძრაობა — ფიცხი, მკვეთრი, როგორც გაზაფხულის სწრაფი გაღვიძება.

„რა გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოზე თურქეთის ბატონობამ! — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა საკაძემ. — ქართლი უფრო მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა არაბული მოზაიკის ბრწყინვალებას და სპარსული მახვილის მძვინვარებას!“

უფლისწულმა წმინდა აღმოსავლური ზრდილობით გამოთქვა თავისი სიხარული, მოურავი ენახა თავის ჯარში, რომელიც მას აღმერთებს, მკაცრ ვითარებაში, მის მოწოდებას რომ შეესაბამება.

მოურავმა მადლობა გადაუხადა ალექსანდრეს რაინდული მისალმებისათვის და უსურვა შეყვარებოდა ქართლი არა მარტო ამომავალი მზის სხივებში, არამედ ნისლსა და წვიმაშიც და ჰკითხა, ძლიერმა იმერეთმა რატომ ასეთი უმნიშვნელო რაზმი გამოგზავნაო.

— რაზმი, ჩემო მოურავო?

— დიახ, ჩემო უფლისწულო. მეფე გიორგი ხომ სამი ათას კაცს დამპირდა, შენ კი მოსვლა ინებე...

— ჩემი ქეშიკებიანად! ჩემი მამაცი მამა ყოველთვის ასრულებს მიცემულ სიტყვას. და შენ, მოურავო, ალბათ იცი, თუ რაოდენ გულითად სტუმართმოყვარეობას უწევდა იმერეთი აღმოსავლეთ საქართველოს ბედისაგან დევნილ მეფეებს. მაგრამ როცა ერთი მეფე ისწრაფვის ყელში სწვდეს მეორეს, უნებურად ხელს იტაცებ საყელოში. როგორც კი სამეგრელოს თავადმა ლევანმა შეიტყო ქართლში ჩემი გამგზავრების ამბავი, დაუყოვნებლივ წამოსწია იმერეთის საზღვრებისაკენ თავისი ყაჩაღთა რაზმები. მამაჩემიც იძულებული გახდა სასწრაფოდ მიეყვანა საზღვარზე თითქმის მთელი თავისი ჯარი, ნაწილი კი ქუთაისის გარშემო დაეყენებინა. ჩემს დიდებულ მამას სურდა სულაც გაეუქმებინა ჩემი წამოსვლა, მაგრამ მე

ხომ სიტყვა მქონდა მოცემული! და საამო აზნაურ დათოს რომ არ ეთხოვნა ჩემთვის სახარებაზე დაფიცება, სულერთია მოვიდოდი, თუნდაც ერთი მსახურის თანხლებით! კაცი, რომელიც თავისი ნებით არ ასრულებს დაპირებას, რაინდის წოდების ღირსი არ არის. მოურავო, გთხოვ დაიჯერო, რომ მე აქეთ ვისწრაფვოდი არა მარტო ჩემი მშვენიერი ნესტან-დარეჯანისათვის, არამედ აგრეთვე უბადლო მოურავისათვის. მე გამსჭვალული ვარ აღშფოთებით ძერებისა და ტურების მოქმედების გამო. ვინ არ იცის, თუ რას უნდა გიმადლოდეს ტურა ზურაბი? ვინ არ იცის, თუ რას უნდა გიმადლოდეს ძერა თეიმურაზი? ერთი შენ გახადე მხედართმთავარი და არაგვის ერისთავი, მეორე კი—ორი სამეფოს მეფე! და აი გაერთიანდნენ ისინი და ცდილობენ დაგკორტნონ და გაგწეწონ! ო მოურავო, რა უსამართლოა ღმერთი, რომელმაც ჩემს ნესტან-დარეჯანს არგუნა ძერა მამა და ტურა ქმარი! მაგრამ იცოდე, მრავალი მთის გადალმა ვუგზავნით ერთმანეთს მაღალი აზრებით გამსჭვალულ წერილებს! ფიცი დავდეთ ველოდოთ სამ წელიწადს და, თუ ბედი არ დაგვეხმარა, დაე ნუ იწუწუნებს: თვითონ ჩვენ დავეხმარებით ბედს!

— ჩემო სწორუპოვარო უფლისწულო, ბედს — მესმის, მაგრამ როგორ ფიქრობ ჩემს დახმარებას, როცა ორასი რაზმელიც კი არა, არამედ ქეშიკი გყავს?

— ხმალში გამოწვევით! მე გადავწყვიტე ხმალში გამოვიწვიო ტურა, რომელსაც ზურაბს ეძახიან. ეს გაუჩორკნელი ტურაა რაინდებთან ურთიერთობაში და ცუდად გაწვრთნილი დათვია კეთილშობილი კნეინების საზოგადოებაში, იგი შებრალების ღირსი როდია! და თუ შევძელი ქედმაღალი არაგველის დატყვევება, რომელმაც შებღალა უმშვენიერესი მეფის ქალიშვილის გემოვნება. და სამუდამოდ გავუყარე ცხვირში რკინის ჯაჭვი, მაშინ მივიჩნევ, რომ ღირსეული დახმარება გავუწიე დიდ მოურავს ქორონიკონის მეთოთხმეტე რკალის სამას თოთხმეტი წლის შემოდგომის ძნელ საქმეებში.

სააკაძეს უნებურად გაეღიმა:

— ის არ მიიღებს შენს გამოწვევას. რა თქმა უნდა, არა მამაცობის უქონლობის გამო, ამას ტურას ვერ წაართმევ, მაგ-

რამ იგი დაიმოწმებს, რომ დრო არ არის პირადი დავა ხმლით გადავწყვიტოთო, და მოითხოვს ორთაბრძოლა გადაიდოს ომის დამთავრებამდე.

— ხოლო თუ მხდალი ბოცვერი ვუწოდე, რომელიც ტურის ტყავშია გახვეული?

— ეგ საქმეს არ უშველის. ჩემზე უკეთ ვინ უნდა იცნობდეს მას. ეს თავადი შემთხვევითობის საფრთხეს როდი შეიქმნის, რადგან მისი მიზანია ჩემი მოსპობა. მაგრამ გახსოვდეს, ჩემო უფლისწულო, როგორიც უნდა იყოს ბაზალეთის ბრძოლის შედეგი, ტურა ჩემზე ადრე დაიღუპება. ამ საქმეში შენ კარგი მოკავშირე გყავს — თავადი შადიმან ბარათაშვილი, უპკვიანესი თავადთა შორის. იგი არასოდეს არ შეარცხვენს მისთვის მიკუთვნებულ „გველი" თავადის ზედმეტ სახელს: გველი მომაკვდინებლად უკბენს ტურას. აი ყველაფერი, რაც მათ შეეხება! — სააკაძე ადგა და ზრდილობიანად, თუმცა მტკიცედ დაამთავრა: — გთხოვ, უფლისწულო, თუ მე ნიშანი არ მოგეცი, არ იმოქმედო.

— როგორ შეგიძლია, მოურავო ეპვი იქონიო? — პაგრატოვანთა სიჯიუტის ნაოჭი გაჩნდა ბატონიშვილის წარბებშუა, — განა მე არა გთხოვე ორთაბრძოლის ნებართვა? ან მე არ ვიცი, რომ მხედართმთავარს, თუნდაც ყველა სამეფოთა მეფე ვიყო, სულერთია უნდა დავემორჩილო?

— მაშინ ელოდე.

თანხმობის ნიშნად უფლისწულმა აღმოსავლურად მიიდო ხელი შუბლსა და გულზე, თავაზიანად გაიღიმა და მოიყვანა ამონაწერი არაბული სიბრძნის წყაროდან:

— „ადამიანთა ბოროტება მხეცისაზე უფრო საშინელია". მაგრამ ის, ვინც სამეფო თავისი სიბრძნით გააბედნიერა, არ შეშინდება გააქროს სატანის მონაბერი.

ცოტა სიჩუმის შემდეგ უფლისწულმა საჭიროდ მიიჩნია გაეხსენებინა, რომ საქართველოს სამეფო მუდამ როდი ყოფილა ყველაზე ძლიერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უფრო მეტ ხანს იცოცხლა, ვიდრე ძლიერმა ნინევიამ, ასურეთმა, ფრიგიამ და ბაქტრიამ. ნუთუ ახლა ვერ გაუძლებს ტურებსა და ძერებს? უფლისწულმა მოულოდნელად შემოკრა ტაში და მსახურთა

უფროსს, რომელსაც ქამარში ჩიბუხი გაერჭო, უბრძანა შაეი თურქული ყავა მოგვართვიო.

სააკაძე გააოცა არა იმდენად ალექსანდრეს მკვეთრმა გადასვლამ საუბარში, რამდენადაც იმერელთა შორსმჭვრეტელობამ: ეს დაუჯერებელი ხდებოდა. სადაფით მოოჭვილ ყუთიდან მსახურებმა ამოიღეს თეთრი ფაიფურის ფინჯნები, რაღაც ჭურჭლები, ლარნაკები, ვერცხლის საყავე, რომლის გვერდებზე იხატებოდა ბინდიანი დღის სინათლე, ბრჭყვიალა ხონჩაზე ზანდუკებიდან ამოალაგეს თურქული ტკბილეულობა (ოქროს თეფშებზე) ხოლო ტიკჭორებიდან დაასხეს მწკლარტე იმერული ღვინო.

მემკვიდრე მუდამ თავაზიანად იღიმებოდა, თავის მოვლილ ხელში კოხტად ეჭირა აორთქლებული თეთრი ფინჯანი, სააკაძე კი, რომელმაც ზრდილობისათვის გასინჯა გოზინაყი, ამავე დროს თვალს ადევნებდა ახალგაზრდა ბაგრატიონს და რაღაცაზე ფიქრობდა.

შემოვიდნენ დაუთბეგი და დათო, საბრძოლოდ გამოწყობილნი მუზარადებით და ჯავშნიანი პერანგებით, რომლებიც დაწინწკლული იყო წვიმის წვეთებით. მემკვიდრე ისე გააოცა დაუთბეგისა და მოურავის მსგავსებამ, რომ კიდევაც წამოდგა. ალექსანდრემ ხარკი გადაუხადა პირველ მისალმებას და შემდეგ დაიწყო ოსტატურად გამოკითხვა, თუ სად ბრძანდება ამჟამად ნესტან-დარეჯანი და მის ახლოს არის თუ არა იმერელი მემკვიდრის ორეული. როცა შეიტყო, არ არისო, უფლისწულმა მომხიბვლელად გაიღიმა და ნატიფი სიტყვებით სთხოვა დაუთბეგსა და დათოს გაესინჯათ ცხელი ყავა, რომელიც მოხარშულია მისი საკუთარი წესით: ორმაგ ცეცხლზე — ჯერ ძლიერზე, მერე ნელზე. „ვეფხვებმა“ თეთრ ფინჯნებს ისე შეხედეს, როგორც ხარი უცქერის წითელ ქსოვილს, ცხენოსანი რაზმეულების ხელახალი განლაგება მოიმიზეზეს და საჩქაროდ გავიდნენ კარვიდან.

„კარგია, რომ მათთან არ ყოფილა დიმიტრი, — გაიფიქრა სააკაძემ. — რამდენი უცნაური ხასიათია ბაგრატოვანთა დინასტიაში! მაგრამ სამეფო საქმეებში თუ მაინც მტკიცეა მეფისწული ალექსანდრე?“

მოურავმა დაახასიათა მეფე თეიმურაზისა და თავად ზურაბ ერისთავის მოქმედება, რომელთა მიზანია წინააღმდეგობა გაუწიონ ქართველთა სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანებას ერთ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოდ. ის, რაც ვერ შეძლო თეიმურაზმა, უნდა შეასრულოს ალექსანდრემ. თანახმაა იგი თუ არა?

სააკაძის სასიამოვნოდ, მეფისწულმა ერთბაშად როდი უპასუხა: ადგა, გაიარ-გამოიარა, კვლავ ჩაჯდა სავარძელში, იყუჩა, უეცრად ბრძანა, კიდევ მოგვიტანეთ ყავაო, და შემდეგ მომხიბვლელი ღიმილით თქვა:

— მოურავო, თანახმა ვარ ვიმეფო, თუ უარს არ იტყვი იყო ჩემი თანამგზავრი. შენ მიერ გაბზრახული დაე ასრულდეს, მაგრამ... შენი შრომით.

გიორგი სააკაძე ჩაფიქრებული ადევნებდა თვალყურს მეფისწულის სასიამოვნო სახის გამომეტყველებას. „არა მგონია, — ფიქრობდა იგი, — რომ როდისმე ცხოვრებამ ამ აბრეშუმზე დატოვოს თავისი მკაცრი ნაოქები. ეს შეიძლება გახდეს დიდებული მეფე, ნაზი შეყვარებული, მაგრამ არასოდეს არ გახდება მხედართმთავარი! ეს კი სამწუხაროა, რადგან ახლა, ბაზალეთის ტბის ნაპირებზე, სარგებლობას მოუტანს სამშობლოს მხოლოდ მახვილი!“

— თუ ბედმა ზურგი არ შემომაქცია, დაგპირდები, ჩემო მეფისწულო, შენი თანამგზავრი ვიყო საქართველოს საკეთილდღეოდ თვით მწვერვალამდე, ბილიკით, რომელსაც დიდებისა და ბრწყინვალებისაკენ მიყავხარ. დაე გაბრწყინდეს ერთ-ერთი საუკეთესო ბაგრატიონის თავზე სამი სამეფოს გვირგვინი! „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!“

სააკაძე ადგა. სასწრაფოდ ადგა მეფისწულიც:

— გთხოვ, ჩემო მოურავო, ჩემგან სამახსოვროდ ჩვენი შეხვედრისათვის ამ კარავში მიიღო ეს თეთრი ფინჯანი. იგი ჩინეთიდან მომიტანეს.

უმწეოდ ატრიალებდა სააკაძე თავის უზარმაზარ ხელში ნაზ ფაიფურს.

— ჩემო უფლისწულო, აღტაცებული ვარ შენი სიუხვით

და გემოვნებით, მსურს დაუზიანებლად შევინახო შენი საჩუქარი... მაგრამ... არ ვიცი როგორ...

— ნარიმან! — დაუძახა უფლისწულმა და, როცა უზომოდ მაღალი მოსამსახურე შემოვიდა, მკაცრად უბრძანა: — ნარიმან, წაიღე ეს ძვირფასი ნივთი და უფრთხილდი შენს თავზე უფრო, რადგან ამ ფინჯნით დიდი მოურავი სვამდა!

კარვიდან გიორგი გამოვიდა სრულიად შეცბუნებული და უნებურად აღტაცებული. „დიახ, უფლისწული მხედართმთავარი არ არის, მაგრამ დაბადებულია ბაგრატიონთა გვირგვინისათვის! მე დავკარგე იმერეთის ჯარი, მაგრამ ვიპოვნე მეფე! ნამდვილი ბაგრატიონი! ვიპოვნე ჩემი მეფე! იგი არასოდეს არ შემიშლის ხელს აღვაზევო ჩემი სამშობლო! სამი სამეფოს გვირგვინს რომ მიიღებს, ხელს არ შეუშლის საქართველოს დანარჩენი სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანებას. სამეგრელოს მთავარი ლევანი მისი მოსისხლე მტერია! გურია!.. გამარჯვება, ძვირფასო შადიმან! გამარჯვება! მე ვიპოვნე ნამდვილი მეფე!“

„ვეფხვთა“ გასაოცებლად, რომლებიც გორაკის ძირში შეხვდნენ მას, სააკაძე ბანაკში კი არ გაეშურა, საღაც აზნაურები ელოდებოდნენ, არამედ დუშეთისაკენ. მხოლოდ როცა მკვეთრ მოსახვევთან იგი ტყეში შევიდა, მიხვდნენ, რომ გიორგი მუხრანბატონის ბანაკისაკენ ისწრაფვოდა.

შეირხა ტილოს კარავი და იქიდან გამოვიდა არა ქაიხოსრო, არამედ მისი ქეშიკი.

— სად არის? რა თქმა უნდა, ტყეში, აბა სად უნდა იყოს თავადი ბრძოლის დაწყების წინ! — დარბაისლურად უპასუხა მუხრანელმა. — ღამით რაღაც მოიფიქრა, რადგან დილასვე მოახტა ცხენს და მთელი დღე დაძრწის უჭმელ-უსმელი ტყეში.

სააკაძემ ჩაიცინა და ტყეში შევიდა. „დიახ, ჩემი ქაიხოსრო ცოტათი ჰგავს ალექსანდრეს, ის ბუნებით მხედართმთავარია, მაგრამ მეფე არასოდეს არ იქნება! დღეს კი ქართლს მეფე ესაჭიროება! ნამდვილი მეფე ბაგრატიონი!“

სააკაძემ ქაიხოსრო უღრან ტყეში ნახა. იგი ხელახლა ამწკ-

რივებდა ხუთას რაზმელს, ქმნიდა ცოცხალ ჯაჭვს, აწყობდა ჩასაფრებასა და ხაფანგებს.

ერთ ხანს სააკაძე კმაყოფილებას არ ფარავდა და ისმენდა ქაიხოსროს გეგმას: აქ შემოვიტყუებ ზურაბ ერისთავს და, თუ არ მოვსპობ — ამისათვის ცოტა ჯარი მყავს, — ძლიერ დავაზარალებ ტურასო!

სააკაძე შეყოყმანდა: „ეს ხომ ნამდვილი დახმარებაა!“ მაგრამ შემდეგ მტკიცედ მოხვია ხელი თავადს და განზე გაიყვანა.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა სააკაძე, მით უფრო უნათლდებოდა სახე ქაიხოსროს, რომელიც საუბრის დასაწყისში ძლიერ მოღუშული იყო. იგი მიხვდა მოურავის ფართო განზრახვას, რომელიც შეესაბამებოდა მუხრანბატონების მთელი საგვარეულოს სურვილებს.

— გახსოვდეს, ჩემო ძვირფასო შვილო, ეს აუცილებელია. უფლისწული უვნებელი უნდა დარჩეს, ეს არის ჩვენი ქართლის ბედნიერების საწინდარი! ეს არის ბაზალეთის ბრძოლის აზრი! ეს არის გამარჯვება!

მოურავი რომ გააცილა, ქაიხოსრომ სინანულით მოხსნა პოზიციებზე ხუთი ასეული და იმერეთის ტახტის მემკვიდრის ალექსანდრეს ბანაკისაკენ წაიყვანა.

თავი ოცდაშვიდეხუთე

ბუკები დაუკრეს და ჯარები ამოძრავდნენ. ზურაბ ერისთავმა კახეთის რაზმებს მიუჩინა საპატიო ადგილი პირველ ხაზზე და ამით გადაჭრა არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა. მოურავის ძალების გარღვევა — მთავარი დარტყმა — ეკისრებოდა ცენტრის ჯარს. და ამ ჯარს სათავეში ჩაუდგა თვით მეფე თეიმურაზი. თუ სააკაძე გვირგვინოსანის წინააღმდეგ მახვილს აღმართავს. ხალხის წინაშე წარმოდგება არასახარბიელო მდგომარეობაში, როგორც ბაგრატოვანისადმი ერთგულების ფიცის დამრღვეელი. ხოლო თუ ვერ გაბედავს მახვილის აღმართვას, მა-

შინ უნებურად აღიარებს, რომ მეფე „ღვთის სწორია“ და... ამით აბნეულობას შეიტანს თავისი რაზმების რიგებში.

ზურაბი შიშველი ხმლით მიესალმა მეფეს და მარჯვენა ფლანგისაკენ გაეშურა. იგი ისწრაფვოდა მსუბუქად შეიარაღებული არაგველთა ცხენოსანი ასეულები გაეყვანა ცხრა ძმის მთის ძირში, თუ სააკაძე თავს მოარიდებდა მეფესთან შეტაკებას და შეეცდებოდა გაჭრილიყო არაგვის ხეობაში.

მარცხენა ფრთაზე კი თავადები აწყობდნენ თავიანთ რაზმეულებს და ღრმა კოლონად აყენებდნენ დუშეთისაკენ. მოხდა ჩვეულებრივი დავა ბანაკების განაწილებისას: მაღალაძეები ისწრაფვოდნენ ხელში ჩაეგდოთ იმ გორაკების ფერდობები, მლაშეს რომ საზღვრავდნენ, ეს ფერდობები უნდოდა აგრეთვე დაეკავებინა აღშფოთებულ ქაჩიბაძეს. მაგრამ ფალავანდიშვილმა მოულოდნელად დაუჭირა მხარი მაღალაძეს, რადგან არ სურდა დაეკავებინა ხევი საკრამულის ახლოს, რომელიც განკუთვნილი იყო ქაჩიბაძის რაზმისათვის... საჭირო გახდა მეფის ჩარევა, რამაც გააჯავრა ჯავახიშვილი, რომელიც თავის თავს მთავარსარდლად თვლიდა მარჯვენა ფრთაზე.

მალე მარჯვენა ფრთაზე ცხენი მოაჭენა ახოვანმა მედროშემ, რომელსაც მაღლა ეჭირა სვანეთის ღია-რუხი დროშა: წვეტიანი მწვანე-რუხი მთების ფონზე გამოხატული იყო ზანტად მიმავალი დათვი; მარცხენა ფრთაზე გამოვიდა მეორე მედროშე, რომელიც მაღლა აფრიალებდა მესხეთის ღია-მწვანე დროშას, რომელზეც კაუჭა რქებიანი თეთრი ჯეირანი იყო გამოსახული; მას ამაყად ეჭირა პატარა, ჯვრით დაგვირგვინებული ალამი, ხოლო ორ ვარსკვლავს შუა შავი მახვილი იყო. ეს იყო მეფეთ მეფის თამარის დროის ძველისძველი დროშა. მისი გამოტანა ბრძანა თეიმურაზმა ნიშნად ზიზღისა საფარფაშისადმი, რომელსაც დროებით მიეტაცა ქართული მიწაწყალი, მალე რომ მეფეთ მეფე თეიმურაზს უკან უნდა დაბრუნებოდა.

დიდხანს ტკბებოდა ამ ოინით ზურაბი:

— ვაშა მეფეთ მეფე თეიმურაზს! თუ უსამართლო ბედმა მაინც შეახვედრა „ვეფხვი“ და საფარი, დაე გაახაროს ფაშა: მალე კახეთის დროშა დაჩრდილავს ნახევარმთვარეს!

თეიმურაზი ლიქნის ადვილი გამომცნობი იყო, მაგრამ უყვარდა იგი, როგორც კარგი ღვინო, თავს რომ აბრუებს ხოლმე. მით უფრო საამო იყო მისთვის ის, რასაც ახლა ზურაბი „ღუღუნებდა". და თეიმურაზი გაამაყდა. ბრძანა შუა საბრძოლო ხაზზე აღემართათ არა საერთო ქართული დროშა, არამედ კახეთის ღიაწითელი დროშა, რომელზეც გამოსახული იყო გვირგვინი, რაც თითქოს განამტკიცებდა საქართველოს მიწაწყლის განაპირა კუთხეების დროშებს.

„უცნაურია, — უკვირდა ჯანდიერს, როცა ხედავდა, თუ როგორ ამაგრებდნენ მესხეთის დროშას ახალ, უფრო გრძელ ტარზე, — განა მეფემ არ იცის, რომ მოურავმა გადაწყვიტა შაჰ აბასზე გამარჯვების შემდეგ სამცხე-საათაბაგო თურქებს წაართვას? და ზურაბსაც, ამ დიდ ტურას, არ შეეძლო არ სცოდნოდა დიდი მოურავის განზრახვა... მაშ რატომ ორივე, რომლებიც ესოდენ უნდა უმადლოდნენ მოურავს, უმიზნებენ მას ზედმეტ მოწამლულ ისარს? ვაი რომ, მოურავი დამარცხდება, რადგან სხვანაირად არ შეიძლება, რაკი ქართლ-კახეთის თითქმის ყველა თავადი ამხედრდა მის წინააღმდეგ, ამხედრდა ეკლესიაც. მაგრამ არის ხოლმე დამარცხებაზე უფრო საშინელი გამარჯვება, — ასეთი გამარჯვება მოელის მეფე თეიმურაზს".

მოიტანა თუ არა მზვერავმა ცნობა, რომ კახეთის ჯარმა ცენტრი დაიკავეო, მოურავმა დაუყოვნებლივ დაუპირისპირა მას თავისი რაზმები, რომლებიც განაწყო ახალი საბრძოლო წესით, რომელიც მან შეიმუშავა ჯერ კიდევ დიღმის ველზე ირანის წინააღმდეგ ომისათვის. ყოველ რაზმს, რომელიც სამ ასეულად იყოფოდა, ორი ტიპის იარაღი ჰქონდა: შუბი და მშვილდი. ყოველი ასეულის მეორე და გვერდითი რიგები შედგებოდნენ შუბოსნებისაგან, დანარჩენები კი მოისართაგან, რომლებიც სწრაფად გადაჯგუფდებოდნენ ხოლმე მტრის იერიშის მოსაგერიებლად. ცენტრის რაზმებს სარდლობდა მოხუცი ქვლივიძე.

იმერეთის რაზმები სააკაძემ მიაბრუნა არაგველთა ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ მარცხენა ფრთაზე და ისინი გააძლიერა „ვეფხვების" რაზმეულებით, მარჯვენა ფრთაზე მან საფე-

ხურებივით გაშალა ნიჩბისის ტყის აჯანყებულთა რაზმები და ზურაბისა და თეიმურაზის საწინააღმდეგოდ დააყენა გაერთიანებული აზნაურთა ცხენოსანი ჯარი. ავთანდილ საკაძემ და ნოდარ ქვლივიძემ ბერთა მთის ახლოს, ბუჩქნარებში, დამალეს თავიანთი მოძრავი რაზმები და მათ შორის მუშკეტერთა მცირე ჯგუფი.

გამარჯვების იმედი ჰქონდა თუ არა საკაძეს, როცა მტკიცე ხელით განალაგებდა თავის ჯარს? არა, მან იცოდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელია! მაგრამ... უნდა მიაღწიო შეუძლებელს. მხოლოდ როგორ? მოესპო თავადების, მეფისა და საეკლესიო მთელი ჯარი ფიქრადაც კი არ მოსდიოდა მოურავს.

„აქ ვაჭრებს უნდა ვემსგავსო, — ჩაიცინა საკაძემ: — ძვირფასი საქონლის შესანარჩუნებლად იაფი უნდა გასწირო". ისიც მართალია, განა არაგველები ქართველები იყვნენ? ქართლის ერთგულნი? არა, ისინი, არაგველები, მხოლოდ თავიანთი ტურის ერთგული იყვნენ. დიღომშიც კი, როცა ხარბად ითვისებდნენ გიორგი საკაძის სამხედრო მეცნიერებას, უბეში ჰქონდათ გალესილი დანა მის წინააღმდეგ. არიან კიდევ ისეთი მტრები, რომელთა ულმობლად გაჟლეტა თვით ღმერთმა ბრძანა, — ესენი არიან თავადების ნაბოლარები — მსახურნი, რომლებიც ჩაგრავდნენ მათზე დაბლა მდგომ გლეხებს ბატონებზე არა ნაკლებ. ისინი არასოდეს არ უღალატებენ თავიანთ თავადს, რადგან მათთვის ხელსაყრელია მისი კეთილდღეობა, ხოლო სამშობლო მათთვის უცხო მხარეა. გაილაშქრებს თავადი მის დასაცავად და მსახურნი გარს ახვევიან მის ცხენს; ხოლო უარს იტყვის თავადი და მსახურნი წინანდებურადვე წაართმევენ გლეხებს უკანასკნელ ლუკმას. ჰოდა, უნდა გებრალებოდეს ისინი? გლეხი! სამეფო, სათავადო, საეკლესიო გლეხები ქართული გლეხობის ნაღებია, ისინი უნდა სათუთად შეინახო, რადგან კავითაც. თოხითაც და იარაღითაც იცავენ საქართველოს მიწა-წყალს. მაგრამ როგორ უნდა დაიცვა ისინი? როგორ? განა გიორგი საკაძე ბაზალეთში ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად მოვიდა და არა მის დასახმარებლად? დიახ, ხალხმა ყველაფერი იცის. არც ეს უნდა დაივიწყონ: იქ, დიღომში წრთვნის დროს, შეიარაღებული გლეხები აღტაცებით

ხვდებოდნენ მოურავს და ერთგულების ფიცს აძლევდნენ. „იქნებ საკმაოა აიქნიოს ხმალი და დაიძახოს: „ეი, ქართველებო, მე ვინ მემხრობა?!“ — და რაზმელები დასძლევენ შიშს თავადთა წინაშე და გამოეშურებიან ჩემსკენ? ან... ან გაიქცევიან, მაგრამ იარაღს კი ჩემს წინააღმდეგ არ აღმართავენ... ვერ გაბედავენ აღმართონ! ეს გამცემლობა იქნებოდა! ღალატი! მაშასადამე, უნდა დავეხმარო მათ დატოვონ ბრძოლის ველი, გავრეკო ისინი... რაზმელები გაიგებენ ჩემს აზრს და როცა ავთანდილი და ნოდარი, რომლებიც მათ უყვართ, გარეკავენ, ისინი უკანმოუხედავად გაიქცევიან. უნდა ვიფიქროთ, ყველა როდი გაიქცევა, მაგრამ ნახევარი კი — უსათუოდ! მაშინ თავადები, რომლებიც მეტად შემცირებული ჯარით დარჩებიან, დაიბნევიან, რადგან მიჩვეული არიან თავს დაეხსნან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ათნი არიან, მტერი კი მხოლოდ ორი... გიორგი საკაძეს კი უყვარს თავდასხმა მაშინ, როცა მტერი ათია, მას კი ორი კაცი ჰყავს... გამოდის, რომ ძალები შეიძლება გათანაბრდნენ“.

დაუთბეგმა მარჯვენა ხელი გასწია და ცდილობდა ნისლში სალოკ თითზე გაერჩია წვეტიანი საბრძოლო ბეჭედი, მაგრამ რუხ-მტრედისფერი ნისლი სულ ძირს მოდიოდა და თვალებს უბნელებდა. სადღაც სულ ახლოს ამწკრივებდნენ ცხენოსან და ქვეით რაზმებს და იქიდან ისმოდა საკაძის ომახიანი ხმა, ისე უსაზღვროდ ძლიერი, რომელსაც შეეძლო გაეტაცნა უაღრესად გულგრილნი და ჩაენერგა უაღრესად ამაღლებული გრძნობები.

— ...თქვენ მკითხავთ, რაზმელებო და აზნაურებო: „გიორგი საკაძეე, რატომ აღმართე მახვილი „ღვთის სწორის“ წინააღმდეგ, რომელსაც თვითონ შეუწყე ხელი გამეფებულიყო ქართლ-კახეთში?“ ხმამაღლა გიპასუხებთ: იგი არ არის „ღვთის სწორი“, რადგან დაარღვია ჩვეულება და, როგორც ჩვეულებრივმა თავადმა, ხმალი აღმართა თავისი სიძის დასახმარებლად და როგორც მტერი გამოვიდა თქვენს წინააღმდეგ! და კიდევ მკითხავთ, რაზმელებო და აზნაურებო: „დალოცავს თუ არა

ზეცა მომავალ ბრძოლას?" ხმამაღლა გიპასუხებთ: დალოცავს! რადგან ეს ბრძოლა თქვენთვის სამართლიანია! განა თქვენ არ უნდა იცოდეთ, თუ მტაცებელი მემამულეები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ჩაგრავდნენ თქვენს პაპებსა და პეპერებს, ახლაც რისთვის აპირებენ თავს დაგატეხონ საგვარეულო მახვილი და ცეცხლი, რომელიც ამირანმა მოიტაცა? განა თქვენ არ იცით, რომ არა ხალხის საკეთილდღეოდ და არა საქართველოს ასაყვავებლად — არა: მხოლოდ თავიანთი თავადური მოგებისათვის შეკრებილან ანგარების მოყვარულნი და მომხვეჭნი, ავაზაკური დანის მსახურნი — გაჟლიტონ სახალხო ჯარი! .. აღშფოთებული გუგუნი გაისმა რაზმების რიგებში, გაფრთხნენ ცხენები, მოისრეებმა წინ წამოიწიეს, თითქოს იერიშისათვის ემზადებიანო. დაუთბეგი ვერ ხედავდა აღგზნებულ რაზმელებს, რომლებიც მზად იყვნენ ავდრის ბობოქრობაც ზურაბ ერისთავის ხრიკებისათვის მიეწერათ, და ეს მზარდი გუგუნი შეადარა წყალვარდნილს, მთებიდან რომ მოშხუის.

. მაგრამ სააკაძემ მოისრეების, შუბოსნებისა და მხედრების შეძახილებში იგრძნო რაღაც კიდევ ბუნდოვანი ყოყმანის გამოხატულება, ყალყზე შეაყენა ჯამბაზი და ნისლში ზედ მიადგა პირველ ხაზს. მუზარადებ და ჩაბალახჩამოფხატული რაზმელები გაფაცურებით ადევნებდნენ თვალს. „უნდა გაიყოლიო ისინი ამ ზღუდეზე, — გაიფიქრა სააკაძემ, — ბრძოლის ველზე კი უკვე გვიან იქნება".

— რაზმელებო და აზნაურებო, — კვლავ დაიგრგვინა გიორგიმ, და ისე, რომ ჯამბაზმა ყურები ცქვიტა, — ოცდახუთ წელიწადს ვცდილობდი განმეთავისუფლებინეთ თავადთა მონობისაგან. ამიტომ უბრწყინვალესი ტურები და მტრულად განწყობილი მეფეები ცდილობენ დამსახონ სამშობლოს და სარწმუნოების მოღალატედ... ეი, გოგია მესამე რაზმიდან, დააკვირდი ნისლს... იქ ისახება მზით გაშუქებული მინდორი, — განა შენ არ დაათრევ იქ კაეს კამეჩის ნაცვლად? ეი, მალხაზო ნიჩბისის ასეულიდან, დააკვირდი ნისლს: იქ მოჩანს დანგრეული მიწური, — განა შენ არ ღრღნი იქ თიხისაგან გამომცხვარ შოთს? ეი, დავით მზვერავთა რაზმიდან, განჭვრიტე ნისლი: ეჭით დაინახავ მთას, — განა შენ არ გამოგაქვს იქიდან ქვა,

რათა გაამაგრო თავადის ციხე-დარბაზი? რაზმელებო და აზნაურებო, დადგა თქვენი ცხოვრების გადამწყვეტი დღე. ვინც მონა არ არის, ბრძოლაში გამოვიდეს! სამშობლო მიწისათვის! თავადთა მონობიდან თქვენი განთავისუფლებისათვის! დავრაზმოთ ჩვენი რიგები საბრძოლო სულისკვეთებით! ეი, ქართველებო, გამარჯვება ახლოსაა! ნუ ჩაუგდებთ წმიდა დროშებს ხელში საზიზღრებს!

— არ ჩავუგდებთ! არ ჩავუგდებთ!

— მოისრენი მშვილდებს მართავდნენ, შუბოსნები — შუბებს ურტყამდნენ ფარებზე, მხედრები ხმალს იქნევდნენ. განა ასე არ მოქრის თოვლის ზვავი ძირს? განა ასე არ ქუხს წყალვარდნილი?

სადღაც ნიჩბისის ასეულის რიგებში ყვიროდა მალხაზი:

— ეი, მოურავო, ჩემი თიხის შოთი ყელშიც გაჩხირებია არაგველ ეშმაკს!

სადღაც მესამე რაზმეულის რიგებში იპაჭებოდა გოგია:

— მე ისე დავჭედავ გადასახადის ამკრეფს, რომ მსახურს კამეჩისა შეშურდეს!

სადღაც ცხენოსანი მზვერავების რიგებში ბუბუნებდა დავითი:

— ქაჯმა ჩამაფურთხოს ყურში, თუ ჩემი თავადი ჯაჭვით სათანადო ადგილზე არ ჩამოვკიდო!

იზრდებოდა, ფართოვდებოდა გააფთრება, მიჰქროდა როგორც ცეცხლის ნიაღვარი. ხოლო დაუთბეგს ვერ გაეგო, საიდან ჰქონდა ისეთი შეგრძნება, თითქოს ყინულის ზვავი ახლოვდებაო. გამოუცნობმა სიცივემ გამსჭვალა იგი უხილავი ნემსებით, სადღაც გადაიკარგა დრო, თვითონ იგი თავის თავს წარმოუდგა რუხ მხედრად, რომელსაც გარს ახვევია მარადისობა.

დაუთბეგს რომ გაუსწორდა, მოურავმა მოღუშვით შეხედა თავის ორეულს და, თითქოს მის აბობოქრებულ ფიქრებს ჩაწვდაო. რკინის თათმანიანი ხელი მხარზე დააჯო დაუთბეგს.

— ვისწრაფოთ, მეგობარო, — სააკაძემ ხმლით უჩვენა დუშეთი, — მეფე თეიმურაზმა და ზურაბ ერისთავმა ჯარები გამოიყვანეს! ვიჩქაროთ!

როგორც ყოველი ბრძოლის წინ, ერასტიმ თვითონ მიჰგვარა ჯაბაზი მოურავს. საკაძემ გაისწორა მუზარადი, ქვიან მოედანზე გამოვიდა და უეცრად შედგა, მწვავედ იგრძნო ქორონიკონის მეთოთხმეტე რკალის სამას თოთხმეტი წლის ამ დილის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს დილა არა მარტო ჩაიხრჩო ნისლში, არამედ შეიწოვა ის უხილავი ძალებიც, რომლებიც გარდუვალად იწყებენ დიდ ამბებს.

ჯერ კიდევ რამდენიმე წამში კარვიდან გამოსვლამდე მას ზუსტად ჰქონდა წარმოდგენილი მომავალი შეტაკების ყოველგვარი მიმდინარეობა, მისი ნების ამსრულებელი შეიარაღებული ადამიანების მოძრაობა. მაგრამ ქარმა ნისლის ხვეულები უეცრად გარეკა ჭინჭრიანთკარისაკენ და გიორგიმ ცხადად დაინახა, თუ როგორ იმეორებდა ზურაბ ერისთავი იმ წესებს, რომლებიც მან, გიორგიმ, ოდესღაც თავის საყვარელ მოწაფეს გადასცა. საყვედურისა და საშინელი დაცინვის განსახიერებად ჩანდნენ ეს მტრული ძალები, რომელთაც მან შთაბერა თავისი სულის ნაწილი.

ბეჯითად აკვირდებოდა გიორგი საკაძე თავადთა რაზმების რიგებს, კიდეც აღმართა მგონი ხელი მისალმებისა, თუ ბრძანებისათვის. მაგრამ რაზმელები, რომლებიც თავიანთი თავადების ცხენებს უკან იდგნენ, დამწუხრებული დუმდნენ. ისინი დუმდნენ მაშინაც, როცა ავთანდილმა ხმამაღლა დაიძახა:

— ეი, ქართველებო, ვის სურს გაიხსენოს გამაგრილებელი წვიმის დრო?

— და სისხლის ნიაღვრების დრო კი აზნაურთაგან ვის სურს გაიხსენოს? — გადაიხარხარა სპილენძისფერი სახის არაგველმა.

მისი ხუმრობა ერთბაშად გაიმეორეს და მღვრიე ჰაერში შეურაცხმყოფლურად გაისმა ეს სიცილი.

საკაძე თავის ყურს არ უჯეროდა და განაგრძობდა ლოდინს. ლოდინს? ვისას? სასწაულისას? იგი არ მოხდება! და წელთა ქუხილში დაცინვასავით ესმოდა: „ვაშა! ვაშა, დიდ მოურავს! ვაშა!..“

ვინ? ვინ უწოდა მას პირველად დიდი? ხალხმა? დიახ, ხალხმა! და აი ახლა ეს ხალხი, რომელსაც მან სიცოცხლეზე

მეტი რამ შესწირა, ახლა დგას მის წინაშე ხმალაღმართული. შემდეგ რაღა იქნება? აღგავოს ეს მწყობრი რიგები? მოსპოს მისი სიამაყისა და შთაგონების წყარო? დაიღვრება სისხლი ქართველი ჯარისა, რომელსაც ასეთი სიყვარულით ასწავლიდა ბრძოლის ახალ წესს სამშობლოსათვის. რა სიღრმეებიდან ამოცურდა გავარვარებული დისკო? აუტანლად ცხელა! ო, როგორ გაქრა ნისლი! და სირაქლემას ფრთების თეთრი საგრილებელი შეირხა მის წინაშე? როგორ აცხუნებს ისპაჰანის მზე, ულმობლად დასწვა პირისახე. ფირუზისა და ცბიერების ქვეყანა! რატომ ნიშნისმოგებით ჩაიცინა შაპ აბასმა? რატომ ასე მლიქვნელურად აძლევენ ბანს ხანები?

— ინშალაპ! ახლოვდება შურისგებისა და მხიარული ლხინის ჟამი!

— ეს უძლეველი შაითანი, ახლა აკუწავს ურწმუნოებს და... ბისმილაპ, დამცველები აღარ დარჩება გურჯისტანს! მცველები დაეცემიან, ვით მოცელილი ლელი—ლერწამი!

საკაძე შეკრთა, მირაჟი გაქრა. მერე ვინ იტყვის, რომ ეს ცხადი არ იყო? მის წინ რომ სფინქსი აღმართულიყო, გამოიცნობდა დაცინვის მნიშვნელობას ქვის ბაგეზე. მაგრამ მის წინ იდგა ხალხი და იგი უძლური იყო ჩასწვდომოდა მის გულჩახვეულობას.

რას ელის იგი, მოურავი, რომელსაც მეგობრებმა უწოდეს დიდი, მტრებმა კი — უძლეველი! რატომ მდუმარედ ისმენს თავადთა ლაქიების გინებასა და დაცინვას? განა მის ხმალს დაეკარგა ძალა და აღარ ძალუძს სამუდამოდ დაადუმოს თავხედნი? ვინ არიან ეს რაზმელები? არა! არა, ეს ხალხი როდია! შიშით მოცული ხალხი უმწეოდ იხედება აქეთ-იქით. აჰა, ბოლოს, აი ისინი დასძლევენ თავისთავს, მიატოვებენ თავადებს და დიდი მოურავისაკენ გამოეშურებიან... და განა შეიძლება სხვანაირად იყოს? ბრძოლის ველი ირყევა, დაძაბულია, ვით მშვილდის ლარი. აი თავადთა რაზმების შორეული რიგებიდან მას უცქერიან ვიღაცის შეშინებული, აბნეული თვალები. კიდევაც მოეჩვენა, რომ იცნო ეს ვალდებული სამშობლოს წინაშე: მგონია ზაქრო ჰქვია... ეს ზაქრო იყო, რომ დიღომში მოურავის პატივსაცემად დაუჯერებელი ნახტომი გააკეთა

თხრილზე და შუბით განგმირა თითქმის მიუწვდომელი მიზანი! ოცნების თამაშია! არ არიან სამშობლოს წინაშე ვალდებულნი! არიან თავადთა უენო მონები! რა საჭირო იყო, რომ ნისლი ერთბაშად გაფანტულიყო? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ იგი, გიორგი სააკაძე, საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო, რომ დაეღუპა მოლოდინი და შეეგნო, რომ საუკუნეობით მონობის წყვდიადმა შებოჭა სული და საჭიროა სხვა პირობები, რათა ხალხმა დაამსხვრიოს ბორკილი და დედამიწისათვის საზეიმო ჰიმნის სიმღერით გაეშუროს მზისაკენ, რომელმაც ახლა ტყუილუბრალოდ როდი მიატოვა ბაზალეთის ცა?

სააკაძემ დაღვრემილი თვალი მოავლო ძირსდაშვებულ ღრუბლებს, ყური მიუგდო და ჩვეულებრივ ხელი ხმლის ვადაზე დაიდო. იგი ლაპარაკს არ ჩქარობდა. ახლა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მოესმინა საკუთარი გულისთქმანი!

„მაშ რატომღა მევედრებიან შევიბრალო? აგერ კიდევ ერთი... რა მოსდით: იმანჭებიან, თითქოს ჩამოუხრჩვიათო! რატომ ეცემიან, რატომ სდით ცრემლი და სისხლი? სად გაქრა ცა? კვნესიან? ვისია ეს კვნესა? ნუთუ ჩემია? მერე ასეთი შორეული რად არის? რატომ იხრიან თავს? განა მოურავმა უკვე აღმართა ხმალი? ეს რა არის? გაქრი, დაიცარე მოჩვენებავ! ვინ? ვინ ააგო თავისქალათა პირამიდები? „ჰო-ჰო! ხეილი-ხუბ!* ალაჰ, რა სამართლიანი ხარ მართლმორწმუნეებისათვის! უძლეველი სიკვდილს თესავს, მოსავალს კი, ინშალაჰ, მართლმორწმუნენი მოიწევენ!“ ველურად ხარხარებს შაჰ აბასი, მლიქვნელურად იცინიან ხანები. „მონები! ლამაზი ქალიშვილები! — ჭყივიან სარბაზები. — ვერცხლი! პირუტყვი! ქალები!.. ინშალაჰ, გურჯისტანი ჩვენია! ო ალაჰ!..“ და სულ ახლოს, გვერდით, გულთან ახლოს: „...ო შვილებო, ჩემო შვილებო! თქვენ დაეცით ბრძოლის ველზე მოურავის მძლავრი მკლავისაგან! აღარა ჰყავს დამცველები ივერიის მწყა-წყალს! აღარავინ არის აღმართოს იარაღი! ახლა ზღუდე მორღვეულია! ვაიმე! ვაიმე, ხალხო, ვინ იფიქრებდა ასეთ რამეს გიორგი სააკაძისაგან? რატომ თავისიანებს ჩეხავს? თავადებმა დაიწყეს? და

---

* ხეილი-ხუბ (სპარს.) — ძალიანაც კარგი.

როდის იყო, რომ თავადები თავისიანებს არ ჩეხდნენ? განა ისინი ხალხს შეიბრალებენ? მაგრამ რატომ მოურავი... სულ შორიდან: „გაეშურეთ, ხანებო! ლა ილაჰე ილ ალაჰ! გაეშურეთ, სარპაზებო!..“ ო-ო-ო!.. საიდან მოვარდა ეს ქარტეხილი? საიდან ამოვიდა ნარინჯისფერი მზე? საიდან წამოვიდა წარღვნა? სისხლის წარღვნა? განა ეს ქალების ცრემლი არ არის, რომ მოთქვამენ? „ტყვედ წაიყვანეთ ეგენი! მონებად! ბავშვები! ჩეხეთ! ჩეხეთ! არც ერთი არ დატოვოთ! დაე დაიღუპოს ურწმუნო ჯილაგი! ისლამი მოდის! აღარ არიან ქართველები! ჰო-ჰო-!..“ გაქრნენ ნისლში გურჯისტანის დამცველები! დაიღუპნენ! და აღარ არის წარსული, აღარ არის მომავალი. ვინ აგო ქართველი მეომრების თავისქალათაგან პირამიდები? „ჰო-ჰო-ჰო!.. — თვით ზეცამდე. — ინშალაჰ, უძლეველი თვალებს მიტკბობს ცეცხლოვანი სვეტით. ისწრაფეთ! მუჰამედუნ რასულ ალაჰ! ისწრაფეთ, ხანებო! უძლეველმა ცეცხლითა და მახვილით გაუკაფა გზა ირანს!..“ და სულ ახლოს: „ვაშა! ვაშა! დიდ მოურავს! მან მოსპო სამშობლოს მცველები!.. ვა-შა-ა-ა!.. მოურავო, შენ დაგვპირდი, ბედნიერების გზას გიჩვენებთო! მოურავო, შენ ყველაფერი შეგიძლია!..“ რატომ გამწვანდნენ ვარსკვლავები? ეს ვისი ჩრდილი გამირბის? ნუთუ ჩემია?.. „ინშალაჰ!.. ვაშა! ვაშა!..“ აჩრდილი სისხლის ტბაში ეშვება... საიდან გაჩნდა ჩემს ხელში ჯალათის დანა? მოვკლა? ვინ, ვინ?!“

სააკაძემ გულზე იტაცა ხელი, თითქოს შუბი მოხვდაო, და ყრუდ დაიკვნესა. კვლავ შავი მღვრიე რამ გადაეფარა სინათლეს. „დავიჭერი? ბრძოლა არ დამიწყია და ისე? ბრძოლა ვისთან?“ — „როგორ თუ ვისთან? თავს ნუ იკატუნებ, მოურავო!..“ — „არა, მითხარ, საშინელებავ სიზმრის სამეფოდან, ვინ დამჭრა მე? ვინ? ნუთუ ჩემმა ხალხმა?! არა, არა! მხოლოდ ეს არა! არა!“

საშინელებამ დაუმანჭა სახე სააკაძეს ერთი წუთით, მაგრამ იგი საშინელი გახდა. იგი მკვეთრად მოტრიალდა და კარავში შეეიდა. „ნისლი, ნისლი, კვლავ ნისლი! საიდან მოვიდა? ან იქნებ ნისლი კი არა, სიკვდილია?..“

ნიჩბისელთა პირველ რაზმში, რომელიც თვალადელთა

მოისრეების ახლოს იდგა, გრაკლელი ფაცია და ახალუბნელი მოლა გოცაძე, რომელთაც არ უწყიან მოურავის ტანჯვანი, უხვად იგინებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ბერთა მთის თეთრმა სულმა გაბერა თხის რძისფერი ლოყები და ნისლს განგებ ერეკება მთის კალთებიდან ბაზალეთის ტბაზეო. გაცხარებულ საუბარში ჩაერია ძეგველი ღამბარა და მოლას ურჩია ძველისძველი საშუალება ამინდის გამოსაყვანად: შუბზე უნდა დაახვიო ჩაბალახი და თეთრი სულის მხრისაკენ გაიქნიო. ნიაბელმა ლომკაცმა არ დააყოვნა: ხელად დაახვია სველი ჩაბალახი შუბზე და მაღლა აღმართა. და მყის გაისმა ველური ღრიალი და ათიოდე ისარი ჩაერჭო ჩაბალახს...

ბაზალეთის ბრძოლა დაიწყო!

კახეთის ცხენოსანმა ჯარმა აზნაურთა ქვეითების რიგებს ისარი დააყარა და ჩორთით შეუტია თვალადელ და გორელ რაზმებს. ქვლივიძე წინ გამოიჭრა, ომახიანად გასცა ბრძანება, რაზმები ნახევრად მიბრუნდნენ მარჯვნივ და აიჯაგრნენ შუბებით, რათა მოეგერიებინათ კახელ ცხენოსანთა ასეულების შემოტევა. გაისმა მრისხანე შეძახილები, პირველი კვნესა. დაიღვარა სისხლი...

შემდრკალი კახელების დანახვისას ზურაბმა დეზი ჰკრა ცხენს და ომახიანად დაიძახა:

— სიკვდილი ნოსტელ კატებს! არაგველებო წინ!

ცხენოსანთა ზვავი ზურაბს გაჰყვა. მთის დათვივით მძიმედ დაიგუგუნა არაგვის ბუკმა.

ქარი ბერავდა კარვის კალთებს. გაკვირვებით აღსავსენი, უცქერდნენ ერთმანეთს „ვეფხვები". და როგორც მაშინ, ისპაჰანში, გაფითრებული ერასტი ხელს უჭერდა ცხენის ლაგამს და კბილებს აკრაჭუნებდა.

— გიორგი! — შესძახა დათომ, — ბუკი საბრძოლოდ მოგვიწოდებს! — და გადასწია კარვის კალთა. — აგერ წყეულ ზურაბს ჯარი მოჰყავს!

— მე უკვე დამარცხებული ვარ... — ყრუდ ჩაილაპარაკა საკაძემ და რკინის თათმანი აიფარა თვალებზე, თითქოს იქ

ჩასახული უსაზღვრო ტანჯვის დამალვა სურსო. — არა თავადთა მიერ, არა მეფის მიერ — მე დამამარცხა საკუთარმა მწუხარებამ, რადგან დიდად დამნაშავე ვარ ხალხის წინაშე... ახლა ჩემი თავი მოვინელე... და ყველაფერი გავიგე... მე ვასწავლე ხალხს ბრძოლის ხელოვნება, მაგრამ დავივიწყე მთავარი რამ: ხალხის შეშფოთებული სული, არ ავანთე ჩირაღდანი მის შეგნებაში. და შიში თავადთა წინაშე უფრო ძლიერი აღმოჩნდა თავისი მხედართმთავრისადმი სიყვარულზე. ხალხი გაჰყვა თავადებს... ჩემს წინააღმდეგ წავიდა! ნუ ელით გამარჯვებას დამარცხებულისაგან!

„თითქოს სრულიად არა მგავს, მაგრამ რაღაცით მთლად ჩემისთანაა“ — გაახსენდა დაუთბეგს სიტყვები, რომელიც არაერთგზის უთქვამს გიორგი საკაძეს და... ხელი დასტაცა მის ლაბადას და ანჩხაბერი ჩამოუშვა.

— შესდექ, დაუთბეგ! — ყრუდ უბრძანა საკაძემ.

— არა, გიორგი!— უარყოფით გაიქნია თავი დაუთბეგმა.— შენი სურვილები მუდამ კანონი იყო ჩემთვის. შენს ნებისყოფაში გაითქვიფა ჩემი ნება. მაგრამ ახლა მე მესმის მხოლოდ ჩემი სინდისის ხმა.

აგუგუნდა მიწა. ასობით გახურებული, ყურისწამღებად აჭიხვინებული ცხენი მიუახლოვდა ბაზალეთის დასავლეთის ნაპირებს. უკვე ისმოდა არაგველთა ველური ყიჟინა.

დაუთბეგი ერთი ფეხის დაკვრით მოახტა გახურებულ ჯამბაზს და მოურავის მიბაძვით გრგვინვისებური ხმით დასძახა:

— ეი, რაინდებო, გამომყეთ! — და ხმალაღმართული გაექანა პირდაპირ ზურაბისაკენ.

„ვეფხვები“ ცხენებს მისცვივდნენ და გზადაგზა აშიშვლებდნენ ხმლებს. დათომ წუთით შეაჩერა დიმიტრი და როსტომი, თვალით ანიშნა ღრმა ფიქრში წასულ საკაძეზე:

— კარვიდან არ გამოუშვათ! შეიძლება დავღუპოთ ჩვენი ჯარი — ისიც ქართველთა ჯარია!

დათოს მიჰყვა ნოდარ ქვლივიძე. და იმ წამსვე თადარიგის პირველი რაზმიდან ხნიერი და მოხუცი აზნაურები, დაუთბეგი რომ საკაძედ მიიჩნიეს, გაექანენ ცენტრისაკენ, რომელსაც კვლავ უტევდნენ კახელები. შეუფერხებელი იერიშით და

მოძრაობის ძალით გადაწყვიტეს აზნაურებმა შეეესოთ თავიანთი სიმცირე. ამ არაჩვეულებრივ ბრძოლაში მათ სურდათ შერწყმულიყვნენ ერთ მთლიანად და ერთი დარტყმით გაესრისათ საზიზღარი მემამულეები...

კახელებმა, რომლებსაც ამხნევებდა თვით მეფე, შუაგულ ჩეხაში რომ შეიჭრა, გაარღვიეს თვალადელ მოისრეთა ხაზები და გარღვევის საფრთხე შეუქმნეს ცენტრს. ქვლივიძე, იქითაქეთ რომ იქნევდა ხმალს, სიღნაღელებს მოსწყდა, ნიჩბისის ტყის აჯანყებულებთან მიიჭრა და დასჭყიტა.

— ეი, ნიჩბისელებო, ვის სურს გათბეს? ფუნები მოაქენებენ!

— დაე მოაქენებდნენ! — წამოიძახა წითელსაყდრელმა ხოსიამ და ორი სატევარი აიქნია. — ეგ ფუნა ისე ახრჩოლდება, რომ კუდიანებს გულზე შემოეყრებათ! — და მარჯვნივ გაიჭრა და თან გაიყოლია აჯანყებულნი.

ზურაბმა მარჯვე მანევრით გასჭრა იმერელთა პირველი ხაზი და თავს დაატყდა გორელ მოისრეებს. აზნაურებმა შუბები აღმართეს და გზა გადაუღობეს ზურაბს დანარჩენი რიგებისაკენ, რომლებიც არაგველებს ისრებს აწვიმებდნენ. ასეთ შემთხვევებში სააკაძე „ცეცხლოვან ფრინველებს" მიმართავდა ხოლმე, რომლებიც მტრის მსროლელებს აბრმავებდნენ. ზურაბმა არ დააყოვნა გამოეყენებინა თავისი მასწავლებლის ეს ხერხი: უზანგებზე შედგა და სამჯერ დაიქნია ხმალი. არაგველებმა ჭენებისას მიიღეს ნიშანი, ცხენები მიაბრუნეს, ორას ნაბიჯამდე განელეს, მერე ცხენები დააწვინეს, ცოცხალი დაბრკოლების წინ დაკვესეს, ცეცხლი წაუკიდეს ისრების გაფისულ ბოლოს და შეილდი მოსჭიმეს. ათასობით „ცეცხლოვანმა ფრინველმა" გაანათა ნისლი, გადაუარა ტბის ნაპირს და თავს დაატყდა გორელ და თვალადელ მოისრეებს.

აზნაურთა რაზმების მესამე ასეული, რომელიც განლაგებული იყო საბრძოლო ხაზის სიღრმეში, ალის რკალში აღმოჩნდა, მახრჩობელა კვამლის გამო სულს ვეღარ ითქვამდა და მარცხნივ გაიწია. ამ დროს ნიჩბისის ტყის აჯანყებულნი, რომლებსაც მამასახლისები მოუძღოდნენ, კახელთა რიგებში შეიჭრნენ, მაგრამ ამასთანავე შესაძლებლობა მოუსპეს მოის-

რეებს ხელახლა გადაჯგუფებულიყვნენ. ძეგველმა ღამბარამ გვარიანად შეუკურთხა თვალადელ ასეულის უფროსს მოუხეშაობისათვის და მამაპაპისეული ხმლით ეძგერა ვანათელი რაზმის მედროშეს. რომელიც ოდნავ მეფის წინ მოაჭენებდა, გაკრთა ელვა და მედროშის თავი ცხენის ფლოქვებში გაგორდა. კახეთის დროშას ხელი შეავლო თავადმა ჯანდიერმა, მაგრამ მკვეთრი დაჯახებით უნაგირზე შეირხა და ხმალი გაუვარდა. ნიაბელ ლომკაცს ხარხარი აუტყდა, მყის დასტაცა ხელი თავადის ხმალს და ისეთი ძალით დაარტყა ჯანდიერს, რომ ხმალი ორად გადატყდა, ხოლო უცნაური არშიით მოხატული ჩაჩქანი წითელი ლაქებით დაიფარა.

მეფეს უნდოდა ქეშიკებისათვის ებრძანებინა, თავი გააგდებინეთ მაგ თავხედ გლეხსაო, მაგრამ, მობრუნდა თუ არა, ძლივს შეიკავა ზეიმოვანი ყვირილი: აზნაურთა რაზმების მარჯვენა ფრთა ისე გაშიშვლდა, რომ ნიჩბისელებსა და აზნაურთა ცხენოსან ჯარს შუა შეიქმნა სულ ცოტა ასსამოცდაათი ხმლის სიგრძის გარღვევა. მეფეს ცხენი არ შეუყენებია და ისე გადაცა ბრძანება ჭავჭავაძეს, რომელიც ძლივს მისდევდა გვირგვინოსან მხედარს, და ტბისპირა ბორცვზე შეაჭენა ცხენი. აქედან დაინახა, თუ როგორ გაექანა ჭავჭავაძისაგან ცხენოსანი მეკავშირე მლაშისაკენ.

მალე გაისმა ჯერ ყრუ გუგუნი, ხოლო შემდეგ სწრაფად მოახლოებული ათასობით ცხენის თქარათქური. თავადთა ჯარებმა გაშლილი დროშებით, რომლებზეც გამოსახული იყო ფანტასტური მხეცები და მტაცებელი ფრინველები, შეუტიეს ფართო გარღვევას მოურავის ძალების ცენტრსა და მარჯვენა ფრთასშუა და ღრმა შემოვლის საფრთხე შეუქმნეს მას.

ამ კრიტიკულ წუთში ბრძოლის ველზე გამოჩნდა დაუთბეგი, რომელსაც ჩორთით მოჰყავდა ჯამბაზი, მას მოჰყვებოდნენ „ვეფხვები“ და ცხენოსანი თადარიგის აზნაურები. გარდუვალი განადგურების წინაშე დაუთბეგმა ომახიანად დასძახა:

— ჩვენ შემოგვცქერის ქართლი! რაც უნდა დაგვიჯდეს, დავხუროთ გარღვევა!

დაუთბეგი, რომელსაც ჯავშანზე წამოსხმული ჰქონდა ბანჯგვლიანი ნაბადი, ანჩხაბერი ჩამოეფარებინა, შემაძრწუნებ-

ლად მოჭიხვინე ჯამბაზზე იგი ისეთივე მრისხანე იყო, როგორც თვით საკაძე. ხმალაღმართული, ელვასავით გაექანა იგი მარჯვენა ფრთისაკენ და შეუტია ჯავახიშვილს, რომელსაც თავისი რაზმი მოჰყავდა უფრო გაფართოებულ გარღვევაში.

ამ დროს გამოჩნდა ფირან ამილახვარი დასვენებული რეზერვით, იგი ცდილობდა დაესწრო ჯავახიშვილის რაზმისათვის და თვითონ მოეხვეჭა ბაზალეთის დაფნის გვირგვინები, რომლებიც ესოდენ ხიბლავდნენ. ჩანდა, რომ ფირანს, რომელიც მეფის დროშის ქვეშ დადგა, სიმხდალით დავიწყებოდა, რომ ზურაბმა დაღუპა მისი ძმა ანდუყაფარი. სადღაც მარჯვნივ კვლავ ახრიალდა არაგველთა დუდუკი და ციციშვილისა და ორი მაღალაძის რაზმები, რომლებიც ზურაბის მოწოდებას ელოდებოდნენ, აზნაურთა ცხენოსან ჯარს ეძგერნენ.

თავადებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გაალქაჯებულ ჯამბაზზე იჯდა თვით საკაძე და ჯგუფად გაექანენ მისკენ, რადგან აერთებდათ შიში, რომ პირდაპირ არ შეხვედროდნენ უძლეველს და ანგარიში გაესწორებინათ იმ საუკუნის საძირკვლების შემრყევთან. ათობით საგვარეულოს ხმალმა იელვა დაუთბეგის გარშემო, საზეიმო ყიჟინა მთლიან გაბოროტებულ ღრიალად იქცა.

დაუთბეგი იბრძოდა შიგ გარღვევის ცენტრში, რომელშაც მიაღწია სულ ცოტა სამასი ხმლის სიგანეს, და იბრძოდა ისე, თითქოს სურდა თავისი ტანით დაეფარაჯეს საბედისწერო მანძილი.

გაცოფებული თავადები უტრიალებდნენ გარს დაუთბეგს, ხან მხეცურად ხიხინებდნენ, ხან წყევა-კრულვას აფრქვევდნენ. წუთით გაიბნეოდნენ, რომ აეშორებინათ მომაკვდინებელი ხმლის მოქნევა და იქვე შეჯგუფულნი ესხმოდნენ თავს და ცდილობდნენ დაევიწროებინათ რკალი, რომელშიც ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო მათთვის მრისხანე მხედარი.

„ნუთუ ხმალი დაბლაგვდა?“ — თითქოს სიზმარში გაიფიქრა დაუთბეგმა და უკვე დაკარგა სიფრთხილის შეგრძნობა და ვეღარ არჩევდა, სად მოითხოვდა ბრძოლა შეტევას, და სად უკან დახევას, შეიჭრა მტრის შუაგულში და ხმალს ისე-

თი სისწრაფით იქნევდა, გეგონებოდა, ხელში ერთი კი არა, რამდენიმე ხმალი უჭირავსო.

მაგრამ გაალქაჯებული თავადები არ კარგავდნენ თავდაცვის გრძნობას და იყენებდნენ დაუთბეგის სიფიცხეს, რომელსაც კვლავ სააკაძედ იღებდნენ; მათ მტკიცედ გადაწყვიტეს უვნებელი დარჩენილიყვნენ, რათა დამტკბარიყვნენ გამარჯვების ნაყოფით, ხოლო მტაცებელი კი სამუდამოდ დაესამარებინათ.

სცადეს რაზმელებმა და მოლაშქრეებმაც კი მიშველებოდნენ, მაგრამ თავადთა მსახურებმა სამმაგი რკალი შექმნეს და არავის უშვებდნენ. „ვეფხვები" კი? „ვეფხვებმა" არ იცოდნენ რა საფრთხეში იყო მათი მეგობარი და თავდავიწყებით ავიწროებდნენ რკალს, რადგან ეს იყო აზნაურთა ჯარის ხსნა.

ბრძოლის ველზე ჯამბაზის შეშფოთებული მომწოდებელი ჭიხვინი გაისმა. ბაზალეთის ყოველი მხრიდან მოისმა „ვეფხვთა" ცხენების საპასუხო ჭიხვინი. მეგობრები მიჰქროდნენ ჯამბაზის ძახილზე, მაგრამ მეფის ჯარებთან ჩეხა აკავებდა მათ და ნებას არ აძლევდა მიახლოებულიყვნენ.

ვიღაცას საგვარეულო ხმალი ზუზუნით შეიჭრა რუხ სიბნელეში და რუხ-თეთრი დროშა, რომელზეც გამოსახული იყო დათვის შავი თათი, სამარის სუდარის შრიალით აფართქალდა დაუთბეგის გასისხლიანებულ ჩაჩქანზე. წითელ-ყვითელმა საბურველმა დაუფარა თვალები. „უცნაურია, — ცდილობდა იგი გაეგო, — რატომ გათეთრდა ნისლი? რატომ მოიცვა ბაზალეთის ტბა ციმა მყუდროებამ?.."

ავთანდილი, რომელსაც თავისი ასეული ბუჩქნარში გაეფანტა, ტოტებში დამალული იცავდა მამის კარავს. მის წინ სიკვდილის და ნგრევის ალში დუღდა ბრძოლა და მის სისხლიან ღრუბლებში იარაღის ჯახუნისა და ძვლების ჭახუნისაგან ზანზარებდა მიწა, რომელიც აქ მკვეთრ მიჯნად დაფენილიყო ორ სამყაროს შუა.

ხშირ წვიმაში ავთანდილი ხარბად უცქერდა ნაპირს, სადაც გააფთრებით იბრძოდნენ ცხენოსანი აზნაურები და არაგველები. მარცხენა ფრთაზე იმერლები აშკარად ამჯობინებდნენ თავდაცვას, თუმცა უფლისწული ალექსანდრე კიდევაც ცდილობ-

და არაგველები ცხრა ძმის ადგილიდან არაგვის ხეობისაკენ გაერეკა. იქ მთავარ დარტყმას უმკლავდებოდნენ ასლამაზისა და გუნიას თეთრი და შავი ასეულები. შემდეგ ავთანდილის ყურადღება მიიპყრო გრიალმა მარჯვენა ფრთაზე. მან დაინახა ზურაბი, რომელიც ცხენის ფაფარს დაჰკვროდა და მიაქროლებდა პირველი ხაზის გაყოლებით, შემდეგ იგი ამოღებული ხმლით შეიჭრა აზნაურთა რიგებში და ზურგიდან დაეახა თავს დაუთბეგს. „წყეული კაენი!.. დარწმუნებულია, რომ მამაჩემს ებრძვის!“ — აღშფოთდა ავთანდილი.

ერასტიმ გადასწია კარვის კალთები და თითქმის გაქვაედა შესავალში.

იქ, ამ საბედისწერო ზღურბლს იქით, ქვაზე უძრავად იჯდა სააკაძე და ორივე ხელი დაბლა დახრილ თავზე შემოედო. იგი დუმდა. კაცს ეგონებოდა, დუმილმა სამუდამოდ შებოჭა მისი ბაგენი, გაუყინა ფიქრები და აღარასოდეს არ გაცოცხლდება მისი მოუსვენარი გულიო. ყველაფერი წარიტაცა ჩაილურის წყალმა, გალმა დაფენილიყო სიცარიელე, გამეფებულიყო ხრწნა. რა არის ეს? სიკვდილი? არა, უფრო საშინელი რამ, — ეს არის სიცოცხლის მოკვდინება, სულის ჩაძირვა არყოფნაში.

დღემდე უცნობი სიბრალული დაეუფლა დიმიტრის გულს, მან ხელი გადაუსვა ურჩ თმას იმისას, ვინც ოდესმე „ვეფხვების რაზმეულის“ სიამაყე იყო, ვინც მათი ხმლების მბრძანებელი და მათი ცხენების ჭენების გადამწყვეტი იყო.

დიმიტრიმ მძიმედ ამოიოხრა და მის ცივ შუბლს ეამბორა.

ნელა ასწია თავი სააკაძემ. ჩამობნელებულ სახეზე სასოწარკვეთილების აჩრდილი ეხატა.

— მოკლეს!.. მოკლეს!..

— სააკაძე მოკლეს!!!

აღტაცებამ მოიცვა თავადები ბაზალეთის ნაპირებზე.

— ბოლოს! აღსრულდა! მოკლულია! ვაშა მეფე თეიმურაზს! მან, მან ბედნიერი მარჯვენით მოსპო ნოსტელი მხეცი!

— ა-ა-ა! აქეთ დუდუკები! დააგუგუნეთ დაფი! იმღერეთ, თავადებო, მეგობრებო, ღვინო! ეი, მერიქიფევ, ღვინო და თასები!

— დიდება ყოვლადძლიერს! მოკლეს სააკაძე! დღესასწაუ-

ლია! რეკეთ ზარები!.. თავადებო, გადავეხვიოთ ერთმანეთს! გაქრეს მტრობა!

— ყოველად წმიდაო ღვთისმშობელო, შენ შეისმინე შენი მხედრობის ლოცვა!

— ძვირფასო ზურაბ, ქება-დიდება შენ! გვიხსენი! ხო-ხო-ხო! სად უნახავთ უთავო „ვეფხვი"?!

— და გასკდეს ქვესკნელი! და შთან...

კარავში შეიჭრა ავთანდილი და თან შეათრია ალიევით წითელი ლაბადა:

— მამა! ზურაბმა, ძერებმა... საშინელ ჩეხაში... აკუწეს... დაუთბეგი... შენ ეგონეთ!

— ჯამბაზი! — დაიგრიალა სააკაძემ და წამოხტა.

ორ ჩირაღდანივით გაიელვეს თვალებმა, მკერდი ისეთი ძალით შეირხა, რომ ჯავშანი აცახცახდა. კვამლივით გაქრა გაჩანაგება და არაადამიანური მწუხარებით და გულისწყრომით გამოწვეულმა ტკივილმა განგმირა მთელი მისი არსება.

— ჯამბაზი!

და თითქოს ძახილი გაიგონაო, კარავთან მოვარდა გულისწამღებად აჭიხვინებული ცხენი. საშინელი იყო იგი აბურძგნული ფაფრით, გაბოროტებით აღსავსე თვალებით, რომლებშიც ცეცხლი და სისხლი გამოკრთოდა. ჯამბაზი თითქოს მოითხოვდა შურისგებას და, შეჯდა თუ არა სააკაძე, ცხენი ხროტინით გაექანა უკან აკუწულ გვამებს, დაჭყლეტილ საქურველსა და დახეულ დროშებს შორის. ძლივს მიჰყვებოდნენ გაფრენილ ცხენს დიმიტრი და როსტომი.

— ო-ო-!.. რაო? სად? რა მოხდა? მიწა! მიწა ირყევა!

— ღმერთო გვაპატიე და შეგვიწყალე! გაქრი, გაქრი, ეშმაკის ცთუნებავ!

— თავს უშველეთ, ხალხო! ხალხო, მეორედმოსვლაა!

— მოურავი გაცოცხლდა! მოურავი!

— შედექით! საით? ეს მოჩვენებაა! სააკაძე მოკლულია: მოკლულია!

— გაცოცხლდა! გაცოცხლდა! ვინ გაბედავს მოკვლას?

— ხალ-ხო! ო-ო-აჰ! ხმალი, ხმალი აღმართა!

— აი როგორ მოუკლავთ! ხო-ხო! — ზეიმობდა ნიჩბისე-

ლი — ე-ე! თავადო ზურაბ, დაითვალე, რამდენი არაგველი ჩამოგორდა ცხენიდან!

— ეი, მონავ, გოგრა დამალე, ყეყეჩო!

— დაიჭით, დაიჭით ქველი წერეთელი, ცოცხლად უნდა ზეცაში აფრინდეს! ხო-ხო-ხო!.. შენი მსახურები წაიყვანე თან! ხო-ხო-ხო!

— ჩეხე, მოურავო, ჩეხე, ძვირფასო!.. დაე იცეკვონ!

— ნუმც დაღლილა მარჯვენა შენი! — გრიალებდნენ ნიჩ-ბისელები.

— ამინ! ჰა-ჰა-ჰა!.. ამინ!

— გაქრეს სატანა! ბაირაღები!

— ამინ! ამინ!

— ო-ო!.. დაგვიცავ, ქრისტე!

და კვლავ გააფთრებით აბორიალდა ბაზალეთი. კვნესა შე-ირწყა ერთ მთლიან ზუზუნად, ზრიალებდნენ ძირს დაცემული ფარები და ზედ ეყრებოდა დამტვრეული შუბები და სატევრე-ბი.

— დაგვიფარე, ივერიის ღვთისმშობელო! ო-ო... ო-ო... გვი-შვე-ლე!!!

გარბოდნენ მშფოთვარედ მოჭიხვინე, შეშინებული ცხენები და ტბაში ცვიოდნენ, ტოტებს ამტვრევდნენ და გარბოდნენ ქვეითები. ტყე გმინავდა, ოხრავდა, ბრდღვინავდა, დაფრატუ-ნებდნენ აყავყავებული ყორნები, წკრიალებდა დაცემული ია-რაღი, როგორც საუკუნის შავბნელი ძალების უმწეობის სიმ-ბოლო მსახვრელის წინაშე.

— შეგვიბრალე! შეგვიბრალე, მოურავო!.. შეგვიბრალე, წმიდაო გიორგი!

— შეგვიწყალე, მოურავო!

— შეიწყალე ჩვენი შვილები!

სააკაძეს არაფერი ესმოდა. იგი ბრძოლის ველზეა, მის წინ არიან მტრები, რომლებმაც მასზე აღმართეს იარაღი!

მან გაიყოლია თავისი მხედრობა და გააფთრებით გაარღვია მეფისა და თავადების ჯარების ხაზის მარჯვენა ფრთა. ანაზ-დად სანაპირო გააყრუა საშინელების კივილმა: სააკაძე ცენტრ-ში შეიჭრა, სადაც ქახეთის დროშა ფრიალებდა.

— მოურავო! მოურავო! შეგვიბრალე! შეგვიბრალე! გეხვეწებით!

— ჩვენ ხომ ქართველები ვართ!..

საკაძე შეკრთა და მყისვე, როგორც ჩამწვარი ჩირაღდნები, ჩაუქრა თვალები, ნაოჭმა გადასერა მოღრუბლული შუბლი და მტკიცედ დაკრეჭილმა კბილებმა ძლივს შეიკავეს კვნესა... და მისი ხმალი უკვე არ აღმართულა და არ დასცემია თავს რაზმელებს, აღარ გაუნადგურებია კახელთა რიგები, თითქოს მყის დაიშრიტა ის ტიტანური ენერგია, რომელიც ამ ხმალს დაატარებდა ათეული წლების განმავლობაში უდაბნოებში და მთაგრეხილებზეო.

შიშით უცქეროდა მოურავს დიმიტრი და გააფთრებით ჩეხდა კახელებს, მიიწევდა თეიმურაზისაკენ, რადგან რამდენიც არ ეძია, ვერსად ნახა ზურაბი. არაგვის ერისთავი საკაძის დანახვისას გულგახეთქილი შეეარდა თავის ხაზებში და ჯერ კიდევ ვერ შეეგნო, რაც მოხდა.

— თავადები არ დაინდოთ! — კვლავ მოულოდნელად გაისმა გრგვინვასავით მოურავის ხმა და ჩაახშო გრიალი, კვნესა და მუდარა. უზანგებზე შემდგარი, ისიც ეძებდა ზურაბს. — გარს შემოერტყით! ცოცხალი ან მკვდარი ჩაიგდეთ ხელში მოღალატე მეფე!

— გიორგი, ძვირფასო, — წამოიძახა დიმიტრიმ, რომელიც ცდილობდა ჩაეხშო დაუთბეგის დაღუპვით გამოწვეული ტკივილი, და ხმლით გამოსახა მომაკვდინებელი წრე, — კარგად მოგიგონია! მოსპობ თეიმურაზს და გამარჯვებული დარჩები!

— მკვდარ ველზე! ზურაბი იბრძოლებს, სანამ უკანასკნელი რაზმელი შერჩება. მეც გადავწყვიტე... სანამ უკანასკნელი თავადი დარჩება! ხოლო გამარჯვებული დარჩება შაჰ აბასი... გესმის?!

— გარს შემოერტყით გამცემ მეფეს! — უზანგებზე წამოდგა და სწრაფად გადასცა ბრძანება დათომ.

ქვლივიძემ მუხლები მოუჭირა ცხენის გვერდებს, სწრაფად გამოიქრა წინ და, ასლამაზთან და გუნიასთან ერთად თვალადელთა ასეულებს გაუძღვა და შეუტია მტრის ზურგს.

და ახალი ძალით გაჩაღდა ჩეხა.

— გარსშემოერტყით მეფეს და ცოცხლად დაატყვევეთ! ცოცხლად დაატყვევეთ!

საშინელი რაღაც ხდებოდა ბაზალეთის ტბის ნაპირზე: თითქოს დაიწყო ძმათამკვლელი ომი ცხადად და შემდეგ საშინელ სიზმრად გადაიქცა. ერთი აზრით არიან გამსჭვალული თავადები: არ დაუშვან მეფის დატყვევება, ეს დამარცხებას უდრის. ისინი არ ზოგავდნენ პირად რაზმებს, გააფთრებით იბრძოდნენ, კვნესოდნენ, ოხრავდნენ, მინდორში დაქროდნენ და სინამდვილის შეგრძნობა ეკარგებოდათ.

დაძრწოდნენ ბაირაღებიანი მღვდლები, საცეცხლურებს ცახცახით აქნევდნენ და სქელ კვამლს უშვებდნენ.

— სატანა!.. სატანა!.. გვიშველე, წმიდაო სამებავ!.. ღვთისმშობელო, თანაბრად სადიდებელო!.. მეფე! „ღვთის სწორი“ დაიცავით! ჯოჯოხეთში! წკვარამში ყველა, ვინც გაქცევით შველის თავს!

— წმიდაო ნინო, იხსენ და შეიწყალე მეომარნი შენნი! ო, ღმერთო!..

— გარს შემოერტყით მეფეს! სიკვდილი გამცემს! — იჭაჭებოდა როსტომი, და ხმალს იქნევდა, რომ ზედ სისხლის წვეთები მოეშორებინა.

და ყველა „ვეფხვი“, მთელ ველზე ყველას გასაგონად ყვიროდა, რომ სააკაძეს არ გადაეფიქრა:

— გარსშემოერტყით ან მოკალით თეიმურაზი!

გაგიჟდნენ რაზმელები, ხმალს იქნევდნენ, მაგრამ არ ხოცავდნენ, შუბებს ტყორცნიდნენ და არ უმიზნებდნენ, ისარს ისროდნენ, მაგრამ ვერ ხედავდნენ, ვის ესროდნენ. „გავიქცეთ, გავქრეთ!“ ვილაც განზე გავარდა, მას სხვებიც მიჰყვნენ.

— უკან, ღორებო! შესდექ! აგკუწავ! — ღრიალებდა ციციშვილი.

— ჰეშმარიტად, სატანა აღდგა! — იძახოდა და აფრთქვინებულ ცხენზე ტრიალებდა ქველი წერეთელი.

— მოძებნეთ! იპოვნეთ ზურაბ ერისთავი! დასვენების დრო არ არის! — ყვიროდა ამირეჯიბი, მაგრამ მას არავინ უსმენდა.

იგინებოდნენ კახელები და ცდილობდნენ გაერღვიათ რკალი. გასასვლელმა თეიმურაზისა და თავადების ხაზს შუა უკვე

მიაღწია ოთხმოცდაჩვიდმეტი ხმლის სიგანეს. თავადებმა შიში დაიოკეს და აზნაურებს შეუტიეს.

— ხედავს საგვარეულო დროშების მფარველი, რომ უკან ვერსად დავიხევთ, ვერსად დავიმალებით, ყველგან მოგვწვდება სააკაძის შურისმგებელი ხმალი! — სასოწარკვეთილებით იძახოდა ედიშერ ვაჩნაძე.

— დამიფარე, მთავარანგელოზო მიხეილ, გააფთრებულ ნოსტელთან პირისპირ შეხვედრისაგან! — ეუბნებოდა მას მაჩაბელი და აკანკალებული ხელით ტუჩთან მიჰქონდა მათარა.

— მაშინ უნდა ბრძოლა! გააფთრებამდე, უკანასკნელ კაცამდე! — დაჟინებით იმეორებდა მერაბ მაღალაძე და შიშით იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს ეშინია, „ვეფხვებმა“ არ გაიგონონო.

— თავადებო! დროშა დროშაზე! ხმალი ხმალზე! — ისტერიულად წამოიძახა ჯავახიშვილმა და ბედაურს მათრახი გადაუქირა.

ჯავახიშვილს მხედრული ყიჟინით მიჰყვნენ მერაბ და თამაზ მაღალაძის აზნაურები და ცხენოსანი რაზმი.

გაფართოებულ გარღვევაში გაექანა ქაჩიბაძე და მარჯვნივ და მარცხნივ ჩეხდა. და უეცრად გაფითრდა, განზე გავარდა, დაბორიალდა: დაინახა მოურავის მრისხანე სახე, დაინახა სისხლის ფარდაში როგორ გაჰკვეთა სააკაძის დამსჯელმა ხმალმა ედიშერ ვაჩნაძე ცხენიანად. დაინახა, როგორ აღიმართა უზარმაზარი მარჯვენა და როგორ დაენარცხა ძირს მერაბ მაღალაძე.

— ძმაო! ძმაო! ა-ა!

ძმის სიკვდილმა შეაძრწუნა თამაზი. საშინელებით სახედაღმეჭილი, თითქმის გაგიჟებული დააკვდა იგი ცხენის ფაფარს და გააჭენა საკრამულისაკენ. ისრების ზუზუნი სატანის ხარხარად ესმოდა, ეჩვენებოდა თეთრი მხედარი, მთლად თოვლის პანტელებით მოსილი. „ო!.. მიშველეთ!!!“ მაგრამ წამოეწია მას თეთრი მხედარი და ყინულოვანი თითები წაუჭირა ყელში. თამაზმა სასოწარკვეთილი მოთქმით შეუშვა ხელი სადავეს, ღრმა ხევში გადაეშვა და სამუდამოდ ჩაიკარგა უსახო წყვდიადში.

აზნაურები უთანასწორო ბრძოლაში უმკლავდებოდნენ ყო-

ველი მხრივ მათზე მიტეულ თავადებს. „ვეფხვები“ გაცოფებული ჩეხდნენ თავადთა ცხენოსნებს და სულ უკან ერეკებოდნენ კახელთაგან. ამაოდ სცემდა მათრახს ცხენს თავადი მაჩაბელი და ცდილობდა გარღვევა თუნდაც ასორმოცი ხმლის სიგრძემდე შეემცირებინა. ღრიალსა და გრიალში სულ უფრო ვიწროვდებოდა რკალი კახელთა გარშემო.

ავთანდილის ასეული აფრიალებული ალისფერი ლაბადებით ზურაბისათვის გზის მოსაკრელად გაექანა, არაგველებიანად რომ ტყიდან გამოვარდა. არაგვის ერისთავმა მოიხედა, მშვილდი მოსწია, ავთანდილს დაუმიზნა და ესროლა. მაგრამ ავთანდილმა მარჯვედ აიცდინა იგი.

— ეჰე, ძვირფასო ძიავ, ცოტა ფრთხილად! თორემ კიდევაც მოჰკლავ რუსუდანის ვაჟს! — და მყის გაიძრო თითზე ლალის ბეჭედი, რომელიც ოდესმე ზურაბმა აჩუქა, ისარზე წამოაგო და ბიძას ესროლა.

— ლეკვო! — დაიღრიალა ზურაბმა, ხელი იტაცა მხარს და ისარი კბილით ამოაძრო. „საკაძემ იეშმაკა, მაშასადამე, გამარჯვების იმედი აქვს... და კიდევაც გაიმარჯვებს! მერე ვისზე გაიმარჯვებს? ჩემზე? არა, მეფეზე! მაშინ...“ — ზურაბმა ცხენი გააჩქარა იმერლებისაკენ.

მას გააფთრებული სროლით მიჰყვებოდნენ არაგველები, რომლებიც კარგად მოჩანდნენ გათხელებულ ნისლში.

„გაუგებარია, — უკვირდა საკაძეს, — რატომ არ ისწრაფვის ზურაბი მეფის დასახმარებლად? არაგველი ტირანისათვის ხომ საკმაოა ცხენოსანი ჯარის ერთი შეტევა, რათა გარღვევა ოცი ხმლის სიგრძემდე შეამციროს?“ წუთით ჯოჯოხეთური ბრძოლის ხმაური საკაძის შეგნებას მოსცილდა და ფიქრის ღრმა ნაოჭმა გადასერა ოფლის მსხვილი წვეთებით დაფარული შუბლი. მან მკვეთრად შეაბრუნა მძიმედ მქშინავი ჯამბაზი, ბორცვზე ავიდა და გამჭრიახი თვალი მოავლო ბაზალეთს.

იქ, სადაც ბუნდოვანად მოჩანდა ტყის ყვითელი ნაპირი, ზურაბი აუჩქარებლად აწყობდა არაგველებს რთული ფორმით „ტახი“: ორი წვეტი — „ეშვები“ — გვერდებზე, „კბილებდაკრეჭილი ხახა“ — შვიდი მწკრივი ხმალი — შუაში.

— ეი! „ვეფხვებო!“ — და საკაძის გრგვინვისებური ხმა კლდეებში გამოძახილად გაისმა.

— რას სჩადი, გიორგი?! — შეშფოთებით შესძახა დათომ, რომელიც ძლივს იკავებდა გახურებულ ცხენს.

— ჩქარა, დათო! ჩქარა! — საკაძე ჭენებით ჩამოვიდა ბორცვიდან. — ჩვენ უნდა დავასწროთ ზურაბს! ის ახლავე გამოექანება დასვენებული ცხენოსნებით მეფის გამოსახსნელად! ჩქარა!.. — მან მრისხანედ აღმართა სისხლით შეღებილი ხმალი: — გარს შემოვერტყათ გამცემ მეფეს!

„ვეფხვები“ მიხვდნენ ნიშანს და გაათკეცებული ძალით მიჰყვნენ საკაძეს. გარღვევაში, რომელმაც უკვე ოთხასი ხმლის სიგრძეს მიაღწია, შეიჭრნენ „ვეფხვების“ პირადი რაზმები. ხოლო კახელთა ზურგში განუხრელად მოიწევდნენ კახეთის ღიაწითელი ფერის დროშისაკენ ქვლივიძე, ასლამაზი და გუნია.

მომაკვდინებელ რკალში მოქცეული მეფე თეიმურაზი -ქეთ-იქით ეხლებოდა, ვით გამოგდებული მხეცი, მანქვით ეძებდა გამოსავალს. იგი ეძახდა ზურაბს, ეძახდა არაგველებს, ეძახდა ქართლელ თავადებს, მაგრამ საშინელ ჩეხაში პასუხად ესმოდა მხოლოდ ხმლების გაბოროტებული ჩახუნი. თასმა გაეხსნა და ნაბადი ჩამოუვარდა, მაგრამ ვერ გრძნობდა ძვალსა და რბილში გამტან სინესტეს, მხოლოდ უზარმაზარი შავი ხმალი, სისხლის ქუჩას რომ ქმნიდა, ისახებოდა მისი ანთებული თვალების წინ. მისი ერთგული თავადები ხმაჩახლეჩილი ამხნევებდნენ შემდრკალ კახელებს... მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. საბედისწერო რკალი ვიწროვდებოდა, თითქოს ცეცხლოვანი ბორბალია გიგანტური ურის დარტყმითო. კიდევ ერთი წამი და — მეფე დატყვევებულია!

ზურაბი კი არ ჩქარობდა: მან გააუქმა „ტახის“ ფიგურა, და შემდეგ დამშვიდებით, თითქოს სამხედრო წვრთნაზეაო, ჯარის უფროსებს უბრძანა ცხენოსანთა სათადარიგო ნაწილი ხელახლა დაემწკრივებინათ „სპილოს“ სახით — ოთხი ასეული ერთმანეთის მიყოლებით ნიშნავდა „ხორთუმს“, ხოლო დანარჩენები გვერდებზე — „ეშვებს“: არ ისმოდა არაგველთა ბუკის ხმა, დავიწყებოდათ იერიშის ნიშანი.

საკაძე უკვე ხედავდა მეფეს, რომელიც გაალქაჯებული

დაბორიალობდა, და გაკვირვებით მოიხედა უკან, მაგრამ ზურაბი არსად ჩანდა. „უცნაურია, — განცვიფრებული ფიქრობდა სააკაძე, — არაგველ ტურას არ შეუძლია არ იცოდეს, რომ ყველაზე ხელსაყრელი წუთი მისთვის ეს არის, მაგრამ მაშინ... ახალი ვერაგობა ხომ არ მოუფიქრებია?“

სააკაძემ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო და ყურები დაცქვიტა: თვით უმნიშვნელო ხმაური ბრძოლისა არასოდეს არ გამოჰპარვია მის ყურს. ახლა მან გაიგონა ასობით ცხენის სწრაფად მოახლოებული თქარა-თქური და მკვეთრად მობრუნდა.

მაგრამ ჩორთით ახლოვდებოდნენ არა არაგველები მეფე თეიმურაზის დასახმარებლად, არამედ თურქები... გიორგი სააკაძის საშველად.

საფარ-ფაშამ ზუსტად შეასრულა პირველი პირობა, რომელიც მას მოურავმა დაუყენა, მაგრამ ამჯობინა არ შეესრულებინა მეორე: მისი მხედრები, გათურქებული ქართველები, სამცხე-საათაბაგოდან მოვიდნენ შავადჩაცმულნი შავი იარაღით და მუზარადებით, რაც სრულიად არ ამქღავნებდა მათს თურქების ქვეშევრდომობას, მაგრამ ისინი იყვნენ არა ოცი ასეული, როგორც მოურავი მოითხოვდა, არამედ მხოლოდ სამი.

თუმცა ეს უმნიშვნელო მაშველი ძალაც ხელს შეუწყობდა წარმატების განმტკიცებას. მაგრამ მოხდა ის მოულოდნელი რამ, რამაც პირი დააღო, როგორც უფსკრულმა მიწის ამ მცირე ნაკვეთზე, მოურავსა და მეფეს რომ ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

საფარ-ფაშამ უეცრად დაინახა მესხეთის ღიამწვანე დროშა, შეჯგუფებულ კახელთა მარცხენა ფრთაზე რომ ფრიალებდა, — სწორედ ის დროშა, რომლის აფრიალება თეიმურაზმა ბრძანა სააკაძის გულის მოსაკლავად. თეთრი ჯეირანი მკვეთრად დაგრეხილი რქებით, შავი წინწკლებით დაფარული, რომელსაც ამაყად ეჭირა ჯვრით დაგვირგვინებული პატარა ალამი. ამან გააცოფა საფარ-ფაშა, მას დაავიწყდა სიფრთხილე და თურქული წყევა-კრულვა დააყარა მათ თავს. მესხეთის ძველი დროშა ხაზგასმით აღნიშნავდა მეფე თეიმურაზის პრეტენზიას აგრე წარმატებით მის მიერ, საფარ-ფაშის მიერ გათურქებუ-

ლი სამცხე-საათაბაგოს შესახებ. და მან უბრძანა იანიჩარებს დაუყოვნებლივ ჩაეგდოთ ხელში მესხეთის დროშა და ქართველთა თვალწინ დაეგლიჯათ იგი. მეწინავე თურქმა უბიდან ამოიღო მწვანე აბრეშუმის ნაჭერი, შუბს მიამაგრა, ჰაერში ააფრიალა და ბაზალეთში იმ წამსვე აფრიალდა თურქეთის ნახევარმთვარე.

ცეცხლისმფრქეველი ურჩხულის უეცარი გამოჩენა ვერ მოახდენდა ისეთ შთაბეჭდილებას, როგორიც ქართველებზე სულთნის ამ საძულველმა დროშამ მოახდინა. კახელებს თითქოს ახალი ძალა შეემატათ, მხედრული შეძახილებით და გინებით მიესივნენ თურქებს და გიორგი საკაძეს ისარი დააყარეს.

თურქეთის დროშა, ბოსფორის ნახევარმთვარე, ბაზალეთში ფრიალებს! აზნაურთა რაზმელები, აჯანყებულნი, თვით აზნაურები — მოურავის მთელი ჯარი, რომელიც გააოცა სტამბოლის ავისმომასწავებელი მოამბის ვერაგულმა გამოჩენამ, საშინელებით, ზიზღით, აღშფოთებით უცქეროდნენ თურქებს. მეომრები უდიდესი დაძაბვით იკავებდნენ თავს, რომ, საკაძის განზრახვის საწინააღმდეგოდ, თვითონ არ დაძგერებოდნენ თურქებს, არ დაეგლიჯათ ისინი და ფერფლად არ ექცია მწვანე დროშა, დროშა, რომელიც ჩრდილს აყენებდა თბილისის კოშკებს, სუდარს აფარებდა გორის გალავანს, ახშობდა ქუთაისის ტაძრებს, ხელყოფდა ქალაქ-ბაღ თელავს. როგორც ვულკანის კრატერიდან ამოვარდნილი ნიაღვარი ლეკავს ყველა დაბრკოლებას, სწორედ ისე საუკუნეობით დაგროვებული ხალხის სიძულვილი მზად იყო გაეთელა მჩაგვრელთა მეთაური რაზმი, რომლის შემდეგ შეიძლებოდა ივერიის მიწა-წყლის ფარგლებში შემოჭრილიყო ათასობით ურდო, გაალქაჯებული სულთნის ავაზაკური ფირმანებითა და მოლების ფანატიკური მოწოდებით.

წუთით ბრძოლა შენელდა. ათასობით შემკითხველ თვალს გრძნობდა გიორგი საკაძე. იგი ხედავდა, როგორ შედრკა მისი მეომრების ხელში იარაღი, როგორ გაინაბნენ მოლაშქრენი, ხედავდა, თუ რაღაც წუთით როგორ დაიხარა ძირს შუბები და ხმლები, გაქვავდა მშვილდები. რაღაც წუთით! მაგრამ ეს წუ-

თი მისთვის გახდა საუკუნეზე უფრო ხანგრძლივი, რომელიც აღსავსე იყო ტრაგიკული მნიშვნელობით. მხოლოდ თურქეთის ძალაზე დაყრდნობით შეეძლო კიდევ ჰქონოდა ფეოდალთა დამარცხების იმედი, სხვა რეალური ძალა საქართველოში, რომელიც შეიძლებოდა დაპირისპირებოდა თავადთა ძალას, გიორგიმ იცოდა, არ არსებობდა. მაგრამ საკმაო იყო ბაზალეთში ესინჯა, თუნდაც ფარულად გამოეყენებინა თავისი მიზნისათვის ერთი მუჭა თურქები, ნიადაგი შეირყა მის ფეხქვეშ. მკვეთრი ტკივილით გრძნობდა იგი ამჟამად დედამიწის გუგუნს, რომელიც მოითხოვდა შურისგების აქტსა და განწმენდის მსხვერპლს, გუგუნებდა მიწა, ირყეოდნენ მთები, მისდამი მოპყრობილი ცქერა სულს უდაგავდა. ეს იყო ხალხის მკაცრი, ულმობელი განაჩენი. რისი გულისთვისღა დაიღუპა დაუთბეგი, მისი თანამებრძოლი, გულითადი მეგობარი, „ვეფხვების“ შეუბღალავი სინდისი მათს დახლართულ გზაზე?!

ათობით საშინელ ჭრილობას ამჯობინებდა საკაძე ამ ერთს, რომელმაც აქ, ბაზალეთის ნაპირზე, სისხლი ადინა მის გულს. მისი მეომრები უკვე იბრძოდნენ, მკვეთრად იქნევდნენ ხმალს, შუბებს, ისრები სძლევდნენ სივრცეს, ხრიალებდნენ მხედართა ცხენები, — აზნაურები ზედ მიადგნენ მეფე თეიმურაზს... მაგრამ მათს უკან მოჩანდნენ თურქები. აი ახლა წაიყვანენ ტყვედ მეფეს, კახეთი დამარცხებულია, კახეთი გატეხილია! არა გამარჯვების, არამედ საშინელი დამარცხების შეგრძნობამ მოიცვა საკაძე, ხმლის არაჩვეულებრივი სიმძიმე დაბლა ხრიდა მის ხელს. ანაზდად გაიგონა სასოწარკვეთილი ძახილი: „ცხენს უფრთხილდი! ცხენს უფრთხილდი!“ მძიმედ ამოისუნთქა და მობრუნდა. რკინის ბუნიკიანმა ისარმა გახვრიტა მისი ცხენის ჯაგრისი და მყისვე დაინახა, რომ ზურაბს სასწრაფოდ გადაჰყავდა ცხენოსანი ჯარის მარქაფი მარჯვენა ფრთაზე, სადაც უიმისოდაც არაგველთა მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარი იმერლებს აწვებოდა.

რაღაც აუხრიალდა ყელში გიორგის, და დათომ გაიგონა საშინელი, მწარე სიცილი, — კვალდაკვალ მიჰყვებოდა იგი გიორგის.

— ხედავ, ძვირფასო, თავადმა ზურაბმა მაინც გადაწყვიტა

აიძულოს მოურავი, რომ დაეხმაროს მას ქართლ-კახეთის მეფედ გახდომაში. ხედავ, მან გააშიშვლა მარცხენა ფრთა და თავაზიანად მოგვცა შესაძლებლობა ამოვეჭლიტოთ კახელები და მათთან ერთად თეიმურაზიც... შემდეგ კი თავადებთან ერთად, თითქოს მეფისათვის შურისგებით თავს დაესხმის ჩვენს შეთხელებულ ჯარს და... ბრძოლის შემდეგ თავს გამოაცხადებს ჯერ მმართველად, შემდეგ კი... არა, პირსისხლიანო ძერავ, მე არ მოგცემ ნებას დაეუფლო ბაგრატიონების გვირგვინს და ძიძგნო ჩემი სამშობლო! ნებას არ მოგცემ სისხლით შეღებო მთები, რადგან არც ერთი ხევსური და თუში არ ჩამოსულა შენს დასახმარებლად საკაძის მოსპობაში, როგორც არ ჩამოსულა არც ერთი თუში თეიმურაზთან. და მე ვიხსნი მთიელებს შენგან!

საკაძემ უზანგზე წამოიწია და დაინახა მეფე, რომელსაც უკვე გარსშემორტყმოდნენ ასლამაზი, ქვლივიძე და „ვეფხვები".

— უკან, „ვეფხვებო!" გზა მეფე თეიმურაზს! გზა თეიმურაზ მეფეს! უკან, აზნაურებო! მეფის სიცოცხლე ხელშეუხებელია! გზა სპარსელთა წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს! — საკაძის ხმა სჭექდა მრისხანედ, შეუმდრკალად.— უკან! გზა მეფეს! გზა მიეცით!..

შეძრწუნებულ აზნაურებს არ შეეძლოთ დაეჯერებინათ, ხოლო თუ დაიჯერებდნენ, არ შეეძლოთ შეეგნოთ, თუ რა ხდებოდა. „ვეფხვებიც" კი, რომლებიც მიჩვეული იყვნენ თავისი წინამძღოლის უეცარ გადაწყვეტილებას, გაოცდნენ: „გამარჯვება ხომ თავისთავად მოდის! მეფე თეიმურაზი, თავისი სიტყვის მოღალატე, ხომ მათს ხელშია! ბედს ხომ კვლავ დიდებისა და ძალაუფლების მწვერვალზე აჰყავს მოურავი! მაშ რატომ ხმლით არ იმტკიცებს გამარჯვებას, რატომ არ გმირავს თავის მტრებს?"

მაგრამ უფრო მრისხანედ გაისმა საკაძის ხმა:

— გზა მეფე თეიმურაზს! გზა!

აზნაურთა ჯარის ცენტრში, რკალი რომ შეკრა კახელთა გარშემო, გიორგი საკაძის საყვირი უკანდახევის ნიშანს იძლეოდა.

თეიმურაზს არა თუ გაეხარდა, იგი გაოცებული იყო. შებრალება საკაძისაგან? მაგრამ რატომ? მეფე ხომ არ ზოგავდა და კვლავაც არ დაზოგავს ურჩ ნოსტელს. ომი გაგრძელდება!

აზნაურთა რაზმელები ცხენებს აჩერებდნენ, უკან იხევდნენ ნიჩბისის ტყის აკანყებულნი, მოისარნი. მარტოდ დარჩენილმა საფარ-ფაშამ ბოროტად დამანჭა ტუჩი და იმ სატევრის პირს შეეხო, რომელსაც ეწერა: „ეს იატაგანი გამოასწორებს სახელმწიფოს საქმეებს!" და იანიჩარებს უბრძანა, ბერთა მთისაკენ დაიხიეთო.

განთავისუფლებულ გასასვლელში გაექანენ ყიჟინით კახელები, რაც დაჭრილი მხეცის ღრიალს ჰგავდა.

— ჩქარა, სანამ საკაძეს არ გადაუფიქრია. არა, საკაძე ვერ გაბედავს გადაიფიქროს! ვერ გაბედავს მეფე დაატყვევოს!

— ღმერთმა არ ინებაl შეეშინდა იროდს ღვთის სასჯელისა!..

„რატომ ისულგრძელა საკაძემ?" — ფიქრობდა ჯანდიერი, რომელიც მეფის უკან მიჰქოოდა.

გააფთრებული დიმიტრი უნაგირიდან გადაიხარა, მეტად მოსჭიმა მშვილდი და ისარი გაქცეულებს დაადევნა:

— დაუთბეგისათვის! — ყრუ ხმით დაიკვნესა მან.

მეფე თეიმურაზი უნაგირზე შეირხა, მაგრამ თავადი ჩოლოყაშვილი შეეშველა და მოჰკურცხლა, მას მიჰყვნენ კახელი თავადები, რაზმელები, ქეშიკები...

ზურაბი გაალქაჯდა, ხედავდა იმედის დაღუპვას: უეცრად შედგენილი გეგმა გამოიცნო შორსმჭვრეტელმა საკაძემ! და არაგვის ერისთავი გააფთრებით დაატყდა თავს იმერლებს.

და ამ წუთში, თითქოს ძმათა შორის სისხლისღვრით დაიღალაო, ტბას კვლავ ჩამოაწვა უმაგალითოდ სქელი ნისლი. მან აავსო ბაზალეთის უღელტეხილი, ჩამოეკიდა უნაგირა მთის კალთებს, დაიწია უფრო ქვემოთ, დაფარა ბრძოლის ველი და მეომარი არ მიუშვა მეომართან. გზა გადაუღობა მახვილსა და ისარს. მხედარი უკვე კეღარ ხედავდა თავის ცხენს, ქვეითი — თავის ჯავშანს. ფრთხილად, ბოჩინით იხევდნენ უკან რაზმელები, უფრთხოდნენ თავიანთ და სხვათა ხმალს

განუკვრეტელი, უკუნი ბნელი ღამე... წარღვნა, ცივი, ძვალსა და რბილში გამწვევი ქარი... წყვდიადს დაეფარა ტბა... გაუკაცრიელდა სანაპირო... არც ცხენის ჭიხვინი, არც მეომრის ძახილი... მხოლოდ „ვეფხვებს“ აენთოთ ჩირაღდნები, წვიმას ვერ ამჩნევდნენ და გათენებამდე ეძებდნენ თავიანთი ძვირფასი მეგობრის ნეშტს...

ზოზინა ნისლში იალქნებივით იბერებოდნენ კარვის კალთები. საკაძე ეთხოვებოდა აზნაურებს: „რა საჭიროა ძმათა სისხლის უმიზნოდ ღვრა, ისედაც მეტად ბევრი დაიღვარა“.

ამაოდ არწმუნებდა იესე ერისთავი: „ჯერ ბრძოლის შედეგი უცნობია“. ამაოდ აძლევდა წინადადებას ქაიხოსრო, მუხრანიდან გამოვიწვევ ახალ რაზმებსო. საკაძე ყრუდ იმეორებდა: „თავადები გაილალნენ, მაგრამ ჯარს ნაბრძანები აქვს იბრძოლოს. სისხლისმღვრელი ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მახვილს არ განამტკიცებს. ჯერჯერობით გამარჯვებული არიან თავადები!.. ჯერჯერობით!.. რა აზრი აქვს ბრძოლის განგრძობას? ზურაბი ბაზალეთს არ დატოვებს. თბილისი ჩვენთვის დახურულია. ეკლესია ხალხს ააჯანყებს ჩვენს წინააღმდეგ. საფარ-ფაშის და მისი სამასი თურქის მოსვლამ მთლად ჩამომაშორა მეომრები“.

საკაძე დაფიქრებული უცქეროდა თავის მეგობარ თავადებს, — ისინი გაუგებრად იჩეჩავდნენ მხრებს; თვალი გადაჭქონდა მის წინ შეკრებილ აზნაურებზე, — მათს მკაცრ სახეებზე, ბრძოლის ქარს რომ გაერუჯა, შეშფოთება იხატებოდა. მაგრამ ის, რაც მათ ვერ გაეგოთ, ნათლად გასაგები იყო გიორგი საკაძისათვის. ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ აშკარა ომი, ომი თეიმურაზის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერდა ყოვლადძლიერი ეკლესია და მძლავრი თავადობა, უგუნურება იყო ჰქონოდა იესეს და ქაიხოსროს ახალი რაზმებით სრული გამარჯვების იმედი, რადგან ხალხი დამონებულია, ხალხი მოურავთან არ არის. ხოლო იმისათვის, რომ სამუდამოდ ბოლო მოეღოს თავადთა დესპოტიზმს, რომლებიც აფერხებდნენ საქართველოს განვითარებას, თვითონ მან უნდა მოიპოვოს მძლავრი ძალა. და ამ მძლავრ ძალას მოიპოვებს იგი, გიორგი საკაძე, მოიპოვებს!..

არაფრით არ გაუმეღავნებია თავისი დიდი მღელვარება. ძველ მეომარს აზნაურ ქვლივიძეს. იგი სამჯერ ეამბორა აზნაურთა ბელადს და უძრავი ნისლის საფარველით, უცნობი ბილიკებით, ტყეებითა და ხრამებით გაიყვანა ბაზალეთიდან აზნაურთა გადარჩენილი რაზმები.

წავიდა საფარ-ფაშაც და საჭურველთმტვირთველის პირით დიდ მოურავს შემოუთვალა ალაჰის ლოცვა-კურთხევა...

თითქმის ძალად გაიყვანა ბრძოლის ველიდან მდუმარე მოურავი უფლისწულმა ალექსანდრემ.

ნისლის ფანტელები ცხენების ფაფარში ეჩრებოდნენ, ჯაგრისებზე ეკიდებოდნენ, ნაბდებში იცარებოდნენ. გაუტეხელი დუმილით მისდევდნენ თავიანთ გიორგის ერთგული „ვეფხვები“. ისინი ფიქრობდნენ: „თოიალეთის ომს მოჰყვა სურამის ბრძოლა, უფადარს — ლომთა მთა, მარტყოფს — მარაბდის ძლეტა, მაგრამ რა უთვალთვალებს ბაზალეთის სისხლისღვრას? სიცარიელე და მწუხარება! დადგება თუ არა კიდევ გამაცოცხლებელი წვიმის, გიორგი სააკაძის დრო?“

ქაიხოსრო მუხრანბატონის ცხენოსანთა რაზმი იფარავდა იმერელთა რაზმის ნაშთების უკანდახევას და თავიანთ თავადს იმერეთში მიჰყვებოდა: არ სურდა ქაიხოსროს დიდი მოურავი საშინელ მწუხარებაში დაეტოვებინა.

გულაჩუყებულმა „ვეფხვებმა“ ყოფილ მმართველს გამოუცხადეს თავიანთი სიყვარული და აღტაცება: „მხოლოდ დიდი გულის რაინდს შეუძლია აგრე მოიქცეს, მხოლოდ ძაღალი სულის პატრონს შეუძლია აგრე იგრძნოს“.

საუკეთესო გრძნობების გამოცხადებაში მევალე არ დარჩენილა არც ქაიხოსრო: იგი ეხვეოდა „ვეფხვებს“, არწმუნებდა, რომ უმჯობესია მართალი მწუხარება, ვიდრე ყალბი ლხინი, და რომ იგი სტუმრად იქნება თავაზიან იმერელ უფლისწულთან, რადგან პაპის სიკვდილის შემდეგ ძნელად ეგუება მუხრანს.

ხუჭუჭა ბატკანი ბალახს წიწკნიდა, ქვის ფილებს შორის რომ ამოსულიყო, და აწკარუნებდა პატარა ზარს, ყელზე რომ ეკიდა. ლურჯი სქელი ჰაერი ჰგავდა აბრეშუმს, ძველი აკროპოლისის ტაძრების გუმბათებზე, სათოფურებიან კოშკებსა და დიდებულ გალავანზე რომ ფრიალებდა. მზე ზანტად მიიწევდა მაღლა და ოქროს ხონჩას მოგვაგონებდა: აი აგერ ზედ შედებენ შემწვარ ირემს და სამეფო სუფრაზე მიიტანენო.

რუსუდანის ბაგეზე სიცილი გაკრთა და გაქრა. ვაი რომ, აქ ერთი მზე როდია, აქ თითქოს ყველაფერი განკუთვნილია წვრილმანი, უფერული დღის ინტერესებისათვის. მეტად უჩვეულოდ მიმდინარეობდა რუსუდანისათვის ცხოვრება იმერეთის მეფის სასახლეში, — ისე უჩვეულოდ, რომ სამძიმო იყო მხოლოდ კარისკაცთა დანახვა, რომლებიც უმიზნოდ დალასლასებდნენ მკაცრად მოწყობილ დარბაზებში. აქ ყველაფერი ზეიმოვნად ხდებოდა, ჭამა-სმაც კი „უმეხოდ" არ ეწყობოდა: ათ საათზე გაისმოდა დოლის ხმა და ყველანი ისწრაფვოდნენ „ფრთიანი ცხენების დარბაზში", ხმაურით დასხდებოდნენ, დამყარებული ეთიკეტის თანახმად, ვიწრო სუფრაზე, სადაც მაწონი ელოდებოდათ.

რატომ ელტვოდა დღეს განსაკუთრებით რუსუდანი მარტოობას? ღამით, სიზმარში, იგი მიდიოდა თეთრი ვარდებით დაფენილ გზაზე და უხილავი ეკლები ესობოდა ქუსლებში. საამური იყო ყვავილთა უსაზღვრო გზა და აუტანლად სტკიოდა სისხლმდენი ჭრილობები. უეცრად ვარდები გაწითლდნენ, უზარმაზარი გვირგვინი შექმნეს და ალაპლაპდნენ, რუსუდანი კი ტრიალებდა დახშულ წრეში, იხრჩობოდა მწკლატე კვამლით და არ შეეძლო თვალების გახელა. რუსუდანმა სწრაფად მიატოვა საწოლი, ჩააქრო სასაკმელე, მაგრამ იისფერი კვამლი კვლავ იხვეოდა და მის ხვეულებში რაღაც ავი ეჩვენებოდა.

იგი შეპყრობილი იყო რაღაც წინაგრძნობით, იგონებდა სიზმარს და დაფიქრებული ადიოდა აკროპოლისის უკაცრიელ მოედანზე, რომელიც თავს დაჰყურებდა სატახტო ქალაქ ქუთაისს. აქედან დაუცხრომელი რიონი ჰგავდა მშვიდ ცისფერ

ლენტს, რომელიც გადაჭიმული იყო აყვავებულ ველში, ხოლო მის ზემოთ მწვანედ მოჩანდა დაბურული მთების ხეები, ისინი თითქოს ირხეოდნენ ლივლივა ნისლში. ფასის მთისა და მეზობელი გოლიათების თეთრი ქუდები მკაცრად მოჩანდა ციცაბო ხვამლის და სხვა მთების მიღმა, რომელთა მწვერვალები აღმართულა ტყიან მთაგრეხილებზე, ზედ ქალაქის გალავანთან რომ წყდებიან.

ოდესღაც ანანურში, ახალგაზრდობის წლებში, რუსუდანი, მამაცი ნუგზარ ერისთავის ქალიშვილი, ტკბებოდა ამაყი, გულჩახვეული აზნაურის სააკაძის ცქერით. იგი გაუგებარი იყო, ვით უცხო ხალხის წიგნი, მაგრამ სხვას არ ელოდა რუსუდანის გული, რომელიც მოსვენებას ვერ ითმენდა. მოაგონდა, როგორ ავიდნენ მთის მწვერვალზე, საიდანაც ანანურის ციხე-დარბაზი ჰგავდა სათამაშოს, თითქოს ბავშვის ხელით კენჭებისაგან აგებულს. ო, რა კარგი იყო მაშინ ზევით! იქ მეფობდა ქარი! ხოლო როცა მთაზე ქარია, ცა ირხევა...

აქ კი, მარმარილოს კედლებში, ამაოდ იმედოვნებდა ეგრძნო ქარი, რომელიც გიორგის მოაგონებდა! უძრავ ჰაერში ხის ტოტები თითქოს გაყინულიყო და ფოთლის შრიალი არ იმეორებდა სიმღერას, რაც დიდი ხანია გაისმა. და სპეტაკ ცაშიც არ ნავარდობდა არაგვული არწივი.

რუსუდანი დაიხარა და ხელი გადაუსვა ბატკანს, პატარამ კი თავისი ნოტიო ცხვირი უცხოს ხელისგულს მიადო. და უეცრად გაახსენდა რუსუდანს: განა ასეთივე უცოდველი და, სამწუხაროდ, უაზრო არ იყო იმერეთის მეფის გიორგი მესამის პოლიტიკა ქართლის მიმართ, როგორც ეს ბატკანი?

აკროპოლისის თავზე გაიშალა ღრუბელი, ფრთის საგრილებელს რომ ჰგავდა, — და რუსუდანს უნდოდა წამოეძახა: „ისწრაფე სურამის ქედზე! იქ გადაიქცევი წარღენად, გზას გადაუღობავ მტერს, გახდები ნისლი, დაიფარავ მეგობარს, იქცევი წყლის წვეთად, რაც ზოგჯერ ოკეანეზე უფრო ძვირფასია“.

მაგრამ ღრუბელი არ ინძრეოდა. და ნამდვილი არ ეჩვენებოდა სისხლის წვეთივით წითელი ხილი, ბროწეულის ხეებზე რომ ენთო.

ძირს, ქალაქში, აღმართულიყვნენ სასახლეები, კოშკები, ტაძრები, ჩუქურთმიანი აივნის სახლები და მათზე თითქოს მეფობდა ბაგრატ მესამის დიდებული ტაძარი, რომელსაც გარს ერტყა ქვის ლომებისა და ფასკუნჯების ორნამენტი. ღვთის ციხე და მეფის სატახტო ქალაქი! აქ ქადაგებდნენ მიწიერ სიკეთეზე უარის თქმას, ხოლო სამდინარო გზებზე დაცურავდნენ მომწვანო ნავები, მორთულნი ხალიჩებით, ამ ნავებზე ვაჭრები ოქროს ძალაუფლებით საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. და საქმიანი ფელუგები და მსუბუქი ნავტიკები, ‹ვირფასი საქონლით რომ იყვნენ დატვირთულნი, ადასტურებდნენ მატერიის უპირატესობას სულის წინაშე.

რუსუდანი ექსტაზით არასოდეს არ დახრილა ჯვრის წინაშე. და რა ღმერთებს, რა კერპებს შეეძლოთ დაეტყვევებინათ გული, რომელმაც იგემა სიყვარულის დიდება და მსხვერპლის აზრი?

არა მარტო რუსუდანი, არამედ ყველა ნოსტელი ნაღვლობდა სამშობლო ქართლზე. დიდებული ქუთაისი უცხო იყო მათი სულისათვის, არ ეხებოდა გულის უნაზეს სიმებს. ლამაზი იმერელი თავადისა და აზნაურის ქალიშვილები უმარილით შეფეთქილი სახითა და გამოსურმული წარბებით, რომლებიც აბრეშუმის სამოსს აშრიალებდნენ და სამაჯურებს აწკარუნებდნენ, უფრო უფერული სანახავი იყვნენ, ვიდრე უბრალოდ ჩაცმული ნოსტელი ქალიშვილები, მაგრამ ჯეირანივით მოქნილნი, რომლებიც კლდეთა ნაპირებზე დაცოცავდნენ, ლოყები ხავერდს უგავდათ და შეკავებული ღიმილი თითქოს მთის თავისუფალი ბუნების სილაღეს ასახავდა.

მშობლიური ნოსტეს ჩვენებანი არ ეშვებოდნენ რუსუდანს და იგი უფრო მდუმარე და გულჩახვეული გახდა, თითქოს თავის იდუმალ ფიქრებს იმერეთის მეფის კარისკაცებს არ უმხელსო.

სიცოცხლით სავსე ხორეშანმა მოსწრებული სიტყვით და თავაზიანი მოპყრობით მოხიბლა იმერეთის მაღალი წოდება, მაგრამ ისიც გაურბოდა მათთან მეგობრობას. დარეჯანი,

რომელიც ჩუმად ღვრიდა ცრემლს, ცდილობდა უფრო ხშირად დარჩენილიყო ვრცელ, მდიდრულად მორთულ სახლში, მოურავის ოჯახისათვის რომ იყო განკუთვნილი.

მხოლოდ იორამი და ბეჟანი ეჯიბრებოდნენ ახალგაზრდა უფლისწულებს მამუკასა და როსტომს მშვილდოსნობაში, ფარიკაობასა და ცხენოსნობაში. ჩასუქებული თავადებით გარშემორტყმულნი უფლისწულები ყოველთვის აგებდნენ, მაგრამ ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ მხოლოდ ზრდილობისათვის უთმობენ ქართლელებს, როგორც სტუმრებს. ასეთი ცბიერება აცოფებდა იორამს და იგი სიამოვნებით ჩაულურჯებდა ხოლმე ორთაბრძოლაში თვალს უფლისწულ როსტომს, ხან ხმლის ბლაგვი წვერით გახვედა ხავერდს უფლისწულ მამუკას მხრებზე.

მეფე გიორგი და დედოფალი თამარი გულითადად შეხვდნენ დიდი მოურავის ოჯახს. დედოფალი პატივს სცემდა დიდებულ რუსუდანს, მან გულწრფელად შეიყვარა მომხიბვლელი ხორეშანი და მოკრძალებული დარეჯანიც კი ყველა კარისკაცის სასურველი სტუმარი იყო.

კარისკაცები ყოველგვარი საბაბით სარგებლობდნენ, რომ დღესასწაული მოეწყოთ და გაერთოთ სტუმრები, მგარამ არ ესმოდათ, რომ ქართლელი ქალებისათვის უფრო ძვირფასი იყო განმარტოება. მაგრამ ჯერჯერობით მათთვის შეუძლებელი იყო უარი ეთქვათ სასახლის ახმაურებულ ცხოვრებასა და მის ფუფუნებაზე, — ვერავინ ვერ უნდა ამჩნევდეს მათს შეშფოთებას, მწუხარებასა და მძიმე ფიქრებს.

მხცოვანი მალაქიას, იმერეთის კათალიკოსის შეხვედრამ ღირსეულ რუსუდანთან მეტად წარმატებით ჩაიარა. კეთილმორწმუნე, ცივი ბრწყინვალებით აღსავსე საუბარმა კათალიკოსი არაჩვეულებრივ კარგ გუნებაზე დააყენა.

— შვილო ჩემო, შენ, მსგავსად ზეცის მოციქულისა, სული ჩემი აღავსე წმიდა თრთოლვით! საიდან იცი ესოდენ ბრძნული და მოწყალე სიტყვები?

რუსუდანს სურდა ეთქვა, რომ მოძღვარმა ტრიფილიოსმა, წარსულში იმერელმა თავადმა ავალიშვილმა, მრავალი წლის მეგობრობის დროს მასწავლა არ დამვიწყნოდა: „კეისარს —

კეისრისა, ღმერთს — ღვთისა". მაგრამ თავი შეიკავა და გაახსენდა: დროზე დუმილი ნიშნავს საუბარი მორთო სურნელოვანი გაზაფხულის იებითო.

დიდი ზეიმით აღნიშნეს სასახლეში ლევან დადიანის მიერ თავისი ჯარების გაყვანა იმერეთის საზღვრიდან. ხორეშანმა აღტაცებაში მოიყვანა თავადები, როცა წარმოთქვა სპარსული სიბრძნე: „ნუ დადგები იქ, სადაც შეგიძლია დაეცე!"

ხოლო განსასვენებელში მეფე გიორგიმ მოიხადა მანტია, ზურმუხტის მანიაკი შეიხსნა და დედოფალს წასჩურჩულა:

— ქება-დიდება ჩემს წინდახედულებას! მე ვიხსენი ჩემი სამეფო საშინელი უბედურებისაგან: თუ მოურავის ოჯახის ჩამოსვლამ ასე დააშინა ლევანი, როგორ უნდა დაცხრეს ავაზაკი, როცა შეიტყობს, რომ დიდ „ვეფხვს" დავემოყვრე...

მარმარილოს ნიშში ტახტზე მუთაქებს დაყრდნობილი რუსუდანი და ხორეშანი მსჯელობდნენ:

— იქნებ მეფემ ახლა გიორგის დასახმარებლად გაუგზავნოს თუ სამი ათასი არა, ათასი რაზმელი მაინც? არ ვარგა: წინათ დააიმედა, შემდეგ კი თითქმის უღალატა.

— არა, ჩემო ხორეშან, ერთ რაზმელსაც არ გაგზავნის მეფე. რატომ? ბაზალეთიდან მოსული ამბები სულ უფრო სამწუხაროა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უმჯობესია, რომ გაგზავნიდეს, ხოლო იმერეთისათვის უფრო დიდმნიშვნელოვანია, რომ ჯარი მის საზღვრებს იცავდეს.

— ჯერ კიდევ არავინ იცის, რა არის უმჯობესი იმერეთისათვის: სამი ათასი რაზმელი ბაზალეთის ნაპირებზე, თუ რიონის ნაპირებზე?

— გიორგის გეგმებზე ლაპარაკობ? მაგრამ მაცნემ გუშინ ამბავი მოიტანა, რომ შეთანხმდნენ მოურავი და ალექსანდრე. იგი ძლიერ კმაყოფილია უფლისწულით.

— მე კი ასე მგონია,— აკანკალებული ხმით თქვა დარეჯანმა და ნიშთან მივიდა: — თუ მზეზე გათბობა გინდა, ყინულზე ნუ დაჯდები! იქნებ ჩვენი კოხტა ავთანდილი გულში მტრობას ინახავს მეფისადმი, სიტყვის დამრღვევისადმი, მაშინ მეფის ასულიც მისთვის არაფერს არ ნიშნავს!

— დიახ, მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო, — ამოიოხრა

ხორეშანმა. — გიორგის რომ იმერლების იმედი არა ჰქონოდა, სხვა რამეს მოიგონებდა.

ერთგვარ უხერხულობას გრძნობდნენ მეფე და დედოფალი ქართლელი ქალების წინაშე, რომლებიც მამაცურად მალავდნენ თავიანთ მწუხარებას. ყოველ მეორე დღეს მოდიოდა აზნაურ დათოს მორიგე შიკრიკი, მაგრამ რუსუდანისა და ხორეშანის სახეებს სიამე არ ემჩნეოდა.

და აი როგორღაც მეფე-დედოფალმა ინახულა რუსუდანი. უკვე იმიტომ, რომ ქეშიკები შესასვლელთან დატოვეს, ხოლო კარისკაცები სულაც არ ახლდნენ, ხორეშანი მიხვდა, რომ საუბარი საჯარო არ იქნება. ხელი გადახვია დარეჯანს და ერთად ავიდნენ ზემო აივანზე, სურნელოვანი ვარდებით რომ იყო შებორბლილი.

რუსუდანმა მადლობა გადაუხადა მეფე-დედოფალს ნახვისათვის და სასმენად მოემზადა.

— ჩვენ გამსჭვალული ვართ თანაგრძნობით შენდამი, ღირსეულო ქალბატონო რუსუდან, — დაიწყო შორიდან მეფემ. — მაგრამ განა ქარიშხლის შემდეგ მზე უფრო არ კაშკაშებს?

გულთბილი სიტყვებით გამოხატა დედოფალმაც უკეთესი მომავლის იმედი: „მომავალი მოდის ამ უბედურების შესაცვლელად, როგორც გაზაფხულის მოამბე“.

რუსუდანმა გაისწორა ლეჩაქი, მარგალიტის ქაფივით რომ ეშვებოდა, თავშეკავებულად გაიღიმა და მადლობა გადაიხადა გიორგი საკაძის ოჯახისადმი ყურადღებისათვის:

— ვესავ ბედის სამართლიანობას! და თუ კელავ ამობრწყინდა მზე ჩვენს გზაზე, მოურავი შეძლებს დაამტკიცოს თუ რაოდენ დიდად ვაფასებთ მეფეთ მეფისა და დედოფალთ დედოფლის სტუმართმოყვარეობას.

— რაოდენ სასიამოვნოა ჩემთვის შენი სიტყვები, ქალბატონო რუსუდან! და მეც ვესავ გიორგი საკაძის მახვილს! ხოლო დაპირებას შევასრულებ: მეფის ასული ხვარამზე, გელათის ღვთისმშობლის მიერ დალოცვილი, იქნება მამაცი რაინდის ავთანდილის, დიდი მოურავის ვაჟის შეუღლე.

— ვინებე, ჩემო რუსუდან, მცირე ლხინი გაგიმართო, რათა იმერეთის მეფეს გიორგი მესამეს შეეძლოს კარისკაცებს

გამოუცხადოს თავისი ნება, ხოლო კათალიკოსმა მალაქიამ დალოცოს მეფის ასული ხვარამზე.

რუსუდანს გულში ჩაეცინა: „ძალიან შეუწუხებიხართ ლევან დადიანს! ძლივს იკავებთ თავს, რომ მთელი საქართველოს გასაგონად არ დაიძახოთ: „ეი! ჩვენ შეგვიძლია დაბშვიდებით ვიძინოთ ოქროს პალატში, არავისი არ გვეშინოდეს. რადგან გვიცავს დიდი მოურავის მახვილი“! — და მტკიცედ თქვა:

— ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულამდე, ხმლითა და გულით შენი მსახური. ჩემი ავთანდილი ვერ შეძლებს სამაგიერო გადაგიხადოს მშვენიერი მეფის ასულის ხვარამზესათვის. მაგრამ გადავდოთ სასიხარულო ლხინი ჩვენთვის უფრო ბედნიერი დროისათვის, რადგან დიდ მოწყალებას მხოლოდ იმ დღეს მივიღებთ, როცა მოურავი ხმლითა და ჭკუით კვლავ მოიხვეჭს ძლიერებას, უფლებას — იწოდებოდეს პირველ ვალდებულად სამშობლოს წინაშე.

ოდნავ იმედგაცრუებით მოისმინა მეფემ ამაყად წელში გამართული რუსუდანის სიტყვები. მაგრამ დედოფალი აღტაცებული იყო: „აი ვისთან იცხოვრებს ტკბილად ჩემი ხვარამზე“.

რუსუდანის სახის გამომეტყველება აშკარად ამბობდა, აშ საუბრის განგრძობა უსარგებლოაო. არა, ისეთი როდია დიდი მოურავის მეუღლე, რომ თავი დაიმციროს და შავ დღეებში მიიღოს მეფის წინადადება, დავმოყვრდეთო. მეფეებიც კი ვალდებული არიან პატივად მიიჩნიონ გიორგი სააკაძესთან დამოყვრება!

ბაზალეთზე რუსუდანმა ყველაფერი იცოდა. მაგრამ სამწუწუხარო ამბები ვერ ცვლიდნენ დედოფალთან საუბრის ხასიათს, ხოლო კნეინები მის სიახლოვეს განიცდიდნენ რაღაც დარცხვენას და, თუმცა იცოდნენ შიკრიკების ხშირი მოსვლა, ვერ ბედავდნენ ეკითხათ რამე.

რუსუდანი არავის არ უნახავს, რომ ოხრავდეს, ან უჩოდეს რასმე, ისე როგორც არავის არ უნახავს განგებ მოცინარი.

და აი ერთ დილას, რომელიც არაფრით არ იყო შესანიშნავი, ცხენი მოაჭენა უკანასკნელმა შიკრიკმა — ომარმა. იგი

თვალებს ჭუტავდა, თითქოს რაღაც სურდა დაენახა და სქელი ნისლი უშლისო. ნაბადი დაგლეჯილი ეხურა. მშიერი იყო, მაგრამ ძლივს მოტეხა და გადაყლაპა ერთი ლუკმა შოთი. მის ჩახლეჩილ, ჩაწყვეტილ ხმაში უიმედობა ჟღერდა.

ამ ღამეს ქართლელ ქალებს არ ძინებიათ...

ქუთაისში გაისმოდა ზარების რეკვა. ციხე-დარბაზის გუმბათისებრ ოთხ კოშკზე გიორგი მესამის მუქცისფერი დროშა ფრიალებდა. კაშკაშა მზე ეფრქვეოდა ბაგრატის ტაძრის გუმბათს, სადაც ეს არის დამთავრდა საზეიმო წირვა იმერეთის მეფის მემკვიდრის უვნებლად დაბრუნების გამო. ამალა გარშემოეხვია უფლისწულ ალექსანდრეს, ქაიხოსრო მუხრანბატონს, ავთანდილსა და ყველა „ვეფხვს“ და გასასვლელისაკენ გაემართა.

თვრამეტხატიანი პალატი აივსო მორთული კარისკაცებით. უნდა გამართულიყო კვირის სადილი დიდი მოურავის პატივსაცემად. მთავარ შესასვლელთან შეგროვებულიყვნენ ატლასითა და ფარჩით გამოწყობილი აზნაურები. ელოდებოდნენ უფლისწულ ალექსანდრეს მოსვლას.

ჩურჩულებდნენ კნეინები:

— ახალგაზრდა ირემს ჰგავს მშვენიერი ავთანდილი!

— ხოლო ჩვენი მეფის ასული ხვარამზე არ მოგვაგონებს განა ნაზ შველს, კლდეზე რომ გადმომდგარა?

— და განა არ ჰყვავის, ვით ედემს უჭკნობი ვარდი?

— შენიშნეთ თუ არა, კნეინებო, როგორ გაფითრდა ავთანდილი, როცა ჩვენი მეფის ასული დაინახა?

— მე სხვა რამ შევამჩნიე.

— თუ შეამჩნიე, რატომ მალავ, კნეინა?

— სიტყვამ არ მოიტანა.

— ახლა?

— ახლა პირდაპირ ვიტყვი: მოურავი ისე აკვირდებოდა მეფის ასულ ხვარამზეს, თითქოს საყიდელ ციხე-დარბაზს აფასებსო.

— ერიდე უხეირო შედარებას, სალომე, ახლა ციხე-დარბაზს არავინ არ ყიდულობს, არამედ ბრძოლით იპყრობს...

კნეინებმა გაიცინეს.

— განა შენ არ უნდა იცოდე ეს, ფატი? შენი თავადი ხომ...

— ეჰ, კნეინა, უნდა გვიხაროდეს, თუ ჩვენს ქმრებს გრძელი ხმლები აქვთ...

— ნუ მაცინებ, ძვირფასო! — საერთო სიცილში წამოიძახა ახალგაზრდა მედეამ. — ვინ არ იცის, რომ გრძელი ხმალი ყველაზე მიუვალ ციხეს მიწვდება. აი ოტია...

— მისწვდა... ვთქვათ, შენს ციხეს.

— იმე! — წაიფხუკუნა გამკილავმა კნეინა ესმამ და ტუჩზე მიიდო ოქროსფერი კულულები.

კნეინა ტასიამ შეწყვიტა უზრდელური ხარხარი, ოდნავ მოხუჭა ყუყუნა თვალები და გაბმით წარმოთქვა:

— ღვთის საყვარელი და მორჩილი გულის დედოფალი გაგვახარებს მხიარული ქორწილით.

— წამოვა წყალობათა ნაკადი.

— არა ყველასათვის...

— შენ კი წარდექ სათხოვნელად.

— ეგეც მართალია, დედოფალი არასოდეს არ ეუბნება უარს, ვინც მას თაყვანს სცემს.

კნეინებმა კვლავ გაიცინეს. ხანში შესულმა კნეინა აბაშიძისამ სქელი ტუჩები მოკუმა და ალმაცერად გადაჰხედა მუდამ უკმაყოფილო კნეინა მხეიძისას, რომელსაც ლოყების სიყვითლის გამო პერგამენტს ეძახდნენ. იგი ყოველ დღე აბეზრებდა თავს რაღაც თხოვნით ხან დედოფალს, ხან მიტროპოლიტ ზაქარიას, ხან დედოფლის მესტუმრეს, მუდამ ეშინოდა რაიმე არ გამომეპაროსო და მიაჩნდა, რომ ვერავინ ვერ გაბედავს დაივიწყოს იგი თუნდაც ერთი საათით. და ამით საწინააღმდეგოს მიაღწია: მისი დანახვისას ყველა თავს შველოდა გაქცევით, ვისაც საითკენ შეეძლო.

— შენთვის, კნეინავ, — თითქოს გაკვრით წაილაპარაკა კნეინა აბაშიძისამ, — რაკი თხოვნის კარი ერთხელ გაიღება,

ველარ დაიხურება, რადგან მშიერ ცხვრებივით მთელ ჯოგად შეცვივიან შენი სურვილები.

— ჰა-ჰა-ჰა!

— ჰი-ჰი-ჰი!

— ნატომ ყოველთვის უნდა გაგაცინოს!

ხალიჩის მეორე მხარეზე, ვერცხლივით რომ ლივლივებდა, თურქულად ნაკერი ფარჩის ხიფთანებით გამოწყობილი თავადები ჩურჩულებდნენ:

— ახლა მოურავი აბათილებს ეშმაკის დახლართულ საბუთებს.

— საშიში არ არის განა, თავადებო? მოურავი ხომ მას შემდეგ, რაც ვაჟს მეფის ასულზე დააქორწინებს, მეფესთან უგანათლებულესებზე ახლოს იქნება!

— ჩანს, თავადო ინასარიძეე, ყველაზე უფრო გეშინია; როგორც კი შეიტყე მოურავის დამარცხება ბაზალეთში, იმწამსვე განკარგულება გაეცი ახალი ვენახი გაეშენებინათ.

— მიუხედავად იმისა, რომ შენი მამული ზედ სამეგრელოს ჭაობებთანაა! — საერთო მოწონების შეძახილებში დასძინა თავადმა ასლანმა.

— ვაი ჩვენ, უსაზღვროდ ცოდვილებს. მოურავს აღარ ჰყავს არც საცოლო ვაჟი და არც გასათხოვარი ქალიშვილი!

— თორემ თავადი სეხნია ცოლს შერთავდა თავის ყაჩაღ ზაალს. ხედავთ, როგორ ტრიალებს მოურავის მახვილის გარშემო? რით არ არის დათვი, რომელმაც თაფლი მოიყნოსა? — და, თავადთა მეგობრული სიცილით დარეტიანებული ხაზინის მცველი თათაზი შეშფოთდა: — რაო? განა ზედმეტი რამე ვთქვი?

თავადმა ასლანმა უმალვე დაამშვიდა მეგობარი, რა თქმა უნდა, თავად სეხნიას საწინააღმდეგოდ, რომელთანაც მრავალი წლის საჩივარი ჰქონდა თუთის ნარგავებისათვის.

— პირიქით, ძვირფასო, დუმილით აუარე გვერდი! რომ თვითონ სეხნია მზად არის ხელმეორედ შეირთოს ცოლად, თუნდაც ქალბატონ რუსუდანის საყვარელი ფინია...

— ამასთანავე მაგას უკვე ჰყავს კატა, რომელიც ორ უყვარს!

. თავადებმა ისეთი ხარხარი ატეხეს, რომ კნეინებმა ცნობისმოყვარეობით მიიხედეს იმათკენ.

— თავადებო, ტყუილ-უბრალოდ ესხმით თავს ერთს! ბევრს სურს განერთხას „ვეფხვის" წინაშე, ოღონდ იგი ლევან დადიანს უღრენდეს.

— რაკი ყველანი ერთსა და იმავეს ფიქრობთ, მადლობა მომიხსენებია, რომ ერთმა გამოთქვა ყველას ნატვრა.

— აგრეთვე 'კათალიკოსისა.

— დასძინე, მონასტრების მართლმორწმუნენი.

კნეინებს არ მოწონდათ თავადები, რომლებიც თავს ირთობდნენ. კნეინების აზრით, ზრდილობა არ არის მამაკაცებმა თავისი ხარხარით, რომელიც დაღმართში დაგორებული კასრის რახრახს მოგვაგონებს, ჩაახშონ ქალების სიცილი, ზარების ნაზ წკრიალს რომ ეჯიბრება. თავად ჭოჭუას მეუღლე, რომელიც განთქმული იყო თავისი გრძელი ყელით, იმერეთის ყველაზე მსხვილი ლალით რომ ჰქონდა შემკული, ცდილობდა მიექცია ქმრის ყურადღება, და როცა, ბოლოს, მიიქცია, საშინელებამ მოიცვა. შეცბუნებულმა ჭოჭუამ აბრეშუმის ცხვირსახოცი გადაისვა ნოტიო შუბლზე, ცოლს უპასუხა ისეთი ცქერით, რომელიც სათანადო სურვილს მალავდა, და ხმადაბლა თქვა:

— დაუმატე სატანა, ნიკორწმიდის ტაძრის ეპისკოპოსი.

— რომელმაც წისქვილი წაგართვა თავისი...

— საჭიროა, თავადებო, მოურავს ვუთხრათ.

— მოგვცეს საქმიანი და ჭკუიანი რჩევა.

— იქნებ, გვიწინასწარმეტყველოს გამარჯვება სამეგრელოზე?

— იცოდე, — თავადმა ასლანმა ჭკუის სასწავლებლად აღმართა საჩვენებელი თითი, რომელზეც მოზრდილი ბეჭედი ეკეთა, — რომ მოურავმა ასეთი ამბისათვის ერთი კოვზი მურაბის ნაცვლად პირში არ ჩაგაყაროს ერთი მუჭა წიწაკა.

თავად ოტიას სიცილი აუტყდა ხველებით, თითქოს წიწაკა შეცდომით მის ხახაში მოხვდაო, მერე, როგორც მისნობის მცოდნემ, დამარწმუნებლად თქვა:

— საზრიანად უნდა მოვიქცეთ! ვიმკითხაოთ ვერცხლის

ეჟვნებზე: თუ ჯვარი ქვემოთ მოექცა — მოურავის საქმე ცუდად არის, ხოლო თუ მაღლა, მაშინ...

— თუ შენ, თავადო ჭოჭუა, დაიწყებ ეჟვნების მაღლა სროლას, ისინი ყველანი ჯვრით ქვედაეცემიან!

გამხიარულებულ თავადთა თვალის ჩაკვრამ მოთმინებიდან გამოიყვანა ჭოჭუა:

— ბაადურ, ჯობს შენს წითელთმიანს ვუმკითხაო, ხოლო ცოდვის თავიდან ასაცილებლად, — ჩემი ვირის კისერზე მოხსნილ ეჟვნებზე ვიმკითხავებ.

თავადი ჩიჯავაძე თავადთა საზოგადოებას ფანჯრის ღრმა ნიშში დამალვოდა და ვაჟს არიგებდა, რომელიც ხაერდის ლაბადის კალთით ეკავა:

— მაშ დაიხსომე, ბაქარ, მოურავს რომ დაელაპარაკო, პატივი ეცი: არ მიხვიდე, როგორც უზრდელი, მეტად ახლოს.

— რატომ? განა მე მთხოვნელი ვარ, ის კი — მეფე? — აღშფოთდა ბაქარი და ამპარტავნულად ასწია თავი, რის გამოც მისი გადმოკარკლული თვალები მინას დაემსგავსა.

— შენ? უარესი ხარ, რადგან მოახერხე და ოცდაორი წლით გვიან დაიბადე მოურავზე, — გამოდის, რომ ლეკვი ხარ მასთან შედარებით. მოურავი კი — დაე უგვირგვინო, მაგრამ სულერთია მეფეა! ჰო, შეგიძლია მის წინ გაჩერდე ერთი ნაბიჯით უფრო ახლოს, ვიდრე მეფის წინ. ახლა მიჩვენე, როგორ...

ბაქარმა ფრთხილად გაიხადა ლაბადა, სამი ნაბიჯით წიხ წამოიწია, თითქოს ცეკვას იწყებსო, და სალამის ნიშნად თავი დახარა.

— კარგია! — ახოვანმა თავადმა კვლავ მაგრად ჩასჭიდა ხელი ვაჟის ლაბადას.

— ის რომ თვითონ მომიახლოვდეს?

— სულელო! დღეს ხომ არ გინახავს მაღალი საზოგადოება? არ შეგინიშნავს განა, როგორ იქცევიან თავადები, როცა პატივს სცემენ? თუ თვითონ მოგიახლოვდა, შუბლსა და გულზე ხელი მიიდე, დაბალი სალამი მიეცი და უკან-უკან დაიხიე.

— სადამდე?

— სანამ საჯდომით კარს არ დაეჯახები. მაშინ გავარდი

გარეთ! ახლა მიჩვენე, როგორ... რას მიყურებ? ვთქვათ, მე მოურავი ვარ, აბა დაიხიე უკან!

ბაქარმა ფრთხილად ლაბადა გაიხადა, სავარძელზე მიაგდო, მარჯვენა ხელით იატაკს შეეხო და თავი დაუკრა, მერე კარისაკენ დაიხია უკან.

— აგრე! აგრე! — უბრძანებდა თავადი, რომელსაც თავი ასპარეზზე წარმოედგინა.

ამ დროს კარი უეცრად გაიღო და ბაქარი საჯდომით დაეჯახა უფლისწულ ალექსანდრეს.

უფლისწულმა, რომელიც ცდილობდა კნეინებს არ შეეშჩნიათ, — მაგრამ კნეინებმა შეამჩნიეს, რადგან ყოველთვის იცქირებოდნენ იქით, სადაც საჭირო არ იყო, ახალგაზრდა თავადს პანღური ჰკრა, მან კი რატომღაც მხნედ წამოიძახა: „ჰეი! ჰეი!“ და ბურთივით გავარდა გარეთ.

წარმოუდგენელ ხმაურში, ხარხარსა და სამღვდელოების მტკიცებაში, რომ „სიცილი სიკეთის ნიშანიაო“, ალექსანდრე თავისი ამალიანად ხალიჩის პალატში შევიდა.

ქაიხოსრო მუხრანბატონი პატარა ულვაშებს იგრეხდა და ცდილობდა ოდნავ ჩამორჩენოდა ბატონიშვილს. „კარგია, რომ „ვეფხვებმა“ შეიგვიანეს,— ფიქრობდა იგი.— უადგილოა ასეთი მოულოდნელი ხუმრობა“.

კნეინები მუთაქებზე გადაწვნენ, ტუჩებზე სარტყლის ლენტები მიიფარეს, თვალები მორცხვად დახარეს, მაგრამ ათრთოლებული მხრები ამეღავნებდნენ ძლივს შეკავებულ სიცილს.

ეპისკოპოსმა დაამაყრა შემთხვევის შესაფერისი კეთილნირიანობა, ასწია პატარა ჯვარი, რომელიც ვარდის ზეთის სურნელებას გამოსცემდა და გაბმით, რამაც უშველა არ გასცინებოდა, წარმოთქვა:

— ყოველივე ეს მიხარია, რადგან სიცილი, ვით მნათობი, ბნელს ფანტავს.

— ისიც მართალია, მამაო, — წამოიძახა თავადმა ჭოჭუაძ, — დავნუგეშდით, რაკი მტერი განრთხმულია მეფის ფერხთა წინაშე.

— მაშ ვიხაროთ, თავადებო! — წამოიძახა ჩიჯავაძემ.

რომელსაც უხაროდა შემთხვევა ეჩვენებინა, რომ ვაჟის მარცხს გავლენა არ მოუხდენია მამის გუნებაზე.

— იხარებდე, იხარებდე, მაცდურის ლაქიავ! — მემკვიდრისადმი მისალმებათა გუგუნში წაისისინა ასლანმა. — მხოლოდ არ დაგავიწყდეს შენი ვაჟის უზრდელი უკანალი და დაზარალებულ ალექსანდრეს არაბული კვიცი მიართვი!

არ ცხრებოდა მისალმება ტახტის მემკვიდრის მშვიდობიანად დაბრუნების გამო. სიტყვამოსწრებულად უპასუხებდა მემკვიდრე ალექსანდრე მაქებრებსა და მლიქვნელებს და არ ივიწყებდა თავი მოეხარა კნეინების წინაშე და სთხოვდა მათ— გიყვარდეთ ჩემი მეგობარი, ქართლელ თავადთა შორის საუკეთესო ქაიხოსრო მუხრანბატონიო.

პირველი წამოხტა თავადი ჭოჭუა და მარჯვენა ხელი აღმართა.

— მოგესალმებით, თავადთა თავადო, უმდაბლესად!

— ვემხობი თქვენს წინაშე და ვაქებ მუხრანბატონთა გვარეულობას!— იმეორებდა თავადი ბაადური, რომელსაც ხელი მაღალ ჭერისაკენ აღემართა.

და გაისმა მაღალფარდოვანი მისალმებანი და სურვილები, რამაც ქაიხოსრო გააკვირვა.

„ვეფხვებმა“ შეიცადეს, სანამ ლიქნის ქარტეხილი მიწყნარდებოდა და მჟიდრო ჯგუფად შევიდნენ პალატში, — და როგორლაც ერთბაშად მიწყნარდა ყველაფერი და, თითქოს მარმარილოს კედლები გაიშალა და გამოჩნდა წარსული, რომელიც ლეგენდას ემსგავსებოდა, ასე რეალურად რომ არ მოეტანა სისხლისა და კვამლის სუნი.

დაუთბეგის დაღუპვამ „ვეფხვების“ სახეს მძიმე მწუხარების ბეჭედი დაასვა. შესაძლებელია ამიტომ ვერ შენიშნა ავთანდილმა, როგორ გაღაჟღაჟდა უეცრად მეფის ასული და მყისვე გაფითრდა, რის გამოც თითქოს უფრო შავი გაუხდა ჟულულები, ლოყებზე რომ ჩამოშლოდა. დათოც კი არ აფრქვევდა ლამაზმანების წინაშე აღტაცებას და მის მოკუმულ ტუჩზე არ თრთოდა მისთვის ესოდენ ჩვეული ღიმილი. „ვეფხვები“ თითქოს ზღურბლზე გაქვავდნენ. ყოველ მათგანს

მკერდზე ერხეოდა ყვითელი ვარდი — დაუთბეგზე, საყვარელ და დაუვიწყარ მეგობარზე მწუხარების ნიშანი.

მხოლოდ საკაძემ მიიბნია მარცხნივ — თითქოს ზედ გულზეო — შავი, ავბედითად ბრჭყვიალა ვარსკვლავი, რომელსაც აღარ იშორებდა. იგი მდუმარედ მიჰყვა მრჩევლებს მეფის სამყოფლოში.

არა, „ვეფხვები" არ ჰგავდნენ არისტოკრატებს, რომლებმაც იციან გამძიარულება, — არ უღიმოდნენ ისიხი ქალებს, ხუმრობით არ უპასუხებდნენ კარისკაცთა ხუმრობას. ტუჩები მოკუმული აქვთ, ხელები — დაშვებული. თითქოს ბაზალეთის ტბის ნისლი სამუდამოდ გადაეფარა მათს თვალებს: იქ ჩამოინგრა კიბე, რომელსაც ქართლი ბედნიერებამდე უნდა მიეყვანა. ისინი მზად იყვნენ კვლავ შედგომოდნენ ასეთი კიბის აგებას. ყველაფერი შეიძლება პატიებულ იქნეს, მაგრამ დაუთბეგის დაღუპვა არ შეიძლება არც პატიებულ და არც დავიწყებულ იქნეს!

დედობრივი სინაზით უცქეროდა რუსუდანი „ძვირფას შვილებს". სურდა მიალერსებოდა გაჭაღარავებულ დიმიტრის, სურდა ეთქვა საალერსო სიტყვა, მაგრამ იგრძნო უძრავად თითქოს ტახტზე მიკრულიაო, ცდილობდა არ დაერღვია ურთიერთობის დაწესებული ფორმა და არ გაემეღავნებინა შინაგანი წუხილი. მშვიდად მარცვლავდა ყვითელი ქარვის კრიალოსანს და ცდილობდა დაეცხრო გამალებული გულისცემა, და ფიქრით შორს იყო უსაქმურ, ცნობისმოყვარე კნეინებისაგან. „რა აბეზარი არიან კარისკაცები! განა მათთვის სულერთი არ არის, თუ რატომ არის დათო ასე ახალგაზრდა, როსტომი — მკაცრი, ელიზბარი — მაღალი, ხოლო დიმიტრი — ყველაზე უფროსი? რა იციან ამ უდარდელმა, განაზებულმა ქალებმა ნამდვილი სიყვარულისა, ნამდვილი მწუხარებისა? საბრალო დიმიტრი, კვლავ როგორ უნდა იცხოვროს?.. ხოლო გიორგი? რა ზვავი შეიძლება დაუპირისპიროთ მისი იმედის დაღუპვას? ჩამოინგრა ყინულის მთა და თავისი სიმძიმის ქვეშ დამარხა აყვავებული ტყე, მზის სიუხვით რომ იყო გაბრწყინებული. და გიორგი დგას უფსკრულის პირას, რომლის ფსკერზე ყინულის ნანგრევებში დაიმარხა მისი რწმენა საკუთარი

თავისადმი. რა საშიშია სიმართლე: თავადები ჩაგრავენ ხალხს, — მაგრამ ხალხი თავადებს გაჰყვა. მოურავმა გული, და არა მარტო იგი, მისცა ხალხს, — და ყველაზე მძიმე ჟამს ხალხმა მიატოვა იგი... არა, არ ვეთანხმები გიორგის, რომ თითქოს თვითონ იყოს დამნაშავე! თუ გიყვარს, ბრმად სწირავ ყველა მსხვერპლს!"

იმერეთის მეფის სასახლის კოშკებს იქით მოჩანდა მთაგრეხილები, აქაფებული [illegible] აბოლებული ხევები. იქ იყო დაქუცმაცებული საქართველო, რომელიც ექვემდებარებოდა მეომარი მუსლიმური სამყაროს ნებას და რომელსაც სწეწავდა წარჩინებულ და არაწარჩინებულ მემამულეთა ურთიერთბრძოლა. დაქუცმაცებული გზები ჩიხებად იქცა; დაცარიელდა ქალაქები, რომლებიც ქვების გროვად იქცა, ნაღვლიანად ჭრიალებდა ძველისძველი კაკი და აბრუნებდა თეთრ ძვლებსა და იარაღის ნამსხვრევებს. იქ გმინავდა იმედდამოკლებული ხალხი, რომელსაც ტყავს აძრობდა თავადის შოლტი. იგი მდიდარი იყო მხოლოდ ერთი რამით — სიძულვილით გარეშე მჩაგვრელებისადმი. და გიორგი სააკაძის სიძულვილი ამ მჩაგვრელებისადმი შეესაბამებოდა ხალხის სიძულვილს. ი რატომ ასე გრგვინავდა სურამის ბრძოლა და მარტყოფის ბრძოლა. შემდეგ კი პირი დაეღო უკუნეთს, რომელსაც აშუქებდა მხოლოდ ერთი სანათი — გვირგვინი. მეფე — „ღვთის სწორი". სააკაძის მახვილი, რომელმაც ხელყო უმაღლესი სიმბოლო, მკრეხელობად ჩანდა. ბაზალეთის ბრძოლამ, ნისლში რომ დაინთქა, ხალხის შემაძრწუნებელი ტრაგედია გადაგვიშალა, ხალხისა, თავადთა მახვილით რომ განგმირა საკუთარი გული. გიორგი სააკაძის მოწოდებანი და მისი იდეები, რომლებმაც წუთით იფეთქეს, როგორც ციცინათელებმა ფოსფორული შუქით, ჩაქრნენ საუკუნის ლაბირინტში, რომელსაც ესოდენ გამჭრიახად დაასწრეს.

გიორგის მარტოობამ, მისმა შეძრწუნებამ, მისმა ტკივილმა რუსუდანის გულიდან განდევნეს მთელი დანარჩენი უბედურება. დიდი ხანია გულგაგრილებულს მემამულეთა საზოგადოებისადმი, რომელმაც ძმის, ზურაბ ერისთავის, საქციელით დაანახა ფეოდალური წყობილების მთელი სისაძაგლე, ახლა

გული უგრილდებოდა აგრეთვე ხალხისადმი, რომელსაც არ შეეძლო შეეგნო, რომ მხოლოდ მისი ძნელი გზაა მომავლის საწინდარი.

სიყვარულით აღსავსე ხორეშანის თვალი შეხვდა რუსუდანის თვალს, მათ გაუგეს ერთმანეთს და გაუღიმეს. — თითქოს ორი სხივი შემოიჭრა უიმედობის წყვდიადში და ძათი დაღვრემილი სახეები გააშუქაო.

პალატში კვლავ დაიწყო მხიარულება, მაგრამ მეფის სამყოფლოს კარების ახლოს დიდებული სიწყნარე არ დარღვეულა.

არქიელები და მრჩევლები ელოდნენ მეფის გამოსვლას ფიქრის ორფანჯრიანი პალატიდან, იქ წყნარი საუბარი იყო.

— ... არა, ჩემო მეფევ, არ დავმორჩილებულვარ. ქართლში ვერ იმეფოს თეიმურაზმა! ვერ იმეფოს ვერც ზურაბ ერისთავმა! მე ვაიძულებ მათ, ისე როგორც ყველა ფიცის დამრღვევ თავადს, მოიგონონ გიორგი სააკაძის მძიმე ნაბიჯები!

ასე უპასუხა დიდმა მოურავმა იმერეთის მეფეს, რომელმაც წინადადება მისცა დასახლებულიყო ქუთაისში... რომელიც ბევრ რამეს ჰპირდებოდა...

დათომ და გივიმ პატივისცემის ვალი გადაუხადეს იმერეთის მეფეს და მეორე დღეს სტამბოლს გაემგზავრნენ. ყოველი მთა, რომელიც უკან, ნაპირის ღიალურჯ კვამლში ქრებოდა, მათი გამოსათხოვარი სალამის ალერსიან სიტყვებს იწვევდა.

მცირე მეჯლისმა სიხარული ვერ მიანიჭა მეფის ასულ ივარამზეს, თუმცა შეიმოსა, როგორც გაზაფხულის საგანძური, ბისფერი კაბით, თავზე დაიდო ალმასის თანავარსკვლავედი, მარმაშის ქვეშ რომ ბრწყინავდა. მწუხარებით გამსჭვალული ავთანდილი არ უპასუხებდა მის ნათელ ცქერას, აღსავსე რომ იყო ფარული ცეცხლით, არ ცეკვავდა მასთან ქარიულს, ახალგაზრდა თავადებს არ ეჩურჩულებოდა, როგორც

სხვები, მის სილამაზეზე და, თითქოს ჭაბუკობის ცეცხლი ჩაუქრაო, არ გამოუთქვამს სურვილი მის პატივსაცემად შებმოდა იმერელ რაინდებს სადღესასწაულო ორთაბრძოლაში. შეჯიბრება და ლხინი არ ეკარებოდა დაუთბეგის დაკარგვით მის გაწამებულ სულს.

ვერ გაეგო ხვარამზეს: როგორ შეიძლება ასე დამწუხრება ერთი მარცხის გამო! განა იმერეთი ყოველთვის იგებდა ბრძოლას? მაგრამ მეფე მოწყალედ არ აუქმებდა ხოლმე სასახლის გართობას. ხვარამზე იტანჯებოდა. მის გულში ჩაღდებოდა სიყვარულის გრძნობისა და სიძულვილის ორთაბრძოლა. ჩხარუნებდა თავმოყვარეობის ხმლები, ზუზუნებდა გატაცების ისრები — და ვნებამ გაიმარჯვა.

ავთანდილი გულგრილი იყო, ღამ-ღამობით არ ეწვეოდნენ სიყვარულის ჩვენებანი, რადგან განუწყვეტლივ იხეოდა ბაზალეთის ნისლი მისი საწოლის გარშემო, ედებოდა ხავერდის საბანს, ხოლო მოჩვენებითი ხმლები თავს ატყდებოდნენ მოკლულ დაუთბეგს და, როგორც საშინელი აჩრდილი, ბაზალეთის ტბის ნაპირის გაყოლებით მიჰქროდა უმხედროდ გამაყრუებლად აჭიხვინებული ჯამბაზი...

მაგრამ სიყვარული ეგოისტურია. ხვარამზე მზად იყო ავთანდილისათვის შეეყარა ოქროს ბორკილი და რგოლით მიეჭედა თავისი საწოლი ოთახის ზღურბლზე. მისი დაუმორჩილებელი თმის შეხება, სიყვარულის კვალის დატოვება მკვეთრად შემოხაზულ ტუჩებზე გახდა მეფის ასულის უდიდესი სურვილი. მცხუნვარე გამოხედვა ქალწულებრივად დახრილ წამწამებში არ გამოპარვია ავთანდილს და მხურვალე სურვილი აღუძრა მალე დაეტოვებინა იმერეთი! ყოველ დილით მასთან ხონჩით შეჰქონდათ ტკბილეული. ავთანდილი ხვდებოდა: ხვარამზესაგან, — და შეძულდა თაფლიანი ნიგოზი და ტკბილისკვერი.

იისფერკაბიანმა მეფის ასულმა რომ დამარცხება განიცადა და რომ შეიტყო ავთანდილის გაბნეულობა, რომელმაც მის პატივსაცემად ტურნირში არ გამოიწვია იმერელი რაინდები, მეფის ასულმა მორცხვად დახარა თვალები და ბრძანა: ფარი, და შუბი მომართვითო.

ასპარეზზე ფრიალებდნენ იმერეთისა და ქართლის ალმები, უკრავდა სამეფოს ვერცხლის ბუკი და განუწყვეტლივ გუგუნებდნენ დოლები. მას შემდეგ, რაც ზეიმით გაიარეს თავადებმა და თვალსაჩინო აზნაურებმა მდიდრულად აღკაზმული ცხენებით, ცერემონიის უფროსმა გამოაცხადა ორი ლამაზმანის: ამეთვისტოების ქალწულისა და ლალების ქალწულის ორთაბრძოლა.

მწვანე წრეში ჩორთით შემოვიდა ორი მხედარი ქალი: ხვარამზე — იმერეთის მეფის ასული, და თავადის ასული წერეთელი — ყოველად ძლიერი ფეოდალის ერთადერთი ქალიშვილი.

ავთანდილმა მტკივნეულად ჩაიკვნიტა ტუჩი: მეფის ასული თავიანებურად უხდის მას გულგრილობისათვის, — მისი მხედრული გაცხარება შეეძლო ეკარნახებინა მხოლოდ შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. ო, რატომ არ იწვევს ავთანდილის გულში ზეიმს მეფის ქალიშვილზე გამარჯვება, ხოლო მისი გულის ძგერა რიყეზე ცხენის ფლოქვების ცემას უფრო ჰგავს, ვიდრე სიყვარულის თრთოლვას? როგორც რაინდი, ივი მზად იყო მეფის ასული მამაცობისათვის დაეჯილდოებინა ოქროს თასით, რომელსაც ექნებოდა წარწერა: „თუ ღმერთი გწამს, შეგვიბრალე, წყენისათვის ნუ მოგვკითხავ!“ ან წითელი ვარდების გვირგვინით, ანდა დამასკოს ხშლით, რომელსაც აქვს წარწერა: „უკუქცეულ იქნეს არასასურველი!“, და კიდევ ბევრი რამით... მხოლოდ არა კოცნით!

ასპარეზი გუგუნებდა.

მხედრები ერთმანეთს მიუახლოვდნენ ორი შუბის მანძილზე და ქედმაღლურად შეათვალიერეს ერთმანეთი. ავთანდილს ეჭვი არ ებადებოდა, რომ წერეთლის ასულს იგი არა ნაკლებ მოეწონა, ვიდრე ხვარამზეს. როცა მცირე მეჯლისზე მეფის ასულმა ხვარამზემ დაიჭირა ავთანდილისადმი მიმართული მწველი ცქერა, იქვე გადაწყვიტა შებმოდა მოქიშპეს, მაგრამ გარეგნულად მხოლოდ ოდნავ აუთრთოლდა ბაგენი.

წერეთლის ასულმა საგვარეულო ციხე-დარბაზში შეითვისა ამორძალთა სამხედრო ხელოვნება, მეფის მაგალითს მიჰბაძა და მძიმე საჭურვლით აღიკაზმა, — ასე უფრო ძნელია უნაგი-

რიდან მისი ჩამოგდება. მარჯვენა ხელში ეჭირა მძიმე შუბი, მარცხენაში—ამობურცული ფარი, რომელიც ფარავდა ხმალს, ტარზე რომ ჩიტის მოოქროვილი თავი ეხატა. გამზადებული მშვილდისარი მოჩანდა მარცხენა მხარზე, ხოლო სპილენძის მუზარადქვეშ ჩამოშლილიყო ორი მსხვილი ნაწნავი, ცხენის კუდამდე რომ ეშვებოდა.

ხვარამზეს სურდა გაეხსენებინა თავადის ასულისათვისაც და ავთანდილისთვისაც, რომ მისი პეპერას პაპას, მეფე ბაგრატ IV ცოლად ჰყავდა საბერძნეთის იმპერატორის რომანოზ აოგირის ქალიშვილი ელენე, ამიტომ ასპარეზზე გამოვიდა მსუბუქი ტუნიკით, რომელზეც ამოქარგული იყო ათენური არშიები, ლითონის ჯიღის გვირგვინქვეშ ჩამოშვებული იყო ფეთრი ლეჩაქი, შნოიანად აღმართული ბრტყელი ფარი ავსებდა აღკაზმულობას.

თავადის ასულს ყელს ება ლალები, რომლებიც ადამიანს ბრძენს ხდიან, მეფის ასულის ყელს ამშვენებდნენ ამეთვისტოები, თილისმა ძალის ქვები: ისინი აქრობენ გავარვარებულ ნაკვერჩხლებს, როგორც წყლის ნაკადი.

დღესასწაულის უფროსის ნიშანზე მხედრებმა სამჯერ შეიქნიეს შუბები და შუაწრისაკენ გაემართნენ.

ავთანდილს უნებურად ეწვია აღტაცება: მეფის ასულმა ყალყზე შეაყენა ცხენი და მარჯვედ ჰკრა შუბი სპილენძის მუზარადს და გააბრუა მოწინააღმდეგე. თავის მხრივ თავადის ასულმა ფარი აღმართა, რომ დაერტყა, მაგრამ ხვარამზემ ფარი მყის მოიგერია ფარით. გადაჯვარადინებული შუბების დარტყმის გრიალმა ტაში გამოიწვია.

ცხენები ყალყზე დგებოდნენ, ჭიხვინებდნენ, იკბინებოდნენ, თითქოს ორთაბრძოლის შედეგი მათაც ეხებაო. ბრჭყვიალებდნენ ლალები და ამეთვისტოები.

ორთაბრძოლა აღტაცებულ შეძახილებს იწვევდა. ყველა გატაცებული იყო მომხიბლავი სანახაობით. ერთ-ერთ მხედარს შუბი გადაუტყდა, მეორეს მანიაკი შეაწყდა და ბალახში სისხლის წვეთებივით აციალდნენ ლალები. ხვარამზე სძლევდა მოქიშპეს — თავხედობა სჯობნიდა წინდახედულებას. ამფითეატრის რიგებში ძლიერდებოდა სასიხარულო გუგუნი.

ავთანდილს კი სულ უფრო აწუხებდა მოწყენილობა, ძლივს ებრძოდა მთქნარებას, მაგრამ რაკი ეშინოდა უზრდელის სახელი არ გამივარდესო, საჭიროდ მიიჩნია წინ წამოწეულიყო იმ წუთს, როცა მეფის ასულმა დაამთავრა საპატიო წრის ჩორთით შემოვლა და მის ახლოს გაიქროლა. მეფის ასულს ლოყები გაუფითრდა და მთრთოლავი დარცხვენით აღსავსემ ძ'ძვენიერი თავი დახარა აძგერებულ მკერდზე.

სააკაძის ვაჟს კი ამ წუთს მოეჩვენა სხვა, უცნობი ქალიშვილი. იგი ნარნარით ჩამოდიოდა წყაროზე და ძბარზე ედგა ყელწვრილი დოქი. და მისი ნაზი სიმღერა ერთვოდა ნაკადულის მიწყნარებულ ჩხრიალს....

დღეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ზომავდნენ უცნაურ, თითქმის მოჩვენებით დროს.

ხვარამზე, რომელმაც პირველად შეიცნო, რომ სიყვარული შეიძლება ტანჯვის წყარო გახდეს, სულ უფრო ხშირად აპყრობდა ვედრების თვალს რუსუდანს.

და აი მთვლემარე ბაღში, აქაფებული რიონის ნაპირზე რომ ეშვებოდა, რუსუდანი გულითადად ესაუბრებოდა ვაჟს. მეტად ძნელი საქმეა... როგორ უნდა შეეხო სხვის სულს? მაგრამ მეფის ასული ისე ეევედრებოდა...

— ჩემო ბიჭო... ხომ იცი, არა მჩვევია გთხოვო გულახდილი აღიარება... მაგრამ...

— ვიცი, დედათა შორის ჩემო საუკეთესო დედავ, რაზედაც არის საუბარი.

— მაშინ...

— განა მეფის ასული ჩემს ქულაჯაზე ვერ ამჩნევს ყვითელ ვარდს?

— არის ხოლმე, რომ გულს ლაგამს ვერ ამოსდებ.

გაჩუმდნენ. ჩრდილი დაეფინა ავთანდილის თვალებს და მისი ცქერა სადღაც შორს სივრცეს ელტვოდა. „არა, ავთანდილთან როდი უწერია მეფის ასულს, — მიხვდა რუსუდანი, — შეხვდეს სასიხარულო დილას. ნოტიო ტყეში ჩირაღდანივით აფეთქდება და ჩაქრება ისე, რომ აალებას ვერ მოასწრებს".

— რა ვუთხრა მეფის ასულს?

— უთხარი, ოქროს დედავ: „თუ მეფე და ჩემი გულისათვის სასიამოვნო მემკვიდრე ალექსანდრე არ გადაიფიქრებენ...“

— ამაზე ლაპარაკი არა ღირს, ისინი არ გადაიფიქრებენ.

— მაშინ უთხარ: „როცა დიდი მოურავი ძლევამოსილი დაბრუნდება ქართლში და ჩვენს სახლზე კვლავ აფრიალდება დროშა „ვეფხვი, რომელიც შუბს იქნევს“, მე, თუ მამაჩემმა მოისურვა, მუხლს მოვიყრი მეფის ასულის წინაშე და დაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გავატარებ“.

— ვაი რომ, ჩემო ბიჭო, თუ გული დუმს, ბაგენი სისასტიკეს იძენენ.

რუსუდანი ადგა. სალაპარაკო მეტი აღარა იყო რა. დამნაშავესავით მიჰყვებოდა მას ავთანდილი და სრულიად უადგილოდ მოაგონდა ბაყაყი, ფანჯრის რაფაზე რომ შემოხტა. დიახ, ეს იყო იქ, ბენარში... რა ბედნიერი დრო იყო! და, თითქოს მიზეზი მოუძებნა თავის შეშფოთებასო, აკანკალებული ხმით წაიჩურჩულა:

— მიმძიმს უდაუთბეგოდ.

რუსუდანმა ნაზად მოხვია ხელი შვილს და ეამბორა მის კულულებს, და ლაპარაკი დაიწყეს ყველაზე უფრო საყვარელ რამეზე...

გიორგი თითქმის გულგრილი იყო იმისადმი, რაც ხდებოდა. დილაობით ძლივს იღებდა ბალიშიდან დამძიმებულ თავს და თითქოს უხალისოდ ქრებოდნენ ღამის შავბნელი ჩვენებანი და ოთახში ტოვებდნენ მხოლოდ გამოელილი ბრძოლების შეგრძნებას: იარაღის ჩხარუნს, ცხენების ჭიხვინსა და ბუკის ძახილს. უხედველი თვალებით აკვირდებოდა იგი იმერეთის ციხე-დარბაზის ნახევრად მრგვალ ფანჯარას და ფარდების შრიალი მიაჩნდა დროშების შრიალად. შემდეგ რუსუდანის მზრუნველი ხმა მოაგონებდა ჩვეულებრივ მღელვარე დღეს,— მისი ხელიდან იღებდა ტკბილი ბროწეულის წვენის ნახარშიან თასს ან საფეთქლებზე იდებდა ლაკონოსის წითელ მარცვლებს. მაგრამ გაშეშება არ შორდებოდა. სურდა წასულიყო შორეულ მინდორში, სახე ჩაეფლა ხშირ ბალახში და არ გაეგონა არც მტაცებელ ფრინველთა ყივილი, არც ფუტკრების

ბზუილი, არც ადამიანის ხმა, აბეზარი და თავმომაბეზრებელი.

გულგრილი მოძრაობით იცვამდა შავ ჩოხას, რომელზეც ავბედითად ბრწყინავდა შავი ვარსკვლავი და მხოლოდ ჩექვის ძალით იძვროდა ბეჭებში ფართოდ გაშლილი, ისწორებდა ჯალარა ულვაშის რგოლებს და თავაზიანად უპასუხებდა მისალმებაზე.

კარისკაცებს კი ეჩვენებოდათ: მათს წინაშეა გოლიათი, ლეგენდის განსახიერება, რომელიც ოცდახუთი წლის მანძილზე აშფოთებდა გონებასა და გულს.

და გულისამრევი ლიქნის ნაკადი მოურიდებლად ესხმოდა თავს სააკაძეს. იგი მიეჩვია ქართველი მლიქვნელი თავადების ორპირობას, მაგრამ იმერელ თავადობას სამართლიანად შეეძლო მიეღო პირველობის ჯილდო სიცრუისა და ლიქნის ოსტატობისათვის.

ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, თუ რატომ დაიდგა თავს მეფე გიორგი მესამემ დაკბილული გვირგვინი, რომელიც მოოქვილი იყო მარგალიტით, და შეიმოსა ოქრომკედის ბაფთებიანი მუარის კაბა, მოაწყო თავადთა საზეიმო თათბირი სამღვდელოებასთან ერთად. მეფის ხელმარჯვნივ იჯდა კათალიკოსი მალაქია, შემდეგ ქუთათელი — ქუთაისის მიტროპოლიტი, გენათელი — გელათის მიტროპოლიტი, ხონის, ჯრუჭის, ნიკორწმინდის არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და წინამძღვრები. ხელმარცხნივ იჯდა ზემო იმერეთისა და ქვემო იმერეთის ოცი თავადი.

მაგრამ არა, თავის სიტყვას არ ღალატობს გიორგი სააკაძე, მას ვერ ხიბლავს ვერავითარი დაპირება. და შემდეგ... მეტად ვიწროა იმერეთი დაღლილი „ვეფხვისათვისაც“ კი.

იმერლები კი ყველანი არწმუნებდნენ, უხსენებდნენ საუკეთესო გრძნობებს, უწინასწარმეტყველებდნენ ღვთის სამსჯავროს, იმოწმებდნენ ამქვეყნიურ კანონებს.

— ბრძენო მოურავო, შენ, როგორც კარგი ჯადოსანი, მზის სხივებისაგან იღებ ოქროს და მთვარის შუქისაგან — ვერცხლს. და განა იმერეთის ჯარი შენთვის იგივე ვერცხლი არ არის? განა მასთან ერთად არ იპოვნი იმ ოქროს, რაც აშას წინათ დაკარგე?

— შენ ხარ გონებრივი წყარო და გაგვანათლე საკვირველი საქმეებით, განა შენ არ შეგიძლია ქედი მოახრევინო მრავალ მტერს შენს წინაშე?

— ერთია ღმერთი, დაუსაბამო და უსასრულო, მიუწვდომელი და საშინელი, ზეცაში რომ არსებობს, — მბრძანებელი ცისა და მიწისა! იგი დასცქერის თავის მხედრობას! შვილო ჩემო, რად ეძებ ურწმუნოთა შორის იმას, რასაც გთავაზობენ ქრისტეს მიერი ძმები?

— წმიდაო მამაო, — საკაძე, როგორც ყოველთვის, დაიხარა კათალიკოსის წინაშე, — ვერ დავეუფლე ფიქრებს, რომლებიც მაღელვებენ. არამარტო წმიდა შურისგება მაძალებს ვდიო ქარიშხალს! არა, ვერ გავბედავ იმერელი ხალხი გამოვიყენო ბრძოლისათვის, როგორც სწორად ბრძანე, უწმინდურთა წინააღმდეგ.

— განა ლევან დადიანი, რომელმაც მოისურვა იმერეთის დაპყრობა და მისი ძაღლურად მართვა, ნაკლებ ღირსია შენი მახვილის დარტყმისა? — საყვედურით უთხრა მეფემ და აღმართა ოქროთი მოქედილი კვერთხი ისე, რომ დასანახავი გახდა ქვაზე ამოკვეთილი ხატი.

— მეფეთ მეფემ ჰეშმარიტება ბრძანა! მანუგეშე. მიიღე ჩემი თავი და ჩემი ჯარი შენს მფარველობაში! — წამოიძახა ჭოჭუამ. — გავილაშქროთ ლევანის წინააღმდეგ, რომელიც დაუბრმავებია ბოროტებასა და ანგარებას!

— შემიერთე მეც შენს ჯარს! — წარმოთქვა მოხუცმა თავადმა, რომელიც კოხტაობდა კეთილშობილური ტანადობით და ალმაცერად აკვირდებოდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა საკაძეზე ჩემმა სულგრძელობამ.

და თავადები ზედიზედ სთავაზობდნენ თავიანთ ჯარებს, ცხენებს, მარაგს, მაგრამ ამასთან მგზნებარედ სურდათ მხოლოდ ერთი რამ: საკაძის მახვილს გაეგმირა სამეგრელოს მთავარი ლევანი და სამუდამოდ ეხსნა თავისი მამული საფრთხისაგან.

წუთით საკაძეს მოეჩვენა, რომ იგი მეტეხშია და ქართველი თავადები, რომლებიც ახალ საფრთხეს შეუშინებია, აჩხარუნებენ იარაღს და ოცნებობენ მოურავის ხმალზე: აი

თავადი ჩიჯავაძე რით არ არის ქველი წერეთელი? აი პატიეცემული ბაადური განა არა ჰგავს ორპირ ჯავახიშვილს? ჭოჭუა? ო, ეს ჰგავს ათ თავადს, რომლებიც აღნიშნული არიან ერთი ფარისეველობით! და სხვებსაც შეუძლია მისცეს მეორე გვარი.

სააკაძემ ღიმილი ჩაახშო. „არა, მემამულეებო! მოურავი შექმნილი არ არის ციხე-დარბაზების დასაცავად, არც თქვენი ბურჯების განსამტკიცებლად! განა მე არ ვიყავ, რომ თქვენგან ჯარების მისაღებად მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, თავს გიქონავდით? განა მე არ ვამდიდრებდი თქვენს გლეხებს სამხედრო ცოდნით? არ განვადიდე თქვენი საგვარეულო დროშები ბრძოლაში? არ ვაქებ-ვადიდებდი თქვენს კნეინებს? როგორც ჩანს, მართალია ანდაზა: „მგელი რაც უნდა კვებო, მაინც ტყისაკენ იცქირება!“

„სააკაძე ყოყმანობს“! — ასე დამახინჯებულად განმარტეს მისი დუმილი სამღვდელოებამ და ზემო და ქვემო იმერეთის თავადებმა და გააძლიერეს შეტევა.

— კეთილად მოვიხსენიებთ, მოურავო, შენს მიუწვდომელ კეთილმსახურებას!—წარმოთქვა მიტროპოლიტმა ზაქარიამ და მარჯვენა ხელი აღმართა, თითქოს მოწმედ ცას მოუწოდებსო.

— განა ვერ შეამჩნიე, მოურავო, შენი გამჭრიახი თვალით, — მელისავით მოიღუნა წელში ერთ-ერთი თავადი, რომელიც მარცხნივ იჯდა, — როგორ ამოიძუა კუდი ლევან დადიანმა და გაიქცა მხოლოდ შენი მოახლოების გამო?

— სამეგრელოში დიდი შეშფოთება მოხდა! — დასძინა ჭოჭუამ. — თავის მგლურ სასახლეში რომ მიირბინა, ცბიერმა მთავარმა წამოიძახა: „ჰეი, მეგრელებო! ემზადეთ: იმერეთის მეფე დიდ მოურავთან ერთად მალე დაგეპატიჟებს სასიხარულო ლხინზე“.

უყურადღებოდ უსმენდა სააკაძე და გულში შეშურდა მწყემსებისა და მონადირეებისა, რომლებიც ამჟამად მაღალი მთის მდელოებსა და ულრან ტყეებში დაეხეტებიან. იქ ქარი გრიალებს კლდეთა შორის და ნაპრალებზე გადის ბილიკი, და მიზანიც ნათელია, ვით ჰაერი. და ამაზე ოცნებამ გააორკეცა დახუთული ჰაერი, რომელიც პალატში არსებობდა, და მკვეთ-

რად შეარყია ავთანდილის დაქორწინების შესაძლებლობა, რასაც თავადები ვარაუდობდნენ. მან ნერვიულად წაივლო ხელი საყელოზე და მკვახედ ჰკითხა:

— რატომ არა გსურთ, ბატონებო, დაასწროთ ლევანს, გაეშუროთ მასთან „ლხინზე“ ამოწვდილი ხმლებით?

თავადები შეცბნენ, შეშფოთებით გადაჰხედეს ეპისკოპოსს, რომელმაც მკვახედ მიუგო:

— უფალმა ღმერთმა, ერთმა, ყველგან მყოფმა, ყოვლის დამცველმა და კეთილის მქნელმა შენ დაგლოცა. უნდა მოგეხსენებოდეს, რომ ჩვენს მეფეს, ზეცის შთაგონებით, სურს ჩაგაბაროს თავისი მახვილი. გიცავდეს წმიდა სამება საფარველითა თვისითა!

— განა შენ, მმართველთა შორის მმართველო, გამსჭვალული არა ხარ აღშფოთების წმიდა ცეცხლით? — და ჭოჭუამ მიტროპოლიტის მიბაძვით აგრეთვე აღმართა მარჯვენა ხელი, რის გამოც აბრჭყვიალდნენ ლურჯი და ოქროსფერი ქვები.— შენ მიგვაჩნიხარ ზეცის წარმოგზავნილად!

სააკაძემ ყურში არ შეუშვა მაღალფარდოვანი ქება, გიორგი მესამეს მიმართა და მშრალად უთხრა:

— უღროოდ მიმაჩნია, მეფეთ მეფევ, ახლა სამეგრელოზე თავდასხმა.

ეკლესიის მამები და იმერელი მემამულეები თითქოს ყინულოვან კასკადში მოექცნენ! ვნებანი დაცხრნენ და პალატში დუმილი გაჰეფდა.

„ვხედავ, თავადებო, — ფიქრობდა და გულში იცინოდა სააკაძე, — ვეღარ ითმენთ, რომ ჩემი მარჯვენით მიითვისოთ სამეგრელოს მიწები, ნაგლეჯ-ნაგლეჯ მიიტაცოთ ისინი, ხოლო მეგრელ ხალხს, ისე როგორც იმერელ ხალხს, მონობის ორმაგი ბორკილი შეუყაროთ!.. ბედკრულო მშრომელო, შენ ისედაც ძლივს იფარავ სიშიშვლეს და მაძღარი ყოველდღე როდი ხარ. არა, არავის არც ახლა და არც მომავალში გიორგი სააკაძე ხელს არ შეუწყობს ხალხის დამონებაში!“

კათალიკოსმა მალაქიამ ჯერ თავის ხავერდის შავ სანდლებზე დაიხედა, რომლებიც მოქარგული იყო ოქრომკედითა და მოოქვილი ძვირფასი თვლებით, შემდეგ მწარედ წარმოთქვა:

— ღმერთს ბოლომდე როდი მოუთხოვია ჩვენი ცოდვებისათვის, თუკი შენ, მამაცო შვილო, უარს ამბობ ხმლით დაგვეხმარო.

— უარს კი არ ვამბობ, წმიდა მამაო, არამედ გირჩევთ მოიცადოთ, — სააკაძის ხმა ისე ყრუდ ჟღერდა, რომ თვითონაც ვერ ცნობდა მას. — დიდხანს ვერ იქნება მშვიდად ლევანი — მორიელის ხასიათი აქვს, შეიძლება ახლობლებსაც კი უკბინოს. შენ კი, წმიდა მამაო, იცი: ვინც ხმალს აღმართავს, ხმლითვე წაწყმდება.

— ვაი ჩვენ, უსაზღვროდ ცოდვილთ! — უკმაყოფილოდ წაიდუდუნა არქიეპისკოპოსმა დავითმა და თრთოლვით შეეხო სამკერდე ჯვარს.

სააკაძეს ყელი გაუშრა, თავი დახარა, რომ არ დაენახა თავისი სიძულვილი. მზად იყო დაუყოვნებლივ ესწავლებინა ჭკუა ფარისევლებისათვის.

მაგრამ წამოდგა მეფე და დამსწრეთ მოაგონა, რომ მოურავი სტუმარია, და ძვირფასი სტუმარი! არ უნდა დავქანცოთ გრძელი საუბრით. საქმეთა განსახილველად ჯერ კიდევ ბევრი დრო დარჩა. გიორგი მესამემ კვერთხი მხარზე მიიყრდნო და დიდებულად დატოვა პალატი.

ქაიხოსრო მუხრანბატონმა, რომელიც ამდენ ხანს დუმდა, თავის გვერდით მჯდომ ალექსანდრეს წასჩურჩულა:

— დაღლილი და დამწუხრებულია მოურავი. მეფეთ მეფე მართალია, არ უნდა დავიჟინოთ.

— ჩემო ძვირფასო და საყვარელო მეგობარო ქაიხოსრო, საჭიროა სტამბოლს არ გავუშვათ მოურავი. მე უკეთ ვიცნობ თურქ ფაშებს, — აი ნახავ, მართალი აღმოჩნდები.

და კვლავ გადიოდა... არა, კი არ გადიოდა, არამედ მიზოზინებდა დაღვრემილი დღეები... აბეზარი დღეები... თავადები გარს ეხვევნენ მოურავს, აწყობდნენ უადგილო დღესასწაულებს, აქებდნენ მოურავს ეკლესიის მსახურნი, უხვი რეკვით მოაგონებდნენ ეკლესიები თავიანთ მოთხოვნას. გიორგი სააკაძეს კი სულ ისე ეჩვენებოდა, რომ ცაში გაფერმკრთალდა

მზე, ხოლო მთებიდან კვლავ უწესრიგოდ ეშვებიან მხედრები, რომლებიც ნაბდების ნაცვლად ნისლს ისხამენ.

ხედავდა სააკაძე, თუ რა ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით ცდილობდა ალექსანდრე მოურავის ყოფნა ქუთაისში გაეხადა სასიამოვნო, — და ძლიერდებოდა გულთბილი გრძნობა შემკვიდრისადმი. ხედავდა, თუ რა ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ იცავდა მას ქაიხოსრო მუხრანბატონი მეტად მომაბეზრებელი ადამიანებისაგან, და სულ უფრო ფართოვდებოდა მისი სიყვარული სწორუპოვარი ქაიხოსროსადმი. ხედავდა, თუ როგორ უმძიმდათ „ვეფხვებს" შერიგებოდნენ დაუთბეგის დაკარგვას, ჩოხებზე არ იშორებდნენ ყვითელ ვარდებს და გულცივად ერიდებოდნენ ქუთაისელთა თავაზიანობას, მთელი დღეობით ისხდნენ რიონის ნაპირზე და მდუმარენი ადევნებდნენ თვალს მის მდინარებას, თითქოს იქ ეძებდნენ საშიხელი გამოცანის ამოხსნას: სად წავიდა დაუთბეგიო? და სიბრალული, დიდი, არაადამიანური სიბრალული მეგობრებისადმი, არა, მეგობრებისადმი კი არა, შვილებისადმი ავსებდა სააკაძის უკვე ტანჯვით აღსავსე სულს.

ყველაფერს ხედავდა მოურავი — რუსუდანის არაჩვეულებრივად მკაცრად მოკუმულ ტუჩებსაც, არაჩვეულებრივ ჩრდილს ხორეშანის მუდამ მოცინარე თვალებში და დარეჯანის არაჩვეულებრივად აკანკალებულ ხელებსაც. ყველაფერს ხედავდა და ფიქრობდა: „კარგია, რომ მოვახერხე ბაზალეთის ბრძოლის წინ პაპუნა გამეგზავნა ნოსტეში, „ვეფხვების" ნათესავებთან თითქოს სალამისა და იმისათვის, რომ შემემოწმებინა გლეხთა განწყობილება, ნამდვილად კი იმისათვის, რომ მეხსნა შესაძლო საფრთხისაგან, — ქალები უმწეონი არ უნდა დარჩნენ. პაპუნა ყოველ დროს, მზიან თუ ნისლიან დღეებში, ვალდებულია იყოს უვნებელი, იგი ოჯახისათვის არის გაჩენილი..."

მაგრამ დაინიშნა გელათს გამგზავრების დღე, სადაც სრულიად საქართველოს მეფეთ მეფემ დავით აღმაშენებელმა შექმნა არა მარტო ათასწლიანი ტაძარი გელათის ღვთისმშობ-

ლის სახელზე, არამედ მეცნიერების ტაძარიც, რომელსაც ბერძნულად ეწოდება აკადემია.

დიდი ხანია ისწრაფვოდა გელათს მოურავი, მაგრამ მეფე ყოველი ღონისძიებით აკავებდა და ცდილობდა გამოეყენებინა გიორგი სააკაძის გამოცდილება თავისი ქვეყნის გამაგრებაში. მოურავი მეფესთან და ჯარის უფროსებთან ერთად ყოველდღე ჩამოუვლიდა ხოლმე იმერეთის ციხეებსა და საგუშაგოებს და ჯარის უფროსები ხარბად ისმენდნენ მის რჩევას, თუმცა შემდეგ ირწმუნებოდნენ, რომ უიმისოდაც ყოველივე ეს კარგად იყო მათთვის ცნობილი და თვითონ ემზადებოდნენ მოძველებული სიმაგრეების გადასაკეთებლად.

გელათში მგზავრობა საამო ჩვეულება იყო მეფის ოჯახისათვის, დღეს კი განსაკუთრებით დიდებული პროცესია მთელ აღაჯზე გაგრძელდა, სააკაძე მემკვიდრე ალექსანდრეს გვერდით მიდიოდა, რომელიც თავაზიანად აცნობდა მოურავს გელათის მონასტრის წარმოშობის ისტორიას, რაც დიდი ხანია იცოდა სააკაძემ.

მხოლოდ ქაიხოსროს დაჟინებული თხოვნით — ნუ მომაკლებთ სასიამოვნო თანამგზავრებსო — „ვეფხვები“ დათანხმდნენ გაჰყოლოდნენ მათი გულისათვის ძვირფას მეგობარს. ქაიხოსროს ცხენი დიმიტრისა და როსტომის ცხენებს შუა მიდიოდა და დანარჩენი „ვეფხვებით“ გარშემორტყმული ქაიხოსრო მთელ გზაში ნაზი, გულშიჩამწვდომი ხმით უამბობდა მათ, თუ როგორ წარმოიშვა მისი, ქაიხოსროს, მეგობრობა „ვეფხვების რაზმისადმი“. ბედმა მათ რიგებს გამოაკლო სწორუპოვარი მეგობარი და მეომარი, მაგრამ ხომ არ მოიძებნება „რაზმში“ ადგილი მისთვის, ქაიხოსროსათვის? ვეცდები ღირსი ვიყო ჩვენგან წასული დაუთბეგისაო. და თუ ბრმა ბედმა არაფერი გამოცვალა, მეც მსურს, სწორედ ისე, როგორც დაუთბეგმა, ჩემი სიცოცხლე ბრძოლის ველზე დავამთავრო, როგორც მეომარმა, როგორც რაინდმაო.

გულაჩუყებული და რატომღაც ოდნავ დარცხვენილი „ვეფხვები“ ეფიცებოდნენ, გავხდებით საუკეთესოთა შორის საუკეთესო ქაიხოსრო მუხრანბატონის დიადი სულის ღირსნიო.

„დიდება დარწმუნების ძალას! — ზეიმობდა ქაიხოსრო. —

„ვეფხვები“ გადარჩენილი არიან. გიორგი მარტოდმარტო არ იქნება. მწუხარება, რა თქმა უნდა, არ მოშორდებათ, იგი ისეთივეა, როგორც მოუცილებელი ლანდი, მუდამ რომ თან დასდევს ადამიანებს, მაგრამ „ვეფხვები“ კვლავ მოიპოვებენ ძალას მოიმარჯვონ ხმალი.

ჯერ კიდევ ქალაქიდან გამოსვლისას სააკაძეს საამოდ უკვირდა, რომ ხალხი მისკენ გაექანა შეძახილებით: „გამარჯობა! გამარჯობა, ჩვენო მოურავო“! იგი დააკვირდა: ამქრები არიან! გულში მეტი სითბო იგრძნო! დიახ, იგი, გიორგი სააკაძე, მათია, უმაწვილობიდანვე მათია, — რადგან თვითონაც ამქარია და შრომობს ბრძოლის ველზე! იგი მუდამ ძმობის ერთგული იქნება! და მისალმების ნიშნად სააკაძემ ხელი აღმართა:

— გამარჯობათ, ამქრებო, დიდება შრომის ძმობას!

კიდევ დიდხანს ისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები. ალექსანდრე კმაყოფილი იყო: ბოლოს, ამ ჯიუტს აქ რაღაც მოეწონა!

მაგრამ ქუთაისს გარეთ შეხვედრებს სააკაძე გულგრილად მოეკიდა: „ალბათ ჯერ კიდევ გამოჯანსაღებული არა ვარ, — მწარედ გაიფიქრა მან, — თუ გლეხთა მისალმებაში მუქარა მეჩვენება. ქუდებს ისვრიან, მე კი მგონია ქვებიაო“.

გზა რიონის მარცხენა ნაპირს მიჰყვებოდა ზევით, ზედ ხრამის ნაპირზე წყალი ბობოქრობდა. შემდეგ გზამ მარჯვნივ გაუხვია რიონის შენაკადის წყალწითელას ხეობაში.

სოფლებში სააკაძეს განსაკუთრებით დიდი ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ.

— ვაშა! ვაშა! დიდ მოურავს!

— მარად დანათოდეს შენს მახვილს მზე!

— ვაშა!

„ალბათ მეფემ უბრძანა, — შეუმცდარად მიხვდა სააკაძე.— უბრძანებს — გაიძახიან „ვაშა!“ სხვას უბრძანებს — ერთბაშად დამეძგერებიან შუბებით, სატევრებით, ჯოხებითაც კი. არა, მე ასეთი მეომრები არ მესაჭიროება! აბა როგორი? მონობისაგან თავისუფალი და მტკიცენი! მერე სად იშოვნი მათ? ვიცი, სადაც!“

მეფის ერთ სოფელში, ხრამის პირას, საქმე სულ ცუდად გამოვიდა. ქუდმოხდილ მოხუცს ხელში ეჭირა დიდრონი მტევნებით სავსე ხის გობი. იგი მემკვიდრეს მიუახლოვდა, მაგრამ ალექსანდრემ თვალით ანიშნა სააკაძეზე.

— დაგვდე პატივი, მოურავო!

სააკაძე მდუმარედ უცქერდა დამკრახულ მტევნებს. ხალხი შეჩოჩქოლდა. მოხუცმა ბიჭი მიიხმო, მან კი თვალი მოხუჭა, ალალბედზე მოწყვიტა რამდენიმე მარცვალი და გადაყლაპა. მსუბუქმა სიწითლემ დაფარა სააკაძის სახე, იგი უზანგებზე შედგა და დაიძახა:

— ხალხო! მოწამლული ყურძნისა როდი მეშინია! ჩემი მკერდი მრავალგზის შეხვედრია გველის ისრებს! მაშინებენ მოწამლული ფიცი და დარწმუნება ერთგულებაში. პატიოსანი კაცი საქმით და არა სიტყვით უნდა ამტკიცებდეს თავის გრძნობებს და... თავისუფლად, ძალდაუტანებლად. მე მჯერა თქვენი... რადგან ხალხის სული წმიდაა, ვით მთის წყარო. ოგრამ... როგორც უნდა იყოს დამწუხრებული, დაჩრდილული თქვენი გული, რაც უნდა შიშით იყოს შებოჭილი — მოვალენი ხართ ერთგულად ემსახუროთ ბოლომდე მას, ვინც თქვენთვის ზრუნავს, ვინც... — სააკაძემ სიტყვა შეწყვიტა და ალექსანდრეს გაკვირვებული თვალი შენიშნა. „რას ვამბობ?" — ჩაიცინა და დაამთავრა: — გამარჯვება ნუ მოეშალოს მეფეთ მეფე გიორგის, გამარჯვება მშვენიერ მემკვიდრე ალექსანდრეს! — ყურძნიანი გობი ჩამოართვა, წინ დაიდგა და აღტაცებულ შეძახილებში პირში გამოიცლო კარგა მოზრდილი მტევანი.

იცინოდნენ თავადები, ტაშს უკრავდნენ ქალები, გულწრფელად აღტაცებული იყვნენ გლეხები. ვიღაცამ ცეკვა დაიწყო, ვიღაცამ ძველებური სიმღერა წამოიწყო.

ავთანდილმა ჭოჭუას ფარული ღიმილი შენიშნა და ფიალას მიუახლოვდა. შედარებით პატარა მტევანი ამოარჩია და გაუწოდა:

— აი, თავადო, შემთხვევა, რომ მოურავს სიმარჯვეში შეეჯიბრო! მიირთვი!

ცნობისმოყვარენი მიუახლოვდნენ. მოუმზადებელი ჭოჭუა

აიბნა, არ იცოდა, რა ექნა, თავადის ღირსება რომ დაეცვა, ხუმრობა სცადა, მაგრამ ქალებმა, რომელთაც მუდამ „სისხლი“ სწყურიათ, დაიყვირეს:

— მოურავს შეუძლია და შენ კი არა?!

— ნუ არცხვენ იმერელ თავადებს!

— მტევანი ორჯერ უფრო პატარაა! — უკმაყოფილოდ მიაძახა ნიკარაძემ.

— პირით ყურძენს ვერ გაჭყლეტ? მაშინ... რაღა შეგიძლია?

— ჰა, ჰა, ჰა!

— ჰი, ჰი, ჰი!

— ნატომ მუდამ უნდა გაგამხიარულოს!

ჭოჭუა წამოწითლდა და ქალების დამცინავი გამხნევებით პირში ჩაიტენა მტევანი და ერთბაშად ტუჩზე მოლუოკო წვენი დაედინა. და აქ თავადის ქალებმა თავისი არ დაიშალეს. კიდევ ბევრ არასასიამოვნო შედარებას, რჩევასა და მოგონებას მოისმენდა ბედკრული თავადი, ალექსანდრეს რომ არ გადაეწყვიტა, დამცინავი საკმაოდ დაისაჯაო და არ გაეხსენებინა, რომ დროა გზას გავუდგეთო.

ავთანდილმა აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და ჭოჭუას გაუწოდა.

— წაიღე, თავადო, გიორგი სააკაძის შვილის, ავთანდილის, სახსოვრად!

ჭოჭუა აენთო, მაგრამ დროზე გაახსენდა, რომ ავთანდილი მეფის ქალიშვილზეა დანიშნული, და... ცხვირსახოცი გამოართვა.

— საათნახევარს იფხანე მაგით ის, შემდეგ კი ეს!

იგი მიხვდა, რომ დიმიტრი უარს არ იტყვის არა თუ რჩევით, არამედ ხმლითაც დააჯილდოვოს თავადი.

სააკაძემ ხმამაღლა თქვა:

— გმადლობთ, ჩემო მამავ, მხიარული შეხვედრა მოგვიწყე! — და მოხუცს ქისა გაუწოდა. — გაუმასპინძლდი სოფელს! შენ ალბათ ამორჩეული ხარ?

— ამორ... ჩეული, — აბნევით წაიბუზღუნა მოხუცმა. — ამორჩეული ვარ, ბატონო!

— როგორ არის შენი ოჯახი, ბიძაჩემო?

— გმადლობ, მთელი ჩემი ოჯახი კარგად არის! გიცავდეს წმინდა სამება ბრძოლასა და ლხინში, დიდო მოურავო!

სააკაძემ რაღაც უხერხულობა იგრძნო: „უცნაურია, რატომ უეცრად მოესმა თასების წკრიალი? რატომ იარაღის ჩხარუნი არა?“ სადავე მოსწია. ჯამბაზმა წყენით დაიფრთქვინა და განგებ ნელა მიჰყვა მემკვიდრე ალექსანდრეს ცხენს.

არც გლეხთა სურვილები, არც მხიარული საუბარი გიორგის ყურს არ მისწვდომია, ვერ ამჩნევდა იგი ვერც ციცაბო აღმართებს.

— წმიდაო გიორგი, რა დიდებულია გელათის გალავანი!— განგებ ხმამაღლა წამოიძახა დათომ.

სააკაძე თითქოს სამხედრო ბუკის მოწოდებამ გამოაფხიზლაო.

მონასტერი განმარტოებით იდგა ტყიანი და კლდოვანი მთის მწვერვალზე. მცხუნვარე ჰაერში თეთრი ტაძრები მკაფიოდ მოჩანდნენ მწვანე მთების ფონზე.

— ჩემო უფლისწულო, რა სიტყვით აიწეროს გელათის მშვენება?! — ქაიხოსრო აღტაცებით ათვალიერებდა ციხის გალავანს. — რა ამაღლებულად უნდა ეფიქრა ხუროთმოძღვარს, როცა მეფე დავით აღმაშენებლის განზრახვას ხორცს ასხამდა!

მოწიწებით მოისმინეს ქართლელებმა საზეიმო პარაკლისიმაგრამ რუსუდანს გულისხმიერება ვერ მოეკრიფა ლოცვაზეიქნებ მეტად მკაფიოა ფრესკები? შეიძლება მეტი სიმკაცრე უნდა მიეცეს წმიდანთა სახეებს? ან იქნებ არაჩვეულებრივად მაღალი გუმბათი მლოცველს მოაგონებდეს ადამიანის არარაობას? რამდენი ხანია ესწრაფვოდა გიორგი იმ მეფის წმიდა აკლდამას, რომელმაც საქართველო ფერფლიდან აღადგინა!

ვიღაცამ მის გვერდით თასში ჩაყარა ფული და წაიჩურჩულა:

— ჰოი ღვთის მშობელო, წმიდა წინასწარმეტყველთა მიერ წოდებულო დახშულ კარად, კიბედ, საცეცხლურად, ტრაპეზად, სანთურად და მოწყალების კვერთხად! მიიღე ეს უძლე-

ველი გიორგისაგან, ვინც მას ულალატოს. ღმერთმა დასწყევლოს!

რუსუდანმა თვალი გადაიტანა ქვის იკონოსტასზე და გააცვიფრა ღვთისმშობლის მოზაიკურმა გამოსახულებამ, რომელიც ოქროს არეში იდგა მეწამულ მიწაზე. ღვთისმშობელს ხელში უპირავს მწვანე საბურველი, რომელზეც ზის ღვთიური ბავშვი, სამყაროს რომ ლოცავს.

„მაგრამ როგორ სამყაროს? — გულში წამოიძახა რუსუდანმა. — არა მარტო ჩაგრულების, არამედ მჩაგვრელთა სამყაროსაც, არა მარტო მოყვარულთ, არამედ მოძულეთაც, არა მარტო დიდსულოვანთ, არამედ მდაბალთაც, არა მარტო მართალთ, არამედ უპატიოსნოთაც, არა მარტო უანგაროთ, არამედ ხარბთაც! რა არის ჭეშმარიტება? რა არის იგი? არა, ბავშვი ცამეტი საუკუნის მანძილზე იგივეა, არ გაზრდილა, სამყარო კი შეიცვალა... ან იქნებ ქრისტიანობის განთიადზეც ასეთივე მოზაიკური, ათიათასობით ძვირფასი თვლისაგან შედგენილი იყო?.. გიორგი საკაძეს, სულით ძლიერ გიორგის, სურდა ქართველებისათვის დაებრუნებია დაკარგული სამოთხის სილამაზე, გაეთავისუფლებინა დამპყრობთა და მჩაგვრელთაგან ათიათასობით ადამიანი, რომელთაც თანაბრად აფასებს. და აი ამ ღმერთმა პირი იბრუნა მისგან, მხედართმთავრისა და გარდამქმნელისაგან. ღმერთმა თუ მისმა მოსამსახურეებმა — მწყემსებმა?"

როცა გიორგიმ გადაწყვიტა ისპაჰანიდან შაჰ აბასის ჯარებიანად გამოსულიყო, რუსუდანს არ შეეძლო გაეგო ქმრის დიდი აზრები, ახლა კი გაიგო: მისი გული მომავალში ძგერდა... ახლა რუსუდანს გარს ეხვივნენ წარსულის სახეები: აი ხახულის ღვთისმშობლის სახე მარგალიტის სამოსელში, აი აწყურის ღვთისმშობლის სახე ოქროს ჩარჩოში. აი გელათის ღვთისმშობლისა, იქით-აქეთ რომ მოოქროვილი მთავარანგელოზები უდგანან, აგერ კიდევ ღვთისმშობლის სახე, რომელსაც თავს ადგას მსხვილი ძოწის, ფირუზებისა და მარგალიტების გვირგვინი. ოქრო, ფარჩა, მარგალიტები... რითლა განსხვავდება წმიდანთა სამოსი მიწიერ უფალთა ტანსაცმლისაგან? მაშინ — რომელ ბოროტს არ უნდა ვეწინააღმდეგოთ?

ერალადობის ბოროტს?.. „შენ მკრეხელობ! შენს წინაშეა ღვთისმშობელი წმიდა ვაჟით!“ — კითხულობდა რუსუდანი თავის განაჩენს მოციქულთა თვალებში და... მაინც დამშვიდებული იყო. შავი ტანსაცმლით იგი თითქოს გამოწვევა იყო ეკლესიის დამაბრმავებელი დიდებისათვის. ო, განა ამ დიდებას შეეძლო გამოესყიდა მისი ვაჟის, მისი პაატას სისხლი!

შემდეგ კი ნაშუადამევამდე გრძელდებოდა ტრაპეზი გელათელი მიტროპოლიტის პალატში. ნახევრად მეფემ, რომელიც ფლობდა საეკლესიო აზნაურებს, საეკლესიო გლეხებსა და საეკლესიო მიწებს, მიტროპოლიტმა საპატიო სტუმრები მეფური ფუფუნებით მიიღო. ტრაპეზს უჯდა გელათის მთელი „სასახლე“: მერიქიფე. ქეშიკთა უფროსი, მეჯინიბეთ უფროსი. ნადირობის უფროსი, მოურავი, შემოსავლისა და გასავლის უფროსი და კიდევ ბევრი დიდი და მცირე მოსამსახურე.

მთვარე უკვე აბნევდა მოციმციმე შუქს ხეობაში და ვერცხლივით ალაპლაპებდა წყალწითელას, როცა მობრძანდა კათალიკოსი მალაქია და საქმელ-სასმელი აკურთხა.

საქმელები შემოჰქონდათ მორიგილებს მოწიწებით, მაგრამ კარისკაცები დიდი გულმოდგინებით ნთქავდნენ. მწკლატე ღვინო ისხმებოდა ვერცხლის თასებში „ვით წმიდა სითხე“, მაგრამ რაინდები საქებური სისწრაფით სვამდნენ ბოლომდე. — ხომ არ შეიძლებოდა დაეღალათ მეღვინე, რომელსაც მოთმინებით ეკავა სავსე დოქები.

წყნარად, კეთილმორწმუნედ წკრიალებდა ჩონგური და ვიღაცას ახალგაზრდა ხმა ღიღინით მოუთხრობდა გელათის მონასტრის წმიდა მამების საგმირო საქმეებზე.

შემდეგ გენათელი, ახოვანი და ახალგაზრდული შეხედულების კაცი, გულშიჩამწვდომად ლაპარაკობდა ორი ხელისუფლების ჰარმონიაზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთ ცას, და დასამტკიცებლად მოიყვანა ბაგრატის გვირგვინი, რომელიც მონასტერში ინახებოდა: მის ექვს წვეტზე არის პატარა ლალისა და მარგალიტის ჯვრები, მეშვიდე ჯვარი გაკეთებულია ძვირფასი თვლებისაგან; ზევით გამოსახულია მარგალიტით ნაკერი მაცხოვარი, სამი იერარქი და ოთხი ევანგელისტი. ქვევით კი — საიდუმლო სერობა.

და კვლავ ქაფდებოდა წითელი ღვინო, რომელშიც ისახებოდა სადღესასწაულო სანათურების ცეცხლი...

მზემ მოუსწრო გიორგი სააკაძეს, რომელიც თავდახრილი იდგა მეფე დავითის საფლავთან.

დიდხანს და აღელვებული უცქეროდა მოურავი დარუბანდის რკინის კარს, რომელიც საფლავის ქვას ფარავდა, სადაც სამარადისო ძილით განისვენებდა მეფე დავით აღმაშენებელი. ნახევრად წაშლილი არაბული წარწერა გვაუწყებდა, რომ „კარი ესე გაკეთებულია კეთილი და მოწყალე ღვთის სადიდებლად, ამირა შავირის მიერ ბენშედადის დინასტიიდან, 1063 წელს“.

რატომ ასე სადაა იმის ძეგლი, ვინც ნანგრევებიდან და მუსლიმთა ჩაგვრისაგან აღადგინა საქართველო, ვინც სამეფო განადიდა მეცნიერების შუქით და იარაღის ძალით, ვინც განაახლა ქვეყანა, გამოაღვიძა ხალხის თვითშეგნება და მისცა მას კანონი და მუდმივი ჯარი? „რატომ არის, — უპასუხა გიორგიმ თავისთავს, — რომ ყოველივე დიდებული უბრალოა!“

აქ მკაცრი სიწყნარე გამეფებულიყო და ქარიც კი ცდილობდა განზე აევლო.

„ეს შესანიშნავი კარი სპარსული არაბესკებით აჟურულ ორნამენტზე მოგვაგონებს დავით აღმაშენებლის დიად დევიზს: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!“ ეს არის ანდერძი საქართველოს ყველა მხედართმთავრისათვის! და მე, გიორგი სააკაძე, მას საკუთარ გულში ვატარებ. არა, მშვიდობაზე როდი მეტყველებენ ეს კარები, არამედ ულმობელ მუსლიმურ ქარიშხალზე, საქართველოს მოსისხარ მტრებზე!.. ან იქნებ... დავრჩე და აქედან დავიწყო? რა დავიწყო? ბრძოლა ირანის წინააღმდეგ? თურქეთის წინააღმდეგ? მერე თავადები და მეფე თეიმურაზი? განა ისინი გზაზე არ მიდგანან მაგარ დაბრკოლებად? წარვხოცო? გავსრისო?! რით, რა ჯარით? იმერეთის ჯარით? არ კმარა და... არც საიმედოა! ერთხელ უკვე მომატყუეს... უნებურად? მერე ჩემთვის სულერთი არ არის როგორ? შემდეგ ვისი სახელით ვიბრძოლო? იმერეთის სახელით? არა! სანამ

ქართლს არ შეერთებია, უცხო სამეფოა!.. და კვლავ: განა შაჰ აბასის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ქართლში არ უნდა დავბრუნდე? მერე რით დავბრუნდე?.. ყოველივე ჩემი განზრახული უნდა აღსრულდეს! ქართლში დავბრუნდები... და მალეც!.. დიდი ხანია გავიგე: მხოლოდ ქართველთა სამეფოების გაერთიანებით, მეფის ერთხელისუფლებიანობის განმტკიცებით შეიძლება აღორძინდეს საქართველო... გეფიცები. ჩემო მეფევ, დავით აღმაშენებელო!.. მე, გიორგი სააკაძე, მოურავი, პირველი ვალდებული სამშობლოს წინაშე, წმიდად და კვლავაც შევასრულებ შენს ანდერძს: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!“.

— ამინ!..

სააკაძე მკვეთრად მობრუნდა. მის წინ იდგა მემკვიდრე ალექსანდრე. „ჩანს, კვლავ ხმამაღლა ვფიქრობდი“.

— კეთილშობილური აზრები გამოთქვი, ჩემო მოურავო.

— რატომ ასე ადრე მიგიტოვებია საწოლი, ჩემო უფლისწულო!

— დღეს ბედმა კვლავ ხმელად დამიგო.

— იქნებ ეშინოდა, რომ დაივიწყებ, ვინც შენ გელოდება?

— არა, ჩემო მოურავო, სულ სხვაა ჩემი შეშფოთება. მითხარ, რატომ ასე გულცივად უარყოფ მეფის მოწყალებას?

— რაზე მელაპარაკები, უფლისწულო?

— რატომ არ ისწრაფვი დაგვიახლოვდე და წმიდა ქორწინებით შეაერთო ჩვენი საყვარელი ავთანდილი ჩემს დასთან, მეფის ასულ ხვარამზესთან? განა ცუდი ძმა ვიქნები ან ჩემი მეფე მამა მოურავის ვაჟს არ დააყენებს ათასების მხედართმთავრად?

— მშვენიერო უფლისწულო, მეფის მოწყალებას ჩემი ფიქრები ზეცას, არწივის საფრენზე აჰყავს, მაგრამ ჩემი სურვილია უმაგალითო მოწყალების ღირსი გავხდე. მე მწყურია აღტაცების ღიმილი გამოვიწვიო შენს სახეზე... და ვფიქრობ, რომ დიდხანს ლოდინი არ მოგვიხდება.

— მაშინ მითხარ, მოურავო, ვის ამარა მტოვებ? განა შენ არ ჩამინერგე ამაყი ოცნება, გავმხდარიყავ საქართველოს გამაერთიანებელი? განა ერთ დამარცხებას, რომელიც თვითონ

შენ განიმზადე, როცა ხელიდან გაუშვი მეფე თეიმურაზი. შეუძლია უფსკრულში ჩაკარგოს შენი განზრახვა?

— კი არ ჩაკარგოს, ჩემო უფლისწულო, არამედ გადასდოს. მოგვიხდება ხელახლა დავიწყოთ. მე... შეცდომა დავუშვი და კიდევაც ვზღე. მაგრამ... მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ძლიერი ვარ სულითა და ხმლით. დაიხსომე, უფლისწულო: თუ მიწერია, შევასრულებ ჩემს დიდ განზრახვას — შენს კეთილშობილ თავზე აბრწყინდება გაერთიანებული საქართველოს გვირგვინი.

— გახსოვდეს შენც, მოურავო, ყოველი საქმე დროზე უნდა შესრულდეს. და რისი შესრულებაც უფრო გვიან გქონდა განზრახული, უმჯობესია ახლა შეასრულო, იჩქარო.

ააკაძემ არა უპასუხა რა. იგი ზედ უფსკრულთან მივიდა, ხმალს დაეყრდნო, და თვალი გაუშტერა კავკასიონის თოვლიან მთებს, სადაც უცვლელად დიდებულად დუმდა მყინვარწვერი, შემდეგ თვალი გადაიტანა ახალციხის მთებზე — იქ სადღაც იმალებოდა ბენარი, მატიანის კიდევ ერთი ქვის ფურცელი, რომელიც უკვე გადაშლილია. ხოლო აქ, აქარის მწვერვალებს გადაღმა, ლურჯად ლივლივებდა ზღვა, როგორც მომავლის გზა.

შორეული გამოქვაბულიდან მოჩანდა ბაბო ზარას თვალები, ლივლივა ბურუსი ირხეოდა, როგორც მისი ძველი ლეჩაქი. ხოლო საუკუნეობრივი ჭადრებიდან გამოწვდილი იყო მისი ხელი და მოურავს ნათლად ესმოდა ბაბო ზარას მბრძანებლური ხმა, რომელსაც ხრამები იხმობდა: „ცხენს უფრთხილდი! ცხენს უფრთხილდი! ის მეომარი არ არის, ვისაც არ შეუძლია ცხენის მოვლა!..“

მოურავი მტკიცედ უჭერდა ხმალს ხელს. იგი ეთხოვებოდა დეევგმირებს, რომლებმაც გამოკვებეს მისი სული, მისი ნებისყოფა. ოდესღაც იგი ასევე მიშტერებოდა მთებს და აღმოაჩინა მტრის ახალი ძალების მოსვლა. მაშინ გაჩაღდა თრიალეთის ბრძოლა. რა ბრძოლა მოელოდა ახლა, არ იცოდა, მაგრამ მტკიცედ იყო დარწმუნებული: ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული!

პაპუნა, რომელსაც განსაკუთრებულმა შიკრიკმა აცნობა, გამგზავრებულთ ბათუმში დაეწია. ყველა განაცვიფრა მისმა ანაზდეულად გაჭაღარავებულმა ულვაშმა.

— დამნაშავეა ღვინო! თეთრი მეტი მისვამს. წითლისაგან ასწლამდე არ ჭაღარავდებიან! — სცადა ხუმრობა პაპუნამ.

მაგრამ რომ ვისმე ჩაეხედა ოდესღაც ყველაზე მხიარული ქართელის გულში, დაინახავდა სასოწარკვეთილების უფსკრულს და ზღვა ცრემლებს. დაუთბეგის დაღუპვამ თითქოს უკანასკნელი სიხარული ამოძირკვა. ხოლო თეკლე?! ადამიანთაგან, თუ ძაღლი არ არის, ვის შეუძლია დამშვიდებით იფიქროს წამებულის მწუხარებაზე?

— რამდენის გაძლება შეუძლია გულს? — მწუხარებით ჩურჩულებდა დარეჯანი.

— იმდენის, რამდენსაც კეთილი ღმერთი გამოგზავნის, ჩემო დარეჯან! — და პაპუნამ დაასხა წითელი ღვინო და განაცხადა ამით დამთავრებულიყო სადილი დაუთბეგის სულის მოსახსენებლად.

მოსამსახურეებს ნაპირზე მიჰქონდათ უკანასკნელი ბარგი. გემის ბაქანზე შეჰყავდათ ცხენები. ბებერი ჯამბაზი მძიმედ ქშინავდა და წამდაუწუმ ცქვეტდა ყურებს. სჭიმავდნენ ირიბულ იალქნებს, რომლებიც ოთხფრთიან ფრინველს მოგვაგონებდნენ, — აი აფრინდება, ნოსტელებს აიტაცებს და გააქანებს ცხრა მთას იქით, ლურჯ ზღვებს იქითო! უცხო ქვეყანა! რაინდებისათვის რა იქნება სამშობლოს დაკარგვაზე უფრო მწარე?! მაგრამ იქნებ მათ იქ ელოდება ოქროს იმედი? იქნებ ბედმა გამოსცადოს მათი ერთგულება და მამაცობა, კვლავ გადაიქცეს ოთხფრთიან ფრინველად და უკანვე გადმოიყვანოს ძვირფას ნაპირებზე?..

თურქული ყავახანის ქვაფენილის ახლოს ჯოხის კაკუნით მოლასლასებდა ბრმა, რომელსაც კისერზე ეკიდა ძველისძველი ტომსიკა. რაღაც საშინელებამ დაქროლა, როცა საწყლად ითხოვა პური. დარეჯანმა აცახცახებული ხელით პირჯვარი გამოისახა. ბეჟანმა სასწრაფოდ ჩაყარა მათხოვრის თოფრაში საჭმლის ნარჩენები.

მძიმე დუმილის შესაწყვეტად დათომ პაპუნასათვის გაი-

მეორა სტამბოლში თავისი ყოფნის ამბავი, როგორ მიიღო და ესაუბრა მსოფლიოს მბრძანებელს.

გივის თან ერთად დათო სტამბოლს ჩავიდა რამაზანის დღეს და იძულებული იყო ელოდნა, სანამ თოფ კაპუს სასახლეში არ დამთავრდებოდა იანიჩართა უფროსების მიერ სულთნის მანტიის ამბორის ცერემონია.

მურად IV ყურადღებით უსმენდა მოურავ-ბეგის მოამბეს და, როგორც დათოს ეჩვენა, უკმაყოფილოდაც არ უსმენდა. „მოვიდეს ჩემთან დაუცხრომელი, — თქვა სულთანმა,— ჩემთან იპოვის ყოველივეს, რის პოვნასაც მოისურვებს...“

და აი ქუთაისი დატოვებულია, გადავიდნენ საქართველოს უკანასკნელ ზღუდეზე.

თითოეული ღვინის ჯამს ცლიდა და გულში ეთხოვებოდა დაუთბეგს, ეთხოვებოდა დიდი ხნით მათთვის დაკარგულ სამშობლოს.

— ძვირფასო როსტომ, შენ მართალი ხარ, — სცადა მეგობრის დაჯერება საკაძემ, — დარჩი, შენ გყავს მირანდა და ორი ვაჟი. არავინ იცის, რა მოგველის: იქნებ — მწვერვალი, ხოლო შესაძლებელია — უფსკრული.

— ძვირფასო გიორგი, მე ყოველთვის როდი ვიყავი მართალი. ამას ბაზალეთში მივხვდი, როცა ჩირაღდნით მივცოცავდი წყეულ ნაპირზე... და ვეძებდი გამოვარდნილ ძვირფას რგოლს, არ შემფერის მეც გამოვაკლდე ცოცხალი „ვეფხვების რაზმს“ და არც შემიძლია ვიცოცხლო უშენოდ, თუ ჩემთან არ იქნა ყველა ძმა, ვთვალო წარმავალი დღენი. შენთან მაქვს. გიორგი, გზა მწვერვალისაკენ... და, თუ ბედმა არ ინება, უფსკრულისაკენ.

მისადგომზე ქართლელებს ელოდებოდა თურქული ფელუგა, რომელსაც კიჩოზე ბრინჯაოსფერი მენიჩბე უჯდა. ჩამოფლეთილი თურქები, რომელთაც წითელი ფესკები ეხურათ, აფრას ამაგრებდნენ.

რამდენსაც არ ცდილობდნენ ნოსტელები გადაედოთ გამგზავრების დრო, იგი ულმობლად ახლოვდებოდა, და აი ახლა ისინი გადააბიჯებენ საქართველოს მიჯნას. უნდა გამოეთხოვონ წარსულს აქ. სადაც კიდევ იგრძნობა საკუთარი კერის

კვამლი, რათა უკვე ფელუგაზე ერთმანეთს შეხვდნენ უსახლ-კარო მგზავრებივით.

რუსუდანი ტკივილს მალავდა და ეთხოვებოდა ყველას, თითქოს მარტო იგი ტოვებდა სამშობლოს. მაგრად ეხვეოდნენ „ვეფხვები“ გიორგი სააკაძეს, მუხლს იდრეკდნენ ქალების წინაშე, ეამბორებოდნენ ლენტების ნაპირს, გულში იკრავდნენ პატარებს.

კაპიტანმა გასცა ბრძანება, ღუზა ასწიეთო.

სააკაძე მობრუნდა, თვალი მოავლო მთებს და მტკიცე საბიჯით პირველი შედგა ტრაპზე.

მოეჩვენათ, თუ მართალი იყო — დიდი მოურავის ლოყაზე დაგორდა მძიმე ცრემლი...

მერვე ნაწილის დასასრული

მოსკოვი. 1953—1955 წწ.

გამომცემლობის რედაქტორი ც. ბუაჩიძე
ყდა და ტიტული ლ. გრიგოლიასი
ილუსტრაციები გ. თოთიბაძის
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორები: ნ. თავაძე, ლ. არეშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII-62 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 35,05. სააღრ.-საგამომც. თაბახი 31,4. საავტორო თაბახი 30,85.
ტირაჟი 10.000. შეკვ. № 908

ფასი 1 მან. 14 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.